ქართული პროზა

ტომი XVIII

ვასილ გორგაძე

84 Гр 1—4
ქ 279

შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ნ ი:

გ. გვერდწითელი
რ. თვარაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გრ. აბაშიძე
ე. მალრაძე
ა. სულაკაური
გ. ფანჯიკიძე
თ. ჯილაძე
ვ. ჯავახაძე
რ. ჯაფარიძე

ხარაზი

1

ყველა იცნობდა ხარაზ პაპუნას. ბატონთანაც რამდენჯერმე პირდაპირ ელაპარაკნა. პაპუნა არ იყო ღარიბი. იმისი სახლი იდგა ხარაზხანის ბოლოში. ქუჩის პირის ოთახი დუქნად ჰქონდა მოწყობილი; მეორე ოთახში სცხოვრობდა. დუქნიდან კარგადა სჩანდა გამვლელ-გამომვლელი. პაპუნა ბევრს მარტო ფეხებში შეხედვითაც იცნობდა, რადგან ყველას ფეხთსაცმელი სჭეროდა ხელში: ზოგისთვის წაღის წვერი წაეცვალა, ზოგისთვის ძირი გამოეცვალნა, ზოგისთვის ახალი შეეკერნა. ბევრი მუშტარი ჰყვანდა. მკვიდრი საქმე იცოდა, მასალას კარგს ახმარებდა. მეტის თხოვნა და ჩინჩი არ უყვარდა. თუ ვადაზედ ვერ მოასწრობდა, ხელს არ მოჰკიდებდა საქმეს. მუშტარიც ამისთვისაც ეტანებოდა.

ჯერ ისევ შუახნის კაცი იყო, როდესაც ცოლი მოუკვდა. სამი წლის ვაჟი დარჩა. პაპუნამ ჯერ დააპირა თავისი დათიკო სიდედრთან გაეგზავნა, იქ შეენახნა, მაგრამ, ვეღარ გაიმეტა, თავისთანვე დატოვა. მალხაზი და აზრიანი ბავშვი დადგა; მალე მიხვდა ხელობას, ცდილობდა შეჰშველებოდა მამას. პაპუნას თვალის ჩინს ერჩიდვნა თავისი ვაჟი. მაგრამ რა! უბედური მამა იყო ის. ყმაწვილი ერთხელ გაცივდა, ცოტა ხანს იავადმყოფა და მოკვდა.

მის სიკვდილის შემდეგ პაპუნას ძლიერ დარია ხელი დარდმა: შეწუხდა, ჩაეთუთქა გული; სიცოცხლე მოსძაგდა.

ერთხელ პაპუნას ესტუმრა ნაცნობი ბერი. შესჩივლა მან ბერს თავისი დარდი.

— მე, მამაო, სიკვდილსა ვნატრობ; რა სიცოცხლეა იმედგადაწყვეტილი კაცის სიცოცხლე! — ეუბნებოდა პაპუნა.

ბერმა გულმოდგინედ მოისმინა მოხუცის სიტყვები და ანუგეშა:

— ჭეშმარიტად ძნელი განსაცდელი მოგივლინა ღმერთმა, მაგრამ მაინც ეგრე არ უნდა იბოროტებდე თავს, არ უნდა ეძლეოდე უიმედობას. საქმე ჩვენს სურვილზედ და ნებაზედ ხომ არ არის დამოკიდებული: ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჰსურს უფალსა. იმისი ნება ყოფილა, შენი შვილი მომკვდარიყო, შენ კი ცოცხალი დარჩენილიყავ. დიდება მის სამართალს! შენ იმისთვის სწუხარ ეგრე, რომ მარტო შენის სიამოვნებისთვის გდომებია ცხოვრება.

— მართალსა ბრძანებ, — მიუგო ხარაზმა, — მინდოდა მეც მესიამოვნა რამე წუთის სოფელში, დამფასებოდა ამაგი, ცხოვრება დამეცარა, იმედი გამიცრუვდა და ან ვისთვის, ან რისთვის მინდა სიცოცხლე...

— კაცმა მარტო თავის სიამოვნებისთვის კი არა, ღვთისათვის უნდა იცხოვროს: იმას მოუცია ჩვენთვის სიცოცხლე, იმასვე უნდა შევსწიროთ. თუ ღვთისათვის ცხოვრებას დაიწყებ, ეგრე აღარ იწუხებ: ის შეგეწევა და მოგეშვება გულიდან სევდა.

— ღვთისათვის?! მერმე როგორ უნდა ვიცხოვრო ღვთისათვის?

— უფალმა გვასწავლა, როგორ უნდა ვიცხოვროთ ღვთისათვის. კითხვა ხომ იცი? იყიდე სახარება და იკითხე. იმაში სწერია ყველაფერი.

2

პაპუნას მოეწონა ბერის სიტყვები. იშოვა სახარება და დაიწყო კითხვა. ჯერ ფიქრობდა, მარტო კვირა-უქმე დღეს ვიკითხამო, მაგრამ წიგნმა ისე მიიტაცა, რომ ყოველდღე დაიწყო კითხვა, ხან ისე გაერთობოდა, ჭრაქში ქონი ამოიწვებოდა და იმას კი წიგნისათვის თავი ვერ დაენებებინა. რამდენიც უფრო მეტს კითხულობდა, იმდენი უფრო ნათლად ხედავდა, რას თხოულობდა უფალი და როგორ უნდა ეცხოვრნა ღვთისათვის. დარდი თანდისთან უქარწყლდებოდა. წინად სულ გმინავდა, ოხრავდა და თავის დათიკას იგონებდა; ეხლა ისე აღარ შფოთავდა. მალ-მალ იტყოდა: დიდება შენდა, უფალო, აღსრულდეს ნება შენი!

პაპუნას ცხოვრება შეიცვალა. წინათ კვირა-უქმე დღეს ქეიფშიაც ატარებდა. თუ ან ვისიმე დუქანში კარგ ღვინოს შეაგულებდა, ან ურმით გასასყიდად ჩამოტანილი ღვინო მოეწონებოდა, დაუძახებდა მეგობრებს და დაალევინებდა. შეზარხოშებული პაპუნა აღარც ფრთხილობდა: ყვიროდა, ჩხუბობდა, დასცინოდა ხალხს, ეხლა ამეებს თავი დაანება; წყნარად დაიწყო ცხოვრება: ადრიანად შეუდგებოდა მუშაობას. როცა მუშაობით დაიღლებოდა, სახარებას მოჰკიდებდა ხელს.

3

პაპუნას ერთხელ ძილი გაუკრთა. მამლებმაც იყივლეს, ის ისევ სახარებას კითხულობდა, წაიკითხა: „როგორც გსურთ, რომ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ისე მოექეცით იმათ“. ამ სიტყვებს ჩაუფიქრდა. კიდევ ქვეით: „რად მეძახით: უფალო, უფალო! და არ ასრულებთ, რასაც გიბრძანებთ? ის, ვინც ისმენს ჩემ სიტყვებს და ასრულებს იმათ, ჰგავს იმ კაცსა, რომელმაც ღრმად ამოიღო თხრილი და სახლის საძირკველი ამოჩენილ კლდეზედ დაამყარა; მოვარდა წყალი, მიაწვა სახლს, მაგრამ ვერ შეძრა. ის კი, ვისაც ესმის ჩემი სიტყვები, მაგრამ არ ასრულებს, ემსგავსება იმ კაცს, რომელმაც უსაძირკვლოდ ააშენა სახლი: მოვარდა ღვარი და დაანგრია“.

— ნეტა ჩემი სულიერი სახლი საძირკველით არის აშენებული, თუ უსაძირკვლოდ, — ფიქრობდა მოხუცი, — კარგი, თუ საძირკველზედა სდგას! ვგონებ ეხლა ისე ვცხოვრობ, როგორც უფალი ბრძანებს. მაგრამ რა! ისევ გავერთობი, დავივიწყებ ბრძანებას და შევსცოდავ... მაინც ვეცდები.

უნდოდა დაწოლილიყო, მაგრამ ვერ დასთმო წიგნი. ჩაიკითხა: „მდიდარს ეწვია უფალი და ის შესაფერად არ დაუხვდა, მეძავმა დედაკაცმა კი ნელსაცხებელი სცხო ფერხთა მისთა, ცრემლით დაალტო და მიიღო შენდობა. მიიხედა იესომ დედაკაცისაკენ და უთხრა ფარისეველს: ხედავ ამ დედაკაცს? შენს სახლში შემოვედი და შენ წყალი არ მომეცი ფერხთ დასაბანად, ამან კი ცრემლით დამბანა ფეხი და თავის თმით შემიმშრალა; შენ არ მეამბორე, ეს კი განუწყვეტლად ემთხვევა ფერხთა ჩემთა; შენ ზეთი არა მცხე თავზედ, ამან კი ძვირფასი ნელსაცხებელი მცხო ფეხზედ“.

პაპუნა გულში იმეორებდა: „წყალი არ მომეცი, არ მეამბორე, ზეთი არა მცხე“. ჩაფიქრდა. ეტყობა, — ფიქრობდა ის, — ის ფარისეველი მე მგვანებია. მეც ხომ მარტო ჩემს თავზედ ვფიქრობ: ოღონდ კი სასმელ-საჭმელი ვიშოვო, არ შემცივდეს, არა მეწყინოს რა და სხვის დარდი ვისა აქვს! ფარისეველსაც მარტო თავის თავი ახსოვდა, სტუმარზედ კი არა ზრუნავდა. მერმე ვინ იყო ის სტუმარი? — თვითონ უფალი! ნუთუ მეც ისე გულგრილად დავხვდებოდი იესოს, ჩემთან რომ მობრძანებულიყო? — არა! მე ფიანდაზად გავეშლებოდი იმას.

ამგვარ ფიქრებში იყო გართობილი პაპუნა და ჩასთვლიმა.

— პაპუნავ! — გაიშრიალა იმის ყურთან.

მოხუცი შეკრთა, დაიძახა: — ვინა ხარ? — მობრუნდა, შეხედა კარებს, მაგრამ ვერავინა ნახა, ძილმა ისევ თავი წაართო.

— ჰა, პაპუნავ! ხვალ გეწვევი, — შემოესმა ცხადად.

შეკრთა, მოიფშვნიტა თვალები, გადმოვიდა ტახტიდან, ვერ მიმხვდარიყო, მოლანდება იყო თუ ნამდვილად შემოესმა ხმა. გააქრო ჭრაქი, დაიძინა.

4

ადრე გაეღვიძა პაპუნას. წამოდგა, დაიბანა პირი, ახსენა ღმერთი, მიდგა ბუხარში ქოთნით ლობიო, დანაყრდა და ჩაუჯდა სამუშაოს.

მუშაობს, ხმა კი ისევ ყურებში უჟრიალებს. ხანა ჰგონია, მოელანდა ხმა, ხან დარწმუნებულია, ცხადლივ გაიგონა, მუშაობს, თან გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებს: უნებლიეთ ვიღაცას ელის. გაიარა ხირსელაანთ ზაქარამ. აგერ ყასაბი გიქო, აგერ ვახვახიშვილის მზარეული. პაპუნა ამათ ყველას კარგად იცნობს: იმისი მუშტრები არიან ესენი. ქუჩის თავში გამოჩნდა დათიაც. მოხუცს კოკა მოეკიდნა და მოდიოდა. დათიას სამადლოდ ინახავდა პეტრე დეკანოზი, ის მაინც ცდილობდა ხელი გაეძრა და მუქთი მჭამელი არ ყოფილიყო.

— დარდმა გამომაყრუა, დათია მოდის წყაროდან, მე კი მგონია ქრისტე მოდის ჩემთან, — წაიბუტბუტა პაპუნამ და ჟინიანად დაუწყო ტყავს მუშტათი სწორება. გულმა მაინც

ვერ გაუძლო, ისევ გაიხედა; დათიას კოკა დაედგა და ისვე-ნებდა.

— ჯანგატეხილია, სად შეუძლიან კოკების ზიდვა? მოდი არაყს დავალევინებ და გავათბობ, — იფიქრა პაპუნამ და შეიწვია ბერიკაცი.

— ქრისტემ გაკურთხოს, ხელები დამაძრა, — მიუგო დათიამ; მიაყუდა კოკა და შევიდა. უნდოდა კარებში თოვლიანი ჩუსტები დაებერტყნა, მაგრამ წაბარბაცდა.

— მე გაგიწმენდ ჩუსტებს, ჩვენი ხელობაა ეს, — უთხრა პაპუნამ და ვაუწმინდა ფეხსაცმელი, მიიწვია ბუხართან, დაუსხა არაყი და მიართო პური. პაპუნა მაინც მალ-მალ ქუჩისკენ იხედებოდა.

— ელი ვისმე, პაპუნი? — ჰკითხა სტუმარმა.

— ველი? არ ვიცი რა გითხრა, ლოდინით არავის ველი, მაგრამ წუხანდელი ხმა ვერ დამივიწყნია. სახარებას ვკითხულობდი; წავიკითხე ქრისტეს ამბავი. შენც ხომ გაგიგონია ეს?

— გაგონებით კი გამიგონია, მაგრამ რა! უცოდინრები ვართ, კითხვა არ ვიცი და წერა.

— იმაზედ ვკითხულობდი, როგორ სცხოვრობდა ქრისტე ქვეყანაზედ. ერთხელ ფარისეველს ეწვივა, ის კი შესაფერისად არ დაუხვდა. წავიკითხე ეს და ვთქვი: დახე! უფალი არ მიულია წესიერად! მე რომ მწვევოდა, თავსაც ვანაცვალებდი. ამ ფიქრებში ვიყავი და ჩამთვლემოდა. შემომესმა: ხვალ მოვალ შენთანაო! ეს ჩამრჩა გულში და ეხლა იესოს ველი.

— დიდება იმის სახელს! — სთქვა გაკვირვებულმა დათიამ.

— მიირთვი, — შეაპატიჟა მასპინძელმა და განაგრძო: — ქრისტე რომ ქვეყანაზედ დაბრძანდებოდა, არავისთან არ უკადრისობდა; მდაბიო ხალხი უფრო ებრალებოდა, იმასთან უფრო ჰქონდა ერთობა; მოციქულებიც ჩვენისთანებისაგან აირჩია.

დათიას პაპუნას სიტყვები მალამოსავით ჰხვდებოდა გულზედ; შესცქეროდა პირში და ცრემლები ჩამოსდიოდა. გულჩვილი იყო დათია.

— მადლობელი ვარ, ჩემო პაპუნი, პური ხომ ვჭამე და გავთბი და შენმა ლაპარაკმა სულიც დამიტკბო, — მიუგო დათიამ და გამოეთხოვა.

წავიდა დათია. პაპუნა ჩაუჯდა საქმეს. მუშაობს, თან ისევ ქრისტეს ელის.

გაიარა ზურაბ მოურავმა. უკან გლეხი მისდევდა. პირველს მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, მეორეს ქალამნები. გაიარა სირაჯმა მელქომ ჭვინტიანი წაღებით. აგერ მენახშირეც თავის ჯორებით; თოქმაჩი დარჩო ევაჭრება იმას. დუქანს დაუპირდაპირდა ძონძებში გახვეული ვიღაცა დედაკაცი. ერთი ბავშვი ხელში ჰყვანდა, მეორე უკან მოსდევდა. დედაკაცი შედგა დუქანთან ყუდროში და დაუწყო ბავშვს ძონძებში ხვევნა. ყმაწვილი ტიროდა, ძუძუს აღარ იდებდა.

— რასა დგეხარ მაგ სიცივეში? შემოეფარე, გაათბე და დააჩუმე ეგ ბავშვი, — დაუძახა მოხუცმა დედაკაცს.

დედაკაცი შეკრთა, მაგრამ, როცა ნახა, იმას იწვევდა მოხუცი, მოითხოვა ბოდიში და შევიდა.

— ბუხართან დაჯექი, გათბი, ძუძუ მიეცი.

— ეჰ, მამავ, დარდით რძეც კი გამიშრა, — მიუგო დედაკაცმა და მაინც ჩაუდო ყმაწვილს ძუძუ.

დედაკაცს სახეზედ სიმწარე აღბეჭდოდა. მორღვეულ თვალებში ხან შიში, ხან სევდა, ხან სიმკაცრე ეხატებოდა.

პაპუნამ ამოიღო პური, დაასხა შეჭამადი და მიართო დედაკაცს.

— მიირთვი, შვილო!

დედაკაცი ბოდიშობდა, მადლობას ეუბნებოდა. მეორე ყმაწვილი კი მაშინვე გულმოდგინედ შეუდგა თავის საქმეს.

დედაკაცმა სული რომ მოითქვა, მოჰყვა ამბავს:

— უღელაანთ სესიკას ქვრივი გახლავარ. შარშან კაცი ლეკებმა მომიკლეს. დამრჩა ეს ობლები. დავრჩი საცოდავად. ბატონის მოურავმა, ჩემი ცოდვით სავსემ, ჯერ ოჯახი დამინიავა: შენ ქმარს ეს ემართა, ის ემართაო; ახლა გუშინ მოვიდა და მითხრა: ბატონი შენს ბახჩას და საბძელ-კალოს ტეტიას აძლევსო. შენ მაინც რაღად გინდა ესენიო. რათა, შენი ჭირიმე? ქვეყანაა და სამართალი! ამათმა მამამ მტერს შეაკლა თავი, სჯულისთვის სისხლი დაღვარა და განა იმის ობლებს თავიანთი ბინა უნდა წაართონ?! წავედი, შევეხვეწე ქალბატონს, ბატონიც ვინახულე, მაგრამ აღარც იმ უკაცურებმა გა-

მიკითხეს: მოურავის სიტყვა ბეჭედია იმათთვის და ის უღმერთო კი სისხლს მიშრობს.

პაპუნამ ამოიღო შალი, მისცა.

— აჰა, შვილო, ყმაწვილს მაინც მოათბობს.

დედაკაცს ცრემლები მოერია.

— ღვთისმშობელმა დედამ დაგლოცოს, მამავ; ეტყობა განგებამ მომიყვანა შენს კარებზედ, — ეუბნებოდა ის პაპუნას.

— იქნებ ეგრეც იყოს, — მიუგო პაპუნამ.

დედაკაცმა გამოიხვია ბავშვი შალში, მოჰკიდა მეორეს ხელი და წავიდა.

6

დაღამდა. ხარაზმა დაკეტა დუქანი, აანთო ჭრაქი და ისევ მუშაობა დაიწყო: საჩქარო საქმე იყო. გაათავა, წაღები გადაატრიალ-გადმოატრიალა, შეხედა გამოცდილის თვალით და მოეწონა. მიალაგა იარაღი, გაიტანა ჭრაქი ოთახში და დაუწყო სახარებას კითხვა. იწყო მთქნარება; თვალები ებლიტებოდა. უეცრად ფეხის ხმა შემოესმა: ზურგთ უკან თითქო ვიღაცა იძროდა. მიიხედა, ბნელ კუთხეში მართლა ვიღაცები იდგნენ ჩრდილებივით. შეკრთა.

— პაპუნავ! ვეღარ მიცანი? — მოესმა ხმა.

— ვინა ხარ!

— მე ვარ, მე! — მოისმა ხმა და გამოერჩია ჩრდილებიდგან დათია. გაუღიმა პაპუნას, მერმე ნელ-ნელა მიეფარა და გაქრა ნისლივით.

— ვერც მე მიცანი,—შემოესმა კიდევ და ბნელი კუთხიდაწ წამოდგა წინ დედაკაცი ყმაწვილებით. დედაკაცმა გაუღიმა მოხუცს, ბავშვებმა შესცინეს იმას და გაქრნენ.

პაპუნამ სიხარული იგრძნო, ნათელი მოეფინა იმის გულს, წამოდგა, მოიფშვნიტა თვალები; ოთახში აღარავინ არა სჩანდა. გადაშალა სახარება საცა მოჰხვდა და წაიკითხა: „რამეთუ მშიოდა და მაჭამეთ მე, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეული ვიყავ და მომხედეთ მე“.

ახლა კი მიჰხვდა პაპუნა, რომ არ მოატყუა ის ზეგარდმო ხმამ, რომ თვითონ მაცხოვარი ესტუმრა იმას შეჭირვებულების სახით.

[1888 წ.]

ქოჩორა ხე

1

სოფელი ბლაგვიანი მდებარეობს თბილისიდან ასიოდ ეჯის მანძილზე. მოზრდილი ღელე, როცა მთას უახლოვდება, ფართოვდება, იშლება და მთის კალთის რამდენსამე ნაღარს უერთდება; მთის კალთა რომ თავდება და ღელე იწყება, იქ არის ბლაგვიანი.

სოფელს შუაზედ ნაკადი ჩამოუდის. ეს ნაკადი ვენახებსა რწყავს გაღმა-გამოღმა გატანილი რუებით, თითონ ხევში კი ზაფხულობით ძლივს მოწანწკარებს და მისი დახავსებული გუბეები კამეჩების საყრელადღა ვარგანან. ბლაგვიანელები სასმელად წყაროს წყალსა ხმარობენ: კლდის ძირში, სოფლის თავში, რამდენსამე ადგილას გადმოდის წყალი. სოფლის უკან შვინდიან-თხილიანი ტყე იწყება, რომელიც ზევით-ზევით აყრილ ტყეს უერთდება. სოფლის წინ სახნავებია გადაჭიმული. მოსავლიანი ადგილია, მეტადრე თუ ნოტიო გაზაფხული დაუდგა. იქაური სიმდიდრე ხორბალია. თავთუხს სთესენ, შავფხა გვაროვს.

ბლაგვიანში, ხევის პირას, განმარტოებით იდგა მიწური სახლი; მარტო დერეფანიღა ამოჰგლოდა მიწას და ყელი შეეღერებინა. სახლის წინ, მარჯვნივ, ბაღჩა გაეშენებინათ, მარცხნივ კალო-საბძელი იყო გამართული, წინ ბაკი; შუაზე პატარა ეზოღა დარჩენილიყო. მთელი მიდამო სუფთად იყო შენახული. ყველაფერს გამრჯელი პატრონის ხელი ეტყობოდა.

შუა დღე იყო მოტანებული. ცხელოდა. სახლის პატრონები ჭერს შეჰფარებოდნენ. ქათმებსაც კი ჩრდილი მოეძებნათ და ფიჩხების ქვეშ მიწაში ბუდარაობდნენ. ოთახში დიდ ტახტზე შავებით მოსილი ქალი იჯდა და ახალუხსა ჰკერავდა. იმის გამხდარ სახეს ნაღველი დასჩენოდა. ხანდახან აიღებდა თავს და მოხუცს შეხედავდა, რომელიც მეორე ტახტზე იჯდა

იმის პირდაპირ. დიდრონი შავი თვალები აზრიანად და ლმობიერად იყურებოდნენ.

მოხუცი პატარა ტახტზე იჯდა ბუხართან. გრძელი, მუქი ახალუხის ზევითი ღილები გახსნილი ჰქონდა, შალის განიერი შალვარი პაჭიჭებში ჩაეტანა და ჩახსაკრავის ფოჩები გადმოეფინა. ერთი ფეხი მოერთხო, მეორე წინ გაეშოტნა. წინდებით იჯდა, ქოშები ტახტის წინ ეწყო. მოხუცი ერთხანს ჩაფიქრებული იყო. ჯიღა წარბები წინ წამოსჯროდნენ. გიშრის კრიალოსანს მარცვლავდა, ნელ-ნელა ათამაშებდა. ბოლოს შეხედა მომუშავე ქალს და გაეხმაურა:

— კიკოს ახალუხსა ჰკერავ, ჩემო რძალო?

— დიაღ, ბატონო!

— შეკერე, მოამზადე ყმაწვილი, აგერ მარიამობისთვე იწურება და დრო არის წავიყვანო ქალაქში. ჰაი და ჰაი! რა შეუძლიან დროს? თითქო გუშინ იყოვო, შენს მეუღლეს, ჩემს საცოდავ დავითს რომ ვამზადებდი სასწავლებელში წასაყვანად. „ათასი წელი წინაშე შენსა, უფალო, ვითარცა დღე ერთი...“ რამდენი იტირა მაშინ კურთხეულმა შენმა დედამთილმა!.. რა უეცრად გაქრა, შვილო, ჩვენი ნათელი; რა გამოუტყვრა ისე მოულოდნელად საღსალამათ კაცს?!

მოხუცმა ამოიოხრა და თავი ჩაჰკიდა. ქალმა უფრო ძირს დახარა თავი და ცრემლი გადმოადგა წამწამზე.

— დარდს ნუ გადაჰყვები, შვილო, — განაგრძო მოხუცმა და თან ბურნუთის კოლოფი გახსნა, — ჩვენი პატარა კიკო დაგვიტოვა იმან თავის სანაცვლოდ; მალხაზი, გონებამახვილი და აზრიანი ბავშვია, გულკეთილიც არის; სწორედ თავის მამაა. სწავლა არ გაუჭირდება, იქაც თავს შეაყვარებს ყველას. გაივლის დრო, დაამთავრებს სწავლას და სიხარულით შეგიცვლის სიმძიმილის ცრემლებს. მე ხომ მარტო ეგ ბავშვიღა მაკავშირებს ამ ცოდვილ ქვეყანასთან.

— ბატონო, ამბობენ, ძალიან ძნელია იქ სწავლა, მასწავლებლები უდიერად ეპყრობიან ყმაწვილებსაო? — შეეკითხა რძალი.

— ჰო, სწავლის ძირი მწარეა, მაგრამ ფიქრი არ არის ამ ყმაწვილისა: „კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავს“. ხომ იცი, რა ეადვილება სწავლა, რა გამჭრიახი გონებისაა! ადვილად შეითვისებს ყველაფერს, ბეჩავი მაგის მამაც ეგეთი იყო, ოღონდ

ერთი ყური მოეკრა, ერთი ჩაეგონებინათ რამე, თორემ შეუთვისებელ-გაუგებარი არა დარჩებოდა რა. აკი სახელოვანი კაციც დადგა.

— ამბობენ, ბატონო, ქალაქელები დამშეულებივით არიან, სულ გამორჩენაზე დგანან, ყველას ხელში შესცქერიანო; მეშინიან, ყმაწვილი არ მომიმშივ-შემიციონ.

— ჰო, ქალაქში სიღარიბეს უფრო მეტი სიმკაცრე ეტყობა, ნაკლებულობა იქ უფრო უტეხს კაცს გულსა და თვალს, იქნება იმისთვის, რომ იქ უფრო დიდი მზღვარი სძევს მდიდრებსა და ღარიბებს შუა და თანაც იქ უფრო ბევრია თვალგულის მომტაცი ფულით საშოვნელი რამ. ქალაქელები უფრო გულქვავები არიან, მართალია ეს; იქ ყველას თითქო მარტო თავის თავი ახსოვს; შეიძლება, ერთ შენობაში სცხოვრობდეს რამდენიმე სახლობა, ერთმანეთისა კი არა იცოდნენ რა. მაგრამ მაგისი ნუ გეფიქრება, შვილო; აი მე ხომ ცხრა თუმანი დამინიშნეს ჩემი ნამსახურობისათვის ულუფად, სულ მაგას მოვახმაროთ, კარგ ადგილას დავაბინაოთ, ჩვენ კი როგორმე გადვივლით, იოლას წავალთ, ღმერთია მოწყალე.

ქალს გულმა გაუღიმა და მადლობის თვალით შეხედა მადლიანს მოხუცს.

2

ამ ლაპარაკში იყვნენ რძალ-მამამთილი, რომ ეზოში მოისმა ბრაგიბრუგი და ოთახში შეიჭრა გაჭარხლებული პატარა; ერთ ხელში ლიტრა ეჭირა, მეორეში ყვავილების კონა, ფეხდაფეხ ხტომით ლეგა ძაღლი შეჰყვა.

— აი, პაპავ, ცივი წყალი, — უთხრა და ლიტრი მიართვა მოხუცებულს. მერე მიუბრუნდა დედას და თაიგული მიართვა:

— დედილო, ნახე, რა ლამაზი ყვავილები დავკრიფე წყაროს თავზე!

დედამ სიყვარულით შეხედა ბავშვს, მაღალი შუბლიდან დასველებული თმა გადუწია და აკოცა.

— მერე რა მოგარბენინებდა, ბიჭო?! ცხენს გადაუნაცვლე? — შეეკითხა პაპა.

— მერანა კარგ ბალახზე დავაბი, ხევგალმა რომ ნათიბია, იქ. ალაბეშა მორბოდა და მეც მოვდევდი.

ალაბეშა არა შორდებოდა პატრონს, თვალებში შესცქეროდა და იმასთან ერთად ხან მოხუცთან მირბოდა, ხან ქალთან.

— მაშ, ახლა ქალაქშიაც წაიყვან, ბიჭო, მაგ შენს ალაბეშას, — უთხრა მოხუცმა. — აბა, შვილო, მოიტანე შენი წიგნები, გადავათვალიეროთ, რაც გისწავლია. სკოლაში მასწავლებელთან არ შერცხვე, იტყვიან, ეს როგორი შეგნებული ოჯახის შვილია, არა იცის რაო.

ქალაქის ხსენებაზედ ყმაწვილს დარდმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ მალე გამხნევდა, მამაცად მივიდა ხატის წინ რომ თახჩა იყო და წიგნები გადმოალაგა: ვაჟკაცი იყო, ჯავრს ვერ შეიმცნევდა, გადაშალა დავითნი და დაიწყო: „უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველნი...“ — და ჩაათავა ბოლომდის.

— დიაღ რომ უფლისაა ყოველი, იმის შექმნილია ხილული და უხილავი! — განმარტა მოხუცმა და ჰკითხა:

— რა არის ქვეყანა?

— ქვეყანა ჰქვიან ყველაფერს, რაც კი შექმნილია ღვთისაგან, ხილული და უხილავი.

— ის რა ქვეყანაა, უხილავი რომ არის?

— ანგელოზების სავანეა. ზეცის ძალთა გუნდები სცხოვრობენ იქ: საყდარნი, სერაბინნი და ქერაბინნი, უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.

— რამდენ დღეს შეჰქმნა ღმერთმა ქვეყანა?

— ექვსს! — და სულ თითებზე ჩამოუთვალა, რომელ დღეს რა გაეკეთებინა ღმერთს; თან თავმომწონედ გადახედა დედას, — აი არც ერთი არ შემეშალა, რაც დილას შენ მომაგონეო.

— პირველ კაცს რა ერქვა?

— ადამი! იმისგან წარმომდგარა ხალხი დედამიწისა ზურგზე და ის ყველას მამათმთავარია.

— კიდევ ვინ იყვნენ მამათმთავრები?

— აბრამი, ისაკი, იაკობი და კიდევ ქართლოსი, ჩვენი მამათმთავარი.

— მეფეები?

— დავით, სოლომონ, ალექსანდრე მაკედონელი, მირიანი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ირაკლი.

— რითი ისახელეს თავი?

— დავით მეფემ დავითნი დასწერა, სოლომონი ბრძენი იყო, ალექსანდრე მაკედონელი დიდი მეომარი იყო, მირიანი ჩვენი მეფე იყო, ქრისტიანობა იმან მიგვაღებინა.

— ის რომელი მეფე იყო, რომ საქართველო ინდოეთშიაც კი ასახელა?

— ვახტანგ გორგასლანი იყო! იმან თითონ მოკლა ინდოეთის მეფე; ბაღათარ გმირიც იმან მოკლა და წყალს მისცა:

ბაღათარ წყალსა მიეცა,
აღიხოცა ოსთა ჯარი...

— აბა, თამარის ლექსი სთქვი,

თამარს გაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლდათხეული,
ცსთქვენით ქებანი...

— სადა სწერია ეგ?

— „ვეფხისტყაოსანში“, შოთა რუსთაველის წიგნში. აი კიდევ სხვა ლექსი:

უბისს ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე...

— ერეკლეზე რაღა იცი?

— გმირთაგმირი იყო და მაშა ქართველებისა. აი, იმაზე ლექსი:

აღზდექ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმაწია...

და როცა ყმაწვილმა სთქვა: „აწღა გამოვცწოთ, მოძმენო, ვინც ღა იქმს ერეკლობასაო“, მოხუცმა სთქვა, აკი ვერავინ შესძლო ერეკლეობაო.

— მოციქულები?

— ანდრია, პეტრე, იოანე, ნინო ქართველთ განმაწათლებელი.

— წმიწდა ნინოს რადა ჰქვიან ქართველთ განმაწათლებელი?

— იმიტომა ჰქვიან, რომ მირიან მეფესა და ქართველებს თურმე იმან მიაღებინა ქრისტიანობა. უწინ ჩვენ წარმართები ვყოფილვართ და კერპები გვყოლია — არმაზი, გაცი და გაიმი.

— როდის მოხდა ეგ ამბავი?

— მეოთხე საუკუნეში.

— ეხლა რომელი წელიწადია ქრისტეს აქეთ? დამიწერე!

— ათას რვაას სამოცდახუთი — ჩყჯე.

— ასოებით კიდევ რასა ვანგარიშობთ?

— ფულს!

— ეს რა ფულია?

— ორაბაზიანი უ ზის.

— მანეთში რამდენი აბაზია?

— ხუთი!

— უზალთუნი?

— ათი!

— ათჯერ ათი რამდენია?

— ასი!

— ასის მეოთხედი?

— ოც და ხუთი!

— მთვარის ანგარიში გახსოვს?

— დიაღ, ბატონო! იანვარში ესე უნდა დავთვალოთ: იანვარი, იანვარი, იანვარი, ნიადაგი და თავისთავი; ზედნადებიც უნდა მივათვალოთ, თვის რიცხვიც. თუ ოცდაათზე ნაკლები გამოვიდა, მთვარე იმდენი დღისა იქნება, თუ მეტი, მაშინ ოც დაათი უნდა გამოვაკლოთ და რაც დარჩება, იმდენისა იქნება მთვარე. სხვა თვეებში იანვარი ერთხელ იხსენება, ესე: იანვარი, თებერვალი, მარტი...

— კარგი, აბა, მიჩვენე, რა გადასწერე.

ყმაწვილმა ამოიღო რვეული და „გვირგვინი“. ამ წიგნში რომ თხრობაა, „თავის თავის განმსყიდველისა და მოწყალებად მიმცემლისათვის“, ის თხრობა გადაეწერა.

მოხუცმა შეიბა სათვალეები და ჩაათვალიერა რვეული.

— ბარაქალა! მიგიმზგავსებია; ბოლოს კი ცოტა აჩქარებულხარ. ზღაპარი? ზღაპარი დაისწავლე რამე დღეს?

— დიაღ, ბატონო, დედამ ჯომარდისა და ნამარდის ზღაპარი მიამბო.

— კარგი, შვილო, ზღაპარი და გამოცანები ამაღამ შენც

რი; საგალობელიც მაშინა ვთქვათ, — უთხრა მოხუცმა და ჯვარი გადასახა.

ყმაწვილმა ხელზე აკოცა პაპას, ჩაალაგა წიგნები, შემოტრიალდა ჭუსლზე და კარს ეცა. ალაბეშა რომ აქამდინ დინჯად იწვა კარის ბჭეში და გულმოდგინედ ყურს უგდებდა წვრთნას, ეხლა წამოვარდა, ხტომით გაჰყვა ცელქს: იცოდა, რა კარგი იყო შრომის შემდეგ ხალისი.

— ნიჭიერია, ღმერთმა აკურთხოს; ეს ყმაწვილი გვასახელებს; მაინც ჩვენ გვარს სწავლა ეხერხება, — სთქვა მოხუცმა დაფიქრებით.

დედას სიამოვნების ღიმილი უქროდა სახეზე.

— სადილობის დრო ჯერ არ არის, ჩემო რძალო?

— გახლავსთ, ბატონო! — მიუგო ქალმა და გადადო საკერავი ნაალზე.

8

მზე გადახრილი იყო, როცა კიკო და პაპა ტფილისში შევიდნენ. მერანაზე ისხდნენ, კიკო უკან იჯდა, უხერხულად კი გრძნობდა თავს, რადგან გატენილი ხურჯინი მუხლებზე ეხეხებოდა.

პაპას სუფთა ანაფორა ჩაეცვა, წოწოლა ბუხრის ქუდი ცოტა უკან გადაეწივნა, შუბლი გამოეჩინა, განუშორებელი ქოშების მაგიერად წაღები ეცვა. წითელტარა შვიდ ტოტიანი მათრახი ეჭირა ხელში.

დიდ საბაჟოს რომ დაუახლოვდნენ, კიკოს ცხვირში საზარელი სუნი ეცა: ჩამჟავებული პურისა, ჩამპალი კომბოსტოსი, წაღებისა, ლოხიანი მაზარებისა და კიდევ სხვა განსაკუთრებული ბუღისაგან შეზავებულმა სიმყრალემ ცუდად აუჩუჩუნა სუფთა ჰაერს ნაჩვევი ნესტოები. გაიხედა და ერთ გრძელ სახლში ჭიანჭველასავით ირეოდნენ ჯარისკაცები, შედი-გადიოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ილანძღ-იღრიჭებოდნენ. ის საძაგელი ბუღი იმათი სადგომის კარ-ფანჯარიდან გამოსჩქროდა, არ უამა პატარას.

შეითანბაზარში და მოედანზე რომ ხალხი აირია, ყმაწვილი შეკრთა; ფეხებს მაგრა უჭერდა ცხენს, პაპასკენ იწევდა წინ; იმისთვის პაპას ზურგიღა იყო ერთადერთი საიმედო ნავი ამ ხალხის ზღვაში.

მეჩუსტეების ქუჩაში უფრო სიწყნარე ჩამოვარდა და ყმაწვილმა თვალიერება დაიწყო; გაუკვირდა: ეს რამდენი ქოშჩუსტი შეუკერიათ, რამოდენა ფეხშიშველა ხალხს შემოსავსო!..

სიონის ქუჩაში ეტლები, ურმები, ცხენები, ქვეითი ხალხი ერთმანეთში დომხალივით არეულიყო, გზას არ იძლეოდნენ; ძლივს გაახწიეს. გავიდნენ მიყრუებულ ქუჩებში. ერთ მაღალ ფანჯარაზე ტანგაკრეჭილი თავბანჯგვლიანი ფინია გადმომდგარიყო, იყეფებოდა. კიკოს გაეღიმა: ჩემ ალაბეშას ეს წუწკი ლუკმადაც ხომ არ ეყოფაო.

მანამ ხალხით სავსე ქუჩებზე მოდიოდნენ, პაპა ჩუმად იყო, მარტო იმასა ცდილობდა მარჯვედ გაეარნა, რომ მერანას არავინ შეჰხლიყო, ან არავის დასჯახებიყო ის: ფიცხი ცხენი იყო, ქალაქს შეუჩვევარი და ეშინოდა. ხალვათ ადგილებში რომ გავიდნენ, მერე კი ქუჩებს დაუწყო მოხუცმა თვალიერება და სულ ჰკვირობდა, ეს ჩვენი ქალაქი რა სწრაფად იზრდებაა და მშვენიერდებაო, ყველა მილეთის ხალხი აქეთ იწევსო.

მივიდნენ. ჩამოხდნენ. სახლიდან ვიღაც ბანჯგვლიანი შავი კაცი გამოვიდა მოკლე, ძალიან მოკლე ტანისამოსში, მოიკითხა მგზავრები და ხურჯინი დაითრია.

ცხენი რომ დააბინავეს და დაბრუნდნენ, პაპა სხვაგან წავიდა, პატარა კი შინ დასტოვა. კიკომ მიიხედ-მოიხედა, დაათვალიერა თავისი ახალი ბინა: ოთახის ორივე ფანჯარას სხვა-სახლის ყრუ კედელი აჰფარებოდა, კარი და მესამე ფანჯარა პაწაწინა მურდალ ეზოს გადასცქეროდნენ, ეზო კი არა, რაღაც ხარო იყო, ნესტიანი კედლებით შემოზღუდული. შეივწროვდა ბავშვი, მარტოობა და ტყვეობა იგრძნო, გული დაეხშო, თვალს ცრემლი მოედინა, ატირდა. ის ბითუმი კედელი, რომელიც ფანჯრებს ვაგლახად აჰყუდებოდა წინ, თითქო პატარის ცხოვრების გზას გადაჰღობებოდა და ბედი დაეხშო მისთვის.

4

მეორე დღეს ადრე ადგნენ პაპა და კიკო, სუფთად გამოეწყვნენ, ახსენეს ღმერთი, წავიდნენ სასწავლებელში. დარბაზი სავსე იყო ყმაწვილებით, გძელ მერხზედ ჩამომწკრივე-

ბულიყვნენ. ჩამოჯდა კიკოც, მაგრამ სკამსა და იმაზე მიკრულ საწიგნეს შუა იმოდენა მანძილი იყო, ყმაწვილი წიგნს ვერა სწვდებოდა; თანაც საწიგნე მაღალი გამოდგა, თითქმის მთლად დაფარა პატარა. გაუკვირდა: ეს რა ჯურის ავეჯი სცოდნიათო. დარბაზის კედელთან დიდი მაგიდა იდგა წითელ მაუდ-გადაფარებული, ზედ ეწყო საწერ-კალამი, წიგნები, ფანქრები, შიშმა, ხანზალაკი.

— ნეტა ეს ხანზალაკი რაღად უნდათ? — გაიფიქრა კიკომ.

მაგიდასთან სავარძელში ცმუკავდა წამოჭარხლებული ქერა კაცი, თმა აბურძგნოდა, გატყაპნილ განიერ სახეზე პაჭუა წითელი ცხვირი მოუსვენრად იძროდ-იფხლიკებოდა, ად-ჩადიოდა; თეთრი თვალები შფოთავდნენ, დაუცხრომლად გადარბოდნენ, ვერ წყნარდებოდნენ. ხელში ლორნიონს ათამაშებდა, ოქროს ძაფით ყელზე ჩამოგდებულს, მალ-მალ ცხვირთან მიჰქონდა, მაგრამ ღილივით ამომჯდარი ცხვირი მას ვერ მშვნეობდა. ყელწაკვერცხილ წალამაზებულ წუღებიდან აბრეშუმის ჭრელი წინდები მოუჩანდა; ფეხს ანძრევდა, წუღას ატოკებ-აჭრიალებდა.

მარჯვნივ შავგვრემანი მღვდელი ეჯდა სუფთად ჩაცმული. როცა უფროსს ეუბნებოდა რასმე, ყურში ჩასჩურჩულებდა, თან ფაქიზ ხელს პირზე იფარებდა.

— ნეტა ეს მღვდელი რა საიდუმლოებას ელაპარაკება ამ კაცსაო, — გაიფიქრა კიკომ.

მარცხნივ ეჯდა წვერშეკვერცხილი კოპწია ახალგაზრდა, კოხტად ჩაცმული. ხშირი თმა ეყარა, მარჯვედ აკრეჭილ-ალამაზებული. ღიმილში ტუჩების ქიმები მაღლა ეწეოდა, ალმასივით კბილები უჩნდებოდა: ღიმილი ღრინვას უგვანდა. ეს კაცი მოეწონებოდა პატარას, რომ იმისი თვალების სისასტიკეს არ დაეფრთხო ის.

ყმაწვილებს თავს დასტრიალებდა მშვენიერი ხუჭუჭი გძელი თმით შემკული ახოვანი ვაჟკაცი. შენიშვნებს რომ აძლევდა, ლომივითა გრგვინავდა; დიდრონ თვალებს რომ გადმოუტრიალებდა, გეგონებოდათ, ჩანთქმა ჰსურს პატარებისაო. ეს ჩვენი ამზდელიაო, წასჩურჩულეს კიკოს, ეგრე საშიში ჩანს, თორემ კეთილია, ჯავრის ჩაყოლა არ იცის, ადვილად არავის დაღუპავსო.

გაიწკრიალა ზანზალაკმა, დაიწყო გამოცდა. კიკოს უნებლიეთ გული აუფანცქალდა; მიიხედა კარებისკენ, უნდოდა პაპა დაენახა, მაგრამ დარბაზში აღარც ის იყო, აღარც სხვა გარეშე ხალხი: უცხოები სულ დაეთხოვნათ.

— ნიკოლაი კანცაროვ! — ამოიკითხა უფროსმა.

კიკომ მიიხედ-მოიხედა, ნეტა ვის ეძახიანო.

— ნიკოლაი კანცაროვ! — მოისმა გაჯავრებით.

— მე ყანწარაშვილი გახლავარ, ბატონო, კიკო ყანწარაშვილი, — მიუგო ყმაწვილმა.

მასწავლებელმა ისე გაიღიმა, თითქო ღრინავსო. მღვდელმა ხელი აიფარა და რაღაცა წასჩურჩულა უფროსს. უფროსი აინთო. შესძახა:

— დახე! სახელი და გვარიც არ იციან! ოჯახებიდან კი არა, ტყიდან არიან გამოსულები...

გამოიყკანეს. პაჭუამ ახედ-დახედა ყმაწვილს და შეუტია, წამოხტა, ჩოხის კალთას ხელი წაატანა, ახალუხს თითი წაჰკრა. ყმაწვილი შეკრთა და კალთებზედ დაიხედა, ცუდად ხომ არა მაქვს რაო, მაგრამ რუხი სკლატის ჩოხა, ჩოხასთან შეხამებული შალვარი და ახალუხი, კოხტა მესტები, ბუზმენტის ქამარი, ყველაფერი რიგზე და ლაზათიანი იყო; ეს იყო, ხანჯალი აღარ ამშვენებდა ტალავარს, პაპამ დღლას შემოახსნევინა, მოსწავლეს არ შეშვენისო. უფროსი კი უფრო ბრაზდებოდა და სხვა ყმაწვილზე უთითებდა, რომელსაც თეთრი ტილოს ხალათი ეცვა.

— ჩოხა-ახალუხში რომ გამოწყობილხარ და ბუზმენტის ქამარი შემოგირტყამს, იმაზედ გიჯავრდება, იმ ყმაწვილივით უნდა ჩაიცვა, — გადაუთარგმნა აღმზრდელმა.

გაუკვირდა პატარას: ამ ბიჭს ეს რა ტოპრაკი აცვია, ან რა მოსაწონია, ან გასაჯავრებელი აქ რა არისო.

ბოლოს წიგნი მიაჩეჩეს ხელში და თითი დაუდეს ერთ ალაგზე, წაიკითხეო. კიკოს გაუხარდა, ეხლა კი გამოვიჩენ ჩემს სწავლა-ცოდნასაო, მაგრამ იმის საუბედუროდ, წიგნი ქართული არ გამოდგა, უცხო ენაზე იყო დაწერილი. გაჩერდა. სახეზე სასოწარკვეთილება აღებეჭდა.

— არ იცის! ასოც არ იცის!! ჩამოჰყავთ ველება ვაჟკაცები, არაფერი კი არა იციან რა! ნამდვილი ნადირები არიან... — ბობორაქობდა უფროსი, — ჩასწერეთ დაბალ მოსამზადებელ კლასში! — უბრძანა მღვდელს.

— პატარავ! შენ არაფერი არა გცოდნია რა და სულ დაბალ კლასში მიგიღეს, — უთხრა მღვდელმა.

კიკოს ეწყინა, როცა უთხრეს, არა გცოდნია რაო, ვიციო, მიუგო და ჩამოუთვალა, რაც იცოდა. მღვდელმა პირზე ხელი აიფარა და ჩასჩურჩულა პაჭუას.

— დახე მაგას! — შესძახა იმან და ალმური აუვიდა. — ვიციო! რა იცი? არაფერი არა იცი რა... ის უნდა იცოდე, რასაც გთხოვენ! ვისთანა ჰბედავ ლაპარაკს? ხმა-მეთქი!..

— შენი შეგირდი იქნება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე მაგას! — უბრძანა მასწავლებელს.

— მაგაზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო! — მიუგო იმან და გაუღიმ-გაუღრინა.

5

ის იყო ირიჟრაჟა, კიკომ რომ გამოიღვიძა და შეიშმუშნა. ჩათბუნებულს ლოგინიდან ადგომა ეძნელებოდა. ციოდა. ჰყინავდა. სიცივეს თავი ეპოვნა და თავისუფლად ეცელქნა ოთახში. შუშებზე შტოები გამოეყვანა. მრავალი ფოთოლი მოეჭარგნა. ან კი რა დაუშლიდა? მე ვიცი, ანთებული ბუხარი შეაკრთობდა!

ეძნელებოდა კიკოს ადგომა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, მანამ ჩაიცვამდა და სასწავლებელში მივიდოდა, გაკვეთილები კიდეც დაიწყებოდნენ. გვიან მისვლისათვის კი ისეც, ვინ იცის რამდენჯერ დაუსჯია ოსტატს. მაინცდამაინც რა ენაღვლებოდა ოსტატს, თუ სახლის პატრონი სარფის გულისათვის განაპირას დაბინავდებოდა და ყმაწვილი ვეღარ მოასწრობდა სასწავლებელში დროზედ მისვლას? რა იმისი საქმე იყო ეს?

ადგა, მოემზადა, პური მოიტეხა. წიგნებს რომ აწყობდა აბგაში, უნდოდა გაკვეთილები გადაეთვალიერებინა, მაგრამ აღარ გადაშალა: გუშინ ისეც ბევრი, ძალიან ბევრი იკითხა, თუმცა მაინც ვერა შეიგნო რა, ვერა დაისწავლა რა. რომ არ იცოდა რასა კითხულობდა, რომ არ ესმოდა წაკითხული, როგორ დაისწავლიდა?!

გზაზე სიცივემ ძალა უყო ყმაწვილს, ფეხი ააჩქარებინა, კუკიის ხიდზე ქარმა სასტიკად დაუბერა, სახე-ყურები დაუშხიპა, გაამწვავა, მაგრამ კიკო მაინც შედგა ცოტა ხანს და გა-

ხედა კრწანისის კლდეს. ხრიოკ მთის წვერზე რომ ქოჩორა ხე იდგა, ის ქოჩორა ხე მოჩანდა ხიდიდან და იმის დანახვა მოსწყურდა პატარას. იმ ხესთან გადადიოდა ბლაგვიანისაკენ მიმავალი გზა. სოფლიდან მომავალი იმ ხეს რომ მოახწევდა, მთელი ქალაქი ხელისგულივით გადაეშლებოდა წინ, მაგრამ რამდენიმე ხაბიჯი რომ გადაგედგათ უკან, ქალაქი მიეფარებოდა, წინ სოფლები და სოფლის გზა გადიჭიმებოდა. ბევრჯელ გასჭირებია ყოფა, ბევრჯელ დასჩაგვრ-ასტირებია გული. თავის ყუთში იმ ქოჩორა ხის რტოც კი ჰქონდა შენახული და ხანდისხან დახედავდა, როგორც რამ საიმედო საუნჯეს...

გაიხედეთ, ერთი გაიხედეთ, ნეტა იქვე დგა გამარტოვებით, ობლად და თან შეუპოვრად ის ქოჩორა ხე, თუ დრომ იმასაც მოუსპო ყოფა!..

კლასში რომ შევიდა კიკო, უფროსმა შეგირდმა, რომელსაც ის ებარა, გაკვეთილები გაუგონა, მაგრამ ყმაწვილმა ვერც წაიკითხა რა, ვერც საანგარიშო გამოთვალა. დასწერეს, კანცაროვმა გაკვეთილები არ იცისო.

გაისმა ზარის ხმა, ყმაწვილები დასხდნენ თავიანთ ადგილას; კიკო და ათიოდე სხვა ბიჭი კი კედელთან ჩამომწკრივდნენ დაჩოქებულები. ყმაწვილმა გადაავლო თვალი დაჩოქილებს — ყველანი იქ იყვნენ, ვინც თითქმის ყოველთვინ ერთად ეჩოქნენ, ერთიღა აკლდა, გაიფიქრა, ალბად დღეს ხილი რამ მოუტანია მიჩენილ ამხანაგ უფროსისათვის, თორემ ისიც ხომ ეხლა ჩვენთან უნდა იყოსო.

შემოვიდა მასწავლებელი. თქვეს ლოცვა. ოსტატმა ერთი გადაავლო თვალი შეგირდებს, ამოიღო ნიშანში ზოგიერთი და დაჯდა. ამოაწყო დავთრიდან ქაღალდები, დაიწყო წერა. ყმაწვილები დაინაბნენ. — იცოდნენ, შავი დღე დაადგებოდა იმას, ვინც თუნდა უნებლიეთ დაარღვევდა სიჩუმეს: სხვადასხვა თხოვნებისა და საჩივრების ფასით წერას იყო მიჩვეული და ამეების საწერად მარჯვე დროდ მიაჩნდა გაკვეთილებისათვის გადადებული საათები. მართლა და, რა უნდა გაეკეთებინა იმოდენა ხანს? მთელ ოთხ-ხუთ საათს ბავშვებს ხომ ვერ შეალევდა?! ან კი რას ეყოფოდა რაღაც ოთხი-ხუთი თუმანი თვეში, რომ სხვანაირადაც არ ეშრომნა ფულის საშოვრად?

— ნეტა ზარის დარეკამდინ მაინც წეროს! — ნატრობდნენ ყმაწვილები.

და თავისუფლად მიხედ-მოხედვასაც ვერა ბედავდნენ. ოსტატმა თვალი არ შეგვასწროს, შავი დღე არ დაგვაყენოსო.

ოცი წუთიღა აკლდებოდა გკვეთილების გათავებას, როცა მასწავლებელმა გადადო კალამი, დაიძგიფ-დაიტკაცუნა გადაჭდობილი თითები, გაიჭიმ-გაიზმორა და ოდნავ მიავლ-მოავლო შეგირდებს თვალი; აიღო, ჩაიკითხა ქალალდის ფარატინი, რომელზედაც აენიშნათ მყუდროების დამარღვეველი ყმაწვილები. რამდენიმე თავჩაღუნული ყმაწვილი თავისთავად წამოდგა წინ.

— რამდენჯერ მიბრძანებია თქვენთვის, ჩემ შემოსვლამდინ კრინტი არ დაძრათ-მეთქი! იმ დღესაც თქვენი ჟღივილხივილი გამგეს გაეგონა. დაიჩოქეთ! მოვიცლი თქვენთვისაც...

ყმაწვილებმა აასრულეს ბრძანება.

მასწავლებელმა ახედ-დახედა დასჯილებს, გაუღიმ-გაუღრინა და დაიძახა:

— ნიკოლაი კანცაროვ!

კიკო მივიდა მასწავლებლის მაგიდასთან.

— რატომ არ დაგისწავლია?

— გუშინ ბევრი ვიკითხე, ბატონო, წუხელაც ვკითხულობდი.

— ვნახოთ! წაიკითხე.

— „ავდოტია პეტროვნა"...

— ავდოტია.

— „ავდოტია პეტროვნა ზიმინა ბილა ნეზდროვა ი ნე"...

— ბილა ნეზდაროვა... — წაიკითხე თავიდან!

„ავდოტია პეტროვნა ზიმინა ბილა ნეზდროვა ი"...

— ბილა! ბილა-მეთქი... — შეღრიალა ოსტატმა და გაუშალა ყბაში. — ამდენი ხანია სასწავლებელში გდიხარ და კითხვაც არ იცი ჯერ. რა თქვენისთანა გამოყრუებულების საქმეა სასწავლებელი? მეხრეებად უნდა ეყარნეთ, მეხრეებად...

ოსტატი მოეტია ახლა სხვებს, მაგრამ იმათ ბედზე გაკვეთილი გათავებულიყო და ზარმა გაიწკრიალა. მთელმა კლასმა თავისუფლად ამოისუნთქა. კიკო კი ტიროდა და საგონებელს მისცემოდა.

— დედა იწერება, ისწავლე, ნუ ცუღლუტობო, პაპას სიბერე დაერია, ავადმყოფობს და წყალს ნუ მიგვცემ ნურც ჩვენ, ნურც შენ თავსაო. თითქო არ მინდოდეს სწავლა, თით-

ჭო არ ვცდილობდე! გუშინ, ვინ იცის, რამდენჯერ წავიკითხე გაკვეთილები, მაგრამ რომ არ მესმის. ნეტა მესმოდეს, თორემ როგორ არ დავისწავლიდი. როცა პაპა მასწავლიდა, განა ვერა ვსწავლობდი? ახლა ეს წიგნებიც რომ შემძულდა! თვალის დასანახავად მეჯავრებიან... რა საძაგლად შრიალებენ! რა საზარელი სუნი ასდით!.. სოფელში რომ წიგნები მჭონდა? ახ, რა მიყვარდნენ ისინი! რა კარგ რამეებს მიამბობდნენ ხოლმე! პაპასავით დინჯად ჩამაგონებდნენ, დედილოსავით ტკბილად მეუბნებოდნენ.

6

მოწმენდილი ღამე იყო, ვარსკვლავები კრთოდნენ, ციმციმებდნენ. მთვარე გუნებაზე მოსულიყო და ელიმებოდა, პირს ციაგი ეფინებოდა; იმისი პირის ნათელი შავ დედამიწას ეფრჭვეოდა, გულს უნათებ-ულაღებდა, კაეშანს უკუუყრიდა, უქარვებდა. გულკეთილ მნათობს კიკოს სადგომის დახშული ეზოსაივანიც არ დაჰვიწყებოდა, იქაც გაეგზავნა თავისი შუქი, დეე, ის ეზოც მე შემომხაროდეს, ჯურღმულივით პირი ნუ მოუქუშავს, ერთ წამს მაინც განათლ-გაბრწყინდესო. შუქი ჩაფრენილიყო ეზოში, მიფარფატებულიყო აივანზე და შეჩერებულიყო: კიკო რომ ზღაპარს ისმენდა, იმ ზღაპარს ისიც მოეხიბლნა, დაეტყვევებინა.

ზღაპარს ეუბნებოდა კიკოს ბეკო, — ეული, გადაგებული ხნიერი ბეკო, რომელიც ეხლა კიკოს სახლის პატრონს შეხიზვნოდა. ის ეუბნებოდა საღამ-საღამოობით ყმაწვილს ზღაპრებს, ამბებს, თავგადასავალს. მემრე რამდენი რამე იცოდა, სად არ ყოფილიყო, რა არ ენახა, რა არ გამოეცადნა!

უნდა გენახათ, რა ხალისით ისმენდა კიკო: თვალები აენთებოდა, სულს განაბავდა, ყურადღებად გადაიქცეოდა; წმინდად აჰკრეფდა, რაც უნდა დიდი თხრობა ყოფილიყო, სიტყვას არ გამოსტოვებდა, არ შეშლიდა. ბეკომ მუყაითი, ნიჭიერი მსმენელი იპოვა და წახალისდა: სულ ახლებს მოუთხრობდა, ხალხურ ლექსებსა და გამოცანებს ასწავლიდა.

— ახლა უნცროსმა ძმამ გასტყორცნა ისარი და გაჰყვა თან, — აბობდა მთვარის შუქით გაბრწყინვებული ბეკო, — ისარი ერთ ხრიოკ ადგილას დარჭობილიყო. მიიხედ-მოიხედა

და თქვა, ეს რა ბიამანი ადგილი ყოფილაო, მე აქ ჩემ საძებარს როგორ ვიპოვიო. დაღონდა. წამოწვა დასასვენებლად. რომ წამოწვა, ვნახოთ დედამიწიდან გმინვა მოესმა. ახლო ერთ უშველებელი ლოდი ეგდო, გმინვა იმ ლოდის ქვეშიდან ამოდიოდა, გაუკვირდა ეს...

— ბიჭო, მაგ ზღაპრის გუდას რომ მისჯდომიხარ და ამბებს შეექცევი, გაკვეთილები კი დაისწავლე? შენ პატრონსა ჰგონია, შვილი სკოლაში მყავს, კაცად იქცევაო. ზღაპრები თუ გიწდოდა, აქ რაღა მოგარბენინებდა, სოფლის ბოსლები იქ არ იყო? — მოესმათ უეცრად სახლის პატრონის ხმა.

— რა ვიცი, რაც ამ დღე ეს ბავშვი კითხულობს! სულ წიგნს კი ჩასჩიჩინებს და, — მიესარჩლა ბეკო.

— ჩასჩიჩინებს, მაგრამ ალბათ, თავში არა რჩება რა, — მიუგო მასპინძელმა და მიუბრუნდა კიკოს.

— ბიჭო, თქვენი სამღვთო წერილის მასწავლებელი შემხვდა და მითხრა შენზე, მაგისთანა ჩერჩეტ ბავშვს ძნელად შევხვედრივაროო. ისწავლე! ყოველ წელიწადს ქრთამით და ზღვნებით ხომ არ გადაგიყვანენ.

მოშორდა მასპინძელი. ბეკოს უნდოდა განეგრძო ზღაპარი, მაგრამ კიკო სმენის ეშხზე აღარ იყო: გაკვეთილებისა და მასწავლებლის გახსენებამ ფრთები შეაკვეცა მის ოცნებას და ძირს დასცა, შემუსრა. მთვარის შუქსაც არ უამა ზღაპრის უეცრად შეწყვეტა და გულნაკლული მოშორდა აივანს.

კიკო ხელახლად მიუჯდა წიგნებს, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ასჯერ, ათასჯერ იმეორებდა რაღაც მისთვის გაუგებარ სიტყვებსა და ფრაზებს. მაგრამ ეს სიტყვები და ფრაზები სულ უცნობი იყვნენ მის გონებისთვის და ვერ შესთვისებოდნენ იმას, მოუმზადებელ-შეუფერებელი ნიადაგი ხვდებოდათ იმათ და ფეხს ვერ იკიდებდნენ, სხლტებოდნენ; იმის ტვინში ვერ ეპოვნათ სავანე და უფრთხოდნენ იმას, ეპნეოდნენ, ეფანტებოდნენ. მოქანცულმა ყმაწვილმა რომ დაიძინა, იმ უცნაურმა სიტყვებმა და ფრაზებმა ხორცი შეისხეს, გარს შემოეხვივნენ პატარას სხვადასხვა უმსგავსი სახით. აზიებდნენ იმას, ზიზღზე მოჰყავდათ, აწვალებდნენ და თან ხელიდან უსხლტებოდნენ, არა ნებდებოდნენ, სიცილ-ხარხარით თავს ევლებოდნენ, ელმიჭებ-ეპრანჭებოდნენ, აწამებდნენ.

იურთები შემოჰკრეს, როცა კიკოს გამოელვიძა. რა ძალიან

უამა, რომ სასწავლებელში წასასვლელად ადგომამდის კიდევ დრო იყო დარჩენილი! გადაბრუნდა ლოგინში, თვალები მოისრისა და არ უნდოდა ისევ ჩასძინებოდა; ჰსურდა დამტკბარიყო იმ თავისუფალი საათით, რომელიც იმას შერჩენოდა ძილისა და საზარ საქმეზე დადგომამდის. ეხლა იმას სწავლა აუტანელ ტვირთად მიაჩნდა, — ისეთი სწავლა, რომელშიაც ის შეაბეს: შეუგნებლად ზეპირობა, შეუსმენელის გაუგებრად განმარტება, უცხოსი უცნობით ახსნა და თან შხრთიალი, შხრთიალი. ესეთი სწავლა იმის გონების ნიადაგში საზრდოს ვერა პოულობდა, ფესვს ვერ იმაგრებდა, იმის გულს წყვდიადივით ეფინებოდა, მთლად იმის ბუნებას ამახინჯებდა. ყმაწვილმა შეიძულა სწავლა, შეიზიზღა სასწავლებელი, რომელიც დედინაცვლობას უწევდა მას, რომელიც პურის მაგივრად ქვას მიუპყრობდა, რომელიც თევზის მაგივრად გველს აწვდიდა; მთლად მისმა არსებამ უარყო ესეთი შეუსაბამო წრთვნა.

მართალია, კიდევ ცდილობდა კიკო, კიდევ იბრძოდა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ გული უთხრობდა და მისწევდა, არამედ იმისთვის, რომ პაპასი და დედის დაღონებული სახე არა შორდებოდა იმის გონებას. აი ეხლაც ცხადად ესმოდა იმათი ხმა:

— ისწავლე, შვილო, ეცადე! რას შემფრთხალხარ, დაოჩნებულხარ? ნუ მიგვცემ აღელვებულ წყალს. რის მაქნისია რეგვენი კაცი? თუ არ ისწავლი, ჩვენც დაგვღუპავ და შენს თავსაც. რის იმედი გაქვს?

— სწორედ უცოდინარი დავრჩები და დავიღუპები. რომ ვერა ვსწავლობ! აი დღესაც ხომ გამიწყრებიან, თუმცა გუშინ იმოდენა ვიკითხე! — ფიქრობდა ლოგინში კიკო და ცდილობდა მოეგონებინა, რას კითხულობდა გუშინ.

— გრამატიკიდან ბრუნვები გვაქვს: „პრეჟნიაია ზაბავა“; „პრეჟნოი ზაბავი“... არა, პრეჟნეი! თუ პრეჟნოი? უნდა წავიკითხო დილაზედ. ნეტა რა იქნება პრეჟნიაია ზაბავა? პრიმერი? „ნა ალეუტსკიხ ოსტროვახ ვოდიატსია ჩორნიე ი ჩორნობურიე ლისიცი“. არა! ჩორნია ი ჩორნო-ბურია. თუ... ისტორიიდან? — ჰო! ნავუხოდონოსორ ცარ ვავილონსკი რაზრუშილ იუდეისკოე ცარსტვო“ ი... ი... ახ, როგორ დამვიწყებია ის სიტყვა! კიდევ არითმეტიკა გვაქვს: დელიმოე რავნიაეტსია დელიტელიუ უმნოჟენნომუ ნა... დილიტ... რავნ... ზაბავა... დელიმო... დელამ... ახლა შენ მასწავლი ღრამატიკას, პაპილო?!

კატეღორიასაც? ეგრე არა, შენი ჭირიმე, წინანდებურად მასწავლე...

— დილის ძილი რომ გაგიჭიმია, დღეს სკოლაში წასვლას აღარ აპირობ?

სახლის პატრონის ხმაზე კიკო ელდანაკრავივით წამოვარდა ზეზე. უბედური დღე იყო იმისთვის: ყველა გაკვეთილები ჰკითხეს. ისტორია მესამე გაკვეთილი იყო. კიკომ ყოჩაღად დაიწყო: — „ნავუხოდონოსორ ცარ ვავილონსკი რაზრუშილ“, მაგრამ შუაზე რომ ჩავიდა, რაღაც ეშმაკად დაარახუნეს, ხმაურობაზე სიტყვა შეეშალა და ვეღარ ჩააყოლა ქვეით. ოსტატმა ხელი აიფარა პირზე, უნდა მოეგონებინა, მაგრამ გადიფიქრა. დაიწყო ბავშვმა გონებაში თავიდან, რომ ჩასულიყო დავიწყებულ სიტყვამდინ, მოეგონებინა ის, მაგრამ მასწავლებელი ცუდ გუნებაზე იყო და აღარ აცალა: აიმრიზა, მოკლე შუბლი შუაზე აუნაოჭდა, უკან გადავარცხნილმა თმამ შუბლთან აიწია, აიბურძგნა, თვალები ბოროტად აუგიზგიზდნენ და შეუტია ყმაწვილს. კიკომ შეხედა და უცებ გაახსენდა: ერთხელ გველს ქვა ესროლა, ის შემოუტრიალდა, აზავთებული თვალები ჩაანათა, აიწვერა და ის იყო უნდა სცემოდა; პატარა შიშმა გააშრო, მაგრამ პაპა იქ იყო, მიაძახა: ჰაი, შე მხდალო! ჯოხი მავნესაო! და თვითონ დაუშვა გესლიანს ყავარჯენი. ეხლა გვერდით პაპა აღარა ჰყვანდა, ეხლა ქომაგობას ვეღარავინ გაუწევდა და ყმაწვილი შიშმა მოლოხა, მოკვეთა. ოსტატი კი უფრო გააფთრდა, ეცა შაგირდს, სწვდა თმაში. ხომ ვსთქვი, კიკოსათვის უბედური დღე იყო-მეთქი: ბრძოლაში საათის ძეწკვი მოედო ბავშვის ხელს, საათი ამოვარდა უბიდან, დაენარცხა იატაკს, დაიმტვრა. ამან მთლად გონება დაუბნია მასწავლებელს, გააუკაცურა. შაგირდი ტიროდა, ეხვეწებოდა, ნუ მომკლამ, ყმად დაგიდგები და ისე გიზლამ, მაპატიეო, მაგრამ ამაოდ. ზარის წკარუნზეღა მოვიდა გონს მწრთვნელი. კიკო უსადილოდ დასტოვეს, დაამწყვდიეს.

7

შემოდგომა მიწურულიყო, მაგრამ დარი ჯერ მშვენიერი იდგა; მოწმენდილ ცაზე მზე უდარდელად ჭახჭახებდა, თითქო ვერა გრძნობდა, რომ სიცივეს კიდეც დაეძლია ის, რომ დღეს

თუ ხვალ იმისთვის უნდა დაეთმო სამყაროს ბატონობა. დილის სუსხზე დათრთვილულ სართულებზე კი შეატყობდა კაცი, რომ ზამთარი მოახლოვებულიყო, კარს მომდგარიყო.

ხალხი საღამ-საღამობით ქუჩაშივე ირეოდა, ჯერ შინ არ ჩაკეტილიყო. წვრილფეხობას ხომ სულ არ უდგებოდა შინ გული, ქუჩაში გაჰქონდა ჟივილ-ხივილი.

კიკოც კარზე ცელქობდა, „დაგინახეს“ თამაშობაში პირველობა დაესაკუთრებინა; შველივით დაჰქროდა ქუჩიდან ქუჩაში, ქუჩები ბლაგვიანის ორღობეები ეგონა. ამ ბოლო დროს მაინც ძალიან მიეჩვია ის ცელქობას; უბანში ამხანაგები გაიჩინა, კოჭაობაში, ჭიდილში საპატიო ადგილი დაიმსახურა. სწავლისა რომ ვერა გაიგო რა, ზურგი შეაქცია იმას და უსაქმოდ დარჩენილმა ცუდად ჯდომას ცუდად ხტომა ირჩია. კრივი კი არ ემარჯვებოდა; კრივის დროს მებარგულობდა, რადგან მარჯვე ყარაულობა იცოდა.

კიკო რომ შინისკენ გაქანდა, გზაზე თავის ამხანაგ დევრიშვილს შეეფეთა და კინაღამ გადაჩეხა. დევრიშვილმა კიკო განზე გაიხმო და ჩასჩურჩულა: სუფნიშნის ქუჩაში კრივია, ჩვენები კრივობენ და წავიდეთო. კიკო გაჰყვა. ყმაწვილები რომ მივიდნენ, კრივი ჯერ არ დაწყებულიყო. შეღამდა. მთვარე ამოვიდა. შეიკრიბნენ მებრძოლნი. ერთ მხარეს მარტო ათიოდე მოსწავლე ახალგაზრდა იდგა. ახალუხებში გამოკვართულიყვნენ, კინკრიხოზე დადებული ნაბდის ქუდები ხელეურებად გადმოშლილ ქოჩრებს ვერ დასწვდომოდნენ, მამაცურად დაემკლავებინათ, რაზმი შეეკრათ. ამ მოსხეპილ ახალგაზრდების მნახველი განა იფიქრებდა, რომ ეს ის ყმაწვილები იყვნენ, რომლებიც სასწავლებელში სკამებზედ ოთხად ჩაკეცილები ისხდნენ, იკაკვებოდნენ და მასწავლებელს თვალს არიდებდნენ, ეგება ყურადღება არ მოგვაქციოს და გაკვეთილი არა გვკითხოსო! ეხლა თავი ამაყად აეღოთ, ბეჭებში გაშლილიყვნენ და ამპარტავნულად გადასცქეროდნენ მოპირდაპირეებს. მაყურებლების გული დაემორჩილებინათ იმათ. ხალხიდან გამოისმოდა:

— აი, კაცო, შკოლელები! რა ტალიკ-ტალიკი ბიჭებია! ბურჯებივით კი დგანან და! შეითნებია რაღა, შეითნები...

მოპირდაპირეები თუნდ ხუთჯერ მეტი იყვნენ, ქალაქის ბიჭები სულ ერთად იდგნენ.

კრივის დაწყებისას ოთხი-ხუთი მოკრივე ჩადგა მოსწავლეების რაზმში, ცოდვაა ამისთანა ბიჭები სიმრავლით დასძლიონ და წაახდინონო.

კრივი პირდაპირ დიდრონებიდან დაიწყო: შეგირდები ეშურებოდნენ, აღმზრდელმა არ მოგვასწროსო: შენივთებულ ბრძოლიდაწ გუგუნი და ბაგიბუგიღა გამოდიოდა, რომელსაც ხანდახან სილის მჭახე ტყლაშუნი და მამაცური შეძახება ასხვაფერებდა. მოსწავლეების რაზმი დაურღვევლად მიიწევდა წინ ნელი ნაბიჯით. გარს ბევრი ეხვია იმათ, ერთს ათი სცემდა, ვერ კი ერეოდა; ცემას არ იმჩნევდნენ ისინი, თითქო ქვისა არიანო, და შეუფერხებლივ მიზიდავდნენ წინ მოწინააღმდეგეების უმთავრეს გუნდს. ქუჩის ბოლომდის ჩააცილეს ის იყო, აპირობდნენ უკანასკნელად შეეტიათ მედგრად და ყიჟინით გაეფანტათ მოპირდაპირეები, რომ მოულოდნელად თითონ დაშალეს რაზმი და დაიქსაქსნენ. გამწვავებულ ბრძოლის დროს ამხანაგებმა შეატყობინეს, აღმზრდელი მოვიდაო, მოწინააღმდეგეებმაც გაიგეს მოსწავლეების უბედურება, შეეცადნენ დახმარება გაეწიათ და როგორმე გაეპარებინათ ყოჩაღები. ვისღა ახსოვდა, რომ ეს იყო, ეხლა დაუნდობლად ბეგვდნენ ერთმანეთს!

ქუჩაში რომ კრივი იყო გაჩაღებული, კიკო ქუჩის თავში ერთ ალაყაფის კარებთან იდგა დაბარგული: მოკრივე მოსწავლეების ტანისამოსს ჰყარაულობდა. იდგა იქ და გატაცებით გასცქეროდა კრივს, გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს თავისებს, ყველა იმათ წინწადგმულ ნაბიჯს აღტაცებაში მოჰყავდა ის. კიკო რომ მთლად ყურადღებად იყო გადაქცეული და კრივის მეტს ვეღარასა ხედავდა, მოულოდნელად ისეთი სილა მოხვდა, თვალებიდან წინწკლები წამოსცვივდა: აღმზრდელი თავს წამოსდგომოდა. ელდაცემულმა ყმაწვილმა გაუშვა ხელიდან ყველაფერი და გაჰქრა. აღმზრდელმა კი ამოიღო ვერცხლის სათუთუნე და დინჯად დაიწყო თამბაქოს ქაღალდში ხვევა.

კრივი დაიშალა; მოსწავლეები გაეშურნენ იქით, საცა მებარგულე ეგულებოდათ. მაგრამ ეხლა იმათ ტანისამოსს სულთამხუთავი დასდგომოდა თავს. რას იზამდნენ? რომ გაქცეულიყვნენ, ტანისამოსზედ მაინც იპოვნიდნენ და შავ დღეს და-

ააყენებდნენ, არა და... მიდიოდნენ თითო-თითოდ ტანისამოსის ასაღებად. აღმზრდელიც ერთს შეუბღვერდა მისულს, გაარტყავდა და უბის წიგნში მოაქცევდა იმის გვარს.

8

რა ღამე იყო ის ღამე, კიკომ რომ შინ გაატარა! შიშით თრთოდა, ძილი არ ეკარებოდა. ჩასთვლემდა თუ არა, სულ თავის უბედურება ეზმანებოდა, კრთებოდა და თვალი ღია რჩებოდა.

— ეხლა კი უთუოდ გამომაგდებენ! მაშ უნდა გამომაგდონ რაღა? ნეტა ეხლაც მაპატიონ და მერე მე ვიცი: თავს ჩავიკლავ წიგნში და ვისწავლი. მე კიკო ყანწარაშვილი ვიყო და უნიჭოს მეძახდნენ! ვაჩვენებ, როგორ შემიძლიან სწავლა... მაგრამ რომ არ მესმის, რასაც ვკითხულობ! ვერ შემიგნია, რა სწერია წიგნში და, თუნდ ათასჯერ წავიკითხო, რა გამოვა? არაფერი, სულ არაფერი! აახ! ერთი მესმოდეს წაკითხული, ერთი ჩვენებური წიგნი მომცა ხელში! — ფიქრობდა კიკო.

და ბოლმით ლოგინში ტრიალებდა, ვერ მოესვენა.

ბოლოს ჩაეძინა და სიზმარში ნახა, რომ თავქვე-თავქვე მიდიოდა. სალ კლდეში გაჭრილი გვირაბი იყო და იმას ჩასდევდა. ყველა მხრით წუმპე ჟონავდა, მონიჭყულიყო, ფეხი სხლტებოდა. გვირაბი თანდათან შევიწროვდა, ხვრელს დაემსგავსა. კიკოს უკან გამობრუნება უნდოდა, მაგრამ გზა შეკრულიყო, სინათლე ძლივსღა ჩამოდიოდა ზევიდან. კიკო გაწვა და ცურვით სწრაფად წავიდა წინ, ეგება გავახწიოვო, მაგრამ ხვრელი უფრო დავიწროვდა. აღარსაით იყო შველა, სული შეეხუთა, განწირულებით შესძახა „პაპავ“! და გამოეღვიძა. ოფლში გაწუწულიყო, შიშის ზარს აეტანა, გონს ძლივს მოვიდა.

ადგა, ტანთ ჩაიცვა და წავიდა. ფეხები უკანა რჩებოდა. იმის იმედიღა ჰქონდა, რომ იქნება აღმზრდელმა დაგვიფაროს და გამგეს არ შეატყობინოსო. აღმზრდელი თუმცა სასტიკად ეპყრობოდა ყმაწვილებს, მაგრამ დასაღუპად კი გაუჭირებლივ არავის გაიმეტებდა, არ გამოარისხვინებდა სკოლიდან; არც ადვილადა სწერდა მოწაფეებს შავს დავთარში; არ დაასმენდა და უფრო თითონ ახდევინებდა დანაშაულს.

კიკოს ამ იმედმაც უმტყუნა: სკოლაში მისვლის უმალ გამ-

გეს სადგომის დერეფანში შეიყვანეს, კლასში შესვლა აღარარ აცალეს. გუშინდელი მოკრივე მოსწავლეებიც იქ იყვნენ ჩამ-მწკრივებულნი; მუხლები ჩაჰკეცოდათ, წელში მოხრილიყვნენ, ნ, თავი ჩაეკიდნათ, თვალებში უღონო ჯავრი უჭროდათ, დაბე-ჩავებულიყვნენ და უიმედობა დასჩნეოდათ. ვინ იცნობდა ამამ მომჩვარებულ მოსწავლეებში გუშინდელ ხალისით სავსეე ბრგე ახალგაზრდობას?!

გამგეს ოთახიდან ჭიქების ჩხარიჩხური გამოდიოდა — ბა-ატონი ჩაის მიირთმევდა. გაიარა აღმზრდელმა, მაგრამ ყმაწ-წვილებს ზედაც არ შეხედა. ეს ცუდი ნიშანიაო, — იფიქრესს იმათ. რომ დაეტუქსა, უფრო იმედი მიეცემოდათ, ამით გადა-აივლისო. მსახურმა ჭიქები გამოიტანა და ყმაწვილებთან რომრომ გაიარა, დასცინა, ცემა-ტყეპა თუ მოგწონთ და ატანა შეგიძ-ძლიანთ, ეხლა გამოჩნდებაო. მოსწავლეებს ფერი ეცვალათ, მი-იხვდნენ, რომ შხეპლებით ცემას უპირებდნენ იმათ. სკოლაშიმი შხეპლები თუმცა აკრძალული იყო ეხლა, მაგრამ გაჭირებაშიმი კიდევ ხმარობდნენ, რადგან გაჭირების ტალკვესად მიაჩნდათ.ო. მიხვდნენ ყმაწვილები, რა შეურაცხყოფას უპირებდნენ და შე-ეტოკდნენ.

კიკოს ელდა ეცა, ჭირის ოფლი დაასხა. თავის თავი რომრომ ისე საზიზღრად გალახული წარმოიდგინა, სირცხვილით ალ-ღ-მური აუვიდა სახეზე, თანაც ერთი შემთხვევა მოაგონდა დადა შიშის ზარმა აიტანა: ერთხელ ჯარი იდგა ბლავგიანში; ერთმამა ჯარისკაცმა რაღაც დააშავა და უფროსმა გაალახვინა ვაჟკაცი;ი; დასცეს ძირს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დაასხდნენ ზედა და საძაგ-გლად დაშხიპეს, სისხლი ადინეს; მისი ღრიალი ზეცას ადიოდაა. გულშეწუხებული წაიღეს.

მოაგონდა ეს და ძრწოლა დაიწყო. გაახსენდა, პაპა რომრომ იტყოდა იმაზე, კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო, და მწა-არედ გაიღიმა.

— მიხსენ მე, უფალო მტერთა ჩემთაგან და მდევართთა ჩემთაგან განმარინე მე, — გაივლო გონებაში უნებლიეთ.

და ხსნაზე დაიწყო ფიქრი; აზრად მოუვიდა, თავისთვის ეშ-შველნა, დაეხწია თავი ამ უბედურებისაგან. გაუძლიერდა ესს სურვილი, მთლად შეიპყრო ის ამ სურვილმა; იმის გონებაშიი ყველაფერს ნისლი გადაეფარა, ამ მისწრაფებინ გარდა, ესს სურვილი კი თანდათან გაირკვა, გაბრწყინდა, მთლად შეიპყ-ყ-

რო ის და უნებლიედ აამოქმედა. კიკო ნელ-ნელა დაუახლოვდა კარებს, გასხლტა დერეფნიდან, გაძვრა ალაყაფის კარებში და დაეშვა შინისკენ.

9

კიკომ მიირბინა შინ, აიპარა ბინის კიბეზე და ჩამოჯდა. ბევრი ხანი კი ვერ დაჰყო იქ: შიშმა აიტანა; იფიქრა, უთუოდ მიპოვნიანო და ისევ კარზე გამოვიდა. გაიარა რამდენიმე ქუჩა, — იმ ქუჩებზე იშვიათად გაევლო. არ იცოდა, სად მიდიოდა; მარტო ერთი სურვილი იყო იმის ტვინში გამორკვეული, რომ გასცლოდა, დამალვოდა თავის მტარვალებს. ეს მტარვალები რომ ეხლა ეძებდნენ იმას, ფეხდაფეხ მისდევდნენ, ამაში ის დარწმუნებული იყო.

ხიდზე რომ გადიოდა ფეხაჩქარებით, გაიხედა თავის სოფლისკენ და კლდის წვერზე ქოჩორა ხე დაინახა. ერთ წამს შედგა, გაულიმა, თავი დაუქნია: ქოჩორა ხე მფარველ-პატრონად დაესახა იმის ტანჯულ გონებას. იმან ანდამატივით მიიზიდა გაწამებული ყმაწვილი: ის ხომ იმის სოფლის გზაზე იდგა; იმის იქით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ქალაქი თვალითაც აღარ გამოჩნდება, იმის იქით ხომ თავისუფლებაა.

აახ! — მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მდევართა ჩემთაგან განმარინე მე.

კიკო დაჰყვა ქუჩებს და გასცდა ქალაქს. ჯარისკაცების სადგომს რომ მიატანა, ნაცნობი აუტანელი ბუღი ეცა ცხვირში და უნებლიედ ფეხი ააჩქარებინა: სასწავლებელი, მასპინძლის სახლი, მთელი ქალაქი ამ საძაგელ სუნს დაადარა, ეს სიმყრალე იმათ გამომსახველ ნიშნად დასახა.

— მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მდევართა ჩემთაგან განმარინე მე, — გაიმეორა გონებაში.

გორხანებთან რომ გაიარა, თქვა, თუ მართლა ღამღამობით ყველა ამ საფლავებიდან სამ-სამი ლეკვი ამოდის, დიდი წკავწკავი უნდა იდგეს ხოლმე აქ სიბნელეშიო.

— მაგრამ ეს ხომ ტყუილი იქნება: მე ქრისტიანებში ვიყავი, განა ისინი თათრებზე უდიერები არ არიან? თუ აძაღლებაა, იმისთანები უნდა აძაღლდნენ, — გაიფიქრა კიკომ.

წინანაურის წყაროსთან რომ მივიდა, პირზე წყალი შეის-

სა. რამდენიმე ყლუპიც ჩაყლაპა. წყალი თბილი ეჩვენა. გაიფიქრა, ნეტა ზამთრობით უფრო თბილი რად არისო, ალბად ღმერთს სიცივისაგან დასუსხული ხალხი შებრალებიაო. ავიდა აღმართს. გაჰყვა წინანაურის ბაღების ორღობეებს. ვენახები სულ დაკრეფილები იყო, კაკლებიც დაებერტყათ, გზაზე ვადმოშვერილ კენწეროებსღა შერჩენოდათ რამოდენიმე. ორიოდე ჩამოაგდო ქვით. მივიდა წინანაურის ეკლესიასთან, საყდრის პირდაპირ რომ ხატი იყო დასვენებული, იმას ემთხვია; ჯიბეში ორი გროში ეგდო, ის ბრმა გლახაკს ჩაუდო ხელში, რა ხატს რომ შეჰკედლებიყო. ჩაირბინა თავქვე, გახდა კლდეზე ეოჩახჩახე ნაკადს, შეუდგა აღმართს. საბაჟოსთან რომ მიდიოდა, მებაჟის სახლს განძრახ ახლო აუარა ხტომით, ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო. დაადგა სალ კლდეზე ამავალ გზას.

ეს გზა მგზავრის ფეხით არის გაკვალული, მკეთებლის ხელი არ მოხვედრია იმას. სულ ოღროჩოღროა. არაფერ ეტლს არ შეუძლიან აქ გავლა; საურმე გზა სხვა არის, ცხენსაც უნდა ჩამოუხდეთ. ჯანდაკ ვისმე ან პატარას თუ შეშვენის აქ ცხენდაცხენ ავლა. ნაცური ცხენის ნალისაგან დათლილია სიპი. ნიაღვრისაგან დაღარულია მთელი კლდე. მცენარეს ვერ მოუკიდნია ზედ ფეხი, გრაკლა ან ძეძვიღა გამაგრებულა აქაიქ, კლდის ნაპრალებისთვის ჩაუჭიდნია ფესვები, ლოდებისთვის შემოუხვევია ზედ და დიდის გაჭირებით პოულობს საზრდოს: ძაღლი ხეებია, ცოტათი იციან იოლას წასვლა.

კიკომ იცოდა, რომ ამ გზის უეცრად შებრძოლება არ ივარგებდა, აჩქარებულ მგზავრს ხელადვე მოსჭრიდა მუხლს და ნელი ნაბიჯით შეუდგა აღმართს. გაერთო. ხან ქვას ისროდა, თუ კარგი გასასროლი ნატეხი შეხვდებოდა, ხან კალმის დანით გრაკლასა სჭრიდა და აჭრელებდა, ხან ძეძვის ფარასა ჰკრეფავდა, დედაჩემი ამას ხველებისთვისა ხმარობსო, ხან ქვაზე გაწოლილ ჯოჯოს აფრთხობდა. ყმაწვილი იყო, ვარამი დავიწყებოდა, წუთით სიამოვნებდა. დარიც ხელს უწყობდა: იმისთანა თბილი და ნათელი დღე შემოდგომის მიწურულებში იშვიათია. მგზავრები ათასში ერთხელ ხვდებოდნენ: სოფლიდან წამოსული ხალხი ჯერ კლდეს არ ჩამოჰფენოდა.

აღმართის მესამედი ექნებოდა ავლილი, როცა გზის პირში მოძებნა პატარა ნაპრალი, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა.

ეხლა თბილოდა და ორთქლი კარგად არა ჩანდა. ხელი რომ დაგედოთ, კი იგრძნობდით სითბოს; ზამთარში იმ ნაპრალის გარშემო თოვლია ხოლმე გამდნარი და კლდიდან ორთქლი თვალსაჩინოდ ამოდის. პაპამ პირველად რომ უჩვენა კიკოს ის ადგილი, უთხრა, აქ თბილი წყალი მომდინარეობს კლდის გულში და ეს იმისი ორთქლიაო. კიკომ რამდენიმე კენჭი ჩააგდო ნაპრალში და თან გაიფიქრა, ნეტა მართლა გოგირდზე მომდინარეობს ეს წყალი, გოგირდსა ხსნის და ისე თბება, თუ დედამიწის გულში რომ ცეცხლს ამბობენ, ის ცეცხლი ათბობსო.

კიდევ კარგა გზა გაიარა და ორსულ კლდეს მიახლოვდა. აქ გზა ხევს ჩაუხვევს, რომელიც ერთ ალაგას გაფართოებულია ესე ასიოდ ნაბიჯის სიგანეზე. ამ ვაკის პირში, გზის გადასწვრივ, ტყუპად ამართულია ორი კლდე. იმათი მოთეთრო გვერდები მთლად ჩამოლესილ-ჩამორეცხილებია. ძველებურ კოშკებსა ჰგვანან ნაგებობით, მხოლოდ მუცლები უფრო გამობღერილები აქვთ. იმათ სიპ გვერდებზე ბალახიც კი ვერ იმაგრებს ფესვს, მხოლოდ ხავსი მოჰკიდებიათ. ამ კლდეების თავზე გრაკლის ჯაგები დაზდილან, ქოჩორივით გადმოჰფენიან. აფრთოვანებულ ოცნებას გაქვავებულ ადამიანებს შეუძლიან დააგვანოს ისინი. კლდე ხმას ისხლეტავს, მკაფიოდ აბრუნებს. ამ კლდეს ეძახის ხალხი ორსულ კლდეს. იშვიათად გაივლის აქ მგზავრი, რომ არ შესძახოს კლდეს:

— ქალი გყავს თუ ვაჟი?

— ვააჟიი! — მიუგებს მაშინვე კლდე.

ეს მიყრუებული ხევი საშიში ადგილია: აქ ბევრჯელ გაუძარცვავთ ან მოუკლავთ მგზავრი.

კიკომ გადირბინა ვაკე, მივიდა კლდესთან და ძირიდან დაუწყო თვალიერება. მერე შესძახა, ქალი გყავს თუ ვაჟიო, კლდემ ხმა მისცა, ვაჟიო. ეს ხმა ყრუდ გაიმეორა ხეობამ.

ორსულ კლდიდან გზა უფრო ფართოვდება, გზის ნაპირებს ხშირი ჯაგი მოსჯარვია: კლდეს ნიადაგი გადაჰფარებია და მცენარეებს მკვიდრად მოუკიდნიათ ფესვი. მგზავრი აქ უფრო ხალისიანად ასდევს გზას, რადგან ფეხი აღარ უსხლტება და ალმართის დათავებასაცა ჰგრძნობს.

თუ გზის მოკლედ მოჭრა გსურთ, ორსულ კლდის ცოტა ზევით, მარჯვნივ შეუხვევთ და ღრმა ვიწრო ხევს შეჰყვებით. ეს

ხევი ჩარეცხილია წყლისაგან, ძნელი სავალია, ორ-სამ ადგილას კიბეებივით არის ასასვლელი და ხელი თუ არ მიიშველეთ, ვერ ახვალთ; მცირე წვიმის დროსაც კი ნიაღვარი აქ დიდი ქშუილითა და ღრიალით მოქანობს, ცხენი ვერ დადის ამ ბილიკზე. საშიში გზაა; ჩასაფრებულ ავაზაკს ადვილად შეუძლიან აქ ნავნები ჩაიდინოს; შეიძლება, მხეციც შეეფეთოს მგზავრს. ბილიკს რომ აანახევრებთ, მარჯვნივ გამოქვაბულ კლდესა ნახავთ, რომელიც ოთახივით არის წამოხურული. კლდე იცრემლება გამოქვაბულში და ნაჟონი გამოქვაბულშივე გროვდება. ვაი რომ ცოტაა, თორემ მშვენიერი ცივი წყალი იცის.

კიკომ ამ პატარა ბილიკისკენ შეუხვია. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მელა დაინახა ლოდის ძირში მიწოლილი; კუდი გვერდით გადაეგდო, კბილები დაეღრიჭა და მყუდროზე იშუშებოდა. ყმაწვილი ჯერ შეკრთა, მაგრამ მერე იცნო მხეცი და გამოუდგა. მელამ იქვე ლოდებისკენ შეუხვია. კიკომ ორჯელ-სამჯერღა მოჰკრა თვალი იმის ფაფუკ კუდს, რომელიც მსუბუქად მიცურავდა ჰაერში, მიწას არ ეკარებოდა. გამოქვაბულს რომ მიახწია, შიგ შევიდა დასასვენებლად. პაწაწინა აუზი წყლით სავსე დახვდა. მგზავრი წამოუწვა წყალს და ხარბად დალია. დაღალვა იგრძნო. ფეხები უჟუოდა და პური მოშივნოდა. დილას პურის ნატეხი ჩაედო ჯიბეში და იმას შეექცა, თან წყალში ასველებდა. უამა, მალე კი გაუთავდა, მარტო საღერღელი აუშალა.

— ახლა მიპოვნონ ჩემმა მტრებმა! რომ მიპოვნონ კიდეც, რას წაიღებენ? სულ ჩავაქვავებ, მანამ აქ ამოვლენ! ტარიელი ხომ დევებსაც გაუმკლავდა, ქვაბი რომ იპოვნა. ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვე, დევთა შეეკაფნეს. შემოვები, ამოვწყვიტე. დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდინ აიწევოდა, მათითა ლახტის ცემითა... დედი! დედიჯან! აქაც რომ საუნჯე იყოს დაფარული! მაშინ დედასაც მოვიყვანდი, პაპასაც და... — ოცნებობდა პატარა, მაგრამ გვიანდებოდა, დრო იყო გზას შესდგომოდა.

გამოვიდა გამოქვაბულიდან, აიარა დანარჩენი აღმართი, აივაკა. ქოჩორა ხე ცოტა უკან დარჩენილიყო. დაუბრუნდა, მიესალმ-მიესაყვარლა, მოეხვია, შესჩივლ-შესტირა. ქოჩორამ იგრძნო პატარას გულის ტკივილი, წყენა დააჩნდა, აღელდა

და აღშფოთებული დასცქეროდა თავს; მკრთალ ფოთლებს აშრიალებდა, ესაუბრებოდა: ბეჩავთ ბედს მოუთხრობდა, ჩაგრულთ ხვედრთან ბრძოლას ავალებდა, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ირხეოდა, ტოტებს მისკენ იწვდიდა — პატარის დაყვავება, დაიმედება, მოხვევნა, გულში ჩაკვრა მოსურვებოდა.

კიკომ გადახედა იქიდან ქალაქს, იაზრა, საცა იყო იმათი სკოლა და სიძულვილით, სიბოროტით აივსო; მუშტი მოუღერა, მიაფურთხა და კბილების კრაჭუნით გატრიალდა უკან. ქვაყრილთან რომ გაიარა, საქოლავებს თითქო ქვა მიაგდო, — ესე უნდა, ესეთი წესიაო.

გადაადგა თავქვეს. გაეშალა წინ ნაცნობი ადგილები: მოხდენილი პატარა ვაკე, რომლის ბოლოს მოცისფრობდა კუმისის ტბა; ტბის გარშემო მარილნაფრქვევი ნაპირები მოსჯროდნენ, სპეტაკ ჩარჩოში ჩაესვათ საგუბარი; ტბის მარცხნივ მიკამკამებდა მტკვარი, რომელსაც მარჯვნივ იაღლუჯა ასდევნებოდა. მდინარეც და ეს გორებიც შორს ბუნდოვან სივრცეს ეფარებოდნენ. ტბის მარჯვნივ კუმისის მთები შესდევდნენ, სამხრეთისაკენ იწევდნენ, ალგეთის ხეობაში იკარგებოდნენ. მინდორზედ, ტბისა და კუმისის შუა, თეთრად მიიხლაკნებოდა ბლაგვიანისაკენ მიმავალი შარა, გეზად ასდევდა გადასახედავის აღმართს, მერმე... აახ! რამდენჯერ სიხარულით ასტოკებია კიკოს გული, ამ გზისათვის რომ დაუხედნია; ეხლა კი გული აუკვნესდა, მუხლი მოეჭრა, თვალს ცრემლი მოადგა.

— დედას და პაპას ჰგონიათ, ეხლა სასწავლებელში ვარ, კარგადა ვსწავლობ, ზევით კლასში გადავალ, ის კი არ იციან, რა ამბავია ჩემს თავს, რა უბედურება მეწია. წინათ, როცა მივიდოდი, როგორ გაეხარდებოდათ ხოლმე! ეხლა კი ელდა ეცემათ. დავიღუპე! იმათაც ყელი გამოვჭერი... ან როგორ უნდა ვიმართლო თავი? ვინ რას დამიჯერებს? ყველა იტყვის, გაქსუებულა, უზარმაცნია, უნიჭო გამომდგარაო... დავბრუნდები! ისევ დავბრუნდები!.. მერმე ხომ მომკლავენ, უფრო ამითვალწუნებენ, დევნას დამიწყებენ. ვერც ვისწავლი, როგორც იმათ უნდათ, ისე ვერ ვისწავლი: არ მესმის! არ შემიძლიან! — ფიქრობდა კიკო.

და იტანჯებოდა. ვერ დასდგომოდა გადაწყვეტილ აზრს, ვერაფერი ვერ გამოერკვია იმის გონებას, ირყეოდა, ხან ერთ

კედელს აწყდებოდა, ხან მეორეს; ვაისგან გამოქცეულს შინ უი დახვედროდა; ცხოვრების ზღვა აჰღელვებოდა და ტალღებიამანზე გაეტყორცნა, გაერიყნა.

10

შარშან შემთხვევით სოფელ მჭადისყუას გავატარე ზაფხული, გავლით ვეწვიე ჩემს მეგობარს, მაგრამ იმ მხარის სიმშვენიერემ გული დამიხვია და დავყევ მასპინძლის გულითად თხოვნას. მით უფრო ადვილად დავთანხმდი ჩემ მეგობარს და დავრჩი, რომ იმისი მარჯვედ და აზრიანად მოწყობილი სავსე სახლი ჩემ იქ ყოფნას ვერ შეიმჩნევდა, მე იმათ ვერაფრით ვერ შევაწუხებდი.

ბაღისკენ ერთი განცალკევებული ოთახი იყო და ის მომიჩემეს. ჩემ ფანჯარას ხეხილი ეალერსებოდა, ყუდროზე ვარდის ბუჩქები გალაღებულიყვნენ, გარშამო ჩიტუნებს გაჰქონდათ ჟივილ-ხივილი, მეტადრე იმის შემდეგ, რაც ნამცეცებს ვუყრიდი ჩაისა და სადილშემდეგ. იმოდენად პატივსა მცემდნენ იმ მადლიან ოჯახში, რომ სადილ-ვახშამსაც კი ცალკე მიგზავნიდნენ, რომ არაფერი მოკრთალება არ დამჭირებოდა, აწ არ შემეწუხებინა ვინმე, ან არ შევწუხებულიყავი. ჩაის შემდეგ რომ გავიდოდი, სადილადღა ვბრუნდებოდი შინ.

მჭადისყუას დაქანებული ადგილი უჭირავს. სოფლის ზევით ალმართი ტყით არის შემოსილი მთის წვერებამდინ. გადაღმა დიდი ხეობაა გადაშლილი. სოფელს ქვევით პატარა ბდინარე ჩამოუდის. თითონ სოფელი ბაღებში ზის. ეკლესია ქვემო უბანში დგას, ხევის პირას, გარს კოშკებიანი მაღალი გალავანი არტყია. ძველად ეს ეკლესიაც იყო და ამ ხეობის ციხეც. საყდარს ორი სამწირველო აქვს, მეორე — უმთავრეს საკურთხეველის მარჯვნივ. ძველი მხატვრობაა. ნივთების დასაცველ ოთახში, საკურთხევლის მარცხნივ, რაღაც შემთხვევით ძველი სათემო დროშები შენახულან აქამდინ, ზანზალაკებით და ფოჩებით შემკული გრძელტარიანი დროშები. ამ დროშების ჟღრიალს ბევრჯელ საგმიროდ აუღელვებია აქაურების გული, ბევრჯელ დანთხეულა ამ ციხე-ეკლესიასთან მამულიშვილების წმინდა სისხლი და გაუვალ ღვარად ჩადენილა მტრების წინ, — ასე მოგვითხრობს ჩვენი წარსული.

მოწიწებით გავსინჯე ეს ნაშთები და მღვდელსა ვთხოვე, სიწმინდესავით დაეცვა ისინი.

ეკლესიის ეზოში რომ დახავსებული ხე იდგა, იმის ჩრდილში მომწონდა ხანდახან ჯდომა. რამდენიმე მოსწავლე ყმაწვილი იყო იმ სოფელში, ისინი მიდარიელებდნენ და როცა მივიდოდი იქ, შეგროვდებოდნენ, გარს შემომეხვეოდნენ, მკითხავდნენ, მიამბობდნენ, ცელქობდნენ. წირვა-ლოცვაზედაც მიყვარდა იმ ეკლესიაში სიარული. ზეამზიდველი ლტოლვილება იქით იყოს, და იქაური დიაკვნის კითხვა-გალობა მიზიდავდა. პირველად შევხვდი ისეთ მეტყველ დიაკვანს. ის რომ წიგნს გაშლიდა, სიტყვები მარგალიტებივით დამარცვლილ-დამთავრებული იწყებდნენ იმის პირიდან დენას, შეუბრკოლებლად გადმოჩხრიალებდნენ, ქართული კილოთი ალაპარაკდებოდნენ, ყურს ეალერსებოდნენ, ესიყვარულებოდნენ, გულს ნაზად ჩასჩურჩულებდნენ, ლმობიერად ესაუბრებოდნენ, მუდარით გარს ეხვეოდნენ; ხან კი შერისხ-შეუტევდნენ, მუქარით განზე გაუხტებოდნენ, გაუწყრებოდნენ, მაგრამ მერე ისევ დაუტკბებოდნენ, მიუალერსებდნენ, ზეცისკენ ეზიდებოდნენ. ხომ მარტოდმარტო გალობდა, მაგრამ გალობაშიაც რაღაც ნაცნობი, საამო, გულთან ადრიდანვე დაკავშირებული ხმები მომესმოდა. გალობის დროს ზევით უყვარდა მზერა.

თითონ კაცს დაგრძელებული თმა შუაზედ გაეყო, წვერი მოეშო. დაჩაგრულ სახეზედ ბედისადმი მორჩილება აღბეჭდოდა. საწიგნესთან რომ წმინდანის ხატი ეკიდა, იმ ხატს დამსგავ-

როცა უეცრად შევხვდებოდი სადმე, განზედ ხტებოდა, მთელ გზას მითმობდა. მაინც კი უყვარდა შორიახლოდან ჩემი თვალიერება, მეტადრე მაშინ, როცა ეკლესიის ეზოში ვიყავი და ყმაწვილები გარს მეხვივნენ. ბევრჯერ შემინიშნავს, რომ მწარედ გაუღიმია, ხელი ჩაუქნევია და გაგვცლია. ხანდახან ჩვენკენაც წამოვიდოდა ხოლმე, თითქო ჰსურს ჩვენს საუბარში ძონაწილეობა მიიღოსო, მაგრამ ისევ გატრიალდებოდა, ერთხელ მოგვიახლოვდა, მკაფიოდ მოგვაძახა: ჩორნია ი ჩორნობურია ლისიცი ვოდიატსია ნა ალეუტსკიხ ასტრავახ! და გაიარა.

ამ დიაკვანმა ძალიან მიიქცია ჩემი ყურადღება და მე თითონ გამოვეხმაურ-გამოვეცნაურე. როგორც იყო, შევიჩვიე.

კიკო ყანწარაშვილი ყოფილიყო ეს დიაკვანი.

— აბაიმე! მაშ ეხლა შკოლაში ცემა აღარ არის? — მკითხავდა ხოლმე კიკო.

და უკვირდა, ვერ დაეჯერებინა.

— მაშ მასწავლებლები თუ უხსწით ეხლა სიტყვის ძალას და კარგად ექცევით, ამდენი გამორისხულები რაღად არიან? — მკითხავდა კიკო.

და უნდოდა გაეგო ამის მიზეზი.

[1898 წ.]

მიეხმატკბილა გოგონას

1

კვირაცხოველო და ცხოველო,
შენ სალოცავად და მოველო!
შე დალოცვილო და საყდარო,
გაბია და ორი კარები;
შიგ შადიან, გამოდიან და
თადახურული და ქალები!..

მიიმღეროდნენ მხარიმხარ გადაჭდომილი სოფელ შვინდიანის ახალგაზრდა ბიჭები. ბიჭებს ყველას სუფთად და კოხტად ეცვა, მაგრამ ჩაცმა-დახურვით და შეხედულობით ძალუმაანთ ონისე ირჩეოდა იმათში. მაღალ მკერდს წითელი გულისპირი უმშვენებდა; ბეჭები ერთი მხარი გამოუვიდოდა. თითბრის რგოლებიანი საცვეთები მჭიდროდ შემოჰკროდნენ სვეტებივით ჩამოსხმულ წვივებს. ძარღვიანი ხელი რომ გადმოედვა ამხანაგისათვის, ვეფხის ტოტი გეგონებოდათ. პირხმელი ბიჭი იყო. წვერულვაშ ახლად აშლილი. გრძელბეწვიანი ქუდი ეხურა წინ შეკრეჭილი. დამწყობი სიმღერისა მეღორიაანთ ჭიჭიკა იყო, რომლის ხმა ზარის წკრიალივით ეფინებოდა აბიბინებულ არე-მარეს.

ამ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს პატარა ბიჭუნების ბრბო მოსდევდა სახრეებით, ხელჯოხებით, ჩომბახ-კეტებით ხელში. დიდი აღელვება და აღტაცება ეტყობოდათ ამათ; ხმამაღლა უბნობდნენ, ერთმანეთს ასწრობდნენ, ურბენდნენ, ეკამათებოდნენ; ხან მომღერლებს წაუვლიდნენ წინ და ფეხებში ედებოდნენ.

— ბიჭო, მე თითონ იქ ვიყავი და ვნახე, როგორც იყო ეგ ამბავი: რომ დასწვდა საპალნით სავსე ურემს ღერძში, ჭარი გაუტარა ურმის თვალს, ააციმციმა.

— ეგ რა არის, ბიჭო! ერთხელ ალოსა ვხნავდით, ონისემ

უღელი გაიდო მკლავებზე, უღლის ერთ თავზე ჩვენებიანთ ალექსა ჩამოეკიდა, მეორეზე ისემიანთ თომა და სამოცი ნაბიჯი გაატარა.

— ბიჭებო, ბიჭებო! ყეენობას რომ მაგან ფაშაანთ ჯუნა დასცა, ძლივსღა წამოდგა დევივით ვაჟკაცი.

— ვნახე! მოგვერდი უგდო და ისე ოხრულად გადმოაგდო, წარბი გაუხეთქა.

— მაგან თუ მოგვერდზე მოიგდო, კამეჩს გადმოიტანს, ძაან ღონე აქვს მკლავში.

— ბიჭებო! დღეს თითქო თავის ქეიფზე არ არის ონისე, ჩაფიქრებული ჩანს.

— ძალიან მოჭიდავეს ამბობენ ქართლელ ბიჭს, ალბათ იმან დააღონა.

— ასლან-ბატონს დაუბარებია ის ბიჭი; თურმე დაჰპირდა, ერთს კამეჩს გაჩუქებ, თუ ონისეს გალახავო.

— ჩვენი ბატონისათვის უთქვამს: დურმიშხან! ისეთს ბიჭს დავიბარებ, დევს ბეჭს მოსტეხსო; შენი ონისე პირის ქარად არ ეყოფაო.

2

გახდნენ ხევს, შეუდგნენ აღმართს. ფერდობს ცხვრის ფარასავით შეჰფენოდა მლოცავი. ზევით ვაკე რამ ადგილი ჩანდა, აქა-იქ ხეებით დაჩრდილული. ეს ადგილი ხალხით იყო გაჭედილი. წითელ-ყვითელით მორთული ქალ-ყრმა, ჭრელ ფარდაგებით გადახურული ჩარდახები აათასფერებდნენ ისეც აყვავებულ მიდამოს.

ამ სერზე, ზედ შუა ადგილას, იყო კვირაცხოველი, რომელიც დიდძალ ხალხს იზიდავდა გარშემო სოფლებიდან. მაგრამ დალოცვილი საყდარი კი არსადა ჩანდა ორკარებიანი; მხოლოდ ყორე რამ იყო ახავსებული ქვებისაგან გაკეთებული, მაყვლის ჯაგებით და ძეძვნარით გარმოდებული. ყორიდან გაოცებული ჯოჯოები იმზირებოდნენ, ქვებში დამფრთხალი ხვლიკები დასლიკინებდნენ. შუაზე ესვენა ხავს მოკიდებულივე ფიქალის ნაჭერი, რომელზედაც კაცის სახე იყო ამოჭრილი, მთელი სახე კი არა, მარტო ცალი თვალი, ცხვირის ნახევარი და დასწვრივ ტუჩ-ნიკაპი. არ ვიცი, საფლავის ქვის ნატეხი

იყო ეს უწინდელი ნაქანდაკები, კერპის რამ ნაშთი თუ ქვაზე ამოჭრილი ხატის ნამტვრევი; მხოლოდ ხალხი დიდ პატივს სცემდა მას, მოწიწებით ევედრებოდა და უფრო მეტ სანთელს უნთებდა, სანამ განსპეტაკებულ ხატს, რომელიც იქვე დაფარნაზე დაესვენებინა ხუცესს.

ან რა საჭირო იყო იმის ძიება, რის ნაშთი იყო ეს ნამტვრევი, როდესაც ხალხის თვალში სწორედ ის იყო კვირაცხოველი-ცხოველი, როდესაც სწორედ ის ნაშთი აგონებ-ახსენებდა ცხოველმყოფელს არსებას, როდესაც ამ ქვის ნატეხის შემწეობით სავსებით სრულდებოდა სამღვთო საქმე?! გახსოვს, ერთი კაცი კუნძზე ხტომით რომ ადიდებდა დამბადებელს? არა? მომისმინე! წმინდანები მიადგნენ ზღვას. ნახეს, კაცს კუნძი დაუდვია და ხან გადახტება ზედ, ხან გადმოხტება. გაუკვირდათ, ჰკითხეს მიზეზი. ღმერთს ვადიდებო, მიუგო. არ გცოდნიაო, უთხრეს; ამოიღეს ხატი, დაუსვენეს, ასწავლეს „მამაო ჩვენო“ და უბრძანეს, ეს ლოცვა თქვიო. მემრე გაშალეს ზღვაზე ანაფორები, დასხდნენ ზედ და წავიდნენ. კაცს ლოცვა შეეშალა, შიგა და შიგ სიტყვები დაავიწყდა. გაექანა ზღვისაკენ, გაშალა ზედ თავისი ჩოხა და გასრიალდა. წმინდანებს რომ მისწვდა, იმათ განცვიფრებით ჰკითხეს გარჯის მიზეზი და როცა გაიგეს, უთხრეს: წადი, ძმაო, ისევ შენებურად ილოცე: ღმერთს შეუსმენია შენი ვედრება, სასწაულის შნო მოუნიჭებიაო.

ყორესთან რომ მივიდნენ ბიჭები, სიმღერა შესწყვიტეს, ქუდები მოიხადეს, მიუახლოვდნენ სიწმიდეს. ონისემ სანთელი დაანთო, დაემხო მიწას და ერთ წამს მხურვალედ შეავედრა თავისი თავი ხატს. წამოდგა, თვალი გადაავლო ყორის გარშემო მომდგარ ქალებს და თავმომწონედ მოიღერა ყელი: იცოდა, გოგოები სურვილით უყურებდნენ ახალგაზრდა ფალავანს.

3

ჯერ მზე საშუადღეოზე არ იყო მოსული, როდესაც ეს ამოდენი მლოცავი ისხდა ჯგუფ-ჯგუფად ნიშის გარშემო მდელოზე და ნადიმობდა. ყოველ მხრივ სიმხიარულე ისმოდა, ყველგან კეთილი მოჩანდა. კაცთ აღტაცებული ძახილი საკრავების

მწყობრ ხმას ეტოლებოდა, დაირ-ნაღარა, თარ-ჭიანური, ზურნა-დუდუკი ხმას იმაღლებდნენ, ცამდინ აჰქონდათ კაცთა ხადილის ამბავი. ყველა იღიმებოდა, იცინოდა, მღეროდა, ცეკვავდა; მხიარულობდნენ ხატის კარს.

რატომ არ უნდა ემხიარულნა ქართველს მეუფისას, როდესაც ყოვლად მოწყალეს მიუნიჭებია მისთვის ტურფად შემკული ქვეყანა, ამ სოფლადვე სამოთხისებურ წალკოტში დაუმკვიდრებია ის? ქართველს ღვთის კარს მისვლა სასიამოვნოდ მიაჩნია, როგორც ქორწილში წასვლა და ამისათვის საქორწილოდ ირთვება ამ დროს, პირს ღიმი უქრის. რა აქვს მეუფის სახლში დასაღონებელი, რომ ცხვირი ჩამოუშვას? ან როდის ბრძანა ყოვლად კეთილმა, ჩემს კარს ნუ იმხიარულებთო? თუ გიყვარვართ, ნუ დაუშლით ქართველს საყდრის კარს ლხინს! რას გიშლით იმისი მხიარულება? ორიათას წელიწადზე მეტია, რაც ღვთის ვედრება სამხიარულო საქმედ მიუჩნევია ქართველს და რად გინდათ ეხლა სამგლოვიარო რადმე ჩათვალოს ეს? მაინც რა მიზეზი გვაქვს გავებუტოთ დამბადებელს, ან შიშით ვძრწოდეთ მის წინაშე? მართალია, გვსჯის და ადრეც ბევრჯელ დავუსჯივართ თავსუბუქობისათვის, მაგრამ რა ვუყოთ: მთლად ხომ არ მოუძულებივართ, ზურგი არ შეუქცევია ჩვენთვის. მაშ, რა ნება გვაქვს ამისთანა ყოვლად შემძლებელი და მოწყალე მამისას დაღრეჯილი მივიდეთ, თავპირი ჩამოგვტიროდეს მის კარს, ზეთი ჩამოგვდიოდეს?

ხალხი მხიარულობდა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე ადიდებდა შემოქმედს; ვისთვისაც რა ნიჭი მიემადლებინა, იმ ნიჭს იჩენდა, რომ ესიამოვნებინა კეთილთა მომნიჭებელი; დამკვრელი უკრავდა, მელექსე ლექსობდა, მომღერალი მღეროდა, მოცეკვავე ცეკვავდა; მშვენიერები აღარ ჰკრძალავდნენ თავს, მოსდებოდნენ აყვავებულ მინდორს, რომ ყველას ემზირნა მათთვის და მათ გამჩენისათვის მადლი შეეწირნა. თუ კი ყვავილთა სიმშვენივრე გვატკბობს და ცისკენ გვახედებს, ადამიანთა სიკეკლუცე უფრო გულს არ უნდა გვილბობდეს და მადლობის თვალით აგვახედებდეს ზეცისკენ! მაშ სასიამოვნო არ იყო—კაცისათვისაც და ხატისათვისაც სასიამოვნო — როდესაც ოსიყმიანთ თებრონია ჩამობზრიალდა და ეშხით აავსო მაყურებლები? ჯეელებმა ნდომით ტუჩები ააცმაცუნეს. ბოქაულმა მკლავები გაშალა, თუმცა კუდა ტალავარზე

ქართული ცეკვა ისე დამშვენდა, როგორც... მოხუცმა მოძღვარმაც ტაში შეაწია, აკურთხა, პირჯვარი გადასახა გოგონას; ვაი რომ თებრონიას ფაფუკ ფეხს ქუსლიანი ფეხსამოსი ეხამუშებოდა, თორემ ნამდვილად მაშინ ჰნახავდით მის მადლიან ტანის რხევას.

ვისთვისაც მკლავში ძალა მიეცა შემოქმედს, ის თავის ძალას იჩენდა ღვთის კარზე, რომ ყველა ესიამოვნებინა მისდამი მიმადლებული უნარით.

4

საჭიდაო რომ დაუკრეს, ძარღვები ათამაშდნენ; ლაჩარმაც კი იგრძნო ძალთა დუღილი და წელში გაიმართა. ბრძოლა უბრალო მოჭიდავეებმა გამართეს, მაგრამ სხვადასხვა სოფლების გაჯიბრებამ თანდათან თავი იჩინა და ფალავნების რჩევა დაიწყეს. დიდად სიამოვნებდა ხალხი ამ სანახავით. ის კი იყო, მეიდანი არა ჰქონდათ მებრძოლთ, ყველა ზედ აწყდებოდა, თუმცა გზირები სახრეს არა ჰზოგავდნენ მაყურებლების დასაწევად.

— ონისე იხდის, ონისე! — გაისმის ხმა და ხალხს აღელვება დაეტყო.

გზირებმაც ეხლა მეტი ფხა გამოიჩინეს, ადგილი დაატოვებინეს მაყურებლებს. ფარგლის ერთმა კუთხემ იმ სუფრას უწია, საცა ბოქაული და ღვდელი ისხდნენ. ისე რომ ამ საპატიო ხალხს შეეძლო ნადიმი არ შეეწყვიტნა, ისე ემზირნათ სეირისთვის. ზურნამ რომ შეუმაღლა, მარჯვნივ მხრიდან ისკუპა ქართლელმა და მოსაწონი ნარა ჰქმნა: ოთხი-ხუთი ასმით შემოუარა ვეებერთელა წრეს. ამ მარჯვე ვაჟკაცს რომ შეხედეს, ონისეს საქმე საეჭვოდ ჩასთვალეს. გამოვიდა ონისეც. ფერი სცვლოდა. ქართლელმა დაინახა თუ არა ის, დასჭყივლა, შურდულის ქვასავით გაექანა მისკენ და ისეთი სალმა ჰკრა, მუხას მოამტვრევდა; ონისე გადურჩა, თუმცა ძლიერ შეტოკდა. ახლა მეორე მხრიდან დაეცა ქართლელი, ჰკრა ხელები მხრებზე და მახიური გამოუსვა. ონისე გადიზნიქა, მაგრამ შეიმაგრა თავი: საშინელი ძალა ჰქონდა მუხლში. ეწყინა ქართლელს, გაჯავრდა; — ალალივით დაურბინა, ჰსწვდა, მოუკრიფა მარჯვენა მხარეზე ჩოხა, მისცა ბეჭი და მოგლიჯა ვაჟკაცი

მიწიდან. ხალხში კვნესასავით გაისმა უცნაური ხმა. ონისე ბეწვზე გადარჩა: დროზე მოჰკრა მარცხენა ხელი იღლიაში და არ გადაჰყვა. ქართლელმა ეხლა კი იგრძნო მოპირდაპირეს მოუხეშავი ძალა და შეკრთა. შეირკინნენ, მკლავები ჩაკეტეს. ონისეს ქვეიდან მოჰყვა მკლავი, ბაგრამ არას იმჩნევდა: მაჯის იმედი ჰქონდა. ბევრი ეცადა ქართლელი, ბევრი ხერხი მოაგვარა, ბევრი მახე დაუგო, მაგრამ ფონს ვერ გავიდა. დაიღალა ბიჭი. დაიქანცა. ონისე კი თანდთან ფხას იჩენდა. ლომდებოდა. ბოლოს ერთი მედგრად დაიქნია ფალავანი, უგდო მოგვერდი და გადაატრიალა. დასცეს ყიჟინა. აკოცეს. დაასაჩუქრეს. წარუდგინეს ბოქაულს. მოუწონეს სიმძლავრე. მოძღვარმა აკურთხა ფალავანი. მასპინძელმა თასი აუვსო.

— ეს ბიჭი ღირსია ჩვენმა სუფრის თაიგულმა თავის ხელით მიართოს ღვინო, — ბრძანა ბოქაულმა.

— აი სამართლიანი სიტყვა! სწორედ ღირსია ჩვენი ონისე მაგ ჯილდოსი, — დაჰკრა კვერი მოძღვარმა.

ფალავანნი რომ გავიდნენ მეიდანზე, თებრონია წამოყელყელავდა და გულის ძგერით დაუწყო ბრძოლას მზერა. როდესაც პირველში ქართლელი მედგრად დაეცა ონისეს და დაძალა, ქალი სულ ათრთოლდა; გულში კვირაცხოველს ეხვეწებოდა, გამარჯვება ონისესათვის მიენიჭებინა. როდესაც შემდეგ ფალავნები შეირკინნენ და ბრძოლა გაგრძელდა, ქალი ჯერ ცალ მუხლზე წამოჯდა, მემრე მთლად წამოდგა და მზერად გადაიქცა. ქალი ისევ ზეზე იდგა და გამარჯვებულისათვის თვალი ვერ მოეშორებინა, როდესაც სავსე თასი მისცეს ხელში და უბრძანეს ფალავნისათვის მიერთმია, აწითლდა, აიტკრიცა გოგო, მაგრამ, მეტი გზა არ იყო, წინ წადგა ფეხი. ბიჭმა ჩამოართვა თასი, ერთი შეხედა აღელვებულ გოგოს და იგრძნო მედგარი ძალა, რომელიც ელვასავით გამოკრთა ქალის თვალებიდან, შანთივით დაესვა იმის გულს... დაძალა შინდიანური სამფსონი ლელვნარელმა დალილამ, დაიმონა.

5

— რა სიომ დაჰკრა დალოცვილმა! თუ ღმერთს უნდა, მზის ჩასვლამდინ მთლად ავკრეფავთ კალოს, — თქვა დათიამ და ტყავის ქუდი გადიწია, შუბლი ნიავს მიუშვირა.

— შენ თუ ეგრე წამოსჯექ კევრის თავს და ჩიბუხს უმარჯვე, უფრო ადრეც ავკრეფთ, — წაიბუზღუნა ონისემ და გააქანა სავსე არნადი ზვინისკენ.

— შენ ეი! მისამარ ჩუმად იყავ, თორემ ავიღებ სახრეს და იმდენს აგაყვაინებ, ვერ დასთვალო, — შეუტია ბერიკაცმა და მიუბრუნდა ცოლს:

— დახე ამ რეგვენს, როგორ თავს წავიდა ბოლოს დროს!

— რად იცი, კაცო, ეგეთი ლაპარაკი? ვაჟკაცია სახელგანთქმული, განა ბალღია, რომ ცემას უქადი.

— დაჩუმდი, დედაკაცო, თორემ ვნახოთ!

— ამაყვაინებ, განა ბალღი ვარ; ვმუშაობ, თავს არა ვზოგავ, მადლიერი კი არავინ არის.

— რომ მუშაობ, შენს სახლში მუშაობ და შენ საჭმელს; ახლა მადლის ტყავს ვინღა წამოგასხამს.

— ოხრად დარჩეს! ერთი კაცი ვარ, თავს ყველგან დავირჩენ, — თქვა ონისემ, დაახეთქა არნადი კალოზე და გაიარა ეზო.

— დახე ამ... — შეუკურთხა დათიამ და გაადევნა თვალი მიმავალ ბიჭს. ადგა, მოჰკიდა არნადს ხელი, დაიწყო მუშაობა. ერთ ხანს უჩუმრად შრომობდა; ბოლოს გამოეხმაურა დიაცს.

— დედაკაცო, შენ როგორა ჰფიქრობ, რამ გადარია ე ბიჭი?

— კარგად იცი, რამაც გადარია.

— მაშ, თქვენ სიტყვაზე უნდა გამატაროთ, რაღა?

— ბიჭს ის გოგო მოსწონს და ხელს რად უშლი?

— დედაკაცო, მემრე კედელაანთ რაღა პირით შევხედო, რომ სათავისოდ გამოელიან მა ბიჭს; რითი ვწუნობ ან ქალს ან ოჯახს?

— დასაწუნი რა აქვს, მაგრამ ბიჭს რომ გული არ მისწევს. მართალია, კეკა უფრო ლამაზია თებრონიაზე, მაგრამ სუსტი გოგოა, ჩვენი ბიჭის შესაფერი არ არის.

— მაგას კი მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა: თხელი ქალია, ბიჭს კი, შეხე, ბუღასავით დასხვილებია კისერი.

— ჰო და, ნება მიეც, კაცო, თორემ ინანებ: ე საქმეზე ხომ გული აიცრუვა, ახლა ქალაქს აპირობს წასვლას, იქ ვიმუშავებო.

— რაო? ქალაქსა? სახლ-კარს ვიღას ინაბარებს სტოვებს, ხედავთ, გავტყდი, დავუძლურდი.

— ისე მოაწყე, რომ აქვე დააბა ბიჭი, თორემ, გახსოვდეს, მთლად გულს აიყრის აქაურობაზე, — მიუგო ცოლმა და განაგრძო კალოს გვა, რადგან შეატყო, რა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მისმა სიტყვამ.

— განა არა, არ მეჭაშნიკებოდა, რომ მალ-მალ მიჰყვაწდათ ბიჭი ქალაქს საჭიდაოდ: ფულს შოულობდა და ამფსონებს იჩენდა. თუ ერთი იქაურ წყალს დაეწაფა, აქეთ ველარ ვაქნევინებ პირს. მაშინ ხომ დამინიავდება მამაპაპეული ოჯახი, ან რას უნდა გახდეს ქალაქში? ჩვენი კაცი მანამ არის ღონიერი, სიხამ ნიადაგზე უდგა ფეხი; თუ მიწას უმტყუნა, ამსუბუქდება, გაქსუვდება, იქნება რამე ავაზაკობასაც გადააწყდეს. ეი! დედაკაცმა თუ გაიწია, ამირანს აითრევს. სწორედ ამის მოგონებულია ეს ჯოჯოხეთური ხერხი. მეტი რა ღონეა, უნდა დავყვე, — ფიქრობდა ბერიკაცი.

— ადამიანო! — აიმაღლა ხმა, — აქვს რამე მზითევი ოსიყმიანთ გოგოს?

— არ ვიცი! ან რად გინდა სხვისა რამ; ისე როგორ დავქვეითდით, ერთი გოგო ვერ შევინახოთ.

— შენახვა კი არ გაგვიჭირდება, მაგრამ ქვეყანაა; იტყვიან, შეეხვეწნენ, ცარიელ-ტარიელი შემოიყვანესო.

— რას დაეძებ, რას იტყვიან! ან ცარიელს რად გამოუშვებენ... ჯანსაღი გოგოა, მხარში ამომიდგება, ოჯახის ბურჯი შეიქმნება. ჩვენი ბიჭი გაგიჟებით უყვარს და ესეც ერთი ღვთისწყალობაა.

— სწორედ მოგაჯადოვათ გოგომ შენცა და შენი შვილიც! — მიუგო დათიამ.

და განაგრძო მუშაობა. მემრე შესდგა, დაეყრდნო არნადს და გასძახა შვილს;

— ონისე, ჰაა ონისე! რასა გდიხარ მანდ, ხელები დამაწყდა.

ონისე ზლაზვნით წამოდგა, წამოვიდა. შეხედა დედას, შეატყო, მისდა სასურველად მიხრილიყო საქმე და დატრიალდა თავისებურად. მამამ ისევ ყალიონი ააბოლა.

— აფსუსი არ არის ამისთანა მიწის მუშა ქალაქმა ჩაითრიოს თავის წუმპეში, — გაიფიქრა იმან და ხმა აიმაღლა:

— ბიჭო, ონისე, ჩვენი ჭროღა ხარი ძაან დაძაბუნდა; კბილებიც აღარ ერჩის, რომ ჩალა გაღეჭოს.

— მუხლშიაც მოწყდა. კალოში ძლივს დაათრევს ფეხებს და გუთანში როგორღა გამოდგება. წავალ ქალაქში და ვიყიდი სხვას.

— ძალიან გაიკვალე ქალაქის გზა. ვინ იცის, რას შემოგატყუებენ.

— მაშ რა ვქნათ?

— რა ვქნათ და იმდღეს მითხრეს, ოსიყმიანთ კარგი მოზვერი ჰყავთო გასაყიდი. გადადი ლელვნარში და შეევაჭრე. უბრალოდ კი არ ჩააყარო ფულები.

ონისემ თავი ჩაღუნა და მუშაობას უმატა.

— რას გაჩუმებულხარ, ბიჭო? ხვალვე გადადი! კალო კი ჩაუშალე დილით, თორემ მე აღარ შემიძლიან. შუადღემდის კიდეც გადმოიყვან.

6

ჯერ სად იყო განთიადი, როდესაც ონისე ასულიყო ზვინზე და ძნებს ისროდა. რიჟრაჟზე ჩაშლილი იყო კალო და მემრე რა მადლიანად! ისე აეწეწა სალეწი, ვაჟკაცს სარტყლამდინ სწვდებოდა. გადააბრუნა კევრებიც და აათრია. სოფელში რომ ხმაურობა ჩამოვარდა, ონისე უკვე სალამაზოდ ირთვებოდა, კიკინებს ისწორებდა. გაუდგა სასიხარულო გზას. ჯეირანივით მიხტოდა. საცა რუ დაუხვდებოდა, ჩომბახს იბჯენდა და იმოდენაზე ხტებოდა, თითქო ალგეთზე ფრინავსო. მზის ამოსვლისას კურდღელს წააწყდა, რომელიც გზის პირას ბალახსა ჰკიკნიდა. შეუჭყივლა, გამოეკიდა. რა საკვირველი იქნებოდა, რომ კიდეც დასწევოდა. ფრთები ჰქონდა ბიჭს შესხმული და ფრინავდა.

— ნეტა მარტო დამხვდეს გოგო, რომ სათქმელი უთხრა და გული ვიჯერო. ვეტყვი: ვარსკვლავი ხარ ჩემი ხარიპარია; ისე მიშუქებ, როგორც ჭრაქი ბნელაში. ერთი შენი ნახუქა ლოყები ჩამაკბეჩინა! ისე შეგინახამ, როგორც თვალის ჩინს; გაგიფრთხილდები, როგორც ხარის ქედს. რა ძირს იხედები, შე დასანელებელო! შავფხის ულვაშებივით არ დაგიფენია წამწამი! ერთი შემომხედე და! ვინ იცის, გოგო, რეებს მოგიტან; სულ ქიშმიშით გამოგზრდი! — ოცნებობდა ონისე.

ჯერ პირველადაც არ იყო კალო ნაქცევი, როცა ონისე მიუახლოვდა ლელვნარს და არწივივით მიავლ-მოავლო თვალი. ოსიყმიანთ მთელი ოჯახობა კალოზე დაინახა. ძაღლიც კი იქ ეგდო; მხოლოდ თებრო არსადა ჩანდა

— ალბათ შინა ფუსფუსებს, — გაიფიქრა ონისემ და გაეკრა ღობეს. გასცდა ბაღს, გაიარა სახლსა და ბაკს შუა და შედგა. გაიფიქრა:

— საჭიდაოდ გასვლისას რომ მეშინოდეს ესე, გაულახავი არ გადავრჩებოდი!

გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და პირდაპირ თებრონიას წაადგა თავს.

ჩრდილი რომ შედგა დერეფანში, გოგო წელში გაიმართა, შეანათა ბდღვრიალა თვალები მისულს. ბიჭის დანახვაზე მთლად აიტკრიცა; თავსაფარის ყურს ხელი აიკრა, სახე აიხვია; ერთი გაუღიმა თვალებით და დაიხარა, ისევ გვა დაიწყო. ონისეს ნატვრა აუსრულდა, მარტო ჩაიგდო გოგო, მაგრამ რაღ ენა დაუდუნდა, ხმა ჩაუწყდა, სათქმელი კერ უთხრა. ისე დაეფანტ-დაეშალნენ სიტყვები, როგორც ალალის წამოქროლაზე ჩიტები. დაეყრდნო ჩომბახს; დაუწყო მზერა პირდაღრენილმა. დახრილ გოგოს გუნდებივით ძუძუები გამობუშტოდნენ კაბიდან და ცოცხის ყოველ გაქნევაზე ოდნავ თამთამებდნენ; ბეჭებიდან გადმოვარდნილი ჯამბარასავით ნაწნავი მიწას სწვდებოდა; აფუებული ფეხები აზრუმულ ჩუსტებში ვერ ეტეოდნენ, აბურთებულიყვნენ. ცოცხი ეთამაშებოდა ბუცუცებს: ხან ერთს გაუქროლებდა წინ და გაჰკრავდა ტოტს, ხან მეორეს; ხან გვერდზე შემოურბენდა რომელსამეს და ზედ გადაევლებოდა, თეთრ-წითელ კვალს გადაავლებდა. ონისემ თვალი ვეღარ მოსწყვიტა ცოცხის ცელქობას, აპირთავდა ვნებათა ღელვით და ნამეტნავისაგან გულისა მიეხმატკბილა გოგონას:

— შეგიჭამე ცოცხი!

[1901 წ.]

ᲣᲫᲚᲔᲑᲘ

1

Ჯთლად ახალგაზრდა ვიყავ, ახლად კურსშესრულებული და ქვებიც ვარდისფრად მეჩვენებოდნენ. გული მიმღეროდა, ყველაფერს შევტრფოდი, ყველას შევხაროდი, ვეალერსებოდი. ყვავილობის დრო იყო დალოცვილი! დამენანებოდა იგი წარსული, თუ ცოდვად არ მიმაჩნდეს სინანული. მაინც რა შნო აქვს დანანებას, თუ წარსულს ვეღარ ეწევი?!

ამ დროს ჩამაბარეს საკმაოდ სამძიმო საქმე: მგლეთში უნდა ავსულიყავ სასწავლებლის დასათვალიერებლად. ეს მოზრდილი სოფელი აღბულაღის დასწვრივ არის გაშენებული, ხრამის პირზე. ქართველობა შერჩენია სოფელს. ქალი იყო Მაშინ მგლეთში მასწავლებლად. არ მესმის, რად ამირჩიეს მე, ის კი ვიცი, ჩემზე კარგს ვერვის გაგზავნიდნენ, ჩემზე მარჯვედ და ეშხიანად ვერვინ შეასრულებდა იმ საქმეს.

ისე ვიყავ ხალისით სავსე, ისე მერჯოდა გული, რომ გათენება ვეღარ მოვიცადე: ღამიანად გავუდექ გზას. სოლოლაკის აღმართს რომ ავედი და თბილისს თავს მოვექეცი, ისევ ბინდ-ბუნდი იყო. ქალაქს ჯერ არ გაჰღვიძებოდა, გუგუნი კი რამ მოისმოდა გამოურკვეველი: იშმუშნებოდა. რაც ზევით და ზევით ვიწევდი, კოჯრის სიო უფრო ძლიერდებოდა და დასიცხულ კაცს საგრძნობლად მისისინებდა. როცა ოქროყანას დავუპირდაპირდი, ცა მაშინ შეფერადდა. დუქანი დავინახე გზის პირას და არაყი დავალევინე მეეტლეს, გამოვაფხიზლე. მეც დავლიე· კარგია, სისხლს აჩქროლებს, კაცს ახალისებს. ტაბახმელის დასწვრივ მუშა ნამგალს ატრიალებდა. ხელეური გადმომაგებეს. მანეთი ვაჩუქე და ვაკოცე. ზინზლის სუნი ასდიოდა. სუნნელებით გაჟღენთილი ხელსახოცი მოვის-

ვი ცხვირზე. რამდენიმე მისახვევ-მოსახვევი კიდევ და მეეტლემ დაჰკივლა ცხენებს: გრიალი მივიტანეთ ფოშტის სადგურზე.

2

გამგედ ყმაწვილკაცი იყო, მიმზიდველი სახის შავ-შავი ახალგაზრდა. შრომა გაეწია, სახლის წინ კოხტა ბაღჩა გაეშენებინა. ამ ბიამან ადგილას საამო რამ კორდად მოჩანდა ეს ამწვანებული საგრილობელი. ბევრი კი არა იყო რა შიგ, მაგრამ ყველაფერს მოსიყვარულე კაცის ხელი ეტყობოდა. მეტადრე მშვენივრად იყო მოწყობილი გუმბათივით მოყვანილი თალარი. ლობიო, ფათალო და გოგრა ძმურად ახვევოდნენ სვეტებს და ბუჩქად შეკრულიყვნენ ზევით. გარს ტანმალალი ლილიფარა შემოსჯროდა. ისე შეჰხაროდა ყმაწვილკაცი ამ გალაღებულ მცენარეებს, როგორც იონა აყიროს. ბუნებით ბინადარ კაცად აგებული, ცხოვრებას ეულად გადმოეგდო ბიამანზე, მაგრამ თავისას არ იშლიდა ის: იქაც ბუნაგობდა. ღიმილით გადმომეგება. ისე მიმიღო, როგორც ძვირფასი სტუმარი.

— ქალაქიდან გახლავან ესენი, — მიმითითა თალარისკენ, — საკუთარი ეტლი აქვთ; დაგვიანებისა ნუ გეფიქრებათ, ეხლავე შეგიბმევინებთ.

გავიხედე, ბაღჩის გვერდზე ორი ეტლი იდგა, ისეთი კეწკეწი და სუბუქი, რომ სადგურისა არ უნდა ყოფილიყო ისინი. მადლობა გადავუხადე მასპინძელს და მივაწოდე ვინაობის ქაღალდი.

3

ბაღჩაში, თალარის გარეთ, ორ ვაჟკაცს ეძინა გაუხდელს. ერთს ევროპულად ეცვა სულ უჯრა-უჯრა, წითელი ყელსახვევი გვერდზე მოჰქცეოდა, თეთრი გულისპირი ღვინითა ჰქონდა შეღებილი, ფართო კალთებიანი ჩალის ქუდი სახეზე ეხურა; ხვრინავდა. მეორე ქართულად იყო მორთული; ქვაზე იყო მიწოლილი, თავქვეშ ლეგა ფაფახი ამოედო; ხანჯალი დასთავქვეოდა, ქარქაშიდან წამოვარდნილიყო. შიგ თალარში სამ ქალს ეძინა; ზოგს მუთაქა ედო თავით, ზოგს ბალიში, ერთს

საბანიც ეხურა. ლოგინი შეპოხილი; ეტყობოდა, იქვე სადგურში მოენახათ, მხოლოდ ერთი ქალი იწვა ფურფუშებით მორთულ სუფთა ბალიშზე; თეთრად გადმოდებულ მძიმე მკლავზე ძვირფასი სამაჯური უბრწყინავდა. თალარის შუა მაგიდას დაჰყრდნობოდა შალშემოხვეული ახალგაზრდა და ეძინა. მის წინ უხვად ეყარა ნამუსრავი: ყველი, თევზი, ძეხვი, კუპატები, ძვლები, მწვანილეული, ნაფცქვენები; შიგადაშიგ ბოთლები, ხელსაწმენდები და ათასი სხვა. ონავრობა ჩაედინათ და ნაომრისათვის ჯერ ხელი არავის ეხლო.

ჩვენ ხმაურობაზე თალარში მყოფ ვაჟკაცს გამოეღვიძა; აიღო თავი და ერთხანს გაშტერებით გაჰყურებდა სივრცეს, მემრე შეიშმუშნა, თვალები მოიფშვნიტა; გაიღიმა, როცა აათვალ-ჩაათვალიერა სუფრა და გარშემო მწოლარენი. ადგა, თეთრ ქალს საბანი გადახურა. მუქი რამ კაცი იყო, ნუჟრიანი; მითეთქილ სახეზე სიმწვანე გადასდიოდა; ფაჩხატი წვერულვაში მოსდებოდა; განივრად გახლეჩილ ბაგეს მომხო ტუჩები მოსჯროდნენ. სადად ეცვა მიხაკისფერები.

— ქალაქში ცხელა და წუხელ აქ წამოვასხი ეს ჩემი მეგობრები, — მიმითითა იმან და ისე ძმურად გამიღიმა, რომ გული შემეარდა იმაზე.

— ქალები ადგებიან და ჩაი მზად უნდა დავახვედრო, — განაგრძო და გასძახა ბიჭს.

გამოუტანეს ჩაიდანი. დაიწყო ჩაის მზადება. მეც მივეშველე.

— იცი, დათიკო, — მეუბნებოდა ძმურად არჩილი,—ქალების მონადა ვარ გაჩენილი, უცნობნი არიან ისინი თუ შინაურნი. დაიხსომე! დილიდანვე არ უნდა აურიო ქალს გუნება, თორემ მთელ დღეს მოგიშხამავს. მეტადრე ა ის თეთრი ქალი! ხედავ რა ფაშაა?! დაახრანტალებს თუ არა, მაშინვე ლუკმა უნდა მიაშველო, თორემ შენ გადაგყლაპავს.

— როგორც ზღაპრული ფასკუნჯი.

— ერთ ალაგას რომ საჭმელი შემოაკლდა, ზედ მჯდომმა კუნთი გამოიჭრა, ის მიაშველა.

— მერმე ხომ თითონვე გაუმთელა ფაშკუნჯმა, ფრთა რომ მოუსვა.

— მეც მაგ იმედით ვცდილობ, თავს არა ვზოგავ მაგათთვის.

ბიშალა ხალხი. გავაჩაღეთ ჩაი. გავხსენით რომი, ისე მოვეწონე არჩილს, რომ თავისი სატრფო ჩემ მზრუნველობას მოანდო. ვლაღობდით, ვიცინოდით, ვხარხარებდით, ვთქართქარებდით. ვის რას ვუშავებდით?!

4

ცოტა ხანში დიდი ხნის მეგობრებივით დავახლოვდით: აღარ გვეთმობოდა ერთმანეთი. არჩილმა მოინდომა მგლეთშიც თან გამომყოლიყო.

— აქ მომეწყინა, ქალაქში ჩაბრუნება არ მინდა ამ სიცხეებში; მოდი, ერთად ვიმგზავროთ! — მითხრა იმან, როცა გაიგო, სად მივდიოდი.

— სასიამოვნო იქნება! — მივუგე მე. რას ვაგებდი?!

ამფსონებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, სიხარულით ცას დაეწივნენ, მეტადრე ქალები. ქება შეგვასხეს ამისთანა ჰაზრებისათვის. თეთრმა ქალმა ხელი მომცა საკოცნელად.

ჩაის შემდეგ კოჯრისაკენ ავისეირნეთ. ხომ გახსოვთ, რა ახლოა სადგურიდან ის აგარაკი? სულ ნახევარ საათის სავალი თუ იქნება, საუზმისთვის უკანვე დავბრუნდით. სადგურელებიც ჩვენთან შენაყრდნენ. რა სასმელები გვქონდა!

შუადღე გადახრილი იყო, როცა გზას დავადექით. თავიანთ ეტლით წამიყვანეს. არჩილი, თეთრი ქალი და მე ერთ ეტლში ჩავსხედით. დანარჩენები მეორეში. მოსიყვარულედ გამოგვეთხოვა სადგურის გამგე. მიჯაჭვული იყო ბეჩავი და შეგვნატრიდა თავისუფლებას.

დავეშვით ბორბალოსკენ. თუ გივლიათ აქეთ, გეხსომებათ, რა ფრიალოს ჩასდევს გზატკეცილი. ზევით ბუჩქნარი მოსჯრია გზას და ჰფარავს ხევს, ქვევით და ქვევით კი კლდე არის მოტიტვლებული და გზა საშიში. მოჯირიც კი არ ჩასდევს ამ სახიფათოს. ქალაქის ქუჩებს ნაჩვევი ცხენები შიშათა თრთოდნენ. ელმაცრივ ჩასცქეროდნენ ფრიალოს, კლდისკენ იწევდნენ. არჩილი წინ გვეჯდა. ეტლი რომ დათავქვევდა, ძალიან შეკრთა ჩვენი ქალი; როცა ეტლმა ქანაობა დაიწყო ნაპრალებზე და ლოდებზე, ქალმა წივილ-კივილი ასტეხა. გვეშინოდა ხმაურობაზე ცხენები არ დამფრთხალიყვნენ, მაგრამ ველარ დავაჩუმეთ ქალი. არჩილმა ხერხი მოიგონა: თითონაც ჩემკენ გად-

მოჯდა, ქალს აქეთ-იქიდან მოვხვიეთ წელზე ხელი და მუხლებზე გავიმაგრეთ. აღარ ეშინოდა, დამშვიდდა. ვაშლოვნის ხევს რომ გავცდით, მაშინღა ამოვისუნთქეთ თავისუფლად. ბოთლი გავხსენით, მადლობა შევწირეთ უფალს.

ასურეთი მზით გავიარეთ. საღირაშენში ვახშამი ვჭამეთ და თვალი წავიტყუეთ. ათი საათი იქნებოდა დილისა, მგლეთში რომ შევედით.

5

მგლეთი დაფენილ ადგილას ყოფილიყო. ბექს რასმე გადავადექით და წინ გაგვეშალა სოფელი. გამოჩნდა თეთრი საყდარი, მის ახლო თეთრადვე შელესილი სახლი; მაშინვე ვიგრძენი, სკოლა უნდა ყოფილიყო ის. შევედით ეზოში. გაკვეთილი ჯერ არ გათავებულიყო; ღია ფანჯრიდან მასწავლებლის ხმა გამოდიოდა. შეგვიპატიჟეს. მანამ ტანსაცმელს ვიცვლიდით, გაკვეთილიც გათავდა.

მასწავლებლად ახალგაზრდა ქალი გამოდგა, თეთრ-წითელი თმა ჯალჯივით ეყარა, შუათანა ტანისა იყო, მკვიდრად ჩასხმული. სახე რომ ცოტა მოკლე არა ჰქონიყო, სწორედ ლამაზი იქნებოდა. სანდომი რამ კი ჩანდა, მადიანი. კოხტად დაკერცხილ ხელებზე ეტყობოდა სუფთა ჩამომავლობა. რწმუნების ქაღალდი რომ მივართვი, ფერმა გადაჰკრა, ლურჯი თვალები დაუგანიერდა და მის სახეს მიმზიდველობა მიემატა ჩემთვის, იქნება იმისთვის, რომ მისმა შეკრთომამ სიბრალული აღძრა ჩემ ვულში.

— მოგელოდით, ბატონო, და შევირდები არ გავუშვით.

სუფთა ხმა ჰქონდა, წკრიალა. გავაცანი სტუმრები.

— მდიდარი ხალხია, განათლებისათვის თავდადებული! მოისურვეს ჩემთან ერთად თქვენი სკოლის ნახვა.

ქალებმა აკოცეს მასწავლებელს, ვაჟებმა ხელი ჩამოართვეს მოკრძალებით.

ყმაწვილების გამოცდას სამი-ოთხი საათი მოვანდომე. მემრე წიგნთსაცავი, დავთრები და სკოლის ყველა მოწყობილება გამოვიკვლიე. ბევრი ნაკლი ვნახე, სასწავლებელს ბევრგან ეტყობოდა გამოუცდელი ხელი. მინდოდა ცოტა მკვახედ მენიშნებინა ქალისათვის ყველა ეს, რომ დაჰხსომებოდა, მაგ-

რამ მე მხოლოდ ვთხოვდი საქმე გაესწორებინა, რადგან ყველა ჩემ შენიშვნაზე ისე საწყლად გააღებდა იმ დიდრონ თვალებს, რომ გული მიკვდებოდა.

მაინც ყოველთვის გული მტკივა, როცა ქალსა ვხედავ ლუკმის საშოვარზე გასულს, გასათხოვარ ლამაზ ქალს. ძნელი საქმეა ჯაფა, დღიური საზრდოსათვის შრომა! ღვთის რისხვა არის ადამიანისთვის მუშაობა, გამჩენისაგან სასჯელად მიცემული. საჭმელის საშოვრად ოფლის ღვრა იმ უბედურ ნაბიჯის შედეგია, რომელიც უნებლიეთ გადადგა კაცმა მდიდარ და თბილ ადგილებიდან მწირ და გრილ ქვეყნებისკენ, რომლებიც აღმოაცენებენ ეკალსა და კუროსთავსა, სადაც ტყავი უნდა შეემოსა ადამიანს, რომ აეტანა იქაური სასტიკი ჰავა. მანამდე რა უჭირდა კაცს? ბუნებას თავისი უხვი კალთა მის გარშემო დაებერტყა და ყველაფერი იქვე ჰქონდა, საჭმელიც და საგრილობელიც, ღვთის ბრძანებით მიცემული. ლუკმისათვის ჯაფა! მხოლოდ მონა და მონად დაბადებული შეაქებს ამ შრომას, რომ გული გაიკეთოს სატანჯველში. თქვით, თუ მეტი გზა არ არის, უნდა ვიმუშაოთ, ოფლი ვიწუროთ-თქო, თორემ ჯაფისადმი გულწრფელი ხატობა! არ მესმის, არცა მწამს.

შრომა მწარე ხვედრია მამაკაცისა, როგორც უფრო ძლიერისა. შრომას ძალ-ღონე უნდა, ოფლის ღვრა სჭირია და ეს ძნელია ქალისათვის: იგი ხომ უფრო სუსტია, უფრო მეტ ავადმყოფობათა ბუდე. ქალის დანიშნულება სხვაა: იგი დედაა! იმან უნდა ხორცი შეასხას მომავალს და ააღორძინოს იგი, იმან უნდა ამრავლოს ტომი და განაგრძოს იგი. ეს არის ბუნების ჰაზრი და გამჩენის ნება. ამისათვის არის, რომ სასძლოდ მოწიფულ ქალს შრომა, ლუკმაპურისთვის ოფლის ღვრა ვერა ჰყოფს გულსავსედ, ვერ აკმაყოფილებს, პურისათვინ დრტვინვაში გატარებული დრო დაკარგულია მისთვის. ერისათვისაც დაკარგულია იგი დრო! მიმდინარი ჟამი უფრო და უფრო აშორებს ქალს მის დანიშნულებას და ასევდიანებს. დარდობს ქალი. მაშ ხელი გაშალოს და ჩამოუაროს, როცა ხედავს, უკეთეს ხანს თავის ცხოვრებისას, იმ ხანს, როცა ძალ-ღონით, სიცოცხლით და სურვილებით სავსეა, როცა შეუძლიან საუკეთესო ნაყოფი გამოიღოს და სიხარულით აღზარდოს იგი ნაყოფი, როცა ხედავს-მეთქი, რომ იმ საუკეთესო ხანას თავის ცხოვრებისას, ყვავილობის ტურფა დროს, სხვა რამ საქმეს ანდომებს, უგემურს.

ბუნებაც რისხავს და სჯის მიზანაცილებულს, მის ურჩს, მის მგმობელს, მის უარმყოფელს: სამ-ოთხ წელიწადზედ ისე იბუგება აკოკრებული გოგონა, რომ თვალცრემლი მოსდის გულჩვილს. მასწავლებლობა ხომ მთლად აშრობ-ახმობს ქალს, სისხლსა სწოვს გულიდან და ჰფიტავს, ფერს უკარგავს, ძარღვს უდუნებს, ვარდს უჭკნობს, სახიდანა შლის, ადუხჭირებს, აბოროტებს. ჩაგიხედნიათ დროთა ბრუნვისაგან მიმჭკნარ ქალწულის გულში? რა ბოღმა ტრიალებს შიგ! სამარის მღილი ბრუნავს შიგ, სამარის მღილი ღრღნის და ხვრელავს მის გულს.

აზია ხომ დიდი მცოდნეა ქალთა ბუნებისა და იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო გამოეყვანა ქალი გულქვ შრომის მოედანზე და მოეცდინა, აეცდინა უწმინდეს მის მიზნისათვის; აზია ყოველთვის ცდილობდა ადრე შეეყვანა ქალი იმ წალკოტში, საცა უხვი ბუნება დაუცხრომლად წარმოშობავს ახალ ქმნილებებს.

თუ გიყვარვარ, გახსოვდეს, რომ აზიელი ხარ! აზია კალთაა დედაჩვენისა! თავმომწონედ აღიარე ეს და ეცადე აზიურ მცნებებზე მოაწყო ცხოვრება. გააუმჯობესეთ იგი მცნებები, ფრთები შეასხით მათ, ახალი ძალა მოჰბერეთ მათ, მაგრამ უარნუჰყოფთ, ნუ ამოაგდებთ ფესვიანად ჩვენ ხეხილს უცხოური ნერგისათვის, ეცადეთ დაიცვათ და გაავრცელოთ ჩვენი მცნებები, დიდი შრომით და გამოცდილებით, დიდი მოაზრებით დასკვნილი ჭეშმარიტებები!..

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მე სკოლას და ყმაწვილებს ვსინჯავდი, ჩემი სტუმრები ძალიან წყნარად იყვნენ, ზრდილობიანად იქცეოდნენ და მოწიწებით. რამდენიმე შესაფერი კითხვაც მისცეს ბავშვებს და ცოდნა გამოიჩინეს. თეთრმა ქალმა ორჯელ-სამჯერ მანიშნა და დამაწყნარა, რადგან მაინც ვღელავდი და ხმას ვიმაღლებდი ხანდიხან. არჩილი კარზე იყო, რაღაც განკარგულებებს აძლევდა.

6

ხალხი იკრიფებოდა სასწავლებლის ეზოში. მღვდელი, მებატონე, მამასახლისი და ვიღაც ჯარში ნამყოფი მერუსუღლე ხომ ჩემთან იყვნენ და თვალ-ყურს ადევნებდნენ ყმაწვილების გამოცდას, სხვები ფანჯრებიდან იყურებოდნენ ან კარებს

მოსდგომოდნენ. თანდათან ივსებოდა მიდამო, ხმაურობა მატულობდა.

მოვრჩი ჩემ საქმეს, გამოველ და თვალი გადავავლე იქაურობას. საყდრის გვერდზე ცხვრებს აფეშხოვებდნენ, აქეთ დედლებსა ჰფუფქავდნენ, იქით ინდაურებს ასუფთავებდნენ; ცეცხლი დაეგზნოთ, თხილის შამფურებს სთლიდნენ; მოეზიდნათ პური, ჭურჭელი, ღვინო; სოფლიდან დართული ქალ-რძალი მოეფინებოდა; ბავშვები დარბოდნენ, მიჰქონდ-მოჰქონდათ, ემსახურებოდნენ, მორბედობდნენ. ყველა სამზადისში იყო. გამიკვირდა! გავიფიქრე, ჩემ დასახვედრად ემზადებაო-მეთქი ხალხი და მიამა.

არჩილი ჩინარს მიჰყუდებოდა და გატაცებით ელაპარაკებოდა ქუდმოხდილ ნაცვალს. მალე გამოირკვა საქმე: არჩილი უმასპირძლდებოდა სოფელს. დამინახა, ღიმილით წამოვიდა ჩემკენ.

— მინდა ერთი მოვალხინო სოფელი. ჩემი მოსვლა დავახსომო.

— რამ გაფიქრებინა? ხომ დიდი ხარჯი მოგივა.

— იმოდენა, რაც ერთ ღამეს აბრაგუნეს ბაღში.

— მაშაო! — მიუბრუნდა მოძღვარს, — გთხოვთ პარაკლისი გადაგვიხადოთ, სკოლა დაგვილოცოთ!

პარაკლისი ეზოში გადავიხადეთ. შეგირდები გალობდნენ მასწავლებლის ლოტბარობით. ხალხი ხალისიანად ლოცულობდა. ეშხზე მოსულმა მღვდელმა იაზმაც იხადა და გულიანად გვასხურა წვერმოცვეთილ უსუპით. არჩილი ემთხვია და ოქრო ჩაუდო მოძღვარს. პარაკლისის შემდეგ არჩილმა ორიოდე სიტყვით მიჰმართა ხალხს: გადულოცა სკოლას ხუთი თუმანი და უსურვა აღორძინება; სთხოვა ხალხს ეს ღირსსახსოვარი დღე მხიარულად გაეტარებინათ. ღიმილი გადაეფინა ხალხს, მადლობა მოახსენეს. წავდეგი მეც და დავიწყე, ბევრი ვთქვი და კარგები, ხელოვნურად ავკინძე გამონასკვული სიტყვები, მაგრამ ვერავინ გავიტაცე, ვერც ავაღელვე: ის სარჩული აკლდა ჩემს ხმას, არჩილმა რომ დაუდო თავის თქმას.

დავსხედით სადილად. სუფრის თავში არჩილი დასვეს. მარჯვნივ ჰკ მოვუჯექ, მარცხნივ მასწავლებელი. შეიქმნა სმა-პურობა, დატრიალდა ჯამი, აგუგუნდა სუფრული, აყრიალდა

დაირა, ჩამოტრიალდა ახალგაზრდობა, ტაშის ხმა ღრუბელს უწევდა.

არჩილი აუჭიკჭიკდა მასწავლებელს, ხოტბა შეჰფინა ენატკბილად, ეალერსა რაინდულად, თავს შემოევლო ნარნარად: მეშვიდე ცამდინ ასწია გოგონა.

გასჭრა ღვინომ, არია მონასტერი: ყველა მღეროდა. ყველა ცეკვავდა; ერთმანეთს ვეხვეოდით, აღთქმას ვაძლევდით, კეთილს ვპირდებოდით. ბუნებამაც თანაგვიგრძნო: სიხარულით შეიძრა, შეტოკდა, შემოტრიალდა; კარგად მახსოვს, რომ კაკლები ბუქნას უვლიდნენ, ჩინრები თავს გვიკრავდნენ, გვემშვიდობებოდნენ.

მგლეთიდან აღბულაღში წავედით. მთელმა სოფელმა გაგვაცილა. ტკბილად დავშორდით ერთმანეთს, ხვევნა-კოცნით, გამოვეთხოვეთ მასწავლებელსაც. არ ვიცი, ხელზე ვემთხვიე ქალს თუ გულზე, ის კი მახსოვს, რომ მაღალი მკერდი ტალღასავით უღელავდა ცისფერ ფარჩის ქვეშ.

7

მეორე დღეს მოწყენით იყო არჩილი, მეგონა: ნაბახუსევი არის, დათენთილი და მალე გამოცოცხლდება. ვერც საუზმის შემდეგ გამობრუნდა. ამფსონებმა დაინახეს მის შუბლზე ნისლი და ეცადნენ გაფანტვას, თუმცა ამაოდ.

დავათვალიერეთ აგარაკი, ვიგემეთ წყაროები, გავედით საზეირნო ადგილებში, ვსინჯეთ ხალხი. შევიხედეთ სალხინოებში. არჩილი ჩრდილივით დაგვდევდა უკან, უხალისოდ მოაბიჯებდა დაღრეჯილ-მოშვებული. არ იქნა, ველარ მოვხარეთ ჩვენკენ. ხომ არ გგონიათ, გაცემული ემძიმებოდა, ნახარჯი ენანებოდა? აბა! ღღესაც გუშინდებურად აპნევდა საჭურჭლეს, ყველა სურვილს უსრულებდა ამხანაგებს. მხოლოდ სევდა რამ შემოჰყროდა და დაეღრიჯნა, პირი აღარ უცინოდა.

თეთრი ქალიც ერთ ხანს ეცადა თავის რაინდის გახალისებას, მემრე კი მოშორდა, ზურგი შეაქცია ნაწყენმა, ჩემკენ გადმოიწია; წაძრობილი თათმანიც კი მომიცაცუნა სახეზე, ალბათ, იმისთვის, რომ შური აეძრა არჩილში, მაგრამ იმან ყურიც არ შეიბერტყა. მთლად მომეკედლა ქალი.

— რა დაემართა მა კაცს, რომ ეგრე ჩაჭკნა უეცრად, ვინ რა დაუშავა? — ვკითხე ქალს.

— არაფერი! მხოლოდ გუშინდელმა ვარდის კონამ დაუწყლულა მას გული და ვეღარც მოისვენებს, მანამ მკერდში არ ჩაიჭკნობს იმ უცხო ყვავილს.

— რა ყვავილს?

— მასწავლებელ ქალს! ახლა იმის სურვილი ჩაეჭრა გულში.

— ხუმრობ!

— არა! მთელ ქონებას გადააგებს, გულის წადილს კი აისრულებს. რამდენჯერ მიცდია! თვეობით უდევნია ციცინათელასთვის, გველის ხვრელში გამძვრალა, ხელში კი ჩაუსრესია პეპელა. მაშინღა დამიბრუნდება.

— მე კი მხოლოდ უბრალო მოქეიფე ვინმე მეგონა.

— რა მოქეიფე, როდესაც ღვინოსაც კი არა სვამს ხეირიანად; ქალალდსა და სხვა მისთანა ყომარბაზობას არ მისდევს. ჩვენა ვართ მაგისი ბედნიერება. მონაა ხორცისა, ყურმოჭრილი ყმა. დიდი ფული გადუგია ქალებზე, უფრო მეტს წააგებს, მთელ დოვლათს დაანთქამს და მემრე რა დოვლათს.

სხვებსაც მოეწყინათ არჩილის ალერსი და ფულის ქისადღა გადააქციეს ის. მხოლოდ ხარჯის გასაწევადღა მიჰმართავდნენ.

გზაზე რამდენჯერმე დამიახლოვდა არჩილი, თითქო რაღაც უნდა გაემჟღავნებინა ჩემთვის, მაგრამ ყოყმანობდა, ვერა ჰბედავდა. მეც ძალას აღარ ვატანდი: ვიცოდი, უიმისოდაც არ ამცდებოდა მისი საიდუმლო, ადრე თუ გვიან ჩემთვის უნდა გაეზიარებინა თვისი გულის დარდები.

ჩავედით ქალაქს, დავცვალეთ სადარბაზო ბარათები და დავშორდით ერთმანეთს.

8

დადგა ზაფხული და გახურდა თბილისი, გავარვარდა. თუნუქის ბანებიდან ლაპლაპით ადიოდა ბუღი და უერთდებოდა კლდეებზე ნახურებ ჰაერს; ჯოჯოხეთის სიცხე ტრიალებდა ჭუჩებში, მოიტუსა და გაშავდა მიდამო. ვინ დარჩებოდა ზაფხულობით ამ საკირეში, თუ არ დაბმული ან უილაჯო?!

თავისუფლად დავფრინავდი იმ ზაფხულს კოჯრიდან კიკეთს, მანგლისიდან აბასთუმანს, ბორჯომიდან სურამს, სოფლიდან სოფლად. აგარაკებში რამდენჯერმე შემხვდა არჩილი. ამალა ყოველთვის დიდი დასდევდა და მხიარული, თითონ კი გულჩათხრობილი იყო, რაღაც ფიქრით გატაცებული. აგვისტოს მიწურულებში მივაღწიე სურამს. ჩემგან პატივსადები კაცი ბუნაგობდა იქ და იმასთან ჩაველ სანახავად. არჩილი დამიხვდა იქ და იცით ვისთან ერთად? კაკატოსთან! გამოცვლილიყო ვაჟკაცი. მის ტანზე რომ ახალთახალი ტანისამოსი ყოველთვის დაჭმუჭნულ-დასრესილი მინახავს, სახე მითელილ-მოთელილი, გრძელი თმა მინაბდული და მხოლოდ თითებით ნავარცხნი, დღეს გაპენწკილ ტალავარში გამოწყობილიყო, თმა კოხტად გადაევარცხნა, სახე დაებან-დაეწმინდა; მთლად გაჭაბუკებულიყო, გახალისებულიყო. მარტო ახლდა კაკატოს. ამალა თან არ ჰყვანდა.

ქალიც ვეღარ ვიცანი: უფრო გამთქვინებულიყო; მოხდენილად ჩაცმული, მაღალქუსლიან ყვითელ წუღებზე, სააგარაკო არგნით ხელში კუპატივით გაძეკილი ღაჟღაჟა გოგო ერთი-ორად ქცეულიყო. ცოტა აჭარბებდა ქცევაში და გამოცდილი თვალი მხოლოდ ამით შეატყობდა, რომ ქალი ამ კეთილ ყოფას ვერ იყო შეჩვეული, რომ თავისუფლობა და ნავარდობა არ იყო მისი საყოველდღეო ჭარგა, რომ იგი შემთხვევით იყო დღეს იალაღზე.

არჩილი და კატო უმიზნოდ არ ამოსულიყვნენ ჩემ ნაცნობთან: ქალს თბილისში გადასვლა მოესურვებინა და სთხოვდნენ მის სასარგებლოდ სიტყვა დაეძრა.

— გარწმუნებთ, ბატონო, რომ შრომას არ დავზოგავ! — ეხვეწებოდა ქალი.

— უთუოდ აღორძინდება სასწავლებელი ამ ქალის ხელში. მე თითონ ვითავებ ამ სკოლის მზრუნველობას, უხვ შემწეობას აღმოვუჩენ, არაფერს არ მოვაკლებ! თორემ თითონ თქვენი კეთილი თვალი ნახავს ყველაფერს! — ეუბნებოდა არჩილი.

ნაცნობი ხმას არ იღებდა. უსიამოვნოდ აებრიცა ტუჩი, დასავლეთისაკენ მიეღრიჯნა დაჩვრეტილი მომხო ცხვირი, კორტოხის მწვერვალებს მისჩერებოდა. ამ სახიფათო მდგომარეობაში არჩილმა და კაკატომ ისეთი თვალით შემომხედეს, რომ აღარ შეიძლებოდა არ ჩავრეულიყავ საქმეში.

— ვგონებ, პატივსადები უნდა იყოს ამ ბატონების თხოვნა! მე მაინც იმ ჰაზრისა ვარ, მგლეთში კაცი ვინმე უნდა იყოს მასწავლებლად, — მოვახსენე.

— რადა?

— იმისთვინ, რომ მარტოხელ ქალს, ისიც ნორჩს და გამოუცდელს, ძალიან უნდა გაუჭირდეს იქ.

— ბატონი ბრძანდებით, — მიუბრუნდა ნაცნობი არჩილს, — ვეცდები აგისრულოთ თხოვნა.

— თქვენ კი, — მომმართა მე, — ვგონებ შეგიცვლიათ ჰაზრი ამ მცირე ხანში; მოხსენებაში სულ სხვასა ბრძანებდით: ამ ქალზე სწერდით, სოფელს ძალიან უყვარს ის და მასაც შეუთვისებია სოფელიო.

— მართალია, რომ ქალბატონი ეკატერინე გამოჭრილია იმ სოფლის სკოლაზე, მაგრამ მე საზოგადოდ წინააღმდეგი ვარ, რომ ახალგაზრდა ქალებს მივარდნილ ადგილებში ვამწყვდევთ: ვინ უნდა შეჰხვდეს იმ ქალს თავისი საფერი?!

— თუმცა მივარდნილ კლდეებში ბრჭყვინავს ოქრო, მაინც ათასობით მიიკლავენ თავს მის საძებნელად.

— ეგეც მართალი გახლავთ, მაგრამ ვინ იცის, რამდენი მადანია მიუვალ ადგილას ჩამარხული და მხოლოდ შავ კლდეს ანათებს მისი ბრწყინვალება.

ქალ-ვაჟი ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდნენ სურამიდან.

9

კაკატოს სასწავლებელს მალე შეეტყო ფულიანი კაცის მზრუნველობა: მასწავლებლის ყოველივე სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა; რა სასწავლო ნივთი ან სახელმძღვანელო არ შეიძინა სკოლამ ამ მცირე ხანში! არჩილის ჭისა ღია იყო სასწავლებლისათვის.

თითონ კაკატო არაფერს თხოულობდა თავისათვის და კმაყოფილი იყო იმ მოწყობილობით, რომელშიაც წინა ოსტატს ეცხოვრნა. არჩილს უნდოდა გაეუმჯობესებინა ქალის ყოფა და მით დაახლოვებიყო მას, მაგრამ ვერაფერს უბედავდა. ეს კეთილი მზრუნველი ჯერ იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომ ქალთან შედიოდა ხანდისხან და ელაპარაკებოდა, რასაკ-

ვირველია, პედაგოგიურ კითხვებზე. საქმეს მხოლოდ ის აძნელებდა, რომ არჩილს ცოტადღა ახსოვდა ეს საკითხავები და სიტყვას ვერ უსწორებდა ქალს, მასლაათს ვერ უბედავდა. დაჰვიწყებოდა ყველაფერი!

არჩილმა მეექვსემდინ მიაღწია გიმნაზიაში და ადვილადაც სწავლობდა, როდესაც ერთადერთი პატრონი შეიქმნა დიდი ჰამულისა, მას აქეთ ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, რომ თვის სათვალავისათვისაც კი ვეღარ მიეგნო, თორემ წიგნებისათვის სადღა ეცალა. ეხლა შემთხვევით შეისვენა, თავს დაუკვირდა, მაგრამ გვიანღა იყო: კითხვის ხალისი დაჰკარგოდა, წიგნის შრიალი ეჯავრებოდა. უნდა დაჰმორჩილებოდა ბედს და ქალისთვის დაეთმო პირველობა. ასეცა ჰქმნა: მოწიწებით უსმენდა კაკატოს და თავისი მხრივ მხოლოდ საუკეთესო საკითხავებს თუ სურათს უზიდავდა.

მისჩერებოდა ქალს არჩილი და თანდათან იჟღინთებოდა მისი სურვილით, იმსჭვალებოდა მისი ნდომით. იმის მკვიდრად ხაგები ტანი, მორღვეული თვალები, ხუჭუჭი თმა, ნაწნავში რომ ვეღარ ეტეოდა და იბურძგნებოდა, მკერდის ღელვა, ხოხმაკი ტუჩების მოძრაობა — ყველა ეს სასიამოვნოდ აღელვებდა გამოცდილ ვაჟკაცს და აწვალებდა. თითონ ქალი, მისი სხეულის სუნნელება და სავსება იყო არჩილისათვის ტკბილი მუსიკა, თორემ რას ამბობდა ის ან რას კითხულობდა, ეს სულ ერთი იყო მისთვის.

ისე შეუნდა არჩილს ქალი, როგორც მგელს კრავი. სურვილი მოუთმენლად ატოკებდა იმას და ლამის უცაბედად ემოქმედებინა! ძლივსღა იმაგრებდა თავს. იწოდა მით უფრო, რომ ნაჩვევი იყო სურვილების სასყიდლით დაკმაყოფილებას, მაშინვე დაცხრომას. ეხლა შეუძლებელი იყო ალერსის ყიდვა, ამისთანა სურვილის დაჩენაც კი საზიფათო ხდებოდა, რადგან შეიძლებოდა შეეფრთხო ეს ახალი მფრინველი და მისი ჭრელი ფრთებიდან ბუმბულიც კი ვეღარ შერჩენოდა ხელში; სიფრთხილე იყო საჭირო, ნიღაბ-აფარებული უნდა დაახლოვებულიყო ქალს, ცხვრის ტყავში შეხვეული უნდა შეჰპარვიყო კრავს. ესეც იქცეოდა არჩილი: შესციცინებდა, ოხრავდა, წმინდა სიყვარულს ახსენებდა; თვალებს უბავდა.

ქალი მაინც ადვილად შეამჩნევდა არჩილს თაღლითობას, თუ მის გულში მაინც ყოფილიყო ობოლი მარგალიტი მო-

თავსებული, თუ მისი გრძნობა მაინც სუფთა ყოფილიყო და გამჭვირვალე, მაგრამ არც მის გულში ჰქონდა საწყალ ამუირსს ბინა!

10

ქალი სხვა თვალით უყურებდა ჭაბუკს. არჩილი ერთი ჯორკვა კაცი იყო, ნუჟრიანი და თავის აგებულებით ქალს ვერ გაიტაცებდა, ვერც გონებით მოხიბლავდა მსჯელობანაჩვევსს; კაკატოს იზიდავდა მხოლოდ მისი გვარიშვილობა და დოვლათი

განა ესეთ რაინდს ოცნებობდა კაკატო სასწავლებელში?!? მისი ნანატრი ამირანივით ვაჟკაცი იყო შემმართებელი, საფსე გმირული შვენებით, ტარიელივით იყო შმაგქმნილი თავისის სესტანისათვის, ავთანდილივით ზრდილი და ჰაზრიანი, ფრიდონივით ერთგული, ასმათივით თავდადებული; მდიდაროი, დევთა საჭურჭლის მეჭონი.

ოო! მაშინ თვალებს დაუყენებს ამხანაგებს, სწავლაში რომ სჯობნიან ეხლა! რა შურით გახეთქავს ამზრდელ ქალს, უსაძართლოდ რომ ემტერება ეხლა ან იმ მანჭია მასწავლებელსს, ტუჩს რომ აუკრავს ხოლმე.

რა წამოსაყენებელია იმ სხივოსან ქმნილებებთან ვიღაც არჩილი! მაგრამ რა ქნას ქალმა, როდესაც ცხოვრებამ ულმობელი ხელი სტაცა ყანყრატოში და თითქმის გაგუდა? ცხოვრებამ ნელნელა ჩამოაცალა მისგან წარმოდგენილ რაინდს სიმშვენიერე, გატაცებული სიყვარული, სიბრძნე, ქველობა; ერთი თვისებაღა შერჩა მის რჩეულს და იმ თვისებას კაკატო ვეღარ შეეწევა, ეს თვისება არის სიმდიდრე, რომელიც ეხლა ერთადერთ სანატრელ საგნად გახდომია ქალს. პანსიონში ფუფუნებით აზრდილმა მალე შეიგნო ფულის მძლეობა და შისსკენლა მიისწრაფოდა მთელის არსებით; ეხლა ოქროს ჭისსა გაუგორა ბედმა ფეხქვეშა.

— უნდა მაგრა ჩავჭიდო ხელი ამ შემთხვევას! — ფიქრობდა ქალი. — მაშ რა ვქნა, რამ მაცხოვროს? სამი თუმანი ოცდაათ დღეში! ამით უნდა ჩავიცვა, დავიხურო, ვისაზრდოვო, განვითარებული გემო-სურვილი დავიკმაყოფილო, შავ დღეს გავუმკლავდე. დღეში მანეთი! მუშა ვარ კურტნიანი... ამისათთ-

ვის მთელი ოთხი საათი უნდა ჩავჩიჩინებდე ვიღაც ლაწირაკებს. მემრე რა სუნი მოაქვთ ბინძურ ოჯახებიდან! უფროსებსაც თავი უნდა მოვუხარო, უნდა ვმადლობდე, თვალებში შევყურებდე, თორემ ვინ იცის, ჩემ ყოფას რამდენი მშიერი შეჰნატრის სადმე კუთხეში მიჩურთულ-მიდებული.

განა ესე ოცნებობდა კაკატო პანსიონის დარბაზებში! საში თუმანი ჯიბის ფულადაც არა ჰყოფნიდა მას, ეხლა რომ ოთახი უჭირავს, თავის მოახლესაც არ აკადრებდა იმისთანას. ათ საათზე ადრე ადგომა ვის გაუგონია განათლებული ქალისა?! ნაირ-ნაირი სანოვაგე, ახალ-ახალი ტანთსაცმელი, სამკაული, თეატრი, საკუთარი ეტლი. მითომ რატომ არ უნდა მიჰნიჭებოდა ყველა ეს განვითარებულ ქალს, სუფთა ოჯახის შვილს, ახლად გაფურჩქვნილ მარწყვივით გოგონას? სხვებზე ნაკლებია?! აბა ერთი გავიდეს ცხოვრებაში და ეჩვენოს ხალხს! მნათობივით მიიპყრობს ყველას ყურადღებას სხივოსანი. ბატონიშვილი მიეალერსება; ნატვრის თვალად გაუგორდება ფეხქვეშ, ზღაპრულ ხალიჩად დაეგება, ჯადო-სუფრად გაეშლება წინ. აკი ამგვარი პასუხი შეუთვალა მარგალიტივით ბიჭს, რომელიც უეცრად ვანიმსჭვალა მისი სიყვარულით და გაუბედა გულის წადილი:

— შენი ჯამაგირი ხილის ფულადაც არ მეყოფა და რით უნდა შემინახო, თუნდაც წამოგყვე ვიღაც გლეხის შვილს?

ჰა, ჰა, ჰა! როგორ გაშრა ახალგაზრდა! თავის ბრალია: სანეკრე რომ ნახა, სახტომიც უნდა გაეზომა: მართლა და რითი უნდა შეენახა ქალბატონი, როდესაც თავის მაღალი შუბლის მეტი არა ებადა რა.

მერე რად გიკვირს კაკატოს საქციელი? ჩჩვილივე მოსხლიტეს ნამდვილ ცხოვრებას, ბროლის სასახლეში ჩასვეს მზეთუნახავი, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ყველაფერი უზრუნველი ჰქონდა მზამზარეულად, დუგმის შესაკრავადაც კი მოახლე ედგა თავს; ისე ზრდიდნენ, თითქო მის სახელობაზე ათიათასი თუმანი შეუტანიათ ბანკში და დაასრულებს თუ არა, ოქროს ლანგრით მიართმევენ სალაროსაო. წიგნებშიც ხომ უზრუნველ და დიდებულ ცხოვრებასა ხედავდა, საცა ფული ჩეჩქვით იბნეოდა. საიდანღა უნდა შეეგნო ქალს ნამდვილი ცხოვ-

რების ნიშანწყალი? არსაიდან. და აკი ეზიზღა და ემძიმა მას იგი ნამდვილი, თუმცა ცხოვრება კიდევ ხათრიანად მოექცა მას და მაშინვე მთლად არ გადაუშალა თავის მარიფათები.

11

ქალ-ვაჟის ურთიერთობაში ნაზი ამური არ ერია. სად შეეძლო მის ჩჩვილ აგებულობას აეტანა მგლური კავშირი?! შორიდან რომ შენიშნა დაახლოვებულნი, სიხარულით მიფრინდა მათთან და ძალუმად მოზიდა სურვილთა მშვილდი, რომ გაეგმირნა ისინი სიყვარულის ისრით, განუყრელად მიემსჭვალა ერთმანეთისათვის, მაგრამ შეფთხა: ეშმა რამ დაჰხვეოდა მათ გულზე და იმან შეაკრთო. დარცხვენილი დაბრუნდა უმანკო და დიდ მანძილზე ესმოდა ბილწის ხარხარი.

ნაადრევი კი იყო ეს ხარხარი: ქალ-ვაჟი ჯერ ებრძოდნენ ერთმანეთს და ვინ იყო დარწმუნებული, რომელი სძლევდა? ძალიან კი ცდილობდა არჩილი: სიყვარულის ჭურჭში ეხვეოდა, სიფრთხილით უახლოვდებოდა, ეპარებოდა.

ფრთხილობდა ჭაბუკი, რადგან კარგად ვერა ხედავდა ქალის გრძნობას, ვერ იცნობდა მისწრაფებას; ბინდ-ბუნდად კი გრძნობდა, რომ ქალი სურვილის თვალით უყურებდა მის დოვლათს და შესაძლებელი იყო ვერცხლის ბრჭყვიალზე მისი მიტყუება; თანაც ეჭვობდა, ვაითუ, ეხლა მიმტყუნოს ამ ანკესმა და თევზი ხელიდან დამისხლტესო. მაინც სიმდიდრე იყო ერთადერთი ძალა არჩილის ხელში და სცადა მისი სიფრთხილით გადაშლა ქალის წინ. ეს იყო მიზეზი, რომ არჩილს მოხსნილი ჰქონდა ქისა და ყოველ მარჯვე შემთხვევაში ოქროს აპნევდა ქალის გარშემო.

შობის დღესასწაულები იყო მოახლოვებული და ბავშვთა მაშველ საზოგადოებამ კრება მოისურვა ყმაწვილებისათვის საზრუნველ რამე საგანზე. არჩილმა ისარგებლა ამ შემთხვევით და სთხოვა მის ბინაზე შეკრებილიყო ხალხი.

კაკატო ფეხით მივიდა არჩილის სასახლეში. მსახურმა რომ გაულო კარები და შეიწვია გაკაშკაშებულ დარბაზში, ქალმა უნებლიეთ დაიხედა ზედ: მასწავლებლის უბრალო ტანისამოსში უხერხულად იგრძნო თავი და მოიკუმშა. არჩილი ღიმილით მიეგება ქალს, პატივი სცა, გული გაუკეთა.

კარებები ღია იყო. სტუმრები თავისუფლად დადიოდნენ ოთახებში, ათვალიერებდნენ. დიდებულს სადგომს, ძვირფასი ავეჯით და ნივთებით სავსეს, დიასახლისის ხელიღა აკლდა, რომ თვალმომტაცად აფერადებულიყო.

— რა უხერხულად არის მიყრილი ამოდენა განძი! — ფიქრობდა კაკატო. — ვაი, ერთი ნატვრა ამისრულდეს და მაშინ ხახავთ: ღმერთების სადგომს დავაგვანებ აქაურობას. და რა აღვილად! ყველაფერი არის, მცოდნე თვალიღა აკლია, გულშემატკივარი ქალის ხელი.

— როგორ მოვაწყობ! იმ ოთახს საპირფარეშოდ ავარჩევ, ბაღის მხარეა სასიამოვნო; არჩილის კაბინეტი იქითა სჯობია: მოშორებული ოთახია და აღარ შემაწუხებს მოურავთან ჯიჯინით, სასადილო ოთახად ესა სჯობია, თუ სამზარეულო ახლოა, — ოცნებობდა ქალი და ყურს არ უგდებდა, რაზე ბაასობდნენ შეკრებილნი.

არჩილი სუბუქი ვახშმით გაუმასპინძლდა სტუმრებს. სუნნელოვანი რამ ღვინო მიართვა ძვირფასი. კაკატო თითონ არჩილმა გამოაცილა. მოწიწებით ჩაისვა ეტლში. ციოდა. თხელ ქათიბში გახვეული ნათბილარი ქალი კანკალმა აიტანა და უნებლიეთ ახლო მიუჯდა კაცს. არჩილმა რომ სითბო იგრძნო, გადირია, თავი ვეღარ შეიმაგრა და მადიანად ჩაჰკოცნა ტუჩებში.

— რას შვრები, ყმაწვილო? — შეუტია ქალმა და ქოლგა წაატანა მეეტლეს.

არჩილმა მარჯვედ აუკრა ხელი ქოლგას და შეეხვეწა:

— ნუ მიწყენ, კაკატოჯან! შენი ეშხით დამწვარმა ვეღარ შევიკავე თავი, რა ვქნა, რომ მიყვარხარ, რომ ხატი ხარ, სალოცავი ჩემი?! ნუ შემრისხავ, ძვირფასო, ნუ ამიქოლავ შენკენ გზას.

— კარგი, ყმაწვილო! — გამოეხმაურა ქალი მკვახედ და უფრო იქით მიიწია.

— შენ არ იცი, რა გათახსირებულ ცხოვრებას ვეწეოდი აქამდინ. გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად აღმომიჩნდი და განმინათე გზა ცხოვრებისა, — ჩასჩურჩულებდა აღელვებული ვაჟკაცი, მაგრამ ქალი სულ უკან იწევდა.

— აგერ შენი სადგომიც, გამწყრალი ნუ დამშორდები, ცეცხლს ნუ ჩამიდებ გულში, მომიტევე შენი მშვენიერებისა-

განვე გამოწვეული შეცდომა! — უთხრა არჩილმა და ცალ მუხლზე დაეცა.

— კმარა, ყმაწვილო! — მიუგო კაკატომ ცოტა რბილად, როცა ეტლი შედგა სკოლის კარებზე.

არჩილი მარჯვედ გადმოხტა ეტლიდან და უნდოდა ჩამოესვა ქალი, მაგრამ კაკატომ ხელი არ გაუწოდა ჭაბუკს.

12

არჩილი ჩავარდა ეტლში და შესძახა:

— სალხინოში!

მეეტლემ ხალისიანად გარეკა ცხენები, მაგრამ ბატონმა შუა გზიდან დააბრუნა ის, პირი შინისკენ აქნევინა. ხასიათმა აღარ მისცა ქეიფში ჩაეფლა ვნებათა ღელვა.

მარტო რომ დაიგულა არჩილმა თავისი თავი ვრცელ სადგომში, ეჩოთირა. ნაჩვევი არ იყო მარტოობას, იშვიათად ბრუნდებოდა ამ დროს და ისიც მარტოდმარტო, მთელ ღამეს ქეიფში ატარებდა მშვენივრებით გარშემორტყმული და გათენებისასღა ბრუნდებოდა შინ გამოსაძინებლად. მაგრამ არჩილს ეხლა მარტოობა ერჩივნა: ისეთი დარდი შემოსწოლია, რომელსაც თითონ უნდა შეჰბრძოლებოდა, რომელსაც ვერც კი ვისმე გაანდობდა, რომ მოეფიქრებინათ მის მაგივრად.

არჩილი ერთადერთი ვნების მონა იყო და ეს ვნება უფლებდა მასზე: სატრფოსადმი ლტოლვილება იყო ყოველთვის მისი საგონებელი და ადვილადაც ისრულებდა სურვილს, რადგან საქმე გულჩვილებთან ეჭირა; ეხლაც ისევ ის მისწრაფება აღელვებდა ჭაბუკს, მაგრამ საგანი მიუვალი იყო წინანდელი გზით: კაკატო შეუნდა არჩილს, მოუთმენლად მოესურვა ის, მისი მოპოვება კი წინანდელი საშუალებით არ შეიძლებოდა. ახლა ფულს ხომ არ მისცემდა და თუნდ შეეძლია, რა ფონს გავიდოდა? ერთ ხანს გაიფიქრა მოეტაცნა ქალი და კიდეც გაუხარდა, რომ ამ ფიქრს წააწყდა, რადგან ამ საქმის მოწყობა შესაძლებელი იყო ფულით, მაგრამ უკანვე დაიხია: სახიფათო იყო ეს საკანონო საქმე. კანონთა ბადეს ძალიან უფრთხოდა არჩილი. მაშ რა უნდა ექნა? ან თავი უნდა დაენებებინა ქალისათვის და გულიდან ამოერეცხა მისი სახე ან...

— ეჰ, მე რომ კიდეც მოვისურვო კაკატოს თავდანებება,

ახლა თავს მანებებს მისი სახე?! კაკატო არ მომცემს შვებას; ის ბატონია ჩემი, მე მონა და მისი მორჩილი და საით წავუვალ? ფიქრიც კი აღარ შემიძლიან სხვა რაზედმე და როგორ ავუქცევ გზას?!

არჩილი დადიოდა ოთახში, თმას იბურძგნიდა, მაგრამ ფიქრშეუჩვეველს ჰაზრები ვერ ეფურჩქნებოდნენ, განზე ვერ ეშლებოდნენ, ვერ უფერადდებოდნენ; მის ტვინს მხოლოდ კაკატოს სურათი ეჭირა მის წინ და თანდათან აბრწყინვებდა მას, ეშხს უმატებდა, უფრო და უფრო სანდომადა ხდიდა; აზიებდა ვაჟკაცს.

მოიქანცა არჩილი და ჩავარდა იმ სავარძელში, რომელშიაც რამდენიმე საათის წინ კაკატო იჯდა. ისე ნათლად წარმოუდგა ქალი, თითქო მის წინ ცოცხალი დგასო; ხელახლად იგრძნო მისი სუნნელება, მისი სითბო, მისი ტუჩების სინაზე და სურვილით დაიხლაკნა ვაჟკაცი. უხდოდა დაეყვირნა, შველა ეთხოვნა ვისთვისმე, მაგრამ ვინ უშველიდა?! ძილი აღარ მიეკარა. ლოგინში უფრო გაუცხოველდა ქალის სურათი, მის გახურებულ ტვინს ცოცხლად მოეჩვენა ჰაერში საყვარელი, ხელი მოხვია ლანდს და ატირდა, რომ ვერ შეიპყრო.

კაკატო თვალწინ ედგა კაცს, მაგრამ ისე კი არა, როგორც პიროვნება, არამედ როგორც ტანი რამ: ის ხედავდა მის თვალებს, მის ბაგეს, მის თმას, თეთრ ყელს, მარგალიტის კბილებს, მის მადლიან სხეულს; არჩილისთვის ამ წუთს ორივე ერთი იყო — არაწმინდა რამ მავნე ბუდობდა ქალში თუ სული ნათელი, აზრდახშული ბინძური რამ ცხოველი თუ ეთერი, ფაქიზი სულით განათლებული: არჩილს მხოლოდ საყვარლის სანდომი აგებულება უკლავდა გულს.

ვაჟკაცში ეხლა იმ ველურ არსებას გაეღვიძნა, იმ ხვად წინაპარს, რომელიც შეენარცხებოდა კლდეს თუ მტერს ახალი ჟინისათვის, თუნდაც ასი სხვა ჰყოლიყო ფარაში.

მაგრამ უწინდელი დრო ხომ აღარ იყო ეხლა, რომ თავის ნებაზე ეარნა; ეხლა წესებით იყო ცხოვრება შემოფარგლული და, მეტი ღონე არა ჰქონდა, ამ ფარგალში უნდა ემოქმედნა; ხოლო ამ წრიდან ერთადერთი ბილიკი მისდევდა კაკატომდინ და ეს ბილიკი ეკლესიაზე გადიოდა.

— ესე უნდა გათავდეს საქმე! ჯვარი უნდა დავიწეროთ: დატყვევებული ვარ ქალის სურვილით, მოხიბლული, არ შე-

მიძლიან გზა ავუხვიო მას, ავცდე იმ მანათებელ შუქურს. ვაიმე! ვიცი, რომ წმინდაო ღმერთთა ჩემთვის ისაია, მაგრამ რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, როდესაც კაკატოს გარეშე ყოველივე უკუნია ჩემთვის ამჟამად და ბნელი გარესკნელი...

13

კაკატო სხვანაირ გუნებაზე იყო და სხვასა ფიქრობდა. არც ის იყო ეთეროვანი სურვილებით მეშვიდე ცამდინ აზიდული, სპეტაკ გრძნობებით შუქმოსილი; ისიც ქვე იხედებოდა, ქვეყნიურს ჩასჩერებოდა, მიწიურით გამსჭვალულიყო, გარნა მას თვით არჩილზე კი არ ეჭირა ხარბი თვალი, მის ჯიბეს მისჩერებოდა.

თქვენა გგონიათ იმის დარდში იყო ქალწული, რომ არჩილმა შეჰბედა და შეურაცხჰყო იგი! სულაც არა! არჩილმა რომ თავი ვერ შეიმაგრა და მიეალერსა მას, აქ საოცარი და საწყენი არაფერია. რა გასაკვირველია, რომ იმისთანა მშვენებამ ძალუმად მიიზიდოს ჭაბუკი? საკვირველი ის იქნებოდა, არჩილი არ დაჰმორჩილებოდა მის მიმზიდველ ძალას. როცა ეტლში ჩაუჯდა ვაჟკაცი, ქალმა მაშინვე იგრძნო, რა მოხდებოდა და გულში კიდეც უხაროდა, რადგან ეს წინწადგმული ნაბიჯი იყო არჩილის დასაპყრობად. ქალი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რამდენად აზრიანად მოიქცა, რამდენად მარჯვედ გამოიყენა არჩილის მოუთმენლობა.

— იქნება უფრო მკვახედ უნდა დავხვედროდი, რომ ნდომით ამეპილპილებინა? თუ ემჯობინებოდა რბილად მოვპყრობოდი აღელვებულ ჭაბუკს და გამოთხოვებისას მაინც მეგობრულად ჩამომერთვა ხელი? არა, როგორც მოვიქეც, ისე სჯობია, თორემ სურვილს მიმიხვდებოდა, თავს წავიდოდა.

— როგორ ნაწყენი ჩავარდა ეტლში! იმას ეგონა, კაკატო ოთახშიაო, მე კი კარებს უკან ვიყავ ატუზული და თვალს ვადევნებდი. ჰა, ჰა, ჰა! რა მარჯვედ გამოვტრიალდი დერეფანში!

— სალხინოში, უბრძანა მეეტლეს. ფაქიზი რამ წალკოტი, კი იქნება ის სალხინო! ეშმაკეული ადგილი იქნება, ქაჯებით სავსე. დამაცა! ხომ გიყვარვარ და რაღა სხვას ეტანები? იქნება, ჩემი უკმეხი ქცევით გული ვატკინე და გაჯავრებული გა-

დიხარა იქით? — ფიქრობდა ქალი და თან ტანისამოსს იცვლიდა: ახლები ხარიხაზე ჩამოჰკიდა, ძველმანი რამ ამოიცვა.

— რა საცოდავი ჩანდა ჩემი კაბა მდიდრულად მორთულ ოთახებში! ოქროსა და აბრეშუმში უნდა იჯდეს ადამიანი, რომ გამოჩნდეს რამე იმისთანა ადგილას. არჩილს იქნება კიდეც ვებრალებოდი ესე უბრალოდ ჩაცმული. ეს ჩემი გვაბანაკიც რომ გაიხუხა! იმის ქურქთან აღარაფერი ჩანდა.

— ვინა თქო, სიღარიბე საძრახისი არ არისო? სულელი ყოფილა! საძრახისია და დიდი უბედურება, ყველა ჭკვათა მყოფელი ადამიანი ვალდებულია განეროს ამ საგმობ სისაძაგლეს... მაშ კაკატო არა ვყოფილვარ, თუ არჩილის სიმდიდრე ხელთ არ ვიგდე! ღირსი არა ვარ თუ! სილამაზე მაკლია თუ რამე სხვა? რად უნდა ვიყო მიჩუსულული და სხვები კი ფარფაშობდნენ?!

გვიან დაეძინა კაკატოს. სიზმრად თავისი თავი დიდებულ ადგილასა ნახა, დოვლათით სავსე და გაბრწყინებული. მოახლეები თავს ევლებოდნენ. სტუმრები მოსულიყვნენ ძვირფასად მორთულ დარბაზში: კიდევ შემოდიოდნენ, იკრიფებოდნენ. ფეხაკრეფით დადიოდნენ, მოწიწებით უბნობდნენ: დიასახლისის გამოსვლას ელოდნენ. მზად არის კაკატოც, მაისის ვარდივით გაღაღანებული. ერთი კიდევ გადაავლო თვალი თავის თავს სარკეში და აიკრა კაბას ხელი, ნაბიჯი გადადგა გასასვლელად... კინაღამ გადმოვარდა ტახტიდან.

გათენებულიყო. შეგირდები შეგროვილიყვნენ სასწავლო ოთახში და ხმაურობდნენ, მასწავლებელს ელოდდნენ. ეწყინა, გული ატკინა დაფანტულმა დიდებამ, ისე დაჰნანდა, როგორც მშიერს სიზმრად მოჩვენებული ფლავი.

კაკატო უგუნებოდ ასწავლიდა იმ დღეს; თვალი ფანჯრისაკენ ეჭირა; ყოველ წუთს ელოდა თავის ფულის ქისას, ვერცხლის მადანს, ოქროს ზოდს, თავის საუნჯეს ულეველს, სალაროს უთვალავს, თავის ძვირფას არჩილს. ამაოდ ელოდა, არჩილი არსადა ჩანდა.

— არ მოდის. ჯიუტობს! იქნება კიდეც დამივიწყოს, სხვაზე გამცვალოს... თუ არ მოვიდა, გადავირევი... უთუოდ უნდა ვნახო სადმე, უთუოდ!

ორივეს მოუთმენლად მოსურვებოდათ ერთმანეთი, ნახვა კი გასძნელებოდათ: ვაჟს ეშინოდა, მთლად არ გამიწყრეს ქალი და გამაძეოსო, ქალი თავის თავს აყვედრიდა, — ცივად მოვეკიდე კაცს და შევაკრთეო. ორივეს შეუძლებლად მიაჩნდათ კავშირის გაწყვეტა და გონების თვალით ზვერავდნენ ერთმანეთს, იკვლევდნენ ერთმანეთისაკენ მიმავალ ბილიკს. ამ კვლევამ თეატრში მიიყვანა ისინი.

არჩილი ადრე მივიდა და წინ დაიჭირა ადგილი. შემოტრიალდა, თვალი გადაავლო დარბაზს, მაგრამ კაკატო ვერ დაინახა. ეწყინა, დაბრუნება დააპირა, რადგან მხოლოდ იმ ქალისთვის მისულიყო იქ. მაინც დარჩა პირველ გამოსვლაზე; კიდევ იმედი რამ უღვიოდა გულში.

კაკატო ყოყმობდა და იმისთვის შეუგვიანდა, მოქმედება დაწყებული იყო, როდესაც იმან დაიჭირა თავისი ადგილი. მაშინვე შენიშნა არჩილი და იამა, აღტაცებაში კი არ მოვიდა, არც გული აუჩქროლდა სიხარულით, მხოლოდ კმაყოფილება იგრძნო: თავისი მისწრაფების საგანი ნახა იქ. თითონ კაცზე ჯავრიც მოუვიდა.

— აქაო და, ფული მაქვსო, პირველ ადგილზე წამომჯდარა, უფრო წინ წაიწევდა, სკამი რომ მდგარიყო, — გაიფიქრა ქალმა.

მოქმედების გათავებისას შეასწრო არჩილმა თვალი კაკატოს და გაექანა იმისაკენ. ქალმა თავდაჭერით მიიღო ის. ლაპარაკი კომედიის გმირებზე და მათ ურთიერთობაზე ჩამოვარდა. ქალი განყენებულადა სჯიდა საგანს. არჩილმა რამდენჯერმე აცადა უფრო მახლობელ და სასიამოვნო ნიადაგზე დაეყენებინა საუბარი. მაგრამ ამაოდ: ქალი არ აჰყვა. ამან უფრო გაახურა არჩილი. გვერდით მოუჯდა, აღარ მოშორდა. სცენამაც ხელი შეუწყო არჩილის ღელვას: სიყვარულის დახასიათებაზე და მის ქება-დიდებაზე იყო სურათი აშენებული და მთლად ააგზნო ჭაბუკი; იგი დაიხარა ქალისკენ და ჩასჩურჩულა.

— გიგრძვნია ოდესმე სიყვარულის ძალა?

ქალმა ხმა არ გასცა, მხოლოდ შეხედა და ამოიოხრა, კაცმა ეს სათავისოდ გაიგო და თავი მოიწონა; მთლად აპრიალდა;

არჩილის გულს დაჰკრა იმ ტალღამ, რომელიც გულცივს დაჭლაჩარსაც კი კეთილს აბედვინებს.

— მიყვარხარ, უშენობა აღარ შემიძლიან: გევედრები მეუღლობას! — ჩაადნა არჩილი ქალს ყურში.

კაკატოს ტკბილად შეესმა ეს ხმები. სიხარულით ძლივს შეიმაგრა თავი; გაწითლდა, თავი დაღუნა. არჩილი მოლოდინად გადაიქცა. ქალმა ცოტა ყოყმანის შემდეგ ხელი გაუწოდა ვაჟკაცს. არჩილმა იქვე დაუკოცნა ქალს ხელები. ამ დროს სცენაზედაც ნარ-ნარად გამოუცხადა თანხმობა მზეთუნახავმა თავის გმირს.

იგრძნო ამურმა, მოფრინდა ქალ-ყრმასთან და სტყორცნა ისარი, რომ შეემსჭვალა განუყრელად ორი გული, მაგრამ გულმა აისხლიტა ფრთიანი. გაუკვირდა ამურს, დაღონდა, ფრთა ჩამოუშვა.

15

კაკატოს ფრთა დაჰკრა ბედმა, სიკეთე ჩაუგორა კალთაში და ააყვავა. მადლობა იგრძნო ქალმა ჭაბუკისადმი. სიხარულისაგან აძგერებულმა გულმა ააღაჟღაჟა ისეც ღაღანა გოგონა, ვარდი გადუფურჩქნა ღაწვ-ბაგეზე; ნეტარებამ ყავღა მისცა ქალს და დაამშვენა, მის მშრალ თვალს სიხარულის ნამი ასხურა.

არჩილმა რომ დახედა დამშვენებულ ქალს, უამა; აღარ დაინანა გრძნობათა ღელვის დროს წარმოთქმული სიტყვა და გული აუთამაშდა. ჭაბუკმა ამ წუთს უფრო მეტად დააფასა ქალი, უფრო მაღლა დააყენა, სანამ ნდომის რამ საგანი უბრალო. სიყვარულის მაგვარი კეთილშობილური ლტოლვილება იგრძნეს ორივემ და გაეხარდათ.

ისევ გახალისდა ამური, ფრთები შეიკუმშა, ყელი მოიღერა და ზრო გაუსინჯა თავის ისარს, ეგონა ისარმა მიმტყუნაო წელან, მაგრამ ისრის პირი სწორი იყო და მახვილი. გაუკვირდა პატარას.

გამოქვეყნდა არჩილის დანიშვნის საქმე. ბევრი ააყაყანა ამ ამბავმა.

— ბედი ჰქონია ნათელაანთ ქალს! მართალია, კაცი თი-

თონ ვერაფერია, მაგრამ მისი დოვლათი გააბედნიერებს მის ცოლ-შვილს, — ამბობდა ერთი.

— ღირსიც არის ნორჩი, განათლებული და ლამაზი, — ამბობდა მეორე.

— ლამაზი კი არა! თმიანი ქალია, თეთრ-წითელი, მაგრამ ჯმუხია და კოპიტი; მე ქალს ლამაზს არ ვეტყვი: თუ ნარნარი არ არის და წერწეტი.

— თვალი დაუდგათ კაცებს! ლამაზი და კარგი ისა ჰგონიათ, ვინც გაუღიმებთ; ალბათ, ოსტატი ვინმეა ქალი და ჩაითრია ახალგაზრდა. თუ ცოლს ირთავდა, ვერ აარჩევდა სიმდიდრითაც და გვარიშვილობითაც შესაფერს? — ამბობდა გასათხოვრების დედა.

— ნახავთ, მა კაცმა რა ჰქნას! თუ აისრულა გულის წადილი, გველანასავით დაუძვრება ხელიდან და ძალიან ადვილადაც, რადგან ქალს ქომაგი არავინა ჰყავს, — სთქვა ავყიამ.

— მოქეიფე ყმაწვილია, მაგრამ მაგის ავკაცობა კი არავის გაუგონია: არასოდეს არ ჩაიდენს მაგისთანა ავაზაკობას, — აზიებდა ჯიბრიანი.

ქალ-ყრმა ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ვაჟი დაუბრკოლებლივ ჰკრეფდა ია-ვარდს სათავისოდ გამზადებულ წალკოტში და ტკბილ ნაყოფის გემოთლებას მოუთმენლად მოელოდა; ქალს წადილისთვის მიეღწივნა და დაემინებული ელოდდა მომავალს. ლოდინიც არ იქნებოდა მათთვის საჭირო, თუ ყველიერი არ ჩამოქანებულიყო მათ შუა.

— კაკატო ჩემო! გაანებე სასწავლებელს თავი; რად გინდა, რომ ჩასჩიჩინებ და იღლები.

— დავიცდი! ჯერ ხომ ჯვრისწერა არ შეიძლება და ბარემ ბოლომდის ვასწავლი. სჯობია კიდეც: მანამ ყველაფერს ჩვენ გემოვნებაზე მოვაწყობთ.

— კარგი, საყვარელო!

16

საქორწინოდ ემზადებოდა ქალ-ვაჟი. ბუნაგსა რთავდნენ. ბუდეს აგებდნენ. ქალმა დაუარა არჩილის სასახლეს. დიდძალი მაშაპაპეული ავეჯი ამოჩნდა. ყველა ეს განძი გაიწმინდა, შეკეთდა, გაახლდა, თავის ადგილზე დაიდგა. ახალიც ბევრი

შეიძინეს. მთელი ერთი თვის განმავლობაში ისეთი ამბავი იყო არჩილისას, რომ ხელოსნები მოიღალნენ, მსახურები დაიქანცნენ. ქალს აზრიანი თვალი შეაჩნდა და მშვენივრად არჩევდა ნივთს თუ ფარჩას. გახალისდა არჩილიც, მეოჯახე კაცივით ირჯებოდა.

— ბიჭო! მთლად მოაშინაურა ქალმა არჩილი.

— მეც მეგონა, დააფრენს-მეთქი, ის კი, ხედავ, რა საქმიანობას იჩენს!

— სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომელ არ ჰმონებდეს?!

ქალი აღარ ეკრძალებოდა არჩილს, დანდობილი მისდევდა თავის დანიშნულს მის სასახლეში: ბევრი საქმე ჰქონდა იქ დიასახლისს. თავს კი უმანკოდ იცავდა და მით უფრო აგიჟებდა ისეც მისთვის ხელქმნილ არჩილს.

მიიწურა დიდმარხვა, ბინის მზადება კი ჯერ არ შეწყვეტილიყო, ქალი თანდათან მუყაითად ეკიდებოდა საქმეს, ყველაფერს თავის ხელით ამზადებდა.

— არჩილ! ეს ფარდა დაბლაა დაშვებული, დახე სადა სცემს ფოჩები.

— მაშ როგორ უნდა, სასურველო?

— სკამი მომაწოდე!

ქალი ავიდა სკამზე, მაგრამ ვერ შესწვდა. არჩილმა მაგიდა მიუთრია. კაკატო რომ ფარდას ასწორებდა, არჩილი უძღები თვალით შესცქეროდა ქალს კოჭებში, რამდენჯერმე კიდეც მოეხვია მას მაშმარილოს სვეტებზე. ქალი საქმეში იყო გართული და არ უჯავრდებოდა ჭაბუკს, ოდნავღა იგერიებდა. არჩილი წაახალისა ქალის სილბომ; აღელდა, აირია, აპრიალდა და ბუმბულივით გადაიტაცა ქალი.

უცნაური ხითხითი გაისმა ოთახში: ეშმა რამ ბილწი ხტოდა ბუხრის თავზე, ჩლიქებს აბაკუნებდა, ხელებს იფშვნეტდა, წვერს აცამცამებდა, ლაშთ იქნევდა, ფრუტუნებდა, კუჭკუჭებდა, კასკასებდა, კვდებოდა სიცილით.

მაისის დამლევს თბილისში ჩამოველ. თავისუფალ დროს ქალაქისკენ ვიწევდი, სოფლად მოწყენილი გასართობს ვეტანებოდი. სალხინოში სადმე შევიხედე. ჩაკეტილი ოთახიდან სიცილ-თქართქარი გამოდიოდა, მტლაშა-მტლუში გულიანი.

ვინა ქეიფობს-მეთქი, ვიკითხე. ბატონი არჩილი ბძანდება ვამეყიანიო, მიპასუხეს მოწიწებით. ალბათ უკანასკნელად ლხინობს. ჭაბუკობას ეთხოვება-მეთქი, ვიფიქრე და შევაღე კარები.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — შემომძახეს მოქეიფეებმა.

ძალიან უამათ ჩემი მოსვლა: არჩილი გადამეხვია, თეთრმა ქალმა ლოყა მომიშვირა, ყველამ მომიკითხა. მძიმედ დატვირთული სუფრა ეშალათ. სამოთხეში შესულიყვნენ და ქალები ევასებურ ტანისამოსშიღა შვენოდნენ. თვალი მოვავლე კრებულს და არჩილს დავაშტერდი.

— გიკვირს? ტყუილად! მე და ოჯახობა! ჯვრისწერის დრო რომ მოვიდა, გული მომიკვდა, დავიტანჯე.

— კაკატო?

— მიყვარს! ვაჰ, რომ მის თვალებში არ არის მოთავსებული ეს ქალობა, მთელი ქვეყნის ქალობა, რომ ყველას მოუალერსო ერთბაშად!

— აზარუ!

— აზბანდარუ!

— დაუკა!

გარე, გარე დავდივარ,
ღამე შინ არ შევდივარ,
ლამაზების გულისთვის
ფეხშიშველა დავდივარ!..

ჩაწმახნა საზანდარმა.

[1903 წ.]

სოვდაგარი

1

— ამბობენ, ქართველს ვაჭრობაში შნო არა აქვსო. ეს მართალი არ არის: მთელ დასავლეთ საქართველოს ეხერხება ვაჭრობა. თანხა არა აქვთ, თორემ ნახავდით, რა უნარს გამოიჩენდნენ აღებ-მიცემაში. აქათაც, ქართლ-კახეთშიც, ბევრმა შესძლო ვაჭრობის მოწყობა და თავი ისახელა.

— ვინ ისახელა თავი? ათასში ერთი თუ ღონღიალობს. არამც თუ კერძოდ ვერ უძღვება ჩვენი კაცი ვაჭრობას, ამხანაგობებმაც ვერ შესძლეს სოვდის რიგზე წაყვანა: ან დაიკეტნენ, ან დღე აქვთ დათვლილი.

— ძალიან უიმედოდ უყურებ საქმეს! შენ სიტყვებში თუ ცოტა სიმართლეა, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენ სხვანაირ ცხოვრებას ვატარებდით: ხმალ ქვეშ ვიყავით, წყნარი ცხოვრებისთვის არ გვეცალა და გამოცდილება გვაკლია. ნიჭით კი არ ჩამოუვარდებით არავის. მართლა და, რითი მჯობია თუნდ მე ვიღაც პაპარ-კონია, ან თავდიდა, ან ჭოსა აბრია? რა იცის ჩემზე მეტი, რითი არიან ჩემზე ჭკვიანნი? სრულებითაც არაფრით! გავა დრო, შევეჩვევით ამ ჩვენთვის ახალ საქმეს, გამოვიცდებით და კეთილად წაგვემართება ხელი.

— ღმერთმა ჭნას! მე კი არა მჯერა, რომ ქართველმა ოდესმე გამოიჩინოს სოვდაგრობის ნიჭი.

— ტყუილადა ხარ გულგატეხილი, ყმაწვილო! გეუბნები, ხელი მომიმართე. საქმე მომიწყე და დარწმუნებული იყავი, რომ ცხოვრების ბორბალი წალმა დატრიალდება ჩვენთვის, ბედი გვეწვევა.

2

ასე ლაპარაკობდნენ დიმიტრი ბაქარიანი და მისი ძმა ბაქარ-ბეგი, სოფელ გადამწვარის აზნაურები. ბაქარიანთ საკმაო მამული ჰქონდათ, სახნავ-სათესი, ტყე თუ ზვარი. სახლი მაგარი ედგათ ქვისა. საბძელ-სახვავე თუ ბეღელ-სასიმინდე ჯერ ჯანსაღად გამოიყურებოდა, წელში არ იყო წახრილი, არც ჩამოფლეთილ-ჩამოწეწილი. მაგრამ სახლ-კარის კეთილსანახაობა აწ გარეგნობაღა იყო, გული კი ფუყე ჰქონდა ამ ოჯახის კეთილდღეობას, დაყანდებული. იგი ოჯახი გარედან მტერს უყენებდა თვალს, შიგნიდან პატრონს.

ეს ყველაფერი ამ ცოტა ხანში მოხდა, როდესაც მამულმა ჩვეულებრივი ნაყოფი ველარ მიუძღვნა პატრონს. მიწა ეხლაც წინანდებურად აბერტყავდა თავის უხვ კალთას მომვლელს, მაგრამ მის სიუხვიდან გადმონადენ კეთილს ეხლა სხვა გზა ეპოვნა, ბაქარაშვილების კარებს ასცდენოდა.

წინათ ბაქარიანთ ოჯახი დოვლათიანი იყო. პატრონს უღიმოდა. უვალო არ იყო. რაღა ქართველ კეთილშობილის ოჯახი იქნებოდა, უვალო რომ ყოფილიყო! ვალი ჰქონდა, მაგრამ შემოსავალი სახლსაც ჰყოფნიდა, სარგებელსაც პირნათლად უძღვებოდა, თავნ-ვალსაც შეაგლეჯდა ხოლმე ხორცებს. ეხლა მიწის მუშას ზურგი შეექცივნა მემამულისათვის და შემოსავალი უეცრად დაშრეტილიყო.

დიმიტრი შეაფიქრიანა ამ გარემოებამ და უმატა შრომას, აღარ დაზოგა თავი, ყველაფერი იკისრა, მაგრამ ფონს ველარ გავიდა, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია, შრომაში ხომ საბრალოა და საპყარი. რას გასწვდებოდა ცალი კაცი აუარებელ საქმეს შინ თუ გარეთ, როცა მშრომელმა ხალხმა მთლად ზურგი შეაქცია მას და მისთანებს!

— კაცო, ბაქარ, ძნელი დღე დაგვიდგა და შენც დამეხმარე რამეში. შენ რომ მხარში ამომიდგებოდე, ჩვენს ბედს ვერ შეარყევდა ეს მოულოდნელი ქარიშხალი. თუ არა, დავიღუპებით: მამულს ვალში გაგვიყიდიან და კერას ჩაგვიქრობენ.

— ნუ ხარ სულმოკლე, ძმაო დიმიტრი! ეს ამბავი დროებითია, წუთიერი, გაივლის რამდენიმე ხანი და ჩავარდება ქარიშხალი, ჩადგება წყალი ნაგუბარში. ისევ ისე დავიწყებთ

ცხოვრებას, როგორც გვიცხოვრნია აქამდის, როგორც უცხოვრნია ჩვენს მამა-პაპას, როგორც შეჰშვენის ჩვენს კეთილშობილებას.

3

ბაქარ-ბეგი ამას გულწრფელად ამბობდა. იმას უშრომლად გაეტარებინა თავისი დღენი, უჯაფოდ ეცხოვრნა, გემრიელად და ვეღარც კი წარმოედგინა ისეთი დრო, როცა შეიძლებოდა კეთილი ცხოვრება მოჰშლოდა. იმთავითვე მადლიანად გადაეშალა ბაქარბეგს ცხოვრება და შეაჩვია უზრუნველობას.

ბაქარი უმცროსი შვილი იყო ბაქარიანთ ოჯახში და ხელისხელ საგოგმანები, რადგან იმის მამას, პაატა ბაქარიანს პირველ ვაჟის შემდეგ ზედიზედ ქალები გაუჩნდა და ამან დააღონა მეუღლეები. ბავშვი ისე სათუთად აღზარდეს, თითქო ვინმე ბატონიშვილი ყოფილიყოს. ნებიერობა ხვედრი შეიქმნა ამ ბავშვისა, ცივ ნიავს არ ადენდნენ.

ცოტა გვიან გაიმეტეს სასწავლებელში მისაცემად. სკოლის მძიმე უღელი ვერ აიტანა და სამი წლის შემდეგ ბაქარი სამუდამოდ დაბრუნდა სახლში. განა უნიჭო იყო, მაგრამ სწავლას შრომა უნდოდა, იმან კი არ იშრომა, დაბრუნებულ ბაქარს სახლში ჯერ ყველა აემრიზა, სოფელშიაც რამდენჯერმე დასცინეს, მაგრამ მისმა მშვიდმა თვალებმა, მოსიყვარულე ხასიათმა, მისმა გულკეთილობამ და სუფთა ქცევამ ყველა შეარიგა მასთან, ყველა დაუმეგობრა. სცხოვრობდა ბაქარი სახლში ნებივრად, წყნარად; ალაღებდა ხორცს, აღორძინებდა. ისეთი ვაჟკაცი გადიფურჩქნა, მტერსაც ეამებოდა მისი შეხედვა.

შუა ტანისა იყო ბაქარ-ბეგი, მოხდენილად ნაგები, თეთრწითელი, ფუჩფუჩი. გვერდზე გადავარცხნილი რბილი თმა ყურებამდის სწვდებოდა. სუფთად შენახული ბუკლა ხელი არქიელის თათს უგავდა საკოცნელს. მშვენიერი ულვაში გაეზარდა, გრძელი, ბოლო დაშვებული. წვერს იპარსავდა, ცოტაოდენ წვერის თივთიკს ულვაშებს უმატებდა და ისეთი ყავღიანი ულვაშები საგანგებო ბილებადა დგებოდა. ბაქარ-ბეგი ლაპარაკში წყნარად გადისვამდა ულვაშზე ხელს და იტყოდა:

— მაშ ეს ულვაში მომპარსე, თუ...

და იცით, რა უბედურება იქნებოდა ბაქარ-ბეგისათვის,

მართლა რომ მოეპარსნათ მისთვის ულვაშები? რაღას ეგვანებოდა ბაქარ-ბეგი უულვაშებოდ?! რქებ მომტვრეულ ჭოტას დაემსგავსებოდა დაუშნოებულს. ყურთმაჯიანი კაბა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ფირუზის ბეჭედი, კალმუხის ქუდი ჩატეხილი, დაკრიალებული ჩექმები. ძალიან თვალს ადევნებდა ბაქარი სისუფთავეს. საუბარი ჭკვიანური იცოდა, მოხერხებული, დინჯი, თავაზიანი. ხმა ლბილი ჰქონდა, ნაღებივით ნოყიერი. ძალიან თავდაჭერილი კაცი დადგა, ფხიზელი, სუფთა ქცევისა.

სწორედ სასიამოვნო ვაჟკაცი იქნებოდა ბაქარ-ბეგი, რომ მთლად უქნარა არა ყოფილიყო. საქმეს არ ეწყობოდა, საქმე სძულდა; საქმის დანახვაზე სული ეხუთებოდა, გულს ეყრებოდა. დიდი უბედურება იყო მისთვის შრომა, ჭეშმარიტად წყევა ღვთისა, და რახან თავისი დღენი უქმობაში დაელივნა, ვერც ეხერხებოდა მუშაობა: საქმე ხელიდან უვარდებოდა, წვალობდა, იტანჯებოდა. რა საბრალო სანახავი იყო ბაქარ-ბეგი საქმით ხელში! გული მოუკვდებოდა გულჩვილს მის დანახვაზე.

4

ბაქარ-ბეგს ნირი შეუშალა ახალმა ხანამ, აუფურტკნა დაწმენდილ-დაბზინებული ბეწვი, მაგრამ ის ჯერ აბრუს არ იტეხდა და იმ იმედითა სცხოვრობდა, რომ უწინდელი მზა სუფრა დაუბრუნდებოდა. სცდილობდა ეს იმედი თავის ძმის გულშიაც ჩაენერგა, რომ უიმედობას არ მისცემოდა ის და უღონოდ არ ჩამოეყარნა მშრომელი მკლავები. მაგრამ როგორღაც ვერა სრულდებოდა ბაქარის იმედი: ცხოვრება წინანდელ კვალში ვეღარ დგებოდა, თუმცა აქათ-იქიდან სცდილობდნენ ნაჩვევ არხისკენ დაერუვებინათ იგი. ბაქარიანთ ოჯახიც თანდათან ძაბუნდებოდა, ირყეოდა, ჭრიალი გაჰქონდა და დიმიტრის მშრომელი მარჯვენაც ვეღარ იმაგრებდა საძირკველიდან შერყეულ სახლს.

შეტორტმანებული და ბალანაშლილი ბაქარ-ბეგი კი ჯერ ისევ ალმაცერად უმზერდა ყოველგვარ საქმეს, ჯერ ისევ განზე იწევდა ყოველგვარ შრომისაგან. ეხლა ის უფრო ხალხში იყო, სანამ შინ, დროებით ენახსნილი ხალხი აჭიკჭიკდა უცხო

ჰანგებზე და ბაქარ-ბეგიც აქ ხალვათ ქარგაში ჰგრძნობდა თა-
ვის თავს. ლაპარაკის მუსუსი, საუბრის ეშხის მცოდნე ეხას იქავლებდა კრებებზე დუქნების წინ, სოფლის სამმართველო-ში თუ საყდრის გალავანში. ხალხს მოსწონდა მისი დარბაისლური საუბარი, გასართობად მიაჩნდა მისი სიტყვა და ერთხელაც არ შეუხედნია მისთვის მრუდედ, არ აღელვებულა მის წინააღმდეგ, არ განუზრახავს მასზე ძვირი, თუმცა სხვა იყო იგი, სხვა წოდებისა: ბაქარ-ბეგი უვნებელი იყო სოფლისათვის, მისგან წყენა არავის ახსოვდა: ეს ბუნებით კეთილი და ზრდილი კაცი ვერ იქნებოდა ავის მქნელი. იგი კეთილის მოსურნე იყო ყველასათვის და რომ მის ხელთ ყოფილიყო, იხსნიდა სოფელს ყოველგვარ გასაჭირისაგან, ხოლო უპირველესად გაანთავისუფლებდა ყოველგვარ მუშაობისაგან, რადგან შრომა მიაჩნდა თავისთვის და ყველასათვის უმთავრეს უბედურებად.

— სწორედ შეუჩვენებია ადამიანი შემოქმედს და განუწირავს, თორემ რად არის, რომ მხოლოდ ადამიანმა უნდა ჭამოს პური ოფლითა თვისითა ამ უხვ ქვეყნიერებაში, მარტო ადამიანი რად უნდა ჩასცქეროდეს შავს მიწას და ალტობდეს მას თვის ოფლით თუ ცრემლით! — ფიქრობდა გაკვირვებული ბაქარ-ბეგი და ვერ გაეგო, რად უწოდებდნენ შემოქმედს სამართლიანს და მოწყალეს, როდესაც ადამიანისთვის ესეთი ტვირთი აეკიდნა, მძიმე, უფერი, დამამცირებელი.

ახ! არ მოსწონდა შრომა ბაქარ-ბეგს; არ მოსწონდა ახალთაობის პირში მოწოდება შრომისადმი, — მხოლოდ ეს არ მოსწონდა. ეშინოდა, მისთვისაც არ დაედგათ ფაფუკ ქედზე ეს შეუსაბამო უღელი შრომისა; თავს იქნევდა, უკან-უკან იწევდა, რაკი დაინახავდა ამ უღელს სამისოდ ამართულს და იკვებებოდა იმ იმედით, რომ დაუბრუნდებოდა მას უწინდელი ტკბილი დრო განცხრომისა.

მაგრამ ცხოვრება ყურადღებას არ აქცევდა ბაქარ-ბეგის გულისთქმას, იგი დიდის სისწრაფით მიექანებოდა საითღაც და უფრო და უფრო უჭერდა უქნარებს მარყუშად გამონასკულ საბელს.

აი ამ დროს დაადგა უნებლიეთ ჩაფიქრებული ბაქარი იმ აზრს, რომ რაკი მეტი გზა არ არის და შრომა აღარ ამცდება, სჯობს ვაჭრობას მივყო ხელიო: რაც უნდა იყოს, ოფლის საღვრელი ხელობა არ არის; ისიც შესაძლოა, სოვდაგრობით ადამიანი გამდიდრდეს და უზრუნველყოფილი შეიქმნესო. ეს თავისი ახალი ფიქრი ამცნო თავის ძმას დიმიტრის და რამდენჯერმე გაუმეორა, მაგრამ დიმიტრი ეჭვით უყურებდა ბაქარის საქმიანობას და ვერა ჰბედავდა აესრულებინა ძმის წადილი.

ცხოვრება კი თანდათან ძნელდებოდა და ბაქარიანთ საქმე სახრინავზე მიდგა. საგონებელში ჩავარდა დიმიტრი. მისმა გამოცდილმა თვალმა შეატყო, რომ მამულის მოვლას და საქმის წაღმა დატრიალებას ვეღარ შესძლებდა; რომ მამული ვეღარ იტვირთებდა ოჯახს და თითონაც ჩაიჩეხებოდა სვავ-ყორანთა გასახაროდ. დაასკვნა, როგორმე სხვანაირად ეშველნა წამხდარ საქმისათვის.

სწორედ ამ დროს მიჰმართა დიმიტრის დიდმა ბატონმა, რომელიც თითონ საზღვარგარეთ სცხოვრობდა მამულის შემოსავლით, ხოლო მის ქონებას განაგებდა დაქირავებული მოურავი. წინანდელი მეთვალყურე დაეთხოვნა და ახალს ეძებდა.

— ...გთხოვ კეთილსაიმედო ვინმე მიშოვო მამულის გამგებელად. თითონ შენ რომ თავს იდებდე ამ საქმეს, ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს. შენი მამულის მოვლას შენი ძმაც შესძლებს და, მოდი, პატივი მეცი, ჩემს მამულში ჩადექი. თვეში ათ თუმანს მოგცემ. ვიცი შენი პატიოსნება, შენი უნარი და ვგრძნობ, რომ მეტი ეღირება შენი შრომა, მაგრამ ჯერ მეტს ვერ აიტანს მამული, შემდეგში კი შენ გასამრჯელოს წაემატება შენისავე საქმიანობის შემწეობით, — სწერდა ბრწყინვალე თავადი.

დიმიტრისათვის ეს წინადადება მისწრება იყო. დაასკვნა დასთანხმებოდა.

— მამულის მოსავლელად მოჯამაგირეს დავიჭერ და მეც ხანდისხან დავხედავ. ბაქარიც შესძლებს ცოტაოდენ ყურის გდებას. თითონ ბაქარს ავუსრულებ სურვილს: მოვუწყობ დუქანს და დეე, შეუდგეს საქმეს. იქნება ღმერთმა ქნას და ვაჭრობაში ნიჭი შეაჩნდეს, — ფიქრობდა.

სოფელი გადამწვარა თითქმის ნახევარი სომხებისაგან შესდგება. იმათ ცალკე ეკლესიაცა აქვთ იქ. ვაჭრობა მათ ხელში იყო. შუა სოფელში შვიდი დუქანი ჩაემწკრივებინათ. სოფელს შუა ადგილი ეჭირა იმ არემარეში და გარშამო სოფლები იქა ვაჭრობდნენ. დუქნების მწკრივი ბაქარიანთ ბაღჩასთან თავდებოდა. ყველაფერი მოიპოვებოდა დუქნებში: სანოვაგე თუ სასმელები, საციქველი, ფეხთსაცმელი, წვრიმალი; ქალაქის თუ სოფლის საქონელი. ჰყიდდნენ ნაღდზე, სცვლიდნენ სოფლის საქონელზე, რომ ერთიორად გაესაღებინათ სოფლელებზევე. გარდა ამისა თვითეული ამ დუქანთაგანი წარმოადგენდა გამსესხებელ სალაროს, რადგან ყველა მედუქნე თანაც მევახშე იყო. თუმცა ეს ხელობა მაინცდამაინც ვერ ასუქებდა გადამწვარელ მედუქნეებს, რადგან უმთავრეს გამსესხებელ ბანკს წარმოადგენდა სესია ღვარძლიანის წახლი, რომელსაც დიდი თანხა ჩაეგდო ხელში და მის ძალით სისხლსა სწოვდა იქავრობას.

დიმიტრი რომ დაჰყვა ბაქარს, გაეხსნა მისთვის დუქანი, იმანაც აცდინა, რომ დუქნის დაქირავება არა სჭირდებოდათ. რა ადვილი იყო მათთვის დუქნის გაკეთება და სარგებლობა, ეს ცხადად დაუხატა დიმიტრის ბაქარმა.

— კაცო! ეს ბაღჩა გზის პირას არის, ბაღჩის ღობე თავდება სახლთან, დიდ ოთახის კედელთან. ავხსნათ ეს კედელი, იმის მაგივრად გავმართოთ დარაბები და დუქანი გამოვა მშვენიერი. ბაღჩა შუაზე გადიღობება და ამგვარად დუქანს ექნება საგრილობელი ადგილიც და ცხენის თუ ურმის სადგომიც. ის ხარჯი, რაც დუქნის გაკეთებაზე მოგვივა, არ არის დაკარგული: ჯერ ის, რომ დუქნის ქირას არ გავიღებთ; დუქანი რომ ხედ სახლზე იქნება მიდგმული, იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რადგან მე შემეძლება მუდმივი თვალყური ვიჭიროს დუქანზედაც და სახლზედაც. ვსთქვათ, საქმე ვერ წარგვემართა. არა, დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს მშვენივრად მოვაგვარებ, მაგრამ მაინც საბრძოლველად გასულის ჰხრივ თავხედობა იქნება, აიჟინოს, გინდა თუ არა, მე ვძლეკო. ჰო, ვთქვათ, ღმერთმა არ ინება ჩემი საქმის წამართვა, ფული მაინც ამაოდ არ იქნება დახარჯული, რადგან შეგვრჩე-

ბა ხელში მშვენივრად მოწყობილი საკუთარი დუქანი, რომელიც ყოველთვის შეგვეძლება კარგ ფასში გავაქირავოთ.

— კაცო ბაქარ, კარგად ჰლაპარაკობ და ჰაზრიანად; ჭკვაში მიჯდება შენი სიტყვა. იმ დიდ ოთახის მოჭრით ჩვენ სახლს არა დააკლდება რა, სამი ოთახი კიდევ დაგვრჩება და სხვა შენობები; დუქანი კი, და მერე ეზო-ბაღჩიანი, კარგ ფასში გავა, — მიუგო ბაქარის საუბარით მოხიბლულმა დიმიტრიმ და მიჰყო ხელი საქმეს.

დიმიტრის ხომ მაინც ყოველთვის მოსწონდა ბაქარის სიტყვა.

ჰაი დურგალი, კალატოზი, ჰაი მუშები, მასალის ზიდვა და ორ კვირაზე დუქანი გამოიჭიმა შენი მოწონებული. პეტრე დურგალი რომ დარაბებსა და ყაფაზებს აკეთებდა, ფიშტაღს რომ სდგამდა და დუქნის მოწყობაზე მუშაობდა, თან თავს იქნევდა, გაკვირვებული იძახოდა:

— აი დიდება შენდა, ღმერთო! იმ დღესაც მოვესწარ, რომ კეთილშობილებმა ვაჭრობას მიჰყვეს ხელი...

ბაქარ-ბეგი თავს დასტრიალებდა მუშებს და დინჯად განუმარტავდა:

— ვაჭრობა, ჩემო კარგო, სუფთა ხელობაა და სრულებითაც არ არის საძრახისი. კეთილშობილნიც უკვე გამოვფხიზლდით და შევიგენით, რომ შრომა არის წინდი ხალხის კეთილდღეობისა და წარმატებისა. ხომ გესმით, ეხლა როგორ ყველა აქებს და ადიდებს შრომას.

მუშებს კი ესმოდათ, რა საქებ-სადიდებელიც იყო შრომა, ქედზედ ჰქონდათ იგი გამოცდილი და კანზედ ნაგრძნობი, მაგრამ როგორღაც ეჭვით შეჰყურებდნენ ბაქარ-ბეგის შრომისადმი ახლად გაღვიძებულ ტრფიალს და უნდოდ აქანებდნენ თავს.

7

დასრულდა დუქნის მზადება, გაივსო იგი ათასნაირ სავაჭროთი. სოფლის საქონელი ხომ თითონაცა ჰქონდათ და იქვეც იყიდეს, ქალაქის საქონელიც დიმიტრიმ თავის ხელით უვაჭრა ყოველივე. დაიქირავეს ბიჭი, დადგეს სასწორი, დაჰკიდეს დერეფანში ლიფლიფა, დადგეს ბაღში მაგიდა. ყველაფერი მზარდად მოაწყეს, რადგან დიმიტრის ეშურებოდა თავის ახალ შრომისაკენ, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

— ძმაო დიმიტრი! ხომ ამოდენა სიკეთე მიყავი, საწადელი ამისრულე და მოდი, ერთი სიტყვაც მომისმინე, საქმე სასიამოვნოდ დამიმთავრე.

— კიდევ რაღა უნდა გავაკეთოთ, კაცო?!

— ისა, რომ ავასრულოთ მამა-პაპის წესი და ჩვეულება: ხვალ კვირაა, პარაკლისი ვახდევინოთ, ვაკურთხებინოთ ახალი დაწყებულება ჩვენი, იაზმა ვასხურებინოთ. მღვდელ-დიაკვანი ხომ იქნება და ერთი-ორი ქეთხუდა კაციც დავისწროთ, მცირე რამ საუზმე მივართვათ, დავალოცვინოთ.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ხარჯი რომ ხარჯს ემატება და იზრდება, — სთქვა დიმიტრიმ დაფიქრებულმა.

— მართალია, მაგრამ საქმისათვის ემჯობინება ესე მოვიქცეთ: პატივისცემა ხალხს გულს დაუხვევს ჩვენკენ, ხათრს გაუძლიერებს, სიყვარულს დაუნერგავს, შემოგვაჩვევს და ეს ხომ მუშტრის შეჩვევა იქნება, რადგან სწორედ ეგ ხალხი უნდა გახდეს ჩვენი მუშტარი.

— მაგას კი მართალს ამბობ!

მეორე დღეს პარაკლისის შემდეგ მცირე რამ საუზმე გაშართეს რჩეულთათვის: ყველი, მოთალი, ტარხუნა, მწვანილეული, ღვინო-არაყი, ზურგიელი, ორიოდ შამფური მწვადი. მოიმხიარულეს, ისაუბრეს, იოცნებეს, წარმატება უსურვეს ახალ საქმეს. დიმიტრის გზა დაულოცეს; გულწრფელად დაინანეს, რომ იმისთანა პატიოსანი და კეთილი კაცი დროებით ჰშორდებოდა სოფელს.

— კაცო, ეს ჩვენი საუზმე სადილს დაეგვანა! ბევრ სადილს მოუცვდება ამ ტკბილ სუფრასთან.

მეგობრულმა პურის ჭამამ და ტკბილმა ჭუკჭუკმა თბილი შთაბეჭდილება მოახდინეს დიმიტრიზე და წაახალისეს.

— სწორედ ჭკვიანი კაცია ეს ჩვენი ბაქარი! რას ეგვანებოდა, ისე დაგვეწყო საქმე, არ დაგველოცვინებინა მეზობლებ-მეგობრებისათვის ან მე ისე წავსულიყავი, არავის დავმშვიდობებიყავ?! უყმურობა გამოვიდოდა ეს, უზრდელობა, — გაიფიქრა გულაჩუყებულმა დიმიტრიმ.

უფრო კი ის მოეწონა დიმიტრის, რომ საუზმეზე ბაქარი ზრდილობიანად და მეგობრულად ეპყრობოდა სესია ღვარძლიანს, თითქმის გულში ჩაუძვრა იმ უყმურ კაცს, მოხიბლა და კეთილის თვალით მიახედა ბაქარიანთ დაწყებულებაზე. ამ

ნავს ადამიანის დაძლევა და გადმობირება ბრძოლის მოგებას უდრიდა, რადგან იგი საშინელ ძალას წარმოადგენდა სოფელში.

და როგორ წყნარად, დინჯად, ზრდილობიანის სიამაყით, თითქმის მფარველობით ეპყრობოდა ბაქარი იმ ღვთის გარეგან მოვახშეს, როგორ ადვილად დაიმონა ის ეჭვით სავსე ადამიანი და მოხიბლა სიტყვით!

აგრილებისას სხვებმაც შეიარეს ბაქარიანთ ეზოში დუქნის დასათვალიერებლად. მეზობლებისა დედაკაცებმა და ქალებმაც გადაისეირნეს. მათში ერია სესიას დონცხო გოგოც. მორთულიყო ღვარძლიანთ მარეხა და ტოლ-სწორში წითლად ღადღადებდა.

არც ეს მოსეირნე ხალხი დასტოვა ბაქარმა უყურადღებოდ: ყველას ხმა გასცა, მიუალერსა, აამა. მეტადრე რაინდულად მოექცა მარეხს და თავი მოაწონებინა ტოლ-სწორში. ბაქარი რომ მარეხს საალერსოს ეუბნებოდა ტკბილის ღიმილით, ქალი სიამოვნებით აღელდა, თეთრი ყელი გადააგდო, ჩაფუებული მკლავები გადაყარ-გადმოყარა, გაითხლიშა.

8

ბაქარს მუშტარი პირველსავე ხანში მიაწყდა. სასმელები, ჩაი-შაქარი, მარილი, მარცვლეულობა, თევზეული, ხორცი, ლილა-საპონი, კევი და ყოველივე ქეთილი მოიპოვებოდა ბაქარისას, პირიანადაც იყიდებოდა. ურმები და ყოველგვარი ეტლი, მგზავრი — ცხენიანი თუ ფეხითი მალე შეეჩვივნენ დუქანს, რადგანაც კარგად მოწყობილი ეზო ჰქონდა და ფართო თავლა. თითონ დუქნის პატრონს ხომ ქება აღარ უნდოდა: გულკეთილი სოვდაგარი გამოდგა, მართალი, პატიოსანი, მომთმინო. მუშტარი დღითიდღე მატულობდა. მართალია, ყველა ნაღდზე ვერა ყიდულობდა, ნისიად გაჰქონდათ, მაგრამ რა უშავდა? რომელი დუქანი და მაღაზია ვაჭრობს უნისიოდ, რომ ბაქარ-ბეგს ევაჭრნა მხოლოდ ნაღდზე?!

— არაფერიც არა უშავს რა! ჩვენებიანთ ივანემ წაიღო ნისიად, ცოტა რამ ნაჩხატაანთ კონამ, მღვდელმა ჩაი-შაქარი, სესია ღვარძლიანმა რამდენიმე რამ. განა ფული არა აქვთ თუ გინდ სესიას, თუნდ მღვდელს, მაგრამ ალბათ ხელად არ იყო. თავის დროზე ჩამაბარებენ. არაფერი დაიკარგება, ყველაფე-

რი მიწერია დავთარში, — იმედეულობდა ბაქარი და ულვაშქვეშ უღიმოდა დაწყებულ საქმეს.

სწორედ ხელსაყრელი საქმე გამოდგა ბაქარისათვის ეს სოვდაგრობა: შრომა არავითარი არ სჭირდებოდა. უბრძანებდა დუქნის ბიჭს, პირი დაებანინებინა; გადივარცხნიდა თმას, ილოცამდა, გადისვამდა ხელს ულვაშზე და დინჯად გავიდოდა დუქნის გასაღებად. ბიჭი გადაშლიდა დარაბებს, დაამაგრებდა. მალე ორი ბიჭი დაიჭირა ბაქარმა, ერთი პატარა — ხელზე მოსამსახურე, მეორე დიდი, დახლიდრობას ასრულებდა. თითონ ბაქარი თვალყურს ადევნებდა, სწერდა დავთარში, ემუსაიფებოდა მუშტარს. ბიჭი დილითვე ჩაიდანს დაუდგამდა და ჩაის მიართმევდა. მაინც დუქნისთვისაც საჭირო იყო ჩაი: მუშტარი თხოულობდა. ბაქარი ჩაის დუქნის წინ მიირთმევდა, საჩეხ ქვეშ. წინ რომ ცაცხვი იდგა, დილის ნიავზე მისი ფოთლები სასიამოვნოდ შრიალებდნენ და უტკბობდნენ ბაქარს სმენას. დუქანში ყოველივე ღვთის მოწყალება მოიპოვებოდა: ყველი, კარაქი, გამტკიცული. დაბრძანდებოდა ბაქარ-ბეგი და შეექცეოდა. კარაქისა თუ ყველის შეტანება უყვარდა. ორი ჭიქის მეტს არა სვამდა. გაათავებდა ჩაის, კვალად გადაისახავდა ჯვარს და იტყოდა:

— ღმერთო, ბარაქას ნუ მოაკლებ ჩემი ძმის დიმიტრის მარჯვენას!

შუადღემდის ბაქარი გართული იყო მუშტარში და ყოველ კუთხეში გაისმოდა მისი ხმა:

— ბიჭო, გიო, ნახევარ თუნგი მიართვი გეგენას, წითელი ღვინისა!

— ნუ აწყენინებ ჩვენს ნენეს! კალაპოტიდან მოუჭერ საპონი; წვრილ ნაჭრებს შინაც მოვიხმარებთ.

— თევზიო, ბიჭო! ფული რატომ აღარ გამოგატანეს? კარგი, მერე იყოს, არა უშავს რა.

— აა! მობრძანდი, მობრძანდი: კარგა ხანი კი იდგომილე ჭალაში. ცხენი ჩამოართვი, ბიჭო!

— დედამ დამაბარა, ერთი გირვანქა შაქარი და ერთი შაურის ჩაიო.

— ფული, გოგო?

— დედა შეგეხვეწათ, ნათლიჯან, ავადმყოფისთვის მინდა და ნუ დამიჭერო, ფასში კვერცხებს მოგართმევო.

— აუწონე, ბიჭო!

სადილს შიგნით მიირთმევდა ბაქარ-ბეგი. დუქნის ერთი კუთხე გადაფიცრული იყო ერთ ფანჯრიან პაწაწინა ოთახად, ოთახში იდგა მაგიდა და სკამები. უფრო პატივსაცემ სტუმრებს შეიწვევდნენ იქ. სასადილოდ ეს ოთახი ამოირჩია ბაქარმა, რადგან მყუდრო იყო, არავინ შეაწუხებდა, ხოლო ეს აუცილებელი იყო მისთვის: წყნარად იცოდა პურის მირთმევა, აუჩქარებლივ; არ უყვარდა ამ დროს დაეძახნათ, აეყენებინათ, ლუკმა გაემწარებინათ მისთვის. ჩამოსთლიდა ზურგიელს, გადასჭრიდა ყველს, შემოატანინებდა კიტრს და მწვანილს, დააწყობდა მწვადებს; წვნიანი ხომ დილიდანვე იხარშებოდა. მოართმევდნენ სველ-სველ ჩარექას. ბაქარი პირჯვარს გადიწერდა, გასტეხდა პურს და შეევედრებოდა:

— ღმერთო, ბარაქას ნუ მოაკლებ ჩემის ძმის დიმიტრის ჯიბეს!

დაიწყებოდა სადილი ბატონკაცური. ღვინოს არასოდეს არ მოიჭარბებდა, მაგრამ უღვინოდაც ლუკმა ყელში არ ჩადიოდა. ყურთმაჯშეყრილი, ჭუდგადაწეული, სარტყელმოშვებული მიირთმევდა ნებივრად, სუფთად, აუჩქარებლად, მადიანად. გენახა, ეშხში მოხვიდოდი. ეს წუთები საუკეთესო წუთები იყო ბაქარის ცხოვრებაში.

9

სტუმრებიც ხშირადა ჰყვანდა ბაქარს. შემოესწრებოდნენ პატივსადები კაცები და რა ექმნა?! მეტადრე ხშირად იყო მასთან სესია ღვარძლიანი. ხომ უქმური ადამიანი იყო, ეჭვიანი, მიუკარებელი, მაგრამ ბაქარ-ბეგს კი გული შეაწყო. ვის უნახავს ღვარძლიანის პურმარილი, ბაქარ-ბეგი კი რამდენჯერმე მიიწვია სადილად და მშვენიერადაც გაუმასპინძლდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ღვარძლიანის გაქვავებულ გულშიც ჩამრჩალიყო კუთხე რამ, რომელიც ვერ ამოეხშო ანგარების სახმილს; ამ ნამ-ნაბკურებ კუთხეში ობლად გაშლილიყო სიყვარულის ყვავილი და ეს ყვავილი სუნნელოვანი იყო მისი ქალი მარეხი. მეორე მის ქალს, დაავადებულ თიკოს, აღარც კი ჰქონდა მამის გულში ადგილი თავისუფალი. აი ამ მარეხს ჩასჭროდა გულში ბაქარის სიყვარული, განდობოდა თავის მამას და ამისთვის შეჰყვარებოდა სესიასაც ეს ვაჟი.

თითონაც კი მოსწონდა ღვარძლიანს ბაქარი, როგორც გულხალვათი, კეთილი, ზრდილი, სიკეთის დამხსომებელი ადამიანი, თითონ რომ ხელმოჭერილი იყო და ძუნწი, თითონ რომ სასტიკი იყო შეძენაში და ულმობელი, გულში როდი ეტრფოდა თავის თავს, კიდეცა სძულდა ჟამითი-ჟამად თავისი თავი, მაგრამ შეცვლა თავისი ბუნებისა ვერ შეეძლო და ჯავრით უფრო სასტიკდებოდა, ულმობელი ხდებოდა და ეს მით უფრო, რომ ყველას თვალში ატყობდა სიძულვილს და ზიზღს თავისადმი. ხედავდა ღვარძლიანი, რომ თავის ნაჭირნახულევს თითონ ვერ მოიხმარდა, იგი ვერ შესძლებდა მოეკლო რამე თავის დოვლათისათვის თუნდ თავისავე სასიამოვნოდ; ხედავდა ჭკვიანი კაცი, რომ დაჰკრავდა ჟამი და ნასისხლი ქონება მისი სხვას ჩაუვარდებოდა ხელში მის საყვარელ ქალთან ერთად, გამრიელს ვისმე, იქნება ისეთს, რომელიც ხარხარით გაფლანგავდა მის ნაამაგევს, გმობით მოიხსენიებდა შემძენელს და მისივე ფულით გალაღებული დასჩაგრავდა მის ქალს, შეაგინებდა მის ხსოვნას, შეარყევდა მის საფლავს. ამას რომ წარმოიდგენდა ღვარძლიანი, ცოფი ერეოდა. რას გააწყობდა?!

ბაქარ-ბეგი კი ესეთი არ იყო, მეამიტი ბაქარი სუფთა იყო თავის ზნეობაში. ბაქარი ეხლაც ისეთის ნათელის თვალით უყურებდა სესიას, როგორც სხვა კეთილ ვისმეს. ვისიმე სახსენებლის შეურაცხყოფას ვერ იკადრებდა, ვერ შესძლებდა. ვერც ვისიმე ავად მოპყრობას იტვირთებდა, მეტადრე თავ-ს ცოლისას. ღვთის შვილი იყო ბაქარი, ტკბილად მცხოვრები.

— სწორედ კარგი მეუღლე იქნება ბაქარი ჩემის მარეხისათვის, მშვიდი ვაჟკაცი, მოსიყვარულე ადამიანი დადგება თავის ცოლ-შვილისა. არც მე მომიხსენიებს ავად ჩემსავე ამაგზე. ჰხედავ, პურს არ გასტეხავს ისე, რომ თავისი ძმა დიმიტრი არ შეავედროს. ცოტაოდენ მაინც რომ შეითვისებდეს ზრუნვას, შეუდარებელი შეიქმნებოდა. ახლა მარეხსაც როძ გაგიჟებით უყვარს! დეე, სესია ღვარძლიანიც დაემოყვროს ტახტის აზნაურს, ერთი ფეხით კეთილშობილთა წრეში გადაბიჯოს! ოღონდ კი მოხერხდეს, მტრებმა ხელი არ შემიშალონ, — ფიქრობდა სესია.

მოუხშირა ღვარძლიანმა ბაქართან სიარულს. თვით ბაქარიც ხშირად მიჰყავდა სადილად და ძალიანაც ასიამოვნებდა. ქალს ხომ წინდაწინაც მოსწონდა ბაქარი და ეხლა მთლად

შეეჩვია. მოუთმენლად ათონთქოლდა მარეხის გული, აძგერდა; ამოძრავდნენ ძლიერად მისი მომხო გრძნობები, მთელი მისი მადიანი ტანი აატოკა გრძნობათა ღელვამ და ერთხელ, როდესაც სადილთ უკან ბაქარი დაიმარტოვა თავიანთას ტახტზე წამოწოლილი, კარებიდან შესძახა მკაფიოდ:

— შენამც შემოგევლება თავს შენი მარეხი!

ბაქარმა მიიხედა კარებისაკენ, მაგრამ კაბის ბოლოსღა მოჰკრა თვალი. ისე მადიანად გაუღიმა ბაქარმა მარეხის აჩრდილს, როგორც გაუღიმებს ნამარხულევი დიაკვანი შილაფლავს. რა ექნა, როდესაც ძალიან უყვარდა მადლიანი ლუკმა! ოცნებათა მორევში შეაცურა ფიქრთა თვისთა კატარღა. ცხადად წარმოუდგა ბაქარს მარეხი ჯერ ისევ მოკლე კაბაში, მისი სვეტებივით ჩამოსხმული ტოტები, ძეხვებივით ჩაძეკილი მკლავები, იდაყვთან რომ იჩრუტნებოდნენ; აწ მადლიანად აბორცვებული გულ-მკერდი, კალოსავით გადაშლილი სახე, ბარაქიანად გაფუებული ტანი. ნდომის ჭარმა ჟრუანტელად დაუარა ჯერ უცოდველ ვაჟკაცს. ისე ცხადად წარმოუდგა მომავალი სიამე, რომ ნოყიერი სიხარულით აევსო გული და ნეტარებათა ტალღებს მიანდო თავი. რომ გამოერკვა ბურანს, ფარჩის საბანი ჰქონდა ოდნავ წამოფარებული. იგრძნო ბაქარმა მზრუნველი ხელი მარეხისა და გული მადლობით მოუპირთავდა ქალისადმი. ისეთი კეთილშობილურის ზრდილობით გადუხადა ქალს მადლობა, რომ სიხარულის ნამი აპკურა მის დადაგულ გულს. წასვლისას ბაქარმა მოხდენილად აკოცა მარეხს ხელზე და მით შეაწება თავისი თავი ეშხით დამწვარ არსებასთან გულმკვდარის მარეხისა.

10

ფრთები შეისხა ბაქარ-ბეგის დუქანში სავაჭრომ და მიფრინავდა ყოველ მხარეს. დაიფუკა კოლოტები და ტიკ-ტიკჭორა, ჩანაკლულდა ბოთლები, დაცარიელდა უჯრები, შეიბერტყა ყაფაზები, ჩაიჩულა ტომრები თუ ტოპრაკები. მართალია, სწორედ ამავე ხანში დავთრის ფურცლები ბლომად აჭრელდა ნაწერებით და უშნო ფაშვივით გაიბერა ბარათებით, მაგრამ დახლი კი შშრალად იყო, გამოფიტულ-გამოფხეკილი.

სოვდაგარი ყველა ამას წყნარად უყურებდა, წარბ შეუხ-

რელი. ან კი რა ჰქონდა დასაღრეჯი და რაზედ უნდა დაწუხებულიყო, როდესაც ყოველივე შეჭმული თუ გაყიდული, ნანისიავებულ თუ ნისიად გაცემული ჩაწერილი იყო პირნათლად ნაანგარიშებული?! თანხა, მართალია, ბარდებში გაბმულიყო და მილეულ-მიმკვდარებულიყო, მაგრამ ეს ხომ დროებითი მოვლენა იყო, აუცილებელი ყოველგვარ ვაჭრობაში. მაინც საჭირო იყო დუქნის შევსება და ბაქარმა მისწერა ძმას, რომ ჩასულიყო ტფილისს, ევაჭრნა ყოველივე, რაც კი მისგან გაგზავნილ სიაში იყო ანუსხული, და მიეშველებინა დუქნისათვის.

დიმიტრი დააფიქრა ამ წერილმა, რადგან ვერ გაეგო, რატომ თითონ ბაქარი არ ჩამოსულიყო სავაჭროდ ან სიასთან ერთად რატომ სავაჭროსათვის ფული არ გამოეგზავნა.

— ალბათ ვერც დუქანს დაანება თავი, ვერც ნაღდი ანდო ვისმე, — გაიფიქრა დიმიტრიმ.

ჩავიდა ტფილისში, უვაჭრა ყველაფერი წინდაწინ აღებულ ჯამაგირით და გამოუგზავნა. ურმით კარს მიაყენეს ბაქარ-ბეგს ყოველივე კეთილი.

„აი, ძმაო, გიგზავნი სავაჭროს. მეც მივაწყნარებ აქაურობას და ჩამოვალ რამდენიმე დღით“, — სწერდა დიმიტრი.

ბაქარმა მზითვიან პატარძალივით მორთო დუქანი, კმაყოფილებით გადისვა ხელი ულვაშზე და ყურთმაჯშეყრილმა წყნარის ნაბიჯით დაიწყო სიარული დუქნის წინ. დაღონდნენ გადამწვარელი ვაჭრები. ისინი ისე უცქეროდნენ ბაქარ-ბეგის მიმჭლევებულ დუქანს, როგორც კაჭკაჭნი ზურგგაყვლეფილ ჯაგლაგს; ეგონათ ან ეხლა გადაიქცევა ჩვენ გასახარად, ან ეხლაო და როცა ნახეს, რომ იგი ისევ აივსო სავაჭროთი, ყურები ჩამოყარეს. ან რა გასაკვირველი იყო: ბევრ მუშტარს სტაცებდა იმათ ბაქარ-ბეგის ვაჭრობა!

ისევ მოტბორდა ბაქარიანთ მუშტარი. უფრო წაემატა ბაქარ-ბეგის სუფრასაც. აქამდისაც ხომ არა უშავდა რა, ეხლა კიდევ უფრო აივსო: რა ხიზილალა, რა ლორი, რა წნილეულობა სხვადასხვაგვარი! ტანისამოსიც უფრო აიყვავა ბაქარმა: ფარჩის ახალუხი, მაუდის შალვარი, ყაფალიანი წაღები, ენიანი კაბა. მაშ რა ექნა? დანიშნული იყო ვაჟკაცი, აყვავების ხანი დასდგომოდა და იფურჩქნებოდა თვალწარმტაცად. ბედი უღიმოდა ბაქარ-ბეგს, კეთილში დააცურვებდა და სიკე-

თისკენ მიაგელვებდა. მაშ რა იყო, თუ არა იღბალი, როცა ღვარძლიანმაც კი თავისი პირით სთხოვა სიძეობა და საკუთარის ხელით მიუპყრა მათ თეთრი გოგო და დოვლათი?!

11

ჩამოვიდა დიმიტრი. ძმებს გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა, მოეხვივნენ ერთმანეთს. იმ ღამეს ტკბილად იჭუკჭუკეს. მოიგონეს წარსული, თვალი გადაავლეს აწმყოს, იოცნებეს მომავალზე. უყვარდათ ერთმანეთი როგორც ძმებს და როგორც აღზრდილ-აღმზრდელს, რადგან დიმიტრის პატარა აღეზარდა ბაქარი და ამაგი გაეწია იმაზე. როდესაც მომავალზე ლაპარაკობდნენ, ბაქარს უნდოდა შეეტყობინებინა ძმისათვის თავისი დანიშვნის ამბავი, მაგრამ როგორღაც დაირცხვინა და გადასდო.

მეორე დღეს დიმიტრიმ დაათვალიერა სახლ-კარი, კალოსაბძელი, შემოუარა ბოსტანს, შეიარა ზვარში და დაღონდა: მოუვლელი დახვდა ყველაფერი, პატრონის ხელი აღარ ეტყობოდა, თავმინებებული იყო. — სახლი დაუუკაცურებიათ, — გაიფიქრა დიმიტრიმ. და გული ეტკინა. ძლიერ უყვარდა თავისი მამული, რომლისათვისაც სიყრმიდანვე ღონე შეელივნა, მიხვდა დიმიტრი, რომ შესცდა მაშინ და ტყუილად დაამყარა იმედი ბაქარზე. გულმა უგრძნო, რომ ბაქარის ხელში სწორედ ესეთივე ხიფათი შეემთხვევოდა მათ სავაჭრო სახლს და თავში შემოიკრა.

— თუ იმ ბიჭმა დუქნის საქმეც ესე თავმინებებულად აწარმოვა, სწორედ წაგებული და შეჭმული იქნება ყოველივე; მაშინ კი ნამდვილად ჩაგვივარდება კოვზი ნაცარში, — გაიფიქრა მწარედ.

საფიქრებელიც იყო, რადგან იმ დუქნის მოწყობაზე თუ ავსებაზე ბაქარიანთ უკანასკნელი დახარჯეს, ვალში ჩავარდნენ და დიმიტრიმ ხომ რამდენიმე თვის ჯამაგირიც ზედ წააჭყლიტა. შეეშინდა დიმიტრის შეჰხებოდა ამ ახალ იარას და უნდოდა მეორე დღისთვის გადაედო დუქნის დათვალიერება, მაგრამ მოვიდა ბიჭი და მოახსენა, ბაქარი გთხოვთ დუქანში მობრძანდეთო.

დიმიტრიმ გადაავლო დუქანს თვალი და შევიდა პატარა ოთახში. ხუთ თუმნამდის ნაღდი აღმოჩნდა; მაგიდა სავსე იყო

ნისიების ბარათებით; დუქანში შემოსული სავაჭრო ბევრით სჭარბობდა დუქნიდან გასულს; ახლად მოსული საქონელი უკვე მისუსტებულიყო. აიმღვრა დიმიტრი.

— ყველა-ყველა და ე სესია ღვარძლიანს რომ ამოდენა ნისია გაუტანია, ეს რაღა ცოდვის კითხვაა?! ხომ ფული თავსაყრელად აქვს ი უკაცურს!

— სესიაზე ნუღარ ვიტყვით ავს, ძმაო ჩემო: ის ეხლა ჩვენი ნათესავია და მოყვარე, — უთხრა ბაქარმა დარცხვენით.

— ნათესავი!

— სესიას ქალი ავირჩიე მეუღლედ, და თუ შენი ნებაც იქნება, ხვალ ნიშნობა გავმართოთ: შენ მოგელოდდით და უშენოდ ნიშანი არ ვაკურთხებინეთ.

დიმიტრი არ მოელოდდა არაფერს ამისთანას და სახტად დარჩა. ერთხანს გაშტერებული შესჩერებოდა თავის ძმა.

— იმას ნუ მიძრახავ, ძმაო, რომ ჩემი მოქმედება გვარს შერევს, რადგან გლეხს ვემოყვრები: ეხლა სხვა დროა, ეხლა ყველა თანასწორობას ქადაგებს. ქალსაც ვუყვარვარ და ცოდვა იქნებოდა უარი მეთქვა, გული მომეკლა.

მაგრამ დიმიტრი სრულებითაც ამაზე არა ფიქრობდა, რომ ღვარძლიანთან დამოყვრებით მისი საგვარეულო სისხლი უნდა შემღვრეულიყო; ის ეხლა მწარედ დაჰყურებდა შრომისაგან დამონავებულ თავის ხელებს, ჯაფისაგან დაკოჟიებულ თითებს და უკვირდა ბაქარის ძლიერი ალღო ცხოვრებისადმი. დიმიტრის უკვირდა, რომ ბაქარი ყოველთვის ხელგაუნძრევლად ახერხებდა თბილ ცხოვრებას, რომ ბატონკაცური ყოფა თითონ ილტოდა ბაქარისაკენ. აი ეხლაც, ღვარძლიანიც და მისი ცხოვრებაც ამ კაცისა გამხდარა და მანამ სესია ფეხზე იდგება, ბატონ ბაქარს არა გაუჭირდება რა. თითონ დიმიტრი კი შრომობს განუწყვეტლად და ჰგრძნობს, რომ სიკვდილამდის ვერ დაახწევს თავს შრომის და ნაკლულოვანების მძიმე უღელს. თითქო შური იგრძნო დიმიტრიმ ბაქარისადმი, მაგრამ მალე მოეგო თავს და იქვე მოაშთო ეს ავი გრძნობა გულისა.

— მომწონს, ძმაო, შენი არჩევანი: შეძლებული ოჯახი, ქალი ჯანსაღი და გამრჯელი, სიმამრი მხნე და მდიდარი. არა გაგიჭირდება რა მათ ხელში. ღმერთმა გაგაბედნიეროს! — უთხრა დიმიტრიმ და გადაეხვია ბაქარს.

[1909 წ.]

ტკბილი დუდუკი

1

დაუვიწყარია სიყრმის მეგობარი. თუნდ გაგყაროთ ცხოვრების გზამ, მაინც მისი სახე ნათლად არის აღბეჭდილი გულში, როგორც ბალღობისავე დროსთან შეკავშირებული სურათები ცხოვრებისა თუ ბუნებისა. ხომ დიდი ხანია, რაც ჩემი ძმობილი მიხა დამშორდა, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგა მიმზიდველი მისი სახე. ბიძაშვილები ვიყავით და დიდი მეგობრები ერთმანეთისა, ძმად შეფიცულნი.

ჩვენი ოჯახებიც მეგობრობდნენ ერთმანეთს, თუმცა განაყოფები იყვნენ და მტრები უნდა ყოფილიყვნენ. ეს იმისთვის, რომ ჩვენი სახლი უფრო დაწინაურებული იყო ცხოვრებაში პატივითა თუ დოვლათით და არაფერს ედავებოდა ჩამორჩენილ განაყოფს; ბიძა და ძალუა კი ისეთი კეთილი, ისეთი ღვთისნიერი ხალხი იყო, რომ მათ გულში ვერ ისადგურებდა შური.

თითონ მე ძიაანთ ღარიბ ოჯახში უფრო მიხაროდა, სანამ ჩვენ შეძლებულ სახლში. პატარა მიხა ხომ მიზიდავდა იქით, ძალუა და ძიაც გულს მიხვევდნენ, მიალერსებდნენ, მანებივრებდნენ. იმათი ცხოვრება უფრო წყნარი იყო და ტკბილი; ცოლ-ქმარი უსიტყვოდ იტანდნენ შრომას თუ გაჭირებას. მუშაობდნენ ყოველჟამს, საყვედური და გმობა კი არ გამიგონია მათგან არასოდეს. შეწყობილად სწევდნენ ცხოვრების უღელს, თანხმობით: ერთმანეთს რომ ალერსით შეხედავდნენ, ერთმანეთს რომ ტკბილად გაუღიმებდნენ, დარდი დნებოდა მათ გარშემო.

ისე ვმუშაობდი ძიაანთ ოჯახში, როგორც მათი სახლის შვილი. ჩვენები მიშლიდნენ, მაგრამ ვერ შევიგენი, რად არ უნდა მეშრომნა იქ, სადაც მიხა ირჯებოდა. თავი დამანებეს.

ყველა სამუშაო გაზიარებული გვქონდა. წყალი ერთად ამოგვქონდა წყაროდან, კევრზე ერთად ვუსხედით, კალოს ერთად ვგვიდით; გუთანზე ჯერი ერთად მიგვქონდა; ბზეს ვუყრიდით ხარ-კამეჩს, ვუურვებდით. მომწონდა სოფლური სამუშაო. ჩვენ ოჯახში კი არაფერი ესეთი არ იყო, რადგან ჩვენები პურსა თუ ღვინოს სოფლიდან ჰკრეფდნენ, უბრალო საქმეს კი მოჯამაგირე აკეთებდა და დედაკაცი. რა უნდა გამეკეთებინა შინ? წიგნში ცქერა კი არ მომწონდა. მე და მიხას ძალიან გვიხაროდა, როცა ძია ტყეში წაგვიყვანდა. იმ ღამეს ძალუაანთა ვიძინებდი, რადგან უნათებლივ უნდა გავდგომოდით გზას. ეხლაც ყურში მიდგა ძიას ნაღვლიანი ურმული. გრილოდა, ძიას ნაბადში ვეხვეოდით, მზის ამოსვლას ველოდით.

— ბიჭო, დათიკო, აგერ მგელი, ჩვენკენ იხედება, — მეტყოდა შემკრთალი მიხა.

— მართლა, კაცო, ჩვენკენ მოდის, — მივუგებდი ამხანაგს და კოფოსკენ ვიწევდით შეშინებულნი.

რომ მივუახლოვდებოდით, ჩვენვე გვეცინებოდა ჩვენ შიშზე: პირდაღრენილ ნადირის მაგივრად ჯირკი დაგვხვდებოდა ან ჯაგი. ტყეში ვშველოდით ძიას: ხარებს ვყარაულობდით, ურემს საგორავს მივცემდით, ფიჩხს მოვათრევდით, ვათვალიერებდით საორთითე ტოტს თუ სასურუხე ხეს, ვჭრიდით სახრეებს. მიხას მამას უყვარდა ხის მუშაობა და შეშის თუ ფიჩხის ურემს უთუოდ წამოაყოლებდა გამოსადეგ მასალას, რომ მოცლილ დროს ეჩორკნა იგი. კაბდოს თუ ფიწალს, არნადს თუ ნიჩაბს თითონა სთლიდა. დავძვრებოდით ტყეში. ხეებს ვათვალიერებდით, ხილს ვეტანებოდით, ფრინველს ვაფრთხობდით, ციყვს ვესროდით, ვგლეჯდით ჩადუნას თუ ბუერას. ხანდისხან მივიყუჟებოდით ხის ძირას და ყურს ვუგდებდით ტყის ათასნაირ ხმაურობას. მიხას გატაცებით უყვარდა ეს უცნაური ხმები. შიში შეგვიპყრობდა, ჟრუანტელი გვივლიდა ტანში. მეტადრე თუ მისწყდებოდა ძიას ნაჯახის ხმა.

— ბიჭო, დათიკო, აქ კიდევ ვყოფილვართ ჩვენ, არ გახსოვს?

— არა... როგორ ვიქნებოდით, როცა აქეთ არასოდეს არ' წამოვუყვანივართ ძიას?!

— როგორ არა! მე ვყოფილვარ. მაშინაც ასეთივე ხმები

მესმოდა; ხეები კი უფრო დიდრონი იყო მაშინ, — მეტყოდა ხოლმე მიხა და შემკრთალი ახამხამებდა გაგანიერებულ თვალებს.

ვერ გამეგო, რად ეჩვენებოდა ასე მიხას! როცა ამის მამაჩემსა ვკითხავდით, ისიც დასცინოდა ბალღს, გვარწმუნებდა, აქეთ თ ჯერ არა ჰყოფილხართო. მიხას მაინც არა სჯეროდა, მაინც დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. ესევე მოსდიოდა ხოლმე მიხას, როცა სათევზაოდ მივდიოდით, ან მინდორში ყვავილების, ცერცვისა და ბარდანის დასაკრეფად: უეცრად შესდგებოდა გაფითრებული და დაიჟინებდა, სწორედ ეს კიდევ მინახავს, ეს ხმა კიდევ გამიგონიაო. მეტადრე სცნობდა ხმებს. უცნაური ხმები ესმოდა მიხას, რომლებიც ჩემს ყურს ვერ ახწევდა, სახე გაეცრიცებოდა, თვალები უელავდა და მიეპყრო ყურები იდუმალ ხმებისთვის, თუმცა გარეშემო სიჩუმე იყო და ხოლმე მყუდროება.

— ადრეც გამიგონია ეს ხმები, ვიცნობ! გესმის შენც?

— არაფერიც არ მესმის, კრინტსაც არავინა სძრავს.

— როგორ? მართლა არ გეყურება?! — მეტყოდა გაკვირვებული და ნაღველი შეაჩნდებოდა თვალებში.

2

თავისებური ბავშვი იყო მიხა. სუფთა სახე, გამხდარი, ფერმკრთალი; გატაცებული, ქვეყნის გაღმა მაყურებელი თვალები. როცა რამე საგანზე ლაპარაკობდა, ვისმე ესაუბრებოდა, თითქო ვერ ჰხედამდა საგანს, ვერც მოსაუბრეს: შორსის იყურებოდა, სივრცეში. მაგრამ თუ გამოაფხიზლებდი, თუ მიიზიდავდი იმის სრულ ყურადღებას, მისი თვალები მიიღებდნენ გამორკვეულ გამომეტყველებას, აეგზნებოდნენ, მთელ სახეს აცისკროვნებდნენ; სახე ცოცხლდებოდა, მიმზიდველი ხდებოდა. მჭერმეტყველიც იყო მიხა და ეს იყო მიზეზი, რომის ძალიან გვიყვარდა, როცა ზღაპარს მოგვითხრობდა ან რაიმე საშინელ შემთხვევას გვიამბობდა, რომელიც ცოტათი იკრანჩეოდა ზღაპრებისაგან, რადგან იგი ნახევარზე მისი ოცნებების ნაყოფი იყო. ისე უბრწყინავდნენ მაშინ მიხოს თვალები, რომის ბნელშიაც ანათებდნენ. სასალი ბიჭი იყო, მაღალი, სუსტი აგებულობისა. გლეხურ შრომას ვერ იტანდა: ღონე არ მოსდევდა იმდენი. მე ვჯობდი ამგვარ მუშაობაში. თუმცა სხვანაირად დ

ვიყავი აღზრდილი. ვერც ეწყობოდა გლეხურ გარემოებას. შრომობდა, თავს არა ზოგავდა, მაგრამ გული მაინც სხვა მხარეს მიეზიდებოდა, ოცნებათა სამფლობელოსაკენ ეწეოდა. ჩაცმა სუფთად უყვარდა, მოხდენილად, იმის ტანზე ფარატინი უფრო მშვენოდა, ვიდრე სხვის ტანზე ახალი: კოხტა ბიჭი თითონ ამშვენებდა ტანისამოსს.

ანბანი მიხამ ჩვენ სახლში ისწავლა. მამაჩემმა ასწავლა წიგნი და მაშინვე დავითნი მისცა ხელში, რადგან აზრადა ჰქონდა ოდესმე დიაკვნობა მიეღებინებინა.

— კარგი დიაკვანი დადგება მიხა: გარკვევით კითხულობს, ხმა სუფთა აქვს და გალობის კილოსაც ადვილად ითვისებს, — იტყოდა მამა.

მაგრამ მიხა ვერ შეეთვისა ეკლესიურს, მუყაითობა ვერ გამოიჩინა ფსალმუნთა ზეპირობაში. თუ თავისუფალ დროს იპოვიდა, ზღაპრებსა და ლექსებს ეწაფებოდა მწყურვალივით; ამგვარ წიგნებს სულ უბით ატარებდა. ბატის ფრთის კალამს ჩემზე მარჯვედა სჭრიდა. ყველაზე საყვარელი საგანი იმისთვის სიმღერა იყო. თუ მწყობრ გალობას ან სიმღერას გაიგონებდა, სმენად გადაიქცევოდა და მაშინ ხმების გარდა ამ ქვეყნად აღარა არსებობდა რა იმისთვის, თითონაც იცოდა ღიღინი, მაგრამ ნელი ხმა ჰქონდა.

— სუსტის ხმა იმისთვისა აქვს, რომ ჯერ ბალღია და ნაზი, დავაჟკაცდება, ხმა გაუძლიერდება და თუნდ დიდ ტაძარს შეამკობს თავისი გალობით! — იტყოდა მამა.

დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მიხა მუსიკის ხმას. სალამური, თარი, ჩანგური, დუდუკი და ყოველგვარი შეწყობილი ლბილი ხმა საშინლად აღელვებდა. ზურნის მაღალ ხმას კი ვერ ეწყობოდა, ვერც დაირ-ნაღარის დგრიალს. ყურსა მტკენსო, იტყოდა. ზოგიერთ ხმას ან ჰანგს უკიდურეს აღტაცებაში მოჰყვანდა მიხა. მაშინ სრულებით ვეღარ იკავებდა თავს და ხან ნეტარების ღიმილად გარდაიქმნებოდა, ხან სევდის ცრემლებად იღვრებოდა.

— ბიჭო, დათიკო, მოვკარ თუ არა ყური იმ ხმას, მაშინვე მენიშნა, მაშინვე მივხვდი, რომ ნაცნობი ჰანგი იყო. ის ხმა კიდევ გამიგონია, როდესაც დიდი ვიყავ და სულ სხვანაირად ვცხოვრობდი! — მეტყოდა საიდუმლოდ ფერმიხდილი და ათრთოლებული მიხა.

— რას ამბობ, ბიჭო! როგორ იქნებოდი დიდი ან როდის იცხოვრებდი სხვანაირად, ან სად გაიგონებდი მაგისთახა ხმებს სხვაგან?! შენ ხომ ამ სოფლიდან ფეხი არსად გადაგიდგამს?! — ვეტყოდი გაკვირვებული. მაგრამ მიხა ვერ დამერწმუნებინა. არ ამიხირდებოდა, მხოლოდ ნაღვლიანად შემომხედავდა.

ფრთხილი ქცევისა იყო, სულ იმასა სცდილობდა, არავისთვის ეწყენინებინა, არავისთვის დაეშავებინა რამე. სხვის ტანჯვაზე თითონაც იტანჯებოდა გულჩვილი. ქათამს ვერ დაჰკლავდა გაჭირვებაში; სხვის უმართებულო ქცევაზე თუ სიტყვაზე თითონ წითლდებოდა უმწიკვლო.

3

ვიზრდებოდით მეგობრები და თანდათან შორდებოდნენ ერთმანეთს გზანი ჩვენი ცხოვრებისა: ჩემი გზა ხელოვნური იყო და გადადიოდა სხვადასხვა სასწავლებლებზე, ხოლო მისი ბილიკი ბუნების კალთას ასდევდა და დედამიწის წიაღს არა შორდებოდა, თუმცა კი მიხას მისწრაფება თუ აღფრთოვანებული გრძნობა-გონება უფრო შეეფერებოდა ხელოვნებას ან მეცნიერებას. ჟინჟღილივით ბიჭი ვიყავ, ქედმაღალი, მკლავძლიერი, ბუნების შვილი, მისი ტრფიალი. იცით, როგორ მიყვარდა ბუნება, იცით, როგორი ტკივილი ვიგრძენი, როდესაც ამგლიჯეს დედამიწის კალთას და გადამრგეს ქალაქის მოკირწყლულ ქუჩაზე, სადაც ბალახის ხილვა მენატრებოდა?! ეჰ!...

შემდეგში ხილად ვეწვეოდი სოფელს და ვხედავდი, რომ გულითაც ვშორდებოდი მას, ახალი გზა მიპყრობდა და ძალით მარონინებდა აღნიშნულ მიზნისაკენ. მიხა მაინც ვერ შესთვისებოდა სოფელს, თუმცა სოფლის ცხოვრებას მაგრა ჩაებოჭა ბიჭი, მაგრამ თავის სისხლ-ხორცად კი ვერ გარდაექმნა; იგი ისევ ოცნების კაცად რჩებოდა. ოცნებები უფრო უძლიერდებოდნენ, მთლადა სნთქავდნენ მის არსებას.

კადიოდა დრო. ულვაში ამოგვიზიზინდა, ხმა შეგვიბოხდა. ქალებს მუშტრის თვალით დავუწყეთ მზერა. აქაც გამოჩნდა, როგორ განსხვავდებოდა ჩვენი შეხედულობა ამ სანუკვარ საგანზე: მე რომ მიხაროდა ქალი, მე რომ სხეულით ვაფასებდი

მას, მე რომ ნაწილ-ნაწილ ვსწონავდი მას და პირდაპირ გული მითქმიდა მისთვის, ის, ქალს რომ უყურებდა, თავის ოცნებას ეძებდა მის პიროვნებაში და მარად იტანჯებოდა, რადგან ვერც ერთში ვერა პოულობდა იმ ოცნების ნასახს.

— რა ვქნა, დათიკო, ხომ კარგი ქალია შუქური, ხომ ლამაზიც არის, კეთილიც, გამრჯელიც, კარგი ოჯახისაც, მაგრამ მაინც გული ვერ შემიწყვია მასზე, გული არ მიმწევს მისკენ: შუქური ის არ არის, რომელსაც მე ვეძებ.

— აბლა ვინ გინდა, რომ შეგხვდეს, რომელი მზეთუნახავი? გლეხის გოგოს კვალობაზე მაგ ქალს წუნი არა აქვს. მე დიდის სიამოვნებით შევირთავდი მაგას შენს ადგილას.

— განა უკეთესს ვეძებ, მაგრამ ეგ არ არის ჩემი ცოლი. მე ჩემს მეუღლეს ვიცნობ, ვნახამ თუ არა, მაშინვე ვიცნობ, ხმაზე და თვალებზე.

— შენს ცოლს, თუ შენს საცოლეს?..

— ცოლს-მეთქი, კაცო, მეუღლეს! — მითხრა მიხამ და შეწყითლდა: თვალებში მოკრთალება რამ გამოეხატა.

— როგორ?!

— გეტყოდი, მაგრამ არ მომისმენ, გაგიკვირდება. — განაგრძო იმან ხმადაბლა.

— მიხა! რაღაცის თქმა გინდა, ვერ კი მნდობიხარ. მაშ ჩვენ მეგობრობის ქსელში ძაფი ჩაწყვეტილა? — ვუსაყვედურე მე.

— ძმა ხარ ჩემი და მიყვარხარ, მაგრამ მაინც მეძნელება გულახდით გიამბო ყველაფერი; მეშინიან, ვაი თუ შენც ვერ გაიგო ჩემი დარდი და გამკიცხო.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და მივეფერე, რომ მეთქმევინებინა საიდუმლო. მიხა დამყვა.

— ყური დამიგდე! განმარტოვებულად ვგრძნობ თავს. გარშემო ბნელა. მყვანან დედ-მამა, ნათესავები, ნაცნობები, მაგრამ მე იმათ ვერა ვცნობ, ვერა ვხედავ, ისინი ჩემთან არ არიან; ვერც ისინი მხედავენ, ვერა მცნობენ, მათ ვერ ჩამოუხედნიათ ჩემს გულში, რომ დაინახონ ჩემი გულისკვეთება. ერთადერთი მეგობარი შენა მყეხარ ამქვეყნად, მხოლოდ შენთვის ჩამივლია სარტყელში ხელი, მაგრამ ხანდისხან ისე მეჩვენება, თითქო შენც უნდა ხელიდან დამისხლტე და მიეფარო ჩემს თვალთაგან. მაშინ მე მთლად მარტო დავრჩები ამ თვალუწვდე-

ნელ სივრცეში და ჩამნთქავს ბნელი. ყოველთვის კი ეგრეა არა ვყოფილვარ. მახსოვს, ბინდბუნდად მაგონდება ის დრო, როდესაც წინათ ვსცხოვრობდი ისევ ამ ქვეყნად. ისევ აქ. ხომ ბევრჯერ მითქვამს შენთვის, მაგონდება-მეთქი ესა თუ ის ადგილი თუ მდებარეობა ტყეში, მინდორში, მდინარის პირას, ან სხვაგან. თანდათან გამოვირკვიე გონებაში ეს ყველაფერი და ეხლა დანამდვილებით ვიცი, რომ ოდესმე კიდევ ვცხოვრობდი ამ ქვეყანაზედ.

— როგორ, კაცო, მეორედ ხომ არ გაჩნდებოდი ამ ქვეყნად?!

— დაიცა, სიტყვას ნუ შამაშლევინებ! ზოგიერთ ადგილას ხომ ჯერ არა ვყოფილვარ, მაგრამ რომ ჩავფიქრდები, მაშინვე მომაგონდება, იქ რა არის ან როგორ არის მოწყობილი არე-მარე და როცა მივალ, სწორედ ისე დამხვდება ყოველივე, როგორც წარმოდგენილი მქონდა. ეს იმისთვის, რომ ვიცი იქაურობა. უწინაც ვყოფილვარ იქ. მაშინდელი მახლობელნიც მაგონდებიან სიზმარივით, მაგრამ ისინი სხვები იყვნენ, სხვანაირნი. მაშინ მე ცოლიცა მყვანდა და ძალიანაც მიყვარდა. ცხადად მახსოვს მისი ხმა, მისი თვალები. შევხვდები, თუ არა, მაშინვე ვიცნობ. მისი ხმა შიგადაშიგ მაგონდება: ფრინველთა გალობაში, წყლის ჩხრიალში, დუდუკის ტკბილ რაკრაკში, სალამურის სტვენაში თუ თარის წკრიალშია ჩაწნული მისი ხმის ბგერა და მე ვარჩევ იმ ტკბილ ხმებს, მე ვგრძნობ მათ. მისი ხმა უფრო კი დუდუკის სევდიან ჰანგებშია ჩაქსოვილი.

— არა, ძმავ, ვერ გამიგია, რას უბნობ. თუ ღმერთი გწამს, მაგისთანებს ნუღარ გამაგონებ.

— აკი გითხარი, ვერ მიმიხვდები და დამცინებ-მეთქი.

— არ კი დაგცინი, მაგრამ თუ ჩემი ხათრი გაქვს, მაგისთანა ამაო ოცნებებს თავი დაანებე!

მიხამ ნაღვლიანად შემომხედა და გაჩუმდა.

4

რაკი წამოიზარდა მიხა, უფრო აჰყარა გული სოფელს და სოფლის შრომას, თვალი ქალაქისაკენ დაიჭირა. არც მაგდენი სამუშაოღა იყო სოფლად იმის სახლში: მიწა ძალიან ცოტა ჰქონდათ, ტყე სულ არ გააჩნდათ, ხოლო სხვის ტყეში გადა-

სახადი წაუმატეს; ვენახიც აღარაფერს იძლეოდა, რადგან ვაზს ავადმყოფობა მოერია და ვენახის წამლობა კი ჯერ არ იყო შეთვისებული ჩვენში. ბაღს გული აჰყარეს ძიაანთ და სხვა საშუშაოს ორი ვაჟკაცი აღარა სჭირდებოდა. რადგან მიხა საშინლად მიიწყევდა ქალაქისაკენ და სოფლადაც უიმისოდ არა ფუჭდებოდა რა, ამისთვის დართეს მას ნება ქალაქში ჩასულიყო, იქ ეცადნა თავისი ბედი. ტფილისში მიხამ რამდენჯერმე იცვალა ადგილი და ბოლოს მიეკედლა სოვდაგარ მეწვრიმალეს: ჯერ უბრალო ბიჭად მსახურობდა მასთან, მერე უფრო მეტი საქმე ანდეს და ბოლოს, რაკი შეიგნეს მისი მუყაითობა და პატიოსნება, ნოქრად დააყენეს მით უფრო, რომ წერა-კითხვა კარგი იცოდა და დავთრების წარმოება შეეძლო.

მიხა კმაყოფილი შეიქმნა თავის ბედისა. ჯამაგირი ჰყოფნიდა, კიდეცა რჩებოდა, რადგან მცირე მოთხოვნილებები ჰქონდა. წიგნის კითხვას ძალიან მიეჩვია; ბევრ ქართულ წიგნს იძენდა და სწვალობდა. ერთადერთი მისი გასართობი მუსიკა იყო, სადაც შეიძლებოდა საკრავების ხმის გაგონება, მიხა იქ გაჩნდებოდა უეჭველად. უფრო ნაღვლიანი ხმები მოსწონდა თარისა თუ დუდუკისა. უყვარდა სიმღერაც, მაგრამ მხოლოდ წყნარი და სევდიანი. ამ ხმებში, საკრავებისა თუ სიმღერის ხმებში, მიხა აღტაცებაში მოჰყვანდა ზოგიერთ ბგერას, ზოგიერთ მიმოხვრას ხმისას. როცა მიხა ყურს მოჰკრავდა იმათ, ფითრდებოდა, ღელავდა ხან სიამოვნებით, ხან სიმძიმილით. სიმღერის თქმაში თუ საკრავების ხმაში მიხა დაეძებდა უფრო იმ აღნიშნულ ამოძახილს, იმ განსაზღვრულ ბგერას. თუ ახლო ვიჯექი, მაშინვე მანიშნებდა, რომ ყურადღება მიმექცია სწორედ იმ ხმებისთვის.

— იცი, დათიკო, ის ჩემი მომხიბლავი ხმები დიდი ხნის გაგონილნი არიან ჩემგან და ნაგრძნობნი; ისინი მე მაგონებენ უწინდელ დროს, დიდი ხნის წარსულს. ის ხმები თანაც გარს ევლებიან ჩემთვის დაუვიწყარ სახეს. ვაი, რომ ყველა ეს მაგონდება მხოლოდ გაკვრით, იგი წარსული მხოლოდ გაიელვებს ჩემს გონებაში და მსწრაფლ მიეფარება! გარკვევით კი ვერაფერი დამისახამს გონებაში. როცა ხმებს ვუგდებ ყურს, იმ დაკარგულ ძვირფას სახეს მივსდევ გონების თვალით, მაგრამ ვერ მივწვდენივარ. ვერ გამომირკვევია იგი სავსებით. ეს არის ჩემი ტანჯვის დაუშრეტელი წყარო.

მე ალღო ავიღე და შევნიშნე ის ხმები, რომლებიც სწვდებოდნენ ჩემის მეგობრის გულს და იტაცებდნენ. იმ ხმების გარკვევაში და შესწავლაში მეხმარებოდა თითონ მიხას სახის მეტყველება, მისი სახის ცვლილებანი უტყუვრად მაჩვენებდნენ იმ ბგერებს, ისე რომ ბოლოს ის ხმები მე მთლად დავიხსომე და გავირკვიე. იცი, რომელი ხმები იყო? ეს ის ბგერა იყო, როდესაც საკრავის ჟღერა უახლოვდება ადამიანის ხმას, როდესაც სიმთა თრთოლაში ხორციელდება ადამიანის ამოძახილი: სიმებში ხომ ადამიანის ხმა არის ჩაწნული.

საკრავის ხმის მოსმენის შემდეგ მიხა ყოველთვის ძლიერ ღელავდა, მოუსვენრად იყო, ტანჯვას განიცდიდა სულიერს. რადგან ის ხმები საიდუმლოობით მოცულს ჟამს აგონებდნენ, სანეტარო რამ ადგილს და დროს, სანუკვარს რასმე ცხოვრებას გარდასრულს. მიხა იგონებდა იმ ძნელ მოსაგონს, სცდილობდა გამოერკვია ბნელიდან უწინდელი თავისი ცხოვრება, სცდილობდა ცხადად დაეხატნა გონებაში მიმზიდველი სურათი ძვირფას არსებისა, რომელიც ატკბობდა ოდესმე მის ყოფას, მაგრამ იგი წარსული უსხლტებოდა მის გონების თვალს და განუჭვრეტელის ბურუსით იმოსებოდა. ესა სტანჯავდა მიხას, აწამებდა, ასევდიანებდა მისი გონების თვალი იმ მიმზიდველს, ხოლო ბინდით მოსილ სურათს მიეპყრო, იმ სურათს მიეზიდნა მისი არსება, როგორც ანდამატს ძლიერს და ეს იყო მიზეზი, რომ მიხა სავსებით არ ცხოვრობდა აწმყოთი, იგი ვერ შეცურებულიყო ცხოვრების ზღვაში, ვერ შეჰრეოდა მის ტალღებს და სოფლის გარე გაიყურებოდა. სხვა რამ ცისკროვან არესაკენ ეჭირა თვალი.

5

მიჰქროდა დრო. მე უკვე გავათავე სწავლა, შევედი კარგ სამსახურში და გამოწყობილმა დავიწყე სეირნობა ქვაშვეთის ბაღში თუ ბულვარზე. ქალის კვალი ნათელ რამ სრედ მეჩვენებოდა და მივსდევდი მას გატაცებით. ახალი ხალხი გავიცან, ახალი ნაცნობები გავიჩინე. განათლებულთა და წარმატებულთა წრისაკენ ვიწევდი, რადგან ჩემს თავს განათლებულად ვსთვლიდი, ჩემი თანამდებობა შესამჩნევი მეგონა და დაწინაურებასაც ველოდი. გულის ვარდსაც მაღალ წრეებში ვეძებდი. ზვიადად მეჭირა თავი, ამაყად.

თუმცა ჯიოს ვარიდებდი ძველ ხაცხობებს, მაგრამ გულიდან კი ვერ ამოვირეცხე ისინი, მეტადრე ზოგიერთი მათგანი: ვერ ვივიწყებდი მდაბიო, გარნა კეთილსა და გულუბრყვილო ოჯახებს, ვერა ვწყვეტდი მათთან კავშირს. მიხაც ისევ მიყვარდა, მეგობრობის გარდა პატივისცემასაცა ვგრძნობდი მისადმი, მაგრამ, თუმცა ნასწავლი ვიყავი და საპატიო, მაინც ვხედამდი, რომ ვერა ვსჯობდი მას ვერც გრძნობათა სიფაქიზით, ვერც ბუნებრივის გამჭრიახობით გონებისა, ვერც თვალადტანად. მაღალ-მაღალი, ტანწვრილი; ფერმკრთალ სახე'ზე შავი ხუჭუჭი წვერ-ულვაში; მარად გატაცებული დიდრონი თვალები, სუფთა ქცევა, უკიდურესი უანგარობა. ყველა ამასა ვგრძნობდი და ვხედამდი, ყველა ამას ვაფასებდი, ყველა ეს უნებლიეთ პატივისცემას იწვევდა მიხასადმი და მით უფრო, რომ ჩემს ახალ ამხანაგებში და მეგობრებში ვერ ვპოვებდი ანგვარ თვისებებს. გონება რომ აფახებდა მიხას, გულიც მისკენ იყო, სიყრმიდგანვე მასთან შექვსილი გული. მასთან სულით ვისვენებდი, მასთან მოვიხსნიდი ჩემს ხელოვნურ მედიდურობას და გადავდებდი; ვჭუკჭუკებდით მეგობრულად, ვუზიარებდით ერთმანეთს გულის ნადებს.

უმთავრესი საგანი ჩვენი საუბრისა იყო ის უცნაური შეხედულობა ქვეყნიერებაზე თუ ცხოვრებაზე, რომელიც ჰქონდა ჩემს მეგობარს და რომელიც ეხლა ჩეურყეველ რწმენად გარდაქცეოდა: ბევრს ახალ საგანს თუ არსებას, ბევრს ახალს მოვლენას ბუნებაში თუ ცხოვრებაში ისე უყურებდა ის, როგორც უკვე ცნობილს და გამოცდილს, რომელიც ადრევე ენახა ან გადაეხედოდა. ხომ პატაროობითვე ჰქონდა მას ესეთი მიმართულება გონებისა, ეხლა ესეთი ჰაზრთა დენა ისე გაუძლიერდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარმეტყველებრივ განსჭვრეტდა მომავალს და დანამდვილებით მოუთხრობდა მას. ის გონების თვალით ჰხედამდა ზოგჯერ იმას, რაც ჯერ არ არსებობდა, განსჭვრეტდა თვით დაფარულ ფიქრებს, ჯერეთ სიტყვებში განუხორციელებელს ჰაზრებს თუ გრძნობებს და ამ სანახაობით ჰხიბლავდა ჩემს გონებას, არყევდა ჩემს რწმენას, ლამის ცრუმორწმუნებათა ტალღით წაელეჭა ჩემი მსოფლშეხედულობა. თუ სცოდნოდათ ჩემი მეგობრის ესეთი ნიჭი, სწორედ გულთმისნად დასახამდნენ მას.

მე ვუხსნიდი, რომ ამა თუ იმ საგანს ან ადგილმდებარე-

ობას, ან ცხოვრებას ის პირველადა ჰხედამდა, მაგრამ რადგან მის გარკვეულს ცნობიერებას აღნიშნულ საგანზე წინ უსწრობს მისივე გაურკვეველი ცნობიერება იმავე საგანზე, ამისთვის საგანი მეორდება გონებაში; იმას კი ჰგონია, მეორედ ვხედამო. მაგრამ მიხა ნაღვლიანად მიყურებდა და თავს იქნევდა უთანხმოების ნიშნად. იმას ღრმადა სწამდა თავისი შეხედულობა.

მიხას ჰქონდა დასახული იმ ქალის სახეც, რომელსაც ის სათვისოდ გამოელოდა, რომელიც ჯერ არ შეჰხვედროდა მას; ის კი თავის მეუღლეს ეძახდა და დარწმუნებული იყო, შეეყრებოდა და იცნობდა. იმ ქალის თვალებს, მის ხმას ნათლად ამიწერდა მიხა და მოელოდდა მას მოუთმენლად.

— ვგრძნობ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცოლი, სწორედ ის ქალი, რომელიც მეუღლე იყო ჩემი, სცხოვრებს ეხლა ამ ქვეყნად; გული მეუბნება, რომ შევხვდები მას. მაშინ შევიქნები ბედნიერი, მაშინ ქვეყნიერება ისეთი ბნელი აღარ იქნება ჩემთვის. ჩვენნი სულნი იცნობენ ერთმანეთს, რადგან ჩვენ კიდევ გაგვივლია ერთად გზა ცხოვრებისა.

— მაშ მიამბე, როგორა სცხოვრობდით მაშინ, ან სადა სცხოვრობდით, ან რითი დათავდა მაშინ თქვენი არსებობა?

— ახ! ვერ შემიძლია მოვიგონო, ჩემს გონებას ბუნდი რამ ზეწარი აქვს გადაბურვილი და იგი ფარდა ჰფარავს ჩემს უწინდელ არსებობას. სწორედ ესა მტანჯავს გამოუთქმელად. ვიცი, რომ გვიყვარდა ერთმანეთი; ეხლაცა ვგრძნობ იმ ტანჯვას, რომელმაც განვლო ჩემს გულში, როდესაც მოვსწყდი მას. ყველა სხვა გარემოება წაშლილია ჩემს გულში და წყვდიადით მოსილი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაგონდება მისი საყვარელი სახე და იერი, შიგადაშიგ მაგონდება მაშინდელი ცხოვრების ვითარებები, მაგრამ ძალიან იშვიათად და ისიც შემთხვევით.

— მაშ იცნობ, რომ შეგხვდეს შენ საბედოდ გაჩენილი ქალი?

— მაშინვე! მახსოვს მისი თვალები, ყურში მიდგა მისი ხმის ზოგიერთი ბგერა, მთლიანად კი ვერ წარმომიდგენია ჩემის გულის ვარსკვლავი.

— იმაწ რომ ვერ გიცნოს და არ გამოგყვეს?

— ღმერთმა ნუ ქნას! დავიღუპები მაშინ, წყვდიადი დამნთქამს სამუდამოდ.

ამას და ამგვარს რომ მეტყოდა ჩემი მეგობარი, სახე უფითრდებოდა, თვალები ეგზნებოდა და უცნაური ღელვა იპყრობდა მთელ მის არსებას. ბევრჯერ ჟრუანტელს დაურბენია ჩემთვის ამისთანა საუბრის დროს, მეტადრე თუ ღამე ჩამოგვივარდებოდა ამ საგანზე ლაპარაკი; ბევრჯერა ვცადე კეთილგონიერ გზაზე დამეყენებინა ჩემი მეგობარი, ამეღებინებინა ხელი ამისთანა საკვირველ ცრუმორწმუნებაზე, მაგრამ ამაოდ. მაინცდამაინც საშიში კი არ იყო მისთვის ამისთანა რწმენა, რადგან მას არამც თუ არავითარი მავნე გავლენა არა ჰქონდა მის ცხოვრებაზე, არამედ სწორედ ეს რწმენა და სულის სწორის მოლოდინი იყო იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდა პატიოსნად ინახამდა თავს და ფაქიზად.

6

ჩემ ძველ ნაცნობებში ერთი ისეთი ოჯახი ერია, რომელიც არ ეკუთვნოდა არც დაბალ ხალხს და არც შუათანას, არც ხელოსან ვაჭრების წრეს, არც მოხელეებისას. ჩუღურეთში სცხოვრობდნენ, ხევის პირას. იქ საკუთარი ქოხმახობა ჰქონდათ. დიასახლისი მშრომელი იყო, წესიერი, ოჯახისათვის თავდადებული. ერთი ქალი გათხოვილი ჰყავდათ ვიღაცა გადამწერალზე; მეორე, ქეთეთო, ესე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იყო. დიასახლისი თხელი ქალი იყო, სუსტი აგებულობისა; კაცი ბრგე, წარმოსადეგი, ევროპული ტანისამოსი ეცვა შეხუხებული. ოდესმე გადამწერად ყოფილიყო სადღაც სამდივნოში. შემდეგ ბაზრის ზედამხედველის ჯაჭვი ეგდო კისერზე; ერთხელ წყლის მილის მეთვალყურედ იყო, ხან სამსჯავროში დადიოდა მოსყიდულ მოწმად ან რომელიმე აბდალ გლეხის ვექილად. კეთილშობილადა რაცხდა თავს, რადგან აზნაურობის მაძიებელი იყო, თარი კარგი იცოდა, ქეიფი — თავადური. ვაი, რომ წელი არ მოსდევდა! ფუყი კაცი იყო, აგორებული. იმდენსაც ვერა შოულობდა, ტანზე მიეკრა რამე. თუ არა საკუთარი სახლი და დიასახლისის მხნეობა, გაუჭირდებოდა ყოფნა. ქეთეთოც ეხმარებოდა დედ-მამას. თუმცა სუსტი იყო, ხელსაქმეში თუ სახლის სარისტაში არ ჩამოუარდებოდა დედას. ქმრის ნაცნობ-მოსადევარი დაბალი მოხელე იყო ან ფუჩეჩა აზნაური, მისი ცოლის ნაცნობ-ნათესავი-კი, — ხელოსანი თუ ვაჭარი ხალხი.

მე იმ ოჯახს ადრიდანვე ვიცნობდი, რადგან ბავშვობიდან იმ უბანში გავიზარდე. მაშინაც არ შევწყვიტე მასთან კავშირი, როცა სამსახურში შევედი. ტკბილად მიღებდნენ, უხაროდათ ჩემი მისვლა. ხშირად კი არ დავდიოდი მათთან. იქნებ, სულაც მიმეტოვებინა ისინი, თუ გული არ დაეხვია ჩემთვის ქეთეთოს: იმ ქალის გვერდზე მყუდროობასა ვგრძნობდი, სულის სიმშვიდეს. როცა ჰკერავდა რასმე ან ჰქარგავდა, თან დაჰლიღინებდა და ეს ნაღვლიანი ღიღინი მოქმედობდა ჩემზე დამამშვიდებლად. დაღონებული თვალები ჰქონდა, შავი წარბები რკალებივით მოსჯროდნენ ზედ; დაშვებული გიშრის წამწამი ღაწვებამდის სწვდებოდა. მთელ მის სახეს ყოველთვის დარდის ზეწარი ჰქონდა გადაბურული. ხანდისხან ახლეჩდა გუგას, მთლად გააღებდა თვალებს და გადმოგხედავდა ერთ წამს; მაშინ განცვიფრება რამ მოსჩანდა მის თვალთა სიღრმეში. მხოლოდ ღიმილი შემინიშნავს მის ბაგეზე, არ მახსოვს გაცინებულ-გადახარხარებული. ხანდისხან საქმე ხელში გაუჩერდებოდა და რამდენსამე წუთს გასცქეროდა სივრცეს, თითქო რასმე ჰხედავდა იქ, რაღასაც უღიმოდა. იცოდა წერა-კითხვა; რუსულს ახერხებდა. მაკვირვებდა მისი დალაგებული მსჯელობა, გეგონებოდა, ცხოვრებისა და წვრთნისაგან დაბრძნობილ გონებასთან გაქვს საქმეო. გულჩვილი იყო: მისი კარიდან გლახაკი გაუკითხავი არ გაბრუნდებოდა.

ტკბილად და თავაზიანად რომ მიღებდნენ, იქნება რამ აზრი ჰქონდათ ჩემს შესახებ. მე კი გულუბრყვილოდ ვიყავი მათთან და ნაცნობობის მეტი არაფერი აზრი არ ჩამიდვია გულში მათ შესახებ: ქეთეთო ვნებათა ღელვას არ იწვევდა ჩემში და, გარდა ამისა, მე მეუღლეს უფრო მაღლა-მაღლა და შეძლებულ ოჯახებში ვეძებდი. დასავით ვუყურებდი ქეთეთოს, მფარველობით დავყურებდი. ბევრჯერ თვეობით მივატოვებდი მათ ოჯახს, თუ გართული ვიყავი და ბედნიერად ვგრძნობდი თავს. მხოლოდ მაშინ მომაგონდებოდნენ ჩემი ძველი ნაცნობები, როცა რამე უსიამოვნება აღელვებდა გულს.

მახსოვს, კვირა დღე იყო. ჩვენი სამმართველოს უფროსს ნადიმი ჰქონდა და მეც იქ ვიყავი სადილად. თავისი ყადრი სტუმრები მეწვივნენ: მაღალ განათლების მექონნი, დაწინაურებულ ხარისხისა, წარჩინებულ შთამომავლობისა. თურმე ზევიდან დამცქეროდნენ. ჯერ ვერ ვიგრძენი ეს და ხასად ვიქ-

დგებოდი გაბედვით, თავმომწონედ ვიგრეხდი ულვაშს, სადარბაზო ღიმილი მიქროდა სახეზე. სადილად როგორღაც სუფრის ბოლოზე მომაქციეს, სადღეგრძელო ბოლოსღა დალიეს და თამადა თითქო დაცინვის კილოთი შემეხო. ავენთე. იქნებ კიდეც მომეჩვენა ყველა ეს და ჩემმა გოროზობამ დამიგო მახე. ცუდ გუნებაზე გავხდი. გამოვეთხოვე და ჩემ ნაცნობებთან წამოველ.

ჩაიდანს ესხდნენ გარს. კაცი შინ არ იყო. მომესალმნენ. დაღამდა. დერეფანში მთვარე შემოდგა. ქალმა დაღონება დამატყო და თარი ჩამოიღო; იცოდა, რომ მისი სიმღერა და სიმთა ხმა კაეშანს უკუმიყრიდა. ჩამოჰკრა სიმებს, შეხედა მთვარეს და დაჰმღერა მნათობს სადიდებელი რამ ჰიმნი. ჩავხედე თვალებში ქეთეთოს, ყური მივუპყარ იმის ხმის წკრიალს და ბინდი ჩამომეცალა თვალთაგან: მის თვალებში, მის შეხედვაში, მის ხმის ბგერაში ვიცანი სწორედ ის თვალები, სწორედ ის ხმები, რომლებიც ბავშვობიდანვე ელანდებოდნენ ჩემს მეგობარს. განვცვიფრდი. გადავწყვიტე, უთუოდ გამეცნო ეს ოჯახი მიხასთვის. ჩამოვაგდე ლაპარაკი ჩემს მეგობარზე, შევაქე იგი ყოველმხრივ და ვთხოვე, ნება მოეცათ მომეყვანა მათთან. დამთანხმდნენ, თუმცა უგემურად. ქალმა ხმა არ ამოიღო, მხოლოდ წამწამთა დასი დახარა დაბლა და ამოიოხრა.

7

როგორც იყო, დავითანხმე მიხა და წავიყვანე ჩემ ნაცნობებთან. გამოუსვლელი კაცი იყო, მოკრთალებულ-მორიდებული და უძნელდებოდა სხვა ოჯახში შესვლა, ახალი ხალხის გაცნობა. საღამო ხანზე წავედით. კინაღამ გზიდან გამექცა. როცა სახლი დაინახა, გამხნევდა, გამამაცდა, რადგან სახლი უბრალო იყო და მიხვდა, განდიდებულ ოჯახში არ მიმყვანდა იგი, სადაც შეიძლებოდა რამე უხერხულობა ეგრძნო. დიასახლისმა ისე გულიანად მიგვიღო, ისე ტკბილად მოგვესალმა დალოცვილი, რომ მიხამ მაშინვე თავისუფლად ამოისუნთქა. ხელოსნის ქალი იყო და მალე მიხვდა, როგორ უნდა მოჰქცეოდა ახალ ნაცნობს ან რაზე უნდა ესაუბრნა მასთან. მე ის მა-

ფიქრებდა, როგორი თვალით შეხედავდა მიხა ქეთეთოს, ისევე ცივად მოეპყრობოდა, როგორც სხვა ქალებს, თუ რასმე მიმზიდველს იპოვიდა იგი მასში და მიამსგავსებდა იმ საიდუმლო არსებას, რომელიც დასახული ჰქონდა ოცნებაში და რომელიც ბავშვობიდანვე იზიდავდა მას.

ქალი მეზობლისას ყოფილიყო. გაგზავნეს დასაძახებლად. მალე შემოვიდა. ხელი ჩამოვართვი და მივმართე:

— ეს მიხეილი გახლავს, ქალო, ჩემი გულითადი ძმობილი და ბიძაშვილი.

ქალი მიბრუნდა მიხაკასკენ და თავისებურად შეანათა თვალები. მიხამ ფეხი წამოდგა შესაგებებლად, მაგრამ ძლივს მოახერხა ხელის ჩამორთმევა. სიტყვა ბაგეზე შეაშრა. უხერხული წუთი იყო. ჩავერიე, გავიცინე, ცნობაზე მოვიყვანე ახალგაზრდა. ისევ გაება საუბარი. როცა ქალი ლაპარაკში ჩამოერია და მიხამ იმის ხმას მოჰკრა ყური, უფრო აღელდა, გაფითრდა. დიასახლისმა მსწრაფლ შენიშნა უხერხული მდგომარეობა სტუმრისა და მარჯვედ დაუარა თავს, არ აფიქრებინა, რომ ჰხედავდა იმის მღელვარებას. მიხაც თანდათან დაწყნარდა, იმის თვალებში ისევ დაისახა აზრი, მისი ქცევა გონთა მყოფ ადამიანის ქცევას დაეგვანა. ეს კი იყო, რომ თვალი ვეღარ მოსწყვიტა ქალს. მოგვართვეს ჩაი, მურაბები, ხილი. ვთქვით ამ მთისა თუ იმ ბარისა. ვისაუბრეთ შინაურებზე თუ გარეულებზე. ქეთეთო დაღონებული მეჩვენა, ახალ ნაცნობის უხერხულმა ყოფამაც კი ვერ მიიზიდა მისი ყურადღება. მხოლოდ ერთხელ გაეღიმა იმის უცნაურ ქცევაზე. ვატყობდი, ჩემკენ იწევდა ქალის გული, თითქო ნუგეშისცემას გამოელოდა ჩემგან. ვერ გამეგო, რა აწუხებდა ქალს ან რას დაეჩაგრა მისი გული, მაგრამ რომ ჩემკენ იყო დახრილი მისი არსება, ამას კი ცხადადა ვგრძნობდი. კაცი შინ არ იყო. ბატონ ივანე ივანეს ძესთან არისო, მითხრეს.

— ამ ბოლო დროს ძალიან დაუახლოვდა ივანე ივანეს ძეს, სულ ერთად არიან. ჩვენთან ხშირად დაიარება ის, — მითხრა დიასახლისმა.

— ისევ მაგიდის გამგეა, თუ რამ ახალი წარმატება მიიღო?

— რაღაც წარჩინება მოსვლია, სამსახურში წარმატებას მოელისო.

— ისევე სვამს?

— ხანდისხან. იმ დღეს ამბობდა, რაკი სახლობას მოვეკიდები, სმას ავკრძალავო.

ამ კაცის ხსენებაზე ქალი შეწითლდა და უსიამოვნების ჩრდილმა გადურბინა სახეზე. შევწყვიტეთ ამ საგანზე ლაპარაკი. მდუმარების ანგელოზმა ჩამოიარა. რომ დამერღვია უხერხული დუმილი, ვთხოვე ქალს რამე ემღერნა თარზე. ამისრულა თხოვნა: აკი გითხარით, ჩემკენ ჰქონდა-მეთქი გული. მომართა თარი და დააწკრიალა, რაღაც სევდიანი ჰანგი დამღერა. სიმთა წყნარი ჟღერა გადაეხვია ქალის ნაღვლიან ხმას, ჩაექსოვა, ჩაეწნა. ეს ხმები გარს შემოეხვივნენ ჩემს გულს დაჩაგრულს, და მძლავრად მიმზიდეს ქალისაკენ. ქვეყანა დამვიწყებოდა, მისი ხმისათვის მენაცვალებინა ყველა არსი; თვალთ ცრემლი გადმომდგომოდა. გათავდა ხმები, გამოვერკვიე გრძნობებს, შევხედე ჩემს მეგობარს და ელდა მეცა: ფეხზე იდგა გაფითრებული, თვალებდაკარგული, მარმარილოს ქანდაკებად ქცეულიყო. დედაშვილმა შენიშნეს ეს საკვირველი ყოფა სტუმრისა, მაგრამ რადგან სიმღერის ძალას მიაწერეს, არ ეჩოთირათ, სასიამოვნოდაც დარჩათ.

წამოვიყვანე ამხანაგი; შემეშინდა, არა წამოროშოს რა და უფრო მეტს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაგდოს-მეთქი. გამოვცდით თუ არა სახლს, მიხამ შემაყენა და ჩამჩურჩულა საიდუმლოდ:

— ის არის, ძმავ, ის!

— ვინ ის?

— ის... ჩემი მეუღლე!..

— რას ამბობ, კაცო, ქეთეთო შენი მეუღლე რად იქნება?! — ვუთხარ მე უკმეხად.

და გამოვტრიალდი.

მიხამ რომ ქეთეთოს თავისი მეუღლე უწოდა, თავისი ცოლი, მე გულში ტკივილი ვიგრძენი, შურმა და სიავემ ამიტანა, თითქო ჩემს ვისმეს შეჰხებოდეს ის მოუხეშავად. იმისთვის მომივიდა ეს, რომ ჯერ ისევ იმ თბილ გრძნობის გავლენის ქვეშ ვიყავი, რომელიც აღძრა ჩემში ქალმა. ახ! წუთიერი იყო იგი გრძნობა და წარმავალი! მე ქეთეთო ჩემთვის არ მინდოდა. აკი ვთქვი: მეუღლეს სხვაგან ვეძებდი და სხვანაირს. მიზნად მქონდა დადებული განდიდება და გამდიდრება, ხო-

ლო ჩემს შეუღლებას ერთ-ერთ საშუალებად ვსთვლიდი ამ მიზნის მისაღწევად. მაშინვე, ვიგრძენი ეს ყველა, სწრაფად მოველ გონს და შევინანე, რომ უმიზეზოდ გავათახსირე და დავჩაგრე ჩემი მეგობარი. მაგრამ აღარ მოვისურვე მისკენ მიხედვა: ბოროტი სჭარბობდა იმ ჟამს ჩემში; მაშინ ხასიათის სიმტკიცე მეგონა ეს უგვანი ქცევა და უგულობა.

8

ოთხ-ხუთმა დღემ გაიარა და ჩემი მეგობარი თვალით ვერსად დავინახე: თითონ არ მოვიდა ჩემთან და მეც ვეღარ წავედი, რადგან არ მეცალა, თორემ ის წუთიერი უსიამოვნება მაშინვე გაქრა, კიდეც დამავიწყდა. ვეღარც კი გამეგო, რად ავენთე მაშინ ისე უეცრად და უაზროდ. მიკვირდა, რომ იმ საღამოს წუთიერ გრძნობას ავყევი და მეგობარს გული ვატკინე. ვინ მე და ვინ ქეთეთო ან თუნდ მიხა?! იარონ იმათ თავიანთ გზაზე! მე ჩემი გზა მაქვს საკუთარი და ჩემი მიზანი.

ის იყო, თათმანი გავისწორე და ცალ ქუსლზე შემოვტრიალდი კარებისაკენ, როდესაც გაიღო კარი და ფეხაკრეფით შემოვიდა მიხა.

— უდროოდ შემოვედი, წასასვლელად გამზადებულხარ.

— რა უშავს! მარტო ვიყავი, მომეწყინა და გავლა მოვისურვე, თორემ საქმე არა მაქვს რა.

— იქნება ნაცნობებში მიდიხარ ან ქეთეთოსთან? — შემეკითხა მიხა და ეჭვიანად შემომხედა.

— არსად არ მივდივარ ნაცნობებში! რა მინდა ქეთეთოსთან? სასეირნოდ მივდიოდი და თუ გინდა ერთად წავიდეთ.

— შენ წადი! მე არ მეხალისება, გული არა მაქვს. მერე როდესმე შემოვივლი.

დავაკვირდი ახალგაზრდას. ტანჯულ სახეზე შიში რამ აღბეჭდოდა და კრძალვა. რიღაცის თქმა უნდოდა, ვერც კი ბედავდა.

— როგორი გატანჯული სახე გაქვს, კაცო?! რაღაც გაწუხებს, არც კი მეუბნები.

— არაფერსაც არ გიმალავ! შენც კარგად იცი, რაც ვაღონებს და რაცა მტანჯავს.

— ქეთეთოს სახე ხომ არ დაგაჩნდა დაღად მაგ დამწვარ გულზე?

[illegible] და გაისიამოვნებდი. თუ შენთვის გიხდოდა ის ქალი, რაღად გამაცან და ჩასდექი ჩემ ცოდვაში?

ისე გულმტკივნეულად მითხრა მიხამ ეს საყვედური, რომ ვიგრძენი, რა ძნელი იყო მისთვის ეს ამბავი და ამისთვის გადაჭრით ვუთხარი:

— არა, ძმაო, მე არც შეყვარებული ვარ, არც ჩემთვის გამოველი ქეთეთოს, თორემ აქამდისაც გადავიწერდი ჯვარს. ვითომ რა დამიშლიდა?

— რა და რა! ქალს უყვარხარ, ბედნიერო!..

— როგორ შეატყე, გულთმისანი ხომ არა ხარ?

— შეჰყვარებიხარ ქეთეთოს, მაგრამ შემცთარა: ჩემი ბედია ის, ჩემთვის არის გაჩენილი.

— გამიგონე! მე ქეთეთოს შემრთველი არა ვარ, ის არ არის ჩემი საფერი. მომწონს კი ქალი, დად მიმაჩნია და გამეხარდება, თუ შენი მეუღლე შეიქნება, — ვუთხარი მე მტკიცედ.

თუმცა კი იმ წუთში გული აღარ დაეთანხმა გონებას; გრძნობა მომიჩვილდა, როცა მიხამ მითხრა — უყვარხარო. ეჰ, ჯერ კიდევ არ ვიცოდი მაშინ, რა იშვიათი მარგალიტი ყოფილა წრფელი სიყვარული. მხოლოდ უგვანი ადამიანი დასთრგუნავს მას. მიხა ერთხანს დამაკვირდა ეჭვიანად და გადამეხვია.

— მართალს მეუბნები? რა კარგი ხარ! რა კეთილი ხარ! რა ბედნიერი ვარ.

— ისე უეცრად როგორ შეგიყვარდა, კაცო, ის ქალი?

— უეცრად კი არა, ეგ ის ქალია, რომელზედაც მე გელაპარაკებოდი, ეგ უწინვე იყო ჩემი მეუღლე, მაგისი ხმა და თვალები ადრიდანვე მახსოვს, მხოლოდ სახის იერი და ტანადობა ვეღარ წარმომედგინა. აკი ავიწერდი ხოლმე მაგის თვალებს, განიშნებდი მაგის ხმას.

— იცი, მიხა, მაგისთანა უცნაურ ლაპარაკს იქ მაინც თავი დაანებე, თორემ ვერაფერს გაიგებენ, შენი სიტყვა შეაკრთობთ და ვეღარ მიაღწევ საწადელს.

— თუ ვერ მივაღწევ საწადელს, თავს მოვიკლავ! ისიც დაიღუპება მაშინ. მაგრამ ამაო შიშია: ქეთეთოს გული მიცნობს მე, შემიერთდება ისევ და მაშინ გამინათლდება ცხოვრების გზა ბნელი.

მიხა იდგა ერთს წამს გაჩუმებული და პირს ღიმილი უჭროდა. მისი გონების თვალის წინ ჭრელი რამ ჩვენება გამოსახულიყო და მას შესტრფოდა იგი, მას შეხაროდა. იმ წუთს არც კი ჰგრძნობდა, სად იყო და ვისთან.

— მიხა! არ გინდა, წავიდეთ ქეთეთოსთან? ხვალ საღამოზე თავისუფალი ვიქნები და ვეწვივნეთ, — გამოვარკვიე იგი ოცნებიდან.

— წავიდეთ, შენი ჭირიმე! იცი, დათიკო, ველარ მომიგონია, რა ერქვა მაშინ ქეთეთოს, თუმცა ენის წვერზე მადგა ის სახელი.

9

მეორე დღეს მე და მიხა წავედით ქეთეთოანთსა. მიხა შორთულიყო, სულ ახლები ეცვა. მოხდენილი ახალგაზრდა ჩანდა. თვალებში ხან იმედი ესახებოდა და სახეზე სიამე გადურბენდა, ხან უიმედობა მოიცავდა მას, და სახეზე ტანჯვა აღებეჭდებოდა. მივსდევდი მიხას, ჯოხს ხელზე ვატრიალებდი, ოდნავ ვუსტვენდი და ამ სტვენით ვიგერებდი იმ აზრს, რომელიც დაჟინებით მეტანებოდა, მოსაბეზრებლად დამტრიალებდა თავს:

„შენდამი სიყვარულს რომ სხვას უთმობ, განა კიდევ მოელი საიდანმე მაგისთანა განძს?“

„ღმერთი იმდენს მომცემს, შინამდინაც ვერ მივიტანო!“ ვუპასუხებდი ზღაპრიდან ამოღებულ ფრაზით და ეს ფრაზები წინ მიძღოდნენ, უკან მომდევდნენ, გარს მივლიდნენ, არ მეშვებოდნენ.

ყველანი შინ დაგვიხვდნენ. მასპინძელმა ზრდილობიანად და მხიარულად მიგვიღო. ჰკითხა ჩემს მეგობარს საკითხი, დარბაისული საუბრით გაუმასპინძლდა. შეხედულობით, ქცევით თუ ენით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ქეთეთოს მამამ მიხაზე. მე ვიცი, სიტყვა-პასუხი არ უვარგოდა! მართალია, ცოტა მედიდურად ეჭცეოდა კაცი მიხას, მაგრამ ისე კი არა, რომ საწყენი რამ ეგრძნობინებინა. გამხნევდა ახალგაზრდა, თავი მაღლა აიღო.

— თქვენ, ყმაწვილო, კარგ ხელობას დასდგომიხართ: დახელოვნდებით ვაჭრობაში და შეიქმნებით სოვდაგარი, მდიდარი, საპატიო, — შეაქო ახალგაზრდა.

— მართალსა ბრძანებთ! — მივუგე მე. — ეხლა სიმდიდრეს უფრო მეტი ძალა აქვს და პატივი, ვიდრე კეთილშობილებას; ფული ძალაშია და იმონებს ყველას და ყოველსავე.

— მეცა ვხედავ მაგას და კიდეც გამოვცადე, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისევ ძველ აზრზე ვდგევარ: ადამიანს უფრო მეტ პატივსა ვცემ, ვიდრე ფულის პარკს. ხომ ხელმოკლე კაცი ვარ, მაგრამ დღესაც კეთილშობილი მირჩევნია მოუხეშავ მდიდარს. აი ჩემი ქალისათვის რამდენი შეძლებული კაცი ამიჩნდა, ხელოსანი თუ ვაჭარი, მაგრამ ისევ მოხელე ვირჩიე. უფრო სუფთა და განათლებული ცხოვრება ექნება.

— თქვენ თითონ მოხელედ ნაბყოფი ხართ და იმისთვის თანაუგრძნობთ მოხელეებს, — შევუბრუნე სიტყვა.

— ნეტავ რა მოგცა მოხელეობამ? მთავრობა არ აფასებს შრომას და აი, სიღარიბეში ჩავცვივდით ბოლოს დროს, — უსაყვედურა ცოლმა.

— ეხლა ვაჭრობას იმისთვის არა აქვს პატივი, რომ ჩარჩობისა და მძარცველობის ნიადაგზე სდგას: ვაჭრობა მოიცილებს ყალბ ნიადაგს და სოვდაგარი სიმდიდრესთან პატივსაც დაიმსახურებს.

— ჩემს მეგობარს ასე აქვს ცხოვრების მიზანი დასახული: ჰსურს შეიქმნეს სოვდაგარი პატიოსანი. კიდეც მიაღწევს მიზანს, რადგან ფხიზელია, გამრჯელი, სუფთა ქცევისა და მარტივ ცხოვრებას მისდევს, — შევაქე მეგობარი.

— კარგად ლაპარაკობთ, მაგრამ სანამ მაგისთანა ნიადაგზე დადგება საქმე, ბევრი წყალი ჩაივლის და ჩემი სიტყვა მანამდის არ იქნება სიმართლეს მოკლებული. აი თუნდ ივანე ივანეს ძე: ჯერ შუახნის კაცი არ არის, მაგიდის გამგებლობა კი აბარია! — განმარტა მასპინძელმა და სიტყვა „მაგიდის გამგებელი" ისეთის რიხით წარმოსთქვა, თითქო იგი მაგიდა საქართველოს სივრცე მაინც ყოფილიყოს.

ქეთევო ტახტზე იჯდა და ჰკერავდა. ივანე ივანეს ძის ხსენებაზე ფერმა გადაჰკრა და ხელები უღონოდ ჩამოჰყარა მუხლებზე. ეს მისი უნებლიეთი მოძრაობა შენიშნა მამამ და მიუბრუნდა:

— ტყუილადა ჰღელავ, ქალო! ივანე ივანეს ძე ძალიან კარგი კაცია და წარჩინებული. თუ მართლა მოისურვა შენი თხოვნა, ბედნიერი ქალი შეიქნები და პატივცემული.

ქალმა გადმოიხედა ჩემკენ თითქო საყვედურით და ჩაღუნა თავი. წამწამის ბოლოზე ცრემლი გადმოეკიდა.

— იცით, ყმაწვილო, — მომიბრუნდა მასპინძელი, — იმ დღეს ჩვენსა იყო და გამოთხოვებისას მითხრა, მე თქვენი დამოყვარება მწადია და მალე განვახორციელებ ჩემს სურვილს, თუ თქვენთვისაც სასიამოვნო იქნებაო. მე გამეხარდა, მაგრამ დიასახლისი სულ სხვას ამბობს.

— შვილის ბედნიერებაზე ვფიქრობ და იმიტომ ვამბობ! მართალია, სამსახური კარგი უჭირავს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კაცი არ არის, ჩვენ იმისა არა გაგვეგება რა და იმას ჩვენი. გარდა ამისა, მსმელია და...

— და ათას რასმე სხვას იტყვიან ეხლა და მოაჭორებენ! ჰშურთ, ადამიანო, რომ ჩვენ ოჯახში დადის და ტყუილებს უგონებენ, რა არის, ქალი არ გაუბედნიერდეთო!

— დიასახლისის მხარე უნდა დავიჭირო: უცხოელნი და ჩვენ არა ვვარგივართ ერთად ოჯახში. სხვადასხვანაირი გვაქვს მოდგმა, ხასიათი, ჩვეულებები, მისწრაფება. და თუ მსმელიც არის, დაღუპულია თითონაც და მისი ოჯახიც, — წარმოვსთქვი მე.

მთელი ამ საუბრის დროს მიხას ხმა არ ამოუღია და მეც არ შემიხედნია იმისთვის. ეხლა გადავხედე და შევკრთი: ზაფრანის ფერი დასდებოდა, თვალები დაჰკარგოდა, აზრი აღარ ეტყობოდა შუბლზე. ვიგრძენი, რომ რამე შეუნდობელ შეცთომას ჩაიდენდა და მივბრუნდი მისკენ, რომ დროზე შემეყენებინა. გვიანღა იყო, წამოდგა კაცი, განაპყრო ხელი ქეთეთოსაკენ და წარმოთქვა:

— თქვენი ქალი ჩემი მეუღლეა, ჩემი მეუღლე უნდა შეიქმნეს! ჩვენ ერთმანეთისანი ვართ, ერთმანეთისათვის გაჩენილი. ვეძებდი მაგას ცხოვრების მორევში და ვიპოვე. ნუ დაგვაშორებთ ერთმანეთს, თორემ ორივეს დაგვნთქამს ცხოვრების წყვდიადი.

ქეთეთოს დედ-მამა განცვიფრებით შეჰყურებდა ხან მიხას, ხან ქალს. ქალს თავი აეღო მაღლა და დაბნეულად აყოლებდა თვალს. მე შევკრთი, ერთ წამს დავიბენი, მაგრამ მალე მოვედი თავს და მივმართე:

— მომისმინეთ! ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტა თქვენი ქალის შერთვა. პირველ ნახვაზევე შეუყვარდა და ისე ძლიერ,

რომ უმაგისოდ სიცოცხლე ვერ შეუძლიან. მსურდა შემემზადებინეთ ამ ამბისთვის, მაგრამ ხომ ჰხედავთ, ვეღარ შესძლო ახალგაზრდამ გრძნობის დამორჩილება.

ჩამოვარდა სიჩუმე. წამოდგა მასპინძელი და მომმართა გადაჭრით:

— ყმაწვილ კაცს თითონ ქალი მისცემს შესაფერ პასუხს. ძალას არავის დავატანთ, მაგრამ დღეს ჩემი მოვალეობაა ქალის ბედზე ზრუნვა და გეტყვით: მე ჩემთავად ვერ გავცვლი წარჩინებულ მოხელეს და კეთილშობილ კაცს ვინმე ნოქარზე, თუნდ თქვენ ნათესავსა და მეგობარზე! მწყინს კიდეც თქვენი შუამავლობა, თითქმის...

საშინლად მეწყინა ესეთი ჩემდამი მომართვა. ავენთე, ფეხზე წამოვიჭერ. შედგა მეტყველი, სიტყვა გაუწყდა პირში. ქალმა ყვედრებით შეხედა მამას. დედა ბოდიშს იხდიდა. ჩავკიდე ხელი მეგობარს და გამოვედით. ღამის წყვდიადმა ჩანთქა ბედკრული.

10

ცუდ გუნებაზე დავბრუნდი სახლში. უეცრად ჩაგვეშალა დაწყებილება და სამუდამოდ. თუ ხასიათის სიმტკიცე გამოეჩინა მიხას და თავი შეეკავებინა, იქნება შესაძლებელი ყოფილიყო იმ საქმის ნელ-ნელა ჩვენკენ დახრა და მისი ჩვენ სასურველად დაბოლოვება. თუ ვერ შევძლებდით იმას, აზრიანად მაინც ვიმოქმედებდით და აღარ გავწბილდებოდით ესე გონჯად. ისეთი მკაცრი პასუხი, რომელიც მიიღო მიხამ, შეურაცხყოფა იყო მისიც და ჩემიც, რადგან მიხა მე გავაცანი მათ და მევე ვიტვირთე შუამავლობა. მაგრამ როცა გრძნობა ძძლავრობს, გონება იხშობა და თვითმოქმედი ნება უძლურდება. მიხას კი ისე უეცრად და ძლიერ მოედო ტრფობა, როგორც ცეცხლი ბალახს განხმელს; ტრფობის ალმა დაბუგა მისი გონებაც და ნებაც.

— კიდევ არაფერი, რომ პირდაპირ ჩემთვის არ მოემართნა საყვედურით. არა, მოუაზრებელი კაცი კია ე მიხაც, მოუხერხებელი. მართალია, რაინდული იყო მისი ქცევა, გაბედული, სწორედ ისეთი, როგორიც შეჰშვენის ფაქიზ და უძლეველ გრძნობით გამსჭვალულ ვაჟკაცს. მაგრამ რა სარაინდო

ასპარეზი იყო იქ და ან რა ხელსაყრელი იყო იქ რაინდული გულწრფელობა! მაშ არა სჯობდა მოზომილი მოქმედება? ჰაი, ჰაი, სჯობდა, მაგრამ მიხასთანა გონებაგაუხსნელ ადამიანს რა გაეგება მოზომილის ქცევისა! — ვჯავრობდი ჩემთავად.

ჩემი ფიქრები უნებლიეთ მიხასაკენ გაემართნენ და ნისლივით შემოეხვივნენ მის პიროვნობას. საიმედო კი ვერა შენიშნეს რა: კაცი თავგანწირული იყო, თითქმის ატაცებული და საშიში იყო, არა აეტეხნა რა თავის თავისათვის, სასოწარკვეთილის, უიმედობის შხამით დაგესლილს. ეს იყო მიზეზი, რომ მეორე დღეს სამსახურიდან პირდაპირ მიხას მაღაზიისაკენ წავედი. მიხა იქ დამხვდა; სუფთად გამოწყობილი მუშაობდა; ჩვეულებრივ მომიკითხა, კიდეც გამიღიმა. წამოველ დამშვიდებული და მალე დავიწყებას მივეცი ჩემი მცირეოდენი წყენაც, ქეთეთოც, მიხაც და ყველა მისი მისადევარიც. ისევ ჩემის ბედის ვარსკვლავს დავუწყე თამაშობა, დარწმუნებული ვიყავ, ოდესმე მოვწეოდი მას.

გავიდა ერთი თვე და მივიღე წერილი: ქეთეთოს ქორწილში მპატიჟობდნენ, თანაც ბოდიშს იხდიდნენ, იმ დღეს უნებლიეთ გაწყენინეთო. პასუხი არ გავეცი, არც წავედი; თავს შეურაცყოფილადა ვთვლიდი და აბა რა წამიყვანდა? ეხლაც ჩემი ფიქრები ისევ ჩემი მეგობრისაკენ დაბრუნდნენ და მეც წავესწრაფე მის სანახავად. ქეთეთოს ჯვარისწერის ამბავი მიხასაც ეცოდინება და ვაითუ თავს რამე აუტეხოს-მეთქი, ვიფიქრე. მიხა შინ დამიხვდა: ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა.

— კარგია, მოხველ! ეს იყო, მე უნდა წამოვსულიყავ შენთან: მინდა ეს საღამო ერთად გავატაროთ.

დავსხედით, ვილაპარაკეთ. თითონვე ჩამოაგდო ქეთეთოზე საუბარი. უჯრა გამოსწია, ქალის სურათი ამოიღო და დაჰყურებდა.

— ვინ მოგცა, კაცო ქალის სურათი, რომელ ფოტოგრაფს გამოართვი? — შევეკითხე მე.

— ფოტოგრაფს კი არა, თითონ ჩემმა ქეთეთომ მიძღვნა და თავისივე ხელით დააწერა ზედ, — მითხრა და გადმოაბრუნა სურათი.

— როგორ, კაცო, როდის?! — დავეკითხე გაკვირვებული.

— იცი, დათიკო, მე მოვახერხე და თვალი ვადევნე ქალს, — მითხრა მიხამ: — გავიგე მისი დანიშვნის ამბავიც, მისი ჯვა-

რისწერის დღეც. ისიც გავიგე, რომ საქმრო არ უყვარს ქალს, კიდეც ეშინიან მისი, მეტადრე როცა ნასვამი მიდის, მაგრამ დედ-მამა დაჟინებით ურჩევს, ძალას ატანს. გუშინწინ პირდაპირ წაველ ქალის სახლში, რადგან უთუოდ უნდა მეთქვა სათქმელი. არ შეიძლებოდა. ჩემს დანახვაზე ქალი და დედა ჯერ შეკრთნენ, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ მე მათთვის კეთილის მეტი არა მინდოდა რა, დაწყნარდნენ. შევეველდრე ქალს, ნება მოეცა მხოლოდ რამდენიმე წუთი მეყურებინა მისთვის, რომ გამეახლებინა ჩემი გულის ფიცარზე აღბეჭდილი მისი სახე, უფრო გამენათებინა იგი. ქალმა ამის პასუხად თავისი სურათი მიძღვნა. ჩამოვართვი ხატი და გავუბედე ის, რასაც წინადვე ვხედავდი მის შესახებ.

— ქეთეთო! შენ სწორედ ისა ხარ, რომელთანაც ოდესმე შემაკავშირა განგებამ. შენი თვალები ცხადჰყოფენ ამას. ეხლაც ერთმანეთისათვისა ვართ ჩვენ მოვლინებულნი ამქვეყნად. მაგრამ მავნე ძალა გვძლევს ეხლა, გვჯობნის და გვაშორებს ერთმანეთს, ტანჯვაღა მოგველის, წამებით გავივლით ეხლა წუთისოფელს. წამებითა ვძლევთ იმ ბოროტ ძალას და ოდესმე კვლავ შევერთდებით! — ვუთხარი ეს, დავუკოცნე ხელები და წამოველ.

მიხას თვალები აელეგზნო და ამ ლაპარაკში, კვლავ აელდა საშინლად, კვლავ გამოსცადა ის წარსული მძიმე წამები. მერე ისევ დამშვიდდა ნელ-ნელა და მითხრა:

— სევდიანი გული მაქვს და მოდი ამაღამ ერთად გავატაროთ სადმე დრო.

11

წავყევი. არ შეიძლებოდა თავი დამენებებინა, რადგან ეს წუთი მძიმე იყო მისთვის, აუტანელი. გარეგნობით დაწყნარებული სჩანდა ახალგაზრდა, მაგრამ ცეცხლი ეგზნო მის გულში შემწველი. მივდიოდით ჩუმად. ძლიერ სევდაში სიტყვა უძლურია, მხოლოდ ახლო ყოფნით თუ ანუგეშებ ბედშავს.

მუშტაიდისკენ წამიყვანა. იქ ახლო სალხინო წალკოტია, იქ სალხინო ბაღში. შევედით. მე ვთხოვე, იქვე საჩრდილობელქვეშ დაგვესვენა, მაგრამ ნება არ მომცა, ქვეით წამიყვანა მდინარისაკენ. ზედ წყლის პირს ყოფილიყო თალარი და იქ

შემოვუსხედით მაგიდას. ბევრჯერ ვყოფილვარ იმ ბაღში, მაგრამ ის ადგილი არა მქონდა შეთვალიერებული. გადავხედე იქაურობას: ორ ნაბიჯზე ჩამოდიოდა მტკვარი, წყლის პირი ვაკე. იყო, ბექი არა ჰქონდა. შრიალებდა მდინარე, ნაპირზე ქვას აცურებდა, აბრუნებდა, აჩხრიალებდა. გაღმა მაღალი კლდოვანი ბექი მოჩანდა კედელივით და იმ კლდის ძირში წყალი ზვირთდებოდა, ეხეთქებოდა სალს, აქაფებული ბრუნდებოდა უკან, ტრიალებდა. მდინარის ტალღები მუქად ბრჭყვიალებდნენ შესაზარად. ხომ შუა ქალაქში მდებარეობდა ის ადგილი და ისე მივარდნილი იყო, ისეთი ბიამანი, რომ შევფიქრიანდი, თითქმის შიშმა ამიტანა.

— ეს რა ბიამანი ადგილია ამ შუა ქალაქში?! — გავიკვირვე მე.

— არ მოგწონს? მე კი მიყვარს, ხშირადა ვარ აქ, მაღაზიიდან რომ გამოვდივარ დაღლილ-დაქანცული, აქეთ მოვდივარ დასასვენებლად.

— მერე ამისთანა მიყრუებულ ადგილას რა სასიამოვნოა ყოფნა? საშიშიც კი არის: შეუძლიანთ დაგახრჩონ და მდინარეს მიგცენ.

— მაინც მომწონს ეს ადგილი: მყუდროა და შეიძლება ადამიანმა აქ თავი გაიმარტოვოს. იქნება საშიშიც იყოს. მაგრამ ვინ რას მაგულებს, რომ ბოროტი შემამთხვიონ. სოფელს მაგონებს ეს ადგილი, ჩვენი მდინარის პირს. აქ აღარ ისმის ქალაქის დაუდგომელი ხმა და არ მიწუხებს სულს; ამ პაწია ადგილას ბუნება ისევ თავის სახით არის, კაცი თითქმის ვერ შეჰხებია მას და ვერ შეუბღალავს. მე აქ ისევე ვუყურებ მდინარეს და შევტრფი ბუნებას, როგორც სოფელში. ამ ძლიერი წყალის დენაში და ჩხრიალში, ამ ხეების შრიალში იგივე საიდუმლო ხმები მესმის, რომლებიც მხიბლავდნენ ჩვენის მდინარის პირს.

— იცი, დათიკო, — განაგრძო ჸიხამ ცოტა სიჩუმის შემდეგ, — მე აქ ორჯერ-სამჯერ დუდუკიც დავაკვრევინე, რომ სავსებით ამეკრიფა ის ძვირფასი ხმები, რომლის მექონსაც დავეძებდი ამქვეყნად. ეჰ, ნეტავ არ მეპოვნა! მე მწამდა, რომ თუ შევხვდებოდი, მიცნობდა, გავახსენდებოდი, მოიგონებდა ჩვენგან ოდესმე ერთად გავლილ ჟამს. დროთა დიად მსვლელობას მისი გონებიდან გადურეცხნია ჩემი სახე, გადუწმე-

ია მისი გულიდან ჩვენი სიყვარული. ჩემთვის კი იგი სიყვა-
ული დაუსრულებელია, საუკუნო.

— გამიგონე! შენ ეხლა ისე გგონია, რომ მხოლოდ ქეთე-
ო იყო სწორედ ის, რომელსაც დაეძებდი. მე კი დარწმუნე-
ული ვარ, კიდევ შეჰხვდები ცხოვრებაში ქალს, რომელიც
ენთვის გაჩენილად მოგეჩვენება, რომელზედაც ეგრევე დაი-
ყებ ლაპარაკს, რომელიც შეიქმნება შენი ოცნების განხორ-
იელება, რომელიც მოიცავს და აავსებს შენს არსებას. ოღ-
ნდ ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინე, თორემ ჯერ ახალგაზრდა
არ, ხანგრძლივი სიცოცხლე გიძევს წინ და ბევრ მაგისთანა
უნნელოვან ყვავილს მოგიპყრობს ცხოვრება მოსასთვლე-
ად.

— არა, ძმავ, დღეს რომ იქ ქეთეთოს ქორწილია, აქ დასა-
რებაა ჩემი გულისა. ეხლა ისღა დამრჩენია, სანამ ცოცხალ-
არ, სიწმინდით დავიცვა თავი, რომ გავასპეტაკო ჩემი არსება
ა იმ ქვეყნად ღირსი შევიქმნე ჩემი ანგელოზის ხილვისა...
კი, დათიკო, მოდი, მცირე ვახშამი მოვითხოვოთ, — განაგრ-
ო მიხამ და დაუძახა ბიჭს.

უკიდურესად იტანჯებოდა კაცი და ვერ ვეწინააღმდეგე
ას სურვილს. მოგვართვეს მცირე რამ. მთლად ჩამოღამდა.
ღის თავიდან ელექტრონის სინათლე დასწვდა ჩვენ მყუდ-
ო ალაგსაც და აალაპლაპა მდინარე. მიხამ ხელი ვერ შეა-
ო საჭმელს: მწარედ ეჩვენებოდა ყველაფერი, ყელში არ
ასდიოდა. აშტერდებოდა საზარლად მოლაპლაპე მდინარეს,
ვალს ვერ აშორებდა მას. მეც უნებლიეთ გავყურებდი
ჭკვრის ზვირთებს და საშიში გრძნობა მიხუთავდა სულს:
ეფიქრებოდა, ვაჟკაცმა მდინარის ცივ ტალღებს არ მიანდოს-
ეთქი თვის გულის სახმილის ჩაქრობა.

— დათიკო, ერთი-ორი ხმა დავაკვრევინოთ დუდუკზე! —
ემეხვეწა მიხა.

მწყობრი ხმებით ახმაურდა ის მყუდრო კუთხე. დუდუკის
ევდიანი მოთქმა უერთდებოდა მტკვრის დუდუნს, ხმები ხან
ულში ეკვროდნენ მდინარეს, ხან სხლტებოდნენ მის კამკამ
ერდზე და მარგალიტის მარცვლებად იბნეოდნენ მიდამოში.
ევყურებდი მეგობრის სევდიან სახეს, ვისმენდი ნაღვლიან
ნგებს ტკბილის დუდუკისას და მეც განუსაზღვრელი ნაღ-
ლით მევსებოდა გული. მიხას დაეყრდნო ხელი მაგიდაზე

და გაჰყურებდა სივრცეს გამშრალ თვალებით გაქვავებულ სახეზე.

მძიმე გრძნობებით აღსავსენი წამოვედით ბაღიდან. გამოთხოვებისას ძმურად გადავეხვიე მიხას: მის განუსაზღვრელ ტანჯვას ვეამბორე, იმ გამოუთქმელ მსოფლიო სევდას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი არსი და რომელიც ულმობელის ძლიერებით საცნაურჭმნილიყო აწ ბედშავი მეგობრის გულში.

12

მეშინოდა, მიხა ღელვას დაიწყებს ამ მისთვის სასტიკ უბედურობის გამო და ვაითუ დარდი ვერ აიტანოს-მეთქი იმედმიხდილმა, მაგრამ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა ხასიათისა და გარეგნობით არც კი შეიმჩნია ეს უბედობა. იგი უბრძოლველად მიეცა შავის ბედის ტალღებს და თავი მიანდო მათ დენას. თავის სიყვარულის გაცუდებას ის ისე უყურებდა ეხლა, როგორც უკვე გარდასულ მოვლენას, რომელთან ბრძოლა შეუძლებელიღა იყო; უბედობას უკვე გამოეცა მთელი თვისი სიმწარე და იგი სიმწარე მიხას უნდა დაელივნა ნელ-ნელა, უნდა დაეცალნა ფიალა ვარამისა. მაინც რაღას გააწყობდა? მომხდარს ხელი ვეღარ შეუბრუნდებოდა, საქმის მისკენ მიხვრა შეუძლებელიღა იყო. მართალია, გულჩათხრობილი დადიოდა ვაჟკაცი, ხშირად უნებლიედ გმინვა ამოჰხდებოდა გულიდან, მაგრამ ეს ხომ აუცილებელი იყო და ბუნებრივი მის ყოფაში: მის საყვარელს ჯვარი დასწერეს სხვაზე და მას წილად ჰხვდა მხოლოდ ოხვრა უბედურისა. მაინც მიკვირდა, რომ მიხას დიდი მღელვარება არ ეტყობოდა. დარდი კი მქონდა მისი და ხშირად დავდიოდი მის სანახავად შინ თუ მაღაზიაში. მიხა ყოველთვის მხნედ გამოიყურებოდა, თავისებურად სუფთად ეცვა, ჰაზრიანად და მოხერხებულად ელაპარაკებოდა მუშტარს, მუყაითად ასრულებდა ყოველსავე თვის საქმეს. გამიღიმებდა, მომიკითხამდა.

— აღარ უშავს რა, ღმერთია მოწყალე! ვარამმა ვერ წარღვნა მისი გონება, ვერც დაიმონა მისი ნება თავისუფალი; მოზღვავებულ უბედურებას მამაცურად დაუხვდა, — ვიფიქრე მე და დავმშვიდდი.

შემდეგაც ყოველთვის ესეთ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე მიხა, თუმცა ქალი კი არ დაჰვიწყებოდა ჯერ და თითქო არც აპირებდა მის დავიწყებას: ქეთეთოს სახე პატარად აეღებინებინა და უბის საათში ჩაესმევინებინა. სურათი რომ შევნიშნე, გამოვართვი საათი და სინჯვა დავუწყე.

— ქეთეთოს სახეა, პაწაწად გადავაღებინე საათისათვის: მინდა მარად თვალწინ მქონდეს ჩემი ოცნების სურათი, — მითხრა მიხამ და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

— ეჰ, მალე შეაჩვევ თვალს მაგ ხატსაც. შემდეგ ჩაგიქრება ის მწვავე გრძნობა, რომელსაც ეხლა გიღვივებს ეგ სურათი და ბოლოს გასცვლი მაგ აჩრდილს უსულოს და ცივს რომელსამე ხორცშესხმულ, ცხოველსმყოფელ ყვავილზე და გაიხარებ, — გავიფიქრე მე და თავი მივანებე მეგობარზე ზრუნვას.

აღარც მეცალა მისთვის: ეს ის დრო იყო, როდესაც მთლად ჩამითრია და ჩამიხვია ცხოვრების მორევმა: სამსახურში წინ წავიწიე, გავიცან რამდენიმე სახლობა წარჩინებული ხარისხით თუ ჩამომავლობით ან შეძლებით, დაუცხრომლად ვცდილობდი მხარდამხარ მივყოლოდი მათ, არ ჩამოვრჩენოდი არაფერში. რა მიხასათვის მეცალა! ახალ ნაცნობებში დაჟინებით დავეძებდი ჩემს იღბალს, რომელსაც ვერცხლით უნდა მოეკირწყლა ჩემი ცხოვრების გზა, რომ დაუბრკოლებრივ მევლო ამ გზით წარმატებისა და დიდებისაკენ.

ათასში ერთხელ მაინც შევივლიდი მიხასთან და ვრწმუნდებოდი, რომ იმასაც შეეგნო ცხოვრების ეშხი: სახლი სუფთად ჰქონდა მოწყობილი, თითონ უნაკლულოდ იცვამ-იხურავდა და თან ახერხებდა წითელ ოქროს გადაგდებას შავი დღისათვის. შეეძლო კიდეც, რადგან თითონ სადა ცხოვრებას ეწეოდა და მაღაზიის პატრონიც ძალიან აფასებდა თავის უანგარო ნოქარს, ხოლო ნიშნად პატივცემისა ჯამაგირს უმატებდა მას. ერთი რამ ზნე კი დასჩემდა ჩემს მეგობარს: ხანდისხან ჩაიდებდა ფულს და გასწევდა საქეიფოდ. უფრო „ვაზა“ ჰქონდა ამოჩემებული, ის ბაღი, სადაც მე და იმას ვახშამი გვქონდა ქეთეთოს ჯვარის წერის ღამეს და იგივე ადგილი. მოითხოვდა სანოვაგეს, სასმელებს, მოიხმობდა დასტას და ისმენდა დუდუკის ფერად-ფერად ჰანგებს. თუ ამხანაგი შეესწრებოდა, კიდევ კარგი, თუ არა და მეზურნეებს თუ მსახურებს

შეაჭმევდა ფულს და ცალიერი დაბრუნდებოდა შინ. ნეტა თითონ მაინც ეჭამნა ან დაელივნა! მეც შევსწრებივარ ამისთანა მის ქეიფს. დროს გატარება ყოველთვისა ჰგვანდა იმ ვახშამს, რომელიც ჩვენ იქ პირველადა გვჭონდა: ისევ ის სევდიანი ხმები, ისევ ის დარდით მოცული გაქვავებული სახე და მშრალი თვალები. ქეთეთოს სახელს კი აღარ ახსენებდა, კრინტს არა სძრამდა იმაზე. ბევრჯერ მოვინდომე იმ ქალზე ჩამომეგდო საუბარი, ბევრჯერ დავუახლოვე საუბარი ამ საგანს. მაგრამ ამაოდ: ქეთეთოზე ის ხმას არ იღებდა, თითქოს ქალის სახე ამოფხვრილიყო მის მეხსიერებიდან; ნამდვილ კი იმ ქალს დასტრიალებდა მისი ფიქრები, მას შეჰკვნესოდა მისი გული. გახსნიდა საათს, დააკვირდებოდა ქალის სახეს და სასტიკი რამ გრძნობა გაურბენდა თვალებში.

გავიდა წელიწადი. მიიწურა მეორეც. მიხას ამგვარ ცხოვრებას კი ცვლილება არა ჰქონდა. ვცადე წამეყვანა ნაცნობებში, ახალი სახე მეჩვენებინა მისთვის, ახალი სული გამეცნობებინა, რომ ეგებ ახლა მას შემოჰხვეოდა გარს ვაჟის ოცნება თუ გრძნობა. მაგრამ მიხა ყველას ერიდებოდა; უზარმაზარ ქალაქში სცხოვრობდა ისე, როგორც განდეგილი კინმე განმარტოებული. გული ჩასთხრობოდა ვაჟკაცს, ჩაჰხვეოდა, ჩაჰბნელებოდა.

სხვად ძლიერ წმიდადა სცხოვრობდა მოწიფული ახალგაზრდა, უმანკოდ; თითქო აღარც კი ამჩნევდა თავის გარშემო ქალთა ძვირფას არსებობას. მე რომ ისე არ გავუშვებდი ქალს, რომ თვალი არ ამედევნებინა და გულისთქმის ვარდი არ მესროლნა მისთვის, ის ზედაც არ უყურებდა ამ ცხოვრების მაშვენებელ არსებას. რამდენჯერმე ვეცადე შემეგნებინებინა მისთვის, რომ უარყოფა უდიდესის ქვეყნიურ სიამისა არის გმობა მთელის ბუნებისა, მაგრამ ვერაფერი შევასმინე გაქვავებულს. მწყინდა ესეთი მისი უგრძნობლობა, ჯავრი მომდიოდა. ვერას გავხდი: არც ერთხელ არ ინება შესულიყო წალკოტს სანუგეშოდ და მიეღო ევასაგან ნაყოფი ხისა მის ცნობადისა. მე მაინც გულში დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს დროებით მოვლენა იყო მიხას ცხოვრებაში და დაჰკრამდა ჟამი, როდესაც იგი კვლავ იგრძნობდა სიხარულს. მაგრამ აღარ დასცალდა მას.

შეუსრულდა ნატვრა ქეთეთოს მამას: მიათხოვა ქალი ივანე ივანეს ძეს, მაგიდის გამგებელს, კაცს ჩინებულს და წარჩინებულს. დიდ ვინმედ მიაჩნდა სიძე, პატივსადებლად. თითონ სამსახურში გადამწერლობას ვერ ასცდა, მარადის მონა იყო ამისთანა მოხელეებისა, ეხლა კი სიმამრი შეიქმნა სახელოვანის გვამისა! კეთილშობილთა რიცხვში მოექცა მისი ქეთეთო, აღმატებულთა გუნდში. ამაყობდა კაცი ამისთანა გამარჯვებით. ულვაშს იგრეხდა თავმომწონედ.

— მაშ, ქალო! თუ მე არ ვცდილიყავ, არ მომეალერსნა კაცისთვის, გული არ დამეხვივნა, ასეთს ბედს ვერ შეეყრებოდა ჩვენი შვილი. იქნებ შენ იმ ვიღაც ნოქრისათვისაც კი მიგეგდო ქალი!..

ცოლი როგორღაც ვერ თანაუგრძნობდა თავის ქმარს, ვერ უზიარებდა მას აღტაცებას. მიზეზიცა ჰქონდა ამისი და ამ მიზეზს დედის გამჭრიახი თვალი პირველ დღეებიდანვე ხედაედა, თუმცა კი ჯერ არავის უმხელდა: არ უნდოდა ცოლქმრის საქმეში ჩარეულიყო. დედას იმედი ჰქონდა, რომ ქეთეთოს ოჯახში ჩრდილი დროებითი იყო, წუთიერი და მალე განქრებოდა. სცდებოდა გული დედისა: ჩრდილი რომ დაჰყვა ქეთეთოს ბედ-იღბალს, თანდათან იზრდებოდა; იგი ჩრდილი ისწრაფოდა გადაქცეულიყო სიბნელედ და ჩაენთქა ქალის გარშამო ყოველივე შუქი სიხარულისა.

უბედობა ის იყო, რომ ქმარმა პირველ დღიდანვე მრუდედ დაუწყო ყურება თავის მეუღლეს. ქალი წმინდად ვერა ლაპარაკობდა ქმრის ენაზე და ეს არ მოსწონდა კაცს, იმრიზებოდა, მეტადრე როცა სტუმრები ჰყვანდა; ქალს უყვარდა ფეხმორთხმული ჯდომა, ესე იყო შეჩვეული, ხელსაქმეც ესე უფრო ეხერხებოდა, ქმარს კი გული ემღვრეოდა ამაზე და სცდილობდა დაევიწყებინა ეს ჩვეულება; ქალს უცხო საჭმელი არც მოსწონდა და არც ეხერხებოდა, კაცი სადილ-ვახშამზე უკმაყოფილო იყო და ბუზღუნებდა. მოჰგლიჯა ქალს ჩიქილ-თასაკრავი და შაპო წამოარქვა. ქალი მოკრძალებული ქცევისა იყო და წყნარი, კაცს ეს დაჩაგრულობად მიაჩნდა და დასცინოდა. კაცი თხოულობდა, რომ ქალს სანოვაგე თითონ ევაჭრნა, თითონ ევლო ყასაბთან თუ ბაყალთან, ქალმა ვერ შესძლო ეს

და კაცი ცოფდებოდა ამაზე. ქალს ქართული კითხვა უყვარდა, გულს აყოლებდა, სიამოვნებდა, ქმარს ქართული სიტყვა არც ესმოდა, არც მოსწონდა; იქამდის მივიდა საქმე, რომ ქალი წიგნსა ჰმალავდა ქმრის ფეხის ხმაზე. ქალს უყვარდა ღიღინი, ქართული ხმების შეწყობა, თარიც იცოდა და მის სიმთა ჟღერაში ადნობდა გულისვარამს, ქმარს არ ესიამოვნებოდა ეს ხმები, მისთვის ეს ნაზი და თავისებური ჰანგები გაუგებარი იყო და უაზრო.

ათასგვარ წვრილმანში ირჩეოდნენ ცოლი და ქმარი ხასიათით თუ აღზრდით: ყველა წვრილმანში გამოსჭვიოდა მათი გემოვნებისა თუ ზნე-ჩვეულების განსხვავება, მათი სხვადასხვა შეხედულება ოჯახზე თუ ხალხზე. იშვიათი იყო ისეთი რამ მათ ცხოვრებაში, სადაც იმით გემოვნება თუ შეხედულება ერთგვარ ყოფილიყო და შეთანხმებული. კაცს კი არც იმდენი ხათრი ჰქონდა ცოლისა, არც იმოდენა მოთმინება, რომ ცოტა რამ დროებით მაინც დაეთმო ქალისთვის. ნორჩს გულს ქალისას სიყვარული სწადოდა აღტაცებული, ხოლო ქმარი მიუძღვნიდა გულს გაციებულს, გრძნობას დაჩქლეთილს, გამოფიტულს, ქალი სცდილობდა მოთმინებით დაეძლივნა ყოველივე და ჩამოეგდო სიმშვიდე ოჯახში, სცდილობდა შესჩვეოდა ქმარს, გული შეეწყო მისთვის, მაგრამ შეუძლებელი გამოდგა მათ შორის სულიერი კავშირი და თუნდა აჩრდილი ერთობისა. ვერ შესძლო ქალმა ასეთი ყოფა და თრთოდა, კვნესოდა, ილეოდა. მთლად აუტანელი ხდებოდა კაცი, როცა ნასვამი ბრუნდებოდა. სასტიკად გამოიყურებოდნენ მისი გამორეცხილი ცივი თვალები.

— არაყი! არაყში მსურს ჩავადნო დარდი ჩემი მოუნელებელი! — გასცემდა ბრძანებას ჩახლეჩილის ხმით.

მოუჯდებოდა წინწანაქარს და სვამდა ნელ-ნელა, სვამდა დაჟინებით, სვამდა დაუსრულებლად. სვამდა და მოსთქვამდა თავის უბედო ბედს, იღვრფლებოდა, სანამ კინწი არ მოსწყდებოდა და არ ჩაეძინებოდა. ქალი გადააწვენდა კაცს ტახტზე, მიხურავდა და ჩამოჰყრიდა უღონოდ ხელებს, მიეცემოდა მძიმე საგონებელს. დარდობდა ქალი, რომ ბედმა უმუხთლა მას, შეაუღლა უფერ კაცთან, სამუდამოდ ჩაუშავბნელდა ცხოვრება. განა ამისთანა ვაჟკაცზე ოცნებობდა ქეთეთო! მისი

ოცნების გმირი არ იყო რაინდი საკვირველი, იგი იყო მუშაკი ტკბილი, წყნარი, ცოლ-შვილისათვის თავდადებული. ქალის ოცნებაში ეხლა თანდათან ირკვეოდა და სხივოსნდებოდა სანდომი სახე მისი სიყვარულით გატაცებული მიხაკოსი. თუმცა ქალი ირიდებდა ამ სახეს, თავის ფიქრებს გარს არ ეხვეოდა, რადგან ამგვარი ფიქრთა დენა ცოდვად მიაჩნდა და ღალატად თვისის გვირგვინისა. დარდობდა ქალი და თავის დარდს არავის უმხელდა, დედასაც კი არ უზიარებდა, თუმცა ამაოდ სცდილობდა დაფარვას: მისი ჩაფერფლილი სახე ცხადყოფდა მის დუხჭირ ცხოვრებას.

ყველა ეს დარდი არ აკმარა ქალს მისმა მწარე ხვედრმა. ერთხელ სამსახურიდან ძალიან ავგუნებაზე დაბრუნდა კაცი: უფროსს შენიშვნა მიეცა მისთვის, დაეტუქსნა. სმას შეუდგა ჭირთ საფონებლად. გაჭირვეულდა გალოთებული და ჭიქა დაანარცხა იატაკზე. სასმისის ჭაქანზე ქალი ზე წამოვარდა, შეჰკივლა. კაცმა ძლიერ იწყინა და გაცოფებულმა ხელი ჰკრა ცოლს გულში, ქალი გადიმზღვრა იატაკზე: გული შეუწუხდა.

14

ვიცოდი, რომ ქეთეთო ავადმყოფობდა, გულს იტკივებდა, ზერაქვერად იყო, მაგრამ ის კი არ მეგონა, ისე მალე მოესწრაფებოდა დღე იმ ნორჩ ქმნილებას. ბოლოს ჟამს ქალს ქმარი სულ დაჰვიწყებოდა, პირი შეექცია მისთვის, აღარ ახსოვდა მისი ვინაობა. სხვა რამ სურათი დაჰსახოდა მის გაწამებულ გონებას და ავადმყოფი იმ სურათს შესტრფოდა ეხლა.

კაცი გამოეგზავნათ ჩემთან. ქალი ბალიშებზე იყო მისვენებული. თვალცრემლიანი დედა გვერდს ეჯდა და უსიტყვოდ ჩასჩერებოდა. მძიმედ სუნთქავდა ქეთეთო, ხრიალით. თვალები მოჰრღვეოდა, მიფერფლილ სახეზე გრძლად დაჰფენოდა გიშრის წამწამი; ხელებს აცოდვილებდა მოუსვენრად. ავადმყოფმა გააღო თვალები, მიიხედ-მოიხედა და გაკვირვებით შეჰედა დედას.

— რა იქნა, დედიჯან, მიხაკო? ეხლა ხომ აქ იჯდა ჩემთან.

— ვინ მიხაკო, გენაცვალე?

— ჩვენი მიხაკო, ქა, ჩემი დანიშნული! — სთქვა ქალმა და ჩაიჩეულ ლოყაბზე სიწითლემ გადურბინა.

მაშინვე მივხვდი, ვინ მიხაკოს კითხულობდა ქალი. გავეჭანე ეტლით და მოვგვარე ჩემი მეგობარი. ქალი გარინდებული იწვა, ხელი გადმოეგდო ბალიშზე. მიხა მივიდა სარეცელთან, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელზე აკოცა ავადმყოფს.

— მიხაკო, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლე?

— მე ვარ, გენაცვალე, ეს რა ამბავია შენს თავს?

— დაჯექ, სიყვარულო, ჩემს ახლო დაჯექ!

დედა ფეხაკრეფით მოშორდა ქალის საწოლს.

— ვკვდები, გენაცვალე, და მომსურვილდა შენი ნახვა. ვიცოდი მოხვიდოდი.

— სულ შენთანა ვარ, ჩემო სიცოცხლევ! ბალღობიდან ჩემი გონებიდან განუშორებელი იყო შენი თვალები, შენი სახე, შენი ტკბილი ხმა. გნახე და მაშინვე გიცანი. მას აქეთ შენითღა ვცოცხლობ, შენით ვსულდგმულობ. აი, საყვარელო, უთხრა ვაჟმა და უჩვენა ქალს მისი სახე საათში.

— ჩემს გონებას კი ბინდი ჰქონდა გადაფარებული. რალაც სახეს ევლებოდა თავს ჩემი აზრი, ვიღაცას ეტრფოდა ჩემი გული, მაგრამ ჩემმა საწყალმა გონებამ ვერ გამოარკვია იგი სახე და ვეღარ გიცანი, როდესაც გნახე... წყალი, გენაცვალე!

მიხამ მიუპყრო ქალს ჭიქა. ქალმა დაისველა გაფიცხებული ტუჩები და განაგრძო:

— შემდეგ ნელ-ნელა ჩამოეხსნა ფარდა ჩემს გონების თვალს და ეხლა ვიცი, რომ შენა ხარ ჩემი ერთადერთი სიყვარული; უწინ რომ ვცხოვრობდი, მაშინდელი ჩემი სიხარული, თურმე შენ მოგელოდდა გული კრული! აზრმა კი დახშულმა ვერ გიცნო შენ.

— იცი, ქეთეთო... ახ, უწინ სხვა სახელი გქონდა, ვეღარ მომიგონია. იცით, ქეთეთო, მე ცხადად მახსოვდა შენი თვალები, აი ეს მშვენიერი თვალები, — უთხრა მიხამ და ნაზად შეეხო ქალის წამწამს: — შენს ხმასაც კარგად ვარჩევდი, მაგრამ სახე კი მიეფარა ჩემს გონებას, ვეღარ წარმომედგინა, სანამ არ შეგხვდი.

ქალს სიხარული დაეტყო, აღტაცება რამ დაესახა, მიმჭრალი თვალები ნათელმა გაუშუქა!

— ამაყენე, გენაცვალე!

ვაჟმა მოხვია ხელი და ფრთხილად წამოსვა, ბალიში გაუსწორა.

— ეგრე იყავ, საყვარელო, ხელს ნუ მომაშორებ! — უთხრა ქალმა.

და გადისვა ხელი სახეზე, თმა გაისწორა, მერე მხარზე დაეყრდნო ვაჟს დაქანცული.

— გახსოვს, გენაცვალე, ჰაერთა სივრცეში რომ მივცურავდით ესე გადაჭდობილნი? — შეეკითხა ქალი.

— მახსოვს სიზმარივით.

— როგორი წყვდიადი იყო! როგორ ციოდა! იცი, საყვარულო, ის მძაფრი სიცივე უკვე გამიჯდა ეხლა ჯანში, — სთქვა ქალმა.

და შეაჟრჟოლა.

ვაჟმა გულში ჩაიკრა ავადმყოფი, სცდილობდა გაეთბო იგი.

— მაშინ აკი მივაღწიეთ კიდეც ნათელთა სამფლობელოს, ვერ კი ვეღირსენით იქ დამკვიდრებას. ხომ გახსოვს ხმა: ძლიერია თქვენი სიყვარული, გარნა ტანჯვით უფრო განასპეტაკებთ მას და იგი სიყვარული შეგაერთებთ საუკუნოდ!

— ეხლაც ყურში მიდგა იგი ხმა ციური! — მიუგო ვაჟმა.

— რა საშინელი ჰაერის მცველნი გვყვებოდნენ თან! როგორ სცდილობდნენ გავეყარენით, დავეშორებინეთ ერთმანეთს საუკუნოდ. ჩვენი სიყვარული გვინათებდა, არ უშვებდა მათ ჩვენთან.

— კვლავ გაგვინათებს იგი სიყვარული წყვდიადს უსაზღვროს, ჩემო სიცოცხლე! — მიუგო ვაჟმა აღტაცებით.

— მეშინიან იმათი! ჰაერის მცველებისა მეშინიან! იქ დამიხვდებიან მარტოს, ამედევნებიან, — სთქვა ქალმა.

და მიეკრა ვაჟკაცს.

— ნუ, გენაცვალე! აი შენთანა ვარ.

— იქ, იქ მარტო დავრჩები, ჩვენი სიყვარულის ლამპარი ჩაქრება უშენოდ და ბნელი მომიცავს, წყვდიადი ჩამნთქამს. მეშინიან! — წარმოსთქვა ქალმა

და ძრწოლა აღებეჭდა სახეზე.

— არა, გენაცვალე! ჩაუქრობელია ჩვენი სიყვარულის ლამპარი, ეხლა უფრო ბრწყინვალე იქნება იგი, რადგან ჩვენ იგი ჩვენი სიყვარული გავასპეტაკეთ დიდი ტანჯვით. ოხ, ძლიერ ვიტანჯებოდი ამ ორ წელს უშენოდ.

— მეც ვეწამებოდი უშენოდ, სიყვარულო! გავიგე ჩემი

შეცთომა, გიცანი, მაგრამ გვიანღა იყო. მინდოდა გამეზიარებინა შენთვის ჩემი ტანჯვა, მაგრამ ეს ღალატი იქნებოდა ხაკურთხი გვირგვინისა. ეხლა სხვაა: ეხლა აღარ ვეკუთვნი ამ ქვეყანას.

— ეხლა სხვაა: ეხლა ჩემი ხარ, ეხლა შენთანა ვარ საუკუნოდ! ველარავინ მომტაცებს შენს თავს, ველარავინ დამაშორებს შენს გულს ველარც აქ, ვერც იქ, იმქვეყნად!

— მაშ ისევ გიყვარვარ, მაშ არ დამტოვებ. მაშ არ გამძიშვებ მარტო?

— არა, გენაცვალე, არასოდეს!

— მაკოცე, სიყვარულო!

ვაჟმა ჩაიკრა გულში სატრფო, დაუკოცნა ბაგე და ფრთხილად მიაწვინა ბალიშებზე, ხელი კი არ მოაშორა. ქალი დაამშვიდდა, სიამის რამ ნათელი წყნარი გადაეფინა სახეზე.

კუკიის სასაფლაოზე დავკრძალეთ ქეთეთო, განაპირას, გორაკების მხარეს. ორი დღის შემდეგ იქვე გავუთხარეთ სამარე მიხაკოს. ბანგი დაელივნა. ანდერძში მეხვეწებოდა, ქეთეთოსთან დამმარხეო. იმასაც მავალებდა, ყოველწლივ მომეხსენებინა მათი სული და დუდუკი ამეკვნესებინა მის საფლავზედ იმ ხმების მოსაგონებლად, რომლებიც ჰხიბლავდნენ მას ცხოვრებაში. ორივეს ერთნაირი ქვა ადევთ. უკლებლივ ვასრულებ მეგობრის ანდერძს და ყოველწლივ მის გარდაცვალების დღეს ტკბილი დუდუკი დასტირის შეყვარებულთა სამარეს.

(1909 წ.)

ალუჩა

1

ალუჩობის დრო იყო, მწვანე ხილეულობის ჟამი. ყველაზე ძალიან ეს დრო მომწონს; ახალი გაზაფხული კი არა, გაზაფხულის მეორე ხანი, თითქმის დამლევი.

— რითი სჯობია ის დრო ახალ გაზაფხულს, ან ზაფხულს, თუნდ შემოდგომის დამლევს?

— არაფრით, სრულებით არაფრით. მაინც უფრო მომწონს: ისეთ დროს მაგონებს ის ჩემის ცხოვრებისას, რომელსაც ხშირად ვუბრუნდები გონების თვალით და გაკვირვებით შევყურებ, თითქო რამ ძნელ ამოცანას, ჩემგან ჯერაც ვერ ამოცნობილს.

— რას უფრო შეჰყურებ, მილეულ გაზაფხულს თუ ალუჩას?

— გაზაფხულის საღამოს... არა, ალუჩას... ეჰ, არა! საღამოს გაზაფხულისას, ჩემს მზეს ამომავალს და ალუჩას, — სამივეს ერთად.

— რას ამბობ, კაცო? სად საღამო, სად ამომავალი მზე?! ხუმრობ თუ!

— რა მახუმრებს?! ერთად ვხედავ-მეთქი ტყემლის ალუჩას, დაპურებულ გაზაფხულს, ჩემს ამომავალ მზეს.

— ტყემალს თუ ალუჩას?

— ტყემლის ალუჩას. არ იცი?! ერთი ნამდვილი ალუჩაა, მჟავეა, ძალიან კი არა. მეორე ტყემლისაა: სახე სწორედ ალუჩისა აქვს, ხან იმაზე მსხვილიც არის: გემოთი თუ სიმჟავით კი ნამდვილი ტყემალია. ამაზე ვამბობ. ის ორ დაუვიწყარ დროს მაგონებს მე, განცდის რამ წამებს, განსაცდელის წუთს.

— გიყვარს ალუჩა?

— არ ვიცი. გეტყვი ყველაფერს და შენ თითონ მითხა-

რი, მიყვარს თუ არა ტყემლის ალუჩა. მერე რა მსხვილი იყო, ხომანდულის ტოლა... ჩემზე წინად ეხლაც ვერვინ იყიდის ახლად შემოსულს.

— მაშ გყვარებია!

— რომ მიყვარდეს, კიდეც ვსჭამდი. არასდროს პირში არ გავიკარებ!

— მაშ რაღად ყიდულობ?

— დამაცა, კაცო. ჯერ მათქმევინე, მერე მითხარი.

2

ყმაწვილი ვიყავი, შეღერებული, ესე თერთმეტ-თორმეტი წლისა. ფეხმარდი, მარჯვე. ციყვივით ავირბენდი ხეხილზე. ჩვენ ბაღში მარტო ქოჩორა კაკალი მეურჩებოდა: ტოტები არა ჰქონდა. დაესხიპნათ, ლიტაოდ აეზარდნათ და ფეხს ვერ ვიკიდებდი, მკლავებსაც ვერ ვაწვდენდი, მსხვილი ღეროიანი იყო.

მითქვამს შენთვის: ჩვენი ბაღის გვერდზე ძიაანთ ვენახი იყო გადასალაჯებელ რამ ღობით გადაყოფილი. ბაღებს გარშემო მაღალი ღობე ევლო, მაგარი, შიგნით კი მაგდენად საშიში არ იყო: მეგობრულ-მეზობლურადა ვცხოვრობდით ორივე მეკომური და ერთმანეთის სარჩოს მაინცდამაინც მტრულად არ ვეტანებოდით. ბალღებიც შურით არ ვუყურებდით მეზობლის ვენახს: სავსე ოჯახი გვქონდა, დახაციცებულნი არ ვიყავით. ესეც არ იყოს, რაც იმათ ედგათ ბაღში, ჩვენც გვედგა ის, და თვალი არაფერზე გვრჩებოდა.

მაგრამ არა! იყო წლის განმავლობაში ისეთი დრო, როცა ბალღებს თვალი იქითა გვრჩებოდა, ძიაანთ ვენახისაკენ, და ვმადლობდით ბედს, რომ ისეთი დაბალი ღობე ჰყოფდა ჩვენს ბაღს იმათ ბაღისაგან. ეს იყო ალუჩობის დრო: მარტო იმათ ედგათ ეს ხილი, მთელი ორი ძირი ალუჩა! მერე რა ტყემლის ალუჩა! ნამყენ ჭლიავივით მსხვილი, გაზაფხულის ფოთოლივით მწვანე, ხასხასი. როგორ ესხა: ფოთოლზე მეტი...

საშიში კი იყო გადაპარვა, ხეხილთან მიახლოვება: ძია დემეტრე ფხიზელ დარაჯად ედგა ვენახს იფნის სახრით იღლიაში, რა მარჯვედ ხმარობდა მოქნილ იფანს დალოცვილი! ქათამს რომ წამოუსვამდა, წამზე თავს გააგდებინებდა. მაინც

ამ სახით დაჰკლავდა ფრინველს. არც დევნა იყო მისთვის საჭირო: რახან ყოველთვის იღლიაში ეჭირა სახრე, ფრინველს აღარ ეშინოდა ჯოხისა: გულუბრყვილოებს მისი სხეულის ნაწილი ეგონათ იგი.

ჰოდა რომ ვუყურებდით ბიჭები დემეტრიანთ ალუჩას, კბილები გვიკაწკაწებდა, ელეთ-მელეთი მოგვდიოდა. ძლივს ვიმაგრებდით თავს, აკი მაინც დავკარგეთ მოთმინება და მახეში გავყავით თავი. სულ სოლიკოს ბრალი-კი იყო ეს, დაუდეგარისა:

— აბა, ბიჭებო, გადავიპაროთ შენ ძიაანთ ვენახში!

— ძია დემეტრე?

— ერიჰაა! ის დილა-ადრიან გაღმა წავიდა, სოფელ დამწვარაში. მე ჩემი თვალითა ვნახე, ბოგირზე რომ გადიოდა ცხენდაცხენ.

— დედაკაცები?

— რას გვიზამენ დედაკაცები, თუნდაც დაგვინახონ! გავექცევით.

წავედით. გადავიპარენით. ტყემლის ალუჩას თავს მოვეჭეცი, მაღალი იყო, ბლომათ გაბარჯღილი. ღვთის წყალობა გაქვს, ჯავრი ვიყარე! წაიღო კბილები, დამჭრა, დამკვეთა. ვინ დაგიდევდა?! წამალი ვიცოდი: როცა სამშვიდობოს გავიდოდი, ნიგოზს გავცოხნიდი და მაშინვე მომირჩებოდა. გავივსე ახალუხის ჯიბეებიც. მერე რა ახალუხისა! სულ ორი დღის ჩაცმული არა მქონდა. ყაყაჩოსავით წითელი ყვავილი ეყარა. ჩითი იყო, ფარჩასა სჯობდა. ტოლები შურით თვალს ვერ აშორებდნენ. ის იყო, გული ვიჯერე და ახალუხის უბეს ვიხსნიდი, რომ მომესმა მჭახე ძახილი:

— ეჰეი! ეჰეი! აბა ერთი მანდ დამიცადეთ!

გავიხედე, დემეტრე მორბის, სახრეს ჰაერში მოათამაშებს. ელდა მეცა. გადავხედე, სოლიკო კიდეც ჩასულიყო.

— ჰარიქა, დათიკო! — დამიძახა იმან და გადაევლო ღობეს.

ჩამოვეშვი ტოტიდან ტოტზე. კიდევ მოვასწრებდი ჩამოსვლასაც, გაქცევასაც, მაგრამ... ამისხლტა ფეხი, წამოვედი თავ-თავქვე. ნეტავ ჩამოვარდნილიყავი! არა მიშავდა-რა: ლბილი მიწა იყო და ბალახი. ორკაპ-ტოტში ახალუხის ჯიბე მოჰყვა გატენილი და... სამარცხვინოდ ჩამოვეკიდე, ჩამოვკონ-

წიალდი. მომატანა გაბოროტებულმა. გაიშხივლა ჰაერში სახრემ. სახრის წვერმა სულ ერთ მტკაველზე გაიზუზუნა ჩემ ცხვირწინ. ეწყინა დემეტრეს. შემოავლო ხელი ხეს: ამოსვლა იწყო. ერთი წუთი და მის ხელში ვიქნებოდი, გაბრაზებულის იღლიაში. ვიგრძენ, რა დღეც დამადგებოდა, დავიკივლე განწირულის ხმით, გავიბრძოლე უკანასკნელად და... ბრაგვა გამცვივდა მიწაზე, ახალი ახალუხის ჯიბე კალთიანად ტოტზე დარჩენილიყო. ვერ ვიგრძენ რამ ტკივილი. წამოვხტი, მოვკურცხლე, გადავფრინდი ღობეზე. სანამ დემეტრე ხიდან ჩამობრუნდებოდა, მე სამშვიდობოს ვიყავი, თუმცა, ეჰ, ნეტავ ახალუხი არ დამფხრეწოდა, რაც უნდა მომსვლოდა: ნასახრალი მალე მორჩებოდა, ახალუხი-კი ვეღარ გაახლდებოდა.

3

— მას აქეთ შეგძულდა ალუჩა?

— თვალის დასანახავად შემჯავრდა! არამც თუ თითონ მე აღარ ვეკარებოდი, სხვასაც ვუშლიდი იმის ჭამას. ან რა საჭმელია! მოუწევარი, მწვანე, მჟავე, ყოვლად სავნო და საძაგელი! ჟრუანტელი მივლის, როცა სხვა ახრამუნებს.

— ძალიან შეგშინებია მაშინ, რომ სამუდამოდ აგიკვეთია ის ხილი.

— იქნება ისე შიშმა არ მიყო და ახალუხის ჯავრმა, როგორც ავადმყოფობამ: იმ დღესვე ცუდად ვიგრძენ თავი და მთელი ორი კვირა ვეღარ ავდექი: ციება, ბალღამი, ოფლი, საზარი ჩვენებები, ბეწვაშლილი მაჯლალუნა. კბილებღრჭენილი... ის დღე იყო და ეს დღე, ალუჩას ხსენებაც კი საძაგელ ჟრუანტელს მაგრძნობინებს ტანში.

— ნუ ახსენებ!

— არც ვახსენებდი, აღარც ვახსენებ. მაგრამ მე, დაიჯერებ? მას შემდეგ ერთხელ კიდევ იძულებული შევიქმენ მეჭამა ალუჩა, მთელი მუჭა ტყემლის ალუჩა...

— ძალას ვინ გატანდა, შე დალოცვილო?!

— ალბად მატანდნენ! და მერე როგორ! ვსჭამდი, ვაქებდი, ვიღიმებოდი. არ კი მგონია, ლაწაზი ყოფილიყოს ის ჩემი ღიმილი.

— მიკვირხარ, ღმერთმანი!

— ბევრი საკვირველი შემთხვევაა კაცის ცხოვრებაში, განსაცვიფრებელი.

— მაინც?

— ინებე!

გავიდა ბალღობის ხანა. აკოკრდა ულვაში. ხუჭუჭი წვერი. დავბზინდი. დავვაჟკაცდი. საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსულს თავი რაინდი მეგონა. უტეხ-უძლეველს ქუდად ცა აღარ მიმაჩნდა, ქალამნად დედამიწა. ვინღა მოიგონებდა გაგლეჯილ ახალუხს: საუკეთესოდ მეცვა, ფარჩის სარჩულებს შარიშური გაჰქონდათ. ჩემი მძლეველი, თუნდაც შემბმელი?! ახლა თუ გამოჰგზავნიდა ღმერთი თავის ნათლულ ამირანს! ჩემი მბრძანებელი?! სპარსთა ყეინი თავს ვერ მომახრევინებდა! ალუჩა, ტყემლის ალუჩა?! რა საკადრისი იყო, თუნდაც მყვარებოდა: მხოლოდ საიშვიათო ხილს მივირთმევდი სერისკუდადა. მაღლა ამეღო თავი, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი და...

გავები მახეში... მერე როგორ! იტყვიან: ოთხივე ფეხით.

— მიამბე!

— გიამბო... ადვილად იტყვი! გახსოვს, ტარიელს რა ეძნელებოდა ამბის მოთხრობა, როგორ ემზადებოდა?

— ზეპირად ვიცი. მაინც მიამბე!

— გეტყვი, რახან დავიწყე. სად წავუვალ ძმობილის სურვილს?

4

გაზაფხული იყო, მაისის პირველები. მთვარე არხეინად მიცურავდა ცის კაბადონზე. ისე ანათებდა დალოცვილი, თითქო მზეს ეცილებაო ბრწყინვალებაში. წიგნი წაიკითხებოდა მის შუქზე. მარტო დავდიოდი. თავი გამეთავისწინებინა ვითომ ღრმად ჩაფიქრებულს. მრავალ ნაცნობებში არავის ავედევნე; სასაუბროდაც არვინ ავიყოლე. არ ვიცი, ასეთ გუნებაზე ვიყავი, თუ მეგონა, ამგვარი ქცევა უფრო ყავდას გამიკეთებდა; არ მახსოვს, იქნება აღარც ვინ მიმაჩნდა იქ სანუკვარად, საყურადღებოდ. ვგონებ, ესე იყო.

ვნახოთ, ჩემ პირდაპირ მოდის სულ ახალი სული. შევსდექი გაშტერებული. განა ქალი იყო: მთვარეს მოსწყენოდა

ცაზე განმარტოება, ძირს ჩამოსულიყო ხალხში სამყოფად. შაპო მკლავზე გადაეკიდა. თმა შეკოპილი არა ჰქონდა, შემოხვეული; ლახტებად გადაეშვა მძიმე ნაწნავები. ვარსკვლავი ხომ გინახავს ბლომად სხივმიდევნებული, კუდიანი ვარსკვლავი საიშვიათო? ის მისი სხივები თმად აეკრიბნა პირმანგს სალამაზოდ. ბერიკაცი ახლდა გვერდზე, ჩემთვის უცნობი. გავშეშდი. აღარ დავიძარ ადგილიდან: მეგონა, ისევ ჩამომივლიდა. მოვტყუვდი: მთელი საათი ვიდექი იქ, მაგრამ ამაოდ. წავედ შინ დაღონებული. სისხამ დილაზე ავდექი. ვინ მე, ვინ ადრე ადგომა! რამდენი ხანი იყო, აღარ მენახნა ამომავალი მზე. ვიარე. ვეძებე. ვიკითხე. მივაგენ. გავიცან. გამოვები ნაწნავთ ბოლოზე უწყვეტი ჯაჭვით ხელებშეკრული. მაშინღა შევიგენ ძახილის ძალა:

„მე მონად შევქმნილვარ ერთისა მზისა!“

რა მაგრა ვეჭირე პაწაწა ხელში! თვალ-წარბში შევყურებდი. სურვილთ ნასახებსაც ავუსრულებდი. მოდი ერთი, ნუ აასრულებდი, როცა მის სახეზე აჩრდილის კვალიც გულს შიშით გიპობდა, ძრწოლასა გგვრიდა. ერთიც ვნახოთ, რამე არ მოსწონებოდა შენში და... და გამწყრალიყო, გაგშორებოდა. რაღას აპირებდი მაშინ?! ეჰ, სრულიად ვიგემე ტკბილი მონობა და სანატრელი შებორკილება.

თითქო თანდათან ლბებოდა მისი გული ჩემთვის: მიაბ-ლოვდებოდა, მეტყოდა; გამომკითხავდა; ათასში ერთხელ სასეირნოდ გამომყვებოდა. ბერი არ ელის სამოთხის ბჭეს ისეთი სურვილით, როგორი სიხარულითაც მე ველოდი მათ კარს მისვლასა. ეს ბედნიერებაც ეხლა ხანდისხან წილად მხვდებოდა...

— დაგავიწყდა: ალუჩაზე დაიწყე წეღან, სულ სხვას ამბობ.

— მაცა, თუ ღმერთი გწამს!

მივედი ერთ საღამოს. გული გამეღო: პირმანგი ბაღჩაში დამხვდა განმარტოებული. წინ მაგიდა ედგა და ზედ ბროლის საინით... ტყემლის ალუჩა. მიირთმევდა, აკნაწუნებ-ახრამუნებდა. რა კბილები ჰქონდა! მძივივით მოსხმული, წვეტიანი, თეთრზე უთეთრესი. დავხედე, ჟრუანტელმა დამიარა, უსიამოვნო რამ შეჟრჟოლებამ.

— აბა ამას რას მიირთმევთ, ქალო! კბილს მოგჭრით, გაწყენთ.

— ძალიან მიყვარს. რა უშავს, თუ კბილს მომჭრის!

— ნუ ინებებთ! სხვა რამ ხილი მიირთვით.

— განა თქვენ არ გიყვართ, ყმაწვილო, ალუჩა? ტყემლის ალუჩა გახლავთ, საუკეთესო, — მითხრა ლამაზმა.

და ორაზროვანი ღიმილით დამაცქერდა. წადი შენ ეხლა და უთხარი, არ მიყვარს, არ ვარგა-თქო. ერთიც ვნახოთ, შენი სიტყვებიდან დაასკვნა, ჩვენ ერთნაირი გემოვნება არა გვქონიაო, გავიფიქრე მე და შევკრთი, მუხლი ამითრთოლდა.

— რამ შეგაშინა?

— რამა?! შენ არ იცი, ამისთანა თქმას, ამგვარ დასკვნას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ლამაზის მხრივ?! შეყვარებული არა ჰყოფილხარ არასოდეს, არ გიწვნევია...

— არა, როგორ არ მიყვარს ალუჩა, მეტადრე ტყემლისა... პატარობისას... მაინც საშიში გახლავსთ, არ გაწყ...

— აბა ნახეთ, რა კარგია! მიირთვით! — მიბრძანა უწყალომ.

და მომაწოდა ალუჩა. განა თეფშით მომიბყრო, ერთი ამეღო; მარგალიტის სადაფს რომ უგვანდა მუჭა, იმ ხელით მომაწოდა, რამდენიც შესძლო. ჩამოვართვი. კინაღამ ხელზე ვაკოცე. ვერ შევბედე. ჩავიდე პირში, გავკვნიტე. ნაკვერჩხალი დამეკვნიტა, ის კი მერჩივნა: შესაძლო მაინც იქნებოდა, დავღრეჯილვიყავ, სანამ ვსჭამდი, მოღიმარე თვალებს არ მაშორებდა. სულ გავათავე...

— ხათრით?

— არ ვიცი, ხათრით თუ შიშით. მაინც გავათავე და... კიდევ კარგი, შემდეგში დამიფასდა ჩემი გმირობა, თავის განწირვა.

[1910 წ.]

ვაშლები

ზოგ ადამიანის სახეს ძალიანა სცვლის დრო, რაც უნდა ჩააკვირდე, ვეღარ იცნობ, თუნდაც ოდესმე მახლობელი ნაცნობი იყოს. ზოგ სახეს კი ისეთი რამ დამღა აზის, თუ ერთხელ თვალი დაჰკარ, თავის დღეში აღარ დაგავიწყდება: ვერც განვლილი ჟამი, ვერც დროთა ბრუნვისაგან დაჭდეული ცვლილებანი შენს გონებაში ამ სახეს ვერ წაჰშლიან.

რამდენი ხანია, არ მენახა ჩემი ნაამხანაგარი სანდრო; ჯერ ისევ ბალღები ვიყავით, როცა ერთმანეთს დავშორდით, ჯერ ულვაშიც კი არ აგვზიზინებოდა; მაგრამ, შევხვდი თუ არა, შევხედე თუ არა ჭაღარას ჭაღარამ, მაშინვე ვიცან.

ეს წაუშლელი დაღი მის სახეზე, ეს აღმოუფხვრელი ნიშანი, მის თვალთა გამომეტყველება იყო.

შეგინიშნიათ ყასაბხანაში მარად დამშეული არსების თვალთა იერი? მსუნაგი, გაუმაძღარი, ქურდულად მომზადებული; დატუქსული, კუდამოძუებული?..

მუცელგაუმაძღარ სახლის შვილი იყო სანდრო, უპოვარ-უშოვარი, ხოლო გიჟმაჟ ბუნებას მახვილი ყნოსვა-გემოვნება მიეცა და სირაქლემას კუჭი დაეტანებინა. მას, ჩემს სიყმაწვილის მეგობარ სანდროს, ეკუთვნის ხარბი თქმა: „ნეტა ეს უზარმაზარი სახლი პურად აქცია, შიგ შემსვა, რომ ვსჭამო და ვსჭამო!“

და თუ სადმე წამოასწრებდა სანოვაგეს, ლხინად მოგეცესთ, რაც მას დღეს დააყენებდა! საჭმელი თრთოდა მის წინაშე, მსწრაფლ ილეოდა მისი შიშით, ჰქრებოდა. ნეტა მუცელი მაინც სჩენოდა დალოცვილს! უმუცლო ბიჭი იყო, მხარბეჭ განიერი, ცოტა წინ წახრილი. არც შემდეგ დაემსახურებინა ღიპი რამ, დაფუკული ვაჟკაცი დამდგარიყო.

მეტადრე ელეთ-მელეთი მოსდიოდა სანდროს ხილის დანახვაზე. წითლად დაბროწილი ვაშლის ლოყები საკბეჩად იზიდავდნენ მას. ისეთის ლმობიერებით უმზერდა თურაშაულს

დუქნის თაბახში თუ გოდრის პირზე ეშხიანად მოწყობილს, როგორც სატრფოს გულდატყვევებული მოტრფიალე. ძალიან უყვარდა თეთრ-წითლები, გული უთქვამდა მათთვის, თვალით უალერსებდა მათ. ვაი, რომ მიუწდომელნი იყვნენ მისთვის! მხოლოდ მზერით იკლამდა ჟინს. მითი კმაყოფილდებოდა.

და თუ ოდესმე მოხვდებოდა გვერდწითელი მის გრძელ და ოდნავ მოკაუჭებულ თითებს, მშვიდობით! ისე ჩანთქამდა ჭერჭიან-კურკიანად, რომ ქრთილის ტოლას არ გადააგდებდა, ფერფლს არ დაჰკარგავდა.

აი, ამ ჩემ მეგობარს შევხვდი იმ დღეს. ათასი რაქ ეყიდნა, ბადის ტოპრაკში ალაგებდა და თან იღმურძლებოდა. გამეხარდა, გადავეხვიე.

— გამარჯვება, სანდრო, ჩემო მეგობარო!

— გადღეგრძელოს ღმერთმა! უკაცრაოდ კი, ვეღარა გცნობთ.

— აღარ გახსოვარ შენი ძმობილი დათიკო იკვლივაძე?!

— შენა ხარ, ჩემო დათიკო?! როგორ გამოცვლილხარ, კაცო!

— დრო გვითხრობს, გენაცვალე, დრო! შენ კი ძალიან არ დაგჩნევია ცვლილება.

მივესურვილეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ. მთხოვა, მის სახლში მივსულიყავ, მისი ჯალაბი გამეცნო. ბინაც მასწავლა.

* *

ახალწელიწად დღეს ვეწვიე, საღამო ხანზე. შემიწვიეს. ოთახი სავსე იყო ავეჯით და სუფთად მოწყობილი. ჰაზრიანი დიასახლისის ხელი ეტყობოდა. მეორე ოთახიდან ბალღის ხმა ისმოდა. ერთმანეთს საკითხი ვკითხეთ. ვუამბეთ. სანდრო სამმართველოში მსახურებდა თურმე, საკმაო გასამრჯელოს იღებდა, თუმცა ამ ჯამაგირით ფართო ცხოვრება კი არ შეეძლო. კარი გაიღო და ლეჩაქგაფარფარებული დიასახლისიც გამოვიდა. ფაშფაშა ქალი იყო, თვალები უღიმოდა, ლოყები ეჩვრიტნებოდა; რბილი ხელი ჰქონდა, ფაფუკი. მიამა, რომ შევხედე, გამეხარდა. კარგია, როცა მანდილოსანს ჟამი სახე არ გამოაქვს დარბაზში, თავ-პირი არ ჩამოსტირის, ზეთი არ ჩამოსდის.

— სანდრო გუშინ ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა! მიამბო თქვენი ნახვა და გამომცნაურება.

— ვერ მიცნო, ჩემო ბატონო; მე კი მაშინვე გავიხსენე.

— მითხრა, ვერ ვიცან, ძალიან გამოცვლილაო; მიამბო, როგორ ძმად შეფიცულები ჰყოფილხართ პატარაობას.

ტკბილად ვიმუსაიფეთ. მთხოვა სახლობაც გამეცნობებინა, გამომკითხა ოჯახის გარემოება; თითონაც მიამბო თავისი და სახლის ამბები. მესიამოვნა, რომ ამისთანა კარგი თანამგზავრი შეჰხვედროდა სანდროს ცხოვრების გზაზე. მეგობარიც გახალისდა, ძველი ამბები მოიგონა, სასაცილოც ბევრი სთქვა. ისე ტკბილად ვჭუკჭუკებდით სამნივ, როგორც დიდი ხნის დაშინაურებულნი.

ჩაი მოიტანეს, ნამცხვარი, სასმელები, ხილეული. მთელი დიდი მაშრაფა სამსე იყო დაკრიალებული ვაშლებით. საუკეთესო ჯიშის ვაშლი იყო და მშვენივრად შენახული; ერთი ბეწო დაშავებული ადგილი არსადა ჰქონდა. სწორედ ეს ვაშლით სავსე მაშრაფა იყო სუფრის მაზა და მშვენება.

შევუდექით. უფრო გავმხიარულდით. დიასახლისსაც უფრო და უფრო გაუნათდა სახე. ერთი მაკვირვებდა: ამ კეთილ სახეს წარბებ შუა ღარი ასდევდა. სრულებით არ უდგებოდა, არც უხდებოდა ამ მტკიცე სახეს იგი ნაოჭი. ნეტა რამ გაღარა ესე ღრმად სპეტაკი შუბლი ქალისა?! გავიფიქრე ერთ წამს, მაგრამ მალე მივანებე თავი ამ ფიქრს: შევექცეოდით. ფიქრისათვის არ მეცალა. ეჰ, ყველა ოჯახში თითო კოჯობი დუღს, ყველა ოჯახს თავისი დარდი აქვს. დავიწყნარე ჰაზრი, მაგრამ გაღვიძებულმა ეჭვმა აღარ მიიძინა და დავუწყე მას პინძლებს იდუმალი თვალიერება.

* *

სანდრომ დასუნთქა ნამცხვარი. დიასახლისი ხამუშ-ხამუშ მიანათებდა მას თვალებს. ქმარი თვალს არიდებდა, თანაც ჭვეშ-ქვეშ გაიმზირებოდა მისკენ; კაცის თვალში რიდი და კრძალვა კრთებოდა. გავათავეთ ჩაი, მივყავით ხელი ტკბილეულს. სანდრომ აიღო საუკეთესო ვაშლი, გაფცქვნა ნახევარი სუფთად და მომაწოდა ნაჭერი; დანარჩენს ოდნავ ააძრო აქაიქ ქერქი, მოიმარჯვა მადიანად ხელი, გახლიჩა პირი და ვაშლის ყუნწიღა შერჩა თითებში. დიასახლისმა მსწრაფლ შეა-

ნათა მას თვალი. მეუღლე უგემურად შეინძრა და შეიკუმშა.

დავლიეთ! გავხალისდით, შევქეიფიანდით. ნელ-ნელა გაიტეხინა სანდრომ, გაბედა! მთლადაც აუშვა თავისი შეუკავებელი მადა, მოხსნა სახლართი უძირო კუჭს, აღაღო ბაგემაფრაშა. ახლა კი მთლად დავრწმუნდი, რომ ისევ ჩემ ძველ მეგობართან ვიყავ, უცვლელ სანდროსთან. შესუსტდა ქალის თვალთა ძალა, დაჰკარგა მან გავლენა, ვეღარ გასჭრა: დაწყვიტა მეგობარმა, დაზეზდა იგი და აწ მისი შეკავება ვეღარავის შეეძლო. მოეღუშა სახე დიასახლისს, ჩაუღრმავებნელდა შუბლის ნაოჭი. მეც რაღაც ავმა სულმა გამიტაცა და თვითონ დავუწყე მასპინძელს შეპატიჟება; ზედიზედ ვაწვდიდი ვაშლს, მსხალს, ღვინით სავსე ჭიქას და ყველა კეთილს. ნუნუა უფრო და უფრო უტკბებოდა მეგობარს. გამბედაობით აევსო გული. ენა აეცრა. მალე მოიფოთლა იქავრობა, ფსკერი დაანდა ჭურჭელს.

* *

არა მგონია, იმ წუთს კეთილი გულით ყოფილიყო ჩემზედ მშვენიერი დიასახლისი. რომ გული მომეგო მისთვის, რამდენჯერმე მივმართე მას საალერსო სიტყვით, ქათინაური ქათინაურზე ვუთხარი. მოვალბე, შუბლი გაეხსნა ქალს, ისევ გამიღიმა. რომ უფრო გამემხიარულებინა ქალი, შევაქე მისი უნარი, მისი სარისტიანობა, გამჭრიახობა. ვკითხე, როგორ ინახავს წნილს თუ სხვა სანოვაგე-სანუკვარს. როცა ქალმა მიამბო, რომ ოჯახისათვის ვაშლს შემოდგომობითვე ყიდულობს, რადგან მაშინ იაფიც არის და ადვილი ასარჩევიც, შევეკითხე:

— როგორ ახერხებთ, ბატონო ჩემო, რომ ესე მშვენივრად ინახამთ ვაშლს? თითქო დღეს არისო მოწყვეტილი!

— ადვილი გახლავსთ, ბატონო, ოღონდ კი სარდაფი ჰქონდეს ბინას: ყუთები მაქვს მომზადებული; გადავარჩევ უხინჯოებს და ჩავალაგებ წყობისად; ერთი პირი მშრალი ნახერხი უნდა ჩაიყაროს, ერთი პირი ვაშლი ჩაიწყოს და ესე თავამდინ; მერმე მაგრად დაიხურება ყუთები და სარდაფში დაიდგმება, რომ სიგრილე და მცირე ნესტი არ აკლდეს; მხოლოდ ხანდისხან გაჰხსნით, ნახერხს გაუმზევლებთ.

— ადვილი ყოფილა! სწორედ ვისარგებლებ თქვენის გამოცდილებით და მეც ეგრე შევინახამ ვაშლებს, — მივუგე მე.

— არ გირჩევ, დათიკოჯან, სწორედ არ გირჩევ! — ჩამოერია ლაპარაკში მასპინძელი.

დიასახლისს უცბად სახე მოეღუშა, შუბლი ჩაუნაოჭდა, თვალებში სისასტიკემ გაუელვა.

— რატომ, კაცო?! — გავიკვირვე მე.

— რატომ და იმიტომ, რომ ვაშლის კარგად შესანახად სრულებითაც არა კმარა მხოლოდ ის, რასაც ჩემი საბედო გეუბნება.

— მაშ, კიდევ რა არის საჭირო?

— კიდევ ის არის, ძმაო, საჭირო, რომ ვაშლის ყოველ გადარჩევაზე ჩამბალ-ჩაშავებული ცალები შენ უნდა ჩანთქა.

— კარგი, გეთაყვა, ახლა შენებურ უთავბოლო ხუმრობას ნუ მოჰყვები! — შეუხმამკვახა ცოლმა.

— როგორ თუ ჩამპალ-ჩაშავებული მე უნდა შევჭამო?!

— ისე, ძმობილო, რომ რაც ოჯახს მოვეკიდე, იშვიათად თუ შემხვედრია საღი ვაშლის გაფცქვნა. შემოდგომაზე რომ გოდრებით ვიყიდი ვაშლს, სულ ბოლომდის ნელ-ნელა უნდა გავასაღო დაშავებული: ყველა გადარჩევაზე დამპალს თუ დამბალს მე გადმომილაგებს ეს ჩემი საყვარელი მეუღლე, ხოლო საღებს ისევ ჩააწყობს და მაგრა ჩაჰკეტავს! — სთქვა სანდრომ მწარის ღიმილით და ხმაზე ემჩნეოდა, რომ სწორედ თავის გულისტკივილს შემომჩიოდა.

— აბა თუ ეგრე არა, მაშ ვინ გაგაძღობს შენ, ყმაწვილო?! — შენიშნა ქალმა გესლიანად და აილეწა.

ეხლა კი მივხვდი, რომ უცაბედად წამოვკარ ფეხი იმ ჯავრის კოჭობს, რომელიც დუღდა მეგობრის ოჯახში; ვნახე, რომ აქ სახეირო აღარა იქნებოდა რა და წამოვდექ. მოწიწებით გამოვეთხოვე დიასახლისს, დაუკოცნე ბუნჩულა ხელი და წამოველ. სანდრო თან გამომყვა. ბევრი ვუშალე, ბევრი ვეხვეწე, საჭირო არ არის-მეთქი გაცილება, მაგრამ ვერ შევასმინე, ეჰ, ვიცოდი პატივსაცემად არ მომდევდა მეგობარი, შინაურ ჩხუბის ასაცილებლად გამოერიდა სახლს. მაგრამ სად წავიდოდა? შინ არ უნდა დაბრუნებულიყო?! დავემშვიდობე. გზა-გზა ისტორიული ფრაზა დამტრიალებდა თავს:

„სად ილტვის ალექსანდრე წინაშე უძლეველისა?!“

[1911წ.]

თებერას დანიშნული

1

ერთი საწყალი მეღორე იყო თებერა, ობოლი ბიჭი, სხვის მოჯამაგირე, მაგრამ სოფლის გოგო-ბიჭებს ისე გვიხაროდა იმისი მოსვლა, თითქო უფროსი ძმა ყოფილიყოს ჩვენი, მოსიყვარულე და კეთილისმყოფელი. ხშირად არ დახედავდა თებერა ჩვენ სოფელს: ერთხელ-ორჯელ ზამთრობით შემოჰრეკავდა ღორს რამდენისამე დღით და მიატარ-მოატარებდა კარშიდამოზე თუ კალო-საბძელთან; ან ხევს ააყოლებ-ჩააყოლებდა, სადაც ღორი ძირხვენისა თუ სხვა ბალახის ძირსა სთხრიდა და იკვებებოდა. ღამე ღორს გომურში გამოამწყვევდა და თითონ ოდაში მოუჯდებოდა ცეცხლს. თებერას მეპატრონე ჩვენ სოფელში არა ცხოვრობდა, მაგრამ იქაცა ჰქონდა მამული და სახლ-კარი. თითონ თებერა ჩვენი მეზობელი იყო და პატონ ნუგზარს ემსახურებოდა სხვა სოფელში. გაზაფხულზე და ზაფხულში თებერა სრულებით მიეფარებოდა ჩვენ თვალიდან, მაგრამ რაკი ყანები მოიმკებოდა და ჭირნახული კალოებზე გადაიზიდებოდა, უსათუოდ გაჩნდებოდა ის ჩვენი სოფლის მინდვრებში ჩვენდა სასიხარულოდ. ღორი ნამჯაში დაუდიოდა, ჩარჩენილი თავთავით თუ ჩაბნეული მარცვლით ჰკვებავდა.

— ბიჭო, ეხლა კი, სადაც არის, გამოჩნდება ჩვენი თებერა.

— რა იცი, კაცო, ვინ გითხრა?

— რა თქმა მინდა? აბა გახედე მინდვრებს, ათეული აღარსადა სჩანს, მთლად მოწმენდილია; ამ დროს მორეკავს თებერა ღორს.

— მერე რამდენი თავთავი და მარცვალი ჰყრია ნამკალნათიბში!

— მართლა და შარშანაც ამ დროს ედგა თებერას ღორი ჩვენ მინდვრებში.

— არა, ბიჭო, შარშან უფრო ადრე მორეკა, შიგადაშიგ ათეულები ისევ იდგა. გახსოვს, ტახი რომ გაუღორდა და ძალაზე იწევდა ათეულისაკენ? ვეღარც გაჯავრებამ გასჭრა, აღარც ცემამ იმოქმედა. ჯიუტად იწევდა ძნისაკენ.

— მერე კი, ღვთის წყალობა გაქვს, კარგი ხერხი იხმარა თებერამ: დასტაცა ტახს ხელი უკანა ფეხებში, ერთი მოქნევით მოიკიდა ზურგზე და კოლტშივე გადაისროლა გაჯიუტებული.

— ძალიან ღონიერი ბიჭი არის თებერა! ჭიდაობა რომ იცოდეს, მუხათელ ჯუნასაც გაუმკლავდებოდა.

და გავაბამდით საუბარს თებერაზე, გატაცებული ვლაპარაკობდით ამ ჩვენ შეუდარებელ მეგობარზე. ისეთის სიამოვნებით მოველოდდით მას სოფლის ბალღები, თითქო, დიდი რამ სიკეთე უნდა მოეტანა ჩვენთვის, ან ნათელი უნდა მოეფინა ბჭყვრიალა, ჩვენ ერთგვარ, ბუნდ ცხოვრებისათვის.

2

მართლა კარგი ბიჭი იყო თებერა და ჩვენთვის დაუფასებელი, ბუნებით კეთილი, გულჩვილი, მუდამ მოღიმარე. გაჯავრება სრულებით არ იცოდა. ვუყვარდით ბალღები. სოფელში რომ მოვიდოდა, უთუოდ რასმე მოგვიტანდა: სათითაო შვილდს, ისრებს, ქორის ფრთებს ისრებისათვის, სალამურებს, ჯოხებს თუ კომბლებს, ჭრელ-ჭრელ ქვებს და ყოველსავე საიშვიათს, რასაც კი მოჰხელავდა ტყეში ან ველში, მთაში თუ მდინარის პირას. ამისთანა კარგ რამეებს ყველას ჩვენთვის შეაგროვებდა. დაამზადებდა და მოგვართმევდა საჩუქრად. თითონაც დიდ სიხარულსა ჰგრძნობდა თუ ჩვენ გაგვახარებდა. ამისთვისაც მისი მოსვლა ჩვენთვის დღესასწაული იყო და მხიარულება.

ღორს ნუგზარისავე გომურში აბინავებდა. გომურის წინა ნაწილი გადაფიცრული იყო. აქ მიწის იატაკი უფრო მაღალი იყო: მიწა დაეყარნათ, გაემაღლებინათ და რომ არ გადაშანშლილიყო, გარს ფიცრები შემოეწყოთ, დაემაგრებინათ. გო-

მურის ამ ნაწილში ბუხარიც იყო. გარშემო მორები ეწყო ჩა-
მოსასხდომად. ჭერში ყველგან გაყრილ-გახირული კომბლები,
კავები, ორთითები. ყველა ეს თებერას ნაწარმოები: გარს ტყე
ერტყა სოფელს, თებერა მარჯვე თვალისა და ხელის პატრო-
ნი ბიჭი იყო და აბა ისე როგორ გაუვლიდა ახლო რამე იარა-
ღისათვის ან საციქვლისათვის გამოსადეგ ხეს, რომ არ მოეჭ-
რა და არ გამოეყენებინა?! ამას ყველაფერს თებერა დიდ გან-
ძადა სთვლიდა, იმ სანატრელ დროისათვის გამოსადეგ საუნ-
ჯედ. როცა ღმერთი უშველიდა და საკუთარ ოჯახს გაიჩენდა
თავის აწ თავმინებებულ და გაოხრებულ ქოხში; ჩამქრალ კე-
რას ისევ გააჩაღებდა, სოფელში მეკომურადვე ჩაითვლებოდა.
მაშინ მისი საკომიდან ამონადენი კვამლი პირდაპირ წავიდო-
და ზეცისაკენ, აბელის მსხვერპლის ბოლივით. თავმომწონედ!
ვაჰ, რომ შესაფერი ხელსაწყო არა ჰქონდა ხელმარჯვე თებე-
რას, თორემ ფიწლისა და ნიჩბის გამოჭრასაც შესძლებდა, არ-
ნადისა თუ კაბდოს გათლასაც მოახერხებდა. შვილდებს კი
ხანჯლით გვიკეთებდა, ისრებს დანით გამოგვიჭრიდა.

— ეჰ, ბიჭო, ერთი ნაჯახი რომ მქონდეს და საჭრეთელი,
რამდენ რასმე გავაკეთებდი ტყეში. აბა ხანჯლით თუ დანით
რა უნდა მოვსჭრა ან რა უნდა გავთალო?! — იტყოდა გულ-
ნატკენი თებერა.

როცა ზამთრობით მორეკდა ღორს თებერა, ჩვენი სიხა-
რული მაშინ იწყებოდა, ბუნების სისასტიკე ნებას არ გვაძლევ-
და ჩვენებურად გვეჭროლნა აღმა თუ ჩაღმა, ცხვირებჩამოშვე-
ბულნი ვისხედით სახლში და თებერას მოსვლა დღესასწაულის
დადგომა იყო ჩვენთვის. რაკი დააწყნარებდა ბიჭი თავის საქო-
ნელს, აანთებდა ცეცხლს ბუხარში და ჩვენც შემოუსხდებო-
დით გარშემო. ახლა ჩვენთვის მოიცლიდა თებერა. რას არ
გვიამბობდა! ტყისა თუ ველის ამბავს, მთისა თუ მდინარის
ცხოვრებას, ფრინველისა თუ ნადირის ნამოქმედარს, წყლისა
თუ მასში მოციმციმე მნათობთა დანაბარებს; ჩიტების მოფ-
რენას ან წასვლას; მწერთა თუ ქვემძრომთა გულისთქმას.
გვეტყოდა დათვის მოუხეშავ ძლიერებაზე, გაუმაძღარ მგლის
ოინებზე და მათთან ალმასას თუ ტუგიას ბრძოლაზე. გრძნეუ-
ლი იყო თებერა: ცხოველის საუბარიც ესმოდა, ფრინველთა
ენაც, წყლისა თუ ტყის ჩხრიალ-შრიალიც შეგნებული ჰქონდა
ხევებში და ჭაობებში მცხოვრები ფერიებიც ენახა თე-

ბარას და მათი საკვირველი ხმა და სტვენა-სიმღერა გაეგონა. მერე როგორ რწმენით მოგვითხრობდა ყველა ამას, როგორი ცოდნით! არც საკვირველია: მთელ თავის სიცოცხლეს მათთან ერთად ატარებდა ბუნების კალთაზე, იმათში იყო გართული იმათი ნაწილი იყო და კერძი; ისე იყო მათთან დაშინაურებული, როგორც თავისიანებთან და თავის ტოლ-სწორთან.

3

— ხომ იცით, ბალღებო, სად მიყენია ღორი ღამე, როცა ტყეში დამიდის წიფელზე შემოდგომობით? რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის! ტყე რომ თავდება, რამდენიმე მანძილი მარტო თხილიანი მოსდევს ხევს და ბუწკნარი. მერე ხევი ერთ ალაგას განიერდება, მოზდილ ტაფობად გარდაიქმნება და ეს ადგილი ისევ აყრილი ტყით არის შემოსილი. აქ ერთ ალაგას წყარო ამოდის წიფლის ძირას. ამ წყაროს წყალიც და ხევის წყალიც მოფანტულია ტაფობში. დედამიწა მთლად გაჟღენთილია წყლით, ჭაობად არის გადაქცეული. ჭყანტობი დაფენილია ლელით, ბუერით, ჯორის-კუდათი. სტვირებისათვის ლელწამს აქ მოგიჭრით ხოლმე. იქა გვაქვს ალაჩოყები გაკეთებული და ღამ-ღამობით იქ მივერეკებით საქონელს. მოხერხებული ადგილია: დიდი არ არის და ადვილი დასათვალიერებელია, ნამდვილ დიდ ტყიდანაც მოწყვეტილი. მივალთ თუ არა ბინაზე, ძაღლები მაშინვე დაურბენენ მთელ ამ ადგილს და მგელს ან დათვს კი არა, ძირს კურდღელს და მაღლა ციყვს არ დასტოვებენ შეუყეფავად. ალაჩოყები ტყის მხარესა გვაქვს ვამართული, რომ ხევ-ხევ ნადირი არ მოგვეპაროს. ღორისთვის გაკაფულ-გაწმენდილი ადგილი, გარშემო ჯაგჯაგით შემოფარგლული.

— თებერავ! წაგვიყვანე იქ: არც ხომ ისე შორს არის ის ადგილი?

— კარგი. წაგიყვანთ! იცით, როდისა სჯობია თქვენთვის იქ წამოსვლა? თხილი რომ მოიწევა, მაშინ.

— ჰოდა, ბიჭო, შარშან ზაფხულს, ღვთის წყალობა გაქვთ, მე იქ შიში ვჭამე! ძალიან ცხელი დღე დადგა, ტყეც ვეღარ გვიფარავდა სიცხისაგან, ღამეც სიცხის ბული იდგა, სიო აისაით იძროდა. სიცხისაგან ჭაობი სულ ბუყბუყებდა, ბუმ-

ტებს ისროდა, შამბს ანძრევდა. უმთვარო ღამე იყო და თოფი მზად მეჭირა. მიმძინებოდა თოფით ხელში. შუა ღამე იქნებოდა, რომ ამ ბნელ ღამეში უცნაურმა სინათლემ გამომაღვიძა. შევხედე, ციაგი რამ ნათელი დაჰფენოდა მთელ ჭანჭრობს. გამიკვირდა. რომ დავაშტერდი, შევნიშნე, ალაგ-ალაგს ცრიატი ალი ამოჩენილიყო, ნელ-ნელა ირყევ-ირხეოდა, მოლურჯოდ ციმციმებდა, წინწანაქარი ხომ აგინთიათ თითზე? ჰოდა, სწორედ იმგვარი ნათელი იყო. ეს მაღალი და წვრილად ასული ნათლის სვეტები იძრომლნენ, ირხეოდნენ მიდიმოდიოდნენ, გადაეხვეოდნენ ერთმანეთს, ისევ გაიყრებოდნენ, გამიკვირდა. ძალიანაც შევფიქრიანდი, რომ ჩავაკვირდი, ალის ყველა სვეტში ქალის სახე მოჩანდა. თმაგაშლილი ქალები იყვნენ ისინი და ანათებდნენ იქაურობას. ფერი მეცვალა: მივხვდი, რომ ალქაჯები იყვნენ! პირჯვარი გადავისახე, „ჩვენთან არს ღმერთი“, ვთქვი, მაგრამ არ გაჰქრნენ წყეულები. ზოგმა ჩემკენა ჰქნა პირი. ერთი დაწინაურდა, ჩემკენ წამოვიდა, მე თოფი მოვიმარჯვე აცახცახებული ხელით, მაგრამ აღარ დავცალე: ვიცოდი ალქაჯს ტყვია ვერაფერს დააკლებდა.

— სწორეთ ალქაჯები გინახავს! აბა თოფი რას ავნებდა თითონ მავნეებს და შეჩვენებულებს?

— ჯვარი უნდა გეჩვენებინა, ბიჭო, და მაშინ გაქრებოდნენ.

— ჰაი, თუ მქონოდა ყელზე ჯვარი, კი ვაჩვენებდი, მაგრამ სად იყო დალოცვილი? აი ეს ეხლაღა ვიყიდე მეწვრილმანისაგან, — სთქვა თებერამ და გვიჩვენა ყელზე ჩამოკიდებული სიწმიდე.

გვიამბობდა თებერა ამისთანა საკვირველებას და თმა ყალყზე გვიდგებოდა მსმენელთ, შიშის ჟრუანტელი გვივლიდა. გოგოები ხომ ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ და გაფითრებულნი ეკვროდნენ ერთმანეთს. მეტადრე შეშინებულიყო გზირიანთ ეონა. ისეც ფერმიხდილ გოგოს მთლად ნაცრისფერი დასდებოდა სახეზე. თვალები უელავ-უბრწყინავდა. ისეც ჯალჯივით თმა აბურძგნოდა. თებერა როგორღაც დაჟინებით ჩააკვირდა ეონას.

— იცით, ბიჭებო? ჩემკენ რომ ალქაჯი მოდიოდა, სწორედ ესეთი გაფითრებული სახე ჰქონდა და ესეთი თვალები,

როგორც აი ეონას. თმაც ესეთივე ჰქონდა გაშლილ-გაბურძგვნილი! — სთქვა განცვიფრებულმა ბიჭმა და ეონას კრძალვით თმაზე ხელი შეახო.

მივიხედეთ იმისკენ. გოგოს მთლად დაჰკარგოდა ფერი, სისხლის ნასახი აღარ ეტყობოდა სახეზე, თვალები დაჰგანიერებოდა შეშინებულს; შუქი რამ გამოჰკრთოდა მის თვალებიდან.

— სწორედ ეონასა ჰგვანდა ის ალქაჯი, მაშინ რომ მეჩვენა! — გაიმეორა ჩაფიქრებულმა თებერამ და ისევ განცვიფრებული დააკვირდა შემკრთალ-შეძრწუნებულ გოგონას.

ამის შემდეგ აღარც მიეფარა ეონას სახე თებერას გონების თვალიდან. წაუშლელი დაღივით ამოიწვა მისი სახე ვაჟის გონებაში.

— მერე კაცო, მერე?

— მერე და მოდიოდა ჩემკენ ის ალქაჯი და მიზიდამდა, მიძახოდა: მოდი, ნუ გეშინიან, ჩემი ხარ, ჩემიო. ისეთი ტკბილად მეჩვენა იმისი ხმა, როგორც სალამურის სტვენა; მისმა ძახილმა რბილად დამიარა ტანში და გამათბო; მთლად მიმიზიდა იმისმა ღიმილმა. უნელიეთ წავედი მისკენ. ვიცოდი, ხელს მომხვევდა დამღუპავდა; მაინც მისკენ მივდიოდი: მიამებოდა და მივიწევდი. უეცრად გაისმა თოფის გრიალი და ძაღლების ყეფა. შევკრთი, ბურანს გამოვერკვიე. ალქაჯი გაჰქრა. ზედ ფლატის პირად ვიდექი. სხვა მეღორესაც შეენიშნა ქაჯები და შეშინებულს თოფი დაეცალნა.

4

გზირის გერი იყო ეონა, მის მეორე ცოლს მოჰყვა თან. რაც თავი შემესწავლა, სულ გზირობაში მენახა კაკლუა. არა სცვლიდნენ: უკეთეს გზირს ვერც იშოვნიდნენ. საშინელი ავღანი ადამიანი იყო ეს გზირი, მისი ყვირილი სოფლის თავიდან ბოლოში გაისმოდა; ყოველთვის ხმამაღლა ლაპარაკობდა, ომახიანად. სიტყვას თავისებურად ადასტურებდა, თავისგან შეთხზილ-შემუშავებულ გინებით; ნათქვამს სახრის წვერით ჰბეჭდავდა და ამტკიცებდა. სახრე განუყრელი თანამგზავრი იყო კაკლუასი, ყოველთვის მასთან მყოფი, მის იღლიაში

თავშეფარებულ-ჩათბუნებული. რომ იტყოდა და ნათქვამს განმარტავდა, თან მარჯვედ და ხელოვნურად აათამაშებდა გველივით მოქნილ იფნს, ეშხიანად ჰზნექავდა მას წელში, გამოცდილი ხელით უმარჯვებდა მობაასეს, თუნდ მასთან მეგობრულად მოლაპარაკეს. შეჩვეული ჰქონდა მარჯვენა! თანამდებობის ასრულების დროს უთვალავჯერ ეცადნა ურჩის ზურგზე იგი სახრე, ბევრსა ჰქონდა ნაწვნევი იმ სახრის სილბო, სიმარჯვე, სიკისკასე და გამჭრიახობა.

გზირობას ოჯახიდან გაექსუვებინა კაკლუა, ბეჯითად მუშაობაზე ხელი აეღებინებინა; შესჩვეოდა კაცი მუშაობის გაწყვეტას უდროვო დროს და უადგილო ადგილას, მთლად მის თავმინებებასაც. მოუვიდოდა ბრძანება, ისიც აიჩრიდა იღლიაში სახრეს და დაწანწალებდა კარის-კარს თავის სოფელში თუ ხევგალმა მეორე სოფელში, რომელიც მისსავე საბრძანებელს შეადგენდა. ბოლოს მთლად შეეჩვსა კაკლუა საქმის ხელიდან დაგდებას; ხშირად თავს ანებებდა თვით გასაჭირ საკეთსაც და გადაერგოდა რომელსამე უბანში, თუნდაც არავის დაეძახნა მისთვის, არც არავითარი საგზირო საქმე ყოფილიყო სოფელში. თუ შინაური ვინმე გაუბედავდა რასმე, ღრიანცელს მორთავდა საშინელს, ერთ აურზაურს ასტეხდა.

პირველი ცოლის დროს მის სიტყვას ოჯახში დიდი ფასი არა ჰქონდა, არც გასავალი; მისი ანჯახი თქმა, თუნდ ძახილი უბრალო რყევა იყო ჰაერისა და გუგუნი. მარჯვე მეუღლე არაფერში არ ჩამოუვარდებოდა ქმარს და არამც თუ უსწორებდა უღელს, წინაც იწევდა: თოქმა, ორმაგი, ძვალმსხვილი, თვალებ წამოკაკლული, მარადჟამს აზეზილ-ატკრეცილი მხარინე შიშისა და მორჩილებისათვის არ იყო გაჩენილი. ოჯახს ჯარასავით ატრიალებდა თავისი ღონიერი მკლავით და ქმარიც ისევე ასდევ-ჩასდევდა მის ჯარის ტრიალს, როგორც სხვა ყველა მის სახლში. მაგრამ რადგან სიკვდილი თვით მარინეზედაც ძლიერი გამოდგა და დაამკვიდრა იგი წიაღთა შინა სარრაიასა თუ რებეკასი, ხოლო კაკლუამ მეორე ცოლი მოიყვანა, გზირის ანჯახობამ ოჯახში ფართოდ განმარტა ფრთები. ახალმა ცოლმა სიტყვის შებრუნება ვერც გაბედა, ვერც შესძლო. თხელი ქალი, სუსტი, მოკრთალებული ვერ შეჰმართავდა ორ სოფელთან ბრძოლაში გამოცდილ-გამოჯეკილ ვაჟკაცს. ენაც მოკლე უნდა ჰქონოდა: ჯერ მადლობელი უნდა

ყოფილიყო ახალი ქმრისა, რომ ახალგაზრდა ქალი იხსნა ქვრივ-ობრობისაგან, გარდა ამისა ქალი მოჰყვა თან და ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ მამინაცვალს ავი თვალით არ შეეხედნა გერისათვის, არ აეძულნა ის და არ გაემწარებინა მისი სიცოცხლე. შრომობდა დედაკაცი ახალ ოჯახში, თავჩაღუნული მუშაობდა, არაფერ საქმეს არ ერიდებოდა, სრულებით არ ზოგავდა თავის სუსტ ძალ-ღონეს. ქმარმა ისარგებლა ამ გარემოებით და ნელ-ნელა აეშვა საქმეებიდან, მთლადაც გამოეშვა საოჯახო მძიმე უღლიდან.

კაკლუას გერი ეონაც უსარგებლო არ იყო ოჯახისათვის. არც მეტი ბარგი. დედასავით თხელი და ჩია გოგო დედასავითვე ხათრიანი იყო და გამრჯელი. მართალია, მძიმე საქმეს ვერ ებრძოდა, მაგრამ წვრილმანი საქმე ძალიანაც ეხალისებოდა, კიდეც ემარჯვებოდა! ყაისნაღი ხომ მისი საყვარელი იარაღი იყო. მძიმე საქმეს იმისთვის ვერ ებრძოდა, ჯანი არ მოსდევდა ბეჩავს. ამაზე ჯავრობდა მისი მამინაცვალი. დედასაც და შვილსაც აყვედრიდა. სუსტები ხარო, ცალპირად ნაქსოვები და საგლეხო საქმის შეუფერებელნიო. ერთი კიდევ იმაზე უჯავრდებოდა კაკლუა თავის გერს, რომ გოგოს არ შეეძლო ფეხშიშველა სიარული. კაბათავსახური რომ დაბდღვნილი ჰქონდა და დაკონკილი, ფეხთ უთუოდ უნდა სცმოდა ჩუსტი თუ მესტი და ყელიანი წინდები.

— აზნაურის ქალი ბრძანდები და როდი გეკადრება ფეხშიშველა რბენა! — აყვედრიდა მამინაცვალი, რადგანაც ეონას მამა, საიდანღაც გადმოვარდნილი კაცი, აზნაურობის მაძიებელს ეძახდა თავის თავს და საბუთის ქაღალდები მარად ჯიბით დაჰქონდა.

ჭკვიანი გოგონა იყო ეონა, მიხვედრილი; წიგნსაც კითხულობდა ჩათვლით; ზღაპრები და ამბები პურსა და წყალს ერჩივნა. მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირდა: უდროვო დროს იცოდა გაშტერება. ცოცხით ხელში, ან სურაწამოკიდებული მიაჩერდებოდა რასმე დედამიწაზე თუ ჰაერში, იდგა გარინდებული, თვალებდაკარგული შესტრფოდა რაღაც ჭრელ ხილვას, სანამ ვინმე არ შეუტევდა და არ გამოარკვევდა ოცნებიდან. ამაზე ფიცხდებოდა ეონას მამინაცვალი და ცეცხლდებოდა; ამაზევე დავცინოდით ეონას ყველანი, თორემ სხვად გვიყვარდა ის და ვუფრთხილდებოდით თამაშობის დროს, თუ

საერთო მუშაობაში. სუსტი იყო და მაშ რა უნდა გვექნა? ეს ეონა იყო, თებერამ რომ ფერიას მიამსგავსა და ისე უეცრად შეაკრთო და გააოცა.

5

უჯიშო კაცი უდროვო დროს გიღალატებს და უადგილო ადგილს! სწორედ უჯილაგო ადამიანი გამოდგა ჩვენი მოჯამაგირე გელა: მარჯვე და ხალისიანი. არასდროს არ ყოფილა, არც კეთილი, მაგრამ რაკი ზაფხულის სიცხემ დააჭირა და სამუშაო გახშირდა, ტვინი მთლად აემღვრა, გაავკაცდა. გაბოროტდა. აღარც საქონელს ინდობდა, აღარც სამუშაო იარაღს თუ მოწყობილებას; ბუზღუნებდა, ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა, საქმეს უგულოდ ეკიდებოდა, შანშლამდა.

— ჩვენი მოჯამაგირე ღალატს აპირებს ამ გაჭირვების დროს: ან გასვლა უნდა ჩვენგან, ან ჯამაგირის მომატება ჰსურს,—სთქვა მამამ და კალმუხის ქუდით შუბლი მოიწმინდა.

— გაგვტანჯა მაგ უქმურმა ბოლო დროს! წყურვილით რომ ვიხრჩობოდეთ, კოკით წყალზე ვერ გაგვიგზავნია, მთელი საქმე მოახლეს აწევს თავს. დავითხოვოთ! — გადასჭრა დედამ.

— აბა მკისა და კალოობის დროს ვინღა ვიშოვო, რომ ეგ დავითხოვო? შემოდგომაზე, ღვთის წყალობა გაქვს, ბევრიც შემოგვეხვეწება, მაგრამ ეხლა ძნელია. ეჰ, მაინც ხეირი აღარ გამოვა ეხლა მაგისგან! ნეტა მეკალოვეს ვიშოვნიდე ვისმე.

ამ ლაპარაკში იყვნენ ჩვენები, რომ ძაღლის ყეფა მოგვესმა და ვიღაცამ დაგვიძახა:

— სტუმარი არ გინდათ?

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა! — შიუგო მამამ.

გავედით დერეფანში. წვრილფეხობაც თან გამოგვყვა. კარებში თებერა იდგა, გუდანაბადაკიდებული, ჩომბახით ხელში. გაგვეხარდა. შემოვიწვიეთ. დავსვით, მოვიკითხეთ. მოგვიკითხა. გამოვკითხეთ ამბავი. ყავლი გასთავებოდა მეპატრონესთან და აღარ მოესურვა მასთან მოჯამაგირობა.

თებერა ადრიდანვე იმის ნატვრაში იყო, თავისი აოხრებული და ჩაჩუმებული კარ-მიდამო ისევ აღედგინა და აეხმაურებინა, კარ-გამოკეტილი სახლი საცხოვრებელ ბინადვე გარდაექმნა, ოჯახი გაეცოცხლებინა, კერის ანგელოზი გაეღვიძებინა

და ისე პატიოსნად განეგრძო მეკომურობა, როგორც პატიოსნად ეცხოვრნა მის მამა-პაპას. ეხლა ბიჭმა უკვე თავზე ხელი მოისვა: დავაქკაცებული ახალგაზრდაა და თავისი ცხოვრებაც შეუძლიან. რაღა საჭიროა სხვის კარს მოჯამაგირობა? ობოლ ოხრობაში დახშულ სახლის კარს გააღებს, ბახჩას შეღობავს და შეამუშავებს, თავის ნაჭერ მიწას როგორმე მოხნავს, იშრომებს დაუზარებლივ და ღმერთი უშველის. რასაკვირველია, პირდაპირ სახლში ცხოვრებას და მეკომურობის გაჩაღებას ჯერ ვერ შესძლებს, რადგან ოჯახს ახლად მოწყობა უნდა, ხოლო მოწყობას ბევრი საფანელი, თავის სახლში ბინის დადება-კი შეუძლიან. ჯანს გარჯის, დღიურად იმუშავებს და საზრდო გამოულეველი ექნება. თანაც თავის სახლს მიხედავს საღამ-საღამოობით თუ კვირა-უქმეებში; გასასწორებელს გაასწორებს, გასამართს გამართავს, ჩამოქცეულს შეაკეთებს და ყველაფერს კეთილად წარმართავს. დასასვენებლად არ დაანება მოჯამაგირეობას თავი, ან საზარმაცოდ! ეხლა უფრო მეტს გარჯის ჯანს და მეტს იშრომებს. მაშ რა ექმნა ახალგაზრდას, როდესაც გულმა ვეღარ გაუძლო სხვაგან, როდესაც სულ მამა-პაპის კერისაკენ იწევდა?!

სხვა ძალაც იზიდავდა ეხლა თებერას თავის სოფლისკენ: იქ ეგულებოდა თავისი ალქაჯი, თავის სურვილთა ჯერ გადუფურჩქვნელი კოკორი. ეს ანდამატებრივი ძალა იზიდავდა მას, თუმცა ჯერ თვით მისთვისაც გამოურკვეველი იყო და საიდუმლოებით მოცული.

— ჭკვიანი ბიჭი ხარ, კარგად გიფიქრია! ნიადაგ ძვირფასია საკუთარი კერა: თავის სახლში ადამიანი თავისუფალია, თავის თავის კითხული, სხვის ოჯახში-კი ფუფუნებაც-კი იგივე მონობაა აუტანელი, — უთხრა მამამ და დედას გადახედა.

დედა მიუხვდა სურვილს და თავისი აზრიც ანიშნა. ეს ნიშნებით საუბარი ისე სწრაფად მოხდა, როგორცა ელვა. თებერამ ვერაფერი შენიშნა, მე კი მაშინვე გავიგე, რაც უთხრეს ერთმანეთს: ვიცოდი მათი საუბრის ჰანგი.

— კარგ კაცს კარგი აზრი მოგსვლია! ეხლა სწორედ მოხერხებული დროა დღიურად მუშაობისა, გამრჯელი მარჯვენა კარგადა ფასობს და ყველასაც გვიჭირს მუშა ხელი ამ არდადეგებში. აი მეც მეკალოვე მინდა და მოდი ჩემთან იმუშავე დღიურად კალოკრებამდის!

თებერას იამა სიტყვა. შეთანხმდნენ. ძალიან გამეხარდა ეს ამბავი. თებერასაც გაეხარდა, რომ პირველი ნაბიჯივე მარჯვედ გადადგა. პირი უღიმოდა გულკეთილს.

6

თებერას უფრო იმისთვის გაეხარდა ჩვენთან მეკალოველ დადგომა, რომ მისი სახლ-კარი ჩვენს ახლო იყო. ჩვენი კალო თუ კარმიდამო ზედ დაჰყურებდა მას. სადაც დღეს რომ ჩვენთან იმუშავებდა და მხოლოდ დასაძინებლად წავიდოდა შინ, კვირა-უქმე მთლად მისი იყო; თავის საკუთარ სახლში შიდგებ-მოდგებოდა. მის ქოხმახს ძლიერ ეჭირებოდა მომვლელი და ჭირისუფალი; უპატრონო სახლს ბოროტნი დაჰპატრონებოდნენ, გაექელ-გაენადგურებინათ: ასაგლეჯ-გასატანი ყოველივე გაეტანათ, დასანგრევ-წასაღები გაეფუჭებინათ თუ წაეღოთ; იქაურობა არ დაენდოთ, გაევერანებინათ, აეტირებინათ სახლ-კარი. ყველა ამას გასწორება უნდოდა, აღდგენა, გაკეთება. ეხლა კი ცრემლი შეაშრება თებერას სახლის ანგელოზს; მოსიყვარულე პატრონი დაუბრუნდა სახლს და დაულალავი მშრომელი! ეხლა სახლი ისევ წარმატების გზას დაადგება, ჭერქვეშ ისევ სავსება დაივანებს და სიხარული დაისადგურებს.

სოფელსაც გაეხარდა თებერას დაბრუნება. მხოლოდ მისი ბიძა დემეტრე იყო წყენით: გულხარბს თებერას წილი სახლ-კარი თუ ბაღ-მინდორი თავის კერძად მოსჩვენებოდა და სახლში დაბრუნებულ ობოლს მტრად მოჰკიდებოდა, თითქო თებერას რამე წაერთმია მისთვის. გულმართალი და მოსიყვარულე თებერა არა ჰხედავდა ამას. ბიძის ავობა დაჰვიწყებოდა და პატივისცემით ეპყრობოდა მას.

სოფლის სამდივნოს წინ ხალხი შეყრილიყო და ყაყანებდა: სამართალს ეძებდა, ასამართლებდა, ედავებოდა, ჩხუბობდა, ილანძღებ-იგინებოდა, იქოქებოდა, ფიცულობდა, ურიგდებოდა. კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, გულის ბუხარს ყრილობდა, ტვინს ავარჯიშებდა, აზრსა ჰმახვავდა. თებერაც იმათში იყო, წვერ-ულვაშ ახლად ამობიბინებული. იმედიანად ნაგები, ორმაგად ნაქსოვი ამაყად იდგა კრებაში და თავმომწონედ: დღეს ის სოფლის ყრილობაში გარეულიყო, როგორც სოფლის მე-

კომური და მოსახლეთა თანასწორ-თანაბარი. ეხლა სხვის მონა-მოსამსახურე კი აღარ იყო თებერა, თავისუფალი კაცი იყო, თავის თავის ბატონ-პატრონი; ეხლა ის ყველასაგან დაბრიყვებული ობოლი კი აღარ იყო, ყველასაგან ხელის წამოსაკრავი, ვაჟკაცი იყო, თავის მიწა-წყალზე დამდგარ-დასახლებული, თავის ჭერ-ქვეშ დაბინავებული, მშრომელ მარჯვენაზე დანდობილ-დაყრდნობილი. ეს გრძნობა ამაყ შეხედულებას აძლევდა მას, მიმზიდველადა ჰქმნიდა მის კეთილს და გამომეტყველ სახეს.

— კაცო თებერავ, ერთი წინ წამოდექი, შე მამაცხონებულო, რომ გნახოთ და დაგინახოთ! — მიჰმართა გზირმა თებერას და ხალხის ყურადღება მიაქცია.

თებერა ცოტა შეწითლდა, მაგრამ თავისუფლად და გაბედვით წარსდგა წინ ნაბიჯი. გზირმა ახედ-დახედა და თვალში მოუვიდა სუფთად ჩაცმული მოღიმარე ახალგაზრდა.

— მაგარი ბიჭი დამდგარხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, და შნოიანი! სოფლის შესამატია ამისთანა მეკომური. მაგრამ შენ, ეი! სოფელში რომ ჩამოდექი, მხარშიაც უნდა ამოუდგე სოფელს: ხარჯი-ბორჯი, მღვდელი თუ ერი, საყდარი თუ სკოლა — ყველაფერი ჩვენ გვაწევს კისერზე და მხარი უნდა დაგვიჭირო, უნდა შემოგვეშველო, პატარა კი აღარა ხარ, ვაჟკაცი ხარ მოწიფული! — ეუბნებოდა გზირი თებერას და მოქნილ სახრეს მარჯვედ გარს უთამაშებდა მას: ხან მარჯვნივ დაუღერებდა, ხან მარცხნივ, მის წინ ჰაერში სწმახნიდა; ბეჭებისკენ თუ წვივებისკენ მიუზომ-მიუქნევდა, მოსხეპილი თებერა კი წარბშეუხრელი იდგა მოღიმარე და დინჯად დასცქეროდა მოსაუბრეს.

— დღეის ამას იქით ისევ სოფლის შვილი ვარ და სოფელია ჩემი ღონე! თქვენთან მიგულეთ ჭირშიაც და ლხინშიაც; ღმერთმა ნულარაფერში გამომარჩიოს სოფლიდან!

— ბარაქალა, ბიჭო!

— გეტყობა კარგი მამის შვილობა და!

— კვიცი გვარზე ხტისო, იტყვიან.

გამოეხმაურა თებერას მის პასუხით ნასიამოვნები ხალხი.

— მა რა! უნდა ჯანი გაიგდებინოს და მხარში ამოუდგეს სოფელს: ეყო, ძმავ, ამდენი თარხნობა! — ამოიღო ხმა თებერას განაყოფმა.

— არა, ღვთის წინაშე, თებერა არც აქამდის იყო თარხანი: ყველაფერს რიგზე ვახდევინებდით, ჯამაგირს ვუჭერდით, თუმცა მცირეწლოვანიც იყო და ვერც თავის მიწა-წყლით და სახლ-კარით სარგებლობდა: სხვები ეტანებოდნენ მის მამულს, სხვებს ეჭირათ ის და სარგებლობდნენ, — გადაჰკრა გზირმა სიტყვა თებერას ბიძას და მარჯვედ შეათამაშემოათამაშა მისკენ გაწვდილი სახრის წვერი. მერე მიჰმართა ისევ თებერას:

— ბიჭო, ისე კი არა ჰქნა, რომ კერა არ დაგვალოცვინო! მღვდელს იაზმა ახდევინე, დედ-მამა მოიხსენიე, სახლის ანგელოზი გაახარე.

— კარგი კაცი ყოველთვის ჭკვიან სიტყვას იტყვის! — დაურთო სიტყვა ნაცვალმა.

— ბატონი ბრძანდებით! ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა კარგი კაცისთვის. — მიუგო თებერამ.

7

საკალოვე დარი იდგა დალოცვილი. მთლად მოწმენდილ ლაჟვარდ ცაზე მზე ამაყად მოცურავდა და უხვად აფრქვევდა ბრჭყვიალა სხივებს, უანგარიშოდ. არავისთვის არა ჰშურდა ნათელთა დიდებულ შესაკრებელს არც შუქი, არც სითბო, მიმოაპნევდა მეუფე ცისა ყოველსავე სიკეთეს სავსებისაგან თვისისა. გავარვარებული ჰაერი ლაპლაპებდა და თვალსა სჭრიდა. გაფიცხებული ჭირნახული კევრ ქვეშ ანაზდად იფშვნიტებოდა, იქუმლებოდა. სამი კევრი ტრიალებდა ჩვენ კალოზე. მოჯამაგირე, მეკალოვე თებერა და ჩვენც ყველანი დიდიან-პატარიანად კალოს ვეხვეოდით, შევტრიალებდით, შევხაროდით. ისეთ ოროველას დასძახოდა თებერა, მისი ხმა ქვემო უბანსაც ეფინებოდა. ყოველთვის ხალისიანი და მხიარული თებერა დღეს ეშხითაც იყო მთვრალი და სურვილით არაკრაკებდა რჩეულ ლექსებს. ჩვენ აგვიყოლია თებერას მადლიანმა მუშაობამ, შუბლი გაგვიშალა, აგვაჟივჟივა-აგვახმაურა. მხოლოდ ჩვენი მოჯამაგირე უფრო და უფრო იღრუბლებ-იღუშებოდა: ჯავრი აღრჩობდა გულჩახვეულს, რომ ღრძო აზრი გაუცრუვდა და მუხრუჭი ვერ მოგვიჭირა გაჭირვებულ მუშაობის დროს.

— რა გახტუნებს, ბიჭო, ან რა გამღერ-გამხიარულებს ამ სიცხე-პაპანაქებაში, ჯოჯოხეთურ მუშაობაში?! — შეუტია აბრამამ თებერას.

— რას ამბობ, კაცო?! ღმერთმა მოსავალი მისცა ქვეყანას, კაცის საზრდო თუ საქონლის საკვები ფეხქვეშ გვიშლია და რა მაქვს დასაღონებელი?

— განა შენია ჭირნახული, სულელო?!

— ჩემიც არის და შენიც! ვმუშაობთ და კერძი ჩვენც გვერგება; თუ არაფერი იქნებოდა, ჩვენ რაღაზე ვიმუშავებდით?

თებერას გულწრფელად სჯეროდა, რომ დღეს მისი განსაკუთრებული ხალისის მიზეზი უხვი სამუშაო იყო და ბრწყინვალე დღე. ვერ გაეთვალისწინებინა ჭაბუკს თავის გადამეტებული მხიარულების ნამდვილი მიზეზი. მართალია, როცა სოფელი სავსეა დოვლათით, სოფლის შვილიც იმედიანად არის და მხიარულად, მაგრამ დღეს თებერას დიდი ხალისის უმთავრესი მიზეზი სხვა იყო: იმისთვის გაჰნათებოდა მას სახე, იმისთვის ველარ შეეკავებინა პირზე ღიმილი, იმისთვის ამღერებულ-აჭიკჭიკებულიყო ის, რომ ერთ-ერთ კევრზე ეონა იდგა. თებერას კევრი რომ მარცხნივ უვლიდა კალოს, ეონას კევრი მარჯვნივ მოსრიალობდა. გოგოს სიახლოვე მაგრილებელ ნიავად ეფინებოდა ახალგაზრდას, გამაცოცხლებელ ნამად ეპკურებოდა მას და გამოუთქმელ ნეტარებას ჰფენდა მის გულს. ეონას სიახლოვე ლომისებურ ძალას სძენდა და ქალის გვერდზე შრომა თამაშობად მიაჩნდა მას, დღესასწაულად. კევრები რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ეონა მიაპყრობდა მას ოცნებათაგან გატაცებულ ბიჭისათვის საოცნებო თვალებს, ახალგაზრდას მზე ამოსდიოდა, სულის მანათობელი.

— ფერიის თვალებია, ალქაჯისა და მოდი ახლა გაუძელ შენ მათ მიმზიდველობას!

ეონას აზრუმული წითელი ჩუსტები საბძელთან დაეყარნა და გრძელყელიანი წინდებით შემდგარიყო კევრზე. თეთრი კაბა ეცვა პირისფრად დაწინწკლული, დაფოთლილი რამ თავის ჩითი ეხვია ჩარდახულად. ფეხთსაცმელში ნაზარდი ფეხი სუფთა იყო და პატარა. ბიჭს სულ პაწაწად ეჩვენებოდა იგი ფეხი, სათუთად, უბეში შესანახ-საალერსოდ. რა ვუყოთ, რომ კაბა ჩაჰხეოდა ჩაქებად?! თვალს კიდეც უხაროდა ეს: შიგნით შეჭვ-

რეტას ველარ უშლიდა. გამხდარი, ყლორტივით ასული ტანი რხევით მოსრიალებდა კევრთან ერთად და მსწრაფლ გადასამტვრევად იზნიქებოდა კევრის ყოველ მოცურებაზე. ვგონებ ნიავსაც კი შეეძლო მისი გადაზნექ-გადალეწა! მკრთალი, მიმქრალი სახე, მიტაცებულ-მიბნედილი თვალები, თითქმის ფერფლისფერი ხუჭუჭი თმა ჰაეროვან შეხედულებას აძლევდა გოგონას. მთელი არსება ქალისა იზიდავდა თებერას, როგორც რამ ალქაჯი გრძნეული და თან უსაზღვრო სიბრალულს იწვევდა ახალგაზრდის გულში. ოო! ეონა თებერას ფერია იყო, ნაზი, სუსტი, ჰაეროვანი. როგორ შეიძლებოდა მოუხეშავად მისი შეხება. მაგრამ ნეტა რად იყო იგი ფერია ესე ძლიერი და დამმონებელი?!

— სწორედ მშველელი მარჯვენა უნდა საბრალოს და მფარველი. ვინმე მარად გარს უნდა უვლიდეს მას, თავს ევლებოდეს. ისეა მისთვის ზრუნვა საჭირო, როგორც მოვლა ჩვილისათვის, თორემ გადატყდება წელში, როგორც ყვავილის ღერო რამ ნორჩი, და დაჭკნება უდროოდ, ჩაშავდება, — ფიქრობდა თებერა.

და უნდოდა შეჰხვეწნოდა ქალს, რომ ჩრდილოს შეჰფარებოდა ის, მაგრამ თანაც ვერ ეთმობოდა, ძალიან უნდოდა გვერდით ჰყოლოდა თავისი ეონა.

— ხიოო, ხი! — შეაყენა თებერამ კევრი, როცა დაუსწორდა ეონას და წინ გადაეღობა ქალის ხარებს, — აპეური უჭერს ამ დალოცვილს! — სთქვა ბიჭმა, გამოხსნა ხარი, გაუსწორა უღელი, ისევ გამონასკვა აპეური, ჩამოართვა ქალს სახრე და მხარი შეუცვალა კევრებს.

ხერხი იყო ეს თებერასაგან მოგონებული, თორემ არც უღელს და არც აპეურს არაფერი გასწორება არ ესაჭიროებოდა. მაშ რა უნდა ექმნა ბიჭს, როცა ძალიან მოუნდა გოგოსთან მიახლოვება?! სახრე რომ მიაწოდა ქალს და ხელი ხელზე მოავლო, თბილმა ელვამ დაურბინა ტანში, სურვილი ყელში ბუშტად მოებჯინა. ბედნიერებამ შიგ თვალებში ჩახედა ჭაბუკს.

ეონამაც იგრძნო, რომ უღლის გასწორება, თუ კევრის შებრუნება მომიზეზება იყო უბრალო, რომ ბიჭი მხოლოდ მისთვის გადმოხტა კევრიდან, რადგან მოუთმენლად მოუნდა მასთან მიახლოვება და მისი შეხება. ესმოდა ეხლა ეონას ეს

ყველაფერი, განა პატარაღა იყო! მადლობელი დარჩა გოგო მოხერხებულ ბიჭისა: მისი გულიც ამ სურვილით იყო გამსჭვალული.

— ახ, — ფიქრობდა გოგონა, — რა ბედნიერება იქნება მისსავე კევრზე მის გვერდზე დგომა, მის ძლიერ მკერდზე მისვენება და უზრუნველად თავის დავიწყება მთლად ბოლომდის, სიკვდილამდის!

გული მოულბა ქალს და იგი გონების თვალით უკვე დაენდო დასასვენებლად ბიჭის იმედიან მარჯვენას, მიეყრდნო მის ძლიერ მკერდს და დაემინებულმა, მთლად დაწყნარებულმა თავისუფლად შეაცურა ფიქრთა ნავი ოცნებათა კამკამ ზღვაში. სუსტი არსება იყო ეონა, თითონაცა გრძნობდა თავის სისუსტეს; ხედავდა კიდეც გარემო ცხოვრების სიმკაცრე-უგუნლობას და მისაყრდნობელი რამ სიმტკიცე იზიდავდა ფათალოსავით, რომ თავს შემოჰვლებოდა მას, გარს შემოჰხვეოდა, მტკიცედ ჩასწმახნოდა და შეერთებინა თავისი პიროვნება მისთვის. მთლადაც შთაენთქა იგი თავისი პიროვნება მის ძლიერ და იმედიან არსებაში.

8

პატარა აღარ იყო ეონა, აგერ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალი იყო. სუსტი აგებულების გოგონა, მართალია, ტოლ ქალებთან შედარებით დასრულებული არა ჩანდა, არც ჯერ ქალობაში ჩავარდნილი, მაგრამ წლოვანების კვალობაზე კი მოწიფულ ქალწულად ჩაითვლებოდა, საპატარძლოდ. კარგა ხანი გავიდა მას აქეთ, რაც პირველად მიაქცია თებერამ ეონას ყურადღება და მას აქეთ გაიზარდა ქალი, საროსავით მაღლა-მაღლა წავიდა. გაბურძგვნილი თმა ეხლა ჩაწნული ჰქონდა და ლახტებივით ნაწნავები წელზედა სცემდა; ბაგე ეშხით ევსებოდა და საკოცნელად ეპობოდა, მკერდი უფუვდებოდა და გრძნობათა შესაკრებელნი ბორცვდებოდნენ ზედ: ახლად გაღვიძებულ-გაღივებული სხეული ფშოდა სუნნელად, ატკბობდა ყნოსვას და თვისკენ იზიდავდა სურვილებს. მაგრამ თითონ ქალის არსებაში მძლავრი ნდომა მაინც ჯერ ვერ გამოფხიზლებულიყო, ჯერ არ აემაღლებინა ხმა მბრძანებელი: იგი ჯერ ისევ იშმუშნებოდა, ნელ-ნელა იღვიძებდა და ერკვეოდა. ამი-

სთვის იყო, რომ ეონა ისევ გულგრილად ეპყრობოდა მოტრფიალეებს და მათ მაცთურად თუ ნდომით შეხედვას. ან ორაზროვან სიტყვას თუ შეხებას გოგო ისევ მეამიტად და გულუბრყვილოდ უყურებდა, თითქო ამგვარ მოძრაობათა აზრი სრულებითაც არ ესმისო. ამით გულს უსიებდა ახალგაზრდობას, ჯავრზე მოჰყვანდა და თავის უნებლიეთ და შეუგნებლად სურვილს უფიცხებდა მათ, უძლიერებდა.

— ბიჭო, ეს ეონაა რაღაც, სწორედ ხექალაა, უსისხლო! იმ დღეს ჯერ სიტყვა გადავუგდე, მერე ხელი მოვკიდე და უნდა მეკოცნა, მაგრამ ისე წყნარად და ცივად ამაღებინა ხელი, რომ მევე შემრცხვა ჩემი საქციელისა და თავი დავანებე.

— არა ჰგავს ნახატაანთ ბაბოს: ერთ შეხედვაზე თონესავით ვარვარდება, იმის ჯანის ჭირიმე!

— მადლი კი იქნებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა, კაცს გაეგებინა მა ეონასთვის, რომ პატარა ალაო არის, ქალია თვალშესულ-შემწიფებული.

— იქნება განძრახ გვეკიდება ცივად ეონა, რა არის გაგვაზოს და ნდომა გაგვიძლიეროს?

ვერ გაეგოთ ჭაბუკებს, რომ ეონა ეშხისთვის ჯერ ეხლა ლვივდებოდა და ინთებოდა; არც ის იცოდნენ, რომ ქალს ბუნების ახალ განთიადზევე შეხვდა გულის დამხვეველი ახალვაზრდა, რომლისაკენაც მიიმართა მისი გრძნობათა ნაკადი, რომელმაც გრძნობები გაუზიარა, ხოლო სურვილები მძლავრად არ შეუგუბა გულში, გზა მისცა მათ დენას. აზრადაც არ მოსვლოდათ ბიჭებს, რომ ეონა უკვე ამორჩეული ჰყვანდა თებერას, კიდეც ეგრძნობინებინა მისთვის თავისი სურვილი და თებერასათვის გულმომბალი ქალი ყურადღებას ვეღარ მიაპყრობდა საცოლედ შეღერებულ სხვა ბიჭებს.

საცოლე ბიჭების პატრონებს კი, მეტადრე მათ დედებს თუ დებს, სრულებით არ მოსწონდათ ეონა, არც უნდოდათ იგი სასძლოდ. ვიღაც ობოლი გოგო, დოღრიალა გზირის გერი, თითონაც თხელი რამ, ხაითად ნაქსოვი და სუსტი! რა გლეხის ოჯახის შესაფერი იყო ან შესაწყნარებელი?!

— რა უნდა გამიკეთოს ეონამ სახლში?! იმ დღეს სურა შეედგა მხარზე და ისე საცოდავად იზნიქებოდა წელში, თითქო დიდი რამ საპალნე ჰკიდიაო.

— ბალღის ხელებს უგავ ხელები რძენაწყენს: ან ცომი როგორ უნდა მომიზილოს, ან პური როგორ უნდა ჩააკრას?!

— კარგი თავადის ქალივით ფეხშიშველი არ გაივლის გულმკვდრის შვილი!

ესე ტუჩაკვრით უბნობდნენ დედაკაცები ეონაზე და არ მოსწონდათ შვილებისათვის საცოლედ. ისე რომ სოფლის ოჯახიშვილების მხრივ არავითარი საფრთხე ან განსაცდელი არ მოელოდდა თებერას სიყვარულს, მისი საბედო ახალგაზრდებში სხვას არავის ჰყვანდა ნიშანში ამოღებული, და ბიჭს შეეძლო ამ მხრივ დაემინებული ყოფილიყო და დამშვიდებული. მაგრამ თებერასაგან არჩეულ გოგონას სხვა ვინმე უყურებდა არამი თვალით, მისგან ამორჩეულ ჭრელ ხოხობს გველი რამ მისჩერებოდა მზირად და თვის აუცილებელ მსხვერპლად დაესახნა ის. ეს საშიში გველეშაპი მედუქნე თევდორა იყო.

სოფელ გვერდნგრეულში ორი დუქანი იყო და ამათში თევდორას დუქანი უფრო მარჯვედა ვაჭრობდა. თევდორა ამავე სოფლის გლეხი იყო, პატარაობიდანვე ქალაქში ნათრევ-ნუთრევი, სირაჯხანის აღმართში აღზრდილი, გაქნილი და ათასნაირად ნაცვეთ-ნაცადი, გამოწვრთნილი. თავის სოფელს დავაჟკაცებული დაუბრუნდა თანხით ხელში და გახსნა დუქანი. მარჯვედ დაატრიალა სოფელში ნაღდი: მოსავლის პირს ყიდულობდა, ვენახებს იჯარით იღებდა, ნაქურდალ თუ ნატაცებ საქონელს ხოცავდა, ფულს მამასისხლად ასესხებდა. ყველაფერი გამოუვიდოდა ხელიდან. ხათრი და მოკრძალება არ იცოდა. სირცხვილის ან შებრალების გემო არ ახსოვდა. ძალიან გაიდგა ფესვები. სოფელი ხელში დაიჭირა: სწურავდა და მისი სისხლით თუ სიჩხინტით პირს იპოხავდა, სუქდებოდა. ეხლა თევდორა შუახნის კაცი იყო, ჭაღარაშერთული; ერთი პირი ცოლ-შვილი ამოეჭამა და ახლა სოფლად ნადირობდა: ხნიერი, ახალგაზრდა, ქალი, რძალი სულერთი იყო იმისათვის, ოღონდ ხელთ ეგდო რომელიმე. ძალა შესწევდა, ფული ხელთ ჰქონდა და კოჭაობდა. თორემ თითონ ვერაფერი სანუკვარი იყო: თვალებჩასისხლიანებული, ახმახი, ხმელი, ცხვირკეხიანი, წითელლაშებიანი. წაბილწა სოფელი ბილწად მიმართულმა! მსხვერპლს შოულობდა, სურვილს ადვილად ისრულებდა და ძალიან გაიგეშა, ურცხვი რამ შეიქნა და თავ-

ხედი. რაკი ვისმე ამოიღებდა მიზანში, აღარ მოეშვებოდა, ცგველის ხვრელში გაძვრებოდა და თავისას კი გაიტანდა. აი, ამ თევდორას მოუვიდა თვალში ტანტინიკი ეონა და შეეცადა თავისას. წინდაწინვე ტუჩებს ილოკავდა პირწყალმორეული, რადგან გამარჯვება ადვილი მიაჩნდა: ეონა სხვისი გერი იყო, სახლიდან განაპირებული, მამინაცვალი მუცელღმერთა ჰყვანდა, დედა ბეჩავი და დაჩაგრული. ვინღა გაუმაგრდებოდა თევდორას ყვითელ ოქროს, ვინ აღუდგებოდა წინ მის ძლიერ სურვილებს?!

9

თევდორამ გადასწყვიტა, ხელთ ეგდო ეონა და დაუყოვნებლივ შეუდგა ჩვეულ საქმეს. თუმცა ეჭვი არა ჰქონდა, რომ დაიკმაყოფილებდა ამ ახალ ჟინს, მაგრამ მაინც შორიდან დაიწყო გაწვრთნილმა.

— კაცო, კაკლო, — გადაეღობა ეონას მამინაცვალს თევდორა, — ირემაანთ ბიჭი რომ ნისიას აღარ იძლევა, ნეტა რა უნდა მოვუხერხო?

— რომელი? ვანუა?

— სწორედ ვანუა, ის პირშავი!

— დააცა, კაცო, ალბად არა აქვს, თორემ მოგცემდა. სხვა არა იყოს რა, აღარ დასჭირდება შენს კარზე გავლა? ბარათები ხომ გაქვს?

— ბარათებიც მაქვს და ხელიც უწერია, რა შვილი ვარ, ისე ვანდო რამე! მაგრამ რა შორიდან ვლაპარაკობთ, კაცო, შემო დუქანში და ყველაფერს გიჩვენებ!

თევდორამ შეიპატიჟა გზირი დუქანში, დავთარი აჩვენა, რჩევა ჰკითხა, დახმარება სთხოვა და ისეთი კილოთი, თითქოს, კაკლუა უბრალო გზირი კი არა, თითონ მამასახლისი ყოფილიყო, თანაც ორი ჭიქა პილატეს ცრემლი გადააცეცხლა, ზურგიელი დაუთალა, შოთი მოუმტვრია.

გზირს უამა პატივისცემა, შექეიფიანდა, შეწითლდა: აღუთქვა ყოველივე დახმარება ნისიის განაღდებაში. ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა შინ. ამის შემდეგ თევდორა ხშირად პოულობდა მიზეზს გამოხმაურებოდა გზირს და პატივი ეცა მისთვის. შეიტკბო კაკლუა მედუქნემ, დაიმეგობრა; ნისიას

უარის უთქმელად აძლევდა, ფულითაც კი უმართავდა ხელს და ისიც უთამასუქოდ. იქამდის შეეტყუა კაკლუას, რომ ისის ძალუბული შეიქნა თითონაც პატივი ეცა მედუქნისათვის. სახლში შეეყვანა ის. სხვა არა იყოს რა, ზრდილობა მოითხოვდა ამას! თევდორა მაინც ხელცარიელი არ შედიოდა ახალი მეგობრის სახლში; ხან ქიშმიშ-ლაბლაბოს მიიტანდა, ხან თხილს თუ წაბლს ხელსახოცით, ან შაქარლამას.

გზირს და მის ოჯახს რომ უახლოვდებოდა თევდორა, თან ეონასაკენ მიცურავდა ჭრელი: ხილს მიართმევდა, სიტყვას გადაუგდებდა, ეხუმრებოდა, უღრეჭდა, აქებდა. ეონა მეამბიტად ეპყრობოდა სტუმარს, არ ესმოდა მისი ქცევის მიზანი და არც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა მის სიტყვას თუ მოძრაობას, მით უფრო, რომ უკვე სხვისკენ იყვნენ მისსი ფიქრები მიქცეულნი. ან რას მიხვდებოდა გამოუცდელი გოგო, რა ბოროტი აზრი ჰქონდა გულს ჩადებული ჭაღარაშეერეულ ვაჟკაცს მის შესახებ? ეონა არც ცივი იყო თევდორასთვის, არც ცხელი, არც უფრთხოდა. ხედავდა თევდორა, რომ ეონაზე მისი სიტყვა თუ ალერსი სხლტებოდა, ფეხს ვერ იკიდებდა და ჯავრი მოსდიოდა მოუთმენელს, მით უფრო, რომ გოგოს სიახლოვემ უფრო და უფრო გამოიწვია ნდომა. გააძლიერებულმა სურვილმა მთლადაც დაიმორჩილა ვაჟკაცი და დაიმონა. რაკი ეონას დაინახავდა თევდორა, ეშმაკი შეუჯდებოდა გვერდებში, ააღელვებ-აადუღებდა და თავისსავე ქაფში სთუთქავდა მას დაუნდობელი. რას იზამდა? იძულებული იყო ბრჭყალები დაემალა ვერაგს და თავი მოეკატუნებინა. აკი ასეც იქცეოდა!

ბოლოს მოთმინება შემოელია ვაჟკაცს, ვეღარ შესძლო ბრძოლა გაცეცხლებულ ნდომასთან; თანაც ეგონა, უცხო ქნადირი საკმაოდ იყო შეჩვეული და დააპირა ემოქმედნა გაბეედვით. მარჯვე შემთხვევასღა ელოდა მტაცებელი. შემთხვევამ ააჩქარა ის: ერთ საღამოს თებერა და ეონა განმარტოებით ისხდნენ სათარზე და ჭუკჭუკობდნენ, როგორც შინაურებში. გული გაუსკდა თევდორას.

— სწორედ ის ბიჭი წაიყვანს ეონას და წადი მერე, ჩაიგდე გოგო ხელში! — გაიფიქრა იმან და გადადგა ნაბიჯი.

წყაროს გზაზე ჩაესაფრა თევდორა ეონას, შამბის პირიას; ცალი გამოჩნდა ხევის ბილიკზე, კოკის ქვეშ ლერწამივით იზ-

ნიქებოდა, ლამის გადატეხილ-გადამტვრეულიყო. თევდორამ მიაპყრო ხარბი თვალი ქალის რხეულ ტანს და ნდომით აივსო მისი გვამი, მოუთმენელი სურვილით აპირთავდა.

— ქალო, ეონა! ერთი წყალი დამალევინე შენს გაზრდას!

ქალი შესდგა და გადმოიღო მხრიდან კოკა. თევდორა მოეწაფა, მაგრამ მალე დადგა კოკა და მგლურად მიანათა ქალს ვნებით სავსე თვალები, შეშფოთდა ეონა და შეწითლდა. თევდორამ ხელი ჩაჰკიდა მკლავში, მძლავრად მიიზიდა თავისაკენ, ჩასჩურჩულა:

— გოგო, ვიწვი შენი სურვილით! განა ვერა ხედავ? აღარ შემიძლია უშენობა! გამომყე, ჩემი გახდი და მთელი ჩემი ქონება შენი იყოს!

შიშმა აიტანა ეონა. ძალიან გაწითლდა. თევდორამ წადგა წინ ფეხი, უნდა ჩაეთრივ-ჩაეჯმუჯნა გოგო, მაგრამ ზევიდან ლაპარაკის ხმა მოესმა და გაუშვა მსხვერპლი ხელიდან, მხოლოდ დაიღმუვლა მხეცურად და დაიხლაკნა სიმწარით.

ამის შემდეგ სრულებით აღარ მოუსვენა თევდორამ ეონას, ჩრდილივით უკან დასდევდა. სად ფული შეაძლია, სად საკაბე თუ ბაღდადი მიუტანა. მაჭანკალს მაჭანკალზე უგზავნიდა, მაგრამ ვეღარ მოინადირა ქალი, ერთხელ შემფთხალი სათოფედ აღარ ეკარებოდა კაცს.

— ეს რა მომდის ნეტა?! აღარ შემიძლია სიცოცხლე, თუ ის გოგონა ხელთ არ ვიგდე! სუნთქვა მიძნელდება უიმისოდ, გული ჩქროლავს, სული მეხუთება. დახე, რა მიყო ჩაქშახეულმა! ვეღარც დუქანს ვუგდებ ყურს, ვეღარც სახლს. ლამის გავგიჟდე. ნეტა რითა სჯობია ის გამოფიტული გოგო ჩემ ფუნთუშა ფეფენას?! მაგრამ რა ვქნა, რომ აღარ შემიძლია არ მოვხვიო ხელი მის წვრილ წელს. მუჭაში დაიჭირება, მუჭაში! — ამბობდა გონება დაბნეულ-დაბნელებული თევდორა და ძლიერი ნდომა სწვავდა მას უწყალოდ.

აქამდის ჩიქილის ყურზე გამობმულმა ვაჟკაცმა, აქამდის კაბის კალთის მოთაყვანე უძღებმა, ეხლა შეიზიზღა დედაკაცები და ყოველივე პატივი აჰყარა მათ. თითონაც გაუკვირდა, როდესაც მასთან ნამალევად მისული ფეფენა საზიზღრად დაამცირა და სახეშიაც კი შემოჰკრა დამდაბლებულს. რას ერჩოდა მისთვის ნამუსგანწირულ დედაკაცს? არაფერს! მაგრამ

საზიზღარი ბოროტება დუღდა ეხლა მასში და ეონას ჯავრს სხვა ქალებზე ყრილობდა გამწარებული.

— ვაჰ, რა მომივიდა მაშინ, რომ ველარ შევიმაგრე თავი! როგორ დანდობილი მომაწოდა სურა! არა, შე ოხერო ჩემო თავო, რა გაჩქარებდა? ვითომ რა გენება იმ შარა- მინდორზე? ნელ-ნელა შეიჩვევდი რაღა. სახლშიც ხომ დანდობილი მოდიოდა სამეზობლოდ და იმას მაინც მოახერხებდი, რომ ბანგი შეგეპარებინა! — ნანობდა თევდორა და ბოღმამორეული მწარედ აყვედრიდა თავის თავს.

მაგრამ ბოღმით და ჯავრით რაღა გაეწყობოდა? თავს უნდა დასწყნარებოდა კაცი და ახალი მახე დაეგო შემფრთხალ ფრინველისათვის. მწარედ დარწმუნდა, სოფლად აქამდის ნაცადი ქსელი აღარ გამოდგებოდა, რომ ეს ჭრელი კალმახი არ მოსდევდა იმ ანკესს, რომლითაც აქამდის ნადირობდა. იმედმიხდილმა დაასკვნა, უკანასკნელ ხერხისთვის მიემართნა.

10

ეონასადმი სიყვარული ბედნიერების წყაროდ გადაექცა თებერას. ეს სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ ბიჭმა მალე გაბედა სხვაგან, სხვის ოჯახში და სოფელში მოჯამაგირეობაზე ხელის აღება და ისევ თავის ქოხს დაუბრუნდა; უნდოდა ახლო ყოფილიყო თავის ალქაჯთან, ყოველდღე დაენახა ის. იგივე სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ ბიჭი მუხლჩაუდრეკელად და დიდი ხალისით მუშაობდა შინ თუ გარეთ. ბუდეს ამზადებდა, თავშესაფარს აწყობდა, რომ ღირსეულად დახვედროდა მასთან შემომავალ მზის შუქს: ჰაეროვანი ეონა სწორედ მზის სხივად ეჩვენებოდა ბიჭს, კარებთან შინ შემომდგარ სხივთა სვეტად. „მზევ, შინ შემოდიო“, ჩაიღიღინებდა თებერა და უღიმოდა მისთვის ნათელ სახეს ეონასი.

რა ვუყოთ, რომ ეონა სუსტია და პეპელასავით ფრთაფარფატი? თითონ თებერა ხომ ძლიერია და მხნე! სახლში მხოლოდ ისეთ საქმეს მიანდობს ქალს, რაც საადვილო იქნება და მსუბუქი. დანარჩენს სულ თითონ გააკეთებს. ეხლა მარტოდმარტო უძღვება ოჯახს და მაშინ ხომ შემწედ ეყოლება გვერდზე თავისი ეონა!

და სწორედ კარგად უძღვებოდა თებერა თავის სახლს:

დანგრეულ-ჩამოქცეული შეაკეთა, აგლეჯილი დააკრა, კარჩხები თუ მარგილები ჩაყარა, ღობე და ხარიხები შემოავლო, ეზო დააკრიალა; მოტეხილ-მოგლეჯილ ხეხილის ბადლად ახალი დარგო და ახარა. ეხლა თებერას ეზოში ქათამი დადიოდა, ძაღლი იყეფებოდა, ღორი ღრუტუნებდა; ბაკში ისეთი უღელი მოზვერი ება, ნახვა გიამებოდათ; კარწინ საბარო ურემი ეგდო, მართალია, ნახმარი, მაგრამ არც ისე დანჯღრეული, რომ ტვირთის ზიდვა ვერ შესძლებოდა. მარტოხელი გლეხის კვალობაზე აღარაფერი უჭირდა თებერას, მით უფრო, რომ ამაო ხარჯი არა ჰქონდა რა. მე ვიცი, თუთუნზე დახარჯავდა, ან ღვინოზე! თავდაჭერილი ბიჭი დადგა თებერა, ფხიზელი. ჯიდევ დადიოდა თებერა დღიურ სამუშაოზე; მაგრამ საკუთრადაც შრომობდა ოჯახიშვილურად: შეშას ეზიდებოდა გასაჰყიდად, მცირე რამ ქირა გადაჰქონდ-გადმოჰქონდა; ბარავდა, სთოხნიდა, გუთანს მისდევდა.

— ჰეი! სად არის ეხლა ერთი უღელი კამბეჩი, თორემ მე ამ სოფელში აღარავის ჩამოუვარდებოდი! მაგრამ არა უშავს რა, ღმერთია მოწყალე, იმასაც მოვესწრებიო! — გაიფიქრებდა თებერა და ეს იმედი შრომის ხალისს უორკეცებდა ახალგაზრდას.

უღელ კამბეჩსაც მალე გაიჩენდა გამრჯელი ჭაბუკი და ძროხასაც. ოღონდ კი სახლში მეწესე ჰყოლოდა და თანაშემწე. ეხლა კი მის შრომას ისეთი ხვავი ვერა ჰქონდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ეხლა სახლში ბევრი რამ უფუჭდებოდა და აკლდებოდა, მეტადრე მაშინ, როდესაც თებერა მთელი დღეობით შინ არ იყო. სახლი უპატრონოდ რჩებოდა და უპატრონო კერას ყოველგვარი ავი ეტანებოდა. მეტი გზა არ იყო, ცოლის შერთვა უნდა დაეჩქარებინა. დროცა ჰქონდა! რამდენი ხანიღა უნდა ყოფილიყო მარტოდმარტო?..

სოფელში კარგადა ჰხედავდნენ ბიჭის უნარსა და თვალიც ეჭირათ მისკენ. მდიდარ ოჯახებს კი არა, რადგან მათთვის დიდს რასმე სახარბიელოს არ წარმოადგენდა მოჯამაგირობაში გამოზრდილი და დღიურ მუშად გამოსული ბიჭი; ქვრივობლებისა და ხელმოკლე ოჯახებისათვის კი სწორედ მისწრება იყო და სანთლით საძებნელი. სასძლოდ მოწიფულ გოგოებს კი დიდ ოჯახებიდანაც მოსწონდათ ეს მხიარული, მოღიმარ-მოცინარე, მომღერალი, მშრომელი და ისე არ ჩაუვ-

ლიდნენ გვერდზე, რომ თავზე თავის-ჩითი არ გაესწორებინათ და ქვეშ-ქვეშ მაცდურად არ გაეხედნათ მისკენ. თებერა ამჩნევდა გოგოების წადილს, მაგრამ რა ექნა, ან რა პასუხი გაეცა მათთვის, როდესაც ის უკვე ტყვე იყო: ეონა იყო ერთადერთი მისი ნათელი და სიხარული!

ეხლა ეონამაც უკვე იცოდა, რომ მოსწონდა ის თებერას, უყვარდა ბიჭს. განმკურნებელ მალამოდ ედებოდა ეს სიყვარული ობლობაში დაჩაგრულ ქალის გულს და შემკრთალ-შეფიქრებულ გონებას. გოგოს თვის იმედად ეგულებოდა თებერა, ურყეველ ზღუდედ მისაყრდნობელად, თავის ობლობის შესაფერ მკვიდრ ყუდედ: მამინაცვლის იმედი არასოდეს არა ჰქონია მას. ძალიანაც ეშინოდა მისი და მისი სახრისა, დედამისი ხომ მთლად გაწყალებული ადამიანი იყო და გამქრალი. ვიღა უნდა ჰყოლოდა განაპირებულ სუსტ არსებას ნუგეშად, თუ არა მის მოსიყვარულე თებერა?! ეონა არ იყო ლამაზი სოფლური სილამაზით: არც წთილად ღაჟღაჟებდა, ვერც მიწას ანძრევდა ძაგიძუგში და ვერც მძიმე უღლის გასწორებას შესძლებდა გლეხურ ცხოვრების ტლანქად ტრიალში. ეს ყველაფერი კარგად ესმოდა დაფიქრებულ ეონას და გული არ მისწევდა დიდ ოჯახის სძლობაზე, თუნდაც ეთხოვნათ ის ამისთანა ოჯახებს. ან კი ვის რად უნდოდა მიმქრალი გოგო სძლად და ისიც ვიღაც გზირის გერი? მართალია, საცოლო ბიჭები ყურადღებას აქცევდნენ ეონას. რამდენჯერ გადუკრავთ მისთვის სიტყვა ან ხელი წაუტანებიათ, მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით და შემთხვევით ან დაუდეგარობით, თორემ ეონა საცოლედ რად უნდოდათ მძიმე შრომის შვილებს ან რაში გამოადგებოდათ! და თუნდ მოენდომებინათ კიდეც, ვინა ჰკითხავდა იმათ? ოჯახი თითონ აურჩევდა მათ საპატარძლოს და ჯვარსაც თითონ გადასწერდა თავის ნებით.

— მე არცერთ ოჯახს არ მოვწონვარ. თებერა სულ სხვაა. იმას ვუყვარვარ კიდეც და არც დამშლელ-მრჩეველი ჰყავს ვინმე. ალბად მეც მიყვარს თებერა! მაშ რა არის, რომ მიხარიან მისი დანახვა? როცა იმასთანა ვარ, ვერც კი ვიგებ, როგორ მიჰქრის დრო. სწორედ ის არის ჩემი ბედი და იღბალი! ხომ გამათხოვებენ და მე თებერას მეტს ვერვის გავყვები. ოღონდ მითხოვოს! ოღონდ დამეკითხნონ! — ფიქრობდა ქალი და მომავლის შიში ფერს უცვლიდა ისეც ფერმიხდილს.

ყველაზე ძალიან კი აშინებდა გოგოს მედუქნე თევდორა: მან ცხადად დაინახა მისი ბინძური გულისთქმა, იგი გულის წადილი მთლად გაძრცვილი ეჩვენა მას წყაროს გზაზე და შეძრწუნდა გოგო.

11

სასძლოდ შეღერებული ქალი სოფელში ძალიან ერიდება ვაჟს. ცდილობს შორს მოუაროს მას, რადგან უწვრთნელი ახალგაზრდობა თავს ვერ იკავებს და შემთხვევას არ გაუშვებს ორაზროვანი ბინძური სიტყვა არ გააყოლოს, არ წაუმღეროს, ან ხელი არ წაატანოს. რა ქმნას ბეჩავმა? ცხოველებთან აღზრდილმა, პირუტყვებთან გაწვრთნილმა როგორ შეიმაგროს თავი ან როგორ გამოხატოს თავისი გრძნობა, თუ არ მოუხეშავად. სად ისწავლიდა თავის დაჭერას, ან ვისგან შეითვისებდა უფრო სათუთად მოპყრობას? იქნება გოგოს კიდეც უხარიან ესეთი მიმართვა ვაჟისა, რადგანაც თითონაც ამგვარ მოარშიყეს ნატეხ-ნაჭერია, თითონაც ხბორებში თუ ბატებში იწვრთნება. მაგრამ გოგო მაინც დიდ ყურადღებას აქცევს გარეგნობას, სახელის სუფთად შენახვას; ცეცხლივით ეშინიან გაჭორვისა, რადგან სახელგატეხილს თავგატეხილი სჯობია და თუ ქალს ერთი ცუდი ხმა დაუვარდა, დაიღუპება, გაუძნელდება გათხოვება.

ეონა ხომ ისეც საწყალი იყო, მოკრთალებულ-მორიდებული და რაკი ქალობის ნიშან-წყალი დაეტყო, დამფრთხალ შველივით გაურბოდა ყოველ საეჭვო შემთხვევას და შეხვედრას! მაგრამ ბედმა გოგო იმ თავითვე გერად მოიკიდა, ეხლაც ჯერეთ უმანკოს და გამოუცდელს, მოევლინა ბიწიერება მხეცქმნილ თევდორას სახით და მოუწამლა ისეც გამწარებული სიცოცხლე. ჩასაფრებულ მედუქნისაგან გულგახეთქილი გოგო ისე მორბოდა სურით მხარზე, თითქო გულშეწუხებულისათვის უნდაო წყალი. ჩამოიღო სურა, მიაყუდა კუთხეში, მიიყუჟა ტახტის ბოლოს და თრთოდა შეშინებული, კბილს კბილზე აცემინებდა.

— გოგო, რა დაგემართა, რა ნახე, რომ ცოდვილივით ცახცახებ.

— დედი, დედიჯან! ვგონებ, უკან დამედევნა! მოვრბოდი. აი სახელოც დამახია.

— რასა ჰბოდავ, გოგო? ვინ დაგედევნა? მცურავი ხომ არ დაგიხვდა შამბებში? — ჩაეკითხა გაფითრებული დედაკაცი ეონას და ხელი წაატანა.

— თევდორა დამიხვდა ხევში, დამიჭირა, მიმათრევდა.

— რას ამბობ, შე გულმკვდრის შვილო? როგორ თუ თევდორამ დაგიჭირა? რად დაგიჭირა? საით მიგათრევდა? — ჰკითხავდა გაშეშებული დედაკაცი ზედიზედ.

როგორც იყო, აამბობინა ქალს, რაც შეემთხვა მას წყაროს გზაზე და ცოტათი დაწყნარდა: უარეს ამბავს მოელოდდა გულგახეთქილი დედა.

— დახე იმ არაწმინდას! მეც არა ვსთქვი, რას გვეტმასნება-მეთქი შეჩვენებული! მაგრამ, შვილო, ნურას ეტყვი მამინაცვალს: აყვირდება, მთელ ქვეყანას შეგვიყრის. ხომ არავინ დაგინახა, შე საცოდავო, ის კაცი რომ გეტანებოდა? რა ვქნა, შვილო, ჩვენი შავი ბედისაგან არაფერია გასაკვირველი. მეერიდე, გენაცვალე, თვალით აღარ დაენახო.

ეს იყო მთელი ძალა და მფარველობა, რომელიც აღმოუჩინა დედამ თავის ქალს ამ გაჭირვებაში. რა უნდა ექმნა უმწეო გოგოს ან როგორ უნდა აესრულებინა დედის დარიგება, როდესაც კაცი არ ეშვებოდა და მეორე დღესვე რაღაც მოიმიზეზა, ურცხვად გადმოვიდა კაკლუასას. ათასნაირად გაჭნილ-გაგეშილ უძღებს ეს უბრალო მარცხი როგორ შეაშინებდა თავის შეუკავებელ სურვილის აღსრულებაში.

გაიგო თუ არა ეონამ თევდორას ხმა, მაშინვე გავარდა სახლის მეორე კარიდან და ისე მიიმალა საბძლის კუთხეში, ეშმაკიც ვეღარ იპოვნიდა. ბევრი უძახა კაკლუამ, ბევრი იჯავრა, ბევრი იყვირა, მაგრამ ვერ გამოსდევნა დამალული თავის ბუნაგიდან.

— სად დაკარგულა, დედაკაცო, შენი გოგო, რომ ვერ დამისაქმებია? ან ცივი გვინდა, ან ცხელი, მომსვლელია ან წამსვლელი; დაწანწალებს უგზო-უკვლოდ და უსაქმოდ! — შეუტია კაკლუამ ცოლს და თან სახრე აათამაშა, მარჯვედ აადევნა სახრის წვერი თითო-თითო სიტყვას.

დედაკაცმა სიტყვა ვეღარ შეუბრუნა ქმარს და ისე ეჭირა თავი, თითქო არც კი იცისო, ეონა რად დაიმალა ან სად გადაიკარგა. დიდ საფიქრებელში ჩააგდო ეონას დედა ამ შემთხვევამ, თევდორას ამისთანა ურცხვობამ.

— დიდი განსაცდელი მოელის ჩემს ეონას ამისთანა დაუდევარ და შეუგნებელ მამინაცვლის ხელში. აქაო და ხანდისხან არაყს მასმევსო, დაიმეგობრა და სახლი შემოალახვინა ყველასაგან ავაზაკად მიჩნეულ კაცს, თითონვე ხელს უწყობს იმის ბინძურ სურვილებს. სწორედ შეგვარცხვენს ეს თევდორა და არ ვიცი, როგორ ავიშორო თავიდან უბედურება, რა შავ ქვას ვაწყვიტო თავი, სად დავმალო ეს ცოდვის შვილი, სად გადავკარგო. ნეტა ერთი ნათესავი მაინც ჰყვანდეს ვინმეს ამ საცოდავს, რომ გავგზავნო ცოტა ხნობით მაინც, — ღონობდა დედაკაცი და გზა ვერ ეპოვნა ხსნისა.

ეონაც ამ გასაჭირზედვე ფიქრობდა და მის გაწვალებულ ფიქრსაც ვერავითარი სავანე ვერ ეშოვნა უზრუნველ-უშიშარი. არსაიდანა სჩანდა იმედი. მხოლოდ თებერა თუ გამოვიდოდა მის მშველელად და ხელის ამპყრობელად. დედამიწის ზურგზე თებერას მეტი წრფელი მეგობარი და გულშემატკივარი არა ჰყავდა მას. ამას ჰგრძნობდა ქალი. რა უნდა ექმნა და როგორ გაეგებინებინა ბიჭისათვის, რა დარდი აწუხებდა მას, ან რა განსაცდელი მოელოდდა?

— ხომ ვერ გავიქცევი და ვერ ჩავახარებ, ესეთი საძრახი საქმე დამემართა და მომეშველე-მეთქი! დედაც ვერას ეტყვის: ის ხომ ვერაფერს მოახერხებს ხოლმე. ნეტა რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?! — ღონობდა დაძმარებული.

12

შემოდგომა მიიწურა. სოფლად მუშაობა შემცირდა. დაუწყნარებელმა ზრუნვამ და შრომამ ნელ-ნელა დაუთმეს ადგილი დასვენებას და სიხარულს. ყოველგვარი საზრდო შემოგუღებული იყო სახლში, იმედიანად იდგა კაცი და შეეძლო მცირე ხნით თავი დაეღწია წყევის უღლისათვის, რომელიც ქედს ადგა ადამიანთა უმრავლესობას და თავის სიმძიმით მიწამდისა ჰხრის მას მუშა პირუტყვივით. უსპობს სახსარს აღმა მზერისას, ართმევს ყოველსავე სახეს აღმაფრენისას. ეხლა გლეხსაც შეძლება ჰქონდა ადამიანურად ამოესუნთქა და თავისუფლად ემოძრავნა: ან ცისათვის შეეხედნა და მის სიმშვენიერეზე გაეღიმნა, ან ჰაერში გაენავარდა ფიქრით თავისუფლად იქ მომცურავ ფრინველებთან ერთად, ან ანკარა ნაკადუ-

ლისათვის აეყოლებინა თავისი სურვილი და ყვავილთა შორის გაეშალ-გაეფანტნა თავისი გულისთქმა. სოფელი გულჩათხრობილი აღარ იყო ეხლა და მოღუშული, იგი იღიმებოდა, იცინოდა, ხარხარებდა, კასკასებდა. ბევრი რამ ჰქონდა მას ეხლა სამხიარულო: ნათლობა, ნიშნობა, ქორწილი, საღვთო, წვეულობა, ხატობა და ყველანაირი დღეობა ეხლა მოჰგონებოდა კუჭგამაძღარს და ბეწვდაბზინებულ სოფელს.

თებერასაც ეხლა მხოლოდ დღიურ სამუშაოდ კი აღარ იწვევდნენ მეზობლები, სამხიარულოდ და დროს გასატარებლადაც ახსენებდნენ. ღირდა კიდეც თებერას მიწვევა: კარგი მუშა რომ იყო ახალგაზრდა, თანაც გულახდილი და ხალისიანი სტუმარი იყო. სადაც მიდიოდა, თავის წილს მხიარულებას თან მიიტანდა. სწორედ ასეც უნდა. მაშ ის არის კარგი, რომ თან შავი ჩრდილი მოგდევდეს მასპინძლის გულის გასასიებლად და სიხარულის ჩასაქრობ-ჩასაშავებლად?

ქორწილში წასასვლელად ემზადებოდა თებერა, ირთვებოდა. თავს იკაზმ-ილამაზებდა. თან იღიმებოდა: გული მხიარულად უცემდა ჯანსაღ და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას, სიამე ძარღვებს უთამაშებდა და უნებლიეთ ამოძრავებდა ჭაბუკს. სწორედ ხელს გაშლიდა და ჩამოუვლიდა დედაბოძის გარშემო, თუ ცეკვა სცოდნოდა დალოცვილს. რატომაც არ გაიხარებდა? ოდესმე ყველასაგან დაჩაგრულ-დაჩათინებული თებერა დღეს მეფის მაყარი იყო საუკეთესო ოჯახში! მარჯვედ უნდა შეხვედროდა დედოფლის მაყრიონს და თავმომწონედ, რომ ეჩვენებინა მათთვის, რა ტალიკ-ტალიკ ბიჭებსა ზრდიდა სოფელი გვერდნგრეული.

ახალშენი კაცი იყო თებერა, მაგრამ მაინც მოახერხა სასტუმრო ტანისამოსის შეძენა. კოხტად ჩაწნულ-ჩახლართული ქალამნები თეთრ წინდებზე, თეთრი შალის შარვალი, ჩაღილულ საცვეთებში ჩამაგრებული, თეთრი შალისავე შავ ჩაფარიშ მოვლებული მოკლე ჩოხა, ბრჭყვიალა ბალთა-ღილიანი ქამარი, კოხტა ხანჯალი და ნაბდის ქუდი ქოჩორა თავზე — რა უშავდა? კარგი ბიჭი იყო! ეს კია, რომ მოჯამაგირეობისა და მეღორეობის დროს შუშპარი ვერ ესწავლა ჭაბუკს და მაშ დღეს ვერ შესძლებდა თავის ეონასთან დავლურში გასვლას. ეჰ, აქ სხვისათვის უნდა დაეთმო მას ბურთი და მოედანი, ბედიან ვისმე უნდა ჩამოსცლოდა გზიდან და კუთხეში მიმდგარ-

მიჩუსულიყო. რა ვუყოთ? უდარდელი და უხინჯო კაცი სხვა ვინ გინახავთ ან როდის, რომ თებერა ყოფილიყო ეხლა სრული და მთლად კმაყოფილი?

აკი დაღონდა კიდეც ბიჭი, როცა ქორწილში გაჩაღდა დაირნაღარა და თითისტარივით ჩამოტრიალ-ჩამობზრიალდა მოცეკვავე ახალგაზრდობა. გულდაჩაგრული მოშორდა თებერა მხიარულ წრეს და შორიდან ადევნებდა თვალს თავის ეონას. როდესაც საუკეთესო მოცეკვავე ოჯახიშვილმა გამოიწვია ეონა, თებერას გული ეტკინა, მთლად ჩაიფუფქ-ჩაითუთქა, დაილია, დაპატარავდა, გაჭრა ალაგობრივ. ეონა თავისებურად დაღონებულ-დაფიქრებული შეცურდა წრეში და შეირხა. ჯერ ეშხი და სიმკვირცხლე არ ეტყობოდა მის მოძრაობას, მაგრამ ნორჩმა ბუნებამ თავისი გაიტანა და გაიტაცა ქალი. ლერწამ ტანის მსბუქმა და შეწყობილმა რხევამ ააღელვა ისეც აღფრთოვანებული ხალხი, აღტაცებაში მოიყვანა და უნებლიეთ საერთო ტაშით დააჯილდოვეს მოცეკვავენი.

ეონა გახარებული გამოვიდა წრიდან და ჩადგა ტოლსწორში ყელმოღერებული. დასანიშნმა ბიჭებმა სურვილით გააყოლეს თვალი წერწეტ გოგონას. სადედამთილოების მკილავი გულიც კი მოლბა მისდამი ამ საერთო აღტაცების წამს ძალიან ნასიამოვნები დარჩა ეონა და ბედნიერი. ოღონდაც რომ სასიამოვნო იყო დაჩაგრულისათვის მთელი საზოგადოების ყურადღება: დღეს ოჯახიშვილების ქალ-რძალიც კი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა მას და განა ეს ბედნიერება არ იყო ყველასაგან აბუჩად აგდებულ გოგოსათვის? ეტყობა, მართლა არა ჰკარგავს ღმერთი თავის გაჩენილს და ერთხელაც იქნება წყალობის თვალით გადმოჰხედავს მას. მხიარულად იყო ეონა, წელში გაშლილი იდგა მწყაზარი, პირს შროშანა გადაჰფენოდა თეთრი, ერთიათად ქცეულიყო ყარყატი. თებერა შორიდან შეჰყურებდა სატრფოს და ეშხით ითვრებოდა.

— აბ, რა კარგი ხარ, შე წყეულო, რა კარგი! — იმეორებდა თებერა და გულში მუშტს იცემდა, სურვილთა გამოსახატავად.

„რა კარგი რამ ხარ, ხოხობო, რა კარგი რამ ხარო!“ — მოისმოდა ეზოდან მწყობრი გუგუნი.

— სწორედ ეონაა ჩემი ბედი და ყისმათი! უნდა დავნიშ-

ნო. ისე მოვაწყობ ოჯახს და დავამშვენებ, რომ მტერსაც კი ეამებოდეს! არა, გენაცვა მა სულში? — ეკითხებოდა თებერა ქალს ფიქრით და თვალი აღტაცებით მიეპყრო ნორჩისათვის.

13

ბიჭის წრფელი გულისთქმა ესმოდა ქალის გულს. ეონაც თებერაზე ფიქრობდა ამ წამს, მისი თვალიც მას ეძებდა. უნდოდა, რომ ბიჭს შეენიშნა იგი ამ მისთვის სასიხარულო წამში, როდესაც ეონა სხვის გერი კი აღარ იყო დაფლეთილ-დაბრიყვებული, არამედ ქალი იყო მოწონებული, ოჯახიშვილების დარი და ტოლ-სწორი!

— ხედავ, ბიჭო, არც მე ვარ მთლად გამორჩეულ-გამოწყვეტილი. რა ვუყოთ, რომ ობოლი ვარ და უმწეო-უპატრონო? ობლის მამა ღმერთია და აი ჩემკენაც გადმოიხედა დალოცვილმა. შენც ხომ ჩემსავით ობოლი ხარ, ბიჭო, და დაჩაგრულ-გაწამებული! — ფიქრობდა ეონა და სწყუროდა თვალი მოეკრა ბიჭისათვის, მაგრამ თებერა მიჰფარებოდა მის თვალთა ხედვას და გული სტკიოდა ქალს.

— ეჰ, ერთი ბედნიერი წუთი მხვდა და მაშინაც ვერა მნახა ი საწყალმა, ნეტა სად წასულა, სად დაკარგულა? — ფიქრობდა ქალი და ათვალიერებდა იქაურობას.

ნეტა არ ეთვალიერებინა და არც აეხედნა! მთლად ჩაუშხამდა წუთიერი სიხარული ბეჩავს: დერეფანში გამოსულიყო თევდორა და ჩასისხლიანებული თვალები ხარბად მიეპყრო ეონასათვის. შეზარხოშებული, ვნებათაგან გახელებული კაცი მთლად ცხოველად გადაქცეულიყო და ამ წუთს სწორედ შესაზარი იყო მტაცებელის სახის გამომეტყველება. ქალმა თავის სულთამხუთავი დაინახა და შეკრთა, შეძრწუნდა, ათრთოლდა შიშისაგან. მაინც ხომ ბედის-მწერელი იყო თევდორა ეონასი და სულთამხდელი ბოროტი, რადგან სურვილს და ვნებათა ღელვას ისე დაემორჩილებინა ვაჟკაცი, რომ გადაეწყვიტა, ყოველ ხერხისა და ავაზაკობისათვის მიემართა, ჟინი კი დაეკმაყოფილებინა.

თევდორა ნელ-ნელა იწევდა ქალისკენ, უახლოვდებოდა მას, თუმცა პირდაპირ მასთან მისვლას ვერ ჰბედავდა. აგერ

კიდეც შეერია ის ახლო მდგომ დედაკაცების ჯგუფში და დაიწყო მათთან ლაზღანდარობა და ღრეჭა. თვალს კი მაინც არ აშორებდა თავის მსხვერპლს, უნდოდა თვალთა ისრით გაეგმირა ქალი და დაემონებინა. დედაკაცები იცინოდნენ მის ორაზროვან სიტყვა-შენიშვნებზე და თან თითს ტუჩებზე იფარებდნენ კდემის ნიშნად. ეონას გულში კი ყველა მისი ნათქვამი ზიზღს იწვევდა, ისე ეშინოდა მისი მიახლოვებისა, თითქო რამ ლორწოიანი ქვემძრომი მიიწევსო მისკენ. ქალი ვერ იძროდა ადგილიდან. არც შეიძლებოდა გარიდება და გაქცევა: მისი ტოლ-სწორი ქალი აქ იყო შეგროვილი და ის ვიღასთან წავიდოდა? ვეღარც ახერხებდა წასვლას: მუხლი წაერთვა, დამძიმდა, მიემსჭვალა იმ ადგილს უბედურს. ესე არის ხოლმე ადგილობრივ გაქვავებული გველის თვალისაგან მოხიბლული ფრინველი, როდესაც ის იტანჯება და ვერ კი იძვრის ადგილიდან საზარელი ჩამნთქმელის მიახლოვებაზე.

— რა ვქნა, როგორ დავაღწიო თავი ამ ვეშაპს? სწორედ ჩემკენ მოდის ის ღვთის გარეგანი! დედაც აქ არ არის. თებერა მაინც ახლოს იყოს, რომ დამიხსნას. თებერავ, ბიჭო, სადა ხარ? ხელი, მომეც, შე ჩემი ცოდვით სავსევ, ვიღუპები! ღმერთო, შენი ძალისა და მადლის ჭირიმე, ჩააგონე თებერას, რომ მოვიდეს და დამიხსნას ამ ფოცხვერის პირიდან! — ლოცულობდა შერცხვენის მომლოდინე ქალი და თვალს რეტად ავლებდა გარემოს.

სწორედ საძრახს რასმე შეამთხვევდა ეს გველეშაპი უმწეო ქალს, გასაწბილებელ რასმე შეჰბედავდა თავწასული, თუ მხსნელი არ აღმოსჩენოდა და მშველელი: თებერა თავის მხრივ თვალს არ აშორებდა ეონას, დღეს უფრო მეტად ასდუღებოდა მას სიყვარულის კოჭობი და ახლო ხლებას რომ ვერა ჰბედავდა, შორიდან შესტრფოდა თავის სიხარულს. მაშინვე შენიშნა იმან თევდორა და მისი გაუმაძღარი თვალი, მიხვდა მის მოძრაობის აზრს, დაინახა მისი ხერხიანი სვლა ქალისაკენ და გულს სისხლი მოერია. იგრძნო, როგორ იტანჯებოდა ეონა ამ ბოროტის მიახლოვებაზე და უკანასკნელ წუთს მოახერხა მიშველება: ის იყო ერთი ნაბიჯიღა აკლდა თევდორას ეონამდის, როდესაც თებერა მარჯვედ გადავიდა ქალისაკენ და დაუძახა:

— ქალო, ეონა! გვერდელაანთ მარო გეძახის, მოდი, დაი-
რა დაუკარიო.

ეონა გამოერკვა შიშის ბურუსს და ისეთი მადლობით შე-
ხედა თებერას, როგორც წმ. გიორგის ქალწულმა გველეშაპი-
საგან დახსნისათვის. მაშინვე გაჰყვა ბიჭს მოთამაშეთა მეორე
წრისაკენ, რომელიც თუთის ქვეშ გროვდებოდა.

— ეონა, გოგო, ვეღარ გამიძლია უშენოდ, გენაცვალე! —
წასჩურჩულა გზაზე აღელვებულმა ახალგაზრდამ.

ეონასაც ტკბილად მოესმა ბიჭის სიტყვები; ისე გამოა-
ცოცხლა იგი ამ მიალერსებამ, როგორც გვალვისაგან ჩამჭკნა-
რი რამ ყვავილი ცივმა წყალმა.

— თავს შემოგევლოს შენ შენი ეონა! — ოდნავ მოესმა
ბიჭს ხმა მაცოცხლებელი.

თევდორამ ჯავრით კბილები გააკრაჭუნა, როცა თებერამ
ესე მოულოდნელად გაუფრინა მას თეთრი მტრედი, და მო-
სისხლე მტრად დაესახა ბიჭს. მაგრამ თებერა ეხლა ბედნიერი
იყო. იმისთვის აღარ არსებობდა არც თევდორა და მისი კბილ-
თა ღრჭენა, არც სხვა რამ ბოროტება. ის ეხლა თავის გარშემო
მხოლოდ ნათელსა ჰხედავდა, სიკეთეს და სიამეს. მთელი თა-
ვისი ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე არსებით მიეცა ის
უჩრდილო მხიარულებას.

14

ძალიან ცუდს გუნებაზე დადგა თევდორა, მთლად გაუშ-
ხამდა ქორწილის მხიარულება. ბოროტების ალმური ასდიოდა
სახეზე, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა, ღიმილის მაგივრად
ფილენჯიანივით იღრიჭებოდა, სალაღობო თქმის ბადლად სა-
ლანძღავ სიტყვებს ისროდა. სამხიარულო კი ბევრი იყო გარ-
შემო, სიცილ-ხარხარი და ყიჟინა მთელ სოფელში გაისმოდა,
ზურნის ძახილი ზეცას სწვდებოდა. ეს ამოდენა მორთულ-
მოკაზმული სტუმრები, ეს უხვი სანოვაგე, წითელი ღვინო
ღვარივით, ოხუნჯობა და სიტყვაწყლიანობა, ცეკვა-თამაში,
არშიყობა, ლექსობა თუ შაირობა, რა გინდა, სულო და გუ-
ლო, რომ იქ არ იყო კაცის გუნების სამხიარულოდ, გადასა-
ფურჩქნად! რაღა ადგილი ჰქონდა იქ სიბოროტეს და დაძმარე-
ბას?! მაგრამ ადამიანის გული თავის საზომითა ჰზომავს ყვე-

ლაფერს. თევდორას გული უკმაყოფილებას აეპირთავებინა, ბოროტებას აედუღებინა და ამჟამად მასში აღარავითარ სხვა გრძნობას აღარა ჰქონდა ადგილი და სავანე. არ იქნა, ველარაფერმა გაართო ვაჟკაცი. ეხლა მას ერთადერთი საგანიღა ჰქონდა ცხოვრებაში: ერთ წამს შეუზღუდავ მფლობელად შექმნილიყო ეონასი, ჟინი მოეკლა, გამოეწურ-გამოეჟურა მისი არსება და მთლად გამოფიტული გადაეტყორცნა იგი დამცირების ჭაობში. მაგრამ ფონს ვერ გადიოდა და იტანჯებოდა. ბოროტად შეუყენებელ ნდომას შთაენთქა მასში ყოველივე სხვა მისწრაფება, იგი ნდომა რკინის სალტასავით შემორტყმოდა მის არსებას და აშთობდა უწყალოდ. ამ ჟამს მხოლოდ ეონა უნდა მას, ეხლავე ჰსურს მიეახლოს მას, მიეკაროს, ხელში იგრძნოს მისი თბილი სხეული და თავს შემოივლოს, ინაცვალოს. ამ ერთ ნდომას სხვა ყოველივე მისი აზრი, გრძნობა ან მისწრაფება შეებოჭა, დაემონავებინა, გაენადგურებინა, ეხლა თევდორა მხოლოდ განხორციელებაღა იყო ეონასადმი მისწრაფებისა, ხოლო ეონა ერთადერთი მიზანი ამ განხორციელებისა.

გაბოროტებულმა კაცმა ღვინოს დაატანა ძალა, მაგრამ ველარც ღვინომ უშველა: არამცთუ არ ჩაანელა მისი ნდომა, უფრო გააფიცხა იგი, გააძლიერა; სასმელი ნავთად ესხმოდა მის გულში აღგზნებულ სახმილს, აპრიალებდა მას და ტანჯვას უათკეცებდა. ეხლა ეონა უნდოდა მას მხოლოდ ვნებათა ჩასაქრობელად და დასაოკებლად, მხოლოდ ხორციელი არსება უნდოდა, მისი სხეული, თვით ქალი კი სძულდა მას განუსაზღვრელი სიძულვილით, თვით პიროვნება ქალისა სამტროდ აღძრავდა მის მოქმედ ნებას.

— ახ, ერთი სურვილს ავისრულებდე და მერე ჩემის ხელით დავახრჩობდი ჩემს მტანჯველს! თუ არ დავინებიე, ვერ გავძლებ, ვერ ვიცოცხლებ. მიყვარს და მძულს! თუ ჩემ ხელშივე არ მოვსპე ის ჩემი უარმყოფელი, მე თითონ მოვისპობი ბოლმით!

ღვინომ სახმილი ვერ დაუშრიტა თევდორას. მაგრამ მაინც თავისი გაიტანა: გალახა კაცი, მუხლთ მოჰკვეთა, გონება აჰხადა, მოადუნა, გაჭელა. მეორე დღეს რომ გამოეღვიძა ნაბახურევს, ისევ ეონას სახე დაუდგა თვალწინ და ცხადად წარმოუდგა გუშინდელი თავისი აზრები თუ გრძნობები. ცოტა არ

იყოს, შერცხვა თავის უცნაური გულისთქმისა და ცდილობდა მოეგონა, ხომ მოუხეშავი რამ საქციელი არ ჩაიდინა ან უაზრო რამ არ წამოროშა და უნებლიეთ არავის გაუზიარა თავისი ხვაშიადი. მაგრამ მეხსიერება ამისთანას არაფერს უკარნახებდა კაცს და ის ცოტათი დაწყნარდა. მაინც საჭირო იყო დარწმუნებულიყო ამაში. პირი დაიბანა, ჩაიცვ-დაიხურა, დუქნის წინ გაიარ-გამოიარა ულვაშების გრეხით, გადიარა კაკლუას ეზოსაკენ და გამოეხმაურა გზირს. კაკლუამ მხიარულად მისცა პასუხი, მისი ცოლი მიამიტად მიემშვიდობა.

— მადლობა ღმერთს, არაფერი შეუნიშნავს ცუდი! — გაიფიქრა თევდორამ და გააბა გუშინდელ ქეიფზე საუბარი.

ბევრი ილაპარაკა თევდორამ, ბევრი ათვალიერა ეზოცა და დერეფანიც, მაგრამ ქალს თვალიც ვერსად მოჰკრა. დაბრუნდა შინ ისევ ნაწყენი და შეუდგა ისევ იმის ფიქრს, რომ გოგოც ხელში ჩაეგდო და წყალიდანაც მშრალი გამოსულიყო, ხოხობიც დაეჭირა და ბარდებიდანაც დაუკაწრავი გამომძვრალიყო. ბევრი ბოროტი აზრი დაებადა თავში, ბევრი ეშმაკურად მოჭახრაკებული ხერხი წარმოუდგა ოცნებაში, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ განხორციელდებოდა: თევდორას ეშინოდა სისრულეში მოეყვანა თავისი გულისთქმა, მის მოქმედ ნებას დარაჯად ედგა მისივე შიში, რომ ავაზაკობისათვის სამართალს არ ჩაჰვარდნოდა პირში. იმ ხერხებით ქალის ხელში ჩაგდება ძალიან სახიფათო მოჩანდა.

— რა მომივიდა, რა, რომ მაშინ ავჩქარდი და წავეტანე! უდროვო დროს გამოვამჟღავნე ჩემი სურვილი. კიდევ კარგი, რომ დამალა მაშინ და არაფერი უამბო ან თავის დედას, ან თავის ავღან მამინაცვალს. ნელ-ნელა რომ შევპაროდი, ჩემებურად გავწალდავდი საქმეს. მაგრამ ეხლა გვიანღა არის, ეხლა მეტი ღონე არ არის, ჩემს უკანასკნელ ხერხს უნდა მივმართო. გავიმარჯვებ, უთუოდ გავიმარჯვებ! სულ თებერამ კი მიყო, შეჩვენებულმა. არ შევარჩენ, მოვალ ი მეღორის ოხტიდანაც! — ფიქრობდა თევდორა.

ეონა კი თევდორას ხმის გაგონებაზე თრთოდა და იმალებიჩქმალებოდა, კაცის სახეს რომ წარმოიდგენდა, გული შიშით უსკდებოდა და ცუდი წინათგრძნობით უკვნესოდა.

— დედი, დედიჯან! მიშველე რამე, დამიხსენ უკეთურის ხელიდან, თორემ გამაუბედურებს. მდიდარია და

ძლიერი, ვინ დამიფარავს იმისაგან?! ვინ გადაეღობება იმას წინ?!! — ეხვეწებოდა ეონა დედას, როდესაც თევდორა მოშორდა კაკლუაანთ ეზოს და თვალებს აფეთებდა, როგორც ეშმაკეული.

15

თევდორას რომ ესე ბოროტად მოსდომნოდა ეონა და ისწრაფოდა დაეკმაყოფილებინა თავისი წუთიერი სურვილი, თებერაც ამავე დროს გაეტაცნა ეონაზე ფიქრს, გარნა ეს მისი ფიქრი ნაზი იყო, როგორც ყვავილის ფურცელი; ჭრელი, როგორც პეპელის ფრთა; ანკარა, როგორც მთის წყარო; ნათელი, როგორც სხივი მზისა. თებერასაც ძლიერ მოჰსურვებოდა ეონა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ თავს შემოევლო ის და მერე გადაეტყორცნა ან დავიწყების, ან სიბოროტის უფსკრულში, არამედ იმისთვის, რომ თითონ თავს შემოჰვლებიყო მას, მისი თანამგზავრი გამხდარიყო ცხოვრებაში და საფლავის კარამდის აღარ მოჰშორებოდა თავის ბედისწერას და სიხარულს.

— ობლობა გამოვიარე მწარე, დედა მე აღარ მახსოვს და მამა, დაი მე არ გამაჩნია და ძმა, არასოდეს გულშემატკივარი არა მყოლია, არც მოყვარული, გული კი ეძებს ნათესავს თუ მეგობარს. ეონა უნდა დაენაცვლოს ყველას, თითონაც ხომ ობოლია და დაჩაგრული. გავახარებ, ობლობას დავავიწყებ. ჩვენ საწყალ კერას ავახმაურებ, სახლის ანგელოზს გავამხიარულებ. ღმერთო და წვერის წმინდა გიორგივ, კეთილი ყურით ისმინე ჩემი სიტყვა; ხელი მომიმართე! — ფიქრობდა ბიჭი და ემზადებოდა, ყველაფერი გაემჟღავნებინა ეონასთვის.

მაგრამ საქმის შესრულება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეგონა: ბიჭს ვერ მოეხერხებინა შეეტყობინებინა ან ქალისათვის, ან მის დედისათვის თავისი სურვილი, ვერა ჰბედავდა, ვერც სხვისთვის მიეწდო სიტყვა. ან ვინ უნდა დაესაქმებინა სანდო, როცა ბიძა-ძალუა მტრად მოჰკიდებოდნენ მას და არაფერ კეთილს არ მოისურვებდნენ მისთვის. სხვა გამოცდილი და მისანდობი მახლობელი კი არავინ ჰყვანდა, თუ თითონ მისულიყო და თავის პირით ეთქვა ყოველივე, ესეც ვერ გაებედნა: სცხვენოდა და ეხათრებოდა, ცოტა კიდეც ეში-

ნოდა. ტყუილად კი ღონდებოდა თებერა: ბედი ჯერ მისკენ
იყო და მას უღიმოდა.

თებერამ ერთ დილას თვალი მოჰკრა, რომ ეონას ძროხა
მიჰყვანდა ტყის პირისაკენ, სადაც ნახირი სძოვდა: ფური ვერ
მოეწველათ თავის დროზე, ვერც მწყემსისთვის გაეტანებინათ
და ეხლა თითონ ეონას მიჰყვანდა ნახირში. მსწრაფლ გაუელ-
ვა ბიჭს ბედნიერმა აზრმა. შევიდა, შემოიკრა წელზე ხელსა-
ხოცით პური, გაიდო მხარზე ნაჯახი და გაუდგა ტყის გზას..
მშვენიერი იყო ბუნება, მომხიბლავი. ახლად ამოსულ მზეს
ოქროს ფრად დაეკარაყებინა შეყვითლებული ფოთლები;
ტრიალ მინდორზე აქა-იქღა მოსჩანდა თივის ზვინები; შემოდ-
გომის სუსხისაგან მოშუშულ მდელოს ველარ ახარებდა მზის
სხივი და გულჩათხრობილი იყო არე-მარე, სასტიკი ზამთრის
მოლოდინით დაღონებული. ნათელ სხივებს და ლაჟვარდ ცას
მოელამაზებინათ ბუნება, მაგრამ იგი მისი სილამაზე ხნიერი
კეკლუცის მორთვასა ჰგვანდა და მოკაზმვას: გული იმისავი-
თა ჰქონდა სევდით მკვდარი. იცოდა, რომ მისი სიმშვენიერის
დღეები დათვლილი იყო, რომ კარს ედგა ზამთარი, დაუნდო-
ბელი, რომლის ერთი სასტიკი დაბერვა კმაროდა, რომ გაეც-
რიცა მის ღაწვებზე ციაგი, ჩაეჭკნო და ჩაელურჯებინა მის
ლოყებზე ვარდის ფურცელი, მოეშუშა და მოესპო მისი სი-
კეკლუცის ყვავილები, შემოეძარცვა მისთვის ნათელი მშვე-
ნიერებისა და შორს გაეტყორცნა სავალალოდ განხმელი,,
ცხოვრების მეჯლიშიდან გარიყული. მზის სხივებით მორთულ-
მოკაზმული ბუნება გულის სიღრმეში გრძნობდა ყველა ამას
და შიგადაშიგ კვნესოდა დარდიანი, მისი წიაღიდან დროთი-
დრო გმინვა გამოისმოდა სევდის მომგვრელი. სურვილით გა-
ტაცებული თებერა კი ვერა გრძნობდა ყველა ამას, ვერა ჰხე-
დავდა, ვერც ამჩნევდა. მას თვალი მიეპყრო თავის ბრჭყვიალა
ბედნიერებისათვის; მხოლოდ მასა ჰხედავდა იგი. იგი ერთი
არსებობდა მისთვის ეხლა მთელ დუნიაზე.

ეონამ შეურია ძროხა ნახირში, ერთ წამს შეჩერდა და მე-
რე გადაუხვია განმარტოებულ პანტისაკენ, რომელიც ტყეს გა-
მოსცლიყო, მინდორზე იდგა განცალკევებული. პანტის ხეც
წითელ-ყვითლად აფერადებულიყო. მაგრამ ეს მისი ფერად-
ფერადობა სიხარულის ნიშანი არ იყო, იგი სიმძიმილის ნასა-
ხი იყო და ავადობისა. ეონა ჩამოჯდა პანტის ფესვებზე, უიმე-

დოდ ჩამოჰყარა მკლავები. მძიმე ფიქრს მიეცა თავის დაღონებულ ყოფაზე; თან ყურს უგდებდა, როგორი გმინვით ჰშორდებოდა ფოთოლი ამზრდელ რტოს და ძირს ეფინებოდა უხუგეშოდ. ფიქრებში წასული ქალი შეკრთა, როდესაც თებერა წაადგა თავს და მიეშშვიდობა.

— დილა მშვიდობისა, ქალო! აქ რამ მოგიყვანა ესე ადრიან?

ვაჟკაცის ხმაზე ზე წამოიჭრა ეონა, მაგრამ მოდიმარე ბიჭს რომ შეხედა, გული გაუნათლდა და დაწყნარდა. სალამზე სალამითვე უპასუხა. ბიჭი ერთხანს იდგა ქალის წინ უაზროდ და ირხეოდა უღონოდ: ენა დაება, ბაგე ვეღარ გახლიჩა, სიტყვა ვეღარ დასძრა. ქალმა იგრძნო მისი უხერხული მდგომარეობა და მიეშველა:

— გეტყობა, ტყეში მიდიხარ; ალბათ შეშა უნდა ააგროვო.

— არა, ქალო, ტყე მხოლოდ მოვიმიზეზე: თვალი მოგკარი, რომ მოდიოდი და ცულს ხელი დავავლე, ვითომ ტყეში მქონდა საქმე.

ქალმა ხმა არ გასცა, თავი ჩაღუნა, თვალები ძირს დაუშვა.

— ვეღარ გამიძლია, გოგო, უშენოდ. თუ შენ არ მეყოლები გვერდზე, მე სოფელში დამდგომი აღარა ვარ, ისევ გადავიკარგები სადმე.

ქალს ელდასავით ეცა თებერას სიტყვა; ეს ბიჭი ერთადერთი მისი მეგობარი იყო და გულის შემატკივარი, თუ ესეც წავიდოდა სოფლიდან, მთლად უბედური დარჩებოდა და მზე დაუბნელდებოდა.

— ნუღარსად წახვალ! ცოდვა არა ხარ, ისევ მოჯამაგირედ დადგე სადმე? — წარმოსთქვა ქალმა და თვითონვე გაწითლდა თავის სიტყვაზე.

— რახან შენ მითხარ, ფეხსაც არ მოვიცვლი! სად ჯანაბას წავალ ან სად გავძლებ უშენოდ? ოღონდ შენ კი უარს ნუ მეტყვი, გენაცვალე, და წავალ, შევეხვეწები თქვენებს, შენს თავს ნუ გამომწირავენ მე.

ქალი თავდახრილი იდგა და კაბის კალთას სჭმუჭნიდა ხელში. გული სიხარულით ევსებოდა, სიტყვა კი ვერ დაეძრა ბიჭის სანუგეშებელი: სცხვენოდა, მთლად გაეზიარებია ბიჭისათვის თავისი გულის ნადები. თვალები კი უბრწყინავდა სი-

ხარულით, ბიჭს ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა. თებერამ ნახა, რომ პირი მისკენ ჰქონდა გოგონას და წახალისდა:

— მითხარ, გოგოჯან, თუ წამომყვები, თორემ, ღმერთსა ვფიცავ, თავს მოვიკლავ! იქნება სხვა ვინმე მოგწონს, სხვაზე შეგვარდნია გული და გინდა იმას გაჰყვე?

— უწინამც დღე დაელიოს შენს ეონას! — ამოიღო ხმა ქალმა და უსაზღვრო სიყვარულით შეხედა ბიჭს.

თებერას ცა გაეხსნა, უნდოდა ეხლავე მოჰხვეოდა თავის სატრფო-საბედოს, მკლავიც კი გაშალა შემოსაჭდომად, მაგრამ შეწითლებულმა ქალმა უკან დაიწია და ჭაბუკმაც ვეღარ გაჰბედა შემოხვევნა.

16

ქალ-ვაჟის სასიყვარულოდ შეხვედრამ სიხარული და სიამე მოჰფინა ამ დაჩაგრულ ხალხის გარემოს და კეთილად აახმაურა იგი კუთხე, აამღერა, ხალისიანად გააღიმ-გააცინა. ეონა აღტაცებული დაბრუნდა შინ და მაშინვე ჩაახარა თავის საიდუმლო თავის დედას. დედაკაცი ჯერ შეკრთა და დაიბნა.

— გოგო, შე გულკვდრის შვილო, ის ბიჭიც ხომ თევდორასავით არ გატყუებს? ვინ იცის, რა ცუდი აზრი ჩაიდო გულში და შეცდენა უნდა შენი.

— არა, დედიჯან, ძალიან კარგი ბიჭია თებერა! ისე ვუყვარვარ, ისეთი თავგადაკლულია, რომ... იცი, დედიჯან, ბევრი რამე უნდა ეთქვა, მაგრამ შეეხათრა, მაშინვე წავიდა.

— იქნება გაკოცა კიდეც, შე გაგლეჯილო?!

— არა, ღმერთმანი, ხელიც არ უხლია საწყალ ბიჭს.

ეონას დედამ სიამოვნებით მიიღო ეს კეთილი ამბავი, თუმცა ეჭვით უყურებდა ქალის ნაამბობს ვაჟის ქცევის შესახებ; ვერ წარმოედგინა, რომ ბიჭმა გოგო გაიმარტოვოს, სიყვარული გამოუცხადოს, თანაგრძნობა ნახოს და ისე ჩამოჰშორდეს, კოცნაც ვერ გაუბედოს. ვაჟკაცის მხრივ ესეთი მოკრძალება არ გამოეცადნა მას. თითონ აგერ ორჯერ იყო გათხოვილი და კაცები ისე ფაქიზად და ფრთხილად სრულებითაც არ მოჰპყრობოდნენ მას. პირველი ქმარი ხომ აზნაურობის მაძიებელი იყო და იმასაც კი არ ესმოდა ასეთი კეთილშობილური ქცევა.

არ იცოდა დედაკაცმა, რა ფრთხილია ნამდვილი სიყვარული, როგორი მოკრთალებული და გაუბედავი.

მალე გამართლდა ეონას სიტყვა: თებერამ იმ საღამოსვე შეატყობინა ქალის დედას თავისი სურვილი.

ამის შემდეგ თებერა ხშირად გადადიოდა კაკლუასას: ხან საპერანგე მიჰქონდა გამოსაჭრელ-შესაკერავად, ხან საახალუხე, ხან ხილს რასმე მიართმევდა მეზობლურად ან კაკლუას ხელს წაახმარებდა სამძიმო საქმეში. ღობეს ჰკოცნიდა ყურძნის სიყვარულით, ეონას სიახლოვე სწადდა და მიზეზს იდებდა. თუ სადმე გოგოები დაირ-ნაღარას გააჩაღებდნენ, იქაც გვერდით ამოუდგებოდა თავის ეონას და ღიმილად გადაქცეული შესცქეროდა. ქალ-ვაჟი თანდათან ეჩვევ-ეთვისებოდნენ ერთმანეთს და სიყვარული უცხოველდებოდათ. წინდაწინ რომ პირობა დადეს, საალებღამოდ ბარემ ნიშნობაც და ქორწილიც ერთად უნდოდათ გადაეხადნათ. ეს ამბავი ჯერ სამთა საიდუმლოს შეადგენდა, მაგრამ კაკლუასაც მალე გაუცხადებდნენ. ისიც იცოდნენ, კაკლუას ეონას ბედ-იღბალი სრულებითაც არ აფიქრებ-აღონებდა, იმისათვის სულერთი იყო, ვის გაჰყვებოდა გოგო, ოღონდ კი თავიდან მოჰშორებოდა მას. მაინც კაკლუასაგან არაფერი დასაწუნი არა ჰქონდა გამრჯელ ახალგაზრდას.

ქალ-ვაჟის დაახლოვება მამინაცვალს რომ სრულებით არ აღონებდა, არც აფიქრებდა, ის რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ დაშინაურებას და არც კი ამჩნევდა ამას, თევდორას ეს მათი დაახლოვება ჯავრით გულს უპობდა. ახალგაზრდების არცერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია მას. ის თავიდანვე მიხვდა თებერას აზრს, გაითვალისწინა, რა ადვილი შესაძლებელი იყო, ეონა ხელიდგან გამოსცლოდა მას, მთლად მიუწვდომელი შექმნილიყო მისთვის და ტვინი აემღვრა ბოროტად, აირია კაცი. სწორედ რასმე ავაზაკობას ჩაიდენდა და სამართალში გააბამდა თავს, თუ უკვე ხასიათად გარდაქმნილი სიფრთხილე და შიში არ აჰყოლოდნენ წინამძღვრად და ხელმძღვანელად.

იფიქრა თევდორამ და გადაწყვიტა: ისევ მხოლოდ თავის თავს მიჰნდობოდა და არავისთვის გაეზიარებინა თავისი გულის ნადები. აქამდის ხომ საკუთრის მოხერხებით თუ თაღლითობით გაეტანა თავისი ლელო, აქამდის ხომ მოყვრის ღალა-

ტი იყო მისი გზა, ხოლო ულმობელობა მისი იარაღი და ეხლა რაღად უნდა ემტყუნა ნაცად-ნაცნობ გზას? იმავე გზას უნდა დაადგეს გამოცდილ-გამოწვრთნილი. ამ გზაზე დაჰყვანდა თევდორა იმ მავნეს, რომლისათვისაც სული მიეყიდნა მას და რომელსაც სანაცვლოდ აღეთქვა მისთვის დახმარება ყოველივე საეშმაკო საქმეში? ისევ რბილ ეკლად უნდა გადაქცეულიყო ბოროტი, შეყვარებულად და კეთილსაიმედოდ უნდა მოეჩვენებინა თავი ეონასთვისაც, მის ოჯახისათვისაც; სამართლიან გზაზე უნდა შემდგარიყო უსამართლო, კეთილთა ბილიკს უნდა დასდგომოდა ბოროტი; ცხვრის ტყავი უნდა წამოესხა მგელს მტაცებელს, ისე უნდა მიახლოვებოდა ჩასანთქმელად კრავს უსიტყვოს.

შორიდან მოვლა და დაყოვნება აღარ დასჭირდა თევდორას ამ გზაზე, რადგან გარემოებებმა საქმე ააშურ-ააჩქარეს. გავრცელდა ხმა, თებერა ეონას თხოულობსო. სოფელში აბა რა დაიმალებოდა?! ნიშანი დღე-დღეზე იქნებაო. თევდორამ თითონაც იცოდა, რომ თებერა აქეთკენა სწურავდა თავის აზრს თუ მოქმედებას. მსწრაფლ ამავე იარაღით შეებრძოლა თავის მეტოქეს, რომ თავისკენ მიეღრიჯ-მიებრუნებინა ხელიდან წასული საქმე.

17

— თუ ვიღაც თებერა მოახერხებს ქალის თხოვნას და დანიშვნას, მითომ მე რაღა იმაზე ნაკლები ვარ? წუნს რასმე დამდებენ და უარს მეტყვიან თუ! რომელი ოჯახის ქალი ვითხოვო, სიხარულით არ გამომყვეს! ნახეთ, როგორ გაეხარდეთ კაკლუაანთაც და გოგოსაც! ჩაქშახეულ ეონას სიზმრადაც არ მოსჩვენებია ამისთანა ბედი და იღბალი. სოფელში ძალიან გაუკვირდებათ, როცა გაიგებენ ამ ახალ ამბავს. კაკლუაანთ ეონა და თევდორას მეუღლე! კონკიაჟღარუნა და ამოდენა სიმდიდრე! სწორედ ბედნიერი ზმანება იქნება მისთვის და სიზმარივითაც გაუქრება ეს ბედნიერი ჩვენება იმ შეჩვენებულს.. ახიც იქნება: მომაჯადოვა ვაჟკაცი. სწორედ სიყვარულის წამალი მომცხო, ბელგას მივცემ, სახლში შევალ, ნიშანსაც ვაკურთხებინებ და მერე... ის ცოცხალთ იციან, მკვდარს საით უზამენ თავს! — ფიქრობდა ეშმაკის კვალზე შემდგარი და ბოროტად იღიმებოდა.

თევდორა უკვე გამარჯვებულად სთვლიდა თავის თავს, რა-ხან გარკვეულ გზას დასდგომოდა, და სიამოვნებდა იმ სურა-თის ხილვით, რომელიც დაეხატნა მისთვის მის აღგზნებულ ოცნებას, მის გაშმაგებულ მისწრაფებას. აწ შემკრთალ-დამ-ფრთხალი გოგო მაშინ დამშვიდებით მიენდობოდა მას, იმე-დიანად დაუახლოვდებოდა თავის დანიშნულს, ნდობით დაე-ყრდნობოდა მის მარჯვენას და გაეღებოდა თევდორას სამოთ-ხის კარი, აუსრულდებოდა ნატვრა. მერე ბატონი გახდებოდა ქალისა, სრული მისი ბრძანებელი; ეონა მჩვრად იქცეოდა მის ხელში, უბრალო რამ ძონძად, ლაფანივით მოიქნებოდა მის მკლავზე. მაშინ ჩაუნელდება ვაჟკაცს მწვავე სურვილი, მთლადაც ჩაუქრება! მაშინ, დეე, მოვიდეს მისი თებერა და უშველოს, სადაც უნდა წაიყვანოს!

რახან სამოქმედო გზა გაიკვლივ-გაითვალისწინა თევდო-რამ და თანაც ისეთი გზა, რომლითაც ჯერჯერობით მაინც, საჯაროდ სვლა შეიძლებოდა, მაშინვე შეუდგა წადილის გან-ხორციელებას: მომქმედი კაცი იყო, ბევრი ყოყმანი არ უყვარ-და, ღარც შეიძლებოდა დახანება. თუ მაშინვე არ მოჰკიდებ-და ხელს, ქალი სამუდამოდ დაუძვრებოდა მას ბრჭყალებიდან, ისე გაუფრინდებოდა მას ეს ხოხობი, რომ მისი ერთი ჭრელი ფრთაც არ შერჩებოდა ხელში. ღარც თითონ ვაჟკაცს შეეძ-ლო მეტი მოთმენა: ნდომამ ძალიან დაჰრია ხელი და დაიმორ-ჩილა; ამ მდგომარეობაში თევდორამ ისევ კაკლუა წაიმძღვა-რა წინ, მის კალთას ჩასჭიდა ხელი და აჰყვა ეონასკენ.

— დიდება შენდა, ღმერთო! — ეუბნებოდა შეზარხოშე-ბული კაკლუა თევდორას, — აბა რა მომაგონებდა, ჩვენი ეონა მოგწონდა და იმის სანახავ-სასინჯავად გადმოდიოდი ჩვენსა? იმ თავითვე ბედი კი ჰქონდა მა გოგოს, მე და ჩემმა ღმერთმა: ჯერ ერთი, რომ მშიერ-მწყურვალი ჩემს ოჯახს შემოვაფარე და ეხლა კიდევ, დახე, საუკეთესო კაცის ცოლი უნდა გახდეს სოფელში, ყველაზე მდიდარი ოჯახის პატრონი!

— ძალიან გულში ჩამივარდა, ჩემო სასიმამრო, შენი გე-რი! ვიცი, რომ არც ისე ლამაზია, მაგრამ გულმა იმისკენ გაი-წია და აბა ადამიანი სად წაუვა თავის გულს?! დალიე, ოჯა-ხის ახალი სული დამილოცე!

— ოღონდაც, რომ ვერსად წაუვა! განა მე კი კარგი ოჯა-ხის ქალები არ მეძლეოდა, ქალწულები და ლამაზები, მაგრამ

დავინახე თუ არა ეონას დედა, მაშინვე თვალები ამება. გაჰქირი ცხენივით შევდექი იმის კარს, ველარ დამძრეს და ველარ! ისე მეგონა, იმის მეტი ქალი ქვეყანაზე აღარ არსებობს-მეთქი!

— ეგა თქვი და! რაკი ეონა მომივიდა თვალში, ველარც ერთ ქალს ველარ შევხედე საჩემოდ, თორემ შენ კარგად იცი, რომელი ოჯახიდანაც მინდა, იქიდან გამოვიყვან საცოლეს!

— ჰაი, ჰაი, რომ გამოიყვან! მართლა და ძალიან კი მოგდევენ, კაცო, ქალები. ისე მოფრინავენ შენსკენ, როგორც პეპელა ჭრაქისაკენ. ვიცი ყველაფერი! ნეტა რაღა ეშველება ეხლა უშენოდ გვერდელაანთ ფეფენას? — უთხრა კაკლუამ და თან სახრის წვერი მუცელში წაატაკ-წაუღიტინა ნიშნად ხუმრობისა და დაახლოებისა.

კაკლუა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რაკი სასიძოდ ამისთანა მდიდარი და ძლიერი კაცი იშოვნა. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა ეონა არ გაჰყოლოდა თევდორას, ან ეონას დედა თუნდ ერთ წამს შეყოყმანებულიყო ამ საქმის თაობაზე. კაკლუამ მხოლოდ შეატყობინა ცოლს, თევდორა ხვალ საღამოს ბელგის მიცემას აპირებს და ეონა სუფთად ჩაცმულ-დახურული დაგვახვედრეო. ეონას დედამ ხმაც ველარ ამოიღო საწინააღმდეგოდ. ჯერ ერთი, რომ თევდორა უფრო ჭკუაში დაუჯდა სასიძოდ, ვინემ ღატაკი თებერა, და თუნდაც ასე არ ყოფილიყო, რა წინააღმდეგობას გაუბედავდა დაჩაგრული დედაკაცი, როდესაც გახალისებული კაკლუა თან ბრძანების კილოთი ეუბნებოდა დედაკაცს, თან შოლტივით მოქნილ სახრეს გველივით ზნექდა მის ცხვირწინ. იცოდა დედაკაცმა, ამ სახრის უნარი ნაგრძნობი ჰქონდა, როგორ ასპიტი გველივით იცოდა იმ სახრემ თეძო-გვერდებზე ჩახვევჩაწმახნვა. მეტი გზა აღარ იყო, უნდა როგორმე გაეგებინებინა ეს ახალი ამბავი ეონასათვის. არც ისე ძალიან აფიქრებდა ეს: თითონ დარწმუნებული იყო, რომ ეს ახალი ბედი ათას-ჯერ სჯობდა უკვე არჩეულ სასიძოს და ძნელი არ ეგონა თავისი ქალიც დაერწმუნებინა ამაში და დაეთანხმებინა.

მშვენიერ გუნებაზე იყო კაკლუა. შუადღის უკან უბანშიაც კი აღარ ჩაიარა საჩხუბრად. ეზოში ჩხირკედელაობდა, იქაურობას ალაგებდა. ძველი ურემი გვერდზე მიაგდო, ჩამოყრილი შეშა თუთაზე ააყუდა, წუმპე გაშხიპ-გადახვეტა. ნახირი რომ მოვიდა, ძროხები თითონ შერეკა ბაკში და თან თითო-თითო სახრე უცხუნა. საჭირო კი არ იყო, — ძროხა თითოწაც მიდიოდა თავის ადგილას.

არც ეონას დედა იჯდა გულხელდაკრეფილი: სახლი და დერეფანი გამოგავა, ეზო გადაგავა, წყალი მოადრეობით ამოიტანა, სახლი მიალაგ-მოალაგა. ბოლოს თავი დაიხურა, კავი დაიხუჭუჭა, ლეჩაქი გადაიფარა და ქალს დაემსგავსა, დიასახლისს. სრულებითაც ველარ იტყოდი, კაკლუას გემოვნება არა ჰქონია, ქალის არჩევა არა სცოდნიაო.

ძვირფას სტუმრებს მოელოდნენ კაკლუაანი, საუკეთესო ოჯახი მოდიოდა მათთან სამოყვროდ და ჰხამდა გულღიად და მხიარულად დახვედრა. ყველაფერი განემზადებინათ მსხვერპლის შესაწირავად. თვით მსხვერპლი კი არსადა ჩანდა. ეონა არსადა ჩანდა არც სახლში, არც ეზო-ყურეში. საპატარძლო სახლის უკან ჩამომჯდარიყო კუნძზე და თებერას კარს გაჰყურებდა წყალწაღებული. მაგრამ თებერას კარმიდამოზე არავინა ჰაჰანებდა, მისი სახლი დახშული იყო დღეს და დაკეტილი.

— ნეტა სად წასულა და სად გადაღუპულა ჩემი ცოდვით სავსე? — ფიქრობდა ეონა დაღონებულ-დაძმარებული. — თვალი მაინც მომეკრა, რომ გამეგებინებინა ჩემი განსაცდელი. თევდორა გთხოულობს, ძალიან შეჰყვარებიხარ, დღეს ბელგა უნდა მოგცესო. არ მინდა არც თევდორა, არც მისი სიყვარული, არც მისი ბელგა! აფთარია ის და ჩემი სისხლი სწყურიან. კარგად ვიცი! აკი უთხრა თებერამ დედაჩემს, ეონა უნდა დავნიშნოვო. აკი მეც ვუთხარი, თებერას მეტს არავის გავყვები-მეთქი. ბიჭო, თებერავ! ძალად ათხოვებენ შენს ეონას, მოჰხედე, შე დამწვრის შვილო! იქნება, შენც მიღალატე? ვაითუ გგონია, ჩემმა ეონამ ჩემს თავს თევდორა ირჩია, სიმდიდრეზე გამცვალაო?! თავს მოვიკლავ და სხვას კი არ გავყვები!

— გოგო, ეონავ! სადა ხარ, შე გულმკვდრის შვილო? — მოესმა ხმა და დაინახა მისკენ მიმავალი დედა.

ქალმა ხმა არ გასცა დედას, არც ადგილიდან დაიძრა. დედა მიუჯდა გვერდზე, ბევრი ურჩია, ბევრი უალერსა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. შეშინდა და შეწუხდა დედაკაცი, უილაჯოდ ჩამოყარა მკლავები, ტირილი ამოუშვა: იცოდა, რა ამბავიც მოჰყვებოდა ქალის ჯიუტობას და წინდაწინვე გული უკვდებოდა.

გზაზე კიდეც გამოჩნდა თევდორა, შავი ჩოხა ჩაეცვა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოერტყა, განიერი შარვლის ტოტი მაღალყელიან ჩექმაში ჩაება, კალმუხის მაღალი ქუდი დაეხურა. ახლად მოპარსულ სახეზე ბარაქიანი ცხვირი უფრო შემაღლებულიყო და ამაყად სდარაჯობდა ფილთაქვის მაგვარ ნიკაპს. დინჯად მოდიოდა თევდორა, დარბაისლურად. ხელში აბრეშუმის ხელსახოცი ეჭირა, ხილეულობით სავსე. მას გვერდით მისდევდა მისი დეიდა თეკლე და ქოლგას მიაქან-მიათამაშებდა.

კაკლუა და მისი ცოლი ეზოშივე მიეგებნენ სტუმრებს და მრავალი მოკითხვის შემდეგ შინ შეიწვიეს. თევდორა ეონას ათვალიერებდა მსუნაგის თვალით, მაგრამ ქალი არსადა სჩანდა. ალბათ სცხვენიან გამოსვლისა, გამოიყვანენო, გაიფიქრა თევდორამ და ჯიბეში ბელგად წამოღებულ ბეჭდის კოლოფი გაისინჯა. დასხდნენ, ისაუბრეს: ეონა კი არსად იყო. თეკლესაც მოუსვენრობა დაეტყო: კედელ-ყურეს ათვალიერებდა, სახლის კარებებს აჩერდებოდა. ეონას დედას ფერი მისდი-მოსდიოდა, შიშით გულს ეყრებოდა. მაგრამ ვეღარაფერი მოეხერხებინა, თავწყალი ვერ გაედინა. კიდევ ილაპარაკეს, სთქვეს ამ მთის თუ იმ ბარისა. ეონა კი არსად იყო. კაკლუამაც შენიშნა, რომ ქალი ძალიან იგვიანებდა და მიმართა ცოლს:

— სად არის, დედაკაცო, შენი ქალი? რატომ არ მოვა? წადი, უთხარი, ისეც მოსწონხარ, დიდი მორთვა-მოკაზმვა საჭირო აღარ არის-თქო!

დედაკაცმა უხერხულად მოხადა ქალს ბოდიში და წელმოწყვეტილი გავიდა სახლიდან. ქალი ისევ ბაღჩისკენ იჯდა კუნძზე. გაქვავებულიყო: დიდ ხვეწნა-მუდარაზე არც ხმას იღებდა, არც იძროდა ადგილიდან. დაშტერებით გაჰყურებდა თებერას სახლს, იქიდან მოელოდდა შველას, თებერას სახლს-კი

შავი შეემოსა და იდგა უსმოდ ჩაბნელებული: პატრონი შინ არ ჰყვანდა და იმისთვის არ ხმაურობდა, არც გული ჰქონდა განათებული. დედა ხელცარიელი შებრუნდა შინ.

— ძალიან სცხვენიან ბეჩავს და ვერ შემოუბედნია შინ, — ცრემლიანი ხმით შეეცადა გაემართლებინა ქალის ჯიუტობა.

თევდორამ იგრძნო, რომ ანგარიში შეერყა და ეს ღრმად მოფიქრებული და ბოროტად მოჭახრაკებული საქმე წაუხდა, მიხვდა, რომ ამ ხერხითაც ვეღარ მოიგდებს გოგოს, ამ საკენკზედაც ვეღარ მოიტყუებს შემფრთხალ ფრინველს, და აემღვრა გუნება. ვეღარ უნდა სწეოდა გულის წადილს, ქალისაგან დაწუნებული სოფლის სამასხაროდ უნდა გამხდარიყო. რა გამოეპარებოდა ათას თვალიან სოფელს?! უწყალოდ გაცრუებულმა იმედმა, გაცხოველებულმა ნდომამ, დამცირებისა და გათახსირების მოლოდინმა მთლად გადარია ადამიანი და გამძვინვებულ მხეცს დააგვანა, სისხლის მსმელს.

— ქა! აკი გითხარ, უზრდელია-მეთქი ეონა და სრულებითაც არ არის შენი საფერი! — წამოროშა თეკლემ და დაურთო ჯოჯოხეთს მუგუზალი.

თევდორამ საძაგლად შეხედა დედაკაცს და აღშფოთებული წამოდგა ზეზე. ნესტოები ებერებოდა, ფშვინავდა, ალმური ასდიოდა, ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან. კაკლუა ჯერ გაოცებული შეჰყურებდა ხან თავის ცოლს, ხან თავის სტუმრებს, გამოშტერებული ატრიალებდა თვალებს და ვერაფერი გაეგო, მაგრამ როცა თევდორას დეიდაც წამოდგა ალურსულაჭარხლებული, კაკლუა უეცრად მოეგო თავს, მიხვდა ყველაფერს, გველნაკბენივით წამოხტა და შესძახა გოგოს თავისებურად. ეონა ისე იყო დაშინებული მამინაცვალისაგან, ისე იყო მიჩვეული მის ხმის მორჩილებას, რომ ეხლაც შეუგნებლად წამოვარდა ზეზე და გასწია მისკენ.

— დასხედით! — უბრძანა კაკლუამ სტუმრებს და მიუბრუნდა ჯიუტს: — გოგო! ეს პატიოსანი ხალხი გვეწვია, ზღაპრული ბედი კარს მოგდგომია და იმდენი შეუგნებელი როგორა ხარ, რომ პატივისცემა არ იცი და სადღაც იჩქმალები?! ღირსი კი ხარ ამათ ოჯახისა?

თეკლეს ჯერ სრულებითაც არ უნდოდა ამ ოჯახში მისვლა და კაკლუაანთ ქალის დანიშვნა თავის დისწულისათვის, ახლა ხელცარიელი უკან დაბრუნება აუტანელ შეურაცხებად მიიჩნია და თანაც ძალიან შეეფიქრა თევდორასი; ამისთვის დას-

ძლია თავისი თავი და სცადა საქმის წაღმა დაბრუნება, მის კეთილადვე მიმართვა.

— მოდი, შვილო, რას გვერიდები? დიდი ქალი ხარ ეხლა, აღარც ეგეთი დარცხვენა ვარგა, მოდი, ლამაზო, აი აქ გვერდზე დამიჯექ: ჩვენი ხარ ეხლა და ჩვენი!

გაჯიქებულმა გოგომ ამ ალერსიან ხმაზე თავი მაღლა აიღო და გაიხედა სტუმრებისაკენ, მაგრამ როცა მისი თვალი შეხვდა თევდორას გამხეცებულ თვალებს, ქალი შეძრწუნდა, ფერი დაკარგა და უკან-უკან წავიდა ათრთოლებული. მაშინ კი მიხვდა კაკლუა ყველაფერს და წაიწია ქალისაკენ.

— გოგო, დიდი ბედნიერება გეწია დღეს: აი, თევდორა გთხოულობს, ბელგა მოუტანია; ღმერთს მადლობა შესწირე და მოდი, დაჯექ აქ! — შეუტია ეონას და სახრის წვერით მიუზომა ის ადგილი, სადაც უნდა დამჯდარიყო ქალი.

ეონამ უფრო უკან დაიწია და წარმოსთქვა აკანკალებულის ხმით:

— არა, არ მინდა, ვერ გავყვები მაგას, მეშინიან!

— რაო?! არ გაყვები?! გეშინიან?! არა, მგელი თუა ე პატიოსანი კაცი, შე მ...! — შეღრიალა კაკლუამ და ნაჩვევი ხელით დაუშვა შემაღლებული სახრე.

შოლტივით მოქნილი იფანი გადაეჭირა ქალს მხარზე, გადაეჭდო ზურგზე და დასწვდა წვერით ქორფა ტანს; იამა სახრეს ნორჩი ხორცი, ერთი კიდევ შეითამაშა ჰაერში და კვლავ ჩაეწმახნა გოგონას, მთლად ჩააკვდა შიგ. თეთრიან კაბაზე წითელ წინწკლებად ამოშხაპუნდა თბილი სისხლი და გოგო მოფშვნეტილი საროსავით დაეცა ძირს.

19

თევდორა იმთავითვე ჩვეული იყო, ყოველ საშიშ და სახიფათო შემთხვევას გასცლოდა და გაჰშორებოდა, რომ შემდეგში არაფერი დაჰბრალებოდა და ხათაბალაში არ გაბმულიყო ან პასუხისგებაში არ ჩავარდნილიყო. მეტადრე ძალიან უფრთხოდა, როცა კეტი თუ ხანჯალი იწყებდა მოციქულობას მებრძოლთა შორის. იმის დუქანში ხშირად იყო ამისთანა წითელი შემთხვევა. რამდენჯერ დაჰრევიან ერთმანეთს სასმელისაგან ტვინშეხურებული მისი სტუმრები, რამდენჯერ წასულა

მისი მუშტარი დუქნიდან პირდაპირ სატუსაღოში თუ სასამართლოში, მაგრამ, მედუქნე კი ვერ ჩაუთრევია საქმეში: აყალმაყალის დროს ქაფურივით გაქრებოდა, ხოლო ჩხუბის გათავებისას პირველ ადგილს იდგა, რომ ანგარიშში მოეყვანა დუქანში წანახედ-დაკარგული. ეხლაც, რაკი საცოდაობა დატრიალდა სახლში, მაშინვე დაიძრა თევდორა. მაგრამ ვერ შესძლო წასვლისას ერთი მაინც არ დაეხედნა ქალისათვის: ეონა ლაფანივით მოშვებული გაშხლართულიყო მიწაზე, მკლავები გადაეყარა, კაბის კალთა ასწეოდა მაღლამდის, უჩანდა კუწუბები და თეთრი ხორცი, ოდნავ პირისფრად შეფერილი. თევდორა ერთ წამს მსუნაგად დააშტერდა ამ რბილს, კარებიდან ერთი კიდევ გადაჰხედა მას სისხლმორეული თვალებით.

— აკი გითხარი, ადამიანო, თავი დაანებე-მეთქი მა გლახაკებს! რა შენი საქმეა ვიღაც ეონა გოგო, რა შენი საფერია და ტოლი?! მაგრამ ნათქვამია; „თუ ჭკვიანი არ სცდეს, რეგვენი...“

— ხმა გაიწყვიტე ეხლავე, თორემ შენზე ვანთხევ ბოღმას!

თეკლემ შიშით ხმა გაკმინდა, ენა მოიკვნიტა, იცოდა, რა შეუკავებელი იყო ამისთანა შემთხვევაში გააფთრებული თევდორა. მიდიოდა თევდორა თავდაღუნული და გაჩუმებული, მხოლოდ სტვენა-ქშენა გაისმოდა მის კეხიან ცხვირიდან, როგორც მანქანის მილიდან.

გაშფოთებული კაკლუაც ვეღარ მოთავსდა სახლში. ჯერ სტუმრებს მიჰყვა უკან რამდენსამე ნაბიჯზე, მაგრამ როცა იმათ ყურადღება აღარ მიაქციეს მას, უკან ჩამორჩა და შეუხვია ბახჩისაკენ. აღარც ეს ადგილი მოეწონა. უკანვე დაბრუნდა, გასცდა ეზოს, მცირე ხანს იყიალა იქ და დაეშვა ქვემო უბნისაკენ. მის თავში მხოლოდ ერთი ფიქრიღა ტრიალებდა ეხლა: გაეგდო ეონა თავის სახლიდან. ეს ფიქრი ახალი არ იყო მისთვის, ადრევე შეიძულა იმან გოგო, მაგრამ მაინც ითმენდა, ხალხისა სცხვენოდა, ეხლა ეს აზრი გაუძლიერდა და დაჟინებით თხოულობდა დაუყოვნებელ აღსრულებას.

— თუ გათხოვება არ უნდა, დაიკარგოს ჩემი სახლიდან! მე მისი შემნახავი აღარა ვარ. წავიდეს, იმუშაოს, ვისაც უნდა ემსახუროს, თავი ქვას ახალოს და თავი ირჩინოს!

ეონას დედა, მუხლებზე დამდგარი, ჩასჩერებოდა თავის ქალს, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე; უხმოდ იფუფქებოდა გამწარებული, ბუწუწებს იბღვნიდა. სწორედ

თავი ჰქონდა მოსაკლავი: მისი ნანინანატრი ეონა უსულოდ ეგდო მის წინ ნაცემ-ნაგვემი და გათახსირებული. ეონა რომ გადაიქცა, ერთი კი დაიძახა, ვაიო და თრთოლა დაიწყო, ხელს აწყვეტდა, მერე გაშეშდა და იდო გაშოტილი უძრავად, მხოლოდ თვალებს აფეთებდა, საშინლად ატრიალებდა. მერე თვალებიც დახუჭა და გაითანგა, ისე დაიბნა დედაკაცი და გადირია, რომ პირველ ხანს ძახილიც ვეღარ მოახერხა, რომ მიჰშველებოდა ვინმე გაჭირვებაში. მაგრამ როცა ქალი ვეღარ მოასულიერა და ცნობაში ვეღარ მოიყვანა, მაშინ კი გამოვარდა კარზე და იწყო მეშველის მოწოდება. მისცვივდნენ მეზობლები: ჰაი წყალი, ჰაი ძმარი, ჰაი შელოცვა და როგორც იყო, მოასულიერეს ქალი, მაგრამ სრულ ცნობაზე კი არ იქნა, ვერ მოიყვანეს. აცხროებდა, ფეთდებოდა: დაიხელთა გოგო, გადირია, რაღა გაეწყობოდა?! ჩააწვინეს ლოგინში და წავიდ-წამოვიდნენ. სოფელში ელდასავით გავარდა ხმა ეონას ავადმყოფობის შესახებ.

თებერა ამ დროს შინ არ იყო, ქირა წაეღო სხვაგან, გვიან დაბრუნდა. ხარ-ურემი რომ დააბინავა, კოკას წამოავლო ხელი და წყაროზე წავიდა. წყალზე სხვებიც ჩამოსულიყვნენ და იმათგან გაიგო ეს ახალი ამბავი. შეწუხებულ-შეშფოთებულმა ბიჭმა მაშინვე გადირბინა კაკლუაანთსა. ეონას დედამ შესტირა ბიჭს და თან ჩასძახა ავადმყოფს:

— აი, გოგო, თებერა მოვიდა შენ სანახავად, აბა თვალი გაახილე, შე საცოდავო!

— ეონავ, ქალო, რა დაგემართა, რომ ლოგინად ჩავარდნილხარ? რა ჩაგწყდა იმ ერთი დაკვრით, რომ ვეღარ მობრუნებულხარ? — მიუახლოვდა თებერა და ჩაეკითხა.

თებერას ხმის გაგონებაზე ქალი შეიშმუშნა, წამოჯდა, ერთი ჩააშტერდა ბიჭს, თითქოს ცნობას მოვიდა და მერე ისევ ცახცახი დაიწყო.

— მიშველეთ! მიშველეთ! აგერ ფოცხვერი! — შესძახა ქალმა განწირულის ხმით და გაიბრძოლა.

როგორც იყო, შეიმაგრეს ავადმყოფი, დაამშვიდეს და მიაწვინეს. ბიჭმა ცრემლი ვეღარ შეიმაგრა და თვალების წმენდით გავიდა გარეთ.

კაკლუა გვიან შემოვიდა სახლში, მიიხედ-მოიხედა დაღვრემილმა და ქალი რომ ლოგინად დაინახა, ხმა აღარ ამოიღო, თუმცა ყანყრატო ექავებოდა და ენა თავისთავად ენძრეოდა ლანძღვის წამოსანთხევად. ქალი ლოგინში იწვა, ჭრაქის ციაგი დაჰნათოდა და მკრთალი სახე უფრო მიმქრალი მოსჩანდა, ჩანავლებული. თვალის უბეები მორღვეოდა, ჩალურჯებოდა, გადაქანებული თვალის კაკლები თეთრად მოსჩანდნენ. თავით დედა ეჯდა და ჩაჰყურებდა თვალცრემლიანი. თუ ფეხზე დაენახა კაკლუას ეონა, რაც დააკლო, შეუსრულებდა, მაგრამ ამ ავყოფაში რო ნახა, შეინძრა და ჩაფიქრდა.

აღარც მეორე დღეს გამობრუნდა ეონა. ფეხზე კი წამოდგა, კიდეც ჩაიცვ-დაიხურა, მაგრამ საღად ვერ გამოიყურებოდა: შიში ჰქონდა გულში ჩავარდნილი და თრთოდა, იმალებოდა. აფთარი თუ ფოცხვერი ელანდებოდა, სიტყვას ჰრევდა, თანაც ისე მიესუსტებინა გუშინდელ ამბავს, რომ წუთსა და წუთს ღონე ეცლებოდა, თვალებს ლულავდა, მკლავებს ჩამოჰყრიდა მოტეხილი ფრთებივით და ქანცგაწყვეტილი მიესვენებოდა ტახტზე.

— რა იყო, გოგო, რა დაგემართა, შე საწყალო? ასე ვთქვათ, მედუქნე თევდორა შემოვიდა სახლში შენ სათხოვნელად და ეგრე საცოდავად რამ დაგაფრთხო, რამ გაგაშეშმიშა? — ეკითხებოდა ჯავრით გამქრალი დედა.

— თევდორა კი არა, აფთარი იყო, დედიჯან! იმის თვალებიდან აფთარი მიღრენდა და მიკაპუნებდა. აკი მწვდა კიდეც და კბილი ჩამიჭირა! — ბოდავდა ეონა.

— რას ამბობ, გოგო, აფთარს რა უნდოდა ჩვენს სახლში?

— მიშველე, დედიჯან, კიდევ მოდის ის აფთარი, ტვინი უნდა ამომწოვოს! — დაიძახა ავადმყოფმა და ფორთხალი დაიწყო გულშემოყრილმა.

— უი შენს დედასა, შვილო! — შესძახა დედაკაცმა და კავები ჩამოიწიწკნა, მუხლებზე ხელები დაიკრა.

წუხილით და მუხლებზე ხელის დაკვრით ვეღარა ეშველებოდა-რა ეონას; მეტი გზა არ იყო, რამე სხვა ღონე უნდა ეღონათ, დაუძახეს მოძღვარს. იმან ლოცვები წაუკითხა ავადმყოფს, აიაზმა ასხურა, სახარება დააბერტყა თავზე. თითქო ეფონა

ავადმყოფს: გონს მოვიდა, დაწყნარდა. მაგრამ მერე ისევ გული შეუფერდა, სიტყვა შეშალა, თვალის იერი დაჰკარგა. უწამლეს სოფლურად, მაგრამ არ არგო არც ბალახ-ბულახებმა, არც გალესილმა თუ ჩაფხეკილმა წამლეულმა; ვერ გასჭრა ვერც შელოცვამ, ვერც სათვალ-ღვრინჭილისა თუ შანის შებმამ, ვერც ზვარას დაყენებამ. აღარც ფთილის ჩამოსხმა ამცნებდა რამ სანუგეშოს. დაავადდა ეონა, დაავადდა.

დაღონებულ-დაძმარებულმა ეონას დედამ აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ მოქცეულიყო ან რა წყალში გადავარდნილიყო: ავადმყოფისთვის მოეარნა და ყოველ წუთს თვალყური ედევნებინა, აღრენილ-აყეფებული კაცი დაეოკებინა, თუ სახლისა და ოჯახისაკენ ჰქონოდა ხელი.

— დედაკაცო, რა გულხელი დაგიკრეფია და წყალს მისცემიხარ მდინარსა?! ადექ, წაიყვა შენი გოგო ვაშლოვანს და აკითხვინე: ხო იცი, რა გულთმისანია იქაური მკითხავი.

მართლა და ეს ერთადერთი იმედიღა დარჩენილიყო შვილისა. ეონას დედამ დაუყოვნებლივ მიჰმართა ვაშლოვნურ მარჩიელს.

21

კაკლუაანი რომ გაღვივებულ ნაღვერდალზე იწვნენ და იდაგებოდნენ, ვეღარც თევდორაანი წამოწოლიყვნენ ვარდის ფურცელზე სანეტაროდ. ძალიან წარბშეკრული დადიოდა მედუქნე. ყველას უბუხუნებდა, ოხრავდა, იმუქრებოდა. ბობოქრობდა: თავის ქერქში ვეღარ ეტეოდა. ერთი და ერთი რომ შეუჯდა ეშმაკი გვერდებში და ააღელვა ეონას ნდომით, აღარ უსვენებდა იგი მაცთური. ნდომას უძლიერებდა, სურვილს უგზნობდა და იქამდის მიიყვანა ე ქეთხუდა კაცი, რომ ყველაფერი დაავიწყა: თავმოყვარეობაც, რიდიც, სირცხვილიც და კანონის შიშიც კი. გუშინ რომ საძაგელი მარცხი მოუვიდა, დღესაც იმავე საგანს ეტრფიალებოდა. ისეთ საოცარ გუნებაზე დადგა, ლამის გაქცეულიყო კაკლუაანთას და რამე უგუნურება ჩაედინა, ოღონდ კი ერთი კიდევ დაეხედნა წამოწოლილ ქალისთვის, თუნდაც ავადმყოფის სარეცელზე წამოქცეულისათვის. ამ მძლავრ და აწ უაზრო სურვილის ჩასანელებლად და ეშმაკის დასათრგუნად ხან არაყს ატანდა ძალას, ხან

ღვინოს, მაგრამ სასმელიც მაგნეს თანამოაზრე გამხდარიყო: უფრო და უფრო აღზნებდა მის გულში დატრიალებულ ცეცხლის ალს.

— წავალ, ეხლავე წავალ და ხანჯალს ჩავცემ მუცელში შეჩვენებულს! მაშინაც აღარ ჩამომშორდება გონებიდან მისი სახე?! მაშინაც აღარ მომცემს მოსვენებას ის ეშმაკის კერძი?! ერთი კი დავეკონები, დავაკვდები! — იძახდა გადარეული და ლამის სისრულეში მოეყვანა საოცარი ფიქრი.

კაკლუაანთსა მომხდარ უჯიშო ამბის შემდეგ სოფელმა ალმაცერად დაუწყო ცქერა თევდორას, წინადაც ხომ არ უყვარდა იგი სოფელს: ჰხედავდა სოფელი, როგორა სჩაგრავდა მედუქნე ხალხს, მაგრამ რა უნდა ექნა, როდესაც ფული მხოლოდ იმას ეჭირა ხელში და ძალაც იმის ხელში იყო, გაჭირვებაში ისევ თევდორასთან უნდა მისულიყო ყელმოტეხილი, მისგან უნდა გაემართნა ხელი. აკი თითქმის მთელი სოფლის მევალე იყო თევდორა. ხოლო მთელი სოფელი მისი მოვალე. ხომ იცით, ფულისაგან ამნაირად შეჭედილ ურთიერთობის ჯაჭვს რა აღრენილი კავშირი მოსდევს ვალის გამცემთა და ამღებთა შორის? ახლა ამას ისიც დაერთო, რომ ეს სოფლის მღვარსლელი ძალიან მსუნაგი იყო ქალთა შესახებ, გაუმაძღარი. პატარობიდანვე გასალახანავებულმა მთლად გარყვნა და წაბილწა სოფელი. ბევრი ოჯახი შებღალა, ბევრ ვაჟკაცს მოხადა ქუდი, მაგრამ ძალა აღმართსა ჰხნავდა და ყველა იძულებული იყო მოუნელებელი მტრობა გულშივე ეტრიალებინა, მოსისხლე მტრისათვის სამეგობროდ გაეწოდა მარჯვენა.

თევდორამ კარგად იცოდა, რომ სოფელსა სძაგდა ის, მაგრამ რას დაგიდევდა ვისიმე სიყვარულს თუ სიძულვილს, როდესაც მთელი სოფლისათვის მკლავი გველივით შემოეხვია და სწურავდა, როდესაც მოძმისათვის ყანყრატოში ჩაეკიდნა ხელი და მის ნებაზე და ქეიფზე იყო ხალხის დაღრჩობა თუ შვების მიცემა!

ეხლა კი, როდესაც მარცხი მოუვიდა თევდორას, როდესაც ბოროტების გზაზე შეუდრკომლად მსვლელობას რყევა დაეტყო, შეიძრა ხალხი და აიმრიზა. სწრაფად მოედო სოფელს ეონას ამბავი: ზოგი ეონას დედამ სთქვა, ზოგი თავდორაანთ წამოაყრანტალეს; სხვა თებერამ დასძინა და მთლიანი ამბავი შესდგა სრულის სინამდვილით. ეხლა სოფელი აღარც კი ერი-

დებოდა თევდორას: მიუხვდნენ, რა აზრით ჰსურდა ეონას დანიშვნა, ხელზე დაიხვიეს ეს ამბავი და აყაყანდნენ. ეონას ახსენებდნენ, თავის გასაჭირს მოსთქვამდნენ; საბაბად ეონას მოიდებდნენ, თავის ვარამს დაატირებდნენ; ეონას ამბით დაიწყებდნენ, თავიანთ დარდებით დაათავებდნენ. ერთი მცირე რამ შემთხვევაღა იყო საჭირო, რომ სოფელს შეგუბებული ნაღველი გადმოენთხია და თევდორას კეთილდღეობა წაელექნა.

თევდორამ იგრძნო, სოფელი ხელიდან უსხლტებოდა და, უსამზღვრო ბრძანებულობას შეჩვეული, ეს ახალი ყაიდის მებატონე ირეოდა, გონებასა ჰკარგავდა და შეცდომას შეცდომაზე აგებ-აშენებდა, რომ თვითონვე მოჰყოლოდა ქვეშ თავისსავე ბოროტებათა კოშკის ნანგრევებს.

აკი ეგრეც მოუვიდა თევდორას, შემდეგში, როდესაც ხალხი თავს მოეგო და გონს მოვიდა.

22

ძალიან თავის ნება ადამიანი იყო ვაშლოვანელი მკითხავი და თავისწვერა! იმასთან ყოველთვის შიშით და კრძალვით მიდიოდა ხალხი. თუ გუნებაზე არ იყო, არ უკითხავდა, კიდეც შეუტევდა ან დაითხოვდა თავის კარიდან. ხალხს ეშინოდა მისი, თანაც უფრთხილდებოდა, პატივსა სცემდა. ძალიან მკითხავი კი იყო! რომ დაიდგამდა წყლით სავსე ვერცხლის თასს და ალმასის ბეჭედს ჩააგდებდა შიგ, დაწვრილებით ამოიკითხავდა კამკამ წყალში ყოველსავე გარდასრულს თუ გადასავალს. მე ვიცი სახელი შეეშლებოდა შენი ან დაფარულ აზრს ვერ გაიგებდა!

ეონას დედა კრძალვით შევიდა მკითხავთან, მით უფრო, რომ მცირე შესაწირავი ეჭირა ხელში. მარჩიელი საქმეში იყო გართული, მიმსვლელნი ეხვივნენ გარს. რიგ-რიგად უახლოვდებოდნენ მსურველნი. მიდგა ჯერი ეონაზე. მკითხავი ერთხანს ჩააკვირდა ავადმყოფს, მერე წამოდგა ზეზე და მდაბლად დაუკრა მას თავი. გაუკვირდათ მისი ესეთი ქცევა.

— სულთ მეცნიერი დაგპატრონებია, შვილო! აქ მოდი ჩემთან, საყვარელო, ახლო დამიჯექ! — უთხრა მკითხავმა და გვერდზე მოისვა ქალი.

შეუდგა მკითხაობას. ოხრავდა, ამთქნარებდა, ნაწყვეტ-

ნაწყვეტს ამბობდა. მიქელ--გაბრიელის მიზეზი ამოვიდა. ნათ ქვამიდან გამოირკვა, რომ ეონა ეხლავე უნდა ხლებოდა მთა ვარ-ანგელოზს. სამი წელიწადი — უნდა ყოფილიყო ამ ხატის კარს მონად. მერე განთავისუფლდებოდა ქალი, დაუბრუნდე ბოდა მას თავისი ჯანიც, თავისი გონებაც და თან მიემადლე ბოდა ნიჭი გულთმისნობისა.

— განითქმის ხალხში სახელი შენი, შენს ქმარ-შვილს გაა ბედნიერებ. ჩემ სახელს რომ ნელ-ნელა დაივიწყებს ხალხი, შე ნი სახელი სათაყვანებელი გაუხდება მას. მადლიანი ხარ დ შადლი ღვთისა გფარავს შენ! — უწინასწარმეტყველა მარჩიელ შა და პატივისცემით გამოაცილა ქალი. ეონას დედამ გაბედ და საწირავი შეაძლია მკითხავს, მაგრამ იმან ზედაც არ შეხედ დედაკაცს, არც ფული ჩამოართვა.

გაიგეს სოფელში ეს ამბავი და ძალიან გაუკვირდათ, თითო ნაც კრძალვით და მოწიწებით დაუწყეს ქალს ყურება. მხოლოდ კაკლუამ ვერ მოიბრუნა გული და მტრულის თვალით უმზერ და თავის გერს.

ეონა კი ისევ ავად იყო, გონებაზე ვერ მოსულიყო, უმიზე ზოდ ეშინოდა, ფრთხებოდა, აკანკალებდა. საჭირო იყო, რაც შეიძლებოდა ჩქარა წაეყვანათ ხატში. შეაბეს ყელზე შანა შეუკერეს თეთრები: გაამზადეს ქალი ხატის კარს წასაყვანად შორს იყო მთავარ-ანგელოზი, თითქმის ერთი დღის სავალი იყო ურმით. დედაკაცს ეშინოდა, ეთხოვნა ქმრისათვის, ურემი შეება მათთვის და წაეყვანა. მეტი გზა კი აღარ იყო. შეეხვეწა ცოლი, მაგრამ ცოლის სიტყვაზე ისეთი შეღრიალა კაკლუამ, რომ მთავარი ცნება დაუკარგა დედაკაცს. არ იცოდა ბედშავმა, ახლა რაღა უნდა ექნა და ვისთვის მიემართნა. მაგრამ ხატმა თითონ მიჰგვარა მას მშველელი და ხელის გამმართველი.

თებერა თვალს არ აშორებდა ეონას. ქალის უცნაურმა ავადმყოფობამ შეაღონა ახალგაზრდა, თანაც სანუგეშო ჰპოვა ამ უბედურებაში. ადამიანი ყოველ გასაჭირში რამე სანუგეშოს და ხელმოსაჭიდს გამოსძებნის. ვიღაც ობოლ ბიჭს, რა საკვირველია არ შეეძლო ბრძოლა იმისთანა ძლიერ მეტოქესთან, როგორიც იყო თევდორა; რახან თევდორამ მოინდომა ეონას დანიშვნა, თებერას უკვე დაკარგული ეგონა ეონა თავისათვის და ეს კი აუტანელი იყო მისთვის. უყვარდა გოგონა და სხვა ვინმე თავის მეუღლედ და ცხოვრებაში თანამგზავრად

ვერ წარმოედგინა. მოუთმენლად მოსდომნოდა ეონა და მხოლოდ ჟინის მოსაკლავად კი არა, მასთან სამუდამოდ შესაერთებლად, მასთან და მისთვის მარადჟამს საცხოვრებლად. ეხლა კი თევდორა მთლად ჩამოსცილდა ეონას. მორჩება ეონა და ვეღარავინ შეუშლის ხელს მასთან შეერთებას. ეონასთან ყოფნა და ალერსი, მასთან შრომა თუ განსვენება, მასთან სიცოცხლე სამუდამო და დათრგუნვა სიკვდილისა! ეონასთან სიცოცხლე საუკუნო იქნება და დაუსრულებელი. ბნელი სიკვდილი ვეღარ მიეკარება მათს ნათელ ყოფას: ორნივე ერთად შეებრძოლებიან მას და სძლევენ, ბიჭი ხორციელი რომ იყო და ძლიერი, მძლავრად უთქმიდა ვული ქალისთვის და ეს ხორციელი გულისთქმაც საუკუნო იყო და დაუშრეტელი წყარო ნეტარებისა.

ეხლა ხომ ავადმყოფი იყო ეონა, დასაფიქრებელი ავადმყოფი, მაგრამ თებერას მისდამი სიყვარული არ გაჰგრილებია; კიდეც გაძლიერდა ეს სიყვარული, რადგან ზედ სიბრალული დაერთო მას. უნდოდა ბიჭს, როგორმე მიჰშველებოდა ავადმყოფს, ჭირი გაეადვილებინა მისთვის და ტანჯვა გაეზიარებინა. ეს თავის საკუთარ ბედნიერებად მიაჩნდა ბიჭს. მერე, როგორ უჭირდა ეხლა მიშველება ბედისაგან დაჩაგრულ გოგონას! თებერას სამოქმედოდ იწვევდა აღფრთოვანებული გრძნობა და დროც ეხლა იყო მოქმედებისა.

23

თებერამ გაიგო, კაკლუა ურემს არ აბამს ავადმყოფის ხატში წასაყვანადო და დაასკვნა, თითონ წაეყვანა ის ხატის კარს თავის ხარ-ურმით. გადაიარა გზირიაანთსა, ერთხანს ტყუილად იყიალა მათს კარ-მიდამოზე, მაგრამ ვერ გაბედა ეთქვა თავისი სათქმელი, ვერ მოახერხა. გადმოვარდა ჩვენებთან და ჩვენებს გაანდო თავისი სურვილი. ძალიან მოუწონეს ბიჭს საკეთილო და ღვთისნიერი აზრი. დედამ მაშინვე შეატყობინა თებერას სურვილი ეონაანთ.

ეონას დედა შეწუხდა, რომ უცხო უნდა გაესარჯნა თავის საქმეზე, მით უფრო, რომ იმან იცოდა, თებერას სურვილი ქალის შესახებ და ეხლა დანაშაული მიუძღოდა მის წინაშე. მართალია, დედაკაცმა შეიგნო აწ თავისი შეცდომა, მაგრამ შეუძ-

ლებელიღა იყო საქმის გასწორება; ფიქრიც აღარ შეიძლებოდა ამაზე. რაღა საპატარძლო იყო ეხლა დასნეულებული ქალი?! ეხლა დედაკაცისაგან თებერაზე სათავისოდ ფიქრი უაზრობაღა იქნებოდა. ამან შეაწუხა დედაკაცი. უარი კი ვერ უთხრა: რა დროსღა უარი იყო ამ უკიდურეს გაჭირვებაში?! ეონამ შეიგნო ეს ამბავი და სრულებითაც არ იუცხოვა; ისე მიიღო, თითქო სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, სწორედ თებერას უნდა წაეყვანა ისინი ხატის კარს.

გახარებულ-გახალისებულმა თებერამ ნაჯახით ხელში შემოუარა თავის ურემს: იქ ფერსო ჩამოუკვერცხა, აქ წნელი გამოუცვალა ღერძის თავს, ჭინჭილაქები თუ სოლოები დაამაგრა, შოლტი გაპოხა, სახრე ხელსატაცად დაიდვა; მიჰხედა და მიეალერსა თავის წყვილ ხარს; შეჭამა პურის ლუკმა, ალმასასაც მიუგდო პური და მიწვა. ისე მარდად მიეძინა და მაგრა, თითქო ბანგდალეულიაო.

ის იყო, ღამე იწურებოდა, როცა უეცრად გამოელვიძა თებერას, თითქო განზრახ ხელი წაჰკრესო გამოსაღვიძებლად. გარედ გამოვიდა, მძლავრად მომავალ ნათელს წინაწარექცია წყვდიადი, ბრწყინვალე მნათობს დაეძლია ღამე და სვეტად ნათლისა ამომართულიყო ცის კამარაზე. ფრინველს გაჰღვიძებოდა, ჟივჟივებდა ჯერეთ გაურკვევლად, ჯერ კი არ დაძრულიყო ღამის ბინიდან. ლამაზ ყვავილს სხივთა მოახლოებაზე სიხარულის ცრემლი მოჰსვლოდა ჟუჟუნა თვალზე და ცვარად გადმოჰკიდებოდა მორცხვად დახრილ წამწამზე. იღვიძებდა ბუნება, ჯერ კი მთლად ვერ გამორკვეულიყო ძილისაგან, ისევ ფერად ზმანებას უღიმოდა მსუბუქ რულში. თებერამ წყალი შეისხა პირზე, პირჯვარი გადაიწერა აღმოსავლეთისაკენ და შეუდგა მზადებას. ის იყო აღმოჩნდა თვით მზე ცხოველმყოფელი და პრიალა შუქი გადმოაფრქვია მადლიანმა ჩაშავებულ დედამიწას, როდესაც თებერას ურემი მიჭრიალდა კაკლუაანთ კარს.

გამოვიდნენ ეოწაანი. თებერას მოხიბლულ თვალებს საოცნებოდ მოეჩვენათ თეთრებით ჩაცმული თეთრი ქალი. მისი მიმქრალი სახე ჰაეროვნად მოსჩანდა დილის ციაგზე. ქალს თვალებში ცნობიერება დასჩნეოდა. მივიდა თებერასთან, მშვიდობის დილა უსურვა, ხელი ჩამოართვა. მზე მთლად ამოვიდა და ლაპლაპებდა ძლევამოსილი. თებერასაც ეხლა ამოუვიდა

მზე, ნათელი სიხარულისა. ისეთი სიფრთხილით ასვა ქალი ურემზე, თითქო რამე სათუთი ხატი უნდა დაასვენოს ნიშიო. გაჭრიალდა ურემი, გაიტყლაშუნა შოლტმა. მგზავრებმა პირჯვარი გადაისახეს. გაღვიძებულმა სოფელმა კეთილი თვალი გაადევნა ხატის კარს მიმავალთ. უსურვეს ავადმყოფს განკურნება. სიამოვნებით და გაკვირვებით უმზერდნენ კოფოზე მჯდარ თებერას, უქებდნენ სამადლო საქმეში დაუზარებლობას და გულჩვილობას.

კეთილშეზავებულმა ჰაერმა, ფერად-ფერადმა სანახაობამ, მშვენიერმა ბუნების სიკეკლუცემ, თვალწარმტაცმა, ღრმა რწმენამ, რომ ხატის კარს მადლი მაკურნებელი მიეფინებოდა მას, კეთილად იმოქმედეს ქალზე და დაუშუშეს ნატკენი გული, დაუწმინდეს ამღვრეული გონება, დაულაგ-დაუამეს არეულ-აწეწილი ნერვები და ადამიანური აზრი ჩაუსახეს თვალებში. ენაც კი ამოიდგა ეონამ თებერას გასახარად: ქალი აწ წყნარად ლაპარაკობდა, საღად მსჯელობდა, კიდეც იღიმებოდა.

— ღმერთო და მთავარანგელოზო მუხისაო! შენ შემოჰხედე წყალობის თვალით ჩემ საწყალ გოგოს, ულხინე მას და ნუ დამიღუპავ წვა-დაგვით გამოზრდილ შვილს! — უჩუმრად ეხვეწებოდა ეონას დედა ძლიერ ხატს.

— კეთილი ბრძანდება მთავარანგელოზი მუხისაი და წყალობის თვალით შემოგვხედა დალოცვილმა. იცის, რომ ბოროტი რამ არ ჩაგვიდენია, აზრადაც არ გაგვივლია რამე ცუდი და იმიტომ მოგვაშველა მფარველი მარჯვენა ძლიერმა, — ამბობდა გულში თებერა.

— ობლის მამა ღმერთია და თქვენც ხომ ობლები ხართ, შვილო! ღმერთი იქნება თქვენი მფარველი და მთავარანგელოზი ძლიერი, ვენაცვალე იმის მადლს! — განაგრძო ხმამაღლა ბიჭის ფიქრი ეონას დედამ.

24

შუადღემ მოატანა. საქონელი დაიღალა. მგზავრებს მოშივდათ. გზა მთის ფერდობზე ჩაევლო ალმაცერად. თებერა წინ მოექცა ხარებს და ფრთხილად მიერეკებოდა თავქვეზე. ჩაათავა თავდაღმართი. დაიწყო ჭალა-მუხნარი. ჭალის პირზე, გზის იქით, მშვენიერი რამ ველი მოსჩანდა, ტყით შემოზღუდული.

ველს ნაპირი ხევისაკენ ჰქონდა დაქანებული და ამ თავქვეზე გადაჩხრიალებდა მთის ნაკადი, რომელიც ველს შუაზე ჩამოუდიოდა. ველი ხასხასი მდელოთი იყო დაფენილი და მწვანის კორდებით. თითონ ნაკადს მაღალი ბალახი ჩასდევდა, რომელიც შიგადაშიგ ირხეოდა წყლის დენაზე. მშიერმა ხარებმა თითონ შიიწიეს ველისაკენ და პატრონიც სიამოვნებით დაჰყვა ჭკვიან საქონელს. დაისვენეს მგზავრებმა, ისადილეს. ეხლა გზა საკმაოდ იყო შემოკლებული: ჭალა უნდა გაევლოთ, გასულიყვნენ მდინარეს, შესდგომოდნენ აღმართს, გაევლოთ სოფელი ხატისი, რომელიც ფერდობზე იყო გაშენებული, და ასულიყვნენ მთის წვერზე, სადაც ბრძანდებოდა მთავარანგელოზი მუხისაი. დღე გატეხილი იყო, როდესაც გაიარეს სოფელზე.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ მლოცავნი ეკლესიას, რომელიც თეთრად მოსჩანდა მთის წვეროზე, იმდენად მეტი ღელვა ეტყობოდა ავადმყოფს. სოფელს რომ გასცდნენ, ქალი აღარ დადგა ურემში: გადმოვიდა და ფეხით შეუდგა გზას. ეხლა ეონა მთლად მიიზიდა საყდარმა, ჩანთქა მისი ყურადღება; თავის გარშემო სხვას ვეღარას ამჩნევდა: აღარც პასუხი აღირსა ვისმე. თებერა და ეონას დედა უკან მისდევდნენ ქალს და ფრთხილობდნენ, რომ არ დაერღვიათ მისი მყუდროება. ხარებსაც კი ხმამაღლა ვეღარ უჯავრდებოდა ბიჭი, რომ როგორმე არ შეეკრთო ქალი, ეონამ გაიხადა ფეხთსაცმელი და ფეხშიშველი შეუდგა აღმართს. ქვა-გორახიანი გზა სჩქლეთდა უჩვევ ფეხს, ალურჯებდა. ეკალ-უკალი ადვილად ესობოდა ფეხთსაცმელში განაზებულ კანს და ასისხლიანებდა. ქალი არაფრადა სთვლიდა ამ ტანჯვას, არც ყურადღებას აქცევდა მას. თებერას სიბრალულით ევსებოდა გული. ახ, რა სიხარულით დაისვამდა ეხლა ქალს თავის ძლიერ მკლავზე და ბალღივით ხელში აყვანილს, მიართმევდა მთავარანგელოზს! მაგრამ რა ექნა, როდესაც არამც თუ შეხება, ხმის გაცემაც კი არ შეიძლებოდა ქალისა და უკან მისდევდა დაფიქრებული. ბოლოს მაინც ვეღარ გაუძლო თებერას გულმა და წაეტოლა.

— ეონა, ქალო! მომეცი ეგ ფეხსაცმელი, ხურჯინში შეგინახავ.

ეონამ გადასცა ბიჭს ფეხსაცმელი, მაგრამ ზედ არ შეხედა, არც ხმა გასცა. კიდევ უნდოდა ეთქვა რამე ქალისთვის; ვერ გაბედა. უკანვე ჩამოდგა.

ეკლესიას თეთრი გალავანი ერტყა. ალაყაფის კარი ღია იყო. კარის თავს მთავარანგელოზის ხატი ესვენა. მშვენიერი ვაჟკაცი იყო დახატული. ჩაჩქანი ეცვა, მარჯვენა ხელში ცეცხლის მახვილი ეჭირა, მარცხენაში ფარი. ხუჭუჭი თმა მხრებზე გადმოჰფენოდა. მისი მეტყველი თვალი სულ შენ გიყურებდა; საით მხარესაც უნდა მოჰქცეოდი, მაინც თვალს გადევნებდა.

— აი, თებერავ, ის ვაჟკაცი, მე რომ მეცხადება ხოლმე სიზმრად! — მიუბრუნდა ეონა ბიჭს.

გული გაუღო თებერას ქალის მიმართვამ. დღეს მაინც სულ ბედნიერი იყო ჭაბუკი, რადგან მთელი დღე თავის გულის ყვავილს ახლდა, თუმცა აწ ხატის მონას, ხატისაგან დროებით ხელდადებულს და არჩეულს. ეკლესიის გალავანში ბერი ვინმე მიეგება მლოცავებს, აკურთხა, დალოცა, საყდრის კარი გაუღო, ქალმა იპოვა საყდარში მთავარანგელოზის ხატი და მუხლი მოიდრიკა მის წინ, დიდხანს ლოცულობდა, თავს ახლიდა იატაკს, ტიროდა, ქვითინებდა. მერე ადგა, გაბრუნდა; კარის ბჭეში რომ დიდი ჯაჭვი ეგდო, ის ჯაჭვი შეიბა წელს და იწყო მუხლის თავით ეკლესიის გარშემო სიარული. სამჯერ შემოუარა. მესამედ რომ დაუპირდაპირდა ეკლესიის კარებს, ვეღარ შესძლო და გადაიქცა. ერთხანს იფრთხიალა, ხელები აწყვიტა, მერე დახუჭა თვალები და გაითანგა. ეონას დედამ და თებერამ დააპირეს მისცვივნოდნენ ქალს, მაგრამ ბერმა ნება არ მისცა, არც ჯაჭვი შეახსნევინა.

— ხატმა დააკვეთა თავისი მონა, დიდება იმის მადლსა და სახელს! ეხლა აალაპარაკებს, წარმოათქმევინებს თავის წმინდა ნებას.

მარილა და ხმა ამოიღო დაკვეთებულმა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოიტყოდა, ამოიკივლებდა. უცნაურ რასმეს იტყოდა, გამოცდილმა ბერმა მაინც გამოარკვია აზრი.

— ხატი ბრძანებს, სამი წელიწადი ემსახუროს მას. თეთრებში უნდა იყოს! ყველგან მისი სახელი უნდა ადიდოს, კეთილი თვალით არის მთავარანგელოზი: დიდ მფარველობასა ჰპირდება და ძლიერი მადლის მინიჭებას თავის სახელის სადიდებლად!

ხატისაგან აღნიშნულმა და ღვთის გზაზე დამდგარმა ეონამ მალე დაიმსახურა ხალხის თანაგრძნობა და პატივისცემა. ახალგაზრდა სუსტი აგებულების ქალი უნებლიეთ სიბრალულს იწვევდა ხალხში. ამ სიბრალულს ასაზრდოებდა ქალის მოკრთალებული ქცევა, მოსიყვარულე გული და შეურყეველი რწმენა. თეთრებში შემოსილი ქალი მუდამ თავს ევლებოდა ეკლესიას, ჰგვიდა და ასუფთავებდა საყდარს თუ საყდრის ეზოს, წირვა-ლოცვას არ დააკლდებოდა, ხატისაგან დავალებული ჰქონდა გლახაკობა და ხელის გაწვდა, როგორც ღვთის სასიამოვნო რამ მოვალეობა. ჩამონათხოვს პურს, თუ სხვა რამ სანოვაგეს გაჭირვებულთ ურიგებდა, თითონ ჩიტუნიას საზრდოთიღა კმაყოფილდებოდა. ფულს-კი ცალკე ინახავდა და დროთი-დრო თავის მფარველ მთავარანგელოზს მიართმევდა უკლებლივ. ხალხმა იცოდა, რა მიზნით დაგლახაობდა ქალი და შესაწირავს არ უჭერდა მას.

თავის სასარგებლო რამ კი აღარ ესმოდა დამონებულს, საკუთარისო ყოველდღიური ზრუნვა დაეტოვებინა და უკუეგდო. გასულიყო თავისზე ზრუნვის ღრმა მორევიდან და ვეღარც კი ამჩნევდა ამ მორევს მუდამ რაღაცა საიდუმლო საგნისაკენ მიმართული მისი თვალი. ცხოვრების აზვირთებულ ტალღებში მისი თვალი მხოლოდ სხვის გაჭირვებასღა ხედავდა; მის ყურს მხოლოდ სხვის კვნესა-ვაებაღა ესმოდა; მისი გული მხოლოდ სხვის სევდასღა ჰგრძნობდა და თანაუგრძნობდა. თავისი გაწამებული თავი დაჰვიწყებოდა, სხვის გაჭირვებას ჩასდგომოდა კვალში და სდევნიდა მას თავისი სუსტი ძალ-ღონით, როგორც მისი ძლიერი მფარველი ანგელოზი ჩასდგომოდა კვალში მავნეს და სდევდა მას ცეცხლის ხმლით ხელში, რომ ესაპყარებინა იგი ბილწი, ეხლა მხოლოდ გაჭირვებულთა კვნესაღა იყო ის ძეწკვი, რომელიც აკავშირებდა ეონას ხალხთან, სხვა შემაკავშირებელი სიმები უკვე ჩაწყვეტილი იყო მათ შორის.

ეონას ბინა და სავანე სოფელში ან ეკლესიის ბჭე იყო, ან ის ჭოხი, რომელშიაც დაბანაკდებოდა უკიდურესი გაჭირვება. სწორედ ანგელოზი დაივანებდა ხოლმე ეონას სახით შეჭირვებულისას. მუშაობა სრულებით არ ეზარებოდა ამ შემთხვევაში: წყალს მოიტანდა, დაგვიდა და დაალაგებდა სახლს, და-

აკერებდა, გარეცხავდა და ყველაფრით ხელს აღუპყრობდა უპატრონო ავადმყოფს თუ დავრდომილს. ყველა ამას ასრულებდა უთქმელად და უსიტყვოდ, როგორც რამ მანჭანა, საკეთილოდ მოწყობილი, ღვთის შვილი იყო ბეჩავი! სოფელს ებრალებოდა ის და პატივსაცა სცემდა და ეს მით უფრო, რომ ნელ-ნელა დააჩნდა მას საიდუმლო რამ ნიჭი გულთმისნობისა: მას ვერ გამოაპარებდნენ თავიანთ ფიქრს თუ გრძნობას, თუმცა ქალი მათ არც კი უყურებდა, თითქო ვერც კი ჰხედავდა ბევრჯელ მათ სიტყვას თუ მოძრაობას. წინასწარმეტყველურ ხასიათსაც ამჩნევდა ხალხი.

— ანგელოზი ჰყავს დაპატრონებული და ის ატყობინებს ეონას ყველაფერს, ის ალაპარაკებს! — ამბობდა ხალხი.

სხვად ეონა განცალკევებული იყო: მას აღარა ჰყვანდა არც დედა, არც მამინაცვალი, არც ტოლ-ამხანაგი; მათთან საერთო რამ და მაერთებელი აღარა არსებობდა რა ეონასთვის. მხოლოდ მაშვრალი და ტვირთმძიმეღა იყო მისი თავისიანი. როცა გაჭირვება ასცდებოდა მათ, ისინი მიეფარებოდნენ ეონას თვალთახედვის ფარგლიდან. მაგრამ არა! შეჭირვებულთა გარდა სოფელში კიდევ ერთს ამჩნევდა ეონა, კიდევ ერთი ვინმე არ დაჰვიწყებოდა ეონას, კიდევ ერთსა ხედავდა მისი მიტაცებული და ცხოვრების გადაღმა მიქცეული თვალი, და ეს ერთი იყო თებერა. ალბათ გრძნობდა მხევალი ღვთისა, რომ ის ბიჭი მოუსპობელ კავშირით იყო მასთან შეკონილი, ტანჯვისავე განუკვეთელი ჯაჭვით მასთან შეკავშირებული და ეს მათი უცვალებელი კავშირი იყო მათი სიყვარული სამარადისო. მართლადაც, მთელს ქვეყანაზე ეს ერთადერთი არსებაღა დარჩა ქალს ნამდვილი გულშემატკივარი და ჭირისუფალი. მხოლოდ თებერაღა ადევნებდა დაავადებულ ქალს თავის მზრუნველ თვალს.

თებერამ შეისწავლა ეონას აწინდელი გზა-კვალი თუ საჭიროებანი ან განსაცდელნი და სახიფათო ადგილას თუ საეჭვო შემთხვევაში მის გვერდზე გაჩნდებოდა ბიჭი მის მომხრედ და ქომაგად. ეონაც მხოლოდ მისგან იღებდა დახმარებას, მხოლოდ მას ენდობოდა ერთადერთს.

თებერას ამგვარ ქცევას და შეურყეველს ეონასადმი ერთგულებას სოფლის ქალები მხოლოდ ბიჭის გულჩვილობას აწერდნენ და მის მეამიტობას. მართლა და ჯერ ადრე რა იყო

ეონა მათთან შედარებით და ეხლა დაავადებული რაღა სახსენებელი იყო მათ გვერდზე?! თებერა ეხლა მალე შეაქცევს ზურგს ვიღაც ხატის მონას, მიივიწყებს მას და დაუბრუნდება მშვენივრებს. მაგრამ როდესაც ნახეს, რომ თებერა ისევ ჩრდილივით დასდევდა ქალს ყოველ ჟამს და იმის გულისათვის თავისი სახლ-კარი მიატოვა, თავისი საკუთარი საქმე მიივიწყა, წაღმა დატრიალებული თავისი ოჯახი უკუღმავე შეატრიალა, მაშინ კი ქოქოლა მიაყარეს თებერას და პირი იბრუნეს მისგან, ან კი როგორ არ უნდა გაჯავრებულიყვნენ კეკლუცნი, როდესაც ხელგამომავალი და იმედიანი ახალგაზრდა ვიღაც დაავადებულ გოგოს ასდევნებოდა და ველარც კი ამჩნევდა თვალაბმული დაბროწილ-ჩაკვრივებულ გოგოებს, რომელნიც მის გარემო ძაგი-ძუგით მიმოვიდოდნენ ეშხით სავსენი?!

26

იმ თავითვე თვალს ვადევნებდი თებერას და მის ცხოვრებას. ბალღობიდანვე შეთვისებული ვიყავ მასთან და მიყვარდა. პატიოსან და კეთილ კაცად მიმაჩნდა და მინდოდა ყოველ საქმეში ხელი წარმართოდა, გაჰმარჯვებოდა. ეხლა სხვებს რომ უკვირდათ თებერას თავდადება, მე ბუნებრივად მიმაჩნდა ესეთი ქცევა იმისაგან, რადგან ვიცოდი მისი მგრძნობიარე სული, მისი სათნო ხასიათი, მისი მოსიყვარულე გული.

ისიც ვიცოდი, როგორ ძვირფასად აფასებდა თებერა ეონას, როგორ გულწრფელად უყვარდა იგი მას და უყვარდა იმისთვის კი არა, რომ თავს შემოევლო ქალი, რომ მხოლოდ თითონ ესიამოვნა მისი არსებით, მხოლოდ თავის საბედნიეროდ გამოეყენებინა მისი პიროვნება. არამედ იმისთვის, რომ თითონ შემოჰვლებოდა თავს, შექმნილიყო წყაროდ მისი ბედნიერებისა. განა შეიძლებოდა ელალატნა მას ეონასთვის ეხლა, როცა ქალი ანგელოზმა დაიმონავა, როცა მას ხატის მიზეზი ააჩნდა და გააბეჩავა?!

არც თუ მთლად უაზრო იყო თებერას ამგვარი თავგამოდება: მას სწამდა, რომ ხატს მკაცრად მხოლოდ დროებით ეპყრა ეონა, რომ მიზეზისაგან მისი დავრდომა და დაავადება მხოლოდ დროებით იყო და კეთილი ხატი ბოლოს ბედსა სწევდა ქალს, ნაცვლად ამოდენის ტანჯვის, ოღონდ კი მას ეს ხა-

ტის სამსახური პირნათლად შეესრულებინა. თებერამ ეს იცოდა მკითხავისაგან, ბერის სიტყვით, თითონ ეონას ნათქვამიდანაც.

ამ მდგომარეობაში იყო თებერა, როდესაც ჩვენ ავიყარეთ ნითი სოფლიდან და ქალაქში გადავედით საცხოვრებლად. მიეფარა ჩემი თვალთახედვიდან თებერაც, ეონაც და მთელი სოფელიც.

ძალიან მშრალი გაზაფხული დადგა მეორე წელს და გვალვიანი. ცას ნამი აღარ გაჰვარდა, დაინახა მზემ უღრუბლო ცა და გაბრწყინდა, ძალა გამოიჩინა: ისე ჩამოცხა, რომ მაისის პირველები თიბათვეს დაამსგავსა. ამოშრა დედამიწა, გახმა, დაიწო; წყურვილისაგან კანი დაეშაშრა და დაეპო. პირდაღებული შესცქეროდა ცას, შესთხოვდა ცვარს მაცოცხლებელს, მაგრამ არსადა ჩანდა ნამი მაგრილებელი. ქალაქელებს სრულებით არ გვაწუხებდა ეს ამბავი. კიდეც მოგვწონდა: მშრალად ვიყავით, ტალახში ტოპა არა გვჭირდებოდა. სოფელს კი დარდით გულს ეყრებოდა. გაშრა მცენარე, შეყვითლდა, დაიგვალა, მოსავალი მთლად იღუპებოდა და ხელცარიელს სტოვებდა მშრომელს. რა უნდა ექმნა მუშას საწყალობელს? მე ვიცი, არხები ჰქონდა გაჭრილი და რუვთა ბადე მოწყობილი, რომ წყალი მიეგდო ყანისათვის თუ ბოსტან-ბაღისათვის! შესცქეროდა დაღონებულ-დაძმარებული ცას, ნატრობდა ღრუბლებს, ევედრებოდა ელიას, მაგრამ კამკამ ცაზე ღრუბლების ქულაც არსადა სჩანდა, ღრუბელთა წინამძღვარს ზურგი შეექცია სოფლისათვის და ყური მოეყრუებინა. ალბათ მსხვერპლს ელოდდა დალოცვილი! გაუწყდა სოფელს ილაჯი და მოიგონა რჯული ძველისძველი, მიჰმართა მაღალ ღმერთს ძველთაგანვე ნაანდერძევ და ნაცად ვედრებით, ხვეწნა-მუდარით, ქება-დიდებით.

კვირა დღე იყო. ქალაქელები მორთულ-მოკაზმული დავსეირნობდით საქულბაქოზე თუ სალაყბოზე და ვერთობოდით. თვალს წყალს ვალევინებდით. საოცრად ჩაცმულ-დახურული ქალები აგვდევ-ჩაგვდევდნენ, გვერდს გვიმშვენებდნენ, ბაკი-ბუკით წინ დაგვითამაშებდნენ, მაცთურად გვიღიმოდნენ წყეულები. მშვენიერება იყო ტკბილად მაღელვებელი.

არც მე ვიყავ გარიყულ-ჩამორჩენილი: ისეთი თანთქარა გოგონა მომდევდა გვერდით იარაღში ჩამჯდარ კოხტა ახალ-

გაზრდას და ისეთი სუნნელებით ფშოდა მისი გაძრცვილი გულ-მკერდი, რომ საუბარში უნებლიეთ ვიხრებოდი მისკენ, რომ რაც შეიძლებოდა მეტად დავახლოვებოდი ბროლის მკერდს, მასზე ეშხით ამომჯდარ ვნებათა ბორცვებს. სააშიკო საუბრით ვიყავით გართულნი და ვლაღობდით გატაცებულნი, როდესაც ხმათა ნაცნობი გუგუნი მომესმა და სოფლად ბევრჯერ ნანახი სურათი წარმომიდგა თვალწინ:

„დიდება და ღმერთსა დიდება!
შე დალოცვილო და ღმერთო მაღალო!
ნუ დაივიწყებ და შენს ქვეყანას!
გადმოჰხედევი და საქრისტიანოს!
გადმოგვივლინე და წვიმა-წყალობა!
დიდება და ღმერთსა დიდება!“

გაჰკიოდა თეთრებით მოსილი დედაკაცების ჯელგა: დიდებაზე ოცდაათამდის მანდილოსანი წამოსულიყო, ქალაქამდის ევლოთ და ეხლა, ერთ გუნდად შეჯგუფულნი, გატაცებით გაჰმღეროდნენ დიდებას. წინ მიიძღოლებდნენ თეთრებში მოსილ სუსტ ქალს. ზერდაგი რამ დედაკაცი შესჯდომოდა მხარში ამ მითეთქილ-მიქანცებულს და განამტკიცებდა მის მისუსტებულ მსვლელობას. ბრბოს უკან მისდევდა მებარგულე ცხენით ხელში. ყველანი ვიცანი: ჩვენი სოფლის დედაკაცობა იყო. დიდებაზე წამოსულიყვნენ. ეონა გამოემძღვარებინათ. თებერა მოსდევდა მებარგულედ. ძალიან გამეხარდა! მოუფიქრებლად მივატოვე ჩემი ქალი, გადავხტი და წავეტოლე თებერას. საშინლად გაუხარდა ჩემი ნახვა. ავყევი რამდენსამე მანძილზე.

— იცი, დათიკოჯან, ეონა გამოიმძღვარეს: ღმერთს უყვარს და უსმენს ვედრებას. სოფელი ძალიან პატივსა სცემს ეონას. მე მებარგულედ გამოვყევი.

— ცხენი ვიღასია, ბიჭო?

— ჩემია! უღელი ხარი რომ მყვანდა, ხომ გახსოვს? ისინი გავყიდე და ეს ცხენი ვიყიდე: ეონა სუსტია და მივაშველებ ხოლმე. ეხლაც ქალაქს გავცდებით თუ არა, ცხენზე შევსვამთ ქალს.

სამმანეთიანი შევსწირე, დავემშვიდობე. დავბრუნდი. ჩემი მტრედი აღარსადა სჩანდა, გაფრენილიყო: სწყენოდა ჩემი საქცელი. საწყენიც იყო, მე და ჩემმა ღმერთმა, და დასაგმობი!

ბევრი ხვეწნა დამჭირდა შემდეგ და ალერსი, სანამ გული მოიბრუნა...

ერთხელ კიდევ შევხვდი თებერას და ეონას.

მეგობარმა სოფლად გამიწვია, დიდი დღეობა იცისო. მთავარანგელოზობა იყო. დიდი მლოცავი სცოდნოდა. ჯერ ისევ წირვა იდგა, რომ მივედით, ხალხი ირეოდა, ლოცულობდა, სანთელს ანთებდა საყდარში თუ საყდრის კარ-კედელზე. ძველი საყდარი იყო, პატარა, დაბალკარებიანი. შევყავი თავი. კარებში, შიგნიდან, თეთრად მოსილი ქალი გაწოლილიყო გარდი-გარდმო. გულხელი დაეკრიბა, თვალები დაეხუჭნა. შევკრთი, შევყოყმანდი და უკან დავიწიე. ფეხი დაადგი და ისე შემოდიო, დამიძახეს. ყველა ფეხს ადგამდა ქალს და ისე გადადიოდა. მეც აღარ დავარღვიე ჩვეულება: რაც კი შეიძლებოდა მსუბუქად დავაბიჯე ქალს ფეხი და გადავედი. უგუნებოდ კი გავხდი: ცუდად იმოქმედა ჩემზე ამ ადათის შესრულებამ. სანთელი ავანთე, პირჯვარი გადავისახე, გამოველ.

— გწყალობდეს მთავარანგელოზის მადლი და ძალი! — დამამწყალობლა ვიღამაც.

მივიხედე, თებერა იყო. სადღესასწაულოდ მოლამაზებულიყო: თმა გაეკრიჭა, წვერი მოეპარსა, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა. ვაჟკაცი დამდგარიყო თქვენი მოსაწონი!

— კარგი ჰქმენ, რომ ფეხი დაადგი ეონას! ძალიან კი ფრთხილობდი, როგორც შეგატყე.

— კაცო, ეონაა ის?!

— ეონაა მაშ! ველარ იცან?

დავსხედით, ვილაპარაკეთ, ძალიან ხალისიანად იყო.

— იცი, დათიკოჯან, ეს უკანასკნელი ბრძანებაა ხატისა, ეს ბრძანებაც ამისრულე და მონობისაგან გაგანთავისუფლებო! აგერ, სამი წელიწადია, რაც ხატმა დაიჭირა ეონა და ეხლა ისევ უნდა გაანთავისუფლოს. გაიხდის თეთრებს და ჯვარს დაიწერთ: ნეტავი ერთი ქორწილში მეწვეოდე!

— კაცო, ეონა ხომ ავად არის, ხატი რომ დააკვეთებს ხოლმე?

— ეხლა მთლად კარგად არის ეონა, ერთი წელიწადი იქნება კვეთება არ მოსვლია. ხატისაგან იყო და პირნათლად რომ მოიხადა მოვალეობა, განთავისუფლდა. მეც ჩემი მხრივ კურატი შევუთქვი დალოცვილს. დავქორწინდებით, ისევ ჩავდ-

გები სახლში და რაკი ეონა გვერდით მეყოლება, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე წაბოვაყენო ფეხზე ჩემი ოჯახი!

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო ძმავ, ხელი მოგიმართოს!

— მერე, იცი, დათიკოჯან, რა პატივსა სცემს მთელი სოფელი ჩემს ეონას! გულთამხილავია და იმიტომ! ამ დალოცვილმა ხატმა გულთმისნობა უბოძა: ეს უნარი უხდა გქონდეს, რომ ყველამ გაიგოს და იწამოს ჩემი მადლი და ძალიო.

1911 წ.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ

I

— აღარა მსურს ხალხით სავსე ადგილას გავატარო ზაფხული, მინდა ერთს წამს მაინც მოვსცილდე ქალაქურ მოუსვენარ ცხოვრებას ხელოვნურს, ვიგემო სოფლის მყუდროება, სულით დავისვენო ბუნების კალთაზე, შეურყეველ-შეულახავ მიწის წიაღში! — მამცნო ჩემმა მელომ.

და შემომანათა თავისი მშრალი თვალები.

გავკვირდი. უძვირფასესი სააგარაკო ადგილები ჩვენში თუ უცხო ქვეყნებში უნახავ-დაუთელავი არ დაგვრჩა, დავქროდით კიდით-კიდე, კალთა-კალთა ფულს ვაპნევდით ყველგან, ჩემი მელო კი სრულს კმაყოფილებას ვერსად ჰპოვებდა, ტუჩაკვრით დაჰყურებდა ყველაფერს და ეხლა ნეტავ რამ მოაგონა ამ მთლად ხელოვნებათაგან შეთხზილ არსებას საზეუცვლელი ბუნების კალთა, პირველყოფილ ქვეყნის უბეი?!

— ნაცნობების ნახვა მოგსურდება, ქალო, დაგიღონდება ნაზი გული მივარდნილ ადგილას.

— ჩემო კარგო, ნაცნობებმაც და მეგობრებმაც თავი მომაბეზრეს მთელი წლის ვანმავლობაში, სულ ერთმანეთში, ყოველთვის ერთად, სულ სტუმრობა-წვეულობა! როგორ შეიძლება?! იქნება უნდა ადამიანს თავი გაიმარტოოს, რამე მოიფიქროს, რასმე ჩაუკვირდეს ან ღრმად იგრძნოს თუ განიცადოს.

— ვაითუ შესაფერი მოწყობილების ან სანოვაგის შოვნა გაგვიძნელდეს მიყრუებულ ადგილას და შეიწროვდე.

— ნუ იტყვი, საყვერელო! იქაც ხომ ხალხი სცხოვრობს ღვთის გაჩენილი; თუ სხვებს შეუძლიანთ წლითი-წლობით ნაკლულევანების ატანა, ჩვენც ცოტახნობით მათთან დავდვათ თავი და მოვითმინოთ, — მითხრა ღიმილით.

და შაქრის თითები ოდნავ დამიცაცუნა ბანჯგვლიან თათზე.

— ქალო, რახან ეგრეა, ბევრს რაღას ემზადები სააგარაკოდ? რად გინდა ამდენი კაბები, შაპოები, თათმანები,. თავსახურები, წუღა-ქოშები და ათასი სხვა მოსაკაზმავ-დასამშვენებელი?

— მოუაზრებლად ლაპარაკობ! თუ ვიცვამ და ვიხურავ, მხოლოდ ჩემს თავს ვეწონები, სრულებითაც სხვებისათვის არ ვირთვები, ვიღაც უცხოებისათვის; მე თითონ მიხარიან, როცა მოკაზმული ვარ და შრიალ-შრიალით დავგოგმანობ. ესეც არ იყოს, ყველაფერი ეს ჩვენის სახელისათვის არის საჭირო, თორემ იტყვიან, გაღარიბდნენ და იმიტომ მიდიან ისეთს მივარდნილ აგარაკშიო. უნდა დარწმუნდნენ ყველანი, რომ მე არც სიძუნწით მომდის ეს, არც ხელმოკლეობით. საჭიროა და ამისათვის მივდივარ სოფლად; დროა, ცოტა ხნით მაინც ვიზრუნოთ მყუდროებაზე და სიმრთელეზე, ჩემსა და შენს ჯანსაღობაზე.

— ჩემს სიმრთელეზე, ქალო?! რა მიჭირს? მადლობა ღმერთს, არც სისხლი მაკლია, არც სისქე.

— სრულებით არაფერი გესმის! იქ ტყესა და ველში ცოტახნობით მაინც ასცდები ბანქოს განუწყვეტელ თამაშს და მოისვენებ, მცირე ხნით მაინც მოშორდები თამბაქოს სუნით და სასმელების ბუღით გაჟღენთილ ჰაერს და უძილო ღამეებს. — მაშ ბანქოს ვერ ვითამაშებ. — იქ?! ვისთან ითამაშებ, როცა შენი საფერი არავინ გეყოლება გვერდით? იცოდე კი: არავინ გამოიწვიო სოფლად, არც ჩვენი ახლო ნაცნობები, არც თუ გაბერილი; მისამართიც არავის აცნობო! — მითხრა ჩემმა მელომ.

და თვალის კილოში ღიმილი რამ ააჩნდა ორაზროვანი, ფართედ გაღებულ თვალთა კილოებში.

გავვოცდი: ბუნების კალთა, განმარტოვება და ფიქრი, სულით დასვენება, ნაცნობთა და მეგობართა თუნდ დროებით უარყოფა, — ეს სულ ახალ-ახალ სიტყვები იყო ჩემი მელოს ბაგეზე, საკვირველი ახალი თქმა. ბანქოს ნუ ითამაშებო! აქამდის ჩემს ბანქოს თამაშს სრულებითაც არ უყურებდა ის მტრულად, არც ელმეცრივ; კიდეც გაუკვირდებოდა, თუ კლუბში თავის დროზე არ წავიდოდი ან შემთხვევით ადრე დავბრუნდებოდი. იუცხოვებდა, კიდეც იწყენდა. ნეტა რა ნახა ეხლა?! ბანქოს უარყოფა კი არა, ისე შესჩვევია ქალი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩემს ამ ყოველდღიურ გარ-

თობას, რომ უკვე მთლად ბუნებრივად მიაჩნდა იგი, ისევე აუცილებლად, როგორც ჩემი სამსახურში სიარული. არც თუ ოჯახისთვის არის ეს ჩემი გართობა უსარგებლოდ: ხშირად შემომაქვს სახლში მონაგები ფული, ბევრჯელ ბლომადაც. ჩემმა მელომ იცის, ჯიბეებს დამიჩხრეკავს და თუ ბუნჯგალ-ბუნჯგლად მოჰხვდა ქაღალდის ფული, კიდეც მომიალერსებს, მაკოცებს. მეორე დღეს ფულით გასტენს მოვარაყებულ ჩანთას და დაქანაობს მაღაზიიდან მაღაზიაში, მიაქროლ-მოაქროლებს ნავაჭრით სავსე ეტლს მოქიშპეთა თვალის დასაყენებლად. ბედი მაქვს ბანქოში, მეტადრე ამ ბოლო დროს. ამბობენ, რამდენიც უფრო სიყვარულის ვარდს ფოთლები შეაჭკნება, იმდენი მეტად გაგიღიმებს ბანქოში ბედიო. ტყუილი იქნება!

ვერაფერი გავიგე ჩემი მელოსი და დავმორჩილდი: ქალმა სთქვა და ალბათ სწორედ ასე იყო საჭირო. მაინც ამაოდ ეცდები სავსებით მიხვდე მშვენიერის აზრს თუ სურვილს. რადა? არ ვიცი! იქნება მისთვის, რომ მსწრაფლ ცვალებადია მისი სურვილი, როგორც სხივთა კრთომა; ან იქნება იმისთვის, რომ იგი მშვენიერი ღმერთია სიამისა და მიუწდომელი, ვითა ღვთაება.

2

წავედით. მზიანი დღე იყო. აყვავებული ველ-მინდორი ჭრელად მოსჩანდა. ყოველ ნაბიჯზე აყენებინებდა ეტლს, რომ ან ყვავილი მოეწყვიტნა, ან წყაროს წყალი დაელივნა. რამდენჯერმე თავისი ხელით დაკრეფილი ყვავილები მომიტანა ჩემმა მელომ და გამიღიმა. იყო დრო, როდესაც ესეთ ძღვენს, მისგან მოძღვრილს, აღტაცებაში მოვყვანდი. მაშინ იმ ყვავილებს აფერადებდნენ და ასუნნელებდნენ მელოს ატლასივით ღაწვები, სხივმფენი თვალები, ფუნთუშა ხელი საალერსო და ჩემი მისდამი შეუკავებელი მისწრაფება. განელდა ეხლა ჩვენთვის იგი საოცნებო ლტოლვილება, განქარდა. მაინც ეხლაც ვემთხვეოდი ხელზე ნიშნად მადლობისა. მაგდენი რამ სუნი არა ჰქონდათ ველის ყვავილებს, არც მშვენება; ძალიან წვრილებიც იყო ჟიჟმატი. როგორ შეედრება ეს რაღაც ბილილები იმ ტურფა ყვავილებს, ქალაქში რომ მომაწვდიან ერთ უზალთუნად ქაღალდში სუფთად შეხვეულს?! მომაწოდა ჭიქით წყალიც. ცივი იყო, დასაფეთებელი კი ვერა ვიგრ-

ძენ რა. რა ჰქონდა მას საერთო გაყინულ შარბათთან, ქალაქში რომ მასმევენ ჭიქას შაურად?! ტყუილად უკვირდათ, ამაოდ მოდიოდნენ აღტაცებაში.

ეტლის ხშირად დაყენება გვაცდენდა, გზას აგრძელებდა, ჯაყჯაყმა კი ისეც სული ამომართვა. რა განათლებული კაცის საქმეა ამოდენა გზაზე ცხენებით სიარული, მერე რკინის სალტებიან თვლებზე შემდგარ ეტლით?! შეგიბამს ცხოველები, დამჯდარხარ ზედ, უტევ და შოლტავ მათ უწყალოდ, მირახრახებ ქვა-ღორღზე, მტვრით გევსება ხახა თუ უბე-კალთა. შეუგნებლობაა, ბარბაროსობაა! მე ის მიკვირდა, ჩემი აზიზი მელო როგორ იტანდა ამოდენა უხერხულობას და ტანჯვას; კიდეც იღიმებოდა, მითომდა მესიამოვნებაო. თავისი დაწყებული საქმე იყო და ითმენდა, თავს იმაგრებდა, თორემ სწორედ შუა გზიდან გამომექცეოდა უკან.

მზის ჩასვლისას ძლივს მივაღწიეთ. მთლად დამტვრეული ვიყავ და მტვრით გაგანგლული, ადამიანის სახე აღარ მედო. დახუთულვიყავი კიდეც იმოდენა ჯდომით. ბედკრული რამ კიბე ასდევდა სახლს; დაბალი ოთახები; საჩეხი მთლად ფათალოთი შეფენილი. ნეტა რაღა საჭირო იყო აქ ამოდენა ბალახი, როდესაც გარშემო ხეები და ჯაგები ჭალად იყო შეკრული?!

— ბიჭო, ნოდარ, აბა მარდად გააცხელე წყალი, მტვერი გავიყრევინო; კარგად კი გაწმინდე ნავი და თითონ აბაზანაც.

— არ გახლავთ აქ, ბატონო, არც ნავი, არც შინააბანო.

— არ მახლავს?! მაშ რა ვქნა, ბიჭო, ახლა?

— წყალს დაგისხამ, ბატონო, ხელზე და ისე დაიბანეთ პირი.

აანთეს ლამპრები. ჩემი ოთახი ერთობ პატარა იყო და მალე ნავთის სუნი დადგა შიგ. მერე ღამე ულამპროდ ვერა მძინამს. ბარემ ჭრაქი დააყრჩოლონ რაღა დალოცვილებმა! ვგონებ ელექტრონის სახელიც კი არ იციან აქ. ემჯობინება სანთელი დავანთებინო. გვიან დამეძინა, თუმცა ძალიან დაღლილ-დაჩეჩქვილი ვიყავ, ალბად იმისთვის, რომ ხამი ადგილი იყო; ტახტიც კი ერთობ ჭრიალებდა. ძილში ვიყავ. რაღაც ხვნეშა მომესმოდა და ხამუშ-ხამუშ ჭახუნი თუ მტვრევა. მაწვალებდა ეს ხმა, მაწამებდა, მაგრამ ვერ გამოვრჩეულიყავ ძილიდან. სხვა რამ უცნაური ხმები აედევნა ამ ხმას, კაცისა თუ

ცხოველ-ფრინველის ხმები. ამ გამოურკვეველ ხმაურობას უეცრად დაერთო საშინელი ღმუილი და თვალები ღია დამრჩა. წამოვვარდი, გავაღე ფანჯრის დარაბა: ხარი იდგა ზედ ჩემ ფანჯარასთან და შემომბღაოდა. იქვე ხრუტუნებდა ღორი და ჭერმის კურკას ჭამტვრევდა; ესე ეშხიანად აკნაწუნებდა დალოცვილი, თითქო მოხალულ ნუშს შეექცევაო. გამოშლილიყო ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი, ტიტველ-ტიტველი ბალღები; დასტამალივით ამოსარსლული დედაკაცი მისჯდომოდა ძროხას და ჭუჭყიანი თითებით რძესა ჰქურამდა მწვირიან ძუძუებიდან. ჩემი ოთახის ფანჯარა თურმე მეორე ეზოს დაჰყურებდა მთლად აჭიჭყნულს და მოთხვრილ-მონაგვილს. ნუთუ სოფლად ან ნაცვალი არ არსებობს, ან ექიმი, ან სხვა ვინმე ყურისმგდებელი, რომ თვალი ადევნოს აქაურობას?! მეტად გრილოდა, ცივი სიო უბერავდა, ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ეწვიმა იმ ღამეს და ნესტის სუნი იდგა, ისევ ჩავწექ. შამფურივით ვბრუნავდი ლოგინში, ველარ დამეძინა და ველარ.

3

— აი, ჩემო კარგო, რა წყნარი დღე გამოვიდა! წადი, გაიარ-გამოიარე, მიიხედ-მოიხედე, ისიამოვნე. ამ გზის იქით ხომ ხედავ მუხნარს, მერე ლამაზი ველი დაგხვდება, რომელზედაც ანკარა წყარო ამოჩქრიალებს; ხევს რომ გახვალ, მშვენიერი ფიჭვნარია გორაკზე შეფენილი, ცამდინ აწვდილან ბუმბერაზი ხეები. გუშინ სულ დავიარე იქაურობა, სადაც ეტლი ვერ მისწვდა, ფეხით ვიარე. წადი, ნახე, თვალი გააღე და ვერც კი გაიგებ, ისე გაირბენს დრო სადილობამდის. როგორ შეიძლება სულ შინ ჯდომა და მთქნარება?! — მითხრა მელომ ყავის შემდეგ.

გავიარე. შევედ მუხნარში. სასეირნო ადგილი კი არა, ტყე იყო მთლად დაბურვილი. ხეებ ქვეშ შამბი აშლილიყო, ასკილი თუ კუნელი გადაჰხლართვიყო მაყვალს ან ჟოლს, იელი თუ ათასნაირი სხვა ჯაგი გაბარჯღულიყო და ფეხში მედებოდა, ტანსაცმელზე მებღაუჭებოდა; რამდენჯერმე ქუდი მომგლიჯა გაღუნულმა ტოტმა; ლოყაზედაც გამკრა წკეპლამ, სწორედ თვალს გამომთხრიდა, თუ ლორნიონს არ დავეფარნე. გავახწიე მუხნარს, გაველი ველზე. კოხტა ველი იყო მწვანით

ვავილებიც გაშლილიყო ზედა, წყაროც ჩამო-
ც რა სახმარი იყო იგი ჩემთვის? ყვავილებს
არა ჰქონდათ, არც შვენება; მოვგლიჯე ბუნჯ-
გადავაბრუნ-გადმოვაბრუნე და ისევ გადავყა-
იყო ჩემთვის გამოსადეგი, თათმანიც გამიმწვა-
არა იყო, მაგრამ არ მწყუროდა. მოვისურვე ჩა-
მი არსად იდგა, ორიოდე ადამიანი დადიოდა
მწვანეზე წამოწოლილიყო ხეებქვეშ. მეც ჩამოვ-
ზე, მაგრამ ნესტი ვიგრძენ და ჭიანჭველაც და-
ფიჭვნარს რაღაც ბილიკზე. ძირს გაშლილი
ელი ჯალღუზა ჩაშლილი თუ მთელი და ფეხი
ეტყობა, არავისთვის და არაფრისთვის არის ის
რომ არ აეკრიფნათ. სულ დამეკაწრა ფეხსაცმე-
ა ტანისამოსი. დავბრუნდი სახლში დაქანცულ.
ნადირი ხომ არ არის ადამიანი, რომ ტყე-ველზე
უაზროდ?! აუცილებელი კი არის გავატარო ამ
თვე, დაუსრულებელი ორი თვე! მაგრამ რო-
ორ? ერთი ამხანაგი მაინც მყვანდეს, რომ ბანქო
ჰაშინ რაც უნდა ექნა ჩემ მელოს, როგორც უნ-
რებინა დრო ახირებულს. მაგრამ სად არის შე-
გი, სადა!
ეირნოდ მოწყობილ ბაღში. ჩემი მელო ნებას
ჩავწერილიყავი, ნებართვა ამეღო იქ სიარული-
ნი საფერები შეგხვდნენ და ისევ შენებურად
ვო. ჩვენი ბინიდან მოშორებითაც იყო ეს ბაღი.
მრთო. თითონაც ჩაეწერა. ბაკივით შემოელობ-
ი, შიგ ფიცრული დაედგათ სახვავესავით და ეს
ეირნო ადგილიც, ბანქოსა თუ ჭადრაკის სათა-
აცეკვავო დარბაზიც, თეატრიც. შევიარე. დავი-
გიდა და ელეტ-მელეტი მომივიდა ბანქოს სურ-
და სალოკი უნებლიეთ ერთმანეთს ეხეხებოდ-
ჩამორიგების ჟინით. ჩავჯექი მოთამაშეებში.
თამაშობდნენ, მანათზე თრთოდნენ. როგორ
მისთანა თამაში ან როგორ დამაკმაყოფილებ-
ყადარი და საფერი ხალხი გამოდგა, ცოცხით
ვანდნენ. შინვე წამოველ, მოწყენილობით ღო-

ალბად ყველგან შეეჩვევა ადამიანი, თუნდ ციხეში. შევეჩვიე მეც, წინანდებურად აღარ მეწვა ლოდივით გულზე. მეძინა, თუმცა ათასგვარი ხმაურობა დილიდანვე თავს დამტრიალებდა; ყავის შემდეგ საზოგადო ბაღში მივდიოდი სასეირნოდ; ვსადილობდი და სადილთ უკან ისევ მეძინა, როცა სასეირნოდ მივდიოდი, მუხნარს გარს ვუვლიდი: ნესტი იყო ხეებ ქვეშ და კიდეც მეხამუხებოდა ტყე-ტყე სიარული.

სადილობა ჯერ არ იყო მოტანებული. გარინდებული დავდიოდი სასეირნო ბაღში. თავში ფიქრი არ მქონდა და გულში გრძნობა; არც არავითარი სურვილი მოსჩანდა ჩემს არსებაში მკაფიოდ. ისე ვიძროდი, როგორც რამ მანქანა, თვითცნობას მოკლებული. გარემოებებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო ჩემგან, ჩემი მელოსაგან შექმნილ გარემოებებთან ომი, და მორჩილების მეტი აღარა დამრჩომოდა რა, უაზრო მორჩილების მეტი. ბაღს გარედ ეტლი იდგა გახუნებული, მეეტლეს კოფოზედა სთვლემდა. გავსწიე მისკენ, მინდოდა შინ წავსულიყავი. უეცრად მომესმა.

— ბატონო დავით! ბატონო დავით ზურაბის ძევ!

მივიხედე, მეფარდულე მომდევდა, ბაღში რომ სავაჭრო ფარდული ჰქონდა, ის მომძახოდა.

— რა გნებავთ?

— მობრძანდით ჩემს ფარდულში, ბატონო ჩემო, ერთი ჭიქა ლუდი მიირთვით, მთლად ახალია.

— არ მინდა ლუდი!

— ცივი გახლავთ, ყინულში შენახული; დღეს მივიღე ქალაქიდან; მობრძანდი, გენაცვალე!

— გუნებაზე არა ვარ, არც ფული მაქვს ზედ.

— ფულს ნუ ბრძანებ, გეთაყვა! გულით გეპატიჟებით; დიდად დავალებულად ჩავსთვლი ჩემს თავს, თუ ინებებთ მობრძანებას.

დავაკვირდი კაცს, გულწრფელად მთხოვდა. სადილობაც ჯერ არ იყო მოტანებული და გავყევ. სრული კმაყოფილება აღებეჭდა ვაჭარს სახეზე, გულწრფელი სიხარული.

სასეირნო ბაღი მუხნარის ნაწილიდან გაეკეთებინათ. მესერით შემოფარგლულ ადგილში კიდევ იყო აქა-იქ დარჩენილი რამდენიმე მუხა, ღობის პირებში ზოგან მაყვალი ან ზღმარტლი დამრჩალიყო; შუაზე ორპირად ჩაერიგებინათ ალვის ხე; რამდენსამე ადგილას ცაცხვი დაერგათ. ბაღის აღმოსავლეთ კუთხეში გაემართნათ ფიცრული დუქანი ფარდულებით. აქა ვაჭრობდა ეს ჩემი მოულოდნელი მასპინძელი. დუქნის წინ ყვავილოვანი რამ კორდი გაემართა და მაგიდები კორდის გარშემო იდგა, ხეებქვეშ დამსვა. მომართვა ლუდი და ნამხმარის ნაჭრები შემარილებული. სიო უბერავდა საამო. ქუდი მოვიხადე. დავუწყე ლუდს ნელ-ნელა სმა, რომ გული გადამეყოლებინა. თითონ ვაჭარი თავს მევლებოდა, პირს ღიმი გადაჰფენოდა, სიამოვნებით ხელებს ჴფშვნეტდა.

— იქნება გეამოთ, ჩემო ბატონო: გრამაფონზე რამდენსამე ხმას დავუკრავ.

— დაუკარ!

— ქართული ხმები უფრო გესიამოვნებათ, თუ სხვა ხალხის სიმღერები?

— ქართული! აბა ის დაუკარ: „მაისის ვარდმან ფურჩქვნილმან“.

— მეც ძალიან მიყვარს ეს სიმღერა, — სთქვა მასპინძელმა და მომართა მანქანა.

კარგად იყო სიმღერა გადაღებული, დახელოვნებულ მომღერალს ჩაეძახნა მგძნობიარედ. თვით მანქანა კი ვერ იყო საღი, ხრიწწი რამ მოსდევდა ყელში, ზოგიერთ ბგერასაც ჰყლაპავდა. პატრონმა რამდენჯერმე გაუსწორა მას მილი თუ ენა, თითონაც ჩაუმღერა, რომ წაეხალისებინა იგი და სწორედ ეთქმევინებინა ხმა, მაგრამ ამაოდ: მანქანა მაინც შიგადაშიგ ყალბობდა პატრონის გულის გასასიებლად. ის იყო, ვათავებდი სმას, რომ ახალი მუშტარი მოვიდა და მეორე მაგიდა დაიჭირა. სამხედრო კაცი იყო, ულვაშაგრეხილი. ვაჭარი მხიარულად მიეგება მას, მიართო სასმელი და გადმომხედა, როგორც თავის ძველ შეგობარს, მასთან საერთო რამ საიდუმლოს მექონს. გავათავე, ჯიბეს ხელი გავიკარ და ხუთმანეთიანი მივაწოდე. იმან ხელები გაასავსავა და საწყლად დამეღრიჯა:

— არა, ბატონო! პატივი მეც, ფულს ნუ მომცემ; აკი მე თითონ დაგპატიჟეთ.

მე განცვიფრება აღმებეჭდა სახეზე და წყენა მცირედი. მასპინძელმა ველარ მოახერხა რა და მითხრა:

— ხურდა არა მაქვს, ბატონო, ხელად; დარჩეს, გენაცვა. ხვალამდის.

ჩავიდე ფული და წამოველ. მიკვირდა იმ კაცის საქციელი. მადლობელი კი ვიყავ: დროც გამატარებინა. საფიქრებელიც გამიჩინა, თორემ აგერ თითქმის ერთი თვე იყო, ჩემს თავში განათებულ აზრს არ შემოეხედნა, აქამდის მხოლოდ განურკვეველი უკმაყოფილება სუფევდა ჩემს სულში, ჯანღივით განუჭვრეტელი და შემხუთველი.

მეორე დღესაც შევეფარე ფარდულს და ლუდი მოვითხოვე. ძალიან უამა ვაჭარს. ისე მევლებოდა თავს, როგორც სათუთ რამ არსებას მინაზებულს. ერთი-ორი კაცი სხვაც მოვიდა. ვაჭარმა სიამოვნებით ხელები მოიფშვნიტა და შემოგვთავაზა რამდენიმე ხმა გრამაფონზე. სიმღერები შერჩეული იყო, მაგრამ მანქანას ხრინწივე ედებოდა, ხმა უდუნდებოდა, ენა ებმებოდა. ვაჭარი პირში ედგა მას, თქმას უსწორებდა, ბოროტის თვალით შეჰყურებდა. ფული ისევ არ აიღო ჩემგან. როცა წყენა შემატყო ამის გამო, მითხრა:

— დარჩეს, ბატონო, თქვენზე, რადგან უთუოდ გინდათ მომცეთ: მცირე რამ ფული შეგროვდება და მერე ერთბაშად ჩამოგართმევთ. მაგისთანა ფულები ყოფილა ჩემ მუშტრებზე! იყო დრო, როცა ათას-თუმნობით ვატრიალებდი თანხას.

— სადა ვაჭრობდით?

— ტფილისში, მიხაილის ქუჩაზე. დუქანი მქონდა აღებული და მთელი ბაღი. მუშტარს ვერ ავსდიოდი, მეტადრე ზაფხულობით. სავაჭრო ფარდულები რომ იყო, ცალკე სენაკებიცა მქონდა გამართული განმარტოების მსურველთათვის. მერე რა სენაკპანები მყვანდა მუშტრისათვის მიჩემებულნი! სწორედ ფერიები იყვნენ დალოცვილები. ცოდვა არ არის, ეხლა ამისთანა მივარდნილ ადგილს ვვაჭრობ. იმედი მქონდა, ქალაქშიც კი პირველი სოვდაგარი შევიქნებოდი, მაგრამ, ეჰ, ბედმა უდროო დროს მიმტყუნა და ეხლა, დახე, სულ ორი-სამი კაცი შემოდის ჩემთან სავაჭროდ და ისიც თქვენის მოწყალებით, თქვენის მიბაძვით.

— როგორ თუ ჩემის მიბაძვით?

— მანამ თქვენ არ დაიწყეთ ჩემთან სიარული, სრულებითაც არავინ მოდიოდა.

მისმა სიტყვებმა გულისხმაში ჩამაგდეს: მივხვდი, რომ მე ამ კაცს სწორედ მუშტრის მოსაზიდვად ვდომებივარ; მიზანში ამოვუღივარ, როგორც ახალი რამ საშუალება თავის ვაჭრობის გასაფართოვებლად, როგორც რამ გრამაფონი, რომელსაც უნდა მიეზიდნა მისკენ მუშტარი. მე კი ვსჯობდი მის გრამაფონს: ის ხშირად უჯათზედა დგებოდა, ჩემი დიდკაცური იერი და დარბაისლური შეხედულება არასოდეს არ უმტყუნებდა მას: გაქათქათებული მაჯა-საყელო, კეწკეწი ტანისამოსი. თითონ მე ზორბა და მუცლიანი, ბუნჯგალ-ბუნჯგლად ულვაშებდაშვებული და ნიკაპგამოპარსული, ოქროს მძიმე ძეწკვი ოქროსავე ჩანჩხურებით, ძვლის ლორნიონი ოქროს ძაფზე მობმული, ბჭყვრიალა ფეხსაცმელი, თივთიკის შაპო, მბრდღვინავი ხმა მბრძანებელი. რა მიჭირდა ან რა წუნი მქონდა?! და თუ მე ვიკადრებდი მის სავაჭრო ფარდულში მისვლას ლუდისა თუ შარბათის საგემებლად, რასაკვირველია, ეს მისაბაძი მაგალითი იქნებოდა სხვებისათვის, რომლებსაც ალბათ ხელმოკლეობამ აქნევინა პირი ამ უშჯოდ გაზრდილ სოფლისაკენ, რომელიც გაკადნიერებულა და თავის თავისათვის აგარაკი უწოდებია. სწორედ ამისათვის მპატიჟობდა კაცი ისე გულიანად, სწორედ ამ მოსაზრებით ამეკვიატა, თორემ სად გაგონილა ვაჭრისაგან ესეთი ქცევა ან ესეთი უანგარობა?! უსაქმოდ მოყიალე დამინახა და ჩემი გამოყენება სცადა თავის გაჭირვებაში. მეწყინა ეს, მაგრამ, საკვირველია, არც ისე ძალიან: ერთი რომ, ჩემი მოსაზრება იქნება მართალი არ იყო და იქნება ამ კაცს აზრადაც არ მოსვლია ჩემ შესახებ ესეთი რამე; გარდა ამისა, ცნობისმოყვარეობამ გადამხარა თავისკენ და მადლობელიც კი შევიქენი იმ უცნობი კაცისა: დაკვირვების საგანი მისცა ჩემს წამოცალიერებულ სულს; ჩემს მძიმე მოწყენილობას მცირედ მაინც აქარვებდა ეს ამბავი და მეც მოვეჭიდე მას, როგორც რამ ხავსს. აღარც ის მეჩოთირებოდა ეხლა, რომ ვაჭარმა მთლად უარი სთქვა ფულის აღებაზე ჩემგან.

— კარგი, რახან ეხლავე არ იღებ ფულს, ერთად მოგცემ ბოლოს, ოღონდ კი დაიხსომე ჩემი დანახარჯი, — ვუთხარ ერთხელ და დავწუნარდი.

5

ხანდისხან მთელი საათობით ვიჯექი ერთი ჭიქა ლუდისა თუ შარბათის დასალევად: ვერთობოდი. ის უფრო მართობდა, რომ ჩემი მასპინძელი ისე ეპყრობოდა თავის გრამოფონს, როგორც სულდგმულს: ურჩევდა ხმა გაესწორებინა, ხრინწი ამოეწმინდნა, სიტყვები მკაფიოდ გამოეთქვა; ხან შეაქებდა, თუ მანქანა სიმღერას უნაკლულოდ დაათავებდა, ალერსის ნიშნად ხელს გადაუსვამდა; მაგრამ ერთხელ მუშტიც მოუღერა და ისეთის თვალით შეხედა, თითქო მტერი დაინახო დუქანში შესული.

— ჰა-მეთქი! გეტყობა, ვერ მიცნობ. ნახამ შენს ყოფას: ისე მიგლეწო, პატრონმა ვერ გიცნოს!

— კიდევ!.. რასა ხრიალებ, შე არამზადავ, ჯერ ხომ ყელში არავის წაუჭირებია შენთვის?

გამიკვირდა მისი ქცევა თუ თქმა, განცვიფრებით შევხედე მას. იმან თვალი მოჰკრა ჩემს შეხედვას და ჩემსკენ წამოვიდა.

— ესეც მღალატობს, ბატონო! სწორედ შინაური მტერია ჩემი. ჯიბრში ჩამიდგა და მერე რა დროს! როცა მუშტარი შემომეჩვია და ბედმა ისევ მომხედა, — მითხრა და მისმა სახემ ფიცხელი რამ გამომეტყველება მიიღო, სასტიკი.

— რას ამბობ, კაცო? მანქანა ჯიბრში როგორ ჩაგიდგება ან დროს როგორ შეგირჩევს?! — ვუთხარი და ჩავაკვირდი.

შემაკრთო მის სახის უცნაურმა გამომეტყველებამ, ერთს წერტილს მიჩერებულმა მისმა თვალებმა; უკან დავიხიე. იმან წინ წამოდგა ნაბიჯი და ჩამჩურჩულა საიდუმლოდ:

— როდესაც უეცრად ვიზარალე, ვაჭრობა დამეღუპა და მთლად დავნიავდი, ვიფიქრე, ზაფხულში სადმე სააგარაკო ადგილას გავხსნი დუქანს და ისევ გავიმართები-მეთქი წელში. რაც რამ საფასური მქონდა, ჩემი ცოლის სამკაულიც კი, ზოგი გავყიდე, ზოგი დავაგირავე; ვიყიდე იმ ფულით ცოტა რამ სავაჭრო და მასთან ეს გრამაფონიც, რომ ამის ხმით მიმეზიდნა მუშტარი. პირველ ხანში თითქო იმედი გამიცრუვდა, ეხლა კი ნელ-ნელა შემომეჩვია მუშტარი, მაგრამ ხედავთ, მტრად ლამის ეს მანქანა ამომიჩნდეს, შინაური მტრად! თუ ყოველთვის ესე წაახდინა სიმღერა, ისევ დაფთხება მყიდველი.

— ნუ გეფიქრება! მუშტარი იმისთვის მოდის აქ, რომ კარგ საქონელსა ჰყიდი და ადგილიც მარჯვე ამოგირჩევია.

— ნუ ბრძანებთ! იქნება ესეთი საქონელი სხვაგანაცა ჰქონდეთ, მაგრამ იმათ გრამაფონი არა აქვთ და საპატიო სტუმარიც არ მისდევთ. ქალაქშივე მოვიფიქრე, რომ სიმღერის ხმა მთელ აქაურ მუშტარს ჩემთან მოიყვანდა. ახ, რა დროს მღალატობს ეს შეჩვენებული!

— ალბად გაუფუჭდა რამე, გააკეთებინე.

— გუშინ თხუთმეტი თუმანი მივეცი და დღეს გავაკეთებინო! ან ვინ არის აქ მაგის მცოდნე?

დრო გადიოდა. სიცხე სოფლადაც კი თანდისთან საგრძნობელი ხდებოდა. მაგრილებელ სასმელებით მოვაჭრეებს მუშტარი ემატებოდათ. იოსებ ივანეს ძის ფარდულშიაც საკმაო ხალხი იკრიბებოდა, მაგრამ მას კი პირზე ღიმი აღარ მოსდიოდა: იმისი მომღერალი მანქანა დღითი-დღე ჯიუტდებოდა, განზრახ ხმას იწყვეტდა, საგალობელში შიგადაშიგ ბგერათა ჯგუფს სტოვებდა, უადგილო ადგილას ხმას აკანკალებდა ან ხრიალებდა, ხაოდა. აღარ ინდობდა თავის პატრონს, აღარც უგონებდა; მორჩილებიდან მთლად გამოსულიყო. ვაჭარს სისხლი ყელში მოჰბჯენოდა, ბოლმით ძლივსღა ჰსუნთქავდა, თვალები შესწითლებოდა; თვის მანქანას მტრულად უყურებდა, თითქო, ეს არის, ყელში უნდა სწვდესო. გრამაფონი კი სრულებით არ გრძნობდა პატრონის რისხვას, გულგრილად განაგრძობდა თავის უარშიობას, დაუნდობლად ამახინჯებდა ლამაზ-ლამაზ სიმღერებს; პატრონის შეტევაზე თუ მუქარაზე წარბსაც არ იხრიდა უგრძნობელი, მის დარდსა და ვარამს ისხლეტდა გულსიპი, ზედ არ იკარებდა.

თანდათან მეტის ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს იოსების ტანჯვას და მის მანქანის გულქვაობას. კაცის ტანჯვა მართობდა იმ მოწყენილობაში! ვერ წარმოიდგენდით, რა ძნელია გართობას ნაჩვევ ადამიანისათვის უსაგნოდ სიარული და წუთების თვლა! ძნელი უფრო ის არის, რომ ამისთანა შემთხვევაში დღე ერთობ იზრდება, იჭიმება, დაუსრულებელი ხდება. მანამ კალენდარს ერთ ფურცელს მოაცლი, ერთი კვირა გამოდის. დღე თიბათვის ცხრიდანვე კლებულობსო. ტყუილია! იქ, იმ სოფლად, დღე მკათათვეშიაც იზრდებოდა, დაუსრულებლივ იძაბებოდა.

როგორც იყო, მიიწურა მკათათვეც. გლეხებმა ძნა შემოზიდეს და კალოობას მიჰყვეს ხელი. სწორედ ჩვენი უბედურების ჟამი დადგა. სისხამ დილიდანვე ხმაურობა, ყიჟინა, ჰოროველას ძახილი, ხარების ლალვა-ლანძღვა მოსვენებას არ აძლევდა ადამიანს. გადიხრებოდა თუ არა მზე და წამოვიდოდა გრილი სიო, საშინელი ბუქი დატრიალდებოდა მთელ სოფელში: ყველა კალოზე დაიწყებდნენ ნიავებას და მოჰქონდა ნიავს ფერფლივით ბზე; მთელი სოფელი ივსებოდა ამ ფერფლით, აივანზე შემოდიოდა ბზე, დერეფანში იფინებოდა; თმა, წვერი, ნესტოები, ხახა სავსე იყო ამ საშინელი ფერფლით: სააგარაკო ადგილს კალოები შემორტყმოდა სამივ მხრივ და მთელი ბუჩო ზედ სახლებზე მოჰქონდა ნიავს.

ბევრი შესძლებია ადამიანს. ყოველდღე მთელი საათობით ბზის ბუქში გახვეული მუშაობა! მიკვირს, ფილტვები რატომ არ ევსებათ ამ საშინელი მტვრით და არ ეფლითებათ! ალბად სხვა რამ გამძლე მასალიდან არიან გაკეთებულნი, რომ მაინც შავ-წითლად ღვივიან, მეტადრე მათი გაზტიტველა გოგოები. ღვთის წყალობა გაქვთ, ჩემი მელო იკადრებდა ხოლმე ხეებ ქვეშ გაბმულ ჭოჭინიდან აბრძანებას და ტყეში ღრმად გასეირნებას, სადამდინაც ვეღარ უწევდა კალოს მტვერი.

მოგვესპო სუფთა ჰაერიც და დაჰკარგა აგარაკმა ყოველივე აზრი. მოწყენილება ტანჯვად გადამექცა. მოწამლული თევზივით მივდ-მოვდიოდი უაზროდ, ბრმა-ბრმად, უმიზნოდ: ერთი ნუგეშიღა ღვიოდა ჩემ გულში: კიდევ ორი კვირა და მოეღებოდა ბოლო ჩემს სამძიმო ყოფნას; ჩავიდოდი ქალაქს და ისევ დავიწყებდი ადამიანურ ცხოვრებას. თითქმის მთელი ღამე სუფთა და განათლებულ ხალხთან ბანქო ან ნარდი, შემდეგ მშვენიერი ვახშამი განცალკევებულ ოთახში სასიამოვნო ხალხთან, დღის თერთმეტ საათამდის ძილი, მერე ერთი-ორი საათი სამსახური, სადაც მხოლოდ ხელის მოწერა გჭირია და ხანდისხან ხელქვეითთა მედიდური შეფახვა, რომ თავს არ წავიდნენ; რჩეული სადილი, ბატონკაცური მოსვენება სადილთ უკან; ეტლით ლბილად ქანაობა განათლებულ-განათებულ ქუჩებში; თვის ოცში მთელი კალთა ფული.

ადამიანური ცხოვრებაა კეთილი! მართალია, მანამ მივაღწიე ამნაირ ცხოვრების კარამდინ, მეც საკმაო იწროება გამოვიარე, მაგრამ უშრომლად ხომ არა მოდის რა. და ეხლა ჩემგან თუნდ დროებით დატოვება ამისთანა ცხოვრებისა რაღაც სუნების კალთაზე განმარტოებულად ყოფისათვის სწორედ უაზრობაა შეუფერებელი. მაგრამ ვინ შეჰმართამს ჟინიან სურვილს ჩემის მელოსას?! ღვთის განგების უარყოფა შესაძლებელია, მისი ნდომისა კი არა.

მაინც ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ამ დანარჩენი დროის გატარებაც და ვეტანებოდი ყველაფერს, რაც კი მცირედ რამ ცვლილებას მაინც შემოიტანდა ჩემს ნირუცვლელ ყოფაში. ამისთვის იყო, რომ ნამდვილ მესიამოვნა, როცა კარდაკარ დაატარეს განცხადება, მსახიობები ჩამოსულან და კვირას წარმოდგენას ჰმართამენო; წარმოდგენის წინ სეირნობასაც მოაწყობენ ბაღში სხვადასხვა გასართობებით და სანახაობებითო, მუსიკაც იქნებაო. ვინც კი იყო იქ საბარაკოდ, ყველა სასეირნო ბაღს მიაწყდა იმ დღეს. მოახლეებიც კი მორთულიყვნენ და ქალბატონებს ამოსდგომოდნენ გვერდში; ვერც კი გაარჩევდი, რომელი იყო მათში ქალბატონი და რომელი გოგო, თუ ფრჩხილებზე არ დაჰხედავდი. ან რა საჭიროა ამეების გარჩევა იმისთანა ბიამან ადგილას, მეტადრე თუ სარჩული სჯობს საპირეს? ბავშვებიც მოეყვანათ. ყველასათვის იყო შესაფერი გასართობი. ვნახე თვით მსახიობებიც. წვერულვაში მოეპარსნათ, შავი ფარაჯები წამოესხათ, წინ ბრჭყვიალა ბალთით შებნეული, საოცრად გაზნექილი ქუდები ჩამოეფხატნათ. ვინ იფიქრებდა, რომ სააგარაკო არტისტები იყვნენ იგინი და არა ნამდვილი მსახიობნი?! ვიარე, ვათვალიერე, ვამთქნარე და ბოლოს მაინც იოსებას ფარდულისაკენ გავსწიე ყელის გასასველებლად.

საკმაოდ მისულიყო მუშტარი. ზოგი ლუდსა სვამდა, ზოგი შარბათს, სხვა ხილს შეექცეოდა ან ისე იჯდა დასასვენებლად. მომართვა იოსებმა ლუდი. მისმა სახის გამომეტყველებამ გამაკვირვა: მკვეთრი რამ ჯავრი აღბეჭდოდა. შუბლზე, მრისხანება მოუთმენლად ღელავდა მის თვალებში. არ დაველაპარაკე: გუნებაზე არ იყო. მამართვა სასმელი და გატრიალდა, ისევ გრამაფონთან დადგა, უკრავდა მისი გრამაფონი, მაგრამ არაქათი გამოჰლეოდა, ხმა ჩაჰხლეჩოდა, სულთმობრ-

ძავივით ხრიალებდა. დაჰყურებდა ვაჭარი თავის მანქანას, თავის იმედს უკანასკნელს და სისხლი ენთხეოდა გულზე, თვალები ემღვრეოდა, შუბლი ეჭმუხნებოდა.

— რა დროს მიმტყუნა! — ჩაილაპარაკა ყრუდ.

და ნაბიჯი წარსდგა წინ. სახე აელეწა, თვალები აეგზნო, თითები ბრჭყალებივით დაუკავდა და დაეჭიმა. მანქანამ ყურადღება არ მიაქცია პატრონის უკიდურეს ღელვას და სწორედ საყურადღებო ადგილას ჩახლიჩა ხმა.

— მაშ ეგრე! — წამოიძახა ვაჭარმა.

და სწვდა გრამოფონს ყელში. წამს მოუგრიხა კისერი მოღალატეს და მისი ნამსხვრევები ფარდულის წინ გაფანტა. გაცოფებულმა ველარ შეიმაგრა თავი და მიჰყო ხელი დუქნის ავლა-დიდებას. — მაშ ეგრე?! — ხრიალებდა იგი გამწარებული და მის ხელქვეშ ნადგურდებოდა ყოველივე. გაჩნდნენ მოწესეები, სტაცეს ხელი გაშმაგებულს.

მაშინვე გამოვეცალე: ამისთანა ამბავს შარი სდევს და რა ჩემი საქმეა სახიფათო შემთხვევები?

7

მთლად მიიწურა ზაფხული. მოიღრუბლ-მოიქუშა ცა. დაიწყო განუწყვეტელი წვიმები. ატალახდა ეზო, გზა, მინდორი, ტყე; მუხლამდის საფლობი ხლარცვები და წუმპეები გაიმართა ყველგან. არავითარი ფეხსაცმელით გავლა აღარ შეიძლებოდა. ერთადერთი საშუალებაღა იყო, მუხლამდის დაეკარწახებინა ადამიანს და ეტოპნა. ეხლა გავიგე, რადა ჰქონდათ იქაურ დედაკაცებს დაგრეხილი ფეხი ან დაპრანჭული თითები: წლითი-წლამდის რომ ისე ზილო ტალახი, ვერაფერი საალერსო ფეხი გაგეზრდება.

გათავდა ზაფხული და ნათელმა შემოაშუქა ჩემს ჩახშულ გულში. ისეთი სიხარულით მივეშურებოდი ქალაქში, როგორც ეშხში მოსული ახალგაზრდა დანიშნულთან. ხუმრობაა: თითქოს სამი თვე ველური ცხოვრება, ყოველნაირ შნოსა და აზრს მოკლებული ყოფა! ბანქოს ხელში ჭერასაც კი გადავეჩვიე. გული გამეღო, ქალაქის ქუჩებს რომ შევხედე. წავედ ჩემს დალაქთან. ბევრი იცინა, როცა ნახა, როგორ საარაკოდ გავეკორტნე საგარაკო დალაქს. საუკეთესო ხელოსანია ჩემი დალაქი, თუმცა ერთი თვალი ცოტა დაზიანებული

აქვს. თავის დღეში არ ანდობს ჩემს თავს თავის ამხანაგებს. უმთავრეს ქუჩაზედ აქვს სადალაქო, ზედ უწერია „პარიკმახერ სტეპან“, ისე კი ბრუტიან სტეფანას ეძახიან. რამდენ რასმე მიამბობს ხოლმე, მანამ მკრეჭამს: ძველი ნაცნობია. ვნახე ადამიანის შესაფერად მოწყობილი ბანოც: ყოველივე მწიკვლისაგან განვიწმიდე! საკვირველი ის იყო, რომ ქალაქი ახალ რამ საუცხოო სანახავად მეჩვენა. ერთხელ მძიმე ავადმყოფი ვიყავი და რომ გადავრჩი, ქვეყნიერება სწორედ ესევე ახლად მეჩვენებოდა და მიმზიდველად. მეგობრებს რომ შევხვდი, წინაღამ გადავეხვიე, ისე მომსურვებიყო მათი ნახვა.

ჩემს მელოსაც, ვგრძნობდი, უამა შინ დაბრუნება. ღვთის წყალობა მაქვს, სული ამოეხუთა მარტოობით! ალბათ ეგონა, მეგობრები უსათუოდ მოსძებნიდნენ მას, გველის ხვრელში გაძვრებოდნენ და იპოვნიდნენ. მოტყუვდა. გაბრიელმაც კი აღარა გვნახა. წავიდა ის დრო, როცა ოცნებათა ნიავი უქროდა მარტოობას! მე კი ვატყობდი, რომ ეწამებოდა, წარბებშუა რომ ნაოჭი ასდევს, იმაზე ვატყობდი. მაგრამ გული გაიკლდევა და მოწყენილობის ნასახიც კი არ დაიმჩნია. თითონ იყო ყველაფრის მიზეზი და იმიტომ. იცი? სამოთხიდან განდევნილ ევას ტყუილად ჰხატამენ შემნანებელ თუ დამკრთალ-დაღონებულს. იგი ჯიუტად იდგებოდა თვით მეუფის წინაშე გაკერპებულ-გაქვავებული; წარბსაც არ შეიხრიდა მაშინაც კი, როდესაც სხივთაგან შეთხზული ტანთსაცმელი შემოსძარცვეს და ტყავი ჩააცვეს ლოხიანი, რომ აშკარად აღარ ებრწყინა მის სანდომ სიმშვენიერეს.

განვლო ჟამმა. თვისსავე კვალში ჩასდგა ჩემი საყოველდღეო ცხოვრება და მიმაჭანებდა რბილად, შეურყევლად, უზრუნველ-უფიქრელად, ბატონკაცურად. მიიწურა შემოდგომა. მოახლოვდა ზამთრის დღესასწაულები და ახალ-ახალი გართობების დრო შინ თუ გარედ, ისე ეტანებოდნენ მშვენივრები დიდ-დიდ მაღაზიებს, როგორც მლოცავი თეთრ წმინდა გიორგს. გაუტია ჩემმა მელომაც და დააქროლებდა ეტლს აღმა თუ დაღმა. სულ დამავიწყდა გავლილი ზაფხული, მისი სახე მთლად მიეფარა ჩემი ვონების თვალთაგან: საკმაოდ დავლიე ლუდი და შარბათი იმ საკვირველ ადამიანის ფარდულში და სასყიდელი კი არ მიიღო ჩემგან. სრულებით არა ვარ ჩვეული რამე ავიღო უსასყიდლოდ, მერე იმისთანა საწყ-

ლისაგან. ეს მაწუხებდა. ვისთვის მიმეცა ფული და გადამეხადა მოვალეობა, როცა ის კაცი მთლად დავკარგე თვალიდან: შემთხვევით ვერა გავიგე რა მისი და განძრახ კი არ დავუწყებდი ძებნას ვიღაც გაკოტრებულ და გადარეულ მედუქნეს. ძალიან კი მინდოდა მომეშორებინა ის ვალი, რადგან, სხვა არა იყოს რა, ზაფხულს მაგონებდა ის, მე კი მინდოდა მთლად აღმოფხვრილიყო ჩემის მეხსიერებიდან იგი დრო.

8

დადგა დღესასწაულები. ეხლა მთლად უნდა აგვეშო კუჭი და ერთმანეთში ქეიფით გვეტარებინა დღეები. უბრალოდ იწყებოდა პურობა, მცირე საუზმით, საუზმეს მოსდევდა დიდებული სადილი, სადილი გარდაიქმნებოდა ვახშმად; მერე ცეკვა-სიმღერა თუ ბანქო და ისევ გავიდოდა მთელი დღე-ღამე, როგორც რამ წამი საამო.

უფროსთან ვიყავ მიწვეული სადილად. თმა-წვერის გასასწორებლად წაველ დალაქთან. ყოველთვის სუფთად უნდა წარუდგეს ხელქვეითი მეუფროსეს, რომ მისი აზიზი გრძნობა არ შებღალოს: დიდკაცს თავმოყვარეობაც დიდად განვითარებული აქვს, გული თუ გრძნობა განაზებული; არას დროს არ უნდა შეამღვრიო მისი გუნება. მეც ესე ვითხოვ ჩემ მრავალ ხელქვევითთაგან. სახლში როგორც უნდათ, ისე იცხოვრონ, ეს მე არ შემეხება. ჩემს წინაშე კი სუფთად უნდა იყვნენ და ღირსეულად, მეტადრე თუ სახლში მივიწვიე ვინმე მათგანი. მომეგება დალაქი, სავარძელი მომიმარჯვა, საკრეჭ-საპარსი იარაღი ჩემს თვალწინ გაავლო განმწმენდელ ალში, რომ შემთხვევით უსუფთაობა რამ არ შერჩენოდა ზედ. მეორე სავარძელში სხვა ვინმე ჩამჯდარიყო, თეთრსავე ჩარსავში გახვეული და მეორე დალაქი მას დასტრიალებდა თავს. ჩემ წინ რომ სარკე იდგა, იმაში სჩანდა ის. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ის სხვა დალაქის ხელქვეითი სიცილს ძლივს იკავებდა, მეწყინა; მუშტრის უპატივცემულობა იყო ეს; შეიძლება ჩემს გვერდითაც ესე თავხედად მოიქცეს ვიღაც დალაქის ბიჭი. შუბლი შევიკარ. გაათავა იმ დალაქმა სამუშაო და შეჰხსნა მუშტარს ჩარსავი. გავკვირდი; დაფლეთილი კაცი ადგა საავრძლიდან. მორჩა ჩემი დალაქიც. ავღექი. იმ დაგლეჯილმა მუშ-

ტარმა ჩაიყო ხელი ჯიბეში, ცარიელივე ამოიღო ხელი, წყნარის ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან. ვითომ დასდვა ზედ ფული და გამოტრიალდა... სახტად დავრჩი: ის იოსება იყო, აგარაკში გაცნობილი ვაჭარი, ლუდს რომ მასმევდა ხოლმე. ჯერ ცოტა დავიბენ, მაგრამ მალე მივხვდი, როგორ ადამიანთანა მქონდა საქმე.

— გამარჯობა შენი, იოსებ ივანეს ძევ! ხომ გახსოვარ!

— როგორ არა! ჩემ სავაჭრო ფარდულში საჭმელებს რომ მიირთმევდი ხოლმე ზაფხულში.

— ჰოდა მაშინ შენი ცოტაოდენი ბუჩუღი გამომყვა და ინებე ეხლა! — ვუთხარი და მივაწოდე წითელი.

თუმნიანის დანახვაზე ჯერ უეცრად აღელდა და აღტაცება დაეტყო თვალებში, მავრამ მალე ისევ წყნარი გამომეტყველება მიიღო და დინჯად ჩამომართვა ფული.

— არ დაკარგო, შენს ცოლს მიუტანე, — უთხრა დალაქმა.

— მე ვიცოდი, რომ პატიოსანი კაცი ბრძანდებოდით. ჩემი მოვალეები რომ ესე პირნათლად გადიხდიდნენ ჩემს ვალს, ისევ პატივსაცემი სოვდაგარი შევიქნებოდი. ეჰ, ისეც არა უშავდა რა, თუ შეჩვენებულ გრამაფონს არ ემტყუნა ჩემთვის, — სთქვა იმან და ამ მოგონებაზე აღელდა, აირია, მსწრაფლ გავიდა დუქნიდან ხელების ქნევით.

— საწყალი! — სთქვა დალაქმა, — მშვენივრად ვაჭრობდა, უზრუნველადა სცხოვრობდა, მაგრამ ამხანაგმა უღალატა და დაღუპა. ამ ზაფხულს დარდზე გადარეულიყო და საგიჟეთში იჯდა ცოტა ხანს. ჩემი მუშტარი იყო. თქვენც შეჰხვედრიხართ აქ, მხოლოდ ყურადღება არ მიგიქცევიათ. თმა-წვერის გაკეთებაში მანეთზე ნაკლებს არ დასდებდა მაგიდაზე. ეხლაც ორ კვირაში ერთხელ აუცილებლივ მოდის და ისევ წინანდებურად იქცევა: ვითომ ამოიღებს მანეთს და დასდებს მაგიდაზე იმავე ადგილას.

— მაშ დაჰკარგამს იმ თუმანს.

— არა, ცოლს მიუტანს. არც ისეღა არის გადარეული. მხოლოდ თუ გრამაფონი დაინახა ან მისი ხმა გაიგონა, ფრთხება და ფოთდება: ჩემი მტერი არის, ჩემი დამღუპველი შინაური მტერიო.

1914 წ.

სავასეძო ნამცხვარი

1

მაგიდა დატვირთულია ფერად-ფერადი სანოვაგით. ხელგაშლით უხვობს მგბარი თუ მწვარი. შეწითლებულ გოჭს ფურინჯის ნაჭერი უპყრია პირში და მაცდურად უღიმის მახლობელ მეინახეს. ფაიფურის ტაბაკზე მიწოლილ შემწვარ ბატკანს ყელი მოუღერებია და ტარხუნას აკნაწუნებს. ფელიქსს კალთა გადუხდია დაბროწილ ბექის საჩენად და მძლედ იზიდავს ნამარხულევს მადას მსუქანი; ტანი ქალალდის ჯინჯილით შეუმოსავს. ხელი არ გაეპოხოსო ჩემ მოტრფიალეს. ინდოურს თეთრ-წითლად გადმოუდვია ლანგრის თავს გულ-მკერდი და ჩასთვლემია ჩაფიქრებულს. რა დელამა, რა ყველი! ნაღები, კარაქი, ხაჭო ტკბილად ნაზავი. უამრავად მრავლობს ფერადი ნუზლა, მაღვიძი მადის მჟავე თუ მწარე; სანუკვარ-სატკბილობელიც კი ყოველი სახე. ტანსუფთა გოჭი ყელმოდგმული ხოშ-გუვარით სავსე. ყარყარა კრიანტელი ლალისფერ ნექტარს რომ აციმციმებს. სუფრის შუაზე კოხტა ჩოღრათო, ყელგაგრეხილი კულა ვერცხლისა. თაიგულები ჭრელ-ჭრელ მაშრაფებით. და... მაგიდის თავს წამდგარი პასექის მცხვარი ლიტაო, ნაძვის ღეროსავით აწეულ-აზეული, თავგვირგვინოსანი, ყანდის ჯვარით მორთულ-შემკული. ეს ტანშეყრილი ცნობილი და სუფრის ბოლოს ნებივრად დებული პირყირმიზი ფუნთუშა, ზევიდან ჯვარედინად ჩანაჭდევი, იყო ამ წუთს დიასახლისის სიამაყე.

— საკუთარი ხელით შემითხზია ორივე, ამართული მშვენებაც სუფრისა, ფუნთუშაც ფაფუკ-მაფუკი. იმედია, მოგეწონებათ, კიდეც შემაქებთ! — მიმართა მანანამ სტუმრებს ღიმილით.

და თვითონ აიღო დანა ნამცხვრის ჩამოსაჭრელად. არ გაუჭრა მახვილმა. ძალა მისცა მაჯას, მაინც ვერ გააკვეთინა.

ლანის პირი ასხლტა კანს, მედგრად დააჭირა. დანის პირი შოეკიდა ქერქს, ვერც კი ჩაკვეთა და, დახე, წელში მოიხარა შცხვარი აშოლტილი. აიღო სხვა დანა. ვერ გააჭრევინა. ჩაიზნიქა მაგიდა. შეწკრიალდნენ წვივმაღალი ჭიქები. წამოიყარა შროლის კრიანტელი და დაატეხა თავი მახლობელ დოქს. წატშორდა მეწამული სპეტაქ სუფრაზედ. შეუწინწკლა ქალბატონსაც საკარმანგი გოარშეყრილი. გახედა სტუმრებს. ორაზროვანი ღიმილით მისჩერებოდნენ. ვეღარ მოითმინა:

2

— სულ შენ ხარ, ჩემო მტანჯველო, აღდგომისაც ჩამშხამებელო! დანები არ დაგილესინებია, არც მაგიდის ფეხი ჩაშოგიშვია... დანა... ფეხი...

— რას ამბობ, ქალო! რა დანა? როგორ თუ ფეხი?!

— ფეხი-მეთქი, შე...

— გაიღვიძე, გენაცვა, გაფხიზლდი! ალბად მაჯლაჯუნა დაგაწვა. ფეხი სრულებით არ მომიხვედრებია.

— მაგიდა ჩაინგრა...

— მაგიდა კი არა, ქალო, ტახტმა დაიწია. ხვნეშოდი, იტანჯებოდი. მინდოდა გამეღვიძებინე და მუხლით დავებჯინე ტახტს.

წამოიწია დედაკაცმა თავი, თვალები მოიფშვნიტა. სიზმარი ყოფილიყო. ქმარი გულგადაღეღილი დასცქეროდა. დათვის ტოტებივით მკლავები ბალიშზედ დაებჯინა.

— სიზმარი?!

— ჰო, ქალო!

— კარგი, რომ ზმანება ყოფილა! გავიტანჯე.

— სულ გეუბნები, პირქვე ნუ იცი-მეთქი წოლა. სახე ჩაგლურჯებია, თვალები ჩაგსისხლებია! — უთხრა ქმარმა.

და უნდოდა ხელი შეეხო ხორციან ლოყებზედ, მაგრამ ვერ გაბედა: შუბლის ნაოჭი ჯერ არ გახსნოდა დედაკაცს, იმ ნაპრალისა კი ისე ეშინოდა გაბოს, როგორც აფთართა სავანე ღრანტესაგან.

— გაბო, წყალი მომაწოდე!

გადმობობღდა ზერდაგი, ახალი სამფსონივით ფაფარაშლილ-გაბარდღული. მიართვა, ჩაყლაპა ქალმა.

— გულზე მომისვი, ღაბოჯან!

მოუსვა წყალი ნასუქ მკერდზედ, თეთრ-თეთრ ბორცვებზედ, თითქო გორებზედ, თითქმის რომ მთებზედ. ეგემრიელა.

— დამახურე: შემაჟრჟოლა.

დაწყნარდნენ. ჩაითბუნეს. გამოიშუშნენ. გაბო ნაჩვევი არ იყო ხშირ ალერსს და ეშხით დათვრა, გაყვინიზდა. ლოგინშივე იდო, ბანჯგვლიანი, ხელები საბანზედ ამოეყარნა. ქალი ხარბად მისჩერებოდა მის ხელნასავით მკლავებს. ნებიც კი აუსვ-ჩაუსვა. ჩადნა კაცი. გულის ბჭე საალერსოდ გაუღნიოშდა. გაყუჩებულიყო დედაკაცი, ითმენდა; არ ირუშხებოდა. კიდეც იღიმებოდა.

3

ეს იყო ბზობას: ამ დღიდან გაბოსათვის აღარ შეკრულა მანანას შუბლი წინად მოღუშული. სახელიც ახალგაზრდობისა დაუბრუნდა, დანიშნულებისა თუ გაფურჩქვნის ხანისა.

— ღაბოჯან, ე მანდ ჩემი მაშიები აწყვია, მომაწოდე!

და ღიმილად გარდაქმნილი ვაჟკაცი მორჩილად მოარბენინებდა ბჭყვრიალა ფეხსაცმელს.

— შეუძლოდ ხომ არა ხარ, ღაბო, ცოტას რომ სჭამ? იქნება ზეთით არ გიამება. მცირეც მოითმინე, გენაცვალე!

და მადლიერი ღაბუა ორივე მხრით იყრიდა მაფრაშაში ფლავს, რომ მომტკბარ მეუღლისათვის ეჩვენებინა, რა ჯანსაღად იყო. მადიანად. ეს არაფერი. მეუღლეთა შორის ზოგჯერ მზეა და ზოგჯერ კი ცა რისხვა... ეხლა გაზაფხულის მზე ბრწყინავდა მათ შორის და აღტყინებული გრძნობები ვნებათა ბჭემდინ მიჰქროდნენ. ბუნებრივი იყო. მხოლოდ ის იყო საგულისხმო, რომ ქალი მეტის ნდომით უმზერდა ვაჟკაცის მკლავებს, ფართოდ მოზომილ მის მაჯა-თათებს.

— აი რა არის ვარჯიშობა! ბუნებისაგანაც უხვად ვიყავი დაჯილდოებული მკლავთა სიმსხოთი, ახლა ვარჯიშობით განვავითარე ეს ჩემი სამკაული და შევავსე. აკი ვამაყობდი კიდეც მკლავების მოყვანილობით, — წარსთქვა გაბომ.

და გაახსენდა ის ხანი, როცა ჭაბუკი მძიმე საწონთ ისროდა ხელთა სავარჯიშებლად და ან ველოსიპედზე დაქანაობდა მკლავებშიშველი, ყელღია ტალავარში გამოკვართული.

მანანას იმ ვარჯიშობის დროს მოსწონებოდა. მერმე დაივიწყა ქალმა თვალსაჩინო მის სამკაული, ბევრი რამე დაივიწყა მანანამ შემდეგ. მწარეც ბლომად ასვა პეშვით თუ მუჭით. ეხლა ისევ გადაიარა ბნელმა დრომ, მადლობა ღმერთს, ლხინში მყოფს არ ჰმართებს წარსულთა ჭირთა ხსენება, ფიქრობდა ბედიანი...

და ისწრაფვიდა ესარგებლნა კარგი წუთებით, წაღები მოეხადა დაბრუნებულ მსუქან დროსათვის. მარად ქალის თვალთ წინ ატრიალებდა დალოცვილ მკლავებს, რომელთ სამისოდ კვლავ მოულხვეს გული მყინვარი. რაც ხანი გადიოდა, მანანა უფრო ტკბებოდა, უალერსებდა, ყანდად ადნებოდა. ნაზ შაქარლამად.

4

— გაბოჯან! ხომ ამდენ რასმე ვყიდულობთ სადღესასწაულოდ, მაგრამ, იცოდე, აღდგომის სუფრის უმთავრესი მშვენება არის საპასექო ნამცხვარი. თუ ის ვერ არის კარგი, ამაოა ყოველგვარი სანოვაგე, მისი საუკეთესოდ შემზადებაც.

— მართალს ამბობ, ჩემო კარგო!

— ყველა დღესასწაულს თავის საკუთარი რამ ახლავს მამშვენებელი და იმითი ამაყობს: ახალწელს გოზინაყი, ფერისცვალობას ნუგბარი ხილი, ხარებობას ზურგიელი, აღდგომას მწყობრად ასული ლოლუა ნაფუარი და კიდევ ნებივრად მიწოლილი ფუნთუშა პირპოხილი, კვერცხნაცხები, წითლად მბწყინავი.

— მართალს ამბობ, ჩემო ჭკვიანო! ყველა დღესასწაულს თავისი შნო სდევს და თავისი მაშვენი არზანიკი.

— შარშან ხომ ძვირფასი სამზადისი გვქონდა, მაგრამ უშნო ნამცხვარმა ჩაჩრდილა ყველაფერი. მეც დამამცრო სხვა დიასახლისთა შორის, თუმცა, ჩვენთვის ვსთქვათ, რითი მჯობიან.

— ოღონდაც რომ ვერაფრით.

— შარშან კი მაჯობეს. სულ თეონას ბრალი იყო, ვერ დაეზილა პასექის ცომი.

— რატომ არ დაითხოვე, გენაცვალე?

— იმისათვის, რომ ძალიან კარგი მზარეულია. მაგრამ

მკლავები კალიის კლანჭებს მიუგავს და მაგისი დაზელილი ცომი რა უნდა იყოს?! მე კი... ნახე რა ფუნთუშა ხელი მაქვს, მაგრამ ძალა არ მომდევს, მაჯები მწყდება მძიმე საქმეში.

— რბილია დალოცვილი, ნამდვილ ფუნთუშა და თან ნაზი, საალერსო.

— აი შენისთანა მკლავები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ოც წუთში მოაქნიოს, ალვასავით დაზილოს ცომი.

გაბომ დახედა თავის მკლავს, მიუტოლა ცოლისას.

— რა თეთრი მაჯა გაქვს, მარად საკოცნელი! ერთი მაჯაზედ, ოხაი! ერთიც იდაყვთან, რა ტკბილია!

— ეჰ, სჯობს მევე მოვზილო. კარგია თუ თეონა დროზედ მოვიდა, ცოტას მაინც მომეშველა.

— აბა წამო, ვნახოთ რა მშვენიერი ფქვილია და მასალა; ჰუმი იჭმევა!

5

წავიდნენ. იქაურობა სავსე იყო ყოველგვარი მასალით: რძე, ერბო, კვერცხის გული, გაცრილი შაქარი, სანელი სუნნელოვანი, მზაქმნილი საფუარი. დაიმკლავა მანანამ. მოაქანა ცომი, მალე ჩამოყარა ხელები.

— არ შემიძლიან! დედაკაციც აქ არ არის, რა არის, ბეჩა, ცოტა წამეხმარო. ერთად მოვზილოთ. კარებს დავკეტავ, არავინ გვნახოს.

— კარგი! მასწავლე კი.

ქალმა მარდად გადიბანა ხელები. გახადა კაცს ზედა საცმელი, მაღლა აუკეცა სახელოები. გაბო ეხლა თითქმის ისე იყო ჩაცმული, როგორც ახალგაზრდობისას ბურთაობის თუ სხვა სავაჟკაცო ვარჯიშობის დროს. შეუდგა საქმეს. არც ისე ძნელი ეჩვენა პირველ ხანს. იცინოდნენ, ლაღობდნენ, გაზაფხულის ხანი დაჰბრუნებოდათ. თანდათან შეძნელდა შრომა. შენივთდა ცომი, მძიმე სატკეპნელ-საბრუნებელი შეიქმნა. ოფლი დაეძრა ვაჟკაცს. ცოლმა თავის ხელცახოცით შეუმშრალა შუბლი თუ თვალები, სუნნელება-ნაპკურებ ხელმანდილით. ამისთანა ყურადღების შემდეგ შეუძლებელიღა იყო ცომიდან ხელის ამოღება. ოფლი აღარა შრებოდა.

— იცი, გენაცვალე, ხილაბანდს გადაგიკრავ: ოფლსაც შეიშრობს, თმაც აღარ დაგებუქება.

— კარგი!

— მოდი ფეშტამალსაც აგაფარებ.

— როგორც გინდოდეს.

მარჯვედ მოიგონა მანანამ: ჯალჯივით თმა მთლად აჰფურტკნოდა, შუბლზედ თუ საფეთქლებზე დაჰკროდა დასველებული; ფქვილის ნაბუარა გადასდიოდა. მოარტყა ფეშტამალი. წააკრა ხილაბანდი. თავსახვევის წვერები აუთამაშდნენ მბუქნავ აჩრდილს. სცადა თავი დაეხსნა უჩვევ ჯაფისაგან, მაგრამ ველარას გახდა: ცოლი ეხვეწებოდა, ბოლოს კიდეც ჯავრობდა.

— იცოდე, თუ შეაყენე ზელვა და შეაგრილე ცომი, მთელი მასალა დაიღუპება. ვის დავუძახო ეხლა?! თეონაც შინ არ არის. მე კი, კარგად იცი, მაგოდენა ცომის ბრუნება ვერ შემიძლიან.

ქალს ხმაში მკაცრი ბგერა შეაჩნდა. გაბომ მშვენივრად იცოდა ამ ხმიანობის შედეგები, ნაწვნევი ჰქონდა. შეხედა. შუბლზე ნაოჭი ჩაღრმავებოდა, თვალებს სასტიკი იერი მიეღოთ. ხაფანგში მოჰყოლოდა ვაჟკაცი. ხელები სულ დაეგალა, შიგადაშიგ აეწვა ესეთი ბრძოლის უჩვევი კანი. ოფლი წურწურითა სდიოდა. გული უღრინავდა, უღონო ჯავრი ახრჩობდა. ჯაფას მაინც აგრძობდა. დატოვება ველარ ხერხდებოდა.

— კარგი, გეყოფა! სულ დაბეგვე საზელი, დახე, ქვა არის რაღა უდრეკელი, საფანელიც მეტი აქვს. როგორღა უნდა აფუვდეს?!

6

წითელი პარასკები იყო. ქალაქის ბაღში შეყრილიყვნენ ერთი კბილის კაცები. ჯგუფად იდგნენ, დაწყნარებულნი კი ვერ იყვნენ; შინიდან მოელოდნენ დაძახილს თუ დავალებას. უბნობდნენ, მსჯელობდნენ.

— კარგი დღესასწაულია აღდგომა, მაგრამ დიდი ხარჯი სდევს, ბევრი საზრუნველი.

— მთლად ბერტყავს ჯიბეს: ახალი თუ გაახლებული ტანსაცმელი, საჩუქბი, მრავალგვარი სანოვაგე, ნაირ-ნაირი სასმელი. გაქვს თუ არა გაქვს, უნდა მოახერხო.

— მერე როგორ სტყუვდები, რაკი ჩქარობ! ბატკანი ვიყიდე მუხლმაღალი, მალხაზთვალებიანი, ბამბასავით თეთრი, გამყრჩვალი გამოდგა. გამიწყრნენ; სამარხოაო, ვნების კვირაშიც იჭმევაო.

— შარშან მომივიდა ოინი: გოჭი ვიყიდე შავი, კანიც შავი ჰქონდა; აპუხტივით იდგა ლანგარზედ ჩემი ცოდვით სავსე; შემძაგდა შავი ფერი.

— ეგენი არ მაწუხებს; ფულს ვახარბებ, სხვას ვსაქმებ. სახლის დალაგებამ გამომდევნა შინიდან. მთელი ოთახები ძირს დასცეს, აღმა ააბრუნეს.

— ქართველის ოჯახი თუ დღესასწაულებში არ იგვებ-იწმინდებოდეს, ნაგვით აივსებოდა.

— ყველა ყველასა ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსა. მე სააღდგომო ნამცხვარმა გამიმწარა ყოფა, — ჩაურთვა გაბომ!

— ეგ საზრუნველ-სადრტვინველი ყველა ოჯახშია; დიასახლისებს მაგითი მოაქვთ თავი, უთუოდ თავიანთ გამოცხობილით.

— ნეტა რა მოგონებაა. გამოაცხონ ნაზუქი და მორჩეს!

— არა, მაგ ძველისძველ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღდგომა გაზაფხულის დღესასწაულია, ზამთრის ძილიდან ბუნების გაღვიძებისა, მისი ნაყოფიერების გაცხოველებისა; სითბო-სინოტიეს ხანა, აღიებ-აღორძინების ზეიმი. შეხე, ბუნება ქალაქ ადგილასაც კი იხარებს: ხეები ყვავილად გადაპენტილი, ნორჩი მდელო ზურმუხტად გაშლილი ყვავილებითვე მოქარგული. ფრინველთ მხიარული ჟღივილი. ყველა სულდგმული ისწრაფვის სატრფიალ-სანაყოფოდ. ჩანერგილია ნიჭი განმრავლებისა და უნდა იმრავლო, მცნებადა სძევს აღორძინება და უნდა გაფუფუნდე.

— საიდან სადაო! მე ნამცხვარზედ გეუბნებოდი.

— მაცა! ქრისტიანობამდისაც ბუნების განახლების ხანა, მისი ნაყოფიერების დრო აღფრთოვანებას იწვევდა. ყველა რჯულში აღნიშნული იყო ეს სადღესასწაულო დრო, ღმერთებიცა ჰყვანდათ ნაყოფიერებისა, ქალ-ღმერთნი თუ ვაჟ-ღმერთნი. მეტადრე ქალები იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას ამ ზეიმში უფრო დედანი არიან ჭურუმნი ნაყოფიერებისა, მუშაკნი აღორძინებისა. წინა აზიაში ნაყოფიერების ამ დღესასწაულს აღვნიშნავდით შესაფერი ემბლემებით, რომლებსაც

შეზავებულ ცომიდან ვაცხობდით. ეს ნიშნები იყო: ლიტაოდ ასული შოთი და ნებივრად მიწოლილი მცხვარი პოხილი, რომელს ზევიდან ნაჭდევი ჰქონდა ხელის ყუთი ჩადრეკილი. ქურუმ ქალებს ებარათ მათი მომზადება. იმათვე და მათთან მოზეიმეებს დაჰქონდათ ეს ნიშნები კარდაკარ, სოფლიდან-სოფლად. ცეკვავდნენ, ღაღადებდნენ შესაფერ ჰიმნებს. ხალხმა არ დაივიწყა დღესასწაული ბუნების ძალთა გაახლებისა, შეუერთა ბრწყინვალე აღდგომის დღეს, მხოლოდ გასწმინდა, ჯვარით აკურთხა.

— როგორი ისტორიაა?! ალბად მოაჭორე, — შენიშნა ზურაბმა.

— თუ ეგრეა, განა ღირს იზრუნოს ადამიანმა იმ ნამცხვრისათვის, სისხლის ოფლამდის ილმოს მისთვის? აი ნასახი ლმობისა, ნახეთ! — სთქვა გაბომ.

და წაუშვირა ზელვისაგან დაბეგვილ-აბებრებული ხელები.

— როგორ, შენც ჩემსავით გამოსცადე ცომის დაზელვა?! — წაბოსცდა თენგიზს და შეწითლდა.

1917 წ. მარტის 30

ქუდბედიანი

„ბედი მომეც, სანაგვეზედ გადამაგდე“.

— სკოლა... — სჩაგრავს მოზარდის აგებულებას სასწავლებელი! ქედს ახრევინებს, წელში გაჰღუნავს, ხალისს უკარგავს, სიცილს ავიწყებს; უდროოდ აბერებს; მთლადაც უნადგურებს სხეულის ძალას.

— მართალია! სკოლაში მთელი ყურადღება მოქცეულია სულის წვრთნაზედა, გონების განვითარებაზედ. თითქო უხორცო ქმნილება იყოს ადამიანი.

— მეტს ვიტყვი: ხორცი განზრახ არის ისეთ ყოფაში ჩაყენებული, რომ მოსპობილი აქვს ბუნებრივი ზრდის საშუალება. დილით საღამომდინ ჩაჭედილი ვიწრო კალაპოტში, მაგიდაზედ დაკრული, ქაღალდის დამყურებელი; არც დრო, არც შეიძლება გამოვიდეს დარიჯაგიდან, ლაღად გაიფანცქალოს და... ეს შვიდი წლიდან ოც წლამდინ მაინც.

— რად არის სკოლა ესე მოწყობილი?

— იქნებ იმისთვის, რომ ქრისტიანულია: სჯულისათვის სხეული უშნო რამ ჭურჭელია, რომელშიაც ცუდ გუნებაზედ მდგარ განგებას ჩაუმწყვდევია საბრალო სული.

— იზრდები მარტო გონებით, თავს ავარჯიშებ, ტანის სხვა ნაწილთ სჩაგრავ, აყენებ. თუ ეგრე გაჰყვა, მხოლოდ კეფა გაიზრდება, კინკრიხო მრგვალი და... ბოლოს მხოლოდ თავად გარდაიქმნები, აგორებულ რამ ვეება გოგრად.

— არა, ცოცხალი ადამიანი ვერ შეურიგდება ესეთ ყოფასა.

— აკი ალღოთი გრძნობს ზოგი ბავშვი ხიფათს საშინელს და მარად ებრძვის სკოლის დარიჯაგს. ვერ ეტევა შიგ, ააჭრიალებს, მიღრეჯ-მოღრეჯავს; ბოლოს გაამტვრევს და დაზედება: დასწყვეტს, აეშვება, გაინავარდებს.

— კარგსა შვრება! უნდა მოისპოს ხორცის უშნო ზრდა თუ დაკნინება, მთლად მოიკვეთოს!

* *

— არც ერთს არ გესმით, არცვინ რა იცით და ამბობთ... თანაბრად განიკითხე სხეულიც, სულიც; ერთნაირი ყურადღება მიაქციე ხორცს და გონებას...., როგორ, სუსტ თესლს და ძლიერს ერთნაირი ფარეზი?! ცოტა თანხას და ბევრს ერთნაირი გაფრთხილება?! ჯანდაკ საქონელს და გამთქვინებულს ერთნაირ...

— ვინ არ იცის: ბევრსა და ძლიერს ნაკლებად სჭირია მიშველება.

— კეთილი! დამიგდე ყური: ბუნებას რომ ადამიანი შეუქმნია, ორი ნაწილი შეუკავშირებია, ხორცი და სული, მაგრამ თანაბრად არა: ნივთიერი მასალა უხვად ჩაუზელნია, სულიერი ფრთხილად წაუხმარებია, თითქო საფანლად ან თუ სანელად.

— არ გაუმეტნია?

— შეიძლება. იქნება სუბადაცა ჰქონდა, ხარჯვას ფრთხილობდა. ჰო და სულიერი არსება გონიერი ერთობ ნაზად არის ადამიანში ჩარგულ-ჩატანებული, ბევრჯერ ისე მცირე, სანთლით უნდა ეძებო; ზოგან თითქო მთლად დაჰვიწყებია დალოცვილს სანელის მიცემა და... ცხოვრება კი, ეხლანდელი ყოფა-არსებობა, ძალიანა თხოულობს ამ საფანელსა, გონების ძალს. რა უნდა ქნას საწყალმა სკოლამ, თუ ძალით და გაჭირვებით არ აგროვა მისი ნამცეცები, არ შეანივთა და არა ამატა.

— ჭკვას ახლოა!

— მესმის!

— ხორცი, ჩემო კარგო, ისეც ძლიერია და მდიდარი: ხალისობს, ფუნდრუკობს, წინ იწევს. მთლად დაამუხლისთავებს საწყალ სულიერ არსებას გონიერს, წაჰქელავს უწყალოდ, კისერს წაატეხს, თუ ტოლი არ დაუდეს მას.

— რა არის ტოლი?

— მეხრედ არ მჯდარხარ?! თუ ძლიერისკენ არ წასწიესმეთქი ჯამბარა, არ დაამოკლეს იმის უღელი. სკოლა ტოლს უდებს ხორცს, რომ გონს განუმტკიცოს სვლა; ტანს უკუაგდებს; ერთს ერეკება, მეორეს უხვევს. მაშ რა გეგონა?!

— ეხლა კი მივხვდი! შიმშის ტრიალი, შხეპლის ზუზუნი,

ალაყურები; მათი განგრძობა: ერთიანები, ორიანები. აღმზრდელის ხელში ხორცთა ლაგამი, სულის მათრახი.

— ეხლა მეც მესმის! აზრიანი ყოფილა სკოლის საქანი, მიზან-წონილი.

— ეგ ეგრეა. მაგრამ რა საჭიროა ცხოვრებისათვის სულის სინათლე, გონების ძალა?! აქა სცდებიან სასწავლებელთა ჭირისუფალნი, ნახტომი ეშლებათ.

— შენა გგონია, უქმი არის ცხოვრებისათვის გონების გაშლა?

— მეტი ბარგია, მხოლოდ მტანჯველი; მიხედ-მოხედე, აზომ-აწონე, „ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს დახედე“. გადაჰხედე თუნდ ბატონს როსტომს.

— დარისპანის ძეს? მერმე რა სარგებელია მისგან ქვეყნისათვის?!

— სხვისთვის არ ვიცი, მოყვასისათვის, თითონ კი რომ მზიურ ცხოვრობს დიდ სიკეთეში, ეს ცხადია. რა შედარება იყო იმისა და მის ძმის შორის სკოლაში სწავლა-აღზრდის დროს?! ეხლა... სწორედ ქუდბედი დაჰყოლია როსტომს.

— რა არის ქუდბედი?

— არ იცი? არც მე ვიცი! ამბობენ: გამჭვირვალ გარსის რამ არახჩინით დაიბადება ყისმათისაგან კეთილად აღნიშნული სული. იმ ქვეყნიდანვე თუ წამოჰყვება სამკაული ნივთში ჩასასახად წარმოგზავნილ სულს.

* *

— მართლა და სულ სხვადასხვა გზით მიდიოდა ამ ორი ძმის ზრდა, როსტომისა და ივანესი. იტყვიან: „ერთის ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიც“, ბარულა რამ ძირხვენის საჩიჩქნი, ამისთანებზედ იტყვიან. დარისპანი თავის ვაჟებს გიმნაზიაში ზრდიდა და მადლიანად უწყობდა ხელს. იმედი ჰქონდა, არავის ჩამორჩებოდნენ სწავლაში. იქნება ბოლოს კიდეც ესახელებინათ გვარი, დედ-მამა. რატომ? ნიჭი არ აკლდათ ჯანსაღებს, ცხოვრება შესაფერადა ჰქონდათ მოწყობილი; შრომის უნარიღა იყო მათთვის საჭირო. მოეწყო კიდეც მათი გარჯილობა თავიდან: წყვილად მიდიოდნენ ძმები ერთი მეორეზედ მხოლოდ ერთის წლით უფროს-უმცროსნი. მო-

სამზადებელი განყოფილებები, ოთხი ზედა კლასი. შვილებს უქებდნენ, ამაყ სიამოვნებასა გრძნობდა მათი დედ-მამა.

— „კვიცი გვარზედ ხტის“. მე მგვანან ნიჭით. დედის გვარიც კი ჰკვიანია. იმედია, ამისრულდეს ოცნება, — იტყოდა დარისპან. მის კმაყოფილებას ხინჯი შეაჩნდა მეხუთე კლასში: უმცროსზედ ველარ იყვნენ კარგი ჰაზრისა.

— ნიჭით არ ჩამოუვარდება ძმას, გონების სიფხიზლით კიდეც სჯობია; მაგრამ... გული აიცრუვა მუშაობაზედ: გაკვეთილებს აღარა სწავლობს, საწერს არ ასრულებს. შარშანვე შეეტყო მას...

— მაინც რომ კარგი ნიშნები ჰქონდა.

— ეს მიტომ, ფხიზელი ნიჭი აქვს: სიტყვას იხსომებს, მიუგებს მასწავლებელს მისი სიტყვით; წინანდელი ჰაზრიც მუშაობდა, მასწავლებელთაგან ადრე შედგენილი შეხედულობა; როცა არ იცოდა, ეგონათ, მისი არ ცოდნა შემთხვევითიაო, ენანებოდათ. იციან ესე ოსტატებმა. ერთიც დავსძინო: საშინლად ჰბაძავს მასწავლებლებს სიარულში, მიხვრა-მოხვრაში, თვით ხმაში. ესა ყველა...

— შენიშნეს ოსტატებმა?

— შენიშნეს და სწყინთ. კარგი ჩვეულება გაქვთ, ჩამოჰხედავთ თქვენს შვილებს. უმცროსს ძლიერა სჭირია თქვენი ყურადღება. უფროსი კი, ივანე, მოწაფე კი არა, ოქროა კლასის მამშვენებელი.

ეს საუბარი შემოდგომაზედ იყო. გაზაფხულზედ დასძინეს: ბიჭი ხშირად აკლდება გაკვეთილებს და ყოვლად უმიზეზოდაო. კიდევ სთქვეს, თუთუნს შეეჩვია, გლარჯის მილსაო. ველარ უშველა ვერც დაყვავებამ, ველარც ჯავრობამ. მაინც გადიყვანეს მეექვსეში, კუდით და რქებით გადაათრიეს სწავლაში ფეხ-ათრთოლებული.

უნდა გენახა, რა უნარი გამოიჩინა იმ ზაფხულს სოფლად! ნადირობა, ჯირითი, ცეკვა, სმა, ღრეობა. მაყრობაც შესძლო, ნამდვილი მაყრობა ანჯახი. მეორე დღეს „ომგარდახდილი ჰშვენოდა შენატევები ცხენისა“. გოგოებს, პატარძლებს თვალი მასზედა რჩებოდათ. საროს ტანი, მხარ-ბეჭ გაშლილი, ორაზროვნად მოღიმარე. უხდებოდა იარაღი მკვირცხლ ახალგაზრდას. თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ბიჭი ცხრამეტი წლის ჭაბუკი გეგონებოდა; ოცისა. ულოცავდნენ

დარისპანს, ძალიან ვაჟი დაგიდგაო. მამა ცდილობდა ხალხის ყურადღება მიექცივნა ვანუაზედ. ამაოდ! სკოლაში პირველი, ყველა კითხვაზედ მზამეტყველი, აქ ნაბოლოვარა იყო. გამოუსადეგი.

— კისერი ღალღას მიუგავს... ერთი მხარი მაღალი, მეორე დაბალი, ფერნაცვალი, შეხუნებული. არც ცხენზედ ჯდომა, არც სიმღერის თქმა, სადღეგრძელოს სმა; ცეკვას ვინ ჩივის, გავლაც კი უშნო. როგორი როსტომის ძმა არის ეს?!

— ნუ ეხუმრები ჩემს შვილს ივანეს, მამაო აბრამ: მშვენივრად სწავლობს; ძველი ენები საუკეთესოდ იცის; ხუთს არ ჩამოაცდენს არც ერთს საგანში! — ეტყოდა დარისპანი მოძღვარს,

რომელიც ნაწრთობი იყო, სკოლის ჩლაში გამოჩლეჩილი, მაგრამ რომელსაც ყველა იქ შეძენილი დაჰვიწყებოდა თუ გადაებნია, როგორც ურგები მეტი რამ ბარგი. ნეტა მისი ხსოვნიდან ის ყრუ ტკივილიც წაშლილიყო, ძნელის წარსულის მომაგონები სამძიმო გრძნობა.

— უნდა დავსძინო, მამაო; ყოველ წელიწადს ჯილდოს აძლევენ კარგ სწავლისათვის, წლეულსაც მისცეს.

— ჯილდოს?! აკურთხოს ღმერთმა! დახე, დახე შენს როსტომს! რა ვაჟკაცია! მაზაა სუფრისაი ი დალოცვილი; მშვენიერებაა ეშხით აღსავსე. ბედნიერი მამა ხარ, შვილებით გახარებული.

* *

ბედნიერი მამა ვერ იყო კმაყოფილი ეშხით აღსავსე შვილით. უკვირდა: რაც ოჯახში დუხჭირად მიაჩნდათ, გარეშეთ იმაზედ რჩებოდათ თვალი; კერის კნინებად ჩარიცხული სახლის ბედნიერებად ეჩვენებოდათ. ხედავდა ვანუა, რომ ყველა საჩენ შემთხვევაში მის მიჩულულ არსებას ყურადღებას არავინ აქცევდა და ან აღარ დადიოდა სალხინო ყრილობებში, ან ადრევე ბრუნდებოდა იქიდან, რომ ჩასჯდომოდა თავისსავე წიგნებს. კითხულობდა, სწერდა, დაჟინებით ჩასჩიჩინებდა ეტრატს. არც კი უყვარდა ეს სამუშაო, გატაცებული არ იყო მითი: სკოლაში რომ ირჯებოდა, თავს აწონებდა მასწავლებლებს, პირველობდა ამხანაგებში; სახელს ითქვამ-

და ახალგაზრდობაში; აქ კი... შეხსნილი იყო ეს გარეშე ძალა წამახალისებელი და კაცი მიზანს ვეღარა ჰხედავდა ბეჯითობისას. ცოდნისადმი სიყვარული სწავლა-განვითარებისათვის ვერ გაჰღვიძებოდა მშრომელს; საცოდნელის შეძენა, ცნობისმოყვარეობის ავსება არ აკმაყოფილებდა მას: შრომა ვერ დაჰმყარებოდა სწავლის სიყვარულზედ.

— სკოლის უბედურება, ახალგაზრდების გაჭირვება. შესაძლო კი არის სკოლაში სწავლის წარმოება მხოლოდ ცოდნისათვის?

— ჰაი, ჰაი შესაძლო არის აზრიანად მოწყობილ სკოლაში, ცოდნით გატაცებულ ოსტატის ხელში.

ძნელი იყო დარისპანის პირადი მდგომარეობაც: თავისი ვანოთი თავი მოსწონდა, მაგრამ მხოლოდ იქ, სასწავლებელში; შინ კი, სოფლად, როსტომი უფრო უამებოდა, მურაზით სავსე შახი ჭაბუკი, ყველგან პირველი. დაუდეგარი როსტომი აგონებდა დარისპანს მის დაუდგრომელ სიჭაბუკეს; მისი სარკე იყო როსტომი, მისი გაზაფხულის განმეორება. გულის ჯურღმულში ინახავდა ის ამ შეგრძნობას, საიდუმლო სადღაც კუნჭულში. როგორ იტყოდა, ვის გაუმხელდა?!

ორნაირი მოქმედება სჭირდებოდა დარისპანს: როცა სკოლაში იყვნენ ბიჭები, იფნის სახრით უნდებოდა დაოჩნებულის შეხურება, ხოლო მეორის დაყვავებით უკანდახევა, რომ უღელის დაუზოგავად წევაში წელი არ ჰკრთომოდა; სოფელში ყოფნის დროს კი გაორყებულ როსტომს სახრითვე უკან უხევდა, ხოლო ვანუას წინ ელალებოდა, ცდილობდა, ფეხი იმდენად მაინც წაედგმევინებინა, რომ შესძლებოდა ახალგაზრდას თქმა: „მეც ნახირ-ნახირაო“.

ებრძოდა დარისპან თავის საქმეს, ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა, რომ მუხლმოჭრილი მისი შვილი, უხეირო ნალოსავით რომ ასთრევოდა ეხლა თავის კლასს, მთლადაც არ მიჰყვეტოდა ამხანაგთა კრებულს. ვანოს საქმეც საფიქრებელი იყო, რადგან მთლად ზურგი შეაქცია იმან ცხოვრების ხალისიან დენას და ეს საზიანო იქნებოდა შემდეგში მისთვის. დაყუდებულად ხომ არ გავიდოდა სადმე უდაბნოში, ხალხში საცხოვრებლად კი არ გამოადგებოდა მას ესეთი მიმართულება. მხნე კაცი იყო დარისპანი, მარჯვედ მომქმედი და აისრულებდა თავის წადილს.

— როსტომს უთუოდ დავასრულებინებ სწავლას: მაშველ მასწავლებელს მიუჩენ, მის ბედის მჭრელთ დავეღრიჯები და დავათავებინებ. მაგისთანები გადიან ბოლომდინ! თავში ხომ მაინც სწავლობდა, კარგად მიდიოდა, ვერ იტყვიან, ნიჭი არა აქვსო. ვანუა... ასაკში შესვლა აქაც თავისას გაიტანს და აამღერებს. ეჰ, იმასაც თავისებური შველა სჭირია, სულ სხვანაირი, — ამბობდა ზრუნვაშემრავლებული კაცი

და სავალს ჰზომავდა, გამოიკვლევდა. უსათუოდ მონახავდა გამოსაძრომ ხვრელს, თუ უცნაური ამბავი არ დასტეხოდა თავს მის ღვთის გარეგანსა. საქმე ბოროტი, არც თუ სახუმარი; ავაზაკური რამ მოძრაობა გასაღიმარი.

— ავაზაკობა გასაღიმარი?!

— ნუ სჩქარობ!

ახალ კლასში მთლად დაქვეითდა როსტომი, ბოლოში მოექცა, უიმედო რამ ქვემო-ბოლოს... მაინც იყო ერთი საგანი, რომელშიაც ვერვინ შეეცილებოდა მას, ვერვინ წაართმევდა პირველობას. ეს იყო ფიზიკური ვარჯიშობა. ვინ შეეჯიბრებოდა ამ მუშაითს იმ საგანშია?! ჯამბაზი იყო მარჯვედ მოქნილი. რა ძლიერი! ისე ათამაშებდა ცალი ხელით ორფუთიანსა, როგორც მეშის ბურთს. მოჰკიდებდა ამხანაგს კისერში ხელს, მერხებში გადააგდებდა. ამ ვარჯიშობამ დაღუპა ბიჭი.

მასწავლებელი ჰყვანდათ ჩია რამ კაცი, მტვერის ფერი, თვალამღვრეული; მთლად ავზნიანი. ღიმილი იცოდა ღრენის მაგვარი. საგნის მშვენივრად მცოდნე. მკაცრი, სასტიკი. ძალიან აითვალწუნა ჟინჟღილივით ბიჭი. ან კი რა ექმნა: როსტომი უმძრახად დაადგა მის საგანს. თუ მასწავლებელს ერთხელ და სამუდამოდ დაესვა ერთეული, შეურიგდებოდა შეგირდი სამართლიან ხვედრს. მაგრამ თავს არ ანებებდა ოსტატი: გაუძახებდა კვირაში ერთხელ მაინც, აწამებდა, კლასს აღიმებდა. ერთ ამისთანა განსაცდელის წუთს როსტომმა თვალი ვეღარ მოსწყვიტა ოსტატის ქეჩოს. მარჯვენა თავისთავად იწევდა წინ, იძგიფებოდა და... დასწვდა სატანა საყელოში, ასწია, კაცი აიწიალა. ჰაერში ეჭირა რაღდენსამე წამს. წამოიშალა კლასი. გაეღიმა როსტომს. დაუშვა ძირს გონებამიხდილი, გაფითრებული. წყნარის ნაბიჯით გავიდა გარეთ. იღიმებოდა. რა აცინებდა?!

დადგა როსტომისათვის უწყვეტი დღესასწაული, ზეიმის დღეები მზიან-დარიანი. მამული აცხოვრებდა ოჯახს. მაგდენსაც არასა ჰხარჯავდა კერა როსტომზედ. მთელი კვირაობით შინ არ იყო კაცი. ყოველთვის კარგად ჩაცმული, მშვენიერ ცხენზედ, ძვირფას იარაღში. რითი სცხოვრობდა? ვინ იცის! ვისიც კვამლი მაღალი იყო, ის მათი მაყარი იყო თავის ამხანაგებით. და რა ამხანაგებით: ყველაფერი გამოუვიდოდათ ხელიდან იმათ...

დაამთავრა ივანემ სწავლა. მასწავლებლობა ჩააბარეს მაშინვე. ბეჩავი ოსტატი დადგა. არ შეიყვარეს მოსწავლეებმა: ვერ დაეწყვნენ მის გაკვეთილზედ; არ შეითვისეს. ვერა ჰხიბლავდა; რიხიც არ ჰქონდა; ხათრი არ ჰქონდათ, არც ეშინოდათ. მალე ჩამოჰშორდა სკოლას მამის სიკვდილის შემდეგ. ჩაუდგა მამულს. შეჰყვა იმ შარას, რომელზედ სვლისათვის სკოლას მისთვის არაფერი მიეცა. არა! სკოლამ შეაჩვია ის შრომას, მუყაითობას. დაჰყვა კაცი ამ სადინელსა: შეუდგა მამულის ერთგულად დამუშავებას, მამის შრომის განგრძობას. მეზობლების მიხედულობით, თუ წიგნებიდან ნელ-ნელა შეისწავლა მამულის ხელი; გააფართოვა მეურნეობა. შეისყიდა ხელმომჭირნემ ნაწრეთები, მიუმატა თავის მიწებს გასაშენებლად. რა უჭირდა: კარგად მოწყობილი სამეურნეო უჯრედი დაჰხვდა, ოჯახის კარგად მაცხოვრებელი; თითონაც უმატა.

როსტომი ეხლაც წინანდებურად ცხოვრობდა: მღეროდა უზრუნველ ჭრიჭინასავით, დახტოდა მკალსავით მუქთა-მჭამელისა ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად; ყველა ჭერის ქვეშ მისი ბინა იყო, ყოველ სუფრაზედ მისი ადგილი. და თუ გვალვიანი დრო დაუდგებოდა, ვერსად ვეღარას გახდებოდა, ვერც თუ ძალადობით, მიმართავდა თავის სახლს: მამის ბაგივრად ძმა ედგა პატრონად. მოიცლიდა გაბმულ ლხინიდან, დაისვენებდა; სახარჯოს შეავლებდა ხელს და ისევ გაუდგებოდა სადინელს უზრუნველობისას. იყო კი მის ყოფაში ერთი სახიფათო განსხვავება: ძმა უანგარიშოდ არას აძლევდა, მასზედ დანახარჯს პირობის ძალით მის ხვედრს აწერდა, მის ნაწილს მამულისას. იყო სხვა გარჩევაც: შეძ-

ველდა როსტომი, დაიყვავილა, ლამის დაპურდა და მისდამი პატივს თითქოს ჩაეშალა ნაწიბურები.

მაგრამ, გითხარი, ყისმათი უღიმოდა ქუდბედიანს: ქალაქში ქალს შეჰყვარებოდა ის, გული შეჰვარდნოდა. ლამაზად მოეზომა ჭკვიანს თავისი სახტომიც, თავის სანეკრეც და... ხელთ დაიჭირა მშვენიერი ვაჟკაცი მისთვის ზედგამოჭრილმა საპატარძლომ, განგებისაგან მისთვის შერჩეულმა საცოლომ. მეჯლიშში ენახა ჩასპანდური და მაშინვე ასდუღებოდა კოჭობი სიყვარულისა. რას ვამბობ?! — ტრფობის ქვაბი საარაყე! პირდაპირ მიეწერნა ქალს წერილი გატაცებული, თანაც გაანგარიშებული. სწერდა:

„მეუღლეები შეავსებენ ერთმანეთის ნაკლს; ქალი შეავსებს არსებას ვაჟკაცისას, ვაჟკაცი სრულჰყოფს ბუნებას ქალისას; სდგება ორისგან ერთი მთლიანი, ცხოვრებისათვის მარჯვედ წყობილი. ნამეტნავი ჩემი ნაკლულევანებისათვის შენისა, ხოლო ნამეტნავი შენი ნაკლულოვნებისათვის ჩემისა. შენთან არს მშვენება ხორციელი, ხოლო ჩემთან არს კეთილი ნივთიერი: ოქრო-ვერცხლი პინით საწყავი. პალატნი დიდ-დიდნი, ყოველგვარი სიმდიდრე ქვეყნიური. შევეზავნეთ ერთმანეთს: შენ თანაზიარ მყავ მშვენიერისა სიმამაცისა შენისა, მე მოგცე საუნჯე ულეველი... აბ, უცხოს უცხო, მიკვირს, აგრე რად მეკეთე! ღმერთმა კი ნუ ქნას დღეის იქით უცხონი ვიყვნეთ ერთმანეთისთვის“.

გასჭრა გულ-წრფელმა შეთხოვნამ. ოქრომ კოჭები დაუჭირა როსტომს. რა იქნებოდა იგი ვაჟკაცი შეძლების გარეშე?! წაქცეული ალვის ხე ფუყი, რომელს ყველა დააბიჯებდა, რომელი გამოუსადეგარი იქმნებოდა საშენებლად, საწველადაც კი. თავისი სამკვიდრებელი უკვე ჩანთქმული ჰქონდა უძღებს; შრომა არ შეეძლო; ჭაბუკობის ხანა გასთავებოდა: დილ-დილით შეთეთრებულ ბეწვებიდანა ჰმარგლიდა თვის წვერ-ულვაშს და გულს ეყრებოდა სუსხიანი შემოდგომის მოლოდინში, თოვლად გადაპენტილ მყინვარ ზამთრის წინ. წაიკითხა უსტარი, ჭკვაში დაუჯდა. ჩაიცინა კმაყოფილად. წარმოსთქვა:

— კა უთქვამს, კა განუზრახავს, კა წიგნი მოუწერია!

რატომ? ოქრო არის შენივთებული სხივი მზისა მაცოცხლებელ-მაცხოვრებელი და...

— როგორ არა, ნაკლი აქვს საწყალ ქალს, ხინჯი არა ერთი. ხორბლის ფერი, თითქმის რომ შავი... მაგრამ სიშავე არ უშლის სილამაზეს. გახსოვს „ქებათა ქებაში“: „შავ ვარ, ასულნო ისრაილისანო, და მშვენიერ!“ ესეც არ იყოს, სიბნელეს ოქროს ბჭყვრიალი ჰფანტავს, გოჰართ ლაპლაპი. ყური... ლავაშია რაღა! მაგრამ ყურს რას უყურებ, საყურე ნახე ყვრიმალის მაციაგე გაყინული ალის საყურე. ცხვირი... ცოტა მოზრდილი, მელანქოლურად წამოწოლილი... ეჰ, სასუნთქავი იარაღია ცხვირი და რაც უფრო თოქმაა, სხვილ ხვრელიანი, მით უმჯობესია. კოჭლიაო. ჰა, ჰა, ჰა! განა კურდღელს ვადევნებ. იცი? იმდენ ას თუმნიანს დაიწყობს მოკლე ფეხ ქვეშ, გრძელს დაუსწორდეს; მაინც სრულებით არ შეეტყობა იმის ზღვა ქონებას. დამჯდარი ქალი... აღარც ხომ მე ვარ მთლად ნორჩად-ნორჩი. და ისევ დოვლათი, მარად ქეიფი, სიმღერის ხმები, ეშხით ნავარდი. ვახ, საყვარელო!

ქალის უსტარზე ლბილი პასუხი. ქალთან სტუმრობა. მიალერსება. ქორწილი დიდებული. ღმერთების ბინა. ეტლი. მსახური. განცხრომით ყოფა, ფული ჩეჩქივით. ისე უფრთხილდებოდა ქალი თავის ქმარს, როგორც თავის ფარღულს ფასდაუდებელს.

ერთი იყო როსტომისათვის ძნელი: ქალს ძალიან მოსწონდა თავი ტოლ-სწორში, რომ ტარიელისებური ქმარი იშოვა და ხშირადა მართავდა წვეულებას. მეჯლისის დროს არა ჰშორდებოდა თავის ვაჟკაცს, თვალებით უალერსებდა. ისიც ვალდებული იყო ემჟღავნებინა თავისი მისდამი პატივისცემა, ემზევლებინა თვის სიყვარული. ქუჩაშიც ამოეტოლებოდა, მიეკვრებოდა. თუ გინახავს ისინი ერთად სეირნობის დროს?

მართლა და უნდა შეეზავებინათ ცოლ-ქმარს ერთმანეთი: ესეა წესი, ამას მოითხოვს სავსება ოჯახისა, მისი კეთილი. უნდა შეევსო ვაჟის წარმოსადეგობას ქალის დაჩიორება, ქმრის მტკიცე სვლაჰა ცოლის კელობა. ერთის სიყირმიზე მეორის სიმუქე; ცოლის ჭკვიან თვალებს ფრთხილად მეტყველებს ქმრის ალქატი შეხედვა ზედაპირული.

* *

— აფსუსი არ არის ეს თეთრ-ყირმიზი ვაჟკაცი ამ დუხჭირ არსებისათვის?! — იტყოდნენ მკილავნი.

— ცოდვა არ არის ეს სიმდიდრე ულეველი ამ ფუქსავატ არსებისათვის?! — წარმოთქვამდნენ მოშურნენი.

ვისაც რა უნდა ეთქვა, ეს ფუქსავატი კაცი და ოქროს მატყლოვან ვერძის მფლობელი გრძნეული კი ლამაზად თავსდებოდნენ ერთმანეთში, ურყევად მისრიალებდნენ ცხოვრების გზაზედ. კაცს მოწყენილი ჰყვანდა პირსუფთებიც კი და მხოლოდ იმისი ეშინოდა, არ შემწყდარიყო მისთვის უზრუნველი ცხოვრების დენა. ქალს დოვლათი თავსაყრელი ჰქონდა, კაცი დაჰლეოდა, რაინდი თვალწარმტაცი, ოცნების ძალით სხივოსნებული. იცი: ოცნებით ავსებს თვის ნაკლს ადამიანი, მით უფრო ბუნებისაგან თუ ცხოვრებისაგან გაძრცვილი კაცი. აქ სინამდვილედ იქცა ორი ოცნება და დაყუჩდა, დაემინდა ორივეს გული.

ეს ყველაფერი ამ ომიანობის წინ მოხდა, მსოფლიო ჟლეტამდინ, მანამ მოთავე ერები ერთმანეთს ამოიჭამდნენ დამონებულთა გასახარად. მსოფლიო ბრძოლამ შეამძიმა ცხოვრება, შევიწროვდა ყოფა იალაღ ნაჩვევი ხალხისა; აიცერცნა, დასკდა კანი ნანაზი; გაუჭირდათ დღიურად მცხოვრებლებს, თუნდაც მდიდრულად მყოფთ, მწვადივით რომ სჭამდნენ შემოსულ სარჩოს ზედ შამფურზედვე.

— ბიჭო, ბიჭო, თუ ეს ნაბიჯი არ გადამედგა, თუ ჩემს მაკრინეს არ შევკავშირებოდი, დავიღუპებოდი! რითი უნდა გამოვკვებულიყავი, რა ჩამეცვა, რა დამეხურა, როცა ესე გაჭირდა ყოფა, სისხლის ფასად გახდა ყველაფერი, როცა ლუკმას უთვლიან პირში ერთმანეთს თვით გულ-ჩვილები, დარდიმანდებიც?! ჰა, ჰა, ჰა! ამბობდნენ, ჭკვიანი ვერ არისო. შეადარონ ჩემს ზეიმს თავიანთი ჭკუის ნაყური! მინდოდეს, მორბედად დავიყენებ იმ დაბრძნობილებს: ერთი თვალი კი ვუყო ჩემს მაკრინესა.

— მართალს ამბობ, მაგრამ დუხჭირი რომ...

— მოგცლია! გონჯი, დუხჭირი... რა ყრია ურგებ სიმშვენიერეში?! უყურე ბადრ მთვარეს, ძლიერ გაძღები. მის ტოლა მჭ... უმზირე ტურფად შლილ ყვავილს, კაბას ჩაგაცმევს

ენიანს. კოხტა ჩანჩქერი ლამაზ რამ ბორცვთან ჩექმებს ჩაგაცმევს ჭრიალ-პრიალას. სიმშვენიერე არზანიკია, მხოლოდ სანელი. არც წვენი გაქვს, არც ფოჩი, სანელს დაეძებ?!

— მაინც უნდა გითხრა: სიმშვენ...

— მაინც, ჩემო კარგო, ისიც გამოვცადე. ჰაი, ჰაი ვიგემე და ვიგემტკბილე! გეტყვი: ბოლოს და ბოლოს დაკვირვებული ადამიანისათვის ორივ ერთია! ატლასის კანი თუ ხამი ტყავი, ერთსა და იმავე სანდომთან მიმყვანებელი. ფაიფურზედ მოგართმევენ საზრდოს თუ ქაშანურით იმავ სანუკვარს... ეჰ, მაინც რა ყოფილა სიმშვენიერე?! გარეგანი სახე საგნისა, უბრალო რამ ქერქი საფცქვნელი, შინაარსი ნახე შენ... ჩრდილივით წარმავალია სახე თეთრი, თუ შემუქებული; ტანი ტატანი თუ დაბალი, ბაჩა; წვივმწყაზარი ჯეირანივით, თუ სპილოს რამ ფეხი ან... მკელობელი...

— ცხრა-ცხრა ადლია...

— კაცო, ამ ჩვენს როსტომს, დახე, გიორგის ჯვარიც ჭიუღია! თუ იყიდა?

— იყიდდა, მაშ თითონ ხომ არ გამოსჭედავდა, ალბათ დაიმსახურა: ტანი აკლია, თუ ფეხი! დახე, რა იარაღში ზის! მარტო რადა ღირს მოხრილი ხმალი მძიმედ შემკული!

შევხედე. თითით საჩვენებელი ვაჟკაცი ძვირფასად მკული, იარაღსხმული. ერთი დამენანა: თუ არ შეიძლება ისე მარჯვედ მოეწყოს საქმე, ტყვიის მფრქვეველებიც აებასთ ჩვენ როსტომ გმირებს დასამშვენებლად?

* *

ჯაძლიერდა ომი. გაჭირდა ყოფა. ხალხი აღელდა. იგრძნო სალტების მოშვება და შეიბერტყა: ფეხით ქვეშ განერთხო დიდი უფალი. მოჰკრა ტოტი ამირანმა პატარა-პატარა ბატონებსაც მრავალი განადგურდა, ბევრი გადიქანჯა, ზოგი ქალაქისაკენ გამოიქცა. რა წიოკობა, ვაი-ვაგლახი, მეორედ მოსვლა! ვინ შეაყენებდა ბობოქრობას სტიქიონისა?! მართალნიც მოჰყვნენ მტყუანთ მუსვრაში. იმქვეყნად თუ განარჩევს ღმერთი, იქ თუ მიუზღვავს.

დაირღვა ივანეს მეურნეობაც. დაანგრიეს, დააწიოკეს. განა ვისმე უშავებდა რასმე, მაგრამ საზოგადო რღვნა იყო

მემამულეებისა და ყველა წალეჭა, ვინც ხომალდში არ იჯდა. ჩამოვიდა ივანე ქალაქს. შეივრდომა ის დაწუნებულმა: რძალმა ზემო უბანში მოათავსა მაზლი და მისი ოჯახობა, ერთ-ერთ თავის სახლში. პატარა ბინა იყო, მაგრამ მუქთი და ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავდა, მადლობასაც სწირავდა ღმერთს ნაშოვნის გამო. ქალი სუფრის ნაბერტყსაც უგზავნიდა ახალ ლაზარეს, ნაცომ-ნახმარითა ჰმოსავდა მის ჯალალობას: დუხჭირ სხეულში ლმობიერი გული ყოფილიყო დავანებული, ბოროტის მიმტევებელი. რატომ?! შეიძლება თიხის ჭურჭელში ნელსაცხებელი სუნნელოვანი და ბროლისაში საჭრაქე ზეთი ჩამწარებული.

ისევ მასწავლებლობას მიჰმართა ივანემ. მისცეს ადგილი. რა უგემურად შეუდგა თავის ხელობას! იმ ნაკვეთს რომ გადასცემდა ცოდნისას, რომელიც ერთხელ ზეპირად ესწავლა, მოწაფედვე ჰგონებდა თავის თავს და... ბოღმით ივსებოდა.

— რად მინდოდა იმოდენა ოფლის ღვრა ან შაგირდობის დროს, ან მერმე სახლში?! მევლო მაშინვე როსტომის გზაზედ და... ჯანსაღი ვიქნებოდი, პირმოღიმარე, ბედის ხელში მჭერი.

— შენა გგონია? ქუდბედი რომ არა გჭონდა დაყოლებული.

ცხოვრობდა ივანე, გული კი ღვარძლითა ჰქონდა სავსე: ხალხზედ ჯავრობდა, ქვეყნის გამგეებზედ, ცხოვრების მღელვარე დენაზედ, ღმერთზედ, რომელიც თითქო შეუძლურებულიყო. რაც ხანი გადიოდა, ღვარძლი იზრდებოდა, თავთავს ისხამდა, მარცვალს ისრულებდა. კეთილის მყოფელებსაც კი ბოროტი სიმთვრალით დაათრობდა ეს ღვარძლის ხვავი„ თუ შესძლებოდა ივანეს: ვერ იყო მხარგრძელი, ვერ მისწვდებოდა! რა შეეძლო დაჩიორებულს?! პირში ღიმილი, გულში ბრმა შური. მისი მეუღლე წინად რომ დაცინვით დასცქეროდა გონჯ მაკრინესა, თუმცა მაშინაც მოწიწებასა გრძნობდა მის დოვლათის წინ, ეხლა შესტკბობოდა კეთილის მყოფელს. საკვირველება: ხორცთა ყვავილოვნებითაც თითქო დაახლოვებოდა ამ დამქანცველ დროს დამაღონებელს. შემჩნარიყო, ჯავრს აესერ-დაესერა მისი შუბლი, ბაგეთა არე„ დაჰკარგოდა სხივოსნობა, როგორც რამ ყვავილს სიცივე-

დაკრულს. კიდევ ცოტა და მაკრინე სხეულის სიკეთეშიც დაუტოლდებოდა თავის ლამაზ რძალს, სხვა ყველაფერში მის მჯობინარე.

— რას ამბობ, კაცო, მახინჯი მაკო დაედარებოდა მაზლის ცოლს ლამაზს?!

— მომიბყარ ყური! სიცოცხლის გაზაფხულის ჟამს სიმშვენიერე ყვავილია შემამკობელი დედა რტოისა, თაიგულად მსაჩველი მისი. ჟამიერია იგი ყვავილი, მსწრაფლ წარმავალი. ნახე ზამთრის პირს ვარდის ბუჩქი და კვირინჩხის ჯაგი. რა გარჩევაა? რა ბედენაა? კვირინჩხი სჯობია ვარდს მსხმოიარე. დამცინავი ღიმილით შეჰყურებს ის სილამაზიდან გაძრცვილ ვარდის ბუჩქს. რას წაართმევს კვრინჩხს თუნდაც სიცივე? „ტიტველი კაცი ცხრამ ვერ გაძარცვა“.

მითვალიერებია მშვენება გაზაფხულისა შემოდგომაზედ, ფერნაცვალი სილამაზე გაფითრებული. დამიკრავს თვალი ყვავილისათვის მის ზამთარშიაც. ვახ, დაღრეჯილო! ოხუნჯია ბუნება, ბოროტად მოღიმარე: ლამაზს გადაჰხდის ცისარტყელის ფერს, მისრეს-მოსრესავს, ანაცრისფერებს, დააკოხუნჯებს და ზურგს შეაქცევს. ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს ის მშვენებაა, აგერ სურათზედ რომ იღიმება ვარდის კოკორი ახლად ნაპობი?! ტყუილს მომითხრობს; სხვის სახეს იჩემებს დუხჭირად ქმნილი, ფერიას იერს გონჯი არსება!

გულს იოხებდა ეხლა მაკრინე: მისი ქმარი ხომ სჯობდა და სჯობდა დაბეჩავებულ ივანეს, თითონაც აღარ ჩამოუვარდებოდა თვის მაზლის ცოლს სახე-შეშლილსა. ფეხიც რომ გასწორებოდა! კოხტად მოწყობილ მაშიაში მხოლოდ კელობდა, თითქო ფელჩობდა, როცა გვერდით მისდევდა თავის რძალს დაფრახებულს.

* *

და მოღელავდა ცხოვრება მღვრიე? არა სცხრებოდა, მოაქანებდა საზარელ ზვირთებს. ხედებს სწვდებოდა, ჰგლეჯდა სავალ გზებს, ვისაც თავისი თავი უზრუნველყოფილი ეგონა ყოველგვარ ბოროტ ცვლილებათაგან, მასში შიში იპყრობდა ჟამითი-ჟამად, ფერი მისდ-მოსდიოდა. მცოდნენი

თვალს ადევნებდნენ მდინარის ბობოქრობას, გამალებულ მის ტალღებს შავ-ბნელად აგორებულებს; თვალს აყოლებდნენ ზვირთებზედ მოცეკვავე ხერგს თუ ნარიყსა, ძირიანად გლეჯილ წიფლებს, მთელ სოფლის ნალეწს აწ მოტივტივეს. იტყოდნენ: ეხლა ეს შემდინარე ადიდდა, ეხლა ისაო. წარღვნის სადენლად იყო ცა შებნელებული. მიწა აღარ იშრობდა მაღლით ნაშხეპ ღვარს. გაშმაგებული მდინარე ცხოვრებისა ველარ ეტევოდა სადინარში, მთელი ქვეყნის წალეკვასა ლამობდა. ძირიანად იყო შერყეული ცხოვრება კაცობრიობისა. ყველგან განსაცდელი ელოდდა წინანდელ სახეს არსებობისას. ძრწოლით ელოდნენ მომავალს მყუდროდ მყოფელნიც, ჯერ ისევ გამარჯვებულნიც.

— კაცო, როსტომ, რას იტყვი მაშინ, ცხოვრების ტალღა დაუნდობელი რომ შენც შეგეხოს, შენს უძრავ ქონებას: ქალაქის მამულებს?

— როგორ თუ შემეხოს?! ვისი რა მმართებს?

— ვისი ემართა შენს ძმას ივანეს? თუ იმას ჩამოართვეს ზედმეტი მიწა და მხოლოდ იმ მიუბყრეს, რასაც შეუძლიან აცხოვროს მშრომელი ოჯახი, შენ რაღა ხარ?

— ჰა? თითქოს სახუმაროს არ მეუბნები... მაგრამ, ეჰ, კარგი ცურვა ვიცი და ავყვებ-დავყვები ცხოვრების ტალღას. მაინც რად მეტყვი მაგას? სად მიწა, სად შენობები?!

— როგორ თუ სად?! ესეც სხვის ხელით და სხვის ზურგზედ შეხვავებული დოვლათია რჩეულებისათვის დანაგები, ისიც. გარჩევა მხოლოდ ერთია: ის სიმდიდრე არის გაშლილი დალოცვილ ქვეყნის პირზედ, ეს საუნჯე ზედიზედ არის მწყობრად დალაგებული, ცისკენ აზეული, ლაჟვარდ სივრცისკენ. ფუფუნების ეს ყუდე კიდეც სჯობია იმ სავანეს განცხრომისას: შრომა ნაკლებად უნდა, ხვავი მეტი აქვს.

— მერე რაო?

— მერე ის, რომ ხალხი პირდაპირ დადის მსჯელობის სადენზედ, მკაცრი მართმსაჯულია ის და მეშინიან თქვენც არ დაგიდგეთ განკითხვის დღეი.

— ახლა მაგაზედ მაფიქრე და ეგ მადარდე! რაც იქნება, იქნება; რაც ღმერთმა გამაჩინა, ის ღმერთი დამარჩენს.

მართალი იყო როსტომი: რომელი ღმერთიც აქამდინ

ასაზრდოებდა მას, მურანფელს უზრუნველს, იგივე ღმერთი ცდილობდა ეხლა მის დასარჩენად: ჭკვიანი მაკო ვერცხლს აქუჩებდა, ოქროს ბრჭყვრიალას, ლითონის ზოდებს. ზედმეტი მამული წინადვე გაყიდა, ფულად აქცია, ნივთად ძვირფასად; ეხლაც ახერხებდა მოჭარბებულის განაღდებას. და თუ ცხოვრების დენა აუცილებლად მოითხოვდა მისგან მსხვერპლად ქალაქის მამულების ნაწილს, გაიღებდა ამ გასატანს; მაინც ხელცარიელი არ დაჭდებოდა, არ დასტოვებდა უნუგეშოდ საკუთარ რაინდს, თვის სიამაყეს. ქუდბედი დაჰყოლოდა მოხდენილ როსტომს.

ივლისის 27. 1919 წ.

გველის ზეიმი

— შენც შეგინიშნია ეს საკვირველი ამბავი? ჩაჰხედავ ადამიანს თვალებში და შემოგანათებს იქიდან რომელიმე მხეცი, ან მფრინველი თუ ქვეწარმავალი. დაინახავ ხანდისხან ანგელოსსაც, ნათელის შვილს, ციაგის მოტრფიალეს; თვით სიბრძნეც შემოგხედავს, ღრმად გამჭვრეტელი ან სახიერება, კეთილის რამ ტბა, მაგრამ იშვიათად, ათასში ერთხელ. უფრო ხშირად — რაღაც პირუტყვი.

— შემინიშნია მაგეთი რამ ერთხელ თუ ორჯერ. როგორ არა! ყურადღება კი არ მიმიქცევია, რა სათქმელია?! ხანდისხან გადღინული ჯირკი კარგ ნაცნობს მოგაგონებს და გაგეღიმება, ჭაობის ლელი — ქალის წერწეტ წელს. რა ვუყოთ?! ბევრია კაცის ცხოვრებაში მაგისთანა უხანო გრძნობა, წყალწასაღები. ყველას ხომ არ იტყვი. „პირზედ მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა“.

— ვიცი! აკი ვითმინე აქამდინ; შენთვისაც არაფერი მითქვამს, არ გაგნდობივარ. ეხლა კი... საქმე ის არის, ამ განცდის სადინელზედ ძნელი ამბავი გადამხდა და გული ვეღარ ითმენს.

— ავი რამ წაგეკიდა? სთქვი და გაათავე!

— გინახავს, გითვალიერებია გველის თვალები, ღრმად გამზირალი, მარად აზავთებული, ბოროტად გამჭვრეტი გველის თვალები უქუთუთო? ბალღობიდანვე შიშსა მგვრიდა მისი შეხედვა, უძირო რამ ზიზღს; მუდამ სიფრთხილეს მიკარნახებდა, მტრობას უძინებელს.

„უმზირდეს კაცი თავსა გველისასა“.

და ვუმზერდი მარად. ჩვენ დიდ ეზოში არ გავბადებდი მცურავს; შევებრძოლებოდი; ვერ მოვისვენებდი, თუ შევამჩნევდი იმის კვალს სადმე. მისი თვალების მკაცრი გამომეტყველება არ მომასვენებდა, არ დამაწყნარებდა, არ დამა-

ძინებდა; მუდამ საფრთხის შიშსა მგვრიდა ის, მანამ არ გაუჭეჭყდი თავს. რა მარჯვე ჯოხი მქონდა მისთვის დამზადებული!

„უმზირდეს კაცი თავსა გველისასა“.

— ბიჭო, გობრონ, ნახავ, თუ მცურავის მსხვერპლი არ შეიქმენი ოდესმე. რას გადაეკიდე მა წყეულებსა?!

რა იცოდა ბეჩავმა მანგიამ, რომ იმ გამბედაობას სწორედ შიში მინერგავდა და უთმინო ზიზღი ცივ, გლუვ ქვეწარმავლისადმი.

შემდეგ, ცხოვრებაში, ეს შიში და უშრეტი მტრობა გველისადმი გამყვა ბოლომდის. ნამდვილ გველისადმი კი არა, — ქალაქ ადგილას, ბუნების კალთას აშორებული, სად შევხვდებოდი მცურავს პირისპირ?! — გველის თვალების მექონ ადამიანისადმი. თუ სხვა ცხოველს ან მფრინველს დავინახავდი ადამიანის თვალში, ყურადღებას აღარ ვაქცევდი. ვიცოდი, ეს ჩემი პირადი განცდა იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმას არც საზოგადო ცხოვრებაუთან, არც თითონ იმ ადამიანის ღირსებასთან, რომლის თვალშიაც ვხედავდი ცხოველს, — პატივსადებ და პატივდებულ ადამიანის ღირსებასთან. მაგრამ თუ ვნახავდი გველის გამომეტყველებას ვისიმე თვალში, სიწყნარესა ვკარგავდი, უზომოდა ვღელავდი, ვიკუმშებოდი, საბრძოლველ გუნებაზედა ვსდგებოდი. ისეთ ზომებს ვერ მივიღებდი მის საწინააღმდეგოდ, როგორც ბალღობისას გველის წინააღმდეგ: ვერც თავს შევუმუსრავდი მას, ვერც წელს მოვწყვეტდი და... ვერიდებოდი, გავურბოდი; მისგან მოწოდებული კეთილიც გესლი მეგონა ფრიად საფრთხილო. იქნება ბეჩავს კიდეც უკვირდა ჩემი უმიზეზო განზე დგომა, იქნება კიდეც მოვსწონდი, ვუყვარდი და იტანჯებოდა, მაგრამ რა შემეძლო?! ესეთი ჩემი ქცევა მთლად შეუმართებელი იყო ჩემგან, ბუნებისაგან მძლავრად ნაკარნახებ. მტკიოდა გული ამნაირ განცდის გამო; ვიცოდი, უსამართლო იყო ეს გრძნობა. როგორ შეიძლებოდა ღვთის სახე ადამიანი მცურავივით დაუნდობელი ყოფილიყო, შხამმორეული?! მაინც უძლური ვიყავი ამნაირ შთაბეჭდილების წინაშე, მილად ღონემიხდილი.

ესეთ გარემოებაში მაყენებდა ყვითელი პეტრეც, ჩვენი სოფლის ბიჭი, შემდეგ ქალაქში, ჩვენ უბანში, ზედ ჩვენ

გვერდზედ მცხოვრები ბინადარნი. ბალღობიდანვე არ მიყვარდა პეტრე, ვერიდებოდი, თუმცა ჯერ არ დამენახა მის თვალებში გველი გესლიანი: მაშინ არ მქონდა ესეთი განცდა. ადრე გაება პეტრე ქალაქის ცხოვრებას, ხელოსნობას კი არა. ვაჭრებთან მორბედობას. შემდეგში თითონ ვაჭრობდა ფეხზედ, უდუქნოდ ეწევოდა აღებ-მიცემას. რა არ გამოეარნა, ღმერთო ჩემო?! როცა მომიყვებოდა, მიკვირდა, ნუთუ ადამიანის შვილს ამდენი სხვადასხვანაირი ყოფის, ბევრჯერ უკიდურეს მდგომარეობის ატანა შეუძლია-მეთქი. აღსარებას არ მეუბნებოდა, ბევრ რასმე ჰმალავდა ჩემგან, უფერ რამ შემთხვევებს, მაგრამ რასაც მეტყოდა, ისიც ჰმოწმობდა, რომ მხოლოდ წისქვილი არ დატრიალებულიყო მის თავზედ, სხვა ყველაფერი გადაჰხედოდა.

* *

როცა მე თბილისში მოვყევი სამუდამოდ საცხოვრებლად, ყვითელი პეტრე ქალაქის ბინადარი კაცი იყო. წინანდელი სახე შეეცვალნა: კოხტა ჩუსტები წვრილად ჩანაოჭებულ მაღალ ყელებით, ბრჭყვრიალა ქსოვილის შავი ახალუხი, ვერცხლის ქამარი გობაკებიანი, წელ-მოკლე ხოხა ნაოჭ-ასხმული, განიერი შალვარი, ნაბდის ქუდი, რომლიდან ყვითელი ქოჩორი გადმოჰფენოდა შუბლზედ; ოქროს ვეება ბეჭედი ჭიაყელასავით მოძრავ თითზედა. არ კი უხდებოდა ესეთი ჩაცმა: თხელი კაცი იყო, უმუცლო, ძვალ-წვრილი, მოქნილ-მოხრილი; ესეთი ტანისამოსი უფრო თოქმად ნაშენ ვაჟკაცს უხდება, ხორციელად სრულს.

— აა! გობრონ, შენა? როგორა ხარ, კაცო? ჩვენ ქალაქში ჩამოგისეირნია.

— მთლად გადმოვსახლდი: აქ ვიშოვნე სამსახური. შენ როგორა ხარ? ისევ ფეხზედა ვაჭრობ?

— კარგად! არა, დუქანი მაქვს შუა ბაზარში. ხილსა ვყიდი, მწვანილეულობას, ათას რასმე სხვას. რომ გამოიარო იქით, მიკითხე: მინდა ფიშტაღი დაგალოცვინო. — მითხრა თავმომწონედ.

და ყელ მოიღერა, მთლად გაიშეშა კისერი, თითქოს ბალით სავსე თაბახი უდგაო თავზედ. თან თვალები აუციმციმ-

და, შიგ გველი აუთამაშდა კმაყოფილი, ახლად გამაძღარი არც ყელის მოღერება დაჰშვენდა, ღალღასავით წვრილი კისერისა.

— სიამოვნებით! უთუოთა გნახავ: შენთან მირჩევნია ვაჭრობა, მანამ უცნობ ვისთანმე, — ვუთხარი გულწრფელად, რადგან დამენანა, რომ მის წინააღმდეგ ბოროტი მაგრძნობინა მისმა თვალის ჩინმა. ჩემთან არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა კაცს, არაფრით არ დაემსახურებინა იმას ჩემგნიო მტრობა თუნდ უარყოფა.

ჩავიარე შუა ბაზარში, ვიპოვნე პეტრეს დუქანი. ისეთ დროს მივედი, ხილს უწონავდა მუშტარს. მთელი მისი ყურადღება სასწორისაკენ იყო მიმართული. ვერ დამინახა, მანამ ფული არ ჩამოართვა და სასწორის თეფში არ შეათამაშა თავის უძვლო თითებით.

— აი, გობროჯან, ჩემი დუქანი. მოგწონს?

— მარჯვე ადგილას არის.

— ნაქირავები მაქვს ეს დუქანი, მაგრამ ღმერთია მოწყალე, მალე ვიყიდი.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ერთი გირვანქა ყველი ამიწონე.

წუთზედ მამცა. გავსწორდი. თითო ჭიქა არაყი დავლიეთ იქვე, ხილის რამ მარცვალი შევატანეთ. არ ეცალა, საუზმე გაგვეჩაღებინა: მუშტარი ეხვია. ვუსურვე დუქანს ბარაქა. მასწავლა თავისი ბინა. წამოვედი. მოვდიოდი და თან იმაზედა ვფიქრობდი, რომ სარჩოს პირი ზოგს იმთავითვე დაჰყვება ბუნებით; ქვიდან გამოიღებს და შეიძენს კი. ვიცოდი, პეტრეს სიტყვა უბრალო კვეხნა არ იყო; ალბათ მოზომილი ჰქონდა ყველაფერი, რომ ესე თამამად ამბობდა დუქნის შეძენაზედ. მეც ვაპირობდი ქალაქში პატარა რამ ბინის ყიდვას. ცოტაოდენი ფულიცა მქონდა ამ ჰაზრით გადაგდებული; სხვაგან სამსახურის დროს გადავანარჩუნე.

— ჯოჯო რომ არის, ხვლიკი რამ პირდაღებული, იმათაც თავიანთი სორო აქვთ კლდის ნაპრალში თუ ჯაგნარის ძირას და შენ რაღა დაგემართა, უბედურო, რომ აგიკიდნია ბარგი და დაათრევ ერთი უბნიდან მეორეში?! იპოვე ერთი რამ თავშესაფარი და დაბინავდი. მარტოხელი კაცი ხარ. ერთი ოთახიც გეყოფა. თუ ოთახის წინ ხეც იდგება, რომ ზრუნავ-

დე იმაზედ და ზაფხულობით შეგეძლოს მის ჩრდილში ჩამოჯდე, სხვა რა გინდა? ლუკმა-პურის ფასს ყოველთვის იშოვნი, — ვეტყოდი ჩემს თავს.

და ვცდილობდი ფულისათვის ფარა მიმემატებინა, მცირეოდენი თანხა შემეგროვებინა. არ კი გეგონოს ვიკლებდი რასმე ან ვძუნწობდი. არა! ვსაზრდოობდი წესიერად, მეცვა სუფთად; სალაღობოსა. და გასართობსაც მთლად არ ვიყავ მოწყვეტილი. უმეტეს დროს კი ჩემ სამსახურს ვანდომებდი და წიგნის კითხვას. წიგნების შოვნას არც თუ იმდენი ხარჯი სჭირდებოდა. ბოლოს გავბედე და შევიძინე სახლი. არა, მე კი არ გავბედე — შემთხვევამ მიმაგდო ზედ.

— კაცო, გობრონ, სულ საკუთარ ბინაზედა ფიქრობ და, მოდი, გაყიდვინებ, — მითხრა ჩემმა თანამსახურმა.

— გმადლობთ! მაგრამ ფული იმდენი არა მაქვს, ვალისა კი ისე მეშინიან, როგორც გველისა.

— ვიცი. კარგად გაგიცანი. სწორედ საშენოა: ერთი ოთახი, ზედ მიდგმული პაწაწა ფიცრული და მცირე ეზო.

— ხე დგას ეზოში?

— დგას კარგად მოზრდილი ფშატი. ცოტა შორს კი არის სახლი, ქალაქის განაპირას.

— მაინც სადა?

— ზედ კლდეზედ. სულ უკანასკნელი სახლია მთაწმინდაში.

— ეგ კარგია: მაღლობი ადგილი მიყვარს. წყალი?

— წყალი ზედა აქვს, იქვე ხევის პირას. წამო, ბარემ წაგიყვანო. ხელად მოგარიგებ; ძალიან უჭირს კაცს და ნაღდს ეძებს.

წავედით. მომეწონა. მოვრიგდით. ჩავაბარე ფული. იმ ჩემმა ამხანაგმა ყველაფერი თითონ მოაგვარა და ნასყიდობის ქაღალდი ჩამაბარა. სახლის გამყიდველიც მადლობელი დაგვრჩა.

— ვალსაც მოვიშორებ, ცოტაოდენი კიდეც დამრჩება. ის საძაგელი მევალე კი მემუქრებოდა, შენი ჭოხი ჩემს ვალს ვერ აუვაო.

ტომბახი დამჭირდა, სადილი გავაკეთე. ფუძის ანგელოსს შეახვეწეს ჩემი თავი. ძველი სახლის პატრონი მავედრებდა თავის ნაქონ სახლსა თუ ეზოს. ჩემს ამხანაგს თავი მოსწონ-

და, რომ მარჯვედ დაათავა ეს საქმე და შნოიანად თამადობდა, ახალ-ახალ სადღეგრძელოებს ამბობდა.

— იქნება ხანდისხან ამოვიდე, დავხედო ამ ეზო-ყურეს, ხომ არ გეწყინება? ძალიან მიყვარდა, შენც შეიყვარე!

— მოდი ხოლმე, მიამება შენისთანა კეთილი კაცის ნახვა, უთუოთ შევიყვარებ ამ სახლ-კარს.

გადავკოცნეთ ერთმანეთი. წავიდნენ. ფშატს მივეყუდე. კმაყოფილების ღიმილით შევყურებდი ჩემს ახალ მონაგარს.

* *

რა კარგი იყო საკუთარი ბინა! კაცი ვიყავი, თავისი ჭერი მეფარა თავზედ. ვერც ერთი ჯოჯო ველარა მჯობდა: თუ იმათ ჰქონდათ ხვრელი რამ სორო, ეხლა მეც მქონდა ჩემი ბუნაგი. რამდენი ჯოჯო იყო კლდის ნაპრალებში ზედ ჩემ ეზოს წინ! მიყვარდა მათი თვალიერება ჩემი პაწაწა აივნიდან. გამოეფინებოდნენ, გაწვებოდნენ გახურებულ სილაზედ, თბებოდნენ მზეზედ; ამთქნარებდნენ, თვალებს ლულავდნენ, გვერდებს უცხუნებდნენ. გამჩენელს მიეცა მათთვის სიცოცხლე, საზრდო, ბინა, მზის მცხინვარე სინათლე და თავისებურად ნეტარებდნენ თავის არსებობით, ჰმადლობდნენ კეთილმყოფელ ბუნებას. წიწილებიცა ჰყავდათ, პაწაწინები. თავისებურად უალერსებდნენ, სიყვარულს ამჟღავნებდნენ. ვიჯექი ჩემ ხის ქვეშ, ჩემ საკუთარ ეზოში და კმაყოფილება ავსებდა ჩემ არსებას.

მაინც რა ბევრი უნდა ადამიანის კმაყოფილებას? ლუკმა პური, ბინა უყვედრი და კეთილი გული. გრილი წყალი არცროდის არ მაკლდა: იქვე, კლდის ქიმის გადაღმა, სალი სცვარავდა ცივს ნამს ანკარას; ქსნური ჩემი ლიტრა კარგად ინახავდა სიგრილეს. წავიკითხავდი, ვიფიქრებდი, გავიღიმებდი; ვოცნებობდი კიდეც ხანდისხან.

— რაზე ვოცნებობდი? იმაზედ, რასაც ოცნებობს მართოხელა კაცი: ოჯახზე, ახმაურებულ კერაზედ, თავის ცალ არსებაზედ. რატომ: პატარა ეზო მქონდა, ცოტა დათავქვევებული, მაგრამ არც ისე, ბალღს ვერ ეცანცალა, თუნდაც ახალ ფეხ-ადგმულს. ორი ოთახი მედგა. ერთი ფიცრული იყო და ძალიან პატარა, მაგრამ რა დარბაზები უნდა ორ ადამიანს,

თუნდა პატარაცა ჰყვანდეთ იმათ?! მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარზედ დაუძინიათ. კიდევ იყო ერთი ოდის ადგილი, მაგრამ... ერთობ გადაჭარბებული ოცნება არ შეჰფეროდა ჩემს ყოფას.

— გირჩევნია ღარიბი ვინმე მოიყვანო, პატიოსანი ოჯახის ქალი: არ გაუკვირდება შენი ხელმოკლეობა.

— ჰაი, ჰაი, მირჩევნია!

— ჰო, მაგრამ როცა ბაღლები დაგიჩნდებიან, რაღას აპირობ? შენი პაწაწა ჯამაგირი, ყუთის ტოლა შენი ქოხმახი...

— შენც მართალს ამბობ! მაგრამ არც თუ მეტი შიში ვარგა, გადაჭარბებული. ერთი ბალღი, თუნდაც მეორეც...

— მერე?

— მერე... მერე ზომიერება, თავის შეკავება. მოთმინებას ნაჩვევი კაცი...

— თავის შეკავება, ზომიერება... აბა ერთი სცადე! ადვილად იტყვის ენა.

იქვე ჩემი ეზოს წინ აზეული ფრიალო ერთ ადგილას თითქმის სწორედ იყო შეკვეთილი, ფართო კიბის საფეხურივით წავაკებული. ქვიშა იყო ზედ დაგროვილი, ზევიდან ჩამორეცხილი შლამი თუ მიწა. მცენარესაც ფეხი მოეკიდებინა იქ: ბალახეულობა, ნარი, ყვავილები, ფურფუჭა. ეს წასწორებული ადგილი არ იყო შორს ჩემის ეზოდან, მისვლა კი არ შეიძლებოდა: მთლად მიუდგომელი ქვევიდან. არც ზევიდან შეიძლებოდა ჩამოსვლა: ერთობ დაშვებული, სიპი კლდე.

ჩიტებს უყვარდათ ამ ადგილას შეგროვება: ჭიკჭიკობდნენ, ნავარდობდნენ, ბალახში ბუდარაობდნენ, მის თესლს ჰკენკავდნენ. მთლად უშიშრადა გრძნობდნენ ღვთის შვილები აქ თავს: ბალღები ვერ მიუდგებოდნენ, არც ქორი დაეშვებოდა ესე დაბლა, თითქმის სახლებთან. მიყვარდა ჩიტუნების თვალიერება, ვერთობოდი, მიხაროდა ჩემს ახლო სულდგმულთ მხიარულება. ერთი მაფიქრებდა: თუ ბალღი მეყოლებოდა, შეიძლებოდა აფოფხებულიყო იქ ან ყვავილებისათვის, ან ჩიტების დევნაში და... უთუოდ დაგორდებოდა. არა, ჯერ მაინც საშიში არ იყოს ეს, შორს იყო ესეთი დრო: ცოლიც არა მყვანდა ჯერ. შესაძლო კი იყო და ადვილადაც: მოვინდომებდი — წლის თავზედ შევიძენდი; რა შეუძლიან ერთს წელიწადსა, თუნდ ხუთ-ექვსსა?! ვუყურებდი ჩიტუ-

ნებს, მიხაროდა: რა ფთხრიალი, რა ჟრიამული, შექცევა, არშიყობა; ხანდახან კინკლაობაც. რა უშავდა? იქვე რიგდებოდნენ მაშინვე.

— ოღონდაც რომ მფრინველნი ცისანი, ჰაერის შვილნი! არცა სთესენ, არც მოიმკიან და სახიერი აცხოვრებს მათ შვებით.

— ეგრე გგონია, ჩემო კარგო?

— შეხედე და დაინახავ!

— ჰო, მაგრამ ახლა იმ დროსა ნახე მაგათი ყოფა, როცა პნელი ბოროტი სძლევს კეთილ სინათლეს: დღე დაპატარავდება, მზე შავ ღრუბლებში დაიმალება, გაიცრიცება, გაცივდება; სასტიკი ქარი ასისინდება გველივით; ბუნება გაიძარცვება და გაითოშება; მოესპობათ ყოველი საზრდო ყინვით შებოჭილ ბუნების კალთაზედ.

— ზამთრობით?

— სწორედ! აბა რა ცხოვრებაა მაგათი ყოფა მაშინ?! დახტიან საცოდავად გზა-ბილიკებზედ, ფუნეს ჰქექავენ ნაღეჭ მარცვლისთვის.

— მაშ რადა სწერია ღვთის წიგნში ესე?

— რა ვიცი! იქნება საწყლის სანუგეშებლად. ბალღსაც ხომ აღუთქვამენ, ეგებ დაჩუმდესო. იქნება ეგ თქმა იქ იყო ზედგამოჭრილი, სადაც წარმოსთქვეს: ამბობენ, სამხრეთ ქვეყნებში ზამთარი არ იცისო. ესეც არ იყოს, განა ცოტა მტერი ჰყავთ მაგ საწყლებს ეხლაც...

დავფიქრდი, მაგრამ მხოლოდ მცირედ ხანს. ავყიაა ჩემი მეგობარი: რაც უნდა კარგ გუნებაზედ იყო და ლამაზ გარემოებებში, მაინც შავ ღრუბელს იპოვის მოწმენდილ ცაზედ შენის მხიარულებისა.

* *

პატარა სურვილები მქონდა. შემოსაზღვრული და დიდი რამ ძალა თუ გამჭრიახობა არ უნდოდა მათ ასრულებას; არ აემატებოდნენ ჩემი მისწრაფებები ჩემს უნარს და ვასრულებდი თანდათანობით ჩემს ნდომებს თუ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

— უცოლო კაცი ცალმხრივია, არ არის სრული, ვერ იტყვის, ნამდვილი მოქალაქე ვარო.

— რატომ?

— იმიტომ რომ ვერ ასრულებს მოვალეობას: ვერ უზრდიის ხალხს შვილს, ვერ ეხმარება ერის გამრავლების აუცილებლობას; იქნება ცხოვრებისა ეშინიან და მისთვის გაუმარტოვებია თავი, ხოლო მშიშარა რა ვაჟკაცია, რა მოქალაქე?! იქნება ისეთი თავმოყვარეა, რომ არ უნდა თავი შეივიწროვოს ვისთვისმე, არც საყვარელი არსებისათვის; მხოლოდ თავის თავზედ მზრუნველი აბა რა მამულიშვილობას გასწევს.

— ლამაზად ამბობ! აფსუს, ცარიელი თქმა არის ეგ სიტყვები შენს პირში, ჰაერის უბრალო რყევა.

— როგორ, კაცო?

— თუ ეგრე ფიქრობ, რად არ ასრულებ შენს ნათქვამს, რას დაეყუდები მარტოდმარტო მიუკარებელ ყარყუშივითაა?

— არა, ძამიავ, არც თუ მარტო სიტყვის კაცი ვარ; ვასრულებ ჩემს ნათქვამს თანისთანობით, როცა დრო ხელს მიწყობს: ვამბობდი, თბილისში გადავალ-მეთქი და გადმოველი; ვსთქვი — სახლს შევიძენ-მეთქი, და აჰა, ჩემს ჭერ ქვეშ ვცხოვრობ.

— ეს ხომ მე გაგაბედინე.

— მადლობელი ვარ. მეგობრების დაუხმარებლად ძნელია ყოფა: ერთი — ერთს გირჩევს და გაგაკეთებინებს, სხვა მეორე საქმეში წაგიმართავს ხელს. ესე ნელ-ნელა და შეუმჩნევლად, აი, ეხლაც საქმე უკვე მოწყობილი მაქვს ვანო მერჩულის დედის დახმარებით: კვირას ქორწილში მეწვიე!

— კვირას? ქორწილში?! ჯვარს იწერ?! ვიზედ, ბიჭო?

— ნარგიზაანთ ქალზედ. ცოტა ნასწავლიც არის.

— რა ჰქვიან?

— მაია, მაიკო რაღა.

— ფულიანია?

— არა, ღარიბია. მდიდარი რომ იყოს, მე ხომ არც გავამომყვებოდა. იმისი გარემოებები რომ ავწონ-დავწონე და ჩემს მდგომარეობას შევუფარდე, ჩემისთანა ალბანასათვის შესაფერ ჩალხანად ვიცანი. მომწონს კიდეც: ღვთის სახე აქვს. იცი? ვგონებ, კიდეც მიყვარს.

— კეთილი! უსათუოდ გეწვევი.

უჩინარი კაცების პატარა ქორწილი. მათთვის საკმაო სიმ-

ხელარულე. პატარა ოჯახის საფუძვლის ჩაყრა. წლის თავზედ ბალღი, შემდეგ კიდევ სხვა. ეჰ, წადი და თავი შეიმაგრე, აქაო და ღარიბი ვარო. დავწვრილშვილდი — დავიწიე. მაინც გულს არ ვიტეხდი. გამეზდებოდნენ, ისევ ავიწევდი. რა ვუყოთ, რომ ეს მერმე იქნებოდა, შორ მომავალში; მანამდისინ კი ტვირთი დამიმძიმდებოდა. რა ვქნათ: ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო და მეც ოფლს ვიწურავდი ჩემი კერის კეთილად მოსაწყობად. არ შეზარებოდა შრომა, არც თავს ვიზოგავდი. მაგრამ თანდათან ძნელდებოდა სახლობის შენახვა. ვიხრებოდი ტვირთ ქვეშ, იღუნებოდა ჩემი ნებისყოფა; მეშინოდა, მთლად არ მოღვედილიყო ის ან არ გადამსხვრეულიყო. ცხოვრების თანაბარ დენაში კიდევ როგორმე შევძლებდით სიმძიმის ზიდვას მე და ჩემი ცოლი, მაგრამ ორივეს შიშის ზარსა გვცემდა რამე რყევის შესაძლებლობა: ავადმყოფობისა თუ სხვა კერძო მარცხის მოვლენა, ან საზოგადო ცხოვრების უშნოდ შერყევა, რაც ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა.

— ნუ გეშინიან, ჩემო კარგო, მაინც გავუძლებთ; განა ცოტაა ჩვენზედ ღარიბი და გაჭირვებული. ჩვენ ჭერი მაინც გვაფარია თავს, ვერავინ გაგვდევნის ბინიდან. სხვებს ესეც არა აქვსთ. შენც სამსახურის კაცი ხარ და რა გვიშავს?!

— არაფერი, გენაცვალე! განა გულს ვიტეხ, მხოლოდ მენანება, ნაკლებულებაში ჩაგაგდე და ამთავითვე მოგაკელ რამე სიამოვნებას.

— ისე ლაპარაკობ, თითქო ახალი დანიშნულები ვიყოთ. არ მოგიკვდეს მაიკო, ის თავის თავისათვის არა ზრუნავდეს! — ღიმილით მეტყოდა დოინჯშემოყრილი.

ვმხნეობდი ცოლის ნუგეშით ოდნავ დაწყნარებული, წელგაშლით მივდიოდი სამსახურში, მაგრამ იქ, ქაღალდების გადაწერაში გართულს, ხშირად მელანდებოდა ჩემი მაიკოს სახე. რომელიმე ასო თუ ხაზის მოსმა მომაგონებდა მის დოინჯს, მის ფეხის წადგმას, ცალმხრივ მის ღიმილს და... გული მიკვნესოდა: დავინახავდი, ქალი მხოლოდ ჩემს გასამხნევებლად იტყოდა ლამაზს; დავრწმუნდებოდი, მისი ღიმილი საცრემლე ღრეჯად გარდაიქმნებოდა, რაკი შინიდგან გამიგულებდა. ვინ იცის, იქნება, როცა ჭოხს ალაგებდა, ან ძონძ-

მანძს აკერებდა, ან კოჭობში შეჭამადსა ზელავდა, ვინ იცის-მეთქი, ცრემლებს აფრქვევდა.

იცი? ერთხელ წვენი მლაშე მოსვლოდა მაიკოს, უცნაურად იყო წამლაშებული, თითქო მარილი კი არა, სხვა რამ სიმლაშე დასჭარბებიაო და... კოვზი დამივარდა ხელიდან სევდა-ნაკრავსა: ჩემი მაიკოს ცრემლებს გადემლაშებინა საჭმელი. ხომ იცი, ცრემლს თავისებური სიმლაშე მოსდევს, საკუთარი.

— არ ვიცი!

— არ გიგემებია, ბედნიერო?! იგემე! ხომ გყავს სატრფო გულისა? ჰოდა, როცა ის აგიტირდება შეჭირვებული, თვალები ამოუკოცნე და განიცდი ცრემლის თავისებურ გემოვნებას.

სიცოცხლის დენა რომ ძირიანად შეირყა, იმან შეგვაშინა. მთლად ახალ სავალზედ გადავარდა ცხოვრების მდინარე ამღვრეულ-აღელვებული. შავად მოქანაობდა აზვირთებული, მოჰქონდა თან არემარე, გზა-გზა ჰქელავდა ყველას და ყოველსავე. ამან შემაკრთო, დამამუხლისთავა. მარჯვე მცურავები აჰყოლოდნენ გაგიჟებულ ღვარს და.. რა კაპუეტებს იჭერდნენ ბოროტად მოცეკვავე ტალღებში! თვალები თუ აუბა დაქანებულმა მღვრიემ თვით წყალის შვილებს.

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს!“ ვიტყოდი სუფრის ნასახზედ და... ჩემი შრომა ვეღარ იძლეოდა ვერც პურს არსობისას, დღიურად საკმარისს, შავ პურის კოტორს გაუცრელს, ბზეზედ დაზელილს. მხოლოდ პური! დღეისთვის მაინც! სატანს რასმე სხვას როგორღა წარმოვიდგენდით. გადელაჯნათ ბნელისშვილებს პურზედაც არსობისა, მოგვიპყრობდნენ ოქროს ფასად. გავტეხდით პურსა, შიში გვიპყრობდა: იგი პური გამღებლის ხელში რძეზედ ზელილი, მიმღებლის ხელში სისხლზედ იყო ნათითხნი, ადამიანის სისხლზედ ჩაშავებულზედ.

წაიღო, გაიტანა სისხლიანმა პურმა სისხლის ოფლით მონაგარი ყოველი კარგი. „არა ვიხილე თესლი მართალთა მთხოველ პურისა“, იტყოდა ფონს-გასული გვირგვინოსანი. დასცილებოდა თავის წარსული უკვე ბედნიერს, მთლად დაჰვიწყებოდა. „და ჩვენ ვიხილეთ თესლი მართალთა მთხოველ პურისა“. ჰაი, ჰაი, ვიხილეთ, საკუთარ კარზედ გამოვცადეთ.

/ მაინც ვცხოვრობდით. რა გვიშავდა ჟამიერად ტვირთმძიმეებსა?! გვეგონა: წამიერად. იმედის სხივები გვიციაგებდნენ და გვამხნევებდნენ. თავისებური სიამეც კი მჭონდა ისევ, ლამაზი განცდები, მეტადრე კვირაუქმეში, როცა სამსახურიდან თავისუფალი ვიყავი და შემეძლო ცოლ-შვილში გამეტარებინა დრო. ყველაზე საამო ის იყო ჩემთვის, როცა ჩემგან ლამაზად მოვლილ ფშატის ქვეშ ვიჯექი და შევყურებდი ჩვენი ეზოს წინ აყუდებულ სალ კლდეს თვალუწვდენელს. ვათვალიერებდი მის ნაპრალებს, მის დაღვრემილ სახეს დაღარულს, იმაზედ სასწაულებრივ მოსულ მცენარეს, რომელსაც როგორღაც მოეკიდებინა ფესვები, პირდაპირ ქვიდანა სწრწვდა თავის საზრდოს და თითონაც ასაზრდოებდა მწერებს მაინც; პატარა ჩიტუნებსაც.

— აი ცხოვრების უნარი ამისათვის დაუტანებია გამჩენელს, ვფიქრობდი. რომ იტყვიან, სიპზედ დასვა, თავს დაირჩენსო, ამისთანაზედ იტყვიან. ადამიანიც არის ასეთი: რომ გამოედება ძურწასავით, აღარ მოეფშხვნება, მინამ თავისას არ გაიტანს. ყვითელმა პეტრემაც ესე იცის: ალღოთი მიჰხვდება, სად შეუძლიან გამორჩეს ოქროს და აღარც მოეშვება; სუნს იკრავს მეძებარივით, ლბილად შემოეხვევა გველივით, უხსნელად და... დაჰკრავს ნესტარს. ვინღა გადურჩეს ასპიტს გესლიანს?! ამბობენ, ძალიან სარგებლობსო გარემოებით, ვინც წლით მდიდრდება, ის დღით მდიდრდებაო.

* *

ყვითლის მოგონებამ ცუდ გუნებაზედ დამაყენა, სიამე შემიმღვრია, მით უფრო მძიმე იყო ეს ჩემთვის, რომ იმ დღეს უქმე იყო. მიხაროდა. მზე მხიარულად თამაშობდა კლდის თლილ გვერდებზედ. გაფოთლილ ფშატის ქვეშ თითქმის ვნეტარებდი საგრძნობ სადილის მოლოდინში. იქვე ფარდაგზედ თამაშობდნენ ჩემი ბალღები: კლდიდან ჩამოცურებული ქვის ფირფიტებით ხუხულას აშენებდა უფროსი, პაწაწა პირღია შესცქეროდა ახალ მოვლენილ ხუროთმოძღვარსა. განა მშურდა პეტრესათვის მისი უნარი, ან მეხარბებოდა მისი დოვლათი? არა! მის მოგონებაზედ ისე გამითამაშეს წინ მისმა თვალებმა, თითქო თითონ შემოვიდაო ეზოში, ბოროტად

მჭვრეტელმა გველის თვალებმა. ძალა დავატანე ჩემს თავს, მოვიშორე გონების თვალთაგან უნდო სურათი და გავხედე ისევ ჩემს კლდეს, იმედიანად მდგარ ურყევ ბუმბერაზს. კლდის ფერდობზედ ეხლაც თვალი დავკარი იმ წავაკებულ ადგილს მიუდგომელს, რომელზედაც შემრავლებულიყო მცენარე, ტანიც აეყარნა. რიგი ყვაოდა, რიგს თესლი გამოელო, დაპურებულიყო. ჩიტუნები ისევ ირეოდნენ იქ. ნაჩვევი ვიყავი მათით შექცევას. ვუყურებდი, ვსიამოვნებდი: მახარებდა მათი ხალისი, ჟივილ-ხივილი, მათი ცელქობა; გულს მიყუჩებდა, ღიმილის გუნებაზედ მაყენებდა. მზის სხივებში ბანაობდნენ ჰაერის შვილნი. მათი დრო იყო; სინათლე, სითბო, მარცვალთ უხვობა, მწერთა სიმრავლე.

იმ წავაკებულს ზევიდან კლდის ბექი ჰქონდა წამომდგარი და მისი ქიმი ზედ დაჰყურებდა ამ მდელოიან ადგილს განცალკევებულს. ბექობ ზევით კლდე ისევ ციცაბოდ იყო აწეული, ნაპრალებიანი კლდე, ერთ ნაპრალიდაგან გამოსრიალდა კლდის ფერადვე შეჭრელებული მცურავი და წამოვიდა სალის ქიმისაკენ, გაინაბა ქვის იქით, მთლად გაეკრა სიპს; ძლივსღა ვხედავდი; ოდნავ გამოყო ქვის გვერდით თავი და... ელდასავით დააწყდა ჩიტებს. დაფრთხნენ შეძრწუნებულნი. ერთი მათგანი პირში შერჩა მტაცებელს. ჩანთქა საცოდავი. დაიღუპა სიცოცხლე წყეულისაგან.

— ეჰ, სხვა ბევრი დაენაცვლება დაღუპულს; მდიდარია ბუნების ძალა, ულეველი, ბევრეულ სიცოცხლის წარმომშობელი.

— მაინც არა იმისი, რომელიც დაიღუპა. გაქრა საუკუნოდ ის განკერძოებული ცნობიერება თავისებური, აღარ გამეორდება. მასთან მოისპო მისთვის მთელი ქვეყნიერებაც. ხეც ყოველ გაზაფხულზედ იმოსება ფოთლებით, მაგრამ მხოლოდ გულუბრყვილოს ეგონება, იგივე ფოთლებიაო ის. არა, ისინი მოისპნენ, მტვერს განერთხნენ, ნიადაგს შეერივნენ მიწის შვილები.

ზეითვე აცურდა გველი ნელ-ნელა. მზე ისევ დაჰყურებდა მდელოთა კორდსა. მთის ნიავი ისევ არხევდა ტანშეყრილ ბალახს, სხივები ჰქარგავდნენ ბრჭყვიალა სირმით ლამაზ ყვავილებს. მეორდებოდა გველის ნადირობა შემდეგშიაც. გამოცურდებოდა სალზედ გაკრული და უსათუოდ დაჰკრავდა

მიზანში ამოღებულს. გადანთქამდა და აცურდებოდა მზიან მაღლობზედ; სიამოვნებდა მზის მცხინვარე სხივებზედ, გვერდებს უცხუნებდა გახურებულ კლდეს, ლორწოიან გვერდებს გრილს. ბალღობისას უცაბედად ხელი შემიხია გველისათვის და იმ მკვეთრ გრძნობას დღესაც განვიცდი მის დანახვაზედ. იცი? ერთხელ პირისპირ შემეხო სიკვდილი, ვიგრძენი მისი ხელი ჩემს კანზედ და ისეთივე განცდა იყო ის ჩემთვის. გადავრჩი მაშინ, როგორც ბალღობისას გველის შემოხვევას: ღვთის შვილმა მიხსნა საკვირველის ოსტატობით, როგორც ბალღობისას რაღაც განგებამ.

სისხლი ყელში მომდიოდა ამ გველის დანახვაზედაც, მებრალებოდნენ მისი მსხვერპლნი. რას ვიზამდი? ასვლა და ეშმაკეულის განადგურება არ შემეძლო: ფეხის მოსაკიდებელი არ იყო სალზედ. ტყვიით შეიძლებოდა მისი მოსპობა, მაგრამ... ბალღობაში რომ მჭერია თოფი, მერე ხელი აღარ მიხლია იარაღისათვის. თუ ვიშოვიდი, მაინც კლდესაც ავაცდენდი, არამც თუ მასზედ წოლილ გველს.

და შევყურებდი ბოროტებას უღონოქმნილი, კარგის ვერმგონი. ისიც კი უნდა ვსთქვა, მაჯადოვებდა გრძნეულის ნადირობა. გამოვიდოდა ხვრელიდან, თვალებს უნებლიეთ მივაპყრობდი, მთელი ჩემი ყურადღება მისკენ მიექცეოდა, არც ერთი მისი მოძრაობა არ გამომეპარებოდა. როგორ ჭკვიანად მოქმედებდა, მიზანშეწონილად! ყოველ გამოსვლაზედ ახალ-ახალ ჰანგსა ხმარობდა ნადირობისას, ნელი და ფრთხილი მიპარვისას, მარჯვე, მედგარი თავდაცემისას.

„ხოლო გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა“,

გაიწაფა. დაბზინდა: ტყავი თუ გაიძრო და ახალ კანში მეჩვენებოდა. გაიზარდა კიდეც: დასქელდა, სიგრძე ემატა, მზეზედ თამაშობაც უფრო მოძრავი შეექმნა. ბევრჯერ ნახევრად წამოდგებოდა, ყელყელაობდა მაღლობიდან. რა შესაზარი იყო ბოროტი! სურვილითა მსურდა მისი გაქრობა, დაუფიქრებლივ მივიდოდი მასზედ კეტით ხელში, თუ ბილიკის ნასახი შემემჩნია მასთან მიმყვანი.

* * *

— საით მიეშურები ეგრე, გამარჯვებასაც არ მეტყვი კარგ ნაცნობს?

— პეტრე, შენ? უკაცრავად, გენაცვა: ტანისამოსზედ ველარ გიცანი, სახეზედ კი ვერ შემოგხედე. ძალიან ვეშურები, სამსახურში დამიგვიანდა. ბალღი გვყავს შეუძლოდ, იმას დავტრიალებდი.

— არა უშავს რა! ეხლა ხშირადა ვნახავთ ერთმანეთს: თქვენი მეზობელი გავხდი, ბაიდრელაანთ სახლი ვიყიდე და იქ გადმოვალ ამ დღეებში.

— ალექსასი?

— ჰო! ცოტა რამ ემართა, სხვა ნაღდად ჩავაბარე და...

— კარგი სახლია! ხელი მოგიმართოს ღმერთმა, მშვიდობაში მოგახმაროს.

კანი გამოეცვალნა ყვითელს: მიხაკის ფერი მაუდის ჩოხა გრძელი; იმფერივე მოგრძო ახალუხი; ზევიდან ვერცხლის ქამარი, ესე ორი თითის სიპრტყე, მოოქროვილი, უგობაკო; წაყვითანო ხუჭუჭი ქუდი; საათის ძეწკვი ოქროსი; სუფთა წაღები გაპრიალებული, ტოტებჩამოშვებული ვიწრო შალვარი უფრო მუქი; კოხტად გაკრეჭილი წვერი. დარბაისელ მოქალაქეს დაჰმსგავსებოდა, სოფლად მცხოვრებელს. ისევ ისე მოქნილი ტანი თითქო უძვლო, მხოლოდ ცოტა შესუქებულიყო, დაბზინებულიყო, წელში უფრო გასწორებულიყო; ბატონკაცური რამ იერი მიეღო. დავემშვიდობე. გრილი თითები ჰქონდა, ლორწოიანი.

არ მიამა მისი მეზობლად ჩამოსახლება. ჩემსა და მისგან შეძენილ სახლს შუა ერთი ქოხმახიღა იყო, ღარიბი დედაშვილი სცხოვრობდა იქ. დედაც, ქალიც ნემსის წვერით გამოდიოდნენ. ვაჟკაცი მოჰკვდომოდათ, ჭერი დარჩენოდათ საკუთარი და დაჰყრდნობოდნენ მხოლოდ თავიანთ შრომას. ჩვენც გვიკეთებდნენ ცოტაოდენ საქმეს, გვეშლებოდნენ. ხელს ვატანდით, რამდენადაც შეგვეძლო. უვაჟკაცონი იყვნენ ქალაქის განაპირას და უხაროდათ კაციანი მეზობელი. ბოლოს ძალიანაც შეეჩვივნენ ერთმანეთს ქალები, გული შეაწყვეს.

— აბ, ერთი მალე გავათხოვო ჩემი ფეფიკო! მაშინ თუნდ მოვკვდე, ჯავრი არაფრისა წამყვება, — იტყოდა ბაბალე.

— რა გული გაგტეხია, ჯერ ხომ ისევ ნორჩია ქალი.

— თუ კარგი კაცი შეჰხვდა, ფხიზელი და საქმიანი, იცხოვრებენ ღვთით: თითონ ფეფიკო ხელგამამავალია, ახლა საკუთარი ბინა და რა უშავთ?! არც მე ვარ ჯერ საბყარი, სხვის შესანახი; ცოტას რას ვარგებ.

ამასა ნატრობდა ქალის დედა. ამაზედ ოცნებობდა თითონ ფეფიკოც, თუმცა ხმას არ იღებდა, როცა მის გათხოვებაზედ ვლაპარაკობდით, მხოლოდ წითლდებოდა თავჩაღუნული. ყველა ოჯახს განსაკუთრებული დარდი აქვს. ამ პატარა სახლობასაც, ყველა ხელმოკლე ოჯახის საერთო დარდს გარდა, ის აწუხებდა, რომ მათი სახლი დაგირავებული იყო. როცა ფულის შეტანის დრო ახლოვდებოდა, ჭირი უმრავლდებოდათ: ძნელი იყო ნაღდის წინადვე შეგროვება, დღიურად ძლივს გამოდიოდნენ; უნდა ესესხნათ და ნელ-ნელა გადაეხადათ თავნ-სარგებელი.

აი ამ პატარა ოჯახისა და ჩემ სახლის გვერდზედ ჩამოსახლდა ყვითელი პეტრე, ეხლა უკვე შეძლებულთ წრეში შეჭრილი ფულით ძლიერი პავლეს ძე პეტრე. სულ რამდენსამე კვირაზედ გადააკეთა თავისი ახალი მამული. მორთო პატარძალივით. ჩეჩქივითა ჰქონდა ფული, არა ზოგავდა. ისე აცხოვრებდა თავის სახლობას, სიზმარშიაც ვერა ვნახავდი მისთანა ფუფუნებას.

— ხელის ჭუჭყია ფული; მიდის, მოდის, გზა-გზა კარგ ცხოვრებასა სთესავს. შნო უნდა გქონდეს თანხის მოგებისა, მისი ხარჯვისაც.

— მართალს ამბობ! თუ უნარი არა გაქვს, რას მოახერხებ?! მაინც მითხარი, როგორ დაურუვე შენკენ ოქროს ნაკადულს?

— ქაღალდისას-თქო! მაგრამ ჰო, ჩემს ხელში ქაღალდის ფარატინიც ოქროს ფირფიტებად გარდაიქმნება თილისმის ძალით. რა ჭკუა აქვს ეხლა ან შინ დასტა-დასტა ქაღალდის დაგროვებას, ან ბანკში შეტანას?! ერთიც ვნახოთ, გააუქმეს ქაღალდის ფული, ან მიითვისეს ბანკის თანხები.

— მაშ რა უნდა უყოს მდიდარმა ფულსა?

— ქონებად აქციოს: მამულები იყიდოს ქალაქში, — სოფლად მიწა აღარაფრად ღირს ჩვენისთანა კაცისათვის, — სა-

ვაჭრო საქონელი დაამზადოს ბლომად, ძვირფასი ნივთეულობა შეიძინოს. უნდა ატრიალო თანხა დაუსვენებლივ.

— მაინც როგორ მოიგდე ხელში დიდი ფული?

— გეტყობა, მოხელე ხარ, ქაღალდს ჩასცქერი. თავი აიღე, დალოცვილო, გაიხედ-გამოიხედე. იცი რა ხდება? ერთს თვეზედ შეიძლება გამდიდრდე. ჩემი დუქანი სხვას გადავეცი. ვგონებ, გითხარი, ის დუქანიც, სახლებიც ეხლა ჩემია. ისევ ფეხზედ ვაჭრობა დავიწყე ხან წვრილ-წვრილად, ხან ბითუმად. ბაქო, ბათუმი, ერევანი, კავკავი, თრიალეთი. რა ვიცი, სად არ დავდივარ, რით არა ვვაჭრობ. ცხვარი, ძროხა, ნავთი, ბოსტნეულობა, ერბო-ყველი, ღვინო-არაყი, თამბაქო, ხორბლეულობა, თუ ფქვილი... ეხლა მთელ გემ საქონელსაც ვყიდულობ და იქვე ვასაღებ ადგილობრივ, თითქმის უნახავად. ბევრჯელ რამდენსამე საათში მანეთზედ თუმანი მოდის. ჰაზრიანად კი უნდა ყველაფერი, ნახტომი არ შეგეშალოს, თორემ ხრამია ახლო უძირო. მაინც აუცილებელია გამბედაობა, თავხედობამდის მისული გამბედაობა! — სთქვა პეტრემ.

და აუბზინდა თვალები, აუთამაშდა თვალთა ბაიაში მცურავი ცბიერებისა დაუნდობელი. შემეზარა. ხომ არ შევიმჩნევდი: ძლიერი კაცი იყო, მთელ ჩვენ უბანში სხვა არავინა სჯობდა ეხლა იმას შეძლებით და შეუპოვარი გამჭრიახობით; ვერც მოხერხებით და მოქნილობით. არც მიზეზი მქონდა მემჟღავნებინა სიძულვილი: სიავკაცე არ მიუძღოდა ჩემ წინაშე.

გაუჭირდათ ბაბალეანთ: ფული დასჭირდათ. მიმგზავნეს პეტრესთან. როცა ვუთხარი, რამდენი ფული უნდოდათ, სიცილად არ ეყო. ეგ რა ფულია, ერთი დღის საგძალიო. მოიხმო დედაკაცი, უთამასუქოდ ჩააბარა ფული.

— რა ქაღალდი მინდა, ან რა სარგებელი?! მეზობლები ვართ და ესეთი ხელის გამართვა უბრალო საქმეა. არა, კეკუციჯან? — მიუბრუნდა თავის ცოლს.

— ოღონდაც! ამისთანა პატარა საქმეში თუ ვერ ვენდობით ერთმანეთს, მაშ რაღა მეზობლები ვყოფილვართ?! — დაუკრა კვერი კეკომ.

და ხელები გაპარჭყა, ალბათ იმისთვის, რომ დაკვლანჭილ თითებზედ აელაპლაპებინა ძვირფასი ბეჭდები. მერმე რამდე-

ნი, ღმერთო ჩემო! ზღაპრულმა მელამ რომ კუდზედ აისხა ბეჭდების გროვა, კუდის წვერამდინ, ის გამახსენდა.

— მაინც მეხათრება.

— მაშ ხელსაქმეს გაგაკეთებინებთ და გამოგიქვითებთ. მიქეს შენი ქალი, კარგი მკერვალიაო.

შეიჩვიეს მადლიერი ქალები პეტრიანთ. მეც შევეჩვიე, თითქმის მივენდე. ისევ ვხედავდი გველს მის თვალებში, მაგრამ ამას მხოლოდ ჩემს კერძო განცდას ვაწერდი, რომელსაც არავითარი ფუძე არა ჰქონდა სინამდვილეში.

* *

ცხოვრება კი თანდათან ძნელდებოდა. ფასები ზღაპრულად იწევდნენ ზევით. ქალაქ ადგილას მხოლოდ ვაჭრებს და მტაცებლებსღა შეეძლოთ გაჭირვებულ ყოფასთან გამარჯვებულად ბრძოლა, ან, რა ვიცი, ერთობ მოხერხებულებს. იწყეს ქონების გაყიდვა, რომ შიმშილით არ ამოხოცილიყვნენ. შიშით და ძრწოლით ვუყურებდი მომავალს; ველოდით, ძირს მოგვითხრიდა ხვალინდელი დღე. რა ადვილად! ჩვენ ხომ ღრმად არა გვქონდა ფესვები გამდგარი, ძლივს მოვკიდებოდით კლდეს. ერთი შერყევაც და მოვსწყდებოდით ნიადაგს, უფსკრულისაკენ დავეშვებოდით.

ჩვენ მეზობელ ქალებს კი თითქო უფრო გაუშუქდა: პეტრიანი ხშირად აძლევდნენ სამუშაოს და კარგ ფასებშიც; ყვითელი ძალიან ხელს უწყობდა მეზობლებს.

— ალბათ ებრალება. გულკეთილი თუ არის, თუმცა გველი უთამაშებს თვალებში, — ვფიქრობდი.

და მრცხვენოდა ჩემი საკვირველის განცდისა. როგორ გავამხელდი იმ გრძნობას?! ჩემი მაიკოსათვისაც არ მითქვამს. შეურაცხჰყოფდა კაცს ჩემი განცდა, მთლად უდანაშაულო ადამიანს. რომ გაეგოთ ეს ჩემი შთაბეჭდილება, იქნებ კიდეც შემკრთალიყვნენ; შეიძლებოდა, აღარც კი გაჰკარებოდნენ იმ ოჯახს. ცოდვაა, კაცზედ აუგი სთქვა, აქაო-და შენზედ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ის: მისი საქმეებით შეაფასე ადამიანი; ნაყოფით იცნობების ხეხილი.

ვცხოვრობდით. ვიბრძოდით ლუკმა-პურისათვის. ეხლა ერთითა პურითა სცხონდების ადამიანი, ცარიელი პურით;

სატანზედ ოცნება შეუსაბამო შეიქმნა. უზომოდ მძიმდებოდა უღელი ყოფნისა, იღარებოდა წახრილი ქედი, იცრიცნებოდა, ადგილ-ადგილ კიდეც სკდებოდა. ცხიმი არსად იყო, წაგეპოხა გაღვერილი ტყავი.

მაინც არა უშავდა რა: ვიწროებში ვიყავით, ფართო გზისაკენ მივისწრაფოდით, ჭრელ-ჭრელი ოცნებით. ეხლა კი ვგვანდით მფრინველთა ცისათა, რომელნი არა შეიკრებენ და მწირობის ჟამს შიმშილით იხოცებიან. ზამთრის დღეებში, ბუნების სიცარიელის ჟამს, თორემ ეხლა რა უჭირდათ ბედნიერებს: ყველა ხეზედ თუ ბალახზედ საზრდო მზამზარეული, ბუჩქებში თუ მდელოთა შორის ბინა უშურველი, ყველგან სითბო და სინათლე სამხიარულო.

ბედნიერები იქნებოდნენ ეს ჩიტუნებიც, კლდის წავაკებულზედ რომ იკრიბებოდნენ, მდელოთი დაფენილ მიუვალ ადგილას, თუ წყეული არ შესჩენოდათ იმათ დაუძინებელ მტრად. რა დაიგეშა! გაალაგა საცოდავები! მე მხოლოდ კვირა-უქმეში მქონდა დრო მეთვალიერებინა. უთუოდ გამოინადირებდა. ჯავრი მამდიოდა მის დანახვაზედ, თან მოვჯადოვდებოდი და თვალს ვერ ვაშორებდი მის თვითეულ მოძრაობას. ზღაპარშია ნათქვამი:

„მოფრინდებოდის დღე ყოველ გველეშაპი ფრთოსანი და ჩანთქამდის რჩეულთაგანს კაცთა შორის. კაცნი იმა ქვეყნისა უმწეონი იყვნეს წინაშე გველეშაპისა მის და განიგდიან თვის შორის წილი. ზვარაკად დადებულსა მას სციან ჭამადი ფრიად, ჩააცმევდიან ბისონსა; უმღერდიან და უგალობდიან".

საწყლები! ალბათ არ იცოდნენ; იმისთანა მობყრობა ბევრად გააღრმავებდა ტანჯვას განწირულისას.

ჩიტუნები თითონ არ ირჩევდნენ თავის შორის მსხვერპლს, თითონ გველი იბყრობდა თავის ზვარაკსა. არ იცოდნენ გულუბრყვილოებმა განსაცდელის აუცილებლობა. არ ვიცი, ალღო ვერ აართვეს, თუ ახალ-ახალნი მოდიოდნენ და ძველებსაც იტყუებდნენ თავიანთი უზრუნველი ჭიკჭიკით თუ ხტომა ცელქობით.

გამოვიდა ჭრელი. ნაჩვევი გეზით წავიდა, ქიმზედ რომ ქვა იდვა, იმის პირდაპირ. გადაეშვა ელვასებურად. წყალწყალა მოხვდა, საბრალო წყალწყალა!

— დახელოვნდა წყეული! — ვიფიქრე.

იმისთვისა ვთქვი, რომ ეს ჩიტუნა უფრო მარდი იყო, ფრთხილი და დაუდგრომელი. პირველად იგემა გესლიანმა ლამაზი. შევბრუნდი შინ თითქო კმაყოფილი, რომ დღესაც ვნახე ჩემი სანახავი; თან შემძიმებული: ვაჟკაცი ვიყავ, ღონე კი არ მქონდა მომესპო ეს საცოდავობა, ზედ ჩემი ეზოს წინ რომ ხდებოდა, ის ბოროტება.

ძალიან ჭკვიან არსებად მიმაჩნდა ეხლა მე ჭრელი და მით უფრო საშიშრად, რამდენადაც გესლიანი იყო ის და ულმობელი.

— რახან გადავადგამ ნაბიჯს მის საზიანოდ, უნდა კიდეც გამიმარჯვდეს და მთლად მოვსპო ის, თორემ ამემტერება, ჯავრს ამოიყრის: ჩამოცურდება ღამე, დაეხვევა ბალღის აკვანს თუ ლოგინს და დამიგესლავს პატარებს. რა გაუმაგრდება ამისთანა მტერს?! კარ-ფანჯარის აფრაკ ადგილიდან შემოსრიალდება, უჩინარ რამ ხვრელით შამოვა, — ვფიქრობდი შემკრთალი.

და ვცდილობდი არ მიმექცია ჩემზედ ბოროტი ქვემძრომის ყურადღება, მტრად არ გადამკიდებოდა წყეული. გოგირდს თუ ათასგვარ სხვა წამალს ვაყრჩოლებდი ეზოსყურეში, მცურავისათვის არა სასიამოვნო წამალს, რომელსაც კი ვინმე მირჩევდა.

იწურებოდა ზაფხული, მალე მთლადაც დათავდებოდა. ჯერ ისევ ცხელოდა, მაგრამ მაინც შეეტყო ბუნებას გახუნება: ბოროტი სიბნელე თუ დაძრულიყო ჩვენს ქვეყნისაკენ სითბო-სინათლის გასადევნად, ბუნების კეთილ ძალთა შესაბორკავად, წყვდიადით, ყინვით ხალხთ საწამებლად.

ლამპარი ანთებული გვქონდა. ტახტზედ ვიჯექი ბალღების შუა. შემოვიდა მაიკო აღელვებული.

— ცოტახან აქ გამოდი!

— რა იყო, რა ამბავია? — მივაძახე შეშინებულმა.

მეგონა, გველი ჩამოსრიალდა ჩვენს ეზოში. გავყევი. ხელი დამიჭირა, ბაბალეანთკენ წამიყვანა.

— დახე, რაღაც უბედურებაა ამ საწყლების თავს! — მითხრა ჩურჩულით.

ლამპარი ენთოთ. ფარდა ჩამოუფარებელი დარჩენოდათ. დედაკაცი მოსთქვამდა უსიტყვოდ, ირხეოდა ტახტზედ ჩამომჯდარი, გადად-გადმოდიოდა; ხელებს ასავსავებდა შიგა-

დაშიგ, ბრჭყალებად მოხრილ თითებს ბუწუწებზედ ჩამოისვამდა. ფეფიკო ტახტზედ მიგდებულიყო და ცდილობდა ხმაჩაწყვეტით ექვითინა; მხრებს აყოლებდა, თავს აწყვეტდა.

— შევიდეთ! მივეშველნეთ!

— რას ამბობ?! ჰხედავ, ისეთი ავი წაჰკიდებიათ, თავიანთ თავსაც უმალავენ. თუ შველა შეიძლებოდეს, თუნდა ნუგეში, დაგვიძახებდნენ.

ჰკვაში დამიჯდა ნათქვამი; მაინც ჰაზრიანი იყო ჩემი მაიკო. ცოტა ხანს კიდევ ვუყურეთ მეზობლის უხმო ვაებას და გამოვბრუნდით. ფარდაც ჩამოაფარა დედაკაცმა.

— ჰა, ქალო, რა გგონია, რა უბედურება დაემართებოდათ?

— ვერაფერი მოგიფიქრია, ალღოთი მაინც ვერ მიმხვდარხარ?

— ვერა!

— მე კი წინადვე ვგრძნობდი მაგათ უბედურებას, თითქმის ვიცოდი: სარკეში ვხედავდი.

— მაინც?

— ყვითელს ცოლ-შვილი შინ არა ჰყავს. ფეფიკო კი წინანდებურად დადიოდა მის სახლში: პეტრეს ცოლს დაევალებინა რამეების შეკერვა; ეთქვა, ოჯახსაც ხანდისხან მიხედეთ„ ხომ იცით, ვაჟკაცი შინა საქმეში შეუგნებელია, მსახურებს კი ადამიანი ვეღარ ენდობაო. თითონ ბაბალემ მიამბო ეს. სანდო არ არის ის კაცი: შემიმჩნევია, როგორი ნდომით უყურებდა ქალს.

— შენა გგონია, გველმა დაიჭირა საბრალო წყალწყალა? ეჰ, სხვაზედ წაველ. გგონია, ხელში ჩაიგდო გაქნილმა გოგო?

— რა ვიცი?! რაღაცა საიდუმლო დარდი კი დაატყდათ თავს ამ საცოდავებსა და..

* *

ამ შემთხვევის შემდეგ დადუმდა ბაბალეს პატარა ოჯახი. გაწვა, გაიტრუნა. ველოდით, გვეტყოდა დედაკაცი თავის დარდს, გაგვიზიარებდა თავის გაჭირვებას, რომ საქმით თუ ვერა, სიტყვით მაინც გვენუგეშებინა კარგი მეზობელი. ამაოდ: სიტყვა არ დასძრა იმ შემთხვევაზედ. სხვანაირად დაგვიწყო მზერა, ეჭვიანი თვალით. ფეფიკო ათასში ერთხელ გადმოირ-

ბენდა ჩვენთან და მაშინვე გაიქცეოდა, პირდაპირ არ შემოგვხედავდა. პეტრიანთას მთლად ამოიკვეთა ფეხი. იმათ სახლიდან აღარც სიცილი გაგვიგონია, აღარც ხმამაღლა საუბარი ხალისიანი. წინად კი იმათ კერაზედაც იყო შვების წუთები, გულახდილი სიცილი თავისუფალი. რა ვუყოთ, რომ ღარიბები იყვნენ, დაჩაგრულები?! საწყალსაც შეუძლიან სიცილი-ხალისი, თავის პაწაწა კმაყოფილების დაჩენა წუთიერი.

— სწორედ მართალია ჩემი ეჭვი: თუ სხვა რამ უბედურება მოჰხდომოდათ, ესე არ გაჩუმდებოდნენ, პირში წყალს არ ჩაიგუბებდნენ.

— ვატყობ! ხმასაც აღარა იღებენ ყვითელ პეტრეზედ, სრულებით აღარ ახსენებენ იმის სახელს.

— აღარც მეზობლობა აქვსთ იმასთან. ქალი ეხლა ქალაქში ჩადის სამუშაოდ. შორს რად წავიდოდა უმიზეზოდ, როცა კარზედაც ბევრი ჰქონდა ხელსაყრელი ხელსაქმე?!

— წინად კი ხანდისხან სადილადაც იმათთან რჩებოდა.

— ალბათ იმან დაღუპა საცოდავი: მაგარ სასმელს შეაპარებდა ან ბანგსა და...

— რა იცი, იქნება ფული დაახარბა: ჩეჩქივითა აქვს ნაღდი.

— არა მგონია! მაშინ აღარ ატყდებოდა ბაბალე, სახლი უნდა გავყიდოვო; შეეჩვევოდნენ თავიანთ ყოფას და ქონების გაუყიდავადაც კარგად იცხოვრებდნენ. არა, პატიოსნები არიან საწყლები; მხოლოდ უბედური რამ შემთხვევა ეწეოდათ.

ვეჭვობდით, ნამდვილ კი არაფერი ვიცოდით. პეტრეს ქცევას არ ეტყობოდა რამე ცვლილება ბაბალეანთ შესახებ. არც ეცალა ყვითელს ამისთანა წვრილმანისათვის: ვაჭრობდა, იჯარადრობდა, სცვლიდა საქონელს. ციბრუტივით დატრიალებდა. ახალ ნაყიდ სახლსაც საფუძვლიანად აკეთებდა, სულ სხვა სახეს აძლევდა. ფულს აღარც კი სთვლიდა: დასტა-დასტა ელაგა ჯიბე-უბეში. ალღო აერთვა ცხოვრებისათვის და მარჯვედ ასდევდა მის მღვრიე ტალღებს მცურავი გამოცდილი, ყველა ფანდის მცოდნე, მორეესა თუ ჩანჩქერის, საფერ ყველა ყაიდისა. ისე დატენა სარდაფები, საძრაობა აღარა ჰქონდა საქონელს.

— ძლივს დავითანხმე ბაბალე სახლის გაყიდვაზე. ნეტა

რად უნდოდა? მაინც ხომ ვერ შეინარჩუნებდა ამ საშინელ სიძვირეში: ვერ შესძლებს იცხოვროს ნემსის წვერით. სჯობია, დროზედ მოიშოროს, — მიმართა პეტრემ.

— ძალიან გაუძნელდებოდა გაყიდვა: შვილივით უყვარდა ჭოხმახი.

— გაუძნელდა. იტირა. მაინც გადაწყვიტა. ქალიც ძალიან დაღონდა. თითქო მტრულად დაგვიწყეს ყურება. მე კი მხოლოდ სიკეთე მინდა მათთვის.

დავაკვირდი პეტრეს ნათქვამს. ყველა მისი სიტყვა გათლილი იყო. გრძნობდა, შევატყვეთ, როგორი უნდობლობა ჩამოვარდა ბაბალეანთა და მათ შორის, თითქო მტრული განწყობილება, და ცდილობდა ჩვენი ჰაზრი სხვა მხარეს მიემართა; ჰსურდა, გვეფიქრა, რომ მათ შუა უსიამოვნების მიზეზი სახლის გაყიდვაზე საუბარი იყო. ისეც კი შევატყვე, რომ ნათქვამიდან არაფერი იყო მართალი: თითონ რომ დინჯად ამბობდა, დაჭეშმარიტებით, მისი თვალები სულ სხვას მეუბნებოდნენ, მათში ათამაშებული გველი მაცთუნებელი.

— იმისთვის ვაძლევ ღირებულებაზედ ბევრით მეტს და ფულს არა ვზოგავ, რომ ჩემთვის ძლიერ მარჯვეა და საჭირო ეს პატარა ადგილი: მინდა ლამაზი სასახლე ავაგო, ზევიდან დავამშვენო ჩვენი თბილისი. ესე მოზრდილი ადგილი დამჭირდება, ამოდენა, — სთქვა პეტრემ.

და ხელი ისე შემოავლო ჰაერში, ჩემი სახლიც მთლად შიგ მოჰყვა, თან დაკვირვებით შემომანათა მოუსვენრად მოთამაშე თვალები უქუთუთო. მოვუწონე განზრახვა. გულთმისნობაც შევუქე ფიქრში: ჩვენ, მე და ჩემს მაიკოს, ჯერ არაფერი გვეთქვა ჩვენი სახლის გაყიდვაზედ, არ გაგვემჟღავნებინა ეს დარდი ერთმანეთისთვის, მაგრამ უსიტყვოდაც დარწმუნებული ვიყავით, რა აუცილებელი იყო ეს ჩვენთვის ამისთანა გარემოებებში. თურმე ისიც გათვლილი გვქონდა, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი სახლიც ამ ახალი ძალის ხელში გადავიდოდა. ალბათ მოგვაჯადოვა იმ კაცმა. თითონ ხომ მთლად დარწმუნებული იყო ყვითელი, რომ აისრულებდა წადილს. სანადიროდ გამოსულ გაგეშილ გველს ვერ დაუსხლტებოდა მიზანში ამოღებული ვერც ერთი მსხვერპლი. ფულით ძლიერ პეტრეს რა შეუშლიდა ხელს თავის სურვილის ასრულებაში.

დამაღონა პეტრეს სიტყვებმა, თითქო შემთხვევით ნათქვამმა მისმა; არც თუ დამაღონა. მენანებოდა უკვე განწირული ჩემი სახლი; არც თუ მენანებოდა. სიტყვაც ხომ არ უთქვამს ცხადად, მხოლოდ მანიშნა. კარგი შემთხვევა იყო ჩემთვის: დიდ ფასს ავიღებდი და ნაღდად. გაყიდვა მაინც არ ამცდებოდა: ზევ-ზევით იწევდა ფასები ყველაფერზედ, მე კი საზრუნველი უფრო და უფრო მემატებოდა.

* *

— ბაბალეანთ კიდეც დაუჭერიათ ბინა ანჩხატის უბანში. მიწის პირადა სდგას ოთახი, მაგრამ სანთიანი და ნათელი არისო. პეტრემ თურმე თითონ ითავა მთელი საქმის წარმოება. ბარგსაც მე გადაგიზიდინებო, შეჰპირებია.

— რატომ! ცხენები ჰყავს და ეტლებიც აქვს, მადლიც იქნება დაეხმაროს.

— იცი? კარგი კაცი მოჩანს ეგ პეტრე: ფულის მოგება რომ იცის, ხარჯვაც ეშხიანად სცოდნია. შეეძლო ერთიორად ნაკლებ ფასში ეყიდნა სახლი, მაგრამ კი დარდიმანდულად გადააპნია ფული.

— მეც ეგრე მოვიქცეოდი. მაგისთანა შნო რომ მქონდეს ფულის მოგებისა.

— შენ იზამდი, სხვა არა. რაც უფრო მდიდრდება კაცი, იმდენად უფრო ძუნწდება, კრიჟანგი ხდება, სისხლის მწოველი.

— ჰაზრიანი კაცია პეტრე, მოხერხებული. ალბათ ეხლანდელ დროს აღარ შეჰშვენის ისეთი სიძუნწე; დრო თუ უთხრობს, ხერხივით გაჰქონდეს და გამოჰქონდეს კაცს, თავისაკენ ერთი ათად მეტი, რა საკვირველია.

— ეგრე გგონია?

— დარწმუნებული ვარ, რომ აქაც მაგისი გულუხვობა გაანგარიშებულია და გათვალისწინებული, თუმცა არ ვიცი, რა გზით და როგორ.

— ძალიან ხელსაყრელად კი გაყიდეს ბაბალეანთ სახლი; ახვა მაგისთანა მუშტარს ვერ იშოვნიდნენ.

დავრწმუნდი, ჩემს მაიკოსაც უიმედოდ მიაჩნდა სახლის შენარჩუნებაზე ზრუნვა, უსარგებლოდაც, რაკი ამისთანა

შემთხვევა მოგვდგომოდა კარს. დავღონდი, გონება მეუბნებოდა, ნუღარ ეწინააღმდეგები მოსულ შემთხვევას, მხოლოდ რაც შეიძლება მეტი ისარგებლე, შენკენ გადახარე ბედის სასწორიო; გული არ ემორჩილებოდა ფიქრს, კვნესოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ სურვილით შეძენილი ბინა ხელიდან უნდა გამეშვა. მაგრამ რა შუაში იყო აქ გრძნობა?! აღებმიცემა ხდებოდა ჩემთვის სასარგებლო და უნდა დავმორჩილებოდი ანგარიშს.

დაღონებული შევყურებდი კლდეს. ჩაფიქრებული იდგა შუბლდაღარული. საუკუნო ფიქრს მოეცვა მისი გონება, სამარადისოს. იმ ჟამს ვეღარა ჰხედავდა უზარმაზარ ქალაქს, რომელს ტალღები შეერტყორცა მის ფერდობზედ; ვერა გრძნობდა დაუდგრომელ ცხოვრების დენას, რომელიც დუღდა და გადმოდიოდა. მისთვის ჭიანჭველათა ბუდე თუ იყო ეს, სად ფუინი გაჰქონდა მწერს თვალთუჩინარს.

— ნუ შეაშფოთებ, ჭიავ უმწეოვ, დიდებულ ბუმბერაზის ყოფას გარინდებულს, ნუ დაარღვევ მის ყუჩილს საუკუნოს! იცის ძლიერმა: მხრებს შეიბერტყავს ჟამით-ჟამად, საუკუნეთა უწყვეტ დენაში, და მტვრად იქცევა მის კალთებზედ ნაგები ყველა, გრიგალის საზიდ კორიანტელად. არც ის იცოდა ეხლა ღრმად ჩაფიქრებულმა, რომ ყვავილნი იშლებოდნენ მის ახოვან მკერდზედ, სირნი ხარობდნენ, გველნი ავობდნენ, მხეცქმნილნი კაცნი ერთმანეთს სჭამდნენ, ეს ყველა სხლტებოდა სალ კლდეზე ღრმად ჩაფიქრებული ბუმბერაზისა. ვინ სცნას მისი ფიქრი საუკუნე?! ვინ განსჭვრიტოს, რას ჰხედავს იგი თვის სიმაღლიდან, რა მომავალსა?!

ძალიან ცხელოდა, თუმცა შემოდგომის დღე იყო. იცის: უკანასკნელად გაიბრძოლებს სიცხე და... შემოდგომის დღე ზაფხულისას გადააჭარბებს. მფრინველები ჯელგა-ჯელგა დანავარდობდნენ. ბარტყებიც მთლად დაზრდოდათ, დედა-ჩიტებში ვერ გამოარჩევდი. ხალისობდნენ ერთად, ქეიფობდნენ, ზეიმობდნენ თავისებურად. კლდის წავაკებული უეცრად აივსო ფრთოსან სტუმრებით: დაპურებულ ბალახს ეწვივნენ. მწარედ გამეღიმა: თითონვე მოდიან-მეთქი მტაცებელთან, ვინ იცის, მათში რომელია განწირული.

დღეს დაიგვიანა მცურავმა. თუ ეძინა გესლიან სიბოროტეს მიუვალ ხვრელში; ან იქნება სიამოვნებდა მსხვერპლთა

ჭიკჭიკით. მუსიკასავით შეესმოდა მათი ჟღივილი, ხორცთა მატკბობელ შეწყობილ ხმებად. საკვირველია: მწყინდა, რომ იგვიანებდა; გულს შემაკლდებოდა, თუ არ გამოსულიყო. ბოროტსაც ეჩვევა საცოდავი გული კაცისა. გამოვიდა. ყელი მაღლა აიღო, მიიხედ-მოიხედა. გააღო საშინელი პირი, ენა გაალავლავა ორკაპიანი. მყის გაეკრა სალს. მსწრაფლ გასრიალდა. პირდაპირ გადაეშვა და... საწყალი ჩიტუნები! ერთს რომ პირი სტაცა, მეორე ტანის ხლართში მოიყოლა, ანაზდად შეკრულ რგოლში ტანისა. მაგრა თუ შემოესალტა ბეჩავს, რომ პირს აღებდა უძრავად შეჩერებული. გადანთქა ერთი, მერე მეორეც. აცურდა ზევით. მორთო სისინი. გაიშხლართა გახურებულ ფიქალზედ. თბებოდა, სტკბებოდა, ტანს აღელვებდა.

საშინელი ჯავრი მომივიდა, ბრაზი უღონო. მზისა სინათლე და სითბო სანეტაროდ ამ გესლიანსა! სიცოცხლით სავსე ლამაზი არსნი გამოსაკვებლად დაუნდობელსა! ვინ სთქვა, ბოროტსა კეთილი დასძლევს, ბნელსა განდევნის ნაოელთა სხივი?.. რად შეივრდომე, კლდევ ფიქრიანო, ბნელის ნაშენი?!..

— რაღა ძალიან ჩაფიქრებულხარ, გადაწყვიტე და გაათავე! — მომესმა პეტრეს ხმა და გამომარკვია.

ვიცოდი რაზედ მეტყოდა მეზობელი; ვგრძნობდი, აუცილებელი იყო მისი ნება, ბედისწერასავით შეუმართებელი, და მორჩილად ვუპასუხე:

— კარგი! ადრე თუ გვიან ხომ უნდა შეველიო ამ მამულს და რაღად გაუშვა მარჯვე შემთხვევა?!

— იმისთვის გეუბნები, ჩემო გობრონ, რომ სხვაგან უნდა წავიდე კარგახნობით და ბარემ გავითავებ საქმეს ბაბალესაც, შენც. რახან ვაკეთებ სახლებს, მინდა საფუძვლიანად გავაკეთო, ფართოდ გავსწიო. ფასი?

— რა უთხრა? იცი, რაც დამიჯდა ეს მამული, და ეხლა ხომ ფული ერთი ხუთად იაფია.

— ერთი ათად და მეტადაც, ჩემო კარგო! ვიფიქრე მაგაზედაც და აი ჩემი ფასი. დამტკიცებაზე და საქმის წარმოებაზე ხარჯი სულ ჩემია. ბაბალეანთაც ვუთხარი მათი სახლის ფასი. თქვენ მარტო ხელს მოაწერთ. ფულს ეხლავე გაბარებთ

ნაღდათ. სიტყვას დავაგდებ, ბარგი გადაგიზიდონ ჩემმა ბიჭებმა.

ისეთი თანხა დამისახელა, მე თავის დღეში ვერ გავბედავდი, იმდენი მომეთხოვნა. ჩემი მაიკოც კარებში იდგა. მარჯვენა ხელი ყბაზედ მიედვა, მარცხენაზედ იდაყვი დაეყრდნო და ისე გვიყურებდა დაფიქრებული. დავთანხმდით. რა გვეთქმოდა?!

ერთის დაკვრით მოგვსპო ჭრელმა პეტრემ ჩვენ და ბაბალეანი, როგორც ყვითელმა გველმა წყვილი ჩიტუნა. რა ლბილად! რა ძლიერად! კმაყოფილი წავიდა სოვდაგარი თავის სახლისაკენ, ნელ-ნელა მიცურავდა ტანის ოდნავ ხლაკვნით.

— ცხოვრების ტაბლა მაგათი არის, ყვითელი გველისა, ჭრელი პეტრესი! — მომესმა მკვეთრად.

მეც ესე ვფიქრობდი.

გონების სარკემ უეცრად დამისახა ბალღობისას ნანახი სურათი:

ცხელოდა საშინლად. ცამოწმენდილზე გაჩნდა ფრთაწაოთეთრო ღრუბელი გულშავი. ანაზდად გადაეფინა კამკამ ლაჟვარდსა. კაკლის ტოლა სეტყვა წამოვიდა. ყინვის გულა ხტოდა, ცეკვავდა ხმელ ნიადაგზედ. ქარბუქი, ღვარი. არე-მარე თან წამოიღო. გადიდარა. გორის ძირას ზვინი დამდგარიყო ღვარის ნაზიდი ქვიშისა თუ ქვის ნალეწისა და მის ნაშალში უზარმაზარი გველი გაშხლართული, ამობრუნებული. სეტყვამ თუ მოასწრო და ჩააქვავა, ღვარმა თუ ზიდა გესლით აღსავსე.

— ჭრელსა პეტრესაც, იმ ყვითელ გველსაც ღვარი მოუსპობს ყოფას გესლიანს, ღვართქაფის ძალა, ხალხთა ტალღები!

— ვინ იცის, ვინა?!

ყვავილი მიმოსავალი

1

ისე გარდივლის ზოგი არსი ცხოვრების არეს, როგორც ვარსკვლავი მოწყვეტილი ცის კამარაზედ. გაავლებს კვალსა წამს გაშუქებულს და განქრება განქარდება საუკუნოდ; არრად იქცევა მისი სახე ლამაზად ქმნილი.

არა! დასტოვებს თავის აჩრდილს ტურფას, ხსოვნაში ვინმე მეოცნებესი, რომელი შეჰმზერდა მაშინ ნათელის ბინდით ალაჟვარდებულ ცას: ის ეტრფიალა იმ უხანო მნათობს წამიერს, არა სხვა ვარსკვლავთ, მტკიცედ რომ უბყრიათ სამყაროში თვისი ადგილი, სამუდამოდ, დაულეველ ჟამთ დალევამდინ.

უმზერ იმ ადგილს, სად განქრა ნათელი იგი წუთიერი, და ვეღარ ჰპოვებ თვით ნიშსაც გარდასრულისას, საფლავის ნასახს; მთლად წაშლილა სამარე მის ლურჯ კაბადონზედ უსაზღვრო ცისა.

არა! აქვს ბედშავს ცის სივრცეში სამარე თვისი მთლად უჩინარი, მეოცნებისთვის ნათლადმჩინარი: მის ხსოვნაში მკაფიოდ არის აღნიშნული საბედისწერო ადგილი იმ მოციაგის არარად ქმნისა.

აღარ არის იგი მნათობი ეთეროვანი... იყო კი! ნაზი შუქებით აცისკროვნებდა იგი იმ არეს, სად გარდეფურჩქნა ლაღ ბუნებას ის მშვენიერი, სახიერი, ზრდილი, ნარნარი. ყვავილი იყო იგი მიწისა, ცის საუკეთესო ძალთაგან თხზილი, ცხოვრების გზაზედ დასაღონად აღმოჩენილი...

2

— როგორ ნაღვლიანად დაჰყურებს მოსთვლილ ყვავილებს თითონ ყვავილი ახლად ფურჩქვნილი! რამ დააღონა და ჩააფიქრა სიცოცხლით სავსე ნორჩი ქმნილება?!

— ბევრჯერ შევნიშნე ნანოს თვალებში სევდა-ღიმილი, ცრემლების ნამით გარმოდებული.

— ნანო ჰქვიან?

— ნანოი! კარგა ხანია ვიცნობ მე მაგ ქალს. ბევრჯერ უნებლიეთი ოხვრაც ამოჰხდენია ლამაზ მკერდიდან, ტკბილის სიამით რომ უნდა იყოს სავსე, ღელვილი. უსაგნო არის მუქი ჭმუნვა ნორჩ არსებაში...

— ვინ იცის! რთულია ადამიანის ბუნება, ღრმა არის მის გრძნობათა საგუბარი. მეც მუდამ ჩაკვირვებულსა ვხედავ მაგ ქალს, ლამაზ კაეშნის ნისლით მობურულს: გამოვა ყვავილოვან ეზოში, დადის მარტოდმარტო თითონ ყვავილი სიტურფით სავსე... მეგონა, მხოლოდ მე მეჩვენება ეგეთი სახით.

— მეც ეგრე ვხედავ! მამწონს ეგ ქალი, მაგის კალთაზედ ვარ გამობმული, მაგრამ რომ მივუახლოვდები, არშიყობის მაგივრად, გიჟურ აღტაცების ნაცვლად, გაურკვეველი სევდის ბურუსი მეხვევა მეც გულს; მძიმე, გარნა ძვირფასი დარდის აჩრდილები დამტრიალებენ. მასაც თავს ევლებიან იგი აჩრდილნი მუქ-ფრთებიანნი: მინახავს მე ისინი მის მტკიცე შუბლზედ, სხივთ კულულებით გარმოდებულ მის ლამაზ თავზედ.

— ჭაბუკი ხარ ჯერეთ მთლად ნორჩი და როგორ შეიძლება შენმა მიახლებამ არ განუფანტოს ქალწულს ფიქრთა ბურუსი?

— არ ვიცი! მინდა მოწიწებით ვემთხვიო მას სარტყელის ფოჩებზედ და ვანუგეშო. მაგრამ რად, რის გამო?! არავითარი დარდი არ უნდა ჰქონდეს მშვენიერს.

— მე კი მეგონა, დარდით დასერილი ჩემი გული უნებლიედ ჰფენს მის ნათელ არსებას სევდის საბურავს, მისთვის მთლად უფერს...

ესე უბნობდნენ ხანში შესული კაცი და მთლად ახალი ჭაბუკი. ისინი დაკვირვებით უმზერდნენ ღობის იქით აივნის

მოაჯირზედ დაყრდნობილ ქალწულს, რომელიც დაფიქრებული დაჰყურებდა დაღონებული თვალებით ყვავილთა ბუნჯგალს ახლად დაკრეფილს და თითო-თითოდ არჩევდა, ათვალიერებდა. ვაჟკაცები აქეთ ეზოში იყვნენ, ღობის გადმოღმა, ხის ქვეშ. მაგიდას მოსხდომოდნენ წიგნებით სავსეს. ქალი ვერ ამჩნევდა, რომ ის იყო მათი მზერის საგანი, მათი საუბრისა: გაფოთლილი ხის ხშირი ტოტები თუ ჰფარავდა მისგან მოსაუბრეებს.

3

ხნიერი კაცი საზაფხულოდ იყო მოსული სააგარაკო ადგილას, ახალგაზრდა იქაური იყო, იმ დაბის მკვიდრი მემამულე; სამსახურიც იქვე ჰქონდა ნაშოვნი. არც მისი მამული, არც მისი სამსახური თვალსაჩინო რამ არ იყო; მაინც ჰყოფნიდათ, უზრუნველად აცხოვრებდა მათ პატარა ოჯახს. სხვაგან უკეთესი საქმე შეეძლო ეშოვნა: განათლებაც შესწევდა საიმისო, უფლებაცა ჰქონდა, მაგრამ მისთვის ხელსაყრელი იყო იქვე დატრიალება, იმავ დაბაში: სახლს უვლიდა, დედას ეშველებოდა ამ მძიმე საქმეში, რომელიც ეტვირთნა მას ახალქალობაშივე დაქვრივებულს. თავის გასათხოვარ დისათვისაც იმავე ქალაქში ეშოვნა მცირე რამ სამსახური: გულს აყოლებდა ქალი, ჯიბის ფულიცა ჰქონდა თავისუფლად.

არჩილს სხვა რამ თილისმაც იჭერდა იმ ქალაქში: აგერ ერთი წელიწადი იყო, შეყვარებული თვალი შეეყენებინა ლამაზ ნანოზედ; საბედისწერო ნაბიჯის წარდგმას კი ვერ ახერხებდა. თითონ გაუბედავი ახალგაზრდა იყო, გამჭრიახობას თუ ძალუმ თვითმოქმედებას მცირედ რამ მოკლებული და ვერ გაებედნა უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა. არჩილს მოსწონდა ქალი, მისი დედა ჯერ ისევ ყოყმანობდა, გადაწყვეტილ ჰაზრს ვერ დასდგომოდა ქალის შესახებ.

— კარგია, შვილო, ნანო ქალი, ღვთისნიერი, ყველას პატივისმცემელი, ყველასათვის მოსაწონი, მაგრამ თითქო ფხა აკლია; ვერ ემჩნევა მოქმედების უნარი; ვაითუ გაუჭირდეს, ვერ შეძლოს ცხოვრება ზრუნვით მოცული.

ატყობდა გამოცდილი ადამიანი, რომ მის შვილს გერგილი არა ჰქონდა სათანადოდ განვითარებული; გრძნობდა იმა-

საც, რომ ამაში თითონ იყო ცოტად დამნაშავე: ალერსი მეტისმეტი, უკან დევნა დაუცხრომელი, ფრთებ ქვეშ ფარება...

— ჯერ მთლად ახალგაზრდაა, დედი, შეეჩვევა ზრუნვას და გარჯას. არც თუ უსაქმო ქალია... მაინც ისე რა გაგვიჭირდება, ერთი ადამიანი ვერ ვაცხოვროთ.

— ღმერთმა ნურა გაგვიჭიროს რა! ქალი, მართალს ამბობ, მოსაქმეც არის, მაგრამ... მე ის არ მომწონს, რომ ყოველთვის თითქო სხვა რამეზედ ფიქრობს შორეულზედ, სულ ოცნებობს, ზღაპრულ არეში ცხოვრობს; თითქო ვერ ესმის, რა ხდება მის გარშემო, ან რას ამბობენ.

— ეგ კი მართალია! იმ დღეს მარაო დარჩენოდა ხეზედ, რაღაცა რტოთი იგრილებდა სახეს, რამდენი ვეძებე! იცი, დედი, მაგ მეოცნებობით უფრო მიზიდავს მე ის თვისკენ.

— ჰე, როცა კაცს კაცი უყვარს, ჭაპიჭუპი ნაზ ჭამად ესმის, ბრაგიბრუგი კეკლუც გავლადა. მიყვარს... ღმერთმა გზა დაგილოცოთ. უფრო ფულიანი და გამჭრიახი კი მერჩივნა რძლად, მაგრამ ცოლ-ქმრობის საქმე ალბად მართლა ცაში რიგდება.

4

დედის უნებლიედაც გადაწყვეტილი ჰქონდა არჩილს გაეცხადებინა ქალისათვის სიყვარული, დედის თანხმობამ უფრო გაამხნევა იგი და ეხლა მარჯვე დროსღა ელოდდა სურვილის აღსრულებისათვის. ვერ კი იცოდა ჭაბუკმა, როგორ შეჰხვდებოდა ქალი მის ნატვრას: არ ერიდებოდა ნანო მას; არც ძალიან მიისწრაფოდა იგი მისკენ: ხანდისხან თითქო ვერც კი ამჩნევდა ვაჟს თავის გვერდზედ, თუმცა ყოველთვის ლმობიერად და ალერსიანად ეპყრობოდა მას. ეს იყო მიზეზი, რომ ხშირად ვერ დადიოდა ჭაბუკი ქალიანთას, თუმცა ისწრაფოდა, ყოველთვის ჰხლებოდა ქალწულს, განუწყვეტლად ემზირნა მის გატაცებულ თვალებში. ეხლა მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა არჩილი და თითქმის ყოველდღე დადიოდა თავის წინანდელ მასწავლებლის ბინაზედ, რომლის ეზოს მხოლოდ ღობე ჰყოფდა ქალიანთ სახლიდან და მის დიდ ეზოდან. ბატონ სვიმონს ეზოში უყვარდა ხის ქვეშ ყოფნა. აქ კითხულობდა დილით საღამომდინ, სწერდა;

აქვე ისვენებდა გაშლილ ხალიჩაზედ. არჩილი ყოველდღე მიდიოდა მასთან; ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდა.

მის მოხუც მეგობარს ბევრად აღარ ართობდა ცხოვრების სილამაზე, სიცოცხლისადმი მისწრაფების პირად-პირადი ყვავილები; იგი უკვე გასცდენოდა ნივთიერ ყოფის ტკბილ დასკვნათა საზღვრებს; უკვე გაევლო გზა ცხოვრებისა, დასდგომოდა თავდაღმართს სიცოცხლისას, უფსკრულისაკენ რომ მიაქანებს ყოველს სულდგმულს, ყოველსავე არსს. ეხლა მისი სანავარდო ასპარეზი ფიქრთ სამფლობელოღა იყო, რომელი უცნაურად აერთებს წუთისოფლის ცხოვრებას ნივთიერს და დაუსრულებელ არსებობას სუ̈ლიერს. მას ადრევე ჰქონდა შეღებული ბჭე უცვლელ იდეათა სამფლობელოში, თავის სიჭაბუკეშივე; ეხლა მთლადაც იქ ტრიალებდა და თუ გამოდიოდა იმ ნათელი სივრციდან, მხოლოდ მისთვის, რომ მაინც ჯერ ისევ ნივთიერი არსებობა ემოსა და შეუძლებელი იყო მთლად გაეწყვიტნა კავშირი ხორციელ ცხოვრებასთან. ლამაზი კი ბევრი რამ დარჩენოდა სვიმონს ნივთიერ არსებობაში, უნებლიეთ მიეტოვებინა მრავალი ეშხიანი ყვავილი, გზა აექცივნა; იგი ფერად-ფერადი მდელო სუნნელი აღარა ფშოდა აწ იმისათვის, აღარ მიაბყრობდა მისკენ თავის ლამაზ პირს მოღიმარეს.

არჩილის აღტაცებამ სვიმონიც გამოიყვანა განყენებულ ჰაზრთა არედან, მიაქცევინა მეტი ყურადღება ამ უცხო ყვავილისადმი, რომელი აღმოცენებულიყო მივარდნილ კუთხეში, ვის მახლობლად მოჰხდომოდა მას შემთხვევით დავანება.

ძნელი არ იყო მისთვის ქალის ახლო გაცნობა: მისი მასპინძელი და ქალის დედა მეზობლები იყვნენ, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან; მხოლოდ სვიმონი არ აქცევდა მასპინძლის სტუმრებს არავითარ ყურადღებას და განმარტოვებით ატარებდა დროს. ეხლა გაეცნო იმ მეზობლებს მასპინძლის სახლში. მალე დაიმეგობრა ნანო: წიგნები შეურჩია, მარჯვე განმარტებები მიუთხრა; ჩაახედა ზოგ რამ დასკვნაში მწიგნობრობისა; მოხიბლა ნორჩი გონება გულწრფელის ახალგაზრდისა.

გავიდა ჟამი. დაბრძნობილი ვაჟკაცი თითონაც მოიხიბლა თავისი ახალი მოწაფის სულიერის სიმშვენივრით და თავი-

სებურობით, მისის გონების უცნაური მიმართულებით, საოცარი ყვავილებით მისის გულისა.

— ბატონო სვიმონ! თქვენ რომ წიგნი მიბოძეთ, ძალიან მადლობელი ვარ იმ წიგნისათვის. სკოლაში როდი გვაძლევდნენ ამისთანა საკითხებს.

— ძლიერი ნაწარმოებია ეგ მოთხრობა, მეტად რჩეულისა, კალმით მხატვრისა. მაინც რა უფრო მოგეწონა იქ?

— ის გამეხარდა, რომ ცხადად მეჩვენნენ ყველანი, ვინც იქა უბნობს და მოქმედობს.

— როგორ?!.

— აი ეხლაც, დავლულავ თვალებს და ჩემს წინ დადგებიან ისინი. შემეძლება ვესაუბრო: მეტყვიან, პასუხს მომცემენ, — სთქვა ქალმა.

და დახარა მიჯრით მიწყობილი წამწამთა ტევრი, დაფინა სხივთა იგი მჭელეული აცისკროვანებულ ღაწვთა არეზედ. დახედა სვიმონმა და... და იგრძნო, რად იყო მისი ჭაბუკი მეგობარი ისე მოხიბლული ქალწულისაგან: ჰხამდა მოწიწებით ჰმთხვევიყავი ამ გაბედულად მოხაზულ თვალთა მიდამოს, მოღიმარე ბაგით აგეკრიფნა დაფენილ სხივთა მორთოლარე სიტკბოება.

— მესმის! მაგრამ შენ რომ მკუბნები, ჩემო ქალო, ეგ იქნება იმდენად წიგნის უნარი არ იყოს, რამდენადაც შენი საკუთარი გონების თვისებისა და გრძნობათა სიმძლავრისა: განგიცდია, მკვეთრად აგისახავს სურათები და გაცოცხლებულან იგინი შენ თვალთ წინ.

— გამოგიცდია, ბატონო, ესეთი რამ?

— ბევრჯერ! აი ეხლა ისეთი სამუშაო მაქვს, რომ მხოლოდ ცივი გონებით უნდა გაისინჯოს; გულის მისწრაფების ძალას აქ დიდი სარბიელი არა აქვს; მაინც ისე ცხადად მიდგანან თვალწინ დასკვნილი დებულებები, რომ ხორცშესხმულნი არიან ჩემთვის, ხელშესახებნი.

— მე კი... მე ვერვისთვის მითქვამს ჩემ ჩვენებათა შესახებ: ვერ გაუგიათ, უკვირთ, განცვიფრებულნი მიყურებენ.

— რადა, ქალო?

— ნერვებ-აშლილი ხარო... რას ვაშავებ!. თუ საქმე არის რამე, გულდასმით ვაკეთებ; არ მეზარება. მხოლოდ...

— მხოლოდ რა?

— მხოლოდ ხანდისხან დამავიწყდება, რასა ვმუშაობ და ხელში შემიჩერდება საკეთებელი; შემიგვიანდება; ხან სხვაგან მივდივარ, სხვა გზაზედ შევუხვევ.

— ეგ არაფერი! რამე ჰაზრი თუ სურათი გიტაცებს და გავიწყებს ყველაფერს, რაც შენს გარშემო ხდება. მეც ხშირად მომდის ეგ; შენოდნობასაც ვიცოდი ეგრე.

— თქვენც გამოგიცდიათ ამისთანა რამე, ბატონო? — კვლავ ჰკითხა ქალმა.

და სიხარული დაეტყო სახეზედ.

5

მისთვის უამა ნანოს უფროსი ადამიანის სიტყვა, რომ მას აქამდისინ ვერვინ ენახნა ისეთი, რომელსაც შესაძლებლად მიეჩნია და ბუნებრივად იმგვარი ხილვები, მის ჩვენებათა სინამდვილე, არსებობა იმ სანახავთა, როდესაც მღვიძარე იმყოფება ცხადის სიზმრების ტურფა არეში.

— მაშ მიმიხვდებით, ბატონო! უცნაურ სახეებს ვეალერსები ტურფა წალკოტში, თანაც სხვებისავითა ვარ: ყველაფერს სხვებთან ერთად ვხედავ, ვისმენ, ვგრძნობ, ვფიქრობ. გამიგონია, ძილში სული ამოვა და განთავისუფლებული მიმოვლის ქვეყანაზედ, ბევრს რასმე საკვირველს ჰნახავს.

— შენი ლამაზი სული ცხადვივაცა ჰხედავს ზღაპრულ ქვეყანას, ჩემო კარგო: ძლიერი ამხატველი ნიჭი გაქვს, გონების თვალი მჭრელად მხედველი.

კიდევ უნდოდა ეთქვა რამე ქალს, მაგრამ შენიშნა დაძკვიდრებული თვალი სვიმონისა და შეკრთა, შეიკუმშა. სათქმელი კი ჰქონდა: უნდოდა გაენდო მისთვის, რომ სხვადასხვა ბგერა მის გონების თვალთ წინ მოძრაობდა განსახებული, ცეკვავდა განმარტოებული თუ სხვებთან ერთად; ბევრი სიტყვა ნივთიერ სახედ ეხატებოდა; ბგერას, ხმას, სიტყვას ფერად-ფერადი სახე ჰქონდა განკერძოებული; ფრასაც აფერადებული იყო წითლად, მწვანედ, ყვითლად; იყვნენ სხვა ყველა ფერნიც, შავი ფერებიც სამგლოვიარო ძაძით მოსილმობურულები. ხომ გინახავს ასოთა ღიმილი. გაგიგონია სიტყვათა ქვითინი, მოკასკასე ფრასა მხიარული? ყვავილთა მდი-

წარე დაქანებული, ფართო ზოლად რომ მოიგრაგნება შენს გონების თვა...

ჰოდა ამისთანა სახილველებით იყო ნანო გარშემორტყმული. სხვებს კი უკვირდათ, რა ემართება, რომ ხანდისხან სინამდვილეს ველარა ჰხედავსო. საწყლები! ისინი მხოლოდ მძიმე სინამდვილესა ჰხედავდნენ, უსახო ნივთით პირთამდინ აღსავსე არსებობას, პირდაპირ რომ გადაჰღობებია სულდგმულს უშნოდ გახირული სათარივით, გვერდ-შელეწილი ლოდივით ტლანქად ჩაწოლილისა. ამბობენ, როგორ შეიძლებაო სხვა სინამდვილის ყოფა, უსხეულო სხეულთა არსებობაო?!

მართალს ამბობენ ბევრეულნი: ცხოვრება მხოლოდ ნივთიერ არსთა დაუცხრომელი მიმდინარეობაა პირადპირადად ხლართული, ყველასათვის თვალსაჩინო არსებობა, ხრწნადი, უჟამო, მსწრაფლ წარმავალი, წუთიერ-წამიერი.

ქალის ცხოვრების ამ უჩინარ მხარეს ვერვინ ჰხედავდა, შინაური თუ უცხო: თვალნი არ ესხნეს სანახავად იმ უცხო არსთა და ყურნი სმენად იმ უცხო ხმათა. ცოტას რასმე მიმხვდარიყო არჩილი: ქალისადმი სიყვარულს ოდნავ შეეღო მისთვის იმ უცხო წალკოტის კარი უცნაურისა; ისიც მხოლოდ ალღოთი იყო მიმხვდარი, ნამდვილ კი ცხოვრებას იგი საღი თვალით უყურებდა: უნივთო ნივთთა სამშობლო მხოლოდ ოცნება ეგონა უნაყოფო, საარაკო რამ არე ბალღური.

არჩილის დედა მთლად ფხიზელი ადამიანი იყო. მძიმე ცხოვრებისაგან ბევრჯერ მიწამდინ დახრილს საკუთარი შრომით გაეკაფნა გზა ძნელი არსებობისა და სრულებით არ ესმოდა მეოცნებე სიტყვა ზღაპრული. როდის და სად მოიცლიდა ის ამისთანა არაჩვეულებრივ ამბავთა საცნობელად?! ეხლაც ფხიზლად უყურებდა შვილისაგან დაწყობილ საქმეს: იცოდა, რომ ოცნება და ეკლიანი გზა უხეში ყოფისა უარს ჰყოფდნენ ერთი მეორეს; უნდოდა მისი შვილი დასდგომოდა მთლად საღ სავალსა.

— ვისაც სახლში შემოიყვან, შვილად მივიღებ. მაგრამ შენ თითონ შეიქმნები უკმაყოფილო, როდესაც ორი ტვირთის ზიდვა დაგჭირდება, საკუთარი შენი სიმძიმისა და შენი ცოლის საზიდ ბარგისა. შენ იცი, როგორ იძალება ხარი, როცა ტოლს დაუდებენ მას.

ჰაი, ჰაი იცოდა, როგორი ძნელი იყო უღელის წევა

ტოლდადებულისა, მაგრამ გრძნობდა აღფრთოვანებული, რომ იგი ტვირთი ერთობ სასიამოვნო იქნებოდა მისთვის, თუნდაც დაეძლივნა იმის სიმძიმეს ვაჟკაცი, დაეხარნა მიწის პირამდინ.

— არ ვიცი, დედი, რა იქმნება შემდეგ, ეხლა კი ნეტარებას ვეწევი; ჩემთვის დღეს მეტად სასურველია მისი მიახლება, მისი ჩემად წოდება. ეს ჩემთვის ძვირფასი საქმეა დღეს და რა სამართალი იქნება, კარგს ცუდი მოჰყვეს, კეთილმა ხეხილმა გამოიღოს ნაყოფი ხენეში?!

მართლა და როგორ შეიძლებოდა კარგიდან დრკუ რამ წარმომდგარიყო, დუხჭირი სახე?! ეხლა აღარც არჩილის დედა ჰხედავდა რასმე შავს ამ სიახლოვეში. არც იყო სიავე! მხოლოდ ის იქმნებოდა უფერი, თუ ქალი იწროებაში ჩავარდებოდა ცხოვრების გზაზედ, არსებობის მწირ თუ მოუხეშავ დენის დროს.

— იყავ ნება უფლისა! — სთქვა გულში დედამ.

და აღარ დაუშალა, წასწრაფებულიყო არჩეულ სადინელზედ. ჭაბუკმა იგრძნო ეს და გულსავსედ წავიდა მისთვის ამონათებულ სხივისაკენ მშვენიერისა, როგორც რამ ფრინველი ღამის სიბნელეს შესწრებული უეცრად აღმოჩენილ სინათლისაკენ შორეულისა.

6

ზაფხული ზეიმობდა, გალაღებულიყო განდიდებული. მზე და მთვარე ერთმანეთს შეჰშველებოდნენ ქვეყნის ალერსში, მის ნებივრად დაჭერაში: მზე რომ მცხუნვარე სინათლით სიცოცხლეს უხშირებდა ქვეყანას და მრავალსახეობას ამრავლებდა ეშხით გამთბარ ნივთიერებაში, მთვარე ტკბილ ნანას უმღეროდა მოკასკასე სიცოცხლით მიქანცებულ ბუნებას, უალერსებდა შუქთა ნაზი შეხებით, თვის მიმზიდველ სხივთა ეთეროვან ამბორით.

ხალხიც გალაღებული მისცემოდა სინებივრეს: დღისით რომ მზის მწვავ კოცნას გაურბოდა და ჩეროებში სთვლემდა გარინდებული, ღამით ენანებოდა ძილისათვის მიეცა თავი; უფრო უხაროდა ლბილ მდელოზედ, ხუჭუჭად გაშლილ ხეთა შორის, მოკამკამე ნაკადის პირას ეგემნა არსებობის სილამა-

ზე. წყვილ-წყვილად თუ ჯგუფ-ჯგუფად მიმოვიდოდნენ, უბნობდნენ, იცინოდნენ, შესტრფოდნენ ლაჟვარდ ცას, უხვად მანათობელ პირმანგს, თვალუუხუნა ვარსკვლავებს.

ხალხში გამოსულიყვნენ ნანო და არჩილიც, მაინც განცალკევებულიყვნენ: ისხდნენ ნაკადის პირას, სად მდინარე შეგუბებულ-შეღრმავებულიყო და ოდნავ მღელვარე ტალღებში არხევდა მნათობთა სახეს, ამსხვრევ-აპნევდა მოციმციმე ჭავლებზედ მათ შარავანდედს. საოცნებო ღამეს სინამდვილედ გარდაექმნა მარად მეოცნებე ნანოს საყვარელი სურათები. იგი ეხლაც შესტრფოდა იმათ, იდუმალი ღიმილით ეალერსებოდა, თვალს ადევნებდა, აცისკროვნებულ მორევად მორღვეულ თვალებს. სიხარულით შეჰყურებდა ჭაბუკი მას თვალებში, გარნა ეს სიხარული არ იყო მდუღარე, წასწრაფებული, ღელვით მავალი, ფრიად უთმინო; ეს სიხარული იყო ღრმა, უძირო და თანაც ფრთხილი, რომ უხეშად არ შეხებოდა აღტაცებისას თუნდ გრძნობათა დენაში, ჯერეთ უხორცო გრძნობათა სვლაში. ნაღვლიანი იყო ეს ჯერ უთქმელი სიხარული.

— ნანო, გენაცვალე! შენ არა ხარ გაჩენილი ცხოვრების ძნელი სინამდვილესთვის; შენთვის ნივთიერი არსებობა მძიმეა, სუნთქვის შემხუთველი.

— ეგრე გგონია?

— მგონია! ოცნებათა არეა შენი ნამდვილი არსებობის სივრცე, ისევე იქნება ბოლომდისან...

— არჩილ! ჰხედავ იმ ორ ვარსკვლავს, ერთად რომ ბრჭყვიალებენ ცის განაკიდზედ? — უთხრა ქალმა და გაიწოდა ხელი ჩრდილოეთისაკენ.

— რომელს?

— გააყოლე ჩემს ხელს თვალი! პირდაპირ დიდი ვარსკვლავია მოწითანო.

— ვხედავ!

— იმის ქვევით ორი მბჟუტავი...

— როგორ მიყუჟულან საწყლები! ნეტა ჩვენი ვარსკვლავები იყვნენ ისინი. უსამზღვრო სივრცეში განმარტოებული ვიყო შენთან უქრობლად, მარად ჟამს, დაუსრულებელ დროთა დენაში, — ინატრა ჭაბუკმა

და მოწიწებით შეეხო ბაგით ქალის სარტყლის ფოჩს. ნა-

ნომ წყნარად დაუშვა მკლავი მუხლზედ, მოსწყვიტა თვალი ლაჟვარდ კამარას და დაჰნათა ვაჟს ლმობიერი ხედვით, მცირედ გაკვირვებულით.

— გიყვარვარ, საწყალო?

— მიყვარხარ, სალოცავო ჩემო!

ქალმა აღარა უთხრა რა; მხოლოდ დაიხარა მისკენ და შეეხო ბაგით მის შუბლს ხუჭუჭებით გარემოდებულს.

ნაზი იყო ამ ჟამს ქალ-ვაჟის წინაფელი ალერსი უნივთო, მოტრფიალე ვარსკვლავთა ალერსი იყო იგი, ცის კიდურზედ სხივებით რომ უალერსებენ ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში. იგი წუთი გარდუვალი იყო მათთვის, სამარადისო, როგორც დროთა ბრუნვა დაუსრულებელი. უსაზღვრო სივრცეში ერთმანეთს შეხვედრილ ვარსკვლავებს რომ ჰგვანდნენ ისინი, იმისთვის უღიმოდნენ მათ თვალჟუჟუნა ცის მნათობები. მანგმაც მიაქცია ნათელი ხედვა ამ დატოლებულთ და დალოცა სხივთა შეხებით. გრილი იყო იგი დალოცვა, საამსოფლო მცხინვარებას გამოკლებული: თავის ახლო თუ უნდოდა მათი სათუთად შენახვა სხვა თანამავალ ვარსკვლავებთან ერთად; არ თუ ემეტებოდა, ამ ქვეყნადვე დამწვარიყო მათი არსება საერთო ცეცხლით და ფერფლად დაჰფენოდა შავს მიწას გულგაციებულს.

— სად იყავით, შვილო? — ჰკითხა მათ ვაჟის დედამ.

— აქ გახლდით, დედი, მდინარის პირას.

— განცალკევებულხართ, არ იღებთ მონაწილეობას ახალგაზრდათა ჟიჟინში.

— არ ვიყავით განცალკევებულნი: ერთად ვიყავით! ქვეყნის მანათობელნიც სულ ჩვენთან იყვნენ, გარს გვეხვეოდნენ! — მიუგო არჩილმა.

და დედათა წინ აკოცა ქალს ხელზედ.

დედები ერთ წამს უთქმელად გაჩერდნენ, თითქო შეყოყმანდნენ, გარნა მხოლოდ ერთს წუთს; მალე მოეგნენ გონებას; გადაეხვივნენ ბედნიერ შვილებს, სიყვარულით გადაჰკოცნეს ერთმანეთიცა.

ქალ-ვაჟი წინ მიდიოდა ხელიხელ ჩაკიდებული. დედები მოშორებით მოსდევდნენ. არ უბნობდნენ ახალგაზრდები: ნაწყვეტ ალერსს თუ შესძღვნიდნენ ერთმანეთს ობოლ მარგალიტივით.

სიტყვა ვერ ჰხატავს იმ განცდის სიღრმეს, ვერც თუ მის სიტკბოს ან სუნნელებას; თქმა მხოლოდ ზღუდავს აქ გრძნობათა ნავარდს ლაღს, თავისუფალს: დუმილი შეჰშვენის სათუთ საიდუმლოს.

დედები კი გაბმით ლაპარაკობდნენ, მხიარულად მიუბნობდნენ ახლა მძახლები. ცხოვრების საგნებზედ თუ მსჯელობდნენ, მათ თვალწინ დაწყებულ ახალ სიცოცხლის ახალ ნაკადულებზედ.

— არჩილ, გენაცვალე, გესმის ჭოტის ხმა?

შესდგა ჭაბუკი. მკაფიოდ გაისმა მიკიოტის ხმა შორიახლო.

— პატარაობიდანვე გაურკვეველ შიშსა მგვრის მაგ ფრინველის ძახილი, არ ვიცი, რად.

— ბნელის შვილია, წყვდიადში მონადირე, ხოლო ბნელსა და ბოროტს განუყრელად აერთებს ქართველთა ჰაზრი. ალბათ ამისთვისა აქვს ჩვენს ხალხს ჭოტის ძახილი ცუდად დაცდილი, — მიუგო არჩილმა.

და გულში ჩაიკრა ქალის ხელი ოდნავ ათრთოლებული, არც თითონ ჭაბუკს უხაროდა ამ ჟამს ჭოტის ძახილი; ერჩივნა, ბულბულს ეგალობნა მათთვის ამ სხივოსან გზაზედ ახალის ყოფისა.

7

აღივდა კერძო ბედნიერება კერძო ადამიანებისა, პირადი სიხარული გულუბრყვილო წყვილისა, ქვეყნისათვის უჩინარი, ხოლო ქალ-ვაჟთათვის დიდად მჩინარი ნეტარება უჩრდილო. გაზიარებულმა სიყვარულმა არ დაარღვია ჭაბუკის მხრივ უსამზღვრო პატივცემა, რომელს გრძნობდა ის ქალისადმი და რომელი ისახებოდა ყოველ მის სიტყვაში თუ მოქმედებაში, უნებლიეთაც იხატებოდა, შეუგნებლად. ქალს ძლიერ ულბობდა ეს გულს და თანისთან უვსებდა სიყვარულის საწყაულს.

არჩილი ძლიერ გრძნობდა ქალისადმი მისწრაფებას და უძნელდებოდა სურვილთა გულში დატევნა, გრძნობა აღარ თავსდებოდა მის არსებაში. გაძლიერებულმა ნდომამ მეტად აამაღლა ქალი მოტრფიალეს თვალში: მზის უჩრდილო რამ ნაკვეთად დასახა მან ნანო მოელვარედ, მანათობელ-დამათ-

ბობელად. ვეღარა სძლებდა ვაჟი უმისოდ; უწდოდა ყოველი თავისუფალი წუთი მის გვერდზე დაელივნა.

სვიმონის ყვავილი მარტოთ მოსიარულე აღარ იყო ეხლა: ჩრდილივით ასდევნებოდა მას კიდევ სხვა ყვავილი მიმომავალი. და ეს წყვილი ბუტკო უფრო საამო შექმნილიყო მისთვის, ძვირფასი თუ გასახარო მის კეთილი გულისათვის ლმობიერისა. ცხოვრებაში სვიმონის კერა ვერ მოეწყო სასურველად: ვერ გამეფდა იქ სიყვარული თბილი, ვერც ნათელი საამებელი. გაგრილებულ-ჩაბინდულმა კერამ ვერ აღზარდა საესავო მომავლები, ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, რომელს შესტრფოდა ვაჟკაცი თვის ჰაზრთა სამფლობელოში. თითოხაც იყო ამაში დამნაშავე: ვერ შესძლო ემსახურნა წიგნისა და კერისათვის, ერთად ორისათვის. ყველას როდი შეუძლია ემონოს რამდენსამე მბრძანებელს, თუნდაც თავის სურვილით არჩეულს! იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ვერ დაივანა მის ოჯახში გრძნობათა დამაამებელმა დიასახლისმა, აი ისეთმა, როგორიც დადგებოდა ეს ნანო ქალი, არჩილის დანიშნული, ბედნიერისა. ისე უხაროდა ამ უცხო ადამიანს ახალგაზრდათა დაახლოვება, თითქო მამა ყოფილიყო მათი ან ბიძა კეთილის მქნელი. ისე შეეჩვია ქალ-ყრმის ნახვას, რომ თუ შემთხვევით ვერ გამოჩნდებოდნენ ისინი გადაღმა ეზოში, უხერხულობასა გრძნობდა უცნაურს; კიდეც ჯავრობდა გულში, წყრებოდა, იბუტებოდა.

ვაჟის დედაც მალე შეეტკბო სძლად დასახელებულს. ნანოს წრფელმა გულმა, ლმობიერმა ხასიათმა და გულუბრყვილო მეოცნებობამ შეისყიდა მისი გული: გამოცდილი დედაკაცი ისე უყურებდა ქალს, როგორც საყვარელ ბავშვს ხელზე შესანახს. ჩააფიქრა კიდეც ქალმა დედაკაცი; მას არ შეჰხვედროდა ესე მოზრდილი, ბალღობიდან უკვე მთლად გამოსული, ამ ზომად სახიერი, მთლად გულკეთილი.

— თითონ რომ კარგი სული არის ნათელი, სხვებიც ეგეთები ჰგონია; მგელიც კრავად მიაჩნია, თუნდაც თვის ქერქში ეჩვენოს იგი მას, მტაცებლის ტყავში სისხლის მსმელისა.

— მართალს ამბობ, დედილო! ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება კაცს ბოროტი ჰაზრი ამოქმედებდეს ან ავი გრძნობა; ყველანი ღვთის შვილები ჰგონია.

— თითონ რომ ღვთის შვილია, იმიტომა ჰგონია ეგრე;

თიარემ მისი გონების პატრონი ადვილად უნდა განსჭვრეტდეს სხვის პიროვნებას, ავის მომნდომნელ ბოროტ ქმნილებას.

— ოღონდაც რომ ნათელი გონება აქვს ფართოდ მხედველი! ვერ წარმოიდგენ, დედი, რა განათლებულია და ნაკითხი.

— კარგია! შორიდან რომ ვუყურებდი, არ მეგონა, ეგეთი საყვარელი იქმნებოდა. გიბედნიეროს და გაბედნიეროს მასთან! ჩემმა კეთილმა სალოცავებმა თუ მიგიყვანეს მაგათ კარს ობლობაში გამოზრდილი ახალგაზრდა; ალბათ ბედს უნდა საკუთარის კეთილდღეობით გაგახაროს დღეს.

თითოხაც ძალიან ისწრაფოდა არჩილი საკუთარი ცხოვრება დაეწყო სამხიარულო. იმისთვისაც ეჩქარებოდა, რომ უსაგნო შიშსა თუ შურს შეებყრო ჭაბუკი: ეგონა, აი ეხლა, აი ეხლა მოვა ბედისაგან კეთილად აღნიშნული სხვა ვინმე ჭაბუკი და ხელიდან გამომაცლის ჩემს საუნჯესაო; შეიძლება სხვა რამ ავმა შემთხვევამაც დამაკარგვინოსო ჩემგან ხელდადებული იღბალი ჩემი და ვერ ვეწიო მურაზს მშვენიერს.

— ეი, არჩილ, ფხიზლად იყავ, თორემ დევი მოვა სამთავიანი, ვეშაპზედ მჯდომი და მოიტაცებს შენს ქალთამზესა: გრძნეული ეტყვის მას, ის ბნელის ძვილი, და გამოგზავნის შენის ყისმათის წარსატაცებლად; გახსოვდეს მეცანი ბოროტის მქმნელი!

— მახსოვს! მეშინის!

ამ დევით, ვეშაპზე მჯდომ სამთავიანი დევით, აშინებდა დედა თავის არჩილს პატარაობისას, რომ დაეშლევინებინა ჩვეულება რამ უგვანო, უშნო საქციელი. ეხლა ბალღობის შიშიც კი განუახლდა დიდ ბედნიერებასთან მიახლებულ ჭაბუკს: ბნელი ბოროტი მრავლად არის გაბნეული ქვეყანაზედ და მარად სცდილობს ჩააშავოს სხვის სხივი სიხარულისა, მოსპოს იგი მთელ დუნიაზედ.

8

— რაღას ვახანებთ ნეტა, დედილო? რაკი ჩვენად დავასახელეთ ნანო, ბარემ მოვიყვანოთ: ჯვარს დავიწერ გახსნილებისას.

— ცოტა რამ მომზადება მაინც უნდა ქალს: უყიდიან, შეუკერავენ.

— ჰე, თუ რამ ემეტებათ ან ეთხოვებათ, მერმეც მოაწვდიან. თითქო რიღასიც მეშინიან, ვერ დავწუნარდები, სანამ შინ არ დავიგულებ მას ნამდვილ ჩემად.

— ნუ გეფიქრება: არვინა გტაცებს შენს მზეთუნახავს! მაგრამ, ჰო, გვარად მოგიდისთ ამ ახსთანა შემთხვევებში აჩქარება: საწყალმა მამაშენმა არც ბელგის მოცემა, არც ნიშანი არ მოისურვა, ეხლავე უნდა ვიქორწინოვო; წინა დღეს რომ გამიცნო, მეორე დღეს ჯვარი დავიწერე იმავ კაბაში, გაცნობის დღეს რომ მეცვა, — მიუგო დედაკაცმა.

და გაიღიმა. იმაზედ იღიმებოდა გაკვირვებული დედა, რომ თითონაც ძალიან ეჩქარებოდა რძლის შემოყვანა სახლში. რაკი ახლო გაიცნო ქალი, შეუყვარდა; ეგონა, ყველას ძალიან მოსწონსო და ეფიქრებოდა, არავინ შეგვეცილოს, არავინ გადაეღობოს ჩემს შვილს გზაზედაო. ამაო შიში! ნაცნობებში არჩილის მჯობი ჯერ არავინ მოსჩანდა; ან რაღად გასტეხდა ქალი თავის აღთქმას, როდესაც სიტყვა ჰქონდა ვაჟისთვის მიცემული?! გონება ესე არწმუნებდა დედაკაცს, მაგრამ ცხოვრებისაგან ნაწრთობს, ბევრჯერ შემკრთალ-შეშინებულს, ეხლაც უცნაური საშიშროება ელანდებოდა: ვერა სჯეროდა თავისი შვილის უცილო ბედნიერება, კერის განათება უჩრდილო სიხარულით.

— შუადღე მშვიდობისა, შვილო ნანო! — მიესალმა არჩილის დედა ფეხზედ წამომდგარ ქალს

და თვალები ამოუკოცნა.

— რას ჩასჯდომიხარ ეგრე გულმოდგინედ, რომ ძლივსღა გაიგე ჩემი შემოსვლა?

ქალი ეზოში იჯდა ხის ქვეშ გაშლილ ხალიჩაზედ და რაღასაც ჰკერავდა გულდადებით; დაჰღიღინებდა საკერავს.

— დედამ დამავალა, ეს მალე შეკერეო და ვეჩქარებოდი დამეთავებინა.

— სად არის დედა?

— დილასვე წავიდა ბაზარში, გოგოც გაიყოლა. — მიუგო ქალმა.

და სახეზედ ზრუნვა აღებეჭდა დედის ხსენებაზედ, რი-

ღასიც შერცხვა. დედაკაცმა მაშინვე შეატყო ეს ქალს და დააკვირდა.

— რა იყო შვილო, რამ შეგაფიქრა?

— არაფერი, დედი! როცა მიდიოდა დედა, მითხრა, საჭმელი დგას ცეცხლზედ და მიხედეო...

— შენ კი მთლად გადაგავიწყდა... წამო, გენაცვალე, ვნახოთ ის საჭმელი.

წყალი ამომშრალიყო. კარგი, რომ ცეცხლი ჩამქრალიყო, თორემ დაიხახებოდა მოსახარშად შედგმული სანოვაგე.

— ლამაზად კი მოიკაზმება შენ ანაბრად დარჩენილი სუფრა! — დასცინა სადედამთილომ.

და მოეხვია ქალს, უნებლიეთ გული არ ვატკინოვო გამკილავი სიტყვით. გამოაკეთეს გაფუჭებაზე შემდგარი საზრდო. დააგზნეს ცეცხლი. ქალის დედამ ვერაფერი ვერ შეატყო საჭმელს. მხოლოდ რძალ-დედამთილის საიდუმლო იყო ეს და უჩუმრად უღიმოდნენ ერთმანეთს, როცა სუფრას შემოუსხდნენ და მიირთმევდნენ.

— მძახალო, ჩემი ვაჟი სულ იმაზე ნაღვლობს, ქორწილი გვიანდებაო. სჯობს ავაჩქაროთ; გახსნილდება თუ არა, ჯვარი დავსწეროთ.

— ვამბობ, ქალი შევამზადო-მეთქი: არც თუ ისეთი ღარიბი ოჯახიდან მიგყავსთ, უმზითვოდ გამოვისტუმრო.

— ვიცი, გენაცვა! მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ რაღა საჭიროა ჩვენში ანგარიში: შენი ქალისათვის რაც გემეტება, მერმეც შესძლებ დაეხმარო.

დაასკვნეს: ჯვარი გადაეწერნათ გახსნილებისასვე მარიამობის შემდეგ. საგვირგვინო კაბა და მორთულობა კი სრული უნდა ყოფილიყო. მოასწრობდნენ: ფარჩა უკვე ნაყიდი იყო, თეთრი აბრეშუმი თითქმის თავისივე ფერი ყვავილებით დაფენილი: მკერვალმაც აღუთქვა ტანსაცმლის გამოყვანა აღნიშნული დროსთვის. ორივე ოჯახი აჩქარებით ემზადებოდა საქორწინოდ. დიდი მზადება არა სჭირდებოდათ: ისეთი გამოჩენილი ქორწილიც არ იყო, მთელი დაბა თავს დასცემოდათ

კაჟი ძალიან გახარებული იყო, დღეებსა სთვლიდა, საათებსაც. მის სიხარულს ბუნდოვანი რამ შიშის აჩრდილი მაინც არა სცილდებოდა. ეს მდგომარეობა აღელვებდა მას,

მოუსვენრობას განაცდევინებდა; დაკარგა ახალგაზრდამ სულის სიმშვიდე; ვეღარ მიაგდო თვისი თავი ვერც ერთ საქმეზედ. ქალს კი არ ეტყობოდა დიდი რამ ღელვა: თავისებურად მშვიდად ცხოვრობდა ოცნებათა სამფლობელოში ჩაბმულ-გართული; მხოლოდ ეხლა ამ ჰაეროვან სურათებში შეჭრილიყო მისი გულის მეგობარი არჩილი, რომელს თავს ევლებოდნენ ქალის ფიქრები ფრთა-დაფერილნი.

— იოცნებოს, შვილო, მანამ დრო აქვს ნატვრისა და პირად-პირადი სურათებით გართობისა. შენც ინატრე, იოცნებე! სიხარული იცის უნივთო სურათმა ლამაზ-ლამაზმა. მოვა დრო, ცხოვრების უღელი დაგხრით მიწისკენ და დაგანახვებთ ზრუნვებით სავსე სინამდვილესა. მაშინ თქვენც მხოლოდ მუშაკნი შეიქმნებით ყოველდღიურის არსებობისა, დამკლავებულნი მშრომელნი, ოფლით რომ მოიპოვებენ პურს არსებობისას. მაშინაც გეყოფათ დრტვინვა თუ სიმძიმილი, ურვა თუ დარდი.

ტყუილად უქადაგებდა გამოცდილი ადამიანი თავის გამოუცდელ შვილს: გახარებულ ჭაბუკს ცხოვრება ედემი ეგონა, სადაც ყოველ კუთხეში მომწიფებულიყო მისთვის სიამე ნოყიერი, ყვავილად გარდაშლილიყო სიხარული მოღიმარ-მოცინარე; იმ ნაკურთხ წალკოტში ჯერ არ აღმოცენებულიყო ეკალი თუ უნდო რამ მდელო, გველსაც ჯერ არ დაეგესლა იგი მულღაზარი.

9

ახლოვდებოდა დღე ბედნიერებისა. აღარაფერი ედგა წინ ახლო მომავალ სიამეთა სისრულეს. ხელით მისაწვდომი გამხდარიყო იგი მზიური კეთილი, თვალით დასანახი. უფრო დატკბა ისეც ტკბილი ქალი, გადაშალა თავისი გული ვაჟის წინაშე, რჩეულ ყვავილთაგან შეთხზული თაიგული. თვალებში შეჰყურებდა ჭაბუკი. მთელი მისი ქვეყნიერება იქ იყო ასახული, იმ ნათელ სიღრმეში და მაშ ვის შეჰხედავდა სხვას, ან რასღა დაინახავდა მის გარეშე მთელ დუნიაზედ?!.

— შევუმზადოთ ბუდე ლამაზი მშვენიერ გვრიტებს! მაგათ ტრფიალს რომ ვუყურებ, ნათელ მისწრაფებას ერთმანეთისადმი, ვრწმუნდები, ყოველი დაყოვნებული წუთი მარ-

გალიტია ზღვაში გადატყორცნილი, მაგათ გულისპირიდან აწყვეტილი თვალი ძვირფასი.

— აკი ვეჩქარებით, გენაცვალე! მიხარიან, რომ ეგრე შეაწყეს გული ერთმანეთს: ახალგაზრდობას მაგონებს, ლამაზ წუთებს ჩემი ცხოვრებისა.

— ღმერთმა დიდი დღე მისცესთ და ეს წუთები წლებად უქციოსთ! კარგი ქალი გყოლია, ნამდვილი ღვთის შვილი. არც ხომ ჩემი ბიჭია დასაწუნი, ჩემი ჭოჩორა არჩილი!

— და ვინ იწუნებს ჩემს კოხტა სიძეს?! ჩვენ რომ დავუჩაგრივართ ბედს ცხოვრებაში და ჯერეთ ისევ სავსე ფიალა მოუცლია სიტკბოებისა, ჩვენ დანაკლის სიამეს ამათ მიუძღვნის.

— ოღონდაც რომ მიუძღვნის! ღირსნიც არიან: მართლმსაჯულია ყოვლად მოწყალე. სად არიან ნეტა?

— გავივლ-გამოვივლითო, მითხრეს; კვერნაკისაკენ წავალთო.

— იარონ, ისიამოვნონ! ვარდის თვე სდგას იმათი მხიარულობისა.

ნანო და არჩილი აღარ ეკრძალებოდნენ ერთმანეთს, აღარც სხვებს; ხელგაყრილნი მიდიოდნენ ბილიკზედ, რომელიც ასდევდა გორას. საუკეთესო სასეირნო იყო ეს ადგილი. ბილიკს აქეთ-იქით მოსჯროდა ბუჩქნარი, წვრილმანი, ტყე შემაღლებული. გორის თხემზედ, შეკვეთილ ადგილას წავაკებულს, ტყე აღარ იყო. ზედვე, კვერნაკის მარცხნივ, გორას მოჰბმოდა ნაძვნარით შემოსილი დიდებული მთა, რომელსაც ჩამოსდევდა პატარა მდინარე. მთის წყალი სჭრიდა კვერნაკს ცალ მხარეს და გადადიოდა ფრიალოზედ საშინელის სისწრაფით, ქაფად აშლილი, ჯგუფ-ჯგუფ წინწკლებად თუ ჭავლებად დაშლილ-დალეწილი. ამ ლამაზ ჩანჩქერის სანახავად მოდიოდა ხალხი. მის სახილველად წამოვიდნენ ახალგაზრდები.

ალმართში ქალი მინდობილად დაეყრდნო შეყვარებულ ჭაბუკის მარჯვენას. თავს რომ დაჰხრიდა ვაჟისკენ, სხივად ასინათებული ხუჭუჭი ეხებოდა ჭაბუკის სახეს, უალერსებდა მის ახლად აშლილ წვერ-ულვაშს. არჩილმა რამდენჯერმე მოსტაცა კოცნა ეშხიანი.

— მაცა, გენაცვა, იყუჩე! — უთხრა ქალმა.

და როცა არჩილმა კიდევ წარსთქვა საალერსო, ქალმა ქორფა თათი დააფარა პირზედ. შეჩერდა. ერთხანს თავწახრილი რასმე ისმენდა. არჩილს უნდოდა ჩაეკოცნა ყვავილის ღეროდ ამოსული ყელ-ყური, მაგრამ ვერ გაბედა განძრევა.

— გესმის?

— რა, გენაცვალე?

— ხეების ხმაურობა, მათი უბნობა.

— მესმის შრიალი. საღამოობით აქ ყოველთვის იცის ნიავი; ის აშრიალებს ფოთლებს.

— და ასაუბრებს! ერთმანეთს უალერსებენ ხეები; ჰკოცნიან სიყვარულით ერთურთს.

— ესრე, გენაცვალე?

— მაცა!.. მე სულ ვიცი, რასაც მცენარე ამბობს. იცი? ესენი ეხლა იგონებენ ზამთრის ქარს, მის მყინვარე მობერვას; შიშით იხსენებენ. ზამთრობით არ დამიგდია ამათთვის ყური: ვინ წამომიყვანდა?!

— მე წამოგიყვან, რომ დაზამთრდება.

— რა კარგი იქმნება!

— რა კარგი ხარ!

ავიდნენ კვერნაკზედ. ტყე წვრილიანით თავდებოდა აქ. ზევიდან ჩამოშვებული ნაძვნარიც უეცრად შემდგარიყო. ყვავილოვან ველისათვის დაეთმოთ ტყეებს ადგილი. მთიდან გიჟმაჟი ხტომით მომდინარე წყალსაც ღრმა სადენი ვერ გაეჭრა წავაკებულზედ: ძირში სალი კლდე იყო და მდინარეს მცირედღა გაეღარნა იგი თავქვისაკენ. ხეც თუ მისთვის ვერ იკიდებდა აქ ფეხს, რომ ნიადაგი ღრმა არ იყო, მიწა ფიფქად ეყარა სალს: ბალახით კი ალაღებულიყო. ფერად-ფერადად აღყვავებული. დიდებული გადასახედი! როგორც ხელის გულზედ, ისე მოსჩანდა ძირს გაშლილი არე. ჩამავალი მზე პირდაპირ დაჰნათოდა გიჟური ხლტომით ჩამდინარე წყალს. მის ქაფებში, აქოჩრილ ჭავლებში, შხეფად ადენილ წინწკალთ ბუნჯგლებში იმტვრეოდ-იმსხვრეოდა მნათობის სხივები და აცისკროვნებდა მჭუხარ ჩამდინარეს.

— დავისვენოთ!

— დაიღალე, საყვარელო?

ვაჟმა დაუგო ბალახზედ შალი. დასხდნენ.

— ჰო, დავიღალე... ჯერ ჩვენს მეტი არავინ ამოსულა.

— ადრეა ცოტა; მთვარის ამოსვლისას მოიკრიფებიან.

— მშვენიერება იქნება აქაურობა ბადრი მთვარით გაკაშკაშებული.

— დღეს თხუთმეტისაა მთვარე... ნეტა ხელი რამე წამომელო შენთვის.

— მე წამოგიღე შაქრის პურები, აი! — უთხრა ქალმა და გადახსნა ფარჩის პარკი, ამოიღო ქაღალდში გახვეული მცირე რამ ნუზლა.

— აღარა სთქვა, დიასახლისად არ ვარგაო ჩემი ნანო.

— ვიტყვი: სატრფო არის ჩემი დიასახლისი!

მართლა დაღლილიყო ქალი. მიეყრდნო თავის დანიშნულს. გარინდებული გაჰყურებდა სივრცეს. უფრო დაიხარა მზე: პირდაპირ დაასვა სხივთა მჭდეულები ჩახრიალას, აალაპლაპა, აციასარტყლა. მზის ალერსით გალაღებულმა მდინარემ უმატა ქვესრბოლას ფიცხელს, ხლტომას, გრგვინვასა. ძირს, უფსკრულში, ღრმად გაეთხარა ჩანავარდნ წყალს კლდოვანი ნიადაგი და შეგუბებულიყო უზარმაზარ აუზად, ტრიალებდა.

— დავათვალიეროთ ჩახრიალა!

— გავსინჯოთ! ხომ მეტყვი, რას მოგვითხრობენ გიჟი ტალღები?

— გიამბობ, კარგო.

წამოხტა არჩილი, უბყრა ქალს ხელი. ჩაიწია განიერმა სახელომ, ამოაჩინა მკლავი სპეტაკი. ეშხით დაკოცნა ვაჟმა ფუნთუშა.

— მოდიან სხვებიც, მოეფინებიან. აბა გადაჰხედე!

— მხოლოდ ის არ წამოვა, ვისაც შნო არა აქვს, დასტკბეს მშვენებით, ვისაც არ ესმის არსის ძახილი.

— მიყვარს ბუნება! შენც გიყვარს განა?

— მიყვარს! მიყვარს ძლიერ!

— მიყვარს და ვეტრფი! სულდგმულად ვსახავ; ჩსურს ჩავეკონო.

— შენ ჩაეკონო? მკერდში ჩაეკრა?!. მძულს მე ბუნება!

— უჰ, როგორი შურიანი ხარ! განა ისე მიყვარს, გიჟო, როგორც მიყვარხარ...

წარსდგნენ ფრიალოსაკენ. ახლო უნდა მისულიყვნენ, რომ მათ წინ დაჩენილიყო ჩანჩქერი მთელი თვისი ალაპლაპებული ტანით. ძალიან ახლო კი არ შეიძლებოდა მისვლა: შხეფს რომ ისროდა შფოთი მდინარე, წინწკალთ აფრქვევდა და მიდამო კლდე მოსიპული ჰქონდა, მთლად მოლიპული, როგორც ყინული. აქ შველიც კი ვერ უახლოვდებაო წყლის სასმელად: ფეხს ვერ იკიდებსო.

— რა ლამაზია! დააკვირდი, გენაცვალე! ჩანჩქერის ალავარდნილ ნატეხებში იხატება სახე ათასნაირი და ჰქრება: კაცი, მფრინველი, დევი, ნადირი, ნამსხვრევი ცისარტყელისა...

— ბალღივით აღფრთოვანებული რომ...

— იყუჩე! მწყობრი რამ ხმები...

დაჩუმდა ქალიც, წინ წარსდგა ბიჯი. მიჰყვა ვაჟი.

— რა მშვენიერებაა, ვაჰ, გენაცვალეთ! — წარმოსთქვა ქალმა

და წარსდგა ფეხი. მოსწყდა ფრიალოს... წაეტანა ჭაბუკი... გამოფრიალებული სარტყელიღა შერჩა ხელში...

უფსკრულში მოსჩანდა ნანო საბრალო, ნახევრად ჩაეთრია მორევს; მბრუნავი ტალღა არხევ-ანძრევდა, ეზიდებოდა ბნელ სიღრმისაკენ: ფერიები თუ ეწეოდნენ თვის ახალ დობილს. ტალღები ჰრეცხდნენ სისხლის შხეფებსა: უნდოდათ თუ, დაეფარნათ თვით კვალი უბედურებისა.

— უჰ, რამოდენა ლოდი დაგიდვიათ! ხომ შეეხუთა სუნთქვა ნაზ ნანოს... დრუნგილის მატური უნდოდა ჰაეროვანი... ეს ყვავილთ კონა?

— ყოველ წელს მოდის მის სიკვდილის დღეს...

1919 წ.

აღდგომის ცოდვა

„ყურძნის ქურდმა იანვარში დაიკვეხა“.

— მინდა გაგანდო აღდგომის ცოდვა.

— აღდგომის ცოდვა?! არ არსებობს! არ გისწავლია ღვთისმეტყველება: აღდგომის სამ დღეს ყველაფერი ეპატიება ადამიანს, ცოდვა ცოდვად არ ითვლება; ვინც მაშინ კვდება, სამოთხეში შედის პირდაპირ.

— კარგია! მაშ „მუნ თანა წასატანი“ არა შემიცოდვია რა...

— ისე რომ, თუ ცხოვრება გინდა, უნდა მოზომო, აღდგომას მოკვ...

— სრულებით არ ვისწრაფი!.. სინდისი მაინც მზრზნის იმ საქმისათვის.

— ეგ სხვაა!.. რა მოგიხდა?

— დიდ შაბათს ბაზარში წაველ. მარტოხელა კაცს ბევრი ოჯახი გამომელის სასიძოდ: მაინც შეიძლებოდა დარბაზობა ისე დამემთავრებინა, პური არსად აეხლიჩათ ჩემთვის, საჭმელი არავის მოეპყრო: ცხოვრების სამალდე ერთობ გაჭერილია, ყველას თავი გასჭირვებია. ვიყიდე წითელი კვერცხი, მოხარშული ლორი, შემწვარი ბატკნისა, გოჭისა, ინდაურისა; კარაქი, ყველი, ტარხუნა, ფუნთუშები, კახური. ჩემს ბინასაც ვაგრძნობინებდი აღდგომის დღეს, ჩემ ჭიასაც გავახარებდი. გავავსე ხალთაგუდა. დავიმშვენე იასამანით გულისპირი. წამოვედი. ქარვასლის გვერდზედ ბატკნები ეყენათ. შეჯგუფებულ ხალხთან ტანის ნაცნობი რამ რხევა შევნიშნე. წავესწრაფე. გამიკვირდა: ეფემია იყო, პავლეს ასული. იცნობ შენ.

— ჯაგარაშვილის ცოლი, თავადობის მაძიებლისა? როგორ არ ვიცნობ!

— გახსოვს მისი საპასექო სუფრა?

— რა ნამცხვარი! რა მწვარი თუ მგბარი! სანუკვარი სანოვაგე, საუკეთესო სასმელები, ტკბილეულობა.

— სუფრის მორთულობა? მაგიდა იზნიქებოდა ფაიფურისა, ბროლისა თუ ვერცხლის ჭურჭლის სიმძიმით.

— სადარბაზოდ ჯაგარაშვილისასა ბოლოს მივდიოდი: იქ უნდა მესადილნა.

— ჩვენც ეგრე გვქონდა გეზი აღებული; ბევრნი ვქუჩდებოდით იქ სასადილოდ.

ყველა დიასახლისს თითო ჟინი სჭირს, სადაც უმეტეს ამჟღავნებს თვითმოყვარეობას. ეფემიას თავმოყვარეობის საგანი პასექის ნამცხვარი იყო; მაღალი უნდა ყოფილიყო, მსხვილი, ლიტაო. მზირად ათვალიერებდა, სხვას არ წაესწრო მისთვის ამაში. ქმარი რომ დაუბრუნდებოდა დარბაზობიდან, დაწვრილებით უნდა აეწერნა ყველას სამზადისი, მეტადრე ნამცხვრის ტანი, მოყვანილობა და გემო.

— მახსოვს, კიმოთეს ყოველთვის შიშსა ჰგვრიდა პასექის მოახლოვება: დიდი ხარჯები; ათასი წვრილმან-მსხვილმანი; საჭმელ-საკაზმი; ქაქანით რბენა. მარტო ის რადა ღირს, რომ ცოლი უთუოდ მას დააზელინებდა საპასექო ცომს.

— მორთული გამოშრიალდებოდა ქალბატონი სტუმრებთან, თითქო საგანგებო სურათიდან გადმოსულაო ეხლა...

— თითონაც სურათი ქალია...

— თავისი თავი მშვენივრად მიაჩნია; ქებას ბუნებრივ ხარკადა სთვლის თავისადმი.

— ერთი ძირითადი ნაკლი მაინცა აქვს: შედარებით მომცრო საზომითა აქვს მოხაზული სახე და ყოველი მისი ნაქვთი.

— მართალია! ერთი ბეწოც წაემატებინა დალოცვილ ბუნებას და... მშვენიერ ქალთაგანი იქნებოდა:

— სითეთრე ჰფარავს მაგ ნაკლსაც: მარგალიტი ცოცხლდება მის ყელზედ, მის საყურეში...

— ჰოდა ეფემიას მოძრაობა შევნიშნე ყარტან-ყურტან ხალხში, რომელიც ცხვარს ეტანებოდა, უფრო შესტრფიალებდა უიმედოდ ხელმოკლობის გამო. ის ქალი და აქ, ამათში! მივახლოვდი. ის იყო; თითქო არც ის იყო. გამოცვლოდა გარეგნობა: მოღეჭილ-მოცვეთილი ტანისამოსი კოპწიაობას ნაჩვევ ქალს. ხომ გახსოვს, რა სურათი ფეხი აქვს? ლამაზ მაშიას მაღალქუსლიანს უფრო უნდა ჩაეხატნა ეშხია-

ნი მისი ნაგებობა; არამც თუ მხოლოდ ფეხსაცმელი უნდა ყოფილიყო, თან სამკაულიც.

— ფეხი ხომ არის, ახლა მოკლე კალთების ქვეშ ლიტაო წვივი, მარმარილოს სვეტივით თანისთანობით ნაქანდაკები...

— ეხლა კი მაშიების ქუსლები წინ წასულიყვნენ, შეწოლილიყვნენ; ფეხის დადგმისას იზნიქებოდნენ წელში დაკრულნი; სიარულს უშნოვებდნენ ქალს, ურყევდნენ თეძოებში მოშლილივით. შაპო... ჟამთა მსვლელობას გაეძეძნა საწყალი შაპო, ბუმბული გაჰქუცოდა, საქინძისთავე ჩაღრუებულიყო: ფრთები ჩამოეყარნა. მარგალიტი ისევა ჰქონდა ქალს ყელზედ, მაგრამ ერთი წყობაღა და იმასაც შიგა და შიგ ძაფი უჩანდა.

— ეჰა, მძიმე დროს ამისათვისაც დაუბიჯებია ტლანქი ფეხი, — გავიფიქრე.

ესეც უნდა მომხდარიყო: მისი ქმარი დიდი მოხელე იყო. მაგრამ მაინც მხოლოდ მოხელე, ოცის შემხედველი. უსათუოდ უნდა დაეწივნა ნივთიერად, დაკნინებულიყო. ეხლაღა შევიგენ ამ წინაზე ნანახი: კიმოთე, იცი შენ, ზორბა არის, ძლიერი, ბალან-ნაჭარბი, ვეება თვალებიანი...

— ზორბა და ძლიერი?! ფუყია, ფრახი; გარედან მტერს უყენებს თვალებს, შიგნიდან პატრონს.

— მხოლოდ შეხედულებით ძლიერი-მეთქი. ფურნის პური ეშოვნა ვეებერთელა; მკლავები მოეხვივნა, გულზედ მიეკრა და მიჰქონდა თვალების ბრიალით, ძლევამოსილად. უკვირდა თუ დავლის ხელთ გდება, თავი მოსწონდა. წინად კი... კიმოთე თევდორეს ძე და ამეების ტარება?! კაცი კეწკეწ თათმანს არ იშორებდა ნიჩაბივით ფართო ხელიდან...

— როგორ, კაცო, ეს ბატკანი? — შეეკითხა ეფემია.

— ოცდა ათი თუმანი.

— გამხდარი იქნება: დუმა არა აქვს.

— დუმაში რა ჭკუაა: ზოგს სქელი დუმა ჰკიდია ვეებერთელა, თითონ კი გამხდარია, წისქვილზედ დასაფქვავი. ეს უდუმო ჯიშია კარაქივით გემრიელი.

— მაინც ძვირია...

— ამ გოჭს გევაჭრები, ბიჭო!

— გოჭსა?! ბურვაკია, ნახევარი ფუთი გამოვა.

— ახალია?

[illegible]

— მაინც ფასი თქვი.

— შენი ხათრისათვის ოცდა ხუთი თუმანი.

— უჰ, უჰ!..

— მამალია ეს ინდაური?

— მამალია და რა მამალი!

— როგორ?

— თვრამეტი თუმანი.

— დააკელ ფასი!

— მაგაზე იაფად?! ხელს არ მომცემს.

— ხელსაც მოგცემს და ფეხსაც, მაგრამ...

— ფეხსაც, ქალბატონო?..

იარა. ბევრი სხვა რამ შეაფასებინა: ზუთხი, ხაჭო, კარაქი, ყველი, არაჟანი, ვაშლები, ფორთოხალი. ვიცოდი, ეფემიამ ფულის ყადრი არ იცოდა, მუჭა-მუჭა აპნევდა, და მიკვირდა, რადა ჩინჩობდა ეხლა. ეჭვი შემეპარა იმის ქისის შესახებ. დაგლეჯილი გოგო დასდევდა უკან, მწვირიანი. ფართოდ დაწყებული ვაჭრობა მჭლედ გაათავა. ღაბუა ქათამი იყიდა ღვთისნიერი გლეხისაგან. თითონაც მოღაბუო იყო და ალბათ იმისთვის მოეწონა. იქვე მეპურეს თონის პური ააწონინა ოთხი. ნაჭერი დაიწონა. გაიყვეს, პირი გააცმაცუნეს. გამოტრიალდნენ. ზურგისაკენვე მოვექეც. ფულს რომ იღებდა, თვალი დავკარ ქისას: არც ერთი ოცდახუთ თუმნიანი, არც ათიანი, ხუთიანიც კი. ისე ამოიოხრა ფულის ამოღებაზედ, გული თან ამოატანა, ნაზმაზუნა გული აწ დაბზარული. შემეცოდა. ბლომადა მქონდა ფული და დავაპირე შემეპარებინა. გადატეხილი იყო მისი გოროზობა და აიღებდა, თუ მარჯვედ ვიქნებოდი. იქნება კიდეც შესჩვეოდა ჩემგან ჟამითი-ჟამად ფულის მიღებას. მერმე... უნდა გაგიტყდე: თითქმის მომწონდა: მინდოდა დამემორჩილებინა კიდეც ზვიადი, წელში გადამეზნიქ-გადამეტეხა, გართხმული მენახა ჩემს წინ. ალღოთი ვგრძნობდი, შესაძლო იყო. გეგმაც შევადგინე:

— ვახლავარ ქალბატონ ეფემიას! მშვენიერი გოჭი გახლავსთ. თქვენებურად შემწვარი სუფრის მაზა იქნება.

— თქვენა, ყმაწვილო?! ცოტა ძვირი მეჩვენება.

— არ გახლავს ძვირი ეხლანდელ კვალობაზედ.

— შეიძლება. გამოუცდელი გახლავარ. მაგრამ... არ წამომყოლია იმდენი.

— მომეცით ნება, გათხოვოთ! კიმოთეს ხელით დამიბრუნებთ მერმე... ხომ კარგადა ბრძანდება?

და... მივართმევდი ექვს-შვიდ ოცდახუთ თუმნიანს. უსათუოდ მოვახერხებდი. ლამაზ ბანკში მექნებოდა ფული შეტანილი. თავი შევიმაგრე: მინდოდა მაშინვე მენახა გოროზი ბოლომდინ დამდაბლებული, იმ წუთშივე. ესე მიკარნახებდა ჭინჭყლიანი რამ ეშმა გულსწრაფი. განა არა, სხვა ეშმაკი ღიმილით მირჩევდა, ამესრულებინა ჩემი განზრახვა, კარგ სამკალსაც ამითქვამდა ჭკვიანი. აფსუს, არ დავუჯერე!

ამოიარა ქარვასლისაკენ. შევიდა ჰაჯის მაღაზიაში. ყველა ხილი გასინჯა საუკეთესო, ნაღუნაკი იგემა. ვერ იყიდა. რას იყიდდა?! იშტა ჰქონდა, წელი არ მოსდევდა.

— ქალბატონო, რა მშვენიერი თაიგულია!

დააფასებინა. ეძვირა, ვერ იყიდა. დაჩაგრული ბავშვის იერი მიიღო. მოღიმარე ეშმაკმა კიდევა სცადა ჩემი ჩაგონება.

— ისწრაფე. შენ ხელთ არის. დამიჯერე, უშნოვ!

ნაბიჯი წავსდგი: უნდა მეყიდნა ყვავილები, მიმერთმია; მერმე მთლადაც ამესრულებინა ჩემი განზრახვა. ვერ მოვახერხე: ბოროტმა ეშმამ ჩამიჭრო ნდომა. ტრამვაის ბაქანზედ მოთავსდნენ ისიც, მისი მოახლეც. წინად ამ დღეებში ეტლს დააქროლებდა ეფემია მაღაზიიდან მაღაზიაში; ქარი უფრიალებდა შაპოზედ ძვირფას ფრთებს, უშრიალებდა ფარჩის ტანსაცმელს.

ჩრდილივით ვსდიე ორი-სამი საათი, თავი არ შევამჩნევინე; ყოველ წამს კი მინდოდა წარვსდგომოდი, ამესრულებინა ჩემი განზრახვა. გავჯიქდი. მეგონა, კიდეც დავიკმაყოფილე უთმინო გრძნობა. მაგრამ არა: ის გულფიცხი ეშმა შემიჯდა გვერდებში და აღარ მასვენებდა მეორე დღესაც, სანამ ბოლომდი არ ჩავყევი ამ წვრიმან გრძნობას ბოროტს.

კოხტად გამოვეწყე აღდგომა დღეს, ჩავჯექ ეტლში, გავწიე სადარბაზოდ. ღმერთო ჩემო, რამდენი დაღი ვნახე ხელმოკლეობისაგან დასმული წინად დაბზინებულ ოჯახებზედ! მოვიცლი, გიამბობ. ბოლოს... კიმოთეანთკენ გავსწიე ღიმილით, სულმოკლე ეშმაკისაგან ნაკარნახებ ბოროტი ღიმილით. კარი უცნობმა გამიღო.

— ვინ გნებავსთ, ყმაწვილო?

— კიმოთეანი, რასაკვირველია!

— იმ კარებისაკენ მიბრძანდით: ეს ოთახები ჩვენ მოგვაქირავეს, დანარჩენები თითონ დაიტოვეს. უხერხული გახლავსთ: ერთი და იგივე შემოსავალ ორივე ბინას...

— ბარათებს დააკრავდით ცალ-ცალკე, ზარს გაიყვანდით.

ორჯერ დავარახუნე კარი, მესამედ ძლიერ. თითონ ეფემიამ გამიღო.

— ქრისტე აღსდგა! მომილოცხია... მპა! — გავუტლაშუნე ხელზედ.

შემიწვია. დავსხედით. ვსთქვით რამდენიმე. ფერი მისდმოსდიოდა. კაჭკაჭივითა ცმუკავდა სკამის ქიმზედ. ღრმად ჩავჯექი სავარძელში, საფუძვლიანად.

— კიმოთე თევდორეს ძე სადარბაზოდ იქნება?

— დიახ! გვიან დავბრუნდებიო, თქვა.

— რა საკვირველია: ბევრი ნაცნობი ჰყავს. მე კი შემოვიარე ყველანი და ჩვეულებისამებრ თქვენი ოჯახი ბოლოსათვის შევინახე, როგორც ნუგბარი რამ სატკბილობელი.

— წლეულ... მგლოვიარობამ შეგვიშალა წლეულს ხელი.

— მგლოვიარობამ?! განა...

— დედიდა გარდამეცვალა და...

— საწყალი! აღდგომა დღეს მაინც გარდაცვლილიყო, ცხონდებოდა, — წავროშე.

ხმა არ გამცა. თავის ქმრის ქისას თუ ეძახდა დედიდას. საწყალი დედიდა! გარდაცვალებისა რა მოგახსენო და რომ სისხლნაკლები შექმნილიყო და ძალიანაც, ეს კი ცხადი იყო.

ეს მისი ბოდიში დათხოვნა იყო ჩემი, ძალიან ცხადიც. ვითომ ვერ გავიგონე. უფრო ღრმად შევჯექ სავარძელში და გავსწორდი.

— მართლა და დაიგვიანებს ბატონი კიმოთე, როგორც ეტყობა.

— ეგრე მითხრა, როცა მიდიოდა.

დარწმუნებული ვიყავი, კიმოთე იქით ოთახში იყო: ცოლი არ გაუშვებდა სადარბაზოდ. რა დარბაზობა შეჰშვენის ვაჟკაცს, რომელსაც წელი არ მოსდევს საპასექო ნამცხვრით გაახაროს ოჯახი, გულუხვად დახვდეს მომსვლელს, პატივისცემა აგრძნობინოს სახლისადმი?!

შემოსვლისას კიმოთეს ჯოხიც შევნიშნე ხარიხაზედ, ვერცხლის თავიანი შავი არგანი, რომელსაც ისე განუყრელად ატარებდა ის, როგორც მწყემსი კომბალს. ხმაც გამოდიოდა შიგა და შიგ ბალღების ოთახიდან, ყრუ რამ ღუმღუმი.

ჩაწყდა სიტყვა: სასაუბრო შემოგვაკლდა. ადგა დიასახლისი, გაიარ-გამოიარა, ფანჯრიდან გადაიხედა. მე უფრო ღრმად შევჯექ სავარძელში, მკვიდრად მოვეწყე. შემატყო, წასვლას აღარ ვაპირებდი და... გადადგა სახიფათო ნაბიჯი:

— სააღდგომო სუფრა არა გვაქვს მოწყობილი, მაინც პური გატეხეთ ჩვენთან, ქრისტე აღსდგა გაგვაგონეთ.

ცალყბივ თხოვნაზე ბოროტმა ეშმამ უფრო გამაჯიუტა.

— სიამოვნებით!

გავიდა, იფუსფუსა.

— მობრძანდით.

პატარა მაგიდაზედ ორკეცად გადაფარებული თეთრი სუფრა. ხახალში თონის პური თხლად დაჭრილი. სასმისით არაყი. ხუთიოდე წითელი კვერცხი. პატარა ლანგრით... ცივად მოხარშული ქათამი, ასოასო დაჭრილი. საწყალი ღაბუა! ბოროტმა ღიმილმა გამიპო ბაგე.

— ქრისტე აღსდგა, — მივეხმაურე დიასახლისს და გადავკარი. გავტეხე კვერცხი. გამოვხიწნე თეძო.

— კიდევ მიირთვით!

— სიამოვნებით! თქვენი სადღეგრძელო, მშვენიერო დიასახლისო!

გადავკარ, გამოვხარ გულისპირი. ცალი თვალი ქალისკენ მეჭირა. არეული გრძნობა აჰხატოდა სახეზედ: განადგურებული თვითმოყვარობა, ჩემდა ბოროტი სიძულვილი, ცოფმორეული ჯავრი ალბათ კიმოთეზედ; თითქმის ცრემლები, ულონო სიავისაგან ნაჟური გესლი. ღაბუას ხორცს რომ ვსჭამდი, ისე გრძნობდა თავს, თითქოს მას ვკბენდი. ავდექ, გამოვეთხოვე ვგონებ სამუდამოდ. ძონძივით მოდუნებული ხელი მომცა. ჯერ ბჭეს არ გადმოვცილებულიყავი, კარი მოაჯახუნა. წამოველ ღიმილით. რა მაცინებდა?! მომწყდა თავიდან ზავთი ეშმაკი. მაშინღა შევიგენ: თუ გუშინ კეთილგონიერი ეშმაკისათვის დამეჯერებინა შორსმჭვრეტელისა, სწორედ მოგებაში დავრჩებოდი. გვიანღა იყო.

განასკვილი სიმი

— ბურუსი დასწოლია შენს გულს შენივთებული, ჯანღი რამ მძიმე; ცვარად აცრემლებული ნისლი გეხვევა გარს, უგემურად აჟრიალებს შენს გუნებას, მთელს შენ არსებას.

— ბოროტი ბნელი მიმოსავს ყოფას, მიხშობს გრძნობასა, თვით ჰაზრთა დენას...

— გაეცალე შენს თავს, მიჰრიდე ერთს წამს ცნობიერებას შემძიმებულსა. მთლად კი არ მოსცილდე კაცთა სავანეს: დაგიმარტოვებს იგი წყვდიადი სამარის ფერი, მთლადაც ჩაიხვევს შენს სულის ციაგს; შეგაზარებს არსებობას ლაღს; მწვირით გაჟღენთილ სიბოროტედ მოგაჩვენებს სიცოცხლეს ლამაზს.

აუტანელ ყოფად დახრწნილად.

— განიმარტოვე თავი! მთლად კი არ განშორდე კაცთ სავანეებს, ადამიანთა ტალღებს, წუთიერ ყოფის ბილიკებზედ მიმავლებს. იარე იქ, სად აბნეულ ხმაურობით სავსეა არე და მაინც სიჩუმეა შენთვის, უცხო დუმილი; სად აღსავსეა მიდამო ხლართულ მოძრაობით დაუდგრომელით და მაინც უძრავია შენთვის, გარინდებული; სად მრავალთაგან გარემოცულ ხარ და მაინცა ხარ მარტოებული. იარე იქ, ხალხით აღსავსე უხმო უდაბნოში!

— დასახლებულს ადგილს უკაცოს, შეუცნობელ ხმათა მიერ სავსე მდუმარებაში...

— იყავ იქ, იარებოდე ჰაზრთა ნამსხვრევებით სავსევ, მაინც უაზროვ, განათებულ ფიქრთ უქონელო; გრძნობათა ნაფლეთებით აპირთავებულო, მაინც ელვარედ ასახულ გრძნობათაგან მთლად ცალიერო; სურვილთა სიმრავლით შემძიმებულო, მაინც სამოქმედოდ დაკვართულ ვნებათაგან უარყოფილო.

— სამოქმედო მილტოლვისაგან ხელცალიერო...

— არ გახვიდე ყაბახზედ! არ აქსელო შარა, სად უცნობი ნაცნობები დაგეხირებიან ყოველს ჟამს, გულყანდი მეგობრები. ვაჰ თუ ბაგეზედ უქროდესთ ღიმილი ყალბი და შეგამძიმონ; იქნებ აშკმულ მათ პირში თვალი მოჰკრა სისხლიან ეშვს ალესილს, სულდგმულთ მუსვრაში ხელოვნებულსა, და შეგაღონოს, მთლადაც აგაკვნესოს.

— ეშვსა ალესილს, კბილს ცოცხალთ მკეთელს...

— თუ არა, უფრო დაუმძიმდება შენ სულს ტვირთი თვისი მძიმე, ბოროტების ნაკადად გადმოჩქეფდება ჯანღი იგი გახშირებული, შენს გულს რომ დაუფლებია, საწყალობელო წადი იქ, სად არვინ გიცნობს; არც მიმომსვლელნი, არც ის აჩრდილნი, მრავლად რომ ჰფრენენ არეებში, გარდასრულ ხალხთა იგი ლანდები.

— ყოფილ ცხოვრების მოგონებანი... ვიცნობ მათ ყველას.

— შენ ვერა გცნობენ! არც ერთი მათგანი არ შეაყენებს შენს გაწამებულ არსებაზედ თვის ხედვის ისარს სივრცედ მიმართულს, თუ შენ თითონ არ უხმე მათ. იქ წადი!

* *

ამისთანა მდგომარეობაში მე ისნის ვიწრო ქუჩები მირჩევნია, ქუჩაბანდები, ძველ ნანგრევებზედ შიგადაშიგ დაშენებული ახალი ქოხები; თუნდ ხარფუხის ქუჩა-ბილიკნი, სადაც სხვის ეზო თავის ზესვლაში თავს წასდგომია სხვა სახლის ბანსა, სარდაფი დასწორებია სართულს მეორეს. არ გინდა ისანში, აღარც ხარფუხში, თუნდ ჩუღურეთში? მაშ ანჩხატისკენ, ან გარეთუბნის ვიწრო ქუჩებში, თუნდ მთაწმინდაზედ, ოღონდ სულ ზევით, განაპირებში...

ნაღარ-ნალეწი სავალი ძნელი, მიყრილ-მოყრილი ბუნაგბინები, კაცთა საჯგუფი რამ ყორეები... ყველა თაობას სორო მიუდგამს წინაპართ სადგომისათვის, ყუდე რამ მიუშენებია წარსულთ ბუნაგზედ. იქ ყველა შუკა თუ ქუჩაბანდი სავსეა ხალხით, კაცთ ნალექის სიმრავლით უამრავით; გარდასრულ ხალხითაც აღსავსეა ძველის-ძველითა. ვის არ შეხვდები! ოღონდ კი თვალნი გესხდეს ხედვად სხვებისა, ხილვადც აჩრდილთა; ყურნი გქონდეს ხმათა სასმენლად, შორეულ

სიტყვათაც სულ უწინდელთა. რამდენ გარდასრულს მოსწყენია ბნელ აკლდამაში ყოფნა გახმარტოებული და გამოსულა თავის სახლისა თუ ქუჩა-უბნის დასახედავად!..

— ვერა მხედავენ იგინი: თვალნი სივრცისკენ აქვსთ მიქცეულნი.

— მისთვის ხარ მარტო კაცთაკან სავსე არემარეში; მისთვის დუმილად გესახება ხმათა სიმრავლე. და თუ მოგსურდეს, მოუწოდე მათ, გაეხმაურე. შედგებიან, მოგხედავენ, აგჩქამდებიან.

— მეტყვიან რასმე?! ახალს, ძველებურს...

— არ დაჰვიწყებიათ საუბარი. კიდეც გიმღერებენ. ოღონდ კი თავისად გიცნან შენ, უცხო სახით მოვლინებულო, მათთვის მთლად უცხო მოხაზულობით.

— მათთვის უჩვევი მოხატულობით...

— დინჯად გაიარე. დაკვირვებით მოავლე თვალი მოყვარული. ყური მიუპყარ ჭირთაც სმენად გამზადებული. ლმობიერების ნავტიკით შეცურდი მათ მუქ არსებობის ტბორში, მორევში. გაგიტაცებენ: გაგიღიმებენ, ჩაგაკასკასებენ; დაგაღონებენ, აგაქვითინებენ; აღიღინდებიან, აგამღერებენ; გიამბობენ, ლამაზ სიტყვას გათქმევინებენ.

— მომხედავენ? შვებას მომცემენ? სულს მეფონება?! უკუნშია ჩანთქმული ჰაზრთა არე ჩემში; შავი მცურავი თუ შემოეხვია ჩემს გულს შეხუთულს და სწურავს იმას თვის ცივ ხლართებში; არარაობა ფოლადის ჯაჭვად დაჰხვევია ჩემს ნებისყოფას და შეუბორკავს, მოძრაობა აურთმევია ტყვედქმნილისათვის.

— შეჰბედე, შეჰმართე, გაიბრძოლე!

— ვცადე შემართება, გავიბრძოლე რამდენჯერმე. ამაოდ! გარს შემომრტყმოდა უხსნელი ღვედი, უწყვეტ საბელად შემომხვეოდა. რა იყო მიზეზი? არაფერი! ყველაფერი! თუ მივაგნებდი გარკვეულ მიზეზს, გამოდგებოდა სევდის სარღვევად; თუნდ ბრინჯაოსი ყოფილიყო იგი შემძიმებული კაეშანი, ოღონდ კი დამენახნა მისი ჟსახო სახე, მიმეგნო მის მასაზრდოებელ ძალისთვისა.

გაძნელდა სუნთქვა. ველარ გავძელ ოთახში. დავეშვი ქვევით. ისე სწრაფად გავიარე დიდებული ქუჩა შეფერილი, თითქო უკან მომდევდა პირაშკმული სიბოროტე ვეშაპის სახით. გონებას რომ მოვეგე, ავლაბრის ხიდის ყურზედ დავინახეთ ჩემი თავი.

ჩქეფდა უფსკრულში მძლავრი მდინარე, ქაფდებოდა ურყევ სალთაგან შეზღუდული, იწროებული; გული უდუღდა გამძინვარებულს. განწირვით ეხეთქებოდა კლდეებს, შოლტავდა, ზედ ასკდებოდა, ღრღნიდა ბოროტად პირქაფებული; წამს განშორდებოდა, ჩაიზნიქებოდა; წამს ახლტებოდა, აფრინდებოდა, ზედ ემტვრეოდა, ელეწებოდა. ამაოდ მძინვარებდა! ყრუ სალს ურყეველს ვერა სწვდებოდა ვერც მისი ბრდღვინვა, ვერც თუ ქუხილი.

— საშინელია! ღრმა იქნება აქ?

— ძლიერად მოგხვევს მკლავს. დაგკოცნის ისე, ველარ ისუნთქო. კლდეს დაემზღვრევა აღბორგებული, შენც ზედ დაგაწყვეტს.

— ზედ დამახეთქებს შესამუსრავად?

— ჩაგნთქამს, მოსწმენდავს კვალსაც სისხლისა.

— რა ცივი იქნება სასტიკი!

— ხარბია, გაუმაძღარი. ნაჩვევიც არის აქ მდინარე შესაწირავსა, ადრინდელ დროდან შეჩვეულა.

— ძველ დროიდგანვე?!

— უწინდელ დროში საწამებელი ადგილი იყო ეს. შეხედე ზევით ციხის საძირკველს: კლდის ქიმი რომ არის გადმოზნექილი, აღქაფებულს რომ დაჰმზერს უფსკრულს წამდგარი...

— ვხედავ იმ კონცხსაც, ქვეშ მჩქეფარესაც...

— იქიდან გადმოამზღვრევდნენ შეუნდობელს, რომ დასთხეოდა წყალიდან ოდნავ ამოჩენილ წვერებს სალისას და ჩაენთქა უფსკრულს იგი იმ წამსვე, მოეწმიდ-მოერეცხნა კვალიც მისი არსებობისა.

— ნიშანიც კი მისის ყოფისა...

— საწყალი უშანგ!

— ხმალი ღვთის გულისათვის!.. წარმკვეთეთ თავი!.. —

იძახდა სასომიხდილი, როს მიათრევდნენ უფსკრულისაკენ.

— ცოდვაა ხმალი მოღალატისთვის!

— მიშველეთ!.. — გაისმა კივილი.

და მოეფინა საზარი ხმა ისნის აღმართებს, მთელ კალა-ქალაქს, ნარიყალასაც.

— მიამბე!

— მერმე, შემდეგში...

აბოს ძვლებიც ამ უფსკრულს ჩაანთქმევინეს, წმიდა აბოსი. უამა თურმე გულჩახვეულსა: აციაგდა მორევი.

— აშუქდა?!

— თურმე შენათდა...

— იყუჩე, ბესიკ! ჰბედავ, უმღერი ბატონიშვილსა?! მაღლა შეჰმზერი, უჰ, ძლიერ მაღლა! შეჰმართავ მზესა ღია თვალებით... დაგბუგავს თვალებს, წაგართმევს ხედვას და... და გადმოგამზღვრევს ამ ფრიალოდან. ჰბედავ, შეჰხედო ზეამაღლებულს!..

მოვშორდი ხიდსა: ისნისკენ წაველ. სანთელი დავუნთე წმინდანის აჩრდილს მიყუჟულ ნიშში: ციაგად მოევლინება წამებულს. ერთს წამს გაუნათებს ყოფას შავეთში.

* *

წავსდგი რამოდენიმე ბიჯი. მომესმა ჭიანურის ხმა, ფეხი დავაწყნარე. გავარჯიშებული ხელი ხმარობდა ხემსა!* სევდიანი ბგერანი მწყობრად დარაზმულნი ამოდიოდნენ საკრავის მკერდიდან, მიმოფრინავდნენ. უფრო ვუკელ სვლას, თითქმის შევსდექი. მსუბუქ ფრთებსედ მოჰფრინავდნენ ხმანი, ნარნარი რხევით. მთლად დავდექი. ბგერათა შორის ერთი ნამზნევი მოსჩანდა: რყევით მოსდევდა. ვერ გავიგე მიზეზი. უსიამოვნო რამ აჩრდილმა გამკრა ფრთა. მივბრუნდი, მიუახლოვდი დამკვრელს; დავაკვირდი.

ბერიკაცი იჯდა მოკეცილი. ჭიანური დაებჯინა და უკრავდა. ტყავის წოწოლა ქუდი თვალებზე ჩამოეფხატნა. ტანზედ ტყავი ეცვა ყავარ-ყავარ დახეთქილი. ჯამი ედგა წინ; ფული რამ ეყარა შიგ, შესაწირავი.

---

* ეს სიტყვა კარგარეთელმა მომაწოდა იამ. ვ. ბ.

ამოვიღე ქისა. ვხსნიდი, თან ნჯღრეულ ბგერის მიზეზს ვათვალიერებდი. მივაგენ! განაპირა სიმი იღებდა იმ ნამტკივნ ხმას: გაწყვეტილიყო; გლახაკს გაენასკვა ის და ისევ გაება საკრავზედ. ეს ვნებული სიმი იყო, რომ მსუბუქად ველარ აყოლებდა ხმას თანამომღერლებს, თვის ამხანაგებს; ველარ ეხმატკბილებოდა მათ.

აღარ მივეცი გასაკითხი. გამოვტრიალდი. ისევ გამოველ ხიდს. მოედნის პირში რომ მაღაზიაა, იქ მეგულებოდა სიმი. ვიშოვე. ვიყიდე.

— აი, ბიძია, სიმი: ალბათ ეს გირჩევნია ეხლა პურის ფულს.

— სიმი?! აბა!

მივაწოდე. გასინჯა. პირი გაუნათდა. ქუდი გადაიწია თვალებიდან და შემომხედა.

— დაილოცოს შენი მადლიანი თვალი! შეჰნიშნე საწყალი სიმი განასკვილი? ვიმსახურე, ვტანჯე; გაწყდა წელში, მაინც აღარ ვეშვებოდი. გული კი ცრემლებით შევსებოდა მისი ცოდვით. სად ვიშოვიდი ეხლა ახლის ფასს?! ამაღამ გავაბამე ამ სიმს.

გლახაკმა ისევ ჩამოიფხატა ქუდი და გაუსვა ჭიანურს ხემი. იქვე ვიდექით გაქვავებული. ერთხანს ენა აღარ მემორჩილებოდა.

— სოსიკო?

გლახაკმა ისევ გადიწია ქუდი და დაკვირვებით დამაცქერდა.

— დათიკოჯან?!

— მე.

— დახე ჩემს ყოფას უბედურს!

— სადა სცხოვრობ?

— არსად!

— მაკრინე?

— ნუღარ იტყვი! ნუღარ კითხულობ ჩვენს ამბავს: მკვდარი ვარ! შენდობა მითხარი, კარგო კაცო, და წადი შენს გზაზედ, — მითხრა გლახაკმა

და დაღუნა თავი: სევდამ მიწამდინ დაჰხარა მისი ანაოჭებული ქედი.

* *

ისევ ამოვიღე ქისა, მაგრამ გადავიფიქრე: ადრინდელი მეგობარი იყო ჩემი, იმთავითვე ჩემი ტოლ-სწორი და მისთვის დამამცირებლად მივიჩნიე, ფული გადამეგდო, მით მომეხადნა მოვალეობა.

— როგორ თუ ვერ გაუბედე?! ვინ გლახაკი, სად თავმოყვარეობა!

— ნუ იტყვი! ნივთიერად დაკნინებულს, განა აუცილებელია, სულიც ლაფანივითა ჰქონდეს მოღვედილ-მოშვებული, მიწამდის დაწეული, მწვირში თუ ტალახში ამოვლებული?..

ხმა აღარ გავეცი, გავტრიალდი: იქვე ახლო რომ მიკიტნის დუქანია, იქ შავედი. ღვინო მოვითხოვე, მცირე სამხარი: მინდოდა ფანჯრიდან მეთვალიერებინა გლახაკი და თან ავყოლოდი მას, როცა დაიძვრებოდა ის თავის ადგილიდან. ნელ-ნელა შევექცეოდი. ვფიქრობდი: გარდასრული სურათები მითამაშებდნენ თვალწინ.

ნაცნობი იყო ეს არე ჩემთვისაც, სვიმონისთვისაც, — იმ გლახაკისათვის, აგერ რომ მიჰყრდნობია ზურგით კლდეს და უკრავს სიმძიმილის დროს იმავე თარს, რომელსაც ლაღობის დროს ახმატკბილებდა. ბეჩავ, ბიჭო! ბევრჯერ გამოგვივლია ამ ქუჩებზედ თავმომწონედ... მაუდის კაბა ყურთმაჯებიანი, აბრეშუმის სარტყელი ფოჩგადმოშვებული, კალმუხის ქუდი: საათის ძეწკვი ოქროსი; შრიალა ახალუხი ფარჩისა. კეწკეწი შალვარი ყაფაღიან წაღებში ჩატანილი. შავი ულვაშები მოპარსულ პირზე. აბრეშუმის ხელსახოცი სანოვაგით სავსე, ჯიბეში ფული. ტუჩზედ ღიმილი.

მიუხაროდა შინ ბედნიერსა: მაკრინე დაჰხვდებოდა ოჯახში, სუფთად ჩაცმული კერის ანგელოზი, თავისი მეუღლე. თანც საყვარელი; მარად სატრფობი მაკინე, ეშხზედ მომყვანი.

— სად მიდიხარ, დათიკოჯან?

— არსად! ისე გამოვისეირნე: კარგი საღამოა. მოდიხარ კიდეც დუქნიდან?

— ეს არის, ავუგდე დარაბები; დახურულ ბაზარში, იცი შენ, ადრე ბნელდება.

— ნახვამდისინ!

— ერთად ვივახშმოთ! ჩემთვის ხომ ვახშამია, რაც არის:

სადილს დუქანში ვსჭამ მარტოდ-მარტო, უსახლობით კი-მე მად...

— შენგან არ მიკვირს! ცოლი თუ არ გიზის გვერდზედ, რა მადა გექნება, ან რა ლუკმა ჩაივლის ყელში?!

— ყელში იხირება საჭმელი, თუნდაც კახური დაასხა ზევიდან დალოცვილს. დუქანში მე მარტოდ-მარტო ყარყუმივით; იქ, სახლში, შენი ახალი სული...

— მურაზით სავსე სული ახალი...

— წავიდეთ! მაკრინესაც გაეხარდება: უყვარხარ, ნათლია.

— მეც დიდ პატივსა ვსცემ. უცხო ხომ არა ვარ: მეჯვარე ვარ თქვენი.

მივდიოდით პირმხიარულნი. მწვანილ-ბოლოკი, მოთალი, თევზ-ხიზილალა; ტკბილი ღუღუნი; თარზედ ღიღინი. მარჯვე დიასახლისა მოსიყვარულე... სხვებიც შეგვესწრებოდნენ ხანდისხან. სამხარი ვახშმად გადაგვექცეოდა, ჩუმი შექცევა-ახმაურებულ მხიარულებად. მეტადრე, თუ აშუღ მიქელა შემოგვესწრებოდა... რა თქმები, რა ზმები! საარშიყო ლექსები, ძველებური ამბები...

— იქით კვირა ჩემთან! ჩვენი კერის ანგელოზიც ვასიამოვნოთ. ნათლიდედ, თქვენც წამობრძანდით: ჩემს ფეფიკოს გაეხარდება: დასავით უყვარხარ. მიქელ! ხარაზ პეპიაც დამიპატიჟე; ახალი ლექსები აქვსო გამოღ...

— ეჰა! დაძრულა სვიმონ თავის ადგილიდან. როგორ მოხრილი მოდის! წელში გაუტეხია ცხოვრების სიმძიმეს. ბევრით კი არ არის ჩემზედ დიდი. ზედ ზურგზედ დაუცია უბედურობას.

გავუსწორდი მარკოზას. გამოვედი. მივეწიე.

* *

— შინათკენ?

— მივდივარ. განა შენც აქათა სცხოვრობ? არ შემხვედრიხარ აქამდისინ.

— ვერაზედ ვცხოვრობ. განძრახ ვიცდიდი დუქანში: მინდა შინ წამოგყვე.

— შინა? სადა მაქვს ბინა?! საღორეში ვყრივართ, არა! ნუ მოხვ...

— მაინც უნდა წამოვიდე: ვერ მოვისვენებ. მაკრინე?

— საწყალი მაკინე!.. მაინც ვერ დაგინახავს! დაბრმავდა ორივე თვალით, სრულებით ვეღარასა ჰხედავს.

— დაბრმავდა?!

— ჰო, მოტეხილს მოსტეხიანო...

— წამოვალ!

ვიცოდი ამ კაცის უბედურება. გაკოტრდა. კიდევ იბრძოდა. გატყდა. მორცხვად სთხოვდა ნაცნობებს შემწეობას. დავკარგე თვალთაგან. ეხლა მთლად დაგლახაკებულს შევხვდი, მაგრამ თუ მეტი საცოდავობის მზიდავი იყო უბედური, ის კი აღარ მეგონა.

— დაიცა ემანდ! — ვუთხარი,

როდესაც დავუსწორდით სარდაფს, ჩავირბინე. მოვითხოვე სანოვაგე, სასმელი, თეთრი პური: ფულს აღარ დავხედე.

— წადი, დათიკოჯან, თუ ღმერთი გწამს! არ მინდა ჩემ ბუნაგში მიგიყვანო: ერთხელ მეც ხომ კაცი ვიყ...

— გრცხვენოდეს, სვიმონ! მე მეუბნები მაგას?! უსათუოდ უნდა ვნახო ბეჩავი მაკრინე!

ხმა აღარ ამოიღო: ალბათ დამთანხმდა. ავათავეთ აღმართი. მარცხნივ შევუხვიეთ, ვიწრო ქუჩისაკენ. მინგრეულ-მონგრეული სახლები რომ არის, იქ შესდგა გლახაკი.

— აქ?

— აქ! მაგრამ...

— გამიძეღ!

— მაკრინემ არ იცის, რომ ვმათხოვრობ, არ წამოგცდეს!

რაღაცა ჯურღმულში ჩასავალი თავქვე იყო. ჩავდგი ფეხი. ჩავედით.

— საღამო მშვიდობისა, ქალო! ჭრაქში კიდევ არის ნავთი? ასანთი მომაწოდე ერთი, მუხლ ქვეშ გექნება.

გაჰკრა წუმწუმა. ააშუქა. აგურის იატაკი ჰქონოდა ბუნაგს, ამოცვივნულიყო. ბუხრის ნანგრევი მოჩანდა. ტახტზედ, რაღაცა ფიჩვზედ, იჯდა მოხუცი. თვალები ახილული ჰქონდა. არც ლიბრი ჰქონდა გადაკრული, ეჭვი შემეპარა სვიმონის სიტყვებში.

— ვინ შემოგყვა? ფეხის ხმა გავიგე: სუნთქვაც მესმის.

— გამოიცან!

— ვაი, რომ ველარვის ვიცნობ! ვინ ხარ, შვილო! მე ხომ ღმერთმა თვალები დამიყენა...

— მე ვარ! დათიკო ვარ, მამზერალიძე.

— აღარ გახსოვს, შე საწყალო, ნათლია დათიკო, სოლომონის შვილი?

— უი, ქა! სად მიპოვნე ქვეყნისაგან ხელაღებული, სიკვდილისაგანაც დავიწყებული?!

— სვიმონა დავინახე თარით ხელში და გამოვყევი: ძალიან მომინდა ამისი თარის ხმა და სიმღერა კიდევ მომესმინა, უწინდელი ჰანგები ლამაზ-ლამაზი.

— რა კარგია! მაინც არ ივიწყებენ სვიმონს ძველი ნაცნობები: ქორწილი, ნათლობა, ახალგაზრდების ქეიფი უმაგისოდ არ იქნება. თარით შოულობს საწყალი საზრდოს და მეც მაცხოვრებს, ესეთს საბუარსა. თუ თარს არ ეშველნა ამ უბედურობაში, დავიღუპებოდით.

— შენ კი, ჩემო მაკინე, ახალგაზრდობისას სულ იმას მაყვედრიდი, გადაჰყევი მაგ თარს თუ სიმღერას, ქეიფში საქმე დაგავიწყდაო.

— მართალი ვიყავი, ჩემო კარგო ნათლიჯან, მაგ ქეიფში არ დაიღუპა კაცი და ძვირფასი მაღაზია დაკეტა? ეს თვალდახუჭული მღეროდა ეშხზედ მოსული ბულბულივით, მტაცებელი კი მიეპარა და დაანელა...

— ალბათ ესე ეწერა შუბლზედ. გულს ნუ გაიტეხ, იქნება შენ ისევ გეშველოს. ექიმს არ ეჩვენე?

— ორჯერ-სამჯერ წამიყვანა სვიმონამ ექიმთან, მაგრამ იმან ხელი არ დასდვა ავადმყოფობას: შავი წყალიაო მოურჩენელი. შინაური წამლებიცა ვსცადე, მაგრამ ტყუილად: აღარ გამინათდა.

* *

შევაყოლეთ საუბარი: ერთი კბილის ხალხნი ვიყავით და ძველ ამბებს ვიგონებდით.

— ბარემ ვახშამი გავშალოთ, — მიჰმართა სვიმონამ მაკრინეს.

— უკაცრაოდ კი ვართ სტუმართან...

— ნურას ბოდიშობ! ყველაფერი არის ღვთის მოწყალება: დათიკომ იყიდა ყოველივე.

— დათიკომ?!

— არა უშავს რა: ძველი ნაცნობია, თანაც ნათლია.

— მოვდიოდით. მამეწონა დუქანში ეშხიანად დაწყობილი სასმელ-საჭმელი და... ვივახშმებთ-მეთქი ერთად, ძველ დროს გავიხსენებთ, ვიფიქრე.

დედაკაცმა ხმა აღარ ამოიღო. ადგა, სუფრა გაშალა, ჭურჭელი გადმოაწყო თაროდან. სვიმონა ჰშველოდა. ნელ-ნელა იძროდა ბრმა, მოზომილად; ძლიერ ფრთხილობდა. გამოთვლილი ჰქონდა თვითეული ნაბიჯი, ფეხის გადადგმა. მაყალიც გაჩაღებულიყო, ჩამოიტანა სვიმონამ: წეღანვე მივეცი ნახშირის ფული, მოიტანე-მეთქი. სითბო დადგა გაყინულ ბინაში; ნესტის სუნი კი აუშვა: უცეცხლოდ ჩაჟღენთილიყვნენ იატაკი თუ კედლები უმზეო ბუნაგში. რა უშავდა?!

— შესჩვეულხარ სიბნელეში მიდგომ-მოდგომას.

— შევეჩვიე. რას არ შეეჩვევა ადამიანი! ეზოშიც შემიძლიან ასვლა. ქუჩაშიც გავდივარ, მაგრამ სახლს ვერა ვცილდები: მეშინიან. დართვას და წინდის ქსოვას კიდევ ვახერხებ, თუ ხელში მომცეს საქმე. ვეღარასა ვშველი სვიმონას. ჰაი, თუ ჩემი თვალები მექნებოდა ეხლა!.. ბნელეთის წერა ვყოფილვარ მე საწყალი...

გავთბით. შევნაყრდით. დედაკაცი ცდილობდა, ნაზად ეჭამნა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, დამშეულიყო, დანატრებულიყო სასმელ-საჭმელსა. გუნებაზედ მოვიდნენ. მაკრინე თავისებურად გასწორდა წელში, ყელი მოიღერა, ჩამხმარ-ჩანაოჭებული ყელ-ყური. სვიმონა დახელოვნებულიყო დედაკაცის მოვლაში: მარჯვედ აწვდიდა საჭირო ჭურჭელს, საჭმელს თუ სასმელს. ისე ესმოდა დედაკაცს ყოველივე მოძრაობა, თითქო ხედავსო. ისევ ისეთი სუფთა მაკრინე, ბედშავობაშიც ლამაზად მქცევი.

— ჩემი ბიჭის უბედურებაზედ კი დამემართა ეს ავადმყოფობა: ცრემლს თუ ვეღარ გაუძლეს საწყალმა თვალებმა. ჯერ ისე შავი რამ ფარდა მელანდებოდა, ბნელის ნაგლეჯი. თანდათან ძირს ჩამოიწია წყვდიადმა და გაფართოვდა. ერთს დღეს მთლადაც ჩამომეფარა თვალებზედ. ბისტი კი წინადაც

არსადა სჩანდა. მეუბნებიან, თვალებს არც ეხლა აქვსო ლიბრი გადაკრული.

— სუფთა თვალები გაქვს, წინანდებურად მოკრიალებული.

სვიმონასაც თანდათან გული ეხსნებოდა. ცალი თვალი ჭიანურისაკენ ეჭირა. მისწვდა საკრავს, გააბა ახალი სიმი, მომართა. ააქვითინა სიმები. გრძნობათა ნაჟური გვადინა თვალთაგან. მაკრინეც აღელდა, სიამის ცრემლი გადმოადგა ჩაბნელებულ თვალებზედ.

— ახალი სიმი?

— დათიკომ მიყიდა.

— რა მადლობელი ვარ! აწამებდა საწყალ კაცს ნამზნევი სიმი გაკვანძილი. მეც სმენას მიქანჯავდა. ვერ ყიდულობდა სხვას: ამბობენ, დიდი სიძვირე ჩამოვარდაო ყველაფრისა.

— მართალია!

— წინადაც კი ყოფილა შიმშილობა: ერთი ცულის ყუა ხორბალი მინალთუნად გადიოდაო.

— გახსოვს, სვიმონ, ქეიფს რომ შევაყოლებდით ნელნელა?

— პატარა სუფრა. ტკბილი ღიღინი. თაფლივით სიტყვა.

— სველი ხელადა. მწვადის შიშხინი. მადის ამშლელ კვამლში რომ ეხვევი, სუნნელოვანში.

— გათენებისას საარი გამყივარი, პირველი სხივები ამომავალი მზისა რომ ცისკენ აზეულ ზურნის ტუჩში ჩაიმტვრევიან...

— აი თქვე ეშმაკებო! მე კი თვალჩაუხუჭავი ველოდი ჩემს ვაჟკაცს; მეშინოდა, ხიფათი რამე ხომ არ წაეკიდა-მეთქი.

— ახ, დრონო, დრონო, წარსულნო დრონო! — ჩაიღიღინა სვიმონამ და მწყობრად დააპკურა ზედ ვერცხლებრივი ბგერანი ჭიანურისა.

დამავიწყდა, სად ვიყავი, რა უბედურების სავანეში. თითონ ბედშავთაც გადაავიწყდათ ეს: სახეგაბრწყინვებული სვიმონა ასაუბრებდა თარს; მაკრინე თვალს აყოლებდა მიმომფრენ ხმებსა. იქნება კიდეც ხედავდა უხილავებს თვის გონების თვალთა არეში. შეწყდა ხმა მწყობრი: თარმა უკანასკნელად ამოიკვნესა და ჩაჩუმდა.

* *

— გმადლობთ, ნათლია ჩემო, ამ სიამისათვისაც: კვანძიანი სიმის ხმა ყურთა სმენას მიგმირავდა, კოჟივით მეჭდეოდა ზედ გულის კანზედ.

— არაფერს! მეც ვისიამოვნე. რათა ხანია, აღარ გამიგონია ეს ძველი სიმღერები. რამდენი სიმღერა იცოდი შენ, მაკრინე, და ლექსებ-ზღაპრები! კიდევ გახსოვს?

— მამა განთქმული მელექსე ჰყვანდა და ამბის მთქმელი. ზღაპრების გუდას ეძახდნენ.

— ყველაფერი დამასწავლა მამამ, სუყველაფერი მახსოვს.

— ეგ კარგია, მეხსიერება რომ შეგრჩენია.

— რაც თვალები დამევსო, ის უწინდელი ლექსები თუ ზღაპარსიტყვაობა უფრო მკაფიონი შეიქმნენ ჩემთვის. რომ ვიგონებ, თითქო ვხედავო. ვხედავ კიდეც საკვირველად აციაგებულ სიტყვებს; დარაზმულნი მოდიან მწყობრად, მოუბნობენ, მოიმღერიან. იგინი ეხლა ჩემთვის ცოცხლები არიან!

— ჰხედავ? მოძრაობენ, ცოცხლები არიან?!

— ახ! საწყალი ჩემი თვალები ალბათ შიგნით ჩაბრუნდნენ, შინისკენ მიიქცნენ და იქ ანათებენ ძველისძველ ამბებს, ქამხა-ატლასივით მძიმედ დაკეცილ ძვირფას სათქმელებს.

— გვიამბობ, ჩემო მაკრინე, ყველა იმ ამბებს?

— გეტყვით, მოგითხრობთ, თუ გიხარიანთ.

— მოვალ ხოლმე და გაამბობინებ. კარგი?

— კარგი, გენაცვა, ძალიან კარგი! განა კიდევ მოხვალ ჩვენსა , კეთილო? სხვამ ყველამ დაგვივიწყა, თითქო დაგმარხეს.

— უთუოდ გნახამთ, ჩემო კარგებო!

დავდივარ სვიმონაანთას. თვეში ერთხელ მივდივარ, ოცის შემდეგ, ჯამაგირის მიღების მერმე. საკვირველია! იმ საცოდავ ბუნაგში აყროლებული ჭრაქის ოდნავ მბჟუტავ შუქზედ კაშკაშდებიან ძველი სახეები, იძვრიან, ცოცხლდებიან; თვალწინ მეორდებიან უწინდელი ამბები.

— გარდასრულნი თუ მოდიან იქ თქვენ სანახავად, დროს სატარებლად?

— ნამდვილ მოდიან, შავეთიდან გვევლინებიან. რას არ ამბობენ! უფრო კი სევდიანს მოგვითხრობენ, გვიმღერიან, გვეუბნებიან. ხან მთლად უჩუმრადა სხედან იგი აჩრდილნი წარსულისა. ჩვენ კი მაინც ვხედავთ მათ, გვესმის მათი სიტყვა, მეტადრე მაკრინეს: ის ჩვენზე კარგად ჰხედავს იმათ, ჩვენზედ მახვილად ესმის მათი უხმო ხმა. როცა ამოვდივარ იმ ჯურღმულიდან, მგონია, ბურანში ვიყავი და გამოვფხიზლდი. მანამ მეორედ მათთან მისვლის დრო მოვა, ეჭვიც კი მეპარება მათ არსებობაში.

1920 წ.

სადედოფლო სარტყელი

— ჰაი, შე უშნოვ! როგორ უმიზნებ?! მრთელი ნაბიჯით ასცდა ჯილა!

— კარგი, გოგი, თუ ძმა ხარ! ახლა შენ დამნავსე. იმეც წაგებაში ვარ.

— მაჩვენე კოჭი!.. მარცხენა ჩაგიტყვიანებია. მარჯვენა უნდა, რომ ცერი დაენდოს თოხანს. სალოკი ჰხვდება ეხლა გლუვ მხარეს, სხლტება სროლის დროს...

— კარგი ერთი! ძალიან მასწავლებელი გამოხვედ... დასხი შენც! გინდა?

— დავსხამ! არ კი მიშაროთ. ძალიან მშიან: მეხუთე გაკვეთილიდან მოვდივარ. მარტო ერთ ხელს ვითამაშებ: წავაგებ — ალალი იყოს: მოვიგებ — წავალ.

— ხუთ-ხუთია!

ჩაამწკრივეს კაკლები. სულ ტრუზები იყო. დიდი წრის შემოვლება დასჭირდათ: ბევრი იყო მოთამაშე ტოლ-სწორი. ყარეს კოჭი, ვის როდის ერგებოდა სროლა. ამოიღო გოგიამ ჯილა. ვერძის კოჭი სუფთად ჩატყვიანებული, მცირედ ჭუკწალესილი.

— ასცდა!

— ვაჰ, მაღლა მომივიდა.

— ასცდა!

— რომ უცურებ, არ იცი, ვერ მოარტყავ; მტვრიან მიწაზედ მოცურება?

— კენწლა!

— ბეწვის ტოლაც და წრეს გააცილებდა თეთრ კაკალს: ძლიერად მიბზრიალდა ჯილა.

— ერიჰა! კოჭურით?! ვინ მოგცემს ნებას?!

— არა მაქვს ჯილა!

— აჰა ჩემი!

— აფუ მე! ფეხი წამიცდა.
— არა, ეგენი არ იყოს... ჩამოდეგ!
— ესროლოს: არა უშავს რა.
— ასცდა!
— ჩემი ჯერია! — წამოიძახა გოგიამ და მოიხსნა აბგა წიგნებით სავსე, გადასცა ამხანაგს.
— ჭახ!
— ყოჩაღ, ბიჭო! გოჯზედ არ მოუცურდა, ისე ეცა.
— ჭახ!
— კიდევ?!
— ჭახ!
— გეყოფა!
— მაცა!
— სულ გაიტანს კაკლებს!

მთლად არა, უმრავლესობა კი გააცილა წრეს. ჩაიყარა ჯიბეში. გადიგდო მკლავებზედ აბგა. იქვე გაკვნიტა ერთი, პირს იკრა ბროლივით ლებანი. დაეშვა ხტომით შინათკენ.

* *

მიხტოდა ბავშვი. პირი უღიმოდა. კარგი დღე იყო მისთვის: სკოლაში გაუმარჯვდა, ორ საგანში ხუთიანები მიიღო. სხვებს რომ შიშით თუ შხეპლით ჩააჭდიეს სწავლის საჭიროება და მუხლის თავებით შეაგრძნობინეს მისი აუცილებლობა, იმას ჭოჭორზედ გადუსვეს ხელი. იმისთვისაც მიუხაროდა შინ, კარგ ამბავს მიუტანდა თავის ტოლ-სწორთ. ძალიან უყვარდათ იმათ გოგია. ჩვეულნიც იყვნენ კარგი ამბების სმენას მალხაზი ბალღისაგან ნიჭიერისა. მიხტოდა.

— ვინც პირველად შემხვდება, კაკალს ვაჭმევ მონაგებს, — ოცნებობდა.

შიმშილიც კი მიაჩქარებდა: ჯიბით წამოღებული ყუა დილითვე გაათავა. მეტადრე გოგოები ევლებოდნენ თავს. ლამაზი ბიჭი იყო, მგრძნობიარე, მხიარული, თანაც უწყინარ-უზაკველი, მთლად მისანდობი. ერიდებოდნენ სხვებს, ავზნიანებს: აღარც ისე პატარები იყვნენ, ქალ-ვაჟთა ზღაპარი სამარადისო მთლად უცნობი ყოფილიყო მათთვის, ბუნდოვანი წარმოდგენა ამ ლამაზ არაკზედ ჰქონდათ მათ. ეს უფრო

აახლოვებდა გოგოებს თმაგრუზა გოგიასთან, ბრძნულად მოწყობილი ოჯახის შვილი იყო ზნეფაქიზისა და უბნის ქალებს ისე უყურებდა, როგორც სათუთებს. გასცდა დიდ ქუჩას, ჩაუხვია ქუჩაბანდისკენ... შემოეგება ხარაზიანთ ლიზა.

— ძლივს არ გამოჩნდი!.. რამდენი ხანია, გიცდი.

— ეხლა გაგვითავდა გაკვეთილები.

— სხვა ბალღებმა რათა ხანია გაიარეს.

— ჰო, ერთი ხელი წრე ვითამაშე ზევით. რა კაკლებია! აი, ნახე, — უთხრა ბალღმა და ამოალაგა ჯიბიდან.

— ნუშოსაც მიეც, ანიკოსაც. დაურიგე, ვისაც გაჰხვდეს.

— შენ?

— გზადაგზა ვჭამდი. კარგ ფეხზე ავდექ დღეს: ხუთიანებიც მივიღე, კაკლებიც მოვიგე.

— კარგი ხარ და იმისთვის! მეც რამ უნდა გითხრა. გიცდიდი, რომ პირველად მე მეთქვა.

— მამა ჩამოვიდა? რამდენ ხილს ჩამოგვიტანდა!

— არა! დაიცა: ბატონიანთ ქორწილი აქვსთ ამაღამ, ციაგასა სწერენ ჯვარს.

— ვუყუროთ! საყდარშიც გავყვეთ. მდიდრულად იქნება მორთულ-მოკაზმული!

— დაიცა, ბიჭო! აღარ ათქმევინებ?! — შენიშნა მაგნომ, რომელიც მიეტოლა მათ.

— ის უნდა მეთქვა, ქორწილში შენ დაგიძახებენ.

— სარდაფის მართამა თქვა, გოგიას დაუძახებენო, — ჩაურთო ნუშომ.

—— თურმე იმისთვის უნდა დაგიძახონ, რომ სარტყელი შემოარტყა პატარძალს, — ჩამოართვა სიტყვა ბაბუცამ.

— მართალია?! მაგრამ საიმათო ტანისამოსი რომ არა მაქვს. სულ თავადიშვილები იქნებიან, დიდკაცები... ეჰ, არ წავალ!

— წადი, შენ გენაცვალე!

— უნდა წახვიდე! დაათვალიერე ყველაფერი და გვიამბე. ძალიან მდიდრები არიან, სულ ოქროქსოვილში და თვალმარგალიტში ჩასვამენ პატარძალს, — უბრძანა ეონამ.

* *

მჭირვალიანი... ციაგა... წადი!.. ადვილ სათქმელი იყო ყველა ეს, ძნელი ასასრულებელი ვიღაც ქუჩის ბიჭისათვის, თუნდაც სკოლაში გამარჯვებულისა. ორსართულიანი დიდი სასახლე მტკვარზედ გადაკიდებული აივნებით; ზევით მხარეს მშვენიერი წალკოტი ალვის ხეებით; ლითონის ლომები ალაყაფის დარაჯებად; მარმარილოს კიბეები წითელ მაუდით დაფენილი; სამადლიანი ფანჯრები მთლიანი ბროლისა, მზის სხივებზედ რომ თვალსა სჭრიდნენ ლაპლაპით; ბატონი გრიგოლ გრძელტარიან ყალიონით, უშველებელი ნაგაზი რომ ახლავს განუშორებლივ. რა მგრგვინავი ხმა აქვს, მბრძანებელი! ახლა იმოდენა დიდკაცობა...

— ძალიან მეძნელება: ციაგას სარტყელიო, უმოახლოდ რომ არ გაივლის, იმ მზეთუნახავის. მისი მედიდური ღიმილი დამცინავი... არა!

— წადი, თავს შემოგევლე! შენი ბაბილო არა ვარ?! აბა თვალებში ჩამომხედე და ისე მითხარ უარი.

— შენს ანიკოსაც უარს ეუბნები? აკი სულ იმას მეტყოდი, შენის გულისათვის ქვესკნელის ცეცხლს გავაპობ და დევისაგან დაგიხსნიო, პირყვითელ დევისაგან, თვალცეცხლიანისა...

მოდი და ნუ წახვალ. ნუ გაიტეხინებ, შეკრთომა დაიმჩნიე და შიში! ერთს ხანს გაჩუმდა გოგია, კიდევ ყოყმობდა. მერმე წელში გაიმართა, თავი მოიმამაცურა, ქოჩორზედ ხელი გადისვა. მუხლი მაინც უთრთოდა: ძნელ საქმეს უბრძანებდნენ სასტიკნი მაცთური ხვეწნით, ლამაზ ალერსით.

— მიდიხარ? აი ყოჩაღ! ისევ ჩვენი გოგია ხარ.

— იცი, გენაცვა, ისადილე, გაკვეთილებიც დაამზადე. მოვალთ, რომ გნახოთ, როგორ იქნები ჩაცმულ-დახურული.

— ხალათი გახამებულ პერანგზედ ჩაიცვი: ხელადვე გავალებ წყალში და გაგიხამებ.

— ღილები ხომ არ აკლია ხალათს? გავსინჯავ, დაგიკერ-დაგიმაგრებ, კიდეც დაგიუთოებ.

— ჩემთვის უნდა დაგეკალებინათ ეგ საქმე, რომ სულ ხტომით წავსულიყავი, მაგდენი ხვეწნა კი არ დამჭირდებოდა, — სთქვა ვალიკომ,

რომელიც დიდი ამხანაგი იყო გოგიასი, მაგრამ მაინც შურით უყურებდა ეხლა მის გამარჯვებას.

— შენ რად დაგიძახებდნენ? გოგიასთან როგორ მოხვალ შენ: ამას ბედნიერი ხელი აქვს.

— ამის ხელი ბევრჯელა სცადეს და ყველამ იცის, კარგი ხელი აქვს. შენც კარგად იცი ეს და ნეტა ტყუილ-უბრალოდ რაღას ლაპარაკობ?! — შერისხა იგი ბაბილომ და ზურგი შეაქცია.

* *

— რა პატარძლის მომრთავ-მომკაზმი იქნებოდა ვიღაცა ბიჭი და მერე დიდებულ ოჯახში, ბატონიშვილის სწორის სასახლეში? არ მესმის! საკვირველ რასმე ამბობ.

— არც საკვირველს ვამბობ, არც დაუჯერებელს. აღარ თუ გახსოვს ჩვენი ქართული ჩვეულება. მისმინე! ქორწილს ბევრი ჩვეულება ასდევს — ზოგი გამოცდილების შედეგი, სხვა — ცრუმორწმუნოებისაგან წარმოშობილი; ზოგი სიმბოლიური, შორიდან მანიშნებელი. ერთი ამ ჩვეულებათაგანია: პატარძალს სარტყელს შემოაკრავს გამთავნებული ოჯახის პირმშო ვაჟი, ბალღმრავალ კერისა. გოგია უფროსი ვაჟი იყო ამგვარ ოჯახისა. მისი მშობლები იღწვიდენ ფრიად, გულმოდგინედ ასრულებდნენ ეკლესიის ბრძანებას:

„განმრავლდი, ვითარცა იაკობ!“

მოგეხსენება, თორმეტი მარტო ვაჟი ჰყვანდა ამ მამათმთავარს, ქალებს აღარა ვთვლი. გოგიას მამას მიზნად დაესახა, ებაძნა იაკობისათვის და მიმზგავსებოდა მას. დიდ იმედს იძლეოდნენ ამ ასპარეზზედ: ღვიოდნენ წვრილფეხობის მშობელნი. ეს იყო მიზეზი, რომ გოგიას სახელი დაუვარდა, ბედნიერი ოჯახისა არისო.

თითონ ბალღიც მიმზიდველი იყო: ნაქვთად კარგი, ეშხიანი; ცეცხლის მფრქვეველი თვალები, ჰაზრიანი; მოსიყვარულე გული ალერსიანი; სწავლაში მახვილი. რჩეული იყო. უბნის უბრალო ხალხი ალერსიანად უყურებდა.

სოფლიდან იყო. ხელმოკლე სახლში სცხოვრობდა, ნათესავის კერაზედ. მისი იქ ყოფნა დაბეჩავებულ თვისისათვის რომ ხელსაყრელი იყო, ბალღისათვისაც კარგი გამოდგა: უც-

ხოობას არა გრძნობდა მოსიყვარულე დიასახლისის ხელში. სუფთა ქცევა-ზნეობისა იყო ბალღი: ახალი იაკობ და რახილი თვალის გუგასავით უფრთხილდებოდნენ თავის ლამაზ კერას, იქ ვერ გაიჭაჭანებდა ზნეობის შემლახავი სიტყვა თუ ქცევა; იმათ სახლში დაევანნა უმწიკვლო ნათელს მხიარულს და პატარასაც იგი ნათელი ჩაჰქარგოდა ბუნებაში. მიტომ უმზერდნენ მას მცნობნი ლამაზი ღიმილით.

ყისმათიანიც იყო: უბანში რამდენიმე პატარძლისათვის შემოერტყა სადედოფლო სარტყელი და ყველას საბედნიეროდ მოჰხდენოდა მისი ხელი: უკვე ეჭირათ მათ ხელში ოქროს ქოჩრიანი ვაჟები. სხვებსაც მოელოდნენ.

რა ვუყოთ, რომ მჭვირვალიანი დიდი დიდკაცები იყვნენ?! მაინც ქართველები იყვნენ, ქართულ ჩვეულებათა მიმდევარნი, თუნდაც საწყალ ხალხში ფეხმოკიდებულ ჩვეულებათა.

* *

გოგიას სახელი გაეგოთ მჭვირვალიანთ მანდილოსნებს. მოსარეცხე, პურის მცხობელი, მეუმარილე, პირისმკეთებელი სულ იმ უბნიდანა ჰყვანდათ და ქუჩის ამბებს რომ უამბობდნენ, ბალღსაც ახსენებდნენ, ქებით იტყოდნენ მის სახელს. ეხლაც პირისმკეთებელმა ურჩია დიდ ქალბატონს, გოგიასთვის ებრძანებინა სარტყლის შემორტყმა.

— ბედნიერი ხელი აქვს იმ ბავშვს! ნაცადია: იმან შემოარტყა სარტყელი მკერვალიანთ კაკატოს, წოწაქაანთ ანოს, კუდაანთ ბაბალეს. ყველანი ბედნიერი დედები შეიქმნენ. ხომ ჰნატრობ, ქალბატონო, შენმა ციაგამ შვილისშვილს შეგასწროს, ვაჟის დედა შეიქმნას ბედნიერი.

— ჩემი ოცნებაა ეგ!

— მაშ უბრძანე, ის ბალღი მოიყვანონ.

— აქვს რამე სუფთა ტანისამოსი, რომ ამოდენა სტუმრებში...

— რა ბრძანებაა?! არც ისეთი ღარიბია. სუფთა ხალათი, შალვარი, წულები. მოგეწონებათ, ისეთი გვრიტივით ვაჟია, — ეუბნებოდა დედაკაცი

და თან პირს უკეთებდა მზეთუნახავ ციაგს. შიგადაშიგ სი-

ტყვის შეწყვეტა უხდებოდა დედაკაცს: მუშაობის დროს ძაფის ერთი წვერი პირში ეჭირა.

— როგორ თუ პირს უკეთებდა?!

— არც ეგ იცი?! ეჰ, გასაკვირველი არა არის: მთლად დაივიწყეს პირის გამოქნა. მისმინე! მაშინ ქალის სახის მორთულობად არ ითვლებოდა ბალანი. გამჩენს ქალი პირტიტველი გაუწესებია, ვაჟი — პირბანჯგვლიანი. სადაც ბუნება გარეწრობას იჩენდა და თავის კანონს თვითონვე არ ასრულებდა, იქ ხელოვნება ასწორებდა მის შეცდომას. მტკიცედ დაგრეხილი ძაფი დახვეწილი ძირიანად აგდებდა ბეწვის ნასახს ლამაზის სახეზედ. რა დახელოვნებული იყო ოსტატი! მარდად, სუფთად, უწიწკნელად. წარბებსაც აუვლიდ-ჩაუვლიდა გადაგრეხილი ძაფით, რომ რაიმ ბეწვს განზედ არ გაედგა ფესვი და გიშრის მშვილდთა სუფთა მოხაზულობა არ ეუშნოვებინა. ეხლა რა! ვაჟნი მთელ სახეს იფხეკავენ საქალამნე ტყავივით, ქალნი პირის ბუსუსს თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ამრავლებენ...

— ცდილობენ, აქაც ქალ-ვაჟთა თანასწორობა დაამყარონ.

— რა ქმნან: განათლებული ევროპა ეგრე იფხიკება.

— ხელსაყრელიც არის: შუახნის ვაჟკაცი ჯერ ისევ ჭაბუკად მოსჩანს.

— ჰოდა პირმკეთებელს გაეკვალნა გზა გოგიასათვის მჭვირვალიანთ სასახლეში.

* *

გაჩირაღდნებული სავანე დიდებულთა. ჭაღები, ვერცხლის შანდლები, წვივმაღალი ლამპრები, მრთელი იატაკი ორხოებით მოფარდაგული. კედლები დიდრონ სურათებით მოფენილი. ხაევრდის სავარძლები, სელები. შირმაიით მოჭედილი სკამები. ჯურა-ჯურა მაგიდა თაიგულებით დატვირთული. ფაიფურის მაშრაფები ყვავილებით. ვერცხლის სურები, თასები, ჩოლრათოები... ზეკაცთა სადგომი სამოთხისებური. რა შრიალა ტანთსაცმელი! ქალ-რძალნი პირად-პირადად შემკულნი. ჯინჯილებიანი ვაჟკაცნი მხრებოქროიანნი. მათ შორის რიხიანი ბატონი ბაგრატ ყურთმაჯებგადაყრილი. განა ერთი ოთახი, მთელი ჯგუფი ნაირნაირად მორთულ დარბაზებისა, გალიაკებისა. სუნ-

ნელება სუნნად — სუნნელი. საიდანღაც საკრავთ ჟღერა, ტკბილი ღიღინი.

— აქათ, ბალღო, აქ! მომყევი. როგორ აცაბაცა მიგიო-ბის თვალები. აი თვითონ პატარძალიც, მიდი!

მიდიო! დააბნია ბავშვი უნახავმა სიმდიდრემ მრავალგვარ-მა, ამოდენა ბატონებისა თუ ქალბატონების ყრილობამ. მი-დიო! კინაღამ მთლად შეკრთა და შეშინდა.

— რა პირითღა ვეჩვენო ჩემებს?! — გაურბინა ელვასავით ფიქრმა

და აეხატა გონებაში სანდომი სურათები თვის მეგობრების, ქუჩაში რომ იყვნენ ეხლა შეჯგუფებულნი და შიშით თუ ცნო-ბისმოყვარეობით ელოდნენ თავიანთ გოგის. იცოდნენ ლამა-ზებმა, რა ძნელი საქმისათვის შეაგულიანეს ის.

— იცი, გოგოჯან, ისე მაკანკალებს, თითქო იანვარიაო. გო-გის მაგივრად მე მეშინიან.

— მე ვერ შევბედავდი, ფეხსაც ვერ შევსდგავდი სასახლე-ში.

— მეტადრე ეხლა, როცა ამოდენა დიდკაცობა არის შეყ-რილი.

— არ კი შეშინდეს ბიჭი, ხელი არ აუკანკალდეს, ან რას-მე არ დაეჯახოს.

— მეფიქრება, არაფერზედ გაურისხდეს დიდი ბატონი: ჯავრიანიაო, ბოროტი.

ტყუილად შიშობდნენ კარგები: მათმა სახემ გაამხნევა გო-გი. ერთს წუთს შესდგა პატარძლის წინ შემკრთალ-აღელვე-ბული, მაგრამ მაშინვე შეიბერტყა, ქოჩორზედ ხელი გადის-ვა და წარსდგა. დაჰკრა თვალი ციაგს. სხარტი ქალი, ტანწვრი-ლი, მაღალ-მაღალი. მშვილდივით წარბები. შავი თვალები დიდრონ-დიდრონი. მომსხო ტუჩები. კეხიანი ცხვირი.

— მაინც ნუშო გჯობია, ლიზაც, — გაიფიქრა პატარამ.

სირმანაკერ ფარჩაში იჯდა ქალი. ელავდა თვალ-მარგალი-ტით მოოჭვილი. კაბის წინკალთა შეტაცებით ედგა, პატარა ფეხი მოსჩანდა მაღალქუსლიან თეთრ მაშიაში. ქალმა ალერსია-ნად დახედა. ოდნავ მოდიმარე კეთილმა თვალმა გაამხნევა ბი-ჭი.

— სარტყელი! — ბრძანა დიასახლისმა.

მოიღეს სარტყელი და რა სარტყელი! უბრალო სჩანდა ერ-

თის შეხედვით იგი ფასდაუდები: უმანკო თეთრი ქსოვილი მჭიდროდ ნაჭედი, მძიმე; სარტყლის ტოტებზედ ამოქარგული გაშლილი რტონი ყვავილოვანი. ფოთლებიც, ყვავილებიც შეფარდებული მარგალიტის მარცვლებით გამოყვანილნი, დიდის გემოვნებით ნახელოვნარნი.

თვალი მოსტაცა პატარას სარტყელმა, სხვა ყველა სანახავი დაჩრდილა იმან. ეს იქნებ იმისთვისაც, რომ მხოლოდ ამ სარტყელთანა ჰქონდა მას საქმე, მარტო მან შეადგმევინა ფეხი დიდებულ სასახლეში.

— ბედნიერი ხელი გქონია, ბალღო, და აბა შემოარტყი ეს სარტყელი ჩემს ქალს, კეთილი უსურვე!

გაძხნევდა ვაჟი. თამამად ჩამოართვა სარტყელი, წარსდგა ნაბიჯი, შემოავლო მკლავები წელზედ. ძალიან ახლო მოუხდა მისვლა, სახე შეახო მკერდს: პატარა იყო, შორიდან ვერ შემოაწვდინა ხელები.

— სიხარულიმც შემოგერტყმება ახალ ცხოვრებაში! — წარსთქვა დასწავლილი სიტყვა, არაერთხელ მისგან განმეორებული.

— აი, გაიზარდე!

— მართალი სთქვეს, ჭკვიანი ბალღიაო.

— დაბალ წოდებაშიც გამოდის შიგადაშიგ შესამჩნევი ყმაწვილი.

— უბნის საყვარელი ბავშვიაო.

— ტოლ-სწორთ ხომ უყვართ, დიდრონებსაც შვილივით მიაჩნიათო.

— აი, პატარავ, ეს საკუთრივ შენ! ეს კი შენც გეყოფა, შენ ამხანაგებსაც, — უთხრა ქალბატონმა

და ერთს ხელში ოქრო ჩაუდვა, მეორე ხელში ქაღალდის პარკი მისცა პირამდის შაქარლამით სავსე.

— ესეც ჩემი მხრივ! — უთხრა სხვამ

და ჯიბე-უბე აუვსო ლანგრებიდან აღებული ხილეულობით.

— ბიჭო, პატარავ, აბა ერთი შემომხედე! — უბრძანა დიდმა ბატონმა

და ნიკაპი აუწია ორი თითით.

— კარგი სჩანხარ! ესეც ჩემ მაგივრად, — უთხრა

და ოქრო ჩაუდვა ხელში.

აღარ ახსოვდა, როგორ გამოიარა ოთახები. ჩამოაცილეს

კიბეზე. გამოხტა ქუჩაში გაჭარხლებული. ჰკითხავდნენ. ეტყოდა. არ აცლიდნენ. ერთი საგნიდან მეორეზედ ხტებოდა, ერთი ამბიდან მეორეზედ ფრინავდა. რა უშავდა! ყველა საგანი კარგი იყო, სურათთა ყველა ნატეხი თვალწარმტაცი. დაურიგა ნაშოვარი. დიდრონებსაც გულმა ვეღარ გაუძლოთ: მივიდნენ, ჰკითხავდნენ, აქებდნენ. მათაც ერგოთ სატკბანურები.

* *

ახ, რა კარგი დღე იყო ის დღე გოგიასთვის, ლამაზი, ბედნიერი! განა ბევრი არის ადამიანის ცხოვრებაში ამისთანა შემკული ჟამი. ეწვალებ-ეწამება იგი მრთელ თავის ცხოვრებაში, საკუთარი მარჯვენით ჰკაფავს გზას ეკლიან სავალზედ თავის ყოფისა, უდიერ შრომით აპობს მის წინ გადახირულ საბრკმელთა სიმრავლეს. რამდენჯერ დაიკვნესებს იგი ტვირთმძიმე რკინის უღელ ქვეშ, დაჰგმენს უჩუმრად; რამდენჯერ დაიმუხლისთავებს მიწამდინ დაზნექილი. ზევე აღსდგება! იბრძვის უტეხი! მაინც ისევ სისხლზედ ზელილი პური უდევს ხალთაგუდაში, ცალიერი, უსატანო; მაინც სანატრელი რჩება მისთვის რძეზედ მოზელილი პური, საოცნებო.

და გამოჰყურავს იგი ცხოვრება მის არსებასა, ჩაუნელებს და ჩაუქრობს მის გონების მანათობელ ლამპარს, რომლის შუქს მისდევდა გულუბრყვილო, რომლის მიწთომას ოცნებობდა გამოუცდელი; წამოუცალიერებს გულს, გრძნობათა შესაკრებელს, მისთვის თურმე არდაწერილ ლამაზ გრძნობათა შესაკრებელს; უხეშად გადაზნექს მის ნებისყოფას, მთლადაც გადაჰფშვნეტს მის სურვილთა თუ მისწრაფებათა მისაყრდნობელ სვეტს და უძლურ ჰყოფს კაცს მსახურებად სინათლისა, საფუძვლით შეარყევს ბროლის კოშკებს მის სულიერ აღმაფრენათა და მათ ნალეწ-ნამსხვრევებით დაჰფარავს მის ჭრელფრთიან ოცნებებს სანეტაროს.

და ცხოვრების იგი სიმძაფრე არ იკმარებს მისი სულის გაპარტახებას, იავარქმნას მის ნათელ ჰაზრთა, გზნებულ გრძნობათა, კეთილ მისწრაფებათა. სევდის მმგვრელ სახედ გადაეფინება ნივთიერ მის არსებას: გასწურავს მას, ღალას დაუნთქრევს, ჩვილ ტანს გაუხმობს, დააჭკნობს მის ღაწვზედ გაშლილ ვარდს მაისისას; ყორნის ფერ თმას ცივად დაუთრთვილ-დაუ-

თოვლავს, ჩაუნელებს თვალთა სინათლეს, ჩაუნავლებს მუნ გზნებულ ცეცხლს, საამოდ დამწველს; მოჰხრის სარო ტანს, დაჰლარავს მის შუბლს ოდესმე მტკიცეს და...

და გადასტყორცნის კასკას-ხარხარით თვით უფსკრულში საზარელის არარაობის... ესე ახლა სხვას, ესე სიმრავლეს უთვლელ-უამრავს...

და შეგვხვდება მოძრავ ჩონჩხად იგი სამიწედ გამზადებული, ოდესმე სიცოცხლით სავსე, კეთილ ძალთა სანავედ წარმოშობილი. ის არის, მაინც ის არ არის. მოდის, გიღიმის, შენც უღიმი; გეტყვის რასამე, შენც მიუგებ. მაინც იცი, იგი არ არის: ლანდია მისი, უშნოდ ნაღრეჯი.

და გისევდიანებს საცოდავ გულს, ნათელ დილას ჩამოგიბნელებს.

ნახე წალკოტში ზამთრის სუსხით დანაზრობი ყვავილთა ჯგუფი. აგტკივა გული: აღარ დამრჩალა არც ნასახი მათ სიტურფისა. აგერ გამხმარა, მტვრად ქცეულა ტურფა, ამაყი; აჰა ჩამპალა ეს სუნნელი ბილილა ნაზი.

ამაო ამაოებათა! მაგრამ...

* *

— გამარჯვება, დათიკოჯან!

— გაგიმარჯოს, ჩემო გოგი!

— ხომ თითქმის ყოველდღე ვხვდებით ამ გზაზედ ერთმანეთს, მაინც ეხლა ვინატრე შენი ნახვა და ამისრულდა.

— ბედნიერი წუთი! ნეტა სხვა რამე გენატრა კარგი, თუნდ თეთრი გუდა გუდაზედა. მაინც?

შევდექი. აღელვებული მეჩვენა გოგია: თვალები უელავდა, წყნარად ვეღარ იდგა, სახე უთამაშებდა. გავკვირდი.

მე და გოგი ერთი კბილისანი ვართ, ერთ უბანში გაზრდილები. ორი სასწავლებელი გაგვითავებია ერთად. მეგობრები ვართ. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს; ის რომ აღმა მოდის სამსახურში, მე დაღმა მივდივარ სამსახურშივე. გავუღიმებთ ერთმანეთს, სიტყვას ვესვრით ერთურთს. გვიამება: განა ბევრიღა შეგვრჩენია ჩვენი ხნის მახლობელი. ჩანაოჭებულ ყვრიმალზედ თუ ლოყებზედ მიწის ფერი ასდევს წალურჯო. ქეჩოზედღა შერჩენია თმა. ქალა მოლიპული. წელში მოხრილა მაგრად

ნაგები. სადღაა მისი მოხდენილი რონინი?! მძიმედღა მიაბიჯებს, რყევით. ჩამქრალი თვალები. ნაკეც შუბლზედ ზრუნვის ხაზები.

რა ოცნებებს ევლებოდა თავს! ნატვრათა ყვავილებს ეწვდებოდა, ჰსურდა ლამაზ თაიგულის შეკონვა, რომ ესროლნა ტურფა სამშობლოსთვის. დაბებკილი ჩანთა იღლიაში, გადასაწერ ქაღალდებით სავსე... ნუთუ ესღა დარჩა ცეცხლის ბირთვისავით მცხინვარე ჭაბუკისაგან?!

ესეღა დაგვრჩა სანაცვლოდ იმ იმედისა დიდისა.

— გცალიან? შეგიძლიან ნახევარ საათით შეიფერხო? — შემომძახა.

— არა მცალიან. შემიძლიან. მითხარ!

— წამო, გიჩვენო რამე. დეე დაგვიანდეს.

— იარე!

* *

დავბრუნდით. ჩავიარეთ ქუჩა. შესახვევში დიდი მაღაზია იყო მდიდარი. ყველანაირი ნივთები ელაგა ფართო ფანჯრებში, ძველისძველი სიმდიდრე საოჯახო: მოოჭვილი ხმალი, ვერცხლის ჩარჩოიანი სარკე. ვინ იცის, რამდენი სახე იყო მის მინაზედ აღბეჭდილი?! შეჭედილი დამბაჩა ტალიანი, შირმაიით მორთული სავარძელი, ბაჯაღლოს ფარღული, მუზარადი რაღაცა წარწერით, ხმლის პირი რომ ეტყობოდა შუბლზედ, ისართან... ვინ მოსთვლის?!

— იცი შენ, რა ღვარმაც გამოიტანა ეს მძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან და დუქანში გამორიყა? ისეთი ძალა მოიპოვა მჭადმა, ველარაფერი გაუმაგრდა მას. ცხრაკლიტული რკინის კარებები ჩალეწა მისმა ძლიერებამ. წამოაცალიერა ურყეველი საუნჯეები.

რა უშავს! ახლად დავიბადენით ისტორიულად და ავი არ უნდა გვიკვირდეს დუშმანისაგან აკლებულ-მიქელილებს, სიკვდილის პირად მიტანილთ. წამოვჯობინდებით, მუხლს გავიმაგრებთ, დავმშვენდებით რიხით, ძალით, შემმართებლობით და უკეთეს საგანძურთ შევუკრებთ ერთს ნივთიერს თუ სულიერს. ამირანიც ხომ თვალდაზიანებული გამოვიდა ვეშაპის გვამიდან, წვერ-ულვაშ გაცვივნული. ტყუილად ნაღვლობდა

კარგი ქართველი, ამაოდ წყრებოდა: მტრისავე ფილტვის ნაკვეთით მოირჩინა თვალი; იგრი ბატონის ჯადოწყალი რომ გადაივლო, ჯალჯი თმა ლომის ფაფარივით გადაეფინა; ყორნის ფრთის ფერმა წვერ-ულვაშმა რიხი უორკეცა შავ ღრუბლის მზგავს შესაზარ ვაჟკაცს.

— დახედე, დაათვალიერე!

— ამის გულისათვის როგორ დამაბრუნე და მომაცდინე?! რამდენჯერ დამითვალიერებია...

— გასინჯე! ძლიერ ძვირფას რასმე შენიშნავ.

ავათვალიერ-ჩავათვალიერე.

— ყველაფერი ძვირფასია, რომელს დავადოთ ხელი?!

— ეჰ! ერთი შეხედე ამ სარტყელს...

— ძალიან ლამაზია, მშვენიერი. ეშხით არის ნაკერი. მართლადა რა ძვირფასია!

— ჩემი ნაცნობი განძია, ბალღობიდან ნანახი. ხელში მჭერია.

გაკვირვებით შევხედე: ვინ გოგია, სად ესეთი ნივთი ფასდაუდები.

— არა გჯერა? გიამბობ!

და მიამბო ყველაფერი მჭვირვალიანთზედ, ციაგზედ, სარტყლის შემორტყმაზედ.

— ფული მჭონდეს, უთუოდ შევიძენდი.

— კარგი მასალა გკლებია! თანხა მჭონდეს, იცი, რას ვიყიდდი? — ვუთხარი მე

და სულ თითებზედ ჩამოუთვალე, რას მოვივაჭრებდი. ძალიან მომეწონა, სულ ღიმი მოსდიოდა. გონება მაინც იმ სარტყლისაკენა ჰქონდა, იმ სადედოფლო სამკაულისაკენ. ამაოდ: ვინ შესწვდებოდა?!

გულში ჩამეჭრა, მენახა სარტყლის გამყიდავი. ვიკითხე. მითხრეს ბინა. უსათუოდ ვნახავ.

1920 წ.

მოგვთა კალო

სადღესასწაულო ამბავი

— თუ ღმერთი გწამს, ჩემო ფარსმან, უარი არ მითხრა!

— რა ამბავია?

— დიდ შაბათს სამშვილდეში უნდა ვიყვნეთ! ხომ თავისუფალი ხარ ეხლა?

— სამშვილდეში?! მერე გზა, ხარჯი?.. რამ მოგაგონა?!

— აუცილებელია! ცხენები მზად არის: ასფაგურს მივყევართ, ბინაც მასთან გვექნება.

— ასფაგურ კეთილაურს?

— ძალიან მოწადინებულია: არ მოგვეშვება.

— დიდება ჩემს სალოცავს! რად ვუნდივართ?

— იცნობ განდეგილ ნილოსს, გინახავს?

— რამდენჯერმე! მინახავს, ვიცნობ. მღვიმეში სცხოვრობს სამშვილდის დასწვრივ, ქციის პირს, ჭივჭავის ხევის შესართავთან.

— მოღვაწე განსწავლილი, ღვთივ ამაღლებული...

— დიდად პატივსაცემი. მიკვირს, როგორ სძლებს მთლად განდეგილი!..

— ჰოდა ნილოსი აღდგომა ღამეს წაიყვანს ხალხს მოგვთა კალოზედ. მთელი სოფლები თურმე ემზადებიან წასასვლელად.

— რა უნდა იქ ხალხს?! რად მიუძღვისო?

— სასწაული უნდა მოხდეს: ჯვარი უნდა აღსდგესო ქრისტესი.

— ქვის ჯვარი დიდი?

— ქვის დიდი ჯვარი! მისნობის ხმა აქვს მას დამარხული. წინასწარმეტყველად ჰხადის ხალხი. ხომ გინახავს მოგვთა კალოი?

— ვყოფილვარ, დამითვალიერებია. ღირს მისი ნახვა განმეორებით. ქციის მარცხნივ გორაკებს შუა ამართული მომაღლო მთა. ტყით დაფენილი კალთები. თხემი უტყეო, გავაკებული, გამზრახ წაკვეთილი. ზედ ვრცელი მოედანი, უზარმაზარი გელაზებით ირგვლივ მორტყმული. ლოდნი მცხოვანნი, ხავსიანნი, ჩაფიქრებულნი. ზღუდე ერთს ადგილას გახსნილი: აქედან სჩქეფს ცელქი ნაკადი. რა გადასახედია! ძირს ქცია მიიგრაგნება ცისფერ ბაფთასავით; შორს მტკვრის ველი თვალუწვდენელი, მსუბუქი ნისლით შემობურვილი; მარჯვნივ ჯავახეთის მთები ლურჯ მწვერვალად...

— თეთრ წვერებად: თოვლი არ არის ჯერ აღებული...

— შემოზღუდულ მეიდნის შუა ოთხი უზარმაზარი სიპი ტახტად შეკრული.

— სამსხვერპლო თუ არის, ძველისძველი? რამ ტრაპეზი?

— შეიძლება! ტრაპეზის ახლო უზარმაზარი ჯვარი მთლიანი ლოდიდან გამოკვეთილი; ფრთებგაშლილი, ოთხს ადლამდინ სიმაღლე, გული ბირთვივით მოყვანილი. ჯვარის კვარცხლბეკად სალივე ამაღლებული. ჯვარის საფეხი შუაში ამოკვეთილი. მიწაზედ ასვენია აწ იგი ჯვარი.

— მხრები თუ შეიბერტყა მთამ და ძირს განართხო. კაცისაგან მასზედ დამკვიდრებული თუნდაც სიწმინდე.

— არა! ჯვარი თითონ ამოდის საფუძვლიდან და დაემხობა ნიშნად გლოვისა, როცა საქართველოს ეუფლება მტერი, უსპობს თავისუფლებას.

— როცა აღსდგება სამშობლო მკვდრეთით, თავისუფლება — ჯვარიც აღიმართება, მხიარულად გადაჰხედავს გარემო არეს.

— აკურთხებს ლამაზს პირმომღიმარე! მოგვითხრობს ხალხი, ესე სწამს იმას.

— ნამდვილ?! აღსდგება, მზე ამაღლდება: განთავისუფლდა ტურფა ქვეყანა, თითონ ეუფლა თვისსავე ყოფას...

— იხსნა თავი ვეშაპისაგან მყინვარეთისა, განერა იგი სასტიკ მონობას.

— აღსდგება ჯვარი. საქართველო განთავისუფლდა მონობისაგან და რაღას დაუცდის ღვთისაგან კურთხეული!

— ეგრე უქადაგნია ღირსსა...

— მთის ძირში რომ პაწაწა ეკლესიაა, იქა ვსთქვათ

„ქრისტე აღსდგა“. განთიადისას ავიდეთ მთის წვერზედ. მზე რომ ამოაშუქებს და აათამაშებს აღდგომის ბატკანს...

— წავიდეთ! განა ყველა მოესწრობა ამისთანა ამბავს, ბედნიერ წუთს!

მივდივართ!

გულდასმით დავათვალიერებთ ყველაფერს და გიამბობთ შემდეგ, ალბათ მეორე აღდგომას, თუ ღმერთმა ქნა.

1921 წ.

ლეგას ჩოხა

1

ჩააკრა ლეგამ ახალს გოდორს ძირი ფიცრისა და ააბრუნა, დააყენა, შემოუარა. მოხდენილი ეჩვენა, მკვიდრი: მზის სხივები ვერ უვლიდნენ ჩაწმახნულ წნელებს. მაღალი იყო. ქვევრის სახე მისცემოდა: მოქნილი პირი, ხოხმიკი ყელი, ფართო მუცელი თანდათან ვიწროდა; ბოლოს ისევ განივრდებოდა, რომ შესძლებოდა მკვიდრად დადგომა.

— ისე არის პირი ნახვევი, როგორც ჩვენი საყდრის ჩუქურთმა: ზედ დააცვდება, არ დაირღვევა. გავგოზავ ეხლა, ორსამ დღეზედ მთლადაც გაშრება და გადავუტან, — სთქვა ჭაბუკმა.

მაინც კიდევ მიავლ-მოავლო თვალი მკვლევარი. ალმასის დანით აასხიპა შიგნით თუ გარეთ წნელებს თავები.

— ეხლა კი კმარა! ხელი მოუსვა, არ მოგედება. მაგარია. ჟამს აასრულებს. ვერ იფიქრებენ, ლეგამ უშნო საციქველი გაგვიკეთა ან მალალიო. იმათ ქალივით მკვიდრი არის, სუფთა, ყელყელა. ახ, მისი კოცნა!..

გათავებულმა ლამაზმა საქმემ და მეტადრე ნანინოს სახემ გუნებაზედ დააყენეს, გრძნობით აავსეს. ამღერდა გული, თავისთავად ატოკდა მუხლი და ბიჭმა ხტომით მოურბინა თავის ნახელოვნებს; თან მკლავსა შლიდა, ხმას აყოლებდა:

ქალს ვაკოცე ერტისსაო,
მეშინოდა ღმერთისაო!
ქალს ვაკოცე ბორბალასა,
კამეჩს ჰგვანდა გორგალასა!
ქალს ვაკოცე დურნუკსაო, ეწეო...

— კარგი მოგივა, კარგი ის იქნებოდა, თუ ჩემსავით ბურნუთს ეწეოდა! — შემოესმა დედიდის ხმა,

რომელიც გამოსცდა ტყრუშულ ღობეს და შემოაღო ლასტის ჭიშკარი. შედგა ლეგა, მიიხედა პირმოღიმარემ. როდი შერცხვა ვაჟკაცისათვის უფერ ქცევისა: დედიდა იყო საყვარელი, არ დასძრახავდა ამ ბალღური აღტაცებისთვის.

— მიხარიან, დედიდოჯან, რომ გავათავე. რა მაგარია, თან შნოიანი! დამიმადლებენ.

— შემოგიკვეთეს?

— თითონ კოპრუა შემენუკვა, ფქვილისათვის ძლიერ მინდაო. ხათრი ვეღარ გავუტეხე თორემ რა დროს გოდრებია?! ზამთარში, როცა...

— კოპრუაანთა? ეხლა მესმის, რად მუშაობ ეგეთ ხალისით, ან რა გამღერებს: ნანინოს სურვილს აუტანიხარ.

— არა დედიდო! მაგრამ... განა კარგი არ გგონია ყარყარა გოგო?! რა ცეკვა იცის!

— რატომ, გეთაყვა! მე შენ გითხრა, ჯანი აკლია, ან...

— დედიკავ, შენა? რა კარგი ჰქენ, რომ გადმოხვედი! მობრძანდი, გენაცვა, მობრძანდი! — მიეგება ლეგას დედა საყვარელ დასა.

2

ხელოვანი დამწვნელი იყო; სოფელში ტყრუშულს უიმისოდ არ აკეთებდნენ; ისე მწყობრად აასხავდა ფიჩხებს ფარცხადა, გადავარცხნილ ქოჩორსა ჰგვანდა; მისი დაწნული გოდორყუა მისწრება იყო თევზის საჭერად; ჯინი, კალათა, გიდელები თუ გოდორაკი; ჭრელად ხლართული მის ხახალი ლანგარს უდრიდა. ღადაღუდეში დაძრწოდა წნელის მუსუსი; თხილის ყლორტი არ ასცდებოდა იმის მზირ ხედვას. წნელის შენახვაც ეხერხებოდა; მის ხელში შხეპლა არც ხმებოდა, არცა ლპებოდა: სასუქში ჰფლავდა, სანთურთან რომ ეგროვა აზვინებული; შიგადაშიგ გაამზევლებდა. ზამთრობით სწნავდა მოცლილ დღეებში.

— აბა დავიწყოთ! საქონელს ხომ მოუარეთ, გაშანშლული არ დასტოვეთ შინ რამე საქმე?

— ყველაფერი დავაბინავე.

— მოვურბენინე კოკით წყალი და გამოვკურცხლე.

— დაასუფთავეთ ემანდ ეგ მხარე!

ჩამოჰგვიდნენ დერეფნის კუთხეს. წრეს მოუვლებდა ამ-ყოლ მანის ჩასამაგრებლად, წნელს დაჰხედავდა, დაუწყობდა დასაწვნელ საქმეს და... თავის საკეთს რომ მუშაობდა, მათაც თვალს არ აშორებდა, ან წნელი არ გაამრუდონ, ან ფაჩხატი არა ჰქსოვონ, საქარებითო.

— ბიჭო, გოგილო! ნასხეპ ყლორტთან გადგიტყდა წნელი; ამოიღე, გადააგდე: წნულს გაგიფუჭებს.

ხელობა რომ იზიდავდა ბიჭებს ლეგასკენ, მის მხიარული ხასიათიც ხელს უწყობდა მათ მეგობრობას: რომ მუშაობდა გულდადებით, თანაც უბნობდა, შაირობდა, დაამღერებდა; ხან-ხან ფეხსაც ააყოლებდა, თითქო ზურნის ხმა მოესმა შორი-დანაო. მოხდენილი ცეკვა იცოდა.

— ჯიშად მოუდის მაგ ბიჭს შუშპარი: მაგის დედას თავის დროზედ ვინ აჯობებდა?!

— სიარულში ეხლაცა სჩანს გაწვრთნილი ფეხი.

არა ჰგვანდა ლეგა თავის დედას: ხორბლის ფერი დედა-კაცი ბეჭებში სწორე; ჯერ ახლაც არ იხრებოდა თუნდაც კო-კის ქვეშ. ლეგა შავი ბიჭი იყო, გიშრის თვალება, წვერ-ულვა-შიც ყურჩი ჰქონდა, არ გრუზდებოდა ფაცახი ბეწვი. წელში ცოტა მოხრილიყო. ხელებს მუდამ ისე ხმარობდა, თითქოს საქმეს უნდა დასწვდესო, ნამგალს თუ ფიწალს, ნაჯახს თუ ბარსა. თვალნი მაცდურად უღიმოდნენ. ჯერ ოცი წლისას რიგზედ ჰქონდა მოწყობილი თავისი ოჯახი: წამოიზარდა, გამრჯელ დედას შეეშველა, უშნოდ გაზნექილი კერა წელში გამართა. საბარო ურემი, უღელი ზაქი, ძროხა, კვებულა. რა უჭირდა? მოზვრებს იყიდდა, ახალს სულაც მოიყვანდა და...

— ჯერ კი არა, აღებების მიწურულებში, რომ გატყდება ზამთარი ცივი და გაზაფხულის სუნი დაჰკრავს დედამიწასა, მაშინ დავნიშნავ; ნაღდგომევს დავიწერ ჯვარსა. რომ არ გა-მომყვეს, გამიამაყდეს? გამომყვება! ოღონდ სხვებმა არ დაუ-შალონ, დედ-მამამ, ბიძამ. თუ არა და... ეჰ, რა უშავს, თიკოც კარგია. არა, არა! მიყვარს ნანინო, სხარტი გოგო, აყლორტი-ლი კარგი წნელივით.

— ბიჭო, ლეგავ! სუფრა გავშალე; რას იგვიანებ, შემოდი ჩქარა!

— ვამბობ, ბარემ გავათაო გოდრის გაგოზვა.

— მემრეც მოასწრობ! დედიდა გყავს სახლში სტუმრად; შიმშილით ხომ არ გადავახრწნევთ.

— ეხლავ, დედილო!

დაიბანა ბიჭმა ხელები, გაიწმიწდა ჩოხის კალთაზე; შევიდა სახლში. სახეებად დაჩითული ლურჯი სუფრა ტახტზედ გაშლილი; მთელ-მთელი პური; ჭდეულ ჭიქის სამარილე მარილით სავსე; ხის კოვზები; კომბოსტოს წნილი, ნიახური, თანაც წიწაკა; ხელადით ღვინო. ზემო თაროს მოეკეცნა სტუმარ დედიდას. ბუხარში ლობიოს ქოთანი ჩუხჩუხებდა. ახლოვ ეწყო თიხის ჯამები. ძაღლი ხალია კარებში იწვა, თავი ზღურბლზედ გადმოედვა, სუფრას შემზეროდა. ხატაური დედიდასთან მოწყობილიყო, თვალებს ჰნაბავდა. ღორი დრუნჩა დერეფანში დაღრუტუნებდა: იცოდა, მასაც ერგებოდა ნასუფრალიდან.

— სად ჰმუშაობ, გენაცვალე! პური მაინც არ მოგშივდა აქამდისინა?

— მოვასწრობდი გაკეთებას, ისე მეგონა.

დიასახლისმა გადმოდგა ქოთანი, აუვსო ჯამი სტუმარს. დაუსხა შვილს ხის დიდ ჯამზედ, პინაკს რომ გვანდა, თავის კერძიც მიიტაწა და მოიკეცა.

— ახსენე ღმერთი, პური გატეხე! შენი ვალია.

— ღმერთო დიდებულო, შენ გაუმარჯვე ჩვენს ოჯახს, აქა მბრძანებელს! — სთქვა ლეგამ

და გადატეხა პური.

მიჰყვეს ხელი. ჩაიყარეს, ჩაიბუჟბუჟეს. ჩაიქოშიშა ბიჭმა პინა, თავი მოუდგა. დაწყნარებით შეექცეოდნენ, აუჩქარებლად. მუსაიფობდნენ, ამ მთისას თუ იმ ბარისას მოიგონებდნენ. არც პირუტყვებს ივიწყებდნენ: ხატაურა ილოკებოდა, ძაღლს ტოტებში ყუა ეჭირა, თანა სჭამდა, თან დაჰღრენოდა; დრუნჩასაც კი შეჰხვედროდა რაღაც კოტორი, დაჰღრუტუნებდა.

— დაღვინებულა შენი მაჭარი. რა ძლიერი სჩანს!

— უწვიმარი დარი ჰქონდა, კარგად გამოშრა.

— მინდა, დედიდო, ერთი ქოცო გადავარჩინო.

— ჰო, დაგჭირდება. არც კი გეკოფა საქორწილოდა. დრო არის, ბიჭო! არავინ გყავს ამორჩეული?

— არა, დედიდო!

— რაღასა ჰმალავ? ხომ კიდეც გაქვს გადაწყვეტილი, — უთხრა დედამ

და მიუბრუნდა დედიკას:

— ძლიერ მოსწონს ქალი ნანინო.

— კოპრუას ქალი? რა ურიგოა?!

— რიგიანია, ძალიან კარგიც, მაგრამ მეტად გაკეთებული ოჯახისაა და ვაითუ ყელმოტეხილ ვთხოვნელებად დაგვიჭირონ, უარი გვითხრან. მე მირჩევნია ხონიაანთ ნენეს გოგოი.

— რას ამბობ, ქალო?! იუკადრისონ ჩვენი ვაჟკაცი! ჰო, კეკელაც ძლიერ კარგია, ცოდვა არის რამე ავის თქმა: გამრჯელია, თანაც ჯანსაღი, — მიუგო სტუმარმა

და მიჰმართა ბიჭს:

— შენ რაღას იტყვი? არჩევანი შენი არის, ჩვენ კი — მრჩევლები, კეთილის მდომნი.

— ნონიაანთ კეკელა... რატომ, კარგია, მაგრამ ჩაჯედაა, ბარაქიანი; ჯინს მამაგონებს განივრად მოწნულს, — სთქვა ბიჭმა დაფიქრებით.

— ძვალმსხვილია და მოიდაბლებს, მაგრამ მხნე არის, დაუღალავი; ოჯახში შევა, ანთებული სანთელივით შეანთებდა.

— მაინც, შვილო, შენს გულსა ჰკითხე უპირველესად. სადღეგრძელო შენი საბედოსი!

დალიეს; გაუჯდათ; გამხიარულდნენ.

— ნათლიდედ, ჰაა, ნათლიდედავ! — მოისმა შორიდან.

დათვიამ თავი მიიღო და შეჰყეფა, წამოხტომა დააპირა. ლეგამ შეუტია ძაღლს. გახედა, კოპრუაანთ გოგო იყო თეონა.

— დედამ შემოგითვალათ, ორიოდე პური გვასესხეთ, ხვალ გამოვაცხობთ და მოგართმევთო.

— წაიღე, შვილო! გუშინ გამოვაცხეთ, — უთხრა დედამ

და უნდა ამდგარიყო. მაგრამ ლეგამ აღარ აცადა; წამოხტა, ამოურჩია პურები, მისცა და გადააცილა გოგო ეზოს, რომ ძაღლს არ შეეშინებია.

— კარგი ქალი აურჩევია ჩვენს ლეგას. ნუ გეშინიან, არ დაიწუნებენ. იქნებ თითონაც ფიქრობენ, რომ კარგ მეზობლად მოგკიდებიან. კეკელასაც თავის ბედი არ დაელევა: ვგონებ, ლეკი თხოულობს იმას.

— ძამნაანთ სეკა? რამ გაალეკა, ან რითა ჰგავს გულიხადარა ლეკს?

— ეგრე ეძახიან იმ ბიჭს სოფელში. წყნარი ბიჭია და გამრჯელი.

— ვიცი! ჩემი ლეგას მეგობარია. კარგი გოგო აურჩევია.

— ჩვენი ბიჭის არჩევანი მაინც სჯობია, — მიუგო დედიკამ

და მიმართა შემოსულ ლეგას:

— მეც მომწონს შენი არჩევანი. აბა, ეცადე! ქორწილის ხმებით გავახაროთ ეს თქვენი ჭერი.

4

ცდილობდა ლეგა ჰაზრიან შრომით, კარგი კაცობით მოეხიბლა ქალის ოჯახი და თითონ ქალიც. ქალ-ვაჟის შეხვედრაც ეხლა უფრო ხშირად ხდებოდა. მოსავალით ზურგგამაგრებულთ ქორწილები თუ ხატობა ეხშირებინათ; ბიჭს არ უფრთხოდა არჩეული მისგან გოგონა, მაგრამ ხანდისხან გაურბოდა, იღრუბლებოდა.

— გოგო, ნანინო! საცეკვაოდ რომ გაჰყევი იმ ბლუკუნასა, საფერი არის?

— ეგრე მენება! მითომ რატომ? კარგი ბიჭია!

ხან უღიმოდა, ახლოვდებოდა, საალერსოდ შეანათებდა და უღვივებდა ტანჯულ გულში ტკბილ ნაკვერჩხალსა. ტრფობის სხივი ხან თუ სწვავდა, ხშირად თბილად აციაგებდა. მიიწურა შემოდგომა, მთლადაც მიმტკნარდა. გვალვა იდგა, ცას ღრუბელი არა რჩებოდა. ხმელი ყინვა მტვრად ავარდნილი. გახმა ბალახი, ხის ფოთლები ძირს გაიფინა. ტყე მთლად გაშიშვლდა. ჯოყრად იყო გარდაქმნილი მინდორზე მდელო. ბაღში ვაზი ჭიგოსაგან არ ირჩეოდა.

— თოვლის მოსვლამ დაახანა; წაგვიხდენს ნაშრომს ამდენი გვალვა.

— საშიში არის! ერთს ხანს კიდევ არა უშავს რა, მერე კი... სწორედ მისწრება იქნებოდა ეხლა თოვლი.

— ფოთოლი რომ ძირს მოედო და გახმა მწვანე, შეამზადა მიწამ პირი ზამთრისათვისა. დაეფიცოს დედამიწას თეთრ საბნად თოვლი! სრულად დაათბობს ფოთოლს, ბალახს; დაშლის თანისთან, მიწადვე აქცევს და ნიადაგს დაუბრუნებს შარშანდელ ღალას.

— ნახნავებსაც ნელ-ნელ გაუღენთავს, ღრმად ჩაუვლის სინოტივე, მოსავლისათვის შეამზადებს საგაზაფხულოდ.

— მაგრამ თუ გვალვა კიდევ გაგრძელდა, დათესილებს გაგეჩანაგებს: თაგვი, ფრინველი გაწიდავს მარცვალს, მშრალი ყინვა დააზარალებს.

— ღმერთმა დაგვიხსნას!

და დაიფარა გამჩენელმა თავისი ხალხი: დაჰქროლა ქარმა, გადმოყარა ღრუბელთ ფთილები: ჩავარდა ქარი, შეთბა ჰაერი; შეიყარნენ ღრუბელთ ნაგლეჯნი, კალთა-კალთა დაეწყვნენ ცაზედ და დაეშვნენ მიწის პირისაკენ: ცვარნაჭარბნი ალბად შემძიმდნენ. და წამოვიდა სპეტაკ ფიფქად ღრუბლების ტვირთი. გადაჰბურა, გადაჰპენტა მთლად დედამიწა! ნიჩბით დასჭირდათ კარ-მიდამოს გაკვალ-გახვეტა. გატკბა ბუხარი. ზღაპრების ხანა თბილ გომურებში, ოდებში, ცეცხლთან.

ლეგაანი მზად დახვდნენ ზამთარს: პური და ღვინო, შეშა თუ ფიჩხი, ბზე და თივა საქონლისათვის; დრუნჩასათვის კრკო გოდრით ედგათ; ქათმებისათკის ნაკმაზი უხვად. უხაროდა ლეგას შეშის ჭრა. რა ცული ჰქონდა! ყუამდისინ ჯდებოდა ხმელშიც. ძლიერ უნდოდა ვაჭინა საქმე რამე კოპრუაანთკენ: ეგებ შევხვდეო წყეულ ნანინოს. ვერ აგვარებდა. ეჰა, მიაგნო! ისინი რომ გამორეკდნენ საქონელს წყალზედ, ლეგაც მაშინ გააღებდა გომურის კარებს. ვახ, ვაჟკაცები მისდევენ საქონს! მაგრამ ისიც გულსა ჰფხანდა სასიამოვნოდ, რომ ნახავდა მის პატრონებს, სიტყვას ეტყოდა.

— იქნებ როდისმე ნანინომაც გამორეკოს, თითონ ჩამოჰყვეს. ვეღარ მოვითმენ, შევეხვეწები! როდი მოჰყვება, სხვები მოსდევენ...

— ბედნიერებო! ნანინოს უმზერთ, გესმით მისი ხმა! — შეჰნატროდა მის ოჯახისებს.

ლეგას საქონელი ყოველთვის დაურევებული-დაწმენდილ

იყო. ზაქებს ქედზე ცხიმი არ აკლდათ; დიდ ყინვებში ფიჩვებს ჰხურავდა, ქარშიკებით დაშარტული დაუდიოდა. არ უნდა ეთქვათ: არ სცოდნიაო ლეგას მოვლა თავის საქონლის.

— თუ იტყვიან რასმე ჩემზედ ნანინოის გასაგონადა, თუ მახსენებენ?

დაჟინებით რომ მისდევდა თავის საწადელს, კიდეც ეწია. შობა მოახლოვებული იყო. ცა გადიწმინდა. გაიყინა ხევში მდინარე. ყინულსა სჭრიდნენ, რომ საქონელს ეპოვნა წყალი. ლეგას საქონი ჩაელალნა, ნაჯახის ყუით ამტვრევდა ყინულს, აფართოებდა წყალის საჩენსა. კოპრუაანთ ხბო თუ ძროხა ჩამოთავქვევდა. გამოჩნდა ქალი: ნანინო თვითონ გამოჰყოლოდა. ცული შერჩა შემაღლებით პირგამშრალ ბიჭსა: ყინვის ზოდად თუ გარდაქმნა მძაფრმა სიცივემ. დაჰკრა ქალმა შევარდნის თვალი, მიჰხვდა ყველაფერს და... გაუღიმა. ნეტავი ვინ სთქვა, ვარდ-ყვავილი თოვლზედ როდი იფურჩქნებაო? არა სცოდნია ბუნების წესი!

— ლეგავ, შენა ხარ?

— მე, ჩემო ყველავ!

— ვაჟკაცები ტყეში წავიდნენ, ბოჩოლები და ძროხები მე ჩამოვლალე.

— აღარ თუ გეყოთ შეშა-ფიჩხი დანამზადები?

— ვერ მოიტანეს თავის დროზედ.

— ხომ არ შეგცივდა ამ ყიამათში?

— არა, ბეჩავ: თბილად მაცვია, — უთხრა ქალმა

და წარსდგა ბიჯი, აეტოლა აღტაცებულსა. სადღა იყო ლეგასთვის თოვლი, სიცივე?! ვისღა აჰსოვდა საქონელი, მთელი ქვეყანა?! ძლიერ მოუნდა ხელის ხლება, მხოლოდ შეხება. ვერ გაუბედა: ეშინოდა, არ ეწყინოსო. შექმნილიყო მბრძანებლად გოგო ნანინო.

5

არ გაუვლია რამდენსამე დღეს და ნანინომ თითონ გადიარა სამეზობლოდა. უხდებოდა ლამაზ გოგოს ჭრელ წინდებზედ კოხტა ჩუსტები. ბიჭი ლეგა შინ როდი იყო: ქალმა იდროვა, გაიგულა, მაშინ გადავიდა. ლეგას დედამ აუსრულა სათხოვარი, მოუალერსა; მაშინვე კი არ გაუშვა: დასვა ბუხართან,

ალაპარაკა. სანუკვარიც ამოუღო სკივრის კუთხიდაწ. გოგომ თავი მოიწონა აზრიან სიტყვით, სუფთა ქცევით; მოისყიდა ადამიანი. მიაცილა ჭისკარამდის მეზობლის ქალი.

— თუ ჩემი რძალი? — წაიტყოდა პირმოღიმარი.

გაეღო გული. ჭრელ სურათებს შეჰხაროდა, მომავლის ლამაზ სახეებს.

— პირი ჩვენსკენ მოუღია ბედს მოღიმარეს. სწორეთ თავი მოაწონა ჩემმა ბიჭმა ლამაზს. ვგონებ, აღარც პატრონები გადაგვეღობნენ.

ლეგა ბიჭი ცას ეწია დიდ სიხარულით, როცა გაიგო, რა ნათელს სულს გადეარნა იმის კერაზედ; დაწვრილებით აამბობინა, რისთვის მოვიდა, რა სთქვა, სად იჯდა და განა ერთხელ: ვერ ძღებოდა ნაამბობით იმისი გული.

გაახშირა ლეგას დედამ მეზობლური მისვლა-მოსვლა კოპრუაანთას. აგრძნობინა ვაჟის დარდები. არ იუცხოვეს, შორსაც როდი დაიჭირეს მათი მოყვრობა. ბოლო სიტყვა მაინც კიდევ არ დათქმულიყო: ჯერ კიდევ ვერ გაებედნათ მაჭანკლის ხლება. დადგა შობის დღესასწაული. მისალოცად შეიკრიბა ახალგაზრდობა. დადიოდნენ სახლიდან სახლს, ბედნიერ დღეს ულოცავდნენ ყველა მეკომურს. მიაღწიეს კოპრუაანთ კარს.

ალილო! ოცდახუთსა ამ თვისასა
ქრისტე დაბადებულაო. ალილო!

გვიან იყო. ბნელოდა. მაინც მალე ახმაურდნენ ოჯახიშვილნი: თუ ელოდნენ მიმლოცველებსა. გაიღო კარი. ლეგამ მარდად შეირბინა დერეფანში სამწყალობლის ჩამოსართმევად და...

— ნანინო, შენა?

ჩამოართვა. მოხვია მკლავი. მოსტაცა კოცნა! დაცეკვავდა ბიჭი ლეგა იმ ყიამათში, სულ დაფრინავდა, დაღლა როდი ეკიდებოდა!

— კაცო, ლეგა! თუ შენ აქ არა გვყვანდე, მოგვეწყინებოდა.

— ჩვენმა ლეგამ ხატის ღვინო თუ დალია, რომ სისხლი უდუღს!

— შეერგება მურაზიანს კარგი ზედაშე!

— ხატის ღვინოვო! რა იციან, რომ ხატს ვემთხვიე, ჩემს ნანინოსა! რა ტკბილი იყო, ბადაგსა ჰგვანდა. როდი იწყინა. რა კარგი არის!

დიდ ქეიფით დაათავეს მილოცვები ახალგაზრდებმა, შეზარხოშდნენ; კიდეც რომ დალბნენ. ლეგა მღერად გადაიქცა, შუშპარს უვლიდა, სხვებთან ერთად თუმცა არ სვამდა: როდი იყო ღვინის ტრფიალი. ან რად უნდოდა სასმელი მძლავრი ნანინოს ეშხით ისეც დამთვრალსა?!

და მაჭაწკალი კოპრუაანთ კარს. დაიკვალა იმათ შუა ბილიკ მტკიცე. ლეგასთვის დაითქვა ქალი. მაინც ფრთხილობდნენ: ბედნიერებადა სთვლიდნენ ქალის მოყვანას და იცოდნენ ჭირთმნახველებმა, რამოდენა მტერი ჰყვანდა ცხოვრების ყვავილს.

— ბიჭო ლეგა! ემჯობინება, დაიწერო ჯვარი და მორჩეს. ბევრს უჭირავს გოგოზედ თვალი და... ეშმაკს პირი როდი უჩანს, შენც კარგად იცი.

— თვალი უჭირავთ ნანინოზედა?

— კარგი რომ არის, სხვებიც ხედავენ. რახან ჩვენია, სჯობს რომ დავთქვათ ჯვარისწერის დღეც.

— ნიშნობა, დედი?

— ნიშნობა და ჯვარის წერა ერთად სჯობია. დავეკითხე ჩვენ მღვდლის ჯალაბს; ეგრე მირჩია. ემჯობინება, ყველივრის წინ წამოვიყვანოთ.

— მაშ კარგი, დედი! ნაღდი რაიმ დაგვჭირდება; რამდენსამე ურემ შეშას ჩავიტან ქალაქს.

— შესძლებენ კი შენი ზაქები?

— გავუფრთხილდები, შევაძლებინებ.

— კარგი, გენაცვა! თუ არა და შეიძლება აბრიასგან ავიღოთ ვალად.

— მეშინია, ვალი დავიდო.

— იმდენი რომ არა გვაქვს შეშა!

— მოვიტან ტყიდან. ნანინოანთ ვაჟკაცებმაც ეხლა მოზიდეს. ზეხმელები მაქვს შერჩეული.

სისინებდა ნიავი ცივი; ქარს ღრუბლები დაეწყვიტნა, აქანავებდა მათ ნაფლეთებს, ელალებოდა. ლეგას ზაქები დაეშარტა, ურემში ებნენ; ტყავი ეცვა, ბეწვიანი ქუდი ეფხატა.

— ყაბალახი არ დაგავიწყდეს: შეიძლება ჩოღუნი ასტყდეს; აჰა გუდაცა; პური, ყველი ჩავაწყე შიგა. ლეკმა თითქო დაიგვიანა.

სიტყვა ჯერ არ დაეთავებინა, რომ მოისმა ხმა:

— გამორეკე, ლეგავ, გამორეკე!

ახსენა ღმერთი, დაძრა ურემი. ქარი თანისთან ძლიერდებოდა, თოვლი აჰქონდა ზოგ ადგილას კორიანტელად, ატრიალებდა. შევიდნენ ტყეში. ქარი ქვევით თავისუფლად ვეღარა ქროდა; ხის წვერებს კი ძლიერ არხევდა. ტყის გუგუნი ზიაღვრის ხმად ჩამოდიოდა. მთის კალთებიდან ატანილი მტვერად ნამქერი ყინულის ფერფლად ეფინებოდა. ნაჯახის ცემა. გროვდებოდა საჭირო შეშა: ხმელი მორები, სხვილსხვილი ტოტი.

— ლეგავ, ბარემ ავამზადოთ, ხვალაც მოვიდეთ.

— მეც ეგრე ვფიქრობ! ადრე მაინც.

ქარის გრგვინვა ძლიერდებოდა, იტაცებდა ჰაერთ ტალღა ნაჯახის ჯახუნს.

— დრო თუ არის, დაუდოთ შეშა?

— თითოც სათრად გამოვაბათ.

— თავთავქვე არის, თოვლზედ თრევა არ გაჭირდება.

— ერთი კიდევ შეუტიოთ და...

მოიმარჯვეს ისევ ცულები. ლეგა ზეხმელს დასდგომოდა მოსაჭრელადა. დიდი ხე იყო, სავსე ურემი ამოვიდოდა. ქვეით მხრიდან აღრმავებდა, რომ ხე იქით გადახრილიყო. იქით ხრიდა ქარიშხალიც, მუშას ჰშველოდა. მსწრაფლ იზრდებოდა ხის ნაჭრევი, ფართოვდებოდა. დაჰბერა მძლავრად, დაზნიქა ხე და გადატეხა. მოასწრო ლეგამ: გახტა განზედა. ძარღვნი ერთ დროს არ დააწყდნენ წამოსულ წიფელს, შეტრიალდა ხე ჰაერშივე და ტოტის წვერი მოჰკრა ვაჟკაცს, ძირს დაანარცხა. მიეშველა ამხანაგი. რას უფონებდა გულის ფიცარ განადგურებულს?! დატვირთული ურმის ბადლად მიაყენეს კარს მოზაკვდავი. „ვაიო, ვაი!“ დაიძახა ლეგას დედამა და ჩაიკეცა. როგორც იყო შეასმინეს, ცოცხალია, შველა უნდაო. შეიბერტ-

ყა დედაკაცი, ზე წამოიჭრა. ჩააწვინეს, მოსწმინდეს სისხლი. დაუძახეს დალაქს, ბებიას: გამოცდილები არიან, უშველიანო. შენგრეულ მკერდს რით გაჰკურნავდნენ?!

ჩალურჯ-ჩაყვითლდა, იწყო ხრიალი.

შედრკა მოძღვარი: ზიარება სისხლის დენას გადმოჰყვებაო. მაინც მიუბყრო.

— აბა დახედეთ, გენაცვალეთ, წმინდა ნაწილი დაიძირა თუ მოიტივტივა.

— მოიტივტივა, ზიარება წამლად ექცევა!

— ვაი შენს მტერს!

შედგა მცირედ სისხლის დენა, შიგადაშიგ ბელტებადღა გადმოდიოდა. ცნობას მოვიდა განაწამები. დედა იმედს არ ჰკარგავდა.

— არ შეიძლება! ჩემი ლეგა როგორ მოკვდება?

მიდმოდიოდა, ირჯებოდა: სწმენდდა, ჰბანდა; ეშველებოდა.

— შესდგა სისხლი. გამიმთელდება! ჩვენი კვებულა კურატად ხატსა. დედაო ღვთისავ, შემიბრალე ლეგას დედა გამწარებული!

გაიღო კარი, შემოვიდა ქალი ნანინო. შალის წვერი გადაჰვარდნოდა. თვალთ აფეთებდა. წინ მიიწევდა.

— ბიჭო, ლეგავ, როგორა ხარ, შენ გენაცვალე? — ჩასძახა ქალმა

და დაეკონა. გააღო თვალი მომაკვდავმა; დააშტერდა; გაიბრძოლა; აიღო თავი. დაეძრა სისხლი. აგლიჯეს ქალი. ვაჟის დედას მიაგდეს რძალი.

— ნანინოჯან, გვიკვდება ლეგა!

7

დამარხეს ლეგა. გავიდა დრო. დედაკაცი ტრიალებდა; აკეთებდა, თითქო საქმობდა. შიგადაშიგ ეძახდა შვილსა.

— აღარ გყავს შენი ლეგა, შე უბედურო! — ჩასძახოდნენ გაოგნებულსა.

თვალში ჰაზრი ჩაჰქრობოდა, ვერრა ესმოდა.

დანიავდა ლეგას კერა, ჰყიდდნენ ყველაფერს: მკვდრის დამარხვა და შენახვა ცოცხალ-მკვდარისა. ლეგას ჩოხა ლეკს

ეყიდნა, ზედ ეცვა ეხლა. ზაქებსაც ჰყიდნენ, სეკას უნდოდა მათი შეძენა. ჰკითხეს დედაკაცს; ვერ შეასმინეს. ტყიდან მოვა ჩემი ლეგა! გაიძახოდა. მაინც ხალხში მიიყვანეს, რომ დასწრობოდა. შავი ჩოხა დაინახა სეკას ტანზედა.

— მისი არის! ჩემი ლეგას შავი ჩოხა ლეკს ჩაუცვია! — წარმოსთქვა დედამა

და გაეკრა იმის სახეს ღიმი ტანჯული. გაშალა მკლავი; ცერზედ დასხლიტა უსახელო, დაატლაშუნა და დამღერა:

შავლეგ, შენი ჩავი ჩოხა, შავლეგო!
გულხადარას აცვიაო, შავლეგო!..

დამღეროდა დედაკაცი, თან ტრიალებდა.

1921 წ.

ნაძვნარის დევი

და შეჰქმნა კაცი მიწისაგან და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა.

1

ალგეთის მარცხნივ, გოხნარის მწვერვალის დასწვრივ, შენდებოდა დიდებული ეკლესია იმ სამლოცველოს მაგივრად, რომელი დაჰნაცვლებოდა ქრისტიანობის პირველ ხანში კერპთა სავანეს. ხევის პირი იმ ადგილას უფრო ვაკეა, დაღმართი ნელ-ნელა დაშვებული, თანისთანობით. ხევს რომ ამოხვალ და გაივაკებ, უხვ წყაროს ნახავ გადმომდინარეს. ამ წყაროს გვერდზედ შეემზადებინათ ტაძრის ადგილი: დაესწორებინათ, ჩაეკირნათ, საძირკველი დუღაბით ჩაეყარნათ; ღრმა სარდაფი დაეტანებინათ გელაზებით ამოტანილი. ვიწრო ხვრელით უერთდებოდა იგი ჯურღმული დიდს გვირაბს, რომელს გაევლო მთა და გასულიყო ქართლისაკენ მიმართულ ხევში. წყაროსთან პირი ექნა გვირაბს, მერმე ისევ ღრმად ჩასდევდა ალგეთამდინა. უმთავრეს გვირაბს უერთდებოდნენ სხვა ხვრელები, რომლებს დაექსელათ მთელი კვერნაკი ალგეთისა და მის მარცხენა შემდინარეს შუა.

გოხნარის მწვერვალზედ, პატარა წყაროსთან, უწინ იმ ზეგანის მცველი კერპი იდგა, ეხლა იქ უზარმაზარი ჯვარი აემართათ მთლიან ქვიდან გამოკვეთილი: „გულდამაანთ მამიდა“ სასწაულთმოქმედი. მწვერვალისა და გვირაბის პირის ანგელოზები ღამ-ღამით ნათელ ბირთვებად თუ ცეცხლის შუშებად გადად-გადმოდიოდნენ ერთმანეთში, მეტადრე ელვა-ჭექის დროს.

შენობის მახლობლად მთელი თავქვე მოდებული იყო ალ-

გეთის პირზედვე მოჭრილ უზარმაზარ ლოდებით. სხვაწაირი ქვაც ბევრი იყო შორიდან მოტანილი. მარმარილოს ზოდებიც სჩანდა. შენდებოდა ციხე-გალავანი, სამრეკლო, თვით ტაძარი და დიდძალი მასალა იყო საჭირო სხვადასხვა გვარი. კარგა ხანი იყო, რაც ტაძრის ტანს აგებდნენ. კედლები, სვეტები, თაღები, დერეფნები უკვე აეტანათ და შეეკრათ. შენობა არ იყო ერთობ დიდი, არც მეტად მაღალი, ცოტა მძიმეც მოსჩანდა თვალთათვის; მაგრამ ისეთი მკვიდრი და ძლიერი, რომ მის შემხედველ დროთა დენას, ყოვლის დამრღვეველს, გული უწუხდა: იგი თამამად შეებრძოლებოდა სტიქიონთა დამშლელ-დამხრწნელ მოქმედებასა.

უკვე დრო იყო აღემართათ იგი გუმბათი, რომლის საფუძვლად აგებულ იყო მთელი შენობა; ის თვით ცა იყო შენობისა, მისი მიზანი, მის მედიდურად დაგვირგვინება. დღედღეზედ მოელოდნენ ამ ძნელი საქმისათვის დიდ ოსტატს ბაკურ ბერდიაულსა.

2

ბაკური აქამდისინ მხოლოდ შიგადაშიგ დაჰხედავდა სამუშაოს და ჰხელმძღვანელობდა შენობაზედ მდგომ ოსტატებს. არ ეცალა: მრავალი ციხე-დარბაზი თუ ეკლესია შენდებოდა ქართველთა ამ მყუდროდ ცხოვრების დროს და ყველგან საჭირო იყო ჰაზრიანი თვალი შემოქმედ ხუროთმოძღვრისა. შენობებში საფრთხილო ადგილს მაინც თითონ აგებდა თავისი ხელით: ვერვის ანდობდა. დიდად განვითარებული და გამოცდილი იყო იგი ხუროთმოძღვართ უხუცესი. ბიზანტიაშიც იცოდნენ მისი სახელი. ბატონი მეფე ამაყობდა, რომ იმისთანა ხელოვანი ახლდა მას. მისი ანაგები შენობები დღესაც აკვირვებენ ადამიანს. მისგან შეზავებული დუღაბი ქვაზედ მაგარია, ამ დუღაბით შელესილ კედელს მარჯვენას დააჭდობდა. ეხლაც იხილვის მის ხელის სახე ისევ უშლელად. მონასტრის აღაპებშია ბაკურის სახელი შეტანილი.

გულდასმით დაათვალიერა შენობა. არ დაიწუნა. მხოლოდ მოაშლევინა გუმბათის ფუძე, რომელიც ზევით განიერ გრკალად შემორტყმოდა ერთად თავმოყრილ სვეტებს და კედელთაღებსა.

— ამ სარტყელზედ უნდა დაეყრდნოს გუმბათი მთელის

თავისის სიმძიმით, იგი კი... აბა, ონისე, გახედე ამ კვარცხლბეკის წრეს, თუ შეატყობ რასმე.

— უკვე ონოფრე, ბატონო ბაკურ!.. აგერ მარჯვნივ წრე ოდნავ შემრუდებულია, თითქმის ერთ წყრთაზედ.

— მხოლოდ უნაკლულოდ მომზომელი თვალი და უტყუარი ალღო შეჰნიშნავს ამას! ეგ სიმრუდე, თითქმის შეუმჩნეველი, მთელ გუმბათს შეარყევს ოდესმე, საუკუნეთა განმავლობაში. აქ არც ერთი ხაზის გამრუდება არ შეიძლება! ქრთილის ტოლი რაიმ მანკი მთელ ტანს შეჰლახავს.

— როგორადაც მწყობრ სიმღერაში.

— სწორედ! გუმბათი ქვით ნათქვამი საგალობელია ამმაღლებელი.

თითონ დიდი ოსტატი დაადგა გუმბათის ატანას.

— ონისე! ქვის გამოყვანას ეხლა სხვას ვეღარავის ვანდობ, აირჩიე საუკეთესო ხელოსნები, მათგან გამოთლილმა ყველა ნაჭერმა მაინც შენ ხელში უნდა გაიაროს და ისე მომაწოდონ ზევით. ჩემი იარაღი იხმარე. სხვას კი ნურვის ჩაუგდებ ხელში.

რა იარაღი იყო! ბევრნაირი; სულ შეწყობილი.

მუშაობდა დაკვირვებით დიდი ოსტატი. არა ჩქარობდა. მის ხელში ქვის გარშემორტყმა თვითეულ სრედა ახალ სახედ შეამკობდა ნაგებ სიმაღლეს, ანვითარებდა მწყაზარ მის ტანს, მისსა მშვენებას. ისეთი სისწორით ნაკეთები მასალა მოსდიოდა, რომ დიდ ოსტატს აღარ სჭირდებოდა ჩაქუჩით შეჰხებოდა მას. უნაკლულოდა ჯდებოდა მასალა თავის ადგილში. ონოფრე მხოლოდ ხანდისხან მუშტრის თვალით ათვალიერებდა ოსტატის ხელოვნებას, რომ ვარაუდი გაეწივნა და ჰანგი არსად შეეშალნა უფროს მქმედისთვის.

3

ამ ციხე-ეკლესიის აგებას ერთგულად ეკიდებოდა ხალხი: სამღთო საქმე რომ მზადდებოდა სულის საოხი, შენდებოდა ნივთიერი კეთილყოფის ზღუდე-სიმაგრეც. გარემო სოფლებს დავალებული ჰქონდათ შეჰშველებოდნენ: ქვისა თუ ხე-ტყის მოზიდვა, მუშა ხელის მიშველება. ხალხი უამურად არ ასრულებდა ბრძანებას; ბეგარის გარეშეც ეხმარებოდა ორსავ

ცხრვრებაში დამხმარ კარგ საქმეს. ეხლა, როცა დიდი ოსტატი თითონ მუშაობდა აქ და შენობა უნდა მალე მოთავებულიყო, უფრო მეტი ხალისი და ერთგულობა გამოიჩინეს. ხევის თავადი კვირიკე კიკეთელი, უმთავრესი მზრუნველი ამ დიდ საქმეში, მთლად ყურადღებად გარდაიქმნა: ულუფას აწვდიდა; თითონაც ხშირად დაჰხედავდა და ამხნევებდა. გაისმა ხმა, თავადის მეუღლეს მოუსურვებია შენობების ნახვა, ქალიც მოჰყავსო მზეთუნახავი მირანდუხტი. უამათ ოსტატებს: სტუმრობა სახეირო იქნებოდა პირად მათთვის და ტაძრისათვისაც; დაჰსაჩუქრებდნენ მშრომელთ, შესწირავდნენ საყდარს, გაამშვენებდნენ.

მზე საშუადღეოზედ იყო, რომ გაისმა ხმა:

— მობრძანდებიან ბატონები!

— ქალებიც მოჰყავთ?

— ალბათ! ტახტრევანდები მოჩანან.

უნდოდათ ხელი აეღოთ სამუშაოზედ და შეჰგებებოდნენ მომავლებს, მაგრამ დიდმა ოსტატმა არ ინება.

— შრომაშივე გვნახონ ყველა თავის ადგილას! — გადმოსძახა.

მივიდნენ, დაიარეს, გასინჯეს. თვალი მოსჭრა გუმბათის ნაქვთმა და აღნაგობამ, თუმცა ჯერ ხარაჩოში იჯდა იგი.

— უნაკლულო წრედ არის მოვლებული გუმბათის ძირი.

— ხომ ქვისა არის მთელი ყელი, მაინც მსუბუქი მოსჩანს ყარყარა, თითქო ბურჯებს არც კი აწევს, თავისითა სდგას.

— ჰაეროვანია ეს მკვიდრი გვირგვინი შენობისა. ჯადო ოსტატის ხელში ქვას ფრთა შეუსხავს, თითონ წასულა მაღლა მაღლა; ეთერზედან სდგას.

ოსტატს იამა ესეთი შეფასება თვისის შემოქმედებისა და განუმარტა:

— ტაძარი ღვთის სახლია ცაში მყოფისა, ჰხამს ზეცისაკენ ეწეოდეს კაცის ფიქრებსა; ხოლო გუმბათი... ცას უნდა ჰგავდეს მეუფის სამყოფს!

— გრძნობას მარად აამაღლებს ხილვა ამისი!

— მთლად მე ნუ მომაწერთ: მასალას ჩემი შეგირდი მიძზადებს ონისიმე და ისე მოწყობილად, რომ ბევრი მოსაზრება და აწონ-აზომა აღარ მჭირდება: მადლიანი ხელი აქვს დალოცვილს.

— მწირი ონოფრე? არ უნდოდა გამოეშვათ მონასტრიდან, მაგრამ ვუბრძანე და მაახლეს.

შებრძანდნენ, სადაც მუშაობდა ონისე. ტანკენარი საროსავით წამოიმართა, დახარა თავი ბატონთ წინაშე. წამოეშალა დანაკვთილ შუბლზედ ჩაგრუზული თმათა ტევრები, ბოლოშეხრილ მშვილდებამდინ დასწვდა ფაფარი. გადაისვა მარჯვენაი ურჩ ბუნჯგლებზედა. ნათალ თითებით შემკული თათი სამკაულად აისახა მუქ ბარდებზედა. როსტომისებურ მხარბეჭიან ახალგაზრდას მწირის სამოსი საბატონო ტალავარად დამშვენებოდა; ტყავის ქამარი ვიწრო წელზედ სამეფო სარტყლად. პასუხს ვეღარ იძლეოდა აღელვებული; ენა ებმოდა. მარცხენა ხელით ახლად აშლილ წვერს ებრძოდა, ულვაშს არხევდა. მის დანახვაზედ ქალის ბაგეს აეთვისა ღიმი დამცინი, ხოლო მისი თვალნი განცვიფრებამ დაადიდრონა. შენიშნა მწირმა; უნებლიედ ჩააკვირდა ქალწულის სახეს, მის მეტყველ თვალებს, უნაკლულო აღნაგობასა. გასცდნენ. გადაიარეს ონისესთვის ძნელმა წუთებმა.

— მთლად ახალგაზრდა ყოფილა შენი ნაქები შაგირდი.

— ოცდასამი-ოთხი წლის ჭაბუკი გახლავსთ.

— ბერად შედგომა მაგისთანა ვაჟკაცისათვის!

— არ დაიშალა: ბერი ბიძა აგულიანებს. დიდი ნიჭი აქვს. გამიგზავნეთ ბიზანტიას განსასწავლადა, შეავედრეთ ბატონ მეფესა.

— დაამშვენებდა ჩემსა ეგ რაზმსა. რა ძლიერი სჩანს! მოუხდება აბგარ-აბჯარი.

მამას ეთანხმებოდა ქალი თავის გულში: შეუდარებელი რაინდი დადგებოდა იგი მწირი ქალის ფიქრითაც.

4

წავიდნენ სტუმრები. კიდეც დაივიწყეს ეს შემთხვევა. მხოლოდ ონოფრეს ვეღარ დასცილდა იგი. არა! დაივიწყა იმანაც ყველანი და ყოველივე, გარდა მოღიმარე მზეთუნახავისა, გაკვირვება რომ აჰსახოდა ლამაზ თვალებში. ვეღარ მოშორდა იგი ქალი მის გონების თვალს; მარად წინ ედგა; ნამდვილ ის იყო.

— ხსოვნისაგან ანახაზი მისი აჩრდილი.

— არა! თითონ ქალი ხორცშესხმული! ოდნავ იღიმის; ანათებს თვალებს.

ახალგაზრდას მისი მახვილი მეხსიერება მიმკრთალ სახეს არ უჩვენებდა სინამდვილისას, აჩრდილს ფერმიხდილს; მისი ხსოვნა თითონ საგანს ინახავდა თვის სალაროში. და ისევ ცოცხლად წარუდგენდა ხანთა შემდეგა: გაიღიმებოდა თილისმიან სავანის კარი, გამოვიდოდა ფერუცვლელი პიროვნება, ნივთი, ქმედობა. ცოცხლად მოევლინებოდა მწირს იგი ქალი, ნივთიერად: ჰხედავდა ტურფას, ჰყნოსდა იგი ყვავილოვან ხორცთ სუნნელებას, მიესმოდა აღტაცებულს იმისი სუნთქვა, მისი ხმაური; მკლავსაც მოჰხვევდა, შეიგრძნობდა თვით შეხებასა. თუ გაებედნა.

გრძნობდა ცდუნებას; შეეცადა დავიწყებასა; ბევრჯერ ილოცა; თვით ჩვენებას ევედრებოდა.

— განვედი ჩემგან, მაცდურო ჩემო მშვენიერო, სულზედ უტკბესო!

ვერ გასჭრა ვერამ! სულ თვალთ წინ ედგა ტურფა ქალი ბერობად მიხრილს. დახე ცოდვასა: არ აღონებდა მოჩვენება, სევდას არ ჰგვრიდა; სიმხიარულეს მიუბყრობდა ყვავილოვანსა, უბრყვილო რამ დაამებას მტკივნეულ გულის.

— კვლავ მოხვედ ჩემთან, სახეირო, არ დამივიწყე? რა კეთილი ხარ! არ უკადრისობ; გებრალები ვიღაც მწირი ცხოვრებიდან გაბიჯებული...

არ უშლიდა მუშაობას; კიდეც შველოდა: ახალისებდა.

— და აჩრდილი მწირს შრომის ჟამს ეხმარებოდა?

ძლიერ ცდილობდა მისი ეშხით უნაკლოდ ესრულებინა საქმე ნატვირთი. ეს აამებდა ტურფა ჩვენებას: მოვიდოდა, დაჰხედავდა; მოუწონებდა; მის თვალებში გამხნევებას შენიშნავდა, ლამაზ თვალებში. რა დიდი სასყიდელი იყო ეს მისთვის! მთლად განცვიფრებული იყო დიდი ოსტატი ონისეს ნამუშევარით.

— არ მეგონა, ესეთის სისწრაფით დახელოვნდებოდი. ოღონდაც რომ დიდი ნიჭი მიუცია შენთვის შემოქმედს. ძლიერ ვეცდები სამზღვარგარედ გაგაგზავნინო, თვით ხელმწიფე მობრძანდება და მასაც შევთხოვ.

მხოლოდ ის აჯავრებდა ბაკურს, რომ მისი ძვირფასი შა-

გირდი არაფერს ხალისობდა: საერთო მხიარულებაში არ ერეოდა, კიდეც ერიდებოდა ხალხს, თანამუშაკთ. ოსტატთანაც ცოტას იტყოდა. განმარტოებით დადიოდა ჩაფიქრებული.

5

დროც აღარ ჰქონდა ეხლა ონოფრეს: ორნაირი სამუშაო გასჩენოდა, ერთმანეთზედ უფრო საფრთხილო; გუმბათის ქვას ლარს რომ ავლებდა, აყალიბებდა და უნაკლოდ დათლილს აწყობდა; ზოდსაც ჰკერჭნიდა, ჰსთლიდა, ჰკვერავდა, რაღაცა სახეს აქანდაკებდა. ამ საშრომს არავის უჩვენებდა; განცალკევებით მუშაობდა; არდაგებით დაეფარნა უცხო თვალისგან.

— დაუძახე ონისიმეს: სადილის დროა.

— ვიყავ, ვუთხარი: ხმა არ გამცა, თითქო ვერ ესმის.

— რას აკეთებდა?

— თეთრ ქვას ჰკვერავდა.

ნელ-ნელა ისახებოდა ონისიმეს სამუშაო, გამოდიოდა განუჭვრეტელ რაიმ ჯანღიდან არარსებობის; ახალ-ახალ ნაქვთს ისხავდა ოსტატის ხელში; იკრიბებოდა, მატულობდა ნათალ ქვაში მისი მზგავსება, ვისიც დასახვა ჰსურდა სურვილით ახალ ოსტატსა. და წარმატება ხალისს აძლევდა მოქმედ ხელოვანს, ჰმატებდა ძალას, შრომის უნარს მიაწოდებდა.

გადიოდა დრო. ყელყელობდა გუმბათის ყელი. კიდეც დასრულდა ლამაზ სვეტად შორით მჩინარი. შეუმჩნევლად გრკალდებოდა ყოველ მხრიდგანა; ეწყობოდა საფუძველი გუმბათის ცასა, თითონ კამარას, ადონაის სავანედ ნაწესს.

სრულდებოდა მარმარილო, ინაქვთებოდა დრუნგილის ქალი! როგორა ჰგავს იგი მზიას, თვის პირველ სახეს! და შეჰქმნა კაცი მიწისაგან! მაგრამ... მხოლოდ ტანი მისი, ხორცი თუ ძვალი, ნივთიერი მისი სხეული. სახეა მისი დიდებულად გამოყვანილი, მაინც უსულო, უასაკო, ლოდის ნაკვეთი. სიცოცხლე მოეც, სულის ცხოველი! ან... წუთსავ დაიმსხვრეს, არ არსებობდეს!..

— ონისიმე! უნდა მაჩვენო, რასა ჰმუშაობ.

— არა, ოსტატო! უსულო არის და შეურაცხჰყოფს, ვისაც ჰხატავს, ქალწულ მშვენებას.

— ვერ მესმის კარგად.

— შენგნით ნაშენი თუნდ ეს გუმბათი მით არის კარგი,

რომ ცოცხალია: გაგრძნობინებს, თვით გაცნობს, გეტყვის, მანამდისინ კი...

— მანამდისინ კი ყორეა მხოლოდ, თუნდაც მაგარი: შემოქმედს ხელი ვერ შეუხია.

— მას გავაცოცხლებ, შთავბერავ სულსა!.. მაინც, ოსტატო, ეს საშრომი როდის მიშლის ჩაბარებულ საქმის კეთებას. თუ აღარ ხარ კმაყოფილი ჩემის ნაშრომის?

— რას ამბობ, კაცო! აღტაცებაში მოგყევარ ამ ბოლო ჟამსა. ესე დიდი წარმატება ამ მცირე ხანში?!

და ლოცულობდა ონისიმე, ევედრებოდა დიდ შემოქმედს, მიეცა ძალა, რომ შესძლებოდა ჩაედგა სული იმ სახებისთვის, მისგან შექმნილ მშვენიერისთვის. ჩაჟინებით ჩაჰყურებდა ქვისგან ნაკვეთ ლამაზ აღალმას, გარნა უსულოს.

— მომმადლე ძალა, შემოქმედო, მომეც ნიჭი სასწაულისა და გმსახურებდე სიკვდილამდე, შეგწირო სული.

— ოცნებაში ჰხედავ სახეს სიცოცხლით სავსეს?

— ვხედავ, დიდო შემოქმედო! ეჰა, მიღიმის...

— იმოქმედე, ნუ დასცხრები, სცადე მრავალ გზის!

და ეჭირა საჭრეთი, კვერი და ჩაჰყურებდა აღგზნილ თვალებით ქანდაკებას ჯერეთ უსულოს.

— ამოძრავდნენ, შემოქმედო, ტუჩნი ესე მზეთუნახავის, ჩჩვილის ღიმილით გაეპოს ბაგე ვარდს აკოკრებულს! — იტყოდა მწირი

და სიოს სინაზით შეახებდა მჭრელ ხელსაწყოს ბაგეთ არესა.

— გაიღიმა!.. მისმინე, ღმერთო? ბალღის ღიმილი ქალის სახეზედ! ღიმის სინათლე ეფინება მწყაზარ ღაწვებზედ, მიდის თვალთაკენ... ახ, ეს თვალები...

— მიეც მათ სხივი სიცოცხლისა, შემოქმედო ყოვლად ძლიერო! — იტყოდა მწირი

და სიოს სინაზით შეახებდა მჭრელ იარაღს თვალთა არესა.

— ააჩნდა შუქი! აელვარდა ნაპერწკალი ცნობიერების! მოღიმარე განცვიფრება შუქურ თვალებში!..

და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლის!

გუმბათის ცა იწურება, მალე შაიკვრის.

— ონოფრემ ბევრი დახმარება გაუწია დიდ ოსტატს ამ ძნელ საქმეში.

— მართალია! თითონვე ამბობს ამას ბაკური; მადლობელია.

— ისეთი ხელოვანი გამოდგა ონისიმე, რომ ბატონის ქალის სახება გამოუკვეთნია მარმარილოდან.

— ვიცი! შენობის დათავებისას რომ დღესასწაულს გამართავენ, მაშინ მიართმევსო ქანდაკებას ზღვნად.

— გადამეტებულსაც ამბობენ: იმ ქვის სახებას თურმე ლოცულობს; მიწას გართხმული მის წინაშე ბევრს უნახავსო.

— ხატი იქნება, თუ ევედრება. ყოვლად წმინდა ქალწულის სახე თუ გამოკვეთა.

— გავიგებდით, თუკი ვნახავდით; ძე ქრისტიანს არვის უჩვენებს!

— შეუჩადრია, ისე ინახავს. დროს რომ იპოვის სამუშაოდ, მაშინღა გახსნის. ახლოს მაინც არავის უშვებს, მეტადა ჯავრობს.

ეს ამბავი იცოდნენ კიკეთელთა ოჯახშიც და მიელოდნენ საიშვიათო ზღვენს. ბატონ კვირიკეს აღეთქვა ბაკურისათვის, დიდ ყურადღებას მივაქცევო მაგ ნიჭიერ მწირს. მწყობრად მიდიოდა ყოველივე; ბედნიერად დათავდებოდა, თუ ეშმაკს არ შეშურდებოდა და ბნელით არ დაეფარნა იგი ნათელი.

მონასტერშიც მივიდა ონოფრეს ამბავი. წინამძღვარმა და ქრისტეს მიერ ძმათ მადლობა შესწირეს უფალს, რომ მათ შორის აღმოჩნდა რჩეული, რომელმაც სახელი გაითქვა საეკლესიო ხუროთმოძღვრობაში. იმედი იყო, მისი მარჯვენა დაამშვენებდა დიდებულ ტაძრებით ბევრს მხარეს ღვთისმშობლის ხვედრის საქართველოსი. ეს მწირის ბიძამაც სასიამოდ მიიღო, მაგრამ მეტი ყურადღება მიაქცია იმ ამბავს, რომ მის დისწულს კაცის სახე გამოეკვეთნა ქვიდგან და... თაყვანსა სცემდა.

— ქვის ხურო რომ ლოდს გასთლის და სახეს გამოიყვანს ეკლესიის დასამშვენებლად: ჯაჭვით დაბმულს ლომს-ბელიარს, მსხმოიარე ვაზს იესოს, რომელი არს ვენახი ჭეშმარიტი, კეთილ რამ ყვავილს სამოთხისას, ეს წესი არის და მისახვედრი. მაგრამ ქალის გამოკვეთა მარმარილოდან და მის წინ დი-

დი აღტაცება ჭაბუკისაგან... სხვას ვხედავ აქ მე. დაიხსენ, ღმერთო, სულიერი შვილი ჩემი ცთუნებისაგან!—სთქვა ბერმა.

ჩაიცვა ქალამნები, აიღო კვერთხი. დაადგა გზასა: თავის თვალით უნდა ენახა ყოველივე. მივიდა. შევიდა ონოფრესთან.

— მშვიდობა შენდა, საყვარელო შვილო ჩემო!

— მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ღირსო მამაო. გვაკურთხენ!

ბერმა აკურთხა. ეამბორა. ჩამოჯდა ქვაზედ. მიავლ-მოავლო თვალი ფარდულსა. ქვები ელაგა დათლილ-დაკვერცხილი.

— ეკლესიისა?

— დიაღ, მამაო!

— შეგიწიროს! მიხარის: ღმერთს ნიჭი მოუცია შენთვის, ჩემო დისწულო. მოვიდა ხმა, ქვიდან წმინდანის სახეც გამოგიჭრია.

მწირი შეჰკრთა, ფერი ეცვალა; პასუხი ვერ გასცა.

— მიჩვენე, შვილო საყვარელო! მიამება, რომ დავინახავ კეთილს გზაზედ შენს წარმატებას.

სდუმდა ონოფრე; ადგილიდან აღარ იძროდა. ბერმა რიხიანი სახე მიიღო და უბრძანა, დამორჩილებოდა. მწირი ნაჩვევი იყო ბიძის ბრძანების ასრულებას და დამორჩილდა. გადაჰხადა დაფარნები თვის მაოქმედარს. ბერი დააკვირდა. განცვიფრება აეხატა სახეზედ. შუბლი შეიკრა. ბოროტი ცეცხლი აეგზნო თვალებში.

— ახალი სახე ძველის კერპისა!

— ბაბილონ კვირიკეს ქალის სახება.

— თვით ბელზებული იმ ქალის სახით!

— რა ბრძანებაა?!

— არა ჰქმნა თავისა შენისა კერპ! თუ დაგავიწყდა, შე უბადრუკო, ვითარ მოიღო მოსემ კერპი იგი, რომელ ჰქმნეს ძეთა ისრაილისათა, და დამუსრნა იგი წვლილად?

მწირი უსიტყვოდ იდგა განრისხებული ბერის წინ: გამოუთქმელმა ჯავრმა კრიჭა შეუკრა. მისმა დუმილმა უფრო განარისხა მსახური ღვთისა. წარსდგა ნაბიჯი. ჰაერში ჯვარი გამოსახა ქანდაკების წინ. წარსთქვა:

— შეიმუსრნეს ნიშითა და სასწაულითა ჯვარისათა ყოველნი წინააღმდგომნი ძალნი.

და დასწვდა ჩაქუჩს. ელდა ნაცემმა მწირმა შესძახა:

— არა კაც ჰკლა!

და გადაფრინდა მისკენ.

გვიანღა იყო: მოხვდა რკინა ნარმარილოს. დაიკვნესა ქანდაკებამ და შეიმუსრა. მწირმა შეჰკივლა განწირულად და დაეცა ნამსხვრევის წინ.

— და მეყვსეულად სულმან არაწმინდამან დააკვეთა იგი! — წარსთქვა ამბაკომ.

მიეშველნენ. აბრუნებდნენ. მოსულიერდა. ადგა, აკრიფა ნამსხვრევები, შეკრა არდაგში და გაემართა. გასცდა ეზოს, ტაძრის გალავანს. მიდიოდა აღმა-დაღმა. მიეფარა ხშირსა ნაძვნარსა.

— მიდის შემცოდე მონასტერში! იქ მოინანებს! — დაასკვნა ბერმა

და დამშვიდდა. სხვებმაც მეტი ყურადღება აღარ მიაქციეს ამ ამბავს. თანდათან დაივიწყეს. არ ივიწყებდა მხოლოდ დიდი ოსტატი. ის ეხლა უფრო მტკიცედ დაადგა თავის განზრახვას: გამოეტაცნა ეს ცხებული მონასტრიდგანა ძალის მექონთ შემწეობითა და გაეგზავნა განსასწავლად სამზღვარგარეთა. მწირი არ მისულიყო თვის მონასტერში. ეგონათ, სხვა რომელსამე სავანეს თუ შეეფარაო. არც ეს გამართლდა: არსად აღმოჩნდა.

* *

გაიარა დრომ. გავიდა ხანი. დიდ ნაძვნარში გამოჩნდა დევი. საშინელი დიდი იყო ნაძვნარის დევი. წვერ-ულვაში და ჯალჯი თმა წელამდი სცემდა. ტყაპუჭი ჰქონდა ტანთ მოხვეული, ყავარჯენად გალოპრილი ნაძვი ეჭირა. ბევრმა ნახა ალგეთის პირს, გამოქვაბულში; უღრან ტყეშიაც. უწყინარი დევი იყო: ადამიანს, არც საქონელს არას ერჩოდა. ეს იყო ძნელი: მოსწვდებოდა, ვისაც ნახავდა, შეაყენებდა, ცეცხლის თვალებს ჩააშტერებდა და... გაუშვებდა.

— სჯობს, არ გაექცე: ძალიან ჯავრობს.

— ან სად წაუხვალ საშინელ დევსა?

ჟამითი-ჟამად გაისმოდა უღრან ტყეში, მღვიმეებში, თუ მდინარის პირს დევის ქვითინი საზარელი, ხანაც ხარხარი: ნაძვნარის დევი ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

1921 წ.

სული მთვლემარე

— კაცო, მზე მოიღალა სიარულით, სოფელი ფეხზე დგას, ქვეყანა აჟიჟინებულია, შენ კი სათარივით ჰხირიხარ წაგორებული. ადე, ხელი გაანძრიე: კარმიდამოა, საბძელ-კალო, მინდორი, ტყე, ათასი საქმე. ადე, გაიძარ! — ეუბნებოდა მარო თავის ქმარს

და მისი ხმა თანდითან მაღლდებოდა, ხშირდებოდნენ მის თქმაში მშრალ ბგერათა ბუნჯგალნი, მჭახედ სათქმელი ამოძახილნი; მრავლდებოდნენ ჩხუბის წინამორბედ ხმათა მიმოხვრანი ტეხილ-ლეწილნი.

ცოლის ატეხილ ხმაურობაზედ წაიქშინ-წაიბურტყუნა გულაღმა მწოლარე გიგოლამ და გვერდი იცვალა, გასწორდა; ამოუშო დევივით ფშვინვა.

— ერთი დახედე ამ გულმკვდრის შვილსა! განა აქვს ამას უნარი სახლის მოვლისა, კერის შენახვისა?! — წამოიკივლა გააფთრებულმა

და ტახტზედ დაებჯინა მუხლით, წაიწია მძინარესაკენ, წაატაკა გამხმარი თითები, კალიის ფეხივით გამოფიტული ხელი წრიოკი. ტყუილად! ვერ აგრძნობინა, ვერ ჩაატანა.

ვეება ჯირკივით კაცი იდო ტახტზე, საბანქვეშ. თავი უჩანდა, შამბად ატეხილ ჯაგარის ტევრებით გარემოცული ქეჩო და ქალა; ვიწრო შუბლი ედგა უკან დახრილი. პირი კედლისაკენა ჰქონდა გულაღმა მწოლიარეს, ცხვირი მაინც ბარაქიანად ამოსჩენოდა, კეხად ამაღლებული !ასუნთქი იარაღი უშველებელი. საბანი ვერ გასწდომოდა, ვერ დაეფარნა ბალნით მოსილ წვივზედ ტლანქად მობმული ფეხი უზარმაზარი. მკლავი ზევიდან ეგდო, დამორილი თითებით საბნის ნაკეცი შეეჭმუჭნა. გააძლიერა მკვრგვინავი ფშვენა, უშფოთველის, წყნარის სვენების მაღლა მთხრობელი. გამწარებულმა დედაკაცმა შეანძრია მდებარე გორა, შეაჯანჯღარა.

— ჰა? რა ამბავია?

— ღმერთმა რომ არ იცის შენი თავი!.. წყეულიმც იყოს ის დღე, შენ რომ გადაგეკიდე!..

— მოდი, დედაკაცო! რა სულა ჯავრობ?! — ამოილუღლუღა მწოლარემ

და გადასდო დედაკაცს მარჯვენა. ხელის სიმძიმემ სიფრიფანა დაჰხარა საბნის პირამდინ. კაცმა მოიბრუნა პირი ცოლისკენ. ბუნდათ უბჟუტავდა სავსე სახეზე წვრილი თვალები, სილრმიდან იმზირებოდნენ პაწაწინები.

— თვალი შენც დაგიდგება! — მიაძახა მარომ

და ძლივს გამოუსხლტა ბეჭებზედ გადადებულ თათს. ერთს ხანს დოინჯით ადგა თავს მწოლარეს; მერე გაუპო ტუჩები ღიმილმა გამკილავმა, მიაყარა ქოქოლა ქმარს, სარტყელშივე გაიმაგრა კაბის კალთა და გატრიალდა.

* *

გულით როდი სწყევლიდა თავის ქმარს უზარმაზარს, არც ქოქოლას აყრიდა გამეტებით, მედგრად, ორივე ხელით. თვალებს გამოჰლადრიდა ფიცხი, თუ ვინმე გაჰბედავდა მისი კაცის ჩასაქოლად ქვის აღებას, თუნდაც საქოლავის ღირსი ავი ჩაედინა მდორეს, გულფიცხელობას მთლად მოკლებულსა, ავზნეობისაგან სავსებით გაძრცვილს.

— შე უმადურო! გუშინ მთელი დღე ამუშავე ჩემი კაცი, იმდენი ჯირკები ძირიანად ამოაბრუსა შენს ახოში და საკმაოდაც არ დააპურე ბეჩავი?! შინ მომთხოვა შეჭამადი.

— არა, ნათლიდედ! ძლიერად რომ იმუშავა, სადილი მადიანად ვაჭამე; მაგრამ რა ვქნა, რომ ამირანს აჯობებს ჭამაში.

— ლუკმასაც უთვლი პირში?! აბა მაშ შემდეგაც იშველიე...

ყოველ დღე სწყევლიდა გიგოლას მარო, ყოველ ჟამს ჰკრულავდა მას ხმამაღლა. მთელი ეზო-ყურეს გასაგებად; მაგრამ ხმადაბლა, მხოლოდ თავის სასმენად თუ ყურმახვილ ღმერთის გასაგონად, მაშინვე უმატებდა: „ნუღარვე"! პირი რომ სწყევლიდა ბოროტად მოთქლეშილი, ძუძუ აქარწყლებდა მის კრულვას ლბილი, კეთილი. სძულდა ქალს ქმარი ყოველ წუთს, უყვარდა მარადჟამს: საქმეში სძულდა შრომისთვის თავგადაკლულს ნებით გარჯის უარმყოფელი; შრომაში თვის

გვერდზედ ვერა ჰხედავდა მეუღლეს და მისთვის ეჯავრებოდა, მიტომ წყრებოდა; უამებოდა იგი ცოლს ჯაფის გარეშე, გულში ულიმოდა მისგან დამტკბარი, მთლად კმაყოფილი.

დედაკაცი რომ ფიცხი ყო, ნაპერწკალი მარად მოძრავი, ელვასავით კისკასი, სწრაფი, ერთსა და იმავე დროს ყოველგან მყოფი თავის ეზო-ყურეში, კაცი მთლად მდორე იყო, თითქო უძრავი; მის ერთს ფეხის გადადგმაში სრული საათი გადიოდა დედაკაცისთვის, მთელი საუკუნე; იმისთვისა სძულდა ტარივით მბრუნავს ზანტი, უძრავი. მისთვის ჰკრულავდა ბეზარმოსული; მაინც ლოცავდა მისგან დამტკბარი ძუძუებით, უალერსებდა ნდომის ღიმილით. დიდი მიმზიდველი ძალა ჰქონდა ქმარს ცოლისათვის, მარაღ მიმხვრელი; უკუმქცევი სიძლიერეც დიდი დართოდა, უარმყოფელი. ეს იყო დედაკაცის უბედურება; მისი ბედნიერებაც ეს იყო.

— კაცო, გიგოლ! ხბო დაჰხვევია მარგილს; მიგიბამს, მიგინებებია; დაიღრძო საწყალი. მიეშველე! — შესძახა მარომ, რომელიც თონის პირას ქვაბებსა ჰხეხავდა ნაცარტუტაში.

— ჰა? ხბო დახვეულა?

— ვერა ჰხედავ?! რა ჩემი თქმა გინდა!

შეინძრა გიგოლა, შეირყა, გადადგა ბიჯი:

— ჩქარა, შე შეჩვენებულო!.. ნუღარვე!..

შუა გზაზედ იყო კაცი, დედაკაცს რომ გულმა ვეღარ მოუთმინა, დააგდო ქვაბი, გაექანა; მიუსწრო. რა ტანი დაამძიმებდა! პატარა იყო, შავად შემწვარი. ძარღვებად ნაქცევი, ქარივით დაჰქროდა. მფრინველი, ბუხრუკები, ცოცხი, ბუხარი, ავღანი ბალღები, სარეცხი... ვინ მოსთვლის, ღმერთო ჩემო, რამდენი საქმე ჰქონდა გამჭრიახ დიასახლისს; წვრიმანი საკეთი უმნიშვნელო, მაინც აუცილებელი, უთვლელ-ულევი. მართოხელი მეუღლე იყო, უნებლიეთ თავისკენ მიეწივნა „ტოლი“ მეორე ცალის უქნარობის გამო.

— სისხლი გამიშრო შეჩვენებულმა... ნუღარვე! მაგ... ეჰ, გული რომ ვერა სწყევლის: რაც უნდა იყოს, გვირგვინია ჩემი, მამა ჩემის ბალღებისა; ბედია ჩემი, ცისგან მოცემული იღბალი მძიმე, უხეშ-უძრავი...

ქმარი არ შეეფერებოდა დედაკაცს აგებულებით, ხასიათით, არც მისწრაფებით თუ აღზრდით, გარდასრული ხანით ბალ-

ღობისა; მთლად მოწინააღმდეგე თვისებებისაგან შესდგებოდნენ ეს ორნი. იქნება ამისათვის იზიდავდნენ ერთმანეთს მარად ერთმანეთის უარმყოფელნი?!

* *

მარო ბალღობიდან იცნობდა გიგოლას, სულ პატარაობიდან, იმ ხნიდან, როდესაც ის ქალაქიდან მოჰყვებოდა თავის დედას ბექობიანში ზაფხულობით. რაკი ქერები გაიჭრებოდა, აგლანა ამოჰყვებოდა შეშის ურემს თავისი გოგოთი და ათასგვარ სავაჭროთი სავსე ბოხჩებით, ყუთებით, პარკებით; დაიდებდა ბინას ნათესავისას; დაძრწოდა კარი-კარს, უბნიდან უბანს, სოფლიდან სოფელს. დოინჯაანთ ქალი იყო, მთაწმინდელი ზეინკალის ცოლი, წყაროს უბნიდან. ქმრის შემოსავალს თავისი დალალობით ამრავლებდა. ამოიტანდა საწვრიმანოს, უფრო ქალთა საამოს თუ გასახარს, და სცვლიდა კვერცხზე, კარაქზე, ხორბალზე, ხილეულობაზე, სამარხოზე თუ სხვა მოსარგოზედ. თავისი კუთხე ჰქონდა აჩემებული; იქ აგროვებდა ყველაფერს კალათებში, პარკებში, კასრებში, ქილებში. მთელი ზაფხული რჩებოდა სოფლად, სთველსაც აქ ატარებდა. ხვავიანად იმარაგებდა სარჩოს; გასწევდა დატვირთული ურმით ქალაქისაკენ. წასვლისას ერთ-ელ კიდევ ჩამოუვლიდა ყველას, უფრო შემძლე ოჯახებს, დაემშვიდობებოდა. ბაღჩა-ბაღიდან თუ მინდორ-ველიდან შემოსული დოვლათით დატვირთულნი არ ისტუმრებდნენ საჭირო ადამიანს ხელცარიელს, სთავაზობდნენ, ასაჩუქრებდნენ.

სასარგებლო იყო გამოქნილი: საჭირო სავაჭრო რომ თითონ მიჰქონდა ყველას კარს, წამლობაც იცოდა, შაკეკიანი, შაშინებული, თვალნაკრავი, დამიზეზებულნი ხშირად რჩებოდნენ მისი წამლობით, მეტადრე თუ წამლის მიღებისას კიდევ შეულოცავდა. ძალიანი იყო მისი შელოცვა: მთქნარებით ყბა ეხეოდა ლოცვის დროს. მკითხაობაც ეხერხებოდა: ბანჭოში ცხადად ჰხედავდა მომავალს. რამდენჯერმე სცადა დაბმული ბედის ახსნაც; გაუმარჯვდა, დაჟამებული ქალები დაათხოვა მისმა თილისმამ, ბედნიერად დააბინავა.

— შენ არ იცი, როგორ უნდა ბედის ახსნა?! კარგი, გასწავლი. უშვილობის წამლისათვისაც მიეგნო, თუმცა ძალიან

იშვიათად ხმარობდა, დიდის სიფრთხილით, საიდუმლოდ ძლიერი წამალი იყო, თითქმის საშიში.

— იცი, ქალოჯან, უცხო თვალი და ყური ძალას უკარგავს ამ უებარ წამალს.

— მართლა, ადამიანო?!

— რამდენჯერ გამომიცდია! იმ ჩემი ერთადერთი გოგოს მზემ, მეც მიკვირს ამ წამლის ამბავი.

ქალაქში დაბრუნებული აგლანა მაინც არ მოსწყდებოდა სოფელს, კავშირი ჰქონდა მასთან: გამოცდილი იყო ვაჭრობაში, უფრო ქსოვილის არჩევაში; სოფელს კი ათასი რამე ჰქონდა სავაჭრო: ჩითი, ნარმა, ხამი, მიტკალი, ქიშმირი თუ სხვა ფართალი რამ დასჭირდებოდათ, მიმართავდნენ გაჭირვების ტალკვესს, გაიყოლებდნენ. ვაჭრებიც იცნობდნენ, იმადლიერებდნენ, რომ სოფლის ხალხი მათკენ მიეზიდნა. ამითიც სარგებლობდა დალალი, ორივე მხრიდან ჰაზრიანად გამოჰქონდა გასამრჯელო; ყველა კმაყოფილი რჩებოდა. კარგი სარგებელი ჰქონდა დედაკაცს, როდესაც რომელსამე ოჯახში ჰმზითავდნენ ქალს: ბევრი იყო მაშინ სავაჭრო და ყველაფერს როჭ ცოტ-ცოტას ჩამორჩებოდა, საკმაო საწირავი ხვავდებოდა...

— ალალი იყოს! ვინ აყვედრის გამრჯელს გასამრჯელოს?!

ქმრის დროსვე ესე შრომობდა აგლანა. ცხონებულის შემდეგ მთლადაც გადმოუხვია ამ გზაზედ: საუკეთესო გეზი იყო მის დასაპურებად. ამ ტანტალში, ქალაქიდან სოფლად სიარულში, დედაკაცს განუყრელად დაჰყვებოდა თავისი მარო. ჰშველოდა: ათვალიერებდა, ალაგებდა, ჰყარაულობდა გასასყიდ საქონელს თუ აღებულ სარგოს. გამჭვრეტი თვალი ჰქონდა მახვილი, დიდად გამოსადეგი იყო დედის ხელობაში.

წამოჩიტდა გოგო, წამოიზარდა, დაბზინდა: გრძნობათა ღივებმა გაიღვიძეს მის გულში; მიმზიდველ-მამშვენებელ ვნებათა საგუბარნი აბირთვდნენ მკერდზედ. დედა რომ ვაჭრობდა და საზრდოს საკრებად მახვილ თვალს ადევნებდა ყველაფერს, მისი ქალიც მუშტრის თვალს ავლებდა წამოღერებულ ბიჭებს, სათავისოდ ზომავდა ჭოჩორ-ჭოჩორებს. ამ თვალიერების დროს იყო, რომ მაროს შეებრძოლა თავისი გული და რა ძლიერად! ყველივე საღი მოსაზრება დაუფერფლა, ჭარს გაატანა.

* *

— ნეტა ფეხი მომტეხოდა, ამ სოფლისაკენ პირი არ მექნა არასოდეს! ახლა რაღა ვქნა და რა წყალში ჩავვარდე?! — გულს ეყრებოდა აგლანას.

ველარაფერი გაეწყო: როგორღა გადმოაგდებდა სასიკეთო გზაზედ ქალობაში გადაბიჯებულ თავის გოგოსა?!

— აკი ჭკვიანი იყავ, შე გულკვდრის შვილო, კარგად იცოდი ავკარგის გარჩევა; სავაჭროს არჩევაში მეცა მჯობდი ხანდისხან. რამ დაგიყენა ეგ დასაბრმავებელი თვალები ამისთანა მძიმე საქმეში?!

ყელს აგდებდა წელგადამტვრეული გველივით, უღონოდ ახეთქებდა თავს, ამოუსვლელ ხნარცვში ჩათხეული. დრტვინვითა და წუხილით ველარას უშველიდა ჯავრმორეული; ან უნდა გადაეჭრა ის სამატი, რომლითაც გადაჰბმოდა გოგო ზერდაგსა, ან მითომ ნებით ჩაჰყოლოდა, მძლავრად ჩათრეული.

— ეს რა მომივიდა, ქა?! სხვებს ვურიგებდი ბედს თვალდამდგარი, თითონ ჩემი ვერ გავარიგე საბედნიეროდ, ფლატეში გადავამზღვრიე ჩემისვე ხელით.

ჯავრით თმას იბდღვნიდა, ლოყებს იკაწრიდა. რაღას უშველიდა?! ერთხელ-ორჯერ გულიც იჯერა: ათრია გოგო, ხორცი აგლიჯა, ჩაალურჯა. ამაოდ! მარიკო ჯიუტად ასდევდა თავის კვალს, ლირფად იღიმებოდა: განცდილი ტკბილი სახეები თუ უალერსებდნენ მის ახალ ქალობას. დარწმუნდა დედაკაცი, რომ გვიანღა იყო; დაჰყვა უბედო ბედს, აუცილებელს. ბარემ მუხლი ეკვეთებოდა ამ მისთვის არასანდომ გზაზედ, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა შებოჭილ-შებორკილს.

სულ უბრალოდ მოუხდა გოგოს ეს ამბავი; ბრანძვიაანთ სახლი ხევის პირას იდგა, სოფლის ბოლოში. ღარიბი მეკომური იყო ივანე, ძალიან უხაროდა თავისი ბიჭი, მომეშველება მუშაობაში, მხარს დამიჭერსო. საფუძვლიანი იყო იმედი: ჯანსაღი ბალღი, ერთობ სრული, ვეებერთელა. ბრანძვიანთ მოსდგამდათ სიმსხო; ამას გადაეჭარბებინა. მისი ხელ-ფეხი დათვის ტორებს მოგაგონებდათ. გოლიათის ტანი დაიჭირა კოპიტად ნაგებმა. ღონეც შესაფერი ამოაჩნდა: უბრალო საქმედ მიაჩნდა ჯერ ისევ ბალღს ვაჟკაცთან ერთად აეწია სავსე ტომარა თუ სხვა რამ სამძიმო. ის იყო ცუდი, ერთობ ნელი იყო!

საქმეში, მიხვრა-მოხვრაში, თითქმის მთლად უძრავი. კოლოტივით იდო ამდღე ძილისაკენ მიქცეული; რომ ეღვიძა, მაინც ეძინა: მილეული ჰქონდა მბჟუტავი თვალები, უძრავად გაიყურებოდა სივრცეში, თითქო ვერაფერი იზიდავსო უგრძნობელსა. იშვიათად აღელდებოდა მარად მთვლემარე, მაგრამ მაშინ დიდად სარიდო იყო: ისე დასტორავდა მოპირდაპირეს, რომ ვეღარ დაავიწყდებოდა მისგან ვნებულს.

ვერ გამოდგა ბიჭი მორბედად: უარს არ იტყოდა, მაგრამ მოთმინება ილეოდა, მანამ ის შეუდგებოდა საქმეს და ზლაზვნით გააკეთებდა: წყაროზედ ვერ გაეგზავნათ შიშით, მოსვლა აღარ ეღირსებოდა; მძიმე იყო უღელზედ მეხრედ, ღამეც ვერ უშვებდნენ მძინარას გუთნეულის დასამწყსავად. ბარი და ნაჯახი კი მისი საქმე იყო; დაადგამდა სატერფალს ფეხს, ბარს მთლად ჩაუტარებდა მიწას; დაჰკრავდა ნაჯახს, ყუამდინ ჩასვამდა ხეში. მაგრამ რა! თითო საათი უნდებოდა თითო დაკვრას. მაინც მისი შნო იყო, რომ მთელ სოფელში საუკეთესოდ იყო შემოფარგლული ბრანძვიაანთ კალო-საბძელი, ეზო და ბაღჩა: ისეთ კარჩხას მოათრევდა ტყიდან, უღელი ხარის სათრევადა კმაროდა; ისეთ ხარიხოს ჩამოიტანდა, თავხედ გამოდგებოდა. სუფთა საქმე სრულებით არ ეხერხებოდა: მისი დამორილი თითები გახევებულნი ვერ ეხვევოდნენ სათუთ საკეთს საფრთხილოს.

უყვარდა ბალღებში ყოფნა, ვერ კი შეძლო მიეღო მონაწილეობა მათ გართობაში: ჩილიკა-ჯოხი, წრე-ლახტი, მალაყი დიდ მოძრაობასა თხოულობდნენ, მარდს; ეს არ შეეძლო ნივთდაჭარბებულს, მძიმედ ნაგებს.

— ბიჭო, ბიჭო! აგერ გიგოლა მობაჯბაჯებს; დაგინახეში ჩავაბათ, ან ტანტალოში.

— არა, სალექ-მალექი ემჯობინება, ვნახოთ, როგორ იძუნძულებს ცალფეხზედ.

არა სწყინდა ტოლ-ამხანაგების დაცინვა; თითონაც ესმოდა, ასეთი სათამაშოები მისთვის არ იყო გამოგონილი. მაინც უხაროდა სხვების ხალისი; მხარ-თეძოზედ წამოწოლილი მბჟუტავ თვალს ადევნებდა მათ. ბიჭებსაც მოსწონდათ უძრავი ამხანაგი; შეუდარებელი მებარგულე იყო; ქუდი, ქამარი, ჩოხა, ჯიბურა ეყარა მის გვერდზედ თუ მის წინ. პატრო-

ნები დაიმედებულნი იყვნენ, არ დაეკარგებოდათ; ვინ გაჰბედავდა მიჰკარებოდა რასმე მისი შიშით?!

გიგოლას იქ ყოფნის დროს ვერც სუსტის დაბრიყვებას გაჰბედავდნენ თავწასულები: მხარს დაუჭერდა დაჩაგრულს. ნაწვნევი ჰქონდათ მისი ტორის სიმძიმე. ერთი გასართობი ეხერხებოდა; ბალღებსაც ძალიან მოსწონდათ: გაშლიდა მიწაზედ თათებს, ზედ შეიყენებდა ვისმე და ასწევდა, იმართებოდა, აიყვანდა; ისე ეჭირა ვეებერთელა ბიჭი, როგორც თოჯინა. გოგოებიც ხალისობდნენ ამ გასართობს.

— გოგო, მარო, აბა ეხლა შენ შედექი.

მსუბუქი გოგოს ასაყვანად მარტო ცალ ხელს გაშლიდა ბიჭი; ისე ადვილად ასწევდა, თითქო ფირფიტისაგან არისო ქალი გამოთლილი.

— თავზედ მომავლე ხელი, თმაში!

და იღიმებოდა განიერ ღიმილით, როცა მარო მის მონაბდღვლ ფაფარში ჩაფლავდა თითებს, ჩაბღუჯავდა შესამაგრებლად. ყველაზე დიდხანს ის ეჭირა ჰაერში, კიდეც გაატარ-გამოატარებდა. ამ შეჩვევამ და დაახლოვებამ გამოიღო შემდეგში ის ხენეში ნაყოფი, აგლანას რომ თვალი დაუყენა, გულს შემოჰყარა.

* *

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი დასრულებულ ტანს ატარებდა უზარმაზარსა. სათავისო სამუშაო კი ჯერ ვერ ეპოვნა; ჩვეულებრივ გლეხურ საქმისათვის არ ვარგოდა, სხვა შესაფერი საშრომი არ გასჩენოდა სათავისო. არც ძალიანა ზრუნავდა ამაზედ. შემთხვევამ თითონ გაუღიმა მას, დააყენა ცხოვრების გზაზე.

ერთს გაზაფხულს ბექობიანს მეჯუჯლე ეწვია. სავაჭრო არ მოიტანა თან; რაღაცა ჩარხები მოზიდა. ხელსაწყოები. აუარ-ჩაუარა ხევს; აკვირდებოდა, მიწას სინჯავდა: წყალს ასხამდა, ხელში ჰზილავდა, ასორსოლებდა, ცეცხლს უცხუნებდა. დიდი ხევი იყო; სხვადასხვა ფერის ნიადაგი ზოლზოლად ჩასდევდა ჩაკაფულს, ნაკეც-ნაკეცად. ზევიდან მუქი მიწა, ქვევით — ქვიშრობი. მჭადა-ქვანარევი; უფრო ქვეით

განიერი ნაკეცი ჩამოწოლილიყო კვერცხის გულივით ყვითელ თიხისა, ბოლომდინ, წყალის პირამდინ. ამ თიხის მადანმა მიიპყრო ოსტატის ყურადღება. გამოთხარა, დაზილა, ფირფიტებად დაათხელა, გამოსწვა; ერთმანეთს ურაკუნებდა, აწკრიალებდა, სიმაგრეს თუ ხმას უშინჯავდა. ულვაშებში იღიმებოდა: ჭკუაში თუ დაუჯდა.

ბრანძვიაანთ საბძელ-კალო იქირავა. შეუდგა სამზადისს, გიგოლა ზედ გამოჭრილი გამოდგა მის სამუშაოსთვის: თიხის დათხრა, ამოზიდვა, შეშის დაჩეხა. ნელ-ნელა მუშაობდა, მაგრამ ძალუმად. ოსტატიც არა ჩქარობდა: ქურის აშენებას უნდებოდა, ხელსაწყოების დადგმა-მოწყობას. ალერსიანად ეკცეოდა ბიჭს; ღიმი მოსდიოდა პირზედ: მის უზარმაზარ ფეხს შეჰხაროდა, ნიჩაბივით განიერ ტერფს, თვალით უალერსებდა უშურველივ მოზომილ-მოჩორკნილს, ბანჯგვლიანი სვეტის კვარცხლბეკსა.

მაშ რა უნდა ექმნა, როცა მისთვის კაცი მხოლოდ იმდენად ფასობდა, რაც უფრო ვეება ფეხი გამოჰბმოდა მძიმე და ტლანქი? ეგრეა: ზოგი ადამიანს უმზერს, როგორც ტვინს, სხვა როგორც მარჯვედ მოძრავს ხელებს თუ თითებს, ის როგორც ხმოვან საყვირად მოწყობილ ყანყრატოს, ეს როგორც კისკასად მოქმედ წვივებს, ლიტაოდ გებულს. ყველას თავისი ზომა აქვს ადამიანის შესაფასებლად. მიხახავს, კაცის ღირსება მის ფაშვით უზომნიათ, რამდენად უდრის და ემსგავსებაო კოლოტს მოკუპრულს.

გამართა ოსტატმა ქურა. დადგა თუ დააწყო იარაღი, თავისთვისაც საბძელშივე დაიდო ბინა. დაყარა დაზიდული თიხა კალოდ, ჩაასხმევინა შუაში წყალი.

— გიგო, ბიჭო! მოდი, დღიურად იმუშავე ჩემთან. შემოდგომამდინ დავრჩები აქ, შენც ჩემი მუშა იქნები ამ ხნის განმავლობაში.

— რა უნდა ვაკეთო?

— შენთვის სულ ადვილი საქმე! აბა დაიკარწახე მუხლებზეითამდინ. ეგრე! აიღე ნიჩაბი, აურიე თიხა. კარგია! შედექ ეხლა თიხის კალოზედ, იარე, ზილე, ტკეპნე, ნელა-ნელა იარე, როგორც გეხერხებოდეს.

ეგრე! პირში გეტყვი: ორი მუშის ტოლას გააკეთებ. თუ

კენჭი მოგხვდეს, ამოიღე: ფეხს აღარ გატკენს, თიხაც სუფთად დაიზილება. აი ყოჩაღ!

იღიმებოდა ოსტატი! სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდა. რატომაო?! სადაც ფეხს დასდგამდა ბიჭი, ნიადაგამდინ დაიყვანდა თიხას. კარგი სასყიდელი დაუნიშნა. შეეჩვია გიგოლა საშრომს, მთლად შეეთვისა. უთქმელად მუშაობდა, აუჩქარებლივ. მანჭანასავით თანაბრად, სულ ერთნაირად. უკეთეს მშრომელს ვერ ინატრიდა მოტანტალე ოსტატი.

გაიმართა ქარხანა. კეთდებოდა: კოკა, სურა, ლიტრა, ჭიჭილა, საღვინე, დოქი, ჯამი თუ თეფში, მათრათი, ჭრაქი. ქოთანი თუ ქვაბ-ქოთანა, ყველაფერი, რაც კი თიხისა სჭირდებოდა იმ სოფელს, გარეშე სოფლებს. ჭურჭლის შესაძენად ნაღდი არ იყო საჭირო: თითო წყვა ხორბალი, ორ-ორი წყვა ქერი თუ ფეტვი, ნახევარი წყვა სამარხო; კვერცხი, ქათამი, ყველი, ნართი მორიგებით. ყველაფერს იღებდა დამყოლი ოსტატი. აღარ იკადრეს არემარეში ხოხონები; ახალ-ახალი სურებით დაიარებოდა ქალ-რძალი წყალზე.

მადლობელი ოსტატი თავისთან ასადილებდა გიგოლას. რა უშავდა: უხვადა ჰქონდა სოფლებიდან სანოვაგე. არც თუ დაკარგული იყო ბიჭზედ დანახარჯი: იმასაც ეხლა საბძელშივე ეძინა; იმაზედ სანდო დარაჯი საჭირო არ იყო ოსტატისაგან მომარაგებულ დოვლათისათვის.

— ჰა, ჰა, ჰა! — გამოისმოდა საბძლიდან, მეტადრე სადილს უკან: მიუჯდებოდა დაზგას გიგოლა, დასდებდა ზედ თიხის გუნდას, ატრიალებდა მანჭანას და ცდილობდა ჭურჭელი რამ გამოეყვანა. არა ჰნებდებოდა მასალა; მის ტაბიკებივით თითებს ვერ უძლებდა მაგრად ნაზელი თიხაც, ირღვევიშლებოდა; უბრალო კეცის ნაპირებიც კი უმწეოდ იღვედებოდნენ მის მოუხეშავ თითებში. ამაზედ იცინოდა კარგ გუნებაზედ დამდგარი ოსტატი, ეს აღიმებდა მის შაგირდს უშნოს; თავს იქნევდა გაკვირვებული.

* *

გული ჩამოუხდა მეჭურჭლეს: დადგებოდა ზაფხული, მოვიდოდა; სალთად მოსული დაბარგული ბრუნდებოდა შემოდგომაზე. ბრანძვიაანთ საბძელ-კალოს თავისზე სტოვებდა. მუშაობდა გიგოლა.

რა უშავდა: საქმაო სასყიდელს იღებდა. შეაჩვია მუხლი თიხის ზელას; დატოპავდა წელზედ ხელებ გადაჭდობილი; იძროდა აუჩქარებლივ, თან კენჭს არჩევდა. ძნელი ის იყო, სამუშაომ გადააჩვია ადამიანურ სიარულს: გზატკეცილზედაც ისე აბოტებდა, თითქო ტალახში ჩაფლულ ფეხსა ჰგლეჯავსო; ხელებიც წელზედვე ჰქონდა გადაჭდობილი. ყველა ხელობა თავის დალს ასვამს ადამიანის აგებულებას, მის მოძრაობას, სულსაც იმისას.

არ მოსწონდა ეს მის ცოლს მარიკოს, გულს უმღვრევდა.

— რა ღმერთი გაგიწყრა, კაცო, რომ აქლემივით აბიჯებ! ისე დადიხარ, თითქო თიხასა ჰზელავო.

იღიმებოდა გიგოლა: ალბათ ესმოდა ცოლის ჯავრობა. იქნება, არც კი ეყურებოდა, თორემ ან სვლას გაისწორებდა, აწ პასუხს მისცემდა; სწორედ არ ესმოდა! თუნდაც ჰსმენოდა გაკაპასებულის ხმა, ავს არ ეტყოდა: ძალიან მოსწონდა, კიდეც უყვარდა. ყველაფერი ის უყვარდა გიგოლას, რასაც თავისში ვერა პოულობდა: სხვილი რომ იყო, ცოლის წრიოკი აგებულობა მოსწონდა, სიჩხინტე გამოლეული; დათვის ტორივით მაჯა რომ ება, დარუმბული თითები, ცოლის ძვალტყავი მაჯა უხაროდა გამოფიტული, მახათივით წამწვეტებული თითები; უძრავ-უთქმელი შეჰხაროდა მარად მოძრავ დედაკაცს, უსაკრაოდ მოცეკვავე მის ტანს. ცოლის არსებაში გიგოლას აჰსახოდა ყველაფერი, რაც პირადად მისთვის მიუწვდომელი იყო. ამისთვის თუ უყვარდა უტყვ სიყვარულით, ამიტომ თუ ემორჩილებოდა კოღოს რამ უძლურს სპილო ძლიერი.

ალბად მაროც სწორედ იმ თვისებებს აფასებდა თავის ქმარში, რომლებსაც თავისში ვერა ჰხედავდა. მის გამო თუ ეთვისებოდა მას იგი საქმით, თუმცა სიტყვით მარად ურისხდებოდა, სჩხვლეტდა, სჯგვლემავდა. მათ ძლიერ შეთვისებაშეტოლებას უტყუარად ჰმოწმობდა ბალღებით სავსე მათი ქოხმახი.

კაცის აგებულება სავსებით აეკსო მძიმე ნივთიერებას და ცოლის ფხაასხმული სიტყვა წამწვეტებული ვერ ატანდა მის მგრძნობიარე შემადგენლობამდის მთრთოლარისა. ზენაარსი სული ცხოველი რომ მოფრენილიყო გიგოლაში განსასახებლად, ნივთიერ ბუნებას ძალა მიეტანა მასზედ, ჩაეხმო მისი ცეცხლებრივი არსება, მისი მარად მოძრავი ბუნება ქმნა-

დობად მიმლტოლველი; ძლივსღა გამოიყურებოდა სული განუჭვრეტელ ნივთთა სიუხვისაგან შემძიმებული, სიფხიზლეს მოკლებული, მარად მთვლემარი, ბუნდად შემცნობი საცნაურისა. სულ სხვა იყო მარიკო: იქ მღჭმედ არსებას ცნობიერს ისე ჭარბად არ შემოხვეოდა ნივთთა სიუხვე და აქ მისი სულიერი ბუნება სჭარბობდა მის ხორციელ შემადგენლობას მძიმეს. ამისთვის თუ მოსწონდა კაცს თავისი ცოლი.

— მაშ გიგოლას მიცვალებისას მისი სული შეღავათს იგრძნობს, ფრთას გაშლის, გაინავარდებს ჰაზრთა, გრძნობათა თუ მისწრაფებათა სფეროში, ეთეროვან სამყაროში დაუსაბამო ნათელისა.

— ეგრე უნდა მოხდეს, თუ...

— რაღა თუ?!

— თუ მაგის სულს არ უწერია გარდასვლა უფრო ნივთდაჭარბებულ არსში ბნელით მოსილში, თუმცა...

— რაო?!

— თუმცა თითქო მაგ კაცში უნდა სცხოვრობდეს სული ზემსვლელი, უფრო ჰაეროვან არსებებში განსასახები.

— როგორ?!

— სული, ეთეროვანი არსება ნათელი, ჩაისახება ნივთიერ ქმნილებაში, საცნაურ იქმნება ხორციელ არსში. ჟამთა სრბოლაში იშლება ხორცი, იხრწნება ნივთიერი აგებულება და სული თავისუფლდება, მაგრამ მხოლოდ მისთვის, რომ შეიმოსოს ხორციელი სახე სხვა, საცნაურ იქმნას სხვა ქმნილებაში.

— რად ინებებს სული ნათელი ბნელ ნივთიერებაში განსახებას?!

— ცოდვა უფერი შეამძიმებს მას, დასწევს ხორცთა სამფლობელომდის.

— ეგრე მოგზაურობს სული მარად ჟამს?!

— იცვლის დაუცხრომელად სახეს ნივთიერს. ორგვარი სვლა არის: ზესვლა და ქვექვე რონინი. ზოგ სულს მიჩემებული აქვს იშვას თანდისთან მდაბალ არსებაში; ეს მის ცოდვათა გამო: მძიმეა ბოროტება, იგი დასწევს ნათელთაგან თხზილ სულს, რომ იტანჯოს და მით განიწმინდოს, გამოხალისდეს.

— მაშ შესაძლოა, ადამიანის სული განხორციელებულ

იქმნას, ვსთქვათ, დათვში და მაინც შერჩენილიყოს გრძნობა, რომ ოდესმე ის იყო ზეარსი, ან თუნდა კაცი.

— ოღონდაც!

— მაშინ მისი ტანჯვა...

— სააქაო ჯოჯოხეთია მისი წამება! კიდევ კარგი, რომ წინაარსებობის გრძნობა ბუნდოვანია, გაურკვეველი...

— ჰოდა, ზოგ სულს უწერია განხორციელება თანდათან მაღალბუნებოვან არსებაში, უკეთეს გვამთა შემოსვა.

— სასიხარულო იქნება ამისთანისათვის ახალი განსახება, თუ შერჩენია ხსოვნა, რომ ოდესმე უწმინდურ რამ მძიმე ცხოველად იყო მოვლინებული.

— დიახაც! ამისთანა ბედნიერი გრძნობს, რომ სიკვდილი მისთვის მხოლოდ გარდაცვლა არის სამჯობინარო.

— და როდემდისინ?

— მინამ სული ისევ გაიწმინდება, ისევ ღირსი შეიქმნება დღისით და ღამით ჰხედვიდეს მზისა ელვათა კრთომასა. ბრწყინვალებას დაუსაბამო ნათელისას, რომელი არის შემოქმედი სიმშვენიერისა, სიკეთისა, ჭეშმარიტებისა.

— მაშ გიგოლას სული...

— ვაჰ, თუ მის აწინდელ განხორციელებამდინ ბრანძვში იყო განსახებული ან ტლანქ სპილოში: შემდეგი განხორციელება მაინც ატარებს წინა განსახების თვისებებს, ძალიან მკრთალად, მაინც უსათუოდ. გითხარი: ბევრჯერ ადამიანის თვალებში გაითამაშებს რომელიმე ცხოველი საზიზღარ-საშინში ან ზეამაღლებული სახე ტკბილ-საალერსო.

— საწყალი გიგოლა!

— ბედნიერი! მაგის სულს თანდათან ზესვლა მოელის; აღმაფრენის გზაზედ არის დამდგარი: კეთილისაკენ უფრო არის გადახრილი მისი ბუნება.

* *

და ცხოვრობდა გიგოლა, როგორც მისი მეზობლები. თუ იქ ვაჟკაცები უფრო ფხიზლები იყვნენ, უნრიანები, აქ დედაკაცი იყო მარჯვე, მხნედ მკეთებელი; ერთის ნაკლს მეორე ავსებდა: მარო ჩარხი იყო, ჯარა ბზრიალა; კაცი დოლაბს ჰსახავდა უზარმაზარსა, ერთ შემოტრიალებაზედ იმდენსა

ჰფქვავდა, რასაც სხვა მფქველი ბევრ თვის ტრიალში. თითო-ნაც ცოტა მოთხოვნილებისა იყო: პური ჰქონდა საკმაო, სხვას არას დაგიდევდა; ღვინო, არაყი, თუთუნი, ჩაცმა-დახურვა არ იზიდავდა; ეს შაღავათს აძლევდა ოჯახის ხარჯსა. მომავალიც იმედიანი ჰქონდათ: წამოიზრდებოდნენ ბალღები, შეეშველებოდნენ; მალხაზები სჩანდნენ, კარგი მორბედები დადგებოდნენ, გაიჩარხებოდა გლეხური კერა, თავის შემნახველი, სოფლის ტვირთვისაც თავის წილად შემმსუბუქებელი. მაგრამ...

მავნე შეუჯდება ადამიანს გვერდებში, აღარ მოასვენებს, მანამ არ აუფურტვნის ცხოვრების გზას გავაკებულს, სინამ ღორღით არ ამოუვსებს სადენს გაკვერილს. მერმე სიამოვნებს კაცის ტანჯვითა, ხარხარ-კასკასებს.

კიდევ კარგი, რომ დაუდგრომელია, მალე მოიწყენს, მიანებებს თავს. გადაინაცვლებს. შეუჯდა მაროს მაცდური და გადააგდო საძნელო გზაზედ, ფლატესაკენ დახრილ თავქვეზედ.

მარო რომ ქალაქელი იყო, თუნდაც დალალის შვილი, გარეთუბნელი დედაკაცისა, მაინც თავი იმთავითვე მოჰქონდა ტოლ-სწორში, უკადრისობდა; ქალაქი უფრო სუფთა ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა მაშინაც გამოფიტულს. სოფლელებიც პატივით უყურებდნენ ქალს, კიდეც ჰბაძავდნენ სიტყვა-პასუხში, ჩაცმა-დახურვაში. შემდეგში დაუტოლდა მათ მარო, ქვეითაც მოექცა, როცა მათი მეზობელი შეირთო, მათგან ნაწუნი.

— ქა, ძალიან მოჰქონდა თავი, ესა და ეს ხელოსანი მთხოულობსო, ბაზაზს უჭირავსო ჩემზედ თვალი და... გიგოლა კი შეირთო.

— დედაც რომ კვერს უკრავდა მაშინ და ბაქიობდა.

— ნეტა რა ნახა იმ კაცთააარაშჯზავსში თვალდამდგარმა. რომ გაჰყვა.

ის მაროს ძუძუმ იცოდა მაშინ, რად გაჰყვა გიგოლას. თუმცა ეხლა კი კმაყოფილი აღარ იყო დედაკაცი თავის ყოფისა, კაცისა კი არა, თავის სოფელში ცხოვრებისა. თვალი ქალაქისკენ ეჭირა. ცხადლივ თუ ხიზმრად ჰხედავდა, იმას ნატრობდა. ვერა სძლებდა, ყოველ წელიწადს არ წასულიყო ქალაქს; მთელი კვირაობით რჩებოდა იქ, უბნის თუ ქუჩების

სურვილს იკლავდა. რა ექმნა: იქ იყო გაზრდილი, მისი ბაღდადიც ის ვიწრო ქუჩები იყო თუ ქუჩაბანდები. საქმეცა ჰქონდა: დედის ხელობას ედგა, სასოფლო სავაჭროს აქუჩებდა. ოცნებობდა ქალაქში გადასახლებას. მაინც ვერა ჰბედავდა: ძნელი იყო მოწყობილი ოჯახის აშლა, აყრა-დაყრა, ახალ ბინაზედ სანთიანად ყოფნის მოწყობა. გაბედა ბოლოს, როცა ქალაქში რომ ქოხი ჰქონდათ, მისი პატრონი თითონ შეიქმნა. შემოდგომის მიწურულებში მიფურტკნ-მოფურტკნა ყველაფერი, გაყიდ-გამოყიდა, სახლ-კარი გააქირავა, სახნავ-სათესი ღალით მისცა და წყაროს უბანში გაჩნდა ქმარ-შვილით. გიგოლას არ მოსწონდა გადასახლება. თავს იქნევდა უარის ნიშნად, დრტვინვის ნასახიც კი ააჩნდა თვალთა სიღრმეში, მაგრამ დედაკაცმა გაიწია და როგორღა ვინ შეაყენებდა?!

თბილისში არ შეიძლებოდა კაცის უქმად დამყოფება, უმუშაოდ მისი შენახვა; რამე საქმეზედ უნდა დამდგარიყო, თითონ გიგოლა ამაზედ თითქო სრულებითაც არა ფიქრობდა. ვერაფერი ფერზედაც ველარ ფიქრობდა: ჰაზრთა წინანდელი საგნები მიეფარნენ მის თვალიდან და ახალი საფიქრებელის დამუშავება... ძნელი იყო მისთვის ეს საზრუნველი! მხოლოდ განცვიფრება ესახებოდა მას უტყვ სახეზედ.

— წადი, შე შეჩვენებულო, მიდექ-მოდექ, ეგებ რამე საქმეს მუშაოს დაადგე. ამ დევქველა ქალაქში რომ საქმე ვერ იპოვო, მაშ სადღა რა უნდა იშოვო?! — დაჰკიოდა დედაკაცი

და ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, დახტოდა დამკლავებულ-აკარწახებული. კაცი უძრავად იდო; თუ ძალიან გაუჭირდებოდა, თავს გაიქნევდა უარის ნიშნად.

— ჩაგვიჭლექდება ეს საცოდავი, თუ ჩვენვე არ გავაბით რამე საქმეში. გაერთობა მაინც. ხანდისხან გაღიმება იცოდა, აქ ის ღიმიც მთლად დაეკარგა, — ეტყოდა ძუძუ დედაკაცს

და საყვედურით შეჰხედავდა ლმობიერი.

ღიმილი დაავიწყდა გიგოლას, ხორციდან ჩამოვარდა, ლოყები გუდა ლეღვივით დაეკიდა: დარდობდა ახალ ყოფას, ვერ შესჩვეოდა ქვის ორღობეებში გამომწყვდეული; თუ არ შეცვლილიყო მისი ცხოვრება, უჩუმარი სევდა გადაიტანდა. ჰხედავდა ამას მარო, ფიქრს მისცემოდა. ვერც შეინახავდა თავის ღალატობით თუ მუშაობით ვეება ვაჟკაცსა. კარგი, რომ ბალ-

ღები ოსტატებს დაურიგა, ხელობაში მისცა; ხარჯი შეიმსუბუქა.

— ვისღა ვთხოვო გიგოლას შესახებ ან ვის მივმართო? საცა იმედი მქონდა, ყველგან გზა დამეცარა; არავინ არ გამოიდო თავს, — ფიქრობდა დედაკაცი

და გონების თვალით ათვალიერებდა ნაცნობებში ამგვარ საქმისათვის გამოსადეგს.

— ქა, ნათლია ერმალოზი! სიკვდილსამც დაჰვიწყებია... პატიოსანი მოხელე, პატივცემული... მიშველის!

ჩაიცვ-დაიხურა, წამოირქვა კოპ-სარალუჯი, გადისვა შუსტაკი და...

— ნათლი, გენაცვა! იმ ჩემმა კაცმა უსაქმოდ აღარ იცის, რა ქნას; გაჯერდა ცუდათ ყოფნით; დარდობს; სულ ჩამოჭკნა. შენახვაც მიჭირს: მარტო მე დავტრიალებ. დაიდე მადლი, ადგილი უშოვნე, პატივცემას გადაგიხდი.

პატივცემული მოხელე გადამწერი იყო. ისე მარდად და ეშხიანად გამოჰყვანდა ასოები, როგორც მანქანას. კალამი ყურთან უკან გაიმაგრა, შეიჭმუჭნა, ღრმა ფიქრს მიეცა. ნათლიდედა კრძალვით შეჰყურებდა მის ჩაფიქრებას. ამოიღო ხმა, სთქვა სიტყვა კარგი:

— მივაგენი საიმისო საქმეს! აქვე, ჩვენ სამსახურში, მეეზოვე არის საჭირო, ერთგული კაცი...

— ერთგულობა კი ჩემს გიგოლას მოსთხოვეთ...

— მეეზოვედ დავაყენებ, ხვალ ამდროს მნახეთ.

— შენ კი გენაცვალოს შენი ნათლიდედა!

— მოვიდეს, მოვიფიქრებ.

ფიქრი არ ეჭირვებოდა: უფროსმა უბრძანა და დაეძებდა მეთვალყურეს.

* *

ის დრო იყო ეს, როცა ხალხის უფლებამ შიში იგრძნო ქვედა სართულებიდან: სისხლით აგებულ მის სასახლეს ძლიერად არყევდა საძირკვლებიდან წინააღმდეგი ძალა ახალი. იბზარებოდა უზარმაზარი გოდოლი თვალმახარა. შეკრთა მთავრობა; უმატა დარაჯთ, გააძლიერა ყველა დარგში მცველი თუ მხსნელი. წესის მცველთა რიცხვიც გაამრავლა მეე-

ზოვეთა დასებით, ჩომბახებით შეიარაღებულ ასასთა გუნდებით; ამოუდგნენ ისინი გვერდში დაბალ მოწესეებს, დაეჭვემდებარნენ მათ. მეთვალყურენი რომ თოფ-იარაღით გამოეშველებოდნენ უფლებას, ესენი ზურგს გაუმაგრებდნენ მათ კომბლებით ხელში, ბერკეტებითა. იდუმალი დავალებაცა ჰქონდათ მეეზოვებს: თვალებად ედგნენ და ყურებად შემკრთალ ბატონს; ბევრი თვალ-ყურის მგდებელი სჭირდებოდა. შოულობდა: კარგ ჯილდოს აძლევდა გაწაფულ-დაგეშილებს,

მეეზოვე შეიქმნა გიგოლა. ჩააბარეს ჩომბახი მძიმე, წამოასხეს დურატყავი, დახურეს თავზე მთელი ცხვარი. რამოდენაა, ღმერთო ჩემო, უზარმაზარი! მისანდო აღმოჩნდა, საფრთხილო დავალების პირნათლად მატარებელი. ღამე მუშაობდა, დღე ეძინა. ისე თვალხმიერად დასტრიალებდა ეზო-ყურეს, როგორც ბელებიანი დათვი ბუნაგს. ერთში არ ივარგა: ვერ შეათვისეს ენის ტარება, დაბეზღება. სცადეს ჩაგონება. მაგრამ ამაოდ; თავს იქნევდა უარის ნიშნად. უშვეს ხელი. ბევრი დაკარგა: ამ საქმისათვის ცალკე სასყიდელი მიეცემოდა. სწორედ დაითხოვდნენ, თუ ისეთი ერთგული არ ყოფილიყო გუშაგობაში. სხვა სარგებელიც ჰქონდათ მისგან: დაუზარებელი მკეთებელი იყო, უანგარო.

— გიგოლ ჩემო, ეს ტომარა გადაიტანე ჩემსას. ოთხფუთამდინ იქნება. ხომ არ გემძიმება?

გიგოლა ამოიდებდა საცალოს იღლიაში და მიაშტებდა.

— რა გერგება გასამრჯელო?

მხოლოდ თავს გაიქნევდა უარის ნიშნად და გაუდგებოდა გზას. ნებით მიაწოდებდა უხვი საქმაოს, ძუნწი ცოტას, კრიჟანგი არაფერს. ეს მისი დაუფასებელი თვისება ჰფარავდა მოხელეების თვალში მის ნაკლულებას. წყნარად განაგრძობდა გიგოლა თავის ახალ სამუშაოს თითონაც კმაყოფილი, სახლისათვისაც გამოსადეგი. ძალიან ერთფერი იყო და შემოზღუდული მისი ნაშრომი: რა უშავდა: არც თითონ იყო ცვალებადი ცხოვრების მიმდევარი, მრავალფერისა. ესე იქნებოდა ბოლომდის, თუ შემთხვევას არ შეერყია მისი ყოფა, არ გადაეგდო დაკვალულ სავალიდან, უმწეოდ არ დაეტოვებინა ჯვარედინ გზაზე.

გითხარი: ძალიან თვალხმიერი დარაჯი იყო ჩაბარებულ ეზო-ყურეში ეს უძრავად მჯომი თუ მდგომი კაცი. არ იცოდ-

ნენ ეს ღამის ოსტატებმა და ერთი მათგანი მოჰყვა ხაფანგში; მერმე როგორ უშნოდ!

განეზრახა დაგეშილს თავისი ხელოვნება ეცადნა გიგოლას საბრძანებელში. დღისითვე მიეძალულიყო სადღაც ჯურღმულში. დაეარნა ღამე მიზანში ამოღებული ოთახები, შეეგროვებინა დავლა და აპირობდა გასვლეტოდა ხელიდან გუშაგს. გიგოლას სმენას ადრევე მიექცია ყურადღება არაჩვეულებრივი ჩუჩუნისათვის. დაეთვალიერებინა, შეენიშნა მძარცველის ონავრობა და იქ გაჩერებულიყო უძრავ სვეტივით, რა ადგილსაც ქურდი გზას ვერ აუქცევდა. დიდი ხანი გავიდა ლოდინში. თითქო მისწყდა ყოველი ხმაურობა. გაქვავებული ყარაული იქვე იდგა უძრავად. მტაცებელი უსათუოდ უნდა გასულიყო, თორემ შემოათენდებოდა. ბცადა ბედი, მეტი რა ღონე ჰქონდა?! მოიგდო ნაძარცვით სავსე ტომარა და ფეხაკრეფით დაუპირდაპირა ალაყაფის კარებს. იმედმა გაუღიმა: პატარა კარი ღია დაჰხვდა; გულგახსნილი იწვევდა თავისკენ თავის მოტრფიალეს. დარაჯი არ იძროდა, ჩომბახზედ დაყრდნობილი. მოემატა მპარავს გამბედაობა: ძლიერ ფეხმარდი ბიჭი იყო, ქალაქის ყველა ქუჩებისა თუ ვიწროების მცოდნე; თუ ერთი გასცდენოდა გიგოლას, შეუძლებელი შეიქმნებოდა მისი მოწევნა, როგორც მერცხლისა, მისი მოხელვა, როგორც ნემსის პოვნა ბზით ბავსე გოდორში. დაუახლოვდა გარინდებულს, თითქმის დაუსწორდა. ერთი ნაბიჯიცა და...

საშინლად დაიღმუვლა გუშაგმა; ისე გადახტა მთასავით კაცი, თითქო დათვი გადაეშვაო განაპირებულ ძროხისაკენ, რომ ზურგზედ მოაჯდეს და მძლავრად დაბუბნოს, დაგლიჯოს, დაბდღვნასო. ამ უეცარმა მოძრაობამ მუხლი შესტაცა გამქცევს. მისწვდა გიგოლა, მოჰკრა თათი კისერზედ. ერთი კი შეჰკვნესა მპარავმა და მიწას განერთხო, გაითანგა; მოკვდა კაცი, მოკვდა, შეიქმნა ხმაურობა. გაანათეს იქაურობა. შეგროვდნენ. გასინჯეს.

— კისერი მოსწყვეტია ამ...

— მართლა, კაცო! დახე, პირი ზურგისაკენ მოჰქცევია.

— როგორ მოღვედილა!

— მომკვდარა?

— აღარც ბევრი უკლია.

— ყოჩაღ, გიგოლ! ესე უნდა ამისთანა ავაზაკებს! — ეუბნებოდა უფროსი

და მოწონების ნიშნად მხარზედ ხელს უბარტყუნებდა. გიგოლა აღარ ჰშორდებოდა მისგან ვნებულს; წყალს აპკურებდა, კისერს უსინჯავდა; ბურტყუნებდა. ასწიეს კაცი, წაიღეს. ნაძარცვი დააბინავეს.

— შეხ, ჩვენო ერთგულო, ამ ყოჩაღობისათვის ჯილდოზედ წარგადგენ! იცი, რა სირცხვილს და ზარალს გადაგვარჩინე?!

ერთგული კი უკმაყოფილოდ იდგა, თავს იქნევდა უარის ნიშნად; მერმე გაიძრო ქურქი, მოიგლიჯა ქუდი, დააწყო ერთად, დადო ზედ სადარაჯოდ მიცემული ჩომბახი და გასწია შინისკენ. აღარც დაბრუნებულა. ვეღარ გასჭრა ვერც უფროსის ბრძანებამ, ვერც ერმალოზის თხოვნამ, ვეღარც ცოლის კაპასობამ. დაკარგა კაცმა კარგი ადგილი. ჯიუტად დასტოვა იგი შეუგნებელმა. რაღას იზამდნენ, რას გააწყობდნენ?!

* *

თითქო დაკარგა გიგოლამ უნარიც არსებობისა; მთლად გარინდდა ისეც მიძინებული, არას იტყოდა ისეც მთლად უტყვი, აღარ იძროდა ისეც უქმედო. იდო დირეზედ, იხუხებოდა გაზაფხულის მზეზედ. ნაღვლობდა თავისებურად. ამ ხანში მარტო ერთხელ გამოფხიზლდა, თუ გახალისდა: გაიგო, მისგან ვნებული სიკვდილს გადარჩენოდა; ნახა განკურნებული.

— რას გაჩუმებულ-გაჩერებულხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე? მთლად დაგიკარგავს საქმის ხალისი. შენა გგონია, ოჯახს შენახვა არ უნდა; ან შენ, ან ბალღებს ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა? ადექ, გაინძერ, ხელი გაიქნიე!

ზანტად შეხედავდა გამწარებულ დედაკაცს, აზრი აუცომციმდებოდა თვალთა სიღრმეში; ვერ აისახებოდა იგი ფიქრი ვერც რამ სიტყვაში, ვერც თუ სახეზედ; ჩაქრებოდა მისი ნასახიც: გარინდდებოდა კაცი.

მაინც ესეთი იყო მის ფიქრთა არე: ბუნდ აჩრდილებივით გამოდიოდნენ იქ აზრები და აუსახველნივე ქრებოდნენ; ვერ შესძლებდნენ, ნათელი შეემოსათ. დაჭარბებული ხორცთა ბადეში გაბმულიყო მისი სული, უსხნელ-უწყვეტ ხლართებში

ჰხედავდა იგი ქვეყნიერებას თუ მისსა ბრუნვას, მაგრამ გაურკვევლად, ბადის ხშირ თვალებიდან; აჩნდებოდნენ მის გულში გრძნობათა ნასახნი, ვერ კი ამოძრაჟდებოდნენ, ვერ ხმაურობდნენ აღქაფებული ზვირთებისავით; სწადდა მოქმედება, მაგრამ მოძრაობათა სადენზედ იმავე მარყუშებით იბლანდებოღა მისი ნებისყოფა. წვალობდა სული, მაინც იგი ტანჯვა-წამების მწვერვალამდინ ვერ ადიოდა; შეუგრძნობელი ნივთიერება მძიმე აქრობ-ანელებდა პატიჟთა ალსა. ბალღობიდანვე რომ შიჰშველებოდნენ მის შემძიმებულ სულს, ხელოვნურად ეძლიერებინათ მისი ჭმედობა, ალბათ მცირედ მაინც გაუმარჯვდებოდა მას უსახო ნივთიერებასთან ბრძოლაში. ვინ იცის?!

— მაცა, დედაკაცო, მერმე მიკივლე.

— ეხლა რაღა საქმე გიშლის ხელს, მისმინო?!

— ვიგონებ... ხევი. მდინარე. ბუერები. რა თბილა! თიხა ყვითელი...

— რასა ჰბოდავ, კაცო?! სიზმარში თუ ჰხედავ.

სურათი რამ იქარგებოდა გიგოლას ცნობიერებაში, სიამის მომტანი; სურვილსაც აღვიძებდა იგი სახე, მასთან მიახლების ნდომას. ჯერ მკრთალი იყო ხატები, გაცრეცილი, დაუსრულებელი; მისგან ამოზიდული სურვილიც სუსტი იყო, ღონემიხდილი. იქნება მალე გარკვეულიყო ის სურათი, სურვილსაც ნივთთა სიმძიმიდან ამოეხეთქა, როგორც ნაკადულს. მაგრამ დროს არ აძლევდა ფიცხი დიაცი ამ შრომისათვის: ძალიან იყო გულდამწვარი და ყოველ წამს ბობოქრობდა, თავზედ ცეცხლს აყრიდა უსაქმოდ დამრჩალს, ურყევ-უწყვეტდა ისეც ზანტად მომდინარე ფიქრების ნაკადს. ფიქრი მაინც მუშაობდა, იკვლევდა სადენს და ბოლოს კიდეც აისახა იქამდინ, რომ სხვებისთვის საცნაურ იქმნა.

ეხლა კი შეკრთა დედაკაცი; სცადა თავი შეეკავებინა, შეალბო მწარე თქმა, ამწველი ქცევა. თუ ეს ნათელქმნილი სახე გიგოლას უწინდელი ცხოვრებიდან ყოფილიყო, ძლიერ შორეული წარსულიდან მისის სულისა, დედაკაცს არ შეაფიქრებდა ეს. ჰქონდა გიგოლას ესეთი ჩვენებებიც. მაროს ვერც წარმოედგინა იგი გარდასრული სახეები საკვირველი, არც რამე კავშირი ჰქონდა მათთან. მაგრამ ეს სახე კაცის ფიქრისა ახალი ცხოვრებიდან იყო ამოღებული, ცოლ-ქმრის ერთად ყოფნის დროიდან; ამან შეაშფოთა დედაკაცი.

— რა დაგემართა, კაცო, მთლად ჩათხრობილი ხარ ამ ბოლოს დროს და ნაღვლიანი, აღარ დასდევ ადგილას, აღარ დასდევ; დარდით რაღა ეშველება?!

— ბექობიანი... ჩვენი წყალი... თევდორა მოვა...

ბექობიანისა და თევდორას ხსენება მოსვენებას ურყევდა მაროს: თავის სოფელზედ ფიქრობდა კაცი; ქალაქში უშნოდ ცხოვრებას გადაეგდო ის ამ საფიქრებელზედ, მისთვის შეუფერებელ ყოფას. სოფელი იზიდავდა ძლიერად. იცოდა დედაკაცმა: თუ დაადგებოდა გიგოლა გარკვეულ გზას, აღარ მოჰშორდებოდა, ვეღარ მოსწყდებოდა. რა ექმნა?! მისთვის იშვიათი იყო მკვეთრი სურათისა თუ სურვილის აღმოჩენა ცნობიერების არეში. გაიწევდა აზრისა თუ სანდომისაკენ, როგორც კამეჩი სასიმინდესკენ: ვერაფერი სიტყვა, თუნდა იფნის სახრესავით მოქნილი თქმა მწვავე, ვეღარ შეაყენებდა. დედაკაცს არასგზით არ უნდოდა საცხოვრებლად სოფელში დაბრუნება; უფრო ადვილად შეელეოდა ქმარფან ყოფნას, სინამ პირს იზამდა ბექობიანისკენ.

გიგოლას გონებაში კი ეს აზრი თანდათან მკაფიოდ ისახებოდა, უძლეველ ძალას იმოსავდა, დიდად მიმზიდველს. მივიდოდა ამ აუცილებელ დასკვნამდინ! ამას ისიც აჩვენებდა, რომ ეხლა ძალიან უხაროდა თავიანთ სოფლელების ნახვა; აღარა ჰშორდებოდა მათ, უთქმელად ეალერსებოდა, ფართო ღიმილად ბაგე გაშლილი. სოფლელები ხშირად იყვნენ ამათსა.

— რა დაგემართა, კაცო, რომ აღარა შორდები? აღარ გინახავს ნაჩხატაანთ მართა ან ავგაროზაანთ ივანე?

იცოდა ეხლა დედაკაცმა, რად ეტმასნებოდა გიგოლა სოფლიდან ჩამოსულებს, მაგრამ განზრახ თვალს არიდებდა: ეშინოდა პირდაპირ შეეხედნა აუცილებელ მომავლისათვის. თითქო ამით უფრო ადვილად აიცდენდა მას.

ასცდა დედაკაცს განსაცდელი: გამოუჩნდა შემწე და მხსნელი. ერთ დილას გიგოლა ჩვეულებრივ იჯდა გაყუჩებული; მზეზე თბებოდა. ბანჯგვლიან ტოტებზედ გამობმული ქობინასებური ფეხები წინ წაეყარნა. დაკარწახებულ-დაკაპიწებული დიაცი სახლის საქმეს ჩასდგომოდა, თუმცა უქმად მჯდომ ქმარსაც არ ივიწყებდა, მწარე თქმას ესროდა შიგადაშიგ, გულის დასაწველს. ვეღარ ითმენდა უბანში რაღაცა საქმისათვის ამოსულიყო მეაგურე მუსტაფა. ფართოდ მოწყობილი აგურ-

ხანა ჰქონდა მას ვერაზედ. დაინახა გიგოლა და შედგა; ააცრ-ჩა-ავლო გამოცდილი თვალი. სიამოვნების ღიმილმა გაუპო უსისხლო ტუჩები, სიხარული აუციმციმდა მიბინდულ თვალებში.

— ესეთი შერჩეული მანქანა ჩემგან მოწყობილ წარმოებისთვის?! არა მყოლია ამისთანა არც რომელიმე, არც როდის. საუცხოვოა! — გაიფიქრა.

ანდამატივით მიიზიდა გიგოლას აგებულებამ; ოქროს მძებნელმა ზოდი იპოვნა საიშვიათო.

— ეი, გძინავს?

გიგოლამ შეხედა თათარს და ისევ მილულა თვალები. მუსტაფა იქვე იდგა, ნდომის თვალით დაჰყურებდა ვეებერთელა ტორებს.

— რა გინდა? ვინ ხარ? — შეეკითხა მარო.

— მუსტაფა ვარ, მეაგურე. მუშას ვეძებ. არ დადგება?

— გიგოლ, მუშის დამქირავებელი არის.

კაცმა გააღო თვალები, წამოდგა, წელში გაიმართა. გოდოლსა ჰგვანდა, თოქმად ნაშენსა. მუსტაფას უფრო გაუბრწყინდა თვალები; ხელი ჩამოისვა ჰინით ნაღებ წვერზედ. თიხის მზელავ მუშას თურმე ეძებდა. შეიჯერა, წაიყვანა. რომ შედგა დაკარწახებული თიხის უზარმაზარ კალოზედ, თავის ქერქში იგრძნო თავი კმაყოფილმა. იწყო დინჯის ნაბიჯით სიარული მუხლამდინ საფლობ ტალახში. გაერთო, სახე დაუმშვიდდა, პირზედ ღიმილი გადაეფინა. ჩამომჯდარიყო თათარი აგურებზედ, შეჰყურებდა, თვალს ვეღარ აშორებდა. სხვა მუშაც დადიოდა თიხაში. გიგოლას გვერდით. რა საწყალი იყო მასთან შედარებით!

მუსტაფამ აღარც მოიშორა გიგოლა. კარგ ჯამაგირს აძლევდა. ზამთრობით მუშაობა არა ჰქონდა, სხვა მუშებს დაითხოვდა, მას კი არ უშვებდა, არც დღიურ ჯილდოს უმცირებდა: ეშინოდა არავინ გადიბიროსო. ტყუილადა შიშობდა: გიგოლამაც შეითვისა დამქირავებელი, აღარავისზედ გასცვლიდა იმას. მოკეთდა კაცი, ხორცი შეისხა, ლოყები დაეტენა. კიდეც ასაზრდოებდა მას მუსტაფა. არ იყო წაგებაში: სამძიმო ასაწევ-დასაწევი თუ გადასაგორებელ-გადასატანი გიგოლას ებარა, სანდო მუშა იყო ერთგული, ძლიერი. კარგი იყო. მაგრამ საუკათესო იყო მაშინ, როდესაც წელზედ ხელებ-გადაჭდობილი ფართოდ მოზომილი ნაბიჯით დადიოდა ღრმად საფლობ თიხაში და ჰსრესავდა მას თვით მყარ მიწამდინ.

1922 წ.

ღიმი დამღუპი

— ეგ თქმა: „მშვენიერ სხეულში სულიც ლამაზი“ უფრო ადრინდელია, მინამ ელინთა მცნება; იგი დასკვნაა ძველისძველ ნათელთა თაყვანისმცემლობისა.

— როგორ?

— კარგი ადამიანი რაინდია ნათელი შემოქმედის მხრიდ გამოსული ბნელთან საბრძოლველად, მებრძოლს კი სულის სიმტკიცესა და სიკეთესთან სჭირია ნივთიერი კეთილქმნილებაც უხინჯო: რა რაინდია მანკიერად ნაგები, სხეულის ნაქვთებში მახინჯებული?!

— შესაძლოა! მე მხოლოდ ვამბობ: ეგ დებულება ბევრჯელ არ ეთანხმება სინამდვილეს. მოხდება: კეთილქმნილ სხეულში უშნო სული ცხოვრობს, ლამაზი სული ხინჯიან აგებულობას ატარებს; ნაჯახით მორილ ტლანქ სხეულში ჰაეროვანი სული მინაზებული, სათუთად ნაგებ-მოქნილ აღნაგობაში უდრეკი სული უხეშად ქმნილი.

— იშვიათად უნდა იყოს ეგ: დუხჭირი აგებულება ბოროტ გრძნობას თუ მისწრაფებას ჰბადებს სულში, თუნდაც სხეულის ნაკლისაგან წამომდგარ ზიანის შესავსებლად და... თუ ერთხელ სულში შეაღო კარი ბნელმა, იბარტყებს იქ ბოროტი, ფესვებს გაიდგამს.

— ჭკვას ახლოა! ერთი გავიწყდება: ბუნება ოხუნჯია, უყვარს წინააღმდეგობათა მოთავსება ერთს ფარგალში, ერთსა და იმავე პიროვნებაში ერთმანეთს უარმყოფელი ხორციც და სულისა. იღიმება ბუნება არსთა ძალების ესეთს შეთანაწყობაზედ.

— და ეგ მისი ღიმილი ძვირად უჯდება ქმნილებას.

— ოღონდაც! აი თუნდა ჩვენი გობრონი...

— სუ, კაცო! აგერ მოგოგავს. ეწყინება ესეთი სიტყვა: იავისზედ მიიღებს.

— ყმაწვილებს გაუმარჯოს! — დაიძახა გობრონმა და გაუღიმა ამხანაგებს. გამაცნეს. თავი მოიხარა, ფეხი ფეხზედ შემოჰკრა, ხელი ჩამომართვა. ძლივს მოვავლე თითები ოთხ-კუთხ თათს. სქელი რამ მაჯა მოჩანდა გაჭათქათებული პერანგის სახელოდან. ხმამ გამაკვირვა.

მორგვივით კისერი, ჩინჩახვიანი ყელი და ესეთი წვრილი ბგერები?! ცხრა-ათი წლის ნაზარდი ხმა ოცდაათ წლამდინ მიღწეულ კაცში...

გვითხრა. ვუთხარით. ნაზად ამბობდა: ოდნავ ენას უკიდებდა: საუბრის დროს არგანს ათამაშებდა: ზუმბასავით წვრილი ჯოხი; ძვლის ტარი ჩუქურთმიანი. უფრო შესაფერი იქნებოდა რიკნა ჭიგოსებური. განათლების პაწაწა ნიშანი ყარამანის მკერდზედ. ჩაცმა-დახურვაში, ხარჯებზედ თავისუფლად ლაპარაკში ეტყობოდა, შეძლებული იყო. ამოიღო სათუთუნე, ჩუქურთმით მოკაზმული ნივთი ჰაეროვანი. გადმოიხარა ჩემსკენ, თუმცა ვერ გადმოყვა განიერი წელი.

— ინებეთ!

— გმადლობთ!

სცადა მარჯვედ ჩაეკეტნა კოლოფი; მოკლე თითებმა ჩადრიკეს ნივთი. გავშორდი ნაცნობებს, როცა სადილზედ ჩამოაგდეს საუბარი და სურვილის თვალით შეხედეს გობრონს.

ნაცნობები გავხდით. შევხვდებოდით ერთმანეთს ქუჩაში, ყაბახზედ, თეატრში და თავს ვუკრავდით. ფართოდ გამიღიმებდა, ალერსიანად. ყოველთვის კარგად იყო ჩაცმულ-დახურული: ჩალის ფერი ტალავარი, ღია ფერის ფეხსაცმელი, ყელზე ოდნავ შეწინწკლული ფანცი საფირონის ქინძისთავით შემაგრებული, ნეკზედ ალმას-ს ბეჭედი წვრილღეროიანი; მინანქრიანი ოქროს საათი მსუბუქი ძეწკვით; რბილი ქუდი იღლიაში. ყალყზედ ედგა სხვილი თმა. უფრო ნაზ ქსოვილებში, მჭრქალ ფერებში უყვარდა გამოწყობა მომხოდ აღნაგებს, ყინჩ ფერნაჭარბებს. თანთქარა ლოყები: ხორცით სავსე ტანი. ისეც ძვალმსხვილს, არ უხდებოდა ხაიათი ტალავარი, არ ეფერებოდა.

ერთხელ სეირნობის დროს შორიდან შევნიშნე გობრონი და შევდეგ გაკვირვებული. მოდის ახლებში გამოწყობი-

ლი და... გვერდზედ ციაგა ჰაეროვანი, ჩემი კარგი ნაცნობი ციაგა, შორეული ნათესავი.

— გობრონი და ციაგა?! ლელწამივით ქალი და ვაჟის დიდი ტანი მოკლე წვივებზედ?! ციაგას იმლიკი ხასიათი და გობრონი შინაურ სამოსში ან საცვალთ ამარა?! მაგრამ, ჰო, ქალი — ხელმოკლეობაში ჩავარდნილი, კაცი — შეძლებული. ოქრო სჯობნის ანდამატს მიმზიდველ ძალით.

— გობრონს ვახლავარ! — მივეპალმე ვაჟს და წარვსდეგ ქალის წინ: ხელზედ ვაკოცე, მოვიკითხე. გობრონი გაოცებული მიყურებდა. როცა ნახა, ჩემი მახლობელი იყო ქალი, მეტად უამა. თანაგრძნობით დავემშვიდობე დაწყვილებულთ. მივხედე მიმავლებს. ვაჟი მხრებამდინა სწვდებოდა ატოლებულ ქალს. წარსთქვეს მომავლებმა:

— რა ტანია!

— ლატანია!

ქალი რომ ჰაერ-ჰაერ მიდიოდა, ვაჟი მარგილივით ასომდა ფეხს, ერთბაშად ატყაპუნებდა მთელ ტერფს. სხვადასხვანაირია სვლა: ერთი ქუსლიდანა ზომავს გზას თითებამდინ, სხვას დაბიჯებაში აქლემივით უბრტყელდება ფეხი, ზოგი ჭლიკებზედ დად... გობრონი... სხვანაირად არ გადიდგმებოდა სპილოს წვივზედ ბმული ოთხკუთხი თათი.

ვზივარ ოთახში. ვეწევი ჩიბუხს ჩიბუხზედ, არ ვიცი რა ვუყო ჩემს დროს; ვერ მიმიგდია თავი საქმეზედ.

— დავიძინებ!

— ჯერ დავლევ ზორბად!

— მოიცა სადილობამდინ!

— მაშ გავივლ-გამოვივლი!

დავასკვენ წასვლა. ჩავიცვ-დავიხურე. გაისმა ზანზალაკის წკრიალი. შევკრთი: მევალე მეგონა. ცალი თვალით გადავხედე ფანჯრის კუთხიდან. გობრონი იდგა ჩემს კარს. გამეხარდა; ვსთქვი: გავერთობი! ვილაპარაკეთ. გამენდო:

— კვირა საღამოს ქალბატონ ციაგასთან ვიქნები და იქ დამიხვდი; ვითომ შემთხვევით მოხვედი.

— მოვალ: დავდივარ იმათას.

გაეხარდა. უფრო დამენდო:

— გადაჭრილ ნაბიჯს ვაპირობ: განუცხადებ სიყვარულს და... ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამა...

— ციაგას უყვარს შოთას სიტყვები; ზეპირად იცის.

— მე ცოტა ვიცი რუსთაველიდან: რუსეთს დავყავი ბევრი ხანი და...

— რა უშავს, შეისწავლი.

— ძლიერ ვეცდები, ოღონდ კი ერთი ვეწიო ჩემს სურვილს!

— აღარა ჰხუმრობ: შეგყვარებია.

— იცი, დათიკო, მარად ეგეთ ქალს ვეტრფოდი ოცნებაში: სხარტი, მოქნილი, ყვავილივით ნაზი, სხივივით გამჭვირვალ-მანათობელი; თანაც კდემამოსილი. ბედნიერი ხარ, შენი ნათესავია.

— უბედნიერესი შეიქმნები მისი მეუღლე!

— შენს პირს შაქარი!

— თუნდ შაქარინი!

— კაცო დათა! სახელი ხომ უბრალო რამ წოდებაა, მაგრამ ამასაც დიდი შერჩევა უნდა. სჯობია, თითონ აირჩიოს ადამიანმა თვისი სახელი. დავით იესეს ძე, დავითი, დათიკო, დათა... რა კარგია! გობრონი... უშნო ხმებია. საალერსოდ შეამოკლო, ვერ მოახერხებ. მესმის: ია, სოსანა, სანდალა... გობრონი... უჰ!

— არაფერი! ყურმა შეჩვევა იცის. აბა, გობრონ ჩემო, მარჯვედ იყავ კვირას და... მეც იქ ვიქნები, შენს გვერდზედ.

ადრე წამოსულიყო: ძალიან თუ ესწრაფებოდა. პატივცემით მიიღეს. უფრო მეტის ეშხით იყო ოთახი მორთული, მაგიდაც სანუგეშოდ იდგა: გაკრიალებული ჩაიდანი დუღდა, მღეროდა მურაბა. თეთრი პური, ყველი; კარაქიც. შუაზედ ლამაზაი მაშრაფა ყვავილებით. ციაგას მღელვარება ეტყობოდა, ფერი მისდმოსდიოდა. სხვებიც ღელავდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, გობრონი დღეს განუცხადებდა თავის სიყვარულს. დედ-მამას ეშინოდა, ქალმა უარი არ უთხრას და შეძლებული კაცი არ დაგვაკარგინოსო. ქალი უკრთოდა გადამწყვეტ წუთსა: არა — შეუძლებლად მიაჩნდა, ჰო — არ ემეტებოდა. მღელვარება თანდისთან ხელსა ჰრევდა სასიძოს. წითლდებოდა, თვალები უმრგვალდებოდა; დაუდგრომლად იძროდა, ძის სკამს ჭრიალი გაჰქონდა. სახე დავიწუნარე, ვუ[illegible] დარბაისლური თქმას: მაგალითს ვაძლევდი სიდინჯისა. ...ვდო ...ევაგოხე! სიტყვა აუჩქაროდა გობრონს: ბგერები თავის-

თავად მომდინაროზდნენ პირიდან. ენის მოკიდებაც უფრო დააჩნდა. დასწია სკამი, ქალისკენ მიიხარა: თქმის დროს წამოდგომა დასჭირდებოდა, იმას უმიზნებდა. ფეხი ფეხს შემოედო. თითები რომ ვერ დასწდომოდა ფეხთსაცმელს, ბამბით გამოეტენა იგი; მოჩანდა, სად თავდებოდა ფეხი. ხასად აათამაშა ჭვინტი. შევხედე, ვაგრძნობინე. ჩამოდგა ფეხი, გაუშტერა ქალს თვალი.

— ჰე, იტყვის!

ჯერ ენაზედ აშრებოდა სათქმელი: უნდოდა ლამაზად ეთქვა სამურაზო, კოხტა სიტყვები კი ეფანტებოდნენ. წასწვდა ჩაის. ბროლის ჭიქებით გვედგა. ლამბაქებიც ბროლისა, თხელ შუშაზედ ყვავილები გამოყვანილი. ღელვისაგან ხელი ოდნავ უკანკალებდა. შენიშნა ეს და უფრო მკვიდრად დაიჭირა ჭიქა თითებში. კვლავ მიაბყრო ქალს თვალი; ტუჩები აამოძრავა. ერთი წამიც და ჭახ! უხეშ თითებში ჩაატყდა ჭურჭელი... ნამსხვრევები, მდუღარება. კალთები. იატაკი. მივეშველე: ვამშრალებდი. ნაწყვეტი სიტყვები. ერთს ხანს შეკრთა ციაგა, თითქო შეწუხდა. მერმე... თვალებში ღიმი ააჩნდა, დამცინავი ღიმი დამღუპი. გაიშალა იგი ღიმი ქალის სახეზედ, გაუპო ბაგე. იბრუნა პირი... ჩამსხვრეული ოცნებები. ჩაფუფქული იმედები. მონთქრეული ტკბილი ნატვრები.

1922 წ.

რკინის დევი

— რამოდენა თოვლი მოსულა! მთელი ღამე უთოვლია ამ დალოცვილსა!

— ნახევარ ადლზედ აუგია ფიფქივით თოვლი.

— კიდევაც მოდის, ისწრაფის, ბარდნის.

— ამოქოლილა საქათმის კარი. უთხარი აბრამს გაავლოს ქვალი.

— მოჯამაგირე საქონელს უვლის, გომს ასუფთავებს, — უთხრა ცოლს იოთამემ.

და დაავლო ნიჩაბს ხელი. დენილმა თოვლმა თეთრად მოპენტა ოდნავ ჭალარა.

— ბიჭო ლექსო, კიდეც ამდგარხარ?!

— რათახანია! ხბორებს ვუვლიდი; ცხვარს, თხას მივხედე, რამდენი თოვლი!

— კეთილ უფალს ქადა, პური გადმოუყრია, კიდევაც გვაწვდის.

— რა ქადა, დედი, რა ნაზუქები?!

— შემოდგომის ნათესისთვის დიდი თოვლი დიდებული საბურავი არის: დაიცავს მარცვალს თაგვისაგან, მფრინველისგან თუ სხვა მტრისგან; თბილად ამყოფებს, ნესტს მიაწოდებს, ლამაზ ჯეჯილად ამწვანდება ანეული და...

— შოთებს დაგვიცხობ იმ ხორბლიდან, ნაზუქებს, ქადებს?!

— დაგიცხობთ, კარგო! არ კი გაცივდე. შეთბი, გათბი, მეც ეხლავ მოვალ.

— რა შემაციებს?!

არ შესციოდა მალხაზ მორბედს მკვიდრად დანაქვთულს, ალის ფერად აღვივებულსა: მაგარი ჩუსტები; კვირტის წინდებზედ ტოლაღები; ხალათად, შალვრად მტკიცე შალი შინვე ნაქსოვი; მოკლე კრაველი სათბალობლად; ტყავისვე ქუდი.

ძლივსღა გაიღო საქათმის კარი. გამოიფინნენ. ძნელად ვიდოდნენ დაბუხულები. მოკივკივებდნენ.

— ვერ ყოყოჩობს ველარც მამალი, რაინდულად ველარ ტრფიალობს.

— რა რაინდობა, თავის თავი გასჭირებია.

მფრინველთ დანახვამ ხუმრობის გეზზედ შეაყენა ალაბეშა, ის ბანჯგვლიანი: ისკუპა მათკენ, შეჰღრინ-შეჰყეფა. თოვლში ჩაყარა შემკრთალ-შემფრთხალნი. ძლივსღა იძროდნენ. მიაღწიეს მშრალს. დაესივნენ მოფენილ ნაკმაზს. ჩიტებს სტუქსავდნენ პურად ძვირები.

იოთამემ გაკვალა გზა ჭიშკარამდისინ, დაიბერტყა ფეხთსაცმელი; შემოეფარა; დაეყრდნო ნიჩაბს. კვლევა დაუწყო ჰაერს, ცის ტატნობს.

— კიდევ ითოვლებს; დიდ თოვლს ააგებს.

— ამაზედ მეტსა!! მთლად დატვირთულან ხეხილები, ძირს დაუშვიათ მძიმე ტოტები. ტყე და ველი სავსე არის თოვლის ქულებით.

თეთრად ჩახუჭუჭებული ტყით შემოსილი მთების კალთები. მწვერვალები აღარ მოსჩანდნენ: ხშირი ღრუბელი მოჰხვევოდა განუჭვრეტელი. მთელი სოფელი თეთრად იყო გადაპენტილი. თოვლს თუ ყინულს დაეფარნა სოფლის მდინარეც, შიგადაშიგ თუ მოსჩანდა იგი ლურჯადა. ვერ დაჰრეოდა ყინვის ძალა ღრმა გუბეებსა, შეტბორებულ ადგილებს მბრუნავს. ხშირი ბოლი ამოსჩქროდა საკომებიდან: შეშინებულთ ბუხრები თუ გამოტენეს კუნძით, შეშებით. ნაკეცნაკეცად ჩაწოლილი მუქი ღრუბლები თვის სახეთაც აღარ იცვლიდნენ. თოვლდა, თოვლდა გახშირებული; თეთრი პეპელა თუ ცვივოდა მაღალ ციდანა.

დაფიქრებული გაჰყურებდა ვაჟკაცი სივრცეს. ანუგეშებდა მოჭირნახულეს ეს თოვლი დიდი.

— ჭირნახულისთვის მისწრებაა არის. ხეხილისთვისაც ძლიერ საჭირო: უდროვოდ არ აკოკრდება ხეხილი ბაღში, ბუდკო ყვავილად ადრეულად არ გადიშლება და ულოდნელი სუსხი, სიცივე ველარას ავნებს.

მაინც ადარდებდა ოჯახისშვილს ეს თოვლი დიდი:

— საქონლისთვის... გუთნეული ხარ-კამეჩი, ძროხები, ცხენნი; ახლა წვრილფეხი, საკვები ბევრი დასჭირდებათ შინ

დაიწყვდეულეოს. ძაოძაი უივად ვეო ძევკოიიე თივა, ოიე, ბურღო.

— ბზე ჯერ ბევრი გვაქვს. ეხლა მივედით შუა საბძლამდინ: გუშინ გადმოიშალა მაჟალო ბზიდან. გახსოვს, ზაფხულს შევიწახეთ შუა ბზეშია. რა ლამაზად დაჟამებულა!

— მოცკრო საბძელი წინად დავცალეთ. დიდიც თურმე ჩავანახევრეთ. თოვლი კი მოდის, პარდნის, ავსებს მიდამოს, ასწორებს ხევებს.

— საწყალი კურდღლები ან შველები ამ საფლობ თოვლში, — სთქვა ლექსომ და გახედა ტყეს.

— გაუჭირდებათ! მინახავს, ამისთანა ჟამს სოფლისათვის მოუტანებიათ შიმშილისგან თუ მტრისაგან დევნილთ. ონავრობს მგელი, ბევრს ანადგუოებს.

— კარგი იქნება ნადირობა თოვლიან დღეში.

— თუ აღარა თოვს, ადვილია კვალის დაკვლევა. მაგრამ ძლიერ საშიშია ტყეში ყოფნა, თუნდა მინდორში; ქარბუქი იცის და შეიძლება დაღუპოს კაცი: ჩაჰფლავს ნამქერში, გაჰყინავს გზაზედ.

— აკი იტყვიან, ქრისტეშობიდან მზე ბრუნდებაო. რატომ არ თბება?

— აბა რა ვიცი! ქალაქს რომ ჩახვალ, ოსტატებს ჰკითხე. თუ ითოშება საწყალი მიწა; ველარ ალხობენ ჯერ უძლური სხივები მზისა, ყინვა კი უჭერს. ნამდვილი კია მზის დაბრუნება. ქრისტეშობის თვეში არის მზებუდობა. მერმე ჩვენსკენ შვრება თავის პირს ის დალოცვილი: შევებრალებით ბნელის ხელში ჩარჩენილ ნი გულთბილს, გულკეთილს. მოდის, მოდის. ჩვენ დასახსნელად ბნელისაგან, მისგან ნაშობ სავნებელთაგან. დასთგუნავს წყეულს! იზრდება დღე თანდისთან და მატულობს ნათელიც ტურფა.

— მე და აბრამამ დავნიშნეთ ეზის ამოსვლის ადგილები, ეხლა უფრო ზევით ამოდის, გვიახლოვდება.

— იზრდება დღე მზებუდობიდან, მოდის ნათელი თანისთანობით, გვაიმედებს კეთილისმყოფი. ესა სწყინს ბნელსა და იკრებს ძალას უკანასკნელ ბრძოლებისათვის! ქარ-ბუქს აგვიტეხს, ჰლეწავს ყველაფერს, აზარალებს ყოველ სულდგმულსა. მემრე კი...

— ვაჰ, საყვარელო! გამოელევა ბნელეთს თავის ძალა, უნდა დაუთმოს ზამთარმა ზაფხულს. ახ, რა კარგია!

სიტყვა აღარ დაათავა, გაექანა გომურისაკენ: აბრამას კარები გაეღო და ელალებოდა საქონს წყალზედა.

— ფრთხილად გალალეთ, არ გადაჩეხოთ.

— ნუ გეფიქრება!

— დაალაგეთ საქონელი და ვისაუზმოთ. ხინკალს გვიმზადებს დიასახლისი. შევსვათ არაყიც.

— კარგი იქნება ძნელ სიცივეში თითო ყანწი წინწანაქარი.

— ორი სჯობია.

— ჰაი, ჰაი ემჯობინება.

— მეც დავლევ, მამი!

— დალიე, კაცო! შამანი გიდგა მთელი ხელადა.

საქონელი გასცდა ალაყაფს. წინ კამეჩები. ყორანა უძღვის. მხნედ მიარღვევდა მუხლამდინ თოვლს. მიჰყვებოდა სხვა საქონელი. წვრილფეხობა უკან მისდევდა. ცხენი აბრამას ეჭირა თოკით. კამბეჩები დაფალნულები, ქარშიკებით დაშარტულები. დიდია ტანად, მაგრამ მალალი: ვერც სიცხეს უძლებს, ვერღარც სიცივეს. გალექდება. იდურაღება. საქონელი დაბზინებული. მუშა საქონს ქედი ნაცხიმი; რქებიც ნაპოხი. ლექსოს საქმეა!

— ჩემი ყორანა ქედდალოცვილი! ფიცხია ძლიერ, სახრე არ უნდა. ლომა სჯობია იმას ღონითა, ყორანა მაინც უღელს უსწორებს თავის მხნეობით. დაუდეგარი! წნელი ვერ უძლებს, ვერც რვალის ღვედი. აეშვება, ურევს, ამტუტებს, მის შედარებით გორგალა, კუდა... ძლიერ უყვარს ჩემს ლექსოს იგი. იმასაც უყვარს, უჯერებს, მისდევს, ულოკავსა სახეს, — გაიფიქრა იოთამემ

და თვალი შეაყენა თვის ბალღზედ. საფიქრი იყო იმისი ბედი: არ იქმნა, წიგნი ვერ შეიყვარა; ვერ შეათვისა სასწავლებელმა პატარას სწავლა; გულიც აეცრუებინა წიგნზედ ნიჭიანს.

— რაც ეს ბალღი მიმიცია სკოლაში, რყევით მიდის სწავლის ამბავი. რასა ჰგავს ესა?! ამ თვის დამდეგს რომ გაუშვეს, დღესაც ღარ მოუთხოვნიათ. კითხვას, წერას გადაეჩვია... ძალიან უყვარს სოფლური საქმე, უფრო საქონი და მისი მოვლა. ვაჟკაცივით მხარში მიდგა უნარით სავსე. იქნება სჯობდეს, ჩემ

გზაზედვე გამოიაროს. ძლიერ უჭირსო ნასწავლ ხალხს ეხლა ცხოვრება. მიწის მუშას დოვლათი აქვსო: საჭმელ-სასმელი თითონ მოჰყავს, ტანთსაცმელსაც თავის ხელით დაიმზადებსო. ეს მართალია. მაგრამ, ვაჰ, თუ მხოლოდ აწ ფასობს, შემდეგში კი...

ვერაფერი ვერ დაასკვნა შვილის შესახებ: ირყეოდა, ეჭვს ასდევდა, მაინც ძალიან არ ღონდებოდა: ბიჭს ცხოვრების ერთერთი გზა გათვლილი ჰქონდა, მამისაგან გაკვალული იგი სავალად. მისმა მამამაც არ შეითვისა სწავლა. გამოვიდა სკოლიდან და აზნაური დაადგა მიწას, როგორც რომ გლეხი. ტანადაც გლეხურად შეიმოსა, ტყეში თუ ველში სამუშავოდ მოწყობილი იგი სამოსი. აღარაფრით არ ირჩევოდა მეზობლებისაგან; მხოლოდ მათზე მდიდრად იყო ბარაქიანი: ჰქონდა სახნავ-სათესი. გლეხებსაც კი არ ახსოვდათ მისი სხვაობა. მისი პატარა თუ სხვა სავალს ვერა ჰნახავდა, ნაცადი გზა მის ხელში იყო.

— ცდას მე მაინც არ დავაკლებ, ბოლომდისინ მივყვები მოზარდს. რომელ გზაზედ გაიმარჯვებს საბოლოოდა, მიმინდვია ეს მის ბედისთვის, მწყალობელი განგებისათვის.

მსწრაფლ გაიარა პატარა დღემ ისეც ბინდულმა. ბევრი წვრილმანი საქმე აჩნდა ჩვეულებრივ გარჯის გარეშე: სიფრთხილეს, ზრუნვას აორკეცებს დარი ბოროტი; მეტს მოითხოვს იგი ქმედობას, გარეთ თუ შინ ბრუნვა-ტრიალსა.

— აბა გოდრები, კაცო ლექსო! გესმის, ზმუიან, საჭმელს ელიან.

— გადაარჩიეთ უგრეხელი? კბილები არ დაალეწოს კენჭმა კამეჩებს.

— უგრეხელიც, ქერიც მზად არის.

— მაშ დაზიდევით! მე მოვუყრი ზღავებზედ ნაბაგს.

— მოვამშრალეთ, მოვაყარეთ; ყველაფერი უკვე მზად არის.

— ბზის დაზიდვას აბა გიშველით.

— ნინიკასაც წამოვკიდოთ ერთი გოდორი.

— რა დროს ბზე თუ გოდორია ამ სიცივეში?! ხედავთ, როგორ თოვს; ნიავიც აჰყვა, ხის კენწეროებს არხევს, აქანებს.

— ჩვენ ნინიკას ისიც ეყოფა, რომ ზღაპრის გუდა მოუხსნელად ზურგზედ ჰკიდია. კარგ არაკებს გვეტყვის ამაღამ.

— ჰაი, ჰაი, გვეტყვის.

— გეტყვით, გიამბობთ! აგერ მორჩებით ყოველ საქმეს. შემოვუსხდეთ მხიარულ ბუხარს და...

იქვე იდგა დერეფანში იგი ნინიკა დიდი მოზღაპრე. მოხრილიყო, თახთახებდა; ჩოხის კალთაში გაეხვივნა მცივანს ხელები. შიშით და ძრწოლით გაჰყურებდა თოვლის ზვინებს მაღლა აგებულთ. ახლო ნაცნობი ოჯახიშვილის, შორეული მის ნათესავი. მკერვალი იყო, მაგრამ ჯდომა ერთს ალაგას არ უხაროდა და დადიოდა უცოლშვილო, მიმოვიდოდა, ადგილს იცვლიდა. სად არ ყოფილა, ღმერთო ჩემო, რა არ უნახავს! ეშხით იცოდა ნახულის თქმა, გაგონილისა. საქმე... ჭირი იყო მისთვის ქმედობა!

— კაცო აბრამ! წყალი ხომ მოტანილია? იქნებ გაყინოს ან ნამქერით ხევი აავსოს: ატყობ, ქარ-ბუქი ახლოვდება; ისმის გუგუნი.

— როგორ დაძრულა მთის კალთებზედ მძიმე ბურუსი! ქანაობს, ღელავს.

— მთის მწვერვალებზედ ჰფლეთავს ქარი მძიმე ღრუბლებსა, მთა-მთა სდევნის მის ნაფლეთებსა.

— ჩამოეხშო ქარი შხალი: ახლო მოისმის გრიალ-შრიალი.

ახლოვდებოდა გუგუნი დიდი, მოისმოდა თანდათან ახლო. აღელვებული მდინარის სახით თუ მოსდგომოდა ქარბუქი სოფელს. გაჩნდა ჰაერში თოვლის ფიფქი მიმომფრინავი, ნამქერის მტვერი.

— აღაბეშა არ დაგავიწყდეთ. ბუნაგში ბურდო გამოუცვალეთ. იქვე აჭამეთ. შეიძლება ამ საშინელ ღამეში ეზოს დაეტანოს მგელი თუ მელა ან ავი კაცი.

— გომის ბანი, სანათური, კარგად დახურეთ?

— გავაწყვეთ ფიცრები; სასუქიც ბლომად დავაყარეთ, რომ ქარი არ ჩამოუშვას.

დააწყნარეს ყველაფერი. შეეფარა მეკომური თავის თბილ ბინას. ფართო დერეფანი. ზედ შუაზედ გომურის კარი. თვით გომური დიდი შენობა. მუხის ბოძებზედ, მუხისავე თავხე, კოჭები. მუხის ფიცრითვე გადახურული. ზევიდან მიწა, თიხა ტკეცილი. მარჯვნივ და მარცხნივ ორივ კედლის გაყოლებით გრძელი ბაგები სხვილ საქონლისთვის. ქვემობოლოს ლასტმოვლებული ბაკი წვრილ საქონლისთვის. მარჯვნივ, ცხენის ბა-

გის გვერდზედ ფიცრის კედელი. ოდასა ჰფარგლავს. თვით ოდაში ორპირად ტახტი. დიდი ბუხარი. ოდიდან კარი საოჯახო სადგომისაკენ. კართან ახლო სალოგინედ მაღალი ტახტი.

ყოველდღე სახმარი ლოგინი აქ გამოჰქონდათ ოთახებიდან. სალოგინე — ლექსოს საწოლი. შინ არ წვებოდა: იტყუებდნენ გომის სითბო, საქონელთან მახლობლად ყოფნა და... ზღაპრები ნინიასი, საკვირველი არაკები, თან საშიშარნი. მაინც საამო!

— ჭრაქი ხომ კარგად გაამაგრე? არ ჩამოვარდეს.

— ფიქრი არა აქვს!

კარგად ივახშმეს. კაკალა პური. ღორის ლურთები, თითო არაყი. შეშა დაბძინეს მგზნებარე ბუხარს. წარსთქვა აბრამამ თავისი ლოცვა.

ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული;
ვერას მავნებს მაცდური;
მწყალობს წმინდა გიორ...

ჩაწვნენ. მოსხნა ნინიკამ არაკის გუდას. დალაგებით იტყოდა სიტყვას, უღელველადა. უჰ, რამღენი სთქვა! გრძლად სათქმელი ზღაპრები იცის.

— ხომ არ გძინავსთ?

— არა გვძინავს.

— გისმენთ.

— განაგრძე!

— ჰოდა იარეს, იარეს ძმადშეფიცულებმა. ათას ადგილას კიდევ მოუხდათ ხმლით გაკვლევა საძნელო გზისა. მიადგნენ საკვირველებას: ქალაქი იყო, დიდი ქალაქი გაქვავებული. სადარაჯოზედ, ციხე-ბურჯებზედ, სასახლეებში, ქუჩა-მოედნებზედ ხალხი გაქვავებული; ეტლები ცხენებით, ცხოველები, სანოვაგე თუ სხვა სავაჭრო დუქნებში, ყოველი სულიერი და უსულო თეთრ მარმარილოდ იყო გადაქცეული. დიდი მდინარეც, ქალაქს რომ სჭრიდა, შემდგარიყო გაქვავებული. გაჰკვირდნენ ძალიან. სთქვეს. ეს რა ამბავიაო. სულდგმული არავინა სჩანდა, რომ გაეგოთ ამ საოცარი ქალაქის თავგადასავალი. დაფიქრებულები რომ იდგნენ, ვნახოთ, გაჩნდა იმათ წინ შავებში მოსილი დედაკაცი. რა მშვენიერი ვაჟები ხართ,

ერთიმეორეზედ უმჯობესიო. ეგეთ კარგ სტუმრებს მასპინძლობაც კარგი შეგფერითო. წადით პირდაპირ, შუა ქალაქში დიდ სასახლესა ჰნახავთ, იქ ჩამოხდით, მოისვენეთ. მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდინ თქვენ საკადრისად გაგიმასპინძლდებიანო. გაქრა დედაბერი. წავიდეთ, წავიდეთო.

— გძინავს, ლექსო?

— არა მძინავს! მემრე?

— აბრამას კი დასძინებია. როგორა ხვრინავს!

— ჰოდა ის იყო, მივიდნენ სასახლესთან, რომ შემოესმათ ხმა:

— ფრთხილად! მოვა დევი პირყვითელი ლაშებსისხლიანი, მოუსვამს ფრთას გაქვავებულებს, გააცოცხლებს და გადაჰყლაპავს. ეროსაც თქვენთაგანს ჩანთქავს და წავა. ახლა პირშავი დევი მოფრინდება თვალცეცხლიანი, მოუსვამს ფრთას გაქვავებულებს, გააცოცხლებს და გადაჰყლაპავს. ერთს თქვენთაგანსაც ჩანთქავს და წავა. გრგვინვით წამოვა რკინის დევი ცეცხლის მფშვინავი. პირის ქარით გააცოცხლებს გაქვავებულებს და გადაჰყლაპავს. ჩანთქავს მესამეს თქვენგანს და წავა.

უყურებდნენ განცვიფრებულნი. ძე კაცისა არსადა სჩანდა. აივანზედ ქალი იდგა გაქვავებული და თითქო იმისაგან მოისმოდა ეს გაფრთხილება. საბიფათო ადგილას მოვსულვართ, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ, თქვეს ძმობილებმა და უფროსი დადგა დარაჯად. ერთიც ვნახოთ, წამოვიდა ქშენა-სტვენით დევი ყვითელი...

— გძინავს, ლექსო? ჩასძინებია!

...წამოფრინდა... ყვითელი... რკინის... ალსა ფშვინ... ნაკვერჩხალის თვალ...

— მიშველეთ, დევი! რკინის დევი! — შეჰკივლა ლექსომ და...

წამოფრინდნენ შეშინებულნი. გაპოცვივდნენ ოთახიდანაც. აეწყვიტნა წყეულ ყორანას, ევლო მოწყენილს, მისულიყო ერთგულ მომვლელთან. თმას ულოკავდა.

1923 წ.

ანანოს ბედი

ობლის კვერი ცხვა, ცხვა,
გვიან გამოცხვა,—კარგად გამოცხვა!

1

— ერთხელაც რომ ნიჩბით ვუქციოთ, მეტი აღარ დასჭირდება.

— ვგონებ, დაგვაცადოს ავდარმა და მოვასწროთ შეგროვება.

— ხელი ააჩქარეთ: ათიოდეჯერ რომ შემოატრიალოთ კევრები, მთლად გაიღეწება.

— რა მშვენიერი დარი იყო დაღას! როგორ გაჩნდა ეს ღრუბელი ცამოწმენდილზედ?!

— ეგრე იცის მწვერვალმა: უეცრად მოიქუშება. კიდევ კარგი, ადრე ჩავუშალეთ კალო.

აუჩქარეს, შეახურეს ხარები. უქციეს უკანასკნელად, დაურბინეს. გამოუშვეს. ააბრუნეს კევრები. დატრიალდა მახარე არნადით ხელში.

— ცოცხები ჩქარა! საცაა, დაიძვრის ღრუბელი და დაეშვება.

სწრაფად იზრდებოდა საავდრო, მთის წვერს გადმოსცდა; შეეფინა ნახევარ ცასა. შეაგროვეს ნალეწი. მოასწრეს მოგვა; დაარაკრაკეს.

— ბიჭო, მახარე! წამოშლილა ძნა...

— კინაღამ დამავიწყდა!

ავარდა ზვინზედ. ისე ჩამოათავქვევა ძნები, თითქო კრამიტიაო სართულის ფრთაზედ. დაქანდებოდა წყალი, ვერ ჩაუვლიდა. გახედა მაღლიდან.

— ერიჰა! კაკლუაანთ კალო ისევ გაშანშლულია. მარტო დედაკაცები მუშაობენ. ანანოს არნადი?! შინ თუ არ არის კაკლუა.

— ეტყობა.

— დაუსველებს ნიაღვარი გაშლილ ჭირნახულს, — წამოიძახა მახარემ

და ჩამოფრინდა. გადაევლო ხარიხოებს, დაეშვა თავქვე.

— ბიჭო, მახარე!.. ვის გააგონებ?! ფრთები შეისხა.

— ეშხი ეგზნება ჩვენს ჭაბუკს გულში და ის მიაფრენს.

— ავდარიც დარია მაგის ხანში, დარი ხომ დაროობს.

— გახსოვს, დედაკაცო, დანიშნულები რომ ვიყავით, რა დროს გავჩნდებოდი თქვენს კარს?

დედაკაცს მოგონებამ სიამის ღიმად გადაურბინა ანაოჭებულ სახეზედ, გაუშუქა მჭრალი თვალები.

— ჩვენ მაშინ ნიშანი გვქონდა ნაკურთხი, მახარეს კი მარტო თვალი უჭირავს გოგოზედ; ჯერ ღმერთმა იცის, რითი გათავდება საქმე.

— რყეულად იტყვი! ჩვენს ბიჭს შეჰყვარებია ის; ქალიც კარგია. ავი თვალით არ ინახება და..

2

ქალს არა უშავდა რა, კარგიც იყო ის, მაგრამ ობოლს, სამადლოდ ბიძასთან აზრდილს არა გააჩნდა რა ჩაქშეხეული კაბის გარდა.

— ემჯობინებოდა კარგი ოჯახის ქალი აერჩია; ბევრს უჭირავს ჩვენს ბიჭზედ თვალი, თუნდ პერიკაანთ.

— რატომ არ ეჭირებათ თვალი; ტოლი არა სჯობს სოფელში; არც ჩვენ ჩამოვუვარდებით ვისმე მეკომურობით, მაგრამ... დეე მოიყვანოს, ვინც გულით მოსწონს.

— არ ვუშლი! გუბის ბაყაყი რომ შემოიყვანოს, მაინც ჩემ რძლად დავისახავ და ქალად.

— ვიცი: შენ ხომ ფიქრიც არ შეგიძლიან ავისა, არამც თუ გაკეთება, — უთხრა სეხნიამ თავის ცოლს

და მფარველობით გადახედა მას: იმის ფროსე იმთავით ამთავამდე კეთილი იყო, მეამიტი. მტრისათვისაც გულშემატკივარი და უჯათს როგორ გაუწევდა თავის ვაჟკაც შვილს.

— მოხდეს, როგორც ღმერთს უნდა! ეს ერთი ქალი გვყავს. მალე დავაბინავებთ და მთელი გამართული ოჯახი ჩვენი მახარესია. მზითვის ძებნა არ არის მისთვის საჭირო, ის კია, რომ

ძალიან ეწყინებათ ბერიკაანთ: სათავისოდ გამოელიახ.

ამ საუბარში იყო ცოლ-ქმარი, როდესაც კალოს ხარიხებს მოადგა ბერიკაული ყალიონით პირში.

— მოვრჩი კალოს შეგროვებას და საფეხვნოდ გადმოვიარე.

— ჩვენც მოვასწარით, შევახოხმიკეთ. გადმოდი, კაცო! რა შორიდან გველაპარაკები?!

გადმოაბიჯა ხარიხოებს და მიუტოლდა საბძლის კარებთან მჯდომ ცოლ-ქმარს სამასლაათოდ. მთის ფერდობზედ ჩამომდგარი წვიმა კი შენივთებულ ჯანღის ქსელებად ჩამოშვებულიყო; ნისლის ზეწარი თანდათან ახლოვდებოდა; წამოწინწკლა, იმატა, დაუშვა კოკისპირულად. საბძელში შეიწიეს მეზობლებმა.

— ვათვალიერებდით, გვიამებოდა; თქვენი მახარე რომ ტრიალებდა კალოზედ, ორი ვაჟკაცის ტოლას აკეთებდა; დავულოცეთ მარჯვენა.

— გმადლობთ! არც ჩვენ გვაქვს რამე დასამდურავი: მადლიანად ირჯება, ამდღე ფეხს არ ჩაიდრეკს.

— ის გვიკვირს და გვიხარიან, რომ ჯარისკაცობაში არ გადაჩვეულა გლეხურ საქმეს. კიკოლაანთ სერგო, ქვრივის შვილი სოლიკო დაზარმაცებული დაბრუნდნენ, ეჩოთირებათ ჩვენი საქმე, აღარ კადრულობენ.

— ჰო, თინას ბიჭი ამდღეს დუქანში გდია, დედაკაცი კი წელებზედ ფეხს იდგამს, რომ აღონღიალოს სახლი.

— უფროც შეჰყვარებია ჩემს მახარეს საოჯახო გარჯილობა: ჯარის საქმე მალე დავისწავლე და მერმე სულ ხელები მექავებოდა ჩვენებური მუშაობისათვისაო.

— ბედნიერი დედ-მამა ხართ, ძე და ჩემმა ღმერთმა!

სეხნიანი რომ ბედნიერები იყვნენ თავიანთ შვილით, ბერიკაულსაც უნდოდა ბედნიერი სიმამრი გამხდარიყო, იმისი დარდი ჰქონდა, ამ გადმოსეირნების დაფარული აზრიც ის იყო. მის ქალს მართას შორიდან შეჰყვარებოდა მახარე და უცეცხლოდ იწოდა ანთებული მისი სურვილით. იმისმა დედ-მამამ იცოდა ეს და გულით ჰსურდა შეჰსრულებოდა მას თავისი ნატვრა. ისხდნენ მეგობრები, ჩიბუხს შეექცეოდნენ, იტყოდნენ თითქო გულუბრყვილოდ; კარგად კი იცოდნენ, რა სარჩული ედვა მათ ტკბილ მუსაიფს.

წვიმა მოჩქრიალებდა მოშურებული. წამოვიდა ნიაღვრები, სულ ჩაალტო და წალეკა მთელი სალეწი, სადაც მოასწრო გაშანშლულ კალოს. დაჰქროლა ქარმა, დაგლიჯა ღრუბლები, გადაჰყარა: ბრწყინვალე მზე კვლავ გამოვიდა. მუშაობის გაგრძელება მაინც აღარ შეიძლებოდა: ალაფებული იყო კალოები.

— მოგვიცდა მთელი დღე.

— მოვიშრიტენით.

— მე კი ვფიქრობდი, დღეისწორს მექნებოდა კალოკრეფა.

3

გადმოევლო ხარიხოებს მახარე და მიაძახა:

— დედი, დედიჯან! ჩემი ხურჯანი გამომიტანე!

შენიშნა მეზობელი:

— გამარჯობა შენი!

— აი გაგიმარჯოს, ჩემო მახარე!

— რად გინდა, ბიჭო, ხურჯინი? — შეეკითხა დედა.

— ტყეში მივდივართ პანტაზედ. აბა ჩქარა!

მოუბრუნდა დას:

— სალომე, შენც წამოდი, ბევრნი ვართ: მინდია, გოგი, ნარაანთ თეონა, სოსია, ანანოც მოდის.

— ბიჭო მახარე!

— რაიო?

— ჩვენი გოგოც წაიყვანე: თორემ შინიდან კარში არ გამოდის, ათასი საქმეაო.

— ჰოლე, — მიუგო მახარემ და მიმართა დას:

— სალომე! გადირბინე, შენ და მართა ერთად წამოდით; ნუ დაიგვიანებთ.

გადაიგდო ხურჯინი, გაბრუნდა, შეიკრიბნენ. გაემართნენ. მანამ სოფელს გასცდნენ, სხვებიც შეუერთდნენ, პატარები არ წაიყვანეს: შორს მივდივართ, ვერ მოგვყვებითო. ტყის პირას რომ პანტები იდგა, ზოგმა იმათკენა ქნა პირი. მახარემ არ მოუწონა:

— თავი დაანებეთ: ეგ მეხრეებმა და გოგო-ბიჭებმა დაკრიფონ. ჩვენ პანტიანზედ წავიდეთ.

— თოფს მაინც წამოვიღებდი: დათვი არ დაგვხვდეს.

— არა! დაფრთხება ნადირი ამოდენა ხალხის ხმაურობაზედ.

— მაინც რა გვიშავს: ხანჯლები ხომ გვარტყია.

გადუხვიეს, შევიდნენ ტყეში. გაიარეს წვრილიანი. ნამით სავსე ტოტები შხეპავდნენ მიმავლებს, აბკურებდნენ ცვარს, დასველდნენ, დაჟივდნენ. ვინ დაგიდევდა?! მაღალი ხმით საუბარი; სიცილ-თქართქარი; ბურთაობა მოსწრებული თქმით. შევიდნენ აყრილ ტყეში, მივიდნენ.

ფერდობები იყო მზისკენ ჩაფენილი. უამრავი პანტის ხეები. მაჟალოც იყო, ტყემალიც სჩანდა. განზრახ დარგულ ხეხილსა ჰგავდა. ახლო გარშემო წიფლიანი. ყვითლად ეკუნწლა. ძირსაც იყო გაშლილი. შეათვალიერეს დასარხევები, ამოირჩიეს. მარჯვე ბიჭები თავს მოექცნენ ხეებს. არ ეადვილათ: ხეხილს წიფლისთვის მიებაძნა, ლიტაოდ წასულიყო მაღლა ცისაკენ; მზისაკენ თუ მიიბრძოდნენ ლერწამტანები. ხალხი არა სჭირდებოდათ: მოწეული ხილი თითონვე ისწრაფოდა დედამიწისკენ. ყოველ შერხევაზედ უხვად იშლებოდა ძირს. ხმაურობა შეწყნარდა ერთს ხანს: ყველა ცდილობდა, ადრე გაევსო თვის საბარგულე. ანანო და ბერიკაანთ მართა იმ ხის ქვეშ მოექცნენ, მახარე რომ არხევდა, ვაჟი გართული იყო პანტის ბერტყაში; ცალი თვალი მაინც ძირს ეჭირა, ქალებისაკენ. ანანოს თავისი გუდა მიეტოვებინა, მახარეს ხურჯინს ავსებდა. ეამა ბიჭს ესეთი მზრუნველობა, ჩასძახა:

— ქალო ანანო, ხურჯინს მეც ავავსებ, როცა ჩამოვალ; აკრიფე შენთვის!

მართამ მაშინღა მიაქცია ყურადღება ანანოს და არ გაეხარდა: მეტოქეს მეტი მზრუნველობა გამოეჩინა, ეჯობებინა. მაინც გული არ გაიტეხა, წარსთქვა ფიქრებში:

— ტყუილად დასტრიალებ თავს ვიღაც ობოლ-ოხერი: მე ვერ წამივა ხელიდან: სად ჩვენი გაკეთებული ოჯახი და სად შენი ამოწყვეტილობა!

ანანო კი ხურჯინს ავსებდა: მოვასწრებ გუდის ავსებასაც; ხრილივით არის პანტა გაშლილი, ფიქრობდა იგი გულგაღებული. ქალის მზრუნველობამ გული დაუდვა ვაჟკაცს, მადლობის თვალით გაახედა გოგონასაკენ. თანაც უფრო მოეწონა დახრილი ქალი, ნაწნავები რომ ჩამოშლოდა და მარცხენაში მოე-

კრიფნა, მიწაზე არ მომეთრიოსო. ვერ შესძლო ბიჭმა არ მოეალერსნა. მსწრაფლ გავიდა იმ ტოტზედ, რომლის ქვეშ იყო ანანო, და მძლავრად შეარხია იგი. სეტყვასავით დაეშინა ხილი წახრილ ქალს. შეხედა ზევით; მიხვდა; გაუღიმა.

4

წამოვიდნენ. ჩამოათავეს აყრილი. დაუახლოვდნენ წვრილიანს. ველი აჩნდა ყვავილფენილი, მთის ფხაზე დასულ მზეს ჩრდილები წაეძაბნა, ველისათვის გადაეფინა. ტატნობიდან ნასროლ სხივებს გაეგმირათ ფოთლების ფარდა და ოქროს ფხვნილად დაჰფენოდნენ აქა-იქ კორდებს.

— შევიფერხოთ!

— რა გვაჩქარებს: მზე ჯერ არ ჩასულა.

— ჩავა და მთვარე ამოგვიშუქებს; არ დაუვახშმია.

— დავსხდეთ, დავისვენოთ.

— რა დროს დასხდომაა?! გოგონა, გოგონაო!

— ჰარიქათ ტაში! გოგნი, გოგნი, გოგონაო!

ჩამოტრიალდნენ.

— აკი გითხარით, ბიჭებო, გოგონა, გოგონაო!

— აბა, ანანო! — შესძახა მახარემ და გაუთამაშა.

— ეს ქალი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგებაო.

— გოგონა, გოგონაო!

— ამან რომ ფეხი იტკინოს, მე ხომ არ დამბრალდებაო.

— გოგნი, გოგნი, გოგონაო!

— აკი გითხ...

— დავიღალე!

— დავიქანცენით!

— რას ამბობთ, ქალო! ნიშხა-ნიშხა! ნიშხა-ნიშხა!

— მწკრივად!

ჩამწკრივდნენ ქალები, გააბეს ხელი-ხელთ. მათ პირდაპირ ჩამორიგდნენ ვაჟები ხელი-ხელთ გაბმით. მათ შუა ათიოდ ნაბიჯი.

— დაიწყე, ონოფრე! თავში შენა სდგეხარ.

— ნიშხა-ნიშხა!

— ბალბალუკა!

— ქალი ვინა?

— მე გახლავარ!

— მოვდივარ და...

— მზად გახლავარ!

დააგდო ონოფრემ ჭუდი შუაზედ და გადახტა ქალისაკენ. გაფრინდა თეონა, მარჯვედ დაძვრებოდა ქალთ მწკრივის შუა. გზას აძლევდნენ: ხელებსა ხსნიდნენ, ცდილობდნენ მოესწროთ და შეეკრათ გზა ვაჟისთვის. დასდევდა ბიჭი: უნდა დაეჭირა და ისე, ქალს მისი ჭუდისთვის ფეხი არ დაეკრა. აჯობა გოგომ: შეეხო მის ჭუდს, თითონ გაუსხლტა.

— ნიშხა-ნიშხა! — დასძახა მახარემ.

— ბალბალუკა! — უპასუხა ანანომ.

— ქალი ვი...

მარდად დარბოდნენ, მკვირცხლად უსხლტებოდა ხელიდან ქალი. სად წაუვიდოდა ჯარში გაწვრთნილ კისკას ვაჟკაცსა?! მოასწრო, მოსწვდა, ხელთ მოჰხვდა ბირთვი გატიკნული; ატკინა ძუძუ.

დაეშვნენ, სიმღერით შევიდნენ სოფელში, შეუხვიეს უბნებისაკენ, სახლებისკენა. ანანო და მახარე ჯერ კიდევ ერთად მიდიოდნენ. განმარტოვდნენ. ბიჭმა ხელი წაატანა გოგოს.

— ნუ, გენაცვალე!

— რად არ? მიყვარხარ!

— არა! ერთი ობოლი გოგო ვარ სხვათა კარს...

— მინდა გაკოცო მა ჭრაქივით ანთებულ თვალებში!

— ნუ, თავს შემოგევლე! დაგვინახავენ, თავი მომეჭრება მთელ სოფელში.

— როგორ?! განა ცუდი ფიქრით მოვდივარ შენთან: მიყვარხარ, ცოლად მინდიხარ.

— არა, საყვარელო! ჩემი გათხოვება ჩემ ბიძა-ძალუას ეკითხება: დღეს დედ-მამის ადგილას არიან.

— იყვნენ. უარს მეტყვიან თუ?! ოღონდ შენ...

აღარ დასცალდათ, გზაზე ხალხი გამოჩნდა.

— გამარჯვება თქვენი!

— გაგიმარჯოთ!

— ტყიდან?

— ჰოლე! აბა იგემეთ. პანტიანში ვიყავით, იქიდან მოგვაქვს.

5

მხიარული დრო ედგა სოფელს, ჭირნახულის შემოკრეფის ჟამი, შრომის ნაყოფის შემოტანისა. მალე დაიწყებოდა ქორწილები, ნათლობები, ხატობები; თუნდაც წირვები. შვებით ამოისუნთქებდა ხალხი: შემოდგომა სავსე დრო არის მიწის შვილისათვის, ყუათიანი. მაგრამ... ეჰ, წლეულ სისხლის აჩრდილი ასდევნებოდა ხალხს და ის აღონებდა ყველას, ნათელ სიხარულს უმუქებდა, აფიქრებდა, კიდეც აშინებდა. ძნელი ამბავი გაავრცელეს სოფელში ყავლგათავებულებმა, რომლებიც ბოლო დროს დაბრუნდნენ: გამოსტუმრებისას ეთქვათ, შეიძლება მალე მოგითხოვოთ მომქმედ ჯარშიო. სოფელი ფიქრს მისცემოდა ამის გამო; ათასი ხმა დადიოდა შემკრთალ ხალხში.

— ვინ გაარისხა რუსთ ხელმწიფე და ხალხის ცოდვა დაიდვა თავსა?

— ამბობენ, გერმანთ კეისარი, ავსტრთა ხელმწიფე, ბულგართა მეფე, თითონ ხონთქარი შეთქმულანო ფრანგთ წასახდენად და რუსთ ხელმწიფე, ინგლისთ კეისარი, იტალიელთ მეფე წაჰშველებიანო ფრანგისტანს.

— მთელი ქვეყნიერება აღმდგარა ერთი მეორეზედ!

— გავიგონე, უკიანს იქით ამერიკის ქვეყანააო და ისიც ფრანგებს დაეხმარებაო.

ეს წითელი შიში მუქად ჰღებავდა ცხოვრების სახეს, ვერ კი აჩერებდა მის დენას: მიმდინარეობდა ხალხთა ყოფა თავის სადინელზედ და თხოულობდა ყველასაგან წესთ ასრულებას. მახარეც ვერ ასცდებოდა ამ საზოგადო სვლას და მხიარულად მიდიოდა იმის ასასრულებლად.

— მოვრჩებით კალოს, დავსწურავთ ღვინოს და დავნიშნავ ანანო გოგოს.

— აღარ იშლი, ბიჭო?

— ქალი უკეთესი არ იქნება და რაღად მინდა სხვა?!

— ეწყინებათ ოჯახიშვილებს, ბერიკაული...

— რა ვქნა, როცა ანანო ამოვირჩიე?! ჩემი ბედი ისა ყოფილა.

— მაშ საგიორგობოდ მოვაწყოთ ქორწილი: მეც მომწონს ქალი, — სთქვა დედამ.

— რახან შენ კვერი დაუკარ, მე რაღა მეთქმის?! მოვიყვანოთ ანანო.

— დედი, ერთი კარგი ფირუზის ბეჭედი მიყიდე: ბელგად მივუტან; ნიშნობა და ქორწილი საგიორგობოდ გავაჩაღოთ.

— გიშოვნი: მოსესა აქვს, რა გეჩქარება? ერთად გავმართოთ ნიშნობა და ქორწილი.

— არა, ეხლავე მივუტან ბელგას· გაგა არ ეშვება გოგოს, ილაჯს უწყვეტავს; ხელდადებული რომ მეყოლება, ვეღარ გაბედავს. და თუ კიდევ არ დაიშალა... — წარსთქვა მახარემ მუქარით და სახრე შეიმაღლა.

— იცის ქალმა შენი დანაპირი? — შეეკითხა მამა.

— ანანომა? იმას ვინა ჰკითხავს?!

— ეჰ, ალბათ იცის: ეხლანდელი ახალგაზრდობა თითონა სწალდავენ თავიანთ საქმეს; დედ-მამას მარტო წესის დასაყენებლადა ჰკითხავენ.

— ჩვენ დროსაც ეგრე იყო, ჩემო კარგო! მე რომ ნიშანი მოგიტანე, აკი იცოდი: ადრევე გვქონდა პირობა დადებული; გახსოვს, მამითადში ხელეურებს რომ გვაწვდიდი და გამექეცი?

6

მოსემ მარტო ბეჭედი არ მოუტანა, საკაბეც მოაყოლა. ვარდის ფურცლად დაფოთლილი ჩითი.

— რა მშვენიერია! რამდენს დარჩა თვალი ზედ, მაგრამ იმ ქალის ბედზედ წამოვიღე, ვსთქვი: მახარეს ვაჩვენებ, მოეწონება.

ღრეჭად გარდაქმნილი მახარე დაჰყურებდა საკაბეს და ცხადად ჰხედავდა, როგორ აჰხატავდა ნაქვთიან ტანს ლამაზი კაბა.

— რას იტყვი, ბიჭო?

— ავიღოთ!

გადუზომა მოსემ.

— ადლს მეტს ვზომავ: ტანადი ქალია, ვაითუ არ ეყოს; საკერებლად დარჩება, კარგია.

ბოჩხის ჩალაგებისას თავისჩითები გაშალა, მეორედ ჰკეცავდა, ნელ-ნელა აწყობდა.

— აბა ეს მოსახვევი ნახეთ. ბაღდადსა ჰგავს ნაირით; ადგილიც გაუსინჯეთ: აბრეშუმის სიმტკიცე აქვს.

ვაჭარმა სათუთად დაკეცა, ჩადო ბოღჩაში. ბიჭს თვალი დარჩა ქსოვილზედ.

— რა ღირს, მოსე, ეგ თავსაფარი?

— რად გინდა, რომ აფასებინებ?

— რაღა რად მინდა: მახარესა ჰგონია, უკეთესი იქნებოდა ესეც მიგვეტანა ქალისათვის, — ჩაეშველა მამა.

— ბარემ გამზითვეთ გოგო და მორჩეს!

— გახსოვს, დაირა რომ მოგიტანე დანიშნულობაში?

— ეხლა ეგ გააგონე! — სთქვა დედამ

და აიღო თავზემოსახვევი, გაშალა, გასინჯა მუშტრის თვალით. იყიდეს. მადლობელი დარჩა მახარე კარგი მოსესი. ბელგის მიტანა ნიშნობას უდრიდა: მინატანით დადასტურებული სიტყვა არ გატყდებოდა; სოფელი არ იყაბულებდა ამას. პატრონები აღარ უშლიდნენ ახალგაზრდას ოჯახში სიარულს, გოგოსთან გაცალკევებას, თუმც მზირად იყვნენ, აღტაცებულ ახალ-ნორჩებს არ შეელახათ ტრფობის სიწმინდე. თითონ ქალვაჟიც ფრთხილობდა ახლო მომავლის ტკბილ მოლოდინში.

მაგრამ ეს საამო სალოდინო რომ მოდიოდა და არც ნელნელა, სხვა მომავალიც საბოროტო მოაბნელებდა ჩქარის ნაბიჯით: ომი დაიწყო; სწრაფად გამწვავდა: დასჭირდა ხალხი რუსთ ხელმწიფესა, მოითხოვეს განთავისუფლებულნი; სხვებიც ზედ მიაყოლეს. თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭებსაც მალე მოჰკრეფსო, იმუქრებოდნენ; ქუდზე კაცს დაუძახებსო. უნდა წასულიყო მახარე და ძალიან სწრაფად: აღარ აცდიდნენ. გადაიარა მოყვრებისას.

— იმედია, მალე დავბრუნდები: რუსმა დიდი ხალხი მიაყარა და დღეს მოუსწრაფებს მტერსაო.

— გისმინოს ღმერთმა, შახარე ჩემო! მეც გავიგონე ეგეთი ხმები. ის რაღა ცოდვის კითხვაა, რომ ეგრე გაჩქარებენ; ერთი კვირა მაინც დაგცლოდათ, რომ მიგეხედ-მოგეხედნათ და საქმე მოგეგვარებინათ.

— აღარ გვაცლიან; ქაღალდს ისეც დაუგვიანია და ხვალვე უნდა გაუდგეთო გზას.

— სახუმრო საქმე არ არის ეხლა...

— აბა მშვიდობით! ისე გაბარებთ ამ ჩემს ანანოს, როგორც ჩემს სულსა.

— შენ შენს თავს გაუფრთხილდი, რომ სალამ ვაჟკაცებს დაბრუნდე, თორემ მაგას რა უშავს სახლში.

ანანომ გადმოაცილა საქმრო. დამშვიდობებისას ატირდა გოგო.

— ნუ, გეთაყვანე! — მიეხმატკბილა მახარე.

ქალს უფრო ამოუჯდა გული. რამდენჯერმე დაუბრუნდნენ ერთმანეთს: გაყრა ეძნელებოდათ. მეორე დღეს გაირეკეს ბიჭები. გულჩათხრობილი დარჩა სოფელი. გავიდა დრო, დაზამთრდა, თანდათან შემძიმდა ცხოვრება, ომის ნასახმა იჩინა თავი.

— გასჭირებია, კაცო, რუსს: ძალა მოუტანიათ.

— ესე უთქვამს რუსთ ხელმწიფეს: მთელ ჩემს ხალხს შევალევ, მაგათ გულისა კი არ გავხდებიო.

— ალბათ იმისთვის თხოულობს კაცებს კიდევ და კიდევ.

— სულ გაალაგეს ვაჟკაცები.

— მეც მაგას ვდარდობ: გაზაფხული კარს მოგვდგომია და ლამის მუშა ხელი აღარ დასტოვონ.

დათბა. გადნა თოვლი. დაეტყო სოფელს მუშა მარჯვენის ნაკლებობა. ომის რისხვა კი არა სცხრებოდა. ყველას გზისკენ ეჭირა თვალი, აცა რა ამბავი მოგკივაო; ყველა კერას გაეს-ტუმრებინა სახლის იმედი. ძრწოლით ელოდნენ ამბებს ბრძოლიდან. შემოვიდა მახარეს მამა, ტახტზედ ჩამოჯდა. გამქრალი ჩიბუხი ეჭირა პირში.

— დედაკაცო, ერთი გადახედე, რა დაჰმართიათ კიკოლაანთ: ტირილი მოისმის, მათი ქალები თმას იგლეჯენ.

— უი შენ, ჩემო თავო! ცუდი ამბავი მოუვიდათ დემეტრესაგან, — წარმოთქვა დედაკაცმა

და ჩამოიშვა კაბის კალთები. გაეშურა მეზობლისაკენ. გახშირდა ესეთი ამბები; ხან ერთი ოჯახი ატირდებოდა, ხან მეორე; ყველა გულის ფანცქალით ელოდა, ვნახოთ, დღე რას მოგვიტანს, ან რას ღამეო.

7

ცხოვრება სწრაფად უარესდებოდა: ვაჟკაცების წაყვანა საზიანოდ დაეტყო სახლკარს, მძიმე უღელი დააწვათ ხანშიშესულებს, დედაკაცებს, ბალღებს. სიძვირემაც იჩინა თავი და დღითი-დღე იზრდებოდა.

— ვაჭრები აღარაფერს იძლევიან ნისიად; სულ ნაღდზედ უნდათ მამასისხლად.

— მოსე ქაღალდის ფულს აღარ იღებს, ოქრო-ვერცხლსა თხოულობს.

— არც მარცვლეულობას და სხვა სანოვაგეს სწუნობს; გაზიდა სამარხო თუ სახსნილო.

გააჩანაგეს ვაჭრებმა სოფლის მოსავალი, სინსილა გაუქრეს ლითონის ფულსაც: ამ ფულით ვაჭრობდნენ, ქაღალდის ფულზედ ყიდულობდნენ ერთი-ორად და სადღაც გაჰქონდათ. ხალხი ამას მარტო მაშინ მიხვდა, როცა სოფელში ბუნჯგალ-ბუნჯგალი მოვიდა ქაღალდის ხურდა. ერიდებოდა ხალხი ამ საკვირველ ფულს, მაგრამ რას გააწყობდა; ძალა აღმართს ახვნევინებდა.

გავიდა გაზაფხული; მიიწურა მეორე შემოდგომა: მოტრიალდა წელიწადი. მახარეს ამბავი ვერაფერი გაიგეს; არ იცოდნენ, კიდევ ცოცხალი იყო, ან თუ მიწამ დაუყო პირი. დაძმარებული დადიოდა მისი დედ-მამა. ანანო ხომ... რაღა საკითხავი იყო საწყალი გოგო?! აქამდინ თუ ობლის ლუკმასა სჭამდა ცრემლით ნაბკურებს, ეხლა, ლამის, ესეც დაჰკვეთოდა: მისი ბიძა აღარ მალავდა, რომ მისთვის ძნელი შეიქმნა მეტი ადამიანის შენახვა. ქალი არ ზოგავდა თავს, მუშაობდა გალომებული. მაგრამ მის შრომას ფასი აღარ ჰქონდა, ვერ ინაზღაურებდა შენახვის ხარჯსა. ჩაეთხრო გული, ჩაუშავდა სიცოცხლე. საქმე სამგლოვიაროდ გაჰხდომოდა, იმას კი წითლიანი კაბა ეცვა და ჭრელი თავსაფარი ეხვია: ნიშანში მოტანილსა ხმარობდა; უქონლობა მურასას აცვეთინებდა. აგერ ისიც ჩამოდნებოდა და დარჩებოდა შიშველ-ტიტველი.

— შე თვალდამდგარო, ეგ კაბა რომ ჩაგიცვია და სცვეთავ, ვისი იმედიღა გაქვს, გაღატაკებული ბიძაშენისა, თუ უკვალოდ დაკარგული შენი საქმროსი? — ეტყოდა ძალუა.

— გოგო, გამიგონე, გაჰყევ გაგასა! აგერ იმ დღესაც მეუბნებოდა.

— რა ვიცი, მგლის თვალზედ კი ნახა კაცი და ვერ გამიგია, რადაო. ბოროტიაო. რა ვუყოთ, რომ ავია, კეთილად მოექეცი და დაშოშმინდება.

— გაჰყევი, გოგო, დაუჯერე ძალუა შენსა! თუ არა და მე აღარ შემიძლიან შენი შენახვა.

ქალი პასუხს არ იძლეოდა, მიგდებულიყო ტახტის ბოლოზედ, ცრემლად იღვრებოდა.

ანანოს უბედო ბედი მახარეს დედ-მამასაც აღონებდა.

— მე რომ იმ ქალს ვუყურებ, ცოდვით ვიწვი; სულ ტირის, დღეს თუ ხვალ სახლიდან დამითხოვენ და ისღა დამრჩენია, წყალში გადავვარდეო.

— მითხრეს, გაგა შეჰღირებია და ძალას ატანენო.

— არ მისდევს! არც გაჰყვება: ჭირივით ეჯავრება, კიდეც ეშინიან.

— ბედი არ ჰქონია საცოდავს.

— უბედური ყოფილა! ჩემი მახარე იყო მაგისიც გამხარებელი და ის ხომ აღარა გვყავს...

— ნუ ხარ ავყია! გვყავს, ჯარშ› გვყავს ვაჟკაცი და მშვიდობით დაგვიბრუნდება. იმედი იქონიე, ღმერთს შეევედრე!

— აკი ვეხვეწები იმ დალოცვილს: ჩემ სამშობლოს ხატს ზვარა შევუთქვი, პარაკლისი ვახდევინე მღვდელს, მარჩიელს ვამკითხვინე. მაგრამ... ეს სიზმრები რაღა ცოდვის კითხვაა?! დამადნო უფერმა ზმანებამ.

— ნუ იტყვი ცუდ სიზმარს დასავიწყარს, წყალწასაღებსა, მტერს ნუ გააგონებ! რაღა ეგ გვინდა?!

ველარ ჰშველოდნენ ომში მყოფებს სამშვიდობო პარაკლისები, სამღვთოდ შეთქმული ვერძები, ვერც კურატები: ილეოდა წასულთ რიცხვი მოწვიმარე ცხელ ტყვიის ქვეშა, ყუმბარების მეხტეხილ'ში, გაცოფებულ ვაჟკაცთ ხმლების ქვეშ.

— დედი, დედიჯან! უბედურება დასტეხიათ თომაანთ თავსა.

— რა, დემეტრე ხომ არ მოუკლავთ?

— არა, ცოცხალი მოუვიდათ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ცალი ფეხი მოუჭრიად. ხის ფეხზედ დაკინკილებს. დასტირიან, თითქო მკვდარი უძევთო წინ.

— საცოდავი! მკვდარზე უარეს› გამხდარა. რიღას მაქ̃ვისია ხეიბარი გლეხურ ყოფაში?

— გლახაკადღა უნდა წავიდეს. სიკვდილი ერჩივნა.

— ნუ იტყვი მაგას! ჩვენი შვილიც იმ ცეცხლშია. ნეტა ცოცხალი ვნახო, თუნდა...

ველარ დაათავა სიტყვა: დასაპყარებული შვილი ცოცხალიც მკვდრად დაესახა გონების თვალთ წინ.

8

ცეცხლში მოჰყვა საზარელში ბიჭი მახარე. ბრძოლის ველი ალავარდნილი. სანგრებში ჯდომა. მიწის გული ვერ იმაგრებდა მომაკვდინებ ცეცხლს მოზღვავებულს. გამჭეხი მეხი ციდან ცვიოდა, მედგარი მძლავრი მოგრგვინავდა სიღრმიდან მიწის. ზუილ-ზრიალით მიმოფრენა ფრთიან ტყვიისა. ღრიალი, კვნესა მძაფრის ვაების. ნაფლეთები კაცთა ხორცისა. მკვდართა ზვინები.

ეტყოდა ყველას მკაცრი წესი სასტიკ ბრძოლისა:

— მსწრაფლ მოჰკალ, თვარა თვით მოგკლავს იგი!

— ვერ ვხედავ მტერსა!

— უფერხებლად მიაყარე ტყვია სეტყვადა! ნუღარას ფიქრობ, თითონ იპოვის ცხელი გული თავისსა მსხვერპლსა.

და წინ იწევდა ბიჭი მახარე, ესროდა ხალხსა; სიკვდილს შველოდა გაშმაგებულს, პირსისხლიანსა. ჯერ ეშინოდა პირველ ხანებში, ქვას თუ მიწას თავს აფარებდა. მერმე ნახა, არავისთვის არ საფრობდა მტკიცე სიმაგრეც და მიენდო უნებლიედ ტალღას მიმავალს. თუ მოიშრიტა მოლოდინიც წითელ სიკვდილის, ან თუ კიდეც მოსულიყო თითონ სიკვდილი. აღარ ფიქრობდა, აღარას გრძნობდა, არც თუ რა ჰსურდა; მხოლოდ ესროდა, მარტო ჰხოცდა უბოროტეს მანჭანად ქმნილი. დადგებოდა შიგადაშიგ ყუჩილის ჟამი და ისხდნენ თხრილში, გძელ სამარეში ისევ ცოცხლები. მწვან-მწვანე წუმპე, მღრღნელი მღილი; ცოცხალთა ჰფქვავდა ბუგრი ბინძური.

— მოდი, სიკვდილო!

ბორგვნილი ბიჭი თუ ჰნახავდა ძილში თავის სოფელს, ბაღჩებს, ბაღებს, ტყეს თუ მინდორს, წყაროს, მდინარეს. ანანოიც გაურბენდა ლანდივით. ის უკვირდა კაცს: ტყვიის სეტყვაში ჯერ უვნებლად მიმოიძროდა. წელიწადზე მეტი იყო, რაც რომ იბრძოდა, მაგრამ ვერც ტყვიამ და ვერც შუბმა ვერსად გაკენწლეს, თუმც ბევრჯელ გაჰკრეს მის ტალავარს და დააცხავეს.

— ალბათ თილისმად ამედევნა იმ გოგოს ლოცვა, რომ ცხელი ტყვიაც, ყუმბარის ფრთა არ მეკარება, — იტყოდა ბიჭი და ცდილობდა ცხადად წარმოედგინა ანანოს სახე, მაგრამ მისი გაწამებული გონება უჩვენებდა მომაკვდავთ სურათს უბედურად დაღრეჯილებსა, ცოფიან თვალებს, სისხლის ბელტებს თუ გუბეებსა. მიისწრაფოდა, მიარღვევდა ცეცხლის კედელს და... რაღაც რაკუნი ოფლიან მკერდზედ; თუ დაჰკრეს მჯიღი, გადიხარა, წაბარბაცდა, ჩაუქრა ცნობა.

თეთრ დარბაზში გაეღვიძა, თეთრ ლოგინზედა, თეთრი ქალი დაჰყურებდა თეთრად მოსილი. ოცნება იყო ხორცშესხმული, ცხადი ზმანება, გაკვირვებით შეჰყურებდა ერთ ხანს მახარე. გაბედა. ჰკითხა:

— ნეტა სად ვარ?

— ლაზარეთში ხარ! სიკვდილს გადურჩი.

უნდოდა დაჭრილს წამოჯდომა, ღონე არ აჰყვა; მოისურვა ეკითხა სხვაც რამ, არ მისცეს ნება.

ნელ-ნელა რჩებოდა. პირველად რომ ნება მისცეს კარზე გამოსვლისა, გაზაფხული გადაშლილიყო, შემდეგ სწრაფად მოჯობინდა. ზაფხული დადგა, რომ განიკურნა. გამოწერეს. ნება მისცეს თავის სახლში დაბრუნებისა. რკინის გზა; ეტლი; ფეხით სვლა ერთ ხანს. აღტაცებით გადმოხედა მშობელ ქვეყანას. მოდიოდნენ მასთან სხვებიც, გატანჯულები.

— მალე გაიყრება ჩვენი გზები.

— მაინც ძმებად დავრჩებით.

— თუ შეგვხვდა ნახვა ერთმანეთისა.

— გვიამება, გაგვეხარდება.

— უთუოდ ვნახოთ!

მოდის მახარე. იღიმება: ქვას უცინის, ჯაგს, ცხოველს, მფრინველს.

— გამარჯობა, ძმობილო! ჭალაქისაკენ?

— გაგიმარჯოს; სასყიდი რამ მაქვს.

— რა კარგი ბიჭი ჩანს! ყველანი კარგები არიან. ყველაფერი მშვენიერია!.. ნეტა ერთი შინაობა მშვიდობით დამხვდეს.

ფიქრმა გადიტაცა სოფელში. შენა გგონია, დედ-მამის სახლში? ანანოსთანა!

— ნეტავ რასა იქმს ანანო ჩემი? თუ დაიჩაგრა. იქნებ გა-

თხოვდა? არა! ანანოსაგან ჩემი ღალატი?! იქნება ძალით გაათხოვეს? ახ, ის გაგა...

დახლაკნა ჯავრმა, მთლად დაწრახნა ძძლავრი ვაჟკაცი.

— იქნებ ცხოვრება გაუჭირდათ და შეაღონეს უმწეო ქალი? მაშინ ანანო უნებლიედ დასთანხმ...

9

თანდათან გაუჭირდა სოფელს. მტკიცედ მოესალტათ უქონლობის მუხრუჭი ისეც ხელმოკლეებს და დაუნდობლად სწურავდა იმათ. ანანოსაც უფრო დაეტყო ობოლ-ოხრობა. გაგა რომ არ ეშვებოდა გოგოს, ხელმოკლებით შეშინებული პატრონებიც ძალას ატანდნენ დათანხმებულიყო.

— ავი თუ კარგი, მაინც ქმარი იქნება შენი და შევინახავს.

— მეზიზღება, კიდეც მაშინებს.

— მგელ-კაცი ხომ არ არის, რომ შეგჭამოს.

— არ მინდა ცრემლით დამბალი მისი ლუკმა! თავს მოვიკლავ...

— ამ ჩვენ სახლიდან კი წადი და რაც გინდა, ქენი. ჩვენ მოვიხადეთ ჩვენი ვალი სოფლის წინ: გაგზარდეთ უპატრონო, საქმროც გიშოვნეთ. ერთი თუ ბედმა წაგართვა, ესეც მეორე. შენგნივ არავინ არ არის დასაწუნი.

— რა დაგემართა, დედაკაცო, რამ გაგაბოროტა?! დააცადე, გონებას მოვა და დათანხმდება.

— ჯიუტია, ცუდს სიტყვას ათქმევინებს ადამიანს, — სთქვა დედაკაცმა

და გაეცალა. ბიძაც გაშორდა. მეტი გზა აღარ იყო, უნდა ეწამლა რამე ქალს თავის თავისთვის. არა, ვერ გაივლიდა პატრონების სურვილზედ, ფიქრიც არ შეიძლებოდა ამაზედ. ეჰ, იქნება დაფიქრებულიყო კიდეც, დაჰმორჩილებოდა გაჭირვებას, თუ ნამდვილად სცოდნოდა, რომ დაიღუპა მისი მახარე; ეს არა სჩანდა, ვერ იტყოდა კაცი ამას დარწმუნებითა; წიგნი არ მოუვიდათ, მაგრამ სხვებიც ბევრნი იყვნენ იქაურები თუ სხვა სოფლელები, რომელთ ამბავი არ მოდიოდა. არ შეიძლებოდა მათი მკვდრად დაგულება: შორს იყვნენ გადაკარგულები და ხმას ვერ აწვდიდნენ.

ამ დაღონებულ ყოფაში იყო ანანო, როდესაც დაბრუნდა გზირიანთ ბიჭი: დაეჭრათ, თვალი გამოეთხარათ და რახან მეომრად აღარ ვარგოდა, შინ დაეთხოვნათ. ის და მახარე ერთად წაიყვანეს, მერმეც ერთად ყოფილან და სცოდნოდა მახარეს ამბავი. უამბო საომარ ადგილას მისვლა, ბრძოლის გატარება.

— ბოლო ხანს ბრძოლა მოგვიხდა ჭაობებში. კაცი წელამდინ იფლებოდა; ურმის გატარება არ შეიძლებოდა; ზარბაზნებს ხალხი ეხვეოდა, რომ გაეთრიათ. ბევრი დაენთქა უძირო ჭყანტში. სულ ცეცხლს გვაყრიდნენ, ჯოჯოხეთი ატრიალეს. იქ დავიჭერი და გავუბედურდი.

— ჩვენი მახარე?

— ჯერ დაჭრილი არ ვიყავი, რომ მახარე ჩამოგვრჩა. ჩაიფლა სადმე თუ დაიჭრა, ვეღარ გავიგე: ხალხის ტალღამ გამიტაცა.

— ბევრი დაიღუპა იმ საცოდაობის დროს?

— უწყალოდ გაიჟუჟა ხალხი.

— მაშ რაღა იმედი უნდა მქონდეს ბიჭისა?! — წარსთქვა მახარეს დედამ

და ატირდა. მოსულმა ანუგეშა:

— კაცი ვერას გაიგებს იმისთანა სისხლიან არეულობაში. მე მალევ დამჭრეს, გონი დავკარგე და არ ვიცი, მერე რა მოხდა, იქნებ არც დასჭრეს. ლაზარეთშიღა გამოვფხიზლდი; ფეხი მომირჩინეს, კუნთში მომხვედროდა ხმლის წვერი, თვალი კი... ეჰ, რაღა საჭირო იყო ჩემი გადარჩენა, თუ ასე დავსახიჩრდებოდი?!

— არა, ძმაო! მადლობა ღმერთს, მოგვიხვედი; ხელ-ფეხი არ გაკლია და გლეხურ ცხოვრებას გაუძღვები ცალი თვალითაც, — ანუგეშებდნენ.

— ნეტა ჩემი მახარეც ცოცხალი ჩამომივიდოდეს და თუნდ დაჭრილი იყოს, დასახიჩრებული, — ინატრა მისმა დედამ.

ნატვრა ვერაფერი მალამო იყო მის ყოფაში: ნაამბობიდან ცხადადა სჩანდა, რომ დაღუპულიყო ვაჟკაცი. როგორ გადურჩებოდა იმ გაჟუჟვის დროს ან გამარჯვებულ მტრის იარაღს, ან დამღუპველი ნიადაგის სივერაგეს?!

— ვაჰ, თუ ჩემი მახარე ტყვიით დაჭრილი იქვე ჩამარხა უძირო ჭყანტმა! — შესძახა დედაკაცმა

და თავს შემოიკრა. მახარეს მამაც რომ ჩაფიქრდა, იმ ჰაზრს დაადგა, უსათუოდ დაიღუპა ბიჭიო.

10

გავიდა თვეები; გაიწურა ზამთარი; ახლად აყვავებული გაზაფხული მოჰფენოდა ქვეყანას. ნანოს გული კი ისევ შეხუთულ-შეყინული იყო უილაჯობის მძვინვარე სიცივით, რომელს ვერ ათბობს, ველარც ალხობს თუნდ მზე ზაფხულის.

— გაყიდე, გოგო, ბელგის ბეჭედი და საცვალი ამოიცვი მა შიშველ ტანზედ.

— სიცოცხლედ მიღირს იმის ნიშანი.

— შეისმინე, შე გულმკვდრის ‘ვილო! ჩვენ ველარ შევძლებთ შენ შენახვასა. უწინდელი დრო რომ იყოს, მოახლედ მაინც მიგაბარებდი ვისმე შეძლებულს; ეხლა მათაც აღარა აქვსთ და ვინ აიყვანს სხვას, შესანახსა?!

— თუ უწინდელი უხვი დრო იყოს, ჩვენც ხომ აღარ დავზოგავდით ლუკმას; მაგრამ ეხლა სხვა დრო დაგვიდგა. გირჩევნია, თავს დაუფიქრდე, ბედი კარს მოგდგომია, ხელს ნუღარა ჰკრავ.

მართალს ეტყოდნენ, გონების თვალით რომ უყურებდა გარემოებებს და სწონავდა მათ დარიგებას, ჰხედავდა ამას; მაგრამ მის გულს იგი რჩევა სულ არ მოსწონდა: გაგას იგი ვერ გაჰყვებოდა ცოცხალი თავით, მეტადრე ეხლა, როცა კაცი გაბოროტებული იყო მისი უარით და სისხლს აიღებდა დამცირებისთვის.

— მაშ რა უნდა ჰქმნა, შე საცოდავო? დღეს თუ ხვალ შენი პატრონები ხელს აიღებენ შენს შენახვაზედ და ნუთუ ვერა გრძნობ საშინელებას, შენ რომ მოგელის?!

— ვხედავ კარგადა! წამალიც ვიცი: თუ მახარე მიწამ ჩანთქა უცხო მხარეში, არც მე უარმყოფს ეს ჩვენი მიწა!

— რას ჰბოდავ, გოგო?! ჯვარწერილიც ბევრს მოჰკვდომია, თავი არავის შეუკლავს მისთვის, დანიშნულიც არა ხარ, მარტო ბელგა მოგიტანა იმ ცხონებულმა.

— როგორ ამბობ მაგ შავ სიტყვასა?! იქნებ ჯერ ისევ ცოცხალია საწყალი ბიჭი; ცოდვა იქნება ცხონების შეთვლა.

იცოდა ანანოს გაჭირვებული ყოფა მახარეს დედ-მამამაც და საგლოვლად საგულებელ შვილთან მისგან ხელდადებული ქალიც სადარდელად გაჰხდომოდათ; სიყვარული გადაეტანათ მის დანიშნულზე. ბევრჯელა ჰქონდათ საუბარი იმის შესახებ, ვერ კი შეთანხმდნენ, ცხადი ჰაზრი ვერ გაიტანეს. მახარეს მამა იმ ფიქრზედ იდგა, გოგო სახლში წამოეყვანათ.

— არა გვიშავს რა, დედაკაცო! გამრჯელია და თავის თავს თითონ დაირჩენს: სასიკეთოდ დააჩნდება ჩვენს სახლს მისი ხელი. მითომ ჩვენი მახარე ყოფილა თავის კერაზედ.

— ვერა, ვერ შევსძლებ: მისი დაღონებული თავი ძალიან შეამძიმებს ჩვენს კერას, შავ ზეწრად გადაეფარება სახლს.

— და ჩვენთვის მაინც მეტი სიმძიმისა არ იქნება ის სიბნელე: მახარეს დამკარგველებს სხვა ჭირი ვეღარ გაგვიძლიერებს გლოვა-ვაებას.

— ჩემი მახარეს დანიშნული მევე გავმზითვო და გავათხოვო?!

ვერ დაესკვნათ ქალის შეფარება, მანამ მის ბიძას მუქარა არ გაემართლებინა და ხელი არ ეკრა უმწეოსათვის. თვალს კი ადევნებდნენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში დაჰხმარებოდნენ. მაინც ეხლაც უნუგეშოდ არა სტოვებდნენ; აგრძნობინებდნენ, რომ შეეძლო გაჭირვებულს მათზე დაყრდნობა. გოგო ჰხედავდა იმათ სიყვარულს და გულის დარდებს გაანდობდა სადედამთილოს. მახარეანთ ისიც მოსწონდათ, რომ ანანო არ მისდევდა გაგასა, არ სცვლიდა მასზედ მათ მახარეს, თუმცა უკვე მკვდრად დაგულებულს.

— სხვა უმაგისო გადივიწყებდა შინმოუსვლელსა, გაჰყვებოდა ახალ საქმროსა. მარტო ის რად ღირს, რომ ოჯახიშვილი კაცი, თანაც ისეთი გულბოროტი, დამონებია, ევედრება, გაჰყვეს ცოლადა.

— ჩვენი მახარეს ტრფობა ჩასჭრია გულში და ვერ გასცვლის სხვაზედ: იცის სიყვარულმა!

— გამოცდილი გაქვს? ვეღარ გამცვლიდი მაშინ შენც სხვაზედ.

— მაშინ ჰნახავდი, თუ ცოტად მაინც მაწყენინებდი! ეჰ, ჩემი მახარე ვერ მოესწრო, შემოჰვლებოდა მის ვაჟკაცობას საყვარელი გოგო და...

და მათი მახარე კინაღამ დაიმორჩილა სიკვდილმა, თავით რომ ეჯდა და ცდილობდა ხელში მოეგდო. სამკალი ჰქონდა ბევრეული, ასობით ნთქავდა სიცოცხლეს ახალს, მაინც ისევ მშიერი იყო და გაფიტული; კიდევ ძლიერ ენანებოდა, თუ იმისთვის განწირული გაუსხლტებოდა. ეჯდა ბალიშზედ პირდალრენილი და ბასრ ჭვანგებს იწვდიდა მისკენ. ბევრჯელ ნახა თავისი თვალით იგი ბორგვნილმა, ბევრჯელ შეჰზარა მის უპირო პირის ხილვამა. კბილებს აღრჭენდა ავადმყოფის ჯიუტობაზედ და ექიმთა მარჯვე ხერხებზედ, რომლებიც ყოველ ღონესა ხმარობდნენ, არ დაენებებინათ განწირული.

— სასწაული იქნება, თუ გადიტანა ეს ჭრილობა: იშვიათი შემთხვევა არის! — იტყოდა დოსტაქარი.

— ისე ლარივით გაუვლია ტყვიას შენობაში, არსად არ შერყეულა, არ დაუგლეჯია შიგნეულობა. თანაბარი ჭრილობაა; ვგონებ მოხერხდეს მისი დაძლევა, — იტყოდა ექიმი.

— დევის აგებულებისა ყოფილა ეს კაცი! თუ არ მაგის სიძლიერე, მაინც ვერას გავხდებოდით ჩვენი ხელოვნებითა.

— ყოჩაღ, ბიჭო! ეხლა კი იმედია, დაგიხსნით სიკვდილისაგან, ოღონდ ისე მოიქეც, როგორც გარიგებთ, — ეტყოდა ექიმი

და ავედრებდა მომვლელ ქალსა, განსაკუთრებითი ყურადღება მიექცია დაჭრილისათვის. ამაოდ არ ჩაუარათ შრომამ: გამობრუნდა, მოღონიერდა, ადგა. ექიმებს უხაროდათ ეს გამარჯვება და მათი ყურადღებით იყო, რომ მახარე ჯვარზე წარადგინეს და სამშობლოში გამოისტუმრეს. ზრზნიდა ხანდისხან ნატყვიარი ძუძუდან ზურგაძდის, არ კი სტკიოდა, გამორჩომას არ უბრკოლებდა. ვაჟკაცის ყოფა დღითიდღე უმჯობესდებოდა და რომ ჩამოვიდა, ნათლად საღად გრძნობდა თავს, ოღონდ ჯერ ვერ იყო თავისებურად შეწითლებულ-შეჟინჟღილებული.

მეორე დღეს ქალაქში დარჩა. შესჯავრებოდა ჯარისკაცის ტანთსაცმელი თუ ფეხსამოსი: საშინელ დღეებს აგონებდა, რომლებიც გამოიარა. მოინატრა გლეხურსავე ტანსაცმელში ენახა თავი. დაასკვნა ყიდვა. დათვალა ფული. ეყოფოდა! ახალი ქალამნები, ჭრელი წინდები, ტყავის საცვეთები თითბრის

რგოლებით, დაფოთლილი ახალუხი, თეთრი შალის ჩოხა, შალვარი, ნაბდის ქუდი ქოჩორა თავზე. რომ შემოირტყა ბრჭყვიალა ღილებიანი ქამარი წერწეტ წელზედა, ჩაიხატა ეს ბრგე ვაჟკაცი.

— ხანჯალი... დარჩეს! შინაცა ძაქვს კარგი სატევარი.

მოყოლილი ტანისაძოსი შეკრა ხოხმიკად, მოიკიდა, როგორც სჩვეოდა. დაადგა გზასა. ბილიკებით მიდიოდა, გზას მოკლედ სჭრიდა. ეჩქარებოდა, მაიხც ფეხდაწყობით შესდევდა აღმართს, არგნის ბჯენითა, არ დასცილდა ექიმის სიტყვა:

— პირველ ხანში ძალას ნუ დაატან, იარამ პირი არა ქნას შიგნეულობაში.

ავიდა მთაზედ, გადახედა დაცემულ მინდვრებს. დაინახა თავის სოფელი, ინიშნა სახლი. დაჯდა. დაჰყურებდა ხარბად არესა. უღიმოდა, უალერსებდა, მოსდომნოდა გადაჰხვეოდა. როგორ იფიქრებდა, კიდევ ელირსებოდა ამ შეუდარებელ სიმშვენიერის ნახვას?!

— დახე! ჯაგიც კი ლამაზია, ფარებ მოსხმული ძეძვი, გრაკლის ბუჩქები.

მივიდა, ხელი შეახო, მოუალერსა. დაეშვა თავქვე. ამ გზით ათასჯერ იყო ნავალი, ყველაფერი აქ დიდი ხნის ნაცნობი იყო მისთვის, მაგრამ ეხლა ყოველივე უფრო გაახლებულიყო, ღია ფერი დასდებოდა მოღიმარე და მშვენიერი, ამ დიდ ლოდებსაც, გზის პირას რომ შემაღლებულან.

— ეს იმისათვის, ჩვენო მახარე, რომ გვიხარიან შენი მშვიდობით დაბრუნება; უგულოები ხომ არ გგონივართ?!

— არა, ჩემო ძვირფასებო! — ეტყოდა მათ მახარე

და ცდილობდა ხელი შეეხო ბევრისათვის, მოეალერსნა ყველასათვის. მოდიოდა; იღიმებოდა.

12

საღამოზედ მოვიდა სოფელში, წყალის მოტანის დროს. წყარო ხევის პირას გადმოდიოდა. უხვი იყო, მილს ავსებდა. საქონლისათვის თუ სხვა სახმარად ხევის წყალსა ხმარობდნენ. ბუჭულასაც აბრუნებდა ხევი და სოფელს სხვაგან არ უნდებოდა საფქვავის წაღება. რაც უფრო უახლოვდებოდა სოფელს, მეტი სიამე ეფინებოდა სახეზედ; გულითა ჰსურდა გაცინება.

გახარხარება. თავს იმაგრებდა: რას იტყოდნენ, რომ დაენახათ?! ბილიკი რომ დაინახა, რომელიც დიდი გზიდან დაქნილიყო წყაროსაკენ, კარგმა ჰაზრმა გაურბინა:

— მთელი დედაკაცობა წყაროზედ იქნება: ვნახავ!

გადუხვია გზას. ჩაიარა. მართლა სავსე იყო წყარო დედაკაცებით: რიგი ავსებდა, რიგი ბაასობდა.

— მივალ, წყალსა ვსთხოვ.

გაიმართა წელში, მოიმამაცურა კისერი და მოზომილ ნაბიჯით დაუახლოვდა. უნდოდა დინჯად დაეჭირა თავი, მაგრამ სახე აღარ ემორჩილებოდა: უნებლიედ ეცინებოდა. ვაჟკაცის მოახლოვებაზედ ერთხანს ჩაჩუმდა ხმაურობა, ყველამ თვალი მისკენ მიაბყრო. ბალღებმაც პირი მომსვლელისაკენ ჰქმნეს.

— ბიჭო! მახარეა, ისემეანთ ბიჭი!

— მახარეა, ჩვენი მახარე!

ამ ხმაურობაზედ ანანო მიტრიალდა მგზავრისაკენ, ერთს წამს გაშეშდა, შეუგნებლად დააგდო კოკა და გაექანა.

— თავს შემოგევლე, ჩემო სიცოცხლე! — შესძახა ქალმა და ხელები გადააჭდო მთრთოლვარემ ვაჟკაცს. მოხვია მკლავი მოღვედილ ქალს აღელვებულმა, ჩაიკრა მკერდში.

— ჩემო ყველავ, ჩემო ანანო!

— თქვენი გულისა!! — ხმა შეაწყია დაწყვილებულთ ჯაქლაანთ თაფლომ.

გაიქცნენ ბიჭები მახარობლად.

1923 წ.

კვირაძლის სიზმარი

ახოს ნაკალმახევიო,
ცოლ-შვილ ნაღალატევიო...

— ქალაქს უნდა წახვიდე!

— რა გაჭირებაა? მინდოდა დამესვენა შეღავათიან დღეებში.

— მოესწრობი! ხუთშაბათს ამოჰბრუნდები; კიდევ კვირანახევარი გექნება და... იძინე.

— ხუთშაბათს?!

— დაიკვეთე ადგილი ეტლში. დილაზედ წახვალ.

— ესე ანაზდად?!

— ხვალ საღამოზედ ქალაქში იქნები. სადგურშივე აიღე წამოსვლის ბარათი. სამშაბათი და ოთხშაბათი გექნება ხელთ; ქვეყნის საქმეს გააკეთებს ადამიანი ორ დღეში.

— ზუზვივ მაძლევ დროს; შინ მოფიქრებული საქმე გარ...

— გარეთაც გამოდგება, თუ საფერი ამსრულებელი შეჰხვდა. ბალღებსა ჰნახავ, სავაჭროს იყიდი და დაბრუნდები.

— რომ ვიფრინო, მაინც ვერ მოვასწრობ ორ დღ...

— იფრინო! შენ რომ შნო გაქვს...

— მით უფრო.

— კარგი, პარასკევს დაბრუნდი. აი სია აუცილებელი საქაჭროსი; წვრიმანს ისე დაიხსომებ, შენ თვითონაც მოიგონებ, რაც საჭიროა.

— რამ სიგრძეა! სამი დღე! საკუთრად ჩემთვის არც ერთი წუთი. აბანოში ქისის გასმა, სალხინოში ერთი ვახშამი — მხოლოდ ოცნება, ნატვრა უწთომი, — ფიქრობდა დაღონებული.

— ბალღები რომ ჰნახო, გამოჰკითხე, ხომ არა უჭირთ რა; გასინჯე, როგორ სწავლობენ.

დაეზარა. გაურბინა უარის ჰაზრმა; იქვე ჩაუქრა: ნუ გასწევ, რკინის ტაბიკებით უღელში ჩაკრულო! შეატყო ქმარს შემძიმება, გაუღიმა, ლოყა მიუბყრო. შეიბერტყა ყარამან; ნებისყოფა წამოუდუღდა; აღუთქვა ყოველივე.

* *

— როცა ოჯახს შეეხება საქმე, მის გამოჩენას, მკაცრია ჩემი სალბიხურუმი და ულმობელი; კერის მცველად არის ბუნებისაგან დაბადებული და ვერვის შეუნდობს სახლის ღალატს, თუნდაც ნასახს გარეწრობისა. არც გამოეპარება მას ესეთი მიმოხვრა, მოძრაობა თუნდ მხოლოდ ჰაზრის: უტყუარი ალღო ეტყვის და წამს აიქოჩრება, სამართებლის ფხას აისხამს ისეც ლესილი. უტეხი ჰაზრი მის მოქმედების: ყოველი კაი ოჯახისათვის და ყოველთვისინ! რა გული გაუძლებდა, აღვსების დღესასწაულისთვის არ აევსო თავისი სახლი სანოვაგით, სანუკვარით, კმაყოფილებით; არ მოერთო სახლის წევრნი ყვავილებივით; არ დაჰხვედროდა თავმომწონედ თავის ნათესავთ თუ მახლობელთა; ამგვარ სურვილთა საკმაყოფილოდ მწირი იყო მათ საცხოვრებელი დაბა; უფრო შორად სჭირდებოდა დოვლათიანს ხელის გაწვდა, დიდ ქალაქისკენ. ყარამანიანთ ხომ ბალღებიცა ჰყვანდათ ქალაქში; მათი წაყვანა ზაფხულამდინ არ ივარგებდა და მიხედვა უნდოდა; გულშემატკივარი თვალი თუ ხელი. ისე აუცილებელი იყო წასვლა, როგორც ბედის განკარგულება.

დაიძრა ვაჟკაცი. აღარც თუ ისე წელი სწყდებოდა: ალერსი მიხვდა ცოლის დამჯეროს, მისი ძალა გაჰყვა მანძილზედ და როცა გზაზედ მიმქრალდა ძალა, გადახადა კალათას თავი, ქინთს მოხსნა პირი.

— შენ არ იცი, ქინთი რა არის?!. მაშ რაღა იცი, საქმე ქინთია!

გადმოლაგდა ნაირ-ნაირი. შეექცეოდა. კუჭს აამებდა, დროს ატარებდა, სისხლს აჩქროლებდა, ტვინს აბურებდა. მაშ რა უნდა ექმნა? კუნძი ხომ არ იყო, ეტლში უსაქმოდ დებულიყო.

— მიირთვი, ყმაწვილო!

— გმადლობთ, მშვენიერია! აბა ჩემი ღვინოცა ნახეთ.

— დანა გახლავსთ?

— გვიბოძეთ, ავთალო!

ტიკჭორა იფუკებოდა, გზა ილეოდა... ეტლის რახრახი; ხალხთ ტალღად დენა; ხმათა სიმრავლე; ზახილ-გუგუნი.

— მივსულვართ, კაცო!

— სწრაფად გვივლია.

* *

— ხურჯინი, ბოხჩა, კალათები, გვაბანაკი. ვგონებ, აღარა დარჩა რა. არგანი, არგანი! ჰო, ეს ეტლი! უთრუთის სასტუმროში!

მიჩახჩახდა. ავიდა.

— გამარჯვება, უთრუთ ჩემო, ოთახი ხომ გაქვს თავისუფალი?

— ბატონს ყარამანს გაუმარჯოს! გახლავსთ: თქვენთვის ყოველთვის მზად არის ბინა.

— გმადლობ! ბიჭი...

— ამ წუთს!

დაბინავდა, დაალაგა, გაიძრო სამგზავრო ტანისამოსი, დაიმკლავა. მოსწია პირსაბანის ონკანი. მუჭა რომ მიუშვირა წყალს, თითზედ წითელი ძაფი შენიშნა. ნეკზედ იკბინა:

— აკი დამვიწყებია! სალბიხურუმმა შემაბა, არ დაგცილდეს, ჩასვლისთანავე დაიკვეთე წამოსასვლელად ადგილიო. დილაზედ გავივლი და ავიღებ ბარათს.

დარბოდა ყარამან მეორე დღეს სიით ხელში; იქ იმას ყიდულობდა, აქ — ამას. რამდენჯერმე აივსო იღლია და ბინაზედ დაბრუნება დასჭირდა ნავაჭრის მისატანად. მთელი ბაზარი შეალაწლაწა. იმდენიც ვერ მოიცალა, გუნებიერად ეჭამა სადილი. რა ადვილია საკეთის ნუსხვა და რა ძნელია მის შესრულება! ისე შემოაღამდა, დავალებულის მცირე ნაწილიც ძლივს გააკეთა. ღამე ხომ ვეღარ ივაჭრებდა და გასწია გასართობად, დროს სატარებლად. შუაღამე გადასული იყო, როცა დაბრუნდა.

— საკვირველად მალე გადის დრო დიდ ქალაქში! რა უშავს: კიდევ ორი დღე მაქვს ხელთ.

ათი საათი გამხდარიყო, რომ გაეღვიძა. შაფიშუფი, სწრაფვა თუ სრბოლა. არ უსადილნია, ფეხზედ შენაყრდა. ნავაჭრს გადახედა საღამოზედ. ჯერ სად იყო?! უფრო წვრიმანი შეეძინა, თვალსაჩინო და საჭირო ასცდენოდა.

— სულ იმას მავედრებდა, ჯერ აუცილებელი აასრულეო. ეჰ, შინ დაბარებული საქ... ახლა ეს ფული... რამ შემოფანტა?! იქნებ ნაკლები წამოვიღე. კარგია, ბალღები ვნახე. ხვალაც უნდა ვნახო: წერილებს გამატანენ.

ჩაღამდა ხუთშაბათი. ვერ შეასრულა დანაბარები. რაც მოხდა, მოხდა. დრო იყო ჩაბარგებისა. გაუსწორდა. ეტლი დაიქვეთა სადგურზედ წასასვლელად. მივიდა. მზად იყო სამგზავრო ეტლი.

— ჩააწყე! აჰა ადგილის ფული.

— არ გახლავთ, ბატონო, თავისუფალი ადგილი.

— როგორ?! უსათუოდ უნდა წავიდე!

— შეუძლებელია!

— არც კოფოზედ?

— ორ-ორნი სხედან. ბარგი დატოვეთ. ინებეთ ბარათი ხვალისათვის. ერთიღა დარჩა.

ადრე მივიდა ყარამან, დაიჭირა ეტლში ადგილი. დაღვრემილი იჯდა თავის კუთხეში, არავითარ ყურადღებას არვის აქცევდა: საკუთარი საფიქრებელიც ბევრი გასჩენოდა: მოქუშული ცა იცრემლებოდა. მეეტლეები იზლაზნებოდნენ; ბუზღუნებდნენ: ბედნიერ დღეს ოჯახში ვერ ვატარებთო. ის იყო, უნდა დაძრულიყო ეტლი, რომ მოგრიალდა მგზავრი. ყუთები, ბოხჩები, შეკრულები. ძლივს მოათავსეს ახალი ხაბაგი და მისი პატრონი. ყარამანს გვერდს მოუჯდა თავშალიანი.

— ყმაწვილო ყარამან? — სთქვა ქალმა და გადიხადა თავსაფარი. მრგვალი სახე გამთქვინებული. თოთოშა ტანი ნაპატივები.

— ქალბატონო ხვარამან?! მანდილხურული ვეღარ გიცანი, — მიუგო ვაჟკაცმა და მიიწია, მიიჭეჭყა ეტლის კუთხეში.

— ვეღარ მიცანი?! მაშინვე გიცან, თვალი რომ დაგკარ.

— რათახანია, აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს.

დიდი ხანი იყო: თხუთმეტ წელს გაევლო. იყო ისეთი დრო, როდესაც ეგონათ, არ დავშორდებითო ერთმანეთს: ქალს რომ მოსწონდა ვაჟი, იგიც გულგრილად არ იყო მასზედ. კამარას უკეთებდა, შორიახლო სალამს უძღვნიდა ალერსიანსა. კიდეც აგრძნობინა, უკვე აგირჩიეო თანამეცხედრედ. მოელოდა ქალი გადამწყვეტ წუთს, როცა აცნობეს: ყარამანმა ჯვარი დაიწერა სალბიხურუმზედაო. იწყინა ქალმა, გამწარ-გაცხარდა, შეუთვალა სიტყვა წვერმახვი; მაგრამ... მალე მიუგო ნიშნი: უკეთესზედ გათხოვდა, გული იოხა.

— არც ისეთი რაინდი ხარ, თავი შეგწირო, სიცოცხლე შემოვავლო შენს აჩრდილსაო.

ყარამანი... უკვირდა მასაც თვის საქციელი, თუ დაფიქრდებოდა, ხვარამანი მოსწონდა, სხვა წამოიყვანა. უეცრად მოუხდა. რაღა დროს ამაზედ ფიქრი იყო?! მაინც ადარებდა ერთმანეთს ამ დროს.

— სალბიხურუმ... ერთობ ძვალსხვილი დადგა, რომ გამოშრა თუ გამოხმა, უფრო ჩამუქდა, თითქმის ჩაშავდა. რამ სიმაღლეა! წელში იხრება. ეს... მაშინვე კუპატივით ჩაკვრივებული, ეხლა მეტად გასუქებულა, თეთრი ცომივით გაფუებულა.

— უჰ, ყმაწვილო, მეტად დავიღალე! დროზედ მაინც მივიდეთ. ცხენები ალბათ დღესაც მელიან. გუშინ ავცდი ეტლს.

— მეც ეგრე დამემართა: ადგილი ველარ ვაშოვნე გუშინ.

შეწყვეტილი საუბარი; ჯაყჯაყი; რყევა; მუხლებზედ შლილი სანოვაგე სანაყრებელი.

— მიირთვი, ყმაწვილო!

— გმადლობთ!

— გზა დავილოცოთ.

— ვისურვოთ მისვლა დაუბრკოლებლივ.

— ამინი იყოს!

— მეეტლებსაც მიაწოდეთ, ეგებ გუნებაზედ მოვიდნენ.

— მიჩოჩავენ. აგერ ორი საათია და ჯერ აღმართსაც არ შევდგომივართ.

— მივალთ! სად წავა?!

ისევ სიჩუმე, ჯანჯღარი, რწევა; ძილი უძილო.

— რა ამბავია, რად შედგა ეტლი?

გადახდნენ. ბოგირი ჩატეხილიყო. ცხენს ფეხი ჩაჰქლეშოდა. ამოათრიეს. სისხლი სდიოდა. შეუხვიეს. გამოშვება. დატოვება არ შეიძლებოდა: მგელი შესჭამდა ბიამან ტყეში იდინეს აკოჭლებულის კვალზედ. თანდათან გაძნელდა სვლა აიმღვრნენ მეეტლეები. დაღამდა. ჩამობნელდა. ჩამოწვა ჩამძიმებული ღრუბელი. ძილმა შეიბყრო სასომიხდილნი. ქალმ ამოიღო ბალიში, შალი.

— აღარ შემიძლია! თავს მივდევ მცირედ.

ჩაჭედა სასთუმალი ყარამანისა და ეტლის კედელშუა მიწვა უხერხულად. ეტლი ოდნავღა მიინჯღრეოდა. წინა ეტლის ხმა აღარ ისმოდა. ყარამანი ძილ-ღვიძილში იყო, მთლად დაიძინებდა, თუ დარდი არა ჰქონოდა: დიასახლისის შიშიტანდა. რას ეტყოდა გააფთრებულსა?! არრა ეთქმოდა; მის-

სიჩუმე კი უფრო გააცეცხლებდა ისეც მძვინვარეს. ჩაჭედილი ბალიში თანდათან ძირს იწევდა. ოდნავ მიბრუნდა მძინარისაკენ, მიეკრა ეტლის კუთხეს. ბალიშმა ალმაცრივ დაიწია და მუხლზედ დაენდო ყარამანს. ქალმა იგრძნო მცირე თავისუფლება და გასწორდა. ბალიში მეორე მუხლისკენ იწვევდა მძინარეს, ალღო უკარნახებდა უფრო მოთავსებულად გაშლილიყო. ბალიში ეხლა ვაჟკაცის მუხლებზედ იდვა და ქალი ოდნავ პირშებრუნებული მის კალთაზედ განისვენებდა. სივიწროვის გამო კაცის მარცხენა ქალის მკერდს დაჰნდობოდა. გამთქვინებული სხეულის რხევა უშუალოდ უერთდება ვაჟკაცის ტანსა, მზრზნელ ნაკადად დარბის, დაჰქრის იმის ძარღვებში. მათრობელ ძალთ მდინარება ნატვრის არეში აცურვებდა მიბურდოებულს და...

აღარ ჩქარობდა, ენანებოდა ჟამთ მოძრაობა; უფრო ერჩივნა შეტბორება მსრბოლავ წუთების, თუნდ შეყენება.

თბილ-ტკბილ სუნნელებას ფშოდა გაღვიებული სხეული. გულისპირის ღილები თავისთავად ჩახსნილიყვნენ. ვაჟკაცის თათი ნებინებად იკუმშებოდა ბორცვთა საწურვად. ტკბილ თვლემისაგან მძიმებული მისი სახე ძირს იხრებოდა, ქალის სახეს უახლოვდებოდა.

გაისმა ბნელ სიჩუმეში შორეული ზარის ზრიალი...

— ქრისტე აღსდგა! — შემოესმა ძირიდან ნელა.

— ჭეშმარიტად! — დაეფინა ზევიდგან ბგერა და შეეწება ბაგე ბაგეს.

— ჩემო კერის ანგელოზო! კვირაძლის სიზმრად გარდამიქმენ მე განცდა ძნელი!

ალბათ უსმინა სულმა კეთილმა!

1924 წ.

ალქი

1

ცეცხლის წინ ისხდნენ ყმაწვილები და მათი ბებო. ფარდაგი ეფინათ. მუთაქა ეგდო. ლამპარი ბუხრის თავს იდგა ვიწრო თაროზედ. კედელი შეეზნიქათ ფანჯრის სახით, აგურები მწკრივად გამოეწივნათ და ეს არშია ბუხრის სამკაულიც იყო, ზოგი რამ ნივთის დასაწყობიც სახელდახელო. სხვები დიდ ტახტზე ისხდნენ, ვახშამს ელოდნენ. ერთი ქსოვდა. სხვას მკლავები ნამზნევ ფრთებივით ჩამოეყარნა, ცეცხლს გასცქეროდა. როსტომი განცალკევებულიყო პატარა ტახტზე და თოფს ჰფერავდა. იტყოდა ბებო:

— გადაიარეს უმაღლესი კლდე და გადაჰხედეს ტრამალ ადგილსა: ტაშირო იყო; არსად სჩანდა არც ხე, არც ჯაგი. ფერმიხდილ ბალახს დაეფარნა მთლად არემარე. მინდორი შუა ადგილას დახრილი იყო და ზედ ციმციმებდა კალოდ გაშლილი წყალი: ჩამავალი მზის სხივები დასთამაშებდნენ. ტბას ნაპირებზედ მოსდებოდა ქვიშა-მარილი და მის გარშემო ირხეოდა ლერწამი შამბად. გაემართნენ იქითკენ. ნაკადს წაადგნენ ტბორში შემდინარს. წყურვილით იხოცებოდნენ და დიდად გაეხარდათ. ჩამოხდნენ, დაეწაფნენ; გული იჯერეს. ნახეს, თავს დასდგომოდათ დედაბერი. მიეშვიდობა და უთხრა: ამას იქით ნუღარ წახვალთ, ტბას ნუ მიეახლებითო. რატომაო? ალქის სასახლეა იქ და განრისხდებაო...

— ბებო, გეთაყვა, რა არის ალქი?

— ავი სულია ალქაჯზედაც, ალზედაც დიდი. იშვიათია. მშვენიერი ქალის სახით მოევლინება ადამიანს, მოხიბლავს, მიზიდავს და...

— მერმე?

— თმებით დააბრჭობს; დიდი თმა აქვს, მიწამდინ დასთრევს. შემოახვევს ტევრებს ყელზედ და...

— უი მე!

— რამ შეგაშინათ? ლოცვას გასწავლით, იმას იტყვით და განქარდება:

— რა ლოცვას?

— დამიგდეთ ყური:

დავსწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დამესვენება;
ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული,
ვერას მავნებს მაცდური მწყა...

— მოდით, კარგი: ვახშამი მზად არის.

— როსტომ, მორჩი შენც!

— ძია, ადრე წახვალ სანადიროდ? მეც წამიყვანე!

— მე რომ წავალ, შენ ჯერ შუა ძილში იქნები.

— ეხლა მოვამზადებ ყველაფერს; რომ ასდგები, მეც წამოვხტები.

— არა! შორს მივდივარ, ულრან ტყეში. შენ ჯერ ბალღი ხარ, ვერ შესძლებ ჩემთან სიარულს, რომ გაიზრდები, თოფს გიყიდი: ერთად ვიაროთ სანადიროდ, — უთხრა ბიძამ.

და ადგა, კაჭოზე შეჰკიდა თოფი. ძლიერი იარაღი იყო საუკეთესო ყალიბისა. ფხა გაუსინჯა ხანჯალს, ხანჯლის შვილს. ჩააწყო გუდაში ხმიადი, მარილი, თოკი და მოჰკრა პირი. გადააწყო სანადირო ტანისამოსი.

— სესე, ქევხას ყელსაბამი გამომიტანე კბილებიანი.

მოურბენინა რკინის სალტა. მწვეტები ძღარბის ეკალივით ჰქონდა ასხმული. რგოლისათვის ტყავი მოედოთ ქვევიდან, კისერი არ ჩააჭდიოსო. გაუსინჯა აბზინდები და გუდასთან მიაგდო ნივთი. როცა ნახა, ყველაფერი მზად იყო, ხელები დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

— ისევ სანადიროდ! გადაეგე პატიოსანი ვაჟკაცი ტყესა თუ ხევ-ღრეს. სახლში ვეღარა გხედავთ. ლამის კერა შეარყიოს შენ გარეწრობამ.

— ოჯახს რა უშავს? თუ აქამდის არა ევნო რა, ეხლა...

— აღარ შეგშვენის ნადირთა დევნა.

— კარგი, დედი, ნუ გასჯავრდები. ვეცდები ნელ-ნელა

დავივიწყო ეს ჩემი საყვარელი გასართობი. ხვალ კი უთუოდ უნდა წავიდე: ირმების ნავალი მაქვს დაკვლეული, მთელი რემისა; ხელხვავიანი დაგიბრუნდებით.

— შორს არის? იმ დღესაც შუაღამისას ძლივს მოახწიე, — შეჰმართა ცოლმა.

— და მთელი შველი მოგიტანეთ. იმედი მაქვს დროზე დავბრუნდე.

— ქევხაც თან მიგყავს?

— შეიძლება ირმის ნახირს დათვი მოსდევდეს ან მგლების ხროვა და დამჭირდება მებრძოლი ძაღლი.

— თუ ხიფათი რამ შეგემთხვა, დავიღუპებით.

— ნუ გეფიქრებათ: თუ დამიღამდა, დავანთებ ცეცხლს და მივსწვები თოფით ხელში. ნადირი უფრთხის ცეცხლის სინათლეს. ძაღლიც ხომ მიმყავს და...

2

ახლა იყო აისი აზეული, როდესაც როსტომმა გააჭრიალა კარები და გასცდა სახლს. პირდაპირ მიდიოდა: მიზანში ჰქონდა ამოღებული ადგილიც, ნადირიც. ფეხს აჩქარებდა: მანძილი ჰქონდა გასავლელი და უნდოდა დროზე მისულიყო, ჩაჰსაფრებოდა. შეჰხვდა სათოფედ ფრინველი თუ მცირე ნადირი, არ ესროლა:

— გამირთობს, დამაგვიანებს: ეგებ ისეთ დროს მივიდე, წყალზე ჯერ არ ჩასულიყოს რემა, — გაიფიქრა.

განაგრძო გზა, შევიდა ტყეში. წვრილიანს აყრილი დაენაცვლა, საირმე. მიაღწია. აირჩია ადგილი. ჩაესაფრა, ცდამ ამაოდ ჩაუარა: მზე საშუადღეოზე ავიდა, ნადირი კი არსადა სჩანდა. გაუკვირდა, ნუთუ რემა უფრო ადრე ჩამოვიდაო. ადგა, აჰყვა კვალს ზევითზევით. ძლივს ეტყობოდა ნავალი. მაინც მისდევდა ნაფეხურებს. გამოხრულ ირემს წააწყდა. ადგილი სჩანდა ნაბრძოლ-ნაქელი.

— დათვი დასცემიათ. ხარ-ირემი დაუმორჩილებია. რა მშვენიერი ჩხებია! თავი გადუდვია ნახირის დასაცავად, შეჰბრძოლებია. ბეჩავ, ვაჟკაცო!..

ერთხანს ჩაფიქრდა. ხევს დაუბრუნდა. დაჰყვა მის ნაპირს: სადმე სხვა გზას დაჰქნიდნენო წყალზე ჩასავალს. კვალს მიაგ-

ნო და ჩაესაფრა. მზე დაიხარა ირმის ლოდინში. ხმაურმა ოდნავ შეარხია წყნარი ჰაერი. დაადო ყური დედამიწას, სუნთქვა ჩაიქრო.

— ეჰე, მოდიან, ახლოვდებიან! — წარმოსთქვა კაცმა და მოიმარჯვა იარაღი. აწ მათი ჩქამი ცხადად ისმოდა. აირია რემის ფეხის ხმა; მალე მთლადაც მისწვდა.

— გაგეშილი კვლავ დაეტანა! — სთქვა მონადირემ და გაეშურა, საიდამაც ხმები ისმოდა. ფრთხილად ვიდოდა: სისხლით დამთვრალს ძლიერს ნადირს არ წავაწყდეო. მზე ჩაესვენა; ტყეს ბინდბანდი ჩამოერია. დათვს წაექცია მსხვერპლი, ჰბუბნავდა.

— ჰა, შე წყეულო!

გაუმიზნა. ერთ დროს გაისმა თოფის გრიალი, დათვის ღრიალი. ნადირისკენ გაფრინდა ძაღლი. მონადირემ მსწრაფლ ჩადვა გული, რომ დაჰხვედროდა მასზედ მოსულ მხეცს. განვლეს წამებმა, მაგრამ დათვი არ დაეტანა. ვერ მიუდგა დაჭრილს ქევხა, მხოლოდ ჰყეფავდა. მონადირე ხეს ეფარა, თოფს უღირებდა: ისე ეგონა, დათვი აგერ დამეცემაო. ძაღლის ყეფა ნელ-ნელა დაშორდა. არ გამართლდა მისი შიში. დაჭრილისკენ თითონ წავიდა. დათვი დიოდა, სისხლის კვალი მისდევდა ნავალს. ქვიანი იყო. მხეცი ლოდებს ეფარებოდა, სიბნელისაგან არც კარგად სჩანდა. გაჭრა ნადირი. ძაღლის ყეფა შეჩერდა. მივიდა როსტომ. ნაპრალნი სჩანდნენ, რაღაც ხვრელები. ხეებსა და ხეებ შუა შერგვალებული ნაგლეჯები დაფლეთილ კლდისა, გელაზები დიდრონ-დიდრონი.

დაჭრილ მხეცის დადევნებას თავი ანება: ჩამობნელდა, საშიშიც იყო. მცირედ კიდევ გაიარა და მოესმა წყალის ჩხრიალი, წყარო სჩქეროდა ლოდის ძირიდან. საგუბარი გაეთხარა, ტბა მორევად დატრიალებდა. დაუარა, დაკვირვებით გასინჯა არე: საეჭვო თუ გასაფრთხილი არრა მოსჩანდა. აღარ იყო დაბრუნების დრო; არც უნდოდა ეხლა შინ ჩასვლა: დაჭრილ მხეცის ხელთ მოგდება გადაეწყვიტნა.

— ხვალ მივაგნებ მის ბუნაგს და დავათავებ: სადმე ახლო ექნება ბინა, — დაასკვნა კაცმა.

მოზიდა ხმელი, დაანთო ცეცხლი. ნაბადზე იჯდა. ვახშამს სჭამდა. ქევხაც იქ ეწვა. მოუსვენრად იყო ძაღლი, წამსა და წამს იქოჩრებოდა.

— არც ამას უნდა შეურიგდეს ჩემს დამარცხებას, — გაიფიქრა და ანუგეშა:

— ნუ გედარდება! ვერსად წაგვივა: დაჭრილია, დავიმორჩილებთ.

3

ნაკვერჩხლებად ჩაიშალა ცეცხლი გზნებული, ღადღადებდა.

— ვაშიშხინო, ააგე მწვადი! — ეუბნებოდა.

ვაჟკაცს მხოლოდ შერჩენოდა ხმელი ხმიადი. არ ესროლა არც კაკაბთ გუნდს, აღარც ყურდღელსა, დილას რომ შეჰხვდნენ. გაეღიმა; მოაგონდა საარაკო უშნო ჭაბუკი. უთხრა მისანმა:

— იმდენს სარჩოს მოგანიჭებს ღმერთი კეთილი, შინამდინაც ვერ მიიტანო!

საკვირვლად აუსრულდა გრძნეული სიტყვა.

— არ გახსოვს ეს თქმა? ეჰ!

დაანება თავი ოცნებას: ხორცეულს ვერ გააჩენდა ველარც ნატვრითა. უცხიმო პურს ცეცხლზე ჰხუხდა, ისე ჰქუსნავდა. მაინც მშრალი არ იყო ლუკმა: იქვე წყარო გადმოდიოდა.

— დაალბე პური! სვი უშურველად!

მეტად ბნელოდა. ვერ ატანდა ვარსკვლავთა სხივი გაფოთლილ ხეებს. მთვარე გვიან ამოვიდოდა: დაევახშმა დაღლილს, მილეულს. მივიდა წყალთან, დაეწაფა, გული იჯერა. ბინისაკენ რომ შემოტრიალდა, მოულოდნელად შემოესმა მძლავრი კასკასი: ხმაურობამ ტყეს გადურბინა, ხევს ჩაეფინა. შეკრთა ვაჟკაცი; თოფი მხრიდან გადმოიღო, ხეს ეეფარა. ქევხამ შეჰყეფა, მორთო ღმუილი. დაუარა კაცმა არეს, ათვალიერა. სინჯავდა ლოდის მიდამოებს, საიდანაც წყარო დიოდა: თითქო იქიდან ამოვარდა ხმათა გრიგალი, ანთებული მუგუზალიც მიანთ-მოანთო. არა სჩანდა რა, მხოლოდ ტბორში გაისახა ლოდის აჩრდილი. დაწყნარდა კაცი, დაბრუნდა უკან. მიწვა ცეცხლთანა. მალე რულმა დაუხშო თვალი: დაღლილი იყო, ეძინებოდა.

კაცს უეცრად გამოეღვიძა, გააღო თვალი; თითქო რაღაც საშიშროება იგრძნოვო ძილში. გაეღვიძნა მილეულ მთვარეს, ფერმკრთალ სინთლედ დაჰნათოდა მიბნედილ არეს. აღმოსავ-

ლეთით ცის კიდურზედ ისევ ბნელოდა. ქევხას ეძინა. ნავლი ჰფარავდა ჩანელებულ ცეცხლის ნაკვერჩხლებს, შეაჟრჟოლა: ტყის სიგრილეს საგრძნობელი ძალა ეპოვნა. წამოდგა კაცი, გადაიარა, ჩინჩხვარსა ჰკრეფდა. წახრილი რომ წამოიმართა, წყვილი სინათლე შეეფეთა წყაროს თავიდან.

— მგლის თვალები თუ ცეცხლობენ, — გაივლო გულში.

მაგრამ სინათლე არ იძროდა, არ დადიოდა. უძრავ სხივებად მიჰპყრობოდნენ, უვლიდნენ ჯანში.

— ვარსკვლავები ამოსულან ცის კიდურზედა და მე კი შევკრთი: მგლის თვალებად მომეჩვენენ მოციმციმენი.

მიბრუნდა ბინისკენ, დააყარა ცეცხლს ჩინჩხვარი, ააპრიალა. მიუჯდა, შეთბა, ძაღლიც ცეცხლისკენ მიიწევდა, სიგრილე ეგრძნო. ღამის წყვდიადს ჰფანტავდა ალი, მაგრამ იგი არ უთმობდა, მედგრად ებრძოდა; მოზვირთებული მოდიოდა მის ჩასანთქმელად; ხან აქ აპობდა ბნელის სვეტი სინათლის ტალღას, ხან კი სხვა მხრით მიესეოდა. მიდ-მოდიოდნენ აჩრდილები, ვეშაპებად ეტანებოდნენ.

კაცი მაინც ვერ წყნარდებოდა, ისევ ღელავდა: წყვილი ვარსკვლავი იქვე ენთო, არა ჰქრებოდა; მათი სხივები იღვრებოდნენ როსტომის სულში, თრიაქივით ათრობდნენ იმას. ქევხაც იქით იყურებოდა: ხან შეჰყეფდა, ხან შეჰღმუოდა.

— არ ყოფილან ვარსკვლავები. ნეტავ რა არის? — გაიფიქრა.

აიღო თოფი და მიჰმართა იმ სინათლეებს. განვლო ტევრის ნაპირები, მიადგა წყაროს და... გაშეშდა. სვეტად გარდიქმნა: ქალის თვალები ანათებდნენ ისე მკვეთრადა. ლოდზედ იჯდა დედიშობილა. ირჩეოდა ჩრდილებიდან მისი აღალმა, მიხდილ სხივით ნანათები მისი სხეული. ბინდულ წამწამს თუ არ არხევდა: სხივნი ურხევად გამოსჩქეროდნენ, არა კრთებოდნენ. აფუებულ მკვერდზედ ბორცვები. იღიმებოდა. კბილთ ციმციმი აშუქებდა მეწამულ ტუჩებს. თმათა ტევრნი საფარველად გაძრცვილსა ტანსა. ჩაჰფენოდნენ ხუჭუჭები ქალს კალთაშია. ჩამოშლილიყვნენ. თმათა წვერნი წყალს დასწდომოდნენ, მოლივლივეს უერთდებოდნენ, მის ჭავლებში იშლებოდნენ, შიგ ირხეოდნენ. მარმარილოს სურაია მწყაზარი წვივი. ნაქვთიან ფეხს ოდნავ ანძრევდა.

გაიღვიძა ვაჟკაცის თმამ, შეინძრა-შეირხა; ძღარბის ეკლად აემართა, დაესვა კანზედ. დააპირა გაბრუნება, მაგრამ ვერ შესძლო, ადგილზე თუ მიეჭედნა იდუმალ ძალას. მკაცრად ჰბორკავდნენ ძლიერ ვაჟკაცს ქალის თვალები, ნათელთ სიმებს ავლებდნენ ტანზედ, ჩაეჭდობოდნენ. სიძლიერით მიიზიდა ქალმა ვაჟკაცი, თანისთანად დაიახლოვა. სულწასულად ისწრაფოდა მშვენიერისკენ. მივიდა, მისწვდა, მოესურვა წვივთ შემოჭდომა და რა შეეხო, ქალმა ერთი გადიკასკასა. უჩინარ იქმნა.

შეარხია მონადირე ხარხარის ხმამა, შეატორტმანა. გაბყრობილნი დარჩნენ მკლავები. ძაღლი აყეფდა უცნაურ ხმაზედ, ხელი მოისვა კაცმა თვალებზედ, მიმოიხედა. ალიონი აჩენილიყო. ცის კიდური მტრედის ფერად შეღებილიყო. ტბორის პირას შენიშნა თავი, ერთი ნაბიჯიც და მორევში გადაერეოდა: უკან-უკან დაეწივნა, ხიფათს კნინღა გადამთხვევოდა, გადიწერა ჯვარის სახე, ღმერთი ახსენა და გამობრუნდა.

ჩააქრო ცეცხლი, ტყეს ხანძარი არ მოედოსო. დაიკვართა და შეუდგა ნადირის ძებნას. სისხლის კვალი დაეკარგა, ვეღარ მიაგნო. ნაპრალები თუ ხვრელები ბევრი იყო ლოდიან ადგილს და დიდი სიფრთხილე ჰმართებდა, უეცრად თავს არ წასდგომოდა ჩასაფრებულ მხეცს. შუადღემაც მოატანა იმის ძებნაში. იქნებ ეპოვა დათვის ბუნაგი. უსათუოდ იპოვნიდა, თუ უფრო განზედ შემოევლო წრე. იწევდა ძაღლიც, მაგრამ ვერ გაჰყვა მონადირე; წყაროს თუ მორევს დასტრიალებდა; ქალის ძალა შორს არ უშვებდა; მოჩვენება ვერ სცილდებოდა მის გონების თვალს.

— ვინ იყო ის ღამის შვილი მზეთუნახავი? ხორცსხმული არის: მკაფიოდ იყო ასახული მისი სხეული, ხელიც შევახე. იღიმებოდა; კასკასით კი გადიმალა, გაუჩინარდა. აქვე იქნება! ნაპრალებში ან გვირაბში თუ იმალება. შეიძლება შეშლილია და აქ სცხოვრობს უღრან ტყეში, როგორც ნადირი. ესეა ნამდვილ! ადრე თუ გვიან გაჰფათრავს მხეცი! გადიმალა, ვეღარ ვიპოვე. სად წამივა?! ვნახავ, მოვხელავ.

უნდოდა ეხლავ შესდგომოდა მხოლოდ მის ძებნას, მაგრამ მაინც თავი ანება; ნადირისვე კვალს დაეძებდა. არა ჰსურდა,

ხელცარიელი ჩასულიყო სოფელში: დასძრახავდნენ; შინაც ეტყოდნენ: ორი დღე მოსცდი, არაფერი კი არ შეგრჩაო.

სახლში რომ გადაფრინდა მისი ფიქრი, თავის ცოლი წარმოუდგა, ჯერეთ ისევ ახალი სული. ძლიერ აღარ გაეხარდა მისი აჩრდილი, მის სურვილი თითქო კიდეც ამოჰრეცხოდა. მისწრაფებას უთმენელს გრძნობდა, მაგრამ მის საგნად სამძივარი კი აღარ იყო, უღრან ტყეში მობინავე დაჰნაცვლებიყო. ამ მშვენებას განედევნა მისი გულიდან მისი ცოლის სახე. ვაჟკაცს ნებისყოფა იქვე აბავდა, უდაბურ ადგილს.

— აი ქალი მშვენიერი და ქვეყნის თვალი! ლამაზიაო, იტყვიან ერთზედ, ხან კიდევ სხვას შეაქებენ, ტურფად ჰხდიან. არ უნახავთ ბეჩავთ მშვენება და იტყვიან ვიღაც სხვაზედ, კეკლუციაო. აი ქალი სხივის დარი, თითონაც სხივი! ერთი ამის ჩაკონება მთელ სიცოცხლედ ღირს. როგორ მომსურდა! ვერ შემიძლიან უმისობა. როგორღა გავძლებ?!

გონების თვალთ წინ ესახოდა მის სიტურფე ენით უთქმელი. სისხლი უდუღდა. ქალის სახე აღუტყენდა ვნებათა ღელვას.

— ვაჟკაცი ვარ, მევალება მის ამბის ძებნა. მოვხელავ სადმე! მივეხმარები იმ საწყლის შვილს, რასმე ვუშველი.

ჯერ ის ეგონა, მივიდოდა, უამბობდა შინაურებს, რაც რამ შეემთხვა. გადიფიქრა: ვაითუ არ გამომიშვან, მოჩვენება გინახავს და ნუღარ წახვალო. კიდევ ეძება დათვი დაჭრილი რამდენსამე ხანს და დაეშვა სოფლისკენ, რომ ღამე შინ გაეტარებინა, დაემშვიდებინა შინაურები.

5

ხელცარიელი დაბრუნდა კარგი მონადირე. არ ახსოვდათ მისი მარცხი სხვა ამისთანა.

— ორი დღე ტყუილად გივლია ტყე-ღრეში.

— ძნელი შემთხვევა იყო. მე მაინც ჩემსას გავიტან.

— ჭამე ვახშამი და დაისვენე: ძლიერ დაღლილი ხარ, — შენიშნა ცოლმა.

და მზრუნველობით დაუწყო მზერა. ცოლს თვალები აარიდა, ვით დამნაშავემ.

— ხვალ ნუღარ წახვალ! არაფერი სახეირო არ გამოდის ნადირობიდან; სახიფათო ბევრი რამ სდევს საფიქრობელი.

აწ კაცი ხარ ცოლშვილიანი და თავის გარდა, ჰხედავ, სხვებიც შენ გაბარია, — დასძინა დედამ.

— მართალს ამბობ. ბევრი ავი სდევს მონადირეს და განსაცდელი, — მიუგო როსტომმა.

და უამბო, როგორ დაეფრთხო დათვს ირმის ჯოგი, დაეჭირა საუკეთესო, როგორ დასჭრა მტაცებელი და დაეკარგა იგი თვალთაგან.

— დღეს დიდს ხანს ვძებნე; ვერა ვნახე მისი ბუნაგი. ვიპოვი ხვალ, უსათუოდ აქ ჩამოგითრევთ.

— გაანებე, კაცო, თავი. რახან დაჭრილმა თავს უშველა, შერჩეს სიცოცხლე.

— არა, მავნე არსებაა და...

მავნეს ხსენებაზედ მას ფიქრთ არეში წარმოუდგა ის მოჩვენება, კინაღამ წარსთქვა საიდუმლო, ენის წვერს ედგა. მეორე დღეს ადრე გაჩნდა ნაცნობ ადგილზედ. მიიკვლია, მიაგნო მხეცსა: ზევით წასულიყო, კლდის ნაპრალში შეწოლილიყო. კაცის დანახვაზე ბრდღვინვა დაიწყო, გამოვიდა, თავს დაცემა განიზრახა, მაგრამ ვერ შესძლო: წინა ტოტი მოემსხვრია გუშინდელს ნასროლს. დაიმორჩილა ახალმა ტყვიამ. ქარგი გუნებაზედ დააყენა ამ გამარჯვებამ. ჩაათრია ბინაზედ დათვი და დააპირა დაბრუნება, რომ ურემი წამოეღო, მაგრამ გადასდო: ვეღარ შესძლო დატოვება იმ ადგილისა.

— აქ იმალება მზია ქალი; მის ამბავიც უნდა გავიგო! — წარმოსთქვა ჯიქად

და შეუდგა იქავრობის თვალიერებას. არ აღმოჩნდა მისი კვალი არც წყაროსთან, არც სად მახლობლად.

— მოჩვენება თუ იყო იგი. მაგრამ ცხადად დავინახე აცეცხლილი მისი თვალები, მისი ტანი შუქ გამომცემი; შევეხე კიდეც იმის თმის ბარდებს, — გაიფიქრა.

და კვლა ეძება. ვეღარ მოხელა. დააპირა შინ დაბრუნება, მაგრამ ბიჯი ვეღარ გადადგა: არ გაჰყვა ფეხი, მიწას გართხმოდა. მიბრუნდა ისევ ბინისაკენ, მიზიდა შეშა, დააგზნო ცეცხლი. ჯერ წყნარად იყო, არაფერი არ აფიქრებდა; რომ შეღამდა, ღელვა იწყო, თითქო კრთებოდა. მთლად ჩამობნელდა. წყვილი ვარსკვლავი გუშინდელსვე ადგილას აღჩნდა. როსტომ წამოდგა, უნებლიეთ გაემართა მანათობლისკენ.

ისევ ის ქალი! ცხადად სჩანდა მისი სახე თვალთაგანვე გა-

ნათებული. მთელი ტანიც შუქს აფრქვევდა ოდნავ მოყვითლოს. მეტისმეტი სიძლიერით მიიზიდავდა. როსტომი რომ დაუახლოვდა, ქალი გადმოხტა, განაბყრო მკლავნი და ჩაეხვია. მძაფრად ჰკოცნიდა, აკვდებოდა, ეკონებოდა. რა ტკბილი იყო მის ალერსი გაშმაგებული! განიშორებდა, გასწევდა განზე და თითონაც განს გადგებოდა; ჩაჟინებით აკვირდებოდა; კვლავ მსწრაფლადვე ჩაიკრავდა, თმაში ჩახვევდა. თითონ თმებიც ცოცხლდებოდნენ, ეწმახნებოდნენ.

— ვინა ხარ, ქალო, აქ რა გინდა, ამ უტეხ ტყეში?

იღიმებოდა; მწვეტად დათლილ ალმასის კბილთ აციაგებდა.

— მითხარ, რა გქვიან, სით მოსულხარ ჩემად დამწველად?

ცეცხლის თვალებით კაცის სულში იმზირებოდა.

— ჩაგაკვდები, მშვენიერო, ბროლის მკერდშია!

და მიჰქროდნენ ნეტარების წუთნი, ჟამები. უძლურდებოდა, სამოთხებურ განცდაში კაცი. მთლად მოეშვა, მობურდოვდა, დაბნდა კოცნაში. ფრთა გარდეფარა სუნნელ ზეწრად ვაჟკაცის ცნობას.

6

ელოდნენ როსტომს. არ დაბრუნდა. შეშფოთდა სახლი, ნადირმა თუ გაფათრაო განძვინებულმა.

— ნუ გეფიქრებათ: ძლიერია და გამოცდილი; ვერ აჯობებს იმას ნადირი.

— მაგრამ ის კაცი ვერა ვნახე თავის გონზედა: ფიქრი აშლოდა, თვალთ აშეთებდა, სიტყვა ზოგჯერ აღარ ესმოდა.

— ეგ მეც შევნიშნე. ის მეგონა, მარცხზედ ჯავრობდა.

— ადრე არის ჯერ მარცხის დათქმა: გამარჯვება როსტომისაა, დაგვიბრუნდება შინ მშვიდობით ხელხვავიანი.

— თუ შუადღემდინ არ მოვიდა, სჯობს მივეშველნეთ: ეხლა ხომ ვიცით, სად ინადირა.

დღე განახევრდა, ვაჟკაცი კი არსადა სჩანდა. გაემართნენ საძებნელად. იცნეს ადგილი მიმობნეულ ლოდებით სავსე.

— უბურთავნიათ ოდესმე დევებს რგვალ გელაზებით.

— იგი წყაროც აქ უნდა იყოს.

— ხმაური მესმის!

განმეორდა რაღაც ყმუილი.

— მგელი თუ ღმუის.

— ძაღლის ხმაა, ქევხა იქნება.

— ავი თუ რამ წაეკიდა ჩვენს მონადირეს.

გაემართნენ აჩქარებით და... ქევხა მათკენ გამოექანა. როსტომს უძახდნენ. არსით აჩქამდა. წაადგნენ დათვსა.

— გაჰმარჯვებია?

— რამოდენაა!

— თითონ არსად სჩანს. ხომ არ დაბეგვა?

წადგნენ კიდევ წინ. ტბორის პირას შენიშნეს კაცი. გულაღმა იწვა. მუხლებამდინ სწვდებოდა წყალი. მკერდი ღია. ახალუხი გადაფხრეწილი. ახლოვ ეგდო იმისი თოფი. ნაცრის ფერი დასდებოდა ოდნავ მოლურჯო. წვეთი სისხლი არ შერჩენოდა.

— თუ დატორა შეჩვენებულმა.

— დაგაზული არ ეტყობოდა, არც ნაკბილარი.

— მკვდარია, მკვდარი!

— ვაჰ, ჩემო თავო!

ამოათრიეს, გაყინულიყო, ყური დაადეს; თითქო ფეთქავდა. ცეცხლს დააყარეს, ააპრიალეს. ნაბადზე დადეს გათანგული. გახადეს სველი, შეამშრალეს; შალითა ჰზელდნენ.

— მკერდი შეენძრა. არ არის მკვდარი!

— იქნებ გვეშველოს და მოვაბრუნოთ.

— ყელზე რაღაც მოსდებია, აბა დახედე!

ხელში გასინჯეს, გახედეს მზეზედ. თითქო თმას ჰგვანდა, ნაცრისფერ ბეწვებს.

— ნეტავ რა არის?

— ხავსის ძარღვებს ჰგავს.

— ცოცხლდებიან. თავისთავად ხუჭუჭდებიან.

— თმა არის ნამდვილ; არც თუ თმასა ჰგავს.

— ალქი თუ შეხვდა და უნდოდა თმებით დაეხრჩო.

— ჯვარი არ ჰქონდა?

— აგერ ჯვარი სადა ჰგდია: ჩამოსწყვეტია.

1924 წ.

ძვირფასი თვალი

ვაჰ, რა დავკარგე ძვირფასი ლალი,
ცხარე ცრემლი მდის, არ შრება თვალი!

1

მეტად გაღარიბდნენ თვალადაანი საერთო უბედურობის დროს, როდესაც დაირღვა მოწყობილი ცხოვრება და ნაღვაწი გაიტანა გრიგლად ქმნილმა ხელმოკლეობამ. ჯერ გულს არ იტეხდნენ, ახლო ხანში მოელოდნენ მაძღარ მომავალს. მერმე ფრთები ჩამოყარეს, როდესაც ნახეს, ნიადაგი ეცლებოდათ, კერა თანდისთან უცივდებოდათ. იმედთ ნასახი აღელვებულ წყალს გაატანეს.

ნელ-ნელა ხარჯეს შავი დღისთვის გადადებული, ცვითეს მურასა; დაძრეს, გაიღეს ოჯახიდან შეძენილი თუ შეტანილი. ვეღარ ჰშველოდათ: ზღვა კოვზით ილეოდა, იხაპებოდა: მთლადაც შრებოდა. შემდინარეს წყალი თურმე გამოჰლეოდა. ამომშრალიყო, ქვა და ქვიშა გადაჰშლოდა გამხმარ გულმკერდზედ.

— ვეღარ მაგრობენ თვალადაანიც, შეურყევია განსაცდელს ფიცხელს.

— დარეჯანი კიდევ მხნეობს, აბრუს არ იტეხს.

— მაინც გული დაჩაგრული აქვს, შიმშილის ლანდი უთამაშებს შემკთალ თვალებში.

— არა უშავს რა ძველისძველ ოჯახს: შერჩათ ნამუსვრი კეთილ ყოფისა; მიიტანენ თვის სიცოცხლეს მაძღარ დრომდინა.

— იქნება, მალეც გაუთენდეთ: კარგი შვილი ჰყავს, ოღინდ დაბრუნდეს გადაკარგული.

— მაინც რა უშავთ?! უკანასკნელ გასაჭირში განძს გაიღებენ, წინათაგან ნაანდერძევ იმ ფასმძიმე ქვას. სხვამ იფიქროს და იდარდოს, თორემ ისინი...

— საიდან იცი, რომ აქვსთ სახლში სამეფო ნივთი? მითქმა ბევრია, მის მნახველი არავინა სჩანს.

— მაინც ვიცი, აქვსთ. წინად თურმე თუმც ჰმალავდნენ, მთლად არ კრძალავდნენ. იყვნენ მნახველნიც. ეხლა მართლა ხმას არ იღებენ. საშიში არის: წაართმევენ, დაეცემიან.

— საკვირველ ამბავს მოგვითხრობენ განძის შესახებ. ზღაპრულიაო მისი პოვნა, მის თვისებები. ხელთ ჩაჰვარდნიათ ძველისძველ დროში.

— ანდერძი აქვსთო, არ შეელივნენ.

— ნეტავ მიჩვენა ის რაღაც ნივთი და გამაგონა მისი ამბავი!

2

ძველისძველი იყო თვალადაანთ გვარი, უწინდელ ისტორიაში ჩაბმული. საგვარეულო გუჯრები ბევრს კარგს მოუთხრობდნენ, ხან უჯეროსაც წარმოიტყოდნენ. მათ ციხე-დარბაზს წერილობით საბუთ გარეშეც ბევრი ამბავი დასტრიალებდა. ეჰ, ამით ძალიანაც არ ირჩეოდა მათი სახლი სხვა ოჯახებიდან: ყველა კერას ახვევია თავისებური თხრობები. ერთი თქმა კი მეტად განსხვავდებოდა; ნივთიერი ნიშანიც ახლდა მას, ისე რომ შეთხზილი არ იყო, სინამდვილის იერი ჰქონდა.

ეს ნამდვილად მომხდარი არაკი შეეხებოდა იმ ნივთს, მათ ოჯახში რომ ინახებოდა უწინდელ დროიდან. აღსწერდნენ კოლოფს, რომელშიაც დაკრძალული ჰქონდათ: ვერცხლის ტაგრუცი, ყუთის თავზე ამობუშტული ხარის ტანიანი კაცი წვეროსანი; ყურს ფეხები ლომისა ჰქონდა. ისიც ეამბნათ, როგორ იყო განძი მოპოებული:

ერთხელ საშინელ წარღვნას წაელექა ეს სოფელი. ორივე ხევი მოვარდნილიყო, ბროლაური და ჭივჭავა. ისე ავსებულიყვნენ ნიაღვრით, რომ შეერთებულიყვნენ, დაეფარნათ სოფელი. არემარე თან მოჰქონდაო. მთელ-მთელ ხეებს ჩინჩხვარივით ატრიალებდაო. სახლები დაენგრია, ბაღ-მინდორი გადაერეცხა; ყველაფერი გაენადგურებინა, დაეღუპნა. თვალადაანთ სასახლე მაინც გაჰმაგრებიყო: მაღლობზედა სდგას და მკვიდრი გალავანი არტყია.

ღვარს მოეგლიჯნა მთელი გორაკი, გადმოენგრია; ამოეჩინა უწინდელი შენობები თუ აკლდამები. წყალი რომ ჩამომ-

ჯდარიყო, მაგრამ წინაპარს ნანგრევებში ეპოვნა ის ძვირფასი თვალიც. განძი დაეკრძალა ლუსკუმაში და ანდერძი დაედვა, არას დროს არ გამოეწირნათ ის საგვარეულოსათვის.

— მაინც არ გაეხსნათ ყუთი, არ ეჩვენებინათ?

— არა! იშვიათ შემთხვევაში შეიძლებაო ახდა: უცხოს თვალს ვერ იტანსო.

სხვებიც ამგვარ რასმე იტყოდნენ. ნამდვილი არავინ იცოდა. იმასაც ამბობდნენ, არაფერი არ არის იმ კოლოფში. მოსაჩვენებლად უბნობენო. ამისთანა ეჭვებს საბოლოოდ მაინც უარჰყოფდნენ:

— რა სარგებელი აქვსთ, ხმები ავრცელონ?! უსათუოდ სინამდვილე იქნება ეგ თქმა!

— გაიგებთ მართალს! არა არს დაფარული, რომელ არა გამოცხადდეს.

3

ორი ძმა ტრიალებდა თვალადაანთ ოჯახში, ერთმანეთის მომდევნონი. იმედიანი მომავალი ჰქონდა იმათ სახლს. ატეხილმა ომმა ორივ ვაჟკაცი გაიტაცა: ერთს ხელმწიფის მოთხოვნილებამ უწია, მეორე თითონ ჩაება ხიფათში: ბალღობიდანვე დანა-ხანჯალზე იყურებოდა და ახლა მსოფლიო ომიანობისას გული აღარ დაუდგა შინ; გადაიკარგა.

ქალებს შემოსავლიანი საქმისა არა ესმოდათ რა, სხვაც აღარავინ რასმე უჯერებდა და სახლი იძულებული შეიქნა დაგროვილ მარაგს დაჰნდობოდა. დვრიტა დაანდო მარადმა ხარჯვამ და როცა ცხოვრება აირია, კერას შემოეფცქვნა ყოველივე, რაც რამ ებადა. ნიადაგიც ფერხთ ქვეშიდან გამოაცალეს. ცივ ქვაზედ დარჩნენ ოჯახის შვილნი.

ითმინეს. ელოდნენ სახლის ვაჟკაცებს. მათგან ამბავი არ მოდიოდა. უბედურობას უბედობა თან მოჰყვებოდა. მოვიდა ხმა, უმცროსი ვაჟი დაღუპულაო. უფროსისაგან ცნობა რამ სულ არა სჩანდა. ომს მოჰყვა ზედ აღრეულობა, რყევას დანგრევა. და დაგლახაკდნენ დიდებულნიც, კიდეც დაიმშნენ. ისღა იყო, საკუთარი ჭერი ეფარათ. ხსნა არსით სჩანდა. აფხვრის წუთი კარს მოსდგომოდათ. იმედად მხოლოდ ის შერჩენოდათ, თვალი ძვირფასი. წითელი ოქრო შავი დღისათვის. ეჰ, დაბდ-

გომოდათ დღე იგი ბნელი. აწ უნდა გატყდეს წინაპართ სიტყვა; შეეხოს ხელი იმ განძეულსა.

— დედი, სათოვლედ მოიღრუბლა, საცაა, ჩამოჰბარდნის, ჩვენ კი შეშა არ მოგვეძევა.

— აღარც ფქვილი გვაქვს, არც რამ მარცვალი. რა მოვაგვარო, როგორ გადურჩეთ?! ვაჰ, ჩემო ბიჭო! უნდა აქ მყვანდეს, რომ გააქროს ეს გაჭირება!

— მდიდრად ვცხოვრობდით, ვერვინა გვჯობდა.

— ჩვენი ოჯახი პირველობდა მთლად ამ მხარეში. მამული გვქონდა დიდებული. მამა თქვენი მარჯვე იყო, ხელხვავიანი და ოჯახი დაგვეტვირთა მრავალ სიკეთით.

— რაც გვქონდა სახლში, მთლად გაგვტაცეს, გაგვაჩანაგეს. გაჭირვებამ გააავა დიდი, პატარა. დაგვიბრიყვეს უვაჟკაცონი, ორჯერ გაგვცარცვეს. რა გვეშველება?!

— თუ ვალიკო არ წასულიყო, სახლს მფარველად ეყოლებოდა.

— მეც ვეხვეწე, არ დაიშალა. ვაჰ, რომ ველარ დაგვიბრუნდება.

— აღსართანიღა გვყავს იმედად. თუ მშვიდობით ჩამოგვივიდა, მალე შესძლებს ჩვენს გადარჩენას: ჰაზრიანია და გამჭრიახი.

4

ბუნებაც ჯიბრს უწევდა გასაწყლებულებს: ჩამოწვა ადრეული ზამთარი. ჯერ ხეს ფოთოლი არ გასცვივნოდა, რომ ჩამოჰბარდნა; აღარც გადიღო. გაეფლანგა ბუნებას სითბო.

და დაუდგათ თვალადაანთ წამების დღენი. ნაჩვევნი იყვნენ მდიდრულად ყოფას: ჩაცმას თუ სითბოს, ნოყივრად კვებას. მოესპოთ ეხლა სახსარი ყოფის, გამოეჟურათ ყოველი სიჩხინტე.

— კაცო, ხოდაბუნები ჩვენია, მამა-პაპეული და რას გვედავები?! დაგვიგულე უვაჟკაცოდ და დაგვიბრიყვე?

— ჩუმად! კი არ გედავები, ჩამოსართმევად მოვედი: მირჩილება კანონს

და შეჰყურებდა მიმავალ დოვლათს განცვიფრებული.

— ძმაო, კაცო, რითღა ვიცხოვროთ?

— გეყოფათ ისიც, რაც იპარპაშეთ, აწ მშრომელს მიწა! მიწა, ჰაერი, ტყე და წყალი საზოგადოა.

რაღა ეთქმოდათ?! კანონით მოჭრილი თავი არ ეტკინებაო. ახლა აღრეულობის ჟამს წესს გარეშე მყოფნიც გამრავლდნენ და...

— დედიჯან, შეხედე ჩვენს ბუხარს. ბოროტად გვიმზერს პირდაღრენილი. თითონ გვიბერავს, ყინვას ამრავლებს.

— კეთილი იყო უწინ ჩვენთვის და გვაამებდა.

— ეს მაშინ, როცა შიგ ცეცხლი ენთო.

— ზაფხულშივე ჩამოგვიტანდნენ ზეხმელს. მძაფრ ზამთარსაც არრად ვიმჩნევდით.

— შეშა მზის სხივები თუ არის შენივთებული; მნათობის სითბო და სინათლე ცეცხლად ღადღადებს.

— არ ვაფასებდით. ახ, ეხლა მოგვცა!

ყინვა, სიტიტვლე, შიმშილის თმენა. უმცროსები შეჰმზერდენ დიდებს, გვიშველიანო. გამოჰლეოდათ მათ დიდრონებს ძალა ქმედობის.

— სჯობხარ, სიკვდილო, ამგვარ სიცოცხლეს!

— უღვთოდ სული არვის ამოსდის, მანამდისინ კი...

ათვალიერებდნენ, კიდევ ხომ არაფერი დარჩენიაო კარზედ გასატანი, საზრდოდ საქცევი.

— დედი, ამოვიღოთ ნატვრის თვალი და გავიტანოთ.

— გავყიდოთ, შვილო! როგორა ვქნათ, რომ არ გაგვიგონ, თუ შეგვამჩნიეს, გამოგვტაცებენ. იციან, რომ გვაქვს, თანაც ეჭვობენ. თვალი უჭირავთ.

— რომ ველარ შევსძლოთ იმის დაფარვა?!

გონების თვალთ მიმოავლებდნენ; ჰსურდათ, ეპოვნათ ვინმე ისეთი, რომ შესძლებოდათ მიჰნდობოდნენ ამ გასაჭირში.

5

— არ ვიცი, ღმერთმანი, ვის უჩვენო. თვალს მოსჭრის მნახველს, გამოგვწირავენ. ან ფასს უფასოს გადმოგვიგდებენ. სხვა გზა მაინც არ მოიძევა: გაჭირვებამ სახრინავზედ დაგვაყენა.

— აღარ შემიძლიან მოთმენა, ვიწვი ყინვითა.

— ამოვიღოთ. თუ გავწყდებით, რისთვისღა გვინდა?!

— მაშ გამოვიტან, მინამ ღამეა. შეიძლება, დღე მოგვასწრონ და გაგვიქვეყნონ.

— გვიანი არის, აღარავინ მოვა.

გავიდა დედაკაცი მეორე ოთახში; ეწვალა. ამოიღო სამალავიდან. გააღეს ყუთი. შემოსცინა ქვამ მშვენიერმა. კარგა დიდი იყო, ადამიანის თვალივით მოყვანილი: თითქო მოსჩანდა გუგა, კაკალი, თითონ ბაია. შუაში, ამაღლებულ ადგილას, მუქი ცისფერი დასცემდა ოდნავ წამწვანო, დაშვებულებში მკრთალდებოდა, მქრალ სინათლედ იფანტებოდა. მთელი თვალი ანათებდა მოძრავ ნათელით. თუ ლაპლაპებდა ცეცხლის ალი შიგ მომწყვდეული.

ენთო სანთელი. შანდლის პირად დაწეული იღვენთებოდა. კიდეც მიიხრწნა. მოიფინა ხშირი ბინდი შენივთებული. კუთხეები ბნელმა მოიცვა. დაუდგრომელ აჩრდილთ სიმრავლე. ძვირფასი თვალი თანისთანად ფხიზლდებოდა, განათდებოდა. ბუნჯგალ-ბუნჯგალ სხივთ ჰფანტავდა, მიმოისროდა. ხუჩხუჩებდა ნაპერწკალში, მხიარულობდა.

— რა კარგი არის!

— დახე იღვიძებს, მიმოიძვრის, გვათვალიერებს!

— რას ამბობ, ქალო?! როგორ შემაკრთე!

იწვის სანთელი. მდნარი ქონი შემოადგა ჩაწეულ პატრუქს. ლამის მთელ დარბაზს მოეფინოს მღელვარე ბნელი. თვალი უფრო აელვარდა ცოცხალ სინათლით. დაიწია მნათობ განძმა ბნელ კუთხისაკენ. მის გარშემო წრე მოერტყა სახედ ქალისა. მოიხაზა ხატებაც ტანის. აქოჩრილი თმათა ტევრნი გადმოჰფენოდნენ. მშვილდებად წარბნი. შამბ წამწამნი ღაწვთ დაფენილნი. გაპობილ ბაგეთ უალერსებს კბილთა ციაგი.

— ჰხედავ იმ სახეს?

— ვხედავ, მეშინის!

— რა ლამაზია!

— აგერ ბრუნდება!

— არა! მიფრინავს.

ირხეოდა ორიოდ წუთს იგი აჩრდილი და ნელ-ნელა გაიფანტა, გაუჩინარდა.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა დიასახლისზედ, რომ კიდევ რამდენიმე ხანი დაამყოფა განძი თავის სახლში. როდემდისინ? გაჭირება მოუთმენელი, სახსარი კი ერთადერთი: ის ძვირფასი ქვა. გზა აღარ იყო, უნდა გადედგა ნაბიჯი ძნელი. განძის გატანა ბაზარში ვერ გაებედნა. სხვა გზას იკვლევდა. კიდეც მიაგნო!

ნაცნობთა შორის ბექა უფრო სანდოდ ეჩვენა. ამ საქმისათვის გამოსადეგად. ძველი კაცი განათლებული. დრო მოეჭამნა, განდეგილად გასულიყო განმარტოებით. მეგობრობდა მეცნიერებას; მით ირთობდა თავს. ჰსმენოდა მას განძის ამბავი და უხაროდა, რომ ჰნახავდა ქვას თავის თვალით. მოუტანეს. დააკვირდა. სინჯავდა და ვერ ძღებოდა თვალიერებით.

— ძლიერ კარგი ჰქმენ, ვაჭარს ვისმე არ აჩვენე და მოიტანე. იშვიათია! ბევრი არ არის ამისთანა თვალი ძვირფასი.

— რა ქვა არის ეს?

ძნელი არის გადაწყვეტით თქმა. თითქო უფრო ბივრილიონს ჰგავს. მაგრამ ესე თავისებური?! მეტად ძვირად საშოვნელია.

— მაშ ბევრს მომცემენ!

— ვინ იცის ეგა?!

— თქვენი ნივთი სხვა მხრივ არის შესანიშნავი: ამის შენობა მეტად ჰგავს ცოცხალი თვალის აგებულობას. აბა ჩაჰხედე! — უთხრა კაცმა.

და ჩაუყენა მდიდებელი რაღაცა შუშა.

— თითქო თვალია, კაცის თვალი გაქვავებული!

— იქნება მართლა ადამიანის თვალიც იყოს ეს.

— როგორ შეიძლება, გეთაყვა?!

— შესაძლო არის! დასტანებია მთელ ბუნებას მქმედი ძალა სამარადისო. შემოქმედება უთავებელი. წუთით, საათით, დღით თუ წლობით მეორდება მისი ქმნილება. ერთი წყობა რომ იშლება; ჭკნება თუ ხმება, დას-დასი სხვა იბადება ახალ-ახალი. შემოქმედების მბრუნავ ბორბალზედ ერთი რიგი ისახება, აკოკრდება და იფურჩქნება; სხვა მეორე ხანდაზმული იხრწნებ-იშლება. და ეს მარადის დაუცხრომელად.

— მართალსა ბრძანებ!

— ამ ულეველ წარმოშობას და მოსპობას, სიკვდილ-სიცოცხლეს საკუთარი ჰაზრი სტანავს უცვალებელი.

— რა ჰაზრი არი?

— დიდს შემოქმედს თვის არსებაში ყოველ ქმნილების სამარადო სახეები ახატული აქვს. სრულნი არიან ის ალალმანი, უხინჯონი, უნაკლულონი, უცვალებელ სიმშვენივრით სავსებით მკულნი. ბუნებაში ხორცს ისხავენ ის სახეები, მთელი სამყარო იმ ხატებებს ანხორციელებს. მაგრამ მძიმეა, ბნელი არის ნივთიერება და როდი იტევს იმ უებრო პირველსახეებს, უნაკლოდ ვერ ჩამოჰნაქვთავს. და შემოქმედი უარსა ჰყოფს იმ უსრულო თვის ქმნილებებსა, განეშორება. მომსპობი ძალა ეუფლება უარყოფილთა. სცელავს სიკვდილი არსებათა წყობას წყობაზედ და მით გზას უხსნის ახალ-ახალ მათზედ უკეთესთ.

— განა თანდისთან არსებობა უკეთე...

— იარსებებს ეს მოსპობა დაუცხრომელი, სანამ ისე ჰაეროვნად შეიქმნება ნივთიერება, რომ ძალს შეიმოსს უცვალებლად წარმოშობოს პირველსახენი. მხოლოდ მაშინ მოისპობა დაშლა, სიკვდილი და გამეფდება სანეტარო არსებობა უცვლელ-უხრწნელი.

— ჰოო?!

— სწორედ!

— იქნება მართალიც იყოს ეგ შენი სიტყვა, მაგრამ ვერ მივმხვდარვარ, რა კავშირი აქვს შენს მსჯელობას ამ ჩვენ ნივთთანა.

— ეხლავე!

7

— მაინც ათასში ერთხელ შემოქმედება ისეთი უნაკლო გამოდის და მშვენიერი, რომ თითქმის მთელის სისრულით განახორციელებს თავის ზესახეს. იგი ქმნილება დასაშლელად თვით შემოქმედს დაენანება და განაშორებს მისგან ხრწნილებას, გააქვავებს და ინახავს ულეველ წყობით, მანამ...

— შენა გგონია...

— დარწმუნებული ვარ, ეს ძვირფასი თვალი ოდესმე ცოცხალი იყო. გაქვავებულშიც შენახულია ცნობის ნასახი, სიცოცხლის ნეშტი.

— ისაა თავი ძვირფასი? ადამიანის თვალი არის ძვირფას ქვად ქმნილი?!

— ნამდვილ! ჰე, დააკვირდი! — უთხრა მოხუცმა

და ისე დააყენა თვალი, რომ ლამპის შუქი ალმაცერად ათამაშდა მასში. გამომეტყველდა და აღიგზნო ქვაში სიცოცხლე.

— იცი, ბატონო, ამ ძვირფასმა ქვამ იცის ავადმყოფობა, კარგად გახდომა; სიხარული და სიმძიმილი. ხან ცრიატდება, ელვასა ჰკარგავს, ცეცხლი უქრება; ხან აღელდება, ლაპლაპდება, მასში ალი მხიარულად ათამაშებდა.

— შეიძლება ამ ნივთის მიხედვით ადამიანმა ფიქრთა არეში აღადგინოს იგი სახე, რომელს ოდესმე ამშვენებდენ ეს ტურფა თვალნი. ძნელი კი იქნება: მას აქათ, რაც მას უარსებნია ქვეყანაზედ, ვინ იცის, რამდენი საუკუნე არის გასული.

— საკვირველია! მაგრამ იქნება მართალიც იყოს შენი თქმა საარაკო, — სთქვა დედაკაცმა.

და უამბო ის ჩვენება, რომელიც განიცადა მან, როდესაც თვალის გარშამო მოიხაზა მთელი აღალმა მშვენიერი არსებისა, როგორც რამ ნივთიერი აჩრდილი.

— გადასრული არსების სახე განგცხადებია! ქმნლებათა შესახებ ჩემს მოსაზრებას ადასტურებენ ეს თვალი და ის ჩვენება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, თვალი თანდათან გაბრწყინდა, სიცოცხლე ათამაშდა მასში. თიქო იძროდა ქვის შუაგული, იხედებოდა. სხივთა კრთომაში სიხარული იხატებოდა. შეკრთენ ორნივე. ბექამ მაინც არ შეიმჩნია.

— გახარებს რასმე განძი ძვირფასი!

— მართლა, გენაცვა?!

— არ შეიძლება ვაჭრის ხელში ამის ჩაგდება!

8

ნება არ მისცა, ბაზარში გაეტანა თვალი: სამუზეუმო განძად დასახა. აღუთქვა შუამდგომლობა. მანამ საქმეს მოაწყობდა, ხელი მოუნაცვლა გაჭირვებულს.

— ინებე! განძის ფასს რომ აიღებ, მაშინ დამიბრუნებ. შეგატყობინებ, როცა დრო იქნება. გასინჯავენ, მოგირიგდებიან.

— შენ იმედი ნუ მოგვიშალოს!

საკმო ფული ათხოვა; ეყოფოდათ, მანამ გაჰყიდნენ. გულს ეფონა მანდილოსანს. იმან უფრო გაამხნევა, ბექამ რომ უთხრა, ძვირფასი თვალის აბრწყინება სასიხარულო რასმე გეტყვისო.

— ფულს რომ გაიღებენ, შეგატყობინებ და მოიტან ნივთს.

კიდევ ცოტა ხანი, და ეს განძიც ისევე გაიყიდებოდა, როგორც მთელი სხვა ქონება გასცდა თვალადაანთ სახლს. მხოლოდ იმან შეუშალა გაყიდვას ხელი, წერილი რომ მოუვიდა აღსართანისგან:

— მალე ჩამოვალ, ჩემს ახალ სულსაც თან ჩამოვიყვან, ძალიან მოგეწონებათ, — სწერდა დაკარგული.

წიგნი ცარიელი არ იყო: ფული მოეშველებინა სახლისათვის.

— აი რა სასიხარულოს მეუბნებოდა თვალი ძვირფასი, — წარსთქვა დედაკაცმა.

და ნახა განძი, მოუალერსა.

— ეს ნივთი თილისმაა ჩვენ ოჯახისთვის: ბოლოს მაინც სიკეთის მოტანა იცის. რაც უნდა გაჭირვებაში ჩავარდეს კერა, მისი კარზედ გატანა ჰაზრადაც არ უნდა მოუვიდეს ჩვენს გვარს!

— ოღონდაც! როგორ შეიძლება თუნდ უკიდურეს ყოფაში, სახლის კეთილისმყოფელი გაიყვანო და გაჰყიდო? ცოცხალია ეგ, მგრძნობიარე.

დაენანათ, რომ ვერ შესძლეს განძის შეძენა. რაღა გაეწყობოდა?! დედაკაცი წელში იყო გამართული და ნივთის კარზედ გატანა კი არა, იმასა ცდილობდა, სახლში შეეტანა და შეევსო დაცლილი თარო, კიდობანი თუ კარადები.

გაჩნდა სახლში ფქვილი, ცხიმი, მარცვლეულობა, აგიზგიზდა ბუხარში ცეცხლი. ჩაიცვ-დაიხურეს, ტიტველა დამალეს. გზისკენ ეჭირათ თვალი მოლოდინად გარდაქმნილებსა.

— რაზედ გავყიდდი! როგორღა შევხედავდი თვალებში ჩემს ვაჟს!..

9

შვილის ამბავი რომ უხაროდა დაკარგულად ნაგულებისა, მის სიხარულს ის უფრო აძლიერებდა, რომ გამთავნებული უბრუნდებოდა იგი: რძალს მოჰგვროდა და მერე რა რძალს!

მშვენიერია, ესეთს ქალს მანდ მეორეს ვერ იპოვიო. ფულიც ბლომად ეშოვნა. ეტყობოდა გამონაგზავნს, წერილის კილოს.

— ვმადლობ ჩემ წილ ღმერთს! ერთი შვილი წამართვა უბედურობამ, უკანასკნელ გასაჭირში გამოგვატარა, მიწად დაგვხარა. ბოლოს მაინც პირი იბრუნა ჩვენსკენ, ნათელი.

— ისიც ძალიან სასიხარულოა, რომ ცხრა მთას იქით გადაკარგულს უცხო თესლი არ შეხვედრია. ქართველ ოჯახიდანვე გამოუყვანია ქალი, იმ მხარეს მოყოლილ სახლობიდან.

— იმას რაღას იწერება, ისეთი მშვენიერი თვალები აქვს, როგორც ის საგვარეულო ქვააო ძვირფასი?

— რა ვიცი! ალბათ შეყვარებულია და ჰგონია, რაც ქვეყანაზედ სიმშვენივრეა, ყველა იმ ქალს შეუკრებია.

და ელოდნენ მოუთმენლად, გზას გასცქეროდნენ: საათი დღედ ეჩვენებოდათ, დღე მთლიან კვირად. ჰპოვა მათმა მოლოდინმაც თავის დასასრული: მაშინ მოგრიალდა ეტლი, როცა ლოდინით ილაჯწასულნი შინ შეყუჟულიყვნენ, კარში აღარავინ ჰაჭანებდა. მანამ შვილს გადაეხვევოდა, რძალს მიაბყრო მზვერავი თვალი. რომ აიმართა მის წინაშე სხივთ ნაკვეთი საროს მაგვარი, გულს ყვავილი გარდეფინა ბედნიერ დედას.

— შვილო, აღსართან!

სიხარულის ტირილი! ცრემლით მორწყული სახე მღიმარემული წელს მოსჭდომოდა რძალს, თვალებში შეჰყურებდა მის სიტურფით მიტაცებული. რაც უფრო აკვირდებოდა დედა, მით უფრო მეტი განცვიფრება ეხატებოდა:

— სწორედ ის არის, რომ მომევლინა! ესე მგზავსება ჩვენებისა და ხორციელის?! თვალები ხომ ჩვენს განძს მიუგავს!

თანდათან რწმუნდებოდა ამ მგზავსებაში. როცა ქალი თმაგაშლილი ნახა, ვეღარ მოითმინა, წამოიძახა:

— მინახავხარ, მე შენ გიცნობდი!

რძალი შეკრთა ამნაირ თქმაზედ, გაიფიქრა:

— სად შევხვდებოდი, როგორ მნახავდა?! ბალღობის აქათ აღარ ვყოფილვარ საქართველოში და...

10

უამბო მანდილოსანმა, რა გასაჭირი დაატყდა თავს, როცა დაასკვნეს გაეყიდნათ იგი საუნჯე და როგორ ეჩვენა ცხად აჩრდილად მზეთუნახავი.

— ამოიღე იგი თვალი, ნესტანმაც ნახოს.

შევიდა დედა ოთახში. დაუწყო გადმოლაგება.

— განა სკივრში არა გაქვს შენახული?

— არა! საშიში იყო და დავმალე.

— ამაოდ! მტაცებელნი გათქმევინებდნენ.

— ვერა! სულდგმულად ვხადი და არ გავცემდი.

დაუწყეს სინჯვა.

— ამისთანა თვალნი ესხდნენ იმ მოჩვენებას.

ქალი გაკვირდა:

— ამისთანა თვალი არ შემხვედრია, თუმცა ბევრი სხვადასხვა გამისინჯია. თითქო მართლა ცოცხალიაო.

— მაშ შენს თვალებს არ მოგაგონებს?

ქალი განცვიფრდა: მის თვალების ნაჩხი იყო და ნაირობა!

— კარგად აღარ მახსოვდა განძი. დიდი მსგავსებაა ამ თვალთა შორის, — წარმოსთქვა დაფიქრებულმა აღსართან.

ძვირფას თვალს სიცოცხლე დაეტყო: სხივოსნობდა, ქალისაკენ აფრქვევდა ნათელს. ციალ-პრიალი. ნაპერწკალთ ბუნჯგლებს მიმოაბნევდა. გააცრიატა მის ბრჭყვიალმა ლამპრის სინათლე. ნაზი შრიალი ფოთოლთა რხევის. დაეკმია მთელ დარბაზში ყვავილთ სუნნელი. გაბრწყინდა თვალი ელვასავით და უცებ ჩაქრა.

ძვირფასი თვალი ჩამწვარიყო, ჩანავლებული.

1924 წ.

ნანატრი ნადირი

ალდიაის სალოცავო,
სახვრეპელი ფაფად ქენი!

1

კარგი მონადირე იყო როსან. როდიაშვილებს გვარით მოუდიოდათ მხეცთა დევნა. მის პაპას სახელი გაეთქვა ჯიხვთა თუ არჩვთა ხოცვაში. მთიელნი მოდგმით. არც ისე დიდი ხანი იყო, რაც წინაპარი ჩამოსულიყო ბარად. ეხლა ისინი უკვე დაბლობის მცხოვრებნი იყვნენ, ჯიშით ბარელნი. ოჯახში კი ახსოვდათ თავიანთი ჯილაგი: დიდ გაჭირვებაში ხატს თუ ძიჰმართავდნენ, კოპალე უნდა ყოფილიყო ის, იაღსარი. როსანის მამა ორ-სამ წელიწადში ერთხელ მიანც ეახლებოდა დიდებულ იაღსარს, საღმთოს მიჰგვრიდა, თავის თავს და ოჯახს მის ყმად აღიარებდა.

როსანმა აღარა ქმნა პირი მთისაკენ. ყველა ხატებსაც ზურგი აქცია, რაკი სკოლები გაიარა: აღარ შეჰშვენოდა განათლებულ მოხელეს ღმერთთა მონობა. დედა მისიც ბარის ქალი იყო, მთისა არა იცოდა რა და ოჯახმა მიივიწყა იაღსარიც, მთის სხვა ღმერთებიც. შვილებს თუ მოუყვებოდა, ქართლ-კახეთის ხატებზედ უამბობდა, სანთელ-საკმელსაც მათ სახელ-ზე ანთებ-აკმევდა.

2

მთიელთა ერთი თვისება კი ღრმად გასჯდომოდა როსანს ძვალ-რბილში: ნადირობის დიდი ტრფიალი. მის ბალღობისას მათ ეზოში ჩიტი ვერ გაიჭაჭანებდა: დაჰხვდებოდა მას საომრად როსან მშვილდ-ისრით; ძუის მახე, რამ ფაცერი ჩააგდებ-

და მფრინველს საფრთხეში. დიდობასაც არ დაიშალა; მიჰმართა ეხლა მხოლოდ მსხვილ ნადირს. სიზმარშიაც მთა-კლდეს ჰხედავდა, ტყეში დაძრწოდა. უსაფრდებოდა რაიმ ცხოველს, მიზნად იღებდა; მისდევდა დაჭრილს. ზმანებაში ის უხაროდა, რომ ყოველთვის უმარჯვდებოდა.

ენატრებოდა სიზმარშიაც თოფი სჭეროდა, ხანჯალი რტყმოდა ფოლადიანი. ჩომბახი დიდი, ქვის გულები სასროლ-სატყორცნად, გრძელი ანძა წამწვეტებული. მარჯვედ ხმარობდა იარაღს უხეშს მხეცებთან თუ მტერთან ბრძოლაში. ერიდებოდნენ სიზმრად ნადირნი: ალღოთი თუ შეიგრძნობდნენ მის ძლიერ ძალას.

სინამდვილეში მშვენიერი სანადირო იარაღი ჰქონდა მოწყობილი: გათქმული ყალიბის ორლულიანი, თალათინის სავაზნე წყვილი, ბრტყელი ხანჯალი ტყავის სარტყელზედ. ხალთაგუდა მჭიდროდ დაწნული. შესაფერი ტანისამოსი: მოკლე ჩოხა ჩაღილული თბილ ახალუხზედ. ყელმაღალი ფეხთსაცმელი ლბილი და გამძლე, ყაბალახი, ტყავის ქუდი გრძელბეწვიანი. უნაკლულოდ ყოველივე მოწყობილობა.

ექვსი დღე რომ მუყაითად მუშაობდა, როგორც მოხელე, მეშვიდე დღეს არ ისვენებდა: რიჟრაჟზედვე დაჰქსელდა გზას სანადიროდ განმზადებული. ხშირბინდისას ბრუნდებოდა ნანადირევით. მის სახლი რომ მოელოდდა მისგან მისატანს, მეზობლებიც ყურადღებით გაჰმზერდნენ მის გზას: ნაწილი ჰქონდათ ნანადირევში. უსათუოდ დაურიგებდა. და ფიტარაანთ უგზავნიდა უფრო უკეთესს: მისი ირმა იქ ბუნაგობდა.

უხვობისთვის თუ სწყალობდა ნადირობის ღმერთი მფარველი. ის კარგი ხატი მაინც კიდევ მთლად ვერ იყო მისთვის გულღია: ერთს სასურველს არ უსრულებდა, მისთვის მეტად სანატრელ სანდომს.

3

ეს მის სანატრი ირემი იყო რქაბუდიანი. რამდენი ნადირი მოეკლა, დათვიც ბევრჯელ დაეძლია სასტიკ ბრძოლაში, ირემი კი რქაბუდიანი... იშვიათი ნადირი იყო იმათ მთა-ტყეში. მაინც გვარობდა აყრილებში, მწვერვალებისკენ — თვალიც მოეკრა: ჩვეულებრივ ხარირემზედ მოხდენილი, უფრო თამამი.

ქოჩორს გარშამო წვრილი რქები მწყობრად მოსხმული და მათ შუა ტანმაღალი ჩხები ბარჯღული: ირემთ წინამძღვრის ტურფა ჯიღია დამამშვენები. სათოფედაც მიახლებოდა. მთლად არა სჩანდა: სხვილ ხის ღეროს აჰფარებოდა.

— ახ, ავეჩქარე! გაქლიშა ტყვიამ წიფლის ქერქი, ის კი გაკენწლა: მისი ბალნის ნაბუარას მოვკარი თვალი. თუ მოჰხვედროდა, მაშინ იქაც გავიმარჯვებდი, ჩემ სანატრის კარს.

სატურფალი ირმა ცეცხლის ქალწული! ჰკოცნიდა შორით, როგორც ძნელ ხატს, უალერსებდა.

რქაბუდიან ირმის დარდი ჟინად ჰყვებოდა: თუ მოჰკლავდა იმ ნანატრ ნადირს, ნანატრ ირმასთანც გაიხარებდა. იცოდა კარგად, ამ ორ ამბავს ერთმანეთში არ ჰქონდა ხიდი; მაინც ორივეს განუყრელად ერთად ხედავდა. პირადი რწმენა, ცრუმორწმუნება! სანადიროდ თუ შორს ვიდოდა, ეს ძნელი ჰაზრი წინ უძღოდა განსახებული; ატარებდა უგზო-უკვლოდ ღადა-ღუდეში.

იცოდნენ შინ მისი ფიქრი ახირებული. შიგადაშიგ დასცინებდნენ. მკილავი ღიმი. არ სწყინდა ვაჟკაცს. სწამდა, თვის ფიქრის სინამდვილეს დაუმტკიცებდა: რქაბუდიან ირმის დევნაში იპოვიდა ძვირფას თვის ირმას.

— რას სჩადი, კაცო? ამ უდარო უბედურ დარში სანადიროდ თუ აპირებ თავის გაწირვას?!

— შინ ვერ დავსდგები! აგერ სამი დღე შემთხვევით ვარ თავისუფალი და ვცდი კვლავ ბედსა.

— განრისხებულა ძალა პირქუში; არ დაინდობს, ვისაც ხელთ იგდებს.

— არა მიშავს რა! რაც ბედისაგან მიწერია, ის გარდამხდება.

4

მართალს ეტყოდნენ: ქუფრი ძალები თეთრ სიმკაცრედ გარდაშლილიყვნენ.

— წერამ აიღო ეს ჯიუტი; რა ეშველება?!

კარგად ჰხედავდა როსან თითონაც, შეიძლებოდა მეტად ძნელი დრო მოსვლოდა ბოროტ დარში შინიდან გასულს; მაინც იქით მიიბრძოდა შეუდრკომელი.

— წადილს ვეწევი! თუნდ ქარიც ადგეს, რა უშავ ტყეში: მრთელ თვის ძალას ვერ გარდაშლის ხეთა ბარდებში. მწვერვალისკენ წავალ პირდაპირ. სულ მაღლობზედ არ დადგება არც ირემი ტეხვრა ყინვაში, კალთებისკენ ჩამოიწევს და წავაწყდები.

მიიბრძოდა შეუგნებელი. ჭკვათამყოფელი ჩაფიქრდებოდა, აიცდენდა სასტიკ ტაროსს სახიფათოსა. შურის კვირა იდგა, ზამთრის უკანასკნელ გაბრძოლების დღეები, დაიწყო ბარდნა. ნაპენტებად მოცვიოდა თოვლის სიმრავლე. ჰაერთ სიწყნარე. არ იძროდა არსაით სიო!

— მთელი დღე თოვლი!

— არ შესწყდება არც მთელი ღამე: არა სჩანს ქარი.

დილით რომ ნახეს, ადლზე აეგო. თვალთსაწდომი არემარე თეთრად მოსილი. ისევ ბარდნიდა.

— ნუ წახვალ, კაცო! ღვთის რისხვა დარში ტყეში წასვლა თავხედობაა.

— ვის ეტყვი, ვისა!

თეთრი საფარი დაჰფენოდა უზარმაზარ ტყეს. დაეზნიქა ხის ტოტები ზვინთა სიმძიმეს. თოვლის ფენებს დაეფარნათ ნამსხვრევი ღერო, ჯოყარი, ჯაგი. ზოგ ადგილას წელამდისინ დაეფლებოდა. გაუტეხად მიდიოდა, შეუფერხებლივ. ვერ შესდგებოდა: გაჩერებულს დასძლევდა ყინვა. თოვლისაგან გატანჯული წვრილი ნადირი. შეხვდნენ შველებიც. საფლობებში ძლივსღა იძროდნენ. ესროლა, დასჭრა. საწყვეტებით შეუკრა ფერხნი. წამოიკიდა.

— მეყოფა ხორცად. იქნებ ხვალაც ვეღარ დავბრუნდე. არ მოვსცილდები, მანამ წადილს არ ავისრულებ.

მძიმე-მძიმედ მიაბიჯებდა. აღმართს შეუდგა.

— ირმის ნაკვალი! აგერა კიდევ. რამდენი მოსჩანს!

კვალს მიჰყვებოდა. მწვერვალიდან რამ გუგუნი ჩამოისმოდა.

— ეჰუ! აჭროლდა ქარი. გზას ჩამიქოლავს.

ქარიშხალი ახლოვდებოდა. დატვირთული კენწერები შეირხ-შეირყნენ. წამოვიდნენ თოვლის ბელტები. ძლიერდებოდა გრიალ-ხრიალი.

— თუ გადმოგლიჯა ზღვამ კიდეები და მოდის, მოჰქუხს წასარღვნელად მთელ დუნიისა!

ხმაურობა თანდათან ძირს მოიწევდა. დასწვდა გაშლილ თოვლს, შეატრიალა. გაყინული ქარის სუსხი კანს უტკრეცავდა.

— დიდი ქარ-ბუქი. ღმერთმა ნუ ქმნას, მთის შარაზედ ეხლა მგზავრობა!

6

იმ მაღალ მთაზედ მოდიოდა ერთადერთი საურმე გზა მრთელ ხეობისთვის. ძნელი სავალი. წელში სწყვეტდა აქ ალმართი ცხენს თუ ხარ-კამეჩს. ლიჭყისა თუ ყინვების დროს შეუძლებელი. უდაბურ ტყეში ჩასდევდა შარა. საშიში იყო ავკაცის მხრივ, განძვინებულ ნადირისაგან. მარჯვნივ ღრმა ხევი „დევთა ბუნაგი“. მარცხნივ მოსდევდა მთის მაღალი ფრთა. ამ ზღვა თოვლში და ქარ-ბუქში იმ ძნელი გზით სიარული არ ეგებოდა.

ვაჟკაცის ფიქრი მისთვის დაჰყვა ეხლა იმ შარას, რომ ქალაქს იყო მისი ირმა, მისი მზეთამზე. სადღესასწაულოდ წაეყვანა იგი მის დედას, თვალს გააღებსო, ცოტად შეეჩვევა მეჯლიშს, ობას, ხალხის ყრილობას. თორემ რას ჰგვანდა?! განათლებული, ეშხიანი, სიცოცხლით სავსე და ესრეთი საკვირველი განცალკევება!

გამოზრდილიყო კარჩაკეტილ სასწავლებელში. იქაც კი არ უწონებდნენ უკიდურეს უკარებლობას. ყველას უკრთოდა, გაურბოდა, არ იკარებდა. დიდ დაბაში ნაცნობები სულა არა ჰყვანდა. განზედ გაუდგა ახალგაზრდობა: არ გვკადრულობსო; არც ჩვენ გვაქვსო მასთან სახვეწნი. ვერ ჰშორდებოდა მხოლოდ როსანი: თვალი მოეჭრა ვაჟკაცისთვის დამკრთალ მშვენებას; საბრალო გული გამბულიყო თმათა ბარდებში.

— რა კისკისია! ყელს იღერებს ყვავილის ღეროს. მიმოჰფანტავს ცეცხლებს თვალთაგან. აფრინდება სხვის ნახვაზედ, ვით ჯეირანი. მისი დაქრობა, დაოკება... ცეცხლი თუ არის, ქალად ნაშობი.

ძნელი ის იყო, ვაჰ თუ მისთვის არ ეწერა ქალი მცხინვარი: მეტად უფრთხოდა, გაურბოდა, განს გაუხტოდა. არ მისცემდა ვაჟკაცს არც წუთს დარდის სათქმელად.

— უღრანი ტყის ნადირია სათაყვანები. დაწუნარდი ერთ

წამს: მინდა სიტყვა გადმოგიგდო გაფურჩქვნილ ვარდად.

რომ შეატყო ჭაბუკს ტრფიალი, უფრო მეტად განზე უვლიდა. არ გაეკარა, არც გაიკარა. შორიდან თუ მიაფრქვევდა ნაპერწკალთ ბუნჯგლებს. გარს ავლებდა როსან ტრფობის წრეს; მანძილიდან დაჰკოცნიდა ხატს მიზეზიანს.

— ნანატრი ნადირი ჩემი! დამიშვი ერთხელ სასაუბროდ, დამიდე გული. ყველაფერს გეტყვი. მითხრას უარი! არა, არა! ესე სჯობია, უიმედო იმედს ვეყრდნო, ხავსსვე ვეკიდო.

— როდამდის, კაცო? დროა, აჰყვე ცხოვრების ჩარხს, გზა გაიკვლიო.

— როდესაც ვნახავ იმ ჩემ რჩეულს სხვისთვის გულღიად, მაშინ მოვსძებნი განწირული ჩემს საწყალ სავალს. არა, არა!

წარმოიდგენდა თავის ირმას სხვის მკლავზედ ნაწოლს, ბასრი ხანჯალი ტრიალებდა იმის გულ-ღვიძლში.

6

— გაუტკბებათ ქალაქს ყოფნა, დიდს ხანს დაჰყოფენ. მომესურვა მისი დანახვა. მე თვითონ წავალ, რამდენსამ ხანს დავრჩები იქა.

— და როგორ მიხვალ სანახავად, რა ფანდს იხმარებ?

— ეჰ, არა, არა! ხერხიც არ გასჭრის: გადახტება ჯეირანი დასამალავად, — წარსთქვა ვაჟკაცმა

— და მოისურვა განედევნა სახე მისი ჰაზრთა არედან. არ ჰშორდებოდა! თვალთა წინ ედგა გასაფრენად გამზადებული.

— დამაცა, ქალო, დამატკბე მზერით!

ვერ იქნა, ვერ შეეჩვია მეზობელ ვაჟკაცს.

— თუ აღარ გახსოვს, ბალღობისას ძმობილს მეძახდი? ჟინიანად მოითხოვდი ჩემგან სამსახურს. ისევ ისა ვარ, შენი როსან, შენი რაინდი! — ეტყოდა ვაჟი ქალის აჩრდილს, ებვეწებოდა.

თან ძალუმად მიარღვევდა თოვლის სქელ სრეებს. გადაფრინდა მისი ფიქრი ქალის ოჯახში.

— ირმას მამა ავად არის, ხამალდი სჭირსო, რომ გაუძნელდეს...

თოვლო, ითოვლე, ითოვლე, დიდის მეცხვარის კარსაო;
როცა ცხვარი გაუწყდება, მაშინ ხომ მომცემს ქალსაო...

— ჰა! ნუ ფიქრობ ცუდებს. სამოკეთოდ ემზადები და ავს ისურვებ! წადი ეჩვენე. უამება, აქაც მნახაო.

— უნდა წავიდე! გამოვეწყობი. მბრჭყვინავ ეტლით ავუვლ-ჩავუვლი. რით მიწუნებს, რა მიჭირს ვაჟკაცს?! მხრებში მოხრილი... საძაგელი მერხეები სასწავლებლებში. სულ წიგნში მზერა. ეხლაც მარად ქაღალდების შედგენა, წერა. რა მიშავს მაინც?! ვაჟკაცური ღონე... რომ მიბრძანოს, ხელს მოვუჭერ, ქვას ფქვილად ვაქცევ!

ეს სულ უნებლიეთი ფიქრები იყო მისი და ჩვენებები. სინამდვილეს იმ ჟამისას მაინც ჰხედავდა, მედგრად ებრძოდა: მიდიოდა, თოვლს მიარღვევდა. ალღოთი გრძნობდა, ახლო იყო ირემთა ჯოგი. მაინც ვერ მისწვდა. ვერ მოჰკრა თვალი. უფრო შეიმღვრა ბუნდი სინათლე.

— ნათელმა იკლო, მზე გადიწვერა, — იფიქრა კაცმა.

და შედგა ერთს წამს: ადგილს ზვერავდა, რომ მოეაზრა, სად იყო ეხლა. ენიშნა არე: თითქმის ეწია მთის მწვერვალამდის; მისულიყო ღრმა ხევის პირს, რომლის გაღმა საურმე გზა ჩამოდიოდა. ერთს ხანს დაფიქრდა. ჰაზრად ის ჰქონდა, გაევლო ხევი, შარაგზაზედ გადასულიყო.

— მერმე თუნდაც დამიღამდეს, არა მიშავს რა: გზას ჩავყვები და გავალ ტყიდან.

ის აწუხებდა, ვერ ეწია თავის საწადელს. ბრუნდებოდა თავის სახლში ხელცარიელი. რას უშველიდა?! ცას ხომ ხელს ვერ შეუშვერდა, არ ითოვლოვო. ვერც ქარ-ბუქი მის ბრძანებით ჩაყუჩდებოდა. შესაძლო იყო გზამდინ აღწევა: ფერდობები ჯაგ-ჯუგით თუ ხეებით იყო მოსილი. გადაეშვა თავქვეებისაკენ.

7

ალმაცერად მიდიოდა დაბლა და დაბლა; ხევის თავს თუ უახლოვდებოდა.

— თუ ამ ქარ-ბუქში ჩემმა ალღომ სწორედ მატარა, თითქმის ხევის დასაწყისში ვიქნები ეხლა.

ეს მის ყოფაში ხელსაყრელი შეიქმნებოდა: ღრმავდებოდა სათავეში ხევი უეცრად; მთების ნიაღვარს დაჰხვედროდა ფხვიერი მიწა, ჩაერეცხა ძირს სიპამდისინ. ზოგ ადგილას

მაინც კიდევ გაჰმაგრებოდა, წაჰხუროდა დარანს გამოთხრილს. ქვაბულები დერეფნის სახე. ამგვარ ადგილას თუ მიაღწევდა, ვერღ დასწვდებოდა მას ქარი მძაფრად.

— დაღალვასა ვგრძნობ. შეიძლება დარანის პირს ცეცხლი დავაგზნო, მანამ სხვა რასმ მოვიფიქრებდე.

აეშურა. აჩქარება საჭირო იყო: ბუნდ დღისა ნათელს ბნელი შეაჩნდა. ხევ-ღრანტეებში ხშირბინდი ჩაწვა. ბინა უნდა მოენახნა კაცს დაბლობებში. გზა ახლო იყო: აღმართიღა დარჩენოდა იქ ასასვლელად. მაინც ძნელი იქნებოდა განგრძნობა გზისა: დასძლევდა ყინვა; ვერ შესძლებდა ბნელში სიარულს.

ზვინებად ნაწოლ ნაბუქებით აღსავსე ხევი. დარანი შავად თეთრად ნაპენტ არემარეში. მომაღლოდ იყო. ვერ აევსო იგი ნაბუქით. მიატანა. გადაქელა ნამქერის ზვინი. მოეჩვენა, ქოხში შეველო.

წამს დაასკვნა იქ დაღამება. დააგდო შველი, მოიხსნა გუდა. მიაყუდა თოფი კედელზედ. გამოვიდა ხანჯალმოწვდილი. განეზრახა ცეცხლის დაგზნება. ჰკაფავდა წვრიმანს, ჰკრეფავდა ნარიყს. აგროვებდა დარანის პირას. ნაძვს წააწყდა ნამქერში ჩაფლულს. დასჭრა ტოტები. დააცურა. დარანის პირას გადო სათარი. ნავთით გაჟღენთილ ძონძს მისცა წუმწუმა.

გაცოცხლდა ცეცხლი; აპრიალდა; იწყო გუგუნი. ბუნჯგალბუნჯგალი ნაპერწკლები შადრევანებად. პოხიერ ნაძვმა მხიარულ ცეცხლს გული გაუღო. ჭიაკოკონა უფსკრულ ღრანტებში. ხელ-პირს ითბობდა, ევლებოდა ალთა ზვირთებში. ცეცხლს სცემდა თაყვანს. ეხლა ვეღარას დააკლებდა ქუფრის მძლავრობა. ცხოველ ცეცხლში გამოკრთოდა შემოქმედის სახე ნათელი. მის პირის სხივი ადნობდა ყინვას, მიმოაბნევდა ბნელეთის ლაშქარს. გამოშიგნა ნანადირევი. ნაღვერდალებზედ ღვიძლი დააგდო. ნაყრდებოდა. შესვა არაყი. მოუწონა მოფიქრება საკუთარ თავსა.

— თუ ჯიუტად დასდგომოდი გზას, ამ ქარ-ბუქში დაინთქებოდი.

გრიალებდა ქარიშხალი. შრიალ-ხრიალით გადმოჰქონდა თოვლი ნაყინი.

— მაინც ჩადგება: შიგადაშიგ წყდება გუგუნი.

დაბდღვნილიყო ქარისაგან ცის საბურველი. ღრუბელთა

ტალღებს ეფარვოდა მიმცხრალი მთვარე. დაეტყო კაცს დაღლილობა: ძილი ხელს ჰრევდა. ფხიზლობდა ძალად, თავს იმაგრებდა. შეშას აყრიდა, არ ჩაქრესო ცეცხლი კეთილი.

— რიჟრაჟისას უსათუოდ სანადიროდვე! ვგრძნობ, ვეწევი ჩემსა სურვილს, შევიპყრობ ირემს, რქაბუდიან წინამძღვარს რემის. — წარსთქვა ვაჟკაცმა

და მის ფიქრი გარღაფრინდა მის ირმასაკენ. უალერსებდა, უტკბებოდა ფიქრთა არეში. მისი ოცნება ყვავილთ ჰკრეფდა თოვლის ზვინებზედ, ფერხთ ქვეშ უგებდა თავის სატრფოს სუნნად სუნნელებს.

8

მფრთხალი ირმა კი... მძაფრ განსაცდელს განიცდიდა ქალი ამ წუთში: შესწუხებოდა მამა სოფელში. ეცნობებინათ, უკანასკნელ დღეში არისო. დახანება არ იქნებოდა. შეხვდათ, ბედზედ, სალთა ეტლი იქ მიმავალი. დაიქირავეს. რიჟრაჟზედვე გამოემგზავრნენ. თვალნათლივად ჩამოვიდოდნენ, თუ დარი არ შესწრებოდათ სწორედ ღვთის რისხვა. თოვლდა უწყალოდ. გზა აევსო თოვლის ფენებით. წყვილ ბედაურს ძლივს მოჰქონდა მსუბუქი ეტლი. შეუდგნენ აღმართს. ვეღარ იწევდნენ. იფლობოდნენ თოვლის ზვინებში.

— არ კი დაგვიდგნენ ეგ ცხენები და არ დაგვღუპონ.

— რა ბრძანებაა! ღონივრებია, როგორმე თუ ავაღწიეთ მთის მწვერვალამდინ, მერე იქით თავისთავად იგორებს ეტლი.

ადიოდნენ სვენებ-სვენებით. ცოტა რამ გარჯაც, სამშვიდობოს გადაჰხედავდნენ. შემობინდდა. დაეშვნენ თავქვე. ადვილი იყო ეხლა წინ სვლა, თუმცა ისე არ, როგორც ეგონათ. მეტად ბევრი თოვლი დაედვა. გაძლიერდა მაღლობზედ ქარი. ქვიშასავით აყრიდა ნამქერს; გაავსო ეტლი. ვერ ჰშველოდათ ვერაფერი სათბილობელი. გათოშილი დედა-შვილი ცრემლით სტიროდნენ. აჩქარებდა მეეტლე ცხენებს:

— გაისარჯენით! ეგებ გადავრჩეთ ამ გზას დაწყევლილს.

წააწყდა ცხენი რასმე საბრკომს და გადიშხლართა: გელაზი თუ ყოფილიყო თოვლში დაფლული. წივილ-კივილი. ეცადა კაცი აყენებას. ცხენიც იბრძოდა. ვეღარ წამოდგა. ჩახსნა ღვედები. შეუჯდა მხრებში. წამოაყენა. გაატარა რამოდენიმე.

სამ ფეხზედ იდგა, მიკინკილებდა. ნალოსავით ასთრეოდა ფეხი მეოთხე. ისევ წაიქცა. ჩააზილა პატრონმა წიხლი. ჩახსნა მეორე და შემოახტა.

— რას სჩადი, კაცო? მარტო გვტოვებ უდაბურ ტყეში?

— მე ეგ ცხენი ჩემს თავს მერჩივნა. ჩავალ დაბაში, ცხენის ურემს წამოვიღებ, ხალხს წამოვასხავ, — გადმოსძახა მიმავალმა.

და მიეფარა...

— უიმე, დედა! — მიეკრა ქალი, — მგლები შეგვჭამენ.

— გენაცვალეთ, გავიყინებით! — დასძახა დედამ.

მიიყუჟნენ ეტლის კუთხეში, მიეკრნენ ერთურთს.

— სად წაუხვალთ ისეთს ყინვას, ხეებს რომ ჰხეთქავს?!

— ვერ ასცდებით ნადირთ კბილებს, მხეცნი დაგჭამენ!

დამდგარიყო ჟამი მათის აღსასრულისა.

გზის ქვევით ხევში მონადირე გამთბარიყო დაგზნებულ ცეცხლზე; წაევახშმა, ჩაერეცხა არაყით ყელი და ეხლა წყნარად გაჰყურებდა ალთა შუშპარსა. მხოლოდ ისღა აწუხებდა. ძილმა თავი არ წამართვასო.

— საშიში არის: ჩაქრება ცეცხლი; მგელთა ხროვა სუნით მომაგნებს და...

9

— ბუუუ! შორეული მგელთა ღმუილი. ხმაურობა ახლოვდებოდა. წამოხტა კაცი. მუგუზლები გაასწორა. დააყარა ახლად ნარიყი. აპრიალდა, ავარდა ალი, გაანათა მიდამო ბნელი. კაცმა თოფი მოიმარჯვა და გაინაბა. თუ შეაფრთხო ხროვა ნათელმა. მოშორებით მოძუნძულებდნენ. აჩრდილივით მოსჩანდნენ თეთრზედ. აღმართ-აღმართ აეფინენ, გზისკენ არბოდნენ.

— შეჩვენებულნი! ლეშის სუნი ალბათ იკრეს, მიისწრაფიან.

მზირად იდგა, ყური მიებყრო. კვალად ღმუილი. განწირული კივილი ძნელი.

— შესჭამეს კაცი! — წარსთქვა როსანმა.

და დაცალა თოფი, კიდევ მეორე. ისევ გატენა. გაეშურა. თოვლს ციარღვევდა, აატანა, ავიდა მაღლა. ეტლს ზედ წააწ-

ყდა. მოშორებით მგლების ხროვა რაღაცას ჰფლეთდა. ორივ ტყვია დაახალა შეჯგუფულ მხეცებს. დაჭრილთ ყმუილი. მძორებს ათრევდნენ. თქლაფათქლუფი გამოისმოდა. გატენა თოფი.

— გადმოდით ჩქარა!

— ვინა ხარ, შვილო?

— როსანი, შენა?!

— ირმავ, შენა ხარ?! ეგ დედა არის?

წასწვდა დედაკაცს, გადმოითრია. ქალს სტაცა ხელი. ლაფანივით მოჰყვა ვაჟის მკლავს.

— ვგონებ გული შეუღონდა. ჰარიქათ, ჩქარა!

აიყვანა. უგრძნობელად მოღვედილიყო.

— ჩამკიდე, დედა, სარტყელში ხელი!

ხევს მიეფარა. მიისწრაფოდა. დედაკაცი თრევით ჩასდევდა. კაცს აძრწუნებდა, ნადირები არ დამეცნენო. გრძელი წამები. მაგრა ეჭირა ტვირთი ძვირფასი. წყალწაღებული დედაკაცი ჩასჭდობოდა ორივე ხელით. ჩაათავა ძნელი თავქვე, უწია ბინას. ჭახჭახებდა ცეცხლი მგზნებარე, მხიარულობდა.

— ნუღარ გეშინისთ! აბა ჩქარა მომეშველე: ვგონებ გვიკვდება.

შიშისაგან ირმას დედას გონი აჰხდოდა. ველარ იძროდა. აფეთებდა უაზროდ თვალებს.

— გონს მოდი, დედა! სამშვიდობოს ვართ. მომეშველე: მიკვდება ირმა!

როგორც იყო, გონს მოვიდა, ააჩნდა ჰაზრი. გაძრა ხელები. ეშველებოდა; უნაკლულოდ ასრულებდა კაცის ბრძანებას. უკიდურეს განსაცდელმა შებერტყა როსან. მოიკრიფა გონების ძალა, დაიწყნარა ჟამიერად გრძნობა ქაფქაფი; ნებისყოფა აამოქმედა. უბრძანებდა საკუთარ თავსაც.

10

გაიძრო ქურქი, ძირს დააგდო; გაყინული ზედ დააწვინა.

— გაჰხადე ფერხთა! თოვლით უზილე! ნელა! — თითონაც ქალს მაჯებს უზელდა, თვის უბეში უთბობდა ხელებს.

— ამენდ მათარა. აქ მომაწოდე!

გაუხსნა კრიჭა. რამდენიმე წვეთი არაყი. შეინძრა ქალი. დაეტყო სუნთქვა.

— შეიძლება მცირეოდნად ცეცხლთან მივწიოთ.

დამშრალიყო გძელყელები, ისევ ჩააცვეს. დახურეს თბილად. მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლი ცხოველი, უბრუნდებოდა გულწასულ ქალს თანდითან სული. მჭრალდებოდა ფერი წალურჯო. ვარდისფერი თანდისთან ეფინებოდა. ინდონთა ჯარი შეარხია, აათამაშა. შეიშმუშნა. ამოიოხრა. ისევ გაყუჩდა. ოდნავ ღია თვალებიდან ჰაზრი მოკრთოდა. ხედვათ ისარი შესდგებოდა რაინდ როსანზედ. გამთბარ გრძნობათ სხივი მღიმარე. ფანცქალებდა ვაჟის გული სანატრელ შიშით.

— ჰე, მაკვირდება. აგერ ფხიზლდება. ეგებ ტურფამ მოიბრუნოს თვის გული ჩემსკენ. თითქო რიჟრაჟი. ვაჰ თუ სიზმა... არა! არა! ზმანებად ნუ გარდამექცეს ეს სინამდვილე...

1926 წ.

მარგალიტის ცრემლები

ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოდის მაღლა ციდანა,
დაბეჭდილი წიგნი მომდის საყვარლ....

1

— დარდი გაქვს, დაფიქრებული შემოსდიხარ, ორ სიტყვას არ იტყვი ერთმანეთზედ, კერას არ გაახარებ, ხომ არ იზარალე და არ დაგვღუპე?

— მთელი თანხა უკლებლივ არის. კიდეც გადიდდა. მუშტარი შემომეჩვია. მოგება თავისუფლად გვეყოფა, იანგარიშე!

— თუ ყველაფერი რიგზედ მიდის და წარმატებით, რაღა ანგარიში გინდა?! მაღაზია შენია, თანხაც, ოჯახიც. იმაზედ გკითხე, სახლისათვის თითქო გარეწარი შეიქმენ, — მიუგო ცოლმა.

და ყელი მოიღერა, დოინჯი შემოიყარა. კარგა ხანი იყო, ბოლმას გულში იტრიალებდა, თავს იჭერდა; ეხლა მოთმინება დაკარგა და უნდოდა გადაეშალნა დარდები, გადმოენთქრია შეგუბებული ბალღამი. ეგონა შეასმენდა, თავისკენვე მიჰხრიდა ვაჟკაცის გულს სხვისკენ მიქცეულს.

ქმარმა ხმა არ გასცა. თავდაღუნული იდგა რამდენსამე წუთს. მიბრუნდა, გააღო კედლის განჯინა, ამოიღო ხელისყუთი. უწყო ფულს ამოლაგება ჯიბე-უბიდან. დათვალა. დაალაგა, ჩანიშნა დავთარში. ისევ ჩაკეტა.

— კარგი ვაჭრობა იყო დღეს. მოგვაწყდა მუშტარი. ბლომად უნდა დაგვრჩეს მოგება. ერთი ფარა არ მომიკლია!

— ვინ რას გეუბნება ხარჯის თაობაზედ?! ფული შემოდის, ნაწილი უნდა მოგვხმარდეს. ის მაწუხებს, თითქო ოჯახს გული აჰყარე. უსიამოვნობა გემჩნევა, დარდს კი არ მიზიარებ, — გაუმეორა დედაკაცმა აწეული ხმით

და ხელი გააქანა მისკენ. კაცმა თვალი მოარიდა: არ

მოსწონდა დაკოპიტებული თითები ტაბიკ-ტაბიკი. ვერ გამოიწვია კაცი საკამათოდ, რომ ეთქმევინებინა, რაც იცოდა დედაკაცმა გუმანით თუ ჭორად.

ივახშმეს. სუფრაზედ სახე გადაეწმიდა კაცს, გუნებაზედ მოვიდა; კიდეც მოუალერსა ქალს, ადრე იძინებდნენ: დროზე უნდა ამდგარიყო, მიპატრონებოდა დუქანს. ეწყინებოდა, თუ დახურულ ბაზარში სხვას დაესწრო მისთვის დარაბების ვახსნა. მარტოხელი დუქანი იყო, უამხანაგო; მხოლოდ ნოქარი ჰყვანდა და მორბედი.

— თუ ესე კარგად წავიდა ვაჭრობა, მეორე ნოქარიც დამჭირდება: ძნელდება მყიდველის ყურისგდება, დროზედ გასტუმრება. აზიზია მუშტრის გული, ჟინიანი: არ უნდა ეწყინოს, არც დაბანდდეს, თორემ მეორედ აღარ შემოვა.

— ვინ გიშლის, გენაცვალე?! შეიძლება თანხაც გავადიდოთ, სხვა გამყიდველიც შეიშველიო. საწყალ მამას ამხანაგის გარდა სამი ნოქარი ჰყვანდა. ოღონდ ოჯახში მშვიდობა იყოს და სიყვარული, თორემ ფული არის, მეტიც გვექნება.

2

უფრო გაშუქდა განწყობილება. ღიმმა გაითამაშა, ნათელ სრეებად დააშუქა სიცილმა ოდა. ჯავრის ბურუსი გადიყარა ცოლ-ქმარის ციდან. თითქო დარწმუნდნენ, რომ მათ შორის ბნელ რამ ნაბზარს ცხოვრებისას პირი არ ექნა. გულის სიღრმეში მაინც გრძნობდნენ, ეს არ იყო საიმედო დაახლოება: დაშაშრულიყო საფუძველი მტკიცე ერთობის, დაეგლიჯნა მას ფესვები ტკბილ თანაგრძნობის.

ჯერ მაინც გზა ვერ გაეჭრა მათკენ ქუფრ მომავალს. მხოლოდ ხაზი გაეტანა შემდეგი ხრამის. თავიდანვე დაიწყო შავმა ლანდმა მათ შორის დენა და დღითიდღე ზრდა: იმთავითვე ფიდოს გული და გონება ვერ შეთანხმდნენ გზის არჩევაში, რომ ეარნათ ერთის გზით თანამშრომლებად.

ვაჟის გული და გონება ყოველთვის იბრძოდნენ ერთმანეთში: მისი გული მოღიღინე ერთს გზას ეტრფოდა, უფრო ლამაზს და სასიამოს, გონება კი სხვა გზას ედგა სულ წინააღმდეგს. ირყევ-იტანჯებოდა კაცი: გულს გაჰყვებოდა. ამრეზილი გონება ხელს არ უწყობდა; გონებას მიენდობოდა და

ფერმიხდილი გული ბეჩავად გაჰმზერდა მას, არრას ეტყო და, მხოლოდ ოხრავდა, ლამაზ თვალებს ცრემლთ ნაჟურით შეინამავდა. მეტად მწარე იყო ეს ნაწური გულისა და ვაჟკაცი ვერ ჰყვებოდა გონების ნებას მთელის არსებით. გატაცებით ვერ ასდევდა მის ჰაზრიან თქმას.

— კაცო, რა მოგდის ეგ?! საქმე ხელში გიჭირავს. ლამაზად ჰქმედობ და... ულოდნელად დაჰკარგავ თვალებს. ოცნებაში მიისწრაფი, მისდევ ჩვენებას. გამოფხიზლდი. თორემ ჩაივლის შენთ თვალთა წინ ცხოვრება შენი, ვერც კი მოასწრო გაიკვლიო გზა საკუთარი. მოჰკიდე ხელი ცხოვრების ჩარხს, აჰყევ მის ბრუნვას!

ჭკვიანად არიგებდნენ მას შინ დედ-მამა, გარეთ ოსტატები. აფასებდა ვაჟი მათ მზრუნველობას; გრძნობდა, სიყვარული აუბნებდა მათ; აღთქმასა სდებდა, დასძლევდა თავს, ფხიზელ სავალს დაადგებოდა, ცხოვრებაში გამოსადეგს, უფრო ხვავიანს. ვერ ასრულებდა! შეუგრძნობლად გადუხვევდა იმათ კარგ რჩევას, მიენდობოდა სხვა სახით მთქმელს საწყალ თავის გულს.

3

უნდოდათ, ხელოსნად გამოეყვანათ. ვერც ერთს ხელობას ვერ შეეთვისა. გადავიდა სავაჭროზედ. აქ უფრო ბაზაზობა მოეწონა და საბოლოოდ ეს გზა აირჩია. მდიდარს დუქანს შერჩა. უფროს ნოქრობამდის მივიდა. გახსოვს ბაზაზ სოლომანას დუქანი დახურულ ბაზარში? იმასთან იყო.

— ძალიან პატიოსანი ბიჭია. შეიძლება მთელი დუქანი ანდო... მოპარვა არ შეუძლიან; ალალმართლად არის გაჩენილი.

— დახლში ჩააყენე.

— ეგრე ვსჩადი, როცა აუცილებელია დუქანს დავსცილდე. მთლად მის ანაბარად მაღაზიის დატოვება კი ჯერ არ შეიძლება: მოატყუებენ, ძლიერი უფროსი უნდა ედგეს თავს. ანგარიში ჩამოართვას, ათვალიეროს, არაფერში გააბან გულუბრყვილო.

— აუცილებელი იქნება: ჯერ ახალგაზრდაა. მერე ჭკვაში ჩავარდება, ვაჭრობის წესს შეითვისებს და ყველაფერს დაკვირვებით აადევნებს თვალს.

— მეც ეგრე მგონია: ჭკვიანი არის და თავისავე ჰაზრი ძალას დაატანს ყველაფერში ანგარიში მოსთხოვოს თავის თავს.

მოსწონდათ ქარგალი. კარგს ამბობდნენ იმაზედ. ეს კარგი თქმები ნოყიერ ნიადაგს ჰპოვებდნენ მათ ქალის გულში. ეფო ხშირად შეაყენებდა მასზედ ხარბ თვალს დამკვირებელს: უფროდაუფრო მოსწონდა სათავისოდ, არც გასაკვირველი იყო: მოსასთვლელად მოწიფული ქალი და ტანწვრილი ვაჟი ეშხიანი, თივა და ცეცხლი.

ქმრის მოსაზრებას მიჰხვდა მანდილოსანი. მოუტკბა ვაჟს, ქალბატონურად აღარ ეპყრობოდა, სახლის შვილად აღიარებდა. მოხდებოდა, კვირა დღეს სადილად მიიწვევდა. მადლობელმა ფიდომ უფრო გააძლიერა მათი ერთგულება, მათ საქმეში უზარებელი ბეჯითობა.

ამ ხანში იყო, ფიდოს რომ მეტად დააჩნდა ქსოვილების შერჩევის ნიჭი. წინადაც იცოდნენ, აზრიანი თვალი ჰქონდა მას, მუშტრის შესაფერი ფარჩის არჩევაში ვერავინ აჯობებდა. მაინც ეს სახელი მას აქათ გაითქო, რაც მწვერვალიანთ ქალის გათხოვებისას ფარჩეული გადურჩია და სადედოფლო ტანთსაცმელის შეხამებაც თვითონ იტვირთა. დაამტკიცა თავისი გემოვნება: ისე შეფერებით მორთული პატარძალი ანჩხატს ჯერ არ ენახა!

— ფიდომ თურმე თითონ აურჩია კაბაც, მორთულობაც.

— კარგი თვალი ჰქონია ახალგაზრდას!

— ისე მოსწონებიათ მაგისი გემოვნება, რომ მორთული პატარძალი უჩვენებიათ, ერთი კიდევ გადაავლე თვალი, ხინჯი რამ არ შეჰყოლოდესო ჩაცმა-დახურვაში.

4

გაუმრავლდა მუშტარი ფიდოს: სულ მას მისდევდა ანჩხატის უბანი, გარეთუბანი, კოლოლთაღელნიც. ამ ნიადაგზედ ლაპარაკიც მოსდიოდა პატრონთან.

— საუკეთესო საქონელს რომ ურიგებ მცოდნეს თუ არამცოდნეს, მდარე ხომ დარჩა დუქანში. კარგს ავიც უნდა გაყოლო, თორემ ზარალს ვერ ავცდები.

— არა, ოსტატო! უვარგისი საქონელი არ შეიძლება ავ-

კიდო თუნდ უვიცს: აქ თუ ვერ გაიგებს, შიწ გასინჯავენ და მიხვდებიან. მეორედ ფეხს არ შემოსდგამს შენთან ისეთი.

— მაშ რა ვუყო მაგ ძვალ საქონელს?

— თავნზედ მიჰყიდე დალალ ვაჭრებს. დაგიმადლებენ.

კარგი ფეხი შეიტანა ფიდომ დუქანში. სოვდაგარმა დააფასა ეს. დაასკვნეს დაეახლოვებინათ, სიძედ მიეღოთ.

— მზითვის ფულს შემოიტანს თანხად, ამხანაგად გაგიხდება.

— სახეირო იქნება ჩემთვის.

ქალს ახარებდა დედ-მამის აზრი. პირდაპირ გასწია ვაჟისაკენ: მიეტკბო, დაუახლოვდა, კოცნაზედ გადავიდა, ღელავდა ვაჟი, ენთებოდა გამოუცდელი. ბელგა. ნიშნობის ლოდინი. მალე ქორწილიც. ვაჟი გაიტაცა კარგ მომავლის ხილვამ. საკმაო ქრთამი, დიდი მზითევი, სოვდაგარ კაცთან ამხანაგობა, ახალი ბინა მორთული, სავსე.

— ჩემისთანა საწყალი კაცი თავის დღეში ვერა ჰნახავს თავის კერას ესე ავსებულს, თითოობით ნასყიდი ნივთი... მანამ მეორეს შეიძენ, პირველი ჯართდება.

— ფიდო, გენაცვა, ნიშანში რაღას მომიტან?

— დედას სამკაული მაქვს დარჩენილი და...

— ლამაზია? ნაცნობები ილაჯს წაიღებენ, გავსინჯოთო.

— ნახონ!

— იცი, საყვარელო, საკუთარი ფული მაქვს შეგროვილი; გულქანდი ავარჩიოთ და ის მომიტანე.

— ნუ! ყველამ იცის ჩემი შეძლება და ეჭვს დამკრავენ.

გაჩუმდა ქალი. წუთს შეიჭმუხნა. ვაჟკაცის ნაზ გულს ჩაეჭდივნენ შუბლის კოპები. ქალმა მსწრაფლ შეიგნო ალღოთი, რომ მცდარი ნაბიჯი გადადგა და უშნო გრძნობის საქარვებლად მყის გაუღიმა, მოეხვია, მოუალერსა.

— ჩემო პატიოსანო! ესე მისთვის შემიყვარდი, მთლად კეთილი ხარ და უზაკველი. როგორც გენებოს! შენგან მოტანილი ყველაფერი ძვირფასი იქნება ჩემთვის. მეტადრე დედაშენის ნაქონი ნივთი.

ბლომად იყო ხალხი მოპატიჟებული ქორწილში. სულ ქალიანთ მხრივ იყვნენ სტუმრები. სოვდაგრები, შეძლებული მისადევარი. ვაჟის მხრივ თითქმის არავინ სჩანდა.

— ეფო, ჩემს ნათლიის ქალს თეოს მოვიწვევ. და-ძმასავითა ვართ. თვალს გაახარებს. ისიამოვნებს.

— დაჰპატიჟე! ვინ არის?

— ობოლი ქალია. ხელსაქმით სცხოვრობს.

— დიდია?

— აგერ ოცი წლისა შესრულდა.

— წამოიყვანე. ჩემ მაგივრადაც სთხოვე.

გაეხარდა ვაჟს. დაუმადლა დანიშნულს. გაეშურა. თეო შინ არ დაუხვდა. ფიდომ დაწერა მოპატიჟების წიგნი, დაბეჭდა და მისცა მეზობელს ჩასაბარებლად. სწერდა: ხვალ დილითვე ჩვენსა გადმოდი, დედიდა წამოგიყვანს ქორწილში. მეორე დღეს შუადღეც გადავიდა, ქალი არსად სჩანდა. თითონ წავიდა წამოსაყვანად. ელდა ეცა: ქალი ნამტირალევი დაჰხვდა. ჩაუცმელი იყო. ნაწნავები ჩამოშლოდა. თავისჩითს ისწორებდა.

— გიტირნია! მიიღე ჩემი ბარათი? უბედურება ხომ არა დაგემართა რა?

— გმადლობ. რა უბედურება უნდა მწვეოდა?! — წარსთქვა ქალმა.

და თავი ვეღარ შეიმაგრა, კვლავ ატირდა. ჩამოჯდა ტახტზედ. ცდილობდა ხმაგაკმენდილი ეტირნა. მარგალიტის ცრემლთა ღვარები. ევსებოდა ცხარე ცრემლით კაბის კალთები. გაშეშმიშდა ვაჟი. გვერდზედ მოუჯდა, ხელი მოჰხვია.

— მითხარ, გენაცვა, ვინ გაწყენინა?

უფრო ატირდა, სიტყვა არა სთქვა. კრინტი არ დასძრა. მიიზიდა ვაჟმა მტირალი და დაჰკოცნა დასამშვიდებლად. ქალმა თავი ვერ შეიკავა და დაიწყო ქვითინით მოთქმა. შემკრთალი ვაჟი დაჰყურებდა საყვარელ დობილს. იმის სულში რაღაც განცდა ღრივად ჩნდებოდა. ეს შეგრძნება განათდა იმ დროს, როს თვის მკერდზე იგრძნო ქალის მთრთოლარე სითბო. კოცნის დროს ბაგით თუ შეიგნო ქალის დარდები.

— თუ გეწყინა, საყვარელო, ჩემი ქორწილი?

— რად მეტყვი მაგას! შენი სიკეთე ჩემთვის არის ხომ ნეტარ... გაბედნიეროს შენ საყვარელთან! მე...

გაუნათდა ახალგაზრდას თვის ბუნდი გრძნობა, მსწრაფლ აიზარდა ჩვილი ღივი, გადაიფურჩქნა.

— ვყვარებივარ! მეც ხომ მიყვარდა. დას ვეძახდი დაზედ უტკბესსა. უფიქრელო, რა მოგივიდა?!. უბედობა ძნელი, ორმაგი. — წარსთქვა ვაჟმა გუნებაში

და შეკრთა, შეშინდა. დრო აღარ იყო გრძნობათა რკვევის, ჩამოეკრა მის ბედისწერას: მორთული ქალი ელოდდა საქმროს. სტუმართ სიმრავლე გზას გაჰმზერდა.

— იცი, გენაცვა...

— მშვიდობით, ძმაო! ვინძლო შენი კარგი სახელი...

ველარ დაათავა სათქმელი. ნაკადებად შენაერთი ქალ-ვაჟის ცრემლი.

6

გაჩაღებული დარბაზი. ჭახჭახებდნენ ჭაღი. შანდლები. ხავერდის ვეჯი არდაგ ახდილი. ხალიჩები, სუზნები, ფარჩის მუთაქები, ნაქსოვ-ნაკერი ყურთბალიშები, ბუხრის თავი, თაროები ვერცხლეულით დამძიმებულნი. ფაიფურის მაშრაფები ყვავილით სავსე.

შეხამებულად იყო ქალი მორთული ფარჩითა და აბრეშუმით. ეხარბნა სამკაულის ასხმაში: ბეჭდები, ლაპლაპა ფარღული, მელევანღები ორივ მაჯაზედ, ოქროს საათი მძიმე ძეწკვით, ზარის საყურე, შუბლისა თუ გულის ქინძისთავი ლალებიანი, ფირუზშეყრილი ვერცხლის ქამარი წკვერტიანი. სიმდიდრის დასაჩენად უფრო გამოეტანა ძვირფასეულობა, სინამ სალამაზოდ. ამ შეგრძნობამ უსიამოდ გაჰკრა ვაჟის გულს. დანარჩენში კიდეც მშვენოდა ქალი ტანსავსე. ბორცვად ასულ მკერდზედ უხდებოდა ნაკერი გულისპირი მარჯვედ ხლართული ოქროს ყაითნით. დაბასმული ლეჩაქი ყვავილ დაყრილი. უხაროდა ქალს, სიამე უთამაშებდა პირზედ, თვალებში.

— ვგონებ კარგია... აბ, ის თითები... როგორ ტიროდა! მეც ამატირა. გვექნებაო ისევ დაძმობა... სიამით არის ეფო... როგორ შევყვარებივარ თეოს!.. რა მყვარებია!..

ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები ეწასკვებოდნენ გონებაში; ჟურათების ნატეხები ეხატებოდნენ. არც სიტყვას, არც სახეს დათავების დრო არა ჰქონდა; ზეიმი იყო გაჩაღებული და ვაჟს მთელი თვისი ყურადღება უნდა მიეპყრო თვის ახალ სულისათვის. მოყვრებისათვის, სტუმრებისათვის. გაართო მხიარულობამ. შეათბო ღვინომ, შეაჟინჟღილა. წუთის ტრიალმა ჩაიხვია ჭავლთა თამაშში. საჯაროდაც აკოცა ცოლს: აღარ მოეშვნენ!

— დოვლათიანი ოჯახი სჩანს.

— დაეხმარებიან, მანამ თითონ გასწორდება წელში.

— თითონაც ხელთგამომავალია, ვერ შეაშინებს ცხოვრება.

— ყოჩაღი ქალი სჩანს, ღონიერი.

— მკვიდრ დედაბოძად შეუდგება თვის ახალ ოჯახს, — მიუბნობდნენ მიმავალნი, გზას იმოკლებდნენ.

7

გონება სიკეთის მეტს ვერასა ჰხედავდა ამ გარდასრულ ამბავში. გრძნობა მაინც არ იზიარებდა გონების სიამეს. ოცნება არა ცდილობდა ლამაზ-ლამაზი სურათები აეხატნა ვაჟკაცისათვის: ეძინა ოცნებას. ისე გრძნობდა ვაჟი თავს, თითქო რაიმ მოვალეობა შეესრულებინოს. დაუვიწყრად ვერ თუ აცეცხლდა, თუმცა ქალი დიდ ეშხზე იყო, მწვავ ალერსში ახვევდა ვაჟკაცს. მალე ჩადგა მათი ყოფა ჩვეულებრივ სავალში. ერთის წლის ჯვარდაწერილები რამდენიმე წლის ცოლ-ქმარსა ჰგვანდნენ.

თეოს ვაჟის ბედნიერების დღიდან დაეხშო კარები სიხარულისა. კაეშნიან სიმღერებსღა დაჰღიღინებდა საკერავს. აღარ უხაროდა ტოლ-სწორში გასვლა, მათან ერთად მხიარულობა: ამისთანა დროს გატარება გულს ვეღარ უღებდა მას. შიგადაშიგ წავიდოდა ამხანაგებთან, მაგრამ იმისთვის, რომ ემალნა მათ თვალთაგან თავისი სევდა.

— ჩამწყვიტა გული იმ ცუდმა ბიჭმა. რაც სხვისა გახდა, სიხარული გაფრინდა ჩემგან.

— ვისი ბრალია!

— მთლად ჩემი ბრალი! თითონ ვერ მიჰხვდა ის უღმერთო,

როგორ მიყვარდა; მე კი ზუდამ ძმას ვეძახდი. ერთხელაც არ გადავუშალე გულის ყვავილი.

— რადა ჰმალავდი შენს ლამაზ გრძნობას? განა ბნელია სიყვარული და დასაჩქმალი?!

— არ არის ქუფრი და არც საგმობი, მაგრამ მეტად სათუთია, მისთვის ვკრძალავდი. მეშინოდა მაღალ გრძნობას არრა ჰვნებოდა. არცა ვჩქარობდი: ისე მეგონა, დრო ჩემთ ხელთ იყო და... დავილახვრე უკურნებლად.

— რომ ეუარნა და არ შეერთე?

— და რა უშავდა?! მეცოდინებოდა, რომ ის კაცი ჩემს ბედზედ არ იყო გაჩენილი; ეხლა...

ეხლა ქალი დარწმუნებული იყო, ვაჟი უარს არ ეტყოდა. ბედნიერად ჩასთვლიდა თავის თავს მასთან, ოღონდ კი გაეგო, რა ძლიერ შეჰყვარებოდა ქალს იგი. კაცი თავისთავად ვერ მიჰხვდა დროზედ: ცხოვრებას ებრძოდა, უნდოდა გზა გაეკვლივნა და მერმე მიმოეხედნა, შესდგომოდა ცოლის ძებნას. აღარ დასცალდა: ვერცხლის ხაფანგში მოაყოლეს გამოუცდელი.

ქალი იმისთვის ფიქრობდა ესე, რომ ფიდომ ქორწინების შემდეგაც არ გაწყვიტა ძმური თუ მეგობრული მასთან კავშირი; ვერ ითმენდა, არ მისულიყო, არ მოეკითხა, დედიდასაც ჰგზავნიდა ხან-ხან.

8

თეო ჯერ შორეულივით ექცეოდა ჯვარდაწერილს: ეხლა ის სხვა კაცი იყო, სხვისაგან კითხული. იქნება იმ ქალს არ მოსწონებოდა თეოსთან მის კვლავ მეგობრობა, მასთან სიარული. რაღა საჭირო იყო თეონას საბაბით უკმაყოფილების გამოწვევა ცოლ-ქმართა შორის?!

— განზედ, თეო! მეტადრე ეხლა, როცა თავი ვერ შეიკავე და აგრძნობინე, როგორ გიყვარდა: შენთვის ფიდო სამუდამოდ დაკარგულია! ფრთხილად, თეოჯან!

ცდილობდა ყინულის რამ რიდე აეფარებინა ვაჟკაცის ახლოყოფნის წუთებში, ხედავდა ფიდო, რომ ქალი ის აღარ იყო მისთვის, რაც ადრე და მეტად სწყინდა. გამოფხიზლებული იყო, უკვე იცოდა, რომ წააგო საქმე, უნდომ სხვა ქალს

ბეყა ფულად მიჰყიდა თავი. ვერ ამტყუნებდა თეოს; ეხლა ვაჟკაცის მეგობრულ ახლოობას მხოლოდ მისი სახელის გატეხა შეეძლო; ქუფრ ლანდად დაადგებოდა ქალს მის აჩრდილი.

— ვგრძნობ, ვხედავ ამას, მაინც ველარ გამიძლია უნახობა. ისე მომსურდება შენთან მოსვლა, როგორც სიბნელეში მყოფს ნათელში გასვლა.

— რად იტყვი სიბნელეს?! ახალგაზრდა მეუღლე, საკმაო სიმდიდრე, წინ გაშლილი გზა წარმატების. დაადეგ ბედისაგან შენდა მოცემულ ხვედრს და პატიოსნად გადიტანე ცხოვრების ტვირთი. ჩემი საქმე... მიწერია შრომა უწყვეტი, მარტოობით ჩაღამება ჩემის ქალობის.

— ნუ, ნუ მეტყვი სიტყვას დასაღონს! თუ ჩაგეგდე მე გონებაში, თავის დროზედ თუკი შემეგრძნო...

— მეტად მიყვარდი! ძლიერ ვცდილობდი, არაფერით მეგრძნობინებინა ჩემი ტანჯვა. ვიცოდი შენი ხასიათი: თუნდ გჯავრებოდი, სურვილს მაინც ამისრულებდი.

— გქონდეს ჩემი ცოდვა!

— ნუ! ცოდვაა ქალი; სახლში უნდა მიგიხაროდეს, სახლი რომ მოაგონა ქალმა, შეკრთა კაცი.

— დროა წავიდე! დამიწყებს კითხვას, სად იყავი, რად დაიგვიანეო.

წამოდგა, ადგა ქალიც. არ დაიწვია, რა გეჩქარებაო. ვაჟმა გადადგა ფეხი. ისევ გამობრუნდა.

— თეონავ! შენ მინათებ ლბილ სინათლით გულს ჩაშავებულს, შენა ხარ ჩემთვის ყოველივე მისადევარი, ბრ კი გამწიროო! არ დამივიწყო: დავრჩები ობლად მე საწყალი და ჩავნავლდები.

ქალს გული აუჩუყდა. ამოხეთქა ქაფქაფმა გრძნობამ, ნაკადებად გადმორუვდა მის თვალებიდან. მოხვია ვაჟმა, მიიზიდა, ჩაიკრა გულში, დაუკოცნა სველი თვალები.

— დაწყნარდი, კარგო? ძმადნაფიცი შენი ფიდო შენთანვე არის!

ქალ-ვაჟი თანისთან უტკბებოდნენ ერთმანეთს. ეს თანაგრძნობა აშინებდა მათ; შესაძლო იყო მოჰყოლოდა მღვრიე შედეგი. ჰმალავდნენ გრძნობას, თავს იმაგრებდნენ, არ სცილდებოდნენ მტკიცე სამზღვარს მეგობრობისა. დობილისაკენ ვაჟი უფრო მიისწრაფოდა.

— მიხარიან მე შენი მოსვლა, თან მეშინია: გულს აიყრი ახალ ოჯახზედ.

— სახლისაკენ არ მიმწევს გრძნობა.

— ეგეთი თქმა არ შეიძლება; იქ არის შენი დიასახლისი. ძმაზედ უტკბესი ძმობილი ხარ და გამიგონე ძნელი სიტყვა შენს საწყალ დობილს.

— მითხარ, რა გინდა.

— გვიან-გვიან იარე ჩემთან! სახელისა არ მეშინიან: გვიცნობენ აქ ჩვენ, მაგრამ...

— არა! არა!.. ეჰ, მართალი ხარ: ჩვენი გზები მიიხარნენ სხვადასხვა მხრისკენ. რაც ხანი გავა, უფრო მეტად დაგვაშორებს ერთურთს ცხოვრება. მე ცოლიანი, შენ ჯერ ქალწული. გამოჩნდება უფრო ჭკვიანი და წაგიყვანს თავისთვის ძვირფასს.

— კარგადა მსჯელობ.

— ნაფიქრი არის. ბევრჯერ ვუთხარი ეგ სიტყვა ჩემს თავს. ეხლა... უნდა გავსტეხო ჩემი თავი და აგისრულო!

მარტოდ დამრჩალმა ქალმა ბევრი იტირა. კალთა აივსო ცრემლთ ნაკადებით. იდუმალი ცრემლი ტკბილმწარე.

— რა ვყვარებივარ! უბედურო ჩემო თავო, გიმტყუნა ალღომ. დამსხვრეული კარგი ბედი ჩემი, იქ მისიც...

ამის შემდეგ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ფიდოს უსიამოვნება მოუხდა ოჯახში. ნავაჭრს რომ ანგარიშობდა შინ, წარსთქვა:

— ნაღდი ნაკლები მეჩვენება. ალბათ შემეშალა. მუშტარი ბლომად მოდიოდა, ვაჭრობა გაჩაღებული იყო და...

— ხომ არსად გადააყოლე ფული?

— სად უნდა გადამეყოლებინა?

— თუნდ შენ დობილთან, წამდაუწუმ რომ ინახულებ.

— თეონასთან? რას ამბობ, ქალო? აგერ ორი კვირა იქ-

წება, იმისკენ ფეხი არ გამიდგამს. ვერც იცნობ იმ ქალს: სხვის ოქროზედ შიმშილით მოკვდება, არ კი აიღებს.

— წმინდანად მიგაჩნია მკერვალი გოგო.

— ნუ ლანძღავ, ფეფო, ჩემს კარგ დობილს. არც ეჭირება ჩვენი წყალობა.

დაუთმო ცოლმა. ბოროტება მაინც შერჩა, არ გადეწმინდა. ჩასაწოლად რომ ემზადებოდა ვაჟკაცი და სარტყელი შეიხსნა, უბიდან დაკეცილ ფულის დასტა ამოჰვარდა.

— აი, ქალო, დანარჩენი ნავაჭრი! მუშტარი რომ არეული იყო, დახლი აღარ გავხსენი, უბეში ჩავიდე ფული.

— კარგია, უცხო ალაგას არ შეიხსენ სარტყელი.

— რა უცხო ალაგას? კიდევ გადასწვდი?!

— ყველაფერი ვიცი! მისამარ თავი დაანებე იმ ვიღასაც, თორემ ღვთის წყალობა მაქვს, ინანო.

— მე ჰალალი სიტყვა გითხარ და რახან არ გჯერა, ისე მოვიქცევი, როგორც ჩემს გულს უხარიან, — სთქვა კაცმა.

და კერპი რამ გამომეტყველება აეხატა თვალებში. იგრძნო ეფომ, რომ გადააჭარბა, მაგრამ ჯიუტობამ ნება არ მისცა, შეერბილებინა სიტყვა უკმეხი. დაუყურსავი დარჩა გადაბზარული ბეჭედი ერთობისა.

10

უბრალო ჩხუბი არ გამოდგა ეს ცოლ-ქმარ შუა: აღარ დაცხრა უსიამობა. კაცი ისევ ეწვია თეონას, გვიანობამდინ დარჩა. დაბრუნდა სახლში, მიახარა ცოლს:

— თეოსთან ვიყავ. ჩაი დავლიე!

— ყოჩაღ! ვიღაც გოგოსთან დადიხარ, აღარცა ჰმალავ! — შეუმაღლა ცოლმა.

უცებ ჩაჩუმდა. დიდ ჩხუბს მოელოდა კაცი და გაჰკვირდა, როცა ჩაქრა ბგერა მრისხანე. კიდეც დაიბნა: უცილებლად ავს მოელოდა, ბოროტი კი არსად სჩანდა. დამშვიდებით უმზერდა ცოლი. უეცრად თუ დაავიწყდა თვისი ჯავრები. ქალმა იმისთვის შეცვალა ქცევის სახე, რომ წაიკითხა ქმრის თვალებში უშლელი ზიზღი.

— ის გრძნობა თუა, რომ იტყვიან — გულს უფხვრელად დაადგებაო, — დაასკვნა ქალმა და გაჩუმდა: ქმარი იყო მისი, სრულებითაც არ უნდოდა სამუდამოდ მისი დაკარგვა. სწრა-

ფაქტი შენიშნა, რომ შესაძლო აღარ იყო მის გადატეხა, ვერც გადაზნექა. აირჩია დაჭნილი გზა გარს შემომვლელი. გაენდო დედას, მოუწონა ქალს აზრები დარბაისელმა. მიეშველნენ ქალს გასაჭირში: ჰპატიჟობდნენ, უთმენდნენ, უალერსებდნენ; თეონაზე სრულებითაც ხმას არ იღებდნენ.

მაინც ვეღარ გამოსწორდა კაცის გონება. არ დაიწმინდა აღარც მის გრძნობა. ცოლის თვალებში ხედავდა ის დაფარულ მის აზრს და მზირად იდგა, რომ ხლართებში არ გაბმულიყო. ქალის თვალებში ათამაშებული განზრახვა მიმპარ ნადირად ეჩვენებოდა. იგი ნელ-ნელ იწევდა მისკენ, კიდეც ელაქუცებოდა, რომ შეემოკლებინა სახტომი და სწდომოდა მყის ყანყრატოში.

— ვერ შემიტყუებ შენ ჯადო წრეში, ვერ ჩამიჭერ შენს ბასრ ჭვანგებს! ვერც თეოს მოგცემ გასაწამებლად.

დარწმუნებული იყო კაცი, რომ ფეფოს ამისთანა ბნელი გრძნობა ახელმძღვანელებდა.

— განა ისე სასტიკია ცოლქმრობა, რომ კაცმა უარი უნდა ჰყოს თუნდ დობილი თავდადებული?! — იტყოდა გაკვირვებული

და მიმართავდა აზრთ არეში თავის მეუღლეს:

— შენ არას გიშლის ჩვენი დაძმობა. რად აგვემრიზე? გეშინიან, არ გადავსცდე დადებულ სამზღვარს? მეც მეშინიან! დაიღუპება მაშინ თეონა. შენ არ იცი, რომ თეოს არ დავამდაბლებ! და თუ ვერ შევძელ სიწმიდის დაცვა...

კაცს უეცრად ეჩვენა, რომ ეხლანდელ მის ძნელ გარემოებაში, როცა ცოლს ვეღარ ენდობა და აღარ სთვლის თავისად, შესაძლოა თავი ვეღარ შეიმაგროს და...

— თუ ესე მოხდა, ერთადერთი გზა დარჩება: ცოლს გაცვეყარო!

რაკი ერთხელ მივიდა ამ საბედისწერო დასკვნამდინ, აღარ მოეშო მას ეს საკვირველი აზრი. თანასდევდა მას ყოველთვის, ყველგან. თანისთანად ძლიერდებოდა, ირკვეოდა, ინაკვთებოდა, მაღალი ხმით ჩასძახოდა ეშმა კეთილი:

— გამოდი მთლად იმ სახლიდან, იქ გაუშვი ყველაფერი, ნურა რა გინდა!

— ჰო, კარგო?

— სხვასაც დასძინე და აღუთქვი, ოღონდ იპოვო შენი თავი, განთავისუფლდე!

11

შეკრთა ქალი. ნახა, ვერც რისხვით, ვერც ალერსით ვეღარ შესძლო გულის მოგება. მიჰმართა სხვა ხერხს: გაგზავნა დედა მატიაანთ ბარბარესთან. გახსოვს, განთქმული იყო ჯადოსნობით, საკვირველ წამლების მზადებით. შემოვიდა ხმელი ადამიანი მაღალ-მაღალი. ნაცრისფერი სახე. მბჟუტავი თვალი მოელვარე.

— აქა მშვიდობა!

— მშვიდობა მოგცეს. დაბრძანდი!

— რას მიბრძანებ, ქალო?

— ჩემი ქორფა ოჯახის საიდუმლო უნდა მოგანდო.

— ჩაიმარხება საიდუმლო ჩემს გულში.

— თუ გასჭრა შენმა ხელოვნებამ, მეტად დამავალებ, გასამრჯელოზედ კმაყოფილი დამრჩები.

— მითხარ, რა დარდი გაქვს.

უამბო ქალმა.

— გამიგია მისი სახელი. ხელოსანი ქალიაო კარგი.

— ლამის ოჯახი დამინგრიოს ეშმაკეულმა.

— საშიშია. ვაჟკაცებს განგება არა აქვსთ, არ ესმით, რა ძვირფასია ქალისთვის თავისი კერა. რას მავალებ?

— შეაძულე ჩემს კაცს ის ქალი.

დაფიქრდა დედაკაცი.

— დამაცა ერთი კვირა, არის წამალი. აზრი არავის ააღებინო.

— რა ბრძანებაა! აი, ბატონო, ფული. ეს ისე, სახარჯოდ, სასყიდელს მოგართმევ, როცა წამალს მომიტან.

— გმადლობ! ამ ერთ კვირაზედ, უფრო ადრეც, გეტყვი კიდეც, როგორ მოიხმარო.

მოუტანა ჯადოქარმა რაღაც მალამო.

— მგლის ქონი არის შელოცვილი და სათუთად შეზავებული. საფრთხილოა! სჯობს იდუმალ წაუსვა იმ ქალს ტანისამოსზედ. მგლის სახედ ეჩვენება კაცს. ფეხს აღარ გასდგამს იქით!

— თუ იდუმალ წასმა ვერ მოვახერხე?

— გასჭრის ცხადადაც. ფრთხილად. თითონ არ მოგხვდეს მალამო, მეტადრე სახეზედ.

ქალმა დიდის სიფრთხილით შეინახა ჯადო წამალი.

ქალმა დედა გაიყოლა თან. ეტლით წავიდნენ. შევიდნენ ეზოში. იკითხეს მკერვალი. გამოეგება თეო, შეიწვია. ეფო მუშტრის თვალით ათვალიერებდა: თეთრი ქალი შუა ტანისა. სხივიანი თვალები, ლმობიერი. მიმზიდველი ღიმი ვარდის ტუჩებზედ. ნატიფი ხელი გამჭვირვალე.

— ადვილად შესძლებს ვაჟკაცის მიტაცებას წყეული! — გაიფიქრა ქალმა.

— დაბრძანდით! რას გვიბრძანებთ?

— ფარჩის კაბას შემოგიკვეთ. ქართულად შემიკერ სარტყელ-გულისპირით.

— შეიძლება! აქ ხომ არა გაქვთ საკაბე?

— დროს დაგვინიშნავ და მოგიტანთ.

— იქნება სჯობდეს, შენ თითონ მოხვიდე ჩვენსა. ზომასაც აიღებ, — გაეხმაურა დედა.

— სადა სცხოვრობთ?

— სიონის ქუჩაზედ, იკითხავ ბაზ...

— მოსაქმე ქალი სად მოიცლის, ჩვენთან მოვიდეს?! — გააწყვეტინა სიტყვა ეფომ.

არ უნდოდა გაემხილნა თავის ვინაობა. გვიანღა იყო. ქალმა ისეც იჭვი დაჰკრა მოსულებს და რაკი ქუჩაც ახსენეს, გაიგო, ვინც იყვნენ. მზირად დადგა.

— აბა, შვილო, გვიჩვენე შენი შეკერილი კაბა.

თეო გატრიალდა კარადისაკენ. ეფომ იდროვა და კაბის კალთაზედ ჩამოუსვა წამალი. იგრძნო ქალმა, შემოტრიალდა. მტერმა აღარ დაიხვალია: ზედ სახეზედ ჩამოუსვა ქონი. თეომ დაიკივლა და აჰკრა ხელი. მალამო თითონ ეფოს მოეცხო პირზედ. ჩოჩქოლი, წივილ-კივილი. დედამ სტაცა ხელი თავის ქალს, გაიტაცა. ჩასხდნენ. გააჭენეს. დაედევნენ ყიჟინით ქუჩის ბიჭები. გამოცვივდნენ მეზობლები. ვერა გაიგეს რა. დაინახეს, მიაქროლებდნენ ბაღდადმოხსნილი, თავშიშველი მანდილოსნები. ხმიანობა თეონაანთაგან. ეგდო თეო გულწასული. უბერავდნენ, წყალს ასხამდნენ, მაჯებს უზელდნენ.

— მომეშველენით, პირი დავბანოთ: იქნებ შხამია, სახეს ჩაუჭამს.

— მგლის ქონია, ქალო!

— კიდევ რაღაც გაურევიათ.

ტაშტი, წყალი, საპონი. დაბანეს, გაღვრიჭეს, შეამშრალეს. გამოულოცეს.

— ვერ გაუჭრია საშინელ წამალს; ანგელოზის სახითვე სჩანს ჩვენი თეონა.

გაიარა აურზაურმა, გრიგალივით გადაირბინა, წავიდწამოვიდნენ, შეწყდა ყაყანი. მალე წყალწაღებულ ამბად გადიქმნებოდა ყველაფერი, თუ საკვირველი შედეგი არ მოჰყოლოდა.

სანთლები ანთებული იყო, როდესაც თეოს ფანჯარა დაურაკუნეს. შემოვიდნენ ფიდო და მისი დედიდა. დაჰკოცნა ქალი. შეჰყურებდა, ხელს უსვამდა, უალერსებდა.

— რა უნდოდათ იმ წყეულებს, შენ რას გერჩოდნენ?!

— რა ვიცი, დედი! მე იმათთვის არაფერი დამიშავებია, არც კი ვიცნობდი.

— სახე ხომ არ დაგიზიანეს? აბა კარგად შემომხედე... ისევ ჩვენი ლამაზი!

— უფროც მშვენიერი, დედიჯან! — დასძინა ფიდომ.

— შვილო, თეო, ჩვენსა უნდა წაგიყვანოთ: აქ მარტო ვერ დაგტოვებთ ამაღამ.

ჩაისვეს, წაიყვანეს.

ვახშამზედ ესე უამბობდა ფიდო:

— შემატყობინეს, შინ რაღაც მოხდაო. გავეშურე. ეფო მომეგება, შემომიტია: შენმა კაიკაცობამ დღეს საშინელი სირცხვილი გვაჭამა მე და დედას.

— ვისგან? რა სირცხვილი?

მითხრა. მიამბო. სწორედ არც კი გამიგონია, რას ამბობდა. პირში შევყურებდი, თან კარებისაკენ ვიწევდი: მგლის თვალები აცეცხლებული; ალმასივით კბილებს აკაპუნებდა; თან ამბობდა, თან მიღმუოდა. აპირობდა გადმოხტომას, ყანყრატოში წდომას, გამოვვარდი, გამოვიქეცი... ველარც წავალ; იმისი იყოს ყველაფერი, ჩემი მონაგარიც, ოღონდ...

1926 წელს,
ნოემბრის 25-ს.

მტკვრის ვაჟი

1

გაუკადნიერდა მტკვარს თავისი ვაჟი, აღარ ინება მორჩილება; ეურჩა მამას.

— აღარ მწადიან შენთან რება, ერთად ქმედობა! შემიძლიან საკუთარი გზა გავიკვლიო, — ეტყოდა იგი.

და ცდილობდა განზე გასვლას, სხვა ხევზედ დენას: მეტად ჰსურდა დანდობოდა მხოლოდ თავის თავს.

— შევძლებ, შევქმნი საიმედო ცხოვრებას ახალს!

ნათელ საქმეთა სამრავლებლად ჟამი უთხრობდა. თუ ბნელის შვილნი ეცდებოდნენ მის გზის ჩახერგვას, ვაჟკაცურად დაუხვდებოდა.

— ნახოს მამამაც, რა კაცი დავსდექ! მადევნონ თვალი მოყვარემ, მტერმა, იმედი მაქვს, შემაქებენ, ვაშას მესვრიან.

დიდი მტკვარი არ თანხმდებოდა; მრისხანებდა, გრგვინვას ჰმატებდა. მაინც გულში ახარებდა მას შვილის სწრაფვა.

— ღონესა გრძნობს მოჭარბებულს თვის არსებაში. მახარებს ესა!

მის უარობას სხვა ჰაზრი ჰქონდა:

— განცალკევებულ ცხოვრებაში ვაჰ თუ ვერ შეჰყვეს ძალა იმდენი, თავისი სახე სასიკეთო ქმედობაში ახორციელოს; თუ არ იყოს საკუთარი ყოფნისათვის ჯერ მოწიფული.

მაგრდებოდა, უარჰყოფდა შვილის სურვილებს, დააბრკოლებდა მაგრამ... უარი მის შვილისავ სასინჯი იყო.

— თუ შესწევს ძალა და გულით ჰსურს მარტო ქმედობა, არ დამიჯერებს: გადალახავს დარწყულ საბრკომს, გაინავარდებს!

სამუდამოდ მაინც ვერ გაუშვებდა მტკვარი თავის ვაჟს, ვერ შეელეოდა: დიდი საშიშროება ედგა წინ. იმ უძლეველ

მტრის წინაშე ცოტა ხნობით გამაგრებაც დიდ ძალას ითხოვდა. ბოლოს ისევ შეიერთებდა სასიკეთოდ სახლიდან გასულს.

სხვა ვაჟებიც ჰყავდა დიდ მტკვარს სამოქმედოდ განზედ გახრილნი, კვლავ მასთანვე გადაჭდომით ქვე მიმდინარნი.

იმ დიდ დუშმანთან საბრძოლველად იერთებდა შემდინარე სხვა მებრძოლებსაც. საქართველოს ტყეში, კლდეში, ღრანტეებში წარმოშობილებს, მილტოლვილებს მის საშველად ბნელთან ბრძოლაში.

გაძლიერებულ მტკვრისათვისაც საშიში მტერი დიდი ზღვა იყო. უძირო, უმაძღარი, უკიდო რამ უკიანე მდინარეთ მნთქმელი.

2

როდესაც მტკვარს ის ვაჟი მოესწრო, თბილისში ჯერ ნარიყალას ნასახისა და კალაუბნის გარდა არა იყო რა. მშობლისაგან გაჭრილ სადინელში ვერ დაეტია. ვერის დასწვრივ გადმოხეთქა ხევის ნაპირი. წამოიღო საშინელმა მთლად არემარე. გაგლიჯა და გაიტანა ნიადაგი ტყით შემოსილი. კლდეს მოაწვა მარჯვნივ ჩამდევარს. გასჭრა ფართო წარსადინი აჭანაანთ ხევის პირდაპირ. მის სიგრძეზედ დარჩა კუნძული ძველ მუხებით, კაკლებით თუ ჭანდრებით დასახლებული. გარეთუბნის კუნძულიო, იტყოდა ხალხი.

ახალ ტოტის ნაპირებზედ, კალაუბნის კედლის გარედან, ბინადრობდნენ წყალწაღებულნი. ამ ბეჩავს ხალხს კეთილმყოფელად მოევლინა მტკვრის იგი ტოტი: ზედ მიიტანა წყალი მოწყალე ქოხებისთვის. ბოსტნებისთვის საშიშ არ იყო: კლდოვანი კიდე თანისთანად შემაღლებული იფარავდა ვაჟკაცის განრისხებიდან.

— გახელებიდან?

— გაცოფებიდან! — კარგი იყო კეთილის მყოფი, მაინც ხანდისხან ღელდებოდა მეტად საზარად: ღრიალებდა, ბდღვინავდა წყალი: ავსებდა ხევს აზვირთებული; ეხეთქებოდა ღედამიწას, ანძრევ-არყევდა. ღმერთო ჩემო, რა არ მოჰქონდა! სახლის ავეჯი, პირუტყვები მოტაცებული, ჭალაში საძმე მოგლეჯილი მთელი ხეები. მისდა შენაწირ კაცის გვამსაც ჰამოავლევდა.

— ხშირად იცოდა დაზეზება, თავის აშვება?

— მოსწონდა სმა მთათა ნაჟურის; ხშირად იყო ამის გამო იგი ზარხოშად. მისთანა დროს ცეკვა უყვარდა, ხტომა, ტრიალი, ზოგჯერ კი... ეწაფებოდა მეტად ხარბად მთათ წინწანაქარს. წამოვიდოდა ბარისაკენ გრიალ-ღრიალით. ბედნიერი გაასწრობდა, განერებოდა. უბედური მოჰყვებოდა მის გაშლილ მკლავში და...

— მორიდება თუ უნდოდა შმაგად დამთვრალსა.

— დიდი სიფრთხილე! დანარჩენ დროს ზრუნავდა სულ სასიკეთოდ ნათელის შვილი: წყალი, თევზი, შეშა, საკმაო, დიდ სიცხეებში საბანაო, საგრილებელი; რეცხვა თუ ხეხვა; ეზო-ყურის, ბაღჩების მორწყვა. და ათასი სხვა სასიკეთო მოსდევდა ქველსა.

— კარგი ყოფილა!

— ღარიბ ხალხთან მეგობარი, მათ სულის მდგმელი.

3

მიწურებმა, წნულ ქოხებმა, ფიცრულებმა ნელინელა დაიწიეს მდინარისაკენ. მწკრივდებოდნენ იმის ნაპირზედ. ახლო ყოფნა სასიკეთოდ ედებოდა დღიურ ცხოვრებას. წისქვილიც კი გაიმართა უბნის უნარით. ყელღერებით იყო ეხლა გარეთუბანი: ურეცხავდა მდინარე ხორბალს; მისსავ ნაპირს აშრობ-ახმობდნენ; იგივ მოკეთე იქვე ახლო უფქვავდა საფქვავს.

უდარები მეგობარი ბალღებისათვის! ჭყუპალაობა, ცურავობა თხელ ადგილებში. უკეთესი მომცურავნი იზრდებოდნენ. ნავებიც კი გაიჩინეს შნოიანებმა.

— ხალხისთვის ამაგდარი ყოფილა იგი.

— უანგარო მაინც არ იყო: შიგადაშიგ მხვერპლს თხოულობდა. ჩაიხვევდა დიდ გამბედავს თუ მეტად თავხედს, შეიწირავდა. გარეთ უბანს აატირებდა.

— ძნელი სჩვევია!

— ბუნებრივად მიაჩნდათ მაინც: დიდ სიკეთისთვის შეჰშვენოდა მადლის გადახდა; საჭიროც იყო, მოკრძალება არ დაჰკარგოდათ.

ჰაზრიან კაცს დაეკრა ბარი თბილისის ჩასასახად. მარჯვე

ადგილი აღმოჩნდა: მეტად ბევრ ხალხს იზიდავდა, განზედ იწევდა. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. შეიკრიფა, შეიერთა ახლო სოფლები: ხარფუხი, მდუღარეთი, წინანაური, კრწანისი, ისანი, ჩუღურეთი, კუკია, ვერე, მთაწმინდა. გაიზარდა. გადაიქმნა ქალაქთ-ქალაქად. აღარ იტყოდი თბილისი; იტყოდი: ქალაქი, ყველამ იცოდა, რაზედ ამბობდი. ჩაიჩრდილნენ სხვა ქალაქები. მხოლოდ კერძო თვის სახელით იხსენიებდნენ.

შიგნით მოექცა გარეთუბანიც. შერჩა მაინც ძველი სახელი, სცადეს გამოცვლა. დაარქვეს ახლა ვარდისუბანი; ვარდის სიმრავლით ამაყობდნენ გარეთუბის ბაღჩა-ბაღები. ამაოდ სცადეს: მაინც ისევ გარეთუბნად იხსენებოდა.

— დიდი გარჯა დაგვჭირდება კალაუბნელებს: გარეთუბანი მოდის საკრივოდ.

— მძიმე მუშტი აქვთ.

— მძლავრად უსვამდენ კრივში მკლავებს ბალღობიდან ბანაობას შეჩვეულები.

ჩაირაზმნენ მდინარის პირს მძიმე სახლებიც. ბურჯები თუ საძიკველი უშლელ დუღაბის. ზედ ქვითკირი სართულებად შემაღლებული. გადაეშვნენ აივნები თვით მდინარეზედ. გაბრძანდებოდნენ მზის დახრის ხანს, ჩაის მიირთმევდნენ; მასლაათსაც შეექცეოდნენ, აგრილებდათ დასიცხულებს მდინარის სიო.

4

მერმე, დროთა მსვლელობის შემდეგ, მტკვრის ამ შვილმა დაიმსახურა დაბრძნობილი კაცის სახელი. კეთილმომქმედად მოვლენილი ვაჟკაცის ჭება. დინჯად დიოდა ფართოდ გაჭრილ თვის სადინელში. მის ნაპირის მრთელი სიგრძე მჭიდროდ იყო დასახლებული. სარჩოს სიუხვე დასტყობოდა აქ კაცთ სადგურებს: ფერადფერადი საღებავით ჩახატული სასახლეები; მათ თავსაკრავად მოხდენილი ლაბიერები; ჩუქურთმიანი აივნები ხარატებული; ფრთიან გველებად მოხდენილი წვიმის მილები; კართ კამარანი შემკობილნი ქანდაკებებით; მიწურ სწორ ბანებს ენაცვლებოდა ლითონის ფურცლით დახურული სახურავები.

ჩარაზმული შენობები ზოგ ადგილას განს გამდგარიყვნენ, რომ გაეშვათ ჩასავალი მდინარისაკენ. გარეთუბნის დიდ კუნძულსაც სახე ეცვალა; ჭალა უკვე მთლად გაკაფილი; აქა-იქ-ღა დარჩენილი ხეები ობლად. საქარხნო შენობები ერთ-ორ ადგილას.

ამ დროს არგუწა პატივისცემა გარეთუბნის მდინარეს ბედმა:

საქართველოს მყინვარეთის კეისარი დაუფლებოდა. ჩვენ მეფეების მოადგილედ მოეგზავნა თავისი კაცი. იჯდა თბილისში. მედიდურად განაგებდა მთელს კავკასიონს. ისწრაფიდა თვის სახელის ამაღლებას ქართველთა შორის. შუქიანად მოქმედობდა დაპყრობილ ხალხში. განიზრახა მკვიდრი ხიდის მტკვარზედ გადება.

ნუგზარის ხიდი დამპალიყო, დამტვრეულიყო. ირყეოდა მის ბურჯებზედ მუხრანიანთ რაღაც ბოგირი. გაზრდილ ქალაქს ეს სავალი აღარც ჰყოფნიდა. გარეთუბნიდან კუკიამდინ გადაჭიმა წყვილი ხიდი ფასდაუდები და... პატივცემა უალრესი მტკვრის შვილისადმი; თვით მტკვარზედ ისეთივე ხიდი გააგო, როგორც მის ტოტზედ.

— კეისართ მოადგილემ სცნო: ჩვენი მდინარე ისეთივე საფრთხილოა, როგორც თვით მტკვარი! — წარიტყოდნენ თავმოყვარე გარეთუბნელნი.

დიოდა ხალხი ახალ ხიდზედ, ამშენებელს მადლობას ზღვნიდა. მაინც ყველაზედ თავმომწონედ გადიოდნენ გარეთუბნელნი. გადახრილნი მკვიდრ მოაჯირზედ დიდ სიამით დაჰმზერდნენ წყალსა, მის კიდეზედ ტურფად რაზმულ გარეთუბანსა.

— ქალაქია და ქალაქი! რით გაირჩევა სხვა უბნებიდან, თუნდა თითოწ დიდ სასახლის მდიდარ ქუჩიდან?!

— სულაც არაფრით! დიდკაცებსაც მოეწონათ, აქ შენდებიან.

5

გარეთუბნის შენობათ შორის სიმშვენიერით ირჩეოდა ბუჩქაძის სახლი: მკვიდრი, დამტევი, მოხდენილი; თითქო მწყაზარი.

— ვიცი! ორსართულიანი შენ...

— სამიანი!

— ორიანი! შიგა ვყოფ...

— მაშ დუღაბით ამოტანილ სარდაფს არრად სთვლი?!

მარტო წინგარდი ღირდა ერთ სახლად. მძლე რკინებზედ დაყრდნობილი თვითც ლითონისა; ხარატებული; მდინარეზედ გარდაშვებული.

— მისი პატრონი ფულს არა ზოგდა.

— იმისთვის ჩეჩქია ფული: მის სოვდაგრობას სტამბოლამდის მიუღწევია.

— ვისც მისცემს ღმერთი, ზედ დააბერტყს სიუხვის ქალთას.

მისი ოჯახი: ცოლი, ვაჟები, ქალი დაფინე.

— კოკორშივე დაიფინა სიმშვენივრის ხმა.

— გულითაც კარგი: არ ჰშორდება სიმდიდრეშიც ღარიბ ტოლ-სწორთა.

ქალისთვის ოქროს კეთილშობილთ სასწავლებლის კარი შეეღო. იქაც მოსწონდათ კოხტა ბალღი სანდომიანი. ლამაზ გოგონას სამკაული მაინც თმა იყო: თავზედ ვეღარ ეტეოდა ტევრებად შლილი. დაგრუზული ნაკადებად გადმოდიოდა! აბრეშუმად ბროლის ყელზედ ეფინებოდა.

— ვაჰ, საყვარელო! მთელი სახე ჩაიმალვის მის თმათა ძნაში. — იტყოდა უშანგ მისი ეშხით აღტაცებული.

და თრთოდა ნდომით ყმაწვილკაცი, გარეთუბნელ სალომეს შვილი. მისი დედა ქალ-ვაჟს ზრდიდა. ამირანთა ამირანად შექმნილიყო ქვრივ-ოხრობაში. სკოლების გამგეს პურს უცხობდა, სარეცხს ურეცხდა. მან გაუღო იმის უშანგს სკოლის კარები. ნიჭი შეაჩნდა. აქაური დიდი სკოლა დაამთავრა ოციოდ წლისამ. ხელს აშველებდა ქვრივ სალომეს დიდკაცის ცოლიც. ბეწვიანი მანდილოსანი. გახსოვს სალომეს ხელოვნებამდინ მიეტანა პირის გამოქნა.

— ახ, არ იცი, რასა ჰქვიან პირის კეთება?!. აღარ მისდევენ. მაშინ ქალისთვის იყო იგი აუცილებელი. ჩაუჯდებოდა ცალ მუხლზედ მდგარი. აბრეშუმის ძაფი თითებზედ. ერთი წვერი კბილით ეჭირა. წამლათ გეძებნა, ერთ ბეწვს ვეღარ იპოვიდი პირისახეზედ.

პატარობისას დაფინე, უშანგ, უბნის ბალღები, ითამაშებდნენ, იცელქებდნენ, ამბებს იტყოდნენ. აწ უშანგ უკვე

სამსახურში განწესებული. დაფინემაც დაათავა ოთხივე კლასი. აღარ სჭიროდა სალომესაც ძნელი რამ გასჯა!

— მაინც კიდევ არ ისვენებს შრომას ნაჩვევი.

— მსუბუქ საქმეზედ იარება დიდ ოჯახებში.

— ბუჩქაძიანი თურმე თითონ ხშირად უხმობენ.

— ერთგული არის, ცამდინ ალალი.

6

კარგად შემაღლდა ბუჩქაძიანთ ქალი დაფინე.

გადაფურჩქვნის ჟამთა ღიმმა ვაუპო ბაგე. ციმციმებდა მის სახეზედ ახალნორჩულ სიხარულის სხივი ნათელი. სიტყვამ, ქმედობამ, მოძრაობამ დაკარგეს უკვე კუთხვილი ხაზი დაუკვერცხავი. მოლხვა, მორბილდა ცისარტყელის გრკალის ნაკვეთი. შედგა ფეხი ქალურ გრძნობით სამღერ ჰასაკში.

— სკოლამაც თავისი იერი დასდო: მისი ქცევა, სიტყვის ნაქვთები ფიქრისაგან ფარგალმოსმულნი.

— დროც უკვე უთხრობს: კარგად შეღერდა. აგრძობ..აა ალღომ, უფერიღა იქნებოდა ქცევა ბალღური.

— თვით ბუნება აარშიყებს მაგ ხანში ქალსა

და მოსასთვლელად მომზადებულს იქვე ახლო აღმოუჩნდა გატაცებით მოტრფიალე ნათელი სახე: სალომეს ვაჟი უშანგ ჭაბუკი... დღიურ ცხოვრების თვალსაზრისით მთლად შეუფერი:

ერთი მდიდარი, მეორე კი მთლად ღარიბი, სულ უქონელი; ერთი ზრდილი ფუფუნებით ზღაპრულ ყოფაში, მეორე კი სხვის ხელთ შემყურე გლახაკურად ცხოვრების შვილი; ერთი უფრო დიდ-დიდების მსასოებელი, ხოლო მეორე კარგ შემთხვევით რაღაც მოხელე.

— რა უნდა ჰქონდეთ, გენაცვალეთ, იმათ საერთო?! ერთი ვარსკვლავს ეთამაშება, მეორე კი ძირსვე ხოხავს ისევ მიწაში.

— თავხედობაა უშანგისგან თვით ფიქრიც კი ბუჩქაძის ქალზედ!

— ნურც ეგრე კი გააზვიადებთ! გარეთუბანს კიდევ ახსოვს მათ წინაპართ ძნელი ცხოვრება.

— ხონჩით ჰალვა დაჰქონდათ, იმასა ჰყიდდა.

— არც თავადია, არც აზნაური.

— დიდი მდიდარი, მთელ ქალაქში ცნობილი კაცი.

— ადამიანი დოვლათით ფასობს.

— საცოდავ უშანგს ალბათ თავი ვინმე ჰგონია.

— ბუჩქაძიანთ დაფინე და სალომეს რძალი!

უშანგს ესმოდა ეს ყველაფერი, მაგრამ... ახალგაზრდა ოცნებებით მეტად მდიდარი, იმ ლამაზ ხანში, როს შესაძლოა, შეიყვარო ცაში კვიმატი, ხელს უსვამდე შენ ეზოდან მის თმას სხივოსანს. ვაჟკაცს ტურფა შეუყვარდა თვის უნებლიეთ, ულონო იყო ამ ტრფიალის წინ. არც ამ გრძნობის აღტყინებამ ჰკითხა მას რამე, არც ხელთა ჰქონდა მისი ჩაქრობა. შექმნილიყო სამარადოდ მონად იმ მზისა; სასოებით თაყვანს სცემდა კეთილმორწმუნე.

სალომე კი ძნელ ამბავზედ კრინტს არა სძრავდა. არც იმის ვაჟი ამხელდა სადმე თვის გულისთქმასა. მაგრამ გრძნობა ნათელი იყო. თავისთავად შუქსა ჰფენდა თავის გარშემო. ყველა ჰხედავდა. გულკეთილებს ებრალებოდათ.

7

გაამრავლეს მითქმა-მოთქმა გარეთუბანში. გაამწარა ქალის დედა მათმა განგაშმა.

— ვიღაც ღატაკ სალომეს შვილი ნანინანატრ დაფინეზედ ჰბედავს და ფიქრობს?! ავ ცხვირს არ დასცემს...

— დეე იფიქროს! მეოცნებეა ახალგაზრდობა: მაგათ ხანში სინამდვილე ზღაპარი არის, საარაკო რამ ამბავი სინამდვილეა. დარწმუნდება, მისი ფიქრი უნაყოფოა.

— მიუგდიათ მოხელეობა, თავის თავი ვინმე ჰგონიათ!

— ნუ სჯავრობ, ქალო! რად ლანძღავ იმ ბიჭს? რომ მოსწონებია ბუნებრივია: ლამაზია, ნასწავლი და თანაც მდიდარი. ყველასაც მოსწონს. მის თაყვანცემა ვერ იქნება საზიანო ჩვენ ქალისათვის, ჯერ ხომ არც კი უთხოვნია, არა უთქვამს რა.

— ეგღა მაკლია. მომიგზავნოს მაჭანკალი ან თვით გაბედოს.

— ნურც კი ვისმე აგრძნობინებ, რომ შენამდინ მოაღწია მაგ მითქმა-მოთქმამ. ნურც სალომეს შესამჩნევად გაინაპირებ.

ჩუმად იყო სოვდაგრის ცოლი. ახში მაინც აგრძნობინებ უსიამობა: იშვიათღა უძახდა მას საქმისათვის, სხვას უბრძანებდა. პირის საკეთად სალომესვე მოუწოდებდა; მთელ უბანში იმისთანა არავინ იყო. ქალბატონი ცოტას იტყოდა. სალომე მხოლოდ მუშაობდა. რა ვუყოთ, რომ ღარიბი იყო?! სიამაყე იმასაც ჰქონდა.

ქალი... იცოდა იმან, უშანგი იყო მისი ტრფიალი. არა სწყინდა. კიდეც მოსწონდა, რომ ვაჟკაცი თავს ევლებოდა: ნიშანი იყო ეს მისი ძალის. არც უარს ჰყოფდა მისი გრძნობა დიდიხნის ნაცნობს: თვალად, ტანად, კარგი სულით სხვებს იგი სჯობდა. ღარიბი იყო. სად იყო ახლა იმოდენა ოქრო, ყველა სახლში ხვავად მდგარიყო?!

— კარგია უშანგი, მომწონს მე იგი. შეჩვეული ვარ. იმ დღეს რომ შემხვდა და ცივად დავხვდი, მთლად ჩაიფუფქა.

ქალის გული უარს არ ჰყოფდა. მის გონებამ კი იცოდა, უკეთესი ხვედრი ელოდა. რატომაო?! ტურფა, ნასწავლი, დიდი მდიდარი! ეახლებოდა ერთ დღეს რაინდი, სიყვარულით შეიყვარებდა და...

ამ ყოფაში იყო ქალ-ვაჟი, როცა დადგა ქალის დღეობა. ბუჩქაძესთან ამ დღეს დიდი ზეიმ-ქეიფი. ღია იყო მათი კარი ქალის სწორთათვის. შესამჩნევი ხალხი რომ იყო, უბრალონიც ბევრნი ერივნენ. უშანგიც იყო. მისი დედა სტუმრობაში ჰშველოდა ოჯახს. მთელი სასახლე ჩირაღდნებული. ყველა ფანჯრები ჭაღ-სანთლებით განათებული. წყალის მხარე აივანი ტურფად მორთული. ფერადფერად ფანართ მწკრივები.

ვახშმის ლოდინში მღერა, ცეკვა, მუსაიფი; სიცილ-ხარხარი. შარბათები, ტკბილეულობა. ყვავილებად მორთულიყო ახალგაზრდობა.

8

გახალისებულიყო უშანგი: იცინოდა, ცეკვავდა, ფრთიან სიტყვას მიმოაფრენდა. ჰაი, ჰაი, კარგ გუნებაზედ დადგებოდა: გვერდს ახლდა ვარსკვლავს დიდად მოლხენილს. სუფთად ეცვა. არ ირჩეოდა მდიდრებთა თუ დიდკაცთ შვილთაგან. ჰაზრიან თქმაში სხვა გერ სჯობნიდა. თითონ დაფინეს უხაროდა გარეთუბნის ტოლ-სწორში ყოფნა. უბნის ქალები ჭაბუკ უშანგს არ შორდებოდნენ.

შეჯგუფდნენ ერთად. თამაშობა იყო ასეთი: წილსა ჰყრიდნენ ახალ-ახალ დავალებისათვის. შეხვდა უშანგს რაიმ ამბის თქმა, შემოეხვივნენ. იქვე ახლო უჯდა დაფინე, დაიწყო ვაჟმა:

— ...დიდი მდინარე მოქანობდა სასახლის გვერდით. ხომალდებიც დადიოდნენ უზარმაზარზედ. ამ მდინარის პირს ერთხელ ყოველ წელს მოხდებოდა საშინელება, დღე არ იყო აღნიშნული, მკვეთრად გათვლილი; მხოლოდ იცოდნენ, მოვიდოდა უბედურება...

— რა უბედობა?

— ჩქარა სთქვი რაღა!

— სთქვი, გენაცვალე, რა ხიფათი მოუვიდოდათ! — სთხოვა დაფინემ

და თვალები ჩაანათა ჭაბუკს შიგ სულში.

— დაღამების ხანს ცამოწმენდილზედ ის მდინარე აზვირთდებოდა; თავის ქერქში ვერ ეტეოდა, კიდეებზედ მიინთქრეოდა: მის სადინელს მთლად იჭერდა გველეშაპი უზარმაზარი, მოცურავდა, იგრაგნებოდა. ხანდახან თავს აიღებდა, ცეცხლის თვალებს აბრიალებდა, ალსა ფშვენდა აშკმულ პირიდან.

— უიმე!

— ახლო მოიწი, ქალო, მეშინის!

— სადაც იგი ყელს ასწევდა და შედგებოდა, მსხვერპლი უნდა გაეტანა იმ ოჯახიდან. ვერაფერი ვერ დაიხსნიდა: განწირული ჩამნთქმელისაკენ თვით მიდიოდა და...

მდინარის ჩქეფა, წყალის ბუყბუყი.

— გველეშაპი ხომ არ მოცურავს?

— წამოდით, ვნახოთ!

— გაგვიყვა, უშანგ.

გამოვიდნენ აივანზედ, გადაეყუდნენ. გამდნარ ტყვიად მოდიოდა შრიალ-ხრიალით. ლიფლიფები მის სიღრმიდან მოანათებდნენ.

— შესაზარია!

— წავიდეთ. მალე! — შესძახა ქალმა.

და მოჰკიდა უშანგს ხელი წამოსაყვანად.

— რად გამოსულხართ ამ დროს წინგარდზედ? დაფინე, ქალო, შინ დაგეძებენ! — დაჰკივლა დედამ

და დაჰკრა ჭაბუკს თვალთ ისარი განმახვებული. იგრძნო

ყველამ უხერხულობა: სტუმარ ჭაბუკს აწყენინა დიასახლისმა...

სცადეს განგრძნობა სიამოვნების. ველარ მოხერხდა. სიხარულმა შეკუმშა ფრთები.

— აღარ ხალისობთ. დაიღალენით?

— გმადლობთ!

— დიდად ვისიამოვნეთ.

— უშანგ სად არის?

ვერ იპოვეს: წასულიყო შეუმჩნეველად. მისი დედაც გაჰშორებოდათ. დაიწყო დაშლა გარეთუბნის ახალგაზრდობამ. ველარ გასჭრა ველარც წვევამ ტკბილ დაფინესი.

9

ვახშამზედ ისხდნენ სალომეანი. შრომის სუფრა ეგოთ წან, არ იყო ბევრი მათი ლუკმა, არც თუ რჩეული. ჩვეულებრივ ტკბილი იყო ოფლით ნაზავი. ეხლა სიტკბო დაჰკარგოდა იმათ პურობას: ზანტად სცოხნიდნენ თავის ლუკმას დაღონებულნი. როდი იყვნენ გუნებაზედ, წესს აყენებდნენ, უვახშმოდ ვერ დაწვებოდნენ, ეშმაკს არ გააცინებდნენ.

— რა იყო, შვილო, რაზედ გაწყრნენ ბუჩქაძიანნი?

— არაფერზედ! ჩემთვის ხმაც არ გაუციათ. დაფინე მედგა, წამოდიო, მეუბნებოდა. ეწყინა ეს დიასახლისს და დატუქსა ამხანაგებში. ცუდად შემხედა.

— თავს წავიდნენ. ცა ქუდად არ მიაჩნიათ...

— დიდი ძალა უჭირავთ ხელში. ფული თანისთან სჯობნის ყველაფერს. კიდევ ცოტა და წაჰლექავს დიდკაცებსაც ოქროს მდინარე.

— არა! თავადაზნაურობა კეთილშობილადვე დარჩება. ბუჩქაძიანი გლეხებათვე დარჩებიან, თუნდ ყელამდინ ოქროთი აივსონ.

— ფულს ფული მოაქვს. მაგათი ოქრო სარჩოს წაართმევს მთელ დიდკაცობას; დაამშევს იმათაც. ღარიბ კაცს ხომ აწც იმონებს და ანადგურებს.

— განათლება? ხელისუფლება?

— დაუმორჩილდებიან ქონებას. ამ გზით მიდის ჯერეთ

ცხოვრება. რითა გვჯობიან ბუჩქაძიანნი? მხოლოდ სიმდიდრით და, დახე, როგორ დაგვამდ...

— მეტისმეტად გვაწყენინეს, გაგვათახ...

— ნუღარ, დედიჯან! საბედისწეროდ შემიყვარდა მე მათი ქალი. იქნებ ჰგონიათ, მათ სიმდიდრეს ვეხარბებოდე. ნეტა ისე დაღარიბდნენ, კაბა მივართო... არა, არა! ვერ გაუძლებს სიღარიბეს განაზებული.

ამის შემდეგ ჭაბუკი შორს უვლიდა ქალს. თუმცა გული უკვდებოდა, სხვა გზა არ იყო, დაფინე კი სხვანაირად თურმე ფიქრობდა: შეხვდა განზრახ, მოუტკბილდა, ბოდიშს იხდიდა.

— ეჰ, ეს ყველა მის ზრდილობის შედეგი არი; იქნებ ჩემი შებრალებისაც. მე რად მინდა შეცოდება?! სიყვარულს ვეძებ!

მოშორდა ქალსა. შეურიგდა ყისმათს უბედოს. ერთობოდა უბნის ტოლ-სწორში. ასწორებდა თავის ცხოვრებას, ოჯახს შესძენდა. ახალი ბინა ხომრიელი და სანთიანი: აუმატეს შრომის საფასი. უფროდაუფრო შრომობდა ახალგაზრდა. ნატრობდა ბევრი მის სიძეობას. თვითონაც უკვე ნდომის თვალით უყურებდა ყვავილად ზრდილებს.

გულში კი ისევ თვის დაფინეს შესტრფიალებდა, ოცნებობდა, იმას ნატრობდა, სამსახურშიც მისი სახე ელანდებოდა.

— მკვლევარი მოგვდის, რომ მომიწონის ნაკეთები და წარმატ... ეჰ, ვსთქვათ, მომიმატოს ცოტა ფული, ერთი ჯარისხი. რა არის ეს ბუჩქაძიანთ დიდ სიმდიდრესთან?!. რომ მომხედოს კარგმა ბედმა და გვერგოს ფული: ჩავეწერენით. არა, არა! ათასში ერთს ხვდება იღბალი. მაინც რა არის?! იმის მამას ოქროს ფხვნილი ბზესავით მოსდის!.. რომ მქონდეს ეხლა ერთი გუდა ბაჯაღლოები... კარგი, გეყოფა! შენ მხოლოდ ნატრობ, მათ უკვე უძევსთ თეთრით სავსე გუდა გუდაზედ.

ცუდსაც ფიქრობდა; ძირს დაწევას დაფინეს სახლის, რაიმ მიზეზით განქარვებას მათ კეთილყოფის. არ მოსწონდა ესეთი ფიქრი. თავის თავსვე უწყრებოდა შავ ოცნებისთვის.

— დაწყნარდი, ბიჭო! სხვა მონახე დარი, ყადარი; — ჯრჩევდა თავსა.

მაგრამ უბედურს კარგი რჩევა ვეღარ ესმოდა. და დაღიოდა ახალგაზრდა გულჩათხრობილი.

დიდი ზამთარი იყო. ადრე აცივდა, დაიწყო თოვლი, ბოლომდისინ არ შეწყვეტილა. ნამქერები, თოვლის ზვინები.

— ტყე ტოტებამდინ დაზვეპილა გაყინულ თოვლით.

— ველარ ეტევა მწვერვალებზედ თუ ფერდობებზედ; ზვავებად ცვივა. მეტისმეტი წყალდიდობა სალოდნელია, თუ უეცრად დაუდგა ლეღი.

გვიან გაზაფხულდა. მზე შეუმჩნევლად ცის კამარას თავს მოჰქცეოდა. გაზაფხულის თბილი წვიმა უწყვეტ ღვარებად. მყის გატყდა თოვლი, ჩაიზნიქა, მთლადაც გადღლოვდა. ხევღრანტები ალიცლიცდნენ მქუხარ ღვარებად. აფუვდა მტკვარი. საათობით იზრდებოდა, ძლიერდებოდა. გაიმართა ვაჟკაცურად მტკვრის ვაჟიშვილი: აიზვირთა, აიქოჩრა, აბობოქრდა.

— ავლაბრის ხიდებს მტკვარმა წყალი შეაჩქაფუნა.

— რომ მოვდიოდი, ორივე ხიდს ჯაჭვით აბამდნენ: საშიშია, გაიტაცებსო.

— წავიდეთ, ვნახოთ!

გარუთუბნის მტკვარიც ღელავდა. ხიდის ბურჯებს თავამდისინ ზვირთებს უწევდა. ასწვდა ფანჯარებს, სარდაფები წყალით გაავსო. მთელი ხალხი მტკვრის სამზერად გადმომდგარიყო. მდინარის პირას მოსულიყო გარეთუბანი. ზოგი სეირს უყურებდა, სხვა მუშაობდა. რთველი იყო ღარიბ ხალხისთვის: მათთვის წყალი ზამთრის შეშას ეზიდებოდა. ტივის ხეები, მთელი ნერგები, კუნძები თუ ნალეწი ტოტი. ათამაშებდა მოტაცებულ ხე-ტყის სიმრავლეს. იჭერდნენ ხეებს. იქვე ჰკაფავდნენ; გაჰქონდათ ცალკე: გაიყოფდა მერმე ძმურად ყველა მშრომელი.

მუშაკთა შორის პირველობდა უშანგ ჭაბუკი. დაჰვიწყებოდა მტკვრის პირს გაზრდილს სამსახური, მოვალეობა. ფეხშიშველა, მუხლებამდის კარწახებული მღელვარე წყალში. გრძელი თოკით კავს ესროდა, ნარიყს იჭერდა. მთელი ხროვა წვრილფეხობის ზურგს უმაგრებდა: ჰკაფავდნენ, სჭრიდნენ, ათრევდნენ მაღლა.

— ტივის ხეები აქვე დააბით: ჯერ იმისთვის ვისა სცალიან?!

— დაასხიპე ტოტები ამ ხეს, გადაათრიეთ: გზა ჩაგვიხერგა.

ბუჩქაძიანი აივანზედ გადმომდგარიყვნენ. იქვე დაფინეც ჭრელ კაბაში გამოწყობილი. ჩაშლილი თმები წითელ ბაბთით ძნად შეკონილი.

— გაფრთხილდი, უშანგ! ჰხედავ, ტალღა მაღლა იწევს: არ ჩაგითრიოს.

— რას დააკლებს, თუნდ ჩაიტანოს?! კალმახივით დაცურავს კაცი.

— წყალი, ვიცი, არ აშინებს; მაინც ძნელია: ხეებს აქანებს; შეიძლება, დააჯახოს; დააზარალებს.

გაბედულად იბრძოდა ვაჟი, თითქოს თავხედად: თვითყვარებას გაეტანა მთელი ხალხის თვალთ წინ. ახლა დაფინე...

დაჰკიოდა შვილს სალომე, უჯავრდებოდა. ვისღა ესმოდა?! იყვნენ იქვე სხვა ჭაბუკნიც, ებრძოდნენ წყალსა. უშანგის გვერდზედ იჩრდილებოდა იმათი სახე.

— ფრთხილად, უშანგი: მეტად ცოფდება.

— ერთიც ვნახოთ, მოითხოვა თავისი მსხვერპლი.

— რას ამბობ, კაცო?!

— ჯვარი სწერია!

11

— ვაიმე!.. — კივილი მკვეთრი გამოისმა ბუჩქაძიანთგან და მოჰყვა ზედ განწირული რამ ღრიალი შეუწყვეტელი. არეულობა. მზერა. სირბილი.

— დაფინე წყალში!..

— მიეშველენით!

— ჰარიქათ, ბიჭო!

შეძრწუნდა უშანგ. დაინახა რაღაც ჭრელად ზვირთთა ტრიალში. იძრო პერანგი. გადაეშვა გიჟ მდინარეში.

— უშანგ! უშანგი! — გაჰკიოდა დედა სალომე.

შეკრა ვაჟმა ყაინარი და წავიდა ტრიალ-ბზრიალით. გადაბრუნდა, მკლავნი გაშალნა. ებრძოდა შმაგს ბუმბერაზი ნათელთა შვილი. მიდიოდა, მიაპობდა, მიისწრაფოდა. გაჩნდა ძნელ ადგილს. ჩაახეთქა ზვირთმა ქალი, ზედ გადუარა.

— ეჰე, დასძირა!

— დააყურყუმა!

— ჩაითრია თვისი მსხვერპლი გაცოფებულმა...

— დახეთ, ისევ ამოისროლა!

აღქაფებულ ზვირთ ფაფარზედ გამოჩნდა გვამი. მძლავრი მოსმა მიმცურავისა. დასწვდა კბილით ქალის ქოჩორს წყალზედ გაფენილს.

— ორივე ჩანთქა!

— საცოდავები...

იქვე ქვევით ისევ ამოჩნდნენ. ქვეშ მოჰქცეოდა მხართ უქან მარცხნივ გადაეგდო წყალწაღებული.

— ორივ ხელი თავისუფალი!

— თმებით უჭირავს.

— ყოჩაღ, ვაჟკაცო!

მის ქმედობას აზრი შეაჩნდა; ყოველივე მოძრაობა კარგად გათვლილი. ქეშად წავიდა: უმიზნებდა სახლებ ქვევით ღია ჩასავალს.

— ღმერთო, უშველე!

— მიაღწევს ნაპირს!

— ვაჰ, უბედურნო!

მომსხვრეულ წიფელს დიდი სისწრაფით მიაქანებდა. ჯანჯღლიან ხეს შუბებივით გაეწოდნა ღეროს ძარღვები. უმიზნებდა ვაჟკაცს მიმცურავს.

— დაჰგლეჯს, დაჰფლეთავს!

ჭაბუკს უკვე შეენიშნა ეს განსაცდელი. გეზი შეცვალა, იბრუნა პირი წამოსულ ხისკენ. მოჰკრა მარჯვენა; ტოტებმაღა გაუშხაპუნეს.

— მიაღწია! მიაღწია!

— მივიდა ნაპირს.

დაჰკრა ფეხი მკვიდრ ნიადაგს, ზე აიმართა. გადასცა ტვირთი. ერთს მეყს შეფერხდა.

— ჯერ ცოცხალია!

— ძირს არ დაუშვათ!

— დაჰკიდეთ თავქვე!

სანატრელ ხმებს ჰკრეფდა სმენა ვაჟკაცისა. ხმელს არ გავიდა. შეჰყვა მდინარეს. ხან კედელ-კედელ მიდიოდა, ხან მიცურავდა. დასწუნარებოდა ვაჟს შმაგი წყალი: დამძლევ ბუმბერაზს ჰკოცნიდა ეხლა, პირისპირი შეჰიდება ძმობით გათავდა.

გააღწია უშანგ თავის ადგილას. მოეჭდო დედა!

— რომ მღუპავდი, რასა ჰფიქრობდი?!

— წადი, დედიჯან, მიეშველე ჩქარა დაფინეს!

სწრაფად ჩაიცვა. გავიდა სახლით. აღმა ჰქნა პირი. მიისწრაფოდა.

— ექიმთან მირბის.

— უშანგ, უშანგი! მოიყვანეს უკვე ექიმი.

— აღარ რა უჭირს!..

12

გაიტაცა ვაჟკაცი სულმა მღელვარემ. დაჰკვლია გზა მთაწმინდისაკენ. მიისწრაფოდა. გულში აღარ ეტეოდა მას სიხარული: ნათელ ჭულად შეკუმშული სუნთქვას ართმევდა. უნდოდა ეთქვა, ვერრას იტყოდა: ვერ თავსდებოდა სიტყვის კანში მის შენაგრძნობი. ავიდა მაღლა. ხარხარებდა დახელთილი, ხტოდა, ცეკვავდა. ზევიდან ლოდებს აგორებდა, სალებს სტყორცნიდა. როგორც იყო დაიოკა თავისი თავი.

მზე ჩადიოდა, როცა გამოჩნდა. გადაეგება მედუქნე კაკულ ხელადით ღვინო. თეფშზედ ჭიქები.

— დადექი, უშანგ!

— გმადლობ, კაკული!

— აიღე, ძმაო!.. ეს იმ ვაჟკაცის სადღეგრძელო, სხვის გულისთვის თავს რომ გასწირავს!..

— აგერ უშანგი!

მიეგებნენ. ულოცავდნენ. წამოიყვანეს. ჰკოცნიდა ყველა.

— რამდენს გეძებდით!

შევიდნენ. დასხდნენ.

— მოდიან! მოდიან!

— აგერ, შვილო, ბუჩქაძიანი!

— შენი დაფინე!

მკლავგაყრილი მოსდევდა დედას. მამა ცოლ-შვილს წინ მოუძღოდა.

— უშანგო, შვილო! შენითა ვართ დღეს ცოცხალნი და ბედნიერნი, — მიჰმართა კაცმა

და მოეხვია.

— მოდი, შვილო, გადაგკოცნო, ჩემო სიცოცხლე! სიკვდილს პირიდან შენ წაჰგლიჯე საწყალი ქალი.

მოეხვია, გადაჰკოცნა, ვით შვილი ტკბილი.

— აი, შვილო საყვარელო, შენი დაფინე!

მივიდა ქალი, თითონ აკოცა. გადაეჭვდნენ სატურფალნი, ვით სუროები.

— ახ, შენ არ იცი, რა ნიშნობა გაგვიმართეს გარეთუბნელებს...

უვიწყარი სხვაც ამბები მტკვრის ვაჟის გრძელ ცხოვრებაში და მიცვლილიყო ტურფა მდინარე! ძალოვანი მდინარეც კი სიკვდილის შვილი?! იქნება მთანიც, მტკიცე კლდენიც სიკვდილს ელიან?!

— ოღონდაც!

— ქვეყანაზედ ყოველივე სიკვდილს ჰმორჩილებს?

— თითონ ქვეყანაც!

— თვით სამყაროც მოსპობას ელის?!

— მიცვალებას ჟამთ დასასრულში.

— და აღარც დარჩეს არა რაი ღვთის ქმნილებიდან?

— ყოველივე მიიცვალოს და ისევ იშვას!

— მოკვდეს და აღსდგეს?!

— მიიცვალოს და კვლავ განახლდეს თანისთანად ნათელქმნილი, სიკეთით სავსე.

— და როდემდისინ?

— სამუდამოდ მოსპობამდინ ბნელ-ბოროტისა...

კარგ რასმე იტყოდა ხმა იდუმალი. მაინც გული მიჭკნებოდა აწმყოს მზერით: მტკვრის ვაჟის საფლავს დავყურებდი ვერანებულსა. წუმპეებად გაბნეული მწვირთა ნაჟური. ღორთ სანავარდო. ღორღი. ნაგავი. ბინძურობა. სიმყრალე ძნელი...

დამძლია სევდამ, გამარინდა: შებინდდა ცნობა.

...მტვერი ძლიერი. ურემთ სიმრავლე დატვირთული ნასუჭი მიწით. აივსო ხევი. მუშაკები გრძელ ფოცხებით, ბარით, თოხებით კვალავდნენ, სთესდნენ, რგავდნენ თუ რწყავდნენ. გარეშემო მწკრივდებოდნენ ალვის ხეები. ძვირფას ხეხილით, ყვავილნარით აივსებოდა. თალარები, ტკეცილი გზები. იღიმებოდნენ ყვავილები, იფურჩქნებოდნენ. ეს ანანოა ჩვილგულიანი. აგერ ნანინო თმა დაგრუზული. მანანო არის მეტად მკაცრი, მაინც სანდომი. ლიზა, ლიზიკო! ელმეცრივ მიმზერს. ნაძვი ძლიერი, სარო მწყაზარი: დაფინე, უშანგ, სიყვარულით უმზერენ ერთურთს, უალერსებენ.

1927 წ.

დედის ხელი

1

გამთავნებული ოჯახი დოვლათით სავსე. ოთხი ვაჟკაცი ცოლშვილიანი. დედ-მამა ისევ ცოცხალი. მრავლადა ჰყვანდათ ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენები. მარილის ქვები კედლად აგებული. კერის თავზედ შაშხად ფეშხოები, ცხვრის დუმები ხარიხოებზედ. საკიდელზედ მარად დიდი ქვაბი საჭმლის სახარშად, ხანხან სიპის ფიცარი მაჭკატელებისა, თუ სხვა ცოვეულობის მოსაწვავ-გამოსაცხობად. ცეცხლთან მიფიცხებული კეცებით ხმიადები, ხავიწიანი ქადები. გოდრები, კოდები, საცალოები სვილით, ასლით, ფეტვით თუ სხვა მარცვლეულობით. ერბო-ყველით თავმობმული კასრები თუ ქილები. რძით მოპილთავებული ხონები არაჟნის წასახდელად. შინ ხდიდნენ არაყს, სწურავდნენ ლუდს. სასმელით სავსე ქინთები თუ გოზაურები.

მყინვარ ზამთარს ზურგმაგრა შეხვდებოდა ბალიაურის მტკიცე ოჯახი. კერაზედ წადებული სათარი კარებამდინ უწევდა ბოლოს. ზედ მიყრილი ზეხმელის ნახეთქები. გუგუნებდა ცეცხლი. ბოლი ვერ ეტეოდა საკომიდან, ღრუბელივით დატრიალებდა ჩამოწოლილი. კიდევ კარგი, ქასდარამდინ არ ეშვებოდა, თორემ თვალების დამწუხვა დასჭირდებოდა შეჩვეულსაც. ლასტებს იქით საქონლის მიდგომ-მოდგომისა თუ ცოხნის ხმაური. ბევრი იყო სოფელ ღულში გაკეთებული ოჯახი, მანგიურის კერისთანა — ვერც ერთი.

ირევოდნენ ქალნი თუ ვაჟნი, მოზრდილები თუ მოზარდები. უცხო თვალს სტუმრეულობა ეგონებოდა. დააკვირდებოდა, ჰნახავდა, განსაზღვრულ საქმეს აკეთებდა ყველა, მისდამი მიჩემებულ საკეთს.

ცხვარს დაჰკლავდნენ სადილად. დიასახლისს მარჯვედ უნ-

და გაერიგებინა, რომ ჰყოფნოდა ჯალაბს და სტუმარს. გაუკვირდებოდათ: უცხო არ შესწრებოდათ ჭამა-სმის დროს. არყით სავსე ქინთი დაიფუქებოდა. ტაბლა ისე არ ალაგდებოდა, ფანდურს არ ესიამოვნებინა ჭამად შეყრილნი. იტყოდნენ საგმიროს, საარშიყოს, გონის გასაწვრთნელს:

ნეტავ რა გიქნავს, ჭაბუკო, სახელ რა მოგიტანია?
მტერი როს მოჰკალ ვაჟკაცი, ხელი როს მოგიტანია?

სტუმარო, სტუმრისა მზესა, უსტუმროდ არა ლხინია;
უსტუმროდ პური, სასმელი მწარე არს, არა ტკბილია!

კაი ყრმა ხმალსა ჩაჰხედავს, ნეტავ გამიჭრის, თუ არა;
ცუდი ყრმა-ქალის უბესა: ნეტავ შემიხვევს, თუ არა!

ხანხან შუშპარიც. ზოგი ხლტებოდა, ფრინავდა, მერცხალივითა სხლტებოდა; სხვა...

ჰო:

თამაშობა შუშპარია, თორემ ბრაციბრუცი თხამაც იცის.

ე

— ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენს მოწყალებას! — იტყოდა პაპა მანგიური

და შეიძვრებოდა წამოსადგომად. წამოიშლებოდნენ. დიაცნი სუფრას აუმატებდნენ. ყველა თავის საქმეს დაადგებოდა. უკლებლივ უნდა შეესრულებინათ დავალებული, რომ ნაწილ-ნაწილ ნაკეთებს საღამოზე მკაფიო ჰაზრი დასჩენოდა, ოჯახისთვის სასიკეთო მთლიანი სახე. პაპა-ბებიას შრომა ალარ შეეძლოთ, თვალყურის დევნება კი მათი ვალი იყო, დაკვირვებულ-გამოცდილებისა.

— რას ასწრაფებ, გაგავ, მაგ ნაჯახს?! მოზომილად დაჰკარ სათარს, აუჩქარებლივ, რომ მეტს ხანს შეგრჩეს ხელ-მხარი, — იტყოდა პაპა,

თუ შენიშნავდა, რომ ახალგაზრდა აჩქარებით აწყდებოდა დღიურ საზრუნველს. ძროხების მოვლა, მათი მოწველვა, რძის ღალის კეთება დედაკაცთა საზრუნველი იყო. მათი შრომით არ უნდა მოჰკლებოდა ოჯახს ერბო-ყველი თუ ხაჭო-კალტი და იმე კარგი, სხვების ნაკეთებს არ ჩამორჩენოდა. თუ არა,

წააყვედრებდნენ მეზობლები, თქვენი წველა-დღეება უბარაქოა, ვერც ატყვია მარჯვე მარჯვენაო.

დღეს ძროხების მოვლა-მოწველვა გულთამზეს შეჰხვდა. ადგა ალიონზედ. გაემართა ბაკისკენ საწველელით ხელში. შემოჰზმუვლეს ფურებმა, ზოგმა ხელმკლავი აულოკა: თუ მოუალერსეს. დაწველა. კასრები დაავსო. საურველი გადაუსვა საქონელს, რომ არვის ეთქვა, მანგიურიანთ ქალმა მწვირიანი ძროხები გამოურეკავო მწყემსს. გარეკა. ჩააბარა. დააბინავა რძე. ისევ დაბრუნდა ბაკში. დახვეტ-დაგავა. მიხურა ლასტას კარი, შეუდგა თავის თავის მოვლას.

ჩამოიშალა თმა. იწყო ჯალჯის ჩამოგება. ვერ უვლიდა სიხშირეს კბილი. ასველებდა ხის სავარცხელს ძროხის შარდში, რომელი იქვე ედგა ნატეხრით. მთლად გაება სავარცხელი წეწილ ბარდებში. გამწარდა ქალი.

— შენამც დამლევიხარ, პატრონ შავო! — შეუტია თმას

და გაბედვით ჩამოსწია სავარცხელი. ვერ გაგლიჯა ტევრები, ვერ გაატანა ბოლომდინ.

— შევიკრეჭ! რად არ შეიძლება?! ჩემი ტოლ-სწორნი ჯერ ისევ თმაშეკვერცხილნი დადიან, საშუბლე წაკრულნი.

თითონვე დაენანა ბუნებრივი თვისი სამკაული. მოიკრიბა მოთმინება, ნელ-ნელა იწყო ვარცხნა. დაფარა თმამ ქალის სახე, ბეჭნი, გულ-მკერდი. ტევრებს შუა აჩნდებოდა ფიფქის კისერი თუ ყელ-ყური შეფენილი ვარდის ფურცლებით. საკინძე ჩამოეხსნა. გამოსჭვივოდნენ მძლავრი მკერდი და ზედ ბორცვები. ჩამოიგო თმა. სითხეს წიწანით იღებდა ნატეხარიდან. ნალექი არ შეემღვრია, მეტად ფრთხილობდა.

— თუ შეიმღვრა, თმას ნავლად გადაედება, ვეღარ აკუვალ ვარცხნას, — გაიფიქრა ქალმა

და უმატა სიფრთხილეს, დაეღალა ხელი.

— აბა თუ ჩამოვიდეს დაწყევლილი! ამოგლეჯილის ალაგას ორი ამოდის...

უბრალო წყალით დაბანის ნებას არ აძლევდა ბებია:

— ქერტლით აივსება თავი, თმას ბუდიდან დასძრავს, ძირს დასცემს; ეგეთი წყალი სიჩხინტეს უნახავს თმის ძირებს, თვითონ თმასაც ჰპოხავს, არ ახმობს, მძოვარას არ უჩენს.

ორივ ხელით ასწია თმა გადასაფენად. შემოესმა ხმა.

— ქალო, გულთამზე, შინ თუ არის შენი ძმა თორღვა?

გახედა ქალმა. მკლავნი დარჩნენ აღმართულნი თეთრ მარმარილოდ. აუყვავდნენ ყაყაჩონი მწყაზარ ღაწვებზედ. ხმა ველარ გასცა: ბგერათა დენას სავალს უხშობდა შეკრული ყელი. ენა ტყვიად გარდაქმნილი აღარ იძროდა.

— არ აჩქამდები?! იმასა გკითხავ, შინ თუ არის რომელიმე ვაჟკაცი სახლის.

გონს მოეგო ქალი შემკრთალი.

— უშიშავ, შენა? შინ არიან. შევატყობინებ.

დაძახება აღარ დასჭირდა: გამოისმა კარის ჭრიალი. შეჰსმენოდათ შინაურებს სტუმრის ძახილი. დიდად საპატიო სტუმარი იყო ჭაბუკი ყველა ოჯახისთვის. პირველი ვაჟკაცი ხევსურეთში. უძინებელი მტერი ქისტების. ჯერ ისევ პატარას მოუკლეს მამა. აიღო სისხლი: შეეტყუა ქისტთა სოფელს, მოკლა დუშმანი. გამოიქცა. მას აქეთ იყო, მოსაკლავად სდევნიდნენ მას. თვითონაც იმის ფიქრშიღა იყო, მეტი მტერი წაემძღვარებინა შავეთისაკენ. დახელოვნდა ბრძოლაში. ველარ მოეხერხებინა მტერს მისი მოსწრობა, დამორჩილება. იყო შემთხვევები, როცა მტერი პირდაპირ შეხვდებოდა მას. ვერ უმარჯვდებოდათ: მეტად ძლიერი იყო, მარჯვე, მოქნილი. ფოლადის ნახეთქს ედრებოდა ლაღად აღზრდილი.

— მკერდზედ ჯადო აკერია და იგი ჰფარავს.

— ხელდასხმულია გუდანისაგან, სავაჟკაცოდ წარმოგზავნილი.

ქალს ეძებდა ასაკმოსული. არა, აღარ დაეძებდა: ნაპოვნი ჰყვანდა გულთამზე, მას ეტრფოდა ჯერეთ შორიდან. ეფიქრებოდა:

— თუ არ მომცეს თვისი ქალი დიდმა ოჯახმა ვიღაცა ეულს, კარგამოკეტილს...

ესეც არაფერი: მოიტაცებდა. მაგრამ... თვით ქალისა ეშინოდა უშიშ მზე-ჭაბუკს.

— არ მეკარება. მიფრთხის ძალიან. შეკრთა ეხლაც, ხმა ველარ გამცა. მოვიტაცებ! არა! თავს მოიკლავს, თუ არ ვუნდივარ.

— კარგო ქალო, რად მერიდები? იმას თუ იტყვი: მტერთან მძლავრი, ვაჰ, თუ შინაც ცივი იყოს, დაუნდობელი.

უნდოდა ეგრძნობინებინა, როგორ უყვარდა.

— რად ვიქნები უდიერი, ქალო, მე შენთან?! ნუ გეშინიან! ყამარის ხატად მიმაჩნიხარ სათაყვანები. როს ვლოცულობ მზეს ამომავალს, შენ გევედრები. დამინახავს შენი სახე იმის სხივებში, ნათელი რამ ხარ, პირიმზეს ჰგევხარ. ხომ მისმენ, ქალო? თუ გიგრძნობს გული? ვერ შეგელევი!

კარებისკენ ეჭირა თვალი: აი, ეხლა შემოვაო ქალი გულთაძმზე. იგვიანებდა, უთმენელ ვაჟს წამი ჟამად ეჩვენებოდა.

— რა გაშინებს?! ხევსურეთის თვალი ვაჟკაცი გვწვევია და შენ ხელზე არ ემსახურები! — ეტყოდა დედა.

— მამის სისხლი ადრევე აიღე. სხვებიც ხომ ბევრი გაუგზავნე შავეთისაკენ. კმაყოფილი იქნება იქ იმისი სული, — ეტყოდა სტუმარს მანგიური.

— კიდევ ბევრს გავუგზავნი, გუდანის მადლმა!

მოართვა ქალმა ყანწით არაყი, დალია. უქო სასმელი.

— თუ მოგასწრეს, არ დაგინდობენ: ბევრი სისხლი გმართებს იმათი. სიფრთხილე გინდა.

— ყველა ხევსურს სიფრთხილე სჭირია!

ბევრი უალერსეს, შეაპატიჟეს. ფრთხილად სჭამდა. სულ ორიოდ ყანწი არაყი.

— ჩვენს კაცს მოჭარბებული ჭამა-სმა არ არგებს: შეაჯიმებს.

4

ტყუილად ეფიქრებოდა: ვაჰ, თუ ქალმა უარყოფით შემომხედოსო. არ იცოდა: ქალს ჯერ არ ენახა ჭაბუკი, როცა მისმა საგმირო ამბებმა გული დაუბეს მას.

— ხევსურეთის დიდებაა უშიშა. იმისთანა ვაჟკაცს დედა ველარ გამოზრდის. ნეტავი იმ ქალს, ვისიც პატრონი შეიქმნება ის, — იტყოდა მეფანდურე აპარეკა.

ქალი თავის აღგზნებულ ოცნებაში მებრძოლ რამ ხატად წარმოიდგენდა ჭაბუკს და მრთელის არსებით მიისწრაფოდა მისკენ. შემდეგ ხახმატში ნახა ვაჟი ხატობას და დარწმუნდა მართალი ყოფილიყო ნათქვამი ქება. ორჯელ სამჯერ მოჰყვა

ქალი მის თვალთაგან ნასროლ ბუნჯგლებში და აეწვა სახე ცუ ტანი. აღარ განელდა იგი ცეცხლი მის არსებაში! ვის გაუმხელდა?! ჯერ ისევ პატარა იყო, ძლივს შეღერებული. ვერ გაეარშიყებოდა თუნდაც შორიდან, ვერ აეტოლებოდა უკვე სასძლოდ მომზადებულებს. ეხლა პირისპირ ნახა ვაჟკაცი. მისმა იერმა ელვასავით დაუარა სულში, აღაგზნო იგი. კვდებოდა ქალი, გული მისთვის ეწურებოდა.

— რა იცის, რომ დამწველ ცეცხლად დამესხნეს გულს მის თვალთ ჟინჟღილნი!

უხილავი ნაღვერდალი ვეღარ ქრებოდა; სწვავდა, სტანჯავდა.

— მომახლებოდი! მე, ბეჩავმა, ვერ შევიგრძენი. ქაჯის ბახით თუ გეჩვენე თმააჩეჩილი.

— რომ იცოდე, როგორ ჰშვენოდი! ვეღარ შევსძელი განწ გადგომა, თვალის მოწყვეტა. აგეჩქამე. შეგირყიე განმარტოება; დავარღვიე წესი ვაჟკაცთა.

— მე ისე მეგონა, არრად ჩამაგდე.

— ვეღარ შევსძელი! თუ მოიტანე საიდუმლო ჩემზედ რამ ძალა?!

— მე ვერ გხედავდი.

— მაინც მხედავ! მიზიდავდი საბედისწეროდ.

— მზე ჭაბუკო, რა კარგი რამ ხარ: მთის დიდება მარჯვენით დაგაქვს.

— თუ მოგეწონე ტლუ ვაჟკაცი, ქალო ძვირფასო?! ხევსურთა მტრებთან აწ ვიბრძოლო შენის სახელით!

უკვე იყო ჟამი წასვლისა. გამოეთხოვა. კიდევ ყოყმანობდა: არ ეთმობოდა.

— თუ რის თქმა უნდა და ვერა ჰბედავს, — გაიფიქრა მასპინძელმა

და ქვექვე უწყო წვევა.

— სჩქარობ, ვაჟკაცო! წელანაც გითხარი, დარჩი ამაღამ. სახლისათვის სასიამო ხარ. მოგიწვევ ხალხსა.

— წავალ!

— დამემდურებიან, რად არ შეგვატყობინე, არ გვიჩვენეო. ჩვენც დავპატიჟებდითო.

— განახამთ კიდევ და... მივხედავ ეხლა ჩემს დედას.

— რა გაუჭირდება უშენოდ?!

— არც რა! კარგი სოფელია, გამტანი,

შედგა ეზოში. გასინჯა თითეულად ყველა იარაღი. უფრო მაგრა მოირტყა სარტყელი:

— კარგი პატრონი ყოფილხარ საჭურველისა. მით უფრო გშვენის.

— ამაზედ ვარ დანდობილი: არ ეღალატება!

— გულთამზე! საკართანო მოართვი სტუმარს.

— წელან დავლიე!..

— ის ბჭესთან იყო. ახლა ეზოში.

მოართვეს. დალია.

— აგაშენოსთ. გაგიძლიეროსთ ოჯახი. მშვიდობით!

— მზისამყოლი აგადევნოს გამჩენმა, გამარჯვებით გავლიოს! დაჰკრა კვლავ ქალს შავარდნის თვალი და გაემართა.

5

გასცდა სოფელს. მხნედ მიაბიჯებდა, მაინც შიგადაშიგ უკან იყურებოდა, თუ მიმზერენო. გასცდა ბექობს. მიეფარა სოფელი. ეტკინა გული.

— ერთი კიდევ დავინახო იმ მტრედის ბუდე, — გაიფიქრა და შებრუნდა. შედგა მაღლობზედ. ძირს ჩაფენილი დიდი სოფელი. ნისლის ნაგლეჯებად მოჩანდა აქა-იქ კვამლი. იაზრა ბინა. მოენატრა, ერთი კიდევ დაენახნა გულთამზეს სახე.

— მოიმიზეზე რამე, დაბრუნდი!

— არ შეიძლება! რას იფიქრებენ?!

დაჟინებით გადაჰმზეროდა. ვიღაც ქალი მოდიოდა იმავ ბილიკით. ტვირთი ეკიდა.

— ნეტავ ვინ არი? გუდა თუ ჰკიდია ზურგზედ. არა, ტომარა არის. საფქვავი თუ მოაქვს რამე იმ ღრიჭინაში.

დაკვირვებულმა თვალმა ის მოაჩვენა, ვინც რომ ედგა გონების თვალთ წინ.

— გულთამზესა ჰგავს. მწყობრი მოძრაობა, გათვლილი ნაბიჯი. ბეჩავ, ბიჭო! თუ მოხიბლე იგი ტურფა, უნებლიეთ ვამოიყოლე.

მეტად საამო იყო მისთვის ეს ცნობა. თავს არწმუნებდა:

— სწორედ ის მოდის! მივეშველები, ამოვუტან ტომარას. მივაცილებ წისქვილამდისაც.

ამოჩნდება ქალი მახლობელ დაბლობიდან.

— სულ სხვა ყოფილა!

მიესალმა მომავალს. არ ევარგებოდა, აჰყოლოდა. სხვა გზით წავიდა მთლად დარცხვენილი. ამ ჩვენებამ მაინც გადაადგმევინა გაბედული ნაბიჯი: აღარ შეიძლებოდა, საკუთრად არ ეგულვა ძვირფასი ქალი.

— ჩავალ სახლში. ვეტყვი ჩემს დედას. კაცებს მივუგზავნით. არა მგონია, უარი შემომითვალოს: პატივისცემით მეპყრობოდნენ იქ. მივსცემ, რასაც მთხოვენ ქალის წამოსაყვანში.

ფეხი ააჩქარა: თუ უნდოდა ადრე დაწყება ამ ძნელი საქმის. ისევ შეეჭვდა:

— რომ არ მოგცენ ქალი?

— მოვიტაცებ! გამომყვება: შევატყვე, ვუნდივარ.

მაინც წინანდელსავე ჰაზრს დაადგა, როგორმე დაეთანხმებინა მდიდარი ოჯახი, მოეგო ყველას გული, ლხინით წამოეყვანა ახალი სული, დიდი ქორწილი გადაეხადნა, კერა სიხარულით აენათებინა.

— თუ არ დაგთანხმდნენ? ქალმაც რომ არ დაშალოს მათი ნება? რომ შეგიძულოს, თუ მიჰმართე ძალადობას და მოიტაცე?

ამოიღო დაშნა, ააპრიალა.

— არა სჭრის აქ დაშნა. ველარც ვარგა მკლავი ძლიერი. მოფიქრება უნდა. რამ დაგადუნა, ჩემო გონებავ?! ვერ მირჩევ ვერას ამ გასაჭირში...

გაეღიმა: ახალი ჰაზრი წარმოუდგა თავისებური. გაიმართა წელში. ლაღად წავიდა.

6

გადაიარა ხახმატზედ. გავიდა ხევს ხახაბოსთან. მთა-მთა წავიდა მდინარის მარჯვნივ ანატორისკენ. ვადახედა შატილის არეს. დააპირა წყალს გახდომა, სოფელში ჩასვლა. გადაიფიქრა. შეუდგა მწვერვალებს, მეტად ძნელი სავალი იყო, წავარნაც არსადა სჩანდა. მტრისგან უშიში ადგილები: არ ეცალა მტრის საზვერად, ვერც დიდ სიფრთხილეს გამოიჩენდა: სხვაგანა ჰქრობოდა მისი გონება. ერთი ციცაბო და დაადგებოდა ანა-

ტორის ბილიკს. კლდეზედ რომ მიემართებოდა. შემოესმა შრიალი რამ შორეული. შედგა. შეათვალიერა.

— ჩაშლილი ქვიშის ხმა. ჯიხვნი თუ მიდიან ხევისკენ.

ამოეფარა ლოდს, გამოჩნდა ვაცი. გზას იკვლევდა. რამოდენიმე შუნი უკან.

— ხატმა თუ გამოგზავნა ნადირი ჩემს ბედზედ, დიდება მის მადლს!

გადმოიღო თოფი. თვალით მანძილს ზომავდა. შეიცადა.

— მისწვდება ტყვია! — გაიფიქრა

და მოსხლიტა ჩახმახი. იგრიალა თოფმა. იმავე წამს გაისმა სხვა თოფის ჭექა. გახვრიტა ტყვიამ უშიშას ქუდი, გატუსა ჭოჩორი, კანიც გაჰკენწლა.

— მტერი! — დაიძახა უშიშამ

და გადაფრინდა იქით, სადაც ჯერ არ გაფანტულიყო თოფის კვამლი. ქვიდან ქვაზე ხტებოდა კაცი. დუშმანმა დამბაჩა დაახალა. თუ აჩქარდა: ტყვია უშიშას წინ გაერთხა ქვაზედ. მიჰვარდა ზედ ვაჟკაცი.

— ცაბანი?! დამრჩი, ვერაგო!

— ტყვიას გადურჩი, ხმალს სად წაუხვალ?! — შესძახა ქისტმა

და შორიდან უელვა ხმალი. ვაჟმა მოასწრო ხმალის აკვრა და იქვე ახლო დაუქნია, წარკვეთა მაჯა.

— მე ხომ მომკალი. სად წაუხვალ ჩემ ამხანაგებს?!

აჰყარა იარაღი. მერმეღა მიხედა ჯიხვს. დაგორებულიყო ტყვიანაკრავი. ამოიტანა. მოიკიდა. გაუდგა ეზასა. შეხვდნენ მას სოფლელნი.

— გამარჯობა!

— ნადირი მოგიკლავს, კვლავც ბევრი მოგაკვლევინოს!

— გაგიმარჯოსთ თქვენც!

— იარაღი! ხელი!..

— მტერიც დაგიმორჩილებია!

— ხელმხარი შეგარჩინოს ღმერთმა!

— ცაბანაისა არის მარჯვენაც, იარაღიც.

— ქისტ ცაბანაის?!

— ძმობა გამიწიეთ: ემანდ ღრანტეში გდია ხელმოკვეთილი. მიეშველენით. ნურასღა ავნებთ კარგ ვაჟკაცს.

— ეგრე!

გაუდგა გზას. ჯიხვი — ზურგზედ, ნადავლი იარაღი — იღლიაში, გმირის მარჯვენა — ქამარზედ. ნაჭრევიდან სისხლი შედგა, თმაში შედედდა. რამოდენიმე წვეთი სახეზედ ჩამოღვენთილი. მიდიოდა, მიუხაროდა. მოეგება დედა. მთელი სოფელი გამოეგება, რაკი გაიგეს, რა დიდი გამარჯვება მიენიჭებინა მისთვის ხატს. ფიქრობდა ვაჟი:

— ვერ მხედავს გულთამზე გამარჯვებულს. სისხლს თითონ ჩამომბანდა, ჭრილობას შემიხვევდა... თუ შეშინდებოდა, სისხლიანს რომ დამინახავდა? ძალიან ქალი კია, გუდანის მადლმა!

ხელიდან ხელში გადადიოდა მოჭრილი მარჯვენა, სინჯავდნენ მის ნაქვთს, აგებულობას.

— ისე წაუსხეპია, ძვალი არსად გაუმტვრევია.

— იცის ძლიერმა მარჯვენამ!

— ბეჩავ, ხელო! კარგად იცოდი იარაღის ხმარება. ბევრი ვაჟი წარგიგზავნია ბნელეთისაკენ!

— მარტო უშიშას შეეძლო მისთვის ბრძოლის გასწორება.

— აკი მისი ხელით მოკვდა!

— უშიშავ! თუ გათავდა იქვე ის ქისტი?

— არ ვიცი! მე მისთვის აღარ დამიკრავს. იქნებ სისხლით დაიცალა. ბიჭები შემხვდნენ, გავგზავნე მისაშველებლად.

მოვიდა აბიკა. ექიმი იყო. უებარი წამალი იცოდა ჭრილობისა. მოჰბანა სისხლი, წაჰპარსა თმა. გასინჯა ნატყვიარი.

— ძვალიც გაუკაწრავს. ერთი ბეწვით დაბლა და მოჰკლავდა კაცს.

— ისიც საკვირველია, ცაბანის ტყვია ბეწვზედ ასცდენია: მთელ მთაში განთქმული მეთოფე იყო.

— არ ასცდებოდა! ჩახმახის დაცემისას ოდნავ დაუხრია თავი. ტყვია მით ვერ გაფრენილა ტვინში.

ისე იქეიფა სოფელმა, როგორც ხატობაში. ბევრი დაილია წინწანაქარი. მრავალი წარმოითქვა ხევსურეთის შემნახველ მზეჭაბუკთა სადღეგრძელო. მოიგონეს გარდასული სახელოვანნიც. კარგი სიტყვა სტყორცნეს თვით განთქმულ მტრებსაც.

— კარგი ვაჟკაცი ყოველთვის პატივსადებია, მისი სახელი დაუვიწყარი უნდა დარჩეს.

— დიაღაც!

ზეიმი უშიშას სახლიდან დაიწყო. სიხარულმა მთელი სოფელი შემოიარა. ბევრ ლამაზს აუძგერდა ბრგე ვაჟკაცისათვის გვრიტივით გული. ვაჰ, რომ ვაჟი მათ შორის ვერვის უმზერდა მეტ ნდომის თვალით!

— მთლად გადაეგო თვის ვაჟკაცობას.

— თუ დაივიწყა, რომ ჭაბუკია და ვალად სძევს, ქალთ გვეარშიყოს?!

— მტერი თუ უდგა მარად თვალწინა?

— დუშმანის ლანდი თუ ჩამდგარა ჩვენსა და მის შუა, — იტყოდნენ უკმაყოფილო ქალწულნი.

8

არა, არ დაჰვიწყებოდა ჭაბუკს მზექალანი, არ დახუჭულიყვნენ მისნი თვალნი ლამაზებისათვის. მაგრამ... მათ შორის მხოლოდ ერთს მიეზიდნა მისი არსება: მიექცია მხოლოდ თვისკენ მისი თვალები, უხმო ზახილით მიეპყრო თვისკენ მის სასმენელი და...

აღარავისთვის არ ეცალა კარგ ვაჟკაცს. ნდომის ხედვით ველარავის ხედავდა, ვერც უსმენდა მკვეთრის სმენით სხვას. გულთამზეს დაეჭირა მისი გული. დაემონებინა მისი ნებისყოფა.

— მძლავრი ვაჟკაცი უსწორ-უბადლო მონად ქალისა?!

— ნუ დასძრახავთ დიდებულ ვაჟკაცს! გმირთა-გმირია, სიპის გული მაინც როდი აქვს. ლბილი არის მისი გული გაჰხვალ ცვილივით, მისი გრძნობა, ვით პეპელა, ცინათლეს მისდევს.

— სისხლს ბევრს რომ ანთქ...

— სისხლს მისთვის ანთქვეს, მტერისაგან დაჩაგრული ეპრალვის ხალხი. შეაკვდება ხალხთ მოძულეს ღიმილით პირზედ. ის იცის ღმერთმა, რომ...

— და ის მზექალა თუ ღირსია მაგის ვაჟობის?

— მეტად კარგია! ლამაზი ქალი. სავსე აქვს სულიც ყოველ კეთილით.

— თუ მოსწონს მასაც?

— ეტრფის ვაჟკაცსა, ილევა მისთვის. არ კი იმჩნევს თვის სიყვარულსა, ხმასაც არ იღებს.

— რად არ? რა სირცხვილია ტრფობა მზიურის?!

— ნათელია სიყვარული, ღვთისაგან ნაკურთხი! მაგრამ მორცხვია. ტურფა ქალი, გაუბედავი.

მაინც ცხადათ ალერსობდნენ ვაჟკაცს ქალები. შეეძლო წაწყალი აერჩია მათ შორის. მაგრამ...

— არ შეიძლება! წამს შეიგნობს იქ გულთამზე და ეწყინება. დაიხშობა მაშინ მის გულის კარი.

კეთილად კი ეპყრობოდა ვაჟკაცი ქალთა, უალერსებდა ძმური ალერსით...

მთელი თვე დარჩა სახლში. დადიოდა დაფიქრებული. ატყობდა დედა, რაიმ დარდი ჰქონდა მის ვაჟსა.

— თუ საჩემოა მის გასაჭირი და სათქმელად დაჟამებული, მაინც გამანდობს, — იტყოდა გულში

და ცდილობდა მეტი ესიამოვნებინა მისთვის, გული დაეხვია ოჯახისაკენ. განთქმული ვაჟკაცი არავითარ ზვიადობას არ იჩენდა: მუშაობდა სახლში მუხლჩაუდრეკლად, აკეთებდა თვისსა საკეთებს. ეხმარებოდა დაბეჩავებულთ: ერთს შეშა-ფიჩხს ჩამოუზიდდა, სხვისას საქონს მოუვლიდა... ნანადირევს ჩამოიტანდა მეზობელთაც გასალაღებლად. ფიქრი მაინც არ ჰშორდებოდა მის სახეს, ღრმა რამ საზრუნავი.

გაუძნელდა სახლში ყოფნა: ველარ ეტეოდა კერაზედ. როგორც მისი გული საგულეში.

— დედი, წავალ ჩემს გზაზედ: ხატს ეწყინება ჩემი ამოდენა უქმად ყოფნა.

— უქმად არა ხარ! უშენობა ძნელია ჩემთვის. მაინც მოვალეობა თუ გიწვევს სახლიდან...

— მინდა რამ გკითხო.

— გისმენ!

— ქალს რომ ითხოვს ვაჟი, რა სჯობია მიუტანოს ქალის პატრონებს?

— ჩვენი წესია, საქონელით აათავოს თვისი მოვალეობა. საქონლით ვსცხოვრობთ. იმაზედ კარგს რას შეჰხვდნი მოყვარეს?! თუ სადმე აირჩიე გულისა?

— თუ ქალმა...

— ისეთი სახელი გაქვს, ყველა ოჯახისათვის სასიხარულო ხარ მთაში.

— თუ თვითონ ქალმა არა...

— რას ამბობ, ვაჟო?.. ლამაზი არის?

— თუ მოგწონს დილის ცისკარი?

— ჰაი, ჰაი, მომწონს!

— იმასა ჰგავს!

9

დასტოვა სახლი დაღონებული. არ უთხრა, სად მიდიოდა. თვითონაც ჯერ ვერ იცოდა, საით დაჰკვლევდა გზას. შინ ყოფნისას ერთი აეხატა ცხადად: უნდა წამოეყვანა ის ქალი ნებაყოფლობით, თუნდა ძალით.

— მივგზავნი კაცებს. შევსთხოვ მოყვრობას ჩვენის ადათით. თუ არა... მაგრამ საჭიროა, ჯერ ქალს შევეკითხო, ავიღო მისი დასტური.

ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა ქალის ნახვა ისე, ბუნებრივად სჩვენებოდათ, ეჭვი არავის აეღო. ბევრი მოისაზრა, არც ერთი არ გამოდგა.

— არ სჭრის აქ ხმალი! ხერხი რამ უნდა სხვანაირი. მაგრამ რომელი? ეშმამ თუ იცის! გავგზავნი კაცებს. თუ დამთანხმდნენ, შემომითვლიან. მაგრამ ჯერ ქალი. საჭიროა მოხერხებით იმისი ნახვა. როგორ? როგორ? ვიცი აწ როგორც: ავასრულო წინად ნაგონი, — წარსთქვა ჭაბუკმა.

და თავი მაღლა აიღო, წელში გასწორდა.

— ჩემი სახელის შესაფერი საქმე! საზღაპროდ დავსდებ გულთამზეს წამოყვანას.

ძნელი იყო. მთელი თავისი მოხერხება, ძალა თუ გამჭრიახობა უნდა მოეხმარებინა, რომ მარჯვედ შეესრულებინა განსაზღვრული. მიდიოდა. უწია არხოტის თავს. მთა-მთა იარა. გადახედა ლომეკის ხეობას. ჩავიდა. შეუდგა შემდინარის პირს. სათავე ქისტეთში ჰქონდა. აჰყვა. შევიდა ქისტეთში. გაუჩინარდა. რამდენიმე დღე იმალებოდა ტყეში თუ ლოდებ შუა ჩასაფრებული. იდროვა. უხმოდ ჩახოცა მწყემსები, გამოირეკა საქონელი. მოუდიოდა, ხანჯლის წვერით მოაჩქარებდა.

გვიან შეამჩნიეს ქისტებმა. შეიქმნა განგაში. გაეშურნენ

არხოტისაკენ: ხევსურთ თუ გალალესო საქონელი. აქეთაც უჩვენებდა კვალი: დაფთხალი ცხოველი ზოგი აქათ გამოქცეულიყო. მანამ ქისტნი გორს მოვიდნენ, უშიშა უკვე სამშვიდობოს გავიდა. ბევრი საქონი დავარდა გზა-გზა, ბევრი გადიჩეხა, მაინც საკმაო მოჰყვა ხარი თუ ძროხა. გადმოსჭრა ხევსურთ არაგვის სათავე. ჩამოვიდა ღელეში. მირეკა ნატაცები მანგიურის კარს. გაჰკვირდნენ. ჰკითხეს.

— დავხოცე მწყემსნი, გამოვლალე საქონელი. მოგაბარებ რამოდენიმე დღით.

რას ეტყოდა მასპინძელი! გაურია თავის საქონელში. უშიშაც სტუმრად დარჩა იქ. მოახერხა, გაუმხილა ქალს თვის სურვილი. ჰყვარებოდა ქალსაც. შესწირა ხატს. დაუკლა სამღთო. დაჰპატიჟეს სოფელი. აღტაცებულმა ვაჟმა ვეღარ მოითმინა, დაეცვა წესი ქალის თხოვნისა. მიჰმართა სტუმართ თავისთვისაც მოულოდნელად:

— მისმინე, ხალხო! მომეწონა ჩვენი მასპინძლის ქალი გულთამზე. შევსთხოვ, მომცეს იგი მე ცოლად. რაც საქონი მომირეკია, მთლად მიმიცია მანგიურისთვის!

დუმილი ჩამოვარდა სუფრაზედ. წამოდგა დიდად პატივცემული ბეწიკური. მიჰმართა ხალხს:

— მინდა ვუთხრა ჩვენს სტუმარს!

— სთქვი! შენი სიტყვა ჩვენი გულისნადები არის!

— ჩვენი წესით ეგრე არ შეიძლება დამოყვრება. კაცნი უნდა ამოგერჩივნა, მიგეგზავნა. ისინი გაიგებდნენ ოჯახის თავის ნებას, გამოირკვევდნენ პირობებს; ქალსაც დაეკითხებოდნენ. მაშინ... ეხლა ესე უეცრად ქალის თხოვნა... თუ სხვა იყო, ჩვენგან უარის მეტი არა გეთქმებოდა რა. მაგრამ შენ... ხევსურეთის სიამაყე ხარ. თავისებურად იცი დუშმანთან ბრძოლა. მოყვრობაც თავისებური გცოდნია. სოფელი შენსკენ არის. შენთან ერთად შევთხოვთ მანგიურს; მოგცეს ცოლად ქალი გულთამზე.

წამოდგა მასპინძელი:

— სოფელს და უშიშას სასიკვდინედ გამოემეტნა ჩვენი შვილი, მაშინაც არ დავუჭერდი. სიხარულით მიმიღია სიძედ! მაინც წესია, ქალს დავეკითხნეთ.

გამოიყვანეს. დედას მოჰყვანდა. სხვა დიაცნიც მოსდევდნენ თანა. შეეკითხა ბეწიკური:

— ეს ვაჟკაცი სიყვარულით დაგიბავს, ქალო. თავს მოვიკლაო, თუ არ გამომყვა. იცი შენ, ხევსურეთის მარჯვენაა დღეს ეს ჭაბუკი. სახლის მამა თანახმა არის. შენი სიტყვაა ბედის გადამწყვეტი. თუ უარს არ ხარ, ეს ზეიმი ქორწილად გარდაგვექმნება; თუ არა, შენი ნება არ გატყდება: მრთელი სოფელი შენი ლაშქარია და დარაჯი!

სირცხვილით გაიწურა ქალი. ხმა ველარ ამოიღო. ტკბილად ატირდა სიხარულით აღტაცებული. მაისის წვიმა თუ ეპკურა ვარდს ახლად გახსნილს.

10

ქორწილად გარდაიქმნა ნადიმი, მზეჭაბუკი შეუერთდა მზექალს; სასიხარულო ამბავი იყო ეს, წინდი საუკეთესო ჯილაგის გაგრძობისა.

— კვიცი გვარზედ ხტის. ამათი ნაშენი ისეთივე ძლიერი იქნება და კარგი, როგორნიც თვითონ არიან. გაუმარჯოს მეფე-დედოფალს!

სვამდნენ. თანდათან ქეიფზედ მოდიოდნენ. ფანდური. სიმღერა. შუშპარი. ტაშის ტკრციალი. რამდენიმე დღე იდღესასწაულეს. დადგა ჟამი გასტუმრებისა. შეგროვდნენ შეიარაღებული მყოლნი. შესხდნენ მეფე-დედოფალი. მაყრიონი გაჰს შემოერტყა. დაცალეს თოფები. დაიძრნენ. გზა-გზა, სოფელს რო დაუახლოვდებოდნენ, თოფებს დასცლიდნენ — მოვდივართო. გამოეგებებოდნენ. მოართმევდნენ საჭმელ-სასმელს. დაჰლოცავდნენ. გაჰლევდნენ. ახლა აქედან გაჰყვებოდა მაყრად რამოდენიმე ჭაბუკი.

ჩავიდნენ ანატორს. დიდი სოფელი იყო მაშინ, გალაღებული. გამოეგებნენ. მიაცილეს ოჯახში. დიდი ქორწილი გადაიხადეს. ვალად ედვათ ეს: ამ სოფელს ამშვენებდა ხევსურთა დიდი მტრის მარჯვენა, უძლეველ უშიშასაგან მოტანილი ცაბანის მაჯა.

ჩადგა ჩვეულებრივ სადინელში უშიშას ახალი კერა. ერთგულად ეწეოდნენ არსებობის უღელს. მარადი ზრუნვაა მთის კაცის ყოფა. მწირი ქვეყანა. სასტიკი ჰავა. უვალი გზები; ცხოვრება კი თავისას თხოულობს: სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა,

მტრისა თუ მოკეთის გაძღოლა. ყოველივე ეს უნდა აღმოაცენოს მან სალ კლდეზედ საკუთარ გარჯით, გამჭრიახობით, დიდი მოთმინებით.

უშიშას ახალი კერა ძველ ოჯახებს უნდა დასწორებოდა. დატრიალდა ჯარასავით ვაჟკაცის დედა. შეღავათი აღარ მისცა თავის თავს. ახალქალობა თუ დაუბრუნდა უკვე გატეხილს. აიყოლა რძალიც. კლდიდან რძე ადინა მათმა უწყვეტმა შრომამ. ოჯახის თავიც არვის უთმობდა ნაბიჯს სახლის კუთილდღეობისათვის ბრძოლაში. ტყე, ყანა, საქონელი. მოჰქონდა მის მადლიან მარჯვენას ყოველი სახმარი.

სხვებიც ესეთ უწყვეტ მხნეობით ცხოვრობდნენ. ბალღობიდან იყვნენ შეჩვეული ძნელ ცხოვრებას, მცირედით კმაყოფილებას.

ყველა ოჯახში თითო კოჭობი დუღს: ყველა კერას თავის დარდი აქვს. უშიშაანთ დარდი ის იყო, აგერ ორი წელიწადი გავიდა, ბალღი კი არ ჰყვანდათ მათ. უშვილოდ კერა ვერ დამშვენდება, არსებობის ჰაზრსაც დაჰკარგავს. ხევსურნი ძნელად უყურებენ უნაყოფობას: ეს პირველი მიზეზია ცოლის გაშვებისა. ვალდებულიც არის ვაჟკაცი, ამ შემთხვევაში სხვა ცოლი მოიყვანოს, რომ გვარი არ გადაშენდეს, მეკომურს კერა არ გაუოხრდეს. ეს რომ აგონდებოდა ვაჟკაცს, ელახვრებოდა გული.

— მე გულთამზეს გარდა ქალი არ მომწონებია. როგორ შეიძლება ვიცხოვრო, თუ იგი არ მეყოლება გვერდზედ?! მაგრამ უშვილო რომ გამოდგა, ბალღი რომ არ გვყავს...

შესწირა ხატებს. სხვაც ბევრი აღუთქვა თუ ვერ უსმინეს.

— ყურნი აქვსთ მათ ჩემთვის დახშულნი და თვალნი დამწუხვილნი! ხალხისა და მის ხატთა სასახელოდ ვცხოვრობ, ხატნი კი ჩემთვის არა ზრუნავენ. რასა ჰგავს ეს? — ჯავრობდა გულში.

მაინც თავის ცოლს არრას ეტყოდა, ჯავრიან შუბლს არ უჩვენებდა. ვერც შეეძლო ეს! მეუღლის სახე ისე მოქმედებდა მაზე, როგორც მზის სხივი; ათბობ-ანათებდა. როგორ შეიძლებოდა მის ახლო ყოფილიყო და სიხარული არ ეგრძნო?!

ქალიც მეტად დაეღონებინა ამ უბედობას. სწყევდა იგი თავის ძუძუს, თავის აგებულობას, რომ ვერ შესძლო მან მოეტანა მისთვის ეს უდიდესი სიხარული დიაცისა.

— ვუყვარვარ. მეც უმისოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია. მაგრამ... არ შეიძლება, ვაჟკაცმა ბოლომდინ აიტანოს ეს უბედურობა. სხვას ვისმე მოიყვანს გვარის განმგრძობად და... თავს მოვიკლავ!

ერთი და იგივე სევდა ღრღნიდა ორივეს, ერთმანეთს კი ამაზედ არრას ეტყოდნენ, თავის ვარამს უმალავდნენ ერთიმეორეს.

11

ამ საერთო დარდმა განავითარა ცოლ-ქმარს შორის ერთმანეთის სიბრალული. ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა ოდესმე განშორებოდნენ ერთურთს.

— მაგრამ ბალღი რომ არ გვყავს... რა ძალა აქვს ჩვენ სიყვარულს, თუ ხორცს არ შეისხამს ის, არ იდენს გვარის განგრძობაში?! არ მიიღო ბუნებამ ჩვენი კავშირი!...

სიბრალული აძლიერებდა მათ ტრფიალს და ეს მათი გრძნობა ისახებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცდილობდა ქალი, სახლის საქმე მეტი გაეკეთებინა, რომ ვაჟკაცი ნაკლებად შეწუხებულიყო ზრუნვით. მის ხელთ იყო ძროხების მოვლა-მოწველვა, რძის ღალის გამოყენება, ტანსაცმელის ქსოვნა-შეკერვა, პურის ცხობა, საჭმლის მზადება, წყალის ამოტანა და ათასი სხვა წვრილმანი საქმე საოჯახო. ისიც ენანებოდა, რომ უძლური იყო ზოგ საქეთებში: ტყეში შეშის დამზადება და ჩამოტანა, ხვნა, კალო და ყოველი მძიმე საშრომი. მაინც აქაც ჯანს არა ზოგავდა, მცირე შეღავათს მაინც აძლევდა. არავის არ უნდა ეთქვა:

— ქმარს განაზებია, ქალბატონივითა სცხოვრობს სხვის შრომით. გრძნობდა კაცი ცოლის მისწრაფებას და ცდილობდა, ისე გაეკეთებინა საოჯახო საზრუნველი, გარეშეთ ვერ შეენიშნათ მისი თავდადებული შრომა და შეექოთ ქალი:

— დიასახლისი იმისთანა უნდა, უშიშას რომ ჰყავს! ყველაფერს ასწრობს, თვითონ აკეთებს. მისი ქმარი ბატონკაცივითა სცხოვრობს სახლში.

— თავის ხელით აცმევს და ჰხურავს კაცს. მთელ სოფელში არც ერთს ვაჟკაცს არ აცვია იმისთანა ტალავარი.

— კარგი ქსოვა იცის და ჭრა-კერვა. ტანსაცმელის მორთვაც ეხერხება, ჭრელების ამოკერვა.

— სოფლის დამამშვენებელი ოჯახი შეიქმნება უშიშას სახლი.

— მართალს იტყვი.

— ცხოვრება მაინც არავის ახარებს ყოველმხრივ: ძნელი ჯავრი აწუხებთ იმათაც.

— რა სჭირთ, რას ღონობენ?!

— აგერ სამი წელიწადია და შვილი არა ჰყავთ. თუ ეგრე გაგრძელდა...

გულს აწვათ ახალ მეოჯახეებს ეს სევდა. მაინც არ იმჩნევდნენ: ჰფარავდა ჯერ სიყვარული ამ ნაკლულებას. არა, არ ააშკარავებდნენ საჯაროდ თვის ტრფობას: ქვეყნის თვალში სირცხვილი იქნებოდა იმისთანა გულჩვილობის დაჩენა. ვაჟკაცი ხანდისხან ხმასაც აიმაღლებდა ცოლზედ თუ...

— მოუხერხებელი ხარ, დიაცო! საქმე შენ თვალთ წინ შავდება და ვერა ჰხედავ.

— რა ფუჭდება?!

— ხბო რომ შესჯდომია ძროხას და სწოვს, მოსაწველად რძის ცვარი აღარ დაგრჩება.

დედაკაცი ხმის ამოუღებლად მივიდა, მოსხლიტა ხბო ძუძუდან. იცოდა კაცმა, ბოჩოლა მხოლოდ მოსაგერისებლად იყო მიშვებული და უსამართლო იყო მისი საყვედური. დედაკაციც გრძნობდა, რომ კაცი სხვის გასაგონად ეტყოდა მკვახედ. მისთვის იღებდა უთქმელად საყვედურს. ისიც ხალხის საჩვენებლად იყო, რომ საღამოზედ, როცა დედაკაცი ათას რაზედმე ზრუნავდა ეზოში, ვაჟკაცი საკომთან იჯდა და ყალიონს ეწევოდა. სხვანაირად არ შეიძლებოდა! ვერვის ათქმევინებდა:

— დიაცს გამოჰბმია ნაწნავზედ, ნალოდ ათრევია.

12

უეცრად გატყდა ზამთარი. ჩამოდნა თოვლი. გალხვა ყინული. ახმაურდნენ ხევები: ბარში ჩაჰქონდათ უხვი ნადნობი. შემწვანდა ტყე, მინდორი. გაიხადა ხალხმა ტყავი: შესაძლო შეიქმნა დღე მაინც ჩოხა-ჯუბაში ყოფნა.

უშიშა საკომთან იჯდა. ახალი ტალავარი ეცვა აჭრელებული. ყალიონს ეწეოდა. გულთამზე ეზოში ტრიალებდა:

მილაგება სჭიროდა ყველაფერს ღამისათვის. შემოესმა ქალს ბაყაყის პირველი ყიყინი. გახედა ქმარს. ის არას იმჩნევდა, იჯდა დადინჯებული. თუ არ მისდიოდა ეს გაზაფხულის ხმაურობა.

— მიკვირს! მაგისი მახვილი ყური და... თითქო არ ესმის ჩქამი. ხათრს თუ მინახავს, არ თუ უნდა დამასწროს.

ასეა თქმულება:

— ვინც დაასწრობს მყვარის ხმის გაგონებას, ის დასძლევსო, მისი საქმე უფრო წარმართული იქნებაო იმ წელს.

მართალი იყო ქალი: ვაჟკაცს მიესმა პირველივე ბგერა, მაგრამ არ დაიმჩნია. ქალი ისეც მეტად აღელვებული იყო იმ წუთს: ისეთი სათქმელი ჰქონდა ქმრისათვის, იმაზედ უკეთესს ის ვერასოდეს ვერ მოისმენდა: ვეღარ დაითმინა, შესძახა ქმარს:

— მყვარნი ყიყინებენაო!

— რასა ყიყინებენაო? — მოსცა ხმა ვაჟკაცმა.

— „ქალსა ძუძუ ნუ ასტკივა, ხარსა ქედი, ფურსა ცური“! — დაათავა ქალმა და ნიშანი მოუგო:

— იჰი, გაჯობე! შენზედ ყურმახვილი ვყოფილვარ.

— მაინც შენ ვერ მაჯობებ წლეულს.

— გაჯობებ! ჩამო აქ, ძალიან კარგს რასმე გეტყვი.

— მოშველება თუ გჭირია?

— რა მაქვს საშველი?! ყველაფერი მილაგებულია. ჩამოდი ძირს!

არ აჩქარდა ვაჟკაცი, თუმცა ესწრაფებოდა გაეგო, რა ჰქონდა ცოლს სათქმელი. ბოლოს დაიძრა, ჩავიდა. დედაკაცი მიუახლოვდა, ხელები დააწყო მხრებზედ და ჩასჩურჩულა:

— აკურთხა გამჩენმა ჩვენი ყოფა. ბალღის ათრთოლება ვიგრძენი!

აღელდა კაცი. ვეღარ შესძლო გრძნობათა შეკავება და აკოცა ქალს.

— ნუ! დაგვინახავენ, დაგვძრახავენ, საჯაროდ ეალერსებიანო ერთმანეთს.

ბედნიერი წუთი ცოლ-ქმრისთვის! მოჰშორდათ აწ ის ერთადერთი სევდა, რომელი თანისთან იზრდებოდა მათ კერაზედ და ბოლოს შესძლებდა, ბნელით დაეფარნა კერის უქრობი ცეცხლი, სინათლისა და სითბოს მომცემი.

უფრო გამხნევდა კაცი, ზრომად გარდაიქმნა.

— ვაჟი გამიჩნდება: თუ ვისმე სისხლი დაევალება, ის აიღებს. ჩვენი მომხსენებელი შეიქმნება. შეამსუბუქებს ჩვენს სულს შავეთში, — იტყოდა გულში და სიამით იდიმებოდა.

— გულთამზეგ!

— რაიო?

— ბიჭი გეყოლება. რა გიწდა დავარქვათ?

— თუნდ ქალი იყოს ჯერ, რა ბედენაა? სახლი მაიწც წაკურთი იქნება.

— ვაჟი მოგვეცემა!

— შენი სიტყვისა ხარ! გიორგი დავარქვათ. უკეთესს სახელს რომელს იპოვნი?

— ვერც რომელს, კესანე! მეც ეგ სახელი მეწადა.

13

განქარდა აჩრდილიც დარდისა, რომელი ჩამომდგარიყო ახალ კერაზედ, რომ ჩაექუფრა ცოლ-ქმარის ბედი. ეხლა ბიხარულის სხივი აწათებდა მათ კედელ-კუთხეს. იმასღა ევედრებოდნენ გამჩენელს, კეთილად შეენახა მათი სახლი და შემდეგაც არ მოეკლო თავისი წყალობა.

— შევუკვეთე დურგალს აკვანი!

— მზად არა ჰქონდა?

— ჰქონდა. არ მომეწონა: პატარა იყო, უბრალოდ გაჩორკნილი. მკვიდრს გაგიკეთებთო, სუფთას.

არტახებს ჰკერავდა დიასახლისი. ირმის თასმები თვით უშიშამ გამოსჭრ-გამოქნა. ბუნაგს უმზადებდნენ მემკვიდრეს. ამ სახალისო ზრუნვამ უფრო შეატკბო ცოლ-ქმარი.

მეტად გახალისდა ვაჟკაცი. თუ გაყმაწვილდა?! იწვევდა ტოლ-სწორს, ახალგაზრდებს. ვარჯიშობდა, ჰხარობდა. საჭივარაც კი გამართა კალოზედ. დაასვა მკვიდრი ბოძი. გათალა გრძელი უღელი, გაჭვრიტა შუაში, ჩამოაგო ბოძს. მკერდით დაეკიდებოდნენ უღელს აქეთ-იქიდან. მიწაზედ ფეხის დაკვრით მიაქანებდნენ. რომ გაძლიერდებოდა, ფეხის დაკვრაც აღარ იყო საჭირო: თვითონ ბრუნავდა. მოქონილი იყო ნაჭვრეთიც, ღერძიც, მაინც ჭრიალებდა, ჭრიდა.

საჭივარან ჭიოდიან;
ქალსა ძუძუნ სტკიოდიან...

საკუთარი მისწრაფება მაინც მოსვენებას არ აძლევდა ვაჟკაცს.

— გულთამზევ!

— რა გინდა?

— ბალღის გაჩენამდინ კიდევ ხანია. არ ივარგებს ჩემი უსაქმოდ ჯდომა.

— უსაქმოდ თუ ხარ?!

— სახლის საკეთს ვმუშაობ. ყველანი შრომობენ ესე. საქვეყნო საქმე მთლად დამავიწყდა. რაც შენ მოგიყვანე, ორჯელ-სამჯერ არ ვყოფილვარ ხევსურეთის შემოსავლად. არ ვჩვენებივარ მტერს.

— ხომ იყავი და გამარჯვებულიც დაჰბრუნდი: ქმარა!

— ვიყავი. დამადევნა ხატმა წყალობა: ვაცნობე მტერს. რომ ჯერ არ დაჟანგებულა უშიშას ხმალი, არც მის ხირიმს გაჰმრუდებია მიზანი. მაინც უნდა კვლავ წავიდე!

— რაღა ეხლა, როცა შესამატი მოგელის და შენი ყურადღება უფრო გვიჭირს.

— მართალს უბნობ! მაინც არ მშვენის კერის პირს ჯდომა.

— წადი. კეთილი გზა მოგცეს გამჩენმა, — მიუგო დაღონებულმა.

— ნურის გეშინის! მშვიდობით მოგივალ და გამარჯვებით. სოფელი ზრუნვას არ დაგაკლებს. იცის ხალხმა საჭაბუკოდ გასულის პატივცემა.

ხმა აღარ გასცა ქალმა. ცრემლის საგუბრად გარდაიქმნენ დიდრონი თვალნი.

მაინც კიდევ დარჩა სახლში რამდენსამე ხანს. ააშენა ქოხი ეზოს მივარდნილ კუთხეში, უფრო ახლო — სამრევლო. ქოხის ჭერი საბძელივით მოაწყო საყვავეთი და კავებით. ჩალა დახურა, ლატნებით დაამაგრა. სამრევლოს ბანი მიწური იყო: მისი აღება აღარ ეგულვებოდა.

— გამარჯვება, უშიშავ! რას ჰმუშაობ?

— საქათმეს რასმე ვაგებ და თხა-ცხვრისათვის ცალკე ბუნაგს.

— ხელი მოგიმართოს!

იცოდა ხახონამ, რა საქათმე და თავლა შენდებოდა, მაგრამ არ აგრძნობინა: არ უნდოდა, შეეწითლებინა ვაჟკაცი.

შეისხა იარაღი. წავიდა. დრო იყო, გაეგო დუშმანს, რომ ხევსურთ არ დაჰკლებოდნენ მებრძოლნი, რომელნი ფხიზელ დარაჯად ედგნენ თვის სამკვიდრებელს.

14

კარგა ხანი აღარა ქმნა შინისკენ პირი. არც რამ ცნობა მოაწოდა თითონ. მაინც ისმოდა მისი ვაჟკაცობის ამბები.

— უტეხ ზღუდედ ჩასდგომია უშიშა ხევსურთ: ბევრი მტერი გამოასალმა სიცოცხლეს.

— მოჰკლავენ სადმე.

— ვერა! მეტად მარჯვეა და ფრთხილი. ის არის კარგი. პირად ცოტანი იცნობენ მას.

— ძნელიც არის გაგება, რომ ხევსურია: ისე ამბობს ქისტურს, როგორც ჯიში ქისტი.

დაბრუნდა ვაჟკაცი. ხელცარიელი არ მოსულა: ნადავლი იარაღი, საქონელი. სიხარული ააგზნო უშიშას მშვიდობით მოსვლამ. ულოცავდნენ გამარჯვებას. უხაროდათ. ამაყობდნენ თავიანთ ვაჟკაცით. განა ყველა სოფელს გააჩნდა მაშვენი გმირი! უშიშას სახლიდან დაიწყო წვეულება და გადავიდა სხვა ოჯახებში.

— თვითონ რომ კარგია და ქვეყნის მშველელი, ისიც უნდა ვსთქვათ: ჩვენი ახალგაზრდობა ჰბაძავს მას, ცდილობს პირნათლად ემსახუროს ხალხს.

— იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ უშიშას გარშემო შეიკრიბა ხელგამომავალ ჭაბუკთა ჯგუფი: მისგან სწავლობენ იარაღის ხმარებას და ბრძოლის ხერხებს.

— მთაში ეხლა სხვა სოფელი ვერ წაგვიდგება წინ მზა მეომართა ყოლაში!

— შეუძლიან პირველ მოწოდებაზედვე გამოიყვანოს თვისი რაზმი მტრის დასახვედრად.

— ისიც მომწონს, რომ მათ საწრთნელად ხშირი ნადიროba შემოიღო. სოფლის გარშამო მთაში თუ ტყეში აღარ გაჰბადა დათვი და მგელი. პატარებსაც შეუძლიანთ, ნახირი აძოვონ ტყის პირს. დაშინებული ნადირი ვეღარა ჰბედავს დატანებას. ნადავლი ზოგი შესწირა, სხვა სასოფლოდ დადო.

— მე არ მინდა: თვითონ მოვუვლი ჩემს თავს.

— შენი გარჯილობით გიშოვნია და შენზედ არის ალალი.

— ხატი და სოფელი რომ მლოცავენ, მისთვის არის ხვავიანი ჩემი გარჯა. ბეჩავთ დაურიგეთ!

— კარგი!

აირჩიეს, ვისთვისაც უნდა მიეცათ ნადავლი. უყარეს წილი. მისცეს. ამ ამბავმა ააფრთოვანა სოფელი. ასე დაუწყეს მზერა რჩეულ კაცს, როგორც საკუთარ სახლის შვილს, მაინც ხომ ერთი ოჯახი იყო ხევსურების სოფელი, დიდი კერა მჭიდროდ შეკავშირებულ სახლებისა.

უფრო ძნელი გამოდგა დავლად მოტანილ იარაღის განაწილება. ცოტა არ იყო უიარაღო ახალგაზრდობა და მათში არჩევა უხერხული მოსჩანდა სოფლისთვის.

— შენ უფრო იცნობ შენს მეგობრებს: თვითონ გაანაწილე!

დასთანხმდა. დაფიქრდა.

— რახან მე მანდობთ, მაშ სროლაში შეჯიბრებამ გადასწყვიტოს საკითხი.

— ეგრე!

დანიშნეს დღე. დააცხეს ხმიადები თუ ვაცები. დადგეს ნიშანში. კარგ მსროლელს კარგი იარაღი ერგო, მომდაროს — მდარე. გულში ცუდს ვერავისზედ ჩაიდებდნენ: გარდაწყვიტა მათი ხვედრი მათმავ უნარმა.

15

მოხდილი ჰქონდა აწ ვაჟკაცობის ვალი. ვერ იტყოდა სოფელი:

— უშიშა დიდხანს მოუჯდა დიაცს გვერდზედ, ჭაბუკობა გადაივიწყა.

შეეძლო, დატრიალებულიყო სახლში. კიდეც სჭირდებოდა მისი ხელი ოჯახს. ალარ შეიძლებოდა, წინანდებურად, ვიწროდ ეწარმოებინა სახლი: დღედღეზე ახალი წევრი შეემატებოდა, ახლა კიდევ სხვა, და გულღია უნდა დაჰხვედროდა კერა მომავალ თვის წევრებს!

მუშაობდა, ბინას აახლებდა, მის მოწყობილობას ფართოებდა, მოჰქონდა წნელი, სწნავდა გოდრებს მარცვლეულობისათვის, ჰგოზავდა მათ ფქვილის მოსათავსებლად. ჯინებს, კალათები, კოდები, კასრები. ბაკიც გააახლა. ეზოს. კარმიდამოს

შემოარტყა ახალი ღობე თუ ხარიხოები. ხარისა თუ ცხენის თავებით დასარყა მარგილები და კარჩხები, რომ სიმწარეს ფეხი არ გადაედგა მის ეზო-ყურეში. სხვაც მრავალი საქმე საკეთები. გული მაინც მეტს თხოულობდა.

— ჯერ კიდევ მჯობნიან ძველი ოჯახები. წამოვეწევი დოვლათით და კეთილდღეობით მათ კერებს, ახლა ის ბიჭი წამომეზრდება და...

გაჰხედავდა თავის გულთამზეს. ამაყად გაუღიმებდა. იტყოდა გულში:

— ქალი კი არა, ნათელის ქულაა, ჩემთვის ცისგან გამოგზავნილი!

მოუხდებოდა მიახლოვება, მის მადლიანი სახის დაკოცნა. ჯერ შეიძლებოდა! უცხო თვალი დაინახავდა ალერსს. დასცინებდნენ, ცვილივით თუ დალბილდაო უშიშას გული.

ნაყოფი კი თანდათან ჟამდებოდა, მოსაწყვეტად მოიწეოდა. დადგა უკანასკნელი ჟამი. დედამთილმა შეზიდა ქოხში ბურდო, უხვად დაყარა კედელთან, ზედ ფიჩვი რამ დააგდო, აანთო ჭრაქი. შეიყვანა ქალი ლმობილი. გამოეცალა. სახლშიაც ვეღარ შევიდა; შორიახლო ელოდდა შედეგს. ვაჟკაცი საჩეხიდან ათვალიერებდა. არც ერთს არ შეეძლო მიშველებოდა, ტანჯული გაემხნევებინა, სალმობა სიტყვით მაინც შეემსუბუქებინა. მარტოდმარტო ეწამებოდა ქალი. ბალღის ხმაური. დახედა დედამ. კუჭის მილი გადაუსხიპა ალმას კბილებით. მიუახლოვდა დედამთილი.

— ქალი გყავს, თუ ვაჟი?

— ვაჟი!

ნასროლ ვარდად მოხვდა ვაჟკაცს თქმა. ეტყოდა გული, ორივეს, მიშველებოდეს ავადმყოფს, ხელი აღეპყრათ, რომ შემოხვევით არ დაღუპულიყვნენ ახალი დედა ან მისი შვილი. არ შეიძლებოდა! ჩვეულება მტკიცედ იტყოდა:

— დიაცმა თვითონ უნდა მოუაროს ძნელ წუთში თავსაც და ბალღსაც! თუ იმოდენა გამძლეობა არ ექნებათ ქალს ან მის ბალღს, სჯობს დაიღუპნენ: ჩვენს მკაცრ ქვეყანას, ჩვენს გაჭირებულ ყოფას მთლად ჯანსაღი და ძლიერი მხოლოდ აიტანს!

ქოხიდან სამრევლოში, სამრევლოდან — სახლში დადებუ-

ლი დროს შემდეგ. საღი ბავშვი ეწვათ აკვანში. ხატს შეავედრეს გიორგი. სიხარული ყოველ მხრიდან, ბედნიერება.

— თამამი ბალღი, ეხლა სრული, მომავალში იმედიანი. დაგენაცვლება ვაჟკაცობაში.

— შენ თითონ უნდა ასწავლო იარაღის მოვლა, ხმარება, ყოველი ხერხი ჭაბუკობისა.

უშიშა თითონაც სიხარულით მოელოდა იმ დროს, როცა წამოიზრდებოდა გიორგი და შესაძლო შეიქმნებოდა მისი წვრთნა საგმირო საქმეებში.

— ისე გავზრდი, დამემჯობინოს! ვერ იტყვიან, ანატორელ უშიშას გვარში მზე-ჭაბუკი გამოლეულაო.

— ვერც იტყვის მტერი ვერცროს: ხევსურთ მებრძოლნი დაჰლევიანო, წავიდეთ და წამოვასხათ მათი ცოლ-შვილი, მათი საქონიო!

— ჭეშმარიტს იტყვი, გუდანის მადლმა!

16

მიჰქროდა დრო, მიაქანებდა ცხოვრებას ქუფრი გზებით, ნათელ სავალით. უშიშას სახლი კეთილ კვალით იარებოდა. მისი შრომა ამაოდ არ იღვრებოდა, გარჯილობა მის თვალთვე წინ დოვლათ-სიკეთედ გარდიქმნებოდა.

პატივი ემატებოდა ვაჟკაცს. ჯერ ისევ ახალი ბჭობაში მხცოვანებთან ერთად. უსმენდნენ: ჰკუა რომ დამკვირვებელი ჰქონდა, ბრძოლაში გატარებულ ხანსაც ბევრი გამოცდილება შეეძინა მისთვის. მეტადრე მაშინ შეიქმნა უშიშას კერა საჩინო, როცა ხევსურეთმა დაასახელა მთელი ლაშქრის მოთავედ, სამუდამოდ აირჩია ამ საპასუხისმგებლო ადგილზედ. ბედნიერი! ერთსღა ევედრებოდა გამჩენს: არ შეეჭცივნა მისგან თვისი სახე ნათელი, არ შეეშალნა მისთვის კეთილდღეობა.

არც მოეშლებოდათ მათ კარგი ყოფა, თუ მხოლოდ ის ექმნებოდა საზრუნავი, რა საფიქრიც გაეჩინა ხალხისათვის მათ ქვეყანას. მაგრამ არა, არ ეძინა ბნელ-ბოროტს, შორიდან უვლიდა იგი სამტროდ უშიშას ოჯახს, მთელ ხევსურეთსაც; რომ ერთი დაკვრით დაეჩაგრა ხალხი, გაეცივებინა მათი კერა, გაეოხრებინა აღყვავებული სოფლები.

მოვიდა ხმა:

— ჟამი შემოსულა ბარში, შავი ჭირი უკურნებელი.

— ჰძუსრავსო ხალხსა.

ამ ამბავმა ძალიან ვერ შეაშინა ხევსურნი: ბარის ბევრი ავადობა ფეხს ვერ იკიდებდა მთის წმინდა ჰაერში, მის კლდოვან ნიადაგზედ. მაინც შეიყარნენ ამ ძნელ საქმეზედ საბჭობლად. დაასკვნეს:

— ძლიერ საშიში არ უნდა იყოს ჩვენთვის ის ძნელი ავადობა: ვერც ხორველა, ვერც სხვა სენი დიდ ხანს ვერ ვრცელდება ჩვენში, ვერც დიდ მანძილზედ. აქაური წყალი, ჰავა მალე სპობენ მას. მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს. მოვფინოთ სიტყვა: გაუჭირებლივ არვინ ჩავიდეს ბარში. თუ მეტი ღონე არ იყოს, პირდაპირ სოფელში ნუ შემოვა. ხატში ავიდეს, საღმთო დაუკლას, რამდენსამე დღე დარჩეს იქ. არც ბარელი მოვუშვათ ვინმე გაუსინჯავად.

გახმაურდა ესეთი დადგენილება. ვერ გაიმაგრა ქვეყანა. გაჩნდა ჭირი. ბარისახოდან დაიწყო. მთელ სოფელს მოედო. შემოყვა ხევსურეთის არაგვს. უწყალოდ ხოცდა. სამი-ოთხი დღე ძლივს უძლებდა ავადმყოფი. აჩნდა ღულეში, ხახმატში. მოედო კოშკს, ანატორს. აქ მეტად გაავდა.

მშველელი არვინ იყო. ჭირის წამალი არც ბარში იცოდნენ, აქ ხომ მოვლა და გაფრთხილებაც ვეღარ მოახერხებს. შეძრწუნებულმა ხალხმა ერთსღა მიმართა: განერნენ სოფლებს, მოედვნენ ტყეს თუ კლდეებს. არ უშველა: ავადობა თან სდევდა მათ მავნე სულივით.

შეშინდა უშიშას ოჯახიც. დააპირეს გახიზვნა. მოუცდათ: ეაჩნდა უშიშას ქამი. ხუწუწი რამ ამოუვიდა იღლიაში. გაიზარდა ძირდიდასავით, აელვარდა.

— თავი! ტყვია თუ ჩამრჩა თავში.

— არ გჭირს ნატყვიარი. ბრძოლაც აღარა გქონია მტერთან.

გაიბრძოლა უკანასკნელად.

— მომართვით ტანსაცმელი და იარაღი!

მოუტანა. უშველა ჩაცმა. აასხა იარაღი. დახურა ჩაფხუტი.

— ფარი რად არ მომიტანე?

მოართო. ამოიღო ვაჟკაცმა დაშნა, დააბჯინა წვერით ტახტს, დაეყრდნო ზედა. ბრძოლებზედ უბნობდა, ომებზედ. ჩა-

ეკეცა მუხლები. დააწვინა ქალმა სარეცელზედ. ვაჟკაცურად დალია ვაჟკაცმა სული.

ანატორის ქვევით დიდი მღვიმე კლდეში. ნაპრალები, გვირაბები, ხვრელები. შესავალთან ჩასჩქეფდა წყალი. აკლდამად იყო გარდაქმნილი გამოქვაბული. შეიტანეს შიგ, დაასვენეს. დაბრუნდნენ დაბნელებულნი.

17

ძნად იყვნენ გასახიზნად. ვაჟკაცის სიკვდილის შემდეგ ქალმა უარჰყო ეს აზრი. ურჩიეს, გაჰყოლოდა სოფლიდან მიმავალთ.

— სად წამოვალ ან რისთვის?! ჩემი კაცი აქ მეგულება, ვერ ვიშორებ!

აქამდისინ რომ სიამით სცხოვრობდა უშიშას ოჯახი, ეხლა ტირილი დაენაცვლა სიხარულს; აქამდინ რომ ნათელი აფრქვევდა მას თვის სხივებს, ეხლა ბნელ-ბოროტმა ჩააშავა იგი. მაინც სცხოვრობდნენ. ადამიანს იმედი უციაგებს ბოლომდისინ.

— იქნებ იკმაროს სულთამხუთავმა. ეს ბალღი მაინც არ ჩამიკლას ბეჩავს უბეში!

არ დაინდო შავმა ჟამმა აღარც ისინი. ააჩნდა ბალღს ავადობა. ძნელი წყლული მის დედასაც ამოუვიდა. შავმა სენმა დარია ხელი. აუნათდა ქალს ძნელი ჰაზრი: ჩაიწყო ხმიადები. ჩაიცვა საუკეთესო. მოიკაზმა. აიღო აკვანი.

— სად მიგყავს, ბედშაო, ბალღი?!

— თავის მამასთან! მის გვერდით ვიქნებით.

შევიდა აკლდამაში. უშიშას გვერდზედ გაშალა ფარდაგი. დადგა აკვანი. მოუჯდა გვერდზედ. დასტიროდა. ბალღს მაინც უვლიდა, ძუძუს აწოვებდა. უხმოდღა ტიროდა ბავშვი. მომაკვდავმა დედამ ვეღარ შესძლო ძუძუს მიცემა. გადახვია აკვანში ხელი თავის პატარას ზედ დაალია მომაკვდავ შვილს ნათელი სული.

ბუნებამ თუ შეიბრალა უკანასკნელ წუთში ტანჯული დედა მის მარჯვენას თეთრი ცრემლი თურმე აპკურა. იმისთვის მოხდა. რომ ხრწნილება გულთამზეს ხელს აღარ შეეხო.

— კვლავ თუ მოსჩანს აკლდამაში მადლიანი ხელის ნასახი?

1929 წელს

არმაზის მსხვრევა

1

შუადღე გადასული იყო. იაღლუჯისა და მტკვრის შუა მოსაზღვრე შარაზედ გამოჩდნენ მგზავრები. წინ სამი ცხენოსანი მოდიოდა: ერთი ხანში შესული, მეორე ახალგაზრდა, მათ შუა წვერ-ულვაშ შეღებილი ვაჟკაცი. ეს სპარსი იყო, პირველად მოდიოდა საქართველოში. ცნობისმოყვარებით ათვალიერებდა ყველაფერს, გამოიკითხავდა, ისმენდა ყურადღებით, აკვირდებოდა.

მოშორებით მოსდევდა მათ ხუთი შეიარაღებული მხედარი. შემდეგ მოუდიოდათ რამდენიმე უბელო ცხენი საუკეთესო. თითო თითო მეჯინიბეს ეჭირა ლაგამით, თოკით. წინა ტაიჭი ორ ზანგს მოჰყავდა. მისი ლაგამ-ავშარა ვერცხლის ფოლაქებით იყო მოკაზმული, თოკი გრეხილი აბრეშუმისა. თვალებს აფეთებდა შავი რაში, დასჭიხვინებდა, ყალყაზედ დგებოდა და იტაცებდა მეჯინიბეებს. ცდილობდნენ, თავი არ წაერთმია, არ დაზეზებულიყო; ფრთხილობდნენ, კბილით არ დასწდომოდა ან ტოტი არ დაეკრა. მათ უკან მოსდევდათ თამბალითით დატვირთული ცხენები და ბოლოს შეიარაღებულ მხედართა ჯგუფი. მტვრით შეფქვილულიყვნენ: შორი გზა გამოევლოთ.

გამოსცდნენ საყალთუთს. სავალი შევიწროვდა მდინარისა და მთის შუა. დაუსწორდნენ ყურყუთას ჭალას. გზა გადაევლო შემაღლებულ ბორცვის ქიმს. აჰყვნენ, ავიდნენ. გადაეშალათ მარცხნივ ვრცელი მინდორი და შუაზე ტბა. დასავლეთიდან გზას დაჰყურებდა წამოწვდილი კლდე, რომლის შემაღლებულ კონცხზედ აჩნდა ვაჟკაცის ალალმა კვარცხლბეკზედ მდგარი. შეკეცილი ფრთები ნაბდად მოსხმული. მის მაღალ სახებას

გარს კედელი ერტყა მცირე კოშკით გამტკიცებული. ქოჩორა ხეები მოჩანდნენ გალავანში.

შეჩერდნენ მგზავრები. უფროსმა მარჯვენა გამოიღო უზანგოდან, ასწია ხელი, მიაპყრო თვალი აჩენილ ნიშს და წარმოსთქვა:

— მადლობა შენდა, სავალთ ბატონო ჯიმაღ ძლიერო! კეთილად გვიძღოდი გზათა ძნელთა, სვლა წარგვიმართე და მშვიდობით დაგვაბრუნე შენნი მონანი. აღგისრულოთ, დიდებულო, აღთქმა ყოველ!

გულზედ მიიდო მარჯვენა და დაბლად მოიხარა ხატის წინაშე. ქართველები ყველანი ეთაყვანნენ ადგილის ღმერთს. უცნობნი განცვიფრებით შეჰყურებდნენ მათ.

— სავალთ უფალია იქ დავანებული. მოგზაურთა მფარველი. განაგებს ის გზებს, მიმომავალთ, ნაზიდ სოვდას. დიდებული დამკვლევია, ვერაფერი ასცდება მის გამჭრიახ თვალს. იმ საყუდრის დასწვრივ არის მთავარსაზვერი, ბაჟს იქა ჰკრეფენ.

წამოემართნენ. გზის მოშორებით მთის კალთაზედ გამოჩნდა გელაზებით ნაშენი მცირე ყუდე. თაყვანი სცეს ნიშს.

— ყვავის საყდარი! გზის ბატონი ჯიმაღი გაშლის ღამე ფრთებს, გადმოფრინდება თავის კოშკიდან გზათა საკვლევად. ამ ნაგებზედ შეჰკეცავს ფრთებს დასასვენებლად. ცეცხლებივით უნათებენ უკუნში თვალნი.

2

გზა მტკვრის პირიდან მთის კალთისაკენ შებრუნდა. ლელვთა ხევს აჰყვა. კლდეს რომ დაუახლოვდნენ, სპარსი განაცვიფრა მდუღარებათა სიმრავლემ: ნაპრალებიდან მრავლად გადმოსჩქეფდა ქაფქაფი, ხევისაკენ ესწრაფებოდა. წყაროებს, ნაკადს, მთელს ხევს ორთქლი ბურუსად მოსდებოდა.

— მდუღარეთა სიუხვე! დიდი სიმდიდრე! ჩვენს კტეზიფონს რომ ჰქონდეს თუნდ ნახევარი ამ განძისა, ერთი ათად გარდიქმნებოდა მცხოვრებთა რიცხვით თუ სიკეთით.

— სამკურნალო წყალია გოგირდით განზავებული. უფრო მეტად დააფასებ ამაღამ, როცა ჰნახავ ციხის აბანოს, — უთხრა

— თუ ემჯობინება, ცოტა შევიფერხოთ და გაუდგეთ გზას: რალა მანძილი დარჩა არმაზამდინ?! — წარსთქვა მოხუცმა.

— დაგვიღამდება, შეუძლებელი შეიქმნება დიდებული სტუმრის ღირსეულად მიღება: ხალხი ვერ გამოეფინება შესაგებებლად. არცა ვვარგივართ ნამგზავრები, დამტვერილები.

— კარგი! ისეთი სამსახური გაგვიწიე ამ ძნელ მგზავრობაში, რომ ღირსი ხარ შეგისრულო წადილი: არ გინდა წარსდგე სასახლეში მგზავრობისგან ნასახდაკრული.

შეწითლდა ჭაბუკი, დახარა თავი გულთმისანის წინ. შეუდგნენ აღმართს. შემოეგება ციხის თავი; სალამი უძღვნა; წაუძღვა წინა. მიადგნენ გალავანს. კარი ღია დახვდათ. იწყეს მისულთ მიღება.

— სიფრთხილით, ციხის თავო! ეგ ტაიჭები და ზინეთი ბრწყინვალე შაჰ-შაბურისაგან არის მოძღვნილი ბატონ მირიანისთვის.

— მეფეთმეფის საგანძურს თვალისჩინივით შავუფრთხილდები.

მოხუცი მაინც ვერ დაენდო მასპინძლის უნარს და ანიშნა ამზაილს. გაჰყვა ჭაბუკი მიმავალს, რომ თავის თვალით ენახა, როგორ დააბინავებდნენ მორთმეულ სიმდიდრეს და მოსულ ხალხს.

სანანურად არ დარჩათ დახანება: ნახეს აბანო, ხორცთ განუსვენეს, ისიამოვნეს. მარჯვე მექისეები და ბუნებისაგან ბრძნულად შეზავებული ცხელი წყალი ნაზად უალერსებდნენ მგზავრებს; უხვი ვახშამი, ქარვის ფერი ნექტარი, ლბილი ლოგინი სურნელოვანი ფუფუნებას განაცდევინებდნენ.

ადრე ადგნენ სავსენი ხალისით, ძალთა სიმრავლით. მთლად თუ დაჰვიწყებოდათ მგზავრობის სიძნელე. შეეკაზმნენ. აჰკიდეს. გამოემართნენ. სუფთად გამოწყობილიყო ეშხით სავსე ამზაილ. სახე უღიმოდა. გუშინ რომ არ უნდოდა განეგრძო გზა, ეხლა ის ანაღვლებდა, შეუძლებელი იყო ჭენებით წასვლა: ესწრაფოდა დაეკრა თვალი ქალაქ არმაზისთვის, მის გულში აღმოცენებულ კოკობ ვარდისთვის. სპარსმა მიავლ-მოავლო თვალი ციხის მდებარეობას და წარსთქვა:

— დიდებული ადგილია მთლად შეუვალი! მხოლოდ ერთი ყოშკი?! უნდა გაფართოვდეს ციხე, გამტკიცდეს დიდი გალავანით, კოშკებით. შეიქმნება უტეხ ბურჯად საბრძანებლისა.

ვრცელი ტაშირი ყვავილოვანი. ცხვრის ფარები, ნახირთა თუ ჯოგთა სიმრავლე.

— ქარი არა ქრის!

— საკვირველია!

დაუახლოვდნენ მთის კალთას. გაიარეს კლდეში გაჭრილი გზა.

— დევის ნამუხლია! — უჩვენა მოხუცმა სპარსს.

— ძაღლპირას ნაკვალი?!

— უწინდელი ამბავია: დასტანებია ციშუბი სიასამურს. აქ მოსწდომია, დაუკრავს მეხი, დაუმუხლისთავებია; დევის წვივებს გაუღარავს კლდე.

გაიარეს კარსანი. მივიდნენ არმაზს. ღია იყო ქალაქის კარი. გამოვიდნენ შესაგებებლად. მეორე დღესვე დანიშნეს მეფის წინაშე სპარსთ ელჩის წარდგომა: ძნელ ამბავს მოელოდნენ სახელმწიფოს განმგებელნი და ხანის დაზმა შეუძლებელი ხდებოდა.

გაიმართა დარბაზობა. დიდებულთ მოეყარათ თავი მეფის წინ. დიდი ხალხი შეყრილიყო: ქუჩა, ეზო სავსე იყო მოზღვავებული მაყურებლებით. ზოგს ესწრაფებოდა გაეგო, რა ამბავი მოიტანეს კტეზიფონიდან, რას აპირებდნენ ქვეყნის პატრონნი; სხვებს უნდოდათ ენახათ, რა ზღვენი მოართვა დიდმა ხელმწიფემ საქართველოს მეფეთმეფესა.

იქმაყოფილებდნენ ცნობისყვარებას: სასახლის ეზოში ჩამოემწკრივებინათ შაჰისაგან მორთმეული ჰუნეები, მონები და სხვა ზინეთი. ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად. თვითეულ მათგანს ედგა მონა ზანგი. რჩეული ცხენები იყვნენ პირად-პირადი ფერისა და აგებულობისა. მაინც ვერც ერთი ვერ შაედრებოდა შავ რაშს. ბრდღვინავდა, მიმოხტოდა, ღრღნიდა ლაგამსა. მთელი მისი მორთულობა იაგუნდით იყო შეფრქვეული.

— საომარი ცხენია ბოროტი. ბრძოლას აპირებენ. ამაზედ შებრძანდება მეფე ბატონი.

— დიდებულია! ვერც ერთი ცხენი ვერ დაუდგება; შემუსრავს მკერდით, ტოტებით, კბილით. მაგრამ...

— რა გინდა სთქვა?

— ჩვენი მეფე მოსუცებაშია, ძველებურად ვეღარ შესძლებს ომში გარჯას; უფრო წყნარი ცხენი ემჯობინებოდა მისთვის.

გაატარეს სკივრები, ყუთები, მაფრაშები,

— სავსეაო ყველა ეს ზინეთით და ფარჩეულობით.

— ამზაილს ეთქვა, ერთი უზარმაზარი ხალიჩაა, ყვავილები ძვირფას თვლებითა აქვსო ამოქარგული.

— ბედნიერები!

— ღმერთები თუ არიან ამ ქვეყნად.

— მეტნიც არიან: არმაზს აღარა აქვს იმოდენა პატივი, რა საც მიუპყრობენ ეხლა მირიანს.

— ეკუთვნის! ძლიერია, მთელი საქართველო ხელთ უჭირავს.

— ადარბადაგანიც ხომ მას უწილადეს საუფროსოში. სიძე უზის იქ მმართველად.

— შაჰ-შაბური უფრო ძლიერია, სამი ამოდენა ქვეყანა უპყრიაო.

— მძლეთა მძლე მაინც არ დაილევა. რომთა კეისარი კონსტანტინე უძლიერესი ხელმწიფეა ქვეყანაზედ; თვალუწვდენელი საბრძანებელი აქვსო.

— ამბობენ, მუქარა შემოუთვლიაო შაჰისათვის, ჩვენი ხელმწიფისათვისაც...

— განზედ! განზედ! გზა მიეცით მეფის კარს მიმსვლელთ!

4

გაიმართა დარბაზობა. მიართვეს მეფეს შაჰის უსტარი. წამოდგა, მიიღო ეტრატი, მიიდო შუბლზედ, გადასცა წასაკითხად მწიგნობართუხუცესს. ამოიკითხა საამური სიტყვა შაჰისა. გამოგზავნილ მოსაკითხის სიაც ეტანა. გამოცდილმა ხელისუფალმა თვალი აარიდა წიგნის იმ ნაწილს, რომელიც შეეხებოდა დიდ საზრუნავს: მისი საჯაროდ წაკითხვა და საყოველთაო სასმენად მასზედ მსჯელობა არ ეგებოდა.

ეს ადგილი შეეხებოდა სახელმწიფო დიდ საკითხებს და იმ ახალ სჯულს, რომელი უყენებელ მეწყერივით მოდიოდა დასავლეთიდან. დაეომებინა იგი მოძღვრება რომაელთა კეისარს, გაეხადნა თანამებრძოლად, გაემძღვარებინა აღმოსავლეთისა-

კენ მის დასაპყრობლად. ძველისძველი იყო დასავლეთისთვის ეს ჰაზრი.

— დაიპყარ მცირე აზია, ეუფლე პონტს, დაიმონე საქართველო. შეჰზღუდავ აქედან და დასძლევ ირანს! შეიქმნები დიდის ქვეყნის ბატონ-პატრონი. გვექმნება წყარო უშრეტელი კეთილდღეობის. შენის სკიპტრის ძლიერება დაჰხარის შენ წინაშე ოქროს ინდოეთს!

ამ ზახილს შეალია თვისი ძალები ძველმა საბერძნეთმა. ერთის წუთით განახორციელა ეს მისწრაფება ისკანდარ ხელმწიფემ. კეისარი კონსტანტინე აევსო ამ სასურვს. შეეგნო მას ახალ სჯულის მნიშვნელობა ამ ძნელ სავალზედ, წარმოეგზავნა დაზავებული. ფეხდაფეხ მოსდევდა მას ფხიან ხმლით ხელში. რომაულ დროშას აწ ზედ ეწერა: ჯვარით დაიპყარ ქვეყნიერება.

ამ ძნელმა საზრუნველმა გამოიწვია მისვლა-მოსვლა კტეზიფონსა და არმაზს შუა. ამაზედ სწერდა შაჰი შაბური. ამის ამოკითხვა არ შეიძლებოდა საჯაროდ. იქნებოდნენ დარბაზში ჯვარცმულის და კონსტანტინეს თანამგრძნობები, რომაელთ მეფის იდუმალი მოკავშირეები. საქართველოს ჭირისუფალნი ვერ ანდობდნენ ქართველთ საიდუმლოს თუნდ შეუგნებლად მოღალატეებს.

— შაჰის გამონაგზავნთა გადალაგების შემდეგ სთქვა მეფემ:

— მძიმე სახელმწიფო საქმე გვაქვს გასაბჭობი. მოფიქრება სჭირია. გიბრძანებ, ვეზირო: მოისაზრე დღე და მოუწოდე ბჭეთ!

უმრავლესობამ გუმანით იცოდა, რა იყო მოკავშირეთა შორის ჰაზრთა ტარების მიზეზი; ის იყო საგონებელი, რა მიმოხვრას მიიღებდა სპარსთა და ქართველთა კავშირი, რა სამოქმედო გზებს დაადგებოდნენ აღმოსავლეთის ეს ორი სახელმწიფო. დაფიქრებული დაიშალა კრება.

გამობრძანდა მირიანი აივანზედ, გადახედა ზღვნად მორთმეულ ტაიჭებს. ფართო წინგარდი ხალხით აივსო. სასახლის მეორე ფრთიდაწ გამობრძანებულიყო დედოფალი ნანა სეფექალების თანხლებით. გვერდს ედგა დედას ქალი ხვარამზე. შაჰისაგან მორთმეული ჰუნები ლაგმით ეჭირათ მოწა ზან-

ებს. მთელ ირანში თუ დაერჩია სპარსთ მბრძანებელს უკეთე-
ები. შავი რაში წინ წაეწიათ. ცეკვავდა, ხტოდა; მედგრად
წევდა.

— დიდებულია! ეჰ, საჩემო ვეღარ არის: სიბერე მახლაკს,
აფერი მხედარი უნდა, გვიჩვენოს ამის უნარი, — ბრძანა ხელ-
წიფემ.

და თვალი მოავლო კრებულს. გადახედეს რაინდებს. ვერ-
ინ დაიძრა: ძნელი სჩანდა მეფის თვალთ წინ გამოწვევა ბე-
ისწერისა. გაიღიმა ამზაილმა, წარუძღვა მეფეს. მოსხეპილ ვაჟ-
აცს უხდებოდა ჩაცმა-დახურვა: ყომრალი კაბა, მწვანე წაღე-
ი ყელიანი. შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი; ბუსტუღის ფე-
ის ახალუხი ბუზმენტვლებული. ერთს წამს შეფიქრდა მეჯუ
ა ანიშნა დასტური.

ჩაირბინა ახალგაზრდამ. შეავლო თვალი თავის ტანთსამო-ს,
აიმაგრა ჩატეხილი ქუდი. დინჯად დაუახლოვდა მხეცს გამ-
აგებულს. შემოუარა. გასინჯა მოსართავ-თაფხუნები. წინ და-
ედგა და ჩააკვირდა. მიართვეს ლაგამი და სიმებჩართული მათ-
ახი, მოახტა ზედ ელდის სისწრაფით. მძლავრად მოზიდა.
ათრახი სტკეცა. გადაირია რაში. გაფრინდა, გაქრა ცხენ-კაცი
მზერელთ თვალთა წინ.

5

იცოდა ამზაილმა, ძნელი დრო დასდგომოდა საქართველოს
პარსეთთან ერთად, მასაც მეტისმეტად აღონებდა ეს გასაჭი-
ი. მაგრამ სისხლი უდუღდა ახალგაზრდას და დიდი საზრუ-
ველი მაინც მიჩრდილული იყო მის გონების თვალთაგან. მის
ქიქრთა არეს მფლობელობდა ერთი სურათი: ქალი ხვარამზე,
ათელი იგი მხიარული მეფის სასახლის.

რა ლამაზია! ორაზროვნად უმზერს მზე-ჭაბუკს. უნდა უბრ-
ანოს, არ კი ამბობს განცხადებულად. სათქმელი აქვს სამხი-
ოლო: უკრთის ღიმილი ბალღურ ბაგეზედ.

— ღიმო მაცდურო, გადმოჰხეთქე ლალის ნაპირნი, სიცილ-
ასკასად მოეფინე ჩემს არემარეს!

ვავრცელდა ღიმი, თვალებში ცელქად აიხატა უხმოდ მეტ-
ველი.

— თქვი, გენაცვალე, გამაგონე სიტყვა მალხენი!

მსწრაფლ შეიცვალა აღალმა ქალის: ათრთოლებულს მუხლი მოეჭრა, მიიფარა ხელნი თვალებზედ.

— ნუ გეშინიან, სატურფალო! რას მიზამს რაში, თუნდაც შეშლილი, როცა შენ გხედავ ჩემ სანუგეშოდ?! დამჩეხოს, მომკლას, თუ ცრემლს დამაფრქვევ!

ქალმა ბეჭებზე გადაიყარა ნაწნავების ხელეურები, ნაზად გადისვა ბუდეშურის მტევანი ხელი: ალბათ იცოდა, ქუფრ ჭავლებში გაბმულიყო ჭაბუკის გული; ფრთხიალებდა გვრიტი იგი მახეს დაბმული.

შეიცვალა ნისლის სახედ ქალის ხატება. რად მოიწყინა? უმძიმს თუ რამე! თითქო წყრებაო...

— ნუ მირისხდები, სულის ბადალო! ხომ იცი, კარგო, სიკვდილამდინ მონა ვარ შენი; ტკბილი სახე თანამყვება ყველგან, ყოველს ჟამს: მამხნევებდა საძნელო გზებზედ; კტეზიფონის სასახლეშიც ჩემთანვე იყო. მითხარი, მამცნე, რა შეგცოდე, მზევ მოღრუბლულო!

მიუახლოვდა ჭაბუკი, მუხლი მოიდრიკა ხორცსხმულ ჩვენების წინ. გაშალა მკლავნი მოსაჭდომლად და... გამოფხიზლდა.

— რად წარმტაცე თავი შენი, მიუწდომელო? ბედმან მხოლოდ დამიწერა ცხად. სიზმრად ყოფნა?! — წარსთქვა ვაჟმა უიმედოდ.

არ იცოდა ბეჩავმა, რა ეკალი შეჰხებოდა ქალის ნაზ გულსა, რად წყრებოდა იგი ლამაზი. ის აჯავრებდა: შორეულ მხრიდან, სიმდიდრეთა და სიმშვენივრეთ ქვეყნებიდან მთელი ხაზინა მიუვიდა სამეფო სახლს; პირად მისთვის არაფერი არ მოეტანათ.

— არვის ვახსოვარ! არ უზრუნვიათ, რაიმ ნიში წამოეღოთ ჩემდა საამოდ...

სცდებოდა კარგი: მისთვის გულმკვდარს მოეტანა პირად მისთვის შესამკობელი. ვერა ჰბედავდა, ეახლებინა, ჰბელავდა! ვერ გაეკვლივნა, გაეგზავნა ვისიმე ხელით, თუ პირად თითონ მიერთმია პირიმზისათვის.

— გავუგზავნი მსახურის ხელით! ვაითუ გაწყრეს: თითონ რაღას აკეთებდა, მონის ხელით რად მაახლაო. მე თითონ წავალ! ეწყინება: დიდი რამ ჰგონია მონატანი! თითონ მობრძანდა, პირად მიიღოსო ჩემგან მადლობა...

ყოყმობდა ვაჟი. მაინც მეტი გზა არ იყო, უნდა მიერთმია. დაასკვნა, მონა ეახლებინა. ბარათი არ გააყოლა, ჯერ არ მიახლებოდა კაცი სასახლეს, რომ ველარ შესძლო ცდა, თითონ დაადგა გზას სასახლისკენ. ნელ-ნელა მიდიოდა ბილიკებით.

— იქნებ არ მიიღოს და დამიბრუნოს. აქ აღარ მედგომილება, სამუდამოდ გადავიკარგები.

ელახვრებოდა გული. როგორღა უნდა ეცხოვრნა განშორებულს, ან რისთვის?! ამაოდ ღელავდა: მოსაკითხი მიეღო ქალსა. გულდასმით ათვალიერებდა პირმოღიმარე. ვეება შალი ცალ მუჭაში დასაჭერი. თეთრი ბეწვი საგანგებო მტკიცედ ნაქსოვი. გარს მოსდებოდა ყვავილთ ხლართები, საოცნებო მფრინველები მათში გაბმულნი. წამოიხსა. მთლად დაიფარა.

— ჯერ არ მინახავს ასეთი კარგი!

ჰაზრთა არეში უალერსა თაყვანისმცემელს.

6

ისე სწრაფად ვერ შესდგა საბჭო, როგორც ითხოვდა სახელმწიფო განსაცდელი მოსწრაფებული: აუცილებლად იყო მსჯელობას დასწრებოდნენ თემთ წინამძღვრები, მთელი ერის მოთავენი, ჭირისუფალნი; ყრილობა ვერ იყო იმედიანი. საბედისწერო ჟამი დასდგომოდა საქართველოს და მის მფარველ ღმერთს არმაზ ბრწყინვალეს: ამხედრებულიყვნენ ქართველთ ტომის წინააღმდეგ უძლიერესი კეისარი და ახლად ჩენილი საკვირველი ღმერთი ჯვარცმული. ზავი შეეკრათ მათ ერთმანეთში; გაემტკიცებინათ დასავლეთი; მოზღვავებულიყვნენ აღმოსავლეთზედ. კადნიერად იმუქრებოდნენ:

— მიიღეთ მფარველობა რომთა კეისრის. აღიარეთ მისი სჯული განახლებული; შესწყდეს კავშირი თქვენი სპარსეთთან!

პასუხი უნდოდა ამ ბრძანებას გადაწყვეტილი. შესდგა საბჭო. ოქროს ტახტზედ დაბრძანდა მეფე. ეს სავარძელი მიერთმია მირიანისთვის თავის მამას დიდებულ ქასრე სასანიას, სამეფო ტალავრით შემკული მირიან. ჭაღარა ხშირად დაჰრეოდა, დაჰმჩნეოდა ხანთა სიმრავლე. მარჯვნივ ეჯდა სავარძლით და ბალიშით ქურუმთ უხუცესი მხცოვანი ბაბეგ. სამოსელი სპეკალ ნაჭარბი. მაღალ გვირგვინს სარტყლად ევლო ოქროს

ფოთლები. შუბლის მხარეს მზე უმშვენებდა. დისკოც, სხივებიც შეფარდებულ თვლებით ნაკეთი. უმძიმესი მოსჩანდა მეფის გვირგვინზედ, რომელი ქონგურებიანი კოშკის სახე იყო პირდაპირად სპეკალით თხზილი. ბაბეგის პირდაპირ სავარძლითვე და ბალიშით იჯდა სპარსეთის ელჩი, რომლის პირით ბრძანებლობდა თვით შაჰინშაჰი. ქვევით მარჯვნივ და მარცხნივ ჩამომწკრივებულნი ხარისხ-ხარისხად სავარძლებით, სელებით, სკამებით, ნატ-ბალიშებით, მხოლოდ ნატებით.

ხელმწიფემ გადაავლო თვალი კრებულს. ბრძანა:

— არ მახლავს ამზაილ!

კრებულს გაკვირვება აეხატა სახეზედ. აღელდა ბაბეგი.

— სახელმწიფო წესი არ უთხრობს მას აქ ყოფნას, მაგრამ ამ მძიმე საკითხში აუცილებელია ის: დიდად თავდადებული ჭაბუკი ღმრთისათვის და მეფის ტახტისათვის! პირად შესძლო დაეთვალიერებინა ტრდატის სამხედრო ძალები და შეიარაღება. ახლდა ბატონ მეფის ელჩს და შესწავლილი აქვს გზები. იცის ლაშქრის წყობილება უძლეველის შაჰ-შაბურისა. შესძლებს დასძინოს ჩვენ დიდს გამოცდილებას სასარგებლო ცნობები, — განმარტა ვაზირმა მეფის ბრძანება.

უხმეს. მოვიდა. მოწესემ ადგილი უჩვენა კრებულის ბოლოს. ვაჟკაცი შეყოყმანდა და მიმართა იმ ჭაბუკთა დასს, რომელი რკლად ერტყა ზურგით კერძო სამეფო ტახტს. ჩადგა მათ შორის. ამ მოძრაობამ სიამის სიმად ჩაუარა დიდებულთ მწკრივებს.

დედოფალი თვალს ადევნებდა დარბაზობას იდუმალი სარკმელიდან, რომელი ხელოვნურადა ჰქონდა დიდ დარბაზს დატანებული დედათ სავანის მხრივ. გვერდზედ ახლდა ქალი ხვარამზე. გაუკვირდა, რომ დაინახა ამზაილ. ისიც ეუცხოვა, როს რაინდი ასცდა კრებულს და შეუერთდა ხელმწიფის გუშაგთ. გაიტაცა ცნობის ყვარებამ. სავსებით ვერ დაკმაყოფილდა: შორს იყო მიჭვრიტა, დარკვევით ვერ სწვდებოდა ყურს ყოვლი სიტყვა.

ხვარამზე ჯერ გაანცვიფრა მზე-ჭაბუკის საბჭოში შესვლამ, მერმე აავსო სიამოვნებით, აავარდისფრა; ჰაზრით მიჰხვდა, აფასებდნენ ვაჟკაცს დარბაზში.

— მარჯვედ მოუვიდა, რომ თავს ნება არ მისცა დამსახურებულ დარბაისლებთან დაეჭირა ადგილი. განდიდებულებს

ეკლად დაესობოდათ ესეთი წყალობა ჰაბუკისადმი, — გაიფიქრა დედოფალმა.

კარგი მოსჩანდა ამზაილ ნასიამოვნი. სასიკეთოდ ირჩეოდა განზრახ რჩეულ რაინდთა ჯგუფში.

7

წარმოსთქვა მეფემ:

— მოგიწვიეთ, მოისმინოთ შაჰინშაჰის სიტყვა ჩემდამი. საძნელო საკითხია, გულდასმით მოსაფიქრი.

მოისმინეს შაჰის მონაწერი. სპარსეთის ელჩს მიაპყრეს თვალნი. დაიწყო:

— დასავლეთი გვებრძვის სასტიკად. უძველეს დროიდან სწარმოებს ეს შემართება. შემოქმედს სიუხვის კალთა დაუბერტყია აღმოსავლეთზედ. მწირ დასავლეთს ჰსურს დაგვიმონოს და ისაზრდოვოს. ძველადაც გვებრძოდა საბერძნეთი. ხანგრძლივი ომი ცვალებადი ისკანდარის გამარჯვებით დათავდა. დამდაბლდა და განიძარცვა მაშინ უსაზღვრო საბრძანებელი დარიო-ჰისტასპისა. ეხლა რომი გვებრძვის უძლიერესი და მასთან ისევ საბერძნეთი მისი მორჩილი, კეისარ კონსტანტინეს განუზრახავს განახორციელოს მარადი მისწრაფება დასავლეთისა. დაიმონოს ჩვენი ქვეყნები.

— ვერ ეწიოს იგი თვის სურვილს!

— იყავნ!.. საშიშია მპყრობელი ხმელთა და ზღვათა. ლაშქარი მზად ჰყავს უთვალავი. დაგვიახლოვდა: ბიზანტიას დაამყარა სამეფო ტახტი. გზის საკვალად დაადგინა ჰაისტანში თვის მონა ტრდატ, პონტში ჰანიბალ, თავისი შინში.

— ირანისთვის განსაცდელი მოვლენილა საბედისწერო, — წარსთქვა განდეგილმა მანგიურ.

— მასთან ერთად საქართველოსთვის! — დასძინა ვაზირმა.

— მაინც არ ვართ განწირულნი გამჩენისაგან: შაბურ ბრწყინვალეს აქვს ჩანერგილი სული მებრძოლი. ძალაც ახლავს: დაჰხვდება იგი ვაჟკაცურად ქუფრ მტერს მომავალს. მაინც გვჭირიან თანამებრძოლნი. ამის გამო შაჰინშაჰს განზახვა ჰქონდა მოემართა, მეფევ, შენთვისა და იამა, თვით დაგენახა განსაცდელი, ელჩი შენი წარმოგევლინა. ირანი, საქართველო ვალდებულნი არიან, ერთად იბრძოლონ.

— როგორც წინადაც უბრძოლიათ თანხმობით, ძმურად.

— შემოქმედი წარმოადგენს ნათელ ძალებს ჩვენად წინამძღვრად და განაბნევს შავ განზრახვებს ჩვენის მტერისა! აღჭურვოს საქართველო მტერთა შემუსვრად!

სდუმდა კრებული. ანიშნა მეფემ მთავარქურუმს. ადგა ბაბეგი:

— ამხედრებულან ჩვენ შესამუსრად ბნელნი ძალნი დასავლეთისა. მოუძღვიან ღმერთნი ძველნი და მათთან ერთად ახალი ხატი, ღმერთი ჯვარცმული.

— ხატი ტანჯული?!

— მომკვდარი ჯვარზედ, კვლავ ამდგარი დასამონად ქვეყნიერების!.. არა შეგვეშინოს ბევრეულისაგან ერთსა, არცა ღმერთთა მათთაგან! ნათელია შემოქმედი და მისნი ძალნი უხორცონი დაიცავენ აღმოსავლეთს ბნელ დასავლისგან, ჭარუძღვება არმაზ ბრწყინვალე მის წილხდომილ საქართველოს შვილთ!

— იყავნ! იყავნ!

მანამ ბაბეგ ამბობდა, მხცოვანი მანგიური დიდის ღელვით იგვემებოდა. აწ წამოდგა ბობოქრებული:

— მოაბნელებს დასავლეთით მებრძოლთ სიმრავლე! ღმერთნი უძღვიან, მათ მარჯვენას განამტკიცებენ. ირყევ-ირღვევა სპარსთ ძლიერება!.. საკვირველება: აღჭურვილა ღმერთი ჩვენი ციშუბ-თარხუჯი არმაზის ბრძოლად! ციშუბის ცალი ითრუშანი განძვინებული! ქარი სასტიკი. ცეცხლის მჭშენი ვეშაპებიც შეპყრობილი. წუმწუმა ციდან! შეიმუსრა სპარსთა ძალა საქართველოში...

— იყუჩე, დახელთილო!

ხმამ ვერ უწია: დაენარცხა ბერიკაცი და გაითანგა.

— თუ მოკვდა უკვე?!

— დააკვეთა სულმა ბოროტმა!

გაიტაცეს დარბაზიდან გონდაკარგული. მეფე მირიან არ რას იტყოდა, იჯდა უძრავად. წამოდგა ყათე, მთავარსარდალი:

— მომავალი შებრძოლება სასტიკი მოსჩანს. საჭიროა მებრძოლთ სიმრავლე დასახვედრად, მისაშველებლად. შეგროვდეს ჯარი მთელ სამეფოში! არ შეიძლება დაყოვნება: იმპერატორს ჰსურს, დაამხოს ადრე სპარსთა ძალა, მიშველებამდინ.

მოიწონათ სპასალარის თქმა. დაასკვნეს, მსწრაფლ მოეკ-

რიბნათ ჯარი მეფის კარს. ჩაფიქრდა მეფე. ან წარსდგა ჭაბუკი.

— სთქვი შენც სათქმელი!

— ვიყავ ჰაისტანს. ვნახე საომრად გამზად ტის ჯარი. ცოტაა იგი. მაგრამ ძლიერი: უნაკლო და მსწრაფლ მოძრავი. კეისრის ძალა რჩეულია, ბეგთარი და საჭურველი საუკეთესო. მთელი ცხენებზედ. დავიარე სპარსთა ბანაკი: თვით ლავია, მაგრამ... თითქმის უიარაღოს გაწრთვნა მოძრაობს და მეტად შლილად. ეს საშიშია! იქ წ ნი ჯარი მცირე იყოს, მაგრამ რჩეული.

ყურადღებით მოისმინეს ჭაბუკის სიტყვა.

8

მოასულიერეს მანგიური, გონს მოიყვანეს.

— წავალ!

— მოიცა, მანამ მოიხედავ.

— იქ მალე მოვალ ღონეზედ.

ფეხით წასვლას აპირობდა. ნება არ მისცეს. ვეს, კაცი გააყოლეს. სანოვაგე ჩაულაგეს და ს ური განდეგილადა ცხოვრობდა ციშუბის მთაზე კის დასავლეთით. მაღალი კლდე ჩამომზღვრეც კენ. შუაზედ შეკვეთილი კალო ადგილი. წავა ნამზღვრევ-ნაშალზედ; ზევით შეუძლებელი იყო დება.

გზაზედ მთლად მოკეთდა. აეზრახა თანამგზა

— ღმერთი მეტყოდა. მის თქმას ვიმეორებ ძნელია მომაკვდავისთვის ღვთაების ხილვა! ვე სხეულმა და უგონოდ გავხდი, ცნობა ჩამიქრა.

ჩამოუხდნენ ცხენებს. შეუდგნენ აღმართს.

— აქ იდგა უწინ ციშუბ-თარხუჯი. სდარაჯო მოდგმას და მათ ქვეყანას. რვალისა იყო. ბეგთარ შუზარადიდან ჩამოფენილი წვრილთვალი ჰფარა ოუ კისერს. ჭვინტოსანი ფეხთსაცმელი ფანდა ხელში ორპირიანი. მეორეში ელვათა ხელეური ყორცნაი.

— თითონ გინახავს?

— არა, მახსოვს მამისგან... საქართველოს ცის ბატონი ყოფილა. ის და მისი ცალი ითრუშანი განაგებდნენ ჩვენის ქვეყნის ნაყოფიერებას: ციშუბი ცვარს ადენდა ზეცით, ითრუშანი აღმოაცენებდა უხვ ნაყოფს კეთილს. მისი საკუთარი საბატონო იყო აგერ ქვევით დაფენილი დაბა-სოფლები: მდუღარეთი, კალა, ვარდისუბანი, კალაუბანი; გაღმა ისნი. მის ბატონობას დასასრული მაინც ჰქონოდა...

— ღმრთის ბატონობის დასასრული?!

— ჰო! დიდ ბედისწერას თვით ღმერთნიც ჰმორჩილობენ! თურმე ეწერა განგების წიგნში: დადგება ჟამი: დაენაცვლოს ციშუბ დიდებულს უცხო არმაზი; ცარიელ იქმნას სავანე მისი; ჟამთა დასასრულ მაინც აღსდგეს ბრწყინვალე!

— უბრძოლველად დაემონა თარხუჯი ბედსა?!

— ერკინა არმაზს. იძროდა მიწა, გრგვინავდა ცა, ირხეოდენ ვითა ვერხვნი მთანი მაღალნი დიდებულ ღმერთთ შემართების ჟამს. მაინც ვერ უძლო... მას ჰმსახურებდეს გვარი ჩვენი მის დიდებით დაბრუნებამდის!

— ეხლა...

მაინც მიდის მისკენ ქართველი. ვარდობის თვეში იხსენებენ მის ძველ დიდებას. მსხვერპლს შესწირავენ, ევედრებიან, შესვამენ მის წყალს; შესთხოვენ ნაყოფს. ამცნობს ღმერთი თვის კეთილ ნებას: ქვას მიიკრავს სასწაულით სიპი კედელი!

აგერ ავიდნენ.

— გველები, მანგიურ, გველები მოცურავენ! — წამოიძახა თანამგზავრმა.

და იძრო ხანჯალი.

— ნუ! მცველნი არიან.

ნელად მოიხლაკნებოდნენ საშინელნი. გადასცა ლაგამი თანამგზავრს. დაწინაურდა. მცურავები შემოეხვივნენ, გადაეჭდნენ, თვალებში შეჰმზერდნენ. თუ უხაროდათ ბატრონის ნახვა. უბრძანა წასვლა. დაბრუნდნენ უკან ქვემძრომელნი. მისრიალებდნენ.

— წყვილად ავზარდე: სხვანაირად არ იქნებოდა, დიდძალი გველი იცის აქ, ხვლიკი, ჯოჯო ან მინდვრის თაგვი. არ მოასვენებენ ადამიანს. ესენი ჰნსთქავენ, შიშის ზარს სცემენ. ძლიერნი არიან. არ გაჰბადებენ აქ არც წადირს ტყიდან ჩამოსულს.

ბაბეგს უხაროდა მეფის ყურადღება მის შვილისადმი. თანაცა სწყინდა; წესის ძალით მოგვთუხუცესობა მის უფროს შვილზედ უნდა გადასულიყო, ის კი ვერ იჩენდა შესაფერ ნიჭს.

ღმერთსაც თუ არ მოსწონს მთვლემარ გონების მექონი: ჯერაც არ მოუვლენია მისთვის სული მეცანი. იქნებ ამზაილ არის რჩეული და მისტაცა თვის უფროს ძმას შეცნობის ძალა. არა, არ დაირღვევა ჩვენი წესი მემკვიდრეობის: დამენაცვლოს შვილი უფროსი!

ის უფრო ადარდებდა ბაბეგს, რომ მომქმედი კაცი გამჭრიახი ეხლა მეტად ეჭირვებოდა არმაზს და მასთან ერთად ირანის გავლენას საქართველოში: მოიწევდა ურყევლად დასავლური ღმერთი ახალი. განმტკიცებულ იყო ის რომთ კეისრის მთელი ძალებით. შეუპოვრად შეჰმართავდა არმაზ ბრწყინვალეს, არყევ-არღვევდა მის სამფლობელოს, ანადგურებდა.

ამ ახალ მებრძოლს თუ გაემხნევებინა მივიწყებული ციშუბი: კვლავ ისწრაფიდა, აღედგინა თვისი დიდება. ადრეცა სცადეს თავის ძალა იმან, ითრუშან: მოავლინეს წარღვნა საშიში, ჩამოშალეს მთანი კლდოვანნი, შეაგუბეს მტკვარი, არაგვი, რომ ძირიანად შეემუსრათ არმაზის ყუდე, ჩაემარხათ თვის მეტოქე მთის ნანგრევებში. ვერ გაუმარჯვდათ: ბედისწერას არ თუ ენება.

საშიში იყო მდგომარეობა: ახალს სჯულს ფრთები გაეშალნა ოთხსავე მხარეს. წინ მიიწევდა მისრეთით თუ ზღვის კიდეებით; არაბეთი ჯვარცმულ ქრისტეს აღიარებდა; რომაელნი თუ ელინნი ამ ღმერთისკენ გადმოხრილიყვნენ; ხაზარეთის და სკვითეთის კარნი შაეღო; პონტი, ჰაისტან, მახლობელი სხვა ქვეყნები ხელთ დაეჭირა; მძლედ მოსულიყო საქართველოს დედაქალაქში...

— ქადაგი ნინო ცხადად ამბობს თავის ახალ ღმერთს, ჰბედავს და ჰგმობს ჩვენს სჯულს უწმიდესს. ვერ შესძლებდა ამას ვეროდეს, თუ დიდი რომი მარჯვენას არ განუმტკიცებდეს! — წარსთქვა ბაბეგმა

და ჩაფიქრდა. იმას ავლებდა გონების თვალს, როგორ შემოეტყუა იგი ქადაგი: სცხოვრობდა უჩუმრად და უჩინარად

ურბნისს ურიებთან; გადმოსახლდა მცხეთას, სასახლის ახლოს დაივანა, რომ თვალი ედევნებინა ყველაფრისათვის და... აბა-ათარ, სიდონია იქიდან მოჰყვნენ თანამშრომლები.

— ნამდვილ გამოგზავნილნი გამოდგნენ. ეს ცხადჰყვეს, როდესაც მეფის ფირმანით აიცილეს განდევნა თუ სხვა განსაცდელი.

— სატანაილ მფარველობს ნინოს: ის აძლევს ძალას სასწაულთა მოქმედებისას...

— ექიმია ხელოვანი, იცის წამლობა და იმით ჰკურნავს.

— სიტყვით რომ ჰკურნავს ძნელ ავადობას, მხოლოდ შეხებით ან შეხედვით, ეს არის საქმე ეშმაკეული: არიან სულნიცა საეშმაკონი მოქმედნი სასწაულთა.

იცოდნენ, რა საშიში იყო ეს ქადაგი თვით ღმერთისათვის, რომელს ჰმსახურებდნენ. ეჰ, უღონო იყვნენ მასთან ბრძოლაში: ეს შემართება რომთან ბრძოლას მოასწავებდა.

— არ წამოვა ჩვენსკენ ხალხი, არ გამოგყვება: ღმერთი მომკვდარი, დამარხული და კვლავ აღმდგარი ქართველთ ხღაპრად არ მიაჩნიათ: თაბუზიო თუ აგონდებათ, თვის ძველი ღმერთი.

— თაბუზიო?!

— ზამთრის პირს ტანჯვით მოკვდებოდა; მკვდრეთით სდგებოდა გაზაფხულზედ ახლის დიდებით... ბრძოლა გვიძს დიდი. გავტეხილვართ ჟამთა სიმრავლით. ჩემი შვილი ნარვარილი... ეჰ, ამზაილზედ უნდა გადადიოდეს ჩემი საყრადი, რომ იმედით მევსებოდეს საწყალი გული.

არა სცდებოდა მოხუცი: ცხოველმყოფელ რწმენით იყო ამზაილ გამსჭვალული, უწყვეტ ნაკადად სდიოდა მის გულს სიყვარული არმაზისადმი, სიმშვენიერედ უჩნდა იგი სამარადისოდ. ესავდა იგი ამ განსახებას ზეციურის სილამაზისა. ეთაყვანებოდა სიმშვენივრესაც ქვეყნიურს, რომლის ხატება იყო მისთვის ქალი ხვარამზე. ორის რაინდი მზე-ჭაბუკი, გულს ორივე დარანი სავსებით სავსე ჰქონდა ორსახე სიყვარულით არსებით ერთით.

— განუყოფი სიყვარული ორად ცხადვილი. სიყვარული სიმშვენივრეა და თვით ღმერთია ის სიყვარული. სილამაზე ზეციური და ქვეყნიური ორივ ერთი სიყვარულია. ვესავ არმაზს,

ჩემს ღმერთს ზეციურს; ვეთაყვანები ჩემს ღმერთს ქვეყნიურს, ტურფა ხვარამზეს!

— თუ აუცილებელი შეიქმნება, დაუტევო ერთი მათგანი?

— ნუ იყოფინ! არც შეიძლება: გითხარ, ერთია სიმშვენივრე ზე ცაში, ქვე ქვეყანაზედ. სხვადასხვა სახით ცხადებული იგი ჭეშმარიტი, განუყოფელი.

10

ბჭობის დროს ცხადად დაინახა ამზაილ, რა განსაცდელი მოჰვლენოდა მის ზეციურ ღმერთს არმაზ ბრწყინვალეს. ვერ წარმოიდგენდა ამას ვერასდროს. ეხლაც მაინც არა სჯეროდა სინამდვილე მოსალოდნელ სიძნელისა და ძლიერება.

— უტეხია არმაზ ძლიერი, ურყეველია თვალწარმტაცი მის მამაცობა. სალ კლდეზეა დამკვიდრებული და ძალნი მბრძოლნი შავეთისა ვერ ერივნენ მას!

იცოდა, ღიმილით შესწირავდა თავს მის გამარჯვებისთვის სხვანიც მრავალნი! სწამდა ეს ვაჟკაცს და იმედი არ ქრებოდა მის მებრძოლ გულში. არაფრის შიში!

უფრო ძნელი საომარი იყო ქვეყნიური ხატი მისი ხვარამზე. ვაჟკაცის მისწრაფებას აქ დიდი ხიფათი მოელოდა შეუმართები. თითონ ქალწული მეტად შორს იდგა მასზედ და მაღლა. სად დიდი მირიანის ქალი, სად ვიღაც მისი ქვეშევრდომი ამზაილ?! ამ უსწორო ბრძოლაში თანამგრძნობი თუ თანამბრძოლი შეუძლებელი იყო და... შეუფერები. თავისთავს უნდა დაჰყრდნობოდა, საკუთარ იღბალს. ეჰ, მზისთვის შეედგა თვალი. ვის ძალევდა უზრუნველ ეყო დაბრმავებისგან?!

მეტოქენი ჰყავდნენ აქ ძნელი, სულ უცნობი მოსისხლე მტერნი: მრავალი უფლისწული მოისწრაფებოდა მზის სხივისაკენ, ბევრი გათქმული რაინდი შეჰღირებოდა. სიძობას ეაჯდა მეფეს. თავს ევლებოდნენ ანოებულ ალს ვით ფარვანები.

— ყველა დაიწვის ამ ტურფა ცეცხლზედ გარდა ერთისა. ეს რომელია ის ბედნიერი?!

რითი დაარწმუნებდა თავის თავს, რომ იგი რჩეული იქნებოდა თვით ამზაილი?! სრულებით ვერაფრით! დიდ სურვილს მტანჯველს აევსო იგი, მოსწყურებოდა მასთან სიახლე; ნატ-

ვრით ნატრობდა, დაეკრა თვალი სატურფალისთვის. არ ეგებოდა! ახლო იყო ის ქალწული, რამდენსამე გადაფრენაზედ; მაინც შორს იყო, ულევ-უკეცელ სავალის ბოლოს.

— მიბრძანე, ტურფავ, გემსახურო, ვიყო ყმა შენი! დამშდევი ვალად, ხმლით შევიჭრა თვით ჯოჯოხეთში, ოღონდ კი ვნახო ერთის წამით ეგ შენი სახე!

რა იცოდა ბედნიერმა, რომ მისი ნატვრა ესმოდა ლამაზს, დაითვლიდა თვითეულად იმის გულისთქმას: გრძნეულ ძალას უხილავი სიმები გაება მათ გულთა შუა; არ სცდებოდა ერთიც ბგერა ქალის გულისყურს. როგორ მოიფიქრებდა იმედმიხდილი, ქალსაც ჩასჭროდა მის სიყვარული, იგიც იმასთან ახლო ყოფნას მოინატრიდა. არც ვინ სხვამ იცოდა ეს, არც ქალის დედამ. ბჭობის შემდეგ ბრძანა დედოფალმა:

— კრებას ვხედავდი, საუბარი ვერ გავარკვიე. თუ მაცნობებს იქ თქმულ სიტყვას, მხოლოდ ამზაილ. მეახლოს იგი!

დედის სიტყვაზე ქალს ყაყაჩო აუყვავდა მწყაზარ ღაწვებზედ. მოწიწებით შემოვიდა ამზაილ. ეთაყვანა დიდ დედოფალს. მისი ხედვა შეუგნებლად მიეპყრო ქალწულს. და შეხვდნენ თვალნი გაღიმებულ თვალებს ვარდისა. ვაჟკაცის თვალთა მოძრაობა ნახა ნანამა; მსწრაფლ გაიგო მისი გულისთქმა. არ გაუკვირდა.

— წესი არის, ანდამატი იზიდავს რკინას, — ვაიფიქრა მან და სდუმდა. თავის გულშიც კი იყუჩა ამის შესახებ. ქალწულს ვაჟისეული შალი ეგდო მხარზედ. ირანულ ჰანგზედ მოხაზულ სახეს უხდებოდა სხივთა კრთობა სიცოცხლით სავსე: მემკვიდრეობა სპარს ვაჟკაცისა და ზღვისპირულ ქართველ ქალისა. ანიშნა დედოფალმა სკამი.

— რაც სპარსეთიდან ჩამოხველ, არა მხლებიხარ. მესწრაფის იქაური ამბები, საბჭოში თქმულიც.

— შემინდე, დედოფალო! გულით მოვილტოდი თქვენსკენ; ბრძანება არ მქონდა და ვერ გავბედე.

— ჩემი ქალი მადლობას გეტყვის შემოზღვნისათვის!

ქალმა შალის ფოჩები აათამაშა, ოდნავ დახარა თავი რაინდისაკენ.

— დავიარე მათი სატახტო, ბატონიშვილის შესაფერი ვერ რა მოვხელე.

— საგანგებოა, მეტად ძვირფასი! ბევრს გაიღებდა?

— არა! უამრავი ოქრო მქონდა მეფის წყალობა, შაჰინშა-ჰისაც.

უწყო დედოფალმა გამოკითხვა. ჭაბუკმა ბევრი მოახსენა, რაც ენახა და გაეგონა. ნაამბობიდან გამოირკვა, რა დიდი განსაცდელი აღმართოდათ წინ სპარსეთს და მის მოკიდებულ საქართველოს.

— კეისარ კონსტანტინეს შეუთვისებია ისკანდარ ხელმწიფის განზრახვა: სპარსეთისა და მთელი წინააზის დამონება. ამის გამო გაუძლიერებია ჰაისტანის მეფე ტრდატი, კაბადოკიაში დაუსვავს თავისი მომხრე ივრიზი, ურიასტანში მაკაბელთა შთამომავალი მარდოხე; პონტში ხომ თავის შინში ჰანიბალი ჰყავს. აუვსია ოქროთი და იარაღით, უბრძანებია ბრძოლის დაწყება. ჰანიბალი უთავებია. ფეხდაფეხ მოსდევს კეისარი რომაელთ ლაშქრით.

როდესაც ამ ამბებს მოუთხრობდა, უნებლიეთ წამოსცდა:

— მიბრძანა მეფემ საიდუმლოდ წასვლა ჰაისტანს და ბაზვერავად მტერთა ჯარების: კეისარს იქ უსურვია ლაშქართ შეკრება.

ამ წამოთქმამ ააღელვა ჭაბუკი: ეგონა, სახელმწიფო საიდუმლო გავეციო. შეატყო დედოფალმა, დააწყნარა.

— მხოლოდ შენ იცი და მბრძანებელმა. წასვლის წინად მეახელ, გვნახე!

11

შაჰ-შაბურმა მაშინ იდროვა დაებრუნებინა დიოკლეტიანესაგან მოტაცებული სპარსთა მამული და სისხლი აეღო რომაელთაგან, როდესაც მხცოვანი კეისარი გადადგა მეფობიდან, მისი საბრძანებელი სამად გაიყო და ამ სამ მფლობელთა შორის ასტყდა ბრძოლა დაუნდობელი.

ფართოდ დაიწყო შაჰმა მზადება: მეტოქე მაინც მეტად ძლიერი ჰყვანდა; თანაც მხოლოდ წართმეული ქვეყნების დაბრუნება ვერ უშველიდა სპარსეთს: მკვიდრ სამზღვრებამდინ უნდა მიეტანა თავისი საბრძოლებელი დასავლეთით, ან მარად ყოფილიყო მომავალი განსაცდელის შიშში: ბრძოლა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შუა უნდა გათავებულიყო ერთ-ერთი მათგანის შემუსვრით.

— ესე ვფიქრობ, ვაზირო ჩემო, და ჩემი მისწრაფება სისწორით არის გათვლილი.

— შენის პირით ჭეშმარიტება უბნობს, ჰაზრი ნათელს ღმერთს შთაუგონებია. მაინც ნება მომეც, გამოვთქვა ეჭვი: დასავლეთში აღრეულობაა, მაგრამ მფლობელთ შორის მაინც პირველობს კონსტანტინე. ვიცნობ მე იმას: ასურეთში ერთად ვმსახურობდით, ის მმართველად, მე მასთან ელჩად. მეტი სიფრთხილე გვმართებს და სისწრაფე: მალე შესძლებს სახელმწიფოს დამშვიდებას და მოგვევლინება უთვალავ ლაშქრით, რა გაიგებს შენს აქ მზადებას.

მართლაც საშიში იყო კონსტანტინე ირანისათვის: იცოდა მან სპარსთა გულისთქმა, გეგმაც ჰქონდა შედგენილი მათ დასამხობლად.

— აღვადგენ მცირე ერთ სამფლობელოებს, რომის მფარველობის ქვეშ დავაყენებ მათ, გარს შემოვარტყავ სალტად დიდ ირანს და იმათ ხელით მოვსწურავ იმას.

— როგორ? შენ გინდა აღადგინო თვითარსებობა მცირე, ერების, რომელნი რომმა დაიმონა და გარდაქმნა რომაელებად?!

— მხოლოდ დაიმონა! ვერ წაართვა მათ სახე მათი, ვერც სიყვარული თავის მამულის. მათი ღელვა არა სცხრება, ვერც დაწყნარდება: გაიხსენე ამბოხებანი კართაგენში, მისრეთში, პალესტინაში, ჰაისტანში, პონტში და სხვაგან ყველგან. სისხლით ვაქრობდით აჩენილ კოცონს. ნაპერწკალი მაინც რჩებოდა და ღვივდებოდა. მიგვეცა მათთვის საკუთარი ქვეყანაც, სახეც; ეარნათ ჩვენ მფარველობით საკუთარი გზით. ძვირფასი შეიქმნებოდა იმათთვის რომი; სიძულვილის წილ თანაგრძნობას მოვიპოვებდით. თავისთავად მიიღებდნენ ბარბაროსნი ჩვენ განათლებას, მოგვბაძავდნენ ცხოვრების გზაზედ და...

კონსტანტინემ დიდის სისწრაფით და მოხერხებით მოსპო შუღლი შინაური, შეკრიბა მთელი ძალა თავის ხელში: იწყო ქმედობა: აღუდგინა თვითარსებობა აზიის ერებს. აგრძნობინა, რომის ოქრო და მახვილი სასიკეთოდ დასტრიალებდათ. მაღლობელნი თვით შეჰმზერდნენ დიდს რომს თვალ-წარბში. დიდად ხელსაყრელი იყო ეს მისთვის: ირანთან განზრახულ დიდ ბრძოლაში ბევრ სამსახურს გაუწევდნენ მას წვრილი ერები.

ამ მხრივ კმაყოფილს სხვა დიდი ფიქრი ამძიმებდა კეისრის

გულს: არ სცხრებოდა ქრისტიანობა! ანადგურა რომმა ეს ძალა, ვერ ეწია თავის სურვილს დიდ ჟამთა სვლაში: ერთს თავს ჰკვეთავდნენ, ნაცვლად ორი ამოსდიოდა. დევი თუ იყო საშინელი ახალი ძალა! ჩაჟანგდა დიოკლეტიანეს ხმალი მათი სისხლით, ვერ შეარყია მათი სიმტკიცე! მონათა დუნდგო, ხალხი მდაბიო ახალ სჯულისთვის თავდადებული...

— სდევნეს სასტიკად, შიგადაშიგ მაინც ასუნთქებინეს, მოუვლინეს ხანი მყუდროებისა: ქრისტიანე გასწყდეს ერთბაშად!

— და ხელში შეგრჩეს ერთი მუჭა ზედა წოდება, უსაქმურთ ჯგუფი. თუ მოვსპო ხალხი, მომესპობა მასთან ერთად მეც ძლიერება.

— ვერ მესმის კარგად შენი სიტყვა, ზეცით ცხებულო!

— მისმინე! შაჰ-შაბური დაგვიახლოვდა: კტეზიფონში მოიტანა სამეფო ტახტი. შეკრიბა უკვე ძალა ძლიერი და მოდის ომად. შევანანოთ კადნიერება! ან ის, ან რომი! უნდა გადაწყდეს სამუდამოდ ეს შეჯიდება. ვაი დაძლეულს!

— ღირს მარჯვენას უჭირავს აწ უძლეველი ხმალი რომისა!

— მაინც მეტი სიფრთხილე გვმართებს. უკვე დარაზმული მყვანან სპარსეთის იმგრგვლივ ერთგული დამხმარენი: ჩემგან აღდგენილი სახელმწიფოები სისხლს დაჰლვრიან ჩემთვის. მაგრამ...

დაფიქრდა ერთს ხანს იმპერატორი.

— მაგრამ მებრძოლი ლაშქარი შესდგება მდაბიოთაგან, ისინი სულ ქრისტიანები არიან, მტრად მივაჩნივართ ძალთა მექონნი. თავს არ გასწირავენ ისინი ჩვენთვის: მათ სიძულვილი დაგვიდუნებს მებრძოლ მარჯვენას.

— ღმერთის შვილო, რას ბრძანებ მაგას?!

— უნდა დავუთმოთ გადამწყვეტი შებრძოლების წინ!

— როგორ?! ვაღიაროთ ქრისტიანობა, ვეთაყვანოთ ჯვარცმულ ჰურიას?!

— ბევრი დაუთმოთ, დავათმობინოთ იმათთათვის საბედისწერო, უდიდესი გამარჯვების მომტანი ჩვენთვის.

— კვლავ ვერ მივმხვდარვარ შენს ჰაზრს დაფარულს!

— ცხადვყოფ მე იმას, თუ წელს მარტყავს ჩემი მახვილი!

იმპერატორის ბრძანებები გასაკვირველი: ქრისტეს სჯული თავისუფლად იღიაროსო; აიხატოსო ალამზედ ჯვარიც; მოისპოს სიკვდილი ჯვარცმით; ქრისტიანე მღვდელთ-მსახურნი სახელმწიფო ხარჯისაგან თავისუფალნი; დაუბრუნდეს ქრისტიანებს მათი ქონება ჩამორთმეული; გაეხსნათ კარი ხარისხოვან ხელთუფლებისა...

ეს და ყველა ამ სახის განკარგულება იმპერატორისა ანცვიფრებდა აქამომდე სასტიკად დევნილთ. მდაბიო ხალხი და მონები აღტაცებულნი: დაკნინებულთ მფარველობდა სჯული ქრისტესი. იტყოდა ძმობას, თავისუფლებას, ერთობას თუ თანასწორობას. უარჰყოფდა წარჩინებას შთამომავლობით. კაცადკაცადს გაარჩევდა პირად ქმედებით. ჰგმობდა ქონების უსწორობით განაწილებას.

— ხალხიც ერთი ოჯახია, თუმცაღა დიდი: თვითეულ წევრს თანაბარი ჰქონდეს უფლება!..

— კეისარი შეჩერდა ერთს ხან ამ ახალ გზაზედ.

— კმარა! უკვე ჟამია, ახალი სჯული წარემართოს დათმობის გზაზედ!

— რა არის ისეთი დასათმობი, რომ უწონდეს ბევრ სიკეთეს შენგან მიპყრობილს?!

— სინამდვილედ გარდაქმნილი ოცნება ჩემი: რომის არწივი, ქრისტეს ჯვარი ერთად ორნივე! მთელი ერი ერთსულ სიმრავლედ. რომის მხედრობა ქრისტეს მოყვარე! წარუმძღვარო დროშა მძლეველი. დაპყრობილი აღმოსავლეთი!

საიდუმლო ხმა ამცნობდა ნიჭებულ მეფეს, რომ არ სცდებოდა; შესაძლო იყო მის სურვილის აწ განსახება. ალღოს ხმა თუ იყო იგი შეუცდომელი.

კეისრის ფიქრებს ხელს უწყობდა გარემოება: ვეღარ შეეძლო ახალს სჯულს სვლა წინანდებური; დაიქანცა, მოუძლურდა სისხლით დაცლილი. ძნელ დრომ განვლილმა დაამჩნია ნასახი ძნელი:

სიტყვა მარტივი, მთლად უბრალო, ზეკაცის თქმული გაწაფულ ჰაზრთა ხვეულებში გახლართულიყო; გულრწფელთა რწმენა უბირ-უბრყვილო ჰაზრთა ბრუნვაში დაწრახნილიყო; დაჰკარგოდა ბუნებრივი ტურფა ფერი და სურნელება.

იესოს მიერ მოტანილ თვალის დაწახნაგება წილად ხდომოდათ ანტიოქელ და მისრეთელ მსწავლულთ კრებულებს. ურიგებელი მეტოქენი, ერთმანეთის უარმყოფელნი!

აღმოსავლეთი უზენაესს ერთს ღმერთს იტყოდა. დასავლეთი ეგვიპტითურთ ორ ღვთაებას აღიარებდა. არიო ანტიოქელი ერთს ღმერთს ამბობდა ყოვლის შემომქმედს, იესოს ჰხადდა შექმნილ ზეარსად. ეგვიპტელნი დიდ შემოქმედის თანაარსად, თანასწორად ჰხადოდნენ ქრისტეს, არა ქმნილს, შობილს მამისაგან ჟამთ უწინარეს.

და იყო ბრძოლა იმათ შორის, განხეთქილება.

საკუთარ ჰაზრით გატაცებულმა კეისარმა ისარგებლა ამ ამბოხებით. დაუსახა თავისი თავი ახალ სჯულის თანამგრძნობელად. ქრისტიან ჯგუფთ მოთავენი მის ბრძანებით შეკრბნენ ნიკეას. მთელი ხარჯი სახელმწიფომ თითონ გაიღო. შეუდგა კრება ქრისტეს სჯულის დაყალიბებას. კეისარი თვალს ადევნებდა. განაგებდა ამ საქმეს საშიშს, ქრისტიანე თუმც ჯერ არ იყო. ეგვიპტისკენ იხრებოდა მის თანაგრძნობა. სძლია მისრეთმა: საბოლოვოდ აღიარეს მათ ორი ღმერთი; შემოქმედი ღმერთი მამა დაუსაბამო და თანაარსი, თანასწორი მისი ძე ქრისტე.

და გაუმარჯვდა კეისარს უხმლოდ!

— სული მეტყოდა, გაიმარჯვებო და არ მოვტყუვდი.

— ღმერთებმა თუ შთაგაგონეს ჰაზრი ძლიერი. აწ რავდენობით განირჩევა მათი რწმენა ჩვენი სჯულიდან: ორი, მრავალი.

— რა გარდალახეს ერთი ღმერთის ფარგალი ძნელი, ვერღ შესდგებიან: გამოჰნახავენ სხვა ღმერთებსაც, აღიარებენ.

— წასდგან ნაბიჯი: დაჰმორჩილდნენ ჩვენ ძველებურ სჯულს, შეუერთონ თვისნი ღმერთნი ჩვენ დიდებულ ღმერთთ.

— ჯერეთ ეს კმარა! უფრო შორს წავლენ: ღვთის მსახურების ჩვენ ძველ წესებს შეითვისებენ.

— ეგ ჟამთა შემდეგ!.. ჩვენთან ერთად იბრძოლებენ აწ სიხარულით: ჯვარს მოჰყვებიან.

მოიშორა კეისარმა თანამმართველნი; მიაყუჩა სჯულის გამო განხეთქილება; შესაძლოდ შექმნა ქვეშევრდომთა თანამშრომლობა. ეხლა დრო იყო შესდგომოდა თვის დიდ საწადელს.

— აწ შესაძლოა, გავიარო უფრო მარჯვედ გზა ისკანდარის! ბედის წერის მე ვარ რჩეული და მოვსპო ძალა მძლავრი აზიის! შევქმნა ერთი სახელმწიფო განსაცვიფრები, სამფლობელო თვალუწვდენელი. ჩააქროს ჩემმა ბრწყინვალებამ ისკანდარის ახატულობა!

ქრისტიანობა უკვე მძლავრ იარაღად შეიქმნა კეისრის ხელში მის გავლენის გასავრცელებლად. წარავლინა ყოველ მხარეს სჯულის ქადაგნი. საქართველოშიც ისწრაფოდა უცხო ტომთა დამორნებას ხორციელად და სულიერად. და მისწვდებოდა საარაკო თვის საწადელს ბიზანტიელი, თუ...

13

ქადაგ ნინოს გამოგზავნაში დიდ მონაწილეობას იღებდა კაბადოკიის მღვდელმთავარი, რომელს შეეკითხა ჰანიბალ პონტოელი. იცნობდა ევსევი ქალს. ნინო დახელოვნებული იყო ქართულში, ზედმიწევნით იცოდა ექიმობა და თან დიდად გამოცდილი: ექადაგნა პალესტინას, ფრიგიას, კომაგონეში; თითონ რომშიც. მტკიცედ ედგა ნიკეელთა მიმართულებას.

ქალი ერთხანს შეაკრთო ამ არჩევანმა: გაუტეხელად ითვლებოდნენ ქართველნი სჯულში; ჯერაც ისევ მსახურებდნენ ძველისძველ ღმერთებს, არმაზამდინ რომ თაყვანს სცემდნენ. მეტად ძნელი იქმნებოდა მათ შებრძოლება. ყოყმანობდა, ლოცულობდა; მაინც გაბედა. გამოსთხოვა პონტოელს წიგნი ქართველთ მეფესთან. ჰანიბალი ზეშთა ძალით აღნიშნულად ჰხადა ნინოსა. ანიშნებდა, რომ ქადაგი თვით კეისრის მფარველობაში იმყოფებოდა.

დააფიქრა პონტოელის წერილმა მირიანი. იცოდა, რა საბოლოვო მიზანი ჰქონდა ქრისტიანობის ქადაგებას საქართველოში. უნდა აერჩია მირიანს ან სპარსეთი, ან რომის იმპერია. ძნელი იყო გადასაწყვეტად: სპარსეთთან აკავშირებდა მას ნათესაობა, მახლობელი მეზობლობა და ის, რომ სპარსნი ვერ შესძლებდნენ ისე ძლიერად ესარგებლათ საქართველოთი, როგორც ჩვეული იყო რომი თავის ქვეშევრდომ თუ მოკავშირეთა შესახებ.

თითონ სჯული... მირიანს შესწავლილი ჰქონდა ძველი ქართული კერპთაყვანისმცემლობა და სპარსეთიდან შემოსული სარ-

წმუნოება, რომლის ხილული ამსახველი იყო არმაზი. ორივ სჯულის მასწავლებელნი ჰყვანდნენ მას ბალღობიდან მიჩემებულნი. შემდეგ თითონ უნდა აერჩია ერთი მათ შორის. ესეთი იყო ქასრეს პირობა. ოსტატები უნებლიეთ ამცირებდნენ ერთმანეთის სჯულს. მირიანმა ორივ დაისწავლა, ვერც ერთი ვერ შეიყვარა. მაინც უფრო არმაზისკენ იყო გადახრილი: ის იყო ეხლა უფროსი ღმერთი სამფლობელოსი და უნდა დაეცვა მისი დიდება.

მირიანმა გაუგზავნა ჰანიბალს საპასუხო. აცნობებდა, ახალი სჯულის ქადაგთ ჩემის მხრით დაბრკოლება არ მოელითო.

სწერდა:

...საქართველოში უმთავრესი სჯულია ის, რომელიც შემოუტანია ფარნაოზ მეფეს. ჩვენი ღმერთი არის არმაზ ბრწყინვალე. იგი მძლედა სდგას და მფარველობს ჩემ საბრძანებელს. სხვა ღმერთნიც არ იდევნებიან აქ. მათ შორის მიეცემა ადგილი ახალ ღმერთს ჯვარცმულს, თუ დაიმსახურა ხალხისაგან თაყვანისცემა...

დედოფალი ნანა ვერ ეთანხმებოდა ამ საქმეში თავის მეუღლეს. პონტოელი იყო ის, ქვეყნის წინანდელ მფლობელთა გვარიდან; გამოცდილი ჰქონდა, ახალი სჯულის ქადაგებას მოჰყვებოდა რომის გავლენა, ბიზანტიელთ უფლებების დამყარება. ფიქრობდა ნანა, შეეგონებინა ეს მეფისათვის. მირიანი თითონაც გრძნობდა, საით ისწრაფოდა რომთა ხელმწიფე. რა შეეძლო?! მძლავრი ძალა მოიწევდა, ვით ბედისწერა!

ჯვარის მსახურთ თავისუფლად ქადაგებას მთელის თვისის ძალით ეწინააღმდეგებოდა ქურუმთუხუცესი ბაბეგი.

თუ საქართველოს ჭვანგს ჩაჰკიდებს რომის არწივი, მთლად მოსპობს ჩვენს სჯულს, ძალას მოიტანს. ჩრდილოეთით მოექცევა რომი სპარსეთსა და გასწურავს რკინის სალტებში.

დედოფალი და ქურუმთუხუცესი ერთნაირად ფიქრობდნენ ამ დიდ საქმეზედ. უნდოდათ, მირიანიც თავის მხარეს გადმოეყვანათ, მაგრამ ვერ შესძლეს: ფართო მოსაზრება ნებას არ აძლევდა, მტრად აეჩინა ბონტის მფლობელი და მასთან ერთად კეისარი ბიზანტიისა.

ქრისტიანობის მოციქულნი სამცხით შემოვიდნენ საქართველოში. ქვეითად მოდიოდნენ. ფერთხ ხამლი ეცვათ, ტანთ შალი. არგანისა და გუდის მეტი არ რა გააჩნდათ. სიღარიბის მაქებელნი სიმდიდრეს უარჰყოფდნენ სიტყვით და საქმით.

მტკვარს ამოჰყვნენ. შევიდოდნენ სოფელში, წარსთქვამდნენ სიტყვას, დაეხმარებოდნენ გაჭირვებულთ და წავიდოდნენ. ათასგვარი მგზავრი ვიდოდა მაშინ ამ გზებით: ერთნი გლახაკთა სახით, სხვანი რომელიმე ხატის დავალებით; ზოგნი ჯამბაზობას იჩენდნენ, სათვალთმაქცო გასართობს უჩვენებდნენ ხალხს; ხან-ხან ბერიკებიც გაჩნდებოდნენ, რომ წარმოედგინათ ხალხის წინაშე ამა თუ იმ ღმერთის ქმედობა სანცვიფრებელი თუ სასაცილო. სოვდაგრებს ხომ ხშირად მოჰქონდათ სავაჭრო საქონელი.

ეს ახალი მგზავრები ირჩეოდნენ სხვათაგან. საცა მოვიდოდნენ, ცდილობდნენ სარგებლობა მოეტანათ: ასწავლიდნენ, ავადმყოფებს ჰკურნავდნენ, ხელს წაახმარებდნენ გაჭირვებულებს. მეტადრე ნინო სჩანდა ექიმობაში დახელოვნებული. მისი წამალი უებარი იყო, შელოცვა უწამლოდ არჩენდა: ხან არც ლოცვას იტყოდა, დააკვირდებოდა თავის გამჭვრეტ შავ თვალებით და უბრძანებდა:

— განკურნებულ ხარ ძალით ჯვარის!

ავადმყოფი კარგად იგრძნობდა თავს.

— კეთილი სული დაჰპატრონებია ამ ადამიანს, ავადობს ბატონები მას ჰმორჩილებენ.

— არა, ბოროტი ძალით განასხამს ეშმაკთ! — იტყოდა ქურუმი.

— ბოროტი ეშმას ვით ებრძოლება?!

უჯერებელ ქადაგებდნენ, მაინც ტკბილ სასმენს: კაცი თაცის თავს თვითონ უნდა ემსახურებოდესო; დადგება დრო მოისპობა ბატონყმობა და მონობის სახსენებელიც: თითონ განაგოს ერმა თვის საქმე: უკეთ იცის თვის გაჭირვება!

ხალხს ჭკვაში უჯდებოდა მათი სიტყვა და გულდასმით უსმენდა. დიდებულთ თუ გამარჯვებულთ არ მოსწონდათ მათი თქმა და მტრულის თვალით შეჰმზერდნენ იმათ. ის უფრო

ეუცხოებოდა ხალხს, რომ გასამრჯელოს არ იღებდნენ: ხმიადი გუდაში და წავიდოდნენ.

მოდიოდნენ დაუბრკოლებლივ, ძნელი სავალი იყო, სახიფათო კი არა სჩანდა რა: ხალხი გულკეთილი აღმოჩნდა, მგზავრთა პატივისმცემელი. წახალისდნენ ქადაგნი, თანდათან ფართოდ გაშალეს თვის საწადელი, მანამ განსაცდელს არ გადააწყდნენ დაბა წათეურში, თოფარავნის ტბის მახლობლად.

მანამ მიაღწევდნენ ამ სოფელს, აქ უკვე მოსულიყო მათი ამბავი: შეურაცხჰყოფენ ბატონთ უფლებას, მხოლოდ ღმერთია ბატონ-პატრონიო; არ არისო საჭირო ჰმსახურებდეთ უსულო კერპებს, ჰხამს თაყვანისცეთ ჯვარცმულ ქრისტესო.

ესენი რომ მოისმინა იქაურმა ქურუმმა, მიჰხვდა, ვინც იყვნენ მომავალნი.

— უბრალო მგზავრები არ არიან, ახალ სჯულის გასაჯრცელებლად მოდიან აქათ. მაგათ დაამხეს დიდი რომის სარწმუნოება. სდევნიან, ჰხოცენ; უფრო მრავლდებიან. შეარყევენ და შერყვნიან ჩვენ დიდებულ სჯულს! — წარსთქვა მოგვმა

და მზირად დადგა: განიზრახა, შეჰბრძოლებოდა.

15

გამოცდილი კაცი იყო ქურუმი, მცოდნე. მოვლილი ჰქონდა ევქსინის სანაპირონი. იქ ეხლა გავრცელებული იყო ახალი სჯული. იცოდა მოგვმა მის შინაარსი თუ ხასიათი.

— ძნელი რჯულია, გაუტეხელი. ბნელის ძალაა! სადაც კი შესძლებს კვალის შეტანას, სასტიკად ებრძვის კეთილის მქნელ ნათელ ღმერთებსა, ამსხვრევს მათ სახეს უმშვენიერესს და აღმართავს ჯვარედინ ხეს თაყვანსაცემად! ჯოჯოხეთით მოივლინა ქრისტეს სახით ღმერთთ მბრძოლი ძალა! — იტყოდა მოგვი

და იგზნებოდა საბრაოლველად განმზადებული. მიაღწიეს მგზავრებმა წათეურს. სოფლის გარეთ დაბინავდნენ ხეებქვეშ. დაფინეს ხმები: ავადმყოფთ ვულხენთ, ყოველ ჭირს ვკურნებთ! საქმით ამტკიცებდნენ ქადილს. განკურნეს ბევრი: წამალს ასმევდნენ, მალამოს ადებდნენ, შეულოცავდნენ, უბრძანებდნენ, ხელთ დაასხავდნენ. ასწავლიდნენ ხალხთ სნეულთ მოვლას.

ეს იოანეზოებოდა ხალხს: დაბაში შემოსიოლისას თუ ეანი-

ვლისას, საქმის დაწყებისას და გათავებისას, სანოვაგის მიღებისას თუ აღებისას ჯვარს ისახავდნენ; ქრისტეს სახელს ახსენებდნენ დაუცხრომლად. ყელზედ ჯვარი; ჯვრის სახე ყავარჯენზედაც. ასწავლიდნენ ამ ნიშნის სახვას. მეტადრე ბალღებს.

წათამამდნენ. ახალი ნაბიჯი გადადგეს: ადგილის ხატი იდგა ქვისა, მის წინ სამსხვერპლო. სოფელ გარეთ იყო ნიში იფანებით შემოზღუდვილი. თითონ კერპს ბრინჯა ჰფარავდა ხშირტოტიანი. მიახლება არ შეიძლებოდა, თუ არ ქურუმის წინამძღვრობით; მგზავრებს გაებედნათ: იფნების ქვეშ გადაეტანათ ბინა. გაჩნდა მოგვი. მორწმუნენებიც შემოეხვივნენ. უბრძანა, გასცლოდნენ წმიდა ადგილს. მიუგეს:

— ადგილი უწმინდურია, ავთ სულისაგან შეხებული. არ გვეშინიან ბნელის ძალების!

ნინო გაემართა კერპისაკენ. გაწვდილ ხელში ჯვარი ეჭირა. გადაეღობა ხუცესი.

— ხელთ გიპყრია ავაზაკთა დასასჯელი ხე და...

— ჯვარი პატიოსანი, რომელზედ თვით ღმერთმა ინება სიკვდილი!

— სისულელეს იტყვი ბოროტს, დედაკაცო! — შესძახა მყუდელმა

და გამოსტაცა ჯვარი, გასტყორცნა.

— განვედით აქაით, მაცთუნებელნო!

ხალხი მოეშველა მოძღვარს. ბოროტო შეემთხვევოდათ მგზავრებს, თუ შემკრთალ ნინოს არ ამოეღო უბიდან ეტრატი. ქურუმმა დაჰკრა თვალი პონტელის ბეჭედს და შესდგა. არც მრევლს მისცა ნება ძალადობისა. მხოლოდ უბრძანა, ჭაბს გასცლოდნენ ხატის სავანეს.

დაიბერტყეს ფერხთა მტვერი, გაუდგნენ გზასა. ტბიდან გამომავალ შემდინარეს მოსდევდნენ. შეჰყვნენ ისევ მტკვარს წინ აჰყუდებოდათ უზარმაზარი მთები. ხეს ვეღარ მოეკიდნა ფეხი მათ თხემზედ. ზაფხული იყო; თოვლიანი ხევთ ფსკერები თეთრ ზოლებად ჩაჰყოლოდნენ მთებს. მიყრილიყვნენ უზარმაზარნი, სავალსა ჰხშავდნენ. ვერ სდევდა თვალი თვით მტკვრის სადინელს. ეს უვალი ადგილები ბნელის ხალხით დასახლებულნი. თაყვანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა. ზვარაკებად კაცთა სწირავენ.

— ძაძიდაჩეძძა ნიანფორემ მართალი მითხრა. უძნელეს გზას დასდგომიხარო. დაგვხოცავენ! იქნებ შეგჭამონ...

შეძრწუნდნენ ფრიად, გზათა სიძნელით.

— უფალო, უფალო ჩემო, მიიღე სული ჩემი ჩემგან და ეამხსენ განსაცდელთა მათ წინამდებარეთა! ჰე, უფალო, მხოლოდ დედაკაცი უმწეო! ვით შევსძლო, გმსახუროო?! — შეჰღაღადა ნინომ.

და მოესმა ხმა იდუმალი:

— წარვედ, ნუ ჰყოვნი, არჩეულო დედათა შორის! ანგელოსი გზას წარგიმართავს.

16

და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს; პირველ ყოფილის სიმშვენივრით სავსე ბუნება უფროდაუფრო მკაცრის სახით ევლინებოდათ. უფსკრულნი ხევნი. უღრანი ტყე ღრუბელთ საყრდნობი. სახიფათო წავარნები, სად მთის ნადირს მხოლოდ ეძლო ლაღი რონინი. მიმხლტომის მტკვარის ქაფავარდნილ ჩანჩქრების ხრიალს ამრავლებდა სალ კლდეების მოძახილი ფერადხმიანი.

— ღმერთო ჯვარცმულო, დაგვიფარე განსაცდელისგან!

— ქართველთ ხატები გვსდევენ ფეხდაფეხ აღტყინებული ხმათა სიმრავლით.

— აღბორგებულ წარმართთ ბრბონი მოგვდევენ უკან!

— ჩვენთან არს ღმერთი!

— სცანთ, წარმართნო, და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი!

ადვილად შეიძლებოდა ამ საშინელ გზებზედ ადამიანის მოსპობა. ბევრი მგზავრი იკარგებოდა აქ უგეშოდ, თუ რამ სახარბიელოს წარმოადგენდა. სოვდაგრები ისე ვერ გამოივლიდნენ ამ ვიწროებს, შეიარაღებული მცველნი არ ჰყოლოდათ თან.

გალიეს ტყე-ღრე, მალე გათავდებაო მთიანი სავალი, ანუგეშებდნენ. დაუჯერებელი სჩანდა ესეთი სიტყვა: არ კლებულობდა მთათა სიმაღლე; ღელე უფრო ვიწროვდებოდა; მხოლოდ ის გზაღა მოსჩანდა, რომ გაეჭრა ბითუმ კლდეში ლომგულ მდინარეს.

ფრიალოზედ არწივთ ბუდე თუ რაიმ კოშკი. ცოტაც და ძეაარაღებული გუშაგნი გადაეღობნენ მომავალთ. შეაყენეს. გაჩხრიკეს. რას უპოვნიდნენ ქრისტესათვის დაგლახაკებულთ?! ჰეზვერე ხელცარიელი დარჩა. ვერც გუშაგმა შეაკავა:

— ეს გლახაკები პონტის ხელმწიფისანი ყოფილან, მზე მირიანთან მიმავალნი!

გასცდნენ კლდე-კარს. თვალთ წინ გადაეშალათ ქართლის მინდვრები კავკასიის მთათა მწკრივამდინ. მწვერვალები ცასა სწვდებოდნენ. თავს ევლებოდნენ ღრუბელთ დასები. ეყუჩა მტკვარსაც: მწყობრად მიაგელვებდა ტალღებს ტალღებზედ ხტომა-სრბოლით მუხლმოღებული. მდინარის სავალს ანიშნებდა ჭალა ქოჩორა. მთის ფერდოები, ფართოდ შლილი ტაშირები ჭირნახულით სავსებით სავსე. გულს ეფონათ ძნელ მგზავრობით განაწამებელთ.

— ვიშ ამ ედემსა!

— სამოთხის კუთხე ბედნიერებს თავის მამულად?!

— აქ აღმოცენდეს სამკალი უხვი ქრისტეს ყანისა! — წარმოსთქვა ნინომ.

და შეჰყარა ხელნი:

— გმადლობ, იესო, აღმირჩიე შენ სიტყვის თესვად! განვიდეს ჩემგან შედრკომა გულის, ეჭვი ყოველი!

საქართველოში მოსულნი ფერნაცვალ ქრისტიანობის ჭადაგნი იყვნენ, როდესაც ის ცხოვრების ბრუნვამ ააცილა წარმართობასთან შეურიგებელ ნიადაგს, დააშვებინა სხივთ მახვილი ბნელეთის მკვეთი და შეათვისა მოქიშპისგან ბევრი ისეთი, რასაც ხალხი გასაწირად ვერ ელეოდა. ადრევ დაიწყო ეს მორკალვა ახალის სჯულის და დაყალიბდა ნიკეაში უმთავრესი მის დებულებით. სხვანაირად არ ეგებოდა: მახვილით ბრძოლამ სისხლი ადინა, ჰაზრთა ბრძოლაში შეეგლიჯა მას ბევრგან ზღუდე და...

— დაუთმოთ მცირე რამე მტერს მძვინვარესა, რომ...

— დაგვამკვიდროს მრავალთა ზედან!

— დავმორჩილდეთ თუნდ გარეგნულად, რომ...

— დავიმონოთ!

ორად გაიპო ნიკეაში ქრისტიანთა დიდი კრებული. მტრულად უპირდაპირდა აღმოსავლეთი დასავლეთს. მძულვარება სენად მოედოთ სიყვარულის მომტანის ცხოვართ. გადადიოდა ქალაქებში, დაბა-სოფლებში, უდაბნოებში, სად იღვწოდნენ განდეგილნი ქრისტეს სახელით. მეტად ღელავდნენ: ფიბაიდა, ლიბია, ბუკოლია, ნიტრია; უდაბნოები ასირიაში თუ არაბეთში.

— დადგა უკვე განცდის ჟამი უკანასკნელი!

— და განაცხადდა ანტექრისტე კეისრის სახით!

— საყდარს დასჯდა მაცხოვრისას, ვითა ღვთაება!

— მიერთვნენ მას სულმოკლენი და დრკუნი გულით.

— და მიანიჭა მათ გამარჯვება!

— ვიდრემდის, უფალო, ვიდრემდის?!

გადადიოდნენ დრტვინვის ზვირთნი უდაბნოდან უდაბნოებში, ქვეყნიდან ქვეყნად. განდეგილნი შემართებას მოინატრიდნენ. გაისმოდა შიგადაშიგ ხმაც სანუგეშო:

— მყის მოვიდეს ქრისტე უფალი. მოაკვდინოს შვილი ბნელისა სულისაგან თვისის პირისა. განჭარდებიან მის საქმენი საეშმაკონი!

უშედეგოლა იყო ნიკეელთა წინააღმდეგ დრტვინვა თუ ღელვა: ქრისტიანთა მოთავენი კეისრის ხმალს მინდობოდნენ. სხვანი ყოველნი შესდგებიან იძულებით ამ ახალ გზაზედ!

ბრძოლის საგანი ხალხისათვის არც არსებობდა: საკუთარის რწმენისათვის მათ აღარ სდევდნენ; აღარ იყო საზიანო ქრისტიანედ თავის თავის აღიარება. ჯვარი დროშაზედ! მიუძღოდა გამარჯვებისკენ! სხვას რას ითხოვდა აქამომდე დევნილი დუნდგო?!

— ხალხი ეხლა მხარს მე დამიჭერს! ჩაიყარა ჩემ ქვეშევრდომთ ერთობის ბურჯი, — ფიქრობდა კეისარი.

და აჩქარებდა ომის სამზადისს. უბრძანა ჯარებს თავის ახალ სატახტოსაკენ.

— არ არის საჭირო დიდი ლაშქარი. ცოტა იყოს და რჩეული. უნაკლულო აბგარ-აბჯარი! საომარი ტაიჭები საუკეთესო! — ბრძანებდა მეფე.

ბიზანტიაში მოსულ ჯარს თითონ ათვალიერებდა და ისე ისტუმრებდა ნიკომიდიას: განაწესა ამ ქალაქის სანახები ლაშ-

ქრის საკრებად. მთავარსარდლად თავისი თავი; თანაშემწედ ჰამურაპი, თვისი ოსტატი.

სულ ორმოც ათასამდინ იქნებოდა. თვითეული რვალისაგან ჩამოსხმული მხედარი იყო მკვირცხლად მოძრავი, ჰუნეთა და აქლემთ სიმრავლე. საომარი ეტლი მბრუნავი ბევრი არ იყო, მაგრამ ახალი სახით იყო შეჭედილი: მახვილთა და ბარჯთ სიმრავლით მეტად სავნები. ჰაზრადა ჰქონდა, ელვასებურ შემართებით გაეტეხნა მოპირდაპირე.

მოსწონდათ ლაშქარი. გამოცდილები აქებდნენ მის მედგენილობას, წესს სამხედროს, მოწყობილობას. ქრისტიანე ჯარისკაცთა აღფრთოვანება. აჩვენებდნენ იმპერატორს ერთგულობას! გამარჯვება მათი იყო, წინადვე გრძნობდნენ. დიდ დროშაზედ ჯვარი ბრწყინვალე! წარუძღვებიან უხილავად ძალნი მებრძოლნი. წარიქცევენ ბნელის მსახურთ და შემუსრავენ!

ემზადებოდა კეისარი ლაშქარში წასასვლელად. ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად. დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი, ქურუმნი.

მოადგა სასახლეს მეუდაბნოე. ტილოს კვართი უსახელო, შალის ვარმანდი, შალისავე თავსარქმელი კალთებიანი, ხომლები ფეხზედ.

— მოახსენეთ: იუვენალ განდეგილი არაბეთიდან!

— რა საქმისათვის?

— წმინდა უდაბნომ მოუძღვნა ლოცვა ბრძოლად მიმავალს!

— ბევრი ისწრაფის წარუდგეს ღვთის შვილს, ოქრო ითხოვოს.

— არ მინდა ოქრო! კურთხევა მომაქვს, ფერხთ დავუფინო!

— არ შეიძლება!

— არ ყოფილა კეისარი ღმერთის რჩეული: მხოლოდ მისია მოტანილი ჩემგან ნიშანი, ვისაც განგებამ მიუსაჯა ჩისი მიღება!

დაიბერტყა ფერხთა მტვერი, გაბრუნდა ბერი. კარისკაცთ საჭიროდა სცნეს, მოეხსენებინათ. ბრძანა მიღება. ეთაყვანა ბერი კეისარს. გამოიღო ვარმანდიდან ქსოვილებში გახვეული რაღაც ნივთი და გაუწოდა.

— ამით სძლევ წარმართთ, ახალ. სჯულის გამვრცელებელო!

შეხსნეს სახვევი, დაშნა აღმოჩნდა. მიართვეს მეფეს. ამოიღო მახვილი. მძიმე იყო. საბუმბერაზო. აალაპლაპა. ბუნდად ბრწყინავდა. ფხა გაუსინჯა. დიდებულია! სცადა ლითონზედ. ჰკვეთდა ყველივით.

— სად იშოვეთ ეს საკვირველი?

— წმიდა აბბას სიზმრად ენახა. გახსნა აკლდამა. დალოცა ჯვარით. წარმოგიგზავნა.

— მიეცეს ოქრო უდაბნოს საშენებლად!

— ვერ წარვიტან ოქროს გინა ვერცხლს! — სთქვა განდეგილმა და გამობრუნდა.

18

გავიდა ხანი. მეფეს უცნაური ქავილი ააჩნდა ხელებზედ, ტანზედ. ბრძანა აბანო. შეუდგა ქისადარი თავის ქმედობას და... ფერნაცვალი გადახტა უკან. ხელებს იფშვნეტდა ზარდაცემული.

— რა დაგემართა?!

მეფის ხმაურზედ ხმალმოწვდილი ყმა შემოვიდა. ქისადარი გაშეშებული. შეუტია კონსტანტინემ.

— კეთრი, ღვთის შვილო, კეთროვანება!

გაშრა ხელმწიფე. მამაცურად შეჰხვდებოდა სიკვდილს ბრძოლაში, ამგვარნი სენი კი... მეფის ექიმი. კარისკაცნი. სხვა მკურნალები. ხელებზედ, ტანზედ უფერული ნამზნევი ჩანდა ფოლაქ-ფოლაქი. კეთროვნება უკურნებელი.

— საიდან უნდა შეხვედროდა სენი საზარი?!

— ვინ მოიტანა სასახლეში უწმინდურება?!

ამაო იყო განცვიფრება თუ გამოკვლევა. სასიკვდინოდ დალახვრილი იმპერატორი. მკურნალებმა არ იცოდნენ მისი მალამო. რა დროსღა ფიქრი ლაშქრობაზედ თუ სარდლობაზე?! მსწრაფლ მიიღეს იგი ზომა, რაც მათ იცოდნენ: განცალკევება.

სასიკვდინოდ დაშავებულმა ვერ შესძლო მეტად დაჰშორებოდა თავის საყვარელ ბიზანტიას, რომლისათვის ისე ეზრუნა: სატახტოდ დაესახნა, შევმკო უძვირფასეს შენობებით. ბაღწალკოტებით, თვის საბრძანებლის სხვადასხვა მხრიდან გად-

მოტანილ ლამაზ ძეგლებით. ვერც იმ კიდეს შეელეოდა ის, აზიის იმ ნაპირს, რომელი სჩანდა სრუტის გადაღმა. იქ იწყებოდა დიდებული მისი ოცნება.

— ლაშქარი ჩემი მახვილმოწვდილი! გავსწევ სამეფოს ამ კიდიდან ინდოეთამდინ, მეწამულ ზღვიდან გურგენისადმდე. უძლეველი ტახტი ჩემი საბრძანებლის ზედ შუაზედ ამაღლებული სხივოსნობდეს ქვეყანაზედ, როგორც მნათობი!

უკანასკნელ თვის სავანედ მოითხოვა სრუტის გაღმა მდებარე კოშკი-სასახლე აკირონი ბაღნარში მჯდომი. თვალუწვდენელ ქვეყნების მპყრობელი ვეღარ გასცდებოდა ციხის გალავანს, სანამ არ გადინაცვლებდა სამუდამო განსასვენებელს. ღვთის სახე ქვეყნად, აწ მარტო იყო. რამდენიმე მონა, მხევალი. მათთვის იგი ჯალათად სჩანდა. ერთიღა დარჩა ქვეყნის მპყრობელს ნატვრის საგანი: განეშოროს საზარელი უწმინდურება.

— ექიმო, ექიმო! განა შესაძლოა, არაფერი წამალი არა ჰქონდეს ამ სენს თვით კეისრისათვის, ძვირფასი მალამო მთელ სახელმწიფოდ ღირებული?!

— განგების ხელია აქ ასახული, მისი გახრა თუ უკუქცევა შეუძლებელია კაცთ ხელოვნებისთვის.

მაინც სცადეს ყოველივე საშუალება: ხმა მიაწვდინეს მისრეთიდან ინდოეთამდინ, სკვითეთიდან არაბეთამდინ. ამაოდ! ვერავინ აღმოჩნდა საშინელი სენის მკურნალი. მიჰმართეს ქურუმთ, სცადეს გრძნეულნი; ვერრა არგორა მათმა ლოცვამ, მსხვერპლმა, თილისმამ.

— მიქადაგებდნენ ჯვარცმულის სჯულს, ღმერთად მეტყოდნენ იესო ქრისტეს, მარწმუნებდნენ მისგან ნაქმედ სასწაულებით. კეთროვნებსა ჰკურნავდაო ერთის ბრძანებით.

— მოვიკითხოთ იმათ შორისც სასწაულთ მქმედნი. იქნება იმ ღმერთმა თვის მოსავთ ხელით დაგვიფაროს განსაცდელისგან.

მიმართეს, სთხოვეს, აღუთქვეს, უბრძანეს — არავინ აღმოჩნდა აღჭურვილი ზეგარდმო ძალით!

— მათ დიდი წყალობა ვუყავი: დევნისა თუ აღხოცვის ბადლად თავისუფლება მივანიჭე და სიცოცხლე. იმათ ღმერთმაც ესე გამწირა. იქნებ ისიც უძლურია, როგორც რომ ძველნი...

შორიდან ესაუბრებოდნენ საშიშ ავადმყოფს. საბურველი ჰფარავდა: კაცთაგან აღარ ინახებოდა მისი სახე და ხელები უკვე დახრწნილი. ხმაც ჩახვეწოდა: ძლივ აგონებდა სიტყვას, ბრძანებას. მიჰმართა მან უკანასკნელ საშუალებას: ნათლის ღება მოიწადინა, რომ იესოს მიეხედნა მისთვის წყალობით, ეჩინა მასზედ თვის ძალა სასწაულებრი: არც ამან გასჭრა!

19

სახელმწიფოს ცხოვრება მაინც თავის სადინელზედ დიოდა და პატრონობა უნდოდა, ზრუნვა ყოველს ჟამს. მეტადრე ეხლა არ შეიძლებოდა არავითარი დაყოვნება: ნიკომიდიის სანახები სავსე იყო საომარ ფეხზედ შეყენებულ ლაშქრით და დროზედ უნდოდა გახსნოდა გზა ბევრეულად დაგროვილ ძალებს.

კონსტანტინე მკვდარი იყო ქმედობისათვის. საბრძანებელზედ ზრუნვა ბუნებრივად მემკვიდრეზედ გადადიოდა. სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილის მფლობელად შეიქმნა მეფის ძე კონსტანცი. მას უნდა ეწინამძღვრა შექუჩებულ ჯარებისთვის. ამ ამბავმა შეაფერხა ბრძოლის დაწყება, ვერ კი ჩაშალა: ახალი კეისარი ისწრაფოდა, ესახელებინა თავი, აესრულებინა ჰაზრი მამისა.

მთავარსარდლად ატისოს მიზიელი დანიშნა. ჰამურაპი ბჭედ დაიჭირა თავისთან. აცნობა სახელმწიფოებს თვის ტახტზედ აბრძანება. შეუთვალა, შეერთებოდნენ მას თავიანთ ჯარებით. ამ ხანს ეკუთვნის ის ეტრატი, საცა იმპერატორი დაბეჯითებით ურჩევს მირიანს, უარჰყოს სპარსეთთან კავშირი და შეუერთდეს ჰანიბალ პონტოელს, რომელი უკვე იძვრის ბრძოლის ველისაკენ; კითილად დაიჭიროს ქადაგნი ქრისტიანობისა, მასთან კონსტანტინეს დროს მივლინებულნი.

ახალმა იმპერატორმა რომ მიიღო და გასინჯა ომად განმზადებული ლაშქარი, აღიგზნო იმავ მისწრაფებით, რომელი ამოქმედებდა მის მებრძოლ მამას.

— ეს ლაშქარი მსწრაფლ დაიჭერს მთელს ქვეყანას ინდოეთამდინ! — წარსთქვა ამაყად.

წარმართნიც, არიანელნიც იმედით შეჰმზერდნენ ახალ იმპერატორს: იმათ ეგონათ, ერთის ბრძანებით აღადგენსო ძველ რჯულის ძალას, ძველ ღმერთთ ისევ განუბრწყინებს შა-

რავანდედსო; ესენი ჰგონებდნენ. მოხსნისო იგი ნიკეელებს თვის მფარველობას, ველარ შეძლებენ განაგრძონ ბრძოლა და დაჩაგვრა თვის მეტოქეთა. არ აუსრულდათ იმედები: გაჰყვა კონსტანცი გეზს თავის მამის.

დაიძრა ჯარი. მოიწმინდა ნიკომიდია, მის სანახები. გაემართა ლაშქარი ეფრატის ხეობისკენ. გზადაგზა უერთდებოდნენ მას ჯარები ბითინიიდან, მიზიიდან, ფრიგიიდან. კაბადოკიაში შეუერთდა პონტის ლაშქარი. ტრდატის ჯარი მოწინავედ დიოდა. ყველა მხედრობას ჰანიბალ პონტოელის ჯარი სჯობდა: რჩეული ვაჟკაცები თვალსა სტაცებდნენ ადამიანს; უფრო მოძრავიც მოსჩანდა იგი.

სანამ ტავრის მთას გადალახავდნენ, ერთი კიდევ გადაავლეს თვალი მთელ ლაშქარს. მოაძორეს ჯარს ავადმყოფნი. მდარედ შეიარაღებულნი ბარგს მიუჩემეს. მოსწყვიტეს ლაშქარს ზედმეტი ხალხი: მებრძოლთ გუნდებს მოძრაობას უბრკოლებდა ის.

20

შაჰ შაბურმა იცოდა ეს ყოველივე: ჯაშუშების შემწეობით თვალს ადევნებდა ბიზანტიის სახელმწიფო საქმეებს. როდესაც მოჰხსენდა კონსტანტინეს უკურნებელი დასნეულება, გული გაეღო.

— ეს ამბავი ვერ დაშლის ბიზანტიელთა მზადებას ომისათვის, მხოლოდ შეაფერხებს: ახალ კეისარს დრო დასჭირდება ტახტზედ დამკვიდრებისთვის, ვერ შესძლებს ეხლავ ომად წამოსვლას.

— შესაძლო იქნება, ვისარგებლოთ გარემოებით.

— მოვასწრობ, დავიბრუნო ჩემი ქვეყნები. გადავევლები ტავრის მთას ჩემის ლაშქრით, იქ გავმაგრდები და მოუცდი მტერთა მოსვლას.

ამ მოსაზრებამ ააჩქარა შაბურ მეფე. მისწერა მომხრეებს, დაძრულიყვნენ ჯარებით. ესეთივე წიგნი მოუვიდა მირიანს. ეს იყო მიზეზი, რომ მეფეს აღარ დასცალდა, გაეგზავნა კაცი ბიზანტიელთ დასაზვერად, იქაური სამზადის შესატყობათ თუ განზრახვათა ასაკრებათ. ბრძანა ლაშქრის ფეხზედ დაყენება შორეულ ომში წასასვლელად.

მირიანს ხელთ რომ ჰქონდა ახალი კეისრის მოთხოვნილება, ისიც ეწერა, სპარსეთის ხვედრი დასკვნილია: უნდა მოისპოს! ჰაზრი ცხადი იყო: შაბურისა და მის მომხრეთა სახელმწიფონი აღგვილ იქმნეს პირისაგან ქვეყნისა; მხოლოდ ერთი სახელმწიფო მთელ დუნიაზედ ბიზანტიისა და ერთი სჯული ბიზანტიური!

მირიანი ვერ მიჰყვებოდა ამ მოწოდებას, ვერ უღალატებდა მოსაზღვრე სპარსეთს მონათესავეს. ააჩქარა ჯარის გაგზავნა. თითონ არ ინება ლაშქრად წასვლა: აღარ შეჰფეროდა. მოთაყვეობა უბრძანა თავის მემკვიდრე ბაქარს.

აუცილებელი იყო ბჭეების გაყოლება, რომ გაჭირებაში დაჰხმარებოდნენ გამოცდილები. უნდოდა, უსათუოდ გაეტანებინა თავისი ნათესავი მოგვი აბუხვასრო, კაცი ბრძენი და დიდად ერთგული. რამლს აჰყრიდა, ჭეშმარიტს დაინახავდა, სიტყვას იტყოდა, ყველას ჭკვაში დაუჯდებოდა. მაგრამ ივი ქურუმი უძლებად იყო. მძიმე ავადმყოფობა არა ჰქონდა, ფეხზედ დადიოდა; მხოლოდ სუსტდებოდა შიგადაშიგ, ფერი მისდიოდა რამდენიმე წუთით, თვალი ეკარგებოდა, მსჯელობათა სიმი უწყდებოდა. არ იქმნა, ვერ მიუყენეს წამალი. მეფემ მიაქცია ყურადღება ნინოს ექიმობას. თითონ წაიყვანა ავადმყოფი.

— მომხსენდა, არჩენ ძნელ ავადობას, რომელი ღვთის ძალით მოგნიჭებია სენთ კურნების შეძლება? იქნება თვით არმაზის ქალი ხარ შენა?

— ჯვარცმულისაგან მომმადლებია ძალა სასწაულებრივ კურნებისა! — მიუგო ნინომ.

და იწყო განმარტება სარწმუნოებისა. მიუთხრობდა: განგება როგორ ამზადებდა ცოდვისაგან შემბყრობილ კაცთა ნათესავს მიღებად მხსნელისა, მის ქვეყნად მოსვლას და კაცთათვის წამებას, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვას...

— ქრისტეს სჯული საბოლოო განცხადებაა ზეციური, სამარადისოა იგი; გავრცელდება მთელ ქვეყანაზედ და დარჩება დასასრულამდინ...

— გაჰკურნე სნეული! ეს მოგვი ნათესავია ჩემი. დაგიმკვიდრო ცხოვრება სანატრელი: ჩაგრიცხო მკვიდრთა შორის ქალაქ მცხეთისა და დაგადგინო მსახურად დიდის არმაზისა!

უარჰყო ნინომ წინადადება. განაგრძო თხრობა.

— უკვე დრო არის, დედაკაცო, გაათავო ძოთხოოა უფერი და სიტყვა გრძელი. განკურნე, უკეთთუ ძალ გიძს!

ქადაგმა ამოიღო მცირე ჯვარი, ჩაასვენა წყალში, წარსთქვა ლოცვები. მიუახლოვა თასი ავადმყოფს.

— ცოდვათა სიმრავლით აღსავსე ხარ, მსახურო ბნელისაო! მაინც განკურნავს ყოვლად მოწყალე. გაიმეორე!

— უარვყოფ სატანაილს და მსახურთა მისთა!

გაიმეორა.

— ვმახურობდე ნათელს ღმერთს ჯვარცმულს!

წარსთქვა.

— საკურნებელად სულისა და ხორცთა შენთასა! — დაასკვნა ნინომ.

მიუპყრია თასი.

შესვა წყალი. ნინო გზნებულს თვალს არ აშორებდა: ბაგე მტკიცედ მოკუმული; უთრთოდნენ მოძრავი ნესტოები. ყუჩილი სრული. მოგვმა ნელ-ნელა დაკარგა თვალები. ამოიგმინა. გაიბრძოლა. დაეშვა მიწაზედ. თუ დაეძინა! ერთს ხანს აცალა მკურნალმა. გადიწერა პირჯვარი. უპყრო ხელი, უბრძანა:

— აღსდეგ, მონავ ჯვარცმულისა!

ადგა. თვალებში ჰაზრი მოუვიდა. სახე დაუმშვიდდა. ეთაყვანა მკურნალს.

— წარვედ მშვიდობით!

21

დიდკაცობა ახლდა მეფეს. ცნობისმოყვარებით ადევნებდნენ თვალს. გაჰკვირდნენ, როცა ნინოს სავანეში დაჰხვდათ ხვარამზე. ქადაგის მახლობლად იდგა, სასოებით ელოდდა სასწაულს. ამზაილ ხან მოგვს შეჰმზერდა, ხან ქალწულს. ნინომ რომ პირჯვარი გადისახა, ხვარამზემაც გაიმეორა ეს საიდუმლო ნიშანი. გული შეეხუთა განცვიფრებულ ვაჟს: მახვილი თუ შეეხო მის გრძნობათ საკრებს.

— თუ მიდრკა ქალი ახალ ღმერთისაკენ და დაიღუპა?! არმაზის მზეთუნახავია იგი და...

ელდასავით გაურბინა საშიშმა ჰაზრმა. მაგრამ მაშინვე განუქარვდა ყოველი შიში: მომხდარ ამბით ღელვილი ქალი მისკენ გადავიდა, აეტოლა. ეტყოდა რასმე, უამბობდა. თუ ცდი-

ლობდა გაერკვია ეს სასწაული. სულ ერთი იყო ეს ვაჟისათვის; მხოლოდ მას გრძნობდა ბედნიერი, რომ მიჯნური მასთან იყო და ესიტყვოდა. უგალობდა! ბულბულთა მღერა, იადონთ ბგერა. მთელ ქვეყანას სიმშვენივრის ფერი ასდევდა. როგორ უნდოდა, ღმერთო ჩემო, შეჰხებოდა თუნდა შემთხვევით!

— როგორ შეიძლება! რომ იწყინოს, რა გეშველება?

მისდევდა ქალს მთავარცნება დაბნეული, სიტყვა ახდილი, სასახლის ეზო. ქალთ სავანისკენ შეუხვია ბატონიშვილმა. კარის ბჭიდან გადმოხედა, გადმოუნათა. რა კეთილია!

იდგა ვაჟი ადგილობრივ და ერთს იტყოდა:

— მხოლოდ ერთია ქვეყანაზედ ქალი მზის თვალი!

დაღონდა მეტად: მზის თვალის მიფარებამ სინათლე ჩაუქრო მას, ყოფა ჩაუბნელა. საშინელი სადარდელი დაუდგა თვალთ წინ.

— თუ მიდრკა ქალი, მოსპობს არმაზი!.. მიხრილია ქადაგისაკენ... ნეტა რად მითხრა, ჯვარცმული ქრისტე ღმერთიაო სიყვარულისა?! არა! ბიზანტია არ მოგვივლენს ღმერთს სიყვარულის. დამპყრობ ხატს იტყვის მოციქული რომაელთ ხმლისა... და ხვარამზე მის მოთაყვანე?! ნუ იყოფინ, ნუ! — წარსთქვა ამზაილ და გარინდდა. უძრავად იდგა. თუ აჰხდა ცნობა?! გაჰხედა არმაზს:

— ღმერთო ბრწყინვალე, გადმოგვხედე წყალობის თვალით, დაგვიხსენი განსაცდელისგან!

მარტო მირიანის ქალი არ იყო ახალგაზრდათაგან, ყური რომ მიეპყრო ქადაგისათვის. ახალნორჩნი შეეძინა სხვა მოწაფენიც, თვით ყმაწვილებიც. ქადაგი უამბობდა მათ ჯვარცმულ ღმერთის ცხოვრებიდან საკვირველ ამბებს ამაჟრჟოლებელს. ესწავლებინა საიდუმლო რაღაც ნიშნები, თქმები, ქმედობა; ჩაენერგა სულ სხვა გრძნობები. ქადაგთა ქმედობიდან ცხადად სჩანდა, რომ სრულის შეგნებით შეცდილიყვნენ ყრმათ გადაბირვას.

მაინც ჯერ ისევ მოკრძალებით იქცეოდნენ მოსულნი და მოზომილად. ერიდებოდნენ, ცხადად ეგმოთ ძველი ღმერთები. ჰმართებდათ სიფრთხილე: ერთგულნი იყვნენ ქართველები ადგილობრივ ღმერთებისა თუ ხატებისა, ადვილად ვერ დასთმობდნენ მათ. სპარსეთიც ჯერ ძლიერი იყო და მეფეც, ხალხიც თავის ნებით არ გასწყვეტდა კავშირს იმასთან, იქიდან მოსულ

ღმერთებთან, რომელნი განამტკიცებდნენ კავშირს მათ შორის.

ქართველებში ძრავლად ჩასახლებული ებრაელნიც უარყოფით უმზერდნენ მათ ქვეყნიდან წამოსულ ახალ ღმერთს და იმის სჯულდებას: უმცირებდა მამა-პაპურ სარწმუნოებას, აჩრდილად ჰხადდა ახალ სჯულისას. მათ ჰაზრს გავლენა ჰქონდა: იგინი საგრძნობ ძალას წარმოადგენდენ, ვაჭრობა მათ ხელში იყო.

ძველ ღმერთთ მოსავნი ქართველნი უარს ჰყოფდნენ არმაზსაც, ჯვარსაც.

ისე რომ მთელი სალხი უარყოფით უყურებდა ჯვარის ქადაგებს საქართველოში ქრისტე მოსულიყო ბიზანტიის მფლობელობის წინამორბედად; რომაელთ ბატონობის მომასწავებელი იყო, ხალხის დაჩაგვრისა. ერი სიამით ვერ დახვდებოდა მას.

22

ფიქრის დრო აღარ ჰქონდა ამზაილს, აღარც სხვა ქართველთ, არც თვით მირიანს: სპარსეთიდან მოვიდა კაცი, სწრაფად იარეთ, მეწყერივით წამოვიდა რომაელთ ჯარიო.

გასცეს ბრძანება. მებრძოლთ ზვირთნი საქართველოს ყველა კუთხიდან მუხრანის სანახებში იკრიბებოდა ლაშქარი. აივსო ხალხით ველ-მინდორი, გორაკთ კალთები. შიგადაშიგ ფარჩის კარვები ფერადფერადი: სარდალთ სადგომი.

შვილდოსნები, მეშურდულენი, მსუბუქად შეიარაღებული ხელშუბიანნი, ჯაჭვ-მუზარადში მსხდომნი მებრძოლნი. წამავალი ჯარი ცხენოსანი იყო: ამ დიდ გზაზედ ქვეითი არ ივარგებდა, მით უფრო რომ მიისწრაფოდნენ. წასაღები ბარგი ცხენებზედ თუ ჯორებზედ.

მთელი ლაშქრიდან რვაასი კაცი გადაარჩიეს წასაყვანად. საქართველოს ყველა მხრიდან იყო მებრძოლი შემადგენლობა. დანარჩენი ჯარი მაინც მზად უნდა ყოფილიყო, საომარ ფეხზედ დაყენებული: ადვილად შესაძლებელი იყო, ბრძოლას ეწია საქართველომდინ, გადმოელახა ქართველთ საზღვრები.

დაათვალიერა მეფემ გამგზავრებად განმზადებული ჯარი. ესაუბრა: ბევრს პირად იცნობდა ხანდაზმული. ამხნევებდა ყველას. მთელ ლაშქარს:

— არმაზ ბრწყინვალე უხილავად წარგიძღვებათ საბრძოლელ გზაზედ, გამარჯვებას მოგანიჭებთ ურჯულოებზედ. შორით მოსულან ბოროტები სხვა ხალხთ, სხვის მამულთ დასაპყრობად, დასამონებლად, მართლმსაჯულია: უსამართლოდ მოქმედების ნებას არ მისცემს.

იმედიანი სახე არ ჰქონდა მეფეს: დაფიქრებული სჩანდა, სიამე არ დასციაგებდა. გვერდს ჰყვანდა თავისი შვილი ბაქარი. ეს ვაჟკაცი აბებორასაგან ჰყვანდა მირიანს, პირველი მეუღლისაგან, რომლის უდროვოდ სიკვდილმა ისე დაულახვრა ჯერ ნორჩი გული. ძმასავით მოსწრებოდა. მემკვიდრე იყო, საუფლისწულო მას ეპყრა ხელში. ეს ედგა სათავეში მიმავალ ლაშქარს.

მეფემ მთელი უფლებით აღჭურვა ის. ხალხსაც, ჯარსაც უხაროდათ მის წინამძღვრობა: მხოლოდ ის აერთებდა ეხლა ფარნაოზიანთ ძველ სამეფო გვარს სასანელებთან. სხვა შვილები არც დედით, არც მამით არ იყვნენ ნებროთიანნი და ისე ახლო ვერ იდგნენ ხალხის გულთან, როგორც რომ ბაქარი!

თვით მირიანი არ ჩაუდგა სათავეში მიმავალ ლაშქარს. არ შეჰფეროდა; სახელმწიფო საზრუნავიც ნებას არ აძლევდა: თუ მარცხი მოუვიდოდა შაბურს და მასთან ერთად ქართველთა ლაშქარს, მეტად საშიში დრო დადგებოდა. ისკანდარს მიჰბაძავდა კოსტანცი: გამოჰგზავნიდა ჯარის ნაწილს საქართველოს დასაპყრობელად. საშიშ მომსვლელს გამოცდილი დამხვედრი დასჭირდებოდა.

დაიძრა ჯარი. დასტა-დასტა მოდიოდა ერთმანეთის ჩამოშორებით. აუცილებელი იყო ეს, რომ შიგადაშიგ მტვერი გაფანტულიყო და ჯარის ნაწილებიც არ არეულიყვნენ ერთმანეთში. მოწინავეებმა თითქმის ჩამოათავეს დიღმის მინდორი, როცა უკანანი გამოსცდნენ კართანს.

ლითონის აბგარ-აბჯარში მსხდომთ გარდა დანარჩენნი ტყავის მუზარადებით იყვნენ, ტყავის ფარები ჰქონდათ დიდრონ-დიდრონი. არ იყო ურიგო საფარველი: მსუბუქი იყო გამხმარი ტყავი კამეჩისა, მაგარიც იყო თითბრით სალტული: უძლებდა ისარს, ხელშუბსაც შორიდან ნატყორცნს. მოკლე ჩოხა შინდისფერი, ისეთივე შალი შალვარი საცვეთებში ჩატანებული: ხამლები ფეხზედ; ქამარ-ხანჯალი ჩოხის ზევიდან. დაშნა და ხელშუბი აუცილებლად. დინჯად დიოდა ჯარი, ცოტას იტყოდა.

მემკვიდრის უახლოესი თანამშრომელი ამ ბრძოლაში ამზაილ. მეფემ უბრძანა, არ მოჰშორებოდა იგი ბაქარს არც რა შემთხვევაში.

— ვიცი შენი ერთგულობა, გამჭრიახობა. გიბრძანებ, გვერდს ახლდე ბატონიშვილს მთელ ბრძოლის განმავლობაში!

მოსწონდა ბაქარს ახალგაზრდა. ბევრჯელ გადაუკრა სიტყვა, მის კარს მისულიყო, მის გვერდით ემსახურნა უჯარმაში. ამზაილსაც იქ ერჩივნა: ბრძოლის მოტრფიალეს კახეთ-კუხეთში ყოფნა ბევრ კარგ შემთხვევას შეახვედრებდა, რომ ეცადნა თვის ხმალის ფხიანობა. ეჰ, ვერ შეელეოდა მირიანის კარს, იქ იყო დავანებული ანდამატი მანათობელი, რომელი უწვეტ-უშლელად იზიდავდა რკინის მზეჭაბუკს.

ესეთი ზნე დასჩემდა: რაკი თვალს მოაშორებდა სასახლეს, ეჭვით ივსებოდა; ეგონა, მოვიდოდა მეფის კარს ბედის რჩეული, ფრთიან რაშზედ შემოისვამდა ქალს და გააქროლებდა ცის ტატნობისკენ. გაიფიქრებდა ამისთანას და გული აუკვნესდებოდა, ნებისყოფა ჯიუტად შემოაბრუნებდა მცხეთისაკენვე.

ესევე გრძნობაც იყო იმის მიზეზი, რომ ბრძოლაში თუ სხვა მოვალეობის აღსრულებაში სწრაფი იყო, შეუდრკომელი. თავს არ ჰზოგავდა, შუა განსაცდელში გადაეჩეოდა, ოღონდ თავი ესახელებინა, მალე დაბრუნებულიყო გამარჯვებული, თაყვანი ეცა თუნდ შორიდან თავის მზისათვის. დაწყნარდებოდა დარწმუნებული, რომ შუქურ ვარსკვლავი იქვე იყო თავის სასახლეში და ბედის მწერალს არ გაეტაცნა სისწრაფის ფრთებით ეთერთ სივრცეში.

ეხლაც ორად გაპობილი მის პიროვნება. ეშხში მოსულს უხაროდა ბრძოლაში წასვლა: ჟინს მოიკლავდა, თავს ისახელებდა, სატრფოს თვალში ღირსეულ ბუმბერაზად აისახებოდა. მაგრამ მცხეთიდან გასვლა, შორს ქვეყნებში ხანის დაზმა მეტად ეძნელებოდა. იტანჯებოდა ორფერად მგრძნობი: საუნჯე რჩებოდა მას არმაზში და გული იქით იწევდა, თან არ მისდევდა.

მაინც აუცილებელი იყო დაშორება, როგორც რამ ბედისწერა შეურყეველი. დასტრიალებდა ღელვილი ვაჟი მეფის სა-

სახლეს, სამეფო წალკოტს, რომ გზად მიმავალს თვალი მოეკრა მზეთამზისათვის. და... ბაქარმა იხმო იგი თავისთან.

— დედამ ბრძანა შენი მიყვანაც: ჰსურს დაგვლოცოს საშიშ გზაზედ მიმავალები.

— აგყვება ჯავშნად დედოფლის ლოცვა, დაგვიფარავს განსაცდელისგან!

ნანა აღელვებული დაჰხვდათ, კიდეც ეტირნა. ხვარამზე დაღონებული მოსჩანდა. ბაქარი გვერდზედ მოუჯდა დედოფალს, მიართვეს ამზაილს სკამი. მოშორებით დაიდგა. დაჯდა მოკრძალებით. დედოფალმა დალოცა შვილი. ამზაილიც. ამოიღო ტაბრუციდან შანა.

— გამოცდილი თილისმა არის, არმაზისაგან ხმალშეხებული. დაგიფარავს განსაცდელისაგან! — უთხრა ნანამ.

და უწყო ავგაროზის შებმა თავისი ხელით. უფლისწულმა ხელზედ აკოცა. თვალცრემლიანი დედა ეხვეოდა შვილს.

ქალწული გამოელაპარაკა ჭაბუკს: ჰსურდა, რომ გაეგო მისგან მომავალი ბრძოლის შესახებ. ამზაილმა მოკლე სიტყვით განუმარტა მდგომარეობა. როცა დედოფალმა ბაქარს შანა შეაბა, ხვარამზეს გული ეტკინა: ჭაბუკი მხოლოდ სიტყვას უნდა დასჯერებოდა თუ კეთილ სურვილს. ჰაზრად მოუვიდა, რამ სახსოვარი ეზღვნა ვაჟისთვის. ესევე სურვილი გასცხოველებიყო ჭაბუკს. ველარ მოითმინა, შეჰბედა:

— შენი ნაქონი რამ ნივთი მფარველ ხატად მომევლინებოდა იმ განსაცდელში.

ქალმა გაუღიმა ამ თქმაზედ. შეიხსნა მელავანლი.

— ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა! დედასთან ერთად ვილოცავ. მოგენიჭოსთ გამარჯვება თქვენ და ჩვენს ლაშქარს!

მაღლი ფრთები აქვს ქალწულის ლოცვას!

— ბეგთარ ქვეშ მექნება მკერდზედ გამაგრებული! — წარმოსთქვა ვაჟმა

და უნდოდა მიებაძნა მემკვიდრისათვის, ხელზედ ეკოცნა სატურფალისთვის. ვერ გაბედა! მხოლოდ დაბლა დახარა თავი.

24

დიდი ლაშქარი შეეკრიბა შაჰ-შაბურს. ჰაზრადა ჰქონდა, სამუდამოდ გაემაგრებინა თვის საბრძანებლის აღმოსავლეთი სამზღვრები, აეშორებინა საშიშროება, რომელი მოელოდდა

ეხლა შაბურს დასკვნილი ჰქონდა თვისი დიდი ლაშქარი გაეშალნა ტავრის მთების აღმოსავლეთით, ეფრატის სათავეში, კომაღონიის სანახებში; თითონ მთები მოწინავე ჯარებით დაეჭირა და გაემაგრებინა.

— გალაღებული მტერი ზვირთებად მოაწვება ტავრის უღელტეხილებს. უნდა შევსძლოთ, მეტი ზარალი მივაყენოთ იქ, რომ უკვე დაღლილი და ნავნები ჩამოეშვას ვაკეებში. მაშინ შესაძლო იქნება მთელი ლაშქრით დავატყდეთ თავს და მოვსპოთ იგი.

— ეგრე გვიჯობს! დარიო არ წააგებდა ბრძოლას, თუ ისკანდარს მთელი თვისი ჯარით კიწროებში არ დაჰხვედროდა. იქ მის დიდს ლაშქარს საბრუნავი შეზღუდვილი შეექმნა და მებრძოლთ ნახევარი უქმ მზერელად დარჩა მოძმეთა ჭლეტისა.

ამის გამო უთვლიდა შაჰი მირიანს, პირდაპირ კამაღონისაკენ დაეჭირა გეზი, სადაც დაჰხვდებოდა მას მოწინავე ლაშქრით თითონ შაბური.

— მთიანი ქვეყნის მეფე ხარ, შენნი მხედარნი შეჩვეულნი არიან წავარნებს თუ ერწოებს. ჰაზრადა მაქვს, მოწინავე ჯარში მოგაქციოთ, რომ ერთად გავიმაგროთ ტავრის უღელტეხილები.

ქართველთ ეს გეზი აიღეს, მაგრამ ჯერ ვანის ტბის მიდამოებში არ ჩასულიყვნენ, რომ მოუვიდათ სიტყვა: გეზი დასავლეთისკენ დასწიეთ, კაბადოკიას დაუპირდაპირდით; ბრძოლიველი შესცვალა შაჰმა.

მალე თვით შაბურის წიგნი მოუვიდა ბაქარს:

...კონსტანტინე გარდაეცვალათ. მის საბრძანებელში არე-

ულობა სწარმოებს. მისი შვილი ებრძვის ტახტის მახლობლებს. შინაური ბრძოლა დააბრკოლებს მათ. მსურს გადაველო ტავრი მთელის ჩემის ლაშქრით. კაპადოკიის ვაკეებში გავშლი ჩემს ლაშქარს. მივყუდებ მთებს ზურგს და მოვსპობ მტერს უძლებს!..

უწერდა ქართველთ, ფეხი აეშურებინათ, რომ ბიზანტიის უნებლიეთ დაყოვნებისთვის სისწრაფე წაეყენებინათ წინ და მით ბრძოლის სასწორი თვისკენ დაეხარნათ.

იარეს ქართველთ. მარცხნივ დასტოვეს ტავრის კალთები. შეხვდნენ სპარსთ ჯარებს კაპადოკიის სანახებში. მხოლოდ მათი ლაშქრის ნაწილი გადმოსულიყო მთას; უმთავრესი ჯარი ჯერ ისევ მთების იქით იყო.

შეასვენა ბაქარმა ჯარი. გადაარჩია ავადებულნი. დააყენა თვისი ჯარი საომარ ფეხზედ. ქართველნი არ შეუერთდნენ სპარსთ ჯარებს. ცალკე დადგნენ, მათ მარცხენა ფრთის წინ. მაღლობი ამოირჩიეს. შეუდგნენ ბანაკის შემოფარგვლას და გამაგრებას. დაისვენეს. აღადგინეს ძნელ მგზავრობით შერყეული წესი. დიდი მხნეობა გამოიჩინა ბატონიშვილმა. მუხლჩაუდრეკლად მუშაობდა ჯარის არსებაში მოყვანაზედ. უბრალოდ ეჭირა თავი, როგორც ერთ მებრძოლთაგანს.

ქართველთ გასწვრივ, სპარსთ მარჯვენა ფრთის წინ, დაბანაკებული იყო ქურთისტანელი ლაშქარი.

— ბევრი არც ისინი არიან, მაგრამ რჩეულ ვაჟკაცებისგან შესდგება ჯარი; კარგ სამსახურს გაუწევენ სპარსთ, მოვიდა ამბავი.

25

შაჰ-შაბური ჯერ არ მობრძანებულიყო. სპარსთა ლაშქრის გადმოსულ ნაწილს ტავრი ჩამოევაკნა, მდინარის პირზედ დაეკრა კარვები. ფართოდ გაშლილ ველზედ ადვილად მოთავსდებოდა მთელი ლაშქარი. მარჯვედ ამოერჩიათ ადგილი: სპარსნი უფრო მაღლობზედ იქმნებოდნენ, მანამ მათზედ მომდგარი მტერი. ბანაკზედ მომდინარე წყალი დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს ბრძოლის ჟამს, მოძრაობას კი ვერ შეუფერხებდა: დიდი არ იყო. მთებზედ გადმოსავალი გზები სპარსთ ეჭირათ და გადმოსულ ჯარს არა ჰქონდა შეწყვეტილი კავშირი დანარჩენ ჯართან, არც სახელმწიფოს სამზღვრებთან.

— თუ ჯარი მთლად გადმოკრეფილი იყოს და საომრად მოწყობილი, უკეთესი ადგილი არ შეიძლებოდა.

— მართალს ამბობ, ბატონიშვილო. მაგრამ ლაშქრის მცირე ნაწილია გადმოსული. ღმერთმა ნუ ქნას, მოასწროს მტერმა!

— ალბათ დაწვრილებითი ცნობები აქვს შაბურს და მტრის ადრე მოსვლისა არ ეშინიან. თითონაც ჯერ აქ არ არის.

ორი გზით გადმოდიოდა სპარსი: მთას ორი უღელტეხილი ჰქონდა აქ. ვიწრო ხეობით მოდიოდა ხალხი. ძნელი გზები. ბევრი დრო დასჭირდებოდა, სანამ ჯარი გადმოიკრიფებოდა, დალაგდებოდა.

— უნდა ვურჩიოთ, ააჩქარონ ლაშქრის გადმოსვლა. სხვა გზებიც ნახონ.

— არ შეისმენენ! მაინცა სცადეთ. ჩვენი ჯარი კი ეხლავ უნდა დავაყენოთ საომარ ფეხზედ, რომ შეეძლოს მსწრაფლ ამხედრება.

— საშიშრად მიგაჩნია ყოფა?

— ოღონდაც! რომაელ ლაშქარში ყოველთვის უკლებლივი წესი ჰსუფევს. ჟამს არ დაჰყოვნიან, რაკი ნახეს, გადმოლახეს მათი საზღვრები. თუნდ კეისარმა ვერ მოიცალოს, თითონ სარდლები მოუძღვებიან: ნაჩვევნი არიან მკაცრად გაწვრთნილნი.

— თუ ადრე მოასწრეს... დარწმუნებული ვარ, რომაელთ დაწვრილებით იციან ეხლა აქაური ამბები: ჯაშუშებზედ უანგარიშოდ ხარჯავენ, ყველგან ქსელი აქვსთ გაბმული.

გადმობრძანდა თვით შაჰი. ეახლნენ მოკავშირეები, თაყვანი სცეს. მოახსენეს თავიანთ მდგომარეობა. დაუმადლა შაბურმა ქართველთ, კმაყოფილი დარჩა მათი. დიდებით მოვლინებული იყო: ფარჩის კარვები, აუარებელი სიმდიდრე და მონა-მხევალი. ცოლებიც გადმოეყვანა, მათ შიმუნვარნი. სადგომი დაბას დამზგავსებოდა ხალხთა სიმრავლით.

— არ მომწონს! რა დროს განცხრომაა ომის ველზედ და ფუფუნება?! — შენიშნა ბაქარმა.

დაუმოწმეს უფლისწულს. რა შეეძლოთ? თავიანთ წესს ვერ შეიტანდნენ სპარსთა ყოფაში. აღარც დრო იყო, შაჰის მობრძანებამდინ გაჩნდნენ სპარსთა პირდაპირ ტრდატ-ჰაისტანელი და ჰანიბალ პონტოელი. ცალ-ცალკე დაბანაკდნენ სპარსთ მოშორებით. ბრძოლა არ დაიწყეს. მხოლოდ ბუმბერაზთა

თუ რაინდთ პირისპირ შებრძოლებით ერთობოდნენ, ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე. ეს ბრძოლა ვარჯიშობას და დროს ტარებას უფრო ჰგვანდა, თუმც სისხლიანი ბოლო მოსდევდა: კვდებოდა ან ერთი მოპირდაპირე, ან მეორე; ბევრჯელ ორნივენი დაჭრილნი გაჰქონდათ. ერთი ჯავრი მაინც ჩაჰყვათ ქართველებს.

ტრადტ მეფე ჰაისტანელი გმირი იყო მეტად საშიში, კონსტანტინეს ხელში გაწრთვნილს ბევრი გმირი ჩამოეგდო ჩრდილურ ბარბაროსებთან ბრძოლაში. ეხლაც მოისურვა თავის ძალთა ჩენა: ხმალში გამოითხოვა დიდად განთქმული მებრძოლი ქურთისტანელი დუშრათი. ბრძოლამ დიდი ხანი გასტანა. მაინც ტრდატს დარჩა გამარჯვება: მოსდო მკლავი დუშრათს და გადმოიღო ცხენიდან. ერთი შეცდომა მოუვიდა: მიწაზედ განრთხმულს შეაყენა ზედ თვისი რაში. ეს ბუმბერაზულ ბრძოლის წესთა დარღვევა იყო და წამოვიდნენ ქურთნი სისხლის აღებად. მოეშველნენ ტრდატს თავისნი. რამდენიმე ათი კაცი დარჩა ომის ველს.

ამ პატარა შემართებაში ქართველთაც მიიღეს მონაწილეობა. მეორე დღეს მოადგა ტრდატ ქართველთ ბანაკს და ხმალში გამოითხოვა თვით ბატონიშვილი. იგი ვერ გაჰყვა: ვერ იყო ბუმბერაზთაგანი, არც ჯარმა მისცა ნება, შეუთვალეს შეუძლებლობა. სანაცვლოდ გაგა ხეთელი გავიდა ასპარეზზე. ტრდატმა იუკადრისა და გაბრუნდა. ამავე დავაში გაატარეს მეორე დღე. ალბათ ბუმბერაზთა ბრძოლით დათავდებოდა ეს კამათი, თუ მოულოდნელ ამბავს არ აეშალნა ყოველივე: მოვიდა ხმა, ახალი იმპერატორი თითონ მოდისო უთვალავ ლაშქრით. ყურადღება აღარ მიაქციეს კერძო შებრძოლებებს. იწყეს ჯართა განწყობა საომრად. მართალი გამოდგა: მოიგრაგნებოდა რომაელთ ძალა, ფეხთა მტვერი ღრუბლად მოსჩანდა.

დაინახა შაბურ-შაჰმა თავის შეცდომა: განსაცდელის ჟამს გაშანშლული ჯარიდა შერჩა. გატრიალდა. ბრძანებები, ამოდ! დრო აღარ იყო მის სურვილთა აღსრულებისა.

ნახეს ქართველებმა, დამდგარიყო წუთი საძნელო და შეემზადნენ, აისხეს იარაღი. ნიშნებასღა ელოდდა ჯარი, გასულიყო ომში ხმალდახმალ.

დიდის სისწრაფით ეკვეთა სპარსთ ლაშქარს რომაელთ ტალღა; შეიჭრა შუაგულ ჯარში. შაბურ თითონ უძღოდა და ამხნევებდა თავისებს, მაგრამ მისი პირადი ვაჟკაცობა ველარ ბრწყინავდა. სპარსთ იარაღი მდარე გამოდგა მტრის აღჭურვილობასთან: რკინის კაცნი იყვნენ რომაელნი ფოლადის იარაღით ხელში; ცხენებიც ჯაჭვით დაფარულნი, ცვივოდა ისარი ძირს; ნატყორცნი შუბი ვერ ჰკვეთდა ბეგთარს; შურდული სულ არ გამოდგა ხელჩართულ ომში; ხმალიც კი გაცუდდა: ძნელი შეიქმნა მისთვის რომაულ წვრილთვალას კაფვა. სხლტებოდა დაშნა ნაკეც-ნაკეც ფოლადის ფარზედ. ვნება მოჰქონდა ისევ გურზს თუ ლახტსა.

სპარსთ საკმაოდ ვერა ჰფარავდა მათი აღჭურვილობა: ტყავისა თუ ხის ფარ-მუზარადი სწრაფად იკაფებოდა მძიმე ხმლების ქვეშ. ღრმად წავიდა მტერი წყობებში. ქართველები გვერდზედ დატოვა.

— ჩვენი დრო არის! უკან მოვექცეთ მტერს, ორ ძალშუა მოვამწყვდიოთ ის, — ბრძანა ბაქარმა.

დასძრეს ჯარი. დიდი გარჯა არ დასჭირდათ ქართველთ, რომ გაეფანტათ ჩამორჩენილნი და უკან მოჰქცეოდნენ რომაელთ. მაინც ამაოდ ჰგონებდნენ, შესცვლიდნენ ბრძოლის მიმართულებას: მტრის რამდენიმე რაზმმა პირი იბრუნა ქართველებისკენ და აგუბებდა მათ ტალღებს, თან უკან მიდიოდა, რომ არ ჩამორჩენოდა წინ მიმავალ მთავარ თვის ძალებს.

მაინც თანდათან დარიეს ქართველებმა. გასტეხდნენ. წინ წარიქცევდნენ, დაახლოვდებოდნენ უმთავრეს ბრძოლას შენივთებულს; ეს მით უფრო, რომ ქურთისტანელნი შეუერთდნენ ქართველთ მათ მხნეობით წაქეზებულნი. მაგრამ მოტყუვდნენ: იმათ რომ ეგონათ, რომაელთ მთელი ლაშქარი იბრძვისო, სამხედრო ხერხი ყოფილიყო ეს. აჩნდა მინდორში მტვერი საშინელი: მოიგრავნებოდა მტრის ლაშქარი განზრახ უკან დატოვებული. ეხლა თითონ ქართველებს მოევლინა განსაცდელი: ემწყვდეოდნენ მტერთ გუნდთა შუა.

— ბატონიშვილო! ტყვედ ჩავცვივდებით ჩვენც, ჩვენი ჯარიც.

— ხმალით ხელში გვიჯობს სიკვდილი ერთხელ გაჩენილთ!

— გავიყვანოთ ხალხი ბრძოლიდან: ჯერ მანძილია მოწინავე ჯარისა და ახლად მომავალთ შუა.

— საით?

— ჩრდილოეთისკენ: მთები მოჩანს იქ. შევძლებთ გავმაგრდეთ.

— გადვუძღვეთ?

— შევამზადოთ სავალი! — სთქვა ბატონიშვილმა და მიჰმართა ამზაილს:

— უნდა გასჭრა და გაწმინდო გზა შენის რაზმით! ფეხდაფეხ მოგდევთ.

ჰქმნა რაზმმა პირი ჩრდილოეთისკენ. ამ გზით ქართველნი ასცდებოდნენ რომაელთ უმთავრეს ლაშქარს, რომელს მიზანში ჰყვანდა ამოღებული სპარსთა ლაშქრის შუაგული, სად იბრძოდა თითონ შაბური. მაინც მძიმე ბრძოლა მოუხდათ ქართველთ, მანამ გაარღვევდნენ მტერთა დასტებს და გავიდოდნენ სამშვიდობოს: ბევრი ვაჟკაცი მოუკლეს მათ, ბევრი დაუჭრეს. გაკვეთეს გზა რომაელთ ახალ ჯარის მოსწრებამდინ, შეასწრეს მთებში. მტერი ვერა სდევდა მათ: მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო სპარსთა უმთავრეს ჯარისაკენ.

— თვით შაბურ-შაჰი იბრძვის იქ. ერთი დაკვრაც და ტყვედ ჩაგვივარდება, — ამხნევებდა კეისარი თავის ლაშქარს.

ნამდვილ ესე მოხდებოდა და კიდეც დამთავრდებოდა ბიზანტიელთა და სპარსთ ეს ბრძოლა, თუ შაჰის პიროვნების დამცველ დასტას არ განევითარებინა სასწაულებრივი მხნეობა და თავი არ გადაეღო. მძლე ჯარი იყო, მთელ სპარსთა საბრძანებლიდან საგანგებოდ არჩეული. მათი იარაღი და აღკაზმულობა კიდეცა სჯობდა რომაელთ აბგარ-აბჯარს.

27

მტრისაგან შეიწროებულ შაჰ-შაბურს ველარ უშველიდა ვაჟკაცური თავგანწირვა თავისი თუ მცველი დასტისა, უსათუოდ ტყვედ ჩავარდებოდა იგი და ბრძოლა ბიზანტიელთ სრული გამარჯვებით დათავდებოდა, თუ სხვა მხრიდან არ მოსწრებოდა იმას მშველელი.

ქართველთა ჯარი გასცდა განსაცდელს, შეეფარა ადგილს

უშიშარს. შეეძლო ეხლა ჩაეთვალა თვისი ვალი შესრულებულად და გასცლოდა ბრძოლის ასპარეზს.

— ბრძოლა წაგებულია, ბატონიშვილო! ჩვენი პატარა ჯარით ვეღარ შემოვაბრუნებთ ბედის ბორბალს სპარსეთისაკენ. მხოლოდ უბრალოდ ჩავხოცავთ ხალხს და...

— აღარ გვიჯობს აქ დაყოვნება. სხვა მშველელნიც გაიფანტნენ, გაჰყვნენ თავის გზას.

ხედავდა ბაქარ, ბრძოლა წაგებული იყო, მაინც მეტად ეძნელებოდა ომის ველიდან უსახელოდ გალტოლვა. ისიც იცოდა, ამ პატარა ჯარის გადარჩენა მაინც ვერაფერს უშველიდა საქართველოს: ის სპარსეთზე იყო მოკიდებული და მასთან ერთად დაჰნსთქამდა რომი.

— ბიზანტიის მისწრაფებაა, დასცეს სპარსეთი და მასთან ერთად მისი მომხრეები. სპარსთა დამხობას თან მოჰყვება ბიზანტიის ძალთ გამრავლება საქართველოში.

— საშინელს იტყვი, ბატონიშვილო!

— მაინც მართალსა ბრძანებს ბატონი ბაქარ.

— ვეღარაფერს შევძლებთ ეხლა ჩვენ: ისეთი შეცდომა მოუვიდა შაჰს, რომ მის გამოსწორებას ბევრი დრო და მსხვერპლი დასჭირდება.

— მაშ ამაოა და უშედეგო აქ ჩვენი ყოფნა.

— მე ესე ვუმზერ: თუ შაბურმა ვერ გაახწია მშვიდობით, ვერ იხსნის სპარსეთს ვეღარა მსხვერპლი; თუ შაჰმა განერა, შეიძლება ძალა მოიცეს: ნახევარზედ მეტი ლაშქარი ხელუხლებელი ჰყავს მთების გადალმა, — ბრძანა ბატონიშვილმა.

ამზაილ ყურს უგდებდა საუბარს და ქუფრი ჯავრი უღრღნიდა მას გულს. ვეღარ შესძლო მოთმენა და მოახსენა:

— მაინც ჩვენი უქმად დგომა აქ არ ეგების. დიდს განსაცდელშია ეხლა შაჰ-შაბურ. მიდევს ფეხდაფეხ თვით კეისარი. ვეღარ გაუძლებს ამდენ ბრძოლას თავდადებულთ ფოლადის დასტი და...

— ამ უგზო გზებით ვერ ივლის ჯარი მისაშველებლად. ჩაგვეხოცება ხალხი ამაოდ.

— სიმართლეს იტყვი: ხალხს გაფრთხილება უნდა ამ შორეულ უცხო ქვეყნებში.

— შაჰმა მაინც უნდა ნახოს, რომ ქართველნი გასაჭირში მას გვერდს ახლავან.

— როგორღა, როცა...

— შენ გვიბრძანე, ბატონიშვილო!

— თუ სცნობ შესაძლოდ აწ მიშველებას?

— მომეცი ნება, მცირე რაზმით გადავხედო ბრძოლას განწირულს.

უბრძანა ბაქარმა. ამზაილმა მიჰმართა მებრძოლთ:

— გამოდით ჩემკენ, ვის სახელი ურჩევნია ჯაბნურად სიკვდილს!

გადავიდა ორიოდე, მემრე მრავალი.

— კმარა ორასი! ბევრი მარჯვედ ვერ იბრძოლებს მთის ვიწროებში.

დახედა ბაქარმა დარჩეულ გმირებს, დაენანა მათი სიკვდილი.

— ისეც ნაქებ ქართველთ სახელს გაახმაურებთ, მაგრამ მეშინის: მოგელით გასჯა მეტად ძნელი, საბედისწერო.

— რა უშავს, ბატონიშვილო?! სავაჟკაცოდ ვართ წამოსულნი.

— არმაზს და მეფესაც შეუწირავთ ჩვენი სიცოცხლე!

— იარეთ, წინ მიგიძღვისთ საქართველოს სული მებრძოლი!

მიმავალთ შორის უფრო მთის ხალხი იყო. ძალე მიაგნეს საცალფეხოებს. შემოესმათ შორეული ომის ხმაური. გადაადგნენ რაღაც ფრიალოს. ღრმა ღელეში იბრძოდა სპარსი თითქმის ძლეული.

— ეჰა, წაჰქელვენ მიმდევარნი ალაღებულნი.

— თავს დავლას ვერ ახერხებენ: გზას ვერ იგნობენ.

აგორებულ ლოდთ სისწრაფით ჩაეშვნენ ქვეით. დასცეს ყიჟინა. შეუნგრიეს გვერდი მებრძოლ მტერს. სავალი გზა ჩაუხერგეს მათივე მკვდრებით. შეგუბდა რომი. შესდგა სპარსი უკან-უკან მავალი. ისარგებლა შაბურმა წუთით: უკან მოექცა თვის მებრძოლ რაზმს და მსწრაფლ განერა. კიდეც შებინდდა. შეჩერდა ომი. გაიტაცეს ქართველებმა თვისნი დაჭრილნი. მთისპავ სავლებით გასცდნენ ნაომარს.

რიჟრაჟზედღა მიაწიეს ქართველთ თვის ბანაკს. ამზაილი მხარში დაჭრილი; ნასროლი შუბი ფარს აესხლიტნა; ლახვარი მაინც მოსდებოდა ხორცში ვაჟკაცსა. გაფითრებული. ბევრ სისხლს ედინნა. გარდაჰკოცნა მზეჭაბუკი ბატონიშვილმა.

ეს უკანასკნელი შემწეობა იყო, რომელი აღმოუჩინა შაბურს ქართველმა. რახან შესძლო შახმა გასცლოდა საბედისწერო ადგილს, ისევ დაუბრუნდა მას ჰაზროვნება, ქმედობის ძალა.

უკანვე შეაბრუნა მომავალი თვისი ჯარები; შეკრიბა ლტოლვილნი; ჩაეშვა ეფრატის ვაკეებში; გამაგრდა იქ. საკმაო ჯარი იყო ეხლა მის ხელთ. თანდათან მდიდრდებოდა კაცით. მალე მისი ლაშქარი ისევ საგრძნობელ ძალას წარმოადგენდა. ეს მცირედ მაინც ახუნებდა ბიზანტიელთ ყინჩ გამარჯვებას.

რომაელთ გაირკვიეს მთის სავალი. ამოხოცეს ან გაფანტეს მოწინააღმდეგენი, მაგრამ უკვე წააგეს დრო: აღარ შეიძლებოდა დევნა უწყვეტი. დრო იყო საჭირო, რომ გადმოეყვანათ დანარჩენი ლაშქარი, შეეკრიბათ სხვადასხვა ბილიკებით წამოსულნი, წესში მოეყვანათ მთელი ჯარი. ისიც იცოდნენ, ამ დაყოვნებით კარგად ესარგებლნა შაბურს და უკვე შეეძლო დაჰხვედროდა მათ.

ქართველთ ეხლა გზა აღარ ჰქონდათ ბრძოლის ველისკენ, აღარც დრო იყო ხანდაზმისა, დაყოვნებისა. გატეხილ სპარსს თავის დაცვა უძნელდებოდა. ხელგახსნილი კეისარი ეცდებოდა, მოეხვეჭა ძლევის ნაყოფი: სპარსთ გამოსწვდიდა წვრილ სახელმწიფოთ, მოაქცევდა თავის ფარგალში, დაიმონებდა.

ბაქარი იძულებული იყო ესწრაფა საქართველოსაკენ, რომ მიეღოთ საფერი ზომა მის დასაცავად, არსებობის უზრუნველყოფად. საქართველოს ეხლა თითონა სჭირდებოდა მთელი თავისი ძალები, მის წინ ულმობლად აღმართულიყო თვითყოფის საკითხი: ხმალი მოეღერებინა გალაღებულ ბიზანტიას მის სულიერ თუ ხორციელ არსებისათვის.

ბაქარის ჯარი რომ შემოვიდა საქართველოში თუნდაც ნამზნევი, ეს ღვთის წყალობად მიიღეს ქართველთ, სასიხარულოდ. ჯარის მოსვლამდინ აქ უკვე დაყრილი იყო ხმები, სპარსები მთლად განადგურდაო. დარწმუნებულნი იყვნენ, ქართველთ მცირე ჯარი ვეღარ გადარჩებოდა. დაუმადლეს ბატონიშვილს, რომ ხალხს გაჰფრთხილებოდა.

ჯარი დღისით შევიდა არმაზში. არა ჩქარობდა. უხმოდ მიდიოდა დაღონებული. დროშები არ გაეშალნათ ნიშნად გლო-

ვისა. დაჭრილები მოსდევდნენ ცხენებით, საკაცეებით. ნავნებთ შორის იყო ამზაილ. ცხენდაცხენ მოდიოდა. მხარი ჰქონდა დაშარტული. ზარდანჩოს ფერი დასდებოდა. ირყეოდა უნაგირში ეს ბრგე ვაჟკაცი.

მირიანი თითონ გამოეგება მომავალთ. გამობრძანდა კართანამდინ. ბრძანა დაჭრილნი სასახლეში მიეყვანათ, განესვენებინათ მათთვის, ეწამლათ. დიდკაცობამ, შეძლებულმა ოჯახებმაც დაირიგეს იგინი. დარჩებოდნენ მათ ოჯახებში, სანამ განიკურნებოდნენ, ან პატრონები მიეშველებოდნენ. დედოფალი და ხვარამზე მიბრძანდნენ ამზაილის სანახავად.

— როგორა ხარ, შვილო? ალბათ ძლიერ გაწუხებს იარა.

გაფითრებული მზეჭაბუკი მადლობას უხდიდა დედოფალს და აღტაცებით შეჰყურებდა მის სადგომში მისულ ქალთამზეს.

— თუ მორჩა, დედოფალო, ნაჭრევი: სრულებით აღარა მტკივა!

მართალს იტყოდა ამზაილ: ვეღარ გრძნობდა ვერაფერ ტკივილს. მზად იყო მოეალერსნა ჭრილობისათვის: მან გააბედნიერა იგი; თავის ფეხით მიიყვანა მის ოჯახში მისი მზეთამზე...

29

ხელმწფის კარს ცვლილება მომხდარიყო სახელმწიფო ჰაზრთა დენაში. თვალი ედევნებინათ ბრძოლის მსვლელობისათვის. ჯარის დაბრუნებამდინვე გაეგოთ, რა დიდი მარცხი მოუვიდა შაბურ-შაჰს. ჩაკმედილიყო სპარსთ ხმა მაღალი, მილეულიყო მათის გავლენის ძალა. ბიზანტიელთა სახელი შემაღლებულიყო, წელში გამართულიყო.

თვალსაჩინოდ დასტყობოდათ ესეთი ცვლა ქრისტეს ქადაგთ. აქამდის რომ ფრთხილად იქცეოდნენ და თვის თავს მხოლოდ ძმობისა და ერთობის მახარობლადა ჰხადოდნენ, ეხლა ხმა აემაღლებინათ, ცხადად თხოულობდნენ ქართველთაგან ახალს სჯულის აღიარებას. უარჰყავითო ღმერთნი თქვენნი; უნდა დასთმოთო არმაზ ბრწყინვალე.

— ქრისტიანობა სამეფო სჯულად არის აღიარებული რომაელთა სამფლობელოში; უნდა მიღებულ იქმნას ის აქაც! გავრცელდეს იგი მრთელ ქვეყანაზედ! შეიკრებს რომი ყველა ხალხებს თვის ფრთეთა ქვეშე. კაცობრიობა შეიქმნება ერთ

სამწყსოდ მხოლოდ, ერთის ღმერთის თაყვანისმცემლად. ზეცას იესო, ქვეყანაზედ კეისარი ყოვლის მპყრობელი! განგებისაგან მოვლენილია რომთა სამეფო. არ ექნება არც სამზღვარი, არც დასასრული, ვით ზეციურ სამფლობელოს თითონ ქრისტესი! — იტყოდა ნინო და ჰხედავდა აღგზნებულ თვალით ხალხის ერთობას, რომელს ჰმწყსიდა რკინის კვერთხით ზეცით იესო, ქვეყნაზედ კეისარი ყოვლად ძლიერი!

არ მოატყუა ალღომ ქადაგი. კეისრის ეტრატი მირიანისადმი იუწყებოდა: ზეშთა მეუფემ გამარჯვება მომანიჭაო; სპარსეთი უკვე გართხმულა ჩემ მძლე ფერხთა ქვეშ. განვაცდევინებ ჩემს ძლიერებას შაბურის მშველელთ! ეწერა:

„შენც ჰშველოდი ჯარით შაჰ-შაბურს. შემართება შეარყია ერთს წამს შენ რაზმმა და... დაახწია შაბურმა თავი. გმართებს აწ შენცა რომაელთ სისხლი! ჩემი სურვილი: მძევლად მაახელ უყოვნებლად შვილი ბაქარი; კეთილად გეპყრას ქრისტეს სჯულის მქადაგებელნი; ემორჩილე ჩემს მძლე ნებას შენ სასიკეთოდ!“

საგონებელში ჩავარდა მირიან. არ შეეძლო შეემართა კეისრისთვის, უნდა დაჰმორჩილებოდა. მეტად ძნელი იყო ღმერთთ უარყოფა: ხალხი გულწრფელად ესავდა მათ და ვერ დასთმობდა. ხმლითღა შეიძლებოდა ქვეშევრდომთა მოყვანა მორჩილებაში. გადაღმაც გასჭვრეტდა გამოცდილი.

— დათმობა მხოლოდ ჟამიერად დააწყნარებს უძლებ კეისარს. დასკვნილი აქვს, საქართველო დაიმორჩილოს, იგი ჩემს გვარს მოსპობს ბოლოს აქ! თავის კაცს დასვამს საქართველოს სამეფო ტახტზედ.

უნდა მაინც აესრულებინა გამარჯვებულის ბრძანება: დროებით ეხსნა თვის სამეფო უცხო ტომთა შემოსევიდან, შეენახა თავის თავი მეფედ ქართველთა. წარგზავნა ბაქარ ბიზანტიად კეისრის კარსა. ზღვენი მდიდარი. აღუთქვამდა, მისი სიტყვა ძირს არ დაეშვა. ავასრულებო შენს სურვილებს სჯულის შესახებ. ვსპობო ამ დღიდან ყოველსავე კავშირს სპარსეთთან, არცა ომი, არცა ზავი არ ეგების ჩემგან უშენოდ!

ბაქარის გასტუმრებამ ჯავრი გამოიწვია სასახლეში, ქართველთა გულშიც. ამიერიდგან ხელშეკრული რჩებოდა მეფე: ხელში ჩაუგდო ჟინიან მტერს შვილის სიცოცხლე: შეიქმნა მეფე საპატიო მონად კეისრის.

მეტადრე დიდად იმოქმედა ამ ამბავმა ნანა დედოფალზედ. პონტოელ ქალს, იქაურ წინანდელ მმართველთა ოჯახის შვილს, განცდილი ჰქონდა, როგორ ძნელი იყო რომაელთ ბრძანებლობა. მათმა მფლობელობამ დააკნინა პონტი, დაშალა მის თვითარსებობის ნამდვილი სახე, მოსპო წინანდელი ხელმწიფობა; მმართველად მოსცა უფლისწული ბიზანტიელი.

— ამასვე უზამს კეისარი ჩვენ საქართველოს!

თავისი შვილი ტყვედ ჩააგდო სასტიკთ ხელშია. მგლოვობდა დედა შვილს ჯერეთ ცოცხალს. სხვის კერძად სთვლიდა სახელმწიფოს ჯერ არ წართმეულს.

— საშინლად სწუხხარ. განა მართლა ტყვედ წაგვგვარეს ჩვენი ბაქარი. კეისრის კარს იქნება იგი მეფურ პატივში, განისწავლება: დაბრუნდება სამშობლოში უკეთ გაწვრთნილი.

— მძვინვარე ლომის ბუნაგში გვყავს ამიერიდგან! მცირედი წყენა კეისრისა და მოსპობენ მას.

— არ განვარისხეთ!

ადვილი სიტყვა ძნელად სასრული. ბიზანტია ძალას მოიტანდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩასარევად, გააძლიერებდა თავის ზედგავლენას და შეუძლებელი იქმნებოდა ბოლომდის თმობა. იცოდა ეს მირიანმა; მაინც იტყოდა ღელვილ ქალის დასაწყნარებლად.

— ნახოს ქვეყნები, სხვა ხალხთა ყოფა. სასიკეთოთ მიერგება გამოცდილება. ქნებ კიდეც აღზდგეს სპარსი, დაიბრუნოს თავის დიდება და კვლავ გამტკიცდეს ჩვენ შორის ძმობა.

— ვეღარ განიცადოს საქართველომ კავშირი სპარსთან; ვეღარ შესწიროს ქართველობამ არმაზ ბრწყინვალეს!

იცოდა მეფემ, ძნელი სიტყვები ბოდვა იყო წამებულ დედის, მაგრამ მის თქმაში თითონ მეფეც სიმართლესა სჭვრეტდა, მომავლის საშიშ სურათებს.

— ჩემს შემდეგ ბაქარ... ეჰ, თუ ისურვებს იმპერატორი... ბაქარ აერთებს ჩვენსა მოდგმას ფარნაოზისთან... ახალი ღმერთი მოიძღოლა ახალმა რომმა. ამ ღვთაებას ბიზანტიის მოსდევს მახვილი იმის ურჩთათვის, — ფიქრობდა მეფე და საგონებელს მისცემოდა, როგორ გაემაგრებინა ზურგი, რომ მთლად არ დაჰმონებოდა კეისარს, გაჭირებაში მცირედ მაინც შეემარ-

თა იმის ძალთათვის; გადაერჩინა თავის ხალხი, თავის გვირგვინი.

მაინც სამეფო სახლის ყველა წევრი როდი იყო იმედმიხდილი: ქალი ხვარამზე ისე ქუფრად არ ხედავდა ქართველთ მომავალს; ახალგაზრდას ახალი გზა ევლინებოდა ქართველთათვის განათლებული. ანუგეშა დაღონებულნი:

— ნუ სწუხარ, დედი: ნინო ქადაგი სიხარულს გვეტყვის და დიდებას ახალ სავალით. მისი ღმერთი ჩაგრულთ მომხრეა. კაცთ თუ ერებს თავისუფლად, თანასწორად აღიარებსო, გამძლავრებულთ სუსტთ დაჩაგვრის ნებას არ აძლევს.

— რას ამბობ, ქალო? ჭრელი თქმა არის ქადაგისა, სიტყვა გველური! ვინ მიანიჭა სიძლიერე ღმერთს ტანჯვით მომკვდარს?!

— მოგვითხრობს ნინო, ქრისტე ღმერთი ქვეყნად რომ იყო, ჰქონდა მაინც ძალა ციური: მკვდარს აღადგენდა მხოლოდ სიტყვით ან შეხებითო. მკვდრეთით რომ აღსდგა და ამაღლდა, მიეცაო ძლიერება შეუზღუდავი.

— მის სასწაულნი და ნინოსიც თვალთმაქცობაა სატანაის ძალით ქმედილი... გიბრძანებ, მოსპე მისვლა-მოსვლა ქადაგ ნინოსთან!

გაჩუმდა ქალი. სპეტაკ შუბლზედ აღებეჭდა ნაოჭთ ნასახი. წარსთქვა თავისთვის:

— რომში თურმე მრავლად აწამეს ახალ სჯულისთვის. მაცხოვარი განამტკიცებდა და სიკვდილსაც ღიმით ხვდებოდნენ.

შეაფიქრა ქალის სიტყვამ მეფე-დედოფალი, იმათაც იცოდნენ, წინანდელი კეისარნი ცეცხლითა და მახვილითა სდევნიდნენ ახალ სჯულის მიმდევართ, ჯვარის მოსავნი კი უფრო მრავლდებოდნენ. ნუთუ ისა ჰსურთ, ქართველთ მიწაც მოირწყოდეს წამებულთ სისხლით?!

31

განდეგილი თითქმის ყოველთვის ჩამოუსვლელადა სცხოვრობდა წმიდა მთაში ციშუბ-თარ-ხუჯისა. იმითი იკვებებოდა რასაც შესწირავდნენ ამ ძველი ღმერთის მიმდევარნი.

ეხლა კი დაეტოვებინა მანგიურს თავის სავანე, არაგვის ხეობას დასდგომოდა: მთაში ასვლა მოეწადინებინა. წავარნებ-

ზედ სვლას ნაჩვევ ჯორაკზედ იჯდა. აღვირი მიეშვა: გამოცდილი ცხოველი თითონ იკვლევდა გზას. მარტოდმარტო მიდიოდა ხანჯლის ამარა. იშვიათი მგზავრი ჰხვდებოდა. ვერა სცნობდნენ მოხუცებულს, გამარჯვებას მაინც ეტყოდნენ, ქუდს უხდიდნენ მის მხცოვანობას. არხოტისკენ ეჭირა გეზი. განსაზღვრილ მიზანს მკვეთრი ფიქრის მეტყველება აღებეჭდა ჭკვიან სახეზედ. თვალები უელვდებოდა, შუბლს შეიკრავდა, ძნელი რამ მისწრაფება ასდევნებოდა, ის იხვევდა მის გრძნობათ საკრებს. სიტყვაშიაც იხატებოდა:

— სულგრძელია ღმერთი ძლიერი: ოდესმე თვის მისაგებელს ყველას მიაგებს! იცდის საუკუნოებით, რეგვენს ჰგონია, დაავიწყდა შეურაცხყოფა. ჭკვათ არა მყოფი იტყვის იმასაც: თითონ ღმერთიც თუ განქარდაო. უკვდავია, ფიქრთ უწყვეტი, მოუსპობელი! ეს კი არის: თვით ღმერთების განგებელი ბედისწერა უწესს უკვდავსაც ჟამიერად მიყუჩებას, უჩინარობას. შემდეგში კვლავ აღმობრწყინდეს შუქმომფინარი!.. იყო დრო და ღმეროი ღმერთთა ციშუბ-თარ-ხუჯი შეცვლილ იქმნა უცხო არმაზით, სპარსთ მფლობელობის მაჩვენებელ ღმეროით ირანის. აწ...

— მოიწია ჟამის წერა არმაზსა ზედან და... — მოესმა უფსკრულ ხევიდან.

— ციშუბის ცალი ითრუშანი დაუძლურდა, იტყვი გაშრაო. განქრა ხალხში სახელებიც მამა-პაპათ სალოცავ ხატთა. კვლავ განილია წელთ სიმრავლე და...

— შენ ხარ რჩეული ბედისწერისა, შენ იხილო საშინელი მარცხი არმაზის! — კვლავ მოესმა ხმა საიდუმლო.

გართობოდა ბერიკაცი თავის ფიქრებს; დაჰვიწყებოდა, სად იყო იგი. შედგა ჯორი გელაზების წინ. გამოერკვა მანგიური ოცნებიდან, თვალნი მოავლო.

— გზა ამრევია!

და დაიწყო დაკვირვებით თვალიერება: იცოდა ეს გზა. მაინც ველარ გარკვეულიყო. აპირობდა გამობრუნებას, რომ კლდის იქიდან შემოესმა ცხენის ფეხის ხმა. კიდეც გამოჩნდა იადაღმიდან მომავალი და დააკვირდა.

— მანგიურს გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს! ჰაზრ ვერ მოვსულვარ.

— ვერა მიცან ხახოწაი ხარაგაული?

— აუჰ! სიბერემ თუ წამართვა თვალის ჩინი. საით მიხვალ?

— აღარც სად: შენისთანა ძვირფას სტუმარს, ჩვენ მთაში მოსულს, მხლებელი უნდა, იარე!

— კარგი! მაინც უშენოდ არ გაკეთდების ჩემი საქეთი.

გადიარეს უგზო გზა ზვავისაგან ნაშალ ღორღით ამოჭოლილი, ჩავიდნენ სოფელს. ბევრი ხანი არ დაჰყო განდეგილმა იქ. საგულისხმო ამბავი ჩაუტანა: უამბო ყველა, რაც მომხდარიყო საქართველოს მეფის კარს. ამცნო სპარსეთის დამარცხება რომაელთაგან; ახალი სჯულის გამეფება ბიზანტიაში; კეისარის ბრძანება ამ სჯულის ქართველთაგან მიღების შესახებ.

— ახალი რამ სარწმუნოება?!

— ქრისტეს სჯული, ჯვარის თაყვანის ცემა.

— კაცის მოსაკლავ ჯვარედინ ხეს რაღა თაყვანისცემა უნდა?!

— უნდაო! მოდის ქრისტე ღმერთი ბიზანტიიდან არმაზთან სამტროდ. მალე მოხდება მათ შორის ბრძოლა და...

— ჩვენთვის, მანგიურო ჩემო, ორივ სხვა არის, არმაზიც, ქრისტეც, სხვადგან მოსულან!

— ღმერთი ღმერთთა ჩვენი ციშუბი აიხსნება ბედისწერისგან, რომ კვლავ სცადოს თავის ძალა ამ საშინელ ხატთა ბრძოლაში.

— დიდება შენდა, ღმერთო! საიდან იცი ეგ ყველაფერი?

— თვით მომევლინა და შთამაგონა.

— რას ითხოვს ჩვენგან?

— ამ მძაფრ ბრძოლაში ჰხამს მივიღოთ მონაწილობა! ჩვენთან იქნებიან თითონ ციშუბი, ითრუშანი, გუდან მებრძოლი, ფრთიან რაშზედ მჯდომი ალტერი; ყველა სხვა ხატი ჩვენი მფარველი!

— დიდება მათ სახელს!

— გამცნობთ და გიწესთ ხატთა ბრძანებას: მზეჭაბუკნი მზადა გყვანდეთ პირველს ხმობაზედ!

— ჩვენი ხმალი ღმერთთ ბრძოლაში რას გამოდ...

— შევკრიბოთ ბჭენი: ხალხმა თითონ გადაწყვიტოს ძნელი საკითხი!

— აგრე!

მომხდარმა ამბებმა, დიდი მოძრაობა რომ შეიტანეს სასახლეში, უფრო მეტად ააღელვეს მოგვთა უბანი ხიდის ყურზედ. მეტადრე მოუსვენრადა გრძნობდა თავს მთავარქურუმი ბაბეგი. ცხადადა ხედავდა ის შაბურის დამარცხების შედეგებს!

— შეირყევა სპარსთ გავლენა საქართველოში და დაირღვევა. ბიზანტიელთ ძალა მოვა ამძლავრებული. აქ არიან წინამორბედნი, ჯვარცმულ ღმერთის მქადაგებელნი. ამოფხვრიან ყოველ სახელს სპარსთ გავლენისა. დაენაცვლოს იესო არმაზს! მზად უნდა ვიყვნეთ!

ზედიზედ იმართებოდა ყრილობა მთავარქურუმის კარს უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდა ბაბეგს მირიანთან. კაცს კაცზედ ჰგზავნიდნენ სპარსეთში ამბავთ საცნობად. არ მოსდიოდათ სანუგეშო ხმა.

— შაჰი ჯერ კიდევ იბრძვის, ცდილობს შეაყენოს ძლევამოსილი მტერი; მაინც ველარ გამაგრებულა. იწევს თანდათან ბახტრიონისკენ, რომ შეეფაროს მთიან ადგილებს.

— კარგი ფიქრია! იქნებ შესძლოს, მოიშველოს თურანელნი, თითონ ხაზარნი. შეაფერხებს ბიზანტიელთ მათ დახმარებით.

— არა მგონია! ხაზინა ცარიელი ექნება. დაქირავებულ მებრძოლს ოქრო ბევრი უნდა.

— სჯობს პირდაპირ შევხედოთ საფრთხეს! სპარსეთი უძლურია დღეს. იქიდან არავითარი შველის იმედი აღარ არის. ბიზანტია არის ეხლა მბრძანებელი. ის უძინებელი მტერია სპარსეთისა, ყველა მისი მომხრეებისა და...

— შენის ჰაზრით სპარსეთს და მის სჯულს საბოლოოდ შიში მოელისთ.

— აქაც ღმერთს არმაზს, სპარსთა გავლენას! არა მხოლოდ ბიზანტიის მხრივ.

— მაშ კიდევ...

— შინა გვყავს მტერი ურიგებელი. ეცდება იგი, დრო იხელთოს, სისხლი აიღოს. საშიშ არიან თვით ქართველები: ჯერ კიდევ ახსოვთ თვისი სჯული მამა-პაპური. არ სწამთ მათ არმაზ; თაყვანს სცემენ მხოლოდ გარეწრად.

— წელმა სამასმა ვერ ათვისა ახალს სჯულს, ყოფას?!

— ჯიუტია ქართველი ერი თავის რწმენაში, ყოველად უცვლელი. ისევ თაყვანს სცემს ძველისძველ ღმერთებს. ჰმართავენ გასაჭირში ადგილის ხატებს. უკარებლად მიაჩნიათ მათი სავანე, თუნდ ცარიელი, წმიდათა წმიდად. ვერ შევსძელი გაგვეხადნა ჩვენი სჯული ქართველთა რწმენად და არმაზი საქართველოს მფარველ დიდ ღმერთად. სასოებით იხსენებენ ითრუშანს, ციშუბს, იაღსარს, ილორს.

— მეტისმეტად მიმაჩნია მე შიში შენი. შესაძლოა ძველნი ღმერთნი ახსოვდეთ ბუნდათ, ვით სიზმარი მივიწყებული. ჩამჭრალნი ღმერთნი სამოქმედოდ არ ივარგებენ.

— მაშ სად წასულა ციშუბის მთიდან?

— სად იქნება ის მხცოვანი, მე ეგ არ ვიცი. მაინც მისი წახვ...

— ზევით მთაშია. ავრცელებს ხალხში სპარსეთის რღვევას. დადგაო ჟამი, ძველ სალოცავთ დაუბრუნდეს ქართველი ხალხი, კვლავ გაბრწყინდესო უკვდავ ხატთა სახელი ჩვენში. არ გვჭირიაო უცხო ღმერთნი, არც სხვისი ძალა. უსათუოდ აამხედრებს იგი ერს ჩვენზედ!

— შენის ჰაზრით დიდი შიში მოგველის ორმხრივ: ძველნი ქართველნი და ბიზანტია ირაზმებიან. ჩვენდ სიძულვილმა ორი მტერი ჟამიერად შეაკავშირა. ძნელი ბრძოლა შეარყევს მიწას და...

— და აუცილებლად გაიმარჯვებს არმაზ ბრწყინვალე: დაშნად უპყრია სხივი მზისა ფოლადებული.

— ვერ დაბზაროს მისი ძალა ბნელეთის რისხვამ.

— აქ მეფე არის თვით მარჯვენა ბედისწერისა: იქითკენ დაჰხრის ბრძოლის უღელს, სად თვით იქმნება.

— მირიან ერთგულია არმაზ ბრწყინვალის.

— სპარსთ ხელმწიფის ნათესავი არ უღალატებს.

— ნანაც მტერია დედ იფალი ჯვარცმული ღმერთის, ბიზანტიამ რომ მოგზავნა წინამორბედად.

— მირიანი ქართველთ მეფეა გულით ქართველი, ვაჰ თუ სამეფო საზრუნველმა დაავიწყოს მას სხვა ყოველი.

— დაგვიფაროს არმაზ ბრწყინვალემ მაგისთანა განსაცდელისგან!

— იყავნ! იყავნ!

ველარ ჰფარავდა ბრწყინვალე არმაზ თავის მოსავებს. ბედისწერისგან განწირულ ხატს გასჭირებოდა, მაინც იგი არ იტეხდა რვალის მკერდში ფოლადის გულსა. ცდილობდა კვლავ შეეკრიბნა თავის სხივები და გაბრწყინებულს განეფანტა ბნელთა ძალები.

დიდს ფიქრს მისცემოდა ძოხუცი მირიან: ჰხედავდა, დაეღვნენ ბურჯნი დიდებულ სპარსეთს, მასთან ერთად საქართველოსაც და...

— მოევლინება ჩვენს მიწა-წყალს მძლავრი ძალა ბიზანტიისა, როგორც მოსულა უცხო ძალა ისკანდერის დროს! მის უარყოფა...

ძნელი წარმოსადგენი იყო მეფისათვის შედეგები უარის თქმისა: შეჰსვამდა მის სისხლს კეისარი ალაღებული და მასთან ერთად ქართველთ სიცოცხლეს

— ამოფხვრის ჩვენ გვარს საქართველოში. ჩააყენებს თავის ერთგულს, როგორც რომ პონტში. არ ეგების მის სურვილის უკუმიქცევა.

— ჰაშ გიჯობს, დაჰყვე.

— არ შეიძლება! დავმორჩილდე მას უბრძოლველად, დავთმო ღვერთები. წესდებანიც საქართველოსი; ყმად გავხადო სამფლობელო შორეულ რომის და მედგას მაინც ჯიღა მეფისა?! ყურმოჭრილი მონა სხვისა გვირგვინოსანი?!

ველარ ჰპოვებდა გველაშაპის ხლართებიდან გზას გამოსავალს. უნდა ემსხვერპლა თავის რწმენაც, თავის ღმერთებიც მოსულ ძალისთვის, რომ შეენახა გვარისათვის სამეფო ჯიღა!

— ანა... სამშობლოში გასცნობია იგი ახალ სჯულს. გულით უარჰყოფს ღმერთს ჯვარზედ მოკლულს. მისაყვედურებს, ქადაგების ნებას აძლევო. გულს ასდევს მეტად. შთავაგონო. ბიზანტიელთ რბილად მოეპყრას.

— და რისთვის, მეფევ?! ვერ ეთვისება დედოფალი მოსულ ქადაგებს.

— კეისრის სურვილს მეტყველობს ნინო, მის ძლიერ ნებას!

— იქნებ ის სჯობდეს, შევებრძოლოთ მომავალ ძალას?

— არც დრო, არც ძალა აღარა გვაქვს შემართებისა. დავყვეთ განგებას! უნდა ვამხილოთ დედოფალი, რომ...

— მაშ უარყვოთ რწმენა ჩვენი, დავტოვოთ ღმერთნი?

— არ შეიძლება! ისეც ღირსნი ვართ ყოვლის ბოროტის უდებ ვიქმნებით მსახურებად კეთილმყოფ ღმერთთა და შეგვაქცია პირი თვისი ნათელმა დიდმა.

— მივმართოთ ღმერთებს, შევსწიროთ არმაზს!

— ვბრძანებ: მოისრნეს მოსავნი ჯვარის! გულმხურვალედ ვმსახურებდეთ ჩვენთავე ღმერთთა! — იტყოდა მეფე.

და აღთქმას აძლევდა არმაზს, გადასდგამდა გაბედულ ნაბიჯს, დასტოვებდა მერყეობას ღმერთთა შესახებ. მთელის არსებით უარჰყოფდა ახალ ღმერთს ქრისტეს.

— ესე მოითხოვს ჩემის ხალხის კეთილდღეობა!

ეჰ, დაეშვებოდა ისევ მალე მის ნებისყოფა, ეჭვით შეჰხედდა თავის ღმერთთა შემძლებელობას; სასომიხდილი ლბილდებოდა, იღვედებოდა.

34

ზეარსთა ბრძოლა მირიანის საბრძანებელში. საქართველო ძვირფასია ყველა იმათთვის; ამაზედ მოსდით საშინელი მათ შემართება. წილხდომილი ჩემიაო ედემის კუთხე. იარალში ჩამსხდარიყვნენ: ძველისძველი ქართველთ ღმერთები, სპარსთ დიდი ღმერთის ანარეკლი ქართველთ არმაზი, დასავლეთით მოვლენილი ჯვარცმული ღმერთი.

ძველნი ღმერთნი საქართველოსი მედგრად იქმნენ არმაზისაგან დამარცხებულნი, როდესაც ირანმა ძალა მოიტანა საქართველოზედ და შეცვალა ღმერთნი, მმართველნი, წეს-წყობილება. ჩაანელა ერის სიტყვა, განძარცვა ის უფლებებიდგან და არჩეული მამა ხალხისა ხმლით შეცვალა ქართველთ მეუფით: მაშინ იძლია დიდი ღმერთიც ციშუბ-თარ-ხუჯი და გლოვად დაჯდა მისი ცალი ითრუშანი, დედა ქართველთა.

თითქო განქრნენო იმის აქათ ქართველთა ღმერთნი. არა! იყუჩეს. გადიტანეს საყუდარი ქართველთა გულში და ელოდნენ აღდგომის დღეს, ჟამთ აღვსებასა. მაინცა სცადეს ერთხელ კიდევ არმაზის დანთქმა. ვერ გაუმარჯვდათ: განგებას თუ ჯერ არ ენება. აწ ჟამმა დაჰკრა და... აღიჭურვა საბრძოლველად ძველი ციშუბი! მისი ცალი ითრუშანი ალმასებული:

— სისხლი მწყურიან არმაზისა! გაუპობ მკერდს უტეხ

ბრჭყალებით, გავსწურავ სისხლით მის გულს უგრძნობელს! — გაისმოდა კიდითკიდე თმაგაშლილი ითრუშანის ხმა.

მიმოფრინავდა. მებრძოლთ უხმობდა. ამხნევებდა თვით დიდსა ციშუბს.

— აღგვა არმაზის ნაცვლად ჩვენი დაკნინებისა!

ჰხედავდა ამას ღმერთი ჯვარცმული. ისიც იცოდა, შესაზარი ხატთა ბრძოლა გზას გაუკვლევდა მას ქართველთაკენ. სამოქმედოდ ემზადებოდა. ორი სახე ჰქონდა დასავლეთით მოვლენილ ქრისტეს: გარედან რომ სითავმდაბლის ძაძა ემოსა, ქვეშ ბექთარი ჩაეღილნა ჭაჯთა ნაკვერი; იმის ხის ჯვარში დაშნა იდვა ურჩთ ცეცხლის მდები; მშვიდობის სახე, ბაიას რტო ნიში იყო ხმაჩაწყვეტილთ მორჩილებისა.

უყოვნებლად მოხდებოდა შემართება ზეშთა ძალების და მირიანს აღარ ჰქონდა დრო დახანების.

— აირჩიე ამ ბრძოლაში სავალი შენი, გაჰკვლიე მკვეთრად, რომ იცოდე, განსაცდელში საით მიჰმართო!

— უკვე გავკლიე ის სავალი, ხმავ იდუმალო!

— და მაშ...

— ვერ ვიზამ იმას, რაც მსურს მე გულით: ჟამთა დენა მამოქმედებს თავის ნებაზედ.

ნანა დედოფალი... მოტყდა იგი, რაც დაუთმო თავის ბაქარი. ანუგეშებდნენ:

— ნუ ნაღვლობ, ქალო! ჰაისტანის მეფე ტრდატიც იქ აიზარდა და კარგი დადგა თავის ხალხისთვის.

როგორ არ ედარდნა დედოფალს, როცა ცუდი ამბები მოდიოდა ბიზანტიიდან?! მეტად მკაცრი გამოდგა კონსტანცი: ამოხოცა ნათესავები; არ ინდობდა, ვისც ეჭვს დაჰკრავდა.

— მიაღებინებს კეისარი ჩემს შვილს ახალს სჯულს, დამიღუპავს სულით ხორცთამდე.

არ გავიდა ხანი და მოვიდა ეპისტოლე პონტოელისგან. ძმურ სიტყვას სწერდა. მოსაკითხიც წარმოეგზავნა. მაგრამ დამაფიქრებელი თქმა იყო შიგ:

— კეისარი კმაყოფილია შენის შვილის გაგზავნის გამო. იმედს გამოსთქვამს, ხალხს მაგალითს მისცემთ ჭეშმარიტი სჯულის მიღებისას. მაშინ უსაყვარლეს ძმად გიგულებს შენ.

ჰანიბალისგან მოწოდებული ცნობები კეისრის ბრძანებას უდრიდნენ სხვის პირით გადმოცემულს. ამან უფრო იმოქმედა

დედოფალზედ და ჩაღამებული გული მთლად ჩაუშავა. დასუსტდა ფიქრწაღებული, მადა დაკარგა. უძრავად იჯდა, მარად ოხრავდა. მთლად გადაფითრდა. წამლები, შელოცვები, სალოცავები.

— არც არმაზი, ვერც სხვა ღმერთნი ვეღარ ჰშველიან. თუ მივმართოთ იმ ახალ ღმერთს და მის ქადაგს?

— ბრძანე, მეფეო! აღარ სჩანს სხვა გზა; იქნებ უშველოს, ჯერ მაინც ყოყმობდა მეფე. არა ჰსურდა ბრძანების წართქმა.

35

აღარც დასჭირდა: თავისით შესრულდა მისი სურვილი. ბატონიშვილ ხვარამზეს ედარდნა ამაზედვე. ისიც იმ ფიქრს დასდგომოდა, ნინო შესძლებსო დედის განკურნებას. ინახულა მამა. ძნელი იყო ქალისათვის, გადაედგა ეს ნაბიჯი; მაინც გაბედა.

— მამი, მარტო დაგიგულე და შემოვედი.

— კარგი ჰქმენი, სიხარულო!

— დედა ძლიერ იტანჯება და ის მადარდებს.

— ეგ მეც მაშინებს. ვცადე ყველა საშუალება. ვერ მიუყენეთ ვერც წამალი, ვერც ხატის ძალა. ღმერთთაც თუ ვერ შეუძლიანთ სძლიონ ის სენი.

— მეშინიან, არ გამირისხდე.

— სთქვი! შეიძლება შენი სიტყვა ჭკუაში დამიჯდეს.

— ნინო რომ არის, იმ ქადაგს ვკითხე.

— მერე?

— შესაძლო არისო განკურნება იესოს ძალით.

— შემიძლიანო მისი მორჩენა?!

— თუ ავადმყოფი სასოებით შეუვრდებაო ქრისტე მაცხოვარს.

— დედაშენი უარჰყოფს ჯვარცმულს: მოსავია არმაზ ბრწყინვალის. საიდან დაუახლოვდი, ქალო, იმ გრძნეულს?

— ხანდისხან მოდის, როცა წალკოტს ვარ. ხათუთამ მთხოვა, მებაღის ცოლმა, ნება მიეც, მოგეახლოსო. ჭკვიანი არის, ბევრი რამ მითხრა.

— რას გიამბობდა?

— მასწავლა, ღმერთმა როგორ შექმნა ქვეყნიერება; პირ

ველნი კაცნი როგორ ცხოვრობდნენ ძვირფას ედემში. თურმე ღმერთი განარისხეს და დაჰკარგეს ბედნიერება. შემდეგ თითონ მოვიდაო ქვეყანაზედ, რომ დაეთრგუნა სატანაილ მაცთუნებელი და მიეპყრო კაცისათვის წინანდელი ნეტარება. ეს ის ქრისტეა, მე რომ ვქადაგებო.

— მაშ სად არის კეთილყოფა, რად ვიტანჯებით?

— ვერ იცნესო ღმერთი კაცქმნილი. ჯვარზედ აცვესო. იმის სჯული ქვეყანაზედ რომ გავრცელდება, გულს მოიბრუნებს: კვლავ გააღებს ედემის კარსა.

— უბრალო თქმები!

— ვმოქმედებო სასწაულებს იესოს ძალით. დედოფალსაც განვკურნებო იმისი მადლით.

— ხშირადა გხედავს?

— თავის ქოხშიაც წამიყვანა. ბევრი სხვაც იყო. ქადაგად დაეცა. საკვირველებს წარმოსთქვამდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— იცის დედაშენმა?

— ხათუთას ეთქვა. დედა... მეტად გამიწყრა.

— კარგი, შვილო, მოვიფიქრებ, — უთხრა მამამ და აკოცა ქალს.

ფიქრის დრო აღარ იყო. დედოფალი უძლურდებოდა. ავადობა ხელსა ჰრევდა მას. მოახსენეს, ურჩიეს, შეეხვეწნენ. დაჰყვა მათ ნებას. ბრძანა მეფემ მოყვანება იმ ქადაგისა. გაგზავნეს კაცნი. ეახლნენ, შეკრბნენ დედოფალთან, რომ დასწრებოდნენ საკვირველებას. დაბრუნდა კაცი, მოახსენა საოცარი სიტყვა უგვანი:

— ქრისტე ჯვარცმული თვით ბრძანდება მეფეთ მეფეო: არ ჰხამს ეახლოს თვის ქმნილებას, თვის მხევალსაო. მობრძანდეს თვით დედოფალი ჯვარის სავანეს და განიკურნოს!

გაოცდა, გაშრა ყველა იქ მყოფი. ალმურმა აჰკრა მეფეს სახეზედ. დედოფალი ჯავრით ათრთოლდა. შეძრწუნდნენ ფრიად კარის კაცნი თუ სეფე ქალნი. ჰლამოდა გრგვინვად გადმოშვებას ზვირთებული რისხვა მეფისა, რომ ჰაბუკმა ამზაილმა გადალახა ყოველი მზღვარი მოწიწებისა:

— აქ ვინა ჰბედავს აღმაშფოთველ კადნიერებას?! — სთქვა გონახდილმა.

და ხანჯალი დაძრა ქარქაშით გასაგმირად თავხედად მთქმელის.

შუქის მსგავსად მიეახლა ქალი ხვარამზე, ხელი შეახო შეუგნებლად მის ხანჯლის კოტას. უხმოდ გაჩერდა ამზაილი ვით ქანდაკება.

36

გაძნელდა დედოფლის ავადობა. ველარ დადიოდა. ლაფანივით იღვედებოდა. აღარასფერს არ ხალისობდა: ერთი თუ გახდა ეხლა მისთვის ავი და კარგი. მდებარედ შეიქმნა განწირული. სასახლეში აჩრდილი გლოვის. ეახლა მეფეს ქურუმთ უხუცესი.

— ქადაგ ნინოს შეუსწავლია ისეთი საშუალებები, რომელნი აღემატებიან ჩვენს ცოდნას. არ შეიძლება არა ვსცადოთ იმისი ხელი! მოგვირჩინა იმ მისანმა სნეული მოგვი.

— მის კადნიერი შემოთვლილება... ჩვენგან არ არის ის დასათმობი!

— გვენანება დედოფალი მფარველი ჩვენი! ვერ გაბედავდა იმ თავხედობას, თუ არ იყოს ბიზანტიით განმტკიცებული, უარყოფამ დაგვიღუპოს კარგი სიცოცხლე...

— მართალს იტყვის ბაბეგი. ვსცადოთ იმ დედაკაცის ხელოვნებაც.

დაჰყვა მეფე. დაასკვნეს, საჯაროდ არ მომხდარიყო დედოფლის იქ მიყვანა. მაინც საჭირო იქნებოდა სიფრთხილე ხალხის მოსალოდნელ მოზღვავებისაგან და გასცეს სათანადო ბრძანება.

აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებაო. არ გაუკვირდა: ის ყველაფერს თვალს ადევნებდა სასახლეში და უკვე იცოდა მათი დასკვნა. მეფე-დედოფლის მსახურთაგანნი თვალნი იყვნენ მისნი და ყურნი.

მაყვლოვანში დაჰხვდათ ქადაგი. ალაღებული მაყვლის ბუჩქი თალარად თხზილი. მოზდილი ადგილი ტოტთა კარავ ქვეშ. ჭილობები ეფინა. მუთაქა ეგდო ერთადერთი. აღმოსავლეთ მხარეს ლოდი ვეება. ზედ ესვენა წალმის ჯვარი ნაწნავით კრული. ქვის წინ შილა შეწამული. ინავლებოდა გუნდრუკი ქვაზედ.

ლოცვად იდგა მუხლმოყრილი ნინო, ხელნი გაეპყრო. ძაძა ემოსა. შუბლამდინ ჩამოფარებულ თავსაბურიდან ყელ-ყური

არ უჩანდა. ჯიღა წარბებქვეშ ქუფრი თვალები. დაშტერებით იმზირებოდა.

მიბრუნდა დედაკაცი, მიესალმა დედოფალს, შეიწვია მაყვლოვანში. ბუჩქნარში მხოლოდ ხვარამზე დასტოვა. თალარში ჩაჭრილიყვნენ მზის ელმეცრივი სხივები. ნათელ ფოლაქებით მოექარგა იქაურობა.

უხმოდ დააკვირდა დედოფალს. მიბრუნდა ტრაპეზისაკენ. მუხლმოდრეკით ევედრებოდა; თან ირყეოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ. ხვარამზეც დაშვებულიყო დალიჭზედ მუხლმოყრილი. მობრუნდა ნინო. დაადო შუბლზედ დედოფალს ხელი. ცოტაც და ამოიგმინა ავადმყოფმა. შეაჯრჯოლა. დამწუხნა თვალნი.

— ცუდად შეიქმნა დედოფალი!

ნინო თვალს არ აშორებდა გართხმულ დედოფალს. შეიძრა ნანა. წამოჯდა. თვალებზედ ხელები გადისვა. მიიხედ-მოიხედა.

— განვიდა, დედოფალო, მავნე შენგანა! განკურნებულ ხარ, ქრისტეს მხევალი. წარვედ მშვიდობით!

თითონ ადგა დედოფალი; გამოვიდა; გაემართა. თვალნი ჰაზრით უბრწყინავდნენ. სახე შეჰფერიანებოდა. ჰმადლობდნენ ქადაგს სასწაულისთვის.

თითონ ქადაგი ყურს აღარავის უგდებდა. მოდუნებული იდგა მკლავებ ჩამოყრილი. უღონოდა დაეშვა საფენზედ. მეტისმეტად თუ დაღლილიყო.

37

წამოვიდნენ გაკვირვებულნი, დაფიქრებულნიც; ძველი რწმენის და წყობილების ციხე-გოდილი იჭაჭებოდა, სკდებოდა, ირღვეოდა. ერთი ნაპრალი დღესაც ააჩნდა.

დედოფალი აქამდისინ მტკიცე ბურჯი იყო არმაზისა, აწ იძულებით ეთაყვანა ღმერთს ბიზანტიურს. თავისდახრა რომაელთ წინ, დამორჩილება.

— ბიზანტიელთ ეხმარება თვით ძალა ცისა. ჩემთვის ძვირფას საქართველოს იგივ მოელის, რაც ჰხვდათ წილად პონტს თუ ლიდიას: დასძალავს რომი, სახეს წაართმევს!

იქნებ კიდევ ცდილიყო დედოფალი ბრძოლის განგრძობას,

თუ თვის სიცოცხლე ბაქარ ჭაბუკი იქ არ ჰყოლოდა, ბიზანტიაში.

— ჩემი ვაჟი გველაშაპის ბუნაგშია გესლიანისა, ჩანთქავს უმწეოს, თუ...

უნდა ჩაეკლა სურვილიც კი უარყოფისა. ბედისწერას ამჟამს ბიზანტიელთ მორჩილება დაესახა ქართველთ ერისთვის; ვერ იხსნიდა ამ ხვედრიდან თვით ქვეყნის ძალა.

— ნინოს ხელით კურნება ჩემი განგების ნებაა. მიკარნახებს იმ ქადაგთან დამეგობრებას.

რახან ერთხელ დაადგა დედოფალი ამ გზას, ბოლომდინ მიჰყვა: მოისურვა მეუღლე-მეფეც გარდაეხარა.

— რადღა უარყოფს ქართველ ხალხზედ მოქანებულ ძალას განგების?! სჯობს დაჰყვეს ნებით, ააცილოს თვის სამეფოს მძლავრის მახვილი.

ამის შემდეგ იყო, რომ სასახლიდან ყოველ დღე მისდიოდა ულუფა ქადაგ ქალს. ადონაიმ ისრაილს მანანა უწვიმა გამოსაზრდელად; პატიმრად მყოფ ჩვენს ამირანს ფრინველი განუწესა ულუფის ყოველდღე მისართმევად: ღმერთ-კაცის ქადაგს ხელმწიფის ტაბლა გაუშალა შიგ მაყვლოვანში.

— მიიღეთ მადლობით წყალობა ესე ჯვარცმულისა! — ეტყოდა ნინო თვის მოწაფეებს.

და ჯვარს გადასახავდა მგბარ სანოვაგეს. თითონ მცირედ შეეხებოდა: იმარხვიდა განუწყვეტლად და ილოცვიდა. აწ ქადაგებდა წელგაშლილი გაცხადებულად. კადნიერადაც! დღითი დღე უმრავლდებოდნენ მიმდევარნი, თანმოაზრენი. შეჰყრიდა ხალხს ჭუჩა-ფოლორცში და ასწავლიდა. მახლობელ სოფლებში იწყო სვლა თავის მოწაფეებით. მეფე ვერაფერს ღა ბრძანებდა მის წინააღმდეგ. არმაზის მოგვნი მეფეს შეჰმზერდნენ, მასთან ერთად მოელოდნენ საშიშროებას ბიზანტიიდან.

ძველისძველი ქართველთ სჯულისა და ღმერთთა მიმდევარნი უფრო ახალ ქადაგისკენ იყვნენ:

— სძლიოს ჯვარცმულმა არმაზი და მის მომავლინებელი სპარსი! აგვშორდებიან ირანელნი, გაგვეცლებიან.

— გვეუფლებიან ბიზანტიელნი!

— გაგვიბატონდნენ! თუნდ ჯვარედინ ხეს გვათაყვანონ! შორეული ბიზანტია ისე მძლავრად ვერ დაგვრევს ხელსა.

სპარსი ჩვენთან ლიქვნით მოსულა; მოუცია ღმერთნი, მეფენი; ცდილობს ნელ-ნელა სახე თვისი დაამყნოს ქართველს, — იტყოდა გაბოროტებული მანგიური

და ცდილობდა მეტი მებრძოლი შეეკრიბნა თავის გარშამო. იტყოდა იგი:

— მამცნო ითრუშან, დიდმა დედამ ქართველთ მიწისა. მოსულ ღმერთს არმაზს დასდგომია ძნელი ბრძოლის დღე: მას შეჰმართავს ღმერთი ჯვარცმული! ბრძანებს ციშუბი: მოსავნი ჩვენნი მზად იყვენით ძლიერ ბრძოლისთვის!

— თუ დაიძლია არმაზ ბრწყინვალე, დარჩებიან ერთურთ პირისპირ ღმერთი იესო და ციშუბი ბატონი ცისა.

— და დასძლევს ბოლოს ქართველთ ღმერთი საქართველოში!

— როდისღა, როდის, ჭირისუფალო?!

— ჟამს, დადებულს ბედისწერისგან! გახსოვდეს მხოლოდ: ათასი წელი მის წინაშე, ვით წუთი ერთი!

— და წუთი ერთი ვით წელთ სიმრავლე!

— ამ ბრძოლის გზაზედ დაიმსხვრევა არმაზი უცხო!

და მოდიოდნენ ვითა ზვირთნი შეთქმულთ ძალები.

38

ნინომ რომ გააფართოვა ქადაგების ასპარეზი და სოფლებშიაც დაიწყო სიარული, მიზანში ამოიღო მდაბიო ხალხი და მათ შორის უფრო შეჭირვებულნი თუ ტვირთმძიმენი. არმაზის განაპირა უბნებ შორის ყველაზედ მეტათ შეიყვარა კართანი, რომელი მიჰკედლებოდა ქალაქის უმთავრეს კარებს და მანძილზედ გაეწივნა ქალაქის იქით.

კართანში ბოგანო ხალხი ცხოვრობდა მიწას აშორებული. მათი ცხოვრების სახსარი ქალაქი იყო: მიჰქონდათ ბაზარში, თუ რამ მოეჭარბებოდათ; ქალაქშივე მუშაობდნენ დღიურად კაცნიც, ქალნიც. ფაცხებში თუ ქოხებში სცხოვრობდნენ ბატონკაცების ხელში შემყურენი. ბაზარზე იყვნენ მოკიდებულნი: იქიდან მოჰქონდათ საზრდო. ნინოს სიტყვა მალამოდ ედებოდა სიღატაკით დაშაშრულ მათ ხორცს და სულს.

— კაცნი თანაბრად გაუჩენია დიდს შემოქმედს, ცხოვრე-

ბაში კი ვხედავთ დაბადებიდგანვე განდიდებულთ და დაკნინებულთ. წინააღმდეგია ეს ღვთის ნებისა, აუტანელი!

— ოღონდაც რომ უფერია ესეთი ყოფა!

— ერთნი ფუფუნებენ, მეორენი დამშეულნი მიწას ჰლოკავენ. ვის გაუგონია ეს?! უთანასწორობა კაცთ სიბოროტისაგან არის შექმნილი. უნდა შეიგნონ, მოსპონ თითონვე!

— გვეუბნებიან, ღვთისაგან არისო ეს დადგენილი; მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო.

— უგულო და უაზრო ღმერთებისგან არის დადგენილი, ქვისა და ლითონისაგან შექმნილ შემოქმედებისაგან. მსხვრევა მათ! დამხობა მათ უკაცურ წესებს!

— შენი ღმერთი სხვანაირადა ფიქრობს?

— ჭეშმარიტი ღმერთი იესო იტყვის: მოყვასნი ვართ ყველანი ერთმანეთისა და ძმები. გვშვენის ერთობა, თანასწორობა. ხალხი ერთი დიდი ოჯახია და განა შეიძლება სახლის შვილნი ერთნი ძღებოდნენ უსაქმონი, სხვანი პირში შესცქეროდნენ უფრო მოქმედნი? ისინი ისხდნენ ფეხმორთხმულნი, ესენი თავს ევლებოდნენ დაკვართულები? ბედნიერებს ფარჩა ემოსოთ, უბედონი კონკებს აჟღარუნებდნენ? დაბადებით აღნიშნულნი, თუნდ უბადრუკნი, მბრძანებლობდნენ, სხვანი, ნიჭით აღსავსენი, მათა ჰმონებდნენ?

— მარგალიტი გცვივა პირიდან!

— დალოცვილს იტყვი, მაგრამ მაგის გამოსწორება შეუძლებელია!

— გონს ჩაუკვირდით, იანგარიშეთ! განდიდებულ-გამდიდრებულნი ცოტანი არიან, ღარიბნი და ტვირთმძიმენი ერთი ათასად. უნდა შეიგნონ, ბედისგან დამწარებული ხელი აღუპყრან.

— ჰაი, ჰაი კარგი იქნება!

— ჩაგრულთ სიმრავლე ჰმორჩილობს მძლავრებს, კიდეცა ჰშველის. შეიგენით, უბედურნო, ერთობის ძალა! აღემართენით!

— ჭეშმარიტად შენით უბნობს ღმერთი კეთილი!

— და იგი ღმერთი საწყალთ მფარველი იესო ტკბილი მხოლოდ ერთია სათაყვანები!

— არმაზ ბრწყინვალე და სხვა ღმერთები?

— ღირს არ არიან მთელის ერის თაყვანისცემის ისეთნი

ღმერთნი, რომელნი აბედნიერებენ მხოლოდ ერთს ჯგუფს და არა მთელ ხალხს. დამდაბლებულთ დასანახათ არ ჰქონან თვალნი და შეჭივრებულთ სმენად არც ყურნი! დანთქმა იმათი!

ღელავდა ერი; მაინც სდუმდა.

— მოახლოებულ არს ღმერთი იგი ტანჯულთ მოყვარე! ყოველივე ბოროტება დასთრგუნოს იმან! აღადგინოს დავრდომილნი სიმდაბლისაგან. ღაღადებდა გატაცებული.

ჯერ ადრე იყო. გაემართა მთის ბილიკით კერპთ საყუდრისკენ. აჰყვნენ მსმენელნი. წყნარის ბიჯით მიდიოდა ძაძით მოსილი. განუმტკიცებდნენ მთის ძნელსა სვლას მოწაფე ქალნი, ხელთ აღუპყრობდნენ. მისდევდა ხალხი. მიახლოვდნენ სიწმინდის ადგილს. მოწინავეთ იწყეს გალობა:

ოსანა მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლ...

გალავნის კარნი განხმულნი დაჰხვდათ. არმაზს გვერდს ახლდნენ მორიგი მოგვი და მცველთა ჯგუფი. ხალხმა იგრძნო მოწიწება, ჩამორჩა ქადაგს. დიდებულს ღმერთს უახლოვდა ქადაგი ნინო და დააკვირდა.

39

კვარცხლბეკზედ იდგა არმაზ ბრწყინვალე. დიდი ტანისა, მაღალ-მაღალი. გაცი, გაიმი მარჯვნივ და მარცხნივ. სრულტანიანნი შედარებით მომცრონი ჩანდნენ. რვალისაგან ჩამოსხმული დიდ ხელოვნებით. წვივნი ძლიერნი. მებრძოლი ღმერთი იყო არმაზ და ბექთარი ეცვა. გვირგვინივით მუზარადი ისარ ახრილი. საკმლავები, ხელჯაგები, საბარკულ-საწვივეები. ჭვინტიანი ფეხსაცმელი. აბგარ-აბჯარი ნაჭედი ოქრო. იქცევის ხმალი ამოწვდილი. მართლმსაჯული ღმერთი იყო არმაზ. შემცოდე განმარისხებელი ნუ მიეახლებოდა მას ნურც შესაწირად: ალმასის ხმალი გაჰკვეთდა ცოდვილს. ვადა ხმალისა და ჭარჭაში სპეკალ ნაჭარბი. დიდრონ-დიდრონი თვალნი ესხნეს ბივრილიონის. გულთამხილავი. თვალთ აყოლებდა ბოროტის მგულებს. შესაზარი მისი შეხედვა: მყის განსჭვრეტდა საიდუმლოს, ყოველს დაფარულს განაცხადებდა.

მოშორებით, ცოტა მარჯვნივ, უზარმაზარ ლოდებისაგან თხზილი სამსხვერპლო. მოოთხვილი გელაზები დაკუთხვილე-

ბი, აქ შესწირავდნენ ყოვლად დასაწველს. გუნდრუკის კმევა განუწყვეტელი.

ბევრით დიდებულთ ჩჩვილი შესწიროდა აქ არმაზს, უხვი ცრემლი დაღვრილიყო მორწმუნეთაგან. კაკურაზი ღმერთი იყო არმაზ დიდებული: თუ არ დიდკაცთ შვილს, მსხვერპლად სხვას არ მიიღებდა.

არმაზის წინ, ფარნაოზის სამარეზედ, დრუნგილის ლოდი სუფთად ნათალი. გარს ხვეული ჩუქურთმა ევლო ვარაყიანი. საფლავის ქვის შუაზედ ჩაჭდეული ფრთიან მზის სახე სხივოსნებული. მთელი მზე ოქროდან ნაკვერი. ტაბლა ამ ტრაპეზზედ იდგმებოდა. ქურუმი აქ ამწყალობლებდა მვედრებელს. მლოცავი რომ მუხლს მოიდრეკდა არმაზის წინ და თავს დახრიდა, ფარნაოზის საფლავს ეხებოდა შუბლით, ეთაყვანებოდა.

ეხლა საღამო იყო და მზე ზურგით კერძო ალაპლაპებდა არმაზს; ამოსვლისას პირველ სხივებით ამ ღვთაების სახეს ჰკოცნიდა.

დაკვირვებით უმზერდა ნინო არმაზ ბრწყინვალეს: თუ ჰსურდა, მის თვალებში ამოეკითხა მომავალი უტეხ ბრძოლას შედეგები. ვერ შესძლო დიდხანს დაჟინებით ჩაკვირვება.

— ეს რა მომდის, უფალო ჩემო?! ლამის გამტეხოს ამ კერპის თვალმა!

გაჰღვიძებოდათ არმაზის თვალებს, სიცოცხლის წყალი დიოდა მათში, იღელვებოდა.

— მაკვირდება, როგორც სულდგმული!

ქალმა გვერდზედ გადადგა ბიჯი. ღმერთმა თვალი ააყოლა, მასვე უმზერდა. სულში უტარებდა ხედვათა ისრებს. ბოროტმა ჟრჟოლამ აიტანა ქალი ქადაგი.

— დადგება ჟამი, ჩემის ხელით აგმოგწოდა ვალნი სპაზარნი!

პირი იბრუნა. გაემართა გალავნისკენ. მოწაფენი თანა ჰყვებოდნენ. გაიარეს იფნები; გასცდნენ გალავანს. ძველი ზღუდე ნაპრალებიანი. კედელზედ სენაკები იყო აქა-იქ მიდგმული ღამისმთეველთათვის. არმაზის წყაროს ბილიკს დაადგნენ. აღარ მღეროდნენ: თავთავად აზრს შეეპყრო ხალხი. გრძნობდა ქადაგი, ძნელი იყო ნატვრით საქმის ასრულება ამ ქვეყანაში.

— შესჩვევია ხალხი თვის ღმერთებს. თვალსა სჭრის მათ

სიტურფე მათი, ახოვანება. ხელთ მიპყრია წალმის ჯვარი, ტანჯვის ნიშანი. დუნდგომ რა იცის, რომ ეს ნიში გატანჯულთა მხსნელი არის ცხოველსმყოფელი?! ვაჰ, თუ ბოლოს გამიდგეს ხალხი და მეფეც მათი! — იტყოდა ნინო

და სიმძიმილით ილეოდა, იხრებოდა ქალი ტანადი. მსწრაფლ იმედსვე მოიცემდა, გასწორდებოდა.

— არა! მყვანან მომხრენიც: ძლევამოსილ კეისრის ხმალი და სიკვდილისაც დამთრგუნველი ღმერთი იესო. აღსდექი, სულო, აღიმართე, ნუ შეძრწუნდები!

და დადგა ლოცვად:

— ღმერთო იესო! დამიფარონ ამ ბრძოლაში ანგელოზთ გუნდთა... ეჰ, შევეწირო შენსა სახელს მხევალი შენი. განპოხიერდეს სისხლით ჩემით ქვეყანა ესე. აღმოცენდეს უხვი ყანა ახალის აღთქმის!

ჩაივაკეს. შეისვენეს არმაზის წყალზედ. შესვეს ანკარა, სახეს გადივლეს.

— ეს წყაროა იმ ტანჯულ დედათა ცრემლია, რომელთ ჩჩვილნი შეუწირავთ არმაზისათვის. წყაროს რაკრაკში შორეული მესმის ტირილი. მოისპობის ჯვარის ძალით გულქვა ღმერთი სხვაგნით მოსული!

40

ადვილად ითქმებოდა: მოისპოს! საჭირო იყო გაღვიძება უტეხ ქმედობის, მახვილთ წარმართვა.

— საკვირველი ხალხი არის, თავისებური! უბრყვილოთა სწამთ თვისი ღმერთები, თითქო ეს მათვის სუნთქვასავით ბუნებრივია. ყურს გიგდებენ, თქმულს გისმენენ, მოსწონთ კიდეც სიტყვა ნათქვამი; თავისასვე მოქმედებენ შეურყევლად!

— მაშ რად ესვიან მებრძოლ არმაზს უცხოდან მოსულს?

— არმაზი... ამ ქვეყანაში ქართველთ ღმერთსვე დაჰგვანებია; მიუღია აქაური სახე, თვისება. მცირედ ირჩევა მკვიდრ ღმერთებიდან. მისნი ჭურუმნი... ქართველთავე სულით სუნთქვენ. მირიანი... სპარსია იგი; ჩასდებია გული ქართული. მაინც ჯერაც არ შეჰრიგებიან ქართველნი არმაზს: კიდევ არიან იმათ შორის მის მოძულენი.

— მაშ შესაძლოა, ახალ სჯულსაც ფერი ეცვალოს, აითვისოს ქართველთ ღმერთთ სახე.

— რას მეტყვი მაგას?! იგი სულ სხვაა! არ აქვს ერთობა უცხო ღმერთებთან. ჯვარცმული ქრისტე ქართველთათვის სხვა ღმერთთა სახით?!.. მოისპობა ყოველი ხატი ადგილობრივი! მათი სახელიც აღმოიფხვრას ხალხის ხსოვნიდან! ცეცხლი ყოველს ნაშთს წარმართობისა, მსხვრევა მათ ღმერთებს!

ძალა შესწევდა ქადაგის ქადილს. მოდიოდა უცხო ხმალი ამ გზის საკაფად: ქართველთ მეფისგან თხოულობდა ბიზანტია სჯულის მიღებას. კიდეც გაეჭრა მოთხოვნილებას. ბევრი დაეთმო: სრული ნება განცხადებით ქადაგებისა; დედოფალი ქადაგთ მფარველად; ქურუმთ ძალა დაბლაგვებული, შინაცა სჩანდა სიძლიერე მისი მშველელი: ქართველ ძველ ღმერთთ ხმა ახლოვდებოდა არმაზთან ბრძოლად. მანგიური და სხვა ძველნი წინამძღოლობდნენ.

ყველა ეს ნივთიერი ძალები დაეხმარებოდნენ ნინოს და აუსრულებდნენ საწადელს. თვით ხალხი კი, გული ერისა... მცირე იყო შედეგები მის ქადაგების: ერთი მუჭა მოწაფენი, თანამგრძნობელნი და მათ შორის ნახევარი ისევ უცხონი: ებრაელნი, ჰაიკანნი, ბიზანტიელნი. მათშიც გულით მორწმუნენი მხოლოდ მცირენი. მიეზიდნა სხვანი ანგარიშს: საბოლოვოდ კეთილყოფას კეისრისაგან.

შეგრძნობილი ჰქონდა ეს ყველა გამოცდილ ქადაგს და შეგნებული. მით უფრო უღირდა მცირე რიცხვი მისკენ მიქცეულთ ქართველებისა და მათ შორის მეფის შვილი ხვარამზე ქალი. ტანჯულ ღვთისთვის გაეღო გული მგრძნობერ ქალწულს. ის უხაროდა, კაცთა შორის სათნოებას დაამყარებსო. რა იცოდა გამოუცდელმა, რომ იგი სჯულიც ისწრაფოდა სისხლის სავალით; სთრგუნავდა გზა-გზა ბევრ რამ სიკეთეს; აგზნებდა ხალხში ცეცხლს ყოვლად შემწველს; წარმართავდა მახვილს სისხლიანს.

უალერსებდა ქადაგი ქალწულს და ასწავლიდა. თუ ქალს წალკოტში იგულებდა, ეახლებოდა. იმას ცდილობდა, ჩაეხედნა ქალწულის სულში, წაეკითხა მისი გულისთქმა.

— ჩემო ლამაზო, ხანი გითხრობს, აასრულო ცხოვრების ვალი. გიმღერის გული; რად არ ისმენ საწყლის გალობას?

შეწითლდა ქალი, დახარა თავი.

— ყური მოვკარი, შემოუთვლია პონტოელ მეფეს: გასტუმრებო ვაჟს; დამოყვრება მწადიანო.

— არ გამიგია. არ უთქვამთ ჩემთვის.

— იესო ტკბილი ლმობიერად უყურებდა ქალ-ვაჟთ ერთობას; აკურთხებდა ქორწილის ზეიმს.

უამბო, როგორი სირცხვილიდან გამოიყვანა მასპინძელი, როცა ქორწილში დააკლდათ ღვინო.

— არა, დედავ, არვის გავყვები... თუ არ რჩეულს ჩემის გულისა. მირჩევნია, აღთქმა დავსდვა ქალწულობისა, მოგბაძო შენა.

— არა, გენაცვა! ზეცით ვიყავ ამ ყოფისთვის მე ნაწოდები. მაინც კარგს იტყვი: გულს თუ არა ჰსურს... ბევრი შემოგტრფის. იქნებ ახლაც ჰყავს შენს ქალწულებას თვისი რჩეული.

ნინომ ამოიღო შირმაიის ჯვარი პაწაწა.

— მარგალიტის ყელსაბამი მეტად გიხდება. მაგ ძაფზედ გქონდეს, ტურფავ, ავ თვალისაგან დაგიფარავს: შელოცვილია.

41

ამზაილ ამოელო ქადაგს მიზანში. შეენიშნა ქალ-ვაჟის გრძნობა. იცოდა ნინომ, არ დასთმობდნენ უბრძოლველად ქართველნი ღმერთებს. მებრძოლთა შორის ამზაილი პირველი იყო თავის მხნეობით, ჭაბუკური გატაცებით, მდგომარეობით: მას ჰმორჩილებდა ჯარი რჩეული. დაასკვნა ნინომ, ქალის გრძნობა ეხმარა ხიდად. შორით ზომავდა: აქებდა ჭაბუკს, გარს ახვევდა დედობრივ ზრუნვას. პონტოელზედაც მისთვის უამბო. აღეგზნა მათში გრძნობა ნთებული. მეტად ჰსურდა, პირად ემცნო ჭაბუკისთვის სჯული ქრისტესი. ბედი ჰშველოდა: დაჰკრა თვალი მომავალ ჭაბუკს და აეჩქამა:

— დახედე, ქალო, ამზაილსა ჰგავს ის მხედარი.

გულს ეკარნახა ქალისათვის მზე-ჭაბუკის მოახლოვება.

— ის არის! სავარჯიშოდ თუ ჰყვანდა ჯარი.

ვაჟს შეენიშნა ქალნი წალკოტში. გადაუხვია. სალამი მისცა შორიდანვე. ქადაგი წამოვიდა მისკენ. გამოჰყვა ქალი. დაჰყრდნობოდა ვაჟი გალავანს.

— ჯაჭვი გაცვია. მეკობრების სადევნელად თუ იქნებოდი, — ეძრახა ნინო.

— ვვარჯიშობდით. აუცილებელია საკურტაკე და ჩაბა-

ლეჩხი: შეიძლება მოჰხვდეს ხმლის წვერი, ან ასხლტეს შუბი. წამდვილ ომში ესეთი ჯაჭვი ქსოვილივით დაიფლითება.

ნინომ ანიშნა ქალს შემოწვევა.

— გარედან სდგეხარ, ყმაწვილო! რად არ გადმოხვალ? — მიეხმაურა ქალი.

უბრძანა მხევალს, გაეღო კარი.

ვაჟს სახე გაუნათდა. გადააგდო ცხენს ლაგამი. ერთის დაკვრით გადმოევლო გალავანს.

— ცხენი?

— იდგება!

— მთლად მოგრჩენია იარა? — შეეკითხა ნინო.

— ნასახიც აღარ მაჩნია! ჭრილობის წამალი დიდებული იცის მანგიურმა.

— რატომ მე არ მომმართე საექიმოდ? — უსაყვედურა და მიუბრუნდა ხვარამზეს:

— წამლობის ხსენებაზედ მომაგონდა, ნება მომეცი, ბატონიშვილო, მოვარჩიო სამკურნალო ზოგი ბალახი!

— ინებე, დედავ!

გასცდა ქადაგი ახალგაზრდებს. იქვე მდგომ მხევალს მისცა ხელმანდილი.

— წამომყევ, შვილო! შევაგროვოთ ბალახ-ყვავილი.

მარტონი დარჩნენ ქალ-ყრმა. შეწითლდა ქალი.

— მაშინ მინდოდა, წამლობისთვის ქადაგთან მოსულიყავ, მაგრამ...

— რად არ მიბრძანე?! ვარდად მივიჩნევ ახალ ჭრილობას, ეხლა მაინც შევასრულო სურვილი შენი.

— ნინოს ძალიან გულით უნდა მაშინდელი ომის ამბავი დაწვრილებით მოისმინოს შენგან.

— ვუამბობ ყველას.

— მეც იქ ვიქნები, რომ მოვისმინო.

— ბედნიერი ვარ! იმასაც ვეტყვი, რა თილისმა მინახავდა იმ ბრძოლის ცეცხლში.

— ვერ შეგინახა: მაინც ხომ დაგჭრეს.

— არ გაახარებს მებრძოლ ვაჟკაცს, გამოვიდეს დიდ ომიდან მთლად უვნებელი.

არ ხერხდებოდა გაბმული სიტყვა. ნაწყვეტს იტყოდნენ. რა

საჭირო იყო?! უსიტყვოდაც უმღეროდა ერთურთს ქალ-ვაჟი. ნინოს შეეკრიბნა ყვავილები.

— ვუთხარ ამზაილს შენი სურვილი ომის ამბების შესახებ. ვეახლებიო.

— სასიამოვნოა!

42

ხვარამზეს მაგალითმა სხვა სეფე ქალნიც დაუახლოვა ქადაგს. ის იყო ძნელი, ვაჟკაცები ვერ მიეზიდნა. არა სჯეროდათ!

— ჰე, ჰე! ძმობაო, მონობისა და ხელქვეითობის მოსპობაო, ქონების გათანასწორებაო. მარტო ლამაზი სიტყვები. მთა და ბარი ვის გაუსწორებია?!

— ხელზედ რომ ხუთი თითი გაქვს, ისინიც თანასწორნი არ არიან; კაცთა შორის თანასწორობა როგორ დამყარდეს?!

— მაშ ქრისტიან ბიზანტიაში ხელმწიფობა აღარ არის და ბატონობა? განა იქ კაცი მხოლოდ თავის უნარით ფასობს? ჩამომავლობას ძალა არა აქვს? იქნებ დამყარდა ქონებათა თანასწორობა?

— ჯერ არაო. როცა ყველა ხალხი მოიქცევა ქრისტეს სჯულისკენ, მაშინ იქნება ძმობა, ერთობა, თანასწორობა, კაცთა შორის მშვიდობა და სათნოებაო.

— დაიჯერე! შეუგნებელნი ვგონივართ; გვაცთუნებენ საკვირველი თქმით და ჯადოსნობით. სულ სხვა უნდათ, სხვას ესწრაფვიან.

— რა მოჰსურვებიათ?

— თავიანთ სჯულის ჩვენში შემოტანა. შემოტყუება და დაპყრობა ჩვენი მიწა-წყლის, დამონება ჩვენის ხალხისა.

— სიბრძნე გაუბნებს!

— თუ ძმობა უნდათ, ძალა რად მოაქვთ? რად უნდოდათ ამანათად ბატონიშვილი?

— გვაქვს ქვეყანა, გვყვანან ხატები: შეგვიძლიან მოუაროთ ჩვენს თავს მათ მადლით.

მებრძოლ ვაჟებს არ მოსწონდათ ახალი მცნება:

— მტერს დაუთმეო; სილა გაგარტყას, მეორე ლოყაც მიუშვირეო; ჩოხა გაგაძროს, კვართიც მიეო. ბეჩავის სიტყვებია, მონების მცნება!

— დამკრან, დავუთმო; ზედ კი მერტყას ჩემი ხანჯალი?!

— რად ჩავაცმევ ჩემს ახალუხს ვიღაც კეთრიანს?!

— ენიანი კაბა ჩემი სხვას ეცვას ტანზედ?! აბა მომკვდარვარ!

იცოდა ნინომ ვაჟკაცთ ფიქრები და აფასებდა სეფე ქალთა მისკენ მიქცევას.

— მათი გული ამ ქალთ ხელშია. ესენი რომ მოდიან ჩემთან, ისინიც მე მეახლებიან. და მათ შორის ამზაილი მოვა პირველი, ჩემთან არის მისი საუნჯე; გულიც მისი გაბმულია ამ მაყვლოვანში.

უსრულდებოდა სურვილი ქადაგს: მზე-ჭაბუკნი მის სავანეს დასტრიალებდნენ. ქადაგი ლოცვად დგებოდა და გარს ერტყნენ თვის მოწაფენი, ეს ახალი მიდრეკილნიც ახლოვდებოდნენ. ცოტა დათმენაც და ნათელსსცემდა, შეურევდა ახალ მოსულთ თავის არვეში. ლოცვის შემდეგ რონინებდნენ, ქალთ აცილებდნენ. იტყოდა ნინო:

— სჩვევოდა ქრისტეს: ქადაგების და ლოცვის შემდეგ გაივლიდა ქალაქიდან სანახებისკენ; მეტად მოსწონდა ბაღნარები გეთსიმანიის, მთის კალთები ელეონისა. ღიღინით სვლა უხაროდა რჩეულთა თანა. ბუნების წიაღს მიენდობოდა. გრძნობდნენ, ფიქრობდნენ ძნელს საკითხებს მძიმე ცხოვრების.

და ჰბაძავდა ქადაგი ქრისტეს: მოწაფეთა თანახლებით მიმოვიდოდა; უამბობდა საგულისხმოს, დასაფიქრებელს. ღვთის დიდებას ხმაშეწყობით აღამაღლებდნენ. ამ ურთიერთობის დროს თანისთანად უახლოვდა ამზაილ ქალწულს. სიყვარული უმძლავრდებოდა; სულს უხოკდა ღონემიხდილს, გულს უწუროვდა. რას გაბედავდა?!

ერთ ამნაირ სეირნობის დროს საუბარი ჩამოაგდეს იმ წმიდა ნაძვზედ, არმაზის მთაზედ რომ ჰშვენოდა სწორუპოვარი. თაყვანსა სცემდა ერი იმ ნაძვს, მის ადგილი სიწმიდედ უჩნდა. დააპირეს დრო შეერჩიათ და გაევლოთ მის სახილველად.

43

შემოდგომის დღე იყო წყნარი. ხილი მილევაზედ მიმდგარიყო. ყურძენი დაეკრიფათ, ტყის ნაყოფი ჯერ ისევ მწიფდა: ბანტა, მაყალო, შინდი, ხუთყურა. მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი. გასცდნენ ხიდს. არმაზის წყაროსაკენ ჰქმნეს

პირი: მიზნადა ჰქონდათ, შეჰყოლოდნენ წავარნას და ასულიყვნენ იმ სამღთო ნაძვთან, ქართველები წმიდად რომ ჰხადდნენ.

— მშვენიერი ხე არის. იტყვიან. თვით ლიბანის ნაძვიაო გადმონერგილი.

— შესაძლო არის: თესლს მოიტანდნენ აღმოსაცენად.

მანამ ქალაქს გასცდებოდნენ, ცალ-ცალკე მიდიოდნენ ქალნი და ვაჟნი. ქალაქ გარეთ მკაცრად ველარ იცავდნენ განცალკევებას: შიგადაშიგ ქალებს ხელის აპყრობა სჭირდებოდათ, ვაჟკაცს მათთვის გზის გაკვეთა თუ გამტკიცება. დაწყვილდნენ ზოგნი. ნინოს გვერდზედ მიდიოდა ხვარამზე ქალი და მათთან ცოტა ჩამოდგომით ვაჟი ამზაილ. ახალგაზრდები საუბარს ვერა ჰბედავდნენ ერთმანეთთან. შეანათებდა ქალი თვალებს, გულს უშუქებდა ეშხით დადაგულს.

რა ბედნიერი იყო მზეჭაბუკი! ვაჰ, რომ გზას სიგრძე მსწრაფლ ელეოდა! მივიდნენ უკვე არმაზის წყალთან. ალმასივით ლაპლაპებდა ანკარა, ცივი. ჩაირიგეს ვერცხლის თასით, შესვეს სიწმიდე. შეუდგნენ აღმართს. ხრეში ეზიდა, გზა ჩაეხერგა. გრძელად წავიდნენ ვიწრო წავარნით; ერთად ვიდოდნენ ბატონიშვილი და მის რაინდი. რამდენი რამ უნდა ეთქვა თვის სატრფოსათვის! სადღა იყვნენ ტურფა სიტყვანი?!

— ბედნიერი ვარ...

— ლამაზი დღე დაგვდგომია სასიამოვნო.

— კაბის ქობა დაგიკოცნე მიწად გართხულმა!

— იყუჩე, ვაჟო!

— ველარ, გენაცვა!

— ახ, რად წამოვედ?!

— ნუ, ნუ შემრისხავ!

მიიდრიკა სავალი ხევი და რომ ასცდნენ ბექს, გამოჩნდა ნაძვი. კვერნაკზედ იდგა. არმაზის წყალის ნაკადული ზედ მოდიოდა.

— როგორღა ავალთ ამ ფრიალოზედ?

— არის სავალი. მომეცი ნება, ხელი გიპყრა, ბატონიშვილო!

კიდევ მცირე და აივაკეს. თავკვეთილი ყოფილიყო კალოდ მოჭრილი. გარშემო ხევი. ყვავილოვან მდელოს ბიბინი. ზედ შუაზე ამართული ნაძვი ამაყი. ღრუბლებამდინ აეხედნა ისა-

რივით სწორს. დიდრონნი ტოტნი, მწყობრად მიჯრილნი. ნაძვის სუნნელით, ყვავილთ ფშვენით მტკბარი ჰაერი.

პატრუქები დაეხვივნათ ხისთვის ღეროზედ. ძირს თუ ტოტებზედ ირმის ჩხები, ჯიხვის რქები, ვერცხლის შანები, მთელ კვერნაკზედ არ იდგა სხვა ხე. ხევთ გაღმიდგან მოსდგომოდნენ ტყეთა ტევრები. შორიდანვე ეთაყვანნენ ქართველნი ნაძვსა.

— რის მომასწავებელია ეს ხეთ თქვენი სათაყვანები?

— ნათელ ძალთა შესაკრებელი! ბრწყინავ ბირთვებით ივსებიან ბნელ ღამეში ამის ტოტები.

— მოფრინდებიან შუქმფენელნი ქართველთ მფარველნი და იმას ბჭობენ, როგორ უნდა განაგებდნენ წმიდა ქვეყანას.

— ღვაწლდადებულ ქართველთ სულნიც მათთან ერთად ბჭედ მოდიანო.

— რა აყუდია?

— ალამი არის, იმ ნათელ სულთ დროშა მძლეველი!

დაფიქრდა ნინო. უნდოდა, ხმა აემაღლნა, ემხილებინა; ხეს შეჰხებოდა, რტო მოეტეხნა: ეჩვენებინა ხის უძლურება. ვეღარ ინება: არ უნდოდა შეერყია წყნარი სიამე.

— მაშ თქვენის ფიქრით, ხე ძლიერია, თაყვანსაცემი.

— ჰაი, ჰაი წმიდა ნაძვია, მადლშემოსილი.

— თუ შესაძლოა სახსოვრად ტოტი?

— არა!

— არას გზით!

— მხოლოდ ჭურუმს შეუძლიან გაატანოს ამის ნატეხი, თუ მავნე სულმა დაივანა ვისიმ კერაზედ: განჭრების ეშმა მის ნაწილის მიახლებაზედ!

სდუმდა ქადაგი და ფიქრობდა ძნელ რამ საფიქრებს:

— ამ ნაძვიდან გაკეთდების ჯვარნი ჭრისტესნი; დაიდგმებიან იგი ჯვარნი სხვადასხვაგან საქართველოში; ქართველნი იმ ჯვართ სასოებით თაყვანსა სცემენ... ეს შემდეგ მოხდეს, კეისრის ხმალი რომ მოჰყვება ჩემს უძლურ სიტყვას...

მზე დაიხარა. დაჰკრა მთის სიომ. გაჩნდნენ მფრინველნი! სავანეს თუ ჰსთხოვდნენ ხეს წმიდას. წამოიშალნენ მლოცავები: დრო იყო უკვე დაბრუნებისა.

შემოჯდა ყვავი კენწეროზედ და დაჰყრიტინა. ამზაილმა მსწრაფლ მშვილდს მოზიდა. თვალი დაჰკრა გაკვირვებით პატონიშვილმა.

— შემინდეთ, ხატო დიდებულო, და შენც, ქალთაღმშენებელ! მთლად დამავიწყდა: არ შეიძლება წმიდა ადგილს სისხლის დათხევა!

44

სჯეროდა ქადაგს, რომ ხვარამზე გადაჰხრიდა ამზაილს მისკენ. გამარჯვება იქნებოდა ეს; მოწაფეები მეფის სახლიდან, ოჯახიდან მთავარქურუმის! მაგალითს მისცემდნენ ახალგაზრდობას, რომელზედაც ამყარებდა ის თვის იმედებს.

— დედოფალის უარყოფა გატეხილია. მირიანი... სხვა გზა არა აქვს. უნდა უარჰყოს სპარსთან კავშირი, დაიჭიროს კეისრის კალთა. ესევე ჰქმნეს ჰაისტანმა. პონტომ, ფრიგიამ. ბიზანტიას უჭირავს ხმალი, თვის სურვილზედ გაატარებს ურჩსა თუ მორჩილს.

— თუ ბედისწერა არ მოავლენს მებრძოლ სხვა ძალას!

— დარია ხელი ქრისტეს მცნებამ რომაელთ სჯულსა. გარდაქმნა იგი და ბედი...

— თვითც გარდაიქმნა.

— და ბედის წერა...

— მაინც მფლობელობს! ყველა არსი მას ჰმორჩილებს ზე ზენსკნელი და ქვე ქვეყანა.

— ბიზანტიასა!

— კაცთ ნათესავს კეისრის ხელით. კაცობრიობას! ვხედავ მის საყდარს შუქთამფენელს, ზეცამდინ მაღალს და მის გარემო გვირგვინ დახრილ გვირგვინოსანთა. მორჩილებით თაყვანს სცემენ დიდს მბრძანებელსა და მათ შორის მირიანი ნათელღებული!

— კეისარს თუ ჯვარცმულს თაყვანი?

— უკეთუ მოსწვდეთ დიდ მფლობელისთვის და ქვეყანაზედ იმის მსახველი კეისრისთვის, იესოსთან ვპოვოთ ცხოვრება. კეისარი სახე არის ზეშთა მეუფის! ჰე, მოვალს იგი და მებრძოლთა ლეგიონნი მას თან ახლავან. იღვიძებდით! ვინ გაუწყოთ, როს მოვიდეს უფალი განსჯად?!

— არმაზ უძლევი დაიფარავს თვისსა ქვეყანას!

— გაცუდდეს ძალა არმაზისა და შეიმუსროს!

— ღმერთთა ღმერთის გმობას იტყვის დიაცი ესე! სიკვდილი ამას!

ობლად დარჩა ხმა გამყივარი: შიში და ძრწოლა მოჰხდენოდაო არმაზის მოსავთ.

ამ სახის თქმები მრავლდებოდა საქართველოში. ნელდებოდა თანისთანად არმაზის სხივი.

სასიამოდ სწვდება ხმები ძველისძველ ციშუბს, ქართველთ ღმერთთა ღმერთს ოდესმე ძლიერს. ჩამოდგა იგი დიდებიდან მძაფრ ბრძოლის შემდეგ, არ კი სცხრებოდა. ამხნევებდა მას ითრუშანი: ვერ შეურიგდა დაკნინებას ის თარ-ხუჯისას!

— ახალი ღმერთი აპირობსო არმაზის ბრძოლას.

— არვის დაუთმობს ციშუბ მრისხანე დაწყებას ბრძოლის! თითონ დაიძვრის თავის ძალებით. ბიზანტიელი მხარს დაუჭერს თარ-ხუჯს ბრძოლაში. შეიმუსროს მათ შემართვით არმაზ ბრწყინვალე და მერმე...

— ახ, ვეღარ ვხედავ! ბნელა, ბნელა! ჩამოეშვა კრეტსაბმელი უკუნეთისა. აღარა სჩანს სახები ჭუფრ მომავალში. მიყუჩდა ხმები. ღმერთო მაღალო, თუ მოისპო ყოველივე ქმნილება შენი?!

ეჰა, აისი! აისახა საქართველოს წმიდა აღალმა...

მანგიური საშინელ ხმათ, საკვირველ თქმათ მიმოაბნევდა. ციშუბს მისთვის შთაეგონა თვის სურვილები: მისი პირით ამცნობდა ხალხს თვის წმიდა ნებას. აღტაცებით ასრულებდა დიდ ღმერთის სურვილს. აღიძრა ხალხი არმაზის ბრძოლად, აღმართულიყვნენ შესამართად ქართველთ სხვა ხატნიც: გუდან მებრძოლი, იაღსარი, ალერტი, ლაშარ.

ქადაგი ნინო ადასტურებდა არმაზის მარცხსა, სპარსთ გავლენის მთლად მოსპობას საქართველოში. ამყარებდა ამ მომავალს ქრისტეს მოსვლაზედ, ქართველთ შორის დამკვიდრებაზედ.

— მოისწრაფვის იესო მხსნელი და მოგვფენს ნათელს სიხარულისა!

სდუმდა ქადაგი, რომ ჯვარცმულიც უცხო იყო ქართველთ ტომისთვის.

საქართველო ივსებოდა საშიშ ხმებითა. ყველა კერა უბნობდა ამას. გაჟღენთილიყო თვით ჰაერი ურკვევ ლანდებით.

მოჭვთ უბანი ხიდის ყურზედ ღელვით ღელავდა. ქურუმთ უფროსი ნაწრთობი ბაბეგ შეძრწუნებული. ფიქრობდნენ, სჯიდნენ, განსაზრავდნენ არმაზზედ თუ სპარსთ ძალებზედ დამყა-

რებულნი. რას მოზომავდნენ უშველებელ გასაჭირის ჟამს?!

— სასოებას მთლად ნუ დაჰკარგავთ! ჯერეთ ბრუნავს ომის ბორბალი; შესაძლოა სასიკეთოდ შემოტრიალდეს.

— ძნელი იმედი! თუნდ გადარჩეს სპარსეთი დაშლას, ვეღარ შესძლოს სხვის დახმარება.

მირიანი თუმც ძლეული კიდევ მაგრობდა. ცხადად უარს ვერა ჰყოფდა კეისრის ნებას, მაინც ჰყოვნიდა. რასღა ელოდა?!

45

ზრუნვას მოეცვა მთელი ქვეყანა. ცხოვრება მაინც ჩვეულებრივ მიმოდიოდა. ყოველი დრო ამჟღავნებდა თვის წყობილებას. დადგა შემოდგომა. ერთხელ მიღებულ წესთა ძალით სანადიროდ უნდა გაბრძანებულიყო ხელმწიფე. ხორცად ვარგოდა ეხლა ნადირი; განმრავლების ხანსაც გაევლო.

ეახლა ბაზიერთ უხუცესი. უბრძანა მეფემ ნადირობის ფართოდ მოწყობა. ნადირთა ხოცვის ადგილად არჩეულ იქმნა მუხრანის სანახები. მოწვეულ იქმნენ წარჩინებულნი საქართველოს ყველა კუთხიდან. ნადირობა გართობაც იყო, ვაჟკაცების ვარჯიშობაცა. აუცილებელიც იყო მხეცთ შემცირება. განზრახული ნადირობა აღლუმსა ჰგვანდა.

შეიკრიბნენ წარჩინებულნი. ყველა მათგანს მოეყვანა ბაზიერნი, გაწრთვნილნი ძაღლნი თუ მფრინველები. უსიტყვო შეჯიბრებასა ჰგვანდა. მეტადა სწყინდათ, თუ წიმდარე შეემჩნეოდათ. მონადირე ავაზები თვალს იტაცებდნენ. სად წავიდოდა მათგან ნადირი?!

უამა მეფეს, რომ გადახედა თავის დიდებულთ ყოველ კუთხიდან. საკუთარი ჰაზრი ჰქონდა ამ ნადირობას: სახელმწიფო საზრუნავი უნდა დაესკვნათ. მუხრანის ველიც მისთვის იყო ამორჩეული, საქართველოს შუაგულს იდვა, ყოველ მხრიდან უფრო მისაწდომს. ნადირობამდინ მოაწყეს ბჭობა. დაასკვნეს ჰაზრი: შეუძლებელი იყო შეჰბრძოლებოდნენ ბიზანტიელთ. დაეთმოთ ყველა, თითონ სჯულიც კი; შეენახათ თვითარსებობა.

— სპარსეთი განადგურებულია; შენი სიძე ფეროზ დამარცხებული დაბრუნდა თავის ადარბადაგანში. ამაოა აქადან რაიმ დახმარების მოლოდინი.

— მაინც მთლად მოუმზადებელნი ვერ დავხვდებით მტერს: უნდა იცოდეს, თუ გაჭირდა, შევსწირავთ თავსა.

— ჩვენ მზად ვიქნებით. პირველ ზახილზედ ქუდზედ კაცი გამოვალთ ბრძოლად.

— საჭიროა ველურ მებრძოლთ გადმოყვანა გადაღმიდანა.

— აუცილებელია!

— მთლიან ლაშქარს ნუ შევქმნით მათგან: შეიძლება დაახარბონ ბიზანტიელთ და გადიბირონ. ჯგუფ-ჯგუფად დავყოთ, ჩვენის ლაშქრის ნაწილებში ჩავსხათ ცალ-ცალკე.

ნადირობად გაბრძანდა მეფე. ნადირთა სვრა თოხატის კვერნაკზედ უნდა მომხდარიყო, აქათ ურდა მოელალათ მხეცთა სიმრავლე... მორტყმული იყო დიდი ფარგალი. ჩასხდნენ, ჩასაფრდნენ მიჩემებულ ადგილებში მონადირენი. გვერდს ახლდა მეფეს უკეთესი მსროლელთა ჯგუფი და ამზაილი. მომრეკელთა ხმაურობა და ყიჟინი ახლოვდებოდა. გაჩნდა ნადირი. ისართა ფრენა. მიწაზედვე აკერებდა წვრილფეხ ნადირსა. დიდრონს ადვილად ვერ იმორჩილებდა ბოძალი, სჭირდებოდათ ხელშუბები თუ სხვა მახვილი. ხალისობდა მოხუცი მეფე: მარჯვედ ესროდა, კიდევ შეეძლო დიდ-დიდ ნადირთ დამორჩილება.

მხეცთა სიმრავლემ აღძრა ხალისი, გაიტაცა, გაირთო ხალხი. მოეფანტნენ მხლებელნი მეფეს. არ სცილდებოდა მხოლოდ ამზაილ. გამოხტა ხშირიანიდან ფოცხვერი. მოავლო არეს ცეცხლივით თვალი. მირიანმა დაჰკრა ისარი. ბევრი ვერ ავნო. გადახტა მხეცი, მუხლთ ჩასჭიდა მეფეს ჭვანგები. ავნებდა მეტათ, თუ არ დაჰსმოდა ნასროლი შუბი, შეაყენა მირიანმა შემფრთხალი ჰუნე.

— ეს ფოცხვერი ამ ადგილას კიდევ მინახავს. შევებრძოლეთ ერთურთს მაშინაც. აღარ მახსოვს, რით გათავდა ის შემართება.

— სხვაგან თუ მოხდა, სხვა ნადირობას.

— არა, სწორედ აქ! — წარსთქვა მეფემ ჟინიანად და გაფითრდა, გადაჰკრა ფერმა.

— თუ დაიღალე, ბატონო მეფევ: ფერი გეცვალა.

— ვერც კარგად ვხედავ. აგერ შეყვითლდა ყველაფერი, მუქდება ყველა. თვალთ მიბნელდება.

— მეც ეგრე მომდის, სასწაულია!

შესივთდა ბნელი. ბღავილ-ყმუილი. ხმა შეძრწუნების. ხელნი შეყრა მეფემ ზეცასა:

— არმაზ ბრწყინვალე! დამიბრუნე თვალთა სინათლე. შევცოდე ძნელად; ვერ დავიცევ სახელი შენი. აღგისრულო ყოველივე მოვალეობა. მომიტევე და დამიფარე!

უფრო დაბნელდა. აჩქნენ ვარსკვლავნი. არ სჩანდა მთვარე. გაიფიქრა:

— მრისხავს ჯვარცმული! ნინოს ღვთაებავ, მიხსენ ბნელიდან და ვიწამო სახელი შენი!

შემკრთალ ამზაილს მეფის ცხენი ლაგამით ეპყრა.

— აწ დაგმორჩილდე; დაგიმონო სამეფო ჩემი. დაგვიხსენი წყვდიადისაგან!

განელდა ბნელი. ნათლდებოდა ქვეყნიერება. აჩნდა მზის ყური. ჯადიწმიდა მნათობმა სახე. იწყო კაშკაში. შესწყდა მხეცთ დევნა. ულოცავდნენ მხცოვან მეფეს გადარჩენასა.

— ვემ სამხილებლად დაბნელდა მზე, თუ ქვეყანაც მოიცვა ბნელმა?

— ჯადანთქა მზე შავმა ვეშაპმა!

— ნამდვილ!

— სამუდამოდ მოიცავდა ქვეყანას ბნელი, თუ ამირანს ლასტი არ ჩაედგა გველაშაპისთვის: გასწო წნელი მზემ და გამობრწყინდა!

— ირმაზს მივმართე, უფრო დაბნელდა; ვევედრე ქრისტეს და განგვითენა! — წარსთქვა მეფემ დაფიქრებულმა.

46

დიდი მღელვარება გამოიწვია მზის დაბნელებამ. შეშინდა ხალხი. არმაზის წყრომას მიაწერდნენ ამ მოვლენასა.

— ეწყინა დიდს ღმერთს უცხო ქადაგის შემოშვება იმის საყმოში.

— მისთვის ჩააქრო მზის ანთება თვის პირის ქარით.

— სინანული!

— შესაწირავი!

— უარყოფა უცხო სჯულისა!

— განიდევნონ ქვეყნიდან ქრისტეს ქადაგნი!

— მეფე ბატონი!

— სად არის მეფე?

— თუ დაემართა უბედობა მას უღრან ტყეში?

კაცნი აფრინეს. თვით გაბრძანდა დედოფალი შესაგებებლად. მოსდევდა ხალხი, მანდილოსნობა. ხვარამზე თრთოდა გაფითრებული.

მამი! ამზ... თუ დაიღუპნენ? განრისხებულა არმაზი დიდი! მეცა ვსცოდე იმის წინაშე...

გასცდნენ ხიდს. დაადგნენ გზას. მოეგებათ კაცი.

— მშვიდობით ბრძანდება მეფე! ყველანიც.

— მობრძანდებიან.

— ეჰა, გადმოჩნდნენ!

— მაინც ხიფათი შეჰმთხვევია ბატონ მირიანს, — იტყოდნენ ჩუმად.

— ამზაილს ძლივს გადურჩენია.

დაახლოვდნენ. ჩამოსხდნენ: გაიგეს დედოფალი ბრძანდებაო. ეთაყვანნენ. მიულოცეს გადარჩენა, მეფის მშვიდობა. ცხენით ფოცხვერი ნანადირევი. ჩამობდღვნილი სახელო მეფის.

— ნადირობისას უბედობა შეგმთხვევია, ჩემო მეუფევ!

— არც ხელმწიფეა უზრუნველი განსაცდელისაგან, — ბრძანა მირიანმა.

უამბო, როგორ შეეფეთა იშვიათი ნადირი.

— ამზაილმა გადამარჩინა.

— შვილო ამზაილ!

წარუდვა ჭაბუკი დედოფალს.

— გადაგირჩენია მეფე განსაცდელს!

მიიზიდა, დაჰკოცნა ვაჟი.

— ვაშა დედოფალს!

— ვაშა ხალხის დედას!

— გაუმარჯოს ჩვენს ხელმწიფეს, ბატონ მირიანს!

ფეხით გაემართნენ სასახლისაკენ. ხალხი თანდათან გროვდებოდა. ამზაილი აღარ მოიშორა დედოფალმა. მარჯვნივ ხვარამზე მისდევდა დედას, ჟამითჟამათ შეხედავდა, გაუღიმებდა. მწვავე ცეცხლი ეგზნებოდა ცისფერ თვალებში. ქალწულის თვალწი დიდროვანნი ელვას ესროდნენ.

ბრძანა მეფემ დიდი ზეიმი.

— მსურს ხალხმაც ჩემთან ინადიმოს, იმხიარულოს!

ზეიმობდნენ აღტაცებულნი. მიბრძანდა მეფე მწყალობელი ხალხთა სუფრაზედ.

მხიარულობდა მეფე, თავიდანვე დაფიქრება ეტყობოდა: კაეშანი რამ აჰყოლოდა. დადგა ჟამი, აივსო თასი არმაზ ბრწყინვალის სამადლობელად. შეიმაღლა მეფემ სასმისი:

— გვაქვს არმაზისგან ნიჭებული მადლი მრავალი. ვმადლობთ ბრწყინვლეს მოწყალებისთვის. ერთი განცდა მაინც მაწუხებს და...

— გვიბრძანე, მეფე!

— მყის შეგისრულოთ ყოვლი სურვილი!

— მაგრამ, ჩემო თავდადებულნო, ეს ჩემი დარდი ღმერთთ შეეხებათ; კაცნი უძლურვართ: რომ დამიბნელდა, შევევედრე არმაზს დიდებულს და არ მისმინა; მივმართე ჯვარცმულს და მომფინა მყისვე ნათელი!

სდუმდა კრებული. რაიმეს თქმა არ იქნებოდა: ხადილზედ ისხდნენ არმაზისნი, ძველისძველ ხატთა მოსავნი, მორწმუნენი ჯვარცმულ ქრისტესი. სახლთუხუცესმა მოახერხა მარჯვედ წარმოთქმა:

შევსწიროთ მადლი არმაზ ბრწყინვალეს, სხვა დიდ ღმერთებსაც: მათ დაგვიხსნეს განსაცდელისგან!

— დიდ არს არმაზი!

— ციშუბ-თარ-ხუჯი და მისი ცალი ითრუშანი, ქართველთა დედა!

— ბრწყინვალებით მომავალი ღმერთი იესო!

47

დედოფალი შვილივით უყურებდა ამზაილს, რაც მან გადაარჩინა მეფე განსაცდელს. არ გაიმართებოდა ნადიმი, მზეჭაბუკი არ ყოფილიყო. ქალ-ვაჟი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ვერ ხერხდებოდა განცალკევება, გულის გადაშლა; ჩვეულება არ აძლევდა ამის ნებას. გაშლილი იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა.

ბედნიერი დრო ვაჟკაცისათვის; თან ძნელი ჟამი საბედისწერო. სიყვარულის აცეცხლება ზედიზედ ნახვით, განმრავლება უიმედო იმედებისა; მათ შუა მზღვარის გადიდება, უფსკრულად ჩენა. შორეული თანაგრძნობა წმინდა ქალწულის; მეფე-

თა შვილნი მთხოვნელებად მირიანის კარს. ევსებოდა ბოღმით გული ნაღველნაჭარბევს.

— მთლად დავემონე ჩემს ბედს საბრალოს! ვეტრფი ჩემს ვარსკვლავს ჩემგან შორეულს. მიწათებს ხანხან იმედთა შუქი. გძრწი უფრო ხშირად, შიშით ვილევი.

— რა გაშინებს, ვაჟო ლომგულო, რას შეუდრკები?!

— თუ იწყინოს გამჟღავნება ჩემის გულისთქმის, თავხედობად მიიჩნიოს და...

— უარი გყოს, გაგრისხოს თვისგან?

— სიკვდილი ჩემთვის!

— შიშობ მოსპობას! უიმისოდ სიცოცხლე შენი არ ყოფნაზედ ძნელი არ არის?

— ჰაი, ჰაი ძნელი იქნება!

— რაღასა ჰკრთები?! ბრძოლა! ომში სიკვდილი სჯობს ჭაბუკისთვის ქვეყნად ყოფნას ოხვრით, უდებად.

ამ ხმამ გააშხნევა ვაჟკაცი და დაასკვნა გადაედგა მკვეთრი ნაბიჯი.

— შევალ, ვეტყვი ამ ჩემს სათქმელს მეფე-დედოფალს. ან სიკვდილი, ან სიცოცხლე გადამიწყდება!

მაინც მსჯელობდა: ბუნდადა გრძნობდა გზის უფერობას. გამარჯვება ვერ შესაძლო ამ სადინელით! უსათუოდ უარს ჰყოფდნენ მის შეღირებას.

— შესაძლოა, არ გამირისხდნენ. სანუგეშოს ვერრას მეტყვიან. ენდომებათ თვის ქალთამზე უფლისწულისთვის. რად მომცემს ქალს მე, თავის ქვეშევრდომს?!

აწვდიდა ფიქრი ამგვარ ჰაზრებს, მუხლს უდუნებდა. მაინც იცოდა გადასდგამდა საშინელ ნაბიჯს:

ადრეც სმენოდა ხატაველთ მეფეს ხვარამზეს ქება. კვლავ გაეგო დიდი ქება ფეროზის კარსა. მოუვიდა შემოთვლილობა: შვილისთვის ეთხოვნა ქალი. წიგნში ეწერა, სასიძო თვით გეახლებაო. დასახვედრად ემზადებოდნენ. დაყოვნება არ ეგებოდა.

— ხვალვე მივმართავ ქალსაც, მეფესაც. ხატაველი... ვერ იხილოს ხატაველმა ბედნიერება.

გაიგო ხვარამზემ ყოველივე. ისიც იცოდა, მამაც და დედაც დასტურს დართამდნენ უცხოდან მოსულს. არ ჰსურდა იგი!

— არ მოქმედობს ამზაილი! თუ შიშობს ჩემგან.

თვით ამოქმედდა. გაენდო მოხუც შიმუნვარს, გაუმჟღავნა თვის ძნელი გრძნობა და უბრძანა სიდუმლოდ მოეყვანა მასთან ამზაილ.

— ეგ სურვილი ხატმა გაგონა! მზეჭაბუკი იგვემება შენდამი ტრფობით. ბევრჯერ მინახავს უჟამო ჟამს წალკოტში თუ შენ სადგომს ახლო. შემდგარია ავ გუნებაზედ. მთლად განმარტოვდა. თავის თავს ეტყვის. რასმე აიტეხს:

— რად არ მაცნობე? ვაჰთუ ავი წაჰკიდებია!

— ვერ შემოგბედე. თვალს ვადევნებდი. შენს სიყვარულს აუხდია მისთვის გონება.

აცნობე ეხლავ!

— აგისრულებ სურვილს, ლამაზო! შეგვედრი მხოლოდ: მრისხანებით გულს ნუ გაუპობ, ნუ შეასმევ მწარე სასმელს უიმედობის!

48

უმთვარო ღამე. ვახშამი აალაგეს ბაბეგის სახლში. ამზაილი უმადოდ სჩანდა: ახლიჩა ლუკმა, მწარე ეჩვენა მგბარი საჭმელი. ადგა. ხმალი შემოირტყა. უბრძანა, გრიგალი შეეკაზმათ.

— ვერ ივახშმა ამზაილმა, შეუძლოდ თუა, — წარმოსთქვა დედამ.

— არეულია. კაეშანი მოსწოლია საფიქრებელი.

— რა აწუხებს სიყრმით სავსე ბედნიერ ვაჟკაცს?!

— გუშანი მაქვს მიტანილი, დარწმუნებით მაინც არ ვიცი, ჩათხრობილი იარება მთელი დღე-ღამე. ტოლ-სწორში ერიდება კრებულს, ყრილობას, — მიუგო ქმარმა

და სდუმდა. მეტის თქმა ჯერ არ შეეძლო ბაბეგს ჯალაბში. მის ეჭვს ბურჯი არ უჩანდა გამამტკიცებელი და შესაძლო იყო წასცდენოდა სიტყვა ამაო ღვთაების მსახურს.

მოართვეს ჰუნე.

— ისევ წაიყვა, გადავიფიქრე!

გატრიალდა მეჯინიბე გაკვირვებული. გაემართა ამზაილი თავის კოშკისკენ. მოისმა ღრინვა, აყეფდა ძაღლი, ახმაურდა კარის დარაჯი, ამზაილი სმენად გარდიქცა.

— ბატონო ამზაილ!

— ვინ არის?

— ცხენოსანი! გადმომცა წიგნი და მიეფარა.

გახსნა უსტარი. გაჰყურებდა გაშტერებული. სწერდა ხვარამზე მხოლოდ ორ სიტყვას: მეახელ ეხლავ! მეტად აღელდა: ეგონა ქალს გასაჭირი წაეკიდაო. უნდოდა გადაეძახნა, ცხენი ისევ მოერთმია მეჯინიბეს; ალღომ ამცნო, თავს დასწყნარებოდა. ჩამოვიდა. მეკარე დაჰხვდა.

— წადი შენს ადგილს! ჯარში გაჩენილა საქმე.

თავლისკენ გაემართა ამზაილ. მოეხადნათ ცხენისთვის შეკაზმულობა.

— აღკაზმე მსწრაფლად!

ჯაჭვი საკურტაკე, მსუბუქი ჩაბალახი. ხმალი. შეჯდა. ბანაკისკენ მიმართა ჰუნე. სასახლისკენ შემობრუნდა უგზო სავალით. მიეახლა. შეიპყრო შიშმა, უცემდა გული. მოშორებით დაჰხვდა მონა; ცხენი ჩამოართვა, ჭისშკართან თითონ დედაბერი აახლა ქალსა. მიეახლა. ეთაყვანა. ტახტზე იჯდა. ანიშნა დამჯდარიყო.

— მიბრძანე, მზეო!

ქალს ფერი მისდ-მოსდიოდა; მეტად ღელავდა.

— ვიცი, გიყვარვარ!

სიტყვა შეაშრა ვაჟს აღტყინებულს.

— ამისრულებ სათხოვარს!

— უშენოდ ყოფნა ვეღარ შემიძლავს!

— სასძლოდ უნდივარ ხატაველთ მეფეს თავის შვილისთვის. წამოსულა თვით ჭაბუკი ჩემ სანახავად. მას ვერ გავყვები! მშობლებს იგი ჰსურთ: ფეროზს უქია ადარბადაგნელს. შეფის ნების უარყოფა არ შეიძლება. დამიმტკიცო სიყვარული, მისთვის გიწოდე!

— სიცოცხლევ ჩემო! — მუხლზედ დაეცა, დაუკოცნა ქალს კაბის კალთა.

— ადეგ!

— გზაშივ მოვკლა იგი ჭაბუკი!

— ჩვენ საზღვრებშია. სტუმარს ხელი არ შეეხების!

— გაგიტაცებ, ჩემო სულის დგმავ!

— სირცხვილად ჩასთვლის სახელმწიფო, არ გაბოგინებს!

— მაშ...

— კმარა ამჟამად! ვიფიქროთ მერმე. შევთხოვ იესოს, შთა-

გვაგონოს, როგორ მოვიქცეთ: სიყვარულის ღმერთიაო ის, სიყვარული თითონ არისო.

— ჰო?! მებრძოლ არმაზს შეუვრდები, წარმიმართავს გზას სავაჟკაცოს!

— მოგიხმობ, მოხვალ.

— დამწვავს შენი სიყვარული, სანამდის გნახავ!

ბარბაცით გამოვიდა. თუ დამთვრალიყო. დაჰხვდა მიმყვანი. გარდაჰკოცნა შეუგნებლად მან დედაბერი.

— აი, შვილო, სასყიდელი!.. ქისა ოქრო ჩალად არ მიღირს.

მოვიდა ხატაველი მირიანის კარს. დიდი ამალა მოჰყვა ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი. გზაშიაც ფარჩა სცმოდა ძვირფასი. მეტად განაზებული ჩანდა: ფუფუნებით თუ აღეზარდათ. სასალი კაცი წაყვითანო; ვიწრო შუბლი; მიბნედილი თვალები. ისევ ეჭირა თავი, თითქო უკვე დასტური აქვსო მიღებული. გარდირია, რომ ნახა ქალი. აგრძნობინეს, დახანება სჭირიაო, მოფიქრება აუცილებელი. სხვა ბატონიშვილებიც თხოულობენ, პონტოელიც გზაზედ არისო. არჩევანი არც ისე ადვილიაო. ნაწყენი სჩანდა. მაინც იცდიდა. რა ღონე ჰქონდა?!

49

ტირისკონის თვე. მაინც ცხელოდა. გვალვიანმა შემოდგომამ ნამი არ მოსცა. დაფქვილული გზატკეცილი ბუქად სდგას მტვერი. უახლოვდა არმაზის კარს მგზავრი საკვირი: ჩაჩქანში იჯდა; მუზარადის ისარი ჩამოეშვა. ხმალ-ხანჯალი, შვილდ-ისარი, გურზი თუ ლახტი, ჰოროლ-კინენი. ხელჯაგები წვრილთვალისა. რაში მაღალი, მკერდიანი, თითქო უმუცლო, კისერ რკალული. ძარღვიანი ნაგებობა ძლიერებას გაამჟღავნებდა.

მხედარი შესაფერი: ხმელ-ხმელი, ერთობ დიდი, წვერ-ულვაშ ახალ შლილი. შინაყმა მოსდევდა ცხენით. ღვედით ეჭირა სხვა ზერდაგი საკვირველი ბარგით ტვირთული: შუბები, ხმლები, ფარები, ჩაფხუტები, ისარ-მშვილდები. შერჩეული იარაღი! ყმას მხარ-იღლივ საყვირი ჰქონდა. ქალაქის კარს რომ უახლოვდა, შედგა, ჩამოხდა. გასინჯა ცხენის შეკაზმულობა, თავისი იარაღი. შეჯდა. მიუბრუნდა თანამგზავრს:

— დაუკარ!

გაისმა ბუკის ხმა. გამოვიდნენ, შეეგებნენ კარის მცველები.

— ვინა ბრძანდებით?

— თურანელი მფლობელის ძე თქვენ ხელმწიფესთან მიმავალი. თუ ვის არ სჯერა, ხმლით ჩავაჭდევ ჭეშმარიტებას!

აფრინეს კაცი სასახლეში. შეიწვიეს. როდი დაიძრა.

— მომეგებნენ სასახლიდანა!

მიიჭრა ამზაილ. მოიკითხა. შეიპატიჟა. არ გაჰყვა.

— დიდებული და მაინც მონა. თვით ხელმწიფე ან მისი შვილი!

გამობრძანდა ბატონი რევი. მიესალმა. შეიწვია. დინჯის ნაბიჯით მიდიოდა მასპინძლის გვერდზედ. მის პატივისა თუ ნდობის აღსანიშნავად ჩაფხუტის ისარი აეწივნა, საბუხრები წაეყარნა, სარტყელში ჰქონდა. მშრალი ხელები. თათნი ლომისა. სასახლეში მიეგება მეფე მოხუცი, გარდაჰკოცნა როგორც რომ შვილი. უჩემეს ბინა. აჩვენეს აბანო. მიართვეს სახელმწიფო ტალავარი. მძიმე ხმალი არ მოიშორა.

მიიღო ზეიმი. დიდ დარბაზში ორპირად ისხდნენ: ერთ მხარეს ვაჟნი, მეორეს ქალნი. შუაში ორფერი ფარჩის ალაფარდა. შერხევაზედ წითელ-მწვანედ იფერებოდა. კრეტსაბმელი გაპობილი იყო შუაზედ, ოქროს ეჟვნებით ჩაღილული. მირიანის მარჯვნივ იჯდა თურანელი, მარცხნივ ხატაველი ოქროთი და სპეკალით ალაპლაპებულ ტანისამოსში.

მოვიდა ჟამი და თამადამ აამაღლა თასი დედოფლის სადღეგრძელოდ. მსწრაფლ ჩაიხსნა კრეტსაბმელი და გადიწია. აჩნდნენ დედოფალი, ხვარამზე, სეფექალნი. მწყაზარ ლოყებზედ ვარდი უყვავოდა ხვარამზეს.

— ქალი ხვარამზე!

— დახეთ, ქალთამზე!

წამოდგა ფეხზე თურანელი უზარმაზარი, დაიგრგვინა:

— უმშვენიერესი ქალი არის ხვარამზე მრთელ ქვეყანაზედ! ვისაც არ სჯერა, ხმლით დავარწმუნო.

მიავლ-მოავლო თვალი ვაჟკაცებს და ხატაველზედ შეაჩერა ხედვის სხივები. უფლისწული ღვინოს სრუტდა ოქროს ფიალით.

მოზომილად სჭამდა თურანელი. სასმელს არ სვამდა. მხოლოდ თასი გამოცალა უსუნთქებელად.

— მეტი არ შეიძლება: ჭაბუკობისას აღთქმა მაქვს დადებული.

უნდოდათ აელაპარაკებინათ. ჰკითხეს მგზავრობის ამბავი. ყოფილიყო მარავში, ავღანში, ბელუჯისტანს; გადმოევლო სპარსეთზედ, ადარბადაგანზედ.

— ვიბრძოდი ყველგან ბუმბერაზებთან. ნიშნად ჩემის გამარჯვების იარაღს ვხსნიდი. ჩემს სიტყვას ადასტურებს თან მოტანილი მათი საჭურველი. ვისაც არ სჯერა, დავარწმუნო იგი ჩემის ხმლით! — წარსთქვა და მიხედ-მოხედა ვაჟკაცებს. თვალი ისევ მოსულ უფლისწულზედ შეაჩერა.

მიბრუნდა მეფისკენ.

— მზეთუნახავი გყოლია, რაინდნი იქნებიან მისთვის მოსულნი. ქალი ჩემია! ასპარეზმა ჰქმნას სამართალი!

უბრძანა მეფემ:

— მოვიფიქრებ. შენს უკეთეს ვეღასა ვპოვებ?!

განმარტა ვაზირმა:

— ბატონიშვილო! ჩვენში წესია, ქალსაცა ვკითხოთ. მებრძოლნიც მოვლენ და სცდიან ბედსა. გამმარჯვე ღმერთია. ეხლა ზრუნვა გადვიყაროთ. ვიმხიარულოთ.

ვაჟმა ხმა არ გასცა. ჯავრზედ მოსულმა ვერცხლის საინი დაახვია, ეტრატივით მიჭმუჭნ-მოჭმუჭნა. განახლდა სუფრა. ბუმბერაზი არ იღებდა მონაწილეობას.

— ნუთუ არ იცის ზეიმის წესი?!

— შესაძლო არის: ეტყობა, სულ გარე-გარე დადის, შემთხვევებს ეძებს ღონის საჩენად.

დათავდა სმეულობა. მიაცილეს თურანელი თავის ბინაზედ.

— შეამზადეთ ასპარეზი: ხვალ ბრძოლად მოვალ!

— სურვილი შენი ასრულდების, ბატონიშვილო!

50

ძნელ ყოფაში ჩააყენა თურანელმა სამეფო კარი. არ შებრძოლება არ იქნებოდა: სირცხვილად დაედებოდა ქართველობას; ბრძოლას ვინ გაუსწორებდა ამ დევის ნაგლეჯს?! აფრინეს კაცნი გათქმულ გმირებთან.

ჯერ ახლად იყო მზე ამოსული. გამოვიდა თურანელი რაშზედ გამჯდარი. მოჰვლო ასპარეზს. დაჰბერა საყვირს მისმა შინაყმამ: საბრძოლველად გმირებს ითხოვდა. სამჯერ ხანდაზმით გამეორდა ნარა, ხმაური. ვერა ნახა მოპირდაპირე და გატრიალდა.

— რას ნიშნავს ესა?

— სამ დღეს გაიმეორებს ბუმბერაზთა ბრძოლაში წვევას. თუ პასუხი ვერ გავეცით, გამარჯვებულად ჩასთვლის თავს. მოითხოვს თავის თავხედურ სურვილის აღსრულებას და მაშინ...

— მოგვინდება მაგის მოკვლა.

— არ შეიძლება!

წარსდგა ამზაილ. განაცხადა ბრძოლის სურვილი. მეფემაც, სხვებმაც შორს დაიჭირეს: მსხვერპლად განწირვა იქნებაო ნორჩი სიცოცხლის. მოდგა მეფის კარს ჭორმეშიონი. მძლავრი მებრძოლი გამოცდილი. თუ ვინმე გაუსწორებდა ხმალს იმ თავწასულს, მხოლოდ აბიკა. ძნელი ეს იყო: შუა ხნის კაცი ისეთ სიმარდეს ველარ გაშლიდა, როგორც ჭაბუკი მოპირდაპირე, თითონაც ეფიქრნა ამაზედ ნაწრთობს; სხვა გზა არ იყო.

გამოვიდა მებრძოლი მეორე დღეს. მოვლო მეიდანს. ახმაურდა საყვირი. ხალხით სავსე იყო ასპარეზი. გაჰყვა თურანელს ჭორმეშიონი. მკვიდრი წრე შემოავლეს საომარ ადგილს. მეფე და მისნი დიდებულნი გაბრძანდნენ მზერად. ქალნიც მოსჩანდნენ კოშკის სარკმლებში. შეავედრეს განწირული აბიკა არმაზს. ანიშნა მეფემ. დაიწყო ბრძოლა.

მეტად ფრთხილობდა ჭორმეშიონი. ფარი ეჭირა საუკეთესო. ძალას ატანდა. გასტანა ომმა. სწყინდა თურანელს და ღელდებოდა. ხმალი ვერას გზით მიუყენა ჭორმეშიონმა. ლახტს არ იღებდა: ამ იარაღში დასძალავდა აბიკას უცხო.

ამზაილი დაჟინებით ზვერავდა ბრძოლას. უებრო იყო თურანელი და საშიშარი. მოიმძიმებდა ოდნავ ტაიჭი.

შეახო ხმალი თურანელმა. ამოხეთქა სისხლმა ბეჭიდან, გადგა უკან გამარჯვებული. დაუშვა ხმალი. გაიყვანეს დაჭრილი წრიდან.

გადმოხტა თურანელი. გაუსინჯა თავის ჰუნეს შეკაზმულობა. გადაავლო თვალი იარაღს. შეჯდა. კვლავ საყვირის ხმა.

კვლავ სწადდა ომი. ჩამოვარდა სიჩუმე. ბრძოლა გათავებული ეგონათ, წაგებული. გამოჩნდა შეიარაღებული ამზაილ. გრიგალზედ იჯდა. ცხენს ჯავშანი არ ფარავდა. მოიცვა შიშმა იქ მყოფები, შეშფოთდნენ მეტად.

— როგორ შესძლებს ამასთან ბრძოლას?!

— თავხედობაა ამასთან შებმა!

— ურჩობა არის: არ ასრულებს მეფის ბრძანებას.

ქალებს შიშით მუხლი მოეჭრათ. ხვარამზემ ხელნი ჩამოისვა ჩამოსაკრავად. ბუმბერაზმა იცნო ჭაბუკი, წამოვიდა მისკენ ღიმილით. ამზაილმა დეზი ჰკრა თვის ცხენს, ისეც მღელვარე სულ გადარია. კინენთ ძგერებით დაიწყო ომი. ხმალზედ გადვიდნენ. ამზაილი ცხენს მიაგდებდა, უკუ აფრენდა. დაქნეულ ხმალს ერიდებოდა. ფარების კეპით ხმლებს ფხა შეაცვდათ. იშიშვლეს დაშნა. საშინელი იარაღი თურანელისა. ამზაილს ბრძოლის ჰაზრი გრიგალის წინა-უკმო ხტომაზედ დაემყარებინა. ბუმბერაზმა დასჭექა მედგრად, მძიმე დაშნა დასაკაფად მძლავრად დაუშვა. უკუაფრინა ამზაილ ჰუნე. წვერითღა მოჰხვდა დაშნა მის ფარს, ჩასხლტა მიწამდინ. ამზაილმა აძგერა რაშს თავისი ცხენი და შეარყია. დაიხარა ბუმბერაზი უნაგირიდან. შეიმაღლა ამზაილმა დაშნა ელვარე და შეაყენა ხელი ჰაერში. თუ დაეკრა, ჩაჰკაფავდა ჩაფხუტის ფარდას. შენიშნა ეს მოპირდაპირემ და... დახარა იარაღი, უკუდგა მცირედ; მახვილი ტარით მოაწოდა გამარჯვებულსა. არ ჩამოართვა ჭაბუკმა ხმალი. გადგა თითონაც, ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

არ აიმაღლეს ხმა გამარჯვების. მეომარნი გააცალკევეს. ის უკვირდათ, არ ღელავდა დამარცხებული. ჩამოხდა, დაათვალიერა თავისი რაში.

— მეგონა თუ დაჭრილია, მისთვის შეირყა, — წარსთქვა თავის წინ და დასცა ტაიჭს მახვილი მკერდში. გასწია დინჯად თვის სავანისკენ. მოართვეს მალე ხელმწიფის რაში, აბგარ-აბჯარი. შებრძანდა რევი და გადასცა მეფის თხოვნა, მიეღო ზღვენი. გამოვიდა, დაჰკრა რაშს თვალი. შეჯდა, გასწორდა: თუ მოეწონა. სხვა ბეგთაროში ჩამჯდარიყო, ალბათ ნადავლში. გზად გაემართა. გაჰყვა შინაყმა. ხმა არვის გასცა. თვის საჭურველი გაეშვა დავლად ამზაილისთვის.

გაიმარჯვა კეისარმა სპარსეთის შაჰზედ, ვერ კი მოსპო მისი ლაშქარი. თუ შაბურს არ გადაესწრო, საფრთხეში იყო მთელი სპარსეთი. მოსახვეჭი მაინც მობოჭა: შეიძინა ადგილები სპარსეთისაგან. აწ მირიანის სამფლობელო ჰქონდა მიზანში.

— მემორჩილოს საქართველო, ვით ჰაისტანი! მიიღოს მან უყოვნებლად ახალი სჯული!

ბრძანა შეემზადებინათ საქართველოს გასაგზავნად მღვდელნი, საეკლესიო წიგნები, ხუროთმოძღვარნი, კალატოზები. მისცა ოქრო. გაატანა ჯარი.

— კვალი ჩვენი მფლობელობის სატახტომდინ საქართველოსი!

— არჩეულ იქმნას გზა-გზა დასაყრდნობი ადგილები! აშენდეს ყველგან ციხე-კოშკები! ჩადგნენ ყველგან მღვდელნი და მცველნი!

ამ ჯგუფს უძღოდა იოანე ეპისკოპოსი. დააშენეს ციხე-საყდრები შავშეთს, ერუშეთს, ჯავახეთში, მანგლისში. დასტოვეს ყველგან ქრისტიანული რამ სიწმინდე: ქრისტეს სამსჭვალნი, ჯვარისა თუ წამებულთა წმიდა ნაწილი; ჩაუყენეს მღვდლები, რაზმები. მიუპყრეს მცხოვრებთ მარცხენით ოქრო, მარჯვენით ხრმალი. მოახწიეს თვით მცხეთამდისინ. აქ უკვე ჰყვანდათ ქადაგნიც, მღვდელნიც.

იცოდა მეფემ მათი შემოსვლა. თვალს ადევნებდა მათ მტრულ ქმედობას. უძლური იყო და სდუმდა იგი. როცა წარუდგნენ სატახტოში დამმონებელნი, ის ღა შეჰკადრა უღონო ქმნილმა:

— გზა-გზა დასტოვეთ სიწმიდენი ქრისტიანული. გასძარცვეთ ამით სატახტო ჩემი. აწ დიდ მცხეთას დაუსწორდნენ ის სავანენი!

უნუგეშო მისცეს ნუგეში:

— ქრისტეს სჯულის თესლსა ვთესდით გზა-გზა აქამდის. დიდს ნაყოფს მოგვცემს იგი შემდეგში. დედაქალაქში გიმარხია იესოს ნაშთი უძვირფასესი: კვართი მისი სასწაულთმქმედი.

რა სიტყვა ჰქონდა მეფეს ამ თქმაზედ? ან მებრძოლ არმაზს უნდა მიჰყრდნობოდა მახვილით ხელში, ან ეტვირთა ქრის-

ტეს ჯვარი და მისცემოდა ბიზანტიას, იესოს მფარველს.

— შესრულებია მებრძოლ არმაზს ჟამთ სიმრავლე ბედისაგან მისთვის მითვლილი! ჯერ ისევ ბრწყინავს; გარეგანია მის შუქთმფენლობა: ძლეულია დიდი სპარსეთი, მისი მონა და მისი ღონე!

გაჰხედა არმაზს. ელვარებდა მზის სხივებით შემოქარგული. დაენანა ღმერთი ლამაზი. იგრძნო კვალად შიში განგებისგან განწირულისა.

— შეწინდე, ღმერთო! უბრალო კაცი მომაკვდავი როგორ შევსძლებ შევებრძოლო თვით ბედისწერას?!

დღეობითღა ითვლებოდა მეფის ყოყმანი. უნდა მიეღო სჯული ახალი, უარეყო კერპი არმაზი; ან დაჰკარგავდა სამფლობელოს და მისხითმისხივ მოისპობოდა.

— არ იცოსო კეისარმა კაცის დანდობა: თურმე მოსპო მთელი თვისი საგვარეულო. ჩვენ რად დაგვინდობს?! ჩვენი ძალა მას ვერ გაუძლებს. მოვისპობით, თუ საომრად მივეგებით.

— პეროზის იტყვი, ჩემო მეფევ, ჩემ შვილთა მამავ! ალარ ვგებულ ეარყოფა, არ დაყოვნება. შენ ხელთ არის ბედი ჩვენი და ჩვენის ხალხის. ნუ აატირებ მრავალ დედას ამაო ბრძოლით საუკარელი შვილი ჩვენი შენ შემოგმხვერს ტყვეობაგან ბედისწერისა!

ხ

[illegible]

[illegible]

[illegible]

და ახალგაზრდას ქება-დიდება. მზე მაინც იქ ამოსდიოდა, სადაც იდგა ქალი ხვარამზე. აღელვებულ ქალს სიხარული ყვავილებად ეფურჩქნებოდა სახე-თვალებში. ძლივს ახერხებდნენ ბედნიერნი გრძნობათა ფარვას.

ამზაილს რომ დღე ლამაზი გასთენებოდა, მისთვის ღამეც კაშკაშობდა სუნნელოვანი. მოართვეს წიგნი: უბრძანებდა ქალი მზე-ჭაბუკს. წამს განვლო გზა. თუ გადაფრინდა! შევლო ოთახში. ქალთა მზე თვით მოეგება, გარდაეხვია.

— ჩემო ვაჟკაცო!

— სიცოცხლევ ჩემო!

იალერსეს, იმხიარულეს. მრავალი სთქვეს უხმოდ, უსიტყვოდ. უბრძანა ქალმა ხილეული და შარბათები. შეექცეოდნენ.

— ბნელი უკუნი გამითენე, ბატონიშვილო!

— ხვარამზე შენი!... რომ შეებრძოლე იმ ხორციელ დევს, ვიგრძენი მაშინ, როგორ მიყვარხარ!

— კიდევ მითხარი, სატრფიალოვ, სიტყვა ციური.

— რად გახვედი საბრძოლველად იმ ბნელის შვილთან? რომ მოეკალი...

— ესეთია ბრძოლის თვისება: ადამიანს იმედი აქვს სულ ბოლომდისინ.

— სძლია შენ წინ უძლეველი ჭორმეშიონი, შენ კი...

— თუ ასპარეზს არ გავსულიყავ, სირცხვილს აჭმევდა მრთელ სახელმწიფოს.

— გიჟ ცხენზედ რომ დაგინახეთ, ელდამ შეგვიპყრო: ომში როდი გამოდგებაო.

— მართალი უთქვამთ. სახიფათო ხერხს მივმართე მეტად საეჭვოს, მაგრამ სხვა ფანდი აღარა სჩანდა.

— რად არ დაუშვი მახვილი მასზედ, რად შეაკავე?

— მოჰკვეთდა თავსა! აკი მიბრძანე, სტუმართ ვნება არ ეგებისო.

— იქაც გახსოვდა ნათქვამი ჩემი?!

— თვალთ წინ მედექი!

— როგორ მიყვარხარ!

— მომეცი ფიცი, არ გაჰყვები სხვას არც ხელმწიფეს.

— გითხარ, მიყვარხარ! სიცოცხლე ჩემი შენივ სიცოცხ-

ლე, ქვეყანა შენი ჩემივ ქვეყანა, ღმერთები შენი ჩემივ ღმერთები!

— ღირსი არა ვარ, უძვირფასესო!.. არმაზ ბრწყინვალევ, ტურფა სიზმარი გარდამიქმენ ტკბილ სიცხადეთა!

— ღმერთო იესო, ზმანებად არ გარდაგვიქმნა ეს სინამდვილე!

შეირხა ფარდა, აჩნდა მხევალი.

— ვარსკვლავები ათამაშდნენ, ფრთებს შლის აისი.

განცვიფრებით შეხედეს ერთურთს. ერთი წამია, რაც შეიყარნენ. ბევრ სათქმელიდან ორიოდე ძლივსღა მოასწრეს. და განვლო ღამემ?!.. უნდა განშორდნენ: ცრიატი ბნელი ვერ დაჰფარავს მათ საიდუმლოს.

53

შეშფოთებულიყო მოგვთა უბანი. ხიდის ყურზედ ჰქონდათ სავანე. შთამომავლობით მოსდგამდათ მათ ქურუმობა. ქართველობას შესდუღებოდნენ. დიდ ხანს გაევლო მათ გადმოსვლიდან, თანასწორობდნენ ქართველებთან მიწის ტრფობაში.

სძულვითა სძულდათ დასავლეთი, სად მფლობელობდა რომი უძღები. აქათ მხრიდან მოელოდა ირანი შავ ბედს, მასთან ერთად თვით საქართველო. ესე იტყოდნენ მათი წიგნები.

ქართველთ ხატებს შესთვისებოდნენ. აღარ არჩევდნენ ირანიდან მოსულ ღმერთთაგან. თუ დააკვიწყდათ ამ ხატების სხვადასხვაობა?! იქნებ ღმერთებიც დაკავშირდნენ ერთმანეთ შორის!

ერთი მეტად ჩასჭედოდა იმათსა ხსოვნას: ქართველთა ღმერთი ციბუშ-თარ-ხუჯი და მისი ცალი ითრუშანი დიდ მტრობით იყვნენ გამსჭვალულნი არმაზისადმი. არ ეგებოდა მათ გაზავება: სისხლი ემართა არმაზს ციშუბის.

— ძველისძველი ციშუბ, ითრუშან, ან სხვა ხატები დასავლეთით მოსულ ქრისტეს შეექვსებიან?

— არა! ხალხის თვალში იქნება ისიც არმაზივით მმართველთა ღმერთი და იმფლობელებს. ქართველნი და მათნი ღმერთნი ერთნი არიან: ქართველები მიწიერნი, იგივ ქართ-

ველნი ზეციურნი. ვერ შეითვისებს ქართველობა ღმერთს სხვი-
დან მოსულს!

— მაშ ეხლა...

— ქართველთ ღმერთი ციშუბ, ითრუშან ამხედრებენ ზე ქართველთ ხატებს, ქვე თვით ქართველებს. ჟამიერად უერთდებიან ქრისტეს მოსავთ არმაზთან ბრძოლად. დიდი სიფრთხილე, თვალხმიერობა!

— ახალი სჯულის და ბიზანტიის წინააღმდეგ მხედრდებიანო.

— შესაძლო არის!.. მხოლოდ შემდეგში!.. მანგიური არ დაგავიწყდეთ!... განავებდნენ საქართველოს მაინც ოდესმე ქართველთა ხატნი...

— არმაზსავე მოანატრებს ღმერთი ჯვარცმული! ჯვარზედ აცვავს მათ დიდ ნდომას, დაჰფლავს მიწაში...

— მაინც აღსდგება ჟამთა სვლაში მათი სურვილი! ათასი წელი განგების წინ, ვითა დღე ერთი!

— ქურუმთ უფროსი სასომიხდილი?!

— მე ის მინდა აგიხატოთ: განსაცდელში ვიმყოფებით დიდი არმაზი და მის მსახურნი. ბრძოლა მოგველის ულმობელი. საჭიროა მსწრაფლ მომზადება!

— მირიანი...

— იძულებულია მიემხროს მოსულთ: გმობა არმაზის, ან მოსპობა თვითონ მეფისა, მისის ჯილაგის! მისმინეთ! გადავარჩინოთ, ხელთ გვექნება რის გადარჩენაც; დავიფაროთ განსაცდელისგან, ვის დაფარვა შესაძლო არი!

— აუცილებელია ქუფრი მომავალი?

— მსწრაფლ ასრულდების ბედის ბრძანება!

— მაშ...

— უნდა დავფლათ საგანძური დიდის არმაზის და მასთან ჩვენი. ამ მთის გულში დაიმარხოს ყოვლი ფიქალი თუ ლითონი უძვირფასესი, ღმერთთ სახებანი ფასდაუდები.

— იციან ეს სარდაფები და გვირაბები.

— არა! ყველამ არ იცის ჩვენთაგანმაც ქვედა ჯურღმულნი. ვერ მიაგნებენ!

— ნაფიქრია, მოსაზრებული! დავკრძალოთ იქვე წიგნთა

სიმრავლე: ძველნი ეტრატნი; ფირფიტებზედ ნაწერ-ნახატნი; ნებროთის წიგნი...

— მაგას კარგს იტყვი: არ დაინდობენ ძველ რჯულის წიგნთ ქრისტეს ქადაგნი.

54

საკვირველად ამოძრავდა არმაზის ყუდე. მიდმოდიოდნენ მთის მწვერვალზედ ცეცხლის ბირთვები; უცბად ჰქრებოდნენ, მეტისმეტად ანათებდნენ სიბნელეში არმაზის თვალნი: თუ მრისხანებდა დიდებული? ისმოდა ხმები გულიდან მთისა, ირხეოდა ღამის სიწყნარე; უდროვო დროს იღვეოდა დუმილ-

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]



— ლამპრობა თუა!

— რას ამბობ, კაცო, რადროსი არის?!

გაჰლვიძებოდა მოსახლეობას. აესინათათ, ხმაურობდნენ, ერთმანეთში მიდ-მოდიოდნენ. ჩოჩქოლი იდგა. შეკრთნენ: ეგონათ მტერი არისო. მოახსენეს სახლთუხუცესს. უხმეს ამზაილს.

— გაგზავნეთ კაცი, მომგვარეთ აქ ქურუმთ უფროსი! წაეს-წრაფე, ამზაილ, რაზმით; მაცნობე ეხლავ, რა ხდება იქ!

— რაზმს სასახლეს შემოვარტყავ. მცირე ჯგუფით გავემარ-თები, — მოახსენა ჭაბუკმა.

და გატრიალდა. მოიყვანეს დიდი ქურუმი. უბრძანა, ჰკი-თხა, რა ხდებოდა ღმერთთა სავანს.

— ვინ მიხვდება უფლის განგებას?! მეტად ღელავს არმაზ შრისხანე. მის წილხდომილ ქართველთ შორის განმრავლდა ცოდვა. ალბად გვაუწყებს, კვლავ მივიქცევით მის ნათელ გზა-ზედ.

გატყდა ღამე, მიჩუმდა მთაზე ყოველივე. ცეცხლის ბირთვ-ნი მიმომფრენნი განქრნენ, განქარდნენ. ნინოს ბანაკში შეწყდა გალობა, ჩაქრა სინათლე. დაწყნარდა ხალხი.

არ წყნარდებოდა მხოლოდ არაგვი, ჩანჩქარებდა, ჩხრია-ლებდა, ლოდთ კბილით ღრღნიდა. დინჯმა მტკვარმა ვერ და-აწყნარა.

— დაყუჩდი, ჩადეგ თავის სადინელში! აჩქარებულ, არეულ ხმებით, თუნდაც ქმედობით არ სრულდება საქვეყნო საქმე: დინჯი ფიქრი და ქმედობა სრულის შეგნებით! ხომ გწამს ურყევად: ღმერთნი ჩვენნი არ გასწირვენ თვის ხვედრ ქვე-ყანას, მიჰმადლიან საქართველოს ნათელ მომავალს!

არიგებდა უნცროს თვის ძმას დადინჯებული იმ ხანში მტკვარი, ჭკვას ასწავლიდა სხვის ომში ბრძენი. როდი ახსოვ-და თვის განრისხება, როს ზვირთებით მთებს ანგრევდა, მოჰ-ქონდა არე.

მოვიდა ამზაილ სასახლეში, მოახსენა:

— არმაზს სრული სიწყნარეა გამეფებული: საფიქრები სულ არაფერი!

— მაშ, რა ხდებოდა?! ვერ იქნებოდა უმიზეზოდ, რაც ვნახეთ, გვესმა.

— მაინც ვედგები სამეფო სახლს ფხიზელ მცველადა. ჩემ

უნებლიეთ ვერ გაჩნდეს აქ ცის მფრინველი, ვერც მიწის მგელი!

შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის არეს. ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული, ცხოვრებამ ისევ ჩვეულებრ სახე მიიღო.

55

მეტად გვალვიანი ზაფხული დადგა. ვარდობის თვედან არ მოჟურა ჰაერმა წვეთი. ღრუბლის ფთილა არ გადმოჩნდა ცის კამარაზედ. გამოშრა მიწა, გახმა, დაიშაშრა, დასქდა. ველარ აწოვა მცენარეს ჟღენთი, მოიტუსა ყოველივე აღმოცენილი. ხალხი შემკრთალი შეჰღაღადებდა ღრუბელთ წინამძღოლს, კარდაკარს ატარებდა იმის სახეს სადიდებლად, ევედრებოდა:

ლაზარ მოდგა კარებსა, აბრიალებს თვალებსა.
მიდგა-მოდგა თაროსა, დაემზგავსა მთვარესა.
აღარ გვინდა გორახი, ლაშარ, მოგვე ტალახი...

— არ ისმინა ბატონ ლაზარმა. უფროც განრისხდა. მიჰმართა მზესა:

— ცეცხლის თვალი დააგზნე ქვეყნად, უნანებელთ დაუგზნე ალი!

სცადეს. გული მოელბოთ ბრწყინვალე არმაზისთვის. შეჰღაღადეს, შესწირეს მსხვერპლი, შეაწყეს ხმები მის სადიდებლად. ამაოდ!

თვალთ აელვებდა, თვის მოსავთ კი არა ჰხედავდა; ყურნი ესხდნენ კეთილად ქმნილნი, ვედრებას კი არ მოისმენდა; ყნოსვა მისი დახშული იყო გუნდრუკისათვის, არ ინება გემოდ ეღო უსწი მომგბარი; არ შეიწირა დასაწველი მსხვერპლი რჩეული: არ აუშვა ცისკენ კვამლი, მიწას გაშალა.

აქადაგდა არმაზის მონა:

— განრისხებულა არმაზ ბრწყინვალე. უღირსნი გახდნენ ქართველები ჩემს წყალობასო. ღმერთნი უცხონი მოიყვანეს ჩემ საბატონოს. ქართველთ დიდება შეიმუსროს დასავლეთიდან! ფარი ჩემი არ მფარველობს მათ, ხმალი ჩემი აღარ სჭრის მათთვის!

სცადეს, მოეფინათ დამწვარ ქვეყნისთვის ძველ ღმერთთ

წყალობა. დაიძრა ხალხი გუდარეხისკენ. იქ დაევანა ცის მეუფის მხცოვან მამიდას. თუ ის ქალ-ღმერთი ისურვებდა, ხალხის ნატვრა ასრულდებოდა. შეევედრნენ, შესწირეს მსხვერპლი. სცადეს მის დაძვრა ნაკურთხ კინენით. როდი შეიძრა. მეტად დაღონდნენ.

ჩახედეს უფსკრულთ. ძირს ალგეთი ძლივსღა მოსჩანდა. დაჰკრეს თვალი ხევის პირზედ ამართულ ჯვარსა. მიჰხვდნენ ყველაფერს: მრისხანებდა ხატის მამიდა: სწყინდა ახალ ღმერთთა მოსვლა საქართველოში. თავის ყურით გაეგონა ძნელი სიტყვა ჯვარის ქადაგის:

— დავსცე იგი ღმერთთა მამიდა, მიწას განვართხო! აღვმართო იქ მყარი ჯვარი ქვიდგან ნაკეთი.

სცადა ნინომაც სასწაულით წვიმის მოყვანა. შეიმოსნენ მღვდელნი მოსულნი, ევედრებოდნენ. ოთხსავ კუთხივ მოასხურეს ნაკურთხი წყალი. არ გაუმარჯვდათ!

ღელავდა ნინო. მაინც ბოლო დროს ვეღარ გრძნობდა თავის თავს წყნარად. კარგად იცოდა, ახლო იყო ღმერთთ ბრძოლის ჟამი. ვერ დაუთმობდა სხვა ხატთ იესო, ვერც ვეღარ ციშუბს იარაზმებოდნენ ქრისტეს მხედარნი. მებრძოლი ძალა მოდიოდა სხვადასხვა სახით.

ეკმეოდა საქართველოს სუნი ბრძოლისა. მრავალთათვის აღსრულების ჟამი დგებოდა.

უეილავ ღმერთთა ომი იყო განმზადებული, ციურ ბუნებრაზთ შემართება უსაშინლესი. და ნიშანნი მომავალის განსაცდელისა ყველასათვის საჩინო იყო, ვისაც ოდნავ შეჰხებოდა სული მეცანი.

[illegible] კი, თვით დუნდგო ერის, ჰხედავდა მხოლოდ არმაზისას მოაბლოვებულს, იკრიფებოდა ამ ხატის კარს საქართველოს ყველა კუთხიდან.

66

[illegible] არმაზის მთა მლოკავთ სიმრავლით ღაჩარდა[illegible] მეომნი, დაყაყრული ცხენები. კარავთ ნაირობა. ყველგან [illegible] თული ქალ-რძალი. ხმაურობა უწყნარებელი. შეუწყვეტლად [illegible] მოდიოდა ახლოველნი თუ შორეულნი

[illegible] ადებ-მიცემის ადგილი იყო. ვაჭრები

გამოეტანათ ჭრელ-ჭრელი ქსოვილები, თავსაბური, ფეხსამოსი სხვადასხვაგვარი, სამკაული თუ იარაღი, საციქველი. სანოვაგე გორებად იდგა. ხვადაგი ნახირ-ნახირი, ფარები ცხვრისა. დაკმაყოფილება უნდოდა მოზღვავებულ ხალხს. ხმაურობდნენ, ევაჭრებოდნენ. ყიდულობდნენ, ხან-ხან ჩხუბობდნენ. ვაჭრობა უფრო გაცვლა-გამოცვლით სწარმოებდა. უფარდებდნენ საქონელს, წილსა ჰყრიდნენ, სწონავდნენ, სწყავდნენ. ფულიცა სჩანდა: ქართული თეთრი, ოქრო სპარსული, ბიზანტიური, სკვითური თუ ხაზარული ბეწვეული ფულის სადარი.

რაც უფრო ახლოვდებოდა არმაზობა, იმდენად მეტი მლოცავი მოდიოდა. მთელი კვერნაკი, ფერდობები აყვავებული. ფერად-ფერად ალამთ სიმრავლე. თვისი დროშა ჰქონდა თვითეულ ხატს, თემს, გვარს, თუ დიდებულს. შეაყღარუნებდნენ დროშათა ეჟვნებს: ამწყალობებდნენ ხატის მოსავთ, ზღვნის მიმრთმეველთ; ღმერთის მადლს გამოითხოვდნენ მათთვის.

დილიდანვე იმართებოდა სმეულობა, დაძმობილება, ქალთა სინჯვა, ხელის დადება. მხიარულად იყო ქართველი თავის ღმერთა კარს. მთელს წელიწადს ეყოფოდა საამბობლად ნახულ-განცდილი.

ფალავნების ცდაც მოწყობილიყო აქა-იქ; ჭიდაობდნენ, ფარიკაობდნენ, ჯირითობდნენ; ნიშანს ესროდნენ ისარს თუ ხელშუბს. წინასწარი მღერა იყო გამოსაცდელი. საბოლოო შეჯიბრება ზედ არმაზობას მოხდებოდა.

სუფრებს ეშხს აძლევდნენ მიმომავალი მგოსნები. გაბერილი გუდა იღლიაში, ზედ მობმული სტვირი თავდახურული. დაუკრავდნენ, დაამღერებდნენ. იქვე გამოიღებდნენ ლექსებს შესამკობს თუ მხასიათებელს. მეტად ლამაზი იყო, თუ მგოსნები შეიბმებოდნენ. მათი მწყობრი თქმა ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა, იჩენდა ფხასა; დამტკბარი ხმა პირდაპირად ყვავილებად იფანტებოდა; ფრთაშესხმული ჭრელ პეპელად მიმოფრინავდა. მათ ხელოვნებას აღტაცებაში მოჰყვანდა მსმენი, აღუძრავდა მწყობრ თქმათა წყურვილს. ახ, არა ვსწერდი!..

ბეჩავნი, ხეიბარნი თუ ხატის მონანი არ თხოულობდნენ ამ ბედნიერ ჟამს: ყველა სუფრაზედ დათმობილი ჰქონდათ ადგილი. მივიდოდნენ, დასხდებოდნენ, შეექცეოდნენ: არმაზის მადლი მიუპყრობდა საზრდოს დღეს იმათ.

მლოცავთ სიმრავლეში თუ სხვადასხვაობაში მეტ ყურად-

ღებას იპყრობდნენ ახალი მლოცავნი: პონტიდან იყვნენ, ზღვის პირებიდან. მოსხეპილი ვაჟკაცები! ერივნენ შიგადაშიგ რომაელნი, ბიზანტიელნი. იარაღში ისხდნენ. ერთობა ჰქონდათ ქადაგ ნინოსთან. არმაზის ჭურუმთ ყურადღება მიიქციეს მათ. მიიხმო ამზაილ მამა ბაბეგმა.

— შვილო, ამზაილ! ამოდენა ხანია ვემსახურები დიდებულ არმაზს და ამთენი მლოცავი ჯერ არ მინახავს. ხატთ ადგილი ვეღარ იტევს ხალხს მოზღვავებულს.

— ვხედავ და მიკვირს. კვლავ ემატება ხალხი ყოველ წუთს.

— დამარწმუნეს. ცალ-ცალკე ჯგუფდებიანო ვაჟკაცები: ახალი სჯულის მიმდევარნი; მანგიურის გარეშამო უფრო მთიელნი. მთიელთ მსხვერპლი ცოტა მოდის არმაზის წინა.

— შევნიშნე მეც: ბევრია მათში შეიარაღებული. ჩხუბის აშლასა ცდილობენ. მზად არიან არმაზისანიც. ნუ გეფიქრება: მხედრობა ნებას არვის მისცემს შეარყიონ დღესასწული..

— ეგრე! ისიც მითხრეს, მანგიური ცალკე ამწყალობებსო ციშუბისა, გუდანისა თუ სხვა ღმერთთა სახელით.

— მისგან მოსალოდნელია. საშიში არ უნდა იყოს: არმაზის შარავანდედმა უკვე დაჩრდილა ძველის ძველი სალოცავნი.

57

დადგა ქველთობის თვე. მოსულთ მოძრაობაში და მხიარულობაში სწრაფად განვლო ხუთმა დღემ. თენდებოდა დღესასწაული. იცოდა მზემ, თვისი საყვარელი შვილის არმაზის დღეობა იყო და მთელის ბრწყინვალებით იწყო შემოსვა. შეარხია აისის ფრთები; ვარდის ფურცლების მარაოდ გაშალა ალიონი; შეათამაშა განთიადი; ამოსცილდა მნათობი მთის ფხას და მიულოცა არმაზს თვისი დღე: სხივთა მრავლობით გადაჰკოცნა, გადაეხვია.

გაახარა არმაზ დიდებული მზის თბილ ალერსმა, ტკბილად აღელვა, სხივთ ბუნჯგლები გაუმრავლა მთელ არსებაში, აალაპლაპა. ლამაზი იყო ღვთაებური მათი ალერსი!

ამოეფინნენ ხრახნილი გზით ღმერთთა მსახურნი. უთვალავი ხალხი მოსდევდა. მთავარჭურუმი წინ ვიდოდა ყავარჯნით ხელში. თეთრი ფარჩის კვართი ეცვა, ფერთხთა სწვდებოდა. ვერცხლის ბაბთები; ღილნიც ვერცხლისა. თეთრივ სარტყელი

თითქმის მკერდზედ მარგალიტით უხვად ფრქვეული. მას ზევიდან მუხლებამდინ სამოსელი ფირუზის ფერი; საყელო ღრმად ამოჭრილი; მოკლე სახელოები; წინ მთლიანი, გვერდებში ღია; მოკაზმული მსხვილი ფირუზით; ეჟვნებიანი. ბრტყელი ოლარი მეწამული ოქროს ბაბთებით; ყელზედ იყო შემოგრაგნილი; ერთი მხარე ბეჭს ჩაჰფენოდა, მეორე მკერდსა. ფეხსაცმელი სპეკალშეყრილი. თავს უმშვენებდა ოქროს გვირგვინი მომაღლო; გარს ორპირად ძვირფას თვალთაგან შეთხზილი ყვავილები.

ქურუმნი ბაბეგს ხელს აღუპყრობდნენ, სვლას უმტკიცებდნენ. წინ სამღთო დროშა ფრთოვან მზიანი. ჟამითჟამად შეირხეოდა, ელრიალებდა ეჟვანმრავალი. მისდევდნენ მწყობრად ქურუმები, ქადაგები, ხუცნი, მყუდელნი. ყველა სადღესასწაულო ბრწყინვალე შესამოსელში. მიუძღოდნენ მესაკრავენი, მგალობლები ცისფერ კვართებში. უკრავდნენ საკრავთ, ჰიმნებს გალობდნენ. უთვალავი ხალხი მისდევდა. გალობის ხმას აზვირთებდა მლოცავების ღიღინ-გუგუნი.

შესდგა მსვლელობა არმაზის წინ. მუხლმოდრეკით ეთაყვანნენ ქურუმნი, ხალხი და დადგნენ მწყობრად: მეფეს ელოდნენ.

საყვირთ ზახილი. დაბდაბთ, ნაღარათ გრიალ-ტკრციალი. სასახლის წინ ხალხი მრავალი. ელოდნენ მეფე-დედოფლის გამობრძანებას. ცხენოსანთ ჯგუფი წინამსვლელი სწრაფად დაიძრა. გაქუსლეს გზა-გზა. სწმენდავდნენ სავალს. ხალხს არ ინდობდნენ. სცემდნენ მათრახით. ცხენის მკერდით მიარღვევდნენ გახირულ ჯელგებს. გარბოდა ხალხი, გზას უთმობდა. საფარს ეძებდა.

გამოჩნდა ოქროს ტახტრევანდი. დედოფალი ბრძანდებოდა შიგ. ბრჭყვინავ-ბზინავდა ტანთსაცმელი სპეკალშეყრილი, სამკაული ფასდაუდები. ხნიერი იყო: ძვირფას ჯიღის ქვეშ თმა მოსჩანდა შეთეთრებული, შუბლი ნაღარი. ამაყად იჯდა. მოსდევდნენ მას სეფე-ქალნი, შიმუნვარნი, მოახლენი, მხევალთ სიმრავლე. მეტად შვენოდნენ ცხენებზედ მჯდომნი: სეფისპირობით, მოქნილობით თვალთ ატყვევებდნენ.

ხვარამზე ქალს მაინც ვერ სჯობდნენ. თეთრ ტაიჭზედ, თეთრად მორთული, მარგალიტით მოქარგული, თვით მარგალიტი! ალაყაფთან დაჰხვდა ამზაილ თავისი რაზმით. დაჰკრეს ერთ-

ურთს შავარდნის თვალნი. ყვავილები გარდეშალათ ახალ ნორჩ გულში, ახ, არ შეეძლო გაძრულიყო, ქალთ გაჰყოლოდა: მეფის გამოსვლას ელოდდა ვაჟი.

ეჰე, გამოჩნდა დროშა სამეფო. ახმაურდნენ საკრავები, ხმა ზეშთ მოჰფინეს. ისმა ზახილი:

— მეფე მირიან!

ლურჯ რაშზედ იჯდა. დინჯად დიოდა. მუხლმოდრეკით თაყვანი სცეს ქართველთ მეუფეს.

— ვაშა ჩვენს მეფეს!

— ვაშა მირიანს!

დიდკაცობა მოჰყვებოდა მორთულ-შემკული. გაჰყვა ხალხი მიმავალ მეფეს. იქაურობა მთლად მოიწმინდა.

გამოვიდა სავანიდან ქადაგი ნინო. ძაძა ემოსა. თავსაფარი უმოსავდა ყელ-ყურს, ბეჭებსა, თმა არ უჩანდა. ჯიღა წარბები. ცეცხლის მფრქვევი შავი თვალები. ხელთ წალმის ჯვარი ნაწნავნახვევი. მოსდევდნენ თან სამღვდელონი, მოწაფეები. საგალობლებს მოიმღეროდნენ. რუბაიას დაამთავრებდნენ, გუშად ურთობდნენ:

სცანთ, წარმართნო და იძლიენით,
რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ზღვისპირელნი შეუერთდნენ იმათ მთის თხენზედ.

38

ხელმწიფის მიბრძანებას დიდის აღტაცებით დაჰხვდა ხალხი. მიეგება ბაბეგ, მიაცილა არმაზთან. მეფემ მუხლი მოიდრიკა ფიანდაზზედ, ხელნი განაპყრო. ლოცულობდა, ხალხს ავედრებდა. ოქროს ხონჩით წინ ტრაპეზზედ მსუბუქი ტაპლა: სტამნა კვლევეულით, ბადია რძით, ჩოღრათო ღვინით, ქადა არმაზის ნეკდდასმული. მუჯამარზედ იკმეოდა სუნნელებაი. იღოცა [illegible]. ესთან ერთად მუხლმოდრეკით მისი ერი ევედრებოდა. ცათავა, მოიხარა, ტრაპეზის ქვას ზეცისი ხახო ამოწვდილი საშვილოთ ხმალი ამოძრავდა არმაზს ხელში, უკრა მეფეს ხელიად, ნაზად.

— [illegible] ჩვენს ერისად! — წარსთქვა ბაბეგმა

ააყენა მირიანი და წინ გაუძღვა. დაძრეს დროშები. გაისმა ძნობა. აჰყვა გალობა. ნელა ვიდოდნენ: გარს უვლიდნენ არმაზ ბრწყინვალეს. სამხიარულო საგალობელთ ხმა თანხთანად სწრაფდებოდა, ცხოველდებოდა, ბგერათა ტალღა შეწყობილი მოძრაობად გადადიოდა: ფეხს აყოლებდნენ, მკლავსა ჰშლიდნენ, ტანს შეარხევდნენ. აღტაცებულნი შიგადაშიგ მწკრივს გასცდებოდნენ შეიშუშპრებდნენ, ისევ ხალხში შეერეოდნენ. სამჯერ შემოუარეს. მთავარქურუმი შედგა ისევ ტრაპეზის წინა, დაამწყალობა მლოცავები და მიუპყრა მეფე-დედოფალს ტაკუკით ღვინო, ქადის ნაწვრეთი. შეახეს ბაგე.

ეხლა უნდა შესწირვოდა ყოვლადსაწველი. კრავი იდვა სამსხვერპლოზედ განმზადებული. მიუახლოვდნენ. წარსთქვა ბაბეგმა მცირე ლოცვა და უნდოდა ენიშნებინა, მიეცათ ცეცხლი, რომ წარუდგათ თეთრმოსილი დედაკაცი თმა ჩამოშლილი. თან ჰყვანდა ვაჟი წითლით მოსილი.

— მსხვერპლი დიდს არმაზს! შევსწირო შვილი დამწვარის გულით, დამიბრუნოს დაკარგული ჩემი ვაჟკაცი!

შეშფოთდა ხალხი. ახსოვდათ ამ დღეს შესწირავდნენ არმაზს სეფეწულს. კენჭით არჩევდნენ, თუ თვის ნებით არვის მიჰყვანდა. მაგრამ მოისპო ესეთი მსხვერპლი. საქონლის ზვარა დაენაცვლა ჩჩვილთა შეწირვას. ეხლა...

შეკრთა ერთს წამს ქურუმი უფროსი, თითქო დაიბნა, ხმა გაქმინდა მთელმა კრებულმა. მალე მოეგო ქურუმი თავსა, მიუბრუნდა არმაზს ბრწყინვალეს, დაიჩოქა, ხელნი შეჰყარა: უხმოდ ილოცდა. აღიმართა. მიჰმართა დედას:

— წყალობის თვალით გადმოგხედა დიდმა არმაზმა. მაღლი მოგფინა დიდის რწმენისთვის. დაგიბრუნდება შენი ვაჟკაცი! შვილი შენი აღიზრდება ღვთის მსახურებად!

ყველამ შვებით ამოისუნთქა, დაეწმიდა ბატონ მეფეს სახე მღელვარე. დედოფალმა გადაჰკოცნა სამსხვერპლო ბავშვი. მყის აღეგზნო სამსხვერპლოზედ ცეცხლი ძლიერი. მსწრაფლ დაიბუგა ყოვლადსაწველი. მოართვეს ბაბეგს ოქროს თეფშით ნავლი მსხვერპლისა. შეაფრქვია იგი ნაშთი დიდებულ არმაზს.

დაბრუნდნენ მეფე, დედოფალი, მთავარქურუმი. ერის დრო დადგა. ლოცვა, შეწირვა, დამწყალობლება. გაიმართა სმა-პურობა. აჟიჟინდა, ახმაურდა მილეთის ხალხი. მიიწვიეს ამზაილი სამეფო სუფრას.

— მხოლოდ ერთს წამსა!

— რა ამბავია?! — შეეკითხა რევი.

— მკაცრი ბრძანება თვით მეფისაგან. თვალ-ყური ვუგდოთ. აქ შეყრილია მთელი დუნია და რომ დაჰლევენ...

— არ არის შიში! მწყობრად ჩავლო დღესასწაულმა, — წარსთქვა ხვარამზემ.

დაწვევა იყო ეს ქალის მხრივ. ერთს წამს შეყოყმანდა ჭაბუკი, მალე გამტკიცდა.

— რომ დათავდება დღესასწაული და მლოცავი დაშლას დაიწყობს, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, ბატონიშვილო!

— რაზმი მზად არის?

— მზად გახლავსთ! სჩანან ბოროტად განწყობილნი. შუღლს არ ჰრიდებენ და...

— ქალო ხვარამზე! ქადაგი ნინო აქ არის. წა, მოიწვიე: შენ უყვარხარ, იქნებ გისმინოს; სხვას არ დაჰყვება.

— წამობრძანდი, ბატონიშვილო, ზღუდის ნაპრალთან რომ სენაკია, იქ იმყოფება თვის მოწაფებით.

გამოჰყვა ქალი. მთლად მარტო იყვნენ ახალგაზრდანი: არავინ სჩანდა; გამქრალიყო მათ გარშემო ყოვლი სულდგმული, მიმწყდარიყო ხმა ყოვლის არსის. მათი ხმაღა გაისმოდა მთელ სამყაროში, ლამაზი ბგერა უთქმელად მთქმელი.

— სათაყვანებო, მზევ დიდებულო!

— შენთვის ვმნათობდე!

— მომეცი ნება, შეგახო ხელი!

შედგა ქალი ქვა-გორახზედ, დაირხ-დაირყა. ამზაილმა უპყრო ხელი და შეიმაგრა.

— კიდევა ჰხედავ რასმე საშიშს?

— აღარ! მკაცრი წესია დადგენილი. მაინც ბოლომდინ გვმართებს სიფრთხილე.

ნახეს ნინო. სთხოვეს. არ წამოვიდა: სჯული არ მიწესსო. გამობრუნდნენ. მოიყვანა. დაემშვიდობა.

59

სიმხიარულე; დიდებული სმეულობა. შუშპარი ღვთის კარს. სიმღერათ თქმები; საკრავთა ხმები. შეკრეს წრეები: უკვე დაიწყო შეჯიბრება ფალავანთა თუ ხელოვანთა. იშევ ცხელოდა.

— გახალისდა მზეც დალოცვილი!

— მთის წვერზედაც რომ იკბინება, ძირს გენია დაენთებოდა...

— ჰე, კიდევ ჩხუბი!

— რა დაემართათ?!

— ხატის ღვინო დაულევიათ.

ჭოწესენი შავარდნის თვალს მიმოავლებდნენ. ეს უშლიდა ძველ ხატთ მოსავთ დაეწყოთ ომი.

ცას შესთხოვდა მანგიური, ევედრებოდა:

— ციშუბ, ითრუშან, გუდან მებრძოლო! მოავლინეთ ძალა თქვენი თქვენთ მოსავთ თვალთ წინ! განქრეს არმაზი! დაიპყარით თქვენივ ტახტი საქართველოში!

ნინოსებიც შეფიქრიანდნენ: ვერ შესძლებდნენ ბრძოლის ტვირთვას თავის ძალებით. ის ჰქონდათ ჰაზრად: ესარგებლათ რამ აშლილობით და არმაზის საზიანოდ მიემართათ დიდი დღეობა. ილოცდა ნინო:

— ღმერთო იესო, ბნელის მსახურთ სამხილებლად ცეცხლი აწვიმე, შემუსრე კერპი!

მზირად იდგნენ არმაზისანი. დარაზმულიყვნენ. სრული იმედი: ამზაილი თვის მხედრობით იმათი იყო.

— ვგონებ წყნარად ჩაიაროს დღესასწაულმა.

— სამშვიდობოდ დათავდება დღე აგზნებული.

მზე მხურვალებდა კამკამა ცაზედ, იკბინებოდა. შემდგარ ჰაერს ღელვა შეაჩნდა: შეტრიალდა შიგადაშიგ ვიწრო გრკალადა. მიმორბოდა, ხვეულ სვეტად აჰქონდა მტვერი; ისევ ქრებოდა. ყურადღებას არ აქცევდნენ ჰაერის შუშპარს. ხალხს სულ სხვა ჰქონდა გასართობი ათასგვარი: დაწყებულიყო შეჯიბრება ნაირ-ნაირი.

მრავლდებოდნენ, ერთდებოდნენ წვრილნი გრიგალნი, ძალას იძენდნენ. გადმოიშალა კამკამა ცაზედ თეთრი ფოთლები. სპეტაკ ქულების მთელი ფარა, ნახირ-ჯოგები. დაფრინავდნენ; კვლავ იყრებოდნენ, იგლიჯებოდნენ.

— რამ დააფრთხო ეს ცის შვილნი, რამ შეაშინა?!

გაჩნდა ვეშაპი, აღიმართა, იგრაგნებოდა. ჰნსთქამდა გზადაგზა ღრუბელთ სიმრავლეს. იზრდებოდა. ბნელდებოდა, ფრთებს ფართოდ შლიდა. ცას გადაერტყა; დაიგრგვინა; ცეცხლი გაყარა. მძლავრი გრიგალი. შეთეთრდა ფრთებში ჭუფრი ვეშაპი, ძირს დაიწია. მოისმა ციდან რაღაც ხრიალი და ათამაშდა თეთრი გულა განხმელ მიწაზედ. გამძაფრდა ქროლვა. დასხვილდა სეტყვა. სჭექდა ციოგამო, ცეცხლებს ჰფანტავდა. ცა იმტვრეოდა შესაზარის ხმით. ეღვრებოდა დედამიწას ზეშთა წყალი ყინვის ლოდებად.

განწირულთა წივილ-კივილი. დაზეზებულ ცხოველთ სრბოლა ძირს გართხმულ ხალხში.

— იბრძვის ციშუბი!
— ებრძვიან არმაზს ძველნი ღმერთნი ქართველთ ტომისა!
— არმაზისკენ!
ბრძოდა არმაზი. ზედ ემტვრეოდა ცეცხლი, სეტყვა მძლედ მდგომ ბუმბერაზს. სტყორცნა ციშუბმა ცეცხლის ბირთვი, ზედ დაალეწა. ხელში ხმალი გაუტყდა მებრძოლს. კვარცხლბეკიდან შერყეულმა წინ წაიწია. მოჰხვდა გურზი, დასცეს ლახტები, მისცეს კინენნი. აწვებოდა ქარიშხალი, აძალადებდა. სასტიკი ომი ხელჩართული ღმერთის გარემო. ამზაილ ლომად იქცა განძვინებული. ვნებულთ სიმრავლე. მკვდართა ზვინები. ქადაგი ნინო ტრიალებდა მებრძოლთ გარშამო. დაეცა კერპი, დაიჟლრიალა.
— შეიმუსრნენ ღმერთნი უცხონი! ღმერთნი სხვანი არა იყვნენ ჩემსა გარეშე!
მიიწევდა არმაზისკენ, მიისწრაფოდა. მისწვდა დაცემულს. რვალის შუბლი გაჰხეთქოდა, თვალნი სცვიოდა. დასწვდა ქადაგი, ამოსწოდა არმაზს თვალები.
— სატანაის თვალებია ჯოჯოხეთური! — შესძახა მძაფრად.
და დაანარცხა ტრაპეზის ქვას, დაანაჭუჭა.

* *

მიყუჩდა ბრძოლა საზარელი. ცას მოჰშორდა ვეშაპი შავი. ისწრაფიდა არმაზისკენ ხვარამზე ქალი.
— სად არის რევი? ნახეთ ამზაილ!
ბატონიშვილი ხმალმოწვდილი ნავნებთა შორის. მზეჭაბუკი არსადა სჩანდა.
— ამზაილი! ნახეთ ამზაილ! — გაჰკიოდა თმა გაშლილი ქალი ხვარამზე.
ეძებდნენ ვაჟკაცს მკვდართა შორის თუ დაჭრილებში.
— ეჰა, ამზაილ!
გადმოაჩინეს. სასიკვდილოდ დაეჭრათ გმირი.
— ჯერ ცოცხალია!
— ამზაილ ჩემო! — შესძახა ქალმა
და მოეხვია. წაადგა ნინო ხელ სისხლიანი: თუ გაჰქლეშოდა.
— დაწყნარდი, ქალო! ჯვარის მადლი...
ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გადასტყორცნა. მოეჭდო ჭაბუკს. გაიჟრჟოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს. დააკლა თავი.

1925 წ. მარიამ. 28.

ᲐᲠᲐᲔᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲨᲠᲘ ᲜᲐᲫᲘᲗᲘ

1

— ვაცოცხალოს, ბეტრე! რა კაცები ჰქონ. ოთხ შემოხვედრა! შენსელ ექვსოცდა. კინალამ ხელთან გამრჩენა.

— სადმე ხომ არ გეტკინა საჭყლეტი?

— ვერ ხედავ ოფლით. ახლა დაიცდე ამ ბრანჯოს.

ბეტრე [illegible] დაბრეკა-გაქმოაკონა, ჯილდა-მით [illegible] წუთს დაფიქრდა.

— [illegible] სად იბოვნიო?

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

[illegible]

რე თავი: მეშინოდა, მიმიხვდებოდა პატრონი. დავაფასებინე რაღაც ლამპარი. მოვრიგდი.

— ის რაღა სათამაშოა? აბა მომაწოდე!

გადმომაწოდა. ბრინჯაოს ძველის ძველი! ფაშკუნჯი ჩამოსხმული... წარწერა...

— რა ღირს?

— ათი მილიონი.

— უჰ, მაგდენი ფული გამოუსადეგარ ნივთში?!

— შე დალოცვილო! რა არის ეხლა მილიონი? სახელიღა დარჩა, როგორც ვინმე ივანჩილას იოანეს უძახდნენ.

— კარგი სიტყვაა! მაინც?

— ნაკლებ არ შეიძლება!

— ხუთი იყოს.

— არ იქნება.

— ჰა, ესეც ექვსი! უთხარი და გამოვბრუნდი. დამითმო შვიდად. გამოვარბეინე.

— მარდათ კი გამოიქცეოდი! ძლივსღა დავფანფალებთ.

— მაინც სწრაფად წამოველ. თუ შემესხა ფაშკუნჯის ფრთები.

2

დიდი არ იყო: სიგრძით მტკაველი, სიმაღლით ციდა. ტანი ლომისა. ყურნი ცქვეტილნი. ორბის ნისკარტი. თავზედ ქოჩორი, ჰოპოპის ჯიღა. ზეაშლილი ფრთები ტანზედა. ლომის ტოტები ბასრი ჭვანგებით. ბითუმი არ არის: მრთელი ტანი ფუღურო არის. ქოჩორი ასახდელი. მთლიანად არის ნივთი შენახული. ტანი აქვს ზოგან დაღრღნილი. მიწამ თუ ჭამა.

— მართლა და კარგი სათამაშოა!! თუ შემხვედროდა, ვუყიდდი ჩემს შვილიშვილს.

— და ამ ნივთს ბალღებს ჩაუგდებდი ხელში?!

— მაშ მე რად მინდოდა?!

— გადმოაბრუნე. მუცელზედ დახედე!

— რაღაცა ხაზები მწკრივად, ზოგი...

— ვერ იცან?! ქალდური წარწერა!

— გაარჩიე?

— ვერა! კარგად ვერ ვიცი წაკითხვა და გადმოთარგმნა. ასოებს კი ვსცნობ; ლურსმულია.

— მეცა ვხედავ, რომ ლურსმულია. საქმე ის არის, წაიკითხო და ქართულად სთქვა.

— შევისწავლი, შევძლებ წაკითხვას.

პეტრემ გაკვირვებით შეხედა ბერიკაცს. გაიფიქრა, ნეტა როდისღა უნდა მოასწროსო. აღარ უთხრა; დაეხათრა.

— უნდა შევისწავლო! კიდევ ბევრი მაქვს დასასწავლი, გამოსარკვევი. ჯერ მასალას რამოდენა დაკვირვება ეჭირება, ანუსხვა, გამორკვევა, რომ გაცოცხლდეს ყოველი ნივთი და თავის პირით უამბოს ყველას ის ცხოვრება, რომლის მოწამეც ყოფილა იგი, რომლის ნასახი აღბეჭდია მის სახეს თუ ტანს.

— რა უნდა უამბონ ამ აღარრად ღირებულმა ვითომ ნივთებმა?!

მართლა და რა უნდა ეთქვა ადამიანისათვის კბილებჩალეწილ, ჩაჟანგულ, ჩახავსებულ რაღაცა ჩხნდეს: ფილთაქვები, ქვის ნაჯახები; ირმის თუ კაცის სახეები ძვლისა, ქვებისა, თითქო უსაქმო ბალღისაგან ნაჩორკნ-ნახაზი; ფერად-ფერადი ქვების მძივები; რაღაც ლითონის სამაჯურები, საყურეები თუ გულქანდები; ერთიორი ნივთი ვერცხლისა. შირმაიები ამოხაზულ რაღაც ხატებით. ვინ მოსთვლის?! ბალღობიდან ეგროვებინა; თაროები, განჯინები გამოეტენნა.

— რომ ვაგროვე აქამდისინ და ეხლაც ვეძებ, შესწავლაც უნდა, წესში მოყვანა, ანუსხვ-აღწერა. კარგა დიდი ტომი გამოვა. თუ დასურათდა ყოველივე და აიხატა, განძი იქნება მწიგნობრობისათვის.

— ბევრი დაგიჯდება მაგისთანა შრომის გამოცემა.

— ვიცი! სახლს დავაგირავებ, ზედ შევახმარ. დეე, ჩემი ქონება შეიწიროს, ოღონდ დაიბეჭდოს. მე ვიცი, ჩემს ბალღებს დავუტოვებ მამულს!

— კაცო, ჩემო კარგო პავლე! მთელი სიცოცხლე შესწირე ამ ხარახურას მოპოებას; ახლა გინდა, სარჩოც გაიწყვიტო მაგის გულისათვის?!

— მრთელი სიცოცხლე?!

— ჰო! მე აგერ შვილიშვილებით სავსე ვარ, შენ კი ისევ ერთი ღერი კაცი ხარ უკვე განხმელი. გახსოვს ჩვენი ახალგაზრდობა?

ჰაი, ჰაი, ახსოვდა თავისი ახალგაზრდობა. რა ძლიერი ვაჟკაცი იყო! ორი არ სჯობდა ამხანაგებში. ქუდი სრულებით არ უნდოდა ჯალჯივით თმის პატრონს. გრძლად დაყენებული ფაფარი მხრებამდინ სცემდა. გამბედავობის ნიშანიც იყო ეს, საბრძოლველად მთავრობის გამოწვევისა: არ მოსწონდათ უფლების მექონთ გრძელთმიანი მზეჭაბუკები და თმა-შეკრეჭილი ქალიშვილები, მხარდამხარ რომ მისდევდნენ ვაჟებს ბნელთან ბრძოლაში. პავლე...

სულითაც უტეხი იყო ხორცით ძლიერი, თავის მიზანს ჯიუტად სდევდა. იტანდა შრომას, გაჭირვება არრად მიაჩნდა. რამდენჯერ ჩასვეს. ციხის საკანი თავის ოდად ეჩვენებოდა. დიდ იმედს იძლეოდა, მომავლის თაიგულად ისახებოდა. გულჩვილები ევლებოდნენ მებრძოლ ჭაბუკსა.

— გახსოვს, პავლე, მენანდრიანთ მელანია? რა კარგი იყო!

— მაშ ვიღა მახსოვს?! ჭაბუკობა მოკრძალებით თავს ევლებოდა. ბევრს მათგანს სჯობდა განათლებით, გამბედაობით.

— მახსოვს, მღეროდა.

— კარგი ხმა ჰქონდა.

— იშვიათად წაიმღერებდა.

— უხიაკი როდი ვისმე ეკარებოდა.

— ერთის გარდა, ჩემო პავლე, თუ გაიხსენებ.

— ჰო, მე დამიახლოვდა. ჯერ მეგობრობა, მერმე გრძნობა აღტყინებული. მომწონდა იგი. იცი, პეტრე, კიდეც მიყვარდა.

— ყველას გვეგონა, ჯვარს დაიწერდი.

— მეცა ვფიქრობდი, თუმცა მაშინებდა ცოლ-შვილზედ ზრუნვა.

— მგლის შიშით ცხვარი... რაღამ დაგიშალა?! ქალი უწუნო. შენც...

— მომწონდა. რომ ვუახლოვდებოდი, მეტ სიმდიდრეს განვიცდიდი მის ბუნებისას. მაინც არ მოხდა: გათავთავდნენ ჩვენი გზები, განშორდნენ ერთურთს.

— ნეტა სად არის?

— არ ვიცი! აგერ ოცდაათი წელიწადი იქმნება, აღარ შევ-

ხვედრივარ. აღარც მახსოვდა. სადა მცალიან! ხედავ, რამოდენა საქმე მელის: უსათუოდ უნდა გავიმრავლო არქეოლოგიური ნაშთები, ავსწერო, დავალაგო ისე, რომ თვითეული ჯგუფი ახასიათებდეს თავის ხანას. ეს ნაშთები აღადგენენ ძველისძველ წარსულს ჩვენის ერისა, გვიამბობენ მის ისტორიას.

— ღმერთმა რა უყოს იმას, ვინც შენ ეგ ხარახურა შეგაყვარა და ცხოვრება დაგაგმობინა.

— ღმერთმა აცხოვნოს ჩემი ოსტატი ევდემოზი! იმისთვის ამისთანა ნაშთები ცოცხლები იყვნენ. ტკბილმოუბარნი. შემასწავლა მეც მათი ენა. განა ყველას შეუძლიან, გააღვიძოს საგნისადმი სიყვარული თავის მოწაფეში.

— მაშ არ გერჩივნა, არ დაგეკარგა შენი მელანო? ეხლა სავსე იქმნებოდი შვილთა სიმრავლით.

— აი, მეგობარო, საყვარელი შვილები, შვილიშვილები!

— უჰასაკო ქვისა, რვალისა; დაბზარულნი, ჟანგიანები; ნატეხ-ნუტეხი.

— რა გელაპარაკო?! ამ საკითხში ვერასოდეს ვერ შევთანხმდებით. რაცა კაცსა ბედმან მისცეს...

— ოღონდაც!.. და იგი კაცი თვითონ ჰქმნას თავის ბედს.

— რა მაგ სიტყვის პასუხია, პეტრე, და ერთი-ორი დღე რომ მი ცალო, ეტლით გაგასირნებდი ნადოკრალისკენ: დიდებული არქეოლოგიური საგანძური აღმოჩენილა იქ და მთავრობას ჯერ ხელი, დაგათვალიერო.

— სულ მიცდილი ადრა ვარ?! წამოვალ!

[illegible]

უყურადღებოდ. დუქანში რომ შევიფერხეთ დასასვენებლად, იქაც მონახა ბორჯღლიანი ნივთი რკინისა და შეიძინა.

— რად გინდა, კაცო?

— მაშხალაა ეს და რა მშვენიერი! მრთელი ოთხი ტოტი აქვს ჭრაქის დასადგმელი, შუაშიც მეხუთე. ხუთი ჭრაქი ერთ ღეროზედა!

— რაღა დროს ჭრაქია?! ნავთსაც აღარ ვკადრულობთ, ელექტრონი გვინათებს.

— მკვიდრად არის ნაკეთები. ძველისძველი ოჯახიდან იქნება გამოტანილი.

— მესმის, მოგწონდეს ძველი ღვინო ბევრ ხან დაზმული. ჟანგიანი რამ ნივთების ეგეთი ტრფობა...

— ეძებდე და ჰპოებდეო! რა მომაგონებდა, უბრალო მიკიტნის დუქანში ამისთანა ნივთს მოვხელავდი.

— ალბათ შენც შენებური ბედი აგყვა.

— კარგი ნიშანია, იმ აღმოჩენილ ძველ აკლდამაში თუ შენობაში ბევრს რასმე ვნახავ საგულისხმოს. დარწმუნებული ვარ ამაში.

ვიარეთ. შევედით ტყეში. ჩრდილი, სიმწვანე, სუნნელება, ხმიანობა ათასნაირი. ჭალაქში მცხოვრები და, ისიც ანჩხატის უბანში, დანატრებული ვიყავ ბუნების კალთაზედ ყოფნას. მელხინა გულს, გითხრა მართალი. მოცეკვავე ნაკადული, ბუერები გარს მოდებული. სიყმაწვილე გამახსენდა მივიწყებული. ძლიერ მინდა დიდი ფოთლით წყალის დალევა, სველსველი ფოთლის თავზედ დარქმა ქუდის მაგიერ, ეჰ მთლად მელოტ თავზედ, განა უწინდელ ხუჭუჭ თმიანზედ. მეგობარი როდი ჩამოხდა: ცელქი ნაკადი არ რას ეტყოდა, არც აყრილი ტყე დაფიქრებული. რა კარგები ხართ, აზიდულნო ცამდინ, წიფელნო! წვრილიანი. გავედით მინდვრად. თავთავ დახრილნი ხშირი ყანები. მწვანე სიმინდი, ბოსტან-ბაღები. რიყესავით ნესვ-საზამთრო, აყირო გოგრა. შუ ით საზრდოებად მოყვარული დედის კალთა ფართოდ გაშლილი.

— დედავ ძვირფასო, შემიერთე, შენთან მამყოფე!

— ერთი შეხედე, ჩემო პავლე, ბედნიერებას!

— ჰოჰ, კარგი მოსავალი სჩანს: პური გაიაფდება ყანთარზედ. ეჰ, მე მაინც მყოფნის თუნდ სიძვირეში. რა ბევრი მინდა: ერთი კაცი ვარ.

მივედით. ხევი იყო ღრმა. წყალი ცოტა დიოდა შიგა. ვეება რიყე. დიდად მოვარდნა თუ იცოდა ნიაღვრების ჟამს. ხევის მარცხნივ ტყე. ქვიტკირების ნანგრევები შიგადაშიგა. ამ ნაოხრების დასწვრივ იყო სასინჯი ადგილი. მოვარდნილიყო ხევი, ძირი გამოეთხარა ფლატესათვის. ხევის პირი მოხლეჩილიყო, პირი ეჩინა ძველ რამ კედელს თაღით გადართხმულს. კედლის ნანგრევებთან ერთად გადმოშლილიყო მრავალი ძველი ნივთი. ყარაული ედგა. რამდენიმე მუშა გვიცდიდა.

— საღირალი არაფერია, ბატონო: რკინეული ჩამოდის ჩაჟანგებული, ფერადი ქვის მძივები, რაღაც ტიკინები ქვისა თუ თითბრისა. ვერცხლი ან ოქრო სრულებით არ მოჩანს.

— მეხრეებს ენახათ პირველად, ამბობენ, ვერცხლის ფული იყოვო ჩაპნეული.

მოუტანეს აკრეფილი ნივთები, უჩვენეს. პავლემ დიდი ყურადღება მიაქცია ქვისა თუ ლითონის ტიკინებს.

— ნახე! პაწაწა კერპებია ეს ჯიბით სატარებელი ან ყელზედ დასაკიდი. ხედავ ზონარის გასაყრელ ყუნწს? ძველისძველი სასაფლავო თუ არის. ალბათ რომ მარხავდნენ, ღმერთებს ატანდნენ თან, ჯიბით სატარებელ თუ ყელზედ საკიდ ღმერთებს.

— ღმერთი ჯიბეში?!

— ჰო! როგორც ხატი ან ჯვარი ყელზედ, უბეში. ეხლაც ხომ ვიტყვით: ღმერთი არა გაქვს? ალბად ჯიბეში.

— მაშ ამეებს თაყვანსა სცემდნენ?!

— დიდებულია! შევძლებთ, თანისთან შევახვავოთ კერპთა სიმრავლე და აღვადგინოთ ზედმიწევნით სჯული ჭართველთა.

— ბიჭებო!

— რას გვიბრძანებ, ბატონო?

— მოუარეთ ზევიდან და მოთხარეთ, გადმოამზღვრიეთ ბექობი. ფრთხილად კი: არვინ გადმოჰყვეს.

მოთხარეს, ჩამოანგრიეს. იპოვა ზოგიერთი რამ ქვისა თუ რვალისა.

— იცი, პეტრე, დიდებული განძია აქ დაცული. ბევრ ბნელ ადგილს გაანათებს ჩვენის ძველისძველ ცხოვრებისა. ვრცელი

მოხსენება დამჭირდება მივართო მთავრობას ამის შესახებ.

— ხელობა შენია და რა დაგიშლის!..

ამ თხრაში და მიწის ქექაში მზე გადასცდა საშუადღეოს. დაეშვა თავქვე. ვისაუზმეთ. მომეწყინა სასაფლაოს ჩიჩქნა და პავლეს აღტაცება ნაპოვნ ნივთებით. მთქნარებას დავიწყებდი, თუ მოსულ მეტყევეს არ მიექცია ჩემი ყურადღება.

— აქ არაფერია, ბატონო: ქვა და რკინა გამოდის უბრალო. თქვენ უნდა ჰნახოთ სახნავი გამოქვაბულში, რომ გაშტერდეთ.

— რა სახნავი, კაცო?

— აბა სად?

— წამობრძანდით!

წაგვიყვანა. გავყევით ხევს, ავედით მაღლა. ფრიალოში გამოქვაბული. მზე მისდგომოდა, ღრმად შეენათებინა გვირაბი. რალაც ნივთებზედ კრთებოდა სხივი, ლაპლაპებდა. აღელდა პავლე. მოუმარჯვა ჭოგრითი. ვერაფერი გაარჩია ხეირიანად. გადაირია კაცი.

— ეი საუნჯე! მრთელი ზინეთი მეცნიერებისათვის!

— ოქრო არის?

— შესაძლოა, ოქროსიც იყოს ან ვერცხლისა.

— რა უნდა იყოს ოქროსი?

— რა ვიცი?! საკვირველი ჰაზრი მომდის: იქნებ წავაწყდით უწინდელ საყუდარს კერპებისა. ქრისტიანობის შემოტანის შემდეგ წყალწმიდათ განჰკრენ ჩვენი კერპები. იქნებ დევნის დროს აქაც დამალეს, ამ მღვიმეშია. ბედნიერ ფეხზედ წამოვედით. დიდებული შედეგი ექმნება ამ ძიებას.

— შესაძლოა! მაგრამ სადილი... რათა ხანია, დრო გადავიდა.

— შენ მაინც მუცელს ჩასტირი...

წამოვედით. დაღლილი მოვსდევდი, დაღონებული. მუშებს მოსწყენოდათ თხრა, დაეყარნათ იარაღი. უცხო კაცი დაგვხვდა, ეპისკოპოსი ყოფილიყო; იქვე მახლობლად დედათა მონასტერი იყო კეთილვან წმიდანის სახელობაზედ და საღილად ეპატიჟებინა არქიეპისკოპოსი. გავყევით. ჩავივაკეთ ჩაცსხედით.

გზა ხევს ჩასდევდა, შიგადაშიგ ნაკადსა სჭრიდა. უეცარი მოსახვევი და... გადიშალა ფართო ტაფობი, პატარა ვაკე მთლად დამუშავებული: ბოსტანი, ბაღი, ვენახი, სიმინდი. ნაკადი ურბენდა მამულს ყოველ მხრივ. აღლეწული მცენარე ნაყოფით დატვირთული. ტაფობის მარჯვნივ მცირე კვერნაკი; ზედ მონასტერი გალავნით გარს მოვლებული.

გამოეგებნენ განთქმულ მეცნიერს.

— წინამძღვარი დედა თემისტო!

ხანგარდასული დედაკაცი მზვერავ თვალებიანი. შეგვიწვიეს. საუბარი ახლად აღმოჩენილ ნანგრევებს ევლებოდა, იქ ნაპოვნ ნივთებს.

— და საზოგადოდ საქართველო მთლიანი არქეოლოგიური მუზეუმი გახლავთ. არ მეგულება სხვა მხარე, სადაც ამოდენა სიძველე მოიპოვებოდეს მიწისპირად თუ ნიადაგში.

— დიდი ხანი რომ უცხოვრნია ჩვენს ხალხს, თავისი ყოფის კვალიც უხვად დაუტოვებია.

არ მომწონდა პატივცემულთ საუბარი მეტად ცალმხრივი: მათთვის რომ დაგეჯერებინათ, ამ ქვეყანაში ყოველი კარგი მხოლოდ ძველისძველი მოინახებოდა, უკვე გარდასული. რათაო?! ბევრი იყო იმედიანი ახალნერგი, ნორჩი, ხასხასი; ღირსი მეტის ყურადღებისა. არ ჩავები საუბარში თუ კამათშია: ვნატრობდი მალე გაეთავებინათ მსჯელობა, მუცელი თავში მცემდა.

— მზად გახლავსთ, ბატონო, ტრაპეზი! — მოახსენა მოლოზანმა წინამძღვარს.

— როგორ ინებებთ, ბატონო პავლე: ცალკე მიირთმევთ სადილს, თუ საერთო სუფრაზედ? დედათ მეტადა ჰსურთ თქვენი ნახვა, სმენა თქვენის ჭკვიანის სიტყვის.

— როგორც ინებებთ, ჩემო ბატონო! — წარმოსთქვა პავლემ.

და შეეტყო, ძლიერ უამა თქმა: წვერზედ ხელი ჩამოისვა, ულვაშები შეილამაზა; სარკისაკენაც მიიხედა უნებლიეთ. ადგებოდა, ჩაიხედავდა, თუ არ შეჰხათრებოდა.

კარგი სადილი: მაძღრისი, ნოყიერი. ათამდისინ მოლოზანი სადილად ჩვენთან. ერთი-ორი ჯერ შუახნისაც არ იყო. გა-

მთქვინებულიყვნენ. ვიხმიეთ მცირედ ღვინოც: კარგიაო სტომაქისათვის. ეშხზედ მოვედით. თითქმის შევჟინჟღილდით. ჩემ წინ რომ მკერდაფუებული ქალი იჯდა, კინაღამ თვალი მომტაცა. ცოდვა იყო მისი მონასტერში ჩამწყვდევა: საშენად იყო გაჩენილი ბუნებისაგან. ესეთი თუ ამსახის ფიქრები მომდიოდა წმინდა ადგილას. შევუტიე ჩემს თავს, ჩავაყენე სათანადო სადინელში. სხვებიც შეარხია ღვინის ცვარმა, სუნნელოვან სათქმელებისკენ მიჰმართა ჰაზრი. მოიგონეს წარსულნი ჟამნი, იგი წუთები, როს მათთვისაც ტკბილად ჟღერდა წუთის სოფლის ამაოება.

პავლეს პირდაპირ იჯდა მოხუცი მონაზონი, დედა მავრაი. თავიდანვე მის სახეს, მის ქცევას განსაკუთრებული იერი ასდევდა: დაშტერებით დაჰყურებდა მოხუც არხეოლოგს, მიმჭკნარ სახეზედ რაიმე ღელვა ეხატებოდა. პავლემ ვერ შენიშნა ეს: ყველა რომ მას მისჩერებოდა, მის ყურადღება იშლებოდა შტოებად და წვრიმანდებოდა, იფანტებოდა. რამდენჯერმე სცადა დედაბერმა თავისზედ მიექცია მეცნიერის ყურადღება. ამაოდ: ზრდილი კაცი იმასაც იმდენსავე ყურადღებას აქცევდა, როგორც სხვებს. ერთხელ-ორჯერ შავ თავსაფრის გახსნაც მოახერხა, გადაფრიალება, რომ მთელი სახე ეჩინა, მაგრამ პავლეს თვალმა ზერელედ გადირბინა ნაჩენ სახეზედ, ოდნავ შეჩერდა გამხმარ ყვრიმალზედ და გასცდა ცივად. როცა წარსულ დროთა მოგონებამ დასჭარბა საუბარში და ყველამ სთქვა თავისი სანუკვი მოგონება, დედა მავრამაც გაბედა სიტყვა:

— მეც ოდესმე მიღიმოდა წუთის ცხოვრება, კიდეც ვყვებოდი მცირეხნობით მე მისსა ტალღებს; მაგრამ ვერ ვნახე მე სიკეთე მუხთალ სოფელში და დალახვრული შევეფარე წმინდა სავანეს: მენანდრიათ მელანია გარდაიცვალა, აწ ცხოვრობს მხოლოდ საბრალო მავრა.

სახელის ხსენებაზედ პავლეს განკრთომა აესახა თვალებში და დააშტერდა დედაბერს. მავრამ თვალი გაუსწორა მას. მეხსიერებამ მოხუც სწავლულს გვერდს დაუყენა მელანია ახლად ფურჩქვნილი, მელანია სიცოცხლით სავსე, აწ უკვე მავრა ნაშთად ნაქცევი.

— მენანდრიათ მელანია შენ?!

— დიაღ, ბატონო!

— ვეღარ გიცანით: მთლად გამოცვლილხართ.

— ვინ ვერ შესცვალოს დროთა სრბოლამ დაუნდობელმა?! ვერც მე გიცნობდით, თუ შემთხვევით შეგხვედრიყავით.

მთლად გამოიცვალა პავლე: ჩაუქრა თვალები, უფრო შეეჭმუხნა ანაოჭებული შუბლი. ჩაიფუფქა ადგილობრივ. დაავიწყდა ლუკმის გადანთქმა: პირში თუ გაუმწარდა ტკბილი სანოვაგე.

— მელანო, ჩემი ზამბახი მელანია! ჩამქრალან თვალნი ცეცხლის მფრქვეველნი; ყვავილის ბაგე ჩახავსებულ ფოსოდ ქცეული; დაუქსელავს ტურფა სახე უამრავ ნაოჭს, — ფიქრობდა კაცი დაჟინებით.

და ვეღარ უგდებდა საუბარს ყურს, ვერ იძლევოდა შესაფერ პასუხს. გააპარებდა თვალს მელანოსკენ.

— როგორ მიყვარდა მისი მაჯა ნაქანდაკები! შირმაიის ხელები მისი. მომინდებოდა მათი კოცნა, მათი ალერსი. სადღა არიან?! მხოლოდ ნასახნი ჟანგისაგან შეჭმულ-შეღრღნილნი. ხმაც კარგი ჰქონდა.

— თქვენ, მელანო...

— უკვე მავრაი, ბატონო პავლე!

— უკაცრავად!.. ნაზი ხმა გქონდათ, ტკბილი იყო თქვენი სიმღერა.

— დედა მავრა ლოტბარი გახლავთ მგალობელთ დასის. საღამოს ლოცვაზედ შესაძლებელი შეიქმნებოდა გალობის მოსმენა.

— აარ, მალე უნდა გიახლოთ.

— სძლის პირი რაიმე წარსთქვი, გენაცვალე! — შესთხოვა წინამძღვარმა.

დედაბერი შეყოყმანდა, მაგრამ არ შეიძლებოდა, არ აესრულებინა უფროსის ბრძანება. გაიმართა წელში. მოიღერა ყელი. დაიწყო. დაჰყოლოდა ხმა. ნელის ღიღინით აეტოლნენ მეინახენი. ხმის აწევისას თავს მაღლა სწევდა. ეჭიმებოდა გამომხმარი ყელის ძარღვები.

— საცოდავი ჩემი მელანო! გაუტაცნია მკაცრ ბუნებას მისი საუნჯე, მთლად გაუძარცავს...

წამოვედით. მლოცავ დედებმა პატივი სცეს განთქმულ მეცნიერს: რომ ჩავსხედით, ხილით სავსე კალათა მოგვაწოდეს.

სცადეს წინ სკამზე გაემაგრებინათ, მაგრამ იქ მაშხალა იყო ჩაკრული.

— ახსენ მაშხალა, ფერხთ ქვეშ დაიდე! — უბრძანა პავლემ ვეტლეს.

— არ შეიძლება, ბატონო: ჩექმებს დამიჩქლეთს, რაღაც რკინაა.

პავლემ ბოროტი თვალით შეხედა არქეოლოგიურ ნაშთს და მჭახეთ ბრძანა:

— გადააგდეთ! დადგით კალათა!

— ეჰ, ისევ მოიბრუნებს მეგობარი გულს ძველძახებისკენ: სხვა გზა აღარ აქვს. — გავიფიქრე.

სარჩევი

ხარაზი 5
ქოჩორა ხე 12
შიეხმატკბეღლა გოგონას . . 41
უძღები 51
სოვდაგარი 77
ტკბილი დუდუკი . . . 94
ალუჩა 129
ვაშლები 136
თებერას დანიშნული . . 141
შინაური მტერი . . . 206
საპასექო ნამცხვარი . . 224
ქუდბედიანი 232
გველის ზეიმი . . . 248
ყვავილი მომავალი . . . 275
აღდგომის ცოდვა . . . 296
განასკვეღლი სიმი . . . 303
სადედოფლო სარტყელი . 317
მოგვთა კალო . . . 330
ლეგას ჩოხა 333
ნაძვნარის დევი . . . 346
სული მთვლემარე . . . 357
ღიმი დამღუპი . . . 379
რკინის დევი 384
ანანოს ბედი 392
კვირაძალეს სიზმარი . . 414
ალქი 420
ძვირფასი თვალი . . . 431
ნანატრი ნადირი . . . 443
მარგალიტის ცრემლები . . 455
მტკვრის ვაჟი . . . 471
დედის ხელი 488
არმაზის მსხვრევა . . . 515
არქეოლოგიური ნაშთი . . 627

შენიშვნა

ტომში წარმოდგენილი ნაწარმოებები გადმობეჭდილია გამოცემიდან:
ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I—IX, 1961—1963.

მეთვრამეტე წიგნი შეადგინა **რევაზ თვარაძემ.**

ГРУЗИНСКАЯ ПРОЗА
Книга XVIII
(На грузинском языке)
Издательство «Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1990

რედაქტორი ნუკრი აბესაძე
მხატვარი დავით დუნდუა
მხატვრული რედაქტორი თამაზ შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლეილა ჭელიძე
კორექტორები: ლეილა არეშიძე, ესმა უარყარაშვილი
გამომშვები მერი წივწივაძე

ს. ბ. № 7058

გადაეცა წარმოებას 08.01.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.04.90. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108¹/₃₂. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,49. პირ. საღ.-გატ. 33,6. . საალრ.-საგამომც. თაბახი 33,6. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 440.
ფასი 5 მან.

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета по печати Грузинской ССР, пр. Гр. Робакидзе № 7.